ISSN 1512-3243

კვალი

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

Kvali

INTERNATIONAL SCIENTIFIC JOURNAL

Квали

МЕЖДУНАРОДНЫЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

http://GAAS/geoweb.ge

2014 № 1-2

„საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი კვალი“
მთავარი რედაქტორი
მანანა ვახტანგაძე
პასუხისმგებელი რედაქტორი
ჯემალ გორდულაძე

სამეცნიერო კოლეგია:
თავმჯდომარე გურამ ალექსიძე
წევრები: ჯემალ ანანიძე, ივერი ახალბედაშვილი, დავით ბედია, ლერი გიგინეიშვილი, თამაზ დარჩიძე, არჩილ ვაშაკიძე, ომარ კაჭარავა, ივანე კიღურაძე, ირაკლი კოვზანაძე, თამაზ კუნჭულია, ნიკო ლეონიძე, ალექსი მორგუნოვი, პეტრე ნასყიდაშვილი, ოთარ ნათიშვილი, იური ნიკოლაიშვილი, დავით ონოფრიშვილი, რაჯენდრა პაროდა, ლადო პაპავა, მადონა ნიჟარაძე
თამარ სანიკიძე, ნოდარ ტაბიძე, ზურაბ ტყემალაძე, შალვა ფიფია,
ოთარ ღორჯომელაძე, თენგიზ ყურაშვილი, გივი ჯაფარიძე, ვალერიან ცანავა,
ანზორ ხელაშვილი, ნოდარ ჭითანავა. სერგო ვარდოსანიძე.

„INTERNATIONAL SCIENTIFIC JOURNAL KVALI”
Editor-in-Chief
MANANA VAKHTANGADZE
Responsible Editor
JEMAL GORDULADZE

BOARD OF EDITORS
Chairman GURAM ALEKSIDZE
Members: Jemal Ananidze, Iveri Akhalbedashvili, David Bedia, Leri Gigineishvili, Tamaz Darchidze, Archil Vashakidze, Omar Kacharava, Ivane Kiguradze, Irakli Kovzanadze, Tamaz Kunchulia, Niko Leonidze, Aleksi Morgunovi, Petre Naskidashvili, Otar Natishvili, , Madona Nijaradze, Iuri Nikolaishvili Davit Onofrishvili, Rajendra Paroda, Lado Papava, Tamar Sanikidze, Nodar Tabidze, Zurab Tkemaladze, Shalva Fifia, Otar Gorjameladze, Tengiz Kurashvili, Givi Jafaridze, Valerian Tsanava, Anzor Khelashvili, Nodar Chitanava. Sergo Vardosanidze.

„МЕЖДУНАРОДНЫЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ КВАЛИ”
главний редактор
МАНАНА ВАХТАНГАДЗЕ
ответственный редактор
ДЖЕМАЛ ГОРДУЛАДЗЕ

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ
Председатель – ГУРАМ АЛЕКХИДЗЕ
**Члены: Джемал Ананидзеь Ивери Ахалбедашвили, Давид Бедия, Лери Гигинеишвили, Тамаз Дарчидзе, Арчил Вашакидзе, Омар Качарава, Иване Кигурадзе, Иракли Ковзанадзе, Тамаз Кунчулиа, Нико Леонидзе, Алексеи Моргунов, Петре Наскидашвили, Отар Натишвили, Иури Николаишвили, Мадона Нижарадзе, Давид Онофришвили, Раджандра Парода, Ладо Папава, Тамар Саникидзе, Нодар Табидзе, Зураб Ткемаладзе, Шалва Фифиа, Отар Горджомеладзе, Тенгиз Курашвили, Гиви Джафаридзе, Валериан Цанава, Анзор Хелашвили, Нодар Читанава. Серго Вардосанидзе.

სარედაქციო საბჭო:
დავით მაისურაძე, გიორგი ცინცაძე, რევაზ ფახურიძე, არჩილ კერესელიძე, ლიანა ფხალაძე, ლანა ქარდავა, ნათია ხორგუანი, ნინო ნატროშვილი, ინგა შონავა.

ტექნიკური დირექტორი:
გიორგი (გია) თამაზაშვილი

თარგმანი:
ანი აბულაშვილი

გარეკანის დიზაინი:
თამარ ჯაჭვაძე

ჟურნალი გამოდის წელიწადში ოთხჯერ ქართულ ენაზე ინგლისური და რუსული ანოტაციებით, გამომცემელი შპს „აგრარულ-ეკონომიკური სამეცნიერო ჟურნალი კვალი“. ჟურნალი დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანი“, მის: ალ. ყაზბეგის გამზ. 47, ჟურნალი რეცენზირებადია. ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები რეფერირდება რეფერატულ ჟურნალებში. ჟურნალი ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით სამეცნიერო გაცვლის საშუალებით. რეგისტრერებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2005 წლის 11 ოქტომბერს ბრძანება № 6/3/006 შპს რედაქციის მისამართი: თბილისი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.ივანე ჯავახიშვილის ქუჩა №51.
http://GAAS/geoweb.ge ტელ.: 296 03 00, (790) 22 47 88, 222 47 88

EDITORIAL BOARD
David Maisuradze, Giorgi Tsintsadze, Revaz Faxuridze, Archil Kereselidze, Liana Fkhaladze, Lana Kardava, Natia Khorguani, Nino Natroshvili, Inga shonava.

TECHNICAL DIRECTOR
Giorgi (Gia) Tamazashvili
TRANSLATOR
Ani AbulaSvili
COVER DESIGN
Tamar Jachvadze

The quarterly journal “Kvali” is published in Georgian language with English and Russian annotations by L.T.D. “Agro-Economic Scientific Journal Kvali.” The journal was printed in publishing house “Meridiani” Address: Al. Khazbegi Ave. 47, the journal is censured; articles published in the journal are referenced. The journal is disseminated internationally through scientific exchange. The journal is registered by Tbilisi Tax Inspection Order #6/3/006 of October 11, 2005. Address of the Editors Office: Tbilisi, Georgian Academy of Agricultural Sciences, Ivane Javakhishvili st. №51.
http://GAAS/geoweb.ge Tel: 296 03 00, (790) 22 47 88, 222 47 88

РЕДКОЛЛЕГИА
Давид Маисурадзе, Гиорги Цинцадзе, Реваз Фахуридзе, Арчил Кереселидзе, Лиана Пхаладзе, Лана Кардава, Натиа Хоргуани, Нино Натрошвили, Инга Шонава.

ТЕХНИЧЕСКИИ ДИРЕКТОР
Гиорги (Гиа) Тамазашвили
ПЕРЕБОД
Ани Абулашвили
ДИЗАИН ОБЛОЖКИ
Тамар Джачвадзе

Журнал выходит четыре раза в год на грузинском, английском и русском языках. Издательство ооо Аграрно-экономический научный журнал квали» Журнал напечатан в издательство «Меридиани». адрес: пр. Ал казбеги, №47. Журнал Рецензирован Опубликованные в журнале статьи реферируются в реферктных журналах. Журнал распространяется в международном масштабе с помощью научного обмена Журнал регистрирован налоговой инспекцией г. Тбилиси 11 октября 2005 года Приказ № 6/3/006 ООО Адрес редакции: г. Тбилиси. Академия сельскохозяйственных наук Грузии. Иване Дшавахишвили ул. №51 http://GAAS/geoweb.ge Tel.: 296 03 00, (790) 22 47 88, 222 47 88

ღია წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს
OPEN LETTER TO MR. BIDZINA IVANISHVILI
ОТКРЫТОЕ ПИСЬМО ГОСПАДИНУ БИДЗИНА ИВАНИЩВИЛИ..... 11
პატრიარქის საშობაო ეპისტოლე
PATRIARCH'S CHRISTMAS EPISTLE
РАЖДЕСТВЕНСКИИ ПОСЛАНИЕ ПАТРИАРХА..... 13
პოლიტიკა
POLITICS
ПОЛИТИКА
დავით დარახველიძე
DAVIT DARAKHVELIDZE
ДАВИД ДАРАХВЕЛИДЗЕ
რა კრიტერიუმებით განისაზღვრება ქართული დემოკრატია?
Which criteries measures Georgian democracy?
Какими критериами определяется Грузинская демократия 18
აგრარული პოლიტიკა
AGRICULUTRAL POLICY
АГРАРНАЯ ПОЛИТИКА
გურამ ალექსიძე, თინათინ ეპიტაშვილი
GURAM ALEKSIDZE, TINATIN EPITASHVILI
ГУРАМ АЛЕКСИДЗЕ, ТИНАТИН ЕПИТАШВИЛИ
სოფლის მეურნეების მეცნიერებათა აკადემიის ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან
Relation of Academy of Agricultural Sciences with International Organizations
Отнащении академии сельскохозяйственных наук с иностранными организациями 27
ომარ კაჭარავა
OMAR KACHARAVA
ОМАР КАЧАРАВА
საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ტენდენციები
Development tendencies of Georgian agro-industrial complex
Тенденции развития Грузинскои агропромисшленного комплекса 29
ეკონომიკური პოლიტიკა
POLITICAL ECONOMY
ЕКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА
თამაზ იმედაძე
TAMAZ IMEDADZE
ТАМАЗ ИМЕДАДЗЕ
საქართველოში მეჩაიეობის განვითარებისათვის
Development of tea-growing in Georgia
Развитие чаиводство в Грузии 35
თამაზ კუნჭულია, ქეთევან მჭედლიშვილი
TAMAZ KUNCHULIA, KETEVAN MCHEDLISHVILI
ТАМАЗ КУНЧУЛИА, КЕТЕВАН МЧЕДЛИШВИЛИ
აგროპროდუქტების იმპორტის ზრდა ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის პირობებში
Agroproduction import's increase in the liberal traiding politic – conditions
Рол роста импорта агропродуктов в условиях либеральной торговой политики..... 38
აქტუალური თემა
The Theme of the Day
АКТУАЛЬНАЯ ТЕМА
ოთარ ნათიშვილი, ვახტანგ თევზაძე
OTAR NATISHVILI, VAKHTANG TEVZADZE
ОТАР НАТИШВИЛИ, ВАХТАНГ ТЕВЗАДЗЕ
ღვარცოფები – ბუნება, გავრცელება, მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები
Landslide-nature, spreading and fighting measures with it
Селевые потоки - природа, распространение, методы борьбы против них…….48
ოთარ ღორჯომელაძე, ნაზი თურმანიძე, მარინა ღორჯომელაძე, შორენა ღორჯომელაძე, არჩილ ძირკვაძე
OTAR GORJOMELADZE, NAZI TURMANIDZE, MARINA GORJOMELADZE,SHORENA GORJOMELADZE, ARCHIL DZIRKVADZE
ОТАР ГОРДЖОМЕЛАДЗЕ, НАЗИ ТУРМАНИДЗЕ, МАРИНА ГОРДЖОМЕЛАДЗЕ, ШОРЕНА ГОРДЖОМЕЛАДЗЕ, АРЧИЛ ДЗИРКВАДЗЕ
აჭარის ეროზირებული ტერიტორიების ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესება და მიწათმოქმედებაში კვლავ ჩართვის აუცილებლობა
About the measures of ecologically deteriorated lands in intensive land of tenure in Adjara

Обязательность восстановление и улучшение эродированных территории Аджарии и снова возвращение в интенсивному земледелию.....51

პერსპექტივა
PERSPECTIVE
ПЕРСПЕКТИВА

ლერი გიგინეიშვილი
LERI GIGINEISHVILI
ЛЕРИ ГИГИНЕИШВИЛИ
ბიოჰუმუსი – ორგანული მიწათმოქმედების ერთერთი საფუძველი
Biohumus-Basis of Organic Agriculture
Биогумус – одна из основ органического земледелия……..61

თენგიზ ყურაშვილი
TENGIZ KURASHVILI
ТЕНГИЗ КУРАШВИЛИ
სასმელი წყლის ხარისხის გავლენა ქვეყნის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე და ცხოველების ჯანმრთელობაზე
Drinking water quality impact on the ecological condition of the country and animal health
Влияние качество питьевой воды на экологическое состояние страны и здоровье животных..... 65

პეტრე ნასყიდაშვილი,გიორგი ჯახუტაშვილი,მაკა ნასყიდაშვილი
PETRE NASKHIDASHVILI, GIORGI JAKHUTASHVILI, MAKA NASKHIDASHVILI
ПЕТРЕ НАСКИДАШВИЛИ, ГИОРГИ ЖАХУТАШВИЛИ, МАКА НАСКИДАШВИЛИ
ჰიბრიდული სიმინდის ღირსება
The cost of hybrid corn
Достоинство гибридной кукурузы 71

რევაზ ფახურიძე
REVAZ PAKHURIDZE
РЕВАЗ ФАХУРИДЗЕ
ჰიბრიდული სიმინდი და საქართველო
Hybrid corn and Georgia
Гибридная кукуруза и Грузия…… …… ……76

პრობლემა
PROBLEM
ПРОБЛЕМА

ოთარ ღორჯომელაძე, გიზო ურუშაძე
OTAR GORJOMELADZE, GIZO URUSHADZE
ОТАР ГОРДЖОМЕЛАДЗЕ
საქართველოს ნიადაგების და ნიადაგური საფარის თანამედროვე მდგომარეობა
Present status of soils and soil surface
Современное состояние грузинских почв и почвенного покрова……..78

იური ნიკოლაიშვილი
IURI NIKOLAISHVILI
ЮРИЙ НИКОЛАИШВИЛИ
შრომითი ცხოვრების ხარისხის შესახებ
About the Quality of Working Life
О качестве трудовой жизни…… ……..86

ციცო დოსმიშვილი, მარინე დოსმიშვილი
REVAZ PAKHURIDZE, MARINE DOSMISHVILI
РЕВАЗ ПАХУРИДЗЕ, МАРИНЕ ДОСМИШВИЛИ
საკვები პროდუქტების დანამატები-ინგრედიენტები
Food additives – ingredients
Пищевые добавки-ингредиенты……89

გიორგი ცინცაძე
GIORGI TSINTSADZE
ГИОРГИ ЦИНЦАДЗЕ
დასაქმების პრობლემის სიმწვავე და მისი გადაწყვეტის საშუალებები
Problems of Unemployment and the ways of its solution
Проблеми безпаботицы и пути рещении..... 91

მედიცინა
MEDICINE
МЕДИЦИНА

ციცი ნაპირელი
CICI NAPIRELI
ЦИЦИ НАПИРЕЛИ
პაროდონტოქსი - სტომატოლოგიაში გავრცელებული პათოლოგია

Parodontox in modern dentistry is one of the most widespread pathology
Пародонтокс широко распространенная патология в стоматологии 97
ნინო ბაკურაძე
NINO BAKURADZE
НИНО БАКУРАДЗЕ
სტენოკარდია
Stenocardy
стенокардия..... 101
ფილოლოგია და ჟურნალისტიკა
PHILOLOGY AND JOURNALIZM
ФИЛОЛОГИЯ И ЖУРНАЛИСТИКА
მადონა ნიჟარაძე
MADONA NIJARADZE
МАДОНА НИЖАРАДЗЕ
ვაჟა-ფშაველას ხალხთა განათლებისა და მოძრავი სკოლების შესახებ
Vazha Pshavela on people's education and portable schools
Важа- Пшавела о просвещении народа и о передвижных школах ……...102
ლუბა ელიაშვილი
LUBA ELIASHVILI
ЛУБА ЕЛИАШВИЛИ
კულტურა, რელიგია და ტრადიცია ტელემედიაში
Culture religion and tradition in media
Культура религия и традиция в телемедии 105
იუბილე
ANNIVERSARY
ГОДОВЩИНА
ბათუმის ბოტანიკური ბაღი
BATUMI BOTANICAL GARDEN
БАТУМСКИИ БОТАНИЧЕСКИИ САД
საუკუნოვანი ბათუმის ბოტანიკური ბაღი
The century-old Batumi botanical garden
Вековой Батумский ботанический сад…….111
ერისთვის დაუვიწყარი თარიღები
UNFORGOTABLE EVENTS
НЕЗАБЫВАЕМЫЕ СОБЫТИЯ
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დაბადებიდან 81 წლის საიუბილეოდ
დავით მაისურაძე
DAVID MAISURADZE
ДАВИД МАИСУРАДЗЕ
ჩემო მამულო
My land
Мая родина 121
მიტროპოლიტი თადეოზი
MITROPOLIT TADEOZ
МИТРОПОЛТ ТАДЕОЗ
უწმინდესს
His Holiness
Его святеищество 123
თენგიზ სვანიძე
TENGIZ SVANIDZE
ТЕНГИЗ СВАНИДЗЕ
უფალს ავედრებ
Praise to lord
Молитава господу 123
ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან 6 წელი გავიდა
6 YERS PASSED AFTER THE DEATH OF BADRI PATARKACISHVILI
6 ЛЕТ ПРОЩЛО ПОСЛЕ КАНЧИНЫ БАДРИ ПАТАРКАЦИЩВИЛИ
კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
CATHOLICOS-PATRIARCH ILIA II
КАТОЛИКОС-ПАТРИАРХ ИЛИЯ II
ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი უკვდავი სული
God bless his immortal soul

Царство небесное его бессмертнои душе 124
მანანა ვახტანგაძე
MANANA VAKHTANGADZE
МАНАНА ВАХТАНГАДЗЕ
მამულიშვილი
Patriot
Патриот 125
მიმართვა
Appeal
Обращешие 130
მოგონებები
Memories
воспоминания 131
ბადრი პატარკაციშვილი
BADRI PATARKATSISHVILI
БАДРИ ПАТАРКАЦИШВИЛИ
"რაც გავაკეთე, უთუოდ უნდა გამეკეთებინა"
"Indeed, I had to do what I did"
"В самом деле, я должен был сделать то, что я сделал" 139
ვულოცავთ
CONGRADULATIONS
ПОЗДРАВЛЕНИИ
მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
MITROPOLIT ANANIA JAPARIDZE
МИТРОПОЛИТ АНАНИА ДЖАПАРИДЗЕ
ქალბატონ თინა კობალაძის დაუვიწყარი ღვაწლი
Unforgettable contributions of Ms. Tina Kobaladze
Незабываемые вклады г-жи Тина Кобаладзе..... 147
სერგო ვარდოსანიძე
SERGO VARDOSANIDZE
СЕРГО ВАРДОСАНИДЗЕ
ჟურნალი "ჯვარი ვაზისა" 35 წლისაა
Magazine "jvari vazisa" is 35 years old
Журнал «джвари вазиса' 35 лет 150
ზურაბ თორია
ZURAB TORIA
ЗУРАБ ТОРИА
"ძლიერებაო ჯვარო ვაზისაო"...
"Mighty of the cross of vine'
"Мощ креста лозы"..... 152
მანანა კაკაბაძე
MANANA KAKABADZE
МАНАНА КАКАБАДЗЕ
"ჩემი პირველი სიხარული ეს ჟურნალი იყო..."
"My first joy was this journal"
"Моя первая радость был етот журнал" 153
ისტორია და ფაქტები
HISTORY AND FACTS
ИСТОРИЯ И ФАКТЫ
დავით მაისურაძე
DAVID MAISURADZE
ДАВИД МАИСУРАДЗЕ
ისტორიის ნამდვილი შვილები
The true sons of history
Notes on historical Topics- Part 2
Истинные сыновья истории
Примечания на исторические темы - часть 2 154
სოსო სიგუა
SOSO SIGUA
СОСО СИГУА
რაულ ჩილაჩავა პოეტი-დესპანი
Raul Chilachava Poet – envoy

Рауль Чаличава поэт-посланник……171
რაულ ჩილაჩავა
RAUL CHILACHAVA
РАУЛ ЧИЛАЧАВА
ლავრენტი ბერიას ვაჟი მოგვითხრობს
Beria's Son tells the story
Сын Лаврентия Берия рассказывает……172
მანანა ვახტანგაძე
MANANA VAKHTANGADZE
МАНАНА ВАХТАНГАДЗЕ
მითი თუ რეალობა? ვინ იყვნენ სტალინი და ბერია?
Myth or Reality? Who were Stalin and Beria? Monsters or successful politicians?
Миф или реальность? кто были Сталин и Берия? монстры .... или обычные, успешные политики?.....231
გამოჩენილ ადამიანთა გამონათქვამები სტალინზე
Famous people sayings about Stalin
Высказывание известных людеи о Сталине…….....255
მემორიალი
MEMORIAL
МЕМОРИАЛ
გარდაიცვალა ოთარ ღორჯომელაძე
OTAR GORJOMELADZE PASSED AWAY
УМЕР ОТАР ГОРДЖОМЕЛАДЗЕ 258
მადონა ნიჟარაძის ხსოვნას
IN MEMORY OF MADONA NIDJARADZE
ВОСПАМИНАНИЯ МАДДОНИ НИЖАРАДЗЕ 259
ჯემალ გორდულაძე
JEMAL GORDULADZE
ДЖЕМАЛ ГОРДУЛАДЗЕ
უბადლო რედაქტორი, პუბლიცისტი, მეგობარი
Incomparable editor publicist and friend
Несравненный редактор публицист и друг..... 260
შალვა ოსეფაშვილის ხსოვნას
IN MEMORY OF SHALVA OSEPASHVILI
ВОСПАМИНАНИЯ ЩАЛВИ ОСЕФАЩВИЛИ 261
ლიტერატურა და ხელოვნება
LITERATURE AND ART
ЛИТЕРАТУРА И ИСКУССТВО
ალა დუდაევა
ALA DUDAEVA
მეუღლე, პატრიოტი და ხელოვანი
Wife, Patriot and painer
Жена, патриот и художник ……262
მანანა ვახტანგაძე
MANANA VAKHTANGADZE
МАНАНА ВАХТАНГАДЗЕ
ქართულ მხატვრობაში დიდი შესვენებაა გამოცხადებული
There is big break in Georgian Painting art
Meeting with painter Koba berelidze
В грузинской живописи объявлен перерыв.
Встреча с живописцем Берелидзе Кобой……263
თანამედროვე ქართული ხელოვნების მომავალი
The future of Georgian modern Art
Будущее Грузинского современного искусства 270
მადონა ნიჟარაძე
MADONA NIJARADZE
МАДОНА НИЖАРАДЗЕ
ლექსები
Verses
СТИХИ..... 275
დავით მაისურაძე
DAVID MAISURADZE
ДАВИД МАИСУРАДЗЕ

მსახიობი
actor
АКТЕР 278
შეინანეთ თქვენი ცოდვები დედოფალო
Repent of your sins queen
Покайтесь в грехи королева 279
სიზმარი
Dream
СОН 282
პასიკო
Pasiko
ПАСИКО 283
ლექსები
Verses
СТИХИ 285
ჩვენ უნივერსიტეტელები
WE, FROM THE UNIVERSITY
МЫ ИЗ УНИВЕРСИТЕТА
ლიანა ფხალაძე
LIANA FKHALADZE
ЛИАНА ФХАЛАДЗЕ
ჩვენი ჯგუფი
Our course
Нащ курс 287
ჯემალ გორდულაძე
JEMAL GORDULADZE
ДЖЕМАЛ ГОРДУЛАДЗЕ
დედა უნივერსიტეტი
Mother university
Мать университет 289
მანანა ვახტანგაძე
MANANA VAKHTANGADZE
МАНАНА ВАХТАНГАДЗЕ
ჩვენ... უნივერსიტეტელები...
We, from university
Мы из университета 292
ერისა და ქვეყნის სატკივარი
THE NATION'S AND COUNTRY'S PROBLEM
ПРОБЛЕМЫ СТРАНЫ
სად არის როიალი, რომელზედაც უკვდავი ოპერა "დაისი" დაიწერა?
Where is the instrument, on wich was written immortal opera "Daisi"?
Где рояль на катором был написан бессмертное опера "Даиси"? 298
უზნეობა და სოდომის ცოდვის დაკანონება რომ დემოკრატია არ არის ეს ყველამ უნდა იცოდეს!
Legalization of immorality and sin is not a democracy
Легализация безнравственность и грех не демокатия 299
დაუფიქრდით...
THINK ABOUT IT
ЗАДУМАИТЕСЬ
ერთი ეპიზოდი ალბერტ აინშტაინის ცხოვრებიდან
Episode from life of Albert Ainshtein
Епизод из жизны Албрта Аинщтаина 311

“საერთაშორისო საძეებნიერო ეკონომიკური კვლევის” საძეებნიერო კოლეგია და სარედაქციო საბჭო ულოცავს საქართველოს, ქართველ საძეებნიერო საზოგადოებას და მთელ ქართველ ხალხს ბატონი ბიძინა ივანიშვილის და კოალიციის “ქართული ოცნების” შემობრძანებას ქართულ პოლიტიკურ სივრცეში და ქართული სახელმწიფოს ხელისუფლებაში. ვუსურვებთ წარმატებას და ისეთივე შემართებით შრომას და ბრძოლას ქართველი ხალხის და ქართული სახელმწიფოს გადარჩენისა და გაძლიერებისათვის, როგორც არჩევნებამდე ჰქონდა ბატონ ბიძინა ივანიშვილს და კოალიციის თითოეულ წევრს.

ბატონ ბიძინა ივანიშვილს თავის დიდებულ ოჯახთან ერთად ვუსურვებთ დოეგრძელობას, არ მოჰკლებოდეთ ღვთის ძალი, ეშრომოთ და ეღვაწოთ თავიანთი საშობლოსა და შშობელი ხალხის საკეთილდღეოდ ძრავალეამიერ!

ღია წერილი
ბატონ ბიძინა ივანიშვილს

დიდი ხანია შორიდან გვესმოდა თქვენი სახელი და გულს უხაროდა, რომ ამ მიწამ, რომელსაც ჩვენი მამული ჰქვია, კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი აღზარდა!

თქვენ და თქვენმა ოჯახმა კარგად იცით თქვენი სამშობლოს ისტორია, იცნობთ იმ მწარე ათასწლეულებს, როცა სისხლში იხრჩობოდა ქვეყანა მხოლოდ იმისთვის, რომ გენეტიკური ჯიში გადაერჩინა! დიახ, ამაყი და მეომარი ხალხი იყო ჩვენი წინაპრები! ამის შედეგია ის ნაომარი ნასოფლარები, რომლებზეც ჩვენმა ზოგიერთმა ვაი—მეფემ და შემდეგ ასევე ჩვენმა ზოგიერთმა ვაი—ხელისუფალმა სხვა ჯიშისა და ჯილაგის ხალხი მოაშენა! ხალხი, რომლებიც მტრად მოეკიდა ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვეყანას...

მოგეხსენებათ მე—19 საუკუნეში მეფის რუსეთმა ფიზიკურად და იდეოლოგიურად ბოლო მოუღო საქართველოს ერთიანობას! დაამშია და დათრგუნა სახოგადოების ის განათლებული ნაწილი, რომელსაც ერის წინამძღოლობა და მისი მომავლის გადარჩენა საკუთარ მხრებზე უნდა ეტვირთა! მაშინაც გვყავდნენ ქველმოქმედები და ძალიან ეროვნულებიც... მაგრამ მათ შემთხვევაში რა იყო პატრიოტიზმი და რა იყო ეროვნული საქმე ალბათ არ იყო კარგად გააზრებული. დიახ, ისინი, ზუბალაშვილები, სარაჯიშვილი, ხოშტარია და სხვანი ბევრ კარგ საქმეს აკეთებდნენ ცხადია, აშენებდნენ ეკლესიებს, სასახლეებს, სხვადასხვა დაწესებულებებს (სამთავრობოს და არასამთავრობოს), აშენებდნენ და არემონტებდნენ თეატრებს, ოპერას, ზუბალაშვილებმა ააშენეს კონსერვატორია — დიახ, ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ... გაუკეთებელი დარჩათ უფრო დიდი! მათ არ იზრუნეს თავიანთი ჯიშის გადარჩენისთვის, გამრავლებისთვის, მშიერი არ გამოკვებეს, უსახლკაროებს არ დაეხმარნენ, უპატრონო ბავშვებს თავშესაფარი არ გაუჩინეს... მოგეხსენებათ, თუ ერი არ გადარჩა და არ გამრავლდა მას არც თეატრი სჭირდება, არც მწერალთა სასახლე და არც კონსერვატორია! მათ დღეს დიდ მეცენატებს უწოდებენ საქართველოში, მაგრამ იმ მართლაც დიდი რომაელი მეცენატისაგან ძალიან განსხვავდებიან! ის რომაელი მეცენატი (გვარია მისი) არამარტო დღესასწაულებზე, სხვა რიგით დღეებშიც კი თავისი საკუთარი საფასით შესყიდული პურით, ხორცითა და ღვინით უშურველად უმასპინძლდებოდა გაჭირვებულ რამაელებს! მისი ხარჯით უფასო საავადმყოფო - ქსენონი იყო რომის დაბალი ფენისთვის განკუთვნილი, მის ხარჯზე არსებობდა რომში სათნოების სახლი, სადაც ყველა ღატაკსა და უსახლკაროს შეეძლო ცხოვრება და დღეში თუნდაც ერთხელ ნორმალურად დანაყრება. სწორედ მისეული სათნოების სახლის მოდელი შექმნა მე—18 საუკუნეში მამლუქთა ქართველი ბელადის ქართველმა ცოლმა, უჭკვიანესმა და კეთილშობილმა ნაფისა ხანუმმა ქაიროში! ნაფისა ხანუმის ქაიროსეული სათნოების სასახლე გამორჩეული იყო თავისი სიმდიდრითა და სიუხვით! სადაც გაჭირვებული თავის გაჭირვებას ივიწყებდა. საქართველოში ყოველთვის არსებობდა სათნოების სახლები, მეფეთა და დიდებულთა შემოწირულობების ხარჯზე, ასე რომ ქართველებისთვის უცხო არასოდეს ყოფილა მოფასისადმი სიკეთის გამოჩენა, მაგრამ დღეს ასე არ არის, დღეს ძალიან უჭირს ქართველ ხალხს. და არავინ ფიქრობს გენეტიკური ჯიშის გადარჩენაზე! დიახ, ბატონო ბიძინავ, თქვენ მართლაც საოცრად გულმოწყალე და კეთილშობილი პიროვნება ბრძანდებით, მაგრამ ერთი რამ ვერ გამირკვევია, ნუთუ თქვენთვის არაა ცნობილი, რომ დღევანდელი ქართული საზოგადოების ნაწილი, ის ნაწილი, რომელიც ერის)ირიოთად ღირებულებას წარმოადგენს და არ არის გარყვნილი არც სულით, არც ხორცით და არც გონებით, და არამარტო დღეს, 1992 წლიდან—უმძიმეს გასაჭირშია ჩავარდნილი!!! მათთვის აღარ არსებობს სამსახურები და აღარვითარი საარსებო საშუალება! შიმშილისაგან იხოცებიან, სხვის ქვეყნებში გარბიან ლუკმა—პურის ფულის საშოვნელად! ნუთუ თქვენთვის ნელი იყო თბილისში უფასო საავადმყოფოს გახსნა? — სადაც მთელი საქართველოდან ჩამოვიდოდა გაჭირვებული ქართველი ხალხი და მიიღებდა ექიმის რჩევას, შეეძლებოდა საავადმყოფოში დაწოლა და თქვენი მადლით გაიკეთებდა იმ გადაუდებელ ოპერაციას, რომელიც სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა! იმკურნალებდა და დაგლოცავდათ. აგერ ახლახან 29 წლის ქართველი ყმაწვილი დაიღუპა, პატრონმა დროზე ვერ შეაგროვა ფული, ექიმმა კი ოპერაცია არ გააკეთა ფულის გარეშე. ან კიდევ რა არის იმაზე მადლიანი საქმე, ვიდრე სათნოების სახლის გახსნაა? სადაც გაჭირვებული ადამიანი თუნდაც დღეში ერთხელ ისადილებს და უსახლკარო ოჯახები იცხოვრებენ კიდეც? ამ საშინელმა დრომ ხომ არა მარტო საკუთარი ლტოლვილები, არამედ ნახევარი საქართველოც უსახლკარო და მიუსაფარი დასტოვა? ყველა ქვეყანაშია უფასო, მუნიციპალური წითელი ჯვრის საავადმყოფოები და უსახლკაროთა თავშესაფრები, ჩვენთან კი არა! რატომ? ბატონო ბიძინა დღეს არაფერში სჭირდება ქართველ კაცს თეატრის, ოპერის ძვირადღირებული რემონტები, რომელზეც თქვენ უამრავ ფულს ხარჯავთ! შეიძლება ამაზე ბევრი შემომედავოს, მაგრამ... როცა ადამიანს, მარტივად რომ ვთქვათ ნებისმიერ ჩვენგანს შიმშილით კუჭი უხმება და წამლის ფული არა აქვს და ზამთარში სიცივით იყინება (ექიმი ხომ ზედმეტი ფუფუნებაა!) რაში სჭირდება თქვენი თეატრი და ოპერა? დამერწმუნეთ ასეთ მდგომარეობაში ვართ ჩვენ, ქართული საზოგადოების 80%! თეატრი და ოპერა ვერ გადაარჩენს ერს გენეტიკურად. თეატრი და ოპერა ფუფუნებაა — მდიდარი ქვეყნისთვის დამახასიათებელი ფუფუნება, სახელისუფლო ეშელონებისთვის განკუთვნილი! ჩვენ კი! დღეს უღატაკესი ერი ვართ, გადაშენებისთვის განწირულნი! ეს სიმართლეა და ნუ გავექცევით მწარე სიმართლეს! ნურც ქვას მესვრიან სიმართლის თქმისთვის!

მე იმ თაობას არ ვეკუთვნი, რომელიც სტალინის დროს ცხოვრობდა, მაგრამ... გავაცნობიერე ის ფაქტი, თუ რატომ უფარდა სტალინი ხალხს! მას ხალხის ესმოდა, მისი ტკივილი ტკიოდა ბატონო ჩემო! საოცარი სახელმწიფო შეუქმნა საბჭოეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე მოსახლე ერებს! არ იყო არც სოციალური, არც ეროვნული ჩაგვრა! ყველას ჰქონდა სამუშაო ადგილი, ჯანმრთელობის დაცვა იყო უფასო, განათლება უფასო! გაზის და შუქის გადასახადი მიზერული, წყალზე მგონი საერთოდ არ იყო გადასახადი, ქვეყანაში არ იყვნენ მშივრები, არ იყვნენ სიკვდილს მონატრული მოხუცები და ქუჩაში მიტოვებული უპატრონო ბავშვები. ყველას ჰქონდა სახლი და კარი! სითბო ზამთარში და ცხელი წყალი სისუფთავისთვის! და ეს ყველაფერი დღევანდელი გადასახედიდან ნამდვილად არ იყო ცოტა და არ იყო სიზმარი! იყო სინამდვილე! და ეს ყველაფერი სტალინის იმ ეკონომიკური დოქტრინის წყალობა გახლდათ, რომელსაც დღეს არ ღალატობს ჩინეთი და ჩრდილოეთ კორეა, რადგან ესმით, სხვაგვარად ქვეყანა და ქვეყნები დაიღუპება! ისინი მოექცევიან ერთი მუჭა გაუმაძღარი ადამიანი—ცხოველების ხელში!

საშინელი ცოდვა ტრიალებს დედამიწაზე! სისხლისღვრა არ წყდება. რატომ? იმიტომ, რომ შტატებს სურთ თავიანთი მსოფლიო წესრიგი დაამყარონ ყველგან. ვინც შეეწინააღმდეგება, სასტიკად ისჯება და ჩვენ ეს კარგად დავინახეთ ამ ბოლო წლების განძილზე. ახლა რიგში ირანი დგას! შემდეგ ალბათ კორეა და ჩინეთი, როგორც მაკ—კეინმა განაცხადა! ჩვენი პაწაწინა ქვეყანა და ჩვენი ხალხი შუაშია გამომწყდეული. ამ პირობებში გადარჩება საქართველო? საკითხავი აი ეს არის!

დამერწმუნეთ, ბატონო ბიძინა! არაფერში სჭირდება ქართველ ხალხს საახალწლო კარნავალები. ჩვენი ყოფილი ხელისუფალნი შოუების მოწყობის დიდოსტატები არიან, მათ ნამდვილად არ ანაღველებდათ იარსებებს თუ არა ხვალ ან ზეგ ქვეყანა საქართველო და ხალხი — ქართული გენით, რადგან საკუთარ ქვეყანაში დემოგრაფიულ უმცირესობაში ვართ უკვე! რადგან ვეღარ მრავლდება ჩვენი ხალხი და უმოწყალოდ წყდება შიმშილისაგან და სიცივისაგან! სასაცილო, და

სამარცხვინოა 60 ლარიანი სოციალური დახმარება! რადგან მათი, ე.ი. ჩვენი ყოფა აქედანაც ჩანს, რომ არავის ანაღვლებს. სასაცილოა ის ფაქტიც, რომ ტელევიზორის ჩართვისთანავე ქვეყნისთვის გაწეული საქმით თავს იწონებს ხილისუფლება! დამიჯერეთ, ხალხისთვის გაკეთებული ყველაზე დიდი საქმე მისი ფიზიკური გადარჩენაა, საარსებო საშუალებით უზრუნველყოფაა, 150 ლარიანი პენსიით დღეს იცხოვრებს ადამიანი? აბა დაფიქრდით, ეს ხომ სამარცხვინოა! სასაცილოა ის ფაქტიც, რომ საპენსიო ასაკი გაადიდეს! ,,ის ავადსახსენებელი კომუნისტები'' ეტყობა უფრო მეტად ზრუნავდნენ ხალხზე!!!! და ეს ფაქტი ნურავის დარჩება საწყენად.

საქართველოს ძველმა ხელისუფლებამ მართლაც შექმნა უახლესი ისტორია, რომელსაც დაცემული ერის ისტორია ჰქვია, ეს კი ნიშნავს იმ ხელისუფლების შეფასებას, რომელიც თავის საკუთარ მოსახლეობას ვერ ინარჩუნებს. არ უქმნის პირობებს, რომ დამაგრდნენ საკუთარ ქვეყანაში! გასულ საუკუნეში სარაჯიშვილმა და ზუბალაშვილებმა და სხვებმა ვერ შეამჩნიეს ილიას გაჭირვება, კაპიკებით რომ აგროვებდა ივერიის გამოსაცემ ფულს, ვერც აკაკი შეამჩნიეს, მშიერ—მწყურვალი რომ დადიოდა კარდაკარ თბილისში, რადგან არც სახლი ჰქონდა, არც საკუთარი თავის შესანახი ფული, ვერც ვაჟა—ფშაველა გაიგეს ვინ იყო და ისე გარდაიცვალა ეს უდიდესი პოეტი, არც საჭმელი ჰქონდა და არც წამალი თავის დროზე! არც ყაზბეგს იცნობდნენ, რომელიც სულით ავადმყოფთა თავშესაფარში გარდაიცვალა, რადგან გაჭირვებამ შეშალა ჭკუიდან! და ვინ იცის, კიდევ რამდენი დიდებული ქართველი შეეწირა უსახსრობას!

დღესაც გვყავს ჩვენ ნიჭიერი ქართველები, მაგრამ დღესაც არავინ ამჩნევს მათ! რადგან... ჩვენ არა გვყავს ნამდვილი ქველმოქმედები... სტალინი და მისი სოციალური პოლიტიკა კი მწარედ გასახსენებელი ტკბილი წარსულია, როცა მართლაც ჰყვაოდა ცხოვრება და ხელოვნება, ლიტერატურა! ყველას შეეძლო ევლო თეატრში, ოპერაში. ხრუშჩოვიდან მოყოლებული ყველამ ყველაფერი გააკეთა, რომ მისი აშენებული ქვეყანა დაენგრიათ... და ძირშივე მოესპოთ ყოველივე!

ბატონო ბიძინა! თქვენ წლების მანძილზე აფინანსებდით და ახლაც აფინანსებთ ვითომცდა ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს... რატომ? სხვებმა რა დაგიშავეს? შეუძლებელია დედამ შვილები განასხვავოს ერთმანეთისგან! დამიჯერეთ, მათ არაფერი ღირებული და განსაკუთრებული არ შეუქმნიათ ერის ისტორისთვის, ქვეყნისთვის, პირიქით მათი უშუალო ძალისხმევით დაამხეს პირველი ეროვნული მთავრობა და მათი სახელები სისხლით ჩაიწერება ქართველი ხალხის ისტორიაში- მათივე ხელშეწყობით მოხდა ქართველთა არნახული ხოცვა—ჟლეტა და გენოციდი 5—ჯერ სამეგრელოში და ასევე მთელ საქართველოში 7 წლის მანძილზე! სამოქალაქო ომში 30000 ყმაწვილი გაწყდა... გასამრავლებელი 30000 ქართველი ყმაწვილი! ზვიადისტობის საბაბით ადგილზე კლავდნენ მათ და ამ საქმეში ამ ფსევდო ინტელიგენციას, რომელსაც თქვენ გულუხვად აფინანსებთ, ლომის წილი მიუძღვის! დიახ! მათი საქმიანობა კარგად გამოაჩინა ამ ოცმა წელმა! ამ საშინელმა ოცმა წელმა, რამაც საქართველო, ე.ი. თქვენი სამშობლო, რომელიც ასე)ალიან გიყვართ წელში გატეხა!

როცა შეძლებულს აძლევთ და პირიქით, არ განიკითხავთ მშიერს, ეს მადლი არ არის და ეს თქვენ კარგად იცით! სასაცილოა, რად უნდა თქვენი დახმარება მათ? მათ ხომ ისედაც აქვთ სოლიდური შემოსავალი და ფუფუნებით ცხორვრებასაც ახერხებენ? მაშინ როცა ქართველების 80% — სიღატაკისგან სულს ღაფავს!

თუ თქვენ გინდათ თქვენი ჯიშის ხალხის ფიზიკური გადარჩენა, შეუმცირეთ პენსიების მიცემა ამ ხალხს და გაუნაწილეთ იგი სხვებს, გაჭირვებულებს, უმუშევრებს, ავადმყოფებს, მრავალშვილიანებს... დააწესეთ განსაკუთრებული თანხა ყოველ ახალდაბადებულ ქართველ ბავშვზე. შექმენით უფასო საავადმყოფო! უფასო პოლიკლინიკა! უფასო თავშესაფარი უსახლკაროებისთვის! უფასო საათნოების სახლი გაღატაკებული ქართველებისთვის, სადაც იცხოვრებს და გამოიკვებება თქვენი ჯიშისა და ჯილაგის 80% — მაინც, ის 80%—რომელიც უშურველად შექმნის თავიანთი სამშობლოს ისტორიას და არ დაემსგავსება იმ მედროვეებს, რომლებიც სამშობლოს ბედიღბალს სარფიანად ყიდდა ყოველ დროში! შექმენით უფასო უმაღლესი სასწავლებელი, სადაც გაჭირვებული ქართველები ისწავლიან! შექმენით მწერალთა და ჟურნალისტთა, მხატვართა და კომპოზიტორთა სახლები, სადაც მათ ექნებათ უფასო საკვები და მიზერული ხელფასები თავიანთი ხელოვნება რომ განავითარონ, დიახ! სტალინის სოციალურმა პოლიტიკამ შექმნა ის გასაოცარი ლიტერატურა და ხელოვნება, რომელსაც მეოცე საუკუნის ლიტერატურა და ხელოვნება ჰქვია! ნამდვილად დიდი ლიტერატურა და ხელოვნება, ბატონო ბიძინა! დღეს კი... იცოდეთ, კაცი, რომელიც შვილების გამოკვებაზე ფიქრით იჭყლეტს ტვინს, ის ღირებულს ვერაფერს შექმნის ვერც ლიტერატურაში, ვერც ხელოვნებაში.

გლოცავთ და მოგიწოდებთ, უფლის მადლით გაეცით, რათა მიიღოთ, დააპურეთ მშიერი, გაათბეთ შეციებული, გაუჩინეთ ბინა უსახლკაროს, რათა. უფალმა ასწილ მოგიზღოთ სიკეთე, დაგაპუროთ, გაგათბოთ და დოვლათი არ მოაკლოს თქვენს სახლს, თქვენს ოჯახს, თქვენს შთამომავლობას! იდღეგარძელეთ მრავალჟამიერ თქვენი ხალხის გადასარჩენად!

"თავისუფალი ჟურნალისტები"

P.S. ბატონო ბიძინა!

საქართველოში მალე დემოგრაფიულ უმცირესობაში იქნება ქართველი ხალხი! ე.ი. თავის საკუთარ ქვეყანაში ქართული ეთნოსის წილი უმცირესობაში იქნება! ქართველი ხალხის სახელით, იხმარეთ ყველა ზომა, რომ ქართველი ახალგაზრდები დამაგრდნენ თავიანთ ქვეყანაში! თუნდაც სამთავრობო დონეზე გაუჩინეთ მათ საარსებო სახსარი, რომ შექმნან ოჯახები და გააჩინონ შვილები! ქართველ ბიზნესმენებთან ერთად გთხოვთ, რომ შექმნათ ''ქართველი ხალხის გადარჩენის ფონდი'', რომელიც ახალგაზრდა წყვილს უზრუნველყოფს ბინითა და საარსებო საშუალებით!!! იხსენით ქართველი ხალხი გადაშენებისგან ღვთის მადლით!!!

პატრიარქის საშობაო ეპისტოლე

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო საერო დასნო, - მკვიდრნო საქართველოისა და დროებით ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო ძვირფასო თანამემამულენო!

„ნუ გეშინიათ, აჰა, მე გახარებთ დიდ სიხარულს, რომლითაც იხარებს მთელი ხალხი. რადგან დღეს, დავითის ქალაქში, დაიბადა თქვენი მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი" (ლუკა 2,10-11).

2014-ედ ეუწყება ახლა მსოფლიოს ეს საოცარი ამბავი და ეფინება უფლის უსხეულო ძალთა საგალობელი: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზედა მშვიდობა, და კაცთა შორის სათნოება" (ლუკა 2,14). ანგელოზთა დასი, მწყემსები, მოგვები და, მათთან ერთად, ჩვენც მადლიერებითა და მოკრძალებით კვლავ წარმოვთქვამთ ღმერთთან შერიგების, მშვიდობისა და ბედნიერების მომტან ამ დიდებულ სიტყვებს.

რამდენი ხანი ელოდა ამ ზეიმს ადამის მოდგმა? რამდენი საუკუნე გაილია ამ ჟამზე ნატვრით? რამდენი წმინდა და ღვთისსათნო ადამიანი ლოცულობდა ამ დღისათვის?

ადამიდან მამამთავარ აბრაამამდე 20 თაობამ განვლო, აბრაამიდან დავითამდე - 14-მა, დავითიდან ბაბილონის ტყვეობამდეც - 14-მა, ბაბილონის ტყვეობიდან ვიდრე ქრისტემდე, - კიდევ თოთხმეტმა და მხოლოდ ამ დროის გასვლის შემდეგ, ცოდვით დაცემული ევას ნაცვლად, აღმობრწყინდა წმინდა ქალწული, ღვთისმშობელი მარიამი, - სასძლო უფლისა.

ბედნიერია საქართველო, რომ ქრისტეშობის სიხარული პირველი საუკუნიდანვე ეუწყა მოციქულთაგან და ამ დროიდანვე გახდა იგი ღვთისმშობლის წილხვედრი. ეს უდიდესი პასუხისმგებლობაცაა. ამიტომაც სწორი წარმოდგენა უნდა გვქონდეს იმ პროცესებზე, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში და, საერთოდ, მსოფლიოში მიმდინარეობს, რათა პასუხი გავცეთ მათ და შევინარჩუნოთ წინაპრების თავგანწირვის ფასად დღემდე მოტანილი ჩვენი მეობა.

ყველა დროში ქრისტიანობას თავისი გამოწვევები ქონდა, მაგრამ თანამედროვე პოსტმოდერნისტული ეპოქა გამორჩეულია მეგა-გამოწვევებით.

პოსტმოდერნიზმის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სინამდვილის ხედვა, რომელიც ამა თუ იმ რელიგიურ მიმდინარეობას ეყრდნობა, არასწორადაა მიჩნეული, რადგან, მათი გაგებით, ცდება ყველა, ვინც აცხადებს, რომ ჭეშმარიტება იცის. თვით ათეისტებიც ცდებიან, რადგან ამტკიცებენ რაღაცას, მაგალითად, უღმერთოებას. მართალია მხოლოდ ის, ვინც არავის განსჯის.

ასეთი აზროვნებისათვის, სწორი და არასწორი აღარ არსებობს. გვაქვს უბრალოდ სისტემა, რომლისთვისაც მნიშვნელოვანი ის კი არ არის, მართალია თუ არა ესა თუ ის პრინციპი, არამედ ის, თუ რამდენად მუშაობს და რამდენად სარგებლიანია იგი დღეს.

ამ სისტემაში მიჩნეულია, რომ თვითონ ადამიანია ყველაფრის განმსაზღვრელი და რაც მას მოესურვება, ისაა კარგი. ამიტომაც პიროვნების გამოსწორება კი არ არის საჭირო, არამედ მისი აზროვნების შეცვლაა მისაღწევი. მაგალითად, თუ ვინმეს ჭუჭყიანი სამოსი აცვია, და იგი ჩათვლის, რომ მისი ტანსაცმელი სუფთაა და ამას თვითონაც დაიჯერებს, ის მართალი იქნება. მნიშვნელობა არა აქვს, სხვაც ასე ფიქრობს თუ არა.

თუ ვიღაც მიიჩნევს, რომ ნაძვი მარადყვითელი მცენარეა, სხვა კი ამბობს, რომ იგი იასამნისფერია, სწორი იქნება ორივე და მცდარია იმის მტკიცება, თითქოს, ნაძვი მხოლოდ მარადმწვანეა.

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ დედამიწას, ზოგადად სამყაროს, აქვს კანონები და ეს არის რეალობა. თანამედროვე აზროვნება კი გვეუბნება, რომ საერთო მოცემულობა არ არსებობს და რომ ეს ჩვენი მოგონილია. ამდენად, შეგიძლია, შენი სურვილისამებრ, ნებისმიერი მოვლენა აღიარო, ან არ აღიარო, მიიჩნიო არსებულად, ან არარსებულად.

ტაბუ უნდა აეხსნას ყველაფერს!

უნდა განვდევნოთ წარსულის ზნეობრივი შეზღუდვები, ყველაფერი კარგია, რაც მე მინდა და მსიამოვნებს! ოღონდ შეფასებებისას ერთი აუცილებელი წესი უნდა იქნეს დაცული, - სხვისი, განსაკუთრებით უმცირესობის, უფლებები არ უნდა დაირღვეს! ეს კანონია.

შედეგად კი ვიღებთ იმას, რომ იკარგება ზღვარი კარგსა და ცუდ საქციელს, სიმართლესა და სიცრუეს შორის. სიმართლე არის ის, რასაც მე მივიჩნევ სიმართლედ და მორჩა! შენ შენი სიმართლე გაქვს? დაიცავი შენი სიმართლე, მე ჩემსას დავიცავ. მე შენს უფლებებს არ შევლახავ, შენც ჩემი უფლებები არ შელახო.

დაახლოებით ასეთია ის აზროვნება, რომელის დამკვიდრების მცდელობაც არის დღეს.

არჩევანის თავისუფლებას და პიროვნებაზე ძალადობრივი ქმედების მიუღებლობას ქრისტიანობაც ქადაგებს. არჩევანის თავისუფლება უფლისაგან ადამიანისათვის ბოძებული ერთ-ერთი უმთავრესი მადლია, მაგრამ ქრისტიანულ მოძღვრებასა და ფსევდო-ლიბერალების მიერ შემოთავაზებული „თავისუფლებას" შორის ფუნდამენტური სხვაობაა.

ფსევდო-ლიბერალური „არჩევანის თავისუფლება" ასარჩევ მოცემულობათა თანაბარ ღირებულებებს გულისხმობს და ყველაფერს თანაბრად კარგად მიიჩნევს.

ქრისტიანობა (ზოგადად, რელიგიური აზროვნება) კი გვასწავლის, რა არის კარგი და რა - მიუღებელი, რა არის ცოდვა და რა - მადლი, მაგრამ არჩევის უფლებას პიროვნებას უტოვებს. ქრისტიანული პრინციპია: მე პატივს ვცემ შენი არჩევანის უფლებას, მაგრამ არა შენს ნებისმიერ არჩევანს; ყველაფერი ნებადართულია, მაგრამ ყველაფერი როდია სარგო (Iკორ.10;23).

ისედაც ხომ ცხადია, არჩევანის თავისუფლება მაშინაა ღირებული, როდესაც მას ერთმანეთისაგან განსხვავებულ ფასეულობებს შორის აკეთებ, თორემ თუ ყველაფერი სულ ერთია, არჩევანსაც აზრი ეკარგება.

ყოველივეს თავი და თავი კი ის არის, რომ სეკულარულმა იდეოლოგიამ პიროვნება ღმერთისაგან დამოუკიდებელ არსებად წარმოაჩინა, კვარცხლბეკზე ცოდვით დამძიმებული ადამიანი დააყენა და ყველაფერი მის ინსტიქტებს დაუქვემდებარა, რითაც მდაბალი ვნებითი მიდრეკილებების ლეგიტიმაცია მოინდომა, მორალური და სულიერი ორიენტირები დაუკარგა და ეს ინდივიდუალიზმის საბაბით გაამართლა.

ესაა ყველა მიმართულებით გაშლილი ბრძოლა ტრადიციული შეხედულებების, აღზრდისა და ზნეობის წინააღმდეგ.

დიდად სამწუხაროა, რომ უმცირესობათა ჯგუფები, რომლებიც ქრისტიანობისთვის მკვეთრად უარყოფითი იდეებით გამოირჩევიან, ჰუმანიზმის აღიარებულ წარმომადგენლებად სახელდებიან. მათ აქვთ პრივილეგიები, რეკლამა, მათზე მუშაობს მასმედია, დაცულნი არიან სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ; მათი მიზნების განხორციელებისათვის ხდება კანონმდებლობების შეცვლაც და სხვა; ხოლო ვინც ეწინააღმდეგება ამ პროცესებს, განსაკუთრებით ეკლესია, დისკრეტიდირების ნიავღარში ექცევა, საზოგადოებაში კი მთავარი დარტყმის ობიექტი ოჯახია.

ეს პროცესები მეტნაკლებად ჩვენს ქვეყანაშიც მიმდინარეობს და სწორედ ამიტომ ვამახვილებთ ამ თემებზე ყურადღებას.

კრიზისის მთავარ გამოვლინებას სექსუალური უმცირესობების ურთიერთობების ქალისა და მამაკაცის ქორწინებასთან გათანაბრების და ერთსქესიანი წყვილებისათვის ბავშვის შვილად აყვანის უფლების მინიჭების საშიშროება წარმოადგენს. ასეთი კანონი ქორწინების მთელ აზრს აუკუღმართებს და ბავშვსაც, ფაქტიურად, ნივთად აქცევს, რომლის ფლობაც ყველას შეუძლია.

საქართველო თავისი განვითარებით, კულტურით ქრისტიანული ევროპის ნაწილია და ამიტომაც, მისკენ ლტოლვა ჩვენს ხალხში ნამდვილად არის. მაგრამ, ამ და ზემოთ აღნიშნულ ფუნდამენტურ საკითხებთან მიმართებაში, ევროგაერთიანებამ, ევროპარლამენტმა უნდა გაითვალისწინონ ცალკეული ქვეყნების ტრადიცია და აზროვნების წესი და მისცენ მათ საშუალება თავისუფალი არჩევანისა, რათა ადგილობრივმა მოსახლეობამ გულწრფელად მოინდომოს თანამედროვე ევროპულ კულტურასთან დაკავშირება.

საქართველოს ეკლესია მიესალმება ევროკავშირის პოზიციას იმის შესახებ, რომ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება არ წარმოადგენს ევროკავშირის სრულუფლებიან წევრად ჩვენი ქვეყნის გახდომის წინაპირობას, რაც ევროკავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის, ბატონ ფილიპ დიმიტროვის 2013 წლის დეკემბრის თვის განცხადებაში დაფიქსირდა.

ზოგადად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთი პიროვნებები დახმარებას და თანადგომას საჭიროებენ, რათა მათ დაძლიონ ცოდვითი მიდრეკილებები და სწორი ცხოვრების გზას დაუბრუნდნენ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მხარი დავუჭიროთ მათი ცოდვის პროპაგანდას.

საერთოდ, ოჯახი არის ერის, სახელმწიფოს, საზოგადოების მთავარი ქვაკუთხედი. იგი პატარა სახელმწიფოა, ქრისტიანული გაგებით კი - „მცირე ეკლესია."

ქრისტიანობა ქორწინებას ერთ-ერთ საიდუმლოდ მიიჩნევს. ეს არის საიდუმლო არა მხოლოდ ადამიანური, არამედ ღვთიური სიყვარულისაც. ოჯახური ცხოვრება ქრისტიანული ღვაწლია, გზაა სულის ხსნისა, რადგან იგი გულისხმობს არა მარტო ერთად ცხოვრებას, არამედ ერთმანეთისათვის ცხოვრებას.

ბიბლია გვასწავლის, რომ ოჯახის უფალი არის ღმერთი, რომელმაც ადამისა და ევას სახით მთელი კაცობრიობა შექმნა. ამდენად, ყველა ადამიანის მამა, ამ სიტყვის ყველაზე სრული და აბსოლიტური მნიშვნელობით, არის თვით შემოქმედი.

ჭეშმარიტი ქრისტიანული ოჯახისთვის მარტო სიყვარული და ერთმანეთისაკენ სწრაფვა არ არის საკმარისი. ოჯახი მოწოდებულია იქცეს „მცირე ეკლესიად," მარადიული სიყვარულის ცოცხალ ხატად, რომელშიც ღვთის მცნებებს იცავენ და თაობიდან თაობას გადასცემენ.

შეგახსენებთ მოსე წინასწარმეტყველის ყველაზე მთავარ მიმართვას ხალხისადმი: „ისმინე, ისრაელო! და ეცადე შეასრულო, რომ კარგად იყო და დიდად იმრავლო ქვეყანაში, ... ისმინე, ისრაელო, ერთია უფალი, უფალი, ჩვენი ღმერთი.

გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი მთელი შენი გულით და სულით, მთელი შენი შეძლებით.

გულში გქონდეს ეს სიტყვები, ... ჩააგონებდე შენს შვილებს და უთხრობდე სახლში ჯდომისას, გზაზე სიარულისას, დაწოლისას და ადგომისას. შეიბი ნიშნად ხელზე და ტვიფრად შუბლზე. წააწერე შენი სახლის წირთხლებს და კარებს" (II რჯ., 6, 3-9).

ეს დარიგება ახალ აღთქმაშიც ყველაზე მთავარ მცნებად იქნა გაცხადებული იესო ქრისტეს მიერ, რომელსაც დაამატა: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი" (მთ., 19,19).

ოჯახში მეუღლეები ერთმანეთს სიყვარულით უნდა ემსახურონ, თუმცა იერარქია ყოველთვის უნდა იყოს დაცული.

ის, რომ მამაკაცი თავია ოჯახისა, არ ნიშნავს მის ბატონობას, არამედ მის მსხვერპლშეწირულ მსახურებას, მის პასუხისმგებლობას ცოლისა და შვილებისადმი. იგია მათი დამცველი, მომპოვებელი არსობის პურისა და ამასთან, ღვთისმმსახური თავისი სახლისა. მან უნდა გამოითხოვოს უფლისაგან წყალობა, სიყვარული და მადლი ოჯახის წევრებისათვის.

ქალი პასუხისმგებელია სახლზე, მისი წევრებისათვის ზრუნვაზე, შვილების აღზრდაზე. იგი ღვთის მცნებების გათვალისწინებით უნდა დაემორჩილოს ქმარს, თუნდაც, რომ ერთი შეხედვით ამის განხორციელება შეუძლებელი იყოს, რადგან ამით აღასრულებს უფლის ნებას (თუმცა ეს არ ნიშნავს ცოდვასა და არასწორ ქმედებებში მორჩილებას).

ქრისტიანულ ოჯახში, რა თქმა უნდა, თავს იჩენს არაერთი განსაცდელი, რაც ურთიერთსიყვარულით უნდა დაიძლიოს. და თუ ეს ასე არ ხდება, იქ არც არის ნამდვილი ოჯახი.

ქრისტიანული ოჯახი უფლის სავანეა, უფლის ბაღია, რომელშიც ცოლსაც და ქმარსაც დაედგინათ მუშაკობა ღვთის სადიდებელად.

როგორი ამაღლებულია ეს ყველაფერი, როგორი სათუთია და გასაფრთხილებელი! ჩვენი ახალგაზრდები კი, სამწუხაროდ, მოუმზადებელნი ხვდებიან ამ უდიდეს საიდუმლოს.

თანამედროვე მსოფლიოში ოჯახურ ფასეულობებს ენაცვლება მხარეთა მერკანტიული ინტერესები. ე.წ. პარტნიორული ურთიერთობები, რომელსაც თან სდევს გარეშე თანაცხოვრების სხვადასხვა ფორმები. მეცნიერულ-ტექნიკურმა წინსვლამ კი ისეთი მძიმე ეთიკური საკითხები დააყენა დღის წესრიგში, როგორიც მანმადე არ სმენოდა კაცობრიობას: ხელოვნური განაყოფიერება, სინჯარაში ჩასახული ბავშვები, სუროგატი დედები, გენების შერწყმა, კლონირება და ა.შ.. "ჰუმანისტები" მხარს უჭერენ აბორტს, ევთანაზიასა და თვითმკვლელობას.

ამასთან, მათთვის მეცნიერული პროგრესი აბსოლუტიზირებულია და მიიჩნევენ, რომ რისი გაკეთებაც შესაძლებელია, უნდა გაკეთდეს. ეს ეთიკური სოფიზმია, რადგან ის, რაც ტექნოლოგიურად მიღწევადია, ყველაფერი როდია მორალური და სასარგებლო.

მიზანი ამართლებს საშუალებას, - ესეც მათი ცხოვრების წესია და ესეც სოფიზმია, რადგან არც ყველა მიზანია კარგი და არც ყველა საშუალებაა მისაღები, თუნდაც კარგი მიზნისათვის.

მაგალითად, ფაშისტებს ქონდათ ებრაელების განადგურების სურვილი. განა ეს მიზანი შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს?! ანდა იმისთვის, რომ კაცობრიობის ჯანსაღი ნაწილი მეტად იყოს დაცული, ნუთუ შეიძლება ვინმემ გაამართლოს შიდსით დაავადებულთათვის სიცოცხლის მოსწრაფება?

განა შეიძლება ბედნიერი იყოს ის ოჯახი, სადაც აბორტი კეთდება და უსუსური პატარა არსების უღვთოდ დაჩეხილი სხეულების აჩრდილები დადიან? და როგორი საშინელებაა იმის წარმოდგენაც კი, რომ ყოველ წელს, არაოფიციალური მონაცემებით, მილიონამდე აბორტი კეთდება საქართველოში და ამის შემჩერებელი ჯერჯერობით არავინ არის.

შეიძლება ოჯახი იყოს ბედნიერი, სადაც სუროგატი დედის მიერ დაბადებული ბავშვი იზრდება? ეს პატარა ხომ თავიდანვე გაწირეს უსიყვარულობისათვის, მიუსაფრობისა და მარტოობისათვის. იგი კეთილდღეობაშიც რომ გაიზარდოს, მუცლადყოფნის პერიოდის ამ სიმძიმეს ვერაფერი შეცვლის და ეს, აუცილებლად, იჩენს თავს ზრდასრულ ასაკში.

პრობლემატურნი იქნებიან ის ბავშვებიც, რომლებიც ხელოვნური განაყოფიერებით დაიბადნენ და მათი სიცოცხლე მრავალი ემბრიონის განადგურების შედეგად განვითარდა.

ის, რომ კაცთა მოდგმას არ შეუქმნია ოკეანე, ხმელეთი, ციური სხეულები და ბალახიც კი (აღარაფერს ვამბობთ ადამიანზე), ცხადზე ცხადია. აქამდე მხოლოდ ბიოლოგიურად საინტერესო ქიმიკატები (მაგ. ამინომჟავები) მიიღეს, შეჯვარდა და შეარეთეს სიცოცხლის უკვე არსებული ფორმები და სხვა არაფერი.

ხოლო, თუ ჩვენ არ მოგვიტანია სიცოცხლე ამ წუთისოფელში, რა უფლება გვაქვს გვაქვს მოვინდომოთ ბატონობა მასზე? რატომ ვისაკუთრებთ მას, რაც ჩვენი არ არის?

ფაქტია ისიც, რომ მიუხედავად მეცნიერულ-ტექნიკური დიდი წინსვლისა, არ შეგვიძლია თავი დავაღწიოთ სიკვდილს. რატომ? ჩვენ ხომ ყოვლისშემძლენი ვართ? სინამდვილე კი სხვა არის. უფალი ეუბნება მოსეს: „მე ვკლავ და მე ვაცოცხლებ" (II რჯ.32,39). იობის წიგნშიც იგივე აზრია: სიცოცხლე „უფალმა მომცა, უფალმა წაიღო"(იობი 1,21).

ამიტომ, არავითარი უფლება არა გვაქვს ხელვყოთ უფლის ეს წყალობა და ვინც ამას აკეთებს და არ შეინანებს, დაისჯება!

მიუხედავად უამრავი პრობლემისა, კარგი ოჯახები მაინც მრავლად არის საქართველოში, რაც ქვეყნის გადარჩენის გარანტიაა.

მე მინდა დავლოცო ჩვენს სამშობლოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ყველა ქართული ოჯახი, ასევე ვლოცავ ჩვენი ქვეყნის მკვიდრ სხვა ეროვნების წარმომადგენელთა ოჯახებსაც და ყველას გისურვებთ ღვთისსათნო გზით სვლას, უფლის შიშითა და სიყვარულით ცხოვრებას, რათა იხაროთ ორსავ სოფელსა შინა.

ამასთან, ვითვალისწინებთ რა იმ მართლმადიდებელი ადამიანების დამსახურებას, რომელთაც ბოლო 20 წლის მანძილზე, ეკონომიურად მძიმე მდგომარეობის მიუხედვად, ჩვენს სამწყსოს 4 და მეტი შვილი შესძინეს, მივიღეთ გადაწყვეტილება, ასეთი მშობლები და შვილები განსაკუთრებულად შევავედროთ უფალს და პატრიარქის სიგელით დავაჯილდოვოთ.

მრავალშვილიანობა უდიდესი სიკეთეა.

რომელი წარმავალი სიმდიდრე შეედრება დედმამიშვილების გვერდზე დგომასა და სიყვარულს, რაც ასე სჭირდება ადამიანს ჩვენს მეტად რთულ დროში. თვითონ მშობლებიც უდიდეს ენერგიას იღებენ მათგან, რადგან თითოეული შვილი ცალკე აღებული საოცარი სამყაროა.

მრავალშვილიანობა იმითაც არის ფრიად სასურველი, რომ ბავშვი პატარაობიდანვე სწავლობს ეგოიზმის დაძლევას, სხვაზე მზრუნველობას და მშობლებისგან მომდინარე სიყვარულის სხვისთვის განაწილებას.

ვისაც სამი და მეტი ბავშვი ჰყავს, კარგად იცის, ხშირად როგორ უჭირს პირველ შვილს ახლად დაბადებულ მეორე ჩვილთან შეგუება და სულ ეძებს დროს, რაიმეთი ავნოს მას; მესამე პატარის შემატებას პირველი უფრო ადვილად იტანს, მეორე კი უფრო მეტად განიცდის, მაგრამ ისე არა, როგორც პირველ შვილს უმძიმდა თავიდან, მეოთხე ბავშვის დაბადება უკვე აწონასწორებს ყველაფერს და ა.შ.

ანუ შვილთა სიმრავლე მათი სწორად აღზრდის ერთ-ერთი გარანტიაა, რადგან ასეთ გარემოში "მე"-ზე ორიენტირებული სულისკვეთება სიყვარულის გამრავლებითა და გაცემით იცვლება და თუ ამას სწორი აღზრდაც დაემატა, მივიღებთ იმ მდგომარეობას, რაზეც ბიბლია ბრძანებს: ქალი შვილთა სიმრავლით ცხონდებაო (I ტიმ. 2,15).

ამ საქმეში მთავარი როლი და პასუხისმგებლობა დედას ეკისრება. მიუხედავად იმისა, რომ გოგონები ხშირად ფსევდოკულტურითა და ცრუ თავისუფლებით არიან გატაცებულნი, როდესაც დედები ხდებიან, მათში სხვა გრძნობები იღვიძებს სხვა აზროვნება უყალიბდებათ, რადგან სწორედ ისინი ხდებიან სიყვარულით მსახურების მთავარი მომქმედნი და ეს იწვევს სწორედ შინაგან ფერიცვალებას.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მეუღლეებმა, რომელთაც საკუთარი შვილი არ ყავთ, ეს ტრაგედიად არ უნდა მიიჩნიონ; მთავარია მათი ერთად ცხოვრება სასუფევლის დამკვიდრებისთვის მომზადებად იქცეს.

სასურველია ბავშვის აყვანაც. ეს დიდი მადლია და ამ შემთხვევაში მათ ეკლესიაში საგანგებო ლოცვა ეკითხებათ.

* * *

ამქვეყნიური ჩვენი ყოფა დროებითია და მსწრაფლწარმავალი. დრო კი რომელშიც ვცხოვრობთ, წრიულია, განმეორებადი და, ამავე დროს, სწორხაზოვანი, - მიემართება დასაწყისიდან დასასრულისკენ. ამასთან, სხვადასხვა ქმნილებისათვის ყოფის ხანგრძლივობა სხვადასხვანაირია: ზოგისათვის - რამდენიმე საათი, ზოგისთვის - რამდენიმე დღე, სხვისთვის - წლები, საუკუნეები ან საერთოდაც ათასწლეულები.

სამყარო და დრო ერთდროულად გაჩნდა. აი, როგორ მიმართავს ნეტარი ავგუსტინე უფალს: „შენა ხარ დროის შემომქმედი; არ არსებობს დრო შენი თანამარადისი რომ იყოს, რადგან შენ წარუვალი ხარ, ხოლო დრო რომ წარუვალი იყოს, დროც აღარ იქნებოდა იგი."

სამოთხეში ყოფნის პერიოდს მამები „წმინდა დროდ" მოიხსენებენ. იგი სხვა სახისა იყო და იქ არც ადამი არც ევა არ ექვემდებარებოდნენ მის მდინარებას. ის დრო კი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, დადგა ცოდვით დაცემის შემდეგ.

პირველი ადამიანები, მოაკლდნენ რა "ცხოვრების ხის" ნაყოფს, - ანუ უფალთან ურთიერთობის შესაძლებლობას, დაკნინდნენ; მათი აზროვნების წესიც შეიცვალა და მიწიერი ყოფით შემოიფარგლა, თუმცა ლტოლვა სამოთხისა და ღვთისაკენ კვლავ დარჩათ. ამიტომაც ადამიანი გაორდა, გაორდა მისი ამქვეყნიური დროც: ლიტურგიკული დროით იგი კვლავ უკავშირდება ღმერთს, ხოლო ყოფითი დრო მოიცავს ცხოვრების იმ ნაწილს, რაზეც ბიბლიაში წერია: „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო არს" (ეკლ. 1,2).

დროის გაყოფა ყველაზე რეალური სახით მოხდა პირველი მსხვერპლშეწირვის შემდეგ, როდესაც კაენმა უფლის ძღვენი ამპარტავნების სულით გაიღო, ხოლო აბელმა - გულწრფელი, უშურველი სიყვარულით.

კაენის შური შუღლში გადაიზარდა, აბელის მოკვლით კი მასში მიწიერი და ეგოისტური სული იმდენად გაძლიერდა, რომ ღვთის პირისაგან თავისი ნებით საბოლოოდ მიეფარა და აღარ უნდოდა უფალთან ურთიერთობა; ამით დასრულდა მისი ლიტურგიკული დროც, რამაც მხოლოდ მიწიერი ყოფის სურვილი გაუღვივა და გამოიწვია სიკვდილისადმი ძრწოლა, ანუ შემოქმედთან შეხვედრის შიში. (ზოგადად ასეთივე დამოკიდებულება აქვთ იმ ადამიანებსაც, რომლებიც ღვთის საწინააღმდეგოდ ცხოვრობენ.)

აბელს კი, მართალია, ამქვეყნიური ყოფა წაერთვა, მაგრამ მისი ლიტურგიკული დრო მომავალი მარადიული ნეტარი ცხოვრების საწყისად იქცა. დედამიწაზე კი მისი გზა სეითმა და მისმა მოდგმამ გააგრძელეს.

რას ნიშნავს ჩვენთვის, ქრისტიანებისათვის, ლიტურგიკული დროით ცხოვრება?

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ კარგად დავუკვირდებით, წუთისოფელში აწმყო, ფაქტიურად, არ არსებობს; ის, რასაც აწმყოს ვარქმევთ, იმ წამსვე იქცევა წარსულად. ასე რომ, ჩვენ წარსულსა და მომავალს შორის ვიმყოფებით. მარადისობაში კი მუდმივი აწმყოა. იქ წარსული და მომავალი არ არსებობს.

და თუ გვსურს, სწორად ვიცხოვროთ, უნდა ვიცხოვროთ ისე, რომ ჩვენს წარმავალ დროში მარადიულობა შემოვიყვანოთ და დრო მოძრავ მარადისობად ვაქციოთ (წმ.იოანე დამასკელი).

ეს საიდუმლო ეკლესიაში აღესრულება. ამიტომაც კარგავს აქ დრო თავის ძირითად ფიზიკურ თვისებებს, - შეუქცევადობას და სწორხაზოვნობას, რაც საეკლესიო დღესასწაულთა განმეორადობით, წრიული მდინარებითა და მათი განმაახლებელი მოქმედებითაა განპირობებული.

ჩვენ აქ მუდმივად ვხდებით თანამონაწილე სამყაროს შექმნისა, მამამთავართა და წინასწარმეტყველთა ეპოქისა, მაცხოვრისა და მისი მოწაფეების და წმინდანების ცხოვრებისა, საერთოდ ადამიანისა და სამყაროს ხსნის შესახებ საღმრთო განგებულების ისტორიისა.

ყოველ დღეს თავისი დატვირთვა აქვს: კვირა საღვთისმსახურო ციკლის ცენტრს, - ქრისტეს აღდგომას წარმოადგენს. ორშაბათი, ზოგადად, ანგელოზთა დღეა, სამშაბათი - წმ. იოანე ნათლისმცემლისა, ოთხშაბათი - ჯვრის, ხუთშაბათი - წმ. ნიკოლოზის, პარასკევი - ჯვარცმის, შაბათი კი - ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და წმ. მოციქულების.

წლის ციკლის ფორმირებაც, პირველ რიგში, აღდგომას უკავშირდება და მას პასექის დღესასწაული განაპირობებს. ამასთან, არის უძრავი და მოძრავი უმნიშვნელოვანესი დღეები, რომლებიც უფლის, ღვთისმშობლის, ზეციურ ძალთა, მოციქულთა და წმინდანების სახელს უკავშირდება.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, გარდა ეკლესიური ცხოვრებისა, ლიტურგიკული დროით ცხოვრება ნიშნავს ყოველდღიური ყოფის ისე წარმართვას, რომ ადამიანის გული და გონება მუდმივად იყოს ღმერთთან კავშირში. ეს კი გულისხმობს გაცნობიერებას იმისას, რომ თუ არა უფლის შეწევნა, ჩვენ ვერ შევძლებდით ვერც სუნთქვას, ვერც სიარულს, ვერც აზროვნებას, და რაიმე საქმის გაკეთებას, გარშემომყოფთა და საერთოდ, სამყაროს აღქმას: ვერ მოვიპოვებდით საკვებს, ჩასაცმელს, საცხოვრისს, ვერ შევქმნიდით კულტურას, ვერც მეცნიერულ აღმოჩენებს გავაკეთებთ...

ანუ უნდა დავინახოთ, რომ ყოველივე უფლის ნებით მოგვეცა, რათა გარემო უკეთესი გავხადოთ, ღვთის მადლიერნი და მისი თანაშემომქმედნი გავხდეთ და არა მოწინააღმდეგენი. თუმცა არჩევანი ჩვენი გასაკეთებელია.

თუ, მაგალითად, შენ პედაგოგი ხარ და მოსწავლეებს ზრდი იმ სულისკვეთებით, რომ იყვნენ სამშობლოს ერთგული შვილები, უყვარდეთ ღმერთი და ერთმანეთი, საერთოდ, მოყვასი, ასწავლი შურის დაძლევას, წყენის დავიწყებას და ადვილად შერიგებას, განსაცდელში მყოფთადმი დახმარებას, უფროსებისადმი პატივისცემას, ბუნების, შრომის, წიგნების კითხვის, ღრმა აზროვნების სიყვარულს და შენც თუ ასევე ცხოვრობ, მაშინ შენი ამქვეყნიური ყოფა მარადიულობით არის განმსჭვალული, რადგან ეგოიზმისგან თავისუფალ ღვთისსათნო აზროვნებას ამკვიდრებ.

თუ შენ დამლაგებელი ხარ და ყოველდღე პატიოსნად და სიყვარულით აკეთებ შენს საქმეს, არ აგვიანებ სამსახურში, ეხმარები მოყვასს, ჰმადლობ ღმერთს არსობის პურისთვის, არ ივიწყებ სულიერ ცხოვრებას და უფლის მცნებებს, შინ და გარეთ კეთილი დამოკიდებულების დამკვიდრებას უწყობ ხელს, შენ ლიტურგიკული დროით ცხოვრობ.

თუ დიასახლისი ხარ და შვილებზე ზრუნვას გირჩევნია, სამსახური გქონდეს მხოლოდ იმიტომ, რომ უკეთესად გაერთო, თუ შენ არაფერს ერიდები, რათა კომფორტული ცხოვრება მოიწყო და არ გადარდებს ამისთვის სხვისი მსხვერპლად გაწირვა, თუ შენ აბორტით ან სხვა თანამედროვე საშუალებებით ახდენ ოჯახის დაგეგმარებას, ეგოისტურად ზრდი ბავშვებს, არ ასწავლი მათ მოწყალების გაცემას და გაჭირვებულისადმი თანადგომას, არ ასწავლი მეგობრობას, სიმართლის სიყვარულს, ერთგულებას, - კაენის სულს ვერ მოიცილებ და მისი ხვედრის თანაზიარი გახდები.

,,ურთიერთ სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი." ბრძანებს მოციქული (გალ.6,2). ფიზიკურ და მატერიალურ დახმარებასთან ერთად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ლოცვით შეწევნას და ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს.

მინდა შეგახსენოთ ანტონი სუროჟელის მიერ მოხმობილი ერთი ამბავი: ,,იყო ახალგაზრდა მოძღვარი, რომელსაც სხვისი ცოდვების დანახვის უნარი მიეცა და როცა ერთხელ მასთან მეტად მძიმე ცოდვებით სავსე ადამიანი მივიდა აღსარებისათვის, არ მიიღო. თუმცა მალე სინდისმა შეაწუხა და ამის შესახებ გამოცდილ ბერს უამბო. მან უსაყვედურა: როგორ გააბრუნე? ის ხომ სინანულით მოვიდა და შენ იყავი მისი ბოლო იმედი?

ახალგაზრდა მოძღვარი ისე შეწუხდა, ღმერთს სთხოვდა, ნათელხილვის უნარი აღარ ქონოდა. გულწრფელი სინანულისათვის უფალმა მას თანალმობის მადლი მიანიჭა. და აი, ერთხელაც, როცა მას მეტად მძიმე ხასიათის სახლის მეპატრონესთან მოუწია ღამის გათენება, იგი აღარ დაბრკოლდა მისი ცოდვების გამო, არამედ ერთ კუთხეში გულმხურვალედ დაიწყო ლოცვა მეპატრონესათვის და თან მის დანაშაულობებს ამბობდა.

მასპინძელი სასულიერო პირის ლოცვით დაინტერესდა და ჩუმად დაუგდო ყური. იგი გაოგნებული ისმენდა თავისი ცოდვების შესახებ ახალგაზრდა მოძღვრის ღვთისადმი ვედრებას და ამან იმდენად შეძრა, რომ იმ დღიდან სრულიად განსხვავებული ცხოვრება დაიწყო.

ასეთი მაგალითები მის ცხოვრებაში მრავლად იყო და როცა ეკითხებოდნენ, როგორ ახერხებდა ადამიანების მოქცევას, მოძღვარი პასუხობდა: ,,როდესაც ჩემთან მოდის ცოდვით დამძიმებული პიროვნება, რომელიც ვერ ხედავს თავის დანაშაულს და სინანული არა აქვს, ვცდილობ სულიერად მის შინაგან სამყაროს ჩავწვდე და იმ აზრით, რომ ჩვენ ვართ ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი ერთმანეთისა, ვიწყებ სინანულით ლოცვა-ვედრებას მისი და ჩემი, ანუ ჩვენი ცოდვებისათვის და ეს ადამიანიც, ღვთის მადლით, თანდათან იწყებს შემობრუნებას." ღმერთმა ჩვენც მოგვცეს ძალა ამგვარი წესით ცხოვრებისა. მე იმედი მაქვს, რომ, მიუხედავად ჩვენს წინაშე არსებული მრავალი დიდი პრობლემისა, საქართველო გაუძლებს დროის გამოცდას და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მეოხებით ღვთის მადიდებელი სული მუდამ იზეიმებს ჩვენს ქვეყანაში.

ქრისტეს ეკლესიის სამწყსოვ: დღეს "მოიწია დროის სისრულე, მოავლინა ღმერთმა თავისი ძე, ... რათა ჩვენც მიგვეღო ძეობა". ასე რომ მონანი კი აღარა ხართ, არამედ ძენი, ხოლო თუ ძენი ხარ, მემკვიდრეცა ხარ ღვთისა მიერ (გალ.4, 4-7).

მაშ, გიხაროდეთ, ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო: ქართველებო, აფხაზებო, ოსებო, ბერძნებო, რუსებო, იეზიდნო, უდინინნო, სომეხნო, აზერბაიჯანელნო ..., ყოველნო შვილნო საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიისა; გიხაროდეთ ყოველნო ღვთისმოყვარენო: ,,დღეს, დავითის ქალაქში, დაიბადა თქვენი მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი" (ლუკა 2,11).

თქვენი ერთგულების ნიშნად ანთებული სანთლებით შეხვდით მას და იმედითა და სიყვარულით მიეგებეთ!

მარადის თქვენთვის მლოცველი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

ქრისტეს შობა 2013-2014 წელი

ინტერვიუ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრთან ბატონ **დავით დარახველიძესთან**

რა კრიტერიუმებით განისაზღვრება ქართული დემოკრატია?

ქჯეფანაში სადაც ბორიგენ მოსახლეობას არა აქვს საარსებო საშუალება და ხელოვნურად შექმნილ სიდუხჭირეში ცხოვრობს, დემოკრატიაზე საუბარი სრულიად ზედმეტია, რადგან, მარტივად რომ აღვნიშნათ პლატონის ენაზე და პლატონის გაგებით დემოკრატია-ხალხის ხელისუფლებას, ე.ი ხალხისთვის მზრუნველ სახელმწიფოებრივ მმართველობას ნიშნავს, რაც ნაძღვლად არ შეუქმნიათ ქართული ხალხისთვის მოქალაქეთა კაშარს და არც მასზე ამოზრდილ ნაციონალებს.

ბატონმა დავით ბაქრაძემ ერთხელ ბრიფინგზე განაცხადა, რომ «8 წლის განმავლობაში ვაშენებდით ქართულ დემოკრატიას და ქართულ სახელმწიფოს»... და თურმე მათ, ე.ი. «ნაციონალებმა» შექმნეს ქართული სახელმწიფო არათერისგან»... რას ნიშნავს ეს სიტყვები? ქართული ხალხის კიდევ ერთხელ მოტყუების მცდელობას თუ ცინიზმის უმაღლეს ზომას? ქართველ ხალხს (დიახ, ამ შემთხვევაში ნაძღვლად ხალხს, ქართველ ხალხს ჯგულისხმობ და არა ხალხის ეს ერზე წურბელებოვით გამაძღარ ერთი მოქმა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს) ახლა კი არა, ათასწლეულების წინ ჰქონდათ იმ დროისათვის ცოცხლიზებული სახელმწიფებრიობა და სახელმწიფო ინსტიტუტები! ჩვენმა ხალხმა 40-30 საუკუნის წინაც კარგად იცოდნენ რას ნიშნავდა ხალხის ხელისუფლება და უფრო უკეთესად და უფრო ადრე იცოდნენ, ვიდრე იმ ქჯეფანაში, საიდანაც ეს ტერმინი «დემოკრატია» მოგვეწლინა. თუ პლატონის ებურ დემოკრატიანას დაუფქერთ მხარს – სიმშვიდე და წესრიგი არასოდეს ეღირსება ქართველ ხალხს და აქედან გამომდინარე მუდმივი «შეკარდნები» იქნება პარლამენტში, მუდმივი «განდეგნა» ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტისა (გამსახურდიას ჯგულისხმობ) და მუდმივი რეკოლუციები ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად და არა აქვს მნიშვნელობა ამ რეკოლუციებს ვარდების სახელით მოუნათლავთ თუ ნარინჯისფერებით, ან თუნდაც «არაბული გაზაფხულის» დაყარქმეთ! ისტორიაში ჩახედულმა ნებისმიერმა ქართველმა კარგად იცის, რომ იმ ქჯეფანაში, სადაც «დემოკრატიანას» თამაშობდნენ – ხალხს ყოველთვის აცდუებდნენ, საქეთო ტანტი ერთი მოქმა რეკოლუციონერი – შეთქმულების საქმიანობის შედეგად ხელიდან ხელში გადადიოდა. ფულზე იყიდებოდა რწმენა და ქჯეფანა და კიდევაც დაისაგნენ ამისთვის 1453 წელს! – დაკარგეს უმდიდრესი და უმშვენიერესი დედაქალაქი კონსტანტინოპოლი! ქართველმა ხალხმა კი გულით შეიყარა ღმერთი და საკუთარი საქეთო დინასტიები, რაც ცნობილია ჩვენთვის – ვგულერ აიტმისანნი, შემდეგ ფარნავაზიან-გორგასლიანნი და შემდეგ ამ დინასტიებზე ამოზრდილი ბაგრატოვანები! 1500 წელი გორგასლიან-ბაგრატოვანთა დინასტიასთან ერთად იარა ისტორიის სისხლიან ქარტენილებში. ქართველი ქეთენები არასოდეს ყოფილან პატიოქმოყარენი და ხალხისაგან გარიყულნი! მათი ერთგული დასაყრდენი ყოველთვის ხალხი იყო!.. თვით დიდი დაკითიც თაკისი ფენით დადიოდა ძიწისძირის შედეგად უსანლკაროდ დარჩენილთა თაკშესაფრებში და ქსენონებში და ყოველძრიკ ცდილობდა საქეთო სალარიოს ხარგზე უზრუნველყოფა თაკისი ხალხის სოციალური კეთილდღეობა. დიახ, საქეთო სალარიოს ხარგზე!!! რაც შეეხება ეთრგი ქყოფდიდელს, ამ უაღრესად წმინდა ბერს და ერთულ მოღვაწეს, – ორი დღე კერაში მთლიანად მძიმენილი ჰქონდა ხალხის საჩიჩრებისთვის... დიახ, სხვაგვარად ვერ იარსებებდა ჭეფანა საქართველო! ვერ იარსებებდა ქართველი ხალხი! ასე შენდებოდა ათასწლეულების მანძილზე ქართული სახელმწიფებრიობა და ნურაკინ შეიმოქმედოს იმაში, რომ ეგი

ყოველთვის აღგარებდა თავისი დროის უძაღლეს ცოცხალიზაციას! ასე, რომ ნაციონალებს არ შეუქმნიათ ქართული სახელმწიფო ებრიობა! პირიქით, მათ დაანგრიეს, დააქციეს, დათრგუნეს, შეურაცხყეს და გაადაგაკეს ქართული სახელმწიფო! ქართველი ხალხი თავის მაძა-პაპის ყველ მაძულში ძშიერ-ლტოლვილებად აქციეს, საკუთარ საძშობლოში დემოგრაფიულ უმცირესობაძდე დაიყვანეს! უძველესი კულტურის მატარებელ მართლმადიდებელ ჭეყანას ეკლესიები დაუნგრიეს, თელიპე მახარაძ-ქოტლეს კის შემოქმედება გაიხსენეს და განაცთარეს და ათასი ვეურის მასონები შემოესიეს ჭეყანას ხალხის სულიერად გასახრწნელად! და ეს ქმედება საპარლამენტო კანონმდებლობით უზრუნველყეს, ქართული ეკლესიის უფლებები თანტურად გაუთანაბრეს სექტებს, ტერიტორიები «გასაჩუქრეს» და წინასწარ დადგმული ოქის სცენარს დაუნაენტლად შეაწყვიტეს ქართველი ბიქების სიცოცხლე... სხვა სიბორიტე რაღა უნდა ჩადინათ? არის ამ პრობლემებზე უარესი კიდეე რაიმე? ქართველი ერი «დაცემული» ერად აქციეს! მათ შეიძლება არც იცათ რა არის «დაცემული» ერი! – როცა ხელის-უფლება ჯერ უზრუნველყოფეს თავის საკუთარ აბორიგენ მოსახლეობას საარსებო მინიმუმით (ე.ი. საძუშაო ადგილებით) და აქედან გამოძდინარე მოსახლეობა ემიგრაციაში გაედინება ნებაყოფლობით... ათასობით კი არაა... ასი ათასობით! 2-2,5 ძილიონი ქართველი წაოდა საქართველოდან უკანასკნელ 9 წელიწადში საზღვარგარეთის ქჟეყნებში ლუკმა-პურის საძიებლად!

იქნებ ამაზეც ჯინძე შემოქმედაყოს? ამიტომ დასდეს ბრალი ნაციონალებმა ახალი მთაყრობის მიერ დანიშნული ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს ბნ დაყით დარანჯელიძეს ქსენოფობიაში! შემზარაყი იყო ამ საკითხზე ბნი პაულე კუბლაშვილის ანალიზი, იმ კუბლაშვილის, რომელიც არაყითარ ნაციონალურს და ტრადიციულს, არაყითარ ქართულს არასოდეს არ ცნობდა ისე მიყოდა ნაციონალების მთაყრობაში, არასოდეს არ ანაოყლებდა გაქირეებული და გაადგაკებული, დამცირებული და დაუმსახურებლად შეურაცხყოფილი ქართველი ხალხის ბედი! და აი ასეთი აზროვნების, ძეონე ბიუჯეტის ხარჯზე გამდიდრებულმა ყოფილი ხელის-უფლების წარმომადგენლებმა და მათზე დაჭეიდებარებულმა ტენდენციებმა აურზაური აგეხეს და რასისტად და ლამის კუკლუს კლანის წევრად აქციეს ბატონი დარანჯელიძე მხოლოდ იმისთვის, რომ... გულწრფელად და გულანდილად გამოხატა თავისი ხალხის სიყარული! აუსიოძაა – ყისაც საკუთარი სისხლი და ხორცი არ უყვარს, ის ჯერც სხვას შეიყვარებს! სხვა რომ შეიყვარო, ჯერ სიყვარული უნდა ისწავლო, საკუთარი უნდა გიყვარდეს, საკუთარ ოჯახზე, საკუთარ ხალხზე, საკუთარ ჭეყანაზე უნდა იზრუნო და ამის შემდეგ ღირს ეულად შეხედები ნებისმერ სტუმარს, თუნდაც ის მოყვარე არ იყოს! ქართველ ხალხს ტოლერანტობას, ე.ი. აცთმოყვარეობას და კეთილშობილებას ჯერაყინ ასწავლის! გაიხსენეთ ჯაყას უკვდავი სტუმარ-მასპინძელი! ეს ჩვენი გენეტიკური ტრადიციაა! და არა საკაშვილ-რულოკის შემოგდებული მენტალი! სწორედ ამიტომაცაა ჩვენი ჭეყანა დღეს ასე მრავალეროვანი... აბა მოიხსენეთ სხვა ჭეყანა და სხვა ხალხი, ყისაც საუკუნეების მანძილზე ამდენი ერის შვილი მიუღია თავის მიწა-წყალზე, ლუკმა გაუყოა მათთვის და ერეონება არ წაერეთმეყოა! ალბათ ეს თვისებაც დასაგმობია, რადგან სწორედ ამიტომ შეექმნა ჩვენს ჭეყანას და ჩვენს ხალხს ამდენი პრობლემები, ამიტომ გაუჭირდა და გაეზარდა ამდენი ჯაი-შვილი!

მიუხედაყად წარსულში სისხლის წყმებისა, ასე დათრგუნული, დაბეჩაებული, გადაგაკებული, შეშინებული და უმიდო არასოდეს ყოფილა ჩვენი ხალხი, როგორც უკანასკნელ ოც წელიწადში! რაში სჭირდება ამ გაქირებულ ხალხს ბათუმის ან თბილისის ძვირადღირებული სასტუმროები? აქარაში ბინებიდან კრედიტები აიღეს და სახლები გაარემონტეს მილიონობით ტურისტის მოლოდინში! ამგვერადაც მოაგფუა მიშამ ისინი!

2011 წლის 7 ოქტომბერს იმედის ნაპერწკალი ა კაოდა! ეს ნაპერწკალი მთელი წლის მანძილზე ღვივდებოდა და 2012 წლის 30 სექტემბერს ეცეხლად ანთო! ამ ღვთაებრივმა ცეცხლმა აანთო ყველა კანდელი ქართველ წიაღში! ამ ცეცხლმა 30 სექტემბერს ლამით პატრიარქის მოწოდებით მთელი საქართველო მოეხლმოურილი ალოცა! ყველამ კარგად იცოდა რისთვის და ვისთვის ლოცულობდა!!!

2012 წლის 1 ოქტომბერს მოხდა ღვთის დიდი სასწაული! ყაჩაღების ხროვა, რომლებიც აგრესიული გადატრიალების შედეგად (რადგან არჩევნებში მხოლოდ ხმების 28% მიიღეს) მოვდნენ ხელის-უფლებაში და რომელთაც უფლებოდ გამარცხეს თავანთი ჭეყანა და თავანთი ხალხი, მშვიდობიანად მოვიშორეთ! და რაც მთავარია, ღვთის უდიდესი სასწაული კიდეე ის არის, რომ ამ საქმის შესასრულებლად უფალმა მოგვეყენინა ბატონი ბიძინა ივანიშვილი, «საძების» ამშენებელი, რომელსაც ექვი არ არის მომავალში ქართული ეკლესიის წმინდა სინოდი წმინდანად შერაცხავს და უკვდავი ილია ჭავჭავაძის გვერდით მიუჩენს ადგილს საქართველოს ისტორიაში! ან რა საოცარი სახელი შეურჩია თავის გუნდს ბატონმა ბიძინამ! «ოცნება!..» ერის გადარჩენისთვის, ჭეყნის არსებობისთვის, მაძულის სიცოცხლისთვის სწრაფვა და ბრძოლაა შიგ ჩადებული!.. ეს ძენებები გახლავთ ქართველი ხალხის საუკუნოვანი გენეტიკური ოცნება და ამას შინაგანად საოცრად

გრძნობს ბატონი ბიძინა! საარჩევნო უბნებთან საქმაოთიანი რიგები იდგა, მთელი თბილისი და მთელი საქართველო ფეხზე დადგა! ჩვენთან რიგში ისეთი ძმაძე აჯადმყოფები და ძოხუცები იყუნენ, გაძი კეთრდა კიდეც... მათ ჩუძი პროგესგი გამოუცხადეს ნაციონალების კოორდინატორებს, არ ენდნენ და მუხედაჯად ასაკისა და აჯადმყოფობისა, თკითონ მოკიდნენ საარჩევნო ყუთებთან; ალბათ ამ დღეს ყველას გაგჯახსენა ჩვენს ბაჯშკობაში ნანახი ქართული ზღაპრების თემებზე შექმნილი დიდებული თეძლიმი ცის კარა!.. სადაც ყოველგვარი შელამაზების გარეშეა გადმოცემული ჩვენი ხალხის რეალური ცხოვრება მაშინ, როცა მის საარსებო სიორცეს დეჯები, ე.ი. ვგოგოხეთიდან მოსული მოცაქული (დეიჯანდელი გაგებით ყაჩაღები), და ეპატრონებიან... ცის კარა ისეა ხალხის იმედი, როგორც ამირანი და ანლა უკეე მგლერა ამირანის არსებობის, რადგან ისტორიულად ცნობილია, რომ უდიდესი გაქანრეების ეამს უფალი და დედა ღუთისშობელი ქართველ ერს მხსნელს მოუკლენდა, ასე იყო ათასწლეულების მანძილზე და ასე მოხდა ანლაც... ჩვენს თვალწინ, ჩვენს რეალურ ცხოვრებაში ცხადად მოხდა უფლის ხელული სასწაული! მართალია, არჩევნების გაყალბება მაინც შეძლეს რაიონებში, მაგრამ... გაუსაძლის, არათანაბარ, ნაციონალების მიერ ყოველგვარი სიბინძურით წარმოებული ბრძოლაში დამარცხდა შხამიანი გველეშაპი, რომელსაც ათი კი არა, ალბათ ათასზე მეტი თავი ჰქონდა და ჯინ იცის კიდეც რამდენი დარჩა! ქართველმა ხალხმა კი, რომ იტყვიან **2012** წლის 1 ოქტომბერს უკანასკნელი ძალ-ონე მოიკრიბა და ზნეობრივად აგანყდა ბორიტების წინააღმდეგ... ერთი წლის მანძილზე ნაციონალებმა ლაძის ვეკარზე გაა კრეს ბატონი ბიძინა, მაგრამ... იგი მარტო არ იყო, გოლგოთას საგანგებელს მასთან ერთად იტანდა, განიცდიდა და... უძლებდა მისთვის ძლო�cული ქართველი ხალხი. მშობელი ხალხის ასეთი სიყვარული ბეჯრს არ შეუძლია ბატონებო, არც ბეჯრ ჭეყანას არ შეუძლია ასეთი თავგანწირვა თავისი რჩეულისადმი. იყო ძალიარდერი, ყველასგან და ყველათერისგან დამოუკიდებელი ღუთის რჩეული და ისე გიყვარდეს შენი ჭეყანა და შენი ხალხი, რომ მათ გადასარჩენად არამარტო საკუთარი თავი, შვილების სიცოცხლეც სათრთხეში ჩაგდო, ეს თითქმის წარმოუდგენელია, ამას ქართველის მეტი ჯერაკინ გაა კეთებდა, ჯერაკინ გაბედავდა!!! არჩევნების შემდეგ, ოქტომბრის დღეებშოკ, როცა აშკარად გამოიკეთა რაიონებში არჩევნების შედეგების გაყალბების ფაქტები და ამგვერად ამ საკითხზე უკეე ხმამაღლა ალაპარაკდა ახალი ხელისუფლება და ქართული საზოგადოება, ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტმა მარტენმა უკეე გაა კრიტიკა ბატონი ბიძინა იანიშკილი – «უხეკეს დემოკრატიული პრინციპებსო»... სად იყო საქართველოში დემოკრატია? ან კი იცის ამ ჯინმე მარტენმა რას ნიშნავს საერთოდ დემოკრატია? იცის რა ხდებოდა საქართველოში გვერ კიდეკ მოქალაქეთა კაუშირის დროიდან, რომელიც შემდეგ ნაციონალებად გადაკეთდნენ? იცის, მარტენმა როგორ შიმშილობდა და შიმშილობს მოსახლეობის სულ ცოტა 70%? იცის, რომ საარსებო საშუალების არარსებობის გამო საშობლოს მიწა-წყალი მიაგოა ორმილიონ-ნახევარმა აბორიგენმა ქართველმა? იცის, რომ ბიუგეტის ხარვეზე არნახულად გამდიდრდნენ ნაციონალები? იცის, რომ ჭეყანაში არ არსებობს საძრთალი და სასამართლო ნაციონალური მთაურობის კერძო საკუთრება არის დღესაც? და არა სახალხო! იცის მარტენმა, რომ ეთეკში პატიმრებს ცოცხებითა და დუბინკებით აუპატიურებდნენ? იცის, რომ ჭეყნის ნაციონალურმა ხელისუფლებამ უზარმაზარი ტერიტორიები გაასაჩუქრა? იცის, რომ ჭეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სტრატეგიული ობიექტები გაყიდა? არა ბატონებო! ეს ყველაფერი ან არ იცის, და აქედან გამომდინარე საქმეში ჩაუხედაობის გამო ანალიზი არ უნდა გაა კეთოს, ან არადა... ის უკე მოსყიდულია, როგორც ძრაღალი სხვა უცხოელი ჩინოხნი კი და თუნდაც უცხოური ქედა, მაგალითისთვის ჯაშინგტონ პოსტში გამოქეყნებული სტატიაც კმარა, რომელიც შეურაცხყოფეს ქართველ ხალხს! დიახ, ხალხს, რომელმაც ღიად გამოუცხადა ბატონ ბიძინა იანიშკილს არა მარტო ნდობა, დიდი სიყვარული!

«კონფლიქტებში ჩართული კაკასიას» ყურადღებას უთმობს მოსკოველი ნოყოდყორს კაიაც და ამტკიცებს, რომ: «საამართლიანი არჩევნები საა კაშკილის გამარგვეკაა!» და რომ... «იანიშკილმა მოატყუა ხალხი»... ბატონებო, ეს ის ნოყოდყორს კაიაა, რომელიც პირველი ქართული ერიენული მთაურობის და კერძოდ გამსახურდიას წინააღმდეგ შეთითხნილ ბრალდებებს ხმის ჩახლეჩამდე რომ გაპყიარიდა მეტინგებზე! ეს ის ნოყოდყორს კაიაა, რომელისთვისაც ქართველი ხალხი არაფერს წარმოადგენდა და არც ახლა წარმოადგენს რაიმეს, ისინი მისთვის მხოლოდ «სუნიანი ბრბოა»... ყოველთვის ხალხისუფლებო ელიტა იყო მისთვის მისაღები... კარგად გვახსოვს მისი გამოსვლები **1991-92** წლებში! ვთქვათ მაშინ არ ესმოდა ამ ქალბატონს რასაც აკეთებდა, დღესაც აღარ ესმის? აღარ ესმის, რომ მოსახლეობის **95%**(!!!)-მა (ზუსტად ასე იყო რომ არ გაეყალბებინათ) ხმა იანიშკილის მთაურობას მისცა და ამდენად ეს მთაურობა დღეს უკეე ერიენული ხელისუფლების სტატუსით სარგებლობს!?! არ ესმის რა მოხდა ხაშურში? სიღნაღში? ზუგდიდში? გორში? ყვარელში? გურგვანში? ამ რაიონებმა ნიღაბი ჩამოგლიეგვეს ნაციონალებს და მთელმა საქართველომ ნახა მათი პოლიტიკის მახინგვი მხარე! ცხადია არ ესმის და არც უნდა სიმართლე დაინახოს და გაიგოს ამ რუსმა ქალბატონმა! რუსეთში მისი აჯტორიტეტი ნულის ტოლია და ეტყობა წონა მხოლოდ აქაურ ნაციონალებში აქვს, მე მათ ქართველებად ვერ მოიხსენებ, ისინი

ნაძღვალად არ არიან ქართველები... ალბათ რომელიღაც საგანგებო დავალების მიერ იყვნენ შემოგზავნილნი ქართველ პოლიტიკაში ქართველი ხალხის გასაღაფვა კებლად, დასათრგუნად და გასაძეკებლად თავიანთი ძიწა-წყლიდან! არაკითარი გაძარცვა არ მოეპოვება პრეზიდენტის იდეოლოგიას, რომელიც ოპოზიციაში ჩაუდგა თავის ხალხს! იყო ჭეყნის პრეზიდენტი და შენს ხელის-უფლებაში, შენს მიერ ჩაძოყალიბებულ მთავრობაში, შენს მიერ შემუშავებულ სისტემაში ხდებოდეს აძდენი საშინელებები აბორიგენი მოსახლეობის წინააღმდეგ – ეს ნიშნავს რომ... სისხლის საძარცვის საქმე აღიძრას მის წინააღმდეგ! დიახ... სახელსაც ჯერ დაჯარქვეთ იმ წლებს, როცა ისინი ძართავდნენ ჭეყანას... და ის წლები სისხლით, ცრემლით, ტანგჯვით ჩაიწერება ჩვენს ისტორიაში! წლები, როცა საკუთარი ლტოლვილებით აივსო ქეყანა, ლტოლვილებით, რომლებზეც თურმე არაფინ ზრუნავდა და ყველაფერი შაჯნელი პაპის ტექნოლოგიებით იყო გაგერებული... ამგვერად უკვე სხვაგვარად ფიქრობენ ისინი, ახლა უკვე სხვაგვარი პოლიტიკური ხერხებისთვის სქირდებათ ძათ ეს უბედური, უსახლკარო და ულოკვაპაური ქართველი ხალხი და როგორც სეთური ძინები წინასწარ დადგძული სცენარით ძიუძეს ისინი ახალ, ერიუნულ ძთავრობაზე თავიანთი გაუსაძლისი, პოლიტიკურ-ეკონომიკური ძოთხოვნებით!..

ჩვენი თაობის ეურნალისტებს გაცნობერებული გვქონდა და გვაქს ჩვენი ხალხის უბედურება და სიდუხჭირე. მაგრამ ასეთი საშინელი სიღრძის საბინძურეში თუ იყო ჩაძხრჩალი ყოფილი ხელის-უფლება კიდევ არ გვეგონა! შეიძლება იმ ჭეყნის პრეზიდენტძა ბიუჯეტის ხარჯზე ძილიარდად ღირებული ფეშენებელურ სასახლეში იცხოვროს ყოველგვარი ფუფუნებით გარშემორტყმულმა, საკუთარი თვითძფრინავებით ისეირნოს, დრო იტვალიის და საფრანგეთის ულამაზესი კურორტების უძვირეს (1000 და 1500 ეკრო 24 საათში! რასაც თინა კანდელაკის მიერ გაკრიალებული ფოტოები გვიდასტურებს). სასტუმროებში გააცარიოს და ხალხი, საკუთარი ხალხი, ჯისაც ფაქტიურად ეკუთვნის ეს ფული – ასეთ გაქირვებაში აძყოფოს? ამას ხომ არც ერთი ციოლიზებული ჭეყნის ხელის-უფლება არ იკადრებს! საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ომის დროს ინგლისის დედოფალი სასახლეს არ ათბობდა: «ჩემს ხალხს უქირს და ამდენი ფუფუნების შესაძლებლობა არა აქვს ინგლისს!» – საქართველო ინგლისს შეედრება ბატონები? მაგრამ აქ უძთავრესი სხვაა! ხალხი, აბორიგენი მოსახლეობა იძდენად დაორგანებული და შეშინებული ჰყავდათ, ვინ გაბედავდა ხმის ამოღებას? დიახ, ჩვენ გვახსოვს 7 ნოემბერი... გვახსოვს 26 მაისი, როცა დახოცილი ძომიტინგეები სახურავებზე შეჰყარეს! და ხაშურის საარჩეენო უბანში შეკარდნილი სპეცნაზიც გვახსოვს სულ ახლახანს, 1 ოქტომბერს! და ყოველივე ამის შემდეგ ძათ ჰყოფნით თავხედობა და... ისევ თექრობენ ხელის-უფლებაში ძოსვლას? ვისი დახმარებით? შტაბების, ეკრობის თუ რუსეთის დახმარებით?

არა ბატონებო! ღმერთი ასეთ სიბორიტეს ადარ დაუშვებს ქართველი ხალხის თავზე!

ეს არცთუ მცირე ექსკურსი იმიტომ წარვუმძღვარე ჩვენს ინტერვიუს ბატონ დავით დარახველიძესთან, რომ ნაციონალების ტელევიზიებმა აჩვენა კადრები, სადაც ბატონი დავითი ღიად აფიქსირებდა თავის მოსაზრებას, რომ მისთვის მთავარი არის ქართველი ხალხი და ქართული ქვეყანა... ეს სიტყვები გმირობის ტოლფასი იყო ნაციონალების მმართველობის პერიოდში... ამიტომ მოსთხოვეს ბატონ ბიძინა ივანიშვილს დავით დარახველიძის კანდიდატურაზე უარის თქმა...

– თქვენ რას იტყოდით, ბატონო დავით, ამ შემთხვევის შესახებ?

– დიახ. მოსთხოვეს. მათთვის ეროვნულ ღირებულებას ფასი არა აქვს. ისიც არ იციან, რომ ადამიანი, რომელსაც თავისი ხალხი არ უყვარს, ვერც სხვას შეიყვარებს. მთელი მათი მოღვაწეობა სრული დემაგოგია და საზოგადოების მოტყუებაზე გათვლილი პოლიტიკა იყო, პოლიტიკასაც ვერ დავარქმევ, რაღაც სიცრუის ნაირსახეობა გახლდათ. არ შეიძლება პოლიტიკად ჩაითვალოს საქმიანობა, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობას არ უზრუნველყოფს მინიმალურად მაინც..

– არჩევნების შემდეგ, უფრო სწორად თქვენი მინისტრად დანიშვნის შემდეგ პირველივე დღეებში გამოჩნდა ის საშინელებები, რასაც წლების მანძილზე მალავდნენ. ალბათ აფრიკის ქვეყნებისთვისაც წარმოუდგენელია ის სიღატაკე, რაც საქართველოში ღიად ფიქსირდება უკვე და ეს ყველაფერი აქამდე ფარდის მიღმა რჩებოდა...

– ეს ხალხი საგულდაგულოდ იყვნენ დამალულნი, ე.ი. ეს პრობლემა იყო თვითონ დამალული! მიშას მიზანი იყო ვარდის ფერებში წარმოეჩინა ამერიკელებისა და ევროპელებისთვის, თუნდაც რუსეთისთვის ქართველი ხალხის ცხოვრება და პირველ რიგში ამ უბედური ლტოლვილების ყოფა! 19 წელია ეს ხალხი ამ საშინელ გაჭირვებაში ცხოვრობს... მათი ბედით არავინ დაინტერესებულა, რეფორმატორები წლების მანძილზე მხოლოდ ატყუებდნენ მათ და დღე-ხვალეში გადიოდა დრო!

– ბატონო დავით, ისინი ყველანი აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ლტოლვილები არიან?

– არა, ყველა არა, მაგრამ უმეტესი ნაწილი! იმდენად შემაზრზენია მათი საცხოვრებელი პირობები, შეძრწუნდები ადამიანი!

– მათთან ერთად კიდევ ვინ არიან?

– სოფლიდან ჩამოსული, ბაზრის მოვაჭრე უსახლკარო ქალები და კაცები! ისინიც ძძიმე მდგომარეობაში არიან... მაგრამ ამჯერად მათი დახმარების საშუალება ბიუჯეტს არ გააჩნია, ისინი უნდა დაუბრუნდნენ სოფლებში თავიანთ

ოჯახებს და თუ მაინცდამაინც თბილისში უნდათ ყოფნა, ამ შემთხვევაში სახელმწიფო არ არის ვალდებული უზრუნველყონ ბინებით.

– ამ საკითხებზე ალბათ მუშაობენ საგამოძიებო სტრუქტურები.

– დიახ, პირველი დღეებიდანვე!

– ბატონო დავით, წარსულ წლებში სატელევიზიო საშუალებებით განუწყვეტლივ ხდებოდა რეკლამირება ლტოლვილთა ბინებით უზრუნველყოფის შესახებ! რა ხდება? რას აკეთებდა ამ ხნის განმავლობაში სუბელიანის სამინისტრო? სად მიდიოდა ამდენი თანხები?

– როგორც ირკვევა ან არაფერს აკეთებდა სამინისტრო, ან კიდევ ძალიან ცოტას, რადგან ხალხის მდგომარეობა არაფრით შემსუბუქებულა! ნაციონალებმა ბინით უზრუნველყვეს მხოლოდ 30000 ოჯახი, როცა დევნილი გვყავს 270000 ოჯახი... მომავალ 2 წელიწადში ბინას მიიღებს კიდევ 30000 ოჯახი... ეს კი ზღვაში წვეთია...

– რამდენი დევნილი დარჩება უსახლკაროდ?

– 55 ათასი! ამჯერად 51 ობიექტი დაიკავეს, აქედან 2 ობიექტი რუსთავშია, 2 – ზუგდიდში და დანარჩენი თბილისში.

– ბატონო დავით, ისინი აქამდე სად იყვნენ?

– დროებით თავშესაფრებში, ზოგსაც აქვს ბინა, მაგრამ... ან შვილს აძლევს, ან ახლობელს, მათი საქციელი ცოტა ეშმაკური ხერხია და ამ არაპატიოსანი ქმედებით ცდილობენ პირობები გაიუმჯობესონ, არის დევნილთა კატეგორიაც, რომლებიც მთავრობისგან უკვე მიღებულ ბინებს ისევ დევნილებზე აქირავებენ... დევნილთა შორის ნამდვილად არიან ღირსეულნი, რომლებიც მიუხედავად გაჭირვებისა, კვლავ რჩებიან თავშესაფრებში მძიმე პირობებით, მაგრამ... ასეთ საქციელს უბრალოდ არ იკადრებენ... არის ოთხწლიანი გეგმა, რომლის მიხედვითაც ყველა დევნილი უნდა დაკმაყოფილდეს ოთხი წლის განმავლობაში. მათ შორის არიან ავადმყოფები, რომლებსაც გადაუდებელი მკურნალობა ესაჭიროებათ, ამ საკითხსაც ჩვენი მთავრობა საკუთარ თავზე იღებს!

– ბატონო დავით, რამ გამოიწვია არჩევნების შემდეგ ასეთი აგრესიული რეაქცია დევნილთა შორის და მათი პოლიტიკურად გააქტიურება?

– ეს ადვილი ასახსნელია, ამ არჩევნებში ნაციონალების ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენი დევნილები იყვნენ. ისინი კვებავდნენ მათ იმ არარეალური დაპირებებით, რომლებიც ვერ და არ შეუსრულეს ცხრა წლის მანძილზე. ცხრა წელი კიდევ ცოტაა! ისინი, ე.ი. ნაციონალები ფაქტიურად ხელისუფლებაში არიან 93 წლიდან! დიახ, ან უფრო ადრე, 92 წლიდან! რაც განდევნეს გამსახურდია, ისინი სიგუა, კიტოვანთან და იოსელიანთან ერთად მართავდნენ ქვეყანას. მანამდე მათ მოქალაქეთა კავშირი ერქვათ.

– და მთელი ამ წლების მანძილზე ატყუებდნენ დევნილებს, რომ დღეს თუ არადა ხვალ სახლებში დააბრუნებდნენ, უფრო უარეს შემთხვევაში კი ბინებით უზრუნველყოფდნენ, ახლა, კი როცა ძალაუფლება დაკარგეს, რაღა დარჩათ? ბატონო დავით, თქვენ გამორიცხავთ საბოტაჟის მცდელობას ნაციონალების მხრიდან?

– არა, არ შეიძლება გამორიცხოს, რადგან, სწორედ ნაციონალების კოორდინატორები უწყობენ ხელს საბოტაჟს და არეულობას! ეს მათი ნამოქმედარია. ამ საკითხის გამოძიებაც მიმდინარეობს, ვნახოთ სანამდე მიგვიყვანს კვალი. რაც შეეხება ნამდვილ დევნილს, თუ მას საერთოდ არ გააჩნია ფართი, რაც ალბათ წარმოუდგენელია, ჩვენ შევთავაზებთ ალტერნატიულ ფართს... ვინც არ დაექვემდებარება შეთავაზებას მასზე დაიდება მონაცემები. საქმეს იძიებს შსს და პროკურატურა.

– ბატონო დავით, ნებისმიერი ლტოლვილი ნებისმიერი ქართველის ტკივილია... გასაგებია, რომ ამ ხალხმა ყველაფერი დაკარგა, რაც მამა-პაპას შეუქმნია და შეუძენია და ახლა გაღიზიანებული და გამწარებულია... ეს გაღიზიანება და გამწარება გრძელდება ამდენი წლის მანძილზე, რატომ? ადრე იყო და სააკაშვილის მთავრობა მოსვლის დღიდან ერთ წელიწადში ჰპირდებოდა სოხუმსა და ცხინვალში შესვლას, ერთი წლის შემდეგ გააუქმეს მითითებული ლოზუნგი, მაგრამ... იყო თუ არა აუცილებელი სახელმწიფოს უმაღლეს საკანონმდებლო დონეზე გადაეწყვიტა ამ ხალხისთვის ნორმალური პირობების შექმნა?

– რა თქმა უნდა ასე უნდა მომხდარიყო და ყველა ლარი დახარჯულიყო მათი ბინების აშენებაზე, ასე მოიქცეოდა ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყანა, მაგრამ... ნაციონალებმა ეს არ გააკეთეს, რადგან... ბიუჯეტის ხარჯები მთლიანად ხმარდებოდა მათ მოთხოვნილებებს.

– ბატონო დავით, ბატონმა პრემიერმა და მისმა კაბინეტმა უკვე იმსჯელა პრეზიდენტის სასახლეზე. ცხადია ამ გაჭირვებული ქვეყნის ღატაკი მოსახლეობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ არათუ შეუფერებელია ეს სასახლე საქართველოს პრეზიდენტისთვის, სულ ერთია ვინც არ უნდა იყოს იგი, გინდა სააკაშვილი და გინდაც ღობეგლეჯიაშვილი, მიუღებელია! არ შეიძლება ქვეყნის აბორიგენი მოსახლეობის 70% ღატაკი იყოს და იმ ქვეყნის პრეზიდენტი ასეთ ძვირადღირებულ სასახლეში ასეთი ფუფუნებითა და განცხრომით ცხოვრობდეს. თქვენი აზრით, რას ან ვის, რომელ ორგანიზაციას გადაეცემა იგი? ჩვენი, ჟურნალისტთა დიდი ნაწილის სურვილია თუ ეს შესაძლებელია პარლამენტი განთავსდეს იმ შენობაში მანამდე მაინც, სადამდეც ძველ პარლამენტის შენობას რეკონსტრუქცია გაუკეთდება!

– შეიძლება. ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ ჯერ კონკრეტულად მთავრობის სხდომაზე ეს საკითხი აღარ დასმულა.

– ბატონო დავით, როგორ, რა თანხებით აპირებთ თქვენი სამინისტროს წინაშე დასმული პრობლემების გადაწყვეტას? დაახლოებით როდისთვის იგეგმება პრობლემის მოხსნა სოციალურად დაუცველ დევნილებზე?

– ამჯერად მიმდინარეობს ყოველგვარი დოკუმენტაციის გადამოწმება, შემდეგ სამინისტროს აპარატი დაექვემდებარება სრულ რეფორმას, რაც მიმართული იქნება ერთადერთი მიზნით, მოვიძიოთ სახსრები მათი, ე.ი. დევნილთა საცხოვრებელი პირობებისა და სოციალური მდგომარეობის შესამსუბუქებლად. მთავრობის თავმჯდომარე, ბატონი პრემიერი ყველა ღონეს ხმარობს, რომ არა მარტო დევნილთა, ყველა ქართველის და აქ მაცხოვრებელი აბორიგენი მოსახლის მდგომარეობა იქნეს გაუმჯობესებული! ბატონი ბიძინა ყველა დანაპირებს შეუსრულებს თავის

ხალხს და უფრო მეტსაც... ნორმალური ცხოვრების საშუალებას მისცემს თავის ქვეყანაში თითოეულს, ამისთვის კი საჭირო ხარჯები უნდა მოიძიოს ბიუჯეტმა!

— ბატონო დავით, თითოეული თქვენგანის საქმიანობა გმირობის ტოლფასია დღეს! გმირობის ტოლფასია ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის და კახა კალაძის თითქმის ყველა სამუშაო დღე! იცით, ასეთი ძალა, შეუდრეკელობა, თავგანწირვა, (დიახ, მე თავგანწირვას დავარქმევდი მათ სამუშაო რეჟიმს) ქვეყნისთვის და საერთო, სახალხო საქმისთვის ბევრს არ შეუძლია.

— მეც ასე ვფიქრობ!

— ბატონო დავით, ფაქტიურად ჩვენი ჟურნალი მზად იყო, როცა გადაწყდა მასში ახალი მასალების შეტანა, მაგრამ... ფართო შესაძლებლობები გამორიცხულია, სარედაქციო კოლეგიის და მთავარი რედაქტორის გადაწყვეტილებით არჩევანი თქვენზე შეჩერდა ინტერვიუს მოსამზადებლად. ამიტომ ვცდილობთ ყველა საკითხს შევეხოთ, თუნდაც ეს პირადად თქვენ და თქვენს სამინისტროს არ ეხებოდეს, მაგრამ ქართული საზოგადოების და ჟურნალისტთა განსაკუთრებულ დაინტერესებას იწვევს. ხალხს დიდი იმედი აქვს ბატონი ბიძინასი პირადად და აქედან გამომდინარე მისი მთავრობის, მინდა გკითხოთ თქვენი მთავრობის პრიორიტეტი, როგორც არჩევნებამდე იყო ცნობილი, ალბათ იქნება უფასო ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პროგრამები! პენსიების გაზრდა როდისთვის იგეგმება და იყო თუ არა ამ საკითხის გარშემო მთავრობის სხდომაზე მსჯელობა?

— რა თქმა უნდა იყო. რაც შეეხება პენსიების ზრდას, ეს საკითხი ბიუჯეტის მიღების შემდეგ დაკონკრეტდება. ასევე ბიუჯეტის მიღების შემდეგ განისაზღვრება ყველა სოციალური პროგრამა. ბატონი ბიძინა რასაც დაჰპირდა თავის ხალხს, ყველა პირობა უკლებლივ შესრულდება!

— ბატონო დავით, დასაქმების პრობლემის მოგვარება როგორ ესახება ბატონ ბიძინას და თქვენ ყველას, მთავრობის წევრებს? ცხადია ერთ დღეში ქვეყანა არ აშენებულა, უფალი ექვსი დღე მოუნდა სამყაროს შექმნას, მაგრამ... ქვეყანაში უმძიმესი სოციალური ფონია, და თანაც... ძალიან მოქმედებს ხალხზე ნაციონალების ჩასაფრების პოლიტიკა.

— ქვეყანაში რომ უმძიმესი ეკონომიკური და პოლიტიკური ფონია, ეს ჩვენი მთავრობის ყველა წევრს კარგად ესმის, მაგრამ ამ დიდი საქმის მოსაგვარებლად რაღაც გარკვეული დრო მაინცაა საჭირო, მე არ ვამბობ ყველაფერი ნელ-ნელა უნდა გაკეთდეს-თქო, მაგრამ... დრო, დიახ, გარკვეული დროა საჭირო! ბიუჯეტის მიღებით ბევრი პრობლემა მოიხსნება, მთავრობას ხელი გაეხსნება და ეცოდინება გამოთავისუფლებული ხარჯები საით უნდა მიმართოს, რა უფრო საჭირო და აუცილებელია ხალხისთვის! რა თქმა უნდა სოციალური პროგრამები უმთავრესია, სურსათზე ფასების დაწევა, პენსიების მომატება, სადაზღვევო პროგრამის შემუშავება და საბოლოო დახვეწა! და დამერწმუნეთ სწორედ დროის ამ გარკვეულ მონაკვეთში გამოიკვეთება ახალი პროექტები და შესაბამისად შეიქმნება სამუშაო ადგილები, სამთავრობო დონეზე აიყვანება სასურსათო და გადამამუშავებელი ობიექტების ფეხზე დაყენება და ახლების შექმნა, და რაც მთავარია, ქართული სოფლის მეურნეობის აღორძინება, ყოველ სოფელში, ან თემის ცენტრში უნდა შეიქმნას მექანიზაციის პუნქტები, რომ ხალხმა მიწის დროული დამუშავება შეძლონ გაზაფხულზე... საჭიროა მიწის კანონზე ზრუნვა, ეს პროექტი თითქმის განხორციელებული იყო 2003 წელს, ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ყველაფერი წყალში ჩაიყარა, მიწის მართვის დეპარტამენტიც კი გააუქმეს!

— ბატონო დავით, ქართული სოფელი იმდენადაა განადგურებული, რომ... დიდი ძალისხმევა დასჭირდება მის აღდგენას! იმედია ქართველი გლეხი ფეხზე დადგება. სიტყვა ფერმერი რეფორმატორების, იგივე ნაციონალების შემოგდებული სიტყვაა, რატომ არ მოსწონთ ქართული „გლეხი“? მაგათ რას გაუგებს კაცი, მაინც რა შური და ბოღმა ჰქონდათ ასეთი თავიანთი ქვეყნისა და ხალხის მიმართ, ასე რომ გაანადგურეს ყველაფერი? გასაკვირია... სოფლებში იშვიათად მოიძებნება ოჯახი, საიდანაც ქალი სამუშაოდ არ იყოს გადახვეწილი თურქეთში ან სადმე... ამიტომ გეკითხებოდით სამუშაო ადგილებზე... ეს ხალხი როდის შეძლებს დაბრუნებას? ან კიდევ ამდენი უნივერსიტეტი რომ არის გახსნილი ლამის ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭულში, რა უნდა ქნას ამ ახალგაზრდობამ?

— იმედია ქვეყანა ნორმალური განვითარების გზას დაადგება და ამდენად ყველასთვის მოიძებნება ადგილი. საქართველო მდიდარი რესურსების ქვეყანაა და თავისი ხალხის დასაქმებასაც შესძლებს და შესაბამისად გამოკვებასაც, ამისთვის კი მთავარია მთავრობის სწორი პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსი და... ის სიყვარული, რაც ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა თავისი მამულისადმი და რაც აქვს ბატონ ბიძინას და მის გუნდს!

— ბატონო დავით, როცა ქვეყანას ეროვნული მთავრობა ჰყავს, ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი გათვლილი და გადანაწილებულია ხალხის საკეთილდღეოდ... ამიტომ დაუჭირა მხარი ხალხმა ბატონ ბიძინას! ამ წლების მანძილზე იმედით ცხოვრობდა ჩვენი ხალხი, და აი, უფალმა მოავლინა სასწაული! ახლა მინდა გკითხოთ, გახდება თუ არა სახალხო განსჯის საგანი ძველი თბილისის უბნებში მომავლისთვის დაგეგმილი პროექტები? კომუნისტების დროს გემახსოვრებათ, ერთპიროვნულად არავინ და ვერავინ წყვეტდა ვერაფერს, და როგორ ფიქრობთ, თქვენი და ჩვენი, ე.ი. ხალხის მთავრობა შეძლებს იმ სიმახინჯის მოშორებას, რასაც ის მინის ხიდი ჰქვია და კიდევ იმ რკინის გროვას მოვაშორებთ თუ არა რიყეს, რომ ამახინჯებს?

— ძველ თბილისს თავისი სახე უნდა დაუბრუნდეს! ხიდს რაც შეეხება, ბატონი ბიძინა დაჰპირდა თავის ხალხს, რომ იმ სამარცხვინო ხიდის სანაცვლოდ ღირსეულ ხიდს საკუთარი ხარჯით აუგებს ქალაქს. იმ რკინის გროვაზე, რაც რიყეს ამახინჯებს თქვენი აზრით და საერთოდ ყველა ღირსეული ქართველის აზრით, უზარმაზარი თანხებია დახარჯული, ამჟამად ფინანსთა სამინისტრო სწავლობს და იძიებს ამ ხარჯების ამსახველ დოკუმენტურ მასალებს, ამ პროცესის დამთავრების შემდეგ კი... დადგება დღის წესრიგში მისი ამორტიზაციის საკითხი და ცხადია გადაწყდება ისე, როგორც თბილისისა და თბილისელთათვის იქნება მისაღები და უკეთესი!

— ბატონო დავით, სააკაშვილმა დაარქვა თავის გუნდს „ნაციონალები" ალბათ გათვალა ქართული აზროვნების და მენტალიტეტის იდეოლოგიაზე, მაგრამ, მარტო სახელი ვერაფერს მოიტანს, ამას კარგა ხანია მიხვდა ქართველი ხალხი... იცით, ერთხელ, 2003 წლის არჩევნების წინა პერიოდში ერთი ცნობილი პოლიტიკოსი შემხვდა პარლამენტის შენობის წინ, ვისაუბრეთ, და მითხრა თუ ეს კაცი (საუბარია სააკაშვილზე) მოვიდა ხელისუფლებაში ქვეყანას საბოლოოდ დაღუპავსო... მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ხალხის მოსატყუებლად ეროვნულ იდეოლოგიაზე გათვლილი

ლოზუნგები ჰქონდა... ყველაფერი წინასწარმეტყველებასავით ახდა... ქვეყანა მართლაც განადგურდა, დავკარგეთ ტერიტორიები და აბორიგენი მოსახლეობის ნახევარი ფაქტიურად. სააკაშვილმა კი... მთლიანად დაკარგა კონტაქტი ქართულ საზოგადოებასთან, ქართველ ხალხთან, რაც ყველაზე საშიში იყო ორივე მხარისთვის... საზოგადოების ყველა სეგმენტის სრული იგნორირება, დიახ, ხელისუფლების სრული გაუცხოება მოხდა ქართველ ხალხთან...

– რაც მოხდა მოულოდნელი არ ყოფილა, სააკაშვილის და მისი გუნდის წინა წლების პოლიტიკური მოღვაწეობის კურსი წინასწარმეტყველებდა შედეგებზე, და... მოსახდენი მოხდა კიდეც... ქართველმა ხალხმა საკუთარი თვალით დაინახა, და ფიზიკურად და სულიერადაც იგრძნო რა ყაიდის ხალხი იყო ხელისუფლებაში და რა მიზანი ამოძრავებდათ...

– ბატონო დავით, ეს ადვილი მისახვედრი იყო, ისინი სათითაოდ ყველანი არნახულად გამდიდრდნენ ბიუჯეტის ხარჯზე, ხელისუფლებაში მოვიდნენ ფაქტიურად (ჩვენი წინაპრები იტყოდნენ ასე) ცალ-ცალი კალოშით (შედარებისთვის), შემდეგ კი... 100 000 დოლარიან ჯიპებსაც აღარ კადრულობდნენ, ხედავთ, რა მდიდარი ყოფილა ჩვენი საწყალი, ღატაკი ქვეყანა და ჩვენი ხელოვნურად გაუბედურებული ხალხი? იცით, მაინც ვერ ამიხსნია საიდან აქვთ ნაციონალებს თავიანთი ხალხის და თავიანთი ქვეყნის მიმართ ამდენი სიძულვილი? ამდენი ბოღმა ღირს სიმდიდრის მოხვეჭისთვის?!! თუმცა გასაკვირი აღარაფერია, ჯერ ძველ წლებს, და შემდეგ უკვე ამ ცხრა წელს თუ გადავხედავთ, მათი სრულიად აღვირახსნილი მმართველობის ცხრა წელს, როცა შიმშილისთვის, სიცივისთვის, უწამლობისა და უექიმობისთვის გაიწირა ქართველი ხალხი, როცა პირწმინდად განადგურდა ქართული სოფელი და მათ მიერვე შემოტანილ გენური ინჟინერიით შექმნილ პროდუქტებს არნახულად გაზრდილი ფასებით გვასყიდებენ, როცა მასონებით, ათასი ჯურის სექტებით გაავსეს და საპარლამენტო კანონმდებლობით უზრუნველყვეს მათი საქმიანობა მართლმადიდებელ საქართველოში, როცა აღვირახსნილი სექსუალური გარყვნილებით და კაზინოებით მორწყეს საქართველო და როცა... თავის მშობლიურ მამულში ცხოვრება შეაძულეს ღირსეულ ქართველ ხალხს, ქართულ ინტელიგენციას... რა დავარქვათ ყოველივე ამის შემდეგ მათ, ე.ი. ნაციონალების მოღვაწეობას? რა დავარქვათ ამ საშინელ წლებს?

– მესმის, ძალიან ძნელია იმ წლებზე საუბარი, რომელიც დღეს ჩვენი წარსულია, მაგრამ მახინჯი წარსული და ყოველთვის შეგვახსენებს თავს იმდენი ბოროტებაა ჩადენილი ქართველი ხალხის წინააღმდეგ! ერთადერთი, რაც შეგვიძლია და როგორც შეგვიძლია ხალხს იმედი და რწმენა უნდა დავუბრუნოთ... იმედი და რწმენა! ამას კი ნამდვილად შესძლებს ახალი ხელისუფლება, ბატონი ბიძინა ივანიშვილის გუნდი.

– ბატონო დავით! ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის ხელისუფლებამ ძალაუფლება უპირველესად უნდა შეინარჩუნოს და განამტკიცოს ორ სტრუქტურაზე – შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ქვეყნის დიპლომატიურ კორპუსზე! – ამ ორგანიზაციებში აუცილებლად უნდა დაინიშნოს ეროვნულ უმაღლეს სასწავლებლებში აღზრდილი ეროვნული კადრები, რომლებიც ქვეყნისა და ხალხის ღირსებას ნებისმიერ შემთხვევაში ღირსეულად დაიცავენ! რადგან ფაქტიურად მითითებული სტრუქტურები წყვეტენ სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პოლიტიკურ პრობლემებს ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც! აქედან გამომდინარე, ქართულ საზოგადოებას აინტერესებს მოახდენს თუ არა ძირეულ რეფორმას შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი? და კიდევ, დადგება თუ არა მთავრობის სხდომაზე დღის წესრიგში ყოფილი ხელისუფლების მიერ დანიშნული ელჩების გამოწვევის საკითხი? რადგან ისინი ფაქტიურად ნაციონალური პარტიის აქტივისტები არიან და არა პროფესიონალი დიპლომატები!!!

– დიახ, ეს სამინისტროები ქვეყნის ხერხემალია! საკითხები, რომლებზეც თქვენ გაამახვილეთ ყურადღება ფაქტიურად პირველი დღეებიდანვე დგას მათ წინაშე! შინაგან საქმეთა სამინისტროში რეფორმები უკვე დაიწყო და ეტაპობრივად განხორციელდება. რაც შეეხება ელჩების გამოწვევას, ეს საკითხიც დგას დღის წესრიგში, მაგრამ უფრო რთული მოსაგვარებელია. სააკაშვილის მიერ გადაკეთებული კონსტიტუციის წყალობით, ელჩების გამოსაწვევად საჭიროა პრეზიდენტის თანხმობა! თქვენ წარმოიდგინეთ, ისე მოირგეს ნაციონალებმა კონსტიტუცია საკუთარ პარტიულ სხეულზე, რომ გამოცდილ დიზაინერსაც შეშურდება მათი შორსმჭვრეტელობა! ელჩები კი პრეზიდენტის მიერ დანიშნული არაპროფესიონალი ყმაწვილებია პარტიული ნიშნით შერჩეულნი!

– ბატონო დავით, სინამდვილეს თვალი უნდა გავუსწოროთ და ვაღიაროთ, რომ არჩევნები ფაქტიურად გაყალბდა რაიონებში! ნაციონალები სულ ცოტა 3-4%-ზე მეტს ვერ მიიღებდნენ სამართლიანად რომ ჩატარებულიყო! ამის შედეგია დღევანდელი აშკარად ორხელისუფლებიანობა! ამიტომაც იჩივლეს რასმუსენთან და რაც კი გააჩნიათ ყოველგვარ ძალას იყენებენ ახალი ხელისუფლების არამარტო საწინააღმდეგოდ (ეს სიტყვა ძალიან რბილია), უფრო მეტიც, მისთვის ავტორიტეტის შესალახავად, უცხოელთა თვალში ლაფში გასასვრელად. ბატონი ბიძინა უაღრესად გაწონასწორებული და მომთმენი პიროვნებაა, მაგრამ ისიც ხომ ადამიანია და ქვა არ არის? რასმუსენი იმ დონის მოღვაწეა, არ უნდა აჰყოლოდა მათ თამაშს, თუნდაც იმიტომ რომ ქართული საზოგადოებისთვისაც კი იყო ცნობილი, რომ ახალაიას კანდიდატურას თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე არ იწონებდა შტატები და ამისთვის გარკვეული მიზეზებიც არსებობდა... შეუძლებელი იყო რასმუსენი არ გასცნობოდა „ვიკილიქსის“ მასალებს, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ შტატები აღაშფოთა ახალაიას თავდაცვის მინისტრად დანიშვნამ. ვიკილიქსმა 2009 წელს გამოაქვეყნა სააკაშვილისა და ქეიდენაუს საუბრის მასალები, სადაც ქეიდანაუ აღნიშნავდა, რომ „ახალაიას ცუდი რეპუტაცია აქვს ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებითო“... პრეზიდენტმა სააკაშვილმა ახალაიასთვის მაშინ შანსი სთხოვა შტატებს... და ყოველივე ამის შემდეგ... რასმუსენი მხარს უჭერს მათ და აკრიტიკებს ჩვენს დღევანდელ ეროვნულ მთავრობას?? გადაუმოწმებელი ინფორმაციის გამოყენების უფლება ჩვენც არა გვაქვს, ჟურნალისტებს და მით უმეტეს „ნატოს“ გენერალურ მდივანს ცხადია არ შეეფერება ასეთი შეცდომის დაშვება! უარესიც... რასმუსენი დამნაშავეთა მხარში დადგომით ცხადია ალბათ იზიარებს ამ დანაშაულს! – ასეთი აზრი გაუჩნდება ქართულ საზოგადოებას, რომელსაც ათასგვარი ბოროტება დაატეხა თავზე სააკაშვილის მთავრობამ და ახალაიამ! ხალხი ამიტომ აღარ ენდობოდა ამ ბოლო წლებში არამარტო სააკაშვილის ხელისუფლებას, თვითონ შტატებსაც! ნუთუ ყველაფერი ფულზე და ბოკერიას ლობისტების ქრთამებზეა დამოკიდებული?

– ლობისტების აქტიურობას ვერ გამოვრიცხავთ. ცხადია ბოკერიას სტრუქტურა დიდ თანხებს ხარჯავდა მათ გამოსაკვებად, რასაც მომავალი წლიდან წერტილი დაესმება, მაგრამ... არ ვიცი რა გითხრათ, ალბათ ჩვენი გუნდიც უნდა გააქტიურდეს და სიმართლე საჯაროდ უთხრას საზღვარგარეთულ მედიას და არამარტო საზღვარგარეთულს, უპირველესად ქართულს... ნაციონალები ბინძურ ომს ეწევიან... და ეს ომი გათვლილი აქვთ მომავალზე, სურთ, რომ

ავტორიტეტი აიმაღლონ ქართველ ხალხში, მაგრამ ამ მცდელობას დამერწმუნეთ, აზრი აღარ აქვს, ხალხი ვერ დაივიწყებს იმ წლებს...

— არა ბატონო დავით... ხალხი ცხადია არ და ვერ დაივიწყებს იმ საშინელ წლებს, მაგრამ დღევანდელი გაჭირვებული მოსახლეობა ხავსსაც ეჭიდება, როგორც ყველა წყალწაღებული... თუ ქართულმა ოცნებამ საარსებო მინიმუმით ვერ უზრუნველყო მოსახლეობა, თუ პენსიები არ გაიზარდა, თუ ჯანმრთელობის დაცვა უფასო არ იქნება, თუ სამუშაო ობიექტები არ შეიქმნება, თუ სოფელს რაიმე არ ეშველება, ხალხი ყოველგვარ ინტერესს და ნდობას დაკარგავს კოალიციის მიმართ. ნაციონალები უკვე ტვინს ურეცხავენ საზოგადოებას კოალიციის (თუნდაც მინიმალური შეცდომის) კრიტიკით...

— მესმის, ქართველი ხალხი უმძიმეს მდგომარეობაშია და ცხადია პრობლემების გადაჭრა რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს, მაგრამ... თუნდაც ბიუჯეტის მიღებისთვის ხომ დროა საჭირო? ბიუჯეტში ყველაფერი უნდა იქნეს გათვალისწინებული! და კიდევ ერთი მძიმე საკითხია საყურადღებო! ამ ბიუჯეტში, ე.ი. 2013 წლის ბიუჯეტს ვგულისხმობ, რომელიც ფაქტიურად მომზადებული იყო და მხოლოდ ნაწილობრივი შეცვლა მოხერხდა, ყველაფერი ისე ვერ და არ დალაგდება, როგორც ეს კოალიციის და ქართველი ხალხის სურვილი და მოთხოვნაა! სულ სხვა იქნება 2014 წლის ბიუჯეტი! მასზე მუშაობა უკვე 2013 წლის მარტიდან დაიწყება და ყველაფერი ზუსტად გაიწერება და განისაზღვრება!

— იმედია. ჩვენ (ჟურნალისტებს ვგულისხმობ) და პირადად მე ძალიან კარგად ვიცნობთ ბატონ ნოდარ ხადურს, იგი არამარტო უმაღლესი დონის პროფესიონალია, მოწოდებით არის ეროვნული მოღვაწე, ცხადია ყველა თეთრს ხალხის სასარგებლოდ გამოიყენებს. ბატონო დავით, მთავრობის სხდომაზე დღის წესრიგში თუ დადგება დასაქმების პროგრამა და მძიმე, მსუბუქი და კვების სამრეწველო ობიექტების აღდგენის ან შექმნის საკითხი? თუ გაიცემა ამ პროექტებზე დაბალპროცენტიანი და გრძელვადიანი კრედიტები ბანკებიდან?

— ცხადია დადგება ეს საკითხი. ბატონი პრემიერი დიდ ყურადღებას უთმობს დასაქმების პროგრამას და... ეს საკითხიც დღის წესრიგში ალბათ იმაზე ადრე დადგება, ვიდრე ხალხი ელოდება, 2013 წლის პირველი დღეებიდანვე! პრემიერის არა მარტო სურვილი, დაპირებაცაა, რომ ქართული ბაზარი ძირითადად ქართული პროდუქტით უნდა იყოს უზრუნველყოფილი, ე.ი. კვების სამრეწველო ობიექტების შექმნის გარეშე ეს არ მოხდება! რაც შეეხება მძიმე და მსუბუქ მრეწველობას, რომელიც ფართო სპექტრით იყო საქართველოში წარმოდგენილი, და რომელიც მთლიანად გაანადგურეს და ჯართად გაყიდეს სწორედ ნაციონალებმა, იგივე რეფორმატორებმა! მილიარდებად ღირებული ფაბრიკა-ქარხნები დაშალეს და ვაგონებით გაიტანეს თურქეთში! ეს ვანდალური საქციელი იყო, მაგრამ... რაღა ეშველება ამ საკითხს? ახლა ყველაფერი თავიდან უნდა შეიქმნას! ეს კი არცთუ ადვილი საქმეა! პირიქით, ძალიან რთული და ძალიან ძვირია, მაგრამ, მაინც უნდა შეიქმნას! ამ საკითხზე მსჯელობდა ბატონი ბიძინა არჩევნებამდე და მსჯელობს დღესაც... ასე რომ... კოალიცია აუცილებლად შეძლებს საქართველოში სამრეწველო დარგების ამუშავებას! სიღარიბეს და სიღატაკეს კი ეს დარგები მოსპობენ ჩვენს ქვეყანაში!

— ბატონო დავით... მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო გახმაურებულ დაჭერებზე მთავარი პროკურორისა და იუსტიციის მინისტრის ფაქტიურ გმირობაზე! საზოგადოების დაკვეთა სამართლის აღდგენა იყო, მაგრამ... ჩვენ ვხედავთ, რომ სასამართლოები ისევ ნაციონალების ხელშია, დამნაშავე მილიონერებს უმცირესი თანხის გირაოს სანაცვლოდ ათავისუფლებენ!.. და ამით ცდილობენ საზოგადოება შეიყვანონ შეცდომაში და დაარწმუნონ, რომ უდანაშაულო ხალხს იჭერენ, რომელთა წინააღმდეგ თითქოს სამხილსაც ვერ პოულობს სასამართლო.. საზოგადოებისთვის კარგა ხანია ცხადია ლაფანყურის ფაქტი, ჩეჩენი ყმაწვილები ჯერ შემოიყვანეს საქართველოში, და შემდეგ... ამოხოცეს... ეს ამბები თვითონ ჩეჩნური დიასპორიდან გავრცელდა... ალბათ გექნებათ ცნობები ამ საკითხებზეც...

— დიახ... როგორც ქართული საზოგადოება, იმდენივეს ვფლობთ ჩვენც ამ საკითხზე... დანარჩენს გამოძიება დაადგენს და სრულყოფს. რაც შეეხება დაჭერებს, უსამართლოდ არავის იჭერენ! მათ დიდი დანაშაული მიუძღვით ხალხის წინაშე, სასამართლო კი... სწორად ბრძანეთ... სასამართლო ჯერჯერობით ისევ ნაციონალების ხელშია, ეს თვითონ იუსტიციის მინისტრმა, ქალბატონმა თეა წულუკიანმაც განაცხადა ამას წინათ ტელეკომპანია „კავკასიის“ ღია ეთერში! ამ საკითხებს მე ბევრს ვერაფერს დავუმატებ.

— დიახ, ბატონო დავით, საზოგადოება სრულად არის ინფორმირებული, რადგან მედიისთვის როგორც არასდროს ისე არის ხელმისაწვდომი მთავრობის ყველა წევრის და მით უმეტეს მთავარი პროკურორის, ბატონი არჩილ კბილაშვილის საქმიანობა! ახლა კი ორიოდე სიტყვით მინდა გკითხოთ საზღვარგარეთის პრესაში გავრცელებული დეზინფორმაციული მასალების შესახებ, თუ გეგმავს ბატონი პრემიერი და თქვენ, მთავრობის წევრები სამთავრობო დონეზე შექმნათ მედია ჯგუფი, რომელიც სპეციალურად იმუშავებს საზღვარგარეთის პრესაში სამართლიანი მედიამასალების გავრცელებაზე?

— დიახ... და ეს საქმე საშურიც კია, პრემიერ-მინისტრი ალბათ უკვე მუშაობს ამ საკითხზე.

— ბატონო დავით, ფინანსთა მინისტრმა გააჟღერა ცნობა, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაფინანსება ეზრდება!

— დიახ!.. სამინისტროს დაფინანსება გაიზარდა... იმედია ჩვენი გაღატაკებული ლტოლვილების და საერთოდ მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე სათანადოდ აისახება „ოცნების“ ძალისხმევა. ნებისმიერ სამთავრობო პროგრამას აქვს თავისი პრიორიტეტები. ბატონი ბიძინა იმიტომ მოვიდა თავისი ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაში და საერთოდ პოლიტიკაში, რომ სიღატაკე და სიდუხჭირე აცილოს ქვეყანას! ქართველი ხალხი გენეტიკურად ნიჭიერი და მშრომელი ხალხია, სხვაგვარად ვერ გაუძლებდა იმ უმძიმეს ომებს, რაც გადაიტანა წარსულში... ახლა კი... 21 საუკუნეა, უმაღლესი ცივილიზაციის და მეცნიერების არნახული განვითარების დროა და რატომ უნდა იყოს ქართული გონება დათრგუნული და დაბეჩავებული და ორიენტირებული მხოლოდ დღიურ შემოსავალზე? დავით კურაპალატიდან იწყება ქართული ქვეყნების არნახულად გაძლიერება, ამ გაძლიერებამ კი წარმოშვა ის უდიადესი ტაძარ-მონასტრები და საეკლესიო ლიტერატურა, რაც ტაო-კლარჯეთში და შემდეგ იბერიაში შეიქმნა! რომ არა აღმაშენებლისა და თამარის ჭკუა-გონება და შორსმჭვრეტელობა - არ გვეყოლებოდა რუსთაველი! აი ამიტომაა ქართული ქვეყნის ეკონომიკურად და პოლიტიკურად

გაძლიერება საჭირო, რომ... ქართულმა მეცნიერებამ, ქართულმა მწერლობამ, ქართულმა ხელოვნებამ თავისი სიტყვა თქვას! და თქვას მსოფლიო დონის შესაფერისი! სხვა რომ არაფერი, გასულ, ე.ი. მე-20 საუკუნეში ქართული პოლიტექნიკური უმაღლესი სასწავლებელი შეუდარებელი კადრებით უზრუნველყოფდა მთელ საბჭოთა კავშირს და არამარტო საბჭოთა კავშირს! ენგურის ჰესი უდიდესი მიღწევაა, საზღვარგარეთაც რამდენიმე ნაგებობა ააშენეს საბჭოთა ინჟინრებმა და იცით, ძირითადად ქართული კადრებით იყო დაკომპლექტებული ის ჯგუფები! ძალიან მაღალ დონეზე იყო ქართული სამედიცინო სკოლა! ქართული ფიზიკის სკოლას ხომ საბჭოთა კავშირში ბადალი არ ჰყავდა, და... რომელი ერთი ჩამოვთვალო, გაჭირვებამ და სიღატაკემ ჩაკლა ქართული ნიჭი და შესაძლებლობა! მას დაუმატეს განათლების სისტემის სრული განადგურება. ბატონი ბიძინას სურვილი და მიზანია კვლავ დადგეს ფეხზე ნიჭიერი და მშრომელი ქართველი კაცი და ქართული ქვეყანა, რომ თავის შესაძლებლობა აჩვენოს დღევანდელ ცივილიზებულ მსოფლიოს!

– იმდენად ამაღელვებელია ეს ყველაფერი, რომ... სიტყვებით ვერ გადმოვცემ. გისურვებთ წარმატებით გეღვაწოთ თითოეულ თქვენგანს თქვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ!

მანანა ვახტანგაძე

* * *

ახლა კი რედაქცია მკითხველს სთავაზობს აფხაზეთიდან ლტოლვილი ქალბატონის წერილს!

მე, კალანდარიშვილი ზეფირა ტარასის ასული, დავიბადე 1944 წლის 15 აპრილს, გულრიფშის რაიონ სოფ. აჟარაში. დავამთავრე აჟარის საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩავბარე სოხუმის ტექნიკუმში.

1968 წელს ცოლად გავყევი ნიკოლოზ კალანდარიშვილს. ვცხოვრობდით ქ. გაგრის სოფ. ბზიფში. გვეყოლა სამი შვილი: ამირან კალანდარიშვილი (22/05/1969), ანა კალანდარიშვილი (04/04/1971), ტარიელ კალანდარიშვილი (28/08/1972). 1993 წლის აფხაზეთის ომში, ჩემი უფროსი ვაჟი ამირან კალანდარიშვილი ომის დაწყების დღიდან მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციებში, 1993 წლის 18 სექტემბერს „კოდორის“ ხიდთან აფხაზ სეპარატისტებთან შეიარაღებული შეტაკებისას გმირულად გარდაიცვალა. ასევე, უმცროსი ვაჟი-ტარიელ კალანდარიშვილი ომში საბრძოლო ოპერაციის დროს გარდაიცვალა და მისი ცხედარი უგზოუკვლოდ დაიკარგა.

ომის დროს მე და ჩემი მეუღლე 11 თვე ტყეობაში ვიმყოფებოდით, შვილების ომში მონაწილეობის გამო მოკვლით გვემუქრებოდნენ. ერთმა ღვთისნიერმა აფხაზმა დაგვეხმარა და საზღვარზე გადაგვიყვანა. ჩემი შვილი - ანა, თავის შვილთან ერთად ბელორუსიაში წავიდა და ჩვენც მასთან ჩავედით. (ამ პერიოდში ჩემი ვაჟების ამბავი არ ვიცოდით). მხოლოდ ნახევარი წლის მერე გავიგეთ.ამ ტრაგედიის გამო მივიღე ინსულტი, ჩემმა ქმარმა კი - ინფარქტი და გარდაიცვალა კიდეც. დავასაფლავეთ ბელორუსიაში. 1996 წელს ჩემი გოგო ბავშვთან ერთად წამოვიდა საქართველოში, თბილისში. მე ქმრის საფლავის დატოვება არ მინდოდა, ამიტომაც ბელორუსიაში დავრჩი.1999 წელს ჩამოვედი თბილისში, დავსახლდი ჩემს შვილთან და შვილიშვილთან 16კვ/მ ოთახში, ნუცუბიძის მე-4 მკრ. თბილბინრემშენის საერთო საცხოვრებელში. უკვე 16 წელია ამ მისამართზე ვცხოვრობთ. რაც ჩამოვედი თითქმის ყველგან დავწერე განცხადება თხოვნით, რომ გამოეყოთ ჩემთვის კუთვნილი ფართი, როგორც ომში დაღუპულ გმირთა დედას, ვინაიდან 16კვ/მ ოთახში ყოველგვარი პირობების გარეშე, გაუსაძლისია ცხოვრება სამი სულისთვის. და არა მარტო 16 კვადრატულში, იმ 16 კვადრატულში არ არსებობს საცხოვრებლად ოდნავ მაინც მისაღები პირობები! მთავრობები იცვლება, ჩვენთვის კი ყველაფერი ძველებურად რჩება! თუ არ ვჭირდებოდით ქვეყანას, რატომ აბრძოლეს ჩემი ვაჟები და რატომ გამოგვყარეს ჩვენ ჩვენი სახლებიდან? იქაც ხომ ჩვენი მამა-პაპური მიწაწყალია, ჩვენი სამშობლოა, და რატომ გვაიძულეს 1993 წელში ხელში აგვეღო იარაღი, დავპირისპირებოდით ჩვენს ძმებს აფხაზებს და ამის შემდეგ რატომ გაგვხადეს იძულებულნი მიგვეტოვებინა ჩვენი მამული, ჩვენი სახლი და ჩვენი კარი? გამეცით პასუხი რატომ მომიკლეს ჩემი ორი ვაჟი?

P.S. “კვალის” რედაქცია ელოდება პასუხს პირადად ბატონი მინისტრისაგან, როგორ შეუმსუბუქებს სამინისტრო ამ გაუსაძლის საცხოვრებელ და საარსებო პირობებს ზეფირა კალანდარიშვილის ოჯახს?!

Interview whith the minister of Refugee Mr. David Darakhvelidze

Summary

When there is a powerness and pecuniary embarrassement in the country needless to speak about democracy. To explain it with the believe of Platon, Democracy means people’s goverement, In other words the goverement which takes care about population and people living in the country. Neither “Moqalaqeta Kavshiri” (Citizen’s Union),nor “Nacionaluri Mozraoba” (Nacional Movement) Did It.

Интервью с Дарахвелидзе Давидом

Резюме

В стране, где коренное население не имеет средств к существованию и живёт в искуственно созданной бедности, говорить о демократии обсолютно лишнее, потому что, если просто объяснить на языке Платона и по пониманию Платона, демократия - власть народа, т. е. это значит, забота государственного управления о людях, что действительно не создано для Грузинского народа гражданским союзом и националами.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

გურამ ალექსიძე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
საქართველოს სოფლის მეუნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი
თინათინ ეპიტაშვილი, უცხოეთთან ურთიერთობის უფროსი სპეციალისტი.

უაკ (UDC) 001.32:63(479.22)+001.83; ა - 483

თანამედროვე პირობებში სოფლის მეურნეობის განვითარება შეუძლებელია თუ არა გაქვს მყარი და ეფექტური ურთიერთობა საერთაშორისო კვლევით ორგანიზაციებთან. ეს ურთიერთობები უნდა ემყარებოდეს თანამედროვე კვლევის მეთოდებისა და შედეგების გაზიარებას, ერთობლივ კვლევებს, ახალგაზრდა მეცნიერთა კვალიფიკაციის ამაღლებას საერთაშორისო კვლევით ცენტრებში და სხვა.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ეფექტურად თანამშრომლობს ისეთ ორგანიზაციებთან, როგორიცაა: "იკარდა" მშრალი რეგიონების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ქ. ალეპო, სირია); "სიმიტი" ხორბლის და სიმინდის სელექციის საერთაშორისო ცენტრი (ქ. მეხიკო, მექსიკა); "იკრისატი" ნახევრად ტროპიკული რეგიონების კვლევითი ცენტრი (ქ. პატაჩერუ, ინდოეთი); "იპგრი" – ამჟამად "ბიოვერსიტი" მცენარეთა გენეტიკური რესურსების კვლევის ცენტრი (ქ. რომი, იტალია); მცენარეთა გენეტიკური რესურსების ევროპის კოოპერირებული პროგრამა (ქ. რომი, იტალია); "აცირო" მებოსტნეობის მსოფლიო ცენტრი (ტაივანი); "სიპი" კარტოფილის საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ქ. ლიმა, პერუ); ჩინეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (ქ. პეკინი, ჩინეთი); ბონის უნივერსიტეტი (ქ. ბონი, გერმანია); ვავილოვის მემცენარეობის ინსტიტუტი (ქ. სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი) და სხვა.

სასოფლო – სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლების და სელექციის ხაზით – ქართველი მეცნიერების მიერ უკანასკნელ წლებში გამოცდილი და შესწავლილი იქნა "იკარდიდან" და "სიმიტიდან" მიღებული 20 ათასამდე ერთწლოვანი კულტურების გენეტიკური ფორმა და ნიმუში. ამჟამად შექმნილი და გამოცდილია 14 საუკეთესო ჯიში, მათგან 3 ხორბლის ("აისი", დანერგილია 9000 ჰა-ზე, "მცხეთა 1", დანერგილია 6000 ჰა-ზე, "ჟინვალი", დანერგილია 1500 ჰა-ზე); ქერი – 4 ("თეთნულდი", "მცხეთა", "ბაზალეთი", "ჯვარი", სულ დანერგილია 1200 ჰა-ზე); მუხუდო – 2 ("ელექსირი" და "არაგვი", დანერგილია 70 ჰა-ზე), ოსპი – 2 ("პაბლო" და "წილკანი", დანერგილია 500 ჰა-ზე); სიმინდის ჰიბრიდები ("ქართული 9", დანერგილია 5000 ჰა-ზე, "ივერია", დანერგილია 2000 ჰა-ზე), ასევე დაპატენტებულია 2 ჯიში, 'წილკანი 4" და "წეროვანი 5", რომლებიც შექმნილია "სიმიტის" მასალის და "აჯამეთის თეთრის" შეჯვარების შედეგად. სოია -1 ("ჯვარი", დანერგილია 2000 ჰა-ზე). მათი მოსავლიანობა და მავნებლებისა და დაავადებების მიმართ გამძლეობა აჭარბებს მანამდე არსებულ ჯიშებსა და ჰიბრიდებს, საშუალოდ 30-40%-ით.

ხორბლისა და სიმინდის სელექციის ხაზით შესწავლილი იქნა 200-ზე მეტი "სიმიტის" მიერ წარმოდგენილი ჯიში და ჰიბრიდი. გამოყოფილი ჰიბრიდები რეკომენდირებულია ტენიანი და მშრალი (სარწყავი) სუბტროპიკებისათვის ზღვის დონიდან 600 მ-მდე. აღნიშნული ჰიბრიდები გადაეცა ფერმერებს შესაფასებლად.

"სიმიტის" მასალებიდან გამოიყო "შარკი" და "ნემურას" ხორბლის ორი ხაზი და გამოიცადა ლომთაგორას მეთესლეობის მეურნეობაში, საწარმოო პირობებში (სამხრეთ საქართველოს ფერმერული მეურნეობა). 2005-2006 წლებში აღნიშნული მეურნეობა იძლეოდა სტაბილურ მოსავალს 4,5 ტონა ჰა-ზე. 2007 წელს ნემურას მოსავალმა 5,8 ტონას მიაღწია, ხოლო შარკის – 6,4 ტ/ჰა., რამაც მნიშვნელოვნად (50%-ით) გადააჭარბა სხვა ჯიშების მოსავლიანობას მეურნეობაში. ამასთან დამაკმაყოფილებელი იყო ცილის შედგენილობის დონე მარცვალში. ამჟამად აღნიშნული ჯიშები გამრავლდება ფერმერულ მეურნეობებში.

"აციროსთან" ურთიერთობის გზით ჩვენი მეცნიერების მიერ მიღებული და საქპატენტში დარეგისტრირებულია: სოიას ჯიში "საბოსტნე", "მწვანეპარკიანი", პამიდორი – "საადრეო"; ბარდა – 'საბოსტნე"; ლობიო "საბოსტნე" და "მრავალმარცვალა".

მცენარეთა გენეტიკური რესურსების შესწავლის ხაზით მნიშვნელოვანი სამუშაოები ტარდება ევროპის კოოპერირებული პროგრამის ფარგლებში. უკვე წლებია, რაც ჩვენი აკადემია თანამშრომლობს ამ ორგანიზაციებთან. ქართველი მეცნიერები აქტიურად არიან ჩართულნი შესაბამისი საექსპერტო ჯგუფების მუშაობაში. საქართველოში უკვე ორჯერ ჩატარდა საერთაშორისო თათბირი – ვაზის და გოგროვანი კულტურების გენეტიკური რესურსების შესწავლისა და გამოყენების მიმართულებით, სადაც ევროპის მრავალი ქვეყნის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. ქართველი მეცნიერების აქტიურად არიან ჩართულნი ისეთი საერთაშორისო ჯგუფების მუშაობაში, როგორიცაა: ვაზი, ქლიავი, ვაშლი, ხორბალი, ქერი, ჭარხალი, გოგროვნები, ბოსტნეული კულტურები და სხვა. წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია იყო და არის ასეთი შეხვედრების, კონფერენციებისა და თათბირების ორგანიზატორი.

მცენარეთა გენეტიკური რესურსების შენახვისა და გამოყენების მიზნით მიწათმოქმედების ინსტიტუტში "იკარდას" დახმარებით 2004 წლიდან ფუნქციონირებს მცენარეთა გენეტიკური რესეურსების ბანკი, სადაც 4^0ჩ

ტემპერატურაზე ინახება მინდვრის კულტურების 4000-მდე ნიმუში. მომავალში ვიმედოვნებთ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით გენბანკის ბაზაზე ჩამოყალიბდეს მცენარეთა შენახვის გრძელვადიანი საცავი.

მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტში, "ბიოვერსიტის" დახმარებით პირველად საქართველოში შეიქმნა ყურძნის ადგილობრივი ჯიშების კოლექცია (300 კულტურული და ველური ჯიში). ამჟამად ისინი გადატანილია სხვა ადგილებში (ქართლი, კახეთი).

მომავალში გათვალისწინებულია ანალოგიური კოლექციის შექმნა ხეხილოვან და კაკლოვან კულტურებში.

"იკრისატთან" ურთიერთობა ძირითადად მიმდინარეობდა ორი მიმართულებით, ტკბილი სორგოს ჰიბრიდების შემოტანა და გამოცდით და ინსექტიციდური მცენარის "ნიმის" ჩვენს პირობებში შესწავლით. პირველ საკითხთან დაკავშირებით შემოტანილი იქნა სორგოს 6 ჰიბრიდი, რომელიც გამოიცადა აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში. გამორჩეული იქნა ორი ჰიბრიდი, რომლებიც ხასიათდებიან შაქრის მაღალი შემცველობით და რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს შემდგომში ალტერნატიული საწვავის საწარმოებლად. რაც შეეხება "ნიმის" თესლს, მისგან დამზადებული ნაყენები მაღალი რეპელენტური თვისებებით ხასიათდებიან ისეთი მნიშვნელოვანი მავნებლის მიმართ, როგორიცაა ამერიკული თეთრი პეპელა, რის გამოც მიზანშეწონილია ინდოეთიდან ამ მცენარის შემოტანა და გავრცელება დასავლეთ საქართველოს სუბტროპუიკულ ზონაში.

ასევე მნიშვნელოვანია ჩინეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან თანამშრომლობა, საიდანაც ჩვენს მიერ შემოტანილი და გამოცდილი იქნა ბოსტნეული კულტურები: პამიდორი, ჩინური ბროწეული, ჩინური კომბოსტო, გოგრა. თუმცა მათმა გამოცდამ ჩვენს პირობებში დადებითი შედეგი ჯერ-ჯერობით არ მოგვცა.

"იკარდას" დახმარებით შესწავლილი იქნა და დაინერგა აღმოსავლეთ საქართველოში ქარისმიერი ეროზიისაგან დაცვის კომპლექსური ღონისძიებები, სადაც ძირითადი ყურადღება დაეთმო ნიადაგის დამუშავებას ბელტის გადაბრუნების გარეშე და მრავალწლოვანი ბალახების ნათესებს. აღნიშნულმა ღონისძიებებმა ეკონომიკურადაც გაამართლა და ისინი დანერგილია ფერმერულ მეურნეობებში.

ასევე "იკარდასთან" თანამშრომლობით იქნა შესწავლილი და დაინერგა წარმოებაში წელიწადში მარცვლოვანი კულტურების ორი მოსავლის მიღების ტექნოლოგია წყლისა და სასუქების რაციონალურად გამოყენებით, აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში.

უკვე მეორე წელია, რაც აკადემია თანამშრომლობს ბონის უნივერსიტეტის მეცნიერების განვითარების ცენტრთან. ერთობლივად ისწავლება - ცოდნის გავრცელება სოფლის მოსახლეობაში, საკითხი განხილული იქნა შესაბამის საერთაშორისო სემინარზე, რომელიც მიმდინარე წელს ჩატარდა აკადემიაში და რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქვეყნის წამყვანმა ორგანიზაციებმა, სპეციალისტებმა, მეცნიერებმა, ფერმერებმა, აგრეთვე ბონის უნივერსიტეტის მკვლევარებმა.

აკადემია აქტიურად თანამშრომლობს რუსეთის ვავილოვის მემცენარეობის ინსტიტუტთან, რომელიც ამავე დროს არის სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელი მცენარეთა გენეტიკური რესურსების შესწავლის ხაზით, ჩატარდა რამოდენიმე ექსპედიცია ჩვენს ქვეყანაში ხორბლის და ქერის ჯიშების შესასწავლად, იაპონელ მეცნიერებთან ერთად (ოსაკას უნივერსიტეტი), ხოლო მიმდინარე წელს დაგეგმილია კოლეგების ჩამოსვლას ჰოლანდიიდან და სამხრეთ კორეიდან, სადაც გათვალისიწნებული სალათის, ისპანახის, სხვა ბოსტნეული კულტურების და ხეხილის გენეტიკური რესურსების ერთობლივი შესწავლა.

აკადემიას მომავალშიც გათვალისწინებული აქვს ერთობლივი კვლევების გაგრძელება ზემოთ აღნიშნულ ცენტრებთან, ასევე დასახულია გზები ახალი პარტნიორების მოძებნისა და მათთან თანამშრომლობის დასამყარებლად.

Relation of Georgia's Academy of Agricultural Sciences with International Organizations

Summary

Summary: The article provides information about Academy of Agricultural Sciences of Georgia`s co-operation with international organizations, such as: ICARDA, CIMMYT, Bioversity, CIP and etc. Their projects and future plans.

Guram Aleksidze, Tinatin Epitashvili

Отнащении Грузинскогои академии сельскохозяиственных наук с иностранными организациями

Резюме

В статье даиетсья информацыя об отнащении Грузинскогои академии сельскохозяиственных наук с иностранными организациями как : ICARDA, CIMMYT, Bioversity, CIP и другие. Проекты и будущие планы

Гурам Алексидзе, Тинатин Епиташвили

ომარ კაჭარავა

საქართველოს სოფლის მეურნეობის
მინისტრის მრჩეველი

უაკ (UDC) 338.436.33(479.22)(09)
კ - 367

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ტენდენციები

საქართველოს მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფის საქმეში ერთ-ერთი სერიოზული ადგილი მიეკუთვნება აგროსამრეწველო კომპლექსს და მათ შორის კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორს. იყო პერიოდი, როდესაც ქვეყნის სამრეწველო კომპლექსში კვების მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წილი სასაქონლო პროდუქციის საერთო მოცულობაში 39,5%-ს შეადგენდა. კვების მრეწველობის 22 დარგიდან ამჟამად რამდენიმე დარგი ფუნქციონირებს. ამ დარგებიდან ერთ-ერთ პრიორიტეტულ ტრადიციულ დარგს წარმოადგენს მევენახეობა-მეღვინეობა. ქართული ღვინის ღირსება, მისი ხარისხობრივი მაჩვენებლები მრავალჯერ იყო საერთაშორისო კონკურსების მიერ აღიარებული და ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე მის პოპულარიზაციას და, შესაბამისად, მეღვინეობის სფეროს განვითარებას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება. დარგის სტრუქტურულმა ცვლილებებმა მრავალი სირთულე წარმოშვა, მაგრამ ბოლო წლებში განხორციელდა საგარეო ბაზრის დივერსიფიკაცია, ერთ ბაზარზე მიბმული დარგი, 2006 წლის შემდეგ, თანდათან ამოქმედდა და დღეს ქართული ღვინის პროდუქცია 51 ქვეყანაში გადის ექსპორტზე. 2011 წელს ექსპორტზე გატანილ იქნა 22,3 მლნ ბოთლი. უნდა აღინიშნოს, რომ შიდა ბაზარზე ღვინის პროდუქციის სიჭარბემ და გარე ბაზრების დაკარგვამ გამოიწვია სანედლეულო ბაზის განვითარების დამუხრუჭება. სოფლად არსებულმა სირთულეებმა (შხამქიმიკატების სიმცირე, ყურძნის დამზადების უსისტემობა, სასოფლო-სამეურნეო მექანიზმების უკმარისობა) უარყოფითად იმოქმედა ვენახის მოვლა-შენარჩუნების პროცესებზე და ამ პრობლემების ერთობლიობამ – მევენახეობა-მეღვინეობის სფეროზე. ამ ფაქტორებიდან გამომდინარე და 2005 წლიდან, რუსეთის მიერ გამოცხადებული ემბარგოს საპასუხოდ, საქართველოს მთავრობა ყოველწლიურად ახორციელებს, დარგის შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით, მხარდამჭერ ღონისძიებებს, რამაც შესაბამისი შედეგებიც მოგვცა. რა თქმა უნდა, ეს რთული იყო, მაგრამ ქართველი მევენახეებისა და მეღვინეების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ წარმატებით გადაიტანეს ეს წლები. სახელმწიფომ ოპერატიულად დაიწყო დარგისათვის ფინანსური დახმარების განხორციელება ყურძნის წარმოება-გადამუშავების სფეროში, ღვინომასალების გამოყენებისა და რეალიზაციის საქმეში, მხარდაჭერა აღმოუჩინა მეწარმეებს საერთაშორისო გამოფენებში სისტემატური მონაწილეობისათვის, ქართული ღვინის ცნობადობის ამაღლების მიზნით. მოზიდულ იქნა ინვესტიციები უცხო ქვეყნებიდან, განსაკუთრებით რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში უნიკალური ვაზისა და ღვინის წარმოებისათვის. განხორციელდა ვენახების განახლების მიზნობრივი პროგრამები, ამ მიზნით 2009-2011 წლებში გამოიყო 25,0 მლნ დოლარი. შედეგად მევენახეობა-მეღვინეობის სფერომ გაუძლო იმ რყევებს, რაც გამოწვეული იყო რუსეთის მიერ გამოცხადებულ ემბარგოსთან დაკავშირებით. ამის შესახებ აღინიშნა კიდეც 2010 წელს საქართველოში ჩატარებული მსოფლიო ღვინის კონგრესის ფარგლებში. ქართველმა მეღვინეებმა შეინარჩუნეს ქართული ღვინის ტრადიციული ხარისხი და დღეს პროდუქციას აწვდიან ახალ ბაზრებს, რაც, ვფიქრობთ, მეტად მნიშვნელოვანი შედეგია.

ანალოგიური პროცესები მიმდინარეობს სხვა დარგებშიც. ეს გამოჩნდა ბოლო პერიოდში სხვადასხვა დარგის მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენებზე, რაც სამინისტროს მიერ იქნა ორგანიზებული. უნდა აღვნიშნოთ, რომ თანდათან გაფართოვდა გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი და, შესაბამისად, რაოდენობა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გადამამუშავებელ მრეწველობაში შეინიშნება გამოცოცხლება, წარმოების მოცულობის ეტაპობრივი ზრდა, მაგრამ ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი წარმოება ჯერ კიდევ დაბალია. უმნიშვნელოა საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების კოეფიციენტი, პროდუქციის ხარისხი ჯერ კიდევ ვერ უწევს კონკურენციას იმპორტირებულ პროდუქციას. მთლიანად 2011 წლის ბოლოსთვის გამოშვებულია 1,5 მლრდ ლარის ღირებულების

სასურსათო პროდუქცია. მაშინ, როდესაც 2010 წელს გამოშვებული იყო 1,3 მლრდ ლარის ნაწარმი.

საქართველოს ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პირველადი პროდუქციისა და სასურსათო პროდუქციის წარმოებას იმპორტჩანაცვლების დიდი პოტენციალი აქვს, რასაც ბოლო პერიოდში დიდი ყურადღება ექცევა. ბუნებრივია, ამ პროცესის თანმიმდევრულად უნდა გაუმჯობესდეს გადამამუშავებელი მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს ფაქტორი ქვეყნის საკონსერვო მრეწველობისათვის, რომლის მიერ წარმოებულ პროდუქციას ადამიანის ყოველდღიურ რაციონში სერიოზული ხვედრითი წილი გააჩნია. 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში ფუნქციონირებდა 70-მდე საკონსერვო ქარხანა, რომელიც წელიწადში 600-650 ათ.ტონა ხილ-ბოსტნეულის გადამუშავებას ახდენდა და მიღებული პროდუქცია დაახლოებით 380 მილიონი დოლარის ღირებულების პროდუქციის ექვივალენტური იყო. ამჟამად საქართველოს საკონსერვო მრეწველობაში დიდი და მცირე სიმძლავრის 12-მდე ქარხანა მუშაობს და მათ მიერ 2011 წელს წარმოებულია 17,265 ათ.ლარის ღირებულების პროდუქცია. ასეთი არასახარბიელო მდგომარეობა გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორებით, კერძოდ: თავის დროზე არასწორი პრივატიზაციის პროცესით, ფულად-საკრედიტო რესურსების სიმცირით, ქარხნების უმოქმედობის პერიოდში დაგროვილი საგადასახადო ვალდებულებებით და სხვა. ყველაფერს ამას დაემატა სირთულეები ადგილობრივი ხილისა და ბოსტნეულის წარმოების სფეროში და ერთ დროს სიცოცხლისუნარიანი დარგი თითქმის უმოქმედოა. 2004 წლიდან დარგში არსებული პოტენციალის ათვისების მიზნით გამოინახა ფინანსური რესურსები, აშენდა ახალი ქარხნები აგარაში, ქობულეთში, ხელვაჩაურში, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა საკონსერვო ქარხნებს ქ.გორში, მარნეულში, გარდაბანში. ქვეყნის საკონსერვო მრეწველობის პოტენციალი იძლევა შესაძლებლობას წარმატებით ვაწარმოოთ ბავშვთა კვებისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია. ცნობილია, რომ საერთაშორისო ბაზრებზე ყოველწლიურად იზრდება ამ პროდუქციაზე მოთხოვნა. ამ მიმართულებით მისასალმებელია ბიომეურნეობების ასოციაცია „ელკანას“ მიერ განხორციელებული სამუშაოები. იგი 200-მდე წევრს აერთიანებს და წარმატებით აწარმოებს როგორც ხილ-ბოსტნეულის კონსერვებს, ასევე მშრალი ხილის პროდუქციას. საკონსერვო მრეწველობის რეაბილიტაცია და განვითარება დიდად შეუწყობს ხელს ქვეყანაში მეხილეობის დარგის აღორძინებას, ვინაიდან სოფელში მოწეული ხილის საერთო რაოდენობიდან სავაჭრო ქსელისათვის განკუთვნილი წილის შემდეგ დარჩენილი პროდუქცია სამრეწველო გადამუშავებისათვის იქნება გამოყენებული, სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას მიღებული მოსავალი არ გაუფუჭდება და შემოსავალი გაეზრდება. საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღების ერთ-ერთ მიმართულებად შეგვიძლია განვიხილოთ ეთერზეთების მრეწველობა, რომელიც ამჟამად თითქმის არ ფუნქციონირებს ქვეყანაში, მაშინ, როდესაც არსებობს ტექნიკური კულტურების ადგილობრივი წარმოების ბაზა და გამოცდილება. აღნიშნული სფეროს რეაბილიტაცია შესანიშნავ პირობებს ჰქმნის სოფლის მოსახლეობის დასაქმების თვალსაზრისით და, რაც მთავარია, მიღებულ მზა პროდუქციას საექსპორტო პოტენციალი გააჩნია. საქართველოში მზადდებოდა ვარდის, რეჰანის, გერანის, დაფნის, ევკალიპტის, კამის, ზაფრანის და სხვა კულტურების ეთეროვანი ზეთები, ასევე კვების პროდუქტების საღებავები, ესენციები (ლიმონის, ფორთოხლის, მანდარინის), ჩაის ექსტრაქტები და სხვ. დღეისათვის მუშაობს მხოლოდ დაფნის ზეთის ერთი ქარხანა ქ.ზუგდიდში და ვარდის ზეთის ქარხანა ნაფარეულში, მაშინ, როდესაც 90-იან წლებში ქვეყანაში მუშაობდა 21 ქარხანა, რომელიც აწარმოებდა 17 მილიონი აშშ დოლარის პროდუქციას.

გარდამავალმა პერიოდმა და ტრადიციული ბაზრების დაკარგვამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ჩაის მრეწველობაზე. სერიოზული საწარმოო-ეკონომიკური და საექსპორტო პოტენციალის ჩაის დარგი კრიზისულ მდგომარეობაში ჩავარდა. მისი შესაძლებლობები ფაქტიურად 10-15%-ით არის გამოყენებული. თავის დროზე, 1980-იან წლებში, მეჩაიეობაზე მოდიოდა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულების 18% და მიღებული მოგების 40%-ზე მეტი. სამრეწველო პროდუქციის საერთო რაოდენობაში ჩაის მრეწველობის ხვედრითი წილი 12%-ს აღემატებოდა და დარგში დასაქმებული იყო 170 ათასი ადამიანი. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს დასავლეთ საქართველოს რაიონებისათვის ამ დარგის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თავის დროზე პროდუქციის რაოდენობრივმა ზრდამ ქართული ჩაის ხარისხი დააკნინა და უარყოფითად იმოქმედა მის ღირსებაზე, ხოლო ტრადიციული ბაზრების დაკარგვამ დარგის პარალიზება გამოიწვია. ამას დაემატა ის შეცდომები, რომლებიც დაშვებულ იქნა ტექნიკური პოლიტიკის განხორციელების თვალსაზრისით, კერძოდ, არც ერთი ჩაის ფაბრიკა არ აღმოჩნდა ტექნიკურად მზად, რომ ეწარმოებინა დაფასოებული პროდუქცია, რაც თანამედროვე სავაჭრო ქსელის მოთხოვნა იყო. ერთ-ერთი ძირითადი შეცდომა იყო ჩაის გადამწონი ფაბრიკების ნაადრევი პრივატიზაცია, რომლებიც შემდგომში საბითუმო საწყობებად გადააკეთეს. ამის გამო ქვეყნის შიდა ბაზარი დაიკავა სხვა ქვეყნებიდან შემოტანილმა პროდუქციამ. ეს საკითხი ერთობლივად იქნა შესწავლილი საქართველოს პარლამენტის აგრარული კომიტეტის, სოფლის მეურნეობის აკადემიისა და სამინისტროს მიერ. დაისახა შესაბამისი ღონისძიებები მეწარმეებთან ერთად. ამჟამად ქართულ ჩაის შიდა ბაზრის დაახლოებით 15% უჭირავს და მასზე მოთხოვნა დღითი-დღე იზრდება. დროის მოთხოვნებს რამდენიმე კომპანიამ დროულად უპასუხა (შპს „გეოპლანტი“, „გურიელი“, „აგროფირმა ქობულეთი“, შპს „თერნალი ჩაი“, შპს „ტონუსი“, შპს „XXI-საუკუნე“ და სხვ.), მაგრამ მიღწეული საკმარისი არ არის. ბოლო წლებში საერთაშორისო ბაზრებზე შეიმჩნევა ჩაის პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდის დინამიკა, ვინაიდან შიდა მოხმარება გაიზარდა ინდოეთში, პოლიტიკა შეცვალა ჩინეთმა, რომელმაც უფრო მეტად ელიტარული ჩაის წარმოება დაიწყო და

ამდენად, საქართველოს ჩაის მრეწველობას ეძლევა შესაძლებლობა საერთაშორისო ბაზრებზე მოიპოვოს შესაბამისი სეგმენტი. საქართველოს მთავრობა, სოფლის მეურნეობის სამინისტრო დიდ ყურადღებას უთმობენ დარგის განვითარების საკითხებს, ჩაის მრეწველობის პროდუქცია ხშირად იგზავნება საერთაშორისო გამოფენებზე, სამინისტროს, მეჩაიეთა ასოციაციის თანამშრომლობით ჩატარდა რამდენიმე გამოფენა-გაყიდვა, მეცნიერების თანამონაწილეობით ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, საერთაშორისო ინვესტორებთან სისტემატურად განიხილება ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის საკითხი. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად სხვადასხვა უარყოფითი ფაქტებისა, დადებითი შედეგი იქნა მიღებული პლანტაციების შენარჩუნების მიზნით. წინა წლებში მთავრობის მიერ გამოიყო ფინანსური დახმარება 22,0 მლნ ლარი, პლანტაციების რეაბილიტაციისა და ექსპორტის ხელის შეწყობის მიზნით, მაგრამ ყველა მეწარმემ არ გამოიყენა მიზანმიმართულად სახელმწიფოს ეს დახმარება. ვფიქრობთ, რომ ჩაის დარგს გააჩნია განვითარების რეალური შესაძლებლობა და საქართველოს მეჩაიეთა ასოციაციას ამ თვალსაზრისით სერიოზული პასუხისმგებლობა აკისრია. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ სერიოზული თვისობრივი ცვლილებები გამოიწვია კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სტრუქტურაში, დარგობრივი პრიორიტეტების განსაზღვრის თვალსაზრისით. თანამედროვე ეტაპზე მინერალური და ნატურალური წყლების წარმოება, რიგი უპირატესობების გამო, მოწინავე პოზიციას იკავებს საქართველოს ეკონომიკაში. ეს უპირატესობებია: ნედლეულის ბუნებრიობა, სიუხვე, სიიაფე, სტაბილურობა, განახლებადობა, არასეზონურობა, მაღალი ხარისხი და აქედან გამომდინარე კონკურენტუნარიანობა და, რაც მთავარია, დაბანდებული კაპიტალის უკუგების მოკლე პერიოდი. რაც მთავარია, საქართველო გეოგრაფიულად მდებარეობს იმ რეგიონის შუაგულში, რომელსაც სასმელი წყლის დეფიციტი არ ემუქრება. 1997 წელს საქართველოს საექსპორტო ბალანსში მინერალურმა წყალმა პირველი ადგილი დაიკავა და 10% შეადგინა. გაფართოვდა ასორტიმენტი, ათვისებულ იქნა დაბალი მინერალიზაციის წყლები, რამაც მეტი ბიძგი მისცა ქართული მინერალური წყლების რეალიზაციის პროცესს. საბაზრო სივრცის დაბრუნებისა და ხელახალი ათვისებისათვის სერიოზული მუშაობა ჩაატარეს ისეთმა ცნობილმა კომპანიებმა, როგორიცაა: მინისა და მინერალური წყლების კომპანია „ბორჯომი“, შპს „ნაბეღლავი“, შპს „საირმე“, შპს „კოკოტაური“ და სხვ. შედეგად ქართული მინერალური წყლების ტრადიციული ბაზრების გარკვეული სეგმენტი უკვე ათვისებულია და ამჟამად ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს ახალი ბაზრების ათვისებისათვის. ზოგიერთი წყლის რეალიზაციის მასშტაბებმა გადააჭარბა რუსეთის ბაზარზე ადრეულ წლებში გატანილ რაოდენობას. 2011 წელს ექსპორტზე გატანილი მინერალური და მტკნარი წყლის საერთო ღირებულება შეადგენდა 47 ათ. აშშ დოლარს, მაშინ, როდესაც 2010 წელს ექსპორტზე გადაიტვირთა 30 ათ. აშშ დოლარის ღირებულების მინერალური და მტკნარი წყალი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მინერალური წყლების რეალიზაციის მასშტაბების გაზრდას ხელს უშლის ამ სფეროში ფესვგადგმული ფალსიფიკაცია, რაც სერიოზულად არღვევს ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობას. საბაზრო სივრცის მარკეტინგული ანალიზი მოწმობს, რომ ფალსიფიცირებული პროდუქციის რაოდენობა მნიშვნელოვანია. ამ მიმართულებით აუცილებელია უცხოეთის ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარება და გააქტიურება, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ყველა საჭირო ბერკეტის გამოყენება და სხვადასხვა სახელმწიფო უწყების შეთანხმებული თანამშრომლობა.

გადამამუშავებელი მრეწველობის ერთ-ერთი სერიოზული დარგია პურპროდუქტების მრეწველობა, რომელიც მოსახლეობისათვის პირველადი მოთხოვნილების პროდუქტს აწარმოებს. ამ სფერომ შეძლო გადაეტანა გარდამავალი პერიოდის და საქართველოში განვითარებული 90-იანი წლების მოვლენების მთელი სირთულეები.

პურპროდუქტების დარგში საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად გარდაქმნები 1990-95 წლებში დაიწყო. თავისუფალი ბაზრის პრინციპების დამკვიდრებამ, პრივატიზაციის პროცესმა ხელი შეუწყო მეწარმეთა გააქტიურებას და ბაზრის დივერსიფიკაციას. ამასთანავე თავი იჩინა უარყოფითმა სიმპტომებმაც, რაც ჩრდილოვანი ეკონომიკის კუთხით გამოიკვეთა და სერიოზულ უარყოფით გავლენას ახდენდა საბიუჯეტო შემოსავლებზე. მიახლოებითი გათვლებით ყოველდღიური აღრიცხვის სისტემაში არ იყო მოქცეული 250-300 ტონა პურ-ფუნთუშეული, ვინაიდან სტატისტიკით 2000 წელს 109,4 ათ.ტონა პური გამოცხვა საქართველოში და აქედან გამომდინარე, ერთ სულზე მხოლოდ 65 გრამი მოდიოდა, მაშინ, როდესაც ფიზიოლოგიური ნორმით ერთ სულზე მოხმარება 350 გრამს შეადგენს დღეში. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მკაცრ კონტროლზე იქნა აყვანილი როგორც ხორბლისა და ფქვილის იმპორტი, ასევე პურის შიდა წარმოების რეჟიმი, რამაც თვალნათლივ დაგვანახა შედეგები. მნიშვნელოვნად გაიზარდა ხორბლის დაფიქსირებული იმპორტი, ფქვილისა და პურის ადგილობრივი წარმოება. ქვეყნის პურპროდუქტების რესურსებით უზრუნველყოფის საკითხს როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური დატვირთვა გააჩნია. საქართველო ტრადიციულად ახორციელებს ხორბლის იმპორტს. ქვეყანას აქვს შესაძლებლობა, რომ გააორმაგოს ხორბლის ადგილობრივი წარმოება და შეამციროს ამ მიზნით ქვეყნის გარეთ სავალუტო რესურსების გადინება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიდგომას ჰყავს ოპონენტებიც, რომლებიც ამჯობინებენ მცირემიწიან საქართველოში უფრო მაღალრენტაბელური პროდუქციის ადგილობრივი წარმოების განვითარებას. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ პურპროდუქტების მნიშვნელობის გამო, ვინაიდან პური არის პირველადი მოთხოვნილების პროდუქტი, ქვეყანას ყოველთვის უნდა გააჩნდეს სასურსათო ხორბლის საკმარისი რეზერვი. ეს კარგად გამოჩნდა 2008 წლის აგვისტოს თვეში. ამდენად, სასურსათო უსაფრთხოების

თვალსაზრისით ქვეყანაში რესურსების არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს პრობლემა წარმატებით იქნა გადაჭრილი სახელმწიფოს და კერძო სექტორის ურთიერთთანამშრომლობით. მარცვალგადამამუშავებელთა ასოციაცია „გლობალ-აგროსთან" გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, დარგის ეკონომიკური პოლიტიკის კორექტირებით, ქვეყანაში მიღწეულია ხორბლის საკმარისი მარაგის არსებობა. ამას დაემატა შპს „აგრიკომის" მიერ ქ.ფოთში ხორბლის ახალი ტერმინალის აშენება და დღეს საქართველოს მოსახლეობა სრულად არის მომარაგებული პურპროდუქტების 3-თვიანი მარაგით. ეს დადებითი ფაქტორია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით. ქ.ფოთის ეკონომიკურ ზონაში მიმდინარეობს ახალი წისქვილკომბინატის მშენებლობა, რაც ახალი საწარმოო სიმძლავრეებით სტიმულს მისცემს საქართველოდან ფქვილის ექსპორტის განხორციელების შესაძლებლობას. პერსპექტივაში საქართველოს ტერიტორიიდან ტრანსკავკასიური კორიდორით გვექნება საშუალება მოვახდინოთ ხორბლისა და ფქვილის რეექსპორტი, რაც მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც ეს იქნება ალტერნატიული გზა შუა აზიის რესპუბლიკებისათვის ევროპისა და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ბაზრებისაკენ. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გადამამუშავებელი სექტორის განვითარების ტენდენციები იმედისმომცემია და რაც მთავარია, კვებისა და გადამამუშავებელი სექტორის რეაბილიტაცია და განვითარება იმითაც არის აუცილებელი, რომ განსაკუთრებულია მისი მნიშვნელობა ექსპორტის გაფართოების თვალსაზრისით.

ქვეყნის საგარეო ვაჭრობაში უარყოფითი სალდო დაფიქსირებული, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ცენტრალიზებული სისტემის დეინტეგრაციის შედეგებს, გარდამავალი პერიოდის არასტაბილურ და არათანმიმდევრულ განვითარებას, ახალ საერთაშორისო ბაზრებზე ქართული პროდუქციის დამკვიდრების პროცესის სირთულეებს, ნათელი გახდება, რომ საქართველოს აგროსამრეწველო სექტორს სერიოზული ამოცანები აქვს გადასაჭრელი. გასაგებია, რომ ერთდროულად ყველა ამოცანას ვერ მოვაგვარებთ, მაგრამ მთავარია საქმე დავძრათ გაყინული წერტილიდან. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სავალუტო რესურსების შემომტანი მიმართულებებისათვის ხელშეწყობა (მევენახეობა-მეღვინეობა, მეხილეობა-საკონსერვო მრეწველობა, ჩაის მრეწველობა, ციტრუსისა და ეთერზეთოვანი კულტურების წარმოება და გადამუშავება). ამისათვის მზად არის საქართველოს მთავრობა და, ვფიქრობთ, დარგის პირველად რგოლებთან – მეწარმეებთან ინტენსიური თანამშრომლობა, დადებით შედეგებს აუცილებლად მოგვცემს. ზემოთქმულის საფუძველს გვაძლევს ის ფუნდამენტური აქსიომა, რომ საქართველოში არსებობს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მოცულობის ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი. არაერთხელ აღინიშნა, რომ მიწის რესურსების სწორი განაწილების, ირიგაციის სისტემების რეაბილიტაციითა და გაფართოებით, ფულად-საკრედიტო რესურსებით სარგებლობის პირობების გაუმჯობესებით, გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი მიღწევების და თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების დანერგვის შემთხვევაში, პროდუქციის გაორმაგების შესაძლებლობა რეალურია. თანამედროვე ეტაპზე წინა პლანზე წამოიწევა საკითხი ბიზნესის მომგებიანობის შესახებ, რაც უკავშირდება ბაზრის შესაძლებლობების ზრდას. ამდენად, ქართველ მეწარმეს, ფერმერს შეიძლება გააჩნდეს მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების ყველა საშუალება, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მან კარგად უნდა იცოდეს მიღებული პროდუქციისათვის შესაბამისი ბაზრის თავისებურებები, თუ რამდენად ეფექტურად და მომგებიანად უნდა მოხდეს მისი რეალიზაცია. თანამედროვე ეტაპზე მეწარმისათვის ერთ-ერთი ურთულესი საკითხია საბაზრო სივრცეში და მის პროცესებში გარკვევა და ორიენტირება, განსაკუთრებით საერთაშორისო ბაზრების შემთხვევაში, ეს ფაქტორი მაშინაც კი თამაშობს დიდ როლს, როდესაც საქმე ადგილობრივ ბაზარს ეხება. ამისათვის საჭიროა წარმოების სფეროში დასაქმებულთა სათანადო საინფორმაციო საშუალებებით უზრუნველყოფა (ინტერნეტ საინფორმაციო ქსელის შექმნა, ლექსიკონი, ცნობარი პრაქტიკული რჩევებით და სხვ.) საქართველოს მთავრობა ქვეყანაში ახორციელებს ლიბერალური ეკონომიკის პოლიტიკას და საქართველო გახდა მსოფლიო თანამეგობრობის ერთ-ერთი ნაწილი. აქედან გამომდინარე, ყოველდღიურად დივერსიფიცირებული ხდება ადგილობრივი ბაზარი და ეს პროცესი უფრო და უფრო გლობალური ხასიათის იქნება. ამჟამად უცხოეთიდან შემოტანილი სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი აღწევს ყველაზე მიუდგომელ დასახლებულ პუნქტებში და ამის გამო, ადგილობრივი მეწარმის პროდუქციისათვის მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა პროდუქციის ხარისხი და ფასი. ადგილობრივმა მეწარმემ, რომ გაყიდოს პროდუქციის გაზრდილი რაოდენობა მისთვის მისაღებ ფასებში, უნდა დააკმაყოფილოს სხვადასხვა მოთხოვნები. ასე მაგალითად, მან უნდა შეძლოს ახალი ბაზრების მოძიება, ტრადიციულ ბაზრებზე მოპოვებული სეგმენტის შენარჩუნება და მისი გაფართოება, ახალი, პერსპექტიული პროდუქტების წარმოების ათვისება, რომლებიც მოთხოვნადია თანამედროვე ბაზარზე და სხვ. ბაზრების გაფართოების პერსპექტივა ხელმისაწვდომია საქართველოს აგრო-სამრეწველო სექტორისათვის, თუმცა, ამ შემთხვევაში აუცილებელია გარკვეული მხარდაჭერა. კაპიტალიზაცია ხშირად მოითხოვს გამოცდილებას, ორგანიზებას და ინიციატივებს, რაც ბევრი ადგილობრივი მეწარმისათვის მიუწვდომელია გარედან დახმარების გარეშე. ამ თვალსაზრისით თვალსაჩინო და ხელშესახები შედეგები გვაქვს მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში. სახელმწიფო მხარდაჭერამ რეალური შედეგი მოგვცა, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა მევენახეობის სტაბილური განვითარება და ქართული ღვინის პროდუქციის პოპულარიზაცია და საერთაშორისო ახალ ბაზრებზე შეღწევის დადებითი ტენდენციები. ახალი ბაზრების ათვისებისათვის აუცილებელია დაძლეულ იქნეს ქვეყნის

აგრო-სამრეწველო სექტორის წინაშე მდგარი სირთულეები:

- წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ბაზრებისთვის.
- ინფორმაციის ნაკლებობა, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ბაზრების თავისებურებების შესახებ, განსაკუთრებით კონკურენტი ქვეყნების მიერ წარმოებულ პროდუქციაზე.
- პროდუქციის მიწოდების ფრაგმენტულობა, რომელიც ართულებს და აძვირებს კონსოლიდაციისა და ხარისხის კონტროლის პროცესებს.
- მეწარმეებს და ფერმერებს, შემფუთავებს, გადამამუშავებლებსა და რეალიზატორებს შორის თანამშრომლობის ტრადიციების არ არსებობა.
- ორგანული წარმოების, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და სურსათის უვნებლობის მონიტორინგის ჯერ კიდევ არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა და ზედამხედველობა, რაც პერსპექტივაში გახდება აუცილებელი ევროკავშირისა და სხვა განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე პროდუქციის ექსპორტისთვის, თუმცა ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით, მთავრობის დავალებით, ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს შესაბამისი სამსახურების მიერ.
- რეალიზატორთა კოოპერატივების და ფერმერთა ნებაყოფლობითი გაერთიანებების შექმნისა და ჩამოყალიბების მიზნით, არსებული საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია.
- კონსოლიდაციის, რეალიზაციისა და დასაწყობების ოპერაციების დაფინანსებისთვის საინვესტიციო კრედიტის მაღალი ფასი და, ამავე დროს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ცივად და მშრალად შენახვის შეზღუდული შესაძლებლობები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და, ამასთან ერთად, სუსტად განვითარებული საბითუმო ბაზრები და ლოჯისტიკური ცენტრის უქონლობა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საქართველოს აგრო-სამრეწველო სექტორის განვითარებისათვის შემაფერხებელი ფაქტორებია. საზოგადოებაში მუსირებს მოსაზრება, რომ საქართველოს ხელსაყრელი და გეოგრაფიულად სტრატეგიული ადგილმდებარეობა უჭირავს ძირითად ბაზრებზე გასვლისა და საზღვაო გადაზიდვების თვალსაზრისით და, რა თქმა უნდა, ეს ფაქტორი დადებითია ადგილობრივი პროდუქციის წარმოებისათვის. ჩვენდა გასაკვირად, საერთაშორისო ექსპერტები, ხშირად გვეუბნებიან, რომ ასეთი მიდგომა სიმართლეს შეესაბამება, იმ შემთხვევაში, როდესაც საუბარია სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებზე და სარკინიგზო მაგისტრალის „ტრასეკა“-ს არსებობაზე. აგრო-სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და მისი კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა არცთუ ისეთი მომგებიანია. საქართველოს შავი ზღვის აკვატორია აძლევს ერთგვარ უპირატესობას, მაგრამ სხვადასხვა სირთულის გამო იგი მთელი სავაჭრო წლის მანძილზე მაინც ვერ ახერხებს თავისი პროდუქციის გატანას და ამასთანავე ხაზგასასმელია, რომ მას უამრავი კონკურენტი ჰყავს ევროკავშირისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების სახით, რომლებსაც კარგი მდებარეობა უჭირავთ ყველა ამ ქვეყნის (დსთ-ს ქვეყნების გარდა) ბაზრებთან დაკავშირებით. ტრანსპორტირების პერსპექტივების გათვლისწინებით შესაძლებელია საქართველოსთვის პროდუქციის რეალიზაციისათვის მისაღები ბაზრები იყოს აღმოსავლეთისა და სამხრეთის ბაზრები, თუმცა ამ რეგიონის ბაზრები შეზღუდული შესაძლებლობისაა და, ამავე დროს, მათი უშუალო მეზობლებიც აწარმოებენ ივივე პროდუქციას, რასაც საქართველო.

საბოლოოდ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა აგრო-სამრეწველო პროდუქციის მსხვილ ბაზრებზე ტრანსპორტირებისათვის არცთუ ისე ხელსაყრელია. აქედან გამომდინარე, ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად, საქართველომ უნდა აწარმოოს პროდუქცია უფრო იაფად, ხარისხიანად და მოკლე ვადებში, ვიდრე მისი კონკურენტები. ვფიქრობთ, რომ ეს შესაძლებელია, რადგანაც მსგავსი მაგალითები მსოფლიოში გვაქვს, კერძოდ, ჩილე, ავსტრალია, ახალი ზელანდია, აფრიკის ზოგიერთი ქვეყნები ტრანსპორტირების თვალსაზრისით მეტად არახელსაყრელ ვითარებაში არიან, მაგრამ ბოლო წლების შედეგებით მათ წარმატებული ნაბიჯები გადადგეს თავისი აგროსექტორის განვითარების მიმართულებით. ყოველივე ამის გათვალისწინებით საჭიროა სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამშრომლობა, უცხოელი დონორების დახმარება და ეტაპობრივად აღნიშნული პრობლემების მოგვარება. წინა წლებში საქართველოს აგრო-სამრეწველო სექტორში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამა რიგი დარგების რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნით. ბოლო წლებში ასეთი პრაქტიკა შეცვლილი იქნა და აქცენტი გადატანილია საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვაზე, რასაც ქვეყნის მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს. საქართველომ აქტიურად უნდა გამოიყენოს ის საერთაშორისო ხელშეკრულებები ან შეთანხმებები, რომლებიც არეგულირებენ აგრო-სამრეწველო სფეროს სუბსიდირების პრობლემატიკას. განსხვავებული მდგომარეობაა იმ ქვეყნებში, რომელთა ბაზრებზეც საქართველოს პოტენციურად შეუძლია შეიტანოს თავისი პროდუქცია ან გაუწიოს კონკურენცია. ზოგიერთ ქვეყანაში, რომლებიც საქართველოს მეზობლად მდებარეობენ, სოფლის მეურნეობის სფერო, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გზით, სერიოზულად არის სუბსიდირებული. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) დოჰას 2001 წლის VI კონფერენციაზე განხილული საკითხების თაობაზე გამართულ შეხვედრაზე 2005 წლის დეკემბერში, ჰონგ-კონგში, სოფლის მეურნეობის მინისტრები შეთანხმდნენ, რომ 2013 წლამდე ექსპორტის სუბსიდიის ყველა ფორმა უნდა გაუქმდეს. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ განვითარებული ქვეყნები 2008 წლიდან შემოიღებენ უბაჟო და კვოტებისაგან თავისუფალ სავაჭრო რეჟიმს, რათა ხელი შეუწყონ ვმო-ს 32 ნაკლებად განვითარებულ ქვეყანას, ბაზრის

ხელმისაწვდომობაში. ასევე მიღებულ იქნა სხვა შეთანხმებებიც. არის პროგნოზი, რომ ევროკავშირში აგრარული სტრატეგიის რეფორმები და მიღებული გადაწყვეტილებები სრულად განხორციელდება, პარალელურად შემცირდება ან გაუქმდება სუბსიდიები აგროპროდუქციის ექსპორტზე. ვმო-ს და ევროკავშირის მიერ განხორციელებული ღონისძიებები, შესაბამისად, გამოიწვევს მსოფლიო სურსათის ფასების ეტაპობრივ ზრდას, რადგანაც სუბსიდიის გაუქმება გამოიწვევს არაეკონომიური, ე.ი. ზარალიანი პროდუქციის რაოდენობის შემცირებას, მაშინ, როდესაც მასზე იარსებებს მოთხოვნა. ასეთ ვითარებაში ქართულ პროდუქციას ფასებზე კონკურენციის მეტი შესაძლებლობა ექნება, ე.ი. მისი კონკურენტუნარიანობა გაიზრდება, როგორც ადგილობრივ, ისე საექსპორტო ბაზრებზე. გარდა ამისა, არსებობს სხვა ფაქტორები (სუფთა ჰაერი, ბიო-საწვავი, ნარჩენების პრობლემა, ცხოველთა კეთილდღეობა, გარემოს დაცვის ღონისძიებები), რომლებიც შეამცირებენ სასურსათო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის რაოდენობას. ასე რომ, პერსპექტივაში ყველა ეს ცვლილება ხელსაყრელი იქნება საქართველოს აგრო-სამრეწველო სექტორისათვის. რა თქმა უნდა, ეს იმ შემთხვევაში, თუ ის მოახერხებს ამ უპირატესობის ეფექტიანად გამოყენებას. თანამედროვე მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები და ექსპერტები ვარაუდობენ, რომ XXI საუკუნის გლობალურ პრობლემათა შორის კაცობრიობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. საერთაშორისო შეხვედრებზე, სადაც საკითხი აგრო-სამრეწველო სექტორს ეხება, უკვე ხმამაღლა საუბრობენ, რომ 2050 წლისათვის მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში შიმშილის პრობლემა იჩენს თავს. ასეთ ვითარებაში აგრარული ქვეყნების ვალდებულებაა მაქსიმალურად გამოიყენონ მათთან არსებული პოტენციალი სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რაოდენობის ზრდის თვალსაზრისით. გაერთიანებული ერების ასამბლეის გენერალურმა მდივანმა ვან პინ გუმმა ამ პრობლემას სპეციალური შეხვედრა მიუძღვნა და მსოფლიო აგრარული სექტორის ქვეყნების მეთაურებს მოუწოდა ერთობლივი თანამშრომლობისაკენ. საქართველოს მთავრობამ სოფლის მეურნეობის სფერო გამოაცხადა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. 2012 წელს, 2011 წელთან შედარებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი გაიზარდა 60 მლნ ლარით. ინტენსიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა ფინანსურ ჯგუფთან ამ სფეროში ინვესტიციების განხორციელების მიზნით. თითქმის ყველა რეგიონში დაწყებულია ხილ-ბოსტნეულის შემნახველი სამაცივრო და სასაწყობო შენობა-ნაგებობების მშენებლობა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასათბურე მეურნეობების მოწყობას და მარცვლოვანი კულტურების ადგილობრივი წარმოების გადიდებას. ამ პრობლემების მოგვარების მიზნით საქართველოს აგრო-სამრეწველო სექტორში კიდევ ბევრი ღონისძიებაა განსახორციელებელი, როგორც ტექნიკური, ისე ორგანიზაციული ხასიათის. საკითხი ეხება სასელექციო, მელიორაციისა და ირიგაციის სფეროებს, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების პრობლემებს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საკითხს, გადამამუშავებელი სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას. ეს საკითხები ორგანულად უკავშირდებიან ერთმანეთს. მკითხველის საყურადღებოდ აღვნიშნავთ, რომ ერთ სტატიაში რთულია მოათავსო ქვეყნის აგრო-სამრეწველო სექტორში დღეს არსებული პრობლემატიკა, ვინაიდან ეს ტევადი მასალაა. მნიშვნელოვანია, რომ დღეისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემუშავებული აქვს დარგის განვითარების პერსპექტიული სტრატეგია, რომელიც მოამზადა ახალგაზრდა სპეციალისტების საინიციატივო ჯგუფმა. მასში მოცემულია ძირითადი მიმართულებების ოპტიმალური გზები, რათა სრულად იქნეს ამოქმედებული ქვეყნის აგრარული სექტორის პოტენციალი. ამისათვის გამოყენებულ იქნა სამეცნიერო-კვლევითი მასალა, რომელიც დამუშავებულია ქართველი მეცნიერების მიერ. შესწავლილია უცხო ქვეყნების გამოცდილება. ჯგუფთან ერთად აქტიურად მუშაობდნენ საერთაშორისო ექსპერტები, გამოცდილი სპეციალისტები და ვფიქრობთ, მთავრობის მიერ მიღებული აგროსამრეწველო სექტორის განვითარების პროგრამა საქართველოს ეკონომიკას მნიშვნელოვან წარმატებას მოუტანს.

Developement tendences of georgian agroindustrial complex

Summary

Agroindustrial complex with nutrition and food procesing sector is a main source in providing georgian population with food stuffs. From 22 branches in food procesing sector nowdays are functioning several of them.One of the prior and traditional branch is viticulture and wine making. The quality of georgian wine many times were recognized by international competitions, and It is important to develop viticulture and wine making in our country and populiraze georgian wine pruducts.

Omar Kacharava

Тенденции развития Грузинского агропромышленного комплекса.

Резюме

В деле обеспечения продуктами питания населения Грузии, серёзное место принадлежит агропромышленному комплексу и в том числе продуктам питания сектора обрабатывающей промышленности. Был период, когда в промышленном комплексе страны в пищевой промышленности, доля от общего объёма товарной продукции составила 39.5% из 22 отраслей пищевой промышленности, теперь функционирует только несколько. одним из приоритетных направлении, в традиционних областях является виноградство-виноделие. Достоинство грузинских вин и их качественные показатели на многих международных конкурсах были признаны. Исходя из национальных интересов страны, её популяризации и соответственно развитию винодельческой отрасли, уделяется первоначальное значение.

Омар Качарава

თამაზ იმედაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

უაკ (UDC) 633.72(479.22)(09)
ი - 472

საქართველოში მეჩაიეობის განვითარებისათვის

მოკლე ექსკურსი ჩაის კულტურის საქართველოში გავრცელების თაობაზე. ცნობილია, რომ 1842 წელს ყირიმში ნიკიტინის ბაღში არსებული ჩაის ნერგი, სადაც იგი ვერ განვითარდა, შეუფერებელი გარემო პირობების გამო, გადმოიტანეს სოხუმის ბოტანიკურ ბაღში. დაკვირვებამ ცხადყო, რომ საქართველოში ამ კულტურის განვითარებას რეალური საფუძველი ჰქონდა. შემდეგ სოხუმის ბოტანიკური ბაღიდან ჩაის ნერგები გადმოიტანეს ზუგდიდში (დადიანების ბაღში), ოზურგეთში (გურიელის ბაღში) და ჩოხატაურში (გორაბერეჟოულში, ერისთავის მამულში).

ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ 1887 წელს მიუთითებდა, რომ "ამერკავკასიის ჰავისა და მიწის სიკეთით შესაძლებელია თითქმის ყოვლისფერი, ქინაქინის ხე და ჩაის ბუჩქიც კი გამოზარდა ჩვენმა ქვეყანამ".

სამამულო წარმოების ნედლეულიდან პირველი მზა ჩაი კუსტარული წესით მიიღო მიხეილ ერისთავმა 1864 წელს. ის იყო ჩაის მზა ნაწარმის შიდამრეწველურად დამზადების პირველი ცდა საქართველოში, და მაშასადამე, რუსეთშიც, რამდენადაც მანამდე რუსეთის იმპერიაში ანალოგიურ ცდას ადგილი არ ჰქონია. ამით შეიქმნა ყველა წინაპირობა იმისათვის, რომ მეჩაიეობას სამრეწველო ხასიათი მისცემოდა.

პირველი სამრეწველო დანიშნულების ჩაის პლანტაცია ჩაქვში 0.5 ჰექტარზე 1885 წელს გაშენდა. 1893 წელს კი ჩინეთიდან, იაპონიასა და ინდოეთიდან შემოტანილი ნერგებით ჩაის პლანტაციები გაშენდა როგორც ჩაქვში, ასევე სალიბაურში, თავდაპირველად 15 ჰექტარზე, ხოლო შემდეგ 155 ჰექტარზე. ასევე სოფელ სალიბაურში 1898 წელს ააშენეს ჩვენს ქვეყანაში პირველი ჩაის ფაბრიკა, სადაც ამავე წელს დაამზადეს 5200 კგ. სამამულო ჩაი, შემდგომ წლებში ჩაის ფართობების რაოდენობა პროპორციულად იზრდებოდა, ხოლო 1929 წელს მან 3,5 ათას ჰექტარს მიაღწია.

80-იან წლებში საქართველოში ჩაის პლანტაციების გაშენების რაოდენობამ 60 ათას ჰექტარს გადააჭარბა, მწვანე ფოთლის დამზადება კი 450-550 ათას ტონას შეადგენდა. საიდანაც 120-130 ათასი ტონა ჩაის მზა პროდუქცია საექსპორტოდ იგზავნებოდა. დარგში ფუნქციონირებდა 144 ფაბრიკა, აქედან 22 მეორადი გადამწონი იყო, რომელიც აღჭურვილი იყო მაღალი დონის (ინგლისური) მანქანა-დანადგარებით. მეჩაიეობაში დასაქმებული იყო 170-180 ათასი ადამიანი, რომელთა ოჯახების ცხოვრების დონე უშუალოდ უკავშირდებოდა დარგის მაღალი პროდუქციის ღირებულების 18% და მიღებული მოგების 40%, ქვეყანაში წარმოებული სამრეწველო პროდუქციაში მეჩაიეობის წილი 12% აღემატებოდა. დაახლოებით ამდენივე იყო მისი ხვედრითი წილი ქვეყნის ეროვნულ შემოსავალშიც. დარგში იქმნებოდა საბიუჯეტო შემოსავლების თითქმის მეოთხედი. დღეს არსებული საკონტრაქტო ფასების მიხედვით 80-იან წლებში ქართულ ჩაიზე საექსპორტო მაჩვენებელი 120-130 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. ძირითადად ქართული ჩაის პროდუქციის 98% ოდენობით იგზავნებოდა რუსეთში და მოკავშირე რესპუბლიკებში, რითაც საქართველო ჩაის მწარმოებელ ძირითად რესპუბლიკად გადაიქცა. მთელს მაშინდელ საბჭოთა კავშირში მეჩაიეობას ემსახურებოდა უდიდესი პოტენციის მქონე სასწავლო, სამეცნიერო კვლევითი, საცდელი და ექსპერიმენტალური დაწესებულების ფართო ქსელი, საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერთა პლეადა, აგროეკონომიკური და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, რაც მთლიანობაში უდიდეს ინტელექტუალურ ძალას წარმოადგენდა. აღნიშნულ წლებში დაინერგა ჩაის სხვადასხვა პროდუქციის კონცენტრანტების, ხსნადი ჩაისა და გრანულების წარმოება. გადაწყვეტილი იყო ჩაის ფოთლის კრეფის მექანიზაციის საკითხი. ჩაის საკრეფი მობილური მანქანა პირველად საქართველოში შეიქმნა. ჩაის პლანტაციების მოვლისა და კრეფის მექანიზაციის დონემ 28-30% მიაღწია. მობილური მანქანებით იკრიფებოდა 14-16 ათას ჰექტარზე, ხოლო ხელით სასხლავი და საკრეფი აპარატები გამოიყენებოდა 14 ათას ჰექტარზე.

ჩაის მრეწველობის საწარმოებში გადადგმული იქნა ახალი პროგრესული ნაბიჯები. დადგმული იქნა ჩაის ახალი სადნობი, საგრეხი და საშრობი აგრეგატები. 90-იან წლებში განვითარებულმა უმართავმა, გლობალურმა პროცესებმა და მომხვეჭელობის ფსიქოლოგიამ, მკვეთრად შეამცირა ჩაის კრეფა და გადამუშავება, მისი ექ-

სპორტი. დღეს ჩვენს ქვეყანას და ხალხს მეტად რთული ამოცანების გადაწყვეტა მოუხდება – ტყუილად როდი ამბობენ ჩინელები, თუ ადამიანობის დაწყევლა გინდა, დიად გარდაქმნათა ეპოქაში უნდა უსურვო დაბადებაო. ჩვენ ახლა სწორედ ასეთი რადიკალური გარდაქმნების დროს გვიხდება ცხოვრება.

მეჩაიეობაში კრიზისი უეცრად არ დაწყებულა. მოსახლეობის რეალური შემოსავლების შემცირების ტენდენცია 70-იანი წლების ბოლოდან ჩამოყალიბდა და ყოველწლიურად 3-5%-ს შეადგენდა. წელიწადში ყოფილი სსრკ-ის მოსახლეობა ერთ კვარტალში შემოტანილი პროდუქტებით იკვებებოდა. თუ 1961-1970 წლებში საქართველოში ეროვნული შემოსავლების საშუალო წლიური ტემპი 7%-ს შეადგენდა, 1979-1980 წლებში იგი 6,5%-მდე, ხოლო 1981-1990 წლებში 1,6%-მდე შემცირდა.

თანამედროვე კრიზისს ღრმა ფესვები გააჩნია. 80-იან წლებში მას სტრუქტურული ხასიათი ჰქონდა, ხოლო 90-იანი წლების დასაწყისიდან მან საყოველთაო სისტემური ფორმა მიიღო, რომელმაც მოიცვა სახალხო მეურნეობის მაპროფილებელი დარგები, მათ შორის მეჩაიეობა. დარგში მოხდა სერიოზული სტრუქტურული დეფორმაცია, აღწარმოებისა და ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში; დარგში განაწილებითი ურთიერთობების სისტემის კრიზისმა შრომის ანაზღაურებამ პრაქტიკულად დაკარგა კავშირი წარმოების შედეგებთან, მეჩაიეობის რაიონებში გაღრმავდა მოსახლეობის დეპოპულარიზაციისა და ნაციონალური გენოფონდის მკვეთი შემცირების ტენდენცია. მთლიანად დარგში თანდათან ყალიბდებოდა კრიზისის განვითარების ტენდენციები, რომლებიც შემდეგ დეპოლტში გადაიზარდა; სხვა რეგიონებისგან განსხვავებით მეჩაიეობის რაიონებში კაპიტალების დარგთაშორისი ეფექტიანი გადაადგილება არ მომხდარა.

კრიზისულმა მოვლენებმა პიკს მიაღწია ბოლო 15 წლის მანძილზე, ჩაის ფოთლის კრეფა საქართველოში 11,6-ჯერ შემცირდა, ხოლო მზა პროდუქციის გამოშვება 9,5-ჯერ. დღეისთვის 50-60 ათასი ჰექტარი ჩაის ფართობიდან, რომელიც საქართველოში არსებობდა ვარგისია მხოლოდ 18 ათასი ჰექტარი. (გარდა აფხაზეთისა), დანარჩენი ფართობები გატყევებულია, ისინი ამოძირკვას, მძიმე და ნახევრად მძიმე გასხვლას საჭიროებენ. დიახ, დღეისთვის მეტად განვითარებული დარგი პრაქტიკულად თითქმის განადგურებულია.

ბოლო წლებში საქართველოს სამეურნეო სისტემამ დომინოს ეფექტის გამომწვევი რამდენიმე ბიძგი განიცადა, მათ შორის მთავარი იყო პოლიტიკური სისტემის მოშლა, რასაც შედეგად მოჰყვა სამეურნეო კავშირების შეწყვეტა, რაც ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი იყო. მაგალითად, საქართველოს აგროსამრეწველო საწარმოები რსფს-დან იღებდა მათთვის საჭირო წარმოების საშუალებების 76%-ს, 69% მოდიოდა უკრაინიდან, 18% დანარჩენი რესპუბლიკებიდან.

მთლიანად ბოლო წლებში შექმნილი მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს არა როგორც კრიზისული, არამედ როგორც კატასტროფული. როგორც აკადემიკოსი ლ. აბალკინი წერს: „წარმოების მონაცემების 35-40% დაცემის შემთხვევაში იმდენად ირღვევა საწარმოს ფუნქციონირების ეკონომიკური, ორგანიზაციული, ფინანსური და, რაც მთავარია, ტექნოლოგიური სქემები, რომ ისინი თავიდან შესაქმნელი ხდება“. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უახლოეს თვალსაწიერში მეჩიაეობას ქვემო აჭარაში, სამეგრელოში, გურიისა და იმერეთის რაიონებში არც ბიოლოგიური, არც ეკონომიკური და არც ეკოლოგიური, იგულისხმება ეროზიისაგან დაცვა, ალტერნატივა არ გააჩნია.

როგორც ცნობილია, ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელების საფუძველია საადგილმამულო რეფორმა, პრივატიზირება და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება. მასთან, აღსანიშნავია, რომ პრივატიზაციის პროცესი მრავალწახნაგოვანია, მასში ერთდროულად და თანაბრად კონკურენტობენ როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური მომენტები და სხვა ასპექტები. მის გამო პრივატიზების საკითხების გადაწყვეტისას აუცილებელი იყო გათვალისწინებული ყოფილიყო შემდეგ შეზღუდვები:

1. ეკონომიკური შეზღუდვა. იგი ითვალისწინებს საწარმოს პრივატიზაციას იმ შემთხვევაში, თუ ეს აქციების მფლობელსა და მესაკუთრეს მოუტანს ისეთ შემოსავალს, რომელიც როგორც მინიმუმი კაპიტალის ბაზარზე არსებული ბანკის სესხის პროცენტის ტოლია. ილუზიაა საუბარი იმის შესახებ, რომ თითქოს ნაკლებეფექტიანი სახელმწიფო საწარმოების პრივატიზება შეიძლება მათი თანამედროვე ღირებულებისა და ეკონომიკური მაჩვენებლების დონეზე. ასეთ შემთხვევაში ადგილი ექნება:

ა) პრივატიზებამდე საწარმოს ღირებულების (პერსონალის რიცხოვნობის) სხვა ხარჯების შემცირებას იმ დონემდე, რომელიც შექმნიდა განსაზღვრული მოგების მიღების შესაძლებლობას;

ბ) პრივატიზების შემდეგ აქციის საბაზრო ღირებულების დაცემას თვით საწარმოს გაკოტრებამდე.

2. ფინანსური შეზღუდვა. იგი გამოიხატება პრივატიზების შედეგად შემოსული თანხებიდან იმ ფონდის შექმნის აუცილებლობაში, რომელიც განახლებისა და მოდერნიზაციისთვისაა საჭირო.

3. სოციალური შეზღუდვა. იმისთვის, რომ საზოგადოებაში არ გაჩნდეს წინააღმდეგობა პრივატიზების პროცესის მიმართ, კოლექტიური ქცევის ნორმებიდან კერძო მესაკუთრულ ქცევაზე გადასვლა არ უნდა იყოს მკვეთრი, ამიტომ პირველ რიგებში დასაქმდება 65-70 ათასი ადამიანი, ქვეყნის კონსოლიდირებულ ბიუჯეტში მოხერხდება 25-30 მილიონი ლარის შეტანა, პროდუქციის ექსპორტის გადიდების კვალობაზე 40-45 მილიონი აშშ დოლარის შემოტანა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდოს შემცირებას, ეროვნული ვალუტის გამყარებას.

საქართველოს სინამდვილეში დარგს, რომელსაც შეუძლია შეასრულოს ეკონომიკის ჩავარდნილი ჯაჭვის ამომწევი რგოლის ფუნქცია არის სოფლის მეურნეობა, უპირველეს ყოვლისა, მისი წამყვანი დარგები: მეჩაიეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მეციტრუსეობა, მებოსტნეობა და სხვა.

შექმნილი მძიმე სიტუაციიდან ექსპერტები გამოსავალ შემდეგნაირად ხედავენ:

– მკაცრი მემკვიდრეობა პოლიტიკაში, დემოკრატიული პრინციპების თანდათანობით დამკვიდრება;

– სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის ფართოდ და გაბედულად გამოყენება, სახალხო მეურნეობის ყველა დონეზე და ყველა სეგმენტში;

– საკუთრებისა და მეურნეობრიობის შერეული ფორმების არსებობა და მათი განვითარებით სახელმწიფოს თანაბარი დაინტერესება;

– სახელმწიფო პროტექციონიზმი ცალკეული დარგების მიმართ. საჭიროა განისაზღვროს პრიორიტეტების სისტემა, სტადიები, ეტაპები, რომელთა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში მცხოვრები საშუალო ფენის გაჩენა, ცხოვრების ხარისხის განვითარებული ქვეყნების სტანდარტების დონეზე აყვანა.

უცილობლად მიგვაჩნია შეიქმნას დარგის რეაბილიტაციის საინვესტიციო ფონდი. ახლებურად უნდა იქნეს განხილული სანედლეულო ზონაში განლაგებული საქონელმწარმოებელთა და ჩაის ფაბრიკების ინტეგრაციის პროცესები და მისი გამოხატვის ფორმები. უაღრესად პერსპექტიულად მიგვაჩნია ჩაის ფაბრიკებისა და მათ სანედლეულო ზონაში მყოფი მეჩაიეობის კოოპერატიული საზოგადოებების შექმნა, ჩაის ფაბრიკის ქონების პაიებად დაყოფა და მეჩაიეებისათვის ჩაის ფართობების რამდენიმე წლის მანძილზე ნატურით გამოსყიდვის პირობით მიცემით.

საპარტნიორო საკრედიტო ნაწილის ბაზარზე უნდა ჩამოყალიბდეს აგრარული ბანკი ხელსაყრელი საკრედიტო განაკვეთებით. ასევე დროულად უნდა ჩამოყალიბდეს „საქართველოს მეჩაიეთა კავშირი“ არსებული პრობლემების შესასწავლად და გადასაწყვეტად.

ვფიქრობთ, საჭირო და სათანადო ღონისძიებების გატარებით მოხდება ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი და წამყვანი დარგის მეჩაიეობის რეაბილიტაცია. თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობით მას ხომ ნამდვილად საგანგებო კულტივირება, მზრუნველობა და საყოველთაო მხარდაჭერა ესაჭიროება.

Development of tea-growing in Georgia

Summary

Tea-growing has the history of a century, it includes the major part of the territory, the economic and the population of western Georgia. That‘s why the growing of various levels of budget, the growing of farmers‘ subjects, the introduction of new forms of economic, growing of money income of population and the political stabilization mostly depends on the rehabilitation of ist rational volume. Tea-growing and the integration of processing industry is the guarantee of these processes. That‘s why this important branch of agriculture hasn‘t any alternatives in Georgia.

Тамаз Имедадзе

Развитие выращивания чаи в Грузии

Резюме

выращивания чаи в Грузии имеет вековое история и в особенности влиала на економикй и рост насиление западнои части Грузии. По-этому рост биуджета, рост насиление и стабилность в регионе зависит от роста объёма выращивания чаия.Из за етого выращивания чаия один из самих важних направлении в Грузии.

Тамаз Имедадзе

აგროპროდუქტების იმპორტის ზრდა ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის პირობებში

თამაზ კუნჭულია, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი.
ქეთევან მჭედლიშვილი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი

უაკ (UDC) 339.166.82:63 კ - 909

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს რესპუბლიკათაშორის საქონელგაცვლაში საქართველოდან მონაწილე 9 დარგიდან, დადებითი სალდო ჰქონდა მხოლოდ აგროპროდუქტების ექსპორტს 1430.8 მლნ რუბლის ოდენობით, რაც 1,7-ჯერ აღემატებოდა ანალოგიური პრდუქციის შემოტანას. დანარჩენი დარგების პროდუქციის გატანა-შემოტანის სალდო უარყოფითი იყო და იგი 1989 წელს 384.8 მლნ რუბლს შეადგენდა, ე.წ. საკავშირო ფონდში მიეწოდებოდა ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები, ჩაი, საკონსერვო ნაწარმი, მინერალური წყლები, თამბაქო, ეთერზეთები, საკონდიტრო ნაწარმი, ხილი, ციტრუსები, საადრეო ბოსტნეული, კარტოფილი და სხვა. აგრარული პროდუქციის მიწოდების დადებით სალდოს მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა სამხრეთული კულტურების პროდუქციაზე არსებული შედარებით მაღალი ფასები და ტრანსპორტირების დაბალი ტარიფები.

აგროპროდუქტების დიდი მოცულობით ექსპორტის გამო საქართველოს ბიუჯეტი გეგმურად დეფიციტური იყო, რადგან გადატვრთული პროდუქციის საცალო ქსელში გაყიდვისას მასზე დარიცხული ბრუნვის (სავაჭრო) გადასახადი პროდუქციის მიმღები რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავალში ირიცხებოდა. საქართველოს ბიუჯეტის დეფიციტს, როგორც წესი, საკავშირო ბიუჯეტი ავსებდა.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოში განვითარებული მოვლენებიდან პროდუქციის ექსპორტ-იმპოტრზე უარყოფითი გავლენა იქონია სამეურნეო-საწარმოო და კოოპერატიული კავშირების მოშლამ, ტრადიციული ბაზრების დაკარგვამ, აგრეთვე საბაზრო ეკონომიკის მექანიზმის უცოდინარობამ, როცა ჩაითვალა, რომ დამოუკიდებელი ქვეყნების ბაზარზე შესაძლებელი იყო იმავე რაოდენობის და ხარისხის პროდუქციის მიწოდება, როგორც ეს ცენტრალიზებული გეგმური სახელმწიფოს პირობებში ხდებოდა. ექსპორტის შემცირებაში, აგრეთვე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისაწოდებელი პროდუქციის წარმოების შემცირებამ, სხვა ქვეყნების მიერ ქართული პროდუქციისათვის განკუთვნილი სავაჭრო ნიშის დაკავებამ.

აღნიშნულის გამო საჭირო გახდა საექსპორტო პროდუქტების რაოდენობისა და სტრუქტურის სერიოზული ტრანსფორმირება, მისი მორგება მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებზე, რისი გამოცდილებაც ქართველ მეწარმეებს არ გააჩნდათ. სხვა შემთხვევაში საზოგადოებაში არ გაჩნდებოდა აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენი ჩაი, ბორჯომი, ღვინო ან ხილი გვარჩენსო.

ბოლო 10 წლის მანძილზე საქართველოში ჩამოყალიბდა ყველა სახის პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის ზრდის ტენდენცია. 2010 წელს, 2000 წელთან შედარებით ექსპორტი 4.9-ჯერ, ხოლო იმპორტი 7.2-ჯერ გაიზარდა და შესაბამისად შეადგინა 1593 და 5095 მლნ აშშ დოლარი. ამავე წლებში სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 6.5-ჯერ. უარყოფით სავაჭრო სალდოს წინამსწრები ტემპით ზრდის ტენდენცია ახასიათებდა და მან 2010 წელს 2000 წლის დონეს 9.2-ჯერ გადააჭარბა.

აგროპროდუქტების ექსპორტ–იმპორტი დათვლილი იქნა ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, სადაც ჯგუფის სასაქონლო კოდი ორნიშნაა, ხოლო ჯგუფში შემავალი საქონლის – ოთხნიშნა. მაგალითად, კოდი 01 აღნიშნავს ცოცხალი ცხოველების სასაქონლო ჯგუფს, 0102 მასში შემავალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ხოლო 0104 ცხვრისა და თხის სასაქონლო ჯგუფს. აღსანიშნავია, რომ ექსპორტისა და იმპორტის ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო კოდები ინდენტურია, რაც აადვილებს პროდუქციის რაოდენობისა და ღირებულების დათვლას. აგრარული პროდქციის ორნიშნა სასაქონლო კოდები 01-დან 25-ის ჩათვლითაა, ანუ იწყება ცოცხალი ცხოველებით (01) და მთავრდება მარილით (25).

ბოლო 10 წლის მანძილზე (2000 – 2009) (2010 წლის მონაცემები ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ჯერ არ გამოქვეყნებულა). აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი 3.1-ჯერ გაიზარდა და 2009 წელს 316 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამავე პერიოდში აგროპროდუქციის იმპორტი 4.2-ჯერ გაიზარდა. თუ 2000 წელს იმპორტირებული პროდუქციის ღირებულება ექსპორტირებულზე 1.8-ჯერ მეტი იყო, 2009 წელს მან 2.5-ჯერ მეტი შეადგინა. აგროპროდუქციის ექსპორტის ხვედრითი წილი მთლიან ექსპორტში 23.7 – 35.7, ხოლო იმპორტში – 16.4 – 26.3 პროცენტს შორის მერყეობდა.

თავისუფალი ბაზრის მოთხოვნამ სერიოზული კორექტივები შეიტანა საექსპორტო პროდუქციის წაროების მოცულობასა და სტრუქტურაში. ბოლო წლების მონაცემებით დაწინაურდა ცოცხალი ცხოველების ექსპორტი, რომლის მოცულობამ თითქმის 34 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. იგი თანაბრადაა გადანაწილებული მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე, ცხვარსა და თხაზე. საანალიზო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა თხილის ექსპორტი (3.1-ჯერ) და მან 70 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ყურძნის ნატურალური ღვინოების ექსპორტი გაიზრდა 1.1-ჯერ, მინერალური და მტკნარი წყლების – 2.6-ჯერ. საანალიზო წლებში შეინიშნება ბოსტნეულის, ხილის და ბოსტნეულის წვენების, შაქრის დანამატების შემცველი გაზირებული წყლების ექსპორტის ზრდა (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

აგროპროდუქციის ექსპორტი ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო ჯგუფების მიხედვით 2000-2009 წლებში (ათასი აშშ დოლარი)*

კოდი	პროდუქციის დასახელება	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
01	ცოცხალი ცხოველები	8	10	12	29	1	16	1	43	1706	33986
02	ხორცი და ხორცის საკვები პროდუქტები	303	190	2043	444	844	533	740	1557	786	293
03	თევზი და კიბოსნაირნი, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები	135	343	115	349	214	992	905	1949	6081	4484
04	რძის პროდუქცია, ფრინველის კვერცხი, ნატურალური თაფლი	43	24	817	159	4432	2625	241	1567	630	1316
05	ცხოველური წარმოშობის პროდუქტები სხვა ადგილას დაუსახელებელი	0	0	0	0	0	0	0	21	42	42
06	ცოცხალი მცენარეები, მცენარეების ნაწილები, ყვავილები და დეკორატიული ბალახი	216	116	185	221	472	874	573	2190	1234	543
07	ბოსტნეული და საკვებად ვარგისი ზოგიერთი ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები	560	474	672	386	1128	1054	1152	853	1436	2599
08	საკვებად ვარგისი ბოსტნეული, ნაყოფი და კაკალი, ციტრუსების ან ბალჩეულის ქერქი ან კანი	22255	11637	9236	15949	21284	26930	61667	72184	43499	90089
09	ჩაი, ყავა, სუნელები	7270	6856	5849	5534	5161	5199	3195	3376	3634	4563
10	პურეული მარცვლოვანები	11184	1302	6577	10945	22997	6153	11823	12733	5280	4592
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12

11	ფქვილ-ბურღულეული მრეწველობის პროდუქცია, ალაო, სახამებელი, ხორბლის წებოვანა 2	1901	1226	0	78	594	1927	429	2846	4228	944
12	მცენარეთა თესლი და ნაყოფი, მცენარეები სამკურნალო ან ტექნიკური მიზნებისათვის	1193	702	563	994	1028	2579	1954	2320	4121	23312
13	შელაქი ბუნებრივი ან გასუფთავებული ფისები და სხვა მცენარეული წვენები და ექსტრაქტები	5	1	12	108	85	216	66	219	81	112
14	მცენარეული წარმოშობის სხვა პროდუქტები სხვა ადგილას დაუსახლებელი	4	5	9	12	42	42	44	56	188	58
15	ცხიმები და ზეთები და მათი დაშლის პროდუქტები, მზა საკვები ცხიმები, ცვილები	32	50	58	151	709	203	95	1799	1565	398
16	მზა პროდუქტები ხორცის, თევზის ან ზღვის სხვა უხერხემლოების	67	75	36	55	102	41	3	28912	38	60
17	შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი შაქრისაგან	2844	3167	13765	34340	15923	30571	19242	187	8457	981
18	კაკო და პროდუქტები მისგან	12	132	579	956	1571	1094	1076	735	669	390
19	პროდუქტები მარცვლის, ფქვილის, სახამაბლის ან რძის, ფქვილის საკონდიტრო ნაწარმი	162	155	137	837	96	84	1	117	23	36
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
20	ბოსტნეულის, ნაყოფის, კაკლის ან მცენარეთა სხვა ნაწილებისაგან გადამუშავების	1117	1411	1411	2079	2294	5445	6770	15682	11156	3846

	პროდუქტები										
21	კვების სხვა პროდუქტები	382	513	444	730	850	830	1014	468	9873	8357
22	ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები, მინერალური წყალი და ძმარი	46857	53662	60031	88592	101337	164357	119558	143412	138444	123770
23	კვრბის მრეწველობის ნარჩენები და ნაშთები, მზა საკვები ცხოველებისათვის	5	15	5	163	149	783	3703	6531	6955	11490
24	თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები	6119	1568	1990	1556	1089	1346	60	59	1	10
25	არილი	0	0	0	0	0	0	0	0	0	6
	აგრო პროდუქციის ექსპორტი სულ	102676	93624	87587	164639	182402	303701	234872	397889	250060	316284

* ცხრილი შედგენილია სტატისტიკური კრებულის "საქართველოს საგარეო ვაჭრობა" შესაბამისი წლების მაჩვენებლების მიხედვით

ყურძნის ნატურალური ღვინოების და მინერალური წყლების ექსპორტის შემცირებაზე გავლენა იქონია რუსეთის მიერ გამოცხადებულმა ემბარგომ. 2000 წელს საქართველოდან ექსპორტირებული იყო 29 მლნ აშშ დოლარის ყურძნის ნატურალური ღვინო, 2003 წელს – 43, 2005 წელს – 81, ხოლო 2009 წელს 32 მლნ აშშ დოლარის. 2010 წელს ღვინის ექსპორტმა 33 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამავე წლებში მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტის დინამიკა ასე გამოიყურებოდა: 2000 წელი – 9 მლნ აშშ დოლარის, 2003 წელი – 20, 2005 წელი – 32, 2009 წელი 25 მლნ აშშ დოლარის. აღსანიშნავია, რომ დასახელებული პროდუქტების 70 პროცენტზე მეტი რუსეთის ბაზარზე მოდიოდა. ამავე პერიოდში ტრადიციული პროდუქტის – ჩაის ექსპორტი შემცირდა თითქმის სამჯერ და 2.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საერთოდ შეწყდა თამბაქოს, ეთერზეთოვანი კულტურების, საადრეო ბოსტნეულის ექსპორტი.

ბოლო წლების მონაცემებით საქართველოში ჩამოყალიბდა აგროპროდუქციის იმპორტის ზრდის ტენდენცია, რომელმაც ყველაზე მაღალ ნიშნულს 2007, 2008 და 2009 წლებში მიაღწია, შესაბამისად 855, 935, 779 მლნ აშშ დოლარი (იხ. ცხრილი 2). საანალიზო წლებში ხორცისა და ხორცის პროდუქტების იმპორტი 24-ჯერ მეტად გაიზარდა და 63 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, აქედან ღორის ხორცის მოწოდება ღირებულებით გამოსახულებაში 64 ჯერაა გაზრდილი.ამავე წლებში ხორბლის იმპორტი 3.5-ჯერ გაიზარდა და 2009 წელს 104 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ქვეყანაში შემოტანილი იქნა 29 მლნ აშშ დოლარის მცენარეული ზეთი, 16 მლნ აშშ დოლარის მარგარინი, 50 მლნ აშშ დოლარის შაქარი.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში გაიზარდა არა მარტო ხორცისა და ხორცის პროდუქტების, ხორბლისა და ფქვილის იმპორტი, არამედ ისეთი პროდუქტების შემოტანა, რომლის წარმოებისთვის საქართველოში უაღრესად ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობები და მოვლა-მოყვანის ხანგრძლივადიანი გამოცდილება არსებობს. ბოსტნეულის და საკვებად ვარგისი ძირნაყოფებისა და ბოლქვნაყოფების იმპორტმა 2009 წელს 20 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ანუ 11.5-ჯერ მეტი, ვიდრე 2000 წელს. ამ სასაქონლო ჯგუფში შემავალი პროდუქტებიდან კარტოფილის იმპორტი გაიზარდა 3.7-ჯერ და მისმა ღირებულებამ 2.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. პომიდვრის იმპორტზე 3.5 მლნ აშშ დოლარი იქნა დახარჯული, ხახვის, ნიორისა და სხვა ხახვისნაირების იმპორტი 3.8 მლნ აშშ დოლარი დაჯდა, რაც მთლიანობაში შეადგენს თითქმის 10 მლნ აშშ დოლარს. სიმინდის იმპორტის ღირებულებამ 6.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამავე პერიოდში ჩაის იმპორტზე 5 მლნ აშშ დოლარი დაიხარჯა, ანუ ექსპორტთან შედარებით 3 მლნ აშშ დოლარით მეტი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ბოლო წლებში საქართველოში შეწყდა თამბაქოს წარმოება, სამაგიეროდ იმპორტირებული პროდუქციის ღირებულებამ 2009 წელს 79 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2000 წლის მაჩვენებელს 2.3-ჯერ აღემატება.

იმპორტის ზრდა პირდაპირ კავშირშია ნათესი ფართობებისა და წარმოებული პროდუქციის შემცირებასთან. 2010 წელს, 2000 წელთან შედარებით მარცვლეულის წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობაში შემცირდა 1.9-ჯერ, მათ შორის ხორბლის – 1.8-ჯერ, კარტოფილის – 1.1-ჯერ, ბოსტნეულის – 2 –ჯერ და ა.შ. (იხ.ცხრილი 3).

ამავე წლებში შემცირებულია ხილის, ყურძნის, ჩაის მწვანე ფოთლის, ციტრუსების წარმოება. გამონაკლისია თხილი, რომლის წარმოება 2-ჯერ და მეტადაა გაზრდილი.

ბოლო წლებში ჩამოყალიბდა პირუტყვის სულადობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემცირების ტენდენცია. 2000 წელთან შედარებით, 2009 წელს ყველა სახის ხორცის წარმოება (დაკლული წონით) შემცირდა თითქმის 2-ჯერ, მათ შორის მსხვილფეხა რქოსანო პირუტყვის – 1.8-ჯერ, ღორის – 2.8-ჯერ, ცხვრისა და თხის – 1.8-ჯერ, ფრინველის – 1.2 –ჯერ. ამავე პერიოდში გაიზარდა რძისა და კვერცხის წარმოება. შესაბამისად 1.1 და 1.2-ჯერ (იხ. ცხრილი 4). ვეტერინარული მომსახურების გაუარესების გამო 2010 წელს დაეცა 102 ათასი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ანუ საერთო სულადობის 9.7 პროცენტი და 2000 წელთან შედარებით 3.5-ჯერ მეტი, შესადარის წლებში ღორის დაცემა გაიზარდა 3.6-ჯერ და 90 ათასი სული, ანუ საერთო რაოდენობის 82 პროცენტი შეადგინა. 2010 წელს დაეცა ცხვრისა და თხის მთლიანი სულადობის თითქმის 8 და ფრინველის 45 პროცენტი.

წარმოების მაჩვენებლების შემცირებასთან ერთად გაუარესდა საკუთარი წარმოების პროდუქციით მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები, მათ შორის ისეთი პროდუქტების მიხედვითაც, სადაც იგი წლების მანძილზე 100 პროცენტს აღემატებოდა (იხ.ცხრილი 5).

ნათესების, ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების, პირუტყვის სულადობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემცირება განსაკუთრებით საგრძნობი გახდა 2006 წლიდან. ასე მაგალითად, 2006 წელს

ცხრილი 2

აგროპროდუქციის იმპორტი ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო ჯგუფების მიხედვით 2000-2010 წლებში (ათასი აშშ დოლარი)*

კოდი	პროდუქციის დასახელება	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
01	ცოცხალი ცხოველები	252	279	654	1054	790	564	1503	4039	6489	1844
02	ხორცი და ხორცის საკვები პროდუქტები	9572	10313	14927	14498	16694	21135	41631	60359	78244	62617
03	თევზი და კიბოსნაირნი, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები	1281	1085	1338	2014	4326	8109	21686	27985	31029	25888
04	რძის პროდუქცია, ფრინველის კვერცხი, ნატურალური თაფლი	6228	5538	4512	6349	22153	26814	31406	31679	33294	24557
05	ცხოველური წარმოშობის პროდუქტები სხვა ადგილას დაუსახელებელი	17	5	25	51	62	83	114	258	537	548
06	ცოცხალი მცენარეები, მცენარეების ნაწილები, ყვავილები და დეკორატიული ბალახი	128	161	158	177	952	1032	1441	6124	6037	7591
07	ბოსტნეული და საკვებად ვარგისი ზოგიერთი ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები	1693	6159	2405	3127	3671	4516	17918	32869	23707	19518
08	საკვებად ვარგისი ბოსტნეული, ნაყოფი	1721	2522	2727	2838	5274	4463	8599	12460	12887	16573

	და კაკალი, ციტრუსების ან ბალჩეულის ქერქი ან კანი										
09	ჩაი, ყავა, სუნელები	4963	2634	1846	2408	5673	7179	9811	14455	17376	16904
10	პურეული მარცვლოვანები	29731	15187	21012	28587	77464	50001	109640	150013	120640	116992
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
11	ფქვილ-ბურღულეული მრეწველობის პროდუქცია, ალაო, სახამებელი, ხორბლის წებოვანა 2	27768	28601	12670	15499	55342	54600	39649	59324	91109	25018
12	მცენარეთა თესლი და ნაყოფი, მცენარეები სამკურნალო ან ტექნიკური მიზნებისათვის	344	307	471	338	1038	3721	2093	7695	6096	33095
13	შელაქი ბუნებრივი ან გასუფთავებული ფისები და სხვა მცენარეული წვენები და ექსტრაქტები	103	152	157	409	356	223	329	574	1098	348
14	მცენარეული წარმოშობის სხვა პროდუქტები სხვა ადგილას დასახლებული	40	9	28	39	95	123	130	196	133	120
15	ცხიმები და ზეთები და მათი დაშლის პროდუქტები, მზა საკვები ცხიმები, ცვილები	6093	9401	8184	10298	23595	32474	37085	46712	22075	49905
16	მზა პროდუქტები ხორცის, თევზის ან ზღვის სხვა უხერხემლოების	3157	4205	2789	3059	6960	12471	21859	24342	30169	23913
17	შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი შაქრისაგან	26250	25200	36600	57046	60212	87145	76571	103871	81015	62703
18	კაკო და პროდუქტები მისგან	1865	3320	5969	10504	19995	25297	34202	42023	50302	43498
19	პროდუქტები მარცვლის, ფქვილის, სახამაბლის ან რძის, ფქვილის	3029	2785	4880	5594	14042	20221	24989	33336	45657	34959

	საკონდიტრო ნაწარმი										
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
20	ბოსტნეულის, ნაყოფის, კაკლის ან მცენარეთა სხვა ნაწილებისაგან გადამუშავების პროდუქტები	1557	1638	2817	3613	7621	10373	28201	37977	22766	21210
21	კვების სხვა პროდუქტები	5103	7906	6126	6095	10187	17890	21034	41004	59942	53684
22	ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები, მინერალური წყალი და ძმარი	3033	4971	3225	7667	11405	20384	40733	36378	38074	33356
23	კვების მრეწველობის ნარჩენები და ნაშთები, მზა საკვები ცხოველებისათვის	388	668	1271	2043	4514	5512	12686	21094	21103	20878
24	თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები	33670	23460	29219	25507	38293	23269	37386	56273	80775	79311
25	არილი	3863	3969	2500	3000	3200	2700	3467	3752	4282	4114
	აგრო პროდუქციის ექსპორტი სულ	186781	160975	166550	179981	427773	781570	842253	854792	934926	779145

• ცხრილი შედგენილია სტატისტიკური კრებულის "საქართველოს საგარეო ვაჭრობა" მაჩვენებლების მიხედვით

ცხრილი 3

ერთწლოვანი კულტურების პროდუქციის წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობაში 1985–2010 წლებში (ათასი ტონა)•

	1985	1990	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
მარცვალი სულ	622.2	666.3	420.5	713.6	172.2	754.1	679.3	702.9	326.8	440.0	489.6	379.2	220.4
მ.შ. ხორბალი	174.2	157.7	89.4	300.6	199.7	117.3	108.0	97.4	69.7	74.9	80.3	53.9	48.4
სიმინდი	321.2	270.2	295.9	288.6	400.1	461.9	410.6	421.3	217.4	295.8	328.2	291.0	141.1
მზესუზირა	9.3	7.7	2.6	41.8	21.2	25.5	22.3	22.3	12.3	16.1	15.1	13.1	14.0

არტოფილი	393.8	293.8	302.0	422.2	415.3	425.2	419.6	432.2	168.7	229.2	193.4	216.8	288.8
ოსტნეული	604.3	443.2	354.2	396.0	405.6	430.1	400.5	432.7	179.7	190.3	165.0	170.3	175.7

• ცხრილი შედგენილია სტატისტიკური კრებულის "საქართველოს სოფლის მეურნეობის" შესაბამისი წლების მაჩვენებლების მიხედვით

ცხრილი 4

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობაში 1985–2010 წლებში (ათასი ტონა)•

	1985	1990	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
ხორცი (დაკლული წონით) სულ	166.4	170.3	107.9	102.4	106.9	108.9	104.1	104.7	78.9	69.4	53.7	54.3	56.0
მ.შ. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის	X	X	48.3	47.0	49.2	50.1	46.7	46.4	33.0	31.3	25.1	29.2	26.7
ღორის	X	X	36.9	34.7	36.1	36.7	34.7	33.3	31.1	21.4	11.4	8.2	12.8
ცხვრისა და თხის	X	X	8.9	7.6	8.2	8.4	7.2	7.6	3.2	3.9	3.9	4.1	4.9
ფრინველის	X	X	13.7	12.8	13.2	13.4	15.2	16.9	11.2	12.4	12.9	12.4	11.6
რძე	684.4	659.4	618.9	700.0	742.1	765.1	749.7	755.7	606.1	624.8	645.8	551.4	670.0
კვერცხი (მლნ ცალი)	822.7	769.4	361.4	395.4	408.8	458.1	496.6	504.6	249.2	438.1	437.5	430.6	445.0
მატყლი	6.3	6.2	1.9	1.9	2.0	2.0	2.2	2.2	2.0	2.2	1.9	1.8	1.7

• ცხრილი შედგენილია სტატისტიკური კრებულის "საქართველოს სოფლის მეურნეობის" შესაბამისი წლების მაჩვენებლების მიხედვით

ცხრილი 5

სოფლის მეურნეობის პროდუქციით მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 1995–2010 წლებში (პროცენტობით)•

	1995	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
ხორბალი	8.0	10.0	32.0	21.0	22.0	21.0	8.0	9.0	12.0	12.0	8.0	6.	
სიმინდი	100.0	100.0	100.0	100,0	100.0	97.0	94.0	100.0	92.0	97.0	92.0	96.0	
კარტოფილი	114.0	102.0	110.0	108.0	104.0	101.0	88.0	81.0	86.0	86.0	93.0	103.0	
ბოსტნეული	101.0	100.0	99.0	79.0	97.0	95.0	79.0	75.0	76.0	76.0	76.0	77.0	
მცენარეული ცხიმები	6.0	3.0	27.0	18.0	17.0	24.0	15.0	18.0	17.0	18.0	17.0	18.0	
ხორცი სულ	83.0	84.0	83.0	29.0	77.0	76.0	72.0	57.0	47.0	48.0	47.0	48.0	
მ.შ.მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის	16.5	96.0	94.0	88.3	86.0	87.0	81.0	73.0	68.0	68.0	76.0	77.0	
ღორის	94.9	96.3	93.5	93.8	87.0	84.0	79.0	61.0	47.0	47.0	32.0	49.0	

ცხვრისა და თხის	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	99.0	97.0	98.0	103.0	101.0	98.0	98.0	
ფრინველის	30.2	31.0	28.1	35.5	46.0	46.0	43.0	31.0	26.0	26.0	24.0	22.0	
რძითა და რძის პროდუქტებით	68.0	66.0	70.0	70.0	72.0	74.0	82.0	89.0	94.0	94.0	92.0	92.0	
კვერცხი	51.0	55.0	66.0	69.0	69.0	71.0	85.0	95.0	95.0	95.0	101.0	98.0	

• ცხრილი შედგენილია სტატისტიკური კრებულის "საქართველოს სოფლის მეურნეობის" შესაბამისი წლების მაჩვენებლების მიხედვით

წინა წელთან შედარებით ნათესი ფართობები ყველა კატეგორიის მეურნეობაში შემცირდა 120 ათასი ჰექტრით, მათ შორის ხორბლის – 33, სიმინდის – 65, კარტოფილის – 14, ბოსტნეულის – 14 ათასი ჰექტრით. შესაბამისად შემცირდა პროდუქციის წარმოებაც. კერძოდ, ყველა სახის მარცვლოვნების – 376, ხორბლის –27, სიმინდის – 204, კარტოფილის – 263, ბოსტნეულის – 257 ათასი ტონით. ანალოგიური მდგომარეობაა პირუტყვის სულადობისა და მეცხოველეობს პროდუქციის წარმოების მაჩვენებლების მიხედვითაც.

აღსანიშნავია, რომ 2006 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შემცირების ტენდენცია მომდევნო წლებშიც იქნა შენარჩუნებული. მაგალითად, ნათესი ფართობების დინამიკა 2005 – 2010 წლებში ასე გამოიყურებოდა: 2005 წელს – 540, 2006 წელს – 350, 2007 წელს – 297, 2008 წელს – 324, 2009 წელს – 308, 2010 წელს – 275 ათასი ჰექტარი. საანალიზო წლებში არ მომხდარა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლინობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდა, რასაც ნათესი ფართობებისა და პირუტყვის სულადობის შემცირების შედეგად წარმოების კლების ნაწილობრივი კომპენსაცია შეეძლო გამოეწვია.

ზემოთ მოტანილი მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

1. საქართველოში ჩამოყალიბდა აგროპროდუქტების ზრდის ტენდენცია, რომელიც შეესაბამება მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებს. მოხდა ბაზრის დივერსიფიკაცია, თუმცა მისი ტემპები არასაკმარისია.

2. 2006 წელს და შემდგომ პერიოდში საქართველოში აგროპროდუქტების წარმოების შემცირება განაპირობა საწვავის გაძვირებამ, პროდუქციის მიხედვით იმპორტიორების სტრუქტურირებამ და მათ მიერ ქართულ ბაზარზე სავაჭრო ნიშის მყარად დაკავებამ, ქართველი მეწარმეების არამდგრადობამ. მიწათმესაკუთრეთა 68.4 პროცენტს საკუთრებაში ერთ ჰექტრამდე მიწა ჰქონდა, სოფლად შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავალი 320 ლარზე ნაკლებია და გაწეულ ხარჯებს ვერ ფარავს. სოფლის მეურნეობის პროდუქციის რელიზაციიდან მიღებული ამონაგები მთლიანი ფულადი შემოსავლების 6 პროცენტს არ აღემატება. დარღვეულია ფასების პარიტეტი სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო წარმოშობის პროდუქტებს შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ.

3. მსოფლიო გამოწვევების ფონზე, რაც გაეროსა და მსოფლიო ბანკის მონაცემებით გულისმობს მსოფლიოში იაფი საკვების წარმოების პერიოდის დამთავრებას და 2040–2050 წლებში სურსათზე მწვავე დეფიციტის წარმოქმნას, მსოფლიოს ქვეყნებში ძლიერდება საკუთარი სურსათით მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შენარჩუნებისა და გაფართოების, მიწების კონსოლიდაციის, წარმოებაში ინტენსიური ტექნოლოგიების გამოყენების, პროდუქციის შესყიდვის მინიმალური ფასების დაწესების ტენდეციები. ყოველივე ზემოთ აღნიშნული მოგვანიშნებს, რომ ქვეყანაში უნდა გადაიხედოს აგრარული პოლიტიკა, ჩამოყალიბდეს სოფლის მეურნეობის სახელმწიფო რეგულირების, ფერმერთა (გლეხთა) სუბსიდირების მექანიზმები, გამკაცრდეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების კატეგორიების შეცვლის პირობები, ხელი შეეწყოს როგორც საექსპორტო, ისე იმპორტ-შემცვლელი პროდუქციის წარმოება.

4. აგროპროდუქტების იმპორტის ზრდა მასზე მოთხოვნის არსებობაზე მიუთითებს. მოთხოვნა-მიწოდების კანონის თანახმად მას (გარდა კაკაოს, ბანანის და სხვა მისთანა პროდუქტების) ადგილობრივი მეწარმეების გააქტიურება უნდა გამოეწვია. რაც არ მოხდა, რაც მიუთითებს მათ მიერ ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირების უნარის დაკარგვაზე. მეწარმეებისადმი ხელსაყრელი ეკონომიკური პირობების შექმნის პირობებში, პირველ ეტაპზე, შესაძლებელია ხორცის და ხორცის პროდუქტების, თევზის, რძისა და რძის პროდუქტების, ბოსტნეულის, ხორბლისა და ფქვილის, მცენარეული ზეთის, თამბაქოს, მეცხოველეობის საკვების იმპორტზე გაწეული ხარჯების დაახლოებით 245-260 მლნ აშშ დოლარით შემცირება, რაც აგროპროდუქტების მთლიანი იმპორტის თითქმის 30-35 პროცენტს შეადგენს.

5. სახელმწიფომ უნდა მიიღოს არაორდინალური ზომები ექსპორტის წახალისებისა და იმპორტშემცველი პროდუქციის წარმოების გასაფართოებლად. უპირველეს ყოვლისა ეს არის პროდუქციის უვნებლობაზე შემოწმების თანამედროვე ლაბორატორიის შექმნა, რომელთა სერთიფიკატი მისაღები იქნება განვითარებული ქვეყნების მომხმარებელებისათვის. უნდა დაინერგოს შესასყიდ პროდუქციაზე მინიმალური ფასების დაწესების, საექსპორტო პროდუქციის სახელმწიფოს მიერ ან მისი ხელშეწყობით დაზღვევის პრაქტიკა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი მრეწველების მიერ საქართველოში წარმოებული ხორბლის, თამბაქოს, სხვა ნედლეულის გარკვეული რაოდენობის კანონის საფუძველზე შესყიდვა და გადამუშავება. ამ ღონისძიების გატარება ხელს შეუწყობს

პარტნიორებს შორის სახელშეკრულებო კავშირების დამყარებას, პროდუქციის წარმოების ზრდას, მისი ხარისხის ამაღლებას.

6. სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს პროგრესული ტექნოლოგიების შემოტანას და მათი გამოყენების ეკონომიურ წახალისებას, ასეთი მეწარმეების ცოდნითა და ხელსაყრელი საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფას.

7. საექსპორტო პროდუქციის ზრდისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების დროულად გაფორმებას, რაც საშუალებას მოგვცემს შ +პროგრამით ევროპის ბაზარზე, გადასახადების გარეშე, შევიტანოთ 7200-ზე მეტი დასახელების პროდუქცია. პროდუქციის ექსპორტის დიდი შესაძლებლობას იძლევა აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება, რომლის მსგავსი რეჟიმი მსოფლიოს მხოლოდ 17 ქვეყანასთან აქვს.

8. ყოველმხრივ ხელშეწყობას იმსახურებს რუსეთის ბაზარზე დაბრუნებისათვის გადადგმული ნაბიჯები, მათ შორის რუსეთის ვმო-ში შესვლასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემა, რადგან რუსეთი მსოფლიოს მიერ აღიარებულია XXI საუკუნის ბაზარად. საქართველოს მეწარმეებს გააჩნიათ რუსულ ბაზარზე ოპერირების გამოცდილება, სადაც შემორჩენილია ინტერესი ქართული პროდუქციის მიმართ, ამასთან პროდუქციის ტრანსპორტირების ხარჯები სხვა ქვეყნებთან შედარებით ნაკლები იქნება, რაც გაზრდის ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას.

Agroproduction import's increuse in the liberal traiding politic – conditions

T. Kunchulia, K. Mchedlishvili

Summary

SUMMARY: In the article is shown agro-products export-import's directions in Georgia, all the structural changes of the quantity in the world, the promoted results of new goods groups, Russian Embargo's influence on wine and mineral water's export, the work results of finding new markets. There are the explanation of the results of the reduction of the local productivity and is supported, in food-stuffs sphere the new world provocation the expediency of the production of import products and its demand and in the conditions of the existing of the production experience.

Agro-product's import-export's index of the last 10 years, tidying up according to the harmony system of the goods groups are published for the first time and it will give the serious service to the investigators of this sphere, specialists and ordinal citizens.

Рол импорта агропродуктов в условиях либеральной торговой политики

Т. Кунчулия, К. Мчедлишвили.

Резюме

Резюме: В статье рассмотрены тенденции экспорта и импорта агропродуктов в Грузии, количественные и структурные изменения происшедшие в экспорте, причины выдвижения новых товарных групп, работы, проведенные по рынков. В условиях роста импорта агропродуктов обьяснены причины уменьшения местного производства, доказана целесообразность увеличения производства импортзаменяемое продуктов.

Показатели экспорта и импорта агропродуктов за последние 10 лет, сложенные по товарным группам гармонизированной системи, публикуются впервые, они окажу услугу исследователям и специалистам данной сферы, рядовым гражданам.

ღვარცოფები – ბუნება, გავრცელება, მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები

ოთარ ნათიშვილი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.
ვახტანგ თევზაძე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

უაკ (UDC) 551.311.21 ნ - 194

გასული საუკუნის მიწურულში და ამჟამადაც მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, გარემოს უსაფრთხოების თვალსაზრისით შექმნილმა მძიმე ეკოლოგიურმა მდგომარეობამ, მომავალში მისი კიდევ უფრო გამძაფრების ტენდენციებმა მწვავედ დააყენა საკითხი სათანადო ბუნებისდამცავი ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობის შესახებ.

ამ მიზნის რეალიზაციაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ბუნებრივი კატასტროფების, მათ შორის ეროზიულ-ღვარცოფული მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე მეთოდების შემუშავებას.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა ზიანს აყენებენ ღვარცოფები მთიან რეგიონებში განლაგებულ სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებს; რის გამოც ისინი იქცნენ სპეციალისტების განსაკუთრებული ყურადღების ობიექტად. მსოფლიოში პრაქტიკულად არ არსებობს მთაგორიანი ქვეყანა, რომელიც არ განიცდიდეს ღვარცოფების დამანგრეველ ზემოქმედებას. ბუნების ეს მოვლენა კაცობრიობას აყენებს მნიშვნელოვან და ხშირად აუნაზღაურებელ ზიანს, რაც არც თუ ისე იშვიათად იწვევს ადამიანთა მსხვერპლსაც კი. მთიანი ტერიტორიების ინტენსიურ ურბანიზაციასთან დაკავშირებით ღვარცოფული საშიშროება ხშირად სცილდება მატერიალური სფეროს ინტერესების საზღვრებს და უკავშირდება სოციალურ პრობლემებს, ვინაიდან დგება საკითხი არა მარტო ცალკეული ოჯახების, არამედ მთელი დასახლებული პუნქტების საცხოვრებელი ადგილებიდან გადასახლების შესახებ. საქართველოში ამგვარი საშიშროების წინაშე იმყოფება განსაკუთრებით მდ. ალაზნის აუზი, არაგვის ხეობა, მდ. თერგის აუზი, სვანეთისა და აჭარის მთიანეთი.

ჩვეულებრივად ღვარცოფები წარმოიქმნება დედამიწის ლითოსფეროში მიმდინარე გეოლოგიური, ჰიდრომეტეოროლოგიური, ტექტონიკური და სხვა ანალოგიური პროცესების განსაზღვრული პირობების თანხვედრის შემთხვევაში. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ანთროპოგენურ ფაქტორმა იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანის ზემოქმედება გარემოზე სულ უფრო ძლიერი და ნეგატიური ხდება, მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ეს ზემოქმედება თითქოს ემსახურება მის ცხოვრებისეულ ინტერესებს, მაგრამ ბუნებაზე მოსალოდნელი უარყოფითი გავლენისა და გაუთვალისწინებელი ზემოქმედების შედეგებს ხშირად მივყავართ ისეთ ცვლილებებთან, რომელთა აღმოფხვრისათვის, ან თუნდაც შემცირებისათვის, საჭიროა გაცილებით მეტი ძალისხმევა და სახსრები, ვიდრე მათი დროულად თავიდან ასაცილებელი ღონისძიებების განხორციელება.

ღვარცოფების წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემის წინაშე საქართველოში საპეციალისტები პირველად აღმოჩნდნენ კავკასიის ქედზე საქართველოს სამხედრო ავტომაგისტრალის მშენებლობის დროს, რის გამოც ჩვენი ქვეყანა გახდა ღვარცოფების შესწავლისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ცენტრი. ამჟამად ღვარცოფებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტით დაკავებულნი არიან რიგი უწყებებისა, რომლებიც ახორციელებენ მრავალმხრივ საძიებო, კვლევით, საპროექტო, სამშენებლო და საექსპლოატაციო ხასიათის სამუშაოებს. დროთა განმავლობაში პრობლემის სიმძაფრის ზრდასთან დაკავშირებით აღნიშნული უწყებების დაინტერესება მნიშვნელოვნად იზრდება.

ღვარცოფული ნაკადები ძირითადად ფორმირდებიან მთიანი რეგიონების ეროზიულ კერებში, ბუნებრივ პირობებში მთის ქანები განუწყვეტლივ განიცდიან დაშლას არსებული მეტეოროლოგიური და კლიმატური ფაქტორების ზეგავლენით, რის შედეგადაც წარმოქმნილი მასა ღვარცოფულ ნაკადში კალაპოტიდან იერთებს ღორღს, ავსებს ნამსხვრევებს შორის სიცარიელეებს. ეს პროცესი არც თუ ისე იშვიათად მთავრდება ღვარცოფული ნაკადის ერთ-ერთი მრისხანე ნაირსახეობის – ბმული ღვარცოფის წარმოქმნით, რომელიც შეიცავ მასით 80÷90% მყარ მასალას (მათ შორის 3÷6% კოლოიდურ ნაწი;ლაკებს) და მხოლოდ 10÷20 % წყალს. ამგვარად წარმოქმნილი ღვაცროფული ნარევი იმყოფება ბმულ (სტრუქტურულ) და მდგრადობის თვალსაზრისით, კრიტიკულ მდგომარეობაში – საკმარისია თავსხმა წვიმა, თოვლის ინტენსიური დნობა, ქანების ჩამოქცევა ან სხვა რომელიმე ბუნებრივი ხელშემწყობი ფაქტორი, რომ ამ ნარევმა დაიწყოს დაბლობისაკენ გადაადგილება კლდის ნამსხვრევების და კალაპოტის ძველი ნალექების მიერთებით.

<u>ბმულ ღვარცოფულ ნაკადად</u> წოდებული მსგავსი ქვატალახოვანი ნარევის სიმკვრივე იცვლება 1700÷2500 კგ/მ^3 ფარგლებში; მასში ე.წ. „ცემენტის“, შემაკავშირებლის როლს ასრულებს ტალახოვანი კომპონენტი, რომელიც წარმოადგენს წვრილმრაცვლოვანი კოლოიდურ-თიხაწარმომქმნელი მასალის ნარევს და შეიცავს წყლის მცირე რაოდენობას.

მსგავსი ნაკადების ფორმირება შესაძლებელია აგრეთვე შიშველ ციცაბო ფერდობებზე; მთის წყალსადინარების ზედა უბნებზე ხანგრძლივი გვალვების შემდეგ თავსხმა წვიმების დროს. ასეთ სიტუაციაში გვალვის შედეგად ნიადაგის ზედაპირი იფარება წყალგაუმტარი მტვერის ფენით; რის გამოც ხდება წვიმის ნალექების ჩამოდინება ტალახიანი მასის სახით, რომელიც მოძრაობისას კალაპოტიდან იერთებს ნამსხვრევი მასალის დიდ რაოდენობას. ამგვარად ფორმირებულ მასას შეუძლია იმოძრაოს წყალსადინარის კალაპოტში ე.წ. არაბმული ღვარცოფული ნაკადის სახით.

<u>არაბმული (ტურბულენტური) ღვარცოფული ნაკადი</u> წარმოადგენს მთის თხიერი ჩამონადენის ერთ-ერთ ნაირსახეობას, რომელიც ხასიათდება ნატანების ფართო სპექტრის გრანულომეტრიულ შემადგენლობით, უეცარი წარმოქმნით, მოქმედების მცირე ხანგრძლივობით და დიდი კინეტიკური ენერგიით; იგი შეიცავს არა უმეტეს 20÷30 % (წონით) მყარ მინარევებს. ამ შემთხვევაში წვრილი დისპერსიული თიხოვან-კოლოიდური ნაწილაკები

უმნიშვნელო რაოდენობითაა ან ისინი საერთოდ ნარევში არ არიან; გაჩერებისას ნაკადი იშლება შემადგენელ კომპონენტებად; მისი სიმკვრივე იცვლება 1100÷1700 კგ/მ^3 ფარგლებში.

თვისობრივი მაჩვენებლების მიხედვით ღვარცოფული ხასიათის წყალსადინარები თითქმის არ განსხვავდებიან ჩვეულებრივი მთის მდინარეების კალაპოტებისაგან, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ღვარცოფული ნაკადების ფორმირების, მათი მოძრაობისა და ნარიყის კონუსზე გამოსვლის სპეციფიკას, აღნიშნული მსგავსება მხოლოდ მოჩვენებითია; თუ მხედველობაში მივიღებთ რაოდენობრივი ხასიათის მაჩვენებლებს, მაშინ ეს განსხვავება კიდევ უფრო მეტად შესამჩნევია, რაც ჰქმნის იმის აუცილებლობას, რომ ისინი განსაკუთრებულად უნდა იქნენ მხედველობაში მიღებულნი.

აღსანიშნავია, რომ მთის მდინარეები, რომელთაც არ ახასიათებთ ღვარცოფული ნაკადების გავლა, გამოირჩევიან ყოფითი და წყალმოვარდნებისათვის დამახასიათებელი წყლის ხარჯების საგრძნობლად, რამოდენიმე რიგითაც კი ნაკლები მნიშვნელობებით. ასე მაგალითად, ნაკადების სიღრმეების შედარების შემთხვევაში, არაღვარცოფული ხასიათის წყასლადინარებში თუ ნაკადის სიღრმე არ აღენმატება 0,1÷0,5 მ. ღვარცოფული ნაკადის სიღრმე ხშირ შემთხვევაში აღწევს 5,0 მეტრამდეც კი. აქედან გამომდინარე, როგორც ამ ნაკადების კალაპოტში მოძრაობის დროს, ასევე მათი გავლის შემდეგ კალაპოტური მახასიათებლები საგრძნობ ცვლილებებს განიცდიან – ეს ეხება კალაპოტის ფიზიკო-მექანიკურ, მორფომეტრიულ და ჰიდრავლიკურ მახასიათებლებს.

ერთ-ერთი ნიშანდობლივი მაჩვენებელი, რითაც გამოირჩევიან ღვარცოფული ხასიათის წყალსადინარები, ეს არის მკვეთრად გამოსახული სათავე უბანი, სადაც ხდება ძირითადში ღვარცოფული ნაკადების ფორმირება, სატრანზიტო ზონა – ამ უბანზე უპირატესად მოძრაობს უკვე ჩამოყალიბებული ამა თუ იმ სახის ნაკადი, რომლის შევსება კალაპოტური წარმონაქმნებით ნაკლებად ხდება, და ნარიყის კონუსი, სადაც ნაკადი კარგავს თავის ძირითად ენერგიას, განიღვრება კალაპოტის გაფართოებულ უბანზე და რიყავს მყარი გამონატანის ძირითად ნაწილს; მყარი ჩამონადენის მხოლოდ მცირე ნაწილი აგრძელებს ტრანზიტულად გადაადგილებას მთავარი მდინარის კალაპოტამდე.

მთის რეგიონებში განლაგებული ღვარცოფული ხასიათის წყალსადინარების რაოდენობა საქართველოში აღწევს 2000-მდე; ისინი იყოფიან ორ ჯგუფად, რომელთაგან პირველს განეკუთვნებიან მთის მარტივი წყალსადინარები, სუსტად განვითარებული ჰიდროგრაფიული ქსელითა და მხოლოდ ერთი ძირითადი ღვარცოფული ხასიათის წაყალსადინარით, ხოლო მეორეს – ე.წ. რთული წყალსადინარები, რომლებიც შედგებიან ორი ან მეტი რაოდენობის ღვარცოფული ხასიათის წყალსადინარებისაგან. ღვარცოფული ნაკადების ძირითადი შემადგენელი კომპონენტის – წყლის გავლენა არაბმულ და ბმულ ღვარცოფებზე განსხვავებულია; ერთ შემთხვევაში, როგორც აღნიშნული იყო, წყალი წარმოადგენს მატრანსპორტირებელ გარემოს და თიხოვან-კოლოიდურ ფრაქციასთან ერთად უფრო მსხვილ ნაწილაკების ჰიდრავლიკურ სიმსხოს შემცირების გზით ქმნის მაღალი მატრანსპორტირებელი შესაძლებლობის მქონე სუსპენზიას.

მეორე შემთხვევაში, ბმულ ღვარცოფულ ნაკადში, წყლის კომპონენტსა და წვრილდისპერსიულ თიხოვან-კოლოიდურ ნაწილაკებს შორის ურთიერთქმედება უფრო რთულ სახეს ატარებს. გრუნტებში, კერძოდ კი ღვარცოფის წარმოქმნის კერებში და ბმულ ღვარცოფებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. ბმულ წყალს, რომლის ფიზიკური მაჩვენებლები (სიმკვრივე, ელექტრო-ქიმიური თვისებები, თბოტევადობა და სხვ.) იცვლება მისი რაოდენობრივი შემცველობისაგან დამოკიდებულებით. განსაკუთრებული ელექტრომოლეკულური, ელექტროქიმიური და სხვა თვისებების გამო წყლის მოლეკულებს თავისუფალ წყალთან შედარებით აქვთ გაცილებით ნაკლები გადაადგილების საშუალება. ანსხვავებენ ბმული წყლის ორ ნაირსახეობას – მყარადბმული და ფხვიერადბმული – რომელთა შორის პირველს განსაკუთრებული ადგილი უკავია ბმული ღვარცოფული ნარევის მდგრადობის შენარჩუნებაში. სხვადასხვა მკვლევარების მიერ განსაზღვრულია, რომ მყარადბმული წყლის სიმკვრივე შეადგენს 1200÷2000 კგ/მ^3 და ნაწილობრივ ამითაც აიხსნება ბმული ღვარცოფების სიმკვრივის მაღალი მნიშვნელობა. ამასთან, მყარადბმული წყალი ხასიათდება სიბლანტის, დრეკადობისა და ძვრაზე წინაღობის გაცილებით მაღალი მნიშვნელობებით, ვიდრე თავისუფალი წყალი.

ის ფაქტი, რომ მყარადბმული წყლის არსებობა თიხოვან, ლიოსისებრ და სხვა სახის ბმულ გრუნტებში არა თუ აქვეითებს, არამედ ზრდის კიდევაც მათ სიმტკიცეს, აიხსნება იმით, რომ ნაწილაკების გარშემო წყლის მთლიანი აფსკი კი არ წარმოიქმნება, როგორც ეს შეიძლება მოგვეჩვენოს ერთი შეხედვით, და რაც ასუსტებს ნაწილაკებს შორის შეჭიდულობის ძალებს, არამედ ეს მყარადბმული წყალი მოთავსებულია მხოლოდ ცალკეული ნაწილაკების კუთხეებთან და წიბოებთან, ე.ი. ენერგეტიკულად ყველაზე უფრო აქტიურ ადგლებთან, რაც აძლიერებს ნაწილაკებს შორის ურთიერთშეჭიდულობას. ნაწილაკების ზედაპირის დანარჩენი ნაწილი ე.წ. ბაზალური ანუ წახნაგები წყლოვანი აფსკებიდან (მყარადბმული წყლიდან) თავისუფალნი არიან და მეზობელი ნაწილაკები ამ შემთხვევაში მშრალი წახნაგებით ურთიერთშეხებაში მოდიან ყოველგვარი ურთიერთშეჭიდულობის ძალების გარეშე. თიხოვან (და კოლოიდურ) ნაწილაკებს შორის ურთიერთქმედების ასეთი მექანიზმი იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, თუ გავითვალისწინებთ მათი ზედაპირის მრავალწახნაგოვან ფორმას. საკმარისია მსგავს გრუნტებში წყლის ისეთი რაოდენობით მოხვედრა, რომ დაიფაროს ნაწილაკების მთლიანი ზედაპირი, რომ მაშინვე დაირღვეს ნაწილაკებს შორის არსებული მყარი კავშირები და გარემო უმალ დაკარგავს მისთვის დამახასიათებელ სიმტკიცეს. ალბათ სწორედ ასეთ მექანიზმს აქვს ადგილი ბმული ღვარცოფული ნარევის სტრუქტურის დარღვევისას, როდესაც წყლის შემცველობა აჭარბებს განსაზღვრულ კრიტიკულ მნიშვნელობას.

ბმულ ღვარცოფებში წყლის რაოდენობის შემცველობის ზღვრები, რომლებიც შეადგენენ მასით 10÷20 %-ს, იცვლებიან წვრილფრაქციული, უფრო ზუსტად კი ერთ მმ-ზე ნაკლები, ნაწილაკების რაოდენობრივი შემცველობისაგან დამოკიდებულებით: რაც მეტია ეს უკანასკნელი, მით მეტი წყალია საჭირო ღვარცოფული ნარევის ბმული მდგომარეობის შენარჩუნებისათვის და პირიქით. სწორედ წყლის კომპონენტის მყარ კომპონენტთან ურთიერთქმედების ამგვარი მექანიზმითაა განპირობებული ღვარცოფული ნაკადების ძირითადი ფიზიკური და რეოლოგიური თვისებები – სიმკვრივე, სიბლანტე, ძვრის საწყისი წინაღობა, დრეკადობის მოდული და ა.შ.

საერთოდ არაბმულ ღვარცოფულ ნაკადებში საკმაოდ ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი მყარი ფრაქციის გრანულომეტრიული შემადგენლობა. მაგრამ, როგორც ზევით იყო აღნიშნული, თიხოვან-კოლოიდური ფრაქციის წყლის კომპონენტთან ნარევი ჰქმნის მაღალი სიბლანტის გარემოს, რომელიც უფრო მსხვილი მინარევების მიმართ ხასიათდება გაზრდილი ტრანსპორტუნარიანობით. განსაზღვრული ანომალიური თვისებების გამო ბმული ღვარცოფები გადაადგილების დროს ხასიათდებიან აგრეთვე უძრაობის, ანუ ე.წ. „მკვდარი“ ზონების არსებობით, რომლებიც ნაწილობრივ განპირობებულნი არიან კალაპოტის განივკვეთის გეომეტრიით. ამ ზონების პარამეტრების დადგენა იძლევა ეროზიული ღრანტედან მზა ღვარცოფული ნარევის მოწყვეტის რეალური სიღრმის განსაზღვრის საშუალებას, რაც შესაძლებელს ხდის ღვარცოფის ფორმირების პროგნოზირებას. ღვარცოფების ნაგებობებთან ურთიერთქმედება შედარებით ნაკლებად შესწავლილი საკითხია, მაგრამ განსაზღვრული გამოცდილება ამ მიმართულებით მაინც არსებობს. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ღვარცოფების მოძრაობა მდინარის კალაპოტის განსაზღვრულ უბანზე, ზემო წელში, სატრანზიტო მონაკვეთებზე, თუ ნარიყის კონუსზე, იქ არსებული მორფომეტრიული და ჰიდრავლიკური სიტუაციების გათვალისწინებით, შესაძლებელია რეკომენდირებულნი იქნან როგორც ამა თუ იმ სახის ღვარცოფდამჭერი, ღვარცოფმიმმართველი, ღვარცოფგამტარი და სხვა სახის ჰიდროტექნიკური ნაგებობები, როგორიცაა ღვარცოფსაცავები (ანალოგიურიად წყალსაცავისა), ყრუ ან გამჭოლი ტიპის ღვარცოფშემკავებელი კაშხლები ან საგუბრები განლაგებულნი კალაპოტის ღერძის მიმართ მართობულად ან განსაზღვრული კუთხით, ნაპირსამაგრი კედლები, მდინარის კალაპოტში მოწყობილი სალექრები, სწრაფდენები, ღვარცოფსაშვები ღარები და ა.შ. საველე და ლაბორატორიული დაკვირვების შედეგად დადგენილი იქნა, რომ ჩვეულებრივი წყლის ნაკადებისაგან განსხვავებით ღვარცოფები მათ წინააღმდეგ აღმართულ ნაგებობებზე ზემოქმედებენ რამდენადმე ანომალურად, სახელდობრ, დარტყმის პროცესში მონაწილეობას ღებულობს, განსხვავებით წყლის ნაკადებისაგან, მხოლოდ ნაკადის მთელი სიგრძის გარკვეული მონაკვეთი. ეს მოსაზრება ეხება ბმულ ღვარცოფებს, რომელთა ფრონტალური ნაწილი ხასიათდება დიდი დამანგრეველი ძალითა და მაღალი სიმკვრივით, რაც მასში ქვების ჩანართების დიდი დიამეტრებისა და მაღალი კონცენტრაციების არსებობით არის გამოწვეული.

ბმული ღვარცოფის დარტყმითი ზემოქმედება განივად განლაგებულ ნაგებობაზე, რომლის ზედა წახნაგის დახრის კუთხე წყალსადინარის ფსკერისადმი შეადგენს $\beta < 90^0$, განისაზღვრება შესაბამისი დამოკიდებულებით, რის შემდგომაც იოლად შეიძლება დადგინდეს ნაგებობის მდგრადობის პირობა.

ღვარცოფული ნაკადის კალაპოტის ძლიერი ვარდნის უბნებზე ახლომდებარე ობიექტების დაცვის მიზნით აგებენ სხვადასხვა კონსტრუქციის ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობებს, მათ შორის ტრამპლინის ტიპის ნაგებობებს, რომლებსაც ბოლო ნაწილში გააჩნიათ უარყოფითი ქანობი (1<0), რაც ხელს უწყობს ჭავლის მაქსიმალურ გატყორცნას და ნაკადის ენერგიის ჩაქრობას ქვედა ბიეფში, ასეთი ტიპის ნაგებობების ჰიდრავლიკური გათვლა გულისხმობს ქვედა ბიეფში ჭავლის ვარდნის ადგილის (სიშორის) განსაზღვრას. ამასთან, ნაკადის სიღრმე H და სიჩქარე V ნაგებობის ყველა წერტილში წინასწარ განსაზღვრულია. როგორც პარადოქსალურადაც არ უნდა ეღერდეს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთაგორიანი ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ამ ბოლო პერიოდებში ღვარცოფული მოვლენების ინტენსიური განვითარების ფონზე სათანადო სამსახურები არა თუ გაძლიერებულ დაინტერესებას იჩენენ, არამედ პირიქით, ამ პრობლემის მიმართ ერთგავარად საგანგაშო უყურადღებობასაც კი ავლენენ, ვინაიდან ბუნების არაერთი მკაცრი გაკვეთილის წყალობით ცნობილია, რომ ბევრად უფრო მიზანშეწონილია არც თუ ისე დიდი მოცულობის პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება, ვიდრე მოგვიანებით ღვარცოფების მიერ მიყენებული ზარალის ლიკვიდაცია. აქედან გამომდინარე და ყოველვე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დაინტერესებულ სპეციალისტთა წრის უფრო მეტად დაინტერესება ღვარცოფული მოვლენების შესწავლისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების ათვისების მხრივ უდაოდ სარგებლობას მოუტანს ბუნების დაცვითი პრობლემების დროულ, ხარისხოვან და საიმედო გადაწყვეტას.

Landslide-nature, spreading and fighting measures with it

Summary

At the end of the last century and nowadays all around the world including Georgia, Due to the heavy ecological situation and with the perspective of burdening it, it was necessary to realize protective arraignments to avoid land sliding and elaborate new ways in fighting with this natural disaster.

Otar Natishvili

Селевые потоки - природа, распространение, методы борьбы против них

Резюме

В конце прошлого века и теперь, ряд стран в мире, в том числе в Грузий, учитывая сложную ситуацию в области экологической безопасности с точки зрения будущих тенденций в его дальнейшей интенсификации, резко поставили вопрос о необходимости охраны окружающей среды.

Для реализации этой цели особое место занимает разработка современных методов борьбы против природных бедствий, в том числе эрозийно- селевых потоков.

Отар Натишвили

ოთარ ღორჯომელაძე – ს/მ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ნაზი თურმანიძე – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

მარინა ღორჯომელაძე – ბიოლოგიის მასწავლებელი;

შორენა ღორჯომელაძე – ბილოგიის მასწავლებელი

არჩილ ძირკვაძე – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

უაკ (UDC) 631.459+631.452+631.61

ღ - 829

აჭარის ეროზირებული ტერიტორიების ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესება და მიწათმოქმედებაში კვლავ ჩართვის აუცილებლობა

ბუნებაზე ადამიანის მზარდ გავლენას საფუძველი ჩაეყარა მისი ბიოლოგიურ ერთეულად ჩამოყალიბების დროიდან, ხოლო დედამიწის მოსახლეობის მატების კვალობაზე (ამჟამად 7 მილიარდს გადააჭარბა) და ოცდამეერთე საუკუნის თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში კი კიდევ უფრო გაიზარდა ადამიანის დომინირება პლანეტის ბიოსფეროზე, მის სტრუქტურაზე, ენერგეტიკაზე და მან უკვე დიდი ხანია მასშტაბური ხასიათიც კი მიიღო.

გარემომცველი ბუნების სულ უფრო მზარდი გაჭუჭყიანებისა და ნიადაგის ეროზიის პრობლემა რა თქმა უნდა უშუალო კავშირშია ადამიანთა მოღვაწეობასთან და რადგანაც ბიოსფერო ერთია მთელი დედამიწისათვის, ამიტომ საფრთხის დადებითად გადასაწყვეტად ალბათ საერთაშორისო, ერთობლივი ღონისძიებების გატარებაა აუცილებელი.

ჩვენს ქვეყანაში ბუნების დაცვის საკითხებს ამ ბოლო დრომდე არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება. არადა მცირე მიწიანი, გორაკ-ბორცვიანი და მთაგორიანი საქართველოსათვის უაღრესად აქტუალურია ბუნებრივი გარემოს რღვევისა და ეკოლოგიურად დაბინძურების შეჩერების პრობლემა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უნიკალური ბუნების გაფრთხილებას, ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენა-გაუმჯობესებას, ნიადაგის დაცვას ეროზიის, მეწყერების, ღვარცოფების და სხვა უარყოფითი მოვლენებისაგან. ბუნების დაცვის საქმეში კი არანაკლებ მნიშვნელოვანია ურბანიზაციის ფაქტორის გათვალიწინებაც. ასე, რომ საჭიროა მთელი რიგი კომპლექსური, ქმედითი ღონისძიებების გატარება, რათა დავიცვათ გარემო (ჰაერი, წყალი, ნიადაგი, ფლორა და ფაუნა) დაბინძურებისაგან, მოსახლეობის ჯანმრთელობა კი – მისი შესაძლო მავნე გავლენისაგან.

მიწა ჩვენი მარჩენალი და წარმოების ძირითადი საშუალებაა. სწორედ, მის სწორ, წესიერ გამოყენებას და დაცვას მცირემიწიანი აჭარისათვის მრავალმხრივი მნიშვნელობა გააჩნია. დიდად დანაწევრებული, მცირე კონტურებიანი, ციცაბო რელიეფისა და უხვნალექიანობის პირობებში ნიადაგის ეროზიისაგან დაცვა, მისი დაკარგული ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესება, დაბინძურებული და გადარეცხილობის მიზეზით სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოსული ტერიტორიების ინტენსიური მიწათმოქმედების სისტემაში კვლავ ჩართვა და ადამიანთა სამსახურში ჩაყენება კი დღევანდელობის უმთავრესი ამოცანაა.

ეკოლოგიურად სუფთა გარემო და მაღალი ნაყოფიერების მქონე ნიადაგები ერის სიმდიდრეა და მათ რაციონალურ გამოყენებაზეა ძირითადად დამოკიდებული მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილება. მთლიანად საქართველოში და განსაკუთრებით კი აჭარაში, ფაქტობრივად აღარ არის საშუალება, რომ დიდი კაპიტალური დაბანდებების გარეშე გავადიდოთ სახნავ-სათესი ფართობები ახალი მიწების ათვისების ხარჯზე, რის გამოც მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ არსებული სავარგულების სწორ, რაციონალურ გამოყენებას. უნდა ვიბრძოლოთ ნიადაგის დაკარგული ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესება-შენარჩუნებისათვის. სწორედ ამიტომ, ბუნების დაცვას, ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლას და ნიადაგდამცავი ღონისძიებების პრაქტიკაში დანერგვა-განხორციელებას, დარღვეული ეკოლოგიური პირობების აღდგენა-გაუმჯობესების საქმეში უდიდესი როლის შესრულება შეუძლია.

ადამიანის მიერ ბუნების დაცვის მოთხოვნათა იგნორირების შედეგია ნიადაგის გადარეცხვის და ეროზიის გააქტიურება. ეროზიის შედეგად კი უარესდება ნიადაგის ფიზიკური თვისებები და ქიმიური შედგენილობა. ეროზია

იწვევს ნიადაგის გამოშრობას, აძნელებს მის დამუშავებას, აღარიბებს ნიადაგს – რეცხავს საკვებ ელემენტებს (ნივთიერებებს), აუარესებს ნიადაგში მიმდინარე მიკრობიოლოგიურ პროცესებს და სხვა. დადგენილია, რომ ჩამოურეცხავ-ნორმალურ ნიადაგებთან შედარებით ეროზირებულ მიწებზე მცენარეთა მოსავლიანობა 50-70%-ით დაბალია, ძლიერი ეროზიული პროცესების განვითარების შედეგად ნიადაგი საერთოდ უვარგისი ხდება სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, ხოლო ასეთ მიგდებულ-მიტოვებულ ტერიტორიებზე ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენითი სამუშაოების განხორციელების გარეშე კულტურათა წარმოებაზე გაწეული ყოველგვარი გარჯა უშედეგოა.

ჩაისა და სუბტორპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალისა და აჭარის საყრდენი პუნქტის მეცნიერ-მუშაკთა (მ. დარასელია, შ. გვაზავა, შ. მგელაძე, ი. ბერიძე, ნ. ბერიძე, ო. ღორჯომელაძე) ეროზიის პრობლემაზე ხანგრძლივი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საფუძველზე არა მარტო აჭარისა და აფხაზეთის ტერიტორიებისათვის, არამედ მთელი დასავლეთი საქართველოსათვის შემუშავებული და შედგენილია მთელი რიგი კონკრეტული ნიადაგდამცავი ღონისძიებებისა რომლებიც ფერდობი მიწათმოქმედების პირობებში პასუხობენ და უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების (ერთწლოვანები, მრვალწლოვანები) ინტენსიურ და მრაღალრენტაბელურ წარმოებას, განხილული და შემოთავაზებულია ისეთი ღონისძიებები, რომელთა დანერგვაც არ მოითოვს დიდ კაპიტალურ დაბანდებებს და მოსალოდნელია ძალზედ მაღალი ეკონომიკური შედეგები, ბუნების დაცვა და ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესება.

აჭარაში წარმოებული ერთწლოვანი სათოხნი კულტურების (სიმინდი, კარტოფილი, თამბაქო) ქვეშ არსებული ტერიტორიის 96% ექვემდებარება ეროზიას. ძალზე ხშირია მეწყრული მოვლენები, ღვარცოფები, მიწის, თოვლისა და კლდის ზვავები, მდინარეთა გვერდითი ეროზია, აბრაზია, ნიადაგ-გრუნტის დამრღვევი ბუნებრივი პირობების გაუარესების სხვა პროცესები. ყოველივე ამას ემატება ტყეების პირწმინდად ჩეხვა და ქარსაფარი ზოლების განადგურებაც.

მოსახლეობის მეტისმეტად ჭარბი დასახლებიდან გამომდინარე, ციცაბო ფერდობების მაქსიმალურად ათვისება საცხოვრებელი სახლებითა და სავარგულებით, გზების გაუაზრებელ-დაუსაბუთებელი, გეოლოგიურად ყოველგვარი შესწავლის გარეშე (ძლიერი აფეთქებების გამოყენებით) მშენებლობები კი იწვევს ნაპრალების გაჩენას ფერდობის ამგებ ქანებში და საწყისს აძლევს მეწყრული პროცესების განვითარებას თავისი „მთვრალი ტყეებით“, დელუკიონებით (ფერდობის ნალექი) და ა.შ; სასმელი და სარწყავი წყლების მოყვანა და სრულიად ახალ ტერიტორიებზე წლების მანძილზე მათი უკონტროლოდ დინება კი ასევე ცვლის ფერდობის წყლით საზრდოობის პირობებს და მისი დატენიანების ხარისხს, რაც ხელს უწყობს იგივე მეწყრული და ნიადაგ-გრუნტის დამშლელი სხვადასხვა მოვლენების გააქტიურებას. ხსენებული და კიდევ სხვა სახის სტიქიური პროცესები კი თითქმის ყოველწლიურად და ბევრჯერ, წელიწადის ნებისმიერ დროს იჩენენ თავს ამა თუ იმ რეგიონში და იწვევენ ადამიანთა ტრაგიკულ მსხვერპლს, რომ აღარაფერი ვთქვათ ბუნების იმ მრავალგვარ დამახინჯებაზე, ეკოლოგიური პირობების გაუარესებასა და ეკონომიკურ ზარალზე, რასაც განიცდის მოსახლეობა, ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგები.

აჭარა ტიპიური მთა-გორიანი რესპუბლიკაა. ვაკე რელიეფი წარმოდგენილია მხოლოდ 5,3%, ხოლო ტერიტორიის 94,7% კი შეადგენენ მთისწინა გორაკ-ბორცვიანი, მთა-ტყეთა და ალპური ზონები, თავიანთი ძლიერ დანაწევრებული რელიეფით, ვიწრო ხევებითა და ღრმა ხეობებით.

ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის (2,9 ათასი კმ^2) მხოლოდ 24 % შეადგენენ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, 15,5% მოდის მაღალმთიან სათიბებსა და საძოვრებზე. აქ განსაკუთრებით ჭირს სახნავები, რომლებსაც უკავიათ ფართობის მხოლოდ 3,6%. ამდენად, აჭარაში ერთ სულ მოსახლეზე მოდის 0,2 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, რომელთაგან სახნავია მხოლოდ 0,02 ჰა.

ეკოლოგიური პირობების გაურესების, მეწყერული მოვლენების განვითარებისა და ნიადაგის ეროზიის გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია ჭარბი ნალექები. აჭარა საქართველოს დანარჩენი რეგიონებისაგან უპირველესად გამოირჩევა სწორედ უხვნალექიანობით. ამიტომაც აღნიშნული მიზეზის გამო აქ ძირითადად დომინირებს წყლისმიერი ეროზია. ეროზია ეწოდება წყლის ნაკადების მიერ ნიადაგური საფარის რღვევას, ცალკეულ კოშტებად დაშლას და ამ ნაშალი პროდუქტების, ჩამონადენ წყლებთან ერთად ჩამორეცხვას. ეროზია ბუნებრივ პირობებშიც მიმდინარეობს, მაგრამ ამ დროს ნიადაგწარმოქმნა ყოველთვის სჭარბობს მის დანაკარგებს. აჭარის სინამდვილეში კი საქმე გვაქვს აჩქარებულ ეროზიასთან, როდესაც ადამიანი არასწორი სამეურნეო საქმიანობებით, (ნიადაგ და წყალდაცვითი მნიშვნელობით ტყე-ბუჩქნარის გაჩეხვა, ელემენტარული ნიადაგდამცავი ღონისძიებების გაუტარებლობა – ფერდობებზე ნიადაგის არასწორი, დახრილობის მიმართულებით ხვნა, დაკვალვა, მცენარეთა განლაგება, ასევე სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაბალი აგროტექნიკა, კულტურათა მოვლა-განოყიერების აგროწესებით გათვალისინებული მოთხოვნების დაუცველობა და სხვა) ხელს უწყობს და

აჩქარებს ნიადაგის დანაკარგებს, ეკოლოგიური სიტუაციის გართულებას. ზღვისპირეთში მოსული ნალექების საშუალო მრავაწლიური მაჩვენებელი შეადგენს 2500-2800 მმ (ბათუმი, ჩაქვი, ქობულეთი), ხოლო შიდამთიან აჭარაში კი იგი მერყეობს 1050-1500-2100 მმ-მდე (შუახევი, ქედა, ხულო). ნალექების წლიური რაოდენობის 14% მოდის გაზაფხულზე, 23% ზაფხულში, 36% შემოდგომაზე და 27% კი ზამთარში. ასე რომ, ნალექები წლის პერიოდებისა და სეზონების მიხედვით არ არის თანაბრად განაწილებული და მიუხედავად ჭარბნალექიანობისა, რადგანაც ის ნაკლებია სავეგეტაციო პერიოდში, ამიტომაც ზაფხულობით აუცილებელია სავარგულების გასარწყავება – კულტურათა მორწყვა.

მიუხედავად ტერიტორიის ციცაბოობისა და ნალექების სიუხვისა აქ მრავალწლოვანი ნარგაობანი გაშენებულია მხოლოდ 15899 ჰა, მათ შორის: 5618 ჰა – ჩაი; 7767 ჰა - ციტრუსები; 88 ჰა – ვენახი; 762 ჰა - ბაღები; 22 ჰა – თუთა; 41 ჰა – კეთილშობილი დაფნა; 364 ჰა – ტუნგი; 3 ჰა – კაკალნაყოფიანები და 234 ჰა დანარჩენი მრვალწლოვანი ხეხილოვნები. ტყეების, ბუჩქნარებისა და ქარსაფარი ზოლების ქვეშ მოქცეულია 187525 ჰა ფართობი.

მართალია აგროწესების თანახმად 15^0-ზე მეტად დახრილ ფერდობებზე ერთწლოვანი სათოხნი კულტურების წარმოება დაუშვებელია, მაგრამ მცირემიწიანობის გამო, მოსახლეობა იძულებულია ამ დანიშნულებითაც კი აითვისოს $35\text{-}40^0$ და უფრო მეტად დახრილი ფერდობები, თანაც ყოველგვარი თესლბრუნვისა და კულტურათა მონაცვლეობის გარეშე. რასაც ემატება ნიადაგდამცავი ღონისძიებების გაუტარებლობა და სწორედ ხსენებული მიზეზების წყალობით, აქ წლითიწლობით მატულობს სასოფლო-სამეურნეო სარგებლობიდან გამოსული, მიგდებული და მიტოვებული მიწების რაოდენობა, თითქმის უგულვებელყოფილი იყო ბუნებრივი რესურსების დაცვა და ამიტომაც დღენიადაგ უარესდებოდა ეკოლოგიური სიტუაცია. მოგვიანებით ასეთ ფართობებზე სახლდება სარეველები და დაბალი ღირსების ბუჩქნარები, რომელთა რაოდენობაც დღეისათვის 10 000 ჰა-ს აღემატება; ცნობილია, რომ სწორი გამოყენებით ნიადაგის ნაყოფიერება განუწყვეტლივ უმჯობესდება, ამიტომაც აჭარისათვის ნიადაგდამცავი, ეროზიასაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას, ჩამორეცხილი მიწების, ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესებას და სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში კვლავ ჩართვას, საბოლოო ჯამში კი ეკოლოგიური მდგომარეობის გაკეთილშობილებას ნამდვილად სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია.



სურ.1. დასარეკლიანებული და სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოსული, მიგდებულ-მიტოვებული ფერდობის ათვისების შემდეგ მოწყობილი ნაკვეთი (სუფთა ანეულის, ვენახის, ჩაის, სიმინდის, ლიმონის) ჩამონადენის მოედნებითა და საცდელი ვარიანტებით.

ეკოლოგიურად გაუარესებული, სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოსული და მიგდებულ-მიტოვებული მიწების ათვისებას ვიწყებთ ზედაპირის მოსუფთავებით და კულტურ-ტექნიკური სამუშაოების ჩატარებით, სხვადასხვა სარეველა ბალახების, უვარგისი ბუჩქნარების, ქვა-ღორღის, ჯირკების, ხის ნარჩენების და ა.შ. გაწმენდით. ქვებისა და ჯირკების ამოყრის შემდეგ დარჩენილი ორმოებისა და სიღრმითი ეროზიის შედეგად გაჩენილი ხრამების, ღრანტეების მიწით ამოვსებით. გადარეცხილობის ხარისხის (სუსტად, საშუალოდ, ძლიერ, უძლიერესად) შესაბამისად ნიადაგის ძირითად დამუშავებამდე (პლანტაჟი; ფენობრივი; ფენების შერევით) აუცილებელია შეტანილი იქნეს ფოსფოროვანი სასუქი არანაკლებ 500-600 კგ/ჰა-ზე ანგარიშით.

სხვადასხვა მცენარეთა ფესვების, ფესურებისა და ნაირგვარი სარეველა ბალახების თესლის მოსპობის, ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების და განსაკუთრებით კი სტრუქტურიანობის აღსადგენად, განაშენიანების გეგმით გათვალისიწნებული ძირითადი კულტურების მიერ ტერიტორიის დაკავებამდე, ფართობების გაკულტურების მიზნით აუცილებელია ახლად ათვისებულ ნაკვეთებზე, სულ მცირე 2-3 წლით მაინც დაითესოს ერთწლოვანი სათოხნი კულტურები ან მარცვლოვან-პარკოსანი ბალახნარევები სიდერატების („მწვანე სასუქები“) სახით.

სიდერატები (განსაკუთრებით ფერდობებზე), ხომ ადგილზე წარმოებული ნაკელია და გადარეცხილი ნიადაგების ნაყოფიერების, ასევე ეკოლოგიური წონასწორობის, აღდგენა-გაუმჯობესების რეალური და იაფი საშუალებაა. სარეველების მოსპობა-განადგურების შემდეგ, აგროწესების შესაბამისად ნიადაგში შეგვაქვს ორგანულ-მინერალური სასუქები სრული ნორმებისა და დოზების დაცვით. ნიადაგის თესვისწინა დამუშავება, თესვა-რგვა და ნათესარის მოვლა (თოხნა-კულტივაცია, მორწყვა, მავნებელ დაავადებათაგან დაცვა და სხვა) უნდა ჩატარდეს აგროწესების მოთხოვნებისა და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა მტკიცე დაცვით.

ფერდობებზე ნიადაგს ერთწლოვანი სათოხნი კულტურებისათვის ვხნავთ 22-25 სმ სიღრმეზე ჩეულებრივი, ერთტანიანი საბრუნი გუთნით, ცოცხალი გამწევი ძალის (ხარი, კამეჩი, ცხენი) გამოყენებით. ვინაიდან გუთანი დახრილი რელიეფის პირობებში ხელს უწყობს ნიადაგის ე.წ. „მექანიკურ ეროზიას“, ამიტომ სასურველია ხვნა განხორციელდეს ქართული, ოდითგან ადაპტირებული სახვნელების გამოყენებით, რომელთა ისრისებური, „ბრტყლადმჭრელები“, მოჭრილ ბელტს კი არ აბრუნებენ და ზემოდან ქვემოთ ხელოვნურად არ გადმოაადგილებენ, არამედ ნიადაგს აფხვიერებენ და ადგილზევე ტოვებენ.

სურ. 2. სურათზე მოჩანს, რომ ფერმერი ფერდობზე ნიადაგს ხნავს ცოცხალი გამწევი ძალის გამოყენებით, დახრილობის გარდიგარდმოდ. ხოლო უგზოობის გამო და ნიადაგის განოყიერების მიზნით მოხვნამდე 2-3 დღით ადრე ნაკვეთი მოურწყავს ე.წ. სქელი ჟიჟით (წყალში გახსნილი პირუტყვის ნაკელი).

სურ. 3. ერთწლოვანი სათოხნი კულტურების მოსავლის აღების შემდგომ, ცვერცველა-შვრიას ნარევის მოზამთრე შუალედური ნათესარი.

ფერდობებზე განსაკუთრებულ სირთულეებს ქმნიდა და ყველა დროის პრობლემას წარმოადგენდა მრავალწლოვანი ხე და ბუჩქოვანი მცენარეების გასაშენებლად ნიადაგის პირველადი ღრმად (50-70 სმ სიღრმეზე) დამუშავება. რადგანაც 10^0-ზე მეტად დახრილ ტერიტორიებზე, ხსენებული სამუშაოს შესასრულებლად შეუძლებელია მძიმე ტექნიკის გამოყენება, მითუმეტეს დაქანების გარდიგარდმოდ, ამ სამუშაოს ჩვეულებრივ ასრულებენ ბარით და ვიწროპირიანი თოხით, რაც დიდ კუნთურ შრომასთან, დროსთან და კაპიტალდაბანდებებთან არის დაკავშირებული. ამიტომაც, აჭარის საყრდენ პუნქტში დოც. ზ. ბეროძის მიერ, პროფ. ს. ფირცხალაიშვილის ხელმძღვანელობით დამუშავებული იქნა სათანადო რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებს 35^0-მდე დახრილ ფერდობზე მრავალწლოვანი მცენარეების (მათ შორის ციტრუსების) გასაშენებლად ნიადაგის პირველად დამუშავება მიკრო

სურ. 4. თამბაქოს მონოკულტურის შედეგი-ეროზირებული ფერდობი.

აფეთქების მეთოდით. რაც ვფიქრობთ ფერდობი რელიეფის პირობებში მიგდებულ-მიტოვებული ტერიტორიების ასათვისებლად უდიდეს სასარგებლო საქმეს გააკეთებს.

ეკოლოგიურად გაუარესებული, სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოსული მიწების ათვისებისა და ეროზიასთან ბრძოლის ერთ-ერთი უპირველესი ღონისძიებაა, ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით, ორგანულ-მინერალური სასუქების გამოყენება და ზრუნვა ნიადაგის ნაყოფიერების განუხრელი

ამაღლებისათვის, რამეთუ ნოყიერი ნიადაგის წყალგამტარუნარიანობა იზრდება და ფერდობზე ზედაპირულად ჩამონადენი თხიერი და მასში ატივნარებული მყარი ფაზის ხვედრითი წილიც დიდად მცირდება. ამიტომ ახლად ათვისებულ ტერიტორიებზე არა მარტო ნიადაგის განოყიერება უნდა მოხდეს აგროწესებისა და ეროზიის საწინააღმდეგო მოთხოვნათა შესაბამისად, არამედ მცენარეებიც უნდა დაირგოს ფართობის ერთეულზე შესაძლო მაქსიმალური სიმჭიდროვით და გაშენების ჭადრაკული წესის დაცვით, რაც წლის ეროზიასაშიშ პერიოდებში ხელს შეუწყობს ნიადაგის ზედაპირის მაღალი საპროექციო დაფარულობის შექმნას და ეროზიისაგან დაცვას.

ეკოლოგიურად დაბინძურებული, მდინარეთა მიმდებარე, ნაყოფიერებადა-კარგული მერიისა და ჭალის ვაკე ტერიტორიებზე, ასევე ეროზიამედეგ და მეწყრული მოვლენებისაგან ბუნებრივად დაცულ ფერდობებზე, იმ ნაკვეთებზე, სადაც საამისო რელიეფურ-ოროგრაფიული და გეოლოგიურ-ნიადაგური პირობები არსებობს, მიგდებულ-მიტოვებული მიწების ნაყოფიერების აღდგენის საქმეში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მამაპაპისეული, ისტორიული, მაგრამ თანამედროვე აგრარულ მეცნიერებაში კარგად მიღებული მეთოდის ჩართვასაც, რაც გულისხმობს ზედაპირულად ჩამონადენი მღვრიე წყლების ეროზირებულ ფართობებში შეშვებას და მცირე ნაკადებად დანაწევრებული სახით მთელს ნაკვეთში განაწილებას, რომელიც წყალში შერეულ მღვრიე მასას თავისი ლამისა და ლექის ფრაქციებით ტოვებს ფართობის ზედაპირზე და ამით უდიდეს სასარგებლო საქმეს აკეთებს ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესებაში. ვაკე რელიეფის პირობებში მდინარეთა მღვრიე მასით ტერიტორიის მოლამვა კი აგრონომიაში კოლმატაჟის სახელითაა ცნობილი.

აჭარის სინამდვილეში შექმნილი კრიტიკული სიტუაციიდან გამომდინარე ჩამორეცხილი ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა ჩამოურეცხავის დონემდე, მიეკუთვნება მიწათმოქმედების პირველხარისხოვანი ამოცანების რიცხვს. ჩამორეცხილი ნიადაგები, განსაკუთრებით საშუალო, ძლიერი და უძლიერესი

სურ. 5. ეკოლოგიური კატასტროფის შედეგი – მეწყერული მოვლენების განვითარება და დაშლილი საცხოვრებელი სახლი. კიდევ ერთი გაუბედურებული ოჯახი (ქედა, სოფ. აბუქეთა).

ხარისხისა უნდა განვიხილოთ ისეთ სავარგულებად, რომელთაც უახლოეს მომავალში ემუქრებათ მიგდებული, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის გამოუსადეგარი მიწების რიცხვში გადასვლა, თუ არ იქნება მიღებული სასწრაფო ღონისძიებები მათი ნაყოფიერების აღსადგენად.

რეკომენდაციაში წარმოდგენილია რიგი ურთიერთდაკავშირებული ორგანიზაციული ღონისძიებები და ხერხები, რომელთა ამოცანაა ბუნების დაცვა, ეროზიის აღკვეთა, ჩამოურეცხავი ნიადაგების ნაყოფიერების შენარჩუნება და კიდევ უფრო ამაღლება, გადარეცხილი მიწების ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესება, მიგდებულ-მიტოვებული ტერიტორიების სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში კვლავ აქტიური ჩართვა, მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილება ადგილზე წარმოებული სურსათითა და ნედლეულით. თანამედროვე ეტაპზე მეცნიერებისა და მიწათმოქმედთა ამოცანაა მოსახლეობას სოფლად შეექმნას ნორმალური პირობები, ადგილზევე დასაქმდეს და სოფელს არ დავუკარგოთ ის ისტორიული მისია, როდესაც მშრომელი კაცი მიღებული მოსავლით აკმაყოფილებდა საკუთარ ოჯახს და ჭარბი პროდუქცია გაჰქონდა ბაზარზე, ამარაგებდა ქალაქებსა და სხვა სამრეწველო ცენტრებს.

მოსამზადებელი სამუშაოები, ბუნების დაცვა და ტერიტორიის ეროზიის საწინააღმდეგო ორგანიზაცია

– ყველა კატეგორიის მეურნეობაში უნდა განხორციელდეს ბუნების დამცავი და ტერიტორიის ეროზიის საწინააღმდეგო საორგანიზაციო სამუშაოები. უნდა შედგეს შიდამეურნეობრივი მიწათმოწყობის გეგმა; უნდა მოხდეს სოფლის მეურნეობაში გამოუყენებელი, გაოხრებული მიწების გამოვლენა და აღრიცხვა. ამ მიგდებულ-მიტოვებულ ნაკვეთებზე დამცავი ნარგაობების გასაშენებლად, ასევე წყალმიმღები, წყალგამყვანი და სარწყავი არხების მოსაწყობად, ტერიტორიის სათანადო (განივ-კონტურულად) დაგეგმარება;

– ტერიტორიის ორგანიზაციის პროექტის შემუშავება, პირველ რიგში მრავალწლოვანი ძვირფასი სუბტროპიკული, სამხრეთული და სხვა ნაყოფისმომცემი ხე და ბუჩქოვანი მცენარეების გასაშენებლად, მათი გაადგილების წესის, სიხშირისა და კვების არის გათვალისწინებით.

– ძირითადი ნიადაგური საფარის ჩამორეცხილობის ხარისხის დადგენა, რაც ხელს შეუწყობს ბუნების დაცვას, მიწის ყოველი ნაკვეთის სწორ გამოყენებას და ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-ამაღლების ღონისძიებათა სწორად გატარებას.

– ფერდობებზე ნიადაგის ყოველგვარი დამუშავება (მიმდინარე, პერიოდული) და აგროტექნიკური ოპერაცია უნდა შესრულდეს დაქანების გარდიგარდმოდ, ე.ი. მისი დახრილობის გადამკვეთი (პერპენდიკულარული, კონტურული) მიმართულებით. კულტურათა მორწყვა კი უნდა განხორციელდეს რწყვის წვეთური და დაწვიმებითი წესების გამოყენებით.

სურ. 6. თამბაქოს ჩითილების დასარგავად ნიადაგის დამუშავება (დაკვალვა) ფერდობზე, დაქანების განივ-კონტურულად

სურ. 7. ნიადაგდამცავი მრავალწლოვანი ბალახნარევების „ბუფერული ზოლი“ კარტოფილისა და სიმინდის ნაკვეთებში

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა თესვა-მოყვანითი ტექნოლოგიური პროცესები და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები, როცა ისინი სრულდება კონტურულად, ბელტების, თხემების, კვლების, არხების, მწკრივების მიმართულებაც კონტურულია. ამიტომაც, წვიმისა და თოვლის ნადნობი წყლები იძულებულია ჩაიჟონის ნიადაგში, ე.ი. ხელი ეშლება წყლის ზედაპირულად ჩამოდინება-ჩამორეცხვით პროცესებს, ჩამონარეცხ მასასთან ერთად მინერალური ნივთიერებებისა და შხამქიმიკატების მდინარეებსა და წყალსატევებში ჩარეცხვა-დაბინძურებას. ნიადაგის პროფილში ჩატარებული ჭარბი წყლები საზიანო ქმედებების ნაცვლად რათქმაუნდა ავლენენ სასარგებლო თვისებებს, უერთდებიან ნიადაგქვეშა წყლებს და კვებავენ წყაროს, ბევრ შემთხვევაში კი თერმულ და მინერალურ წყლებს და რაც მთავარია, თავიდან ვიცილებთ ნიადაგის ეროზიას და გარესამყაროს დაბინძურებას, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას.

გარემოსა და ნიადაგდამცავი მიწათმოქმედების სისტემა

როგორც მთლიანად ჩვენი ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, ისე აჭარაშიდაც მიწათმოქმედების სისტემა უნდა ითვალისწინებდეს, როგორც ერთწლოვანი ისე მრავალწლოვანი კულტურების გარემოსა და ნიადაგდამცავ ტექნოლოგიას; ჩამოურეცხავი ნიადაგების ნაყოფიერების შენარჩუნებას; გადარეცხილი მიწების ნაყოფიერების აღდგენისა და ამაღლების, ასევე ნაყოფიერების დაკარგვის მიზეზით სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოსული და მიგდებულ-მიტოვებული ტერიტორიების ადამიანთა სამსახურში კვლავ ჩასართავად ეროზიასაწინააღმდეგო ღონისძიებების სრულყოფილად გატარებას, გარემოსა და ნიადაგდამცავი აგროწესების მოთხოვნათა დაცვას.

სურ. 8. ბალახნარევების მულჩი ვარჯშეუკვრელი მანდარინის რიგთაშორისებში.

სურ. 9. ეკოლოგიურად გაუარესებულ, მიგდებულ-მიტოვებულ ტერიტორიაზე კულტურ-ტექნიკური სამუშაოების ჩატარების შემდეგ ნიადაგის განოყიერების მიზნით ცერცველა-შვრიას სასიდერაციო ნათესი.

მრავალწლოვანი სუბტროპიკული, სამხრეთული და ასევე სხვა საინტერესო კულტურების ფერდობებზე მწკრივთა განლაგება, მცენარეთა ნერგების დარგვა-გაშენება უნდა ხდებოდეს არა მარტო დახრილობის საწინააღმდეგოდ, არამედ მრავაწლოვანი მარცვლოვან-პარკოსანი ბალახნარევებისაგან შექმნილი (კოინდარი-იონჯას; კოინდარი-სამყურას და სხვა) ე.წ. „ბუფერული ზოლები“-ს მორიგეობითაც; ბუფერულ ზოლებს შორის მანძილი დამოკიდებულია ფერდობის დახრილობაზე. რაც უფრო დაქანებულია ნაკვეთები, ხსენებულ ზოლებს შორის მანძილი მცირდება და პირიქით, რაც უფრო ნაკლებად დახრილია ნაკვეთი, მით უფრო იზრდება ეს მანძილი.

„ბუფერული ზოლები“ ფერდობებზე ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების მხრივ ასრულებენ უდიდეს სასარგებლო საქმეს, ზღუდავენ ჩამონადენი წყლების ზედაპირულ დინებებს, ადიდებენ ნიადაგის სიღრმეში, მის პროფილში წყლების ჩადინების მოცულობას. კორდი და წამოზრდილი ბალახები კი ფილტრავენ მღვრიე ჩამონადენში ატივნარებული მყარი ფაზის ნაწილაკებს, რითაც ეწინააღმდეგებიან ბუნებისა და საერთოდ ეკოლოგიური პირობების გაუარესებას, ნიადაგის გადარეცხვას. ხსენებული ქმედებებით „ბუფერული ზოლები“ აკეთებენ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს, რომელსაც ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესება-შენარჩუნება და კულტურათა მოსავლიანობის ზრდა, ეკოლოგიური სიტუაციის გაკეთილშობილება ჰქვია. როგორც უკვე ითქვა „ბუფერულ ზოლებს“ შორისებში ნიადაგის დამუშავება იმდაგვარად უნდა წარიმართოს, რომ მოკლე დროში ხელი შეეწყოს თვითდატერასებას და ჩამოვაყალიბოთ ე.წ. აგროტერასი, რომელიც მაქსიმალურად შეუშლის ხელს წყლის ზედაპირულ გადმოდინებებს და უზრუნველყოფს ეროზიული პროცესების შეჩერება-აღკვეთას.

– ფერდობებზე გაშენებული მრვალწლოვანი კულტურების ახალგაზრდა ასაკის ნარგავები გაშენების პირველ წლებში ნიადაგის ზედაპირს არასაკმარისად ფარავენ და მათთვის განკუთვნილ კვების არეს სწორი აგროტექნიკის პირობებშიც კი მაქსიმალურად ითვისებენ მხოლოდ სრულასაკოვნობისა და სრული მსხმოიარობის სტადიის მიღწევის დროისათვის. ამიტომაც შემოდგომა-ზამთრისა და გაზაფხულის ტრადიციული ინტენსიური ხასიათის წვიმების მოსვლის პერიოდისათვის, ასევე თოვლის დნობის დროს რიგთაშორისები ძირითადად შიშველი და ეროზიისაგან დაუცველია. ასეთ პირობებში, ნიადაგები რომ არ ჩამოირეცხოს, ნერგის დარგვის პირველსავე წლიდან ძირითადი კულტურების ვარჯით შეკვრამდე პრაქტიკაში უნდა დავნერგოთ რიგთაშორისებში სასიდერაციო ბალახთესვა და სხვადასხვა ორგანული მასით მულჩირება;

– ციტრუსების, სხვა სუბტროპიკული თუ კონტინენტალური ხეხილოვნების (თესლოვანები, კურკოვანები), ეთერზეთოვანი ვარდისა და ვაზის, ასევე სხვადასხვა ხე და ბუჩქოვანი მცენარეების ახალგაზრთა და ჯერ კიდევ ვარჯშეუკვრელი ნარგაობების რიგთაშორისებში უნდა დაითესოს მრვალწლოვანი მარცვლოვან-პარკოსანი ბალახები – იონჯა – მრავალსათიბი კოინდარის ნარევი, ან ერთწლოვანი მარცვლოვან-პარკოსანი ბალახები – ცერცველა-შვრიას ნარევი, ასევე სოიო. მრვალწლოვანი ბალახების გაზაფხულის განათიბი მცენარეთა შტამბის ირგვლივ უნდა დარჩეს მულჩის სახით. ცერცველა-შვრიის ნარევი უნდა დაითესოს შემოდგომით, ხოლო ყვავილობის ფაზაში გათიბულ მათ მწვანე მასას ჩავაკეთებთ ნიადაგში მომდევნო წლის გაზაფხულზე. ამის შემდეგ იგივე ნაკვეთზე ვთესავთ სოიოს და მის გათიბულ მასას ნიადაგში ჩავთოხნით (ჩავხნავთ, ჩავაკეთებთ) იმავე წლის შემოდგომაზე.

– მექანიზირებული წესით დატერასებულ ფერდობებზე ბალახები პირველ წლებში უნდა დაითესოს მცენარეთა შტამბიდან 75 სმ-ის დაცილებით. შემდგომში ვარჯის განვითარების კვალობაზე, ბალახების სათეს ზოლს ვავიწროებთ და ვარჯშეკრულ პლანტაციებში კი ბალახთესვა უნდა შევწყვიტოთ.

– ახლად გაშენებული და ჯერ კიდევ ვარჯშეუკვრელი ჩაის რიგთაშორისებში შემოდგომით უნდა დავთესოთ ცერცველა-შვრიას ნარევი. ბალახნარევს ვთიბავთ გაზაფხულზე და განათიბს, ისევე როგორც ჩაის ანასხლავ მასას, ნიადაგის დაცვისა და მისი განოყიერების მიზნით მულჩის სახით ვფენთ რიგთაშორისებში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გასაგები ხდება, რომ აჭარისათვის საერთოდ ბუნებისა და კერძოდ კი ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის, სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოსული მიგდებულ-მიტოვებული მიწების კვლავ ათვისება-გამოყენების საკითხი უპირველესი და უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომელიც დიდად განსაზღვრავს მოსახლეობის სოფლად დამაგრებას, მათთვის სამუშაო ადგილების გაჩენას და ცხოვრების დონის ამაღლებას, ამასთან, მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მიგდებულ-მიტოვებული მიწების ერთწლოვანი სათოხნი კულტურების ქვეშ ათვისების დროს მათი მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიაში უნდა ჩაირთოს შემდეგი ხერხები:

ერთწლოვანი სათოხნი კულტურების მოსავლის აღების შემდეგ წლის ეროზიასაშიში შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის ძლიერ დაქანებულ ფერდობებზე ნაკვეთები რჩება მცენარეთაგან გაშიშვლებული. ყოველივე ამას ემატება თოვლის (1-4 მ სისქის და უფრო მეტი) ღრმა საბურველის გაზაფხულზე, ინტენსიური დნობით გამოწვეული ეროზიული პროცესების მაქსიმალური გამოვლინება, რომელსაც ზაფხულში აძლიერებს თავსხმა ხასიათის წვიმების უარყოფითი ზემოქმედებაც. სათოხნი კულტურებით დაკავებულ ფერდობებზე, განსაკუთრებით

მაშინ, როდესაც ნიადაგი ახალ დამუშავებულია, ხოლო ნათეს-ნარგაობა ჯერ კიდევ ქორფაა და მიწის ზედაპირს მინიმალურადაც ვერ ფარავენ, ე.ი. როცა ნიადაგის ზედაპირი ნაკლებად ან თითქმის სრულებით არ არის დაცული წვიმის წვეთების პირდაპირი დარტყმებისაგან, მათი დამშლელი ზემოქმედებისაგან, აუცილებელია რეკომენდაციით გათვალისიწნებული, ნიადაგდამცავი (ეროზიასაწინააღმდეგო) ღონისძიებების მოთხოვნების დაცვა, რაც ხელს შეუწყობს ბუნების დაცვას და ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესებას.

ამიტომაც, შემოდგომით, ერთწლოვანი სათოხნი კულტურების (სიმინდი, კარტოფილი, თამბაქო) მოსავლის აღების შემდეგ გამოთავისუფლებულ ფართობებზე უნდა ვაწარმოოთ ცერცველა-შვრიას ნარევის მოზამთრე შუალედური კულტურების სახით თესვა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მიწის ერთსა და იმავე ფართობზე წელიწადში მივიღოთ სულ ცოტა ორი მოსავალი. გარდა ამისა ბალახნარევების თესვა და მათგან შექმნილი კორდი ნიადაგს იცავს შემოდგომა-ზამთრისა და გაზაფხულის უხვი, ინტენსიური ხასიათის წვიმების, ასევე ადრე გაზაფხულზე თოვლის დნობით გამოწვეული ღვარცოფებისაგან და ხელს შეუწყობს ჰუმუსისა და სხვა ორგანულ-მინერალური ნივთიერებების დაგროვებას. ხსენებული ერთწლოვანი მარცვლობან-პარკოსანი ბალახნარევების ყვავილობის ფაზაში გათიბული მასის და ასევე მთელი ბიომასის (მიწისზედა განათიბი, აქვიტი, ფესვები) ჩახვნით, კი იზრდება ნიადაგის დადებითი ღირსებები და უმჯობესდება მისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, რაც თანდათან უზრუნველყოფს მისი დაკარგული ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესებას, ეკოლოგიური მდგომარეობის გაკეთილშობილებას, წარმოებული კულტურების მოსავლიანობისა და ხარისხობრივი პარამეტრების გაზრდას. ერთწლოვანი მარცვლოვან-პარკოსანი ბალახნარევების გაზაფხულზე გათიბულ, ნედლ მასას კი შეხედულებისამებრ გამოვიყენებთ არა მარტო სიდერატად, ანუ „მწვანე სასუქად“, არამედ პირუტყვის საკვებად ან მულჩად, როგორც ძვირფას ორგანულ მასას.

ეროზირებულ ნაკვეთებზე წარმოებული კულტურების მოსავლიანობის გაზრდის მიზნით ფერმერები ძალზე ხშირად თავიანთი შეხედულებებით, ყოველგვარი მეცნიერული დასაბუთების გარეშე იყენებდნენ და იყენებენ მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების დაუშვებლად გაზრდილ ნორმებსა და დოზებს, რითაც ჩამორეცხვის შესაბამისად აბინძურებენ როგორც თვით ნიადაგურ საფარს, ისე გარე სამყაროს და წყალსატევებს. აღსანიშნავია, აგრეთვე იმ ფაქტის გახსენებაც, რომ აქ თავსხმა ხასიათის ერთი წვიმის შედეგადაც კი 1 ჰა ფართობიდან შეიძლება ჩამოირეცხოს 100-150 ტონაზე მეტი ნიადაგი თავისი ნაყოფიერების განმსაზღვრელი ღირსებებით. ბოლო 70-80 წლის განმავლობაში აჭარის სახნავი ფერდობებიდან თითქმის მთლიანად ჩამოირეცხა 10-15 სმ სისქის ზედაპირული ფენა. ყოველივე ზემოთ განხილულის შემდეგ ლოგიკურია, რომ გაუარესდა ნიადაგის ნაყოფიერების მაჩვენებლები. ეროზიული პროცესების განვითარების შედეგად, ასევე ნახირისა და ფარის დაურეგულირებელი ძოვებისას ათასობით ჰექტარი სახნავები, ბუნებრივი მდელოები და სათიბ-საძოვრები გადავიდა დაბალნაყოფიერი და მიგდებული მიწების კატეგორიაში.

– ფერდობებზე თამბაქოს, სიმინდისა და კარტოფილის მონოკულტურის შეწყვეტის მიზნით, ასევე მცირემიწიანობის გამო თესლბრუნვის დანერგვის სიძნელეთა მხედველობაში მიღებით, სახნავი მიწების მწვავე უკმარისობის გათვალისწინებით, პრაქტიკაში უნდა გამოვიყენოთ ხსენებული კულტურების მორიგეობა მრავალწლოვანი მარცვლოვან-პარკოსანი ბალახების ნათესებთან.

– შექმნილი რეალური აუცილებლობიდან გამომდინარე ფერდობის ათვისების დროს ნაკვეთის ქანობის გათვალისწინებით უნდა მოეწყოს წყალმარეგულირებელი კვლები ერთიმეორისაგან 15-20 მეტრის დაცილებით, ხოლო ყოველი 8-10 მეტრის დაშორებით კი მრავალწლოვანი მარცვლოვან-პარკოსანი ბალახნარევებისაგან უნდა შევქმნათ 0,5-0,6 მ სიგანის ბუფერული ზოლები. სადაც ზემოთ აღნიშნული ოპერაციების შესრულება მისი მკვეთრი დაქანების გამო შეუძლებელი ხდება, იქ ერთწლოვანი სათოხნი კულტურების წარმოება უნდა შეწყდეს.

– შუალედური კულტურების წარმოება მიზნობრივად უნდა შევუფარდოთ ძირითადი კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიას, რათა შევინარჩუნოთ ნიადაგის ნაყოფიერება, ვიზრუნოთ მისი კიდევ უფრო ამაღლებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ნიადაგდამცავი ღონისძიებები სხვა კატეგორიის მიწებზე ისახავს შემდეგ ამოცანებს:

– იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც ციცაბოობისა და სხვადასხვა მიზეზთა გამო არ ვითვისებთ სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის და მასიური ბაღების გასაშენებლად, კორდის საფარის შექმნის, მისი გამდელოების, ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების, ეროზიის აღკვეთისა და ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესების მიზნით უნდა დაითესოს მრვალწლოვანი მარცვლოვან-პარკოსანი (მრავალსათიბი კოინდარი-იონჯასთან ან სამყურასთან) ბალახნარევები.

– ხრამ-ხევების სათავეებში, ნაპირებზე, ციცაბო ფერდობებზე და ეროზიის წარმოშობის სხვა კერებში უნდა აიკრძალოს ტყის ჭრები და უნდა გაშენდეს ნიადაგდაცვითი ტყის ზოლები – ტყის მასივები, ხოლო ტყის ის

ნაკვეთები რომლებიც ექვემდებარებიან სანიტარულ და შერჩევით ჭრებს, ასევე ფერდობების თავისუფალ მიწებზე უნდა გავაშენოთ ახალი ნარგაობები, სადაც უნდა აიკრძალოს საქონლის ძოვება, საჭიროებისამებრ უნდა მოვახდინოთ ხევების, ხრამებისა და მდინარეთა ნაპირების გამაგრება სათანადო ჯებირებითა და რკინა-ბეტონის კედლებით.

– ზღვის დონიდან სიმაღლეთა სხვაობისა და ნიდაგურ-კლიმატური პირობების მხედველობაში მიღებით აჭარის მთელ ტერიტორიაზე დახრამულ და ეროზირებულ ნაკვეთებზე ნიადაგის დამაგრების მიზნით სადაც კი ამის შესაძლებლობა იქნება, მასიურად (ბევრგან კი ინდივიდუალური – ნარგაობების სახით) უნდა გავაშენოთ თხილი, დაფნა, მსხვილნაყოფა ტყემალი, ბერძნული კაკალი, ბამბუკი, იაპონური ხურმა, თესლოვანი და კურკოვანი ნაყოფის მომცემი და სხვა ძვირფასი ხე და ბუჩქოვანი მცენარეები;

სურ. 10. დარღვეული ეკოლოგიური მდგომარეობა – მიგდებულ-მიტოვებული ქვა-ღორღიანი ფერდობი.

სურ. 11. ბუნების დაცვითი სამუშაოების იგნორირების შედეგები – სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოსული, ეროზირებული ნაკვეთი.

– მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საძოვრების სწორ გამოყენებას, შემოღებული უნდა იქნეს ნაკვეთ-მორიგეობითი ძოვება, ცხოველთა ძოვების ნორმების დაცვით. ხოლო ძლიერ გაძოვილ ნაკვეთებზე ბუნებრივი ბალახების განახლების მიზნით 2-3 წლით უნდა აიკრძალოს ძოვება. დასახლებასთან ახლო მდებარე გაძოვილ ნაკვეთებზე საჭიროა გვალვისა და ძოვების გამძლე (ამტანი) ბალახების მთლიანი ან ზოლებრივი თესვა მინერალური სასუქების შეტანით და პირველ წელს მასში ძოვების აკრძალვით. საძოვრების ზედაპირული გაუმჯობესების მიზნით საჭიროა გავწმინდოთ ისინი ქვა-ღორღისაგან, ეკალ-ბარდის, უვარგისი ბუჩქნარებისა და სხვადასხვა აბეზარი მცენარეულობებისაგან. უნდა შევთესოთ მარცვლოვან-პარკოსანი ბალახები და გამოვკვებოთ სასუქებით, მოვახდინოთ გასარწყავება.

– ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები უნდა გატარდეს ერთ მთლიანობაში, მაღალ აგროტექნიკურ ფონზე, ცალკეული მეურნეობების მიხედვით შედგენილი ნიადაგის გადარეცხილობის და ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის სათანადო კარტოგრამების მიხედვით.

ნაშრომში განხილული ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობა

ჩვენს მიერ შემოთავაზებული ბუნების დამცავი, ეროზიის საწინაღმდეგო, მძიმე ეკოლოგიური პირობებისა და ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობა დიდია. იგი განისაზღვრება ჩამორეცხილ მიწებზე ნიადაგის გადარეცხილობის მიზეზით მიუღებელი (დაკარგული) მოსავლის შეფასებისა და ეროზირებული ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლების შედეგად წარმოებული პროდუქციის მხედველობაში მიღებით.

გადარეცხილ ნიადაგებზე მოსავლიანობის კლების გთვალისწინებით დანახარჯები ერთეული პროდუქციის წარმოებაზე ფერმერული მეურნეობების თუ ცალკეული საწარმოების მიხედვით შეადგენენ მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 40%-ს, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელების შედეგად ეს დანაკარგები შეიძლება თავიდან ავიცილოთ და მივიღოთ მაღალი ეკონომიკური ეფექტი.

ბუნებისა და საერთოდ ეკოლოგიური პირობების, ასევე ნიადაგის დაკარგული ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესებისა და ეროზიისაგან დასაცავად მიმართულ ყოველ ღონისძიებას მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით კი არ უნდა ვაფასებდეთ, არამედ უნდა ვიზრუნოთ, რომ მიწა (ნიადაგი) – ქვეყნის მარჩენალი, გავხადოთ უფრო ნაყოფიერი და ხვავიან-ბარაქიანი, მომავალ თაობებს დავუტოვოთ გაუმჯობესებულ მდგომარეობაში. აჭარის ფერდობი მიწათმოქმედების სინამდვილეში (მთაშიც, ბარადაც), გატარებული ყველა ღონისძიება, აგროტექნიკური ხერხი თუ ტექნოლოგიური პროცესი უნდა დავუქვემდებაროთ ერთ ძირითად მიზანს –

შევანელოთ და თანდათან აღვკვეთოთ ნიადაგის ეროზია, დავიცვათ დედა-ბუნება, გარე სამყარო გაჭუჭყიანებისა და განადგურებისაგან.

ეკონომიკური თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ დავინახავთ, რომ ეროზირებული და დაბალნაყოფიერი სავარგულების მფლობელ ფერმერებს ერთეული რაოდენობის პროდუქციის მოსაყვანად, ჩვეულებრივთან შედარებით მეტი ფულადი სახსრები უჯდებათ. რეკომენდაციაში ასახული და ცდებით დადასტურებული ბუნების დამცავი – ეროზიასაწინააღმდეგო, სიდერაციის, მულჩირების თუ ნიადაგის დამუშავების სხვადასხვაგვარი ტექნოლოგიის გამოყენება ფერდობებს დაიცავს ეროზიული პროცესებისაგან, დახრამვისა და ღვარცოფებისაგან, გაუმჯობესდება ნიადაგის ქიმიური, ბიოლოგიური, წყლიერ-ფიზიკური და თერმულ-აერაციული თვისებები. ნიადაგში დაგროვდება ბილოგიური აზოტი, სხვა მინერალური და ორგანული ნივთიერებები, შედეგად მკვეთრად ამაღლდება მისი ნაყოფიერება, გაიზრდება კულტურათა მოსავლიანობა, შემცირდება ფულადი დანახარჯები და რაც მთავარია, გარემოზე ზემოქმედება იქნება ნაკლებად მავნე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოა რომ, მცირემიწიანი და ჭარბად დასახლებული აჭარის მიწათმოქმედთათვის, მიგდებულ-მიტოვებული ტერიტორიების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით კვლავ ათვისება, მათი დაკარგული ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესება და ნიადაგის ეროზიისაგან დაცვა უპირველესი და უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომელიც განსაზღვრავს მოსახლეობის როგორც ყოფით, სოციალურ, ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ისე საარსებო პირობებს და ხელს შეუწყობს, ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენა-გაუმჯობესებას, სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოსული მიწების კვლავ ათვისებას და ადამიანთა საცხოვრებლად უსაფრთხო გარემოს შექმნას.

სამყაროს დასაბამიდან დედამიწას დღემდე ტანჯავს კაცობრიობის ულმობელი და „დაუძინებელი მტერი“ - ნიადაგის ეროზია, რომელიც გამუდმებით ქლიბას და ხერხავს ნიადაგს – ჩვენს მარჩენალს და ხელიდან გვაცლის ფასდაუდებელ სიმდიდრეებს, რომლის წინააღმდეგაც ერთობლივი, მიზანდასახული ბრძოლა პლანეტის თითოეული მაცხოვრებლის, ყოველი ჩვენთაგანის უპირველესი ვალია.

About the measures of ecologically deteriorated lands in intensive land of tenure in Adjara

O. Ghorjomeladze, N. Turmanidze, M. Ghorjomeladze, Sh. Ghorjomeladze, A. Dzirkvadze

Summary: In the work there is analised those concrete measures which will assist including deteriorated lands in land of tenure again.

Обязательность восстановление и улучшение эродированных территории Аджарии и снова возвращение в интенсивному земледелию

О. Горджомеладзе, Н. Турманидзе, М. Горджомеладзе, Ш. . Горджомеладзе, А. Дзирквадзе

Резюме: В статье рассмотрено конкретные мероприятия которые дает возможность чтобы снова интенсивно возвращать активную земледелию бросовые и плодородия утраченные территории.

ლერი გიგინეიშვილი
"საქართველოს ფერმერთა სახლი"

უაკ (UDC) 631.872
გ – 474

ბიოჰუმუსი – ორგანული მიწათმოქმედების ერთერთი საფუძველი

სასოფლო სამერუნეო პროდუქციის მწარმოებელ ფერმერთათვის ნიადაგი წარმოადგენს ძირითად საშუალებას და მის ნაყოფიერებაზეა ბევრად დამოკიდებული მოსავლის ოდენობა და ხარისხი. მემცენარეობის და მეცხოველეობის განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მიწის იმ ზედაპირულ შრეს, რომელიც ბუნებრივად იქმნებოდა ათასობით წლების განმავლობაში.

ნიადაგის ნაყოფიერებაზე, მის დამუშავების წესზეა დამოკიდებული არა მარტო მიღებული პროდუქციის რაოდენობა, არამედ მისი სამომხმარებლო, ხარისხობრივი და ეკონომიკური მაჩვენებლები. ეს ყოველივე წარმოადგენს კონკურენტუნარიან აგრარული პროდუქციის წარმოების საფუძველს, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია წინ აღუდგეთ ბოლო წლებში ქვეყნის აგრარულ ბაზრებზე იაფფასიანი, მდარე ხარისხის მქონე საკვები პროდუქტების იმპორტის შემოტევას. როგორც მთელ მსოფლიოში, ისე საქართველოში აღინიშნება სავალალო კანონზომიერება – მიწის ნაყოფიერების პერმანენტული შემცირება, რომელიც გამოწვეულია როგორც გლობალური ბუნებრივ-კლიმატური პირობების ცვლილებით, აგრეთვე ანთროპოლოგიური ფაქტორების ზეგავლენით. ჩვეულებრივ, ნიადაგის ნაყოფიერების შესაფასებლად ძირითადად იყენებენ ისეთი ქიმიური ანალიზების მონაცემებს როგორიცაა: ჰიდროლიზური აზოტი**N**, ადვილხსნადი ფოსფორი **P2O5**, მოძრავი კალიუმი **K2O** , **PH** და სხვა მიკროელემენტების **KaO, Mn**, პროცენტულ შემადგენლობას . სამწუხაროდ ზემოთ ჩამოთვლილ მინერალური კომპონენტების გარდა იშვიათად მიმართავენ ჰუმუსის, როგორც ნიადაგის ერთერთ უმნიშნელოვანეს ორგანული მდგენელის დადგენას.

ცნობილია, რომ მოსავლიდან მოსავლამდე ნიადაგში აღინიშნება როგორც მინერალური, ისე ორგანული ნივთიერებების (ჰუმუსის) შემცირება, მრავალი წლების მანძილზე აგროტექნიკის ნორმების თანახმად ხდებოდა სავარგულების გასანოყიერებლად მინერალური, სინთეტიკური წარმოშობის სასუქებთან ერთად ორგანული სასუქების - უპირატესად მსხვილფეხა პირუტყვის ნაკელის შეტანა. სამწუხაროდ, ობიექტურ მონაცემებზე დაყრდნობით უკანასკნელ წლებში ნიადაგებში რეაბილიტაციის მიზნით როგორც წესი გამოიყენება მხოლოდ მინერალური წარმოშობის სასუქები, ხშირ შემთხვევაში ზუსტი დოზირების გარეშე, რაც უარყოფითად მოქმედებს მოსავლის ხარისხზე, სურსათის უვნებლობაზე და წლიდან წლამდე აუარესებს ნიადაგის მახასიათებლებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მცენარეთა დაცვის საშუალებებად შხამქიმიკატების ჭარბი და უსისტემო გამოყენება ხშირ შემთხვევაში დაბალი ეფექტიანობით ხასიათდება და აგრეთვე აზიანებს ნიადაგისთვის თვისობრივად სასარგებლო მიკროფლორას.

უკანასკნელ წლებში მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ამოქმედდა ევროკავშირში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტები აგროპროდუქციაზე, საქართველოს მთავრობის 2010 წ. 28 დეკემბრის 1756 განკარგულებით დამტკიცდა ყოვლისმომცველი სტრატეგია და ევროკავშირთან საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა სურსათის უვნებლობის სფეროში. 2012 წლიდან ამოქმედებულია "სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ" კანონის შეჩერებული მუხლები, რომლის მიხედვითაც სავალდებულო ხდება შიდა და გარე აგრარულ ბაზარზე მოქმედი ყველა ბიზნესოპერატორის მიერ სურსათის ხარისხის და უვნებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილება. მაშინ, როდესაც ჩვენი გეოპოლიტიკური, ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ქვეყანაში სწრაფი ტემპებით ვითარდება ტურისტული ინფრასტრუქტურა და დიდ მნიშვნელობას იძენს ადგილობრივი წარმოების სურსათის უვნებელი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ქვეყნის ერთერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ადგილობრივ სურსათზე დაფუძნებული და მსოფლიოში განთქმული ჩვენებური ტრადიციული, მრავალფეროვანი სამზარეულოს შენარჩუნება და გავრცელება, მისი უვნებლობის დადასტურება.

ამისათვის საჭიროა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ძირითადი საშუალების –ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით და ორგანული მიწათმოქმედების აგროტექნიკის დანერგვა ფერმერულ მეურნეობებში. პრობლემა მდგომარეობს უპირველესყოვლისა მიწის რესურსების მდგრად მართვაში, ნიადაგის დეგრადაციის პროცესის შეჩერებაში, მიწათმოქმედებისათვის





	კომპონენტი	დიაპაზონი
1	ჰუმინური მჟავები	6-18%
2	PH რეაქცია	6.5-7.2
3	საერთო აზოტი A	0.9 - 3 %
4	საერთო ფოსფორი P	0.9-2.5 %
5	საერთო კალიუმი K	0.6 - 2.5 %
6	მაგნიუმი M	0.5-2.3 %
7	რკინა F	0.5-2.5 %
8	სპილენძი Cu	3.5-5.1 მგ/კგ
9	მანგანუმი Mn	60-80 მგ/კგ
10	თუთია Mn	28-35 მგ/კგ
11	ბაქტერიული ფლორა	20 000 მლრდ კოლონია - გრ
12	ტენიანობა	30-50 %
13	მმრალი ორგანული ნივთიერება	30-70 %

უვარგისად ქცეული ფართობების რეაბილიტაციაში და მათი ორგანული სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ციკლში ჩართვაში. ამ პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა ქვეყნების საკმარისი მაგალითი არსებობს და ჩვენი პირობებისთვის ეფექტურად უნდა მივიჩნიოთ ის მეთოდები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდის და მცენარეთა დაცვის ორგანული წარმოშობის პრეპარატების გამოყენებას.

ვერმიკომპოსტი, ანუ ბიოჰუმუსი–უნდა იქცეს იმ ძირითად ორგანულ ნივთიერებად, რომელიც თანდათანობით შეენაცვლება არა მარტო მინერალურ სასუქებს, არამედ უმეტეს შემთხვევებში თხევადი ფორმით შეასრულებს მცენარეთა დაცვის ეფექტურ ფუნქციებსაც.

მინერალური სასუქებით გატაცებამ , მცენარეთა დაცვისთვის შხამქიმიკატების უპირობო გამოყენებამ წლების მანძილზე დააკნინა ორგანული სასუქების და პრეპარატების გამოყენება. ამას ხელი შეუწყო მეცხოველეობის განუვითარებლობამ, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმების რაოდენობის შემცირებამ, საიდანაც მოიპოვება ორგანული სასუქების, მათ შორის ბიოჰუმუსის დამზადების ძირითად ნედლეული.

ბიოჰუმუსი – კონცენტრირებული ორგანული სასუქი, რომელიც წარმოადგენს კალიფორნიული ჯიშის წითელი ჭიაყელებით (სურ. 1) ნაკელისა და სხვა ორგანული ნარჩენების გადამუშავებით მიღებულ პროდუქტს. ბოლო წლებში ბიოჰუმუსის წარმოებისა და გამოყენების ტექნოლოგიის განვითარების ბუმი აღინიშნება მთელ მსოფლიოში, მარტო აშშ-ი 500 მსხვილი და საშუალო საწარმოა რეგისტრირებული, ჩინეთში, იაპონიაში, ინდოეთში და კანადაში სახელმწიფო პროგრამების დონეზეა კოორდინირებული ვერმიკულტურის დარგის განვითარება. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ამ მხრივ გამოირჩევიან უკრაინა, ესტონეთი , ბელორუსია, რუსეთის ფედერაცია, უზბეკეთი. ეს დარგი დიდი ყურადღების საგანს წარმოადგენს აგრეთვე ჩვენ მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანის აგრარული სექტორისათვის. საქართველოში სამწუხაროდ ცოტა რამ კეთდება ამ მიმართულებით, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე კერძო ინიციატივას და ენთუზიასტთა ჯგუფებს, რომლებიც ძალიან მონდომებულნი არიან პრაქტიკული შედეგების მისაღწევად . ერთი შეხედვით ვერმიკომპოსტირება მართლაც არ წარმოადგენს შრომატევად, მეცნიერებატევად და დიდი კაპიტალდაბანდების ობიექტს. მაგრამ მიუხედავად ამისა და ხელსაყრელ ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა ბიოჰუმუსის წარმოება საქართველოში დღეს უმნიშვნელოა და თუ არ იქნა მისი სერიოზული ხელშეწყობა – იაფი საკრედიტო რესურსი, სასტარტო საგადასახადო შეღავათები, საგანმანათლებლო მიზნობრივი ვაუჩერები, ბიო ნარჩენების სისტემური უტილიზაციის სრულყოფა და სხვა, ბიოჰუმუსის წარმოების ზრდას პერსპექტივა არ ექნება და შესაბამისად ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარებაც შეფერხდება. კავშირი “საქართველოს ფერმერთა სახლის” მიერ 2009–2012

წ.წ. განხორციელდა შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით. პროექტი: "ბიოჰუმუსის წარმოება და გამოყენების ტექნოლოგია" , რომლის ერეთრთ პრაქტიკულ შედეგს წარმოადგენს სასაქონლო ბიოჰუმუსის წარმოების პილოტ ფაბრიკის შექმნა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. ველისციხეში მცირე ფერმერული მეურნეობის ბაზაზე. პილოტ ფაბრიკის თვიური წარმადობაა 1,5 ტონა ბიოჰუმუსის დამზადება, რომლის ქიმიური მახასიათებლები მოცემულია ცხრილში. ტექნოლოგიური ციკლი ხორციელდება რამდენიმე უბანზე (სურ.4) და მოიცავს შემდეგ ოპერაციებს:

1. სუბსტრატის – ბიოჰუმუსის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის მომზადების უბანი.

ოპერაციები:

- პირუტყვის ნაკელის, მეფრინველეობის ფერმების სკორის, ნამჯის, ბოსტნეულის , ხილის და სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენების, მაკულატურის, ნებისმიერი ორგანული წარმოშობის ნარჩენების შემოზიდვა, კონტროლი და სორტირება .
- მექანიზებული დაქუცმაცება სპეციალურ მოწყობილობაში,
- სუბსტრატის საფერმენტაციო ნაზავის დამზადება გარკვეული რეცეპტურით,
- სუბსტრატის ჩატვირთვა კონვეიერული ტიპის ფერმენტატორისX სექციაში და ზვინულებში (ბურტებში),

2*. აერობული ფერმენტაციის უბანი (მოიცავს ზვინულებს სურ.2 და თვით ფერმენტატორს სურ.3).

ოპერაციები:

- ფერმენტატორში სუბსტრატის ჩატვირთვა, არევა და დანამვა, ტემპერატურის, ტენიანობის და pH კონტროლი,
- ზვინულების ფორმირება: სიგრძე 10 მ. სიგანე 2,5 მ. სიმაღლე 1,10 მ.
- წვეთოვანი მორწყვის სისტემის გაშვება, ტენიანობის, ტემპერატურის, pH კონტროლი,
- საფერმენტაციო სუბსტრატის პერიოდული (20 დღეში ერთხელ) არევა,
- ფერმენტატორის D სექციიდან სუბსტრატის C სექიციაში გადაადგილება და D სექციის ახალი სუბსტრატით შევსება (სრულდება თვეში 1 ჯერ),
- ფერმენტატორის A სექციიდან ფერმენტირებული სუბსტრატის ჩატვირთვა ყუთებში და ბიოჰუმუსის საწარმო საკანის თაროებზე განთავსება,
- ფერმენტატორი შეიძლება გამოყენებულ იქნას ნედლი ბიოჰუმუსის პირდაპირი წესით მისაღებად ჭიაყელების A სექციაში შესახლებით.

3. ბიოჰუმუსის საწარმოო საკანი (ყუთების 2-იარუსად განსალაგებელი თაროებით და ჭიაყელების მოშენებისათვის სადედით), ოპერაციები:

2) "სისტემა სუბსტრატის მისაღებად ჭიაყელებით ბიოჰუმუსის წარმოებისათვის" – **გამოგონება P 5403,** რეგისტრირებულია საქპატენტის მიერ 2011 03 22*

- სამ-სამი ფერმენტირებული სუბსტრატით ყუთებისგან შემდგარი ბლოკების თაროებზე განლაგება კედლის გასწვრივ,
- კონდიციონერის მეშვეობით ტემპერატურის დაყენება 20 გრადუსის დიაპაზონში,
- სამ-სამი ყუთებიდან შემდგარი ბლოკების პირველ დაბლითა ყუთებში ჭიაყელების შესახლება (ხორციელდება 6 თვეში 1 ჯერ);
- სამ-სამი ყუთებიდან შემდგარი ბლოკების პირველ დაბლითა ბიოჰუმუსიანი ყუთების გამოტანა საკნიდან (ხორციელდება თვეში 1 ჯერ)
- ახალი სუბსტრატით შევსებული ყუთების შემოტანა საკანში და მათი განთავსება ბლოკების ზემოთა მე-3 ყუთების (გამოთავისუფლებულ ადგილას),

4. ნედლი ბიოჰუმუსის გაშრობის უბანი,

ოპერაციები:

უბანზე განლაგებულ გასაშრობ თაროებზე თავსდება საკნიდან გამოტანილი ნედლი ბიოჰუმუსი, რომლის ტენიანობა უნდა დავიდეს 40%–45%. პროცესის დასაჩქარებლად გამოიყენება იძულებითი ვენტილაცია ,

5. გაცრის უბანი,

ოპერაციები:

მიზანს წარმოადგენს შემშრალი ბიოჰუმუსის გაცრა, რათა მიღებულ იქნას ფიზიკურად ერთგვაროვანი მასა, ნაწილაკების ზომა უნდა იყოს 2,5მმ.–6.0მმ დიაპაზონში. ამისათვის უმარტივესი მეთოდია ჩვეულებრივი ფოლადის ბადის (8,0*8,0 მმ ზომის უჯრებით). სეპარაციის შემდეგ მსხვილი ფრაქცია უბურნდება ფერმენტაციის უბანს.

6. დაფასოების და დასაწყობების უბანი

ოპერაციები:

გაცრილი ბიოჰუმუსის ნიმუშები სტანდარტის მოთხოვნის მიხედვით რეგისტრირდება ჟურნალში და იგზავნება აგროქიმიურ ლაბორატორიაში, დანიშნულების მიხედვით მზა ბიოჰუმუსი შეიძლება დაფასოვდეს პოლიეთილენის ტომრებში, თან უნდა ახლდეს ინფორმაცია შემადგენლობის შესახებ და მომხმარებლისათვის გამოყენების წესები, მითითებული უნდა იყოს აგრეთვე რაოდენობა კილოგრამებში ან ლიტრებში.

ზემოთ აღწერილი ტექნოლოგია სავსებით მისაწვდომია საშუალო ფერმერული მეურნეობებისათვის , სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის, უმაღლესი თვისებების მქონე ბიოლოგიური სასუქის დასამზადებლად და მისი გამოყენებით კონკურენტუნარიანი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის საშუალოდ 1,5 ჯერ მეტი მოსავლის მისაღებად. ბიოჰუმუსი გამოიყენება უშუალოდ როგორც კონცენტრირებული, მაღალეფექტიანი სასუქი (1 ტონა ექვივალენტია 5 ტონა გადამწვარი ნაკელისა), ისე მისი თხევადი ფორმით მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური საშუალება. მისი ნებისმიერ რაოდენობით გამოყენება უვნებელია დოზირების გარეშეც ქიმიური

პრეპარატებისაგან განსხვავებთ. ვერმიკომოპოსტირების ტექნოლოგიების გავრცელება საქართველოში არის ორგანული სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი .



მძლავრი საშუალება, რომელიც ამავდროულად აგვარებს გარემოს დაბინძურებისგან დაცვის პრობლემებს .

Biohumus-Basis of Organic Agriculture

Summary

The use of non-organic fertilizers provoked land depletion and yield reduction. According to the natural and climatic conditions of the country in the article is given the ways of development organic agriculture,

One of the Basis of which is to fecundate poor and barren land.

In the article is described technologies and principles of the factory which is located in Kakheti and is producing biohumus by recycling muck of redvili Californian earthworms- *eisenia foetida*

Leri Gigineishvili

Биогумус – одна из основ органического земледелия

Резюме

Многлетний период преимущественного и безсистемного применения минеральных удобрений, химических средств защиты растений а также наруюшений норм агротехники , мелиорации , севооборота, обработки земли и др. привел к тенденции снижения урожайности сельскохозяйственных культур.

Вместе с тем ухудшается качество продуктов, загрязняется окружающая среда, наблюдается перманентный рост импорта сельхозпродуктов.

С учетом природно-климатических условий страны в статье рассмотрены пути быстрого и реального развития органического земледелия, одной из основ которой является увеличение плодородия бедных и деградированных земель на основе применения вермикомпоста- биогумуса .

Описана технология и принципы работы пилотной фабрики , реализованной в Кахетии , по получению биогумуса путем переработки навоза КРС и органических отходов при помощи красных калифорнийски червей- *eisenia foetida.*

Лери Гигинеишвили

თენგიზ ყურაშვილი
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპოდენტი.

უაკ (UDC) 628.162.9+502
ყ - 948

სასმელი წყლის ხარისხის გავლენა ქვეყნის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე და ცხოველების ჯანმრთელობაზე

საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების კონცეფციით წყლის ხარისხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოს ტერიტორიაზე ზედაპირული წყლების ხარისხის მონიტორინგი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ფუნქციაა.

მონიტორინგი ხორციელდება მდინარეთა გარკვეულ ნაწილზე, ძირითადად გრძელ და წყალუხვ მდინარეებზე (მტკვრის და რიონის აუზის 22 მდინარე) და ტბებზე (პალიასტომის, კუს, ლისის ტბა და თბილისის ზღვა).

საქართველოს ტერიტორიაზე სხვა ზედაპირული წყლების ხარისხი ფაქტიურად არ მოწმდება. არ მოწმდება რა თქმა უნდა წყლები რომელითაც ხდება ცხოველთა დაწყურება, რომელსაც ჩვენი აზრით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ცხოველთა პროდუქტიულობა და ჯანმრთელობა გარდა მოვლა-შენახვის და კვების პირობებისა, დიდადაა დამოკიდებული პირუტყვის დაწყურების ორგანიზაციაზე ფერმებში და საძოვარზე.

ცხოველთა დასაწყურებლად გამოყენებული წყლის ხარისხი ყოველთვის არ პასუხობს სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ღია წყალსატევები ადვილად ჭუჭყიანდებიან ცხოველთა გამონაყოფებით (ფეკალი, შარდი) და წვრილი ცხოველების და ფრინველების ლეშებით. ღრმა, მიწისქვეშა წყლები კი შეიცავენ დიდი რაოდენობით ქიმიურ ნივთიერებებს. (ცხრილი 3,4,5,6).

დაბინძურებული წყლის მიღებისას ქვეითდება ცხოველთა პროდუქტიულობა და ხდება მრავალი ინფექციური, ინვაზიური და არაგადამდები დაავადებები. უარესდება გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა.

წყალს დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ფერმაში ვეტერინარიულ-სანიტარიული ღონისძიებების ჩატარებისას.

წყლის ხარისხის შესწავლით გამოვლენილი იქნება შინაური და გარეული ცხოველების დაავადებების აღმძვრელების წყარო, დაიგეგმება მათი საწინააღმდეგო ღონისძიებები, დაცული იქნება ცხოველთა ჯანმრთელობა, გაიზრდება მათი პროდუქტიულობა და ხარისხი. წყლის დაბინძურების შემცირება ხელს შეუწყობს გარემოს გაჯანსაღებას.

ცხოველთა კარგად ორგანიზებული დაწყურება ზრდის ძროხის მერძეული პროდუქტიულობას 25-30%-ით.

წყალსატევები რომელშიც დაბინძურებული წყალია, წარმოადგენენ მრავალი სახეობის პათოგენური მიკროორგანიზმების და პარაზიტების (ჰელმინთების) ბუნებრივ გარემოს და გვევლინებიან როგორც ინვაზიური და ინფექციური დაავადების აღმძვრელების წყარო.

მიკროორგანიზმების მაქსიმალური რაოდენობა წყალში წყლის თბილ პერიოდშია, მათი რაოდენობა მცირდება ზამთრის პერიოდში. მაგრამ მათი რიცხვი მკვეთრად იზრდება წვიმის, ნიაღვრების და წყალდიდობების დროს. მიკროორგანიზმების რაოდენობის ზრდას ხელს უწყობს წყალსატევებში ფერმებიდან (მოუწყობელი ნაკელსაცავიდან) და საძოვრებიდან ფეკალური მასებიდან მოხვედრა. (ცხრილი 1,2)

ცხოველთა ფეკალურ მასაში და შარდში დიდი რაოდენობითაა პათოგენური მიკროორგანიზმები და პარაზიტების კვერცხები. მათი არსებობით წყალი გარკვეულ მანძილზე და გარკვეული დროით ხდება დაინფიცირებული და დაავადების აღმძვრელის წყარო.

წყლის საშუალებით ვრცელდება ცხოველთა შემდეგი დაავადებები: კუჭნაწლავის ინფექციები გამოწვეული ბაქტერიებით და ვირუსებით, ჰელმინთოზები გამოწვეული წყალში არსებული

პარაზიტების კვერცხებით და სხვადასხვა სტადიაში მყოფი ლარვებით.

დაბინძურებული წყალი შეიძლება მოხვდეს გრუნტის წყლებშიც და შორ მანძილზე საშიში გახადოს ჩვენი სასმელი წყალიც.

დაბინძურებული (დაინფიცირებული) წყალი ასნებოვნებს სასოფლო-სამეურნეო ცხოველებს, ის აგრეთვე საშიშია ფაუნისათვის (სხვადასხვა სახეობის გარეული ცხოველებისა და ფრინველებისათვის). არ არის გამორიცხული ისიც, რომ წყლის დაბინძურებაში მონაწილეობას ღებულობდნენ გარეული ცხოველები და მღრნელები.

მაგალითად წყლის ინფექციას განეკუთვნებიან ადამიანთა და ცხოველთა საშიში დაავადებები – ლეპტოსპიროზი და ტულამერია. ეს დაავადებები ჩნდება მღრნელების ფეკალით და ლეშებით დაბინძურებული წყლის მიღების შედეგად.

წყლის მეშვეობით ვრცელდება აგრეთვე ეშერიხიოზის, სალმონელოზის, ჯილეხის, ემკარის, ბრუცელოზის, პასტერელოზის, ღორის წითელი ქარის და სხვა დაავადებების აღმძვრელები.

აღნიშნული დაავადებების აღმძვრელი ბაქტერიები დიდი ხნის მანძილზე ინარჩუნებენ პათოგენურ თვისებებს. (ცხრილი 7)

ჩამდინარე წყლებში 100 დღეზე მეტს ძლებს ღორის ჭირის, თურქულის და სხვა დაავადებების აღმძვრელი ვირუსები.

ლიტერატურაში არის მონაცემები, რომ ტუბერკულოზით და სხვა დააავდებებით ცხოველები მასიურად ავად ხდებიან დასახლებულ პუნქტებზე გამავალი ჩამომდინარე წლების მუდმივად მიღების შედეგად.

დაბინძურებული წყალი ვირუსებს დიდი რაოდენობით შეიცავს ენტეროვირუსებს და ჰეპატიტის ვირუსს. ჰეპატიტით ხშირად ავადდებიან ბეწვიანი ნადირები.

ცხოველებისი წყლისმიერი ინფექციების გავრცელების ხელშემწყობი ფაქტორები ცხოველების მუდმივი ან დროებით (რომლებიც წვიმის შემდეგ წარმოიშობა) ტბორების და ნაკლებად გამდინარე წყალსატევების წყლით დაწყურება.

დაავადების აღმძვრელი მიკროორგანიზმების წყალში გამძლეობა მოცემულია ცხრილ 7-ში.

პრაქტიკულმა დაკვირვებებმა გვიჩვენა რომ ემკარით ძროხების დაავადებაა თანდათან იზრდებოდა დაინფიცირებული წყლის მიღების შედეგად. დაავადება სწრაფად წყდებოდა მხოლოდ წყლის შეცვლით.

წყალში მიკროორგანიზმების გამძლეობაზე გავლენას ახდენს წყლის ტემპერატურა.

ექსპერიმენტებით შესწავლილია, რომ ღორის წითელი ქარის აღმძვრელი წყალში 16-20 0ც-ზე ძლებს 150 დღეს. 2-4 0ც დროს – 134 დღეს. ფერმიდან გამომდინარე წუნწუხში (2-4 0ც) იგივე მიკრობი ძლებს 180 დღე, ხოლო შენობის შიგნით (20-22 0ც) 425 დღე. ამ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვს ღორის წითელი ქარის საწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავების დროს.

წყალში განსაკუთრებით დიდხნს ძლებს ლისტერიოზის (ავადდება ადამიანიც) აღმძვრელი: 8-12 0c ტემპერატურის დროს 563-685 დღე, 2-5 0c ტემპარატურისას კი 572-710 დღე. მიკროორგანიზმები ინტენსიურად მრავლდებიან ტბორის წყლებში, სადაც დიდი რაოდენობითაა ორგანული ნივთიერებები. მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ სოფლად (საძოვარზე) არსებულწყალსატევებს დიდი როლი ენიჭებათ ცხოველთა ბაქტერიული და ვირუსული დაავადებების წარმოშობის ეტიოლოგიაში. დღეს სადაც ცხოველთა ცენტრალიზებული დაწყურება, დიდ ეპიზოოტოლოგიურ აფეთქებებს ადგილი არა აქვს. მაგრამ დაავადების აღმოცენებას მაინც აქვს ადგილი თუ მოხდა წყლის წყაროს ან მაგისტრალის დაზიანება და დაბინძურება. მეტად საშიშია მდინარის, არხების, ტბორების, ღელების და სხვაწყალსატევების დაუმუშავებელი წყლის გამოყენება.

წყლის სასმელად გამოყენების წინ გარდა იმისა, რომ განვსაზღვროთ მათი ბაქტერიოლოგიური დაბინძურება, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მათ ბიოლოგიურ თავისებურებას.

რიგ დაავადებას იწვევენ პარაზიტები, რომელთა განვითარების ციკლი უშუალოდ არის დაკავშირებული წყალთან.

ასეთ აღმძვრელს მიეკუთვნება საქართველოში ფართოდ გავრცელებული პარაზიტი ფასციოლა (ხალხში ცნობილია როგორც ღვიძლის პეპელა), რომელიც იწვევს დაავადებას ფასციოლოზს. ფასციოლოზით ავადდება როგორც შინაური ისე გარეული ცხოველები.

პარაზიტების (ჰელმინთების) კვერცხები და ლარვები წყალში კარგად ვითარდებიან და დიდხანს ძლებენ. წყალში და დანალექებში თვეობით ძლებს ასკარიდას კვერცხები.

პარაზიტებით განსაკუთრებით მდიდარია ის წყალსატევები, რომლებიც ახლოსაა მეცხოველეობის და მეფრინველეობის საწარმოებთან და დასახლებულ პუნქტებთან, სადაც მოსახლეობას სხვადასხვა სახეობის ცხოველები ჰყავს საკარმიდამო ფერმებში. წყალსატევებს განსაკუთრებით აბინძურებს მათ ახლოს მდებარე ცხოველების ფეკალით და შარდით დაბინძურებული საძოვრები.

წყალსატევებში გამოჩეკილი პარაზიტების კვერცხები და სხვადასხვა სტადიაში მყოფი ლარვები წარმოადგენენ პოტენციურ აღმძვრელებს ინვაზიურ დაავადებებისა.

დღეს ცხოველთა დასაწყურებლად გამოყენებული წყლების უმრავლესობაა დაბინძურებული და მასში დიდი რაოდენობითაა მიკროორგანიზმები, პარაზიტის კვერცხები და სხვადასხვა სტადიაში მყოფი ლარვები, რომლებიც იწვევენ ცხოველთა მასიურ დაავადებებს, როგორც ინფექციური ასევე ინვაზიური პათოლოგიებით. აქედან გამომდინარე, დიდია ცხოველთა სიკვდილიანობა და პროდუქტიულობის დაქვეითება. მათგან მიღებული ხორცის, რძის, კვერცხის და სხვა პროდუქტების ხარისხი ძალიან დაბალია და საშიშია ადამიანებისათვის.

დადგენილია, რომ ბუნებრივ წყლებში მრავალი ქიმიური ელემენტია (იოდი, ბრომი, ფლორი, სელენი, სტრონციუმი, მოლიბდენი, კობალტი, სპილენძი და სხვა), რომელთაც გააჩნიათ მაღალი ქიმიური

აქტიურობა და შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ცხოველის ორგანიზმში მიმდინარე მრავალ ფიზიოლოგიურ და ნივთიერებათა ცვლის პროცესებში. პირველ რიგში ისინი მონაწილეობენ მინერალურ ცვლაში, როგორც ბიოქიმიური რეაქციების კატალიზატორები.

ცხოველის ორგანიზმში მაკრო და მიკროელემენტები ხვდებიან გარემოდან და აქედან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ შემცველობას წყალში, ნიადაგში და საკვებ კულტურებში.

მიკროელემენტების ნაკლებობა და სიჭარბე ცხოველის სასმელ წყალში და საკვებში იწვევს რიგი ფიზიოლოგიური ფუნქციის მოშლას და ხელს უწყობს დაავადების ჩამოყალიბებას.

მინერალური ნივთიერებები რომელიც ასე საჭიროა ცხოველის ორგანიზმისათვის, დედამიწაზე არათანაბრადაა განაწილებული, ზოგან მათი სიჭარბეა წყალში, ნიადაგში და მცენარეებში, ზოგან კი ნაკლებობა. აქედან გამომდინარე, რეგიონების მიხედვით განსხვავებული მდგომარეობაა და ვითარდება ენდემური დაავადებები.

დღეისათვის კარგადაა შესწავლილი ენდემური დაავადება, რომელიც დაკავშირებულია ფტორის, იოდის, სტრონციუმის, კობალტის, სპილენძის და სხვა ნივთიერებების სიჭარბით ან ნაკლებობით.

ფტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ძვლების და კბილების შექმნაში. ფტორის ძირითადი წყაროა სასმელი წყალი. ფტორის ნაკლებობა იწვევს კბილის ემალის დაზიანებას, სიჭარბე კი აჩენს ყავისფერ ლაქებს.

იოდის ნაკლებობა წყალში და საკვებში იწვევს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მოშლას, ვითარდება ჩიყვი, ცხოველები ცუდად ვითარდებიან და ჩამოჩებიან ზრდაში.

თუ სასმელი წყალი და საკვები არ შეიცავს კალციუმს, ირღვევა ძვლოვანი სისტემის ჩამოყალიბება, ვითარდება რაქიტი და ოსტეომალაცია (ძვალი ხდება მტვრევადი). რძე კარგავს თავის სამრეწველო ღირებულებას.

მიკროელემენტების გარდა ცხოველის ორგანიზმზე უარყოფით გავლენას ახდენს აგრეთვე წყალში არსებული სხვადასხვა სახის მარილი. მარილები ბოჭავენ წყლის გამოყოფას ორგანიზმიდან (დიურეზის დაქვეითება და ქსოვილების ჰიდროფილია).

სამრეწველო საწარმოებიდან ხშირად წყალსატევებში ჩაედინებიან ტოქსიური ქიმიური ნივთიერებები. ბაღ-ვენახებიდან და ყანებიდან კი პესტიციდები. ამ ნივთიერებების შემცვლელი წყლის მიღების შედეგად შეიძლება განვითარდეს მომწამვლები და სხვადასხვა სახის დაავადებები.

შხამიანი ნივთიერებები შეიძლება წარმოიქმნას თვით წყალსატევებში რიგი ორგანული ნივთიერებების შეერთების შედეგად. წყალში დიდი რაოდენობით ორგანული ნივთიერებების მოხვერა ხელს უწყობს მასში მნიშვნელოვანი რაოდენობით ამიაკის, ქლორიდების, ნიტრიტების, ნიტრატების და სხვა მავნე ნივთიერებების დაგროვებას.

როგორც გამოკვლევებიდან ჩანს, ღია წყალსატევების დაბინძურება უფრო მეტად ხდება გაზაფხულზე და შემოდგომაზე. სწორედ ამ პერიოდზე მოდის ცხოველთა დაავადებების მაღალი რიცხვიც.

ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვისა და პროდუქტიულობის ზრდისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წყლის ორგანოლეპტიკურ თვისებებს: სუნს, გემოს, ფერს და გამჭვირვალობას.

მღვრიე წყალს, მითუმეტეს თუ მას აქვს არასასიამოვნო სუნი და გემო, ცხოველები სვამენ იძულებით უხალისოდ და არასაკმარისი რაოდენობით.

დაბალი ორგანოლეპტიკური თვისებების წყალი არღვევს ცხოველთა დაწყურების რეჟიმს და ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ ფუნქციებს, პირველ რიგში კუჭის და სხვა ორგანოების (ჯირკვლების) სეკრეტორულ ფუნქციას. აქედან გამომდინარეა, რომ განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება წყლის ორგანოლეპტიკურ თვისებებს.

ჩვენს მიერ მოყვანილი მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ წყალს და მის ხარისხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც შინაური ისე გარეული ცხოველების გამრავლების, ზრდა-განვითარების, ჯანმრთელობის და პროდუქტიულობის ზრდის საქმეში. თვით ცხოველების ჰიგიენური და ვეტერინარიულ-სანიტარიული პირობების დაცვით შენახვა განაპირობებს წყლის სისუფთავეს დასახლებული პუნქტების სიახლოვეს და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ამრიგად, ცხოველთა სასმელი წყალი უნდა იყოს სუფთა, ჰქონდეს სასიამოვნო სუნი და გემო. ქიმიური და ფიზიკური თვისებებით არ უნდა წარმოადგენდნენ საშიშროებას ცხოველების ჯანმრთელობისათვის.

საქართველოში ცხოველთა სასმელი წყლის ხარისხის შესწავლა არ ჩატარებულა. მაგრამ დღეს პრობლემად ქცეული დაავადებების გავრცელების არეალი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამ მხრივ ქვეყანაში ძალიან მძიმე მდგომარეობაა. ეს საკითხი მოითხოვს სასწრაფო შესწავლას და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას სხვადასხვა დონეზე.

ცხრილი 1

ცხოველებიდან დღე-ღამეში გამოყოფილი ნაკელის რაოდენობა

№	ცხოველის სახეობა	ნაკელის რაოდენობა, კგ
1	ბუღა	30-35
2	ძროხა	35-40
3	უშობელი	20-25
4	მოზარდი	10-15
5	ხბო	5-10
6	კერატი	9
7	ნეზვი მაკე	9
8	ნეზვი გოჭებიანი	12
9	ასხლეტილი გოჭი	2,5-3
10	მოზარდი 6 თვემდე	5
11	ცხვარი ზრდასრული	4
12	ცხენი ზრდასრული	20
13	კვიცი	10
14	მოზარდი	15
15	თხა	2,5-3
16	ბოცვერი	0,2
17	ქათამი მეკვერცხული	0,175-0,190
18	ქათამი მეხორცული	0,275-0,3
19	ინდაური	0,450
20	იხვი	0,425
21	კვატი	0,594

ცხრილი 2

ცხოველებიდან დღე-ღამეში გამოყოფილი შარდის რაოდენობა

№	ცხოველის სახეობა	შარდის რაოდენობა (ლ)
1	ცხენი	3-13 (10)
2	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	5-14 (7,5)
3	ცხვარი და თხა	0,5-2,5 (2)
4	ღორი	2-6 (4)
5	ძაღლი	0,4-1,5 (0,6)
6	კატა	0,1-0,2 (0,15)
7	ბოცვერი	0,18-0,44
8	ქათამი	0,05-0,15 (0,10)

ცხრილ3

ფრინველის მოთხოვნილება წყალზე (ლ/ფრთაზე)

№	ფრინველის სახეობა და ჯგუფი	საშუალოდ	ოპტიმალური ტემპერატურიის დროს	ზაფხულში მაღალი(30-35 0ც) ტემპერატურის დროს
1	ქათამი მეკვერცხული	0,46	0,27	0,38
2	ქათამი მეხორცული	0,51	0,30	0,42
3	ინდაური	1,31	0,82	1,0
4	იხვი	0,9	0,55	0,75
5	კვატი	1,56	0,94	1,3
6	ქათმის მოზარდი: 1-60 დღე 61-150 დღე	0,25 0,37	0,15 ,23	0,2 0,31
7	ინდაურის მოზარდი: 1-60 დღე 61-120 დღე	0,69 0,84	0,46 0,56	0,58 0,7

8	იხვის მოზარდი: 1-55 დღე 56-180 დღე	0,52 0,85	0,32 0,52	0,45 0,72
9	ბატის მოზარდი: 1-70 დღე 71-180 დღე	0,67 1,2	0,46 0,77	0,56 1,0

ცხრილი 4

ცხოველის მოთხოვნილება წყალზე (ლ/სულზე)

№	ცხოველის სახეობა და ჯგუფი	სულ	მათ შორის	
			სასმელი	სამომხმარებლო (ცხელი)
1	მსხვილი რქოსანი პირუტყვი: – მეწველი ძროხა – მშრალი ძროხა –მოზვერი და უშობელი –მოზარდი 6 თვის –მოზარდი 6თვეზე უხნესი	100 70 60 20 30	65 65 40 10 25	15 – 5 2 2
2	ღორი: –კერატი –ნეზვი მაკე –ნეზვი გოჭებით –ბურვაკები –სარემონტო მოზარდი –სასუქი ჯგუფი	25 25 60 5 15 15	10 12 20 2 6 6	– – 5 – – –
3	ცხვარი: –ზრდასრული ცხვრები –მოზარდი	10 5	8 4	– –
4	ცხენი: –ულაყი –ფაშატი –მოზარდი 1,5 წლამდე –მოზარდი 1,5 წელზე უხნესი	70 80 60 45	45 65 50 35	– – –
5	ბოცვერი	3	3	–
6	მელია (გალიაში)	7	7	–

ცხრილი 5

წყალზე მოთხოვნილება საძოვარზე ლ/სულზე

№	ცხოველის სახეობა	საძოვარზე ფერმის სიახლოვეს	გადასარეკ საძოვარზე (ნახევრად უდაბნო რაიონში)	
			გაზაფხულის ბოლოს, ზაფხულში, შემოდგომის დასაწყისში	შემოდგომის ბოლოს, ზამთარში, გაზაფხულის დასაწყისში
1	სხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	35-60	30-60	25-35
2	ცხვარი და თხა	3-8	2,5-6	1-3
3	ცხენი	30-60	26-50	20-35

ცხრილი 6

ცხოველთა დაწყურების ჯერადობა სძოვარზე

№	ცხოველის სახეობა	ზაფხულში (ცხელ დღეებში)	ზამთარში
1	მსხვილი რქოსანი პირუტყვი	2-3	1-2
2	ცხენი	2-3	1
3	ცხვარი, თხა	2	1
4	ნეზვი გოჭებით	რანაკლები	3-ჯერ დღეში

ცხრილი 7

პათოგენური მიკროორგანიზმების სიცოცხლისუნარიანობა
წყალში (დღე)

№	ბაქტერიის სახეობა	წყალი		
		ნკანის	მდინარის	ჭაბურღილის
1	**E.coli**	2-262	21-183	–
2	**Salmonella typhi suis**	4-99	4-183	5-107
3	**Salmonella paratyphi A**	–	–	–
4	**Salmonella paratyphi B**	27-37	–	–
5	ლეპტოსპიროზის აღმძვრელი	–	150	7-75
6	ტულარემიის აღმძვრელი	92	7-31	12-60
7	ბრუცელოზის აღმძვრელი	5-85	80-100	4-45
8	პულოროზის აღმძვრელი	–	200	–
9	ტუბერკულოზის მიკობაქტერიები	–	150	–
10	ლისტერიოზის აღმძვრელი	–	710	–

Drinking water quality impact on the ecological condition of the country and animal health

Summary

According to the Georgian concept of environmental security water quality is very significant. Monitoring of surface waters is a prerogative of ministry of environment.

Monitoring is carrying out in some parts of rivers and surface waters, mostly in abounding rivers (Mtkvari and Rioni ponds) and lakes (Paliastomi, Turtle, Lisi and Tbilisi sea)

Tengiz Khurashvili

Влияние качество питьевой воды на экологическое состояние страны и здоровье животных

Резюме

По концепции экологической безопасности Грузий, большое значение придается качеству воды. На територии Грузий мониторинг качества поверхностных вод является функцией Министерство по охране окружающей среди и природных ресурсов.

Мониторинг осуществляется в некоторых частях речи,в основном на длинных и многоводных реках. (22 рек басейна Мтквари и Роини) и озёрах (Палиастоми,Черепашье,Лисье озера и Тбилиское море).

На територии Грузий качество поверхностных вод в других местах фактический не проверяется, конечно не проверяются и водопои животных, которим, по нашему мнению предаётся большое значение.

Тенгиз Курашвили

პეტრე ნასყიდაშვილი, გიორგი ჯახუტაშვილი,
დავით ლობჟანიძე, მაკა ნასყიდაშვილი,
ტარიელ ლოლაძე, ია ნასყიდაშვილი,

ჰიბრიდული სიმინდის ღირსება

უაკ (UDC) 633.15:631.527.5

სიმინდის სამშობლო მექსიკაა და წარმოიშვა 3 ათასი წლის წინათ ჩვენს წელთ აღიცხვამდე, ე.ი. 5 ათასი წლის წინათ. სიმინდი, მის წარმოშობის უძველეს ტომებს მიაჩნდათ მაგიური თვისებების მქონე მცენარედ და დასაბამიდანვე მიიჩნევდნენ ნაყოფიერების, წვიმისა და მკის ღმერთად. ინდიელები სიმინდისაგან მრავალნაირ საჭმელს, ფქვილს და სიროფებს ამზადებდნენ, ტაროების ფურცლებს იყენებდნენ ტოლმის მაგვარი საჭმელებისათვის, სიმინდის მტვერს კი – ტკბილი ნამცხვრების დასამზადებლად. მუქი ჯიშის სიმინდის მარცვლებისაგან საღებავებს ამზადებდნენ. სიმინდს ღვთაებრივად თვლიდნენ. სიმინდის სურათებითა და სკულპტურული გამოსახულებით მორთული ჰქონდათ თავიანთი საცხოვრებელი ადგილები და ტაძრები.

ამერიკაში უძველეს ხალხთა ცხოვრება და კეთილდღეობა ძალიან ხშირად დამოკიდებული იყო სიმინდის მოსავალზე, ამიტომ ადამიანები მას "მეგობარს" უწოდებდნენ. ინდიელებში დღემდე შემონახულია ძველი თქმულებები სიმინდის შესახებ. ეს თქმულებები ჩაწერა ლონგფელომ ცნობილ პოემაში "სიმღერა ჰაივატებზე". ამ პოემაში სიმინდს ქებას ასხამდნენ, ვით ჭაბუკ გმირს მონდამინს (მონდამინდა – ინდურად მაის ანუ სიმინდი).

ქართველმა ხალხმა სიმინდის კულტურა ისე შეიყვარა, რომ ამ კეთილშობილ მცენარეს ყველაზე ღირსეული და საპატივცემულო სახელი შეარქვა და მას "მინდვრის დედოფალი", "ასლამაზა", "ძვირფასი მცენარე" და მარცვალს "ოქროს მარცვალი" უწოდა, და რაც მთავარია დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ, მათთვის ყველაზე ძვირფასი სასურსათე კულტურის ღმის "ღომი" სიმინდის "ღომით" შეცვალა.

სიმინდს თავის დროზე ქებას ასხამდნენ და დიდ შეფასებას აძლევდნენ ბელადები, პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები, ცნობილი მეცნიერები და პოეტები, ხელოვნების წარმომადგენლები. 1926 წელს ვლადიმერ მაიაკოვსკი წერდა: "მოიყვანეთ სიმინდი გვალვიან ზონაში და შეგიძლიათ იოცნებოთ ახალ "ფორმონზე" (იმ დროინდელი ტრაქტორი). ცნობილი პოლიტიკოსი უილიამ ფოსტერი თავის "ამერიკის პოლიტიკურ მიმოხილვაში" ახასიათებს სიმინდის იმ გიგანტურ როლს, რომელიც ამ მცენარემ შეასრულა ამერიკის ცივილიზაციის განვითარებაში, და რომ: "უძველესი აზიის ცივილიზაცია დამყარებული იყო ბრინჯზე, ევროპისა – ხორბალზე; ხოლო ამერიკის ძირითადი მოსახლეობის ცივილიზაციის საფუძველი იყო სიმინდი". ამავე დროს აღნიშნავდა, რომ "იქ სადაც ხდებოდა სიმინდის მოყვანა, წყდებოდა – ცივილიზაციაც." ცნობილი მეცნიერი მორგანი უფრო შორს წავიდა და აღნიშნავდა, რომ "კაცობიობის პროგრესში სიმინდმა გაცილებით დიდი როლი შეასრულა, ვიდრე ერთად აღებულმა თავთავიანმა კულტურებმა". სიმინდმა, როგორც მარცვლეულ მცენარეთა შორის ყველაზე პროდუქტიულმა მცენარემ განაპირობა ამერიკაში მოსახლეობის მჭიდროდ დასახლება და ამის მეოხებით რთული საზოგადოებრივი სისტემების წარმოქმნა. სიმინდის მოყვანა შესაძლებელი იყო ყველგან, მათ შორის მთებში, რამაც ხელი შეუწყო მის ფართო გავრცელებას. მისი გამოყენება შესაძლებელია, როგორც მოუმწიფებელი, ასევე მომწიფებული. იძლევა უხვ მოსავალს მაღალი სასურსათო თვისებებით. ამიტომ სიმინდმა ადამიანთა პროგრესს უფრო შეუწყო ხელი, ვიდრე ერთად აღებულმა ყველა მარცვლოვანმა მცენარემ. ამით უნდა აიხსნას ის პროგრესი, რასაც მიაღწიეს ამერიკის მკვიდრმა მოსახლეობამ. ასეთი შეფასება ეძლეოდა სიმინდს წარსულში. მაგრამ არა ნაკლებად დიდია სიმინდის როლი ამჟამადაც. ყველასათვის ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჰიბრიდული სიმინდის წარმოებით მკვეთრად გაადიდეს მარცვლეულის წარმოება და მყარი ბაზა შეუქმნეს მეცხოველეობა.

საქართველოში, დაახლოებით 400 წლის წინათ შემოტანილ სიმინდს დასავლეთ საქართველოს ჭარბტენიან და ტენიან ზონაში დახვდა შესაბამისი ნიადაგობრივი და კლიმატური პირობები, და მასზე კარგად მზრუნველი გონიერი ადამიანები, რის შედეგადაც დასავლეთ საქართველო იქცა სიმინდის მეორე სამშობლოდ. სიმინდმა სწრაფად განდევნა ღომის კულტურა და დაიკავა გაბატონებული მდგომარეობა. საქართველოში შემოტანილი კაჟა და კბილა ქვესახეობებს შორის მოხდა "ბუნებრივი ჰიბრიდიზაცია", და როგორც დასავლეთ საქართველოს სიმინდის დიდი მკვლევარი პროფესორი ლეონარდე დეკაპრელევიჩი აღნიშნავდა, წარმოიქმნა "დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი ჰიბრიდული პოპულაცია", სადაც "ბუნებრივი გადარჩევით", ქართველ მიწათმოქმედთა "ხალხური სელექციით" ჩამოყალიბდა მექსიკაში და საერთოდ ამერიკის კონტინენტზე არარსებული, ორიგინალურ ფორმათა მრავალფეროვნება. ეს მრავალფეროვანი ფორმები, ლ. დეკაპრელევიჩმა გააერთიანა ერთ სახელწოდებაში და უწოდა "ქუთაისის ჰიბრიდი". მანვე მასში გამოავლინა მეცნიერებისათვის მანამდე უცნობი, სრულად ახალი ფორმები, რომლებიც მკვეთრად განსხვავებული იყო მარცვლის ზედაპირის ჩაჭყლეტილობის დონით და მარცვლის სიდიდით და ეს ნიშნები წარმოადგენენ მემკვიდრულად განპირობებულს. სიმინდის სახეობაში შემავალ ამ ენდემურ ქვესახეობას, რასაც ლ.დეკაპრელევიჩმა შეარქვა "დასავლეთ საქართველოს ნახევრადკბილა სიმინდი", რომელსაც შემდგომში აკადემიკოსმა პ.ჟუკოვსკიმ უწოდა "დელაპრელევიჩის სიმინდი", რომელიც შედგება მრავალი სახესხვაობისაგან და შესაბამისი ჯიშებისაგან.

"დასავლეთ საქართველოს ნახევრადკბილა" ანუ "დელაპრელევიჩის სიმინდის" სახესხვაობების და ჯიშთა მრავალფეროვნების წარმოქმნა და აბორიგენულ ჯიშ-პოპულაციებად ჩამოყალიბება, აღიარებულ უნდა იქნას, დასავლეთ საქართველოს ადგილმდებარეობის და აქ მცხოვრებ მიწათმოქმედთა განუზომლად უდიდეს წვლილად, ჩვენს ქვეყანაში, და საერთოდ კავკასიაში სიმინდის დამკვიდრების საქმეში, ამ კულტურის ევოლუციაში და მსოფლიო მნიშვნელობის ქვესახეობის, სახესხვაობის და ჯიშების შექმნის საქმეში.

დასავლეთ საქართველოს სიმინდის, ანუ "დეკაპრელევიჩის სიმინდის" ენდემური ქვესახეობის, სახესხვაობების აღმოჩენა და მასში აბორიგენული ჯიშ-პოპულაციების გამოვლენა, მათი ყოველმხრივი შესწავლა მსოფლიოში აღიარებული ქართულ სიმინდათ წარმოჩენა, მიჩნეულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული

აკადემიის წევრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრის, საქართველოს მცენარეთა გენეტიკური და სელექციური მეცნიერული სკოლის ფუძემდებლის, პროფესსორ ლეონარდე დეკაპრელევიჩის უდიდეს წვლილად მსოფლიო მეცნიერებაში, სიმინდის კულტურის გენეტიკაში, სელექციასა და მეთესლეობაში და გამოყენებით ბოტანიკაში, რომელსაც მიმდინარე წელს შეუსრულდა დაბადებიდან 125 წელი, და შესრულდა საქართველოს სიმინდზე მის მიერ დაწერილ პირველ სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნებიდან 80 წელი, რომელსაც დღემე არ დაუკარგავს მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება.

სიმინდი ისე, როგორც ვაზი თავიანთ ბოტანიკურ გვარებში, თითო კულტურულ სახეობით არიან წარმოდგენილი, მაგრამ სიმინდის მცენარეს, ვაზისაგან განსხვავებით არა აქვს თვითჩათესვის და გაველურების უნარს, და ამ უნარს ინარჩუნებს დღემდე, ე.ი. 5 ათასი წლის მანძილზე.

მართალია, სიმინდი თივაქასრასებრთა ბოტანიკურ ოჯახში შემავალი ერთ-ერთი ბოტანიკური გვარია (ძეა .) და მასში შედის, მხოლოდ ერთი კულტურული ბოტანიკური სახეობა (მაის), მაგრამ ეს სახეობა მოიცავს მრავალ (9) ქვე სახეობას: კილიანი სიმინდი, სახამებლიანი სიმინდი, ბუშტარა ანუ ტკაცუნა-სასუცნავი-საბატი-ბუტე სიმინდი, კაჟა სიმინდი, კბილა სიმინდი, ნახევრად კბილა სიმინდი, შაქრის სიმინდი, სახამებლიანი-შაქრიანი სიმინდი და ცვილა სიმინდი.

ახლა, სიმინდის მცენარე, გარდა ქვესახეობათა სიმრავლისა, გამოირჩევა თითოეულ ქვესახეობაში შემავალი მრავალი სახესხვაობით, ხოლო თითოეულ სახესხვაობაშია ძალიან დიდი რაოდენობით აბორიგენული და სელექციური ჯიშები, და ამ უკანასკნელის საფუძველზე შექმნილია "ჰიბრიდული სიმინდის" სხვადასხვანაირი ტიპი: ჯიშთაშორისი ჰიბრიდები, ჯიშსაზური ჰიბრიდები, ხაზჯიშური ჰიბრიდები, მარტივი ხაზთაშორისი (ანუ ორი ხაზის შეჯვარებით მიღებული) ჰიბრიდები, სამხაზოვანი ჰიბრიდები, ორმაგი ხაზთაშორისი (ანუ ორი მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდის შეჯვარება) ჰიბრიდები, ხუთხაზოვანი (ანუ ორმაგი ხაზთაშორისი ჰიბრიდის ხაზთან შეჯვარება) ჰიბრიდები. ამ ჰიბრიდებს შორის, უფრო მეტი გავრცელებით სარგებლობს მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდები, ე.ი. ისეთო ჰიბრიდები, რომლებიც, ამ უკანასკნელ წლებში წარმატებით ითესება საქართველოში, აშშ სიმინდის გენეტიკოსებისა და სელექციონერების მიერ მიღებული "პიონერის" სახაელწოდებით ცნობილი, სხვადასხვა სავეგეტაციო პერიოდის, როგორც სასურსათე, ასევე საკვები მიმართულების მაღალმოსავლიანი და მაღალხარისხოვანი ჰიბრიდები.

სიმინდის კულტურის ჯიშების, ჰიბრიდული სიმინდით შეცვლის იდეა ჩაისახა ამერიკის შეერთებულ შტატებში და ამ ქვეყანამ საფუძველი დაუდო, ახალი კულტურის – ჰიბრიდული სიმინდის შექმნას და მისი სათესლე მასალის ფართოდ მიღებას და საერთოდ სიმინდის მარცვლის წარმოების თითქმის გასამმაგებას, აგრეთვე, მარცვლეულ სხვა კულტურებთან (ხორბალი, ქერი, ჭვავი, ბრინჯი, ტრიტიკალე) შედარებით, მაღალპროდუქტიულ და მრავალმხრივ გამოყენების მცენარედ ჩამოყალიბებას.

სიმინდის მცენარის წარმოშობა, დაკავშირებულია ბუნებრივ ჰიბრიდიზაციასთან და მუტაციურ მოვლენებთან, ხოლო ამ მცენარის კულტურულ სასოფლო-სამეურნეო მცენარედ და ჯიშებად ჩამოყალიბება განხორციელდა ბუნებრივი გადარჩევით, ხალხური და მეცნიერული სელექციით. ამიტომ კაცობრიობა სიმინდის კულტურად ქცევას უნადა უმადლოდეს როგორც "ხალხურ", ასევე მეცნიერულ სელექციას.

სიმინდის ახალი კულტურის – "ჰიბრიდული სიმინდის" მიღება დაკავშირებულია ხელოვნურ ჰიბრიდიზაციასთან და მეცნიერულ სელექციასთან. მთელი მსოფლიო მეცნიერება და კაცობრიობა "ჰიბრიდული სიმინდის" ხელოვნურად შექმნას, მის ახალ კულტურად აღიარებას, ფართოდ წარმოებას და სათესლე მასალად გამოყენებას, უნდა უმადლოდეს, ამერიკის შეერთებული შტატების სიმინდზე მომუშავე გენეტიკოს-სელექციონერებს, და შემდგომში სხვა ქვეყნებში მომუშავე მცენარეთა გენეტიკოს-სელექციონერებს, ხოლო საქართველოში მსოფლიო დონის მეცნიერის, კავკასიაში პირველი სელექციონერის, საქართველოში სიმინდის პირველი სელექციური ჯიშების შექმნელის და მცენარეთა გენეტიკური და სელექციური სკოლის ფუძემდებლის, ლეონარდე დეკაპრელევიჩის და მისი სკოლის მცენარეთა გენეტიკოსებს, სელექციონერებსა და მემცენარეებს (ივ. ბახტაძე, გ. აბესაძე, მ. სიხარულიძე, ალ. ჯაფარიძე, ე. ჩერნიში, ს. თედორაძე, პ. ნასყიდაშვილი, ვ. ჩხიკვაძე, ო. ლიპარტელიანი, ზ. ჯინჯიხაძე, ი. საათაშვილი, გ. კაპატაძე, ა, ბერაია, ა. მახარობლიძე, ო. დგებუაძე, ნ. ჯიბუტი, თ. ჩიხლაძე, ნ. ჩხიკვაძე, შ. ჭყონია, ნ. ლომინაძე და სხვა).

სიმინდის ჯიშის და "ჰიბრიდული სიმინდის" მცენარე, საგაზაფხულო ერთწლოვანი, ბალახოვანი, მძლავრი ზრდა-განვითარების, მძლავრი ფესვთა სისტემის, მოკლე დღის, სითბოს და სინათლის მოყვარული, ერთლებნიანი, გაყოფილ სქესიანი, ჯვარედინდამტვერიანებელი, უხვმოსავლიანი, სასურსათე, საკვები, სამკურნალო, მრეწველობისათვის ნედლეულის მომცემი, მრავალმხრივი გამოყენების "უნივერსალური", სტრატეგიული, "უნარჩენო წარმოების" მარცვლეული კულტურაა.

სიმინდის ჯიშები, განსაკუთრებით ჰიბრიდული სიმინდი, ზედმიწევნით ტოლერანტული კულტურაა. გარდა ამისა, სიმინდი, თავთავიან საგაზაფხულო კულტურათა შორის ყველაზე გვიან სათესი და ყველაზე გვიან ასაღები კულტურაა, არ ეშინია გვიან აღების. სიმინდის ჯიში და განსაკუთრებით ჰიბრიდული სიმინდი არის ადამიანის სასურსათე, კომფორტის შექმნის საშუალებაც (ხორცი, რძე, რძის ნაწარმი, ზეთი, ლუდი, სპირტი, ვიტამინები, შაქარი, თაფლი, ქაღალდი) და სხვა.

ჰიბრიდულმა სიმინდმა, როგორც მაღალმოსავლიანმა, სხვადასხვა დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო და გამოყენებით მრავალფეროვანმა კულტურამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ხორბლისა და ბრინჯის შემდეგ მსოფლიო მიწათმოქმედებაში. იგი უნივერსალური, სასურსათე, საკვები, მრეწველობის სხვადასხავა დარგის ნედლეულისა და სამკურნალო მცენარეა. ამის გამო მკვეთრად გაიზარდა მასზე მოთხოვნილება. თუ გასული საუკუნის პირველ ნახევარში სიმინდისაგან მზადდებოდა 165 დასახელების პროდუქტი, იმავე საუკუნის 75-80 წლებში, სიმინდისაგან წარმოებული პროდუქტთა რიცხვმა 500-ზე მეტ დასახელებას გადააჭარბა. ჰიბრიდული სიმინდიდან ახალ-ახალი სახის პროდუქტის ჩამონათვალი ყოველწლიურად მატულობს.

სიმინდის მარცვლისაგან მიღებული პროდუქტების არასრული ჩამონათვალი

ლაო	კაუჩუკი ხელოვნური	სპირტი მეთილის
ცეტონე	კოპტონი	ფქვილი
ისკვეტი	კონსერვები	ჩურჩხელა
ბურღული	ლუდი	ყავა(ხელოვნური)
ბატი-ბუტი	მჭადი	ძმარმჟავა და სხვა
ბურღული-კოპტონი	ნამცხვარი	სპირტი ეთილის
ლიცერინი	ნაყინი კარაქის	ფელამუში
გლუკოზა ტექნიკური	საპონი	რძის მჟავა და სხვა მრავალი
გლუტენის საკვები	საღებავები ზეთის	
დექსტრინი (ყველა სახის)	საცხები უხმისათვის	
ზეთი რაფინირებული	სახამებელი ყველა სახის: თეთრეულისთვის, საკვებში, საკონდიტრო, საფეიქრო	
ზეთი ტექნიკური	სიროფები (საკვები)	
ზეთი საცხები	სიროფი (ფუტკრისათვის)	
სიმინდის ღეროსა და ფოთებისაგან მიღებული პროდუქტები:		
ბალიში სკამის	საკვები მწვანე	ფეთქებადი ნივთიერებები
ბოჭკო ხელოვნური	მუყაო	ფიბრო
ეიბი	საფენი იატაკის	ქუდები
ინენიუმი	საჭმელი დიაბეტიანებისათვის	ცელულითი
მასალა საშენი	პური	ცელულოზა და სხვა მრავალი
მჟაუნ მჟავა	პაპიკ მაშე	
	ტილო ზეთსახდელი ქარხნისათვის	
სიმინდის ნარჩენებისაგან მიღებული პროდუქტები:		
ბედი	მეთინოლი	ფილები იატაკის
ნტისეპტიკები	მოტორის .	ფურფუროლი
აქტივირებული ნახშირი	მჟაუნმჟავა	ქაღალდი
ცეტონე	უყაო	ქსილოზა
ბოჭკო ხელოვნური	ნახშირი თოფისწამლისთვის	ღილები
გაზის სანათი	ირიქსილინი	ჩიბუხი
ვისკოზი	სანესთეზიო ნივთიერებანი	ცელულოზა და მისი ნაწარმი
თეთრა	საიზოლაციო მასალა	წებო
თოფის წამალი	საკმეველი	წებო თხევადი
კაუჩუკი ხელოვნური	საღებავები	წებო ხმელი
აქები	შპირიტ	ძმარმჟავა
		ჭიანჭველამჟავა და სხვა მრავალი

სიმინდი პირველ რიგში არის მაღალმოსავლიანი მარცვლეული კულტურა. არცერთ პურეულ მცენარეს არ შეუძლია მაღალაგროტექნიკური პირობების შექმნით მოგვცეს სიმინდზე უფრო მაღალი მოსავალი. იგი მარცვლეული კულტურებს შორის უფრო გვალვა ამტანი მცენარეა. სიმინდს შედარებით ნაკლები მავნებელი ჰყავს. სიმინდი მიეკუთვნება ერთ-ერთ საუკეთესო წინამორბედ კულტურას არა მარტო სხვებისათვის აგრეთვე თავისთავისთვისაც. სიმინდი საჭიროებს ყველაზე ნაკლებ სათესლე მასალას და როგორც სათოხნი კულტურა, სხვებზე უკეთესად ასუფთავებს მინდორს სარეველებისაგან. არ ემინია მინდორში დიდ ხანს ფეხზე დგომის. სიმინდი ითესება და აიღება ყველაზე გვიან. სიმინდი საუკეთესო საკვები და იაფი სასაქონლო პროდუქტია. სიმინდი ძვირფასი სასურსათე კულტურაა (მისგან მიიღება მჭადი, ღომი, სიმინდის პიურე, სიმინდის ფაფა, სიმინდის ცხიმი, მოშუშული სიმინდი პომიდვრით და ხახვით, სიმინდი მწვანე ბარდით, სიმინდი რაგუ, სიმინდის კატლეტი, სიმინდი ნიგვზით და ქიშმიშით – ჩაროზი, მოხარშული სიმინდი – ჩაროზი, შეწვარი სიმინდი, საცუცნავი – ბატი-ბუტი და სხვა), ითვლება უნარჩენო კულტურად. სიმინდი ძვირფასი სამკურნალო მცენარეა. ჰიბრიდული სიმინდი, აგრონომიული თვალსაზრისით "მორჩილი", პლასტიური და კარგი "მასპინძელი" კულტურაა, და ამავე დროს არ წარმოადგენს "წუნია" მცენარეს. წარმოადგენს კარგ წინამორბედ კულტურას, ე.ი. ძვირფასი წინამორბედია ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურის და აგრეთვე თავისთვისაც. იგი, როგორც სათოხნი კულტურა, კარგად "ებრძვის" სარეველა მცენარეებს და შემდგომი კულტურისათვის ნიადაგის ზედაპირს ასუფთავებს სარეველა მცენარეებისაგან. ამავე დროს სიმინდი ნიადაგში ტოვებს დიდი მასის ფესვთა სისტემას და ღეროს ანარჩენებს, რომელთა მინერალიზაციით მიიღება მნიშვნელოვანი რაოდენობით მცენარისათვის შესათვისებელი საკვები ნივთიერებები. ამით, არაპირდაპირ "მასპინძლობს" და "მონაწილეობს" მომდევნო კულტურის მოსავლიანობის გადიდებაში. ამით უნდა აიხსნას მისი "მონოკულტურობის" კარგი უნარი მიწათმოქმედების სისტემაში, ე.ი. სიმინდის ერთსა და იმავე ნაკვეთზე ზედიზედ თესვის კარგი შესაძლებლობა (ამის კლასიკური

მაგალითია დასავლეთ საქართველო და ზოგიერთი სხვა ქვეყანა), თუმცა უმჯობესია კულტურათა მორიგეობა. ჰიბრიდული სიმინდი პლასტიკური კულტურაა, კარგად ეგუება და ხარობს თითქმის ყველა ტიპისა, ქიმიური შემადგენლობის და სტრუქტურის ნიადაგურ პირობებში. კარგად რეაგირებს მოვლა-მოყვანის მაღალ აგროტექნოლოგიურ ღონისძიებებს, ადამიანის შესაბამის შრომას პასუხობს უფრო მეტი რაოდენობით მარცვლისა და ჩალის მიღებით. მიჩნეულია, რომ სიმინდს ასეთი შესაძლებლობები უფრო მეტი აქვს და დღეს მისი შესაძლებლობის 60%-იც არ არის გამოყენებული.

ჰიბრიდული სიმინდი სინათლეს იყენებს ინტენსიურად. სიმინდი ნათესი 1 ჰა-ზე წარმოქმნის 20 000 – 50 000 კვადრატულ მეტრს საასიმილაციო მწვანე ფართს. ეს ფართი შეიძლება 100%-ით გაიზარდოს კარგი მოყვანის პირობების შექმნით. ჰიბრიდული სიმინდი, ფიზიოლოგიური თვალსაზრისით გამოირჩევა მაღალი ფოტოსინთეზური აქტიობით და ითვლება ფოტოსინთეზის პროცესში მზის სხივური ენერგიის კარგ გამომყენებელ კულტურად. ჰიბრიდული სიმინდი ისეთი მცენარეა, რომლის ყველა ნაწილი: მარცვალი, ღერო, ფოთოლი, ტაროს ნაქუჩი, ფუჩეჩი, "ულვაშები" და აგრეთვე გადამუშავებიდან დარჩენილი პროდუქტები (ქატო, ბურღული, კოპტონი, ალაო და სხვა) გამოყენებულია. ამის გამო სიმინდი მიჩნეულია ეგრეთ წოდებულ "უნარჩენო კულტურად".

ჰიბრიდული სიმინდი ძვირფასი ქიმიური ნივთიერებების ბუნებრივი ბიოლოგიური "აკუმულატორია". მისი მარცვლის ქიმიური შემადგენლობის მთავარ კომპონენტს წარმოადგენს: სახამებელი (72%), პროტეინი (10-12%), ზეთი (4,4%), ცელულოზა (25%), შაქარი (1-3%), ნაცარი (12%). ყვითელ მარცვლიანი სიმინდი, ერთ-ერთი კულტურაა, რომლის 100 გრამ მარცვალში 3,2-9,0 მილიგრამი კაროტინია, რომელიც წარმოადგენს " " ვიტამინის წყაროს. ჰიბრიდული სიმინდის 1 ტონა მარცვალი იძლევა: სახამებელს 650 კგ, პროტეინს 90 კგ, ცელულოზას 70 კგ, ზეთს 40 კგ, სხვადასხვა ნივთიერებებს 30 კგ. სულ მცირედ ერთ ჰექტარზე საშუალოდ შეიძლება მიღებული იქნეს: 2,0 ტონა სახამებელი, 0,3 ტონა პრიტეინი, 0,23 ტონა ცელულოზა, 0,12 ტონა ზეთი და საკმაო რაოდენობით სხვა ძვრად ღირებული, არა ორგანული ქიმიური ნივთიერებები (სქემა1). ჰიბრიდული სიმინდი მრავალხრივი გამოყენების კულტურაა და წარმოადგენს: ადამიანის სასურსათო პროდუქტს – პირველ რიგში ფქვილი და ღერღილი (სიმინდის მჭადის, ღომის, ბატი-ბუტის და სხვადასხვა სახის სახამებლის დასამზადებლად, მისი ფქვილი გამოიყენება ხორბლის და ჭვავის ფქვილში შესარევად სხვადასხვა სახის სახამებლის დასამზადებლად, მისი ფქვილი გამოიყენება ხორბლის და ჭვავის ფქვილში შესარევად სხვადასხვა სახის ნამცხვრების დასამზადებლად, რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფის ტაროს და აგრეთვე მომწიფებული მარცვლის მოხარშული ან შემწვარი სახით გამოსაყენებლად, კონსერვების დასამზადებლად და სხვა). ჰიბრიდული სიმინდი ცხოველთა კვების რაციონში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურაა, რომლის გამოყენება ხდება მარცვლის რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში სილოსის სახით, მწვანე მასის და ჩალის სახით, ჩალის და ნაქუჩის დაღერღილი ან ფქვილის სახით, სიმინდის გადამუშავების შედეგად მიღებული ანარჩენი მასალის დასილოსებული მასის სახით, ქატოს, კოპტონის და სხვათა სახით. საკვები კონცენტრანტების თანამედროვე ტექნოლოგიებით ჩნდება ახალ-ახალი შესაძლებლობები ჰიბრიდული სიმინდის საკვებად გამოსაყენებლად. ჰიბრიდული სიმინდი მნიშვნელოვანი კულტურაა მრეწველობისათვის. მისგან ფქვილის, ლუდის, სპირტიანი სასმელების, ზეთის, ქაღალდის, ფეთქებადი ნივთიერებების, სამშენებლო მასალების, საპონის, წებოს და სხვა მრავალი პროდუქტის მიღებისა, იზრდება მასზე მოთხოვნილება ისეთ დარგებშიც, როგორიცაა ფარმაცევტული, საფეიქრო და ცელულოზის წარმოებაში. ჰიბრიდულმა სიმინდმა, ფართო და მრავლმხრივი გამოყენების გამო, მსოფლიო ბაზარზე დაიმკვიდრა წამყვანი და მნიშვნელოვანი ადგილი და იქცა სტრატეგიული პროდუქტების მომცემ კულტურად, რომელიც საერთაშორისო საქონლის გაყიდვის ფურცლებზე, ხშირ შემთხვევაში ნავთობის და შეიარაღების წინ დგას. აღნიშნულიდან ნათელია, რომ ჰიბრიდული სიმინდი ეფექტური და მრავლ მხრივ გამოსაყენებელი კულტურაა და მის წარმოებაზე დაბანდებული კაპიტალი მკვეთრად დიდ მოგებას იძლევა. ამრიგად, ჰიბრიდული სიმინდის ნათესების გადიდება უნდა იქცეს სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად. ამავე დროს ჩვენს ქვეყანაში მოსავლიანობის გადიდების ძირითად საშუალებად უნდა იქცეს, ამ კულტურის მაღალმოსავლიანი ჰიბრიდული სიმინდის ნათესების გაფართოება. სიმინდი სხვა მარცვლოვანი კულტურებისაგან განსხვავებით ვარგისია ყველა კულტურულ ნიადაგზე მოსაყვანად. სიმინდს, სხვა მარცვლეულ კულტურებთან შედარებით სჭირდება ნაკლები რაოდენობის წყალი, და ის იზრდება მთელი ვეგეტაციის განმავლობაში ტენის არათანაბარი განაწილების პირობებშიც. სიმინდი გვალვიან დროს უკეთ იტანს, ვიდრე ქერი და შვრია. სიმინდი საქართველოსათვის სასურსათე, ასევე საკვები კულტურაა, ამიტომ მისი ეფექტურად წარმოება შეიძლება, როგორც სასურსათოდ, ასევე საკვებად (სასილოსედ), მწვანედ, შუალედურ კულტურად, ისეთ რეგიონებში და ზონებში, სადაც საკმაო რაოდენობითაა ტენი და სითბო. სიმინდი წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნეს სანაწვერალოდ, საშემოდგომო თავთავიანების აღების შემდეგ დასათესად. სიმინდის მეორე კულტურად გამოყენება შესაძლებლობას იძლევა ერთი წლის განმავლობაში ერთსა და იმავე ნაკვეთიდან მივიღოთ ორი მოსავალი (არახელსაყრელ პირობებში სიმინდი მოყვანილი უნდა იქნეს, მხოლოდ ძირითად კულტურად). ჰიბრიდული სიმინდის წარმოებით მკვეთრად მაღლდება შრომის ნაყოფიერება, როგორც სასურსათე კულტურა, იძლევა კარგი ხარისხის მარცვალს, და როგორც სასილოსე, კარგი ჭამადობის და მონელების საკვებს. სილოსი კარგად ინახება და წარმოადგენს მეტად ეკონომიკურ საკვებს მეცხოველეობისათვის. საქონელი შეიძლება გამოკვებილი იქნეს ნებისმიერი განვითარების სტადიაში მყოფი სიმინდის მცენარით. სიმინდი შეიძლება მოყვანილი იქნეს იქ, სადაც სხვა საკვები კულტურების მოყვანა არ არის შესაძლებელი, ან არ არის ვარგისი.

სიმინდი, განსაკუთრებით ჰიბრიდული სიმინდი იძლევა: მაღალხარისხოვან და იაფ სასურსათო პროდუქტებს; შესანიშნავ საკვებს ყველა სახის ცხოველისათვის; არცერთ სხვა სასოფლო-სამეურნეო მცენარეს არა აქვს ასეთი ფართო და მრავალმხრივი სამრეწველო გამოყენება; ყველაზე ბარაქიანი და მაღალპროდუქტიული მცენარეა; ხასიათდება გამრავლების მაღალი კოეფიციენტით (ხორბლის ერთი მარცვალი საშუალოდ იძლევა 21 მარცვალს, სიმინდი – 500 მარცვალს); სიმინდი, როგორც სათოხნი კულტურა,

ნიადაგს ასუფთავებს სარეველებისაგან; შესანიშნავად ეგუება ახალ გარემო პირობებს; ყველაზე ნაკლებად შრომატევადი და კონკურეტუნარიანი კულტურაა.

ჰიბრიდული სიმინდი, მეოცე საუკუნის მეცნიერების თეორიული და პრაქტიკული გამოყენებით აზროვნების ერთობლივი მოქმედების მსოფლიო ღირებულების მოვლენაა, რომელიც აშშ-ში შეიქმნა, და თავიდანვე, რევოლუციური ზეგავლენა მოახდინა აშშ-ს ფერმერთა მიწათმოქმედებაში, სათესი ფართობების შემცირებით, სიმინდის მარცვლის უფრო მეტი მოსავლის მიღების საქმეში. ეს რომ ასეა, ამის ნათელი ფაქტია ის, რომ აშშ-მა 1959 წელს სიმინდის ჯიშების თესლით თესვით საშუალოდ აწარმოვა 2,77 ტ/ჰა მარცვალი, ხოლო 2010 წელს ჰიბრიდული სიმინდის თესვით – 10,23 ტ/ჰა მარცვალი. ახლა საქართველოში ჰიბრიდული სიმინდის ასეთი მაღალი მოსავლის მიღება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ჰიბრიდული სიმინდის მოსავლიანობას და მაღალხარისხოვნებას საფუძვლად უდევს ჰეტეროზისის ანუ "ჰიბრიდული ძალის" გენეტიკური მოვლენა, და ამ უნარს ყველაზე ძლიერად ავლენს პირველი თაობის თესლით თესვის შემთხვევაში. ჰიბრიდული სიმინდი მარცვლეულ კულტურათა შორის, ჯერ-ჯერობით, სრულიად ახალი მარცვლეული კულტურაა, რომლემაც შეცალა მისი წარმომშობი ჯიში და დღეს, განუვითარებელი ქვეყნების გარდა, მარცვლის წარმოების, მსოფლიო პრობლემის გადაწყვეტის საშუალებად იქცა, და სიმინდის მარცვლის წარმოების 1000 მილიონი ტონის ნიშნულს მიუახლოვდა, 2011 წელს მიღებული იქნა 867,5 მილიონი ტონა მარცვლის მოსავალი. ჰიბრიდული სიმინდი ერთდროულად ორ ამოცანას წყვეტს: მარცვლის რესურსების შერჩევას და ღერო-ფოთლისაგან კარგი სილოსის მიღებას. ჰიბრიდული სიმინდის მარცვალი ძვირფასი კონცენტრირებული საკვებია. 100 კილოგრამი სიმინდის მარცვალი იძლევა 135 საკვებ ერთეულს, მაშინ, როდესაც 100 კილოგრამი შვრია – მხოლოდ 100 საკვებ ერთეულს. სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების და ფერმერთა ცდები და გამოცდილება ნათლად გვიჩვენებს, რომ რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში აღებული და დასილოსებული ტაროები, საკვები ერთეულებით (მშრალი ნივთიერებით) უთანაბრდება სიმინდის მშრალ მარცვლებს.

სიმინდის ტაროს რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში აღების შემდეგ, ღეროსა და ფოთლებისაგან დამზადებული 100 კილოგრამი სილოსი უდრის 130 კილოგრამ საკვებ ჭარხალს ან საკვები გოგრის 147 კილოგრამ ნაყოფს.

კარგი და სწორი აგროტექნიკის პირობებში ჰიბრიდულ სიმინდს აქვს უნარი მოგვცეს, სხვა კულტურებთან შედარებით ყველაზე მაღალხარისხოვანი სასურსათე მარცვალი და მაღალი ყუათიანი საკვები. სიმინდის მაღალი და სტაბილური მოსავლის წარმოებისათვის აუცილებელია კომპლექსური თანამედროვე აგროტექნიკის გამოყენება. გარდა ამისა, სიმინდის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები გამოყენებული უნდა იქნეს უფრო ფართედ და მაღალხარისხოვნად, რათა ჰიბრიდული სიმინდის მოსავლიანობის პოტენციური შესაძლებლობის ზღვარი გასცდეს 60%-ს და მიუახლოვდეს 100%-ს. მეცნიერულმა კვლევებმა და პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სიმინდის მარცვლის მოსავლიანობის ასეთ ნიშნულამდე მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისი, უფრო მეტად მაღალი მოსავლიანობის პოტენციური შესაძლებლობების მქონე ჰიბრიდული სიმინდის, თესლის თესვით. ამრიგად, სიმინდი უნივერსალური სასურსათე, სამკურნალო, საკვები და სამრეწველო კულტურაა, იძლევა: მაღლახარისხოვან და იაფ სასურსათე პროდუქტებს; შესანიშნავ საკვებს ყველა სახის ცხოველებისათვის; არც ერთი სხვა სასოფლო სამეურნეო მცენარეს არა აქვს ისეთი ფართო და მრავალმხრივი სამრეწველო გამოყენება; ყველაზე ბარაქიანი მაღალმოსავლიანი მცენარეა; ხასიათდება გამრავლების მაღალი კოეფიციენტით; როგორც სათოხნი კულტურა ასუფთავებს ნიადაგს სარეველებისაგან; შესანიშნავად ეგუება ახალ გარემო პირობებს; ყველაზე ნაკლებად შრომატევადი კულტურაა; სიმინდი არა მარტო მჭადია, არამედ რძეც, ხორციც, ქონიც, კვერცხიც, კარაქიც; ერთ ჰექტარზე აღებული სიმინდის მასა 8 ტონა რძეს იძლევა; ძროხისათვის მოცემული თითოეული ცენტნერი მასა იძლევა ერთ კილოგრამ კარაქს, მაგრამ სიმინდის როგორც საკვების ყველაზე ფართო მომხმარებელი ღორია. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ღორის მიერ შეჭმული ყოველი ოთხი ცენტნერი სიმინდის მარცვალი ერთ ცენტნერ ქონსა და ხორცს იძლევა. შემთხვევით როდია, რომ ხალხში ამბობენ "ღორი ჩლიქებიანი სიმინდიაო". პირუტყვი დაახლოებით 285 სახელწოდების საკვებს იღებს მათ შორის ვერც ერთს ვერ ვიპოვით ისეთს, რომელიც სიმინდის მარცვალს სჯობნიდეს საკვები ერთეულების რაოდენობით. არ არსებობს სხვა კულტურა, რომელიც აჭარბებდეს სიმინდს მარცვლისა და მწვანე მასის მოსავლით, ამიტომ სიმინდი პურეული და საკვები კულტურების ნამდვილი ჩემპიონია.

ჰიბრიდული სიმინდი ყველა ქვეყანაში გავრცელებულია შესაბამის ნიადაგობრივ და კლიმატურ პირობებში. მისი გავრცელების მასშტაბი თანდათანობით იზრდება, ამიტომ ჰიბრიდული სიმინდი უკვე აღიარებულია ისეთ კულტურად, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს.

The cost of hybrid corn

Summary

Corn originated 3000 years ago in his homeland Mexico. The ancient tribes believed that corn had a magical attributes. Indian tribes were preparing various meals, flour and syrup from corn. Homes and temples were decorated with images of corn.

Petre Naskhidashvili

Достоинство гибридной кукурузы

Резюме

Родиной гибридной кукурузы является Мексика и произошла она три тыс. лет тому назад до н.э., т.е. 5тыс.лет тому назад. Древнейшие племена кукурузу считали растением с магическими своиствами, богом дождя и плодородия. Индейцы из кукурузы готовили разнообразную еду, муку и сиропы. Листья кукурузы употребляли для приготовления еды, похожей на толму, а из пыли кукурузы готовили сладкие пирожные, из зёрен кукурузы тёмных сортов готовили краски. Кукурузу они считали божественной. Жилые дома и храмы украшали кукурузными картинками и скульптурными изображениями.

Петре Наскидашвили

რევაზ ფახურიძე

უაკ (UDC) 633.15:631.527.5
ფ - 348

ჰიბრიდული სიმინდი და საქართველო

სიმინდის, როგორც სასურსათო მცენარეს, ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს გამოყენების უზარმაზარი მასშტაბებისა და მიღებული პროდუქციის მაღალი ხარისხის მხრივ. სიმინდის ფქვილი და მისგან დამზადებული სხვადასხვა სახის ნამცხვარი შემადგენლობით ყუათიანობით და ადამიანის ორგანიზმის მიერ შეთვისების თვალსაზრისით ბევრად არ ჩამოუვარდება ისეთ პირველხარისხოვან საზრდოს, როგორიც ხორბლის პურია. სიმინდის ფქვილისგან ამზადებენ ღომს. მარცვლეულს იყენებენ მოხარშული სახით ან ბატი-ბუტად, სიმინდის ნედლი ტარო შესანიშნავი საკვებია მოხარშული ან შემწვარი სახით.

სიმინდის მარცვლეული წარმატებით გამოიყენება ყოველგვარი პირუტყვისა და ფრინველის საკვებად. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და მაღალ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა მეღორეობის დარგში.

სიმინდი, რომ ძვირფასი სასურსათო და საკვები კულტურაა, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მისი მარცვლისა და გადამუშავების შედეგად 150-დე დასახელების პროდუქტი მზადდება.

<u>სიმინდის კულტურის ისტორია</u>. სიმინდის წარმოშობის ძირითად კერად აღიარებულია ცენტრალური ამერიკა, კერძოდ მექსიკა, სადაც არქეოლოგიურ გათხრებში ნაპოვნია სიმინდის მარცვლები და ტაროებიც. საქართველოში სიმინდი შემოვიდა მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში და ფართოდ გავრცელდა დასავლეთ საქართველოს სამხრეთ ნაწილში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან.

<u>სიმინდის ჯიშები</u>. მსოფლიოში სიმინდის რამდენიმე ათასი ჯიშია გავრცელებული. საქართველო მდიდარია სიმინდის ჯიშებითა და ჰიბრიდებით. საქართველოსათვის რეკომენდირებულია შემდეგი ჯიშები და ჰიბრიდები.

<u>აბაშის ყვითელი</u> – ადგილობრივი ჯიშია, საგვიანო, წარმოშობილია ბუნებრივი ჰიბრიდიზაციის გზით. მაღალმოსავლიანი და კარგი სასურსათო ჯიშია. დარაიონებულია კოლხეთის ტენიან და სუბტროპიკულ ზონაში. იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის დაბლობ ზონაში. <u>აჯამეთის თეთრი</u> – ადგილობრივი ჯიშია. საგვიანოა, გაუმჯობესებულია იგივე სასელექციო სადგურის მიერ.

<u>გეგუთის ყვითელი</u> – ადგილობრივი ჯიშია, რომელიც ქუთაისის სასელექციო სადგურის მიერაა გაუმჯობესებული. დარაიონებულია ქვემო იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში.

ამათ გარდა შეიძლება დავასახელოთ სხვა ადგილობრივი ჯიშები:

1. ადგილობრივი თეთრი კაჟა
2. ადგილობრივი ყვითელი კაჟოვანა
3. ქართული კრუგი და ა.შ.

ჰექტარზე მოსავლიანობა ამ ჯიშებისა 50-60 ცენტნერი მარცვლისა და 300-500 ცენტნერი მწვანე მასის მიღებაა შესაძლებელი. 2010 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამის ფარგლებში უწყებამ საქართველოში ამერიკული კომპანია "პიონერის" ჰიბრიდულ თესლის შემოტანის შესახებ გამოაცხადა და ფერმერებსა და გლეხებზე სათესლე მასალა სესხად გასცა. "ეს არის მეცნიერულად დადასტურებული ტექნოლოგია იმისა, თუ როგორ გამოვიყვანოთ აქაურობა სიღარიბიდან და როგორ უნდა გამოვკვებოთ დანარჩენი საქართველო – უნდა მივაწვეთ ამ საქმეს ბოლომდე", ამბობდა ტრაქტორში მჯდარი პრეზიდენტი სააკაშვილი 2011 წლის 5 აპრილს, აბაშაში, ანჯელის მასივში მიწის დამუშავების პროცესის თვალიერებისას.

<u>ჰიბრიდულმა</u> თესლმა მოლოდინი ვერ გაამართლა, მეტიც სიმინდის მოსავალი იმდენიც კი არ არის, რომ მისი გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა ხარჯები დაფაროს. ეს ხარჯები უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს წინაშე აღებული ვალდებულებაა გლეხებმა, ყოველი 1000 მეტრი მიწის ნაკვეთისათვის 2 კილოგრამი თესლი 14 ლარად ისესხეს, გადახდის ვადა დეკემბრის დასაწყისში იწურება. წერილის დასაწყისში განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე საქართველოში არსებული სიმინდის ჯიშებსა და მათ დარაიონებას, ამ ჯიშების შეგუებლობას სხვადასხვა რაიონების მიმართ. ჰიბრიდულმა თესლმა განსაკუთრებით ვერ გაამართლა დასავლეთ საქართველოში კერძოდ მინდა გამოვყო სამტრედია. ძალიან გაზვიადებულია

მოსავლიანობის რაოდენობა კახეთის რეგიონში ყვარელსა და ლაგოდეხის რაიონებში.

2011 წლის 27 სექტემბერს საპარლამენტო უმრავლესობის ერთერთმა ლიდერმა, გოკა გაბაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოდან საექსპორტად უკვე გაიგზავნა 70 მილიონი ლარის ღირებულების 100 ათასი ტონა სიმინდი. გაბაშვილმა კი აღნიშნა, დიდი მესიმინდე არ ვარო, მაგრამ სამთავრობო პროგრამა შეაჯამა და კონკრეტული ციფრებიც დაასახელა – მოსავალი 6-ჯერ გაიზარდა, მოთხოვნა კი გასულ წელთან შედარებით, 2-ჯერ მეტიაო. მინისტრმა ბაკურ კვეზერელმა პრაქტიკულად უარყო საპარლამენტო უმრავლესობის ერთერთი ლიდერის გოკა გაბაშვილის გაკეთებული განცხადება. (ყველამ თავის დარგს უნდა მიხედოს). ოფიციალური ინფორმაციით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად 34 ათასი გლეხი და ფერმერი დარეგისტრირდა, თუმცა მათგან 10%-მა სხვადსხვა მიზეზის გამო თესლი ვერ მიიღო. (საბანკო გარანტია ვერ წარმოადგინა, დააგვიანდა თესლის გატანა და ა.შ.). ვინ აუნაზღაურებს დაზარალებულ გლეხებს და ფერმერებს ზარალს?

<u>ჰიბრიდული სიმინდის შენახვა</u> – ჰიბრიდული სიმინდის დაბინავება ქართველი გლეხებისათვის მორიგი თავსატეხი აღმოჩნდა. მართალია, ამ მიზნით მთავრობამ სპეციალური საწყობები შექმნა, მაგრამ იქ მოწეული მოსავლის შენახვა ძვირი ჯდება, რის შესაძლებლობაც მოსახლეობის დიდ ნაწილს არ აქვს. 1 კგ სიმინდის შენახვისათვის გადასახადი 8 თეთრი განისაზღვრება, რაც ნიშნავს, რომ 1-თი ტონა მოსავლის დასაბინავებლად გლეხს სულ მცირე 80 ლარის გადახდა მოუწევს. ამასთან, ყოველ მომდევნო თვეში შენახვის ხარჯი 1-თი თეთრის ოდენობით იზრდება.

საქართველოში მოწეული ჰიბრიდული სიმინდის შენახვის პროცესი ლაგოდეხსა და აბაშაში მიმდინარეობს და ამ ეტაპზე აქტიურ ფაზაშია – აღინიშნა მარცვლეულის ლოჯისტიკის კომპანიის დირექტორმა ლობუანიძემ.

<u>ანალიტიკური ანალიზი</u>. თუ შევადარებთ საქართველოში არსებული ჯიშების მოსავლიანობა არ ჩამოუვარდება ჰიბრიდულ სიმინდისას. მაგრამ ადგილობრივ ჯიშს შედარებით მეტი უპირატესობა აქვს ჰიბრიდულ სიმინდთან, რაც გამოიხატება შემდეგში:

1. ადგილობრივი ჯიშის სიმინდს თესლის სიიაფე
2. მისი შენახვის სიიოლე.

<u>დასკვნის სახით</u> შეიძლება ითქვას შემდეგი: ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელს საქართველოს პრეზიდენტს და სოფლის მეურნეობის მინისტრს ქვეყნის ბედი არ აინტერესებთ. ისინი არაფრად აგდებენ იმ 4 მილიონ ლარს, რომელიც ჰიბრიდული თესლის შემოტანაც დაუჯდათ. ასევე სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილი 150 მილიონი სად დაიხარჯა ნათლად არ ჩანს. მე, როგორც ჩვეულებრივი მოქალქეს მგონია, რომ ის დაიხარჯა მარცვლეულის ლოჯისტიკის კომპანიების აშენებისას ლაგოდეხსა და აბაშაში.

არასწორად მიმაჩნია სიმინდს გლეხი ინახავდეს თავიანთი სახლიდან თუნდაც რამდენიმე კილომეტრში, ეს ისე გამოდის, "ცოლი მყავს და გაღმა მყავსო". არადა სიმინდის შენახვა მას არანაირად არ შეუძლია სახლის პირობებში, რადგან ის ამ შემთხვევაში ფუჭდება, მას თავისი შრომა წყალში ჩაეყრება... ამასთან "ჰიბრიდული თესლი მხოლოდ ერთ წელს იძლევა მოსავალს, ამიტომაც ყოველწლიურად სულ ახალი თესლი უნდა დაითესოს", - ასეთ განმარტებას იძლევა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებითა აკადემიის აკადემიკოსი პეტრე ნასყიდაშვილი.

ჩემი ღრმა რწმენით მიუღებელია ჰიბრიდული თესლის შემოტანა, ვინაიდან ჩვენ ყოველთვის დამოკიდებული ვიქნებით ვიღაცაზე. ეს ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებას. სასურსათო უსაფრთხოებას არა ნაკლები და შეიძლება უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის, ვიდრე სამხედრო უსაფრთხოებას.

წერილის შეფასება მკითხველისათვის მიმინდვია.

Hybrid corn and Georgia

Summary

It is unacceptable to spread hybrid seeds in such agricultural country such as Georgia.It increases dependence on other countries. In that case country's food safety which is equal to military security is not working properly.

Revaz Pakhuridze

Гибридная кукуруза и Грузиа

Резюме

По моему глубокому убеждению неприемлемо ввоз гибридных семян, потому что мы всегда будем зависеть от кого-то. Она не может обеспечить продовольственную безопасность Грузий. Продовольственная безопасность является не менее, а возможно, болеее важна для страни чем военная безопасность.

Резо Пахуридзе

თენგიზ ურუშაძე, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი

ოთარ ღორჯომელაძე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

საქართველოს ნიადაგების და ნიადაგერი საფარის თანამედროვე მდგომარეობა

უაკ (UDC) 631.4(479.22) ღ - 829

ქვეყნის სოფლის მეურნეობის როგორც ეკონომიკის ტრადიციული და მნიშვნელოვანი სექტორის განვითარება შეუძლებელია ნიადაგების გონივრული გამოყენების გარეშე. საქართველო აგრარული, სამიწათმოქმედო ქვეყანაა და ჩვენთვის სოფლის მეურნეობა თავისი პირდაპირი მნიშვნელობის გარდა, წარმოადგენს ერის კულტურულ მემკვიდრეობას და ფართო გაგებით ცხოვრების წესს. სოფლის მეურნეობა არის გარემოსადმი მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობისა და დამოკიდებულების გაგრძელება. ნიადაგის მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებაში განსაკუთრებულია, რადგანაც არსებული აგრობიომრავალფეროვნება უშუალო კავშირშია ნიადაგთან არა მარტო როგორც წარმოების ძირითად საშუალებასთან, არამედ სწორი არსებობის უალტერნატივო მოვლენასთან. ქვეყანა სამართლიანად ამაყობს აგრარულ სექტორში დაგროვილი განძით - უნიკალური ვაზისა და ქართული ხორბლის ენდემური ჯიშებით, ღვინოების ფართო სპექტრით, მეცხოველეობის ტრადიციული გაძღოლით, ცხოველთა მრავალი აბორიგენული ჯიშით, სოფლად დღემდე შემორჩენილი ადათებით და ფასდაუდებელი ჩვევებით. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შენარჩუნება და თაობებზე გადაცემა კი ყოველი ჩვენგანის ვალი და აუცილებლობაა.

აგრარული სექტორის განვითარება ნიადაგურ საფარზე ზრუნვის გარეშე შეუძლებელია, ამიტომაც ნიადაგს (მიწას) - ჩვენს მარჩენალს გაფრთხილება, დაცვა და მოვლა-პატრონობა ესაჭიროება. საქართველოს გააჩნია რთული ბუნებრივი პირობები და საკმაოდ ჭრელი ნიადაგური საფარი. ქვეყანაში ნაყოფიერ ნიადაგებთან ერთად აღრიცხულია ასიათასობით ჰა დეგრადირებული და უნაყოფო მიწებიც. ჯანსაღი ნიადაგი აგრარული სექტორის წარმატებული განვითარების საფუძველია. ყოველივე ეს კი უტყუარი გარანტიაა აგრო-სასურსათო სექტორის ფერმერთა შემოსავლების გაზრდისა და სოფლად სიღარიბის შემცირებისა, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფისა. ეჭვს გარეშეა, რომ აგრარულ სექტორს შეუძლია ეფექტური წვლილი შეიტანოს სასურსათო უსაფრთხოების, დასაქმებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთო ეროვნული მიზნების რეალიზაციაში. ქვეყნის ხელისუფლების მიერ აგრარული სექტორის მდგრადი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება ეროვნული პრიორიტეტების შესაბამისად პირველ რიგში დამოკიდებულია ნიადაგური საფარის მდგომარეობაზე. ფერმერების სტაბილური და მომგებიანი საქმიანობისთვის საჭიროა მდგრადი განვითარების უზრუნველმყოფელი კონცეფციის შემუშავება, რაც ნიშნავს მოსახლეობის ამჟამინდელი თაობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას შემდგომი თაობებისათვის ამგვარი შესაძლებლობების წართმევის გარეშე, გარემოს დაცვის უზრუნველყოფის პირობებში (გაერო, 2000).

საქართველო მთიანი ქვეყანაა, მისი საერთო ტერიტორიდან (69.7 ათასი კმ^2) სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 3022,7 ათასი ჰექტარიდან 2010 წელს სახნავებზე მოდიოდა 795,3 ათასი ჰა, მრავალწლოვან ნარგავებზე - 267,9 ათასი ჰა, ხოლო სათიბებსა და საძოვრებზე - 1939,7 ათასი ჰა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ. ქვეყნის ტყის ფონდის ფართობი შეადგენს 2 მლნ 988 ათას ჰექტარს, აქედან ტყით დაფარულია 2 მლნ 767,3 ათასი ჰექტარი, რაც მთლიანი ტერიტორიის 40% შეადგენს.

საქართველოში გამოიყოფა დედამიწის ყველა (ცხელი-ტროპიკულის გარდა) ძირითადი კლიმატის თერმული ჯგუფი, რომლებიც განლაგებულია ვერტიკალური ზონალობის მიხედვით. ცალკეული სარტყელი ხასიათდება არა მარტო საშუალო დღე-ღამური ტემპერატურით და სხვა კლიმატური მაჩვენებლით, არამედ განსხვავებული მცენარეული საფარით, ცხოველთა სამყაროთი, სხვადასხვა ნიადაგით. კლიმატის მთავარ თერმულ ჯგუფებთან დაკავშირებულია ნიადაგის სითბური რეჟიმი, ქიმიური და ბიოლოგიური პროცესების სისწრაფე, ბიოლოგიური პროდუქტიულობა.

საქართველო ისევე, როგორც ყოველი მთიანი ქვეყანა გამოირჩევა ნიადაგების თვითმყოფადი ვერტიკალური განთავსებით. ასეთი

მრავალფეროვნებების გამო ქვეყნის მთელი ტერიტორია, სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის თვალსაზრისით, დაყოფილია 13 ზონად და 6 ქვეზონად. არსებობს აგრეთვე გრადაცია ქვეყნის ნიადაგურ-კლიმატური ზონების მიხედვით განაწილების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარება-განთავსებას 22 ზონაში.

საქართველო სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის რთული ქვეყანაა, აქ საკმაოდ გვხვდება ნიადაგები რომლებიც საჭიროებენ აქტიურ მელიორაციას (მორწყვას; დაშრობას), მათი დიდი ნაწილი ეკოლოგიური რისკის ზონებშია (სტიქიური მოვლენების საშიშროება, თხელი ნიადაგური საფარი, დაბალი ნაყოფიერება, რისკ-ფაქტორიანი რეგიონები და სხვ.). ამ დაძაბულ ეკოლოგიურ ფონს ემატება მსოფლიოში ამჟამად ინტენსიურად მიმდინარე კლიმატური ცვლილებები და უმართავი გლობალური კატასტროფები (იაპონიის მიწისძვრების შედეგად მსოფლიოს რადიონუკლიდური კოლაფსი). ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აუცილებელია ნიადაგის დაცვის (ეროზიის, მეორადი დამლაშების საწინააღმდეგო, ტყის მასივებისა და მინდორსაცავი ზოლების გაშენება ნაყოფისმომცემი კულტურებით და სხვ.) ღონისძიებების განხორციელება. ყოველივე ეს კი მოითხოვს დროსა და მნიშვნელოვან მატერიალურ დანახარჯებს.

ნიადაგი ქვეყნის გამორჩეული განძია და მის დაცვას აქვს მრავალმხვრივი დატვირთვა:

- საწარმოო, რადგანაც ნიადაგის გარეშე აგრარული სექტორის განვითარება შეუძლებელია;
- აგრარული, როგოც დარგის გაძღოლის ერთპიროვნული საბაზისო საშუალება;
- სოციულურ-ეკონომიკური - რადგანც აგრარული სექტორის მაღალ დონეზეა დამოკიდებული სხვა დარგების (ტურიზმი, მრეწველობა, და სხვ.) წარმატებული განვითარება;
- საერთაშორისო, რადგანაც აგრარული სექტორის პროდუქტების წარმატებული "ნიშის" დაკავებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს;
- ეკოლოგიური - დიდია ნიადაგის როლი დარღვეული გარემოს მავნე კომპონენტების წინააღმდეგ;
- ისტორიულ-კულტურული - ნიადაგი, მიწა-მარჩენალი ქვეყნის ღირსეული წარსულის და წარმატებული მომავლის რეპერია.

დღეისათვის საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება სოფლის მეურნეობისადმი ნათელია - შესაძლებლობებიდან გამომდინარე მაქსიმალურად ეწყობა ხელი აგრარულ სექტორში მდგომარეობის გამოსწორებას, სხვადასხვა პროექტების დაფინანსებას – ეროვნული მეურნეობის - სხვა დანარჩენი დარგების წარმატებულ განვითარებას, საერთაშორისო თანასაზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებას. ვგმობთ და გამოვრიცხავთ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაშვებულ შეცდომებს, განსაკუთრებით კი დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდის ქაოტურობას.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებული ურთიერთობები რეგულირდება საკანონმდებლო ორგანოების მიერ განსაზღვრული პოლიტიკის ფარგლებში, შესაბამისი სამართლებრივი ნორმების დაწესების გზით. პოლიტიკა ხორციელდება უშუალოდ კომპეტენტური აღმასრულებელი სახელისუფლებო ორგანოების მიერ, ხოლო საკანონმდებლო აქტების საფუძველზე და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად ხდება დარგის კონკრეტული საჭიროების დაწვრილებითი რეგულირება.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მიუხედავად მოსავლიანობის საგრძნობი მატებისა, რაც ძირითადად განპირობებულია ჰერბიციდების, პესტიციდების, სასუქების (ორგანულ-მინერალური), მოწინავე აგროტექნიკისა და მაღალეფექტური ჯიშების გამოყენებით, მიწების მელიორაციის (მორწყვა; დაშრობა) დანერგვით, მთელ რიგ რაიონებში ადგილი აქვს უშუალოდ ნიადაგის ნაყოფიერების შემცირებას, რისი უმთავრესი მიზეზიც სწორედ ნიადაგის ეროზიაა. უკვე მრავალი საუკუნეა რაც კაცობრიობა ნიადაგის ეროზიის შედეგად მნიშვნელოვან ზარალს განიცდის. ამ ზარალმა ბოლო ათწლეულებში მნიშვნელოვნად იმატა, მაგრამ მსოფლიოს მიწათმოქმედთა დღევანდელი გამოცდილება და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში მიწათმოქმედების ნიადაგდამცავი სისტემების დანერგვის დადებითი შედეგები გვაიმედებს, რომ შესაძლებელია ეროზიული მოვლენების გავრცელების არეალისა და ინტენსივობის მნიშვნელოვნად შემცირება. ოღონდ ამისათვის საჭიროა შესაბამისი სამსახურების მთელი ძალების მობილიზაცია და თითოეული ჩვენგანის მიზანსწრაფული შრომა, სათანადო ფინანსირებისა და გასატარებელ ღონისძიებათა სამეცნიერო-ტექნიკური უზრუნველყოფის პირობებში.

ნიადაგის ეროზიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიოს წინაშე მდგარ ეკოლოგიურ პრობლემათა შორის. ასიათასობით წელი დასჭირდა ბუნებას, რომ დედამიწის ზედაპირზე ნაყოფიერი ნიადაგი, ჩვენი მარჩენალი მიწა, კაცობრიობის ერთ-ერთი უპირველესი სიმდიდრე შექმნილიყო. მისი დაცვა, გაფრთხილება და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება კი ადამიანთა მოდგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ეროზიის, მეწყერების, ღვარცოფების, ზვავების, მიწისძვრების და ა.შ. სტიქიურ უბედურებათა შედეგად მიყენებული ზარალი არ შემოიფარგლება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შემცირებითა და დეგრადირებით. ეროზია უდიდეს ზარალს აყენებს წყლის რესურსებს, კომუნალურ და საგზაო მეურნეობას, ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგებს, რომ აღარაფერი ითქვას ადამიანთა ყოველწლიურ ტრაგიკულ მსხვერპლზე. ეროზიული პროცესების შედეგად წარმოშობილი ხრამები და ხევები ანაწევრებენ ფართობებს, ართულებენ მათ დამუშავებას, ხელს უწყობენ მდინარეებისა და წყალსაცავების დალექვა-დაბინძურებას, ტერიტორიების სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოყვანას.

ეროზიული პროცესების გავრცელების თვალსაზრისით ასეთ არასახარბიელო მდგომარეობამდე ქვეყანა მიიყვანა ასწლეულების მანძილზე ნიადაგდა-მუშავების წესების დარღვევამ, დიდქანობიანი ფერდობების უსისტემო ათვისებამ (დაქანების მიმართულებით ხვნა-თესვამ და კულტურათა წარმოებამ, აგროწესების მოთხოვნებისა და ნიადაგდამცავი

ღონისძიებების გაუტარებლობამ, სხვა ფაქტორებმა). ნიადაგის ზედაპირის დამცავი მცენარეული საფარის გამეჩხერებამ, საძოვრების არასწორმა და ზედმეტად ინტენსიურად გამოყენებამ, ტყეებისა და ბუჩქნარების უსისტემო გაჩეხვამ. აღნიშნულ მიზეზთა გამო ქვეყნის რიგ რეგიონებში: ზემო იმერეთი, მთიანი აჭარა, მთიანი აფხაზეთი, კავკასიონის მთელი მთისწინეთი და სხვა ეროზიულმა პროცესებმა კატასტროფული ხასიათი მიიღო. გააქტიურდა ეროზიის თანმდევი ისეთი საშიში პროცესები როგორიცაა ზვავები (მიწის, თოვლის, კლდის), ღვარცოფები, მეწყერები (ასევე სხვა სტიქიური უბედურებები). დღეისათვის საქართველოში აღრიცხულია 10000-მდე მეწყერი, 2000-მდე ღვარცოფული აუზი, (ამ მხრივ გამოირჩევა ჩვენი რეგიონი და განსაკუთრებით კი შიდამთიანი აჭარა). შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანის რიგ ტერიტორიებზე სერიოზულად დარღვეულია საუკუნეების მანზილზე ჩამოყალიბებული ბუნებრივ-ეკოლოგიური წონასწორობა, ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაყოფიერების კატასტროფულად შემცირებას, რაც ერთ-ერთი მიზეზია მოსახლეობის ინტენსიური მიგრაციისა ბარში და ამით გამოწვეული რიგი პრობლემებისა (გაჩენილი ასიათასობით ეკომიგრანტი თანმდევი უამრავი პრობლემებით).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ბუნებრივია, რომ საქართველოში ადგილი აქვს სახნავი ფართობების შემცირების ტენდენციას, თუ 1926 წელს აღირიცხებოდა – 1270 ათასი ჰა სახნავი მიწები, უკვე 1985 წელს ის შეადგენდა 1050 ათას ჰა-ს, რაც ძირითადად აიხსნება ეროზიული თუ სხვა სტიქიური უბედურებების მიზეზით სახნავი ფართობების ჩამოწერით, სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოსული და მიგდებულ-მიტოვებული ფართობების მატებით.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საქართველოს მიწათსარგებლობაში – მილიონამდე ჰა მიწის ფართობი უსასყიდლოდ გადაეცა საკუთრებაში ჩვენს მოქალაქეებს, რამაც კარგი საფუძველი შექმნა მიწის ეფექტურად გამოყენებისათვის, თუმცა ამან წარმოქმნა გარკვეული პრობლემები მისი დაცვის მიმართულებით, რაც რა თქმა უნდა საკანონმ-დებლო გადაწყვეტას მოითხოვს.

საქართველო მიეკუთვნება მსოფლიოს იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც ეროზიულ პროცესებს მეტად ფართო გავრცელება და საშიში ხასიათი აქვთ. საქართველოს მთაგორიან რაიონებში იშვიათად ნახავთ ისეთ ფერდობს, რომელიც არ იყოს ეროზირებული და ხევებით დასერილი. იმის ნაცვლად, რომ ფერდობები გამოეყენებინათ კულტურულ საძოვრებად და საამისოდ ვარგისი ხე და ბუჩქოვანი ნაყოფის მომცემი მცენარეების გასაშენებლად (რაც გაცილებით ნაკლებ საშიში იქნებოდა ეროზიული პროცესების განვითარების თვალსაზრისით) მცირემიწიანობის მიზეზით მათზე დაიწყეს უფრო „მომგებიანი“ ერთწლოვანი სათოხნი კულტურების (სიმინდი, თამბაქო, კარტოფილი) მოყვანა. ასეთმა მიდგომამ კი გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ერის უპირველეს სიმდიდრეს – მიწას. ამიტომაც ბევრგან გამძაფრდა ეროზია, განვითარდა გაუდაბნოების, დამლაშების, დაჭაობების, ნიადაგის სტრუქტურიანობის დარღვევის, ნიადაგში ჰუმუსის შემცველობის შემცირების და მათი თანმდევი სხვა უამრავი უარყოფითი პროცესები. ასე, რომ საქართველოში ეროზიულმა პროცესებმა მეტად საშიშ ზღვარს მიაღწია და საჭიროა დაიწყოს ფართომასშტაბიანი სამუშაოები ეროზიული პროცესების გავრცელების არეალისა და ინტენსივობის შესამცირებლად.

ეროზია რომაული სიტყვაა (ეროდერე) და ქართულად ნიშნავს გამოჭმას, გამოღრღნას. იმისდა მიხედვით თუ ძირითადად რომელი ფაქტორები განაპირობებენ ნიადაგის ეროზიას განარჩევენ შემდეგ სახეებს:

წყლისმიერი ეროზია – მდგომარეობს ფართობის ზედაპირზე ჩამონადენი (გადმონადენი) ჭარბი წყლის ნაკადების მიერ ნიადაგის ზედაპირული ფენის დაშლაში და ამ ნაშალი მასის (კოშტების, აგრეგატების) ჩამორეცხვაში. განასხვავებენ წვიმებითა და თოვლის დნობით გამოწვეული ეროზიის პროცესებს.

წყლისმიერი ეროზიის ქვესახეს წარმოადგენს ე.წ. **ირიგაციული ეროზია,** რომელიც განპირობებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არასწორი მორწყვით და ამ გზით ნიადაგის ზედაპირის ჩამორეცხვით.

წყლისმიერი ეროზიის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს ე.წ. **ხაზოვანი ეროზია** – ფართობზე ფორმირებული ცალკეული წყლის ნაკადების ზემოქმედებით ტერიტორიის დახრამვა და დანაწევრება ცალკეულ ხაზისებრ ფორმებად. ამ დროს ფერდობებზე წარმოიქმნება სხვადასხვა სიდიდისა და სიღრმის ხრამები და ხევები, ღვარცოფული ხასიათის კალაპოტები, ხეობები, ხეობათა ფსკერზე და გვერდებზე ადგილი აქვს სიღრმული გვერდითი ეროზიის პროცესებს.

ქარისმიერი ეროზია (დეფლაცია) – განპირობებულია ქარის მიერ ნიადაგისა და ნიადაგწარმომქმნელი ქანების ზედა ფენის გამოშრობით და გამტვერიანებული ზედაპირის წატაცებით. ხშირად ე.წ. მტვრიანი ქარიშხლები შეიმჩნევა ათასობით ჰა ფართობზე. ქარისმიერი ეროზიის პროცესებს ადგილი აქვს როგორც აღმოსავლეთ საქართველოში (სამგორისა და ალაზნის ველი, შირაქის, ტარიბანის და ელდარის ფართობები), ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. უკანასკნელ ხანებში, გვალვების დროს, ქარისმიერი ეროზიის მოვლენები შეიმჩნევა კოლხეთის დაბლობზეც.

საქართველოსათვის ეროზიის ამ სახესთან დაკავშირებული ყოველწლიური ზარალი ათეულობით მილიონ ლარად შეიძლება შეფასდეს. მარტო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნიადაგებიდან ქარის მიერ გამოწვეული საკვები ელემენტების ყოველწლიური დანაკარგი დაახლოებით 1 მილიონი დოლარის ღირებულების სასუქების ექვივალენტურია. დეფლაციური პროცესის ინტენსივობის შემცირებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გაზრდისათვის, არამედ ნიადაგის ბიოსფეროს მთავარი კომპონენტების შენარჩუნებისათვის.

ეროზიის გამომწვევი ძირითადი ფაქტორებიდან აღსანიშნავია: **1. რელიეფი,** რომელიც უდიდეს როლს ასრულებს ეროზიული პროცესების მიმდინარეობაში.

რაც უფრო მეტია ფერდობის ქანობი და მისი სიგრძე, მით უფრო მეტ კინეტიკურ ენერგიას იძენს ზედაპირული ნაკადი, მით უფრო მეტია მისი დინების სიჩქარე და შესაბამისად მისი დამანგრეველი მოქმედებაც.

საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი მოქცეულია ე.წ. დიდ კავკასიონში. აქ მთავარი ორთოგრაფიული ბარიერის საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან დასავლეთ ნაწილში 2000-3000 მ-ია, ცენტრალურში 4000-5000 მ, ხოლო აღმოსავლეთში 3000-5000 მ. აღსანიშნავია, რომ საქართველოში გვხვდება ადგილები სადაც ზღვის დონიდან 2000-2400 მ და მეტ სიმაღლეზე აწარმოებენ ერთწლიან სათოხნ კულტურებს და მოჰყავთ 30-35-40 გრადუსით და უფრო მეტად დახრილ ფერდობებზეც კი (აჭარა, იმერეთი და სხვა).

საქართველოს რელიეფი ხასიათდება საკმაო სირთულით, დანაწევრებულობით და მრავალფეროვნებით, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად წარმოადგენს ეროზიული პროცესების ინტენსიური განვითარების მიზეზს და ამავე დროს საჭიროებს ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების მრავალფეროვნებასაც. ამიტომაც, ეროზიული პროცესები გავრცელებულია ქვეყნის აბსოლუტურად ყველა რეგიონსა და ადმინისტრაციულ რაიონში.

2. ნიადაგები – ნიადაგი ბიოსფეროს უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. იგი შეიქმნა ბიოსფეროს ევოლუციის პროცესში. დედაქანებზე კლიმატური ფაქტორების, ფიტოცენოზის, ზოოცენოზისა და მიკროორგანიზმების კომპლექსური ზემოქმედების შედეგად.

საქართველო, მიუხედავად მისი ტერიტორიის სიმცირისა, ნიადაგური პირობების დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ეს მრავალფეროვნება განპირობებულია ქვეყნის რთული რელიეფით, მიწის ზედაპირის დანაწევრებით, კლიმატური და გეოლოგიური პირობების მკვეთრი ცვლილებებით, ტექნოგენური რღვევებით. აქ გამოიყოფა სამი ნიადაგური ოლქი: დასავლეთის, აღმოსავლეთის და სამხრეთის. თითოეულ ამ ოლქში ნიადაგწარმომქმნელი პირობების პროცესების მიხედვით გამოყოფილია ზონები და ქვეზონები, ხოლო ამ უკანასკნელის ფარგლებში – რაიონები და ქვერაიონები. სულ საქართველოში 48 ნიადაგური რაიონი და 169 ქვერაიონია.

ეროზიისადმი წინააღმდეგობის უნარი დიდადაა დამოკიდებული ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიურ, წყლოვან-ფიზიკურ მახასიათებლებზე, ნიადაგის მექანიკურ შემადგენლობაზე, ნაწილაკების შეჭიდულობის უნარზე, წყალმედეგობაზე და სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ნიადაგის ნაწილაკებს შორის მოქმედი შეჭიდულობის ძალა და საერთოდ ნიადაგის ეროზიისადმი მდგრადობა ბევრადაა დამოკიდებული ჰუმუსის შემცველობაზე, შთანთქმული კომპლექსის შემადგენლობაზე. ორგანული ნივთიერებები, წვრილი კოლოიდური ფრაქციები ხელს უწყობენ წყალმედეგ აგრეგატებსა და ნიადაგის ნაწილაკებს შორის კავშირების შექმნას და ამგვარად ეროზიის ინტენსივობის შემცირებას.

ზემოთ აღნიშნულ ფაქტორთა გამო შავმიწა ნიადაგი უფრო მდგრადია ეროზიისადმი ვიდრე რუხი ტყის ნიადაგი. მძიმე მექანიკური შემადგენლობის ნიადაგი უფრო მდგრადია ვიდრე მსუბუქი ნიადაგები. საერთოდ ყველაზე უფრო საშიში ეროზიული პროცესების განვითარების თვალსაზრისით არის ქვიშოვანი ნიადაგები, ისინი განსაკუთრებით ინტენსიურად ირეცხებიან თოვლის დნობის დროს, როდესაც ფერდობებზე ფორმირდება მძლავრი, მაღალი გამრეცხუნარიანობის მქონე ზედაპირული ჩამონადენი.

3. განსაკუთრებულია კლიმატური პირობებისა და ჰიდრომეტეოროლოგიური ფაქტორების როლიც. საქართველოს ტერიტორია მდებარეობს მსოფლიოს სუბტროპიკული-კლიმატური სარტყელის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში. მისთვის დამახასიათებელია კლიმატური პირობების მრავალფეროვნება. კლიმატური პირობების მიხედვით საქართველო იყოფა ორ, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ რეგიონად: დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოდ. მათ შორის საზღვარს ქმნის ლიხისა და არსიანის ქედები.

საქართველოსათვის დამახასიათებელია თავსხმა წვიმები წლის თბილ პერიოდში, რაც ძირითადად გამოწვეულია ატმოსფეროში მიმდინარე ფრონტალური პროცესებით. ისინი თავის მხრივ განპირობებულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმართული ჰაერის ცივი მასების შემოჭრით. აღნიშნული პროცესები განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობს ცივგომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობებზე და კახეთის ქედზე, მდ. თერგის ზედა ნაწილში, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ და ლიხის ქედის დასავლეთ ფერდობებზე. ზემოთ ჩამოთვლილ ადგილებში ნალექების მაქსიმალურმა სიდიდემ დღე-ღამეში შეიძლება 80-160 მმ-ს მიაღწიოს. ამიტომაც აქ ჭარბობს თავსხმა წვიმების ინტენსივობა, რომ აღარაფერი ითქვას დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთის, განსაკუთრებით კი აჭარის ბარის ზონაზე (ბათუმი, ჩაქვი, ქობულეთი). სადაც მოსული ატმოსფერული ნალექების მრავალწლიური საშუალო მაჩვენებლები შეადგენს 2500-2800 მმ.-ს. ის, რომ საქართველოში თავსხმა წვიმების მნიშვნელოვანი რაოდენობა მოდის სწორედ იმ პერიოდზე როცა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მცენარეულობით არ არის დაფარული, ხელს უწყობს ეროზიული პროცესების ინტენსიფიკაციას.

4. ნიადაგის ეროზიის გააქტიურებაში უდიდესია ანთროპოგენული (ადამიანისეული) ფაქტორის როლიც, (გავიხსენოთ ღურტის, აბუქეთის, ხიხაძირის და სხვა მრავალი უბედურებები). ამდენად, ნიადაგის ეროზია ბუნებრივი ფაქტორებისა და ადამიანის საქმიანობის რთული ურთიერთმოქმედების შედეგია. ეროზია და ნიადაგშემქმნელი პროცესები ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით მიმდინარეობს. ეროზია ამცირებს ნიადაგის ფენის სისქეს, მის ნაყოფიერებას. ნიადაგწარმომქმნელი პროცესი კი პირიქით, ნიადაგის ფენას ქმნის. სამწუხაროდ ამ პროცესების ინტენსიურობა მეტად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ეს განსხვავება ადამიანისთვის არახელსაყრელია. თუ ბუნება 100-150 წელიწადს უნდება 1 სმ სისქის ნიადაგის ფენის შექმნას, ერთი თავსხმა წვიმა საკმარისია ნიადაგის მთელი სახნავი ფენის გადარეცხვისათვის.

ნიადაგის ჩამორეცხვა ექვემდებარება მთელ რიგ ჰიდრომექანიკურ კანონზომიერებებს. ეროზიის პროცესების ინტენსივობაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფერდობების ექსპოზიცია. როგორც უკვე აღვნიშნეთ ნიადაგის ჩამორეცხვაც და რელიეფის ფორმირებაც უფრო აქტიურად მიმდინარეობს სამხრეთის ექსპოზიციის მქონე ფერდობებზე.

მცენარეული საფარი წარმოადგენს ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის მძლავრ ფაქტორს. ხშირი ტყეების ქვეშ ნიადაგის ეროზია გაცილებით შემცირებულია. კულტურულ მცენარეულობასაც ძალუძს ეფექტურად დაიცვას ნიადაგი ეროზიისაგან. მრავალწლიანი ბალახებიც საკმაოდ საიმედოდ იცავენ ფერდობებს, რომელთა საფარქვეშაც ნიადაგის ჩამორეცხვა საშუალოდ მცირდება 100-150-ჯერ.

ფერდობებზე ეროზიის საწინააღმდეგო ეფექტს იძლევა ნაკვეთის გარდიგარდმო ხვნა, რომელიც შეთავსებული უნდა იქნეს სხვა ნიადაგდამცავ ღონისძიებებთან, ე.ი. ნიადაგის გარდიგარდმოდ (დაქანების საწინააღმდეგოდ, კონტურულად) მოხვნა უნდა იყოს ფონი, რომლეზეც შემდგომ განხორციელდება სხვა ნიადაგდამცავი ღონისძიებები. აუცილებელია: – ხვნის სიღრმის გაზრდა, რომელიც წარმოადგენს ფერდობზე ზედაპირული ჩამონადენის სიდიდის და შესაბამისად ეროზიული პროცესების ინტენსივობის შემცირების საშუალებას. ნიადაგის მოხნული, ფხვიერი ფენის სისქის ზრდასთან ერთად საგრძნობლად მატულობს მისი წყალგამტარობა, მცირდება ზედაპირული ჩამონადენის სიმძლავრე და შესაბამისად ეროზიული პროცესების ინტენსივობაც.

– ნიადაგის კომბინირებული დამუშავება – წარმოადგენს ნიადაგის მოხვნის სხვდასხვა მეთოდების გამოყენებას (ბელტის გადაუბრუნებლად ბრტყლადმჭრელებით) - ძირითადად არიდულ – მშრალ ზონებში.

– ჭვრეტიანობა – წარმოადგენს მნიშვნელოვან ნიადაგდამცავ და ფერდობებზე ზედაპირული ჩამონადენის სიდიდის დამარეგულირებელ ღონისძიებას. იგი იძლევა საშუალებას, რომ ნიადაგის დამუშავებისას ფერდობის ზედაპირზე, მისი ქანობის გარდიგარდმო გაკეთდეს დაახლოებით 40-45 სმ სიღრმის ვიწრო ჭვრეტები, ერთმანეთისაგან 150 სმ-ის დაცილებით. ასეთ წყვილ-წყვილად გატარებულ ჭვრეტთა შორის მანძილი დამოკიდებულია ფერდობის ქანობზე და იცვლება 1,5-დან 10 მ-მდე. რაც უფრო მეტია ფერდობის ქანობი, მით უფრო ნაკლები უნდა იყოს ჭვრეტთაშორისი მანძილი. აღნიშნული ჭვრეტები ზრდიან ნიადაგის ღრმა ფენებში წყლის ჩაჟონვის სიდიდეს, რაც მაღალ ნიადაგდამცავ ეფექტს იძლევა.

აგროწესების მოთხოვნების დაცვით დამუშავებისას საჭიროა ისეთი ხერხების შერჩევა და გამოყენება, რომელთა საშუალებითაც ნიადაგი ინარჩუნებს დამცავ მცენარეულ საფარს. აღნიშნულის მიზნით ხშირად მიმართავენ ფერდობების ცალკეულ ზოლებად დამუშავებას და ზოლებს შორის აწყობენ ე.წ. კულისურ ნათესებს. კულისების სიგანე 3 მ-მდეა. კულისებზე თესვა უფრო შედეგიანია დეფლაციის ინტენსივობის შესამცირებლად. ქარისმიერი ეროზიის ადგილებში დაუშვებელია ბელტის გადაბრუნებით ხვნა. ეს პროცესი შეცვლილია ნიადაგის ისრისებური ბრტყლადმჭრელების გამოყენებით, ისე რომ რაც შეიძლება კორდის მეტი ნაწვერალი დარჩეს ნიადაგის ზედაპირზე. შემოდგომით – ერთწლოვანი სათოხნი კულტურების მოსავლის აღების შემდეგ მოზამთრე შუალედური კულტურების სახით უნდა დაითესოს მარცვლოვან-პარკოსანი ბალახნარევები (ცერცველა-შვრია), რომლებიც საშუალებას მოგვცემს მიწის ერთსა და იმავე ფართობზე წელიწადში მივიღოთ ორი და მეტი მოსავალი, გარდა ამისა ბალახთესვითა და კორდის შექმნით, ხომ ნიადაგს ვიცავთ ჩამორეცხვისაგან, ხოლო გაზაფხულზე განათიბ მასას კი გამოვიყენებთ როგორც სიდერატად (მწვანე სასუქი), ისე მულჩად, ან პირუტყვის საკვებად.

ირიგაციული ეროზიის ინტენსიობის შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა დაწვიმებითი მორწყვა, რომლის დროსაც ეროზიული პროცესების ინტენსიობა მნიშვნელოვნად მცირდება ზედაპირულ რწყვასთან შედარებით. განსაკუთრებით მაღალეფექტურია წვეთოვანი და ე.წ. ნიადაგქვეშა რწყვა. ასეთი მორწყვის წესები პრაქტიკულად გამორიცხავს ირიგაციული ეროზიის განვითარებას.

ეროზიის საწინააღმდეგო საშუალებების გატარების შემდეგ ამ ფართობებზე აუცილებელია გატარდეს ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების კომპლექსური ღონისძიებებიც.

ტერიტორიის ეროზიისაგან დასაცავად დიდია საფეხურებიანი ტერასირების როლი. ტერასებს აწყობენ იმ ფერდობებზე, რომელთა ფართობების კონტურული და ზოლოვანი დამუშავება და სხვა ღონისძიებები არ იძლევა სასურველ შედეგებს. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ ფერდობების ტერასირება მიმართულია ეროზიის საწინააღმდეგო აგროტექნიკური ღონისძიებების გასა-ძლიერებლად, თუმცა არ ცვლის ამ ღონისძიებებს.

ტერასირება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე უფრო ეფექტურ ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებას 10^0-ზე უფრო მეტი ქანობის ფერდობებისათვის. ტერასების მოწყობის შემდეგ, პრაქტიკულად, თითქმის წყდება ზედაპირული ჩამონადენი, იზრდება ნიადაგში ტენისა და საკვები ნივთიერებების რაოდენობა, იქმნება ნორმალური პირობები მცირე მოცულობის სასოფლო-სამეურნეო მექანიზმების გამოსაყენებლადაც.

განსაკუთრებულად მაღალ ნიადაგდამცავ უნარიანობას ამჟღავნებს ფერდობებზე დაქანების გარდიგარდმოდ ჩაის უწყვეტი შპალერებისა და დაფნის ნარგაობების განლაგება (სადაც არსებობს საამისო პირობები), ამ დროს ძალზედ იოლად შეიძლება ე.წ. „აგროტერასების“ მოწყობა, ე.ი. ფერდობების თვითდატერასება, რომლის დროსაც ნიადაგის ნაყოფიერება ხელუხლებელი რჩება – რა თქმა უნდა, შემდგომი სათანადო გონივრული პერიოდული დამუშავებებით.

სათიბ-საძოვრებზე ეროზიული მოვლენების შემცირებისათვის საჭიროა ჩატარდეს მრავალი ოპერაცია, როგორიცაა: ნიადაგის დაფარცხვა დისკოებიანი ფარცხით, ბალახების შეთესვა, ჰერბიციდების შეტანა, ნიადაგის დაღარვა, კორდის ჰაერაციული პროცესის გაუმჯობესება, კოლბოხების მოჭრა და მოსწორება, ზედაპირის უვარგისი ბუჩქნარების, აბეზარი ბალახებისა და ქვა-ღორღისაგან

გათავისუფლება. მორწყვითი ღონისძიებების გატარება, სასუქებით გამოკვება.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გადაყვანა მიწათმოქმედების ლანდშაფტურ-ადაპტურ სისტემაზე

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში დამუშავებულია მიწების ეროზიისგან დამცავი ღონისძიებების სისტემა, რომლის გამოყენებაც საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად შევამციროთ ეროზიული პროცესებით გამოწვეული ნიადაგის დანაკარგები. ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის, მთაგორიანი ტერიტორიების ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების ერთ-ერთ პერსპექტიულ და საქართველოსთვის მიზანშეწონილ მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს მიწათმოქმედების ლანდშაფტურ-ადაპტური სისტემა.

ლანდშაფტის ცნების ქვეშ იგულისხმება ის ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსი, რომლის ძირითადი შემადგენელი კომპონენტებია რელიეფი, კლიმატი, წყალი, მცენარეული და ცხოველთა სამყარო. სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად, ბუნებრივი ლანდშაფტები გარდაიქმნება აგროლანდშაფტებად.

ბუნებრივი ლანდშაფტების სასოფლო-სამეურნეო ათვისების ერთ-ერთი შედეგია ლანდშაფტის სივრცითი სტრუქტურის მნიშვნელოვანი ცვლილებები. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სხვადასხვა ფართის და კონფიგურაციის ფორმირება, ტერიტორიის დანაწევრება მნიშვნელოვნად ამცირებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენების კოეფიციენტს და შესაბამისად დამუშავებული ფართობის სიდიდეს.

ლანდშაფტური მიწათმოქმედების დროს საჭიროა ყველა ნაკვეთისთვის შემუშავდეს მისი მდგომარეობის შენარჩუნების, ,,გაჯანსაღების'' დიფერენცირებული პროგრამა დაფუძნებული მეცნიერულად დასაბუთებულ პროგნოზებზე. მიწათმოქმედების ლანდშაფტურ-ადაპტური სისტემიდან გამომდინარე ნიადაგდამცავი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ლანდშაფტის არა რომელიმე ცალკე აღებული ელემენტისათვის, არამედ ისინი ოპტიმალურ ზემოქმედებას უნდა ახდენდნენ ლანდშაფტის ყველა კომპონენტზე. მთავარია ლანდშაფტის არა ერთი რომელიმე ელემენტის, არამედ მთელი გარემომცველი ბუნების დაცვა დეგრადაციისგან.

ლანდშაფტის სისტემის განხორციელებისას აუცილებელია ნიადაგის დამუშავება წარმოებდეს ნიადაგდამცავ ღონისძიებათა გათვალისწინებით. შემოღებულ იქნეს ნიადაგის სახისა და რელიეფის შესაბამისი თესლბრუნვა, სასუქებისა და შხამქიმიკატების შეტანის ზონალური სისტემა, უპირატესობა მიეცეს ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის ისეთ ბიოლოგიურ მეთოდებს, როგორიცაა სიდერაცია, მრავალწლიანი ბალახების ნათესების გაფართოება, ერთწლიანი ცერცვოვანი კულტურების თესვა, ხოლო განათიბი მასის მრავაწლოვანი კულტურების (ხეები, ბუჩქები) რიგთაშორისებში და მცენარეთა ირგვლივ მულჩის სახით განფენა.

ლანდშაფტური მიწათმოქმედების დროს ნიადაგის მექანიკურ დამუშავებასთან ერთად დიდი როლი ენიჭება ნიადაგის ბიოლოგიურ გაფხვიერებას მცენარეების ფესვთა სისტემის და ფაუნის წარმომადგენელთა მეშვეობით.

ლანდშაფტური მიწათმოქმედებისას ეროზიის საწინააღმდეგო მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს ფართობის ზედაპირზე ზოლოვანი ნათესების მოწყობა. ცალკეულ ზოლებზე, რომელთა საზღვრებიც ჰორიზონტალების პარალელურია, მონაცვლეობით ითესება სათოხნი კულტურები და მრავალწლიანი ბალახები, ისე რომ მრავალწლიანი ბალახით დათესილი უბნები ამცირებენ ზედაპირული ნაკადის ფორმირებას და ეროზიული პროცესების განვითარებას.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან ეროზია ყველაზე მეტად გავრცელებულია სახნავ ფართობებზე.

საქართველოში სახნავი ფართობების 54,1% განლაგებულია 2^0-მდე მქონე ფერდობებზე, 22,5% - 2 - 5^0-მდე ქანობის ფერდობებზე, 14% - 5-10^0-მდე ქანობის ფერდობებზე, 6%-მდე 10-15^0-მდე ქანობის ფერდობებზე, 3,4%-15^0-ზე უფრო მეტი ქანობის ფერდობებზე.

ნიადაგურ-ეროზიული პროცესების ინტენსიობის მიხედვით საქართველოს ტერიტორია შეიძლება დაიყოს შემდეგ რაიონებად:

1. კოლხეთის დაბლობის რაიონები - ხასიათდება სუსტად განვითარებული ეროზიული პროცესებით, რომლებშიც სჭარბობს მდინარეთა გვერდითი ეროზია (აბრაზია).
2. დასავლეთი საქართველოს ვაკის, გორაკ-ბორცვების და მთის ქვაბულების ლანდშაფტები - ხასიათდება ძირითადად ქიმიური ეროზიის პროცესებით წყლისმიერი ეროზიის მონაწილებით.
3. აღმოსავლეთ საქართველოს ვაკის, გორაკ-ბორცვებისა და ზეგნების ლანდშაფტები - ხასიათდება ძირითადად ქარისმიერი ეროზიის პროცესებით წყლისმიერი ეროზიის მონაწილებით.
4. აღმოსავლეთ საქართველოს ვაკის, გორაკ-ბორცვებისა და ზეგნების ლანდშაფტები - ხასიათდება ძირითადად ქარისმიერი ეროზიის პროცესებით, თუმცა ადგილი აქვს წყლისმიერი ეროზიის პროცესებსაც.
5. საშუალო ზოლის ლანდშაფტები - ხასიათდება ძირითადად ხაზობრივი ეროზიული პროცესებით.
6. მაღალი მთის ლანდშაფტები - ხასიათდება ზედაპირული ჩამორეცხვის ინტენსიური პროცესებით, სიღრმითი ეროზიის მონაწილეობით.

ამიტომაც აქ დიდია აგროსატყეო-სამელიორაციო ღონისძიებებისა და მინდორსაცავი ტყის ზოლების როლი.

ძირითადი მინდორსაცავი ტყის ზოლები ეწყობა გაბატონებული ქარების მიმართულების პერპენდიკულარულად, ხოლო დამატებითი ზოლები - ძირითადი ზოლების მიმართულების პერპენდიკულარულად.

ეროზიის საწინააღმდეგო ნიადაგდამცავი აგროტექნიკური ღონისძიებები საგრძნობ ეფექტს იძლევიან მხოლოდ შედარებით მცირე (4-5 გრადუსამდე) ქანობის მქონე ფერდობებზე. ამიტომაც აღნიშნულ აგროტექნიკურ ღონისძიებებთან ერთად

როგორც ფართობის ზედაპირზე, ისე არსებულ ჰიდროგრაფიულ ქსელში ჩამდინარე წყლის ნაკადის ეროზიული ზემოქმედების შესამცირებლად იძულებულნი ვართ მივმართოთ სპეციალურ საინჟინრო ჰიდრო-ტექნიკური ნაგებობების მშენებლობას და მათ გამოყენებაზე დაფუძნებული ღონისძიებების განხორციელებას.

ეროზიის საწინააღმდეგო ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობა საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ სამაგიეროდ მათ ძალუძთ საკმაოდ მოკლე ვადებში მოგვცენ მნიშვნელოვანი ნიადაგდამცავი ეფექტები. ამიტომაც ჰიდროტექნიკურ ღონისძიებებს ეროზიის საწინააღმდეგო ნიადაგდამცავი ღონისძიებების კომპლექსში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. ისინი ხორციელდება მაშინ, როდესაც აგროტექნიკური და ფიტომელიორაციული ღონისძიებები ვერ იძლევიან საკმაო ეფექტს. მათ ძირითადად მიმართავენ ხევების სწრაფად და საიმედოდ გასამაგ-რებლად. საქართველოში ჰიდროგრაფიული ქსელის მეტისმეტი სიხშირის გამო, (ჩვენს ქვეყანაში 25 076 დიდი და პატარა მდინარე, რომ აღარაფერი ითქვას თერმულ და მინერალურ წყლებზე) ხევებში და მდინარეთა ხეობებში მიმდინარე როგორც სიღრმით, ისე ნაპირების ეროზიის პროცესებს საკმაოდ დიდი გავრცელება აქვს. თავსხმა წვიმებისა და თოვლის ინტენსიური დნობის პერიოდში მდინარები გადმოდიან ნაპირებიდან და ადგილი აქვს წყალდიდობებს. ნადგურდება ჭალებსა და დაბლობ ადგილებში განლაგებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები და კომუნიკაციები. სამწუხაროა, მაგრამ შეიმჩნევა წყალდიდობების შედეგად გამოწვეული ზარალის მატების ტენდენცია.

სწორედ ეროზიული, მეწყერული და ბუნების სხვა სტიქიური უბედურებების გააქტიურების შედეგადაა განპირობებული დასავლეთ საქართველოს მდინარეების მყარი ნატანის მოჭარბებული რაოდენობა, რომელიც დაახლოებით 30 მილიონ ტონას აღწვს წელიწადში. აქედან, მდინარე რიონის წილად მოდის დაახლოებით 9,0 მლნ ტონა, მდ. ჭოროხის – 3,0 მლნ ტონა, მდ. ენგურის – 3,0 მლნ ტონა და ა.შ.

წყალდიდობებისაგან ქალაქების, სამრეწველო ნაგებობების და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დასაცავად გამოყენებული ღონისძიებანი შაიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება აგრომელიორაციული, სატეყო-მელიორაციული და ეროზიის საწინააღმდეგო აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა ამოცანაა თავსხმა წვიმებისა და თოვლის დნობის პერიოდში მდინარეთა წყალშემკრები აუზის ფართობებიდან წყლის ზედაპირული ჩამონადენის სიდიდის შემცირება. აღნიშნულ მიზანს ემსახურება ფერდობებზე ტყეების გაშენება. ბრძოლა ტყეების გაჩეხვის და ტყის ხანძრების წინააღმდეგ, მთისძირა არხებისა და მრავალწლოვანი მარცვლოვან-პარკოსანი ბალახნარევებისაგან ე.წ. „ბუფერული ზოლების“ შექმნა-მოწყობა; ფერდობების ზოლმორიგეობითი დამუშავება და სხვ.

ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელების შედეგად ქვეყანაში ეროზიის მავნე გავლენისაგან დაცული იქნება 260,0 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი. მათ შორის მდინარეების ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარებით 19,5 ათასი ჰექტარი, ხოლო მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენებით 208,0 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული. გარდა აღნიშნულისა, 29,3 ათას ჰექტარ სათიბ-საძოვარი საჭიროებს ზედაპირულ და ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებებს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის დანერგვა-განხორციელებით კი მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება ეროზირებულ მიწებზე სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში. ქვეყნის სუვერენიტეტის მოთხოვნებიდან გამომდინარე პრიორიტეტული მიმართულება მიეცემა მარცვლეულის, კარტოფილის, სხვა ბოსტნეულისა და ბაღჩეულების წარმოებას, განვითარდება საკონსერვო მრეწველობა, დიდი ადგილი დაეთმობა საექსპორტო პროდუქციის (ყურძენი, ჩაი, კონტინენტალური ხილის – თესლოვანები; კურკოვანები, ასევე სუბტროპიკული ხილის – აღმოსავლური ხურმა, კარალიოკი და სხვა) წარმოება-განვითარებას.

ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებით ამაღლდება კულტურათა მოსავლიანობა და გაიზრდება მიღებული შემოსავალი. მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარებით დაცული იქნება მთლიანად არა მარტო სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავალი და პირუტყვი, არამედ შენობა-ნაგებობები, გზები და ა.შ. აღნიშნული ღონისძიებები საკმაოდ ძვირადღირებული, მაგრამ მაღალეფექტურია. მაგალითად, მინდორსაცავი ტყის (ქარსაფარი) ზოლების გაშენება ხორბლის მოსავლიანობას ზრდის 15, სიმინდის 22, ჩაისა 23, ციტრუსების 25, ყურძნისა 21, ხილისა 28 პროცენტით. სათიბ-საძოვრების ზედაპირული გაუმჯობესება მოსავლიანობას ზრდის 0,5 ცენტნერი საკვები ერთეულით, ხოლო ძირეული გაუმჯობესება 1,0 ცენტნერი საკვები ერთეულით. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე განისაზღვრება ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებით მიღებული წმინდა შემოსავალი.

ნიადაგის ეროზიის წაინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის საჭიროა გავაფართოვოთ და გავაღრმავოთ ეროზიული პროცესების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემუშავების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის პრაქტიკაში განსახორციელებლად ვფიქრობთ, რომ უნდა გადამუშავდეს ნიადაგის დაცვის კანონი მისი ეროზიისაგან და სხვა სტიქიური უბედურებებისაგან დაცვის მთხოვნების მხედველობაში მიღებით. მაგალითად, აშშ-ში კანონმდებლობის შესაბამისად მიწის დაცვის სამსახური ფერმერს უხდის იმ დანახარჯების 75%-ს, რომელიც მან გასწია პირად მეურნეობაში ნიადაგდამცავი ღონისძიებების განხორციელებისთვის. ფერმერი არ აგებს პასუხს ნიადაგის დაუშვებლად მაღალ კარგვაზე იმ შემთხვევაში თუ ეს გამოწვეული იყო განსაკუთრებული კლიმატური პირობებით. თუ

ნიადაგის კარგვა მოხდება ფერმერის მიზეზით, ის ვალდებულია 1-6 თვის განმავლობაში დაიწყოს და 1 წლის განმავლობაში დაასრულოს ეროზიის საწინააღმდეგო სამუშაოები. თუ ფერმერი აღნიშნულ სამუშაოებს თავისი ნებით არ შეასრულებს, მას დაავალდებულებენ აღნიშნულ სამუშაოთა შესრულებას სასამართლოს წესით.

ნიადაგდამცავ ღონისძიებებზე გაწეულ კაპიტალურ დაბანდებათა მაღალი ეკონომიკური ეფექტურობა, (განსაკუთრებით ჰიდროტექნიკური და სატყეო სამელიორაციო სახით), საშუალებას იძლევა, რომ აღნიშნული სამუშაოების დაფინანსება მოხდეს ადგილობრივი და უცხოური დონორი ორგანიზაციების ინვესტიციათა ხარჯზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გაძლიერება, აღნიშნული ღონისძიებების შესრულებაში მათი ჩართვის მიზნით.

საქართველოს აგრარულ სექტორში მიმდინარე რეფორმების შედეგად მიწაზე ერთპიროვნული მონოპოლიური სახელმწიფო საკუთრება შეიცვალა სახელმწიფო და კერძო საკუთრებით, მოხდა სახელმწიფო საწარმოთა რეორგანიზაცია, რის შედეგადაც შეიქმნა აგროფირმები, კოოპერატივები, ფერმერული მეურნეობები და ა.შ. ეს პროცესი მნიშვნელოვნად ართულებს ბუნების დამცავი ღონისძიებების ჩასატარებლად საჭირო თანხების მოზიდვას. ცხადია, რომ მიწის სავარგულების ძირითადად კერძო საკუთრებაში გადასვლის პირობებში, ნიადაგდამცავი ღონისძიებების გატარებისთვის საჭირო თანხების დიდი ნაწილი, პირველ ხანებში მაინც, თავის თავზე უნდა აიღოს სახელმწიფომ, ხოლო გაწეულ კაპიტალდაბანდებათა სწრაფი უკუგება საშუალებას მოგვცემს მოზიდულ იქნეს საჭირო ინვესტიციებიც.

საჭიროა დონორი ორგანიზაციების უფრო მეტად დაინტერესება საქართველოს უნიკალური ბუნების დასაცავად, მისი ნიადაგების, წყლის, ფლორისა და ფაუნის შესანარჩუნებლად. ეკოლოგიურ მართვასა და მენეჯმენტის განვითარებაში გამოცდილი კონსულტანტების მოზიდვა. მართლაცდა სწორ მენეჯმენტზეა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის ხვალინდელი დღე, ფერმერული მეურნეობების რენტაბელური საქმიანობა და ფერმერთა ეკონომიკური შემოსავლები.

Present status of soils and soil surface

Summary

Developement of Agricultural sector whithout soil care is imposible.That’s why it is important to severe , protect and take care our soil.Georgia has difficult natural conditions , and colorful soil cover. Healthy soil is the basis for the development of the agricultural sector.

Otar Gorjomeladze
Tengiz Urushadze

Современное состояние грузинских почв и почвенного покрова

Резюме

Развитье аграрного сектора невозможно не заботясь о почвенном покрове, По этому почве (земле) - нашей кормилице нужен уход и защита. Грузия имеет сложные природные условия и достаточно пестрий почвенний покров. В стране на ряду с плодородной почвой зарегистрированно сотни тысяч гектаров деградированных земель. Здоровая почва является основой для успешного развития аграрного сектора.

Отар Горджомеладзе
Тенгиз Урушадзе

იური ნიკოლაიშვილი
დამოუკიდებელი ექსპერტი

უაკ (UDC) 338.439.6)

შრომითი ცხოვრების ხარისხის შესახებ

რეზიუმე: სტატიაში მოცემულია საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლებისადმი თანამედროვე მიდგომები. ნაჩვენებია ე.წ. "შრომითი ცხოვრების ხარისხის" არსი და შრომის პროცესში ადამიანის როლი და ადგილი. ასევე მოცემულია საზოგადოების განვითარების პროცესში მისი მთავარი შემოქმედის – ხალხის - ფუნქცია-მოვალეობების სწორი მართვის და განათლების სისტემის ამაღლების შესაძლებლობები.

საკვანძო სიტყვები: ხალხი, ადამიანი, ხარისხი, განვითარება.

პროდუქციის ხარისხის მართვის ცნობილი სპეციალისტი იაპონელი მეცნიერი კაორუ ისიკავა თავის წიგნში "ხარისხის მართვის იაპონური მეთოდები" [1], წერდა:

"მე არ დავიღლები გამეორებით: ხარისხის მართვა იწყება კადრების მომზადებით. იმისათვის, რომ წარმატებულად განხორციელდეს ხარისხის მართვის განვითარება, საჭიროა ორგანიზებულად მოხდეს ფირმაში დაკავებული ყველა კადრის მომზადება, ხარისხის მართვის მეთოდების სწავლება. ეს ეხება ყველას – პრეზიდენტიდან დაწყებული კონვეიერზე მომუშავე მუშის ჩათვლით.

ხარისხის მართვა – წარმოების მართვაში აზროვნების რევოლუციაა, ამიტომ კომპანიის ყველა თანამშრომელში უნდა მოხდეს აზროვნების ცვლილება. ამ სწავლების მიღწევა უნდა ხდებოდეს უწყვეტად".

იაპონიაში ხარისხის მართვის მეთოდებს ასწავლიან ყველას. შემუშავებულია დაწვრილებითი პროგრამა ხარისხზე კვალიფიკაციის ასამაღლებლად ყველა დონის თანამშრომლებისათვის: ფირმის პრეზიდენტის ჩათვლით: დირექტორ-განმგებლისათვის, განყოფილებების და უბნის ხელმძღვანელების, ინჟინრების, ოსტატების და ხარისხის ჯგუფების ხელმძღვანელებისათვის, წარმოების მუშებისთვის. გასაღებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემის თანამშრომლებისთვის მოქმედებს სპეციალური შემსწავლელი კურსები.

ცივილიზებული ბაზარი წარმოუდგენელია კეთილშობილების და პატიოსნების, ხალხის და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის გარეშე. "ხარისხის" ეკონომიკურ კატეგორიაში ძალიან ძლიერია ზნეობრივი შემადგენელი ნაწილი. ცნობილია [2], რომ "ყაირათიან ანგარებიან ადამიანს შეუძლია წარმატების მიღწევა ხარისხის ასპარეზზე. ეს წარმატება გაორმაგდება, თუ არ მოახდენს მაღალი ზნეობრივი პრინციპების იგნორირებას და თუ ასევე იარსებებს წრფელი სურვილი იმუშაოს მრავალრიცხოვანი და შეუბრალებელი ექსპერიმენტებით დაჭრილი და დაუძლურებული სამშობლოს კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად". უდაოა, რომ ეს სიტყვები ავტორს ამოღებული აქვს XX საუკუნის შუა წლებში "მრავალრიცხოვანი და შეუბრალებელი ექსპერიმენტებით დაჭრილი და დაუძლურებული" იაპონიის ისტორიიდან.

ჩვენთან ძალიან პოპულარულია გამოთქმა "პური ჩვენი არსობისა", მაგრამ თვით "პურის" არსი ზოგან სხვანაირადაც არის გაგებული. მაგალითად, ჯერ კიდევ 1957 წელს ამერიკელმა მკვლევარმა დ. მაკგრეგერმა [2] უარყო გავრცელებული მტკიცება, რომ შრომის მაღალი ხარისხის და შესაბამისად პროდუქციის მაღალი ხარისხის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ "მათრახის და თაფლისკვერის" (მათრახის და პურის) მეთოდით ანუ საჯარიმო სანქციებითა და პრემიების წახალისებით. მან გადაჭრით უარყო იმ დროს ამერიკელ მეწარმეებს შორის დამკვიდრებული მოსაზრება, რომ საშუალო ფენის ადამიანს არ უნდა მუშაობა, თავს არიდებს მუშაობას და ერთადერთი, რაც მას აიძულებს მაღალნაყოფიერ და მაღალხარისხიან მუშაობას, ეს არის შიში, არ დაკარგოს სამუშაო და შესაბამისად გასამრჯელო (შემოსავალი). ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით დ. მაკგრეგერი აღნიშნავს, რომ ხალხის დიდი უმრავლესობისთვის მუშაობა საინტერესოა და, რომ ამ ადამიანებისთვის გონებრივი და ფიზიკური ძალისხმევა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც

შინაარსიანი და საინტერესო თავისუფალი დრო და გართობა. როდესაც ადამიანს, რომელიც მიისწრაფის სამუშაოზე გამოავლინოს თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობები და უქმნიან დაბრკოლებებს, ის ხდება უხალისო და პასიური, ეწინააღმდეგება სიახლის შემოღებას და იცილებს პასუხისმგებლობას.

მაგრამ, აღმოჩნდა, რომ თვით ადამიანების (ხალხის) ცხოვრების დონის შეფასება ცალკე მიდგომას მოითხოვს. ათეული წლების განმავლობაში თითოეული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთავარ საზომად ითვლებოდა ერთ სულ მოსახლეზე საერთო შიდა პროდუქტის მაჩვენებელი. მაგრამ, რაღაც ეტაპზე საქმის ჭეშმარიტი მდგომარეობის ასახვისთვის ასეთი მიდგომა აღმოჩნდა არასაკმარისი და მეცნიერებმა აქტიურად დაიწყეს გამოყენება ცნებისა "ცხოვრების ხარისხი" [3]. ასეთმა მიდგომამ წარმოშვა შესაძლებლობა იმისა, რომ უფრო სიღრმისეულად შეფასებულიყო მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში კარგად არის ცნობილი ე.წ. "ადამიანის განვითარების ინდექსი" (Human Development Index, HDI), რომელიც 1990 წლიდან მუშავდება და სისტემატურად გამოიყენება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) მიერ [4].

ისეთი კომპლექსური ცნების შეფასებისას, როგორიცაა "ცხოვრების ხარისხი", ადამიანის განვითარების ინდექსი ითვალისწინებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური განვითარების სამ ფაქტორს: სიცოცხლის ხანგრძლივობას (Life Expectancy Index), ქვეყნის მოსახლეობის განათლებულობის დონეს (Education Index) და ერთ სულ მოსახლეობაზე საერთო შიდა პროდუქტის მაჩვენებელს (GDP Index). მათი შეფასების მეთოდოლოგიის საფუძველში ჩადებულია ფაქტიური მაჩვენებლების მაქსიმალურ მნიშვნელობებთან შეფარდების პრინციპი. I-ის საბოლოო ინდექსი წარმოადგენს ნახსენები სამი ინდექსის საშუალო არითმეტიკულს. აქვე გასათვალისწინებელია, რომ გააზრებული ცხოვრების უცილობელ ატრიბუტს წარმოადგენს განათლების მიღების და პიროვნების თვითრეალიზაციის შესაძლებლობა. თუ მატერიალური შესაძლებლობები უარესდებიან, მოსალოდნელია ცხოვრების ხარისხის გაუარესება და სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება.

I-ს ასეთი იდეოლოგია სრულიად ადეკვატურია და ითვლება საერთაშორისო ურთიერთშეპირისპირების საიმედო მაჩვენებლად.

დასავლეთში ფართოდ არის გავრცელებული ცნება "შრომითი ცხოვრების ხარისხი". ასევე მიმდინარეობს საუბარი პრობლემებზე – "შრომის ჰუმანიზაცია", "შრომის შინაარსის გამდიდრება" და ბევრ ქვეყანაში უკვე მოქმედებს სამეცნიერო ცენტრების დიდი რაოდენობა შრომითი ცხოვრების ხარისხის შესასწავლად. არსებობს "შრომითი ცხოვრების ხარისხის საერთაშორისო საბჭო". შრომითი ცხოვრების მაღალი ხარისხის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს საწარმოო დემოკრატია, რომელსაც არავითარი საერთო არ აქვს პოლიტიკურ დემოკრატიასთან.

შრომითი პროცესების რეალიზება ანუ შრომითი საქმიანობა ხდება სისტემით ადამიანი – მანქანა – საწარმოო გარემო [5]. **მანქანა** ეწოდება ტექნიკურ საშუალებათა ერთობლიობას, რომელსაც ადამიანი იყენებს შრომითი საქმიანობის პროცესში. **საწარმოო გარემოს** ცნებაში იგულისხმება ობიექტებისა და მოვლენების ერთობლიობა, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის ორგანოებზე. გარემოსა და ადამიანის ორგანიზმის ურთიერთობა მრავალფეროვანია. საჭიროა ამ მრავალფეროვნების კომპლექსური გათვალისწინება, აგრეთვე გარემოსა და ადამიანის მახასიათებლების შეგუების უზრუნველყოფა. ვინაიდან ადამიანის მახასიათებლები შედარებით მუდმივია, ხოლო გარემოს ელემენტები იცვლება უფრო ფართო ზღვრებში, სისტემაში უსაფრთხოების პრობლემების გადაწყვეტისას გასათვალისწინებელია უპირველესად ადამიანის თავისებურებანი.

ადამიანის ორგანიზმზე მოქმედებენ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორები. ამ მხრივ, როგორც [5]-დან ჩანს, შრომითი სამუშაოები დამოკიდებულია ორგანიზმის ენერგოდანახარჯებზე. აქედან ფიზიკური სამუშაოები იყოფა სამ კატეგორიად:

მსუბუქი (I კატეგორია), რომელიც არ ითხოვს სისტემატურ ფიზიკურ დატვირთვას ან ტვირთის გადატანას (ენერგოდანახარჯები 172 ჯოული/წმ);

საშუალო სიმძიმის (II კატეგორია), აქედან IIა ისეთი სამუშაოებია, რომლებიც მოითხოვენ 172-დან 232-მდე ჯოული/წმ ენერგოდანახარჯებს და IIბ, რომელიც მოითხოვს 232...243 ჯოული/წმ ენერგოდანახარჯებს;

მძიმე (III კატეგორია) – სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია სისტემატურ ფიზიკურ დატვირთვასთან. ამ დროს ენერგოდანახარჯები 239 ჯოული/წმ-ზე მეტია.

შრომის დაძაბულობის პროცესში ხდება სამუშაო რითმის (სამუშაო ოპერაციების თანაბარი თანმიმდევრობის) და ფიზიკური და გონებრივი სამუშაოების შესრულების შედეგად ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონალური მდგომარეობის ცვალებადობა. ასეთი ცვალებადობის გამოვლინებაა ადამიანის შრომისუნარიანობის დაქვეითება და დაღლილობა ანუ როგორც მას უწოდებენ – დაღლილობითი რღვევა. ვინაიდან დაღლილობის საერთო ფუნდამენტური კანონზომიერების სახე ჯერ ჩამოყალიბებული არ არის, არსებობენ სპეციფიკური "დაღლილობითი მოდელები". ერთ-ერთი მათგანია ე.წ. ჰიპოთეზური სქემა, რომელიც ეკუთვნის იაპონელ ფიზიკოსს ეიიხი ფუძიზიტას [6].

რაკი ადამიანის როლსა და მის შესაძლებლობებს შევეხეთ, ურიგო არ იქნება გავეცნოთ რამდენიმე მოსაზრებას, რომელიც არის ჩამოყალიბებული კრებულში კაცობრიობის (საზოგადოების, ადამიანის) განვითარების შესახებ და რომელიც უპირველეს ყოვლისა ემყარება იდეას: განვითარების ცენტრს წარმოადგენს ხალხი [7].

კაცობრიობის განვითარების შეფასებამ მკაფიოდ ჩამოყალიბებული კონცეპტუალური, რაოდენობრივი დაუ პოლიტიკური ფორმა 1990 წლიდან მიიღო, მის შესახებ პირველი გლობალური მოხსენების

პუბლიკაციის შემდეგ. კაცობრიობის განვითარების კონცეპციაში ჩადებულია მიდგომები, დაფუძნებული შესაძლებლობებსა და საბაზისო მოთხოვნილებებზე და ორიენტირებულია უმეტესად ხალხის უნარზე, წარმართოს ისეთი ცხოვრება, რომლისკენაც მიისწრაფვიან მათ ხელში არსებული არჩევანის რეალური შესაძლებლობების სრულყოფით.

კაცობრიობის განვითარება მდგომარეობს ადამიანთა პოტენციალის რეალიზებაში. ის განპირობებულია იმით, რასაც ადამიანები აკეთებენ და რითიც ცხოვრობენ – თავიანთი შესაძლებლობებით – თავიანთი ცხოვრების რეალურად თავისუფალი გზის არჩევით. განვითარების ასეთი გზა ეყრდნობა ნობელის პრემიის ლაურეატის ეკონომისტ ამარტიე სენის მიდგომას შესაძლებლობებსა და ფუნქციებზე. მისი აზრით, მნიშვნელოვანია არამარტო "ფუნქციების" მაქსიმალური რაოდენობის მიღწევა, არამედ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ "შესაძლებლობები" და მათი რეალიზაციის თავისუფლება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მეცნიერების დარგი სახელწოდებით **ეკონომეტრიკა**. იგი არის სოციოლოგიის ნაწილი, რომელშიც ეკონომიური თეორიის, მათემატიკის და სტატისტიკის ინსტრუმენტები გამოიყენებიან ეკონომიური მოვლენების ანალიზისათვის. ეს მეთოდი ხშირად გამოიყენება სოციოლოგების მიერ ადამიანის განვითარების და პოლიტიკის სხვადასხვა ვარიანტების ზემოქმედების ანალიზისათვის. ეკონომეტრიული მეთოდები შეიძლება გახდნენ რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის ძლიერ ინსტრუმენტებად, კერძოდ, გაუკეთდეს პროგნოზირება იმას, რაც შეიძლება მოხდეს მომავალში, შეფასდეს საერთო ზემოქმედებაში ცვალებადობის წილი და გამოითვალოს, რამდენად დიდია მონაცემებში სისტემატური ცდომილება. ამ დისციპლინის ჩარჩოებში დამუშავებულმა დიაგნოსტიკურმა ინსტრუმენტებმა შეიძლება დახმარება გასწიონ ხარვეზების აღმოფხვრაში, დაადგინონ ამორჩევის ცდომილება.

როგორც ადრე ითქვა, ადამიანებზე, ხალხზე ორიენტირებული განვითარების ისტორია ახალი არ არის. ჯერ კიდევ არისტოტელე აღნიშნავდა, რომ "სიმდიდრე მხოლოდ საშუალებაა კიდევ რაღაცის მისაღწევად". ამიტომ, ალბათ საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორ გამოვიყენოთ დღევანდელი ცივილიზაციის ანუ დღევანდელი სიმდიდრის არსებული რეზერვები თანამედროვე ადამიანის განვითარებისთვის. ამისთვის საზოგადოების (ხალხის) სწორი ანუ კარგი მართვაა საჭირო. ცნობილია, რომ "კარგი მართვა ისაა, რომელსაც ვერ ამჩნევ, შენი ცხოვრება კი მიდის თავისი გზით, და შენ ხარ მისი მეურვე".

About the Quality of Working Life

Summary

Summary: Article describes modern approaches to the rise in the society's standard of living, shows the point of so called "quality of working life", and role and place of human beings in the working process. There are given also the capabilities of the correct management of functions and responsibilities of people, as the main creator, in the process of the development of society, as well as the resources of education system improvement.

I.Nikolaishvili

О качестве трудовой жизни

Резюме

Резюме: В статье приведены современные подходы к повышению жизненного уровня общества. Показана суть т.н. «качества трудовой жизни», а также роль и место человека в процессе труда. Также показаны возможности осуществления правильного управления функциями-обязанностями его главного созидателя – народа и повышения системы образования в процессе развития общества.

Ю.Николаишвили

ციცო დოსმიშვილი,
მარინე დოსმიშვილი

უაკ (UDC) 664.022+613.29
დ- 78

საკვები პროდუქტების დანამატები

"მასზე მეტი არა ვიდრე დასაშვებია, მაგრამ
არც მასზე ნაკლები, ვიდრე აუცილებელია"

საკვები დანამატები მაღალტექნოლოგიური საუკუნის გამოგონება არ არის. მარილი, სოდა და სხვადასხვა სუნელ-სანელებლები ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდანაა ცნობილი, თუმცა მათი ნამდვილი აყვავება XX საუკუნიდან დაიწყო და შესაძლებელი გახდა გემრიელი, არამალფუჭებადი და საწარმოებლად იოლი პროდუქტების შექმნა ტრადიციულთან ერთად ხელოვნურად მიღებული დანამატის გამოყენებით.

საკვებ პროდუქტებზე მსოფლიო მოსახლეობის მზარდმა მოთხოვნილებამ საფუძველი შექმნა კვების მრეწველობაში დაენერგათ ხელოვნური გზით მიღებული სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ის კომპონენტ-დანამატები, რომლებიც გამოცდას წარმატებით გაივლიდნენ. სპეციალისტები ხელოვნური საკვები დანამატის გამოყენებას გარემო პირობებისა და მოსახლეობის ზრდის აუცილებლობით ხსნიან. მეცნიერები აღნიშნულ საკითხზე წლების მანძილზე მუშაობდნენ და ატარებდნენ ცდებს, სწავლობდნენ ახალი დანამატის დადებითსა და უარყოფით მხარეებს. ამ სიახლეებს კვების მრეწველობაში - ინგრედიენტი, ხელოვნური დანამატი, საკვები დანამატი ანუ, შემადგენელი ნაწილი, კომპონენტი უწოდეს.

თანამედროვე საკვები დანამატები ორი მთავარი მიმართულებით ხორციელდება:

– შენახვის ვადის გაზრდა, რაც აუცილებელია პროდუქტის ტრანსპორტირებისთვის ქვეყნის ნებისმიერი კუთხიდან;

– პროდუქტისთვის აუცილებელი მახასიათებლები: სასიამოვნო თვისებები, მიმზიდველობა, ლამაზი ფერი, არომატი და სიმკვრივის მიცემა.

"საკვები დანამატი" საერთო სახელწოდებაა იმ ბუნებრივი ან სინთეთიკური ქიმიური ნივთიერებებისა, რომელიც საკვებს დამატებითი სახით მიეწოდება პროდუქტის ტექნოლოგიური მოთხოვნილების საფუძველზე რაიმე განსაზღვრული თვისებების მისაცემად (გარეგანი სახე, ფერი, მედეგობა, არომატი და სხვ.), და დამოუკიდებლად-ცალკეული სახით საკვებად არ გამოიყენება, აღინიშნება ინდექსით "E" (European, "Essbar/Edible" - "საკვებად ვარგისი") და იქვე მიეთითება პროდუქტის ეტიკეტზე იმ ჩამონათვალის გვერდით სადაც გამოშვების თარიღი და სხვა საჭირო ინფორმაციაა მოცემული პროდუქტის შესახებ. ეტიკეტზე აღნიშვნა ადასტურებს, რომ პროდუქტს გავლილი აქვს ტექნოლოგიური შემოწმება და "საკვებად ვარგისია". შემოწმების მექანიზმი კი ზოგადად ასეთია: ჯერ დანამატი მუშავდება, გაივლის გამოცდას რამდენიმე კვირიდან რამდენიმე თვემდე, ან შესაძლოა წლამდე და თუ ტესტირება წარმატებით დასრულდა, მაკონტროლებელი ორგანიზაცია გამოყენების რეკომენდაციას იძლევა. ბუნებრივია, აქვე იბადება კითხვა, თუ ვინ გასცემს მასზე ნებართვას, ან ვინ ანიჭებს პროდუქტს ხარისხს "საკვებად ვარგისი". ამისათვის არსებობენ სპეციალური სამსახურები, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც პროდუქტის ვარგისიანობაზე შესაბამისი პროცედურული შემოწმების გავლის შედეგად ხარისხის დამადასტურებელ სპეციალურ დოკუმენტს იძლევიან, რომ იგი შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს და ნებადართულია რეალიზაციისთვის.

ევროპასა და ბევრ სხვა ქვეყანაში დანამატების უვნებლობას აქტიურად აკონტროლებს საკვები დანამატების ექსპერტთა გაერთიანებული კომიტეტის (JECFA) სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაცია (FAO). FAO-სა და WHO-ს (მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაცია) მიერ შეიქმნა სასურსათო კოდექსის კომისია (Codex Alimentarius), რომლის მიზანია დააწესოს სასურსათო სტანდარტები, შეიმუშაოს ინსტრუქციები და დანერგოს ის პროცედურები, რომელსაც ითვალისწინებს FAO/WHO-ს პროგრამა. სტანდარტები მომხმარებელს უზრუნველყოფს უსაფრთხო სურსათით და დაიცავს უვარგისი საკვები პროდუქტებისაგან.

ევროგაერთიანების სახელმწიფოებში საყოველთაოდ მიღებულია უსაფრთხოების წესი გამოყენებული საკვები დანამატის იარლიყზე აუცილებელი მიეთითების შესახებ ინგრედიენტების ჩამონათვალში. დანამატების ყველაზე დიდი რაოდენობა სამ ციფრიანია E-100-დან E-999-მდე. ეს აღნიშვნები ერთნაირად იწერება და იკითხება ყველა ევროპულ ენაზე და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. "E"-ს ნიშან

ასევე, მინიჭებული აქვს უფრო მნიშვნელოვანი დანიშნულებაც, ანუ ის უშუალოდ მიგვანიშნებს, რომ მოცემული კონკრეტული ნივთიერება შემოწმებულია საკვების უსაფრთხოებაზე. "E"-ნომრებს შეფასების თავისი კრიტერიუმები აქვს და შესაბამისად კლასიფიცირდება.

კრიტერიუმები: წარმომავლობა-ბუნებრივი, ანუ ნივთიერება არ შუეცვლიათ ან მცირედ შეცვალეს ან გაამდიდრეს. ხელოვნური-ნივთიერება ქიმიური გზით დაამსგავსეს ბუნებრივს. გამოყენების სფერო, ანუ რა ფუნქციას ასრულებს ნივთიერება საკვებ პროდუქტში, ასევე რომელ პროდუქრტშია დასაშვები მისი გამოყენება და შეფასება. საეჭვო არ არის, ალერგიულებისათვის სარისკოა, ან არ გირჩევთ ხშირ მიღებას.

კლასიფიცირება:

E 100–E 182 – საღებავები, აძლიერებენ ან აღადგენენ ფერს

E 200–E 299 –კონსერვანტები, ახანგრძლივებენ შენახვის ვადას, იცავენ მიკრობების/სოკოების/ბაქტერიებისაგან

E 300–E 399 – ანტიდამჟავებლები, იცავენ დამჟავებისაგან

E 400–E 499 – სტაბილიზატორები, შემასქელებლები, კონსისტეციის შესანარჩუნებელი

E 500–E 599 – რეგულატორები, იცავენ გამკვრივებისაგან

E 600–E 699 – არომატიზატორები და გემოს გამაძლიერებლები

E 700–E 899 – ჯერ არ არსებობს, განკუთვნილია ახალი ნივთიერებებისთვის

E 900–E 999 – ქაფგამქრობები

შემდეგ მოდის ოთხციფრიანები:

E 1000–E 1521–იცავს დანესტიანებისგან, ფქვილი/შაქარი/მარილი

საკვები დანამატები აღინიშნება პროდუქტზე მარკირების დროს. ამასთანავე, თითოეული მათგანი ცალ-ცალკე სახელობით ევროპული ნომრით და კლასის მინიშნებით, რაც თავისთავად კონკრეტული ინგრედიენტის აღმნიშვნელია. მზა პროდუქტის ეტიკეტზე მითითებული კოდი "E"-ს შემდგომ მოდის ციფრები, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია გაირკვეს დანამატების მრავალფეროვნება, მაგ. E–171 ნიშნავს, რომ კონკრეტული პროდუქტი შეიცავს ტიტანის დიოქსიდს ანუ ხელოვნურ მინერალურ თეთრი ფერის საღებავს. E–172 რკინის ოქსიდი, იგივე რკინის ჰიდროქსიდი, ანუ ხელოვნური მინერალური საღებავები, ყვითელი ან წითელი ფერის. რაც შეეხება თვით დანამატის გამოყენებას, თუ რამდენადაა მისაღები იგი, ჩამოყალიბებულია ერთი აზრი, რომ ისინი არ წარმოადგენენ აუცილებლობას, მაგრამ მათ გარეშე საკვები პროდუქტების არჩევანი იქნებოდა მწირი და პროდუქტების ასორტიმენტი არ იქნებოდა ისეთი მრავალფეროვნი, როგორიცაა დღეს: სწრაფი მომზადების პროდუქტები, ნახევარფაბრიკატები, გემოს აღმძვრელები და მიმზიდველები. ასევეა მედიცინის სფეროშიც. მაგალითად: დიაბეტიკების კვების რაციონი გამდიდრებულია ხელოვნური დამატკბობელებით.

მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური გზით მიღებული დანამატების სწორი გამოყენებისა თუ მისი შეზღუდვების შესახებ ბევრი რამ იწერება მომხმარებელის ინფორმირებისთვის, ბუნებრივად მაინც იბადება კითხვა, მივიღოთ თუ არა ასეთი სახის საკვები!? ამ კითხვის პასუხი კი დამოკიდებულია საკვები დანამატის სწორ ფორმულირებაზე და მომხმარებლისთვის სწორად მიწოდებულ ინფორმაციაზე. თუმცა ყველაფერი არც ისე მარტივადაა, ბევრი რამ დამოკიდებულია თვით ფირმის რეიტინგზე, მწარმოებლის წესიერებაზე, იმაზე, თუ კონკრეტულად რას და რა რაოდენობის დანამატს იყენებენ პროდუქტისთვის სავაჭრო სახის მისაცემად.

აღნიშნული სტატია მომხმარებელს გააცნობს იმ მცირე, ზოგადი სახის ინფორმაციას, რომლის ცოდნაც საჭიროა მზა პროდუქტის შეძენისა და ზომიერი გამოყენებისთვის, მაგრამ ნუ გაიგებთ ისე, რომ ყოველივე კატეგორიულად აკრძალოთ ან პირიქით, მიეძალოთ მას, რადგან ეტიკეტზე მინიშნება იძლევა არჩევანის საშუალებას თუ რამდენად ხშირად შეგიძლიათ გამოიყენოთ ერთი და იგივე პროდუქტი ან თავი შეიკავოთ მისი გამოყენებისაგან. მკვლევარები თვლიან, რომ საკვები დანამატის გამოყენების პრინციპი დაფუძნებული იყო და დარჩა მასზედ, რომ "მასზე მეტი არა ვიდრე დასაშვებია, მაგრამ არც მასზე ნაკლები ვიდრე აუცილებელია".

FOOD ADDITIVES – INGREDIENTS

Summary

Marine Dosmishvili, Tsitso Dosmishvili

According to experts, food additives are used for improving a food product's stability and conservation, preserving its dietary value, for different purposes during its preparation, processing, packaging and storage. Scientists have been engaged in the experimental work to study positive and negative aspects of food additives for years.

International standards on food additives are determined by the Joint FAO/WHO Expert Committee on Food Additives (JECFA) of the Food and Agriculture Organization if the United Nations (FAO) and Codex Alimentarius, adopted by the International Commission of FAO/WHO and binding upon the WTO Member Countries.

ПИЩЕВЫЕ ДОБАВКИ-ИНГРЕДИЕНТЫ

Резюме

Марине Досмишвили, Цицо Досмишвили,

Согласно специалистам, пищевые добавки используются для улучшения стабильности и сохраняемости продуктов питания, для сохранения пищевой ценности продукта, для различных целей при производстве, обработке, упаковке и хранении. В течение многих лут ученые работают над изучением как положительных, так и отрицательных свойств пищевых добавок. Международные стандарты на пищевые добавки определяются Объединенным комитетом экспертов Международной сельскохозяйственной организации (JECFA) и Кодексом Алиментариус (Codex Alimentarius), принятом Международной комиссией ФАО/ВОЗ и обязательным к исполнению странами входящими в ВТО.

გიორგი ცინცაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორანტი

დასაქმების პრობლემის სიმწვავე და მისი გადაწყვეტის საშუალებები

უაკ (UDC) 331.53 ც - 661

შრომის ბაზარი მრავალი წელია ყველა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის საზრუნავია. მაღალი უმუშევრობა, სამუშაო ადგილების ნაკლებობა, სამუშაო დროის არასაკმარისი მოქნილობა და ა.შ. აქტუალური დისკუსიის მნიშვნელოვანი თემებია. საქართველოს შრომის ბაზარი დროის მოთხოვნებს ჩამორჩება. ბაზრის სტრუქტურის შემადგენელი მთავარი ნაწილები - შრომის კანონმდებლობა, კვალიფიკაციის ამაღლების სამსახურები, პროფკავშირული გაერთიანებები, სამუშაო ძალა - სუსტად არის განვითარებული. სამუშაო ძალაც ვერ აკმაყოფილებს დასავლურ სტანდარტებს, რადგან სპეციალისტების გადამზადების სახელმწიფო სამსახურები უმოქმედოა. ბაზარზე მოქმედ კერძო კომპანიებს უჭირთ ყველა იმ სფეროს ათვისება, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამუშაო ძალის ცვლილების მოთხოვნას დააკმაყოფილებს.

შრომის ბაზრის პოლიტიკა, უწინარეს ყოვლისა, მიმართულია კონკრეტული შრომის ბაზრებზე სამუშაო პირობების შექმნაზე (შრომის ანაზღაურება, სამუშაო დრო, შრომის დაცვა და ა.შ.). შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკაში იგულისმხება ყოველგვარი სწრაფვა, მოქმედებანი და ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია დასაქმების მაღალი დონის მიღწევისა და შენარჩუნებისათვის. შრომის ბაზრის პოლიტიკა ზოგადად აქტიური და პასიური პოლიტიკის სფეროებად იყოფა. დასაქმების პოლიტიკის ინსტრუმენტები მოთხოვნის ან მიწოდების პოლიტიკას ექვემდებარება.

გარდა ამისა, არსებობს ინსტრუმენტები, რომლებიც განიხილება ცალკე როგორც „სხვადასხვა". ამ სფეროში შედის მთავრობის მცდელობა, ზეწოლა ,მოახდინოს პროფკავშირებზე, „ზომიერი" სახელფასო გადაწყვეტილებათა მიღებისათვის, რომლებიც ფასთა დონის სტაბილურობას საფრთხეს შეუქმნის. ასეთი „მორალური რჩევა" სატარიფო ხელშეკრულების მოლაპარაკებათა წინა პირობად გვევლინება.

შრომის ბაზრის პოლიტიკაში განასხვავებენ ორ კომპონენტს:

• ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია შრომის ბაზრის წონასწორობისაკენ. მაგ., სამუშაოთი უზრუნველყოფა, პროფესიული რჩევები, მისაღები რეგულირებები...

• ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია სამუშაო ადგილებისა და სამუშაო ძალის მიწოდებაზე. მაგ., მოკლე ვადით დასაქმებულთა ანაზღაურება, ქალთა დასაქმებისათვის ხელშეწყობა, პროფესიული განათლების ღონისძიებები...

შრომის ბაზრის პოლიტიკაზე უმეტესად პასუხისმგებელია შრომის ფედერალური სააგენტო. შრომის სამართლებრივი ჩარჩო პირობების დადგენის და ფორმირების კომპეტენცია კი - კანონმდებლებს აქვთ.

დასაქმების პოლიტიკის ინსტრუმენტები ძირითადად მაკროეკონომიკურ ცვლილებებზეა ორიენტირებული. მისი გამტარებელია სახელმწიფო. მოთხოვნის სტიმულირების პოლიტიკით თუ განვიხილავთ, მას შეუძლია პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენა მოახდინოს ერთობლივი მოთხოვნის ცალკეულ კომპონენტებზე სახელმწიფო ხარჯებისა და საგადასახადო განაკვეთების ვარიაციით. ამის საპირისპიროდ, მიწოდების გაფართოების პოლიტიკა რომელსაც საწარმოთა მზარდი საინვესტიციო საქმიანობა უდევს საფუძვლად, მიმართულია დასაქმების ეფექტების ჩარჩო პირობების გაუმჯობესებისაკენ. მიწოდება-მოთხოვნის პოლიტიკა გლობალიზებად სამყაროში სულ უფრო მეტად მოუქნელი ხდება. მიწოდების პოლიტიკა - იმიტომ რომ ბევრმა ეროვნულმა სახელმწიფომ საერთაშორისო კონკურენციის გამოწვევა მიიღო და თავისი საგადასახადო და სოციალური დაზღვევის სისტემები მას შეუსაბამა. ხოლო მოთხოვნის პოლიტიკა - იმიტომ რომ ღია ბაზრების პირობებში დიდი ოდენობით სამუშაო ადგილები საზღვარგარეთმა „შეისრუტა".

ინსტრუმენტების დაუფლება და მათში გარკვევა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათ წარმატებულ გამოყენებას.

ის მთელი რიგი ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების მიხედვით განსხვავებულ შედეგებს იძლევა.

დასაქმების პოლიტიკის ინსტრუმენტები

კეინზიანური თვალსაზრისით, ყოველთვის არსებობდა სახელმწიფო დასაქმების პროგრამებით დასაქმების სტიმულირების მცდელობები. არსი კი ასეთი იყო: ვინაიდან სახელმწიფო მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე არის მთლიანი შიდა პროდუქტის კომპონენტი, თუ სახელმწიფო გაზრდის მას, დასაქმების დონეზე უშუალო ზემოქმედება შესაძლებელი იქნება. გავლენის მქონე სხვა ინსტრუმენტია პირდაპირი გადასახადების ცვლილება - ხელფასის და შემოსავლის გადასახადების, კორპორაციის გადასახადის ცვლილებით არსებული შემოსავლები და მოგება შეიცვლება, რასაც მოთხოვნის შესაბამისი სტიმულირება შესაძლოა მოყვეს. ასეთი პოლიტიკა მისაღებია მაშინ, თუ უმუშევრობის მიზეზი დაბალ სამომხმარებლო ხარჯებშია. ხოლო თუ მიზეზს სტრუქტურულ უმუშევრობასთან მივყავართ, მაშინ ეს ინსტრუმენტები არაეფექტიანი ხდება, ვინაიდან სტრუქტურული უმუშევრობისას ადგილი აქვს შრომის ბაზრის მოუქნელობას, კვალიფიციური სამუშაო ძალის არასაკმარის მიწოდებას. მოთხოვნის სტიმულირების პოლიტიკა ასევე წინააღმდეგობაში მოდის ევროკავშირის სტაბილურობისა და ზრდის პაქტთან. რაც შემდეგში გამოიხატება: თუ კრედიტების მიღების საშუალებით სახელმწიფო შეეცდება უმუშევრობის შემცირებას დამატებითი სახელმწიფო ხარჯების ზრდით (მშპ-ს კომპონენტის - -ის გადიდება), მაშინ საჭირო იქნება მომავალში ამ ვალის მომსახურებისთვის ფულადი სახსრები, რამაც სტაბილურობისა და ზრდის თვალსაზრისით, შესაძლოა, ფინანსური ბარიერი შექმნას. მიწოდების პოლიტიკა, მოთხოვნის სტიმულირების პოლიტიკასთან შედარებით, ცალმხრივი გზაა. კონკრეტულად, სახელფასო ხარჯებისა და სახელფასო დამატებითი ხარჯების შემცირებამ დასაქმებას შესაძლოა შეუწყოს ხელი. წინაპირობად ვუშვებთ, რომ არსებობს საწარმოების მოთხოვნის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალა. მიწოდების პოლიტიკა პრობლემატური ჩანს ეკონომიკური ბუმის ფაზაში. წესით, მან უნდა გაითვალისწინოს ფულადი პოლიტიკის სტაბილიზაციის მოთხოვნა (ფასების ზრდა რომ მოთოკოს, რის საპასუხოდაც უმუშევრობა იზრდება), მაგრამ მიწოდების პოლიტიკის ამოქმედების მიზანი სწორედ უმუშევრობის შემცირებაა, რაც ბუმის ფაზაში რეცესიის საფრთხეს ქმნის (რეცესია - ეკ. მდგომარეობა, როდესაც ფასების დონე და უმუშევრობის დონე- ორივე მაღალია). საქართველოში არსებულ მწვავე უმუშევრობას ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი გამოსწორების ნიშნები არ დასტყობია. ხელისუფლება მუდმივად უსვამს ხაზს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეკორდული ზრდის დონეს, გაუმჯობესებულ ბიუროკრატიულ და საკანონმდებლო ბიზნეს-გარემოს და საერთაშორისო არენაზე ზედიზედ მესამე წელს საქართველოს, როგორც ყველაზე რეფორმატორული ქვეყნის საუკეთესო მაჩვენებელს. თუმცა, ის ფაქტი, რომ "ბიზნესის კეთების" ჩამონათვალში საქართველო საფრანგეთის, გერმანიისა და მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკების დიდ ნაწილზე მაღლა დგას, რიგით მოქალაქეებსა და მათი ცხოვრების დონეზე ბევრ პრაქტიკულ ასახვას ვერ ჰპოვებს. ბიზნესის საქმიანობის გასაიოლებლად მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა ჯერჯერობით კერძო სექტორში დასაქმების დონის აწევა ვერ მოახდინა. ბოლოდროინდელი საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ მოსახლეობას ყველაზე მეტად უმუშევრობის შიში აქვს (გამოკითხულთა 31 პროცენტის თანახმად). ამავე გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმუშევრობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა მთავრობის ამოცანათა ჩამონათვალში პირველ ადგილზეა. შესაბამისად, 2006 წელს მთავრობის ინიციატივით დაიწყო "დასაქმების" პროგრამა.

პროგრამა ითვალისწინებდა სამთვიან სტაჟირებას კერძო საწარმოებში, რომლებიც შესაბამის სურვილს გამოთქვამდნენ. სტაჟიორები სახელმწიფო ბიუჯეტიდან თვეში 150 ლარს იღებდნენ. კერძო ბიზნესებს პროგრამის დასრულების შემდეგ სტაჟიორების სამსახურში აყვანის ვალდებულება არ ეკისრებოდათ, მაგრამ მათი მხრიდან ასეთი ნაბიჯი წახალისებული იყო. ასევე, დამსაქმებლები ვერანაირ გავლენას ვერ ახდენდნენ იმ გადაწყვეტილებაზე, თუ ვინ და როგორი კვალიფიკაციების მქონე იქნებოდნენ მათთან სახელმწიფოს მიერ გაგზავნილი სტაჟიორები. მთლიანობაში, პროგრამა სავსე იყო ნაკლოვანებებით და ცნობილი გახდა უზარმაზარი დანახარჯების გამო, რომელმაც 24 მილიონ ლარს მიაღწია, საბოლოოდ კი უმუშევრების პროფესიული გადამზადების ან დასაქმების თვალსაზრისით მცირე ან საერთოდ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია. დამატებით, ინფლაციურმა წნეხმა, რომელიც ამ დანახარჯებმა გამოიწვია, ქვეყნის ეკონომიკას ხანგრძლივი ზიანი მიაყენა.

2007 წელს საქართველოში დასაქმების სახელმწიფო პროგრამის მეორე ეტაპი დაიწყო. პროგრამის პროექტი, რომელიც ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მოამზადა და მიზნად ისახავდა ტურიზმის სექტორში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას და ამ გზით სამუშაო ადგილების შექმნას. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი 5 მილიონი ლარით დაახლოებით 25 ათასი სამუშაო ადგილის შეიქმნა. მცირე და საშუალო ბიზნესზე სესხების გაცემის პროგრამა მისასალმებელ გადახვევას წარმოადგენს ტრადიციული სახელმწიფო პროგრამებისგან. ეს პროგრამა მომავალი არჩევნებზე ფიქრით არ იყო განპირობებული და მიზნად ისახავდა გრძელვადიან შედეგს, კერძოდ, ბიზნესის განვითარების დახმარებას, რაც ხელს შეუწყობს მდგრად ეკონომიკურ ზრდას და დასაქმებას.

იმისთვის, რომ საქართველოში უმუშევრობამ რეალურად იკლოს, ხელისუფლებამ მეტი ყურადღება უნდა გაამახვილოს სისტემური ხასიათის ცვლილებების განხორციელებაზე, მათ შორის: გადასახადების შემცირებაზე, საგადასახადო და ბიზნესწარმოებასთან დაკავშირებულ სხვა კანონმდებლობაში ორაზროვანი დებულებების აღმოფხვრაზე, ბიზნესის არამართლზომიერი ზეწოლისგან დაცვაზე, საკუთრების უფლების დაცვაზე, კონტრაქტების შესრულების უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმების შექმნასა და

დანერგვაზე, სასამართლო სისტემის გაძლიერებაზე და ა.შ. ასევე სასურველია, ინვესტიციების ჩადება მუშახელის კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებაში, რაც პროფესიული განათლების სისტემის რეფორმით უნდა განხორციელდეს.

შრომის ბაზრის პოლიტიკა

შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა. დასაქმების აქტიური პოლიტიკის განხორციელებას საფუძვლად უდევს დასაქმების სახელმწიფო, რეგიონალური და მიზნობრივი პროგრამების შემუშავება, სადაც განისაზღვრება დასაქმებისა და კვალიფიციური კადრების მომზადება-გადამზადების ძირითადი მიმართულებები, უმუშევართა სოციალური დაცვის ქმედითი მექანიზმი.

დასაქმების აქტიური პოლიტიკის ამოცანებია:

• შრომის ბაზრის სტრუქტურის სრულყოფა;

• სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევა;

• დასაქმების სამსახურების ფუნქციონირების გაუმჯობესება.

პერსპექტივაში დასაქმების აქტიური პოლიტიკის მიზანი სიღარიბის დონის შემცირება, შრომითი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და, საბოლოოდ, ცხოვრების დონის ამაღლებაა. აღნიშნული პოლიტიკის ამოცანები იცვლება ქვეყნის სოციალური-ეკონომიკური განვითარების დონისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

ცალკეულ ქვეყნებში დასაქმების სამსახურები სხვადასხვა სახელწოდებით (დასაქმების სააგენტო, შრომის ბირჟა, დასაქმების სამსახური და სხვა) ფუნქციონირებენ და უზრუნველყოფენ შემდეგი სპეციფიკური ფუნქციების შესრულებას:

I. ანალიტიკური ფუნქცია:

•შრომის ეროვნული და რეგიონული ბაზრების კონიუნქტურის შესწავლა და პროგნოზირება;

•შრომის ბაზრის ტევადობისა და სტრუქტურის ცვლილების ანალიზი და პროგნოზი;

•ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, დემოგრაფიული, სოციალური, ეკოლოგიური, საკანონმდებლო და სხვა ფაქტორების ცვლილების ანალიზი;

•დასაქმების დინამიკის შესწავლა;

•დამსაქმებლის ქცევის მოტივაციის განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლა;

•ეროვნული ეკონომიკის ცალკეული დარგების სამუშაო ძალით უზრუნველყოფა და მასზე მოთხოვნის ცვლილებების ტენდენციების განსაზღვრა;

•არსებული სამუშაო სტრუქტურის, მათი ხარისხობრივი მახასიათებლების შესწავლა;

•რეგიონის სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის შესწავლა;

•სამუშაო ძალის ფასზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი;

•ქვეყანაში შრომითი მიგრაციის მიზეზების ანალიზი და სხვა.

II. მართვის ფუნქციები:

•სამუშაო ძალის მარკეტინგული მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფა;

•სამუშაო ძალის მარკეტინგის სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვა;

•დასაქმების სფეროში სოციალურ პარტნიორებს შორის საქმიანი ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა;

•შრომის ბაზარზე მარკეტინგული საქმიანობის მეთოდური უზრუნველყოფა;

შრომის ბაზრის აქტიურ პოლიტიკაში ინსტრუმენტების დაყოფა შესაძლებელია იმის მიხედვით: (1) არიან თუ არა მიმართულნი ისინი შრომის ბაზრის წონასწორობაზე; ან (2) ხელს უწყობენ თუ არა ისინი ახალი სამუშაო ადგილების შექმნას (ანუ, შრომის მოთხოვნაზე სტიმულირებას)?

ამ ორი კატეგორიის მიხედვით რომ გავმიჯნოთ, (1)-ის აქტიურ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება: პროფესიული რჩევები, გადამზადების ღონისძიებების გატარება, მიუღებელ მოთხოვნათა რეგულირება და ზოგჯერ, რეაბილიტაციის სუბსიდიაც. ხოლო (2)-ის აქტიურ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება: შრომის სააგენტოს (შუამავალი დამსაქმებელსა და დასასაქმებელს შორის) მიერ შრომის მოწყობა. კერძოდ, თუ საწარმოები ვაკანტურ ადგილებს საჯაროდ არ გამოაცხადებენ, მაშინ სამუშაოს პოვნის ცდაც წარუმატებელი იქნება (ხშირად, საწარმოები დასაქმების შიდა პოლიტიკას ანიჭებენ უპირატესობას).

(1)-ის ფართო განხილვა ასეთია:

ა) შუამავლობა შრომითი მოწყობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. იგი გულისხმობს დამსაქმებლებისა და დასაქმებულების ინტერესების ოპტიმალურ შეთანაწყობას შრომის ანაზღაურების, შრომის პირობების, მუშაობის რეჟიმის, მომზადებისა და გადამზადების პირობებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული ფუნქციის წარმატებით რეალიზაცია მოითხოვს სოციალური პარტნიორობის სისტემების ფორმირებასა და კოლექტიური მოლაპარაკებების სისტემის დამკვიდრებას სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სუბიექტებს შორის. ბ) სამუშაო ცენტრების ჩამოყალიბება კიდევ ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს. მან მოქალაქეებს შრომის ბაზართან მიმართებაში ყველა საჭირო პროცედურაში მონაწილეობის უფლება უნდა მისცეს. ამ მიზნით, ისინი რჩევებს აძლევენ, სამუშაოს მიღების, ფულადი დახმარებისა და საარსებო საშუალებების მოპოვების პროცესში რთავენ. თანამშრომლები „შუამავალი აგენტები“ არიან. ამისთვის კი სოციალურ სამსახურებთან მჭიდრო თანამშრომლობაა საჭირო.

გ) კომბინირებული ხელფასის მოდელი გულისხმობს შრომითი შემოსავლის გადიდებას და ამავე დროს მან სახელმწიფო სატრანსფერო მომსახურებათა გამოთვლის პროცესში შრომითი შემოსავლების შემცირებულად შეფასებას სტიმული უნდა მისცეს. სახელმწიფოს მიერ შემოსავლების გაზრდისა და მათი შემცირებულად შეფასების კომბინაცია, როგორც ერთიანი მოდელი ისე განიხილება. ამ მოდელს ნეგატიური გადასახადების მოდელსაც უწოდებენ, რომლის დროსაც შრომით შემოსავალზე დაწესებული გადასახადით გადასახდელ თანხას იღებენ როგორც ტრანსფერს, შრომით შემოსავალზე დამატებით.

დ) მაინცის მოდელი - მცირე შემოსავლიანების სოციალური შენატანებისაგან განთავისუფლება და ამით ბავშვების ფულზე დანამატის სახით გადაცემა ხდება. ამ გზით ცდილობენ დაბალი შემოსავლის მომტანი სამუშაო

ადგილები და დროებითი დასაქმება მიმზიდველი გახადონ. ე) სახელფასო ხარჯებზე დანამატის მიღება (2002 წლიდან მას შრომითი მოწყობისათვის სუბსიდია ქვია) - იგი დამსაქმებელზე მოქმედებს როგორც სტიმული დასაქმებისთვის. ხელშემწყობი თანხა საშუალოდ 12 თვის შრომის ანაზღაურების 50%-ს უნდა შეადგენდეს. შრომის სააგენტოს მიერ იგი უპირველესად ინვალიდებზე გაიცემა.

(2)-ის პოზიციის მიხედვით, აქ შედის: დასაქმების ღონისძიებები, პროფესიული განათლების ღონისძიებები, მოკლე ვადით დასაქმებულთა ანაზღაურება, ქალების დასაქმებისთვის ხელშეწყობა. ა) დასაქმების და სტრუქტურულ ცვლილებასთან შესაბამისობის ღონისძიებები - ისინი განსაკუთრებით, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას ემსახურებიან. ამით უმუშევრებს საშუალება უნდა მიეცეთ რეგიონულად და პროფესიულად არახელსაყელ შრომის ბაზრებზე შეზღუდული ვადით მაინც მიიღონ სამუშაო. თითოეულ დამსაქმებელზე სტიმულისათვის თვეში 300 ევრო გაიცემა, ხანგრძლივობა 12 თვეს მოიცავს. ამასთან, უქმდება უმუშევრების დაზღვევის შენატანის ვალდებულება. ბ) კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების პროექტები - პროექტის საბოლოო შედეგი ასე ფორმულირდება: რამდენ კაცს აქვს მუშაობის დაწყების პერსპექტივა? რაც მეორეს მხრივ, დამოკიდებულია შრომის ბაზრის მიერ სამუშაო ძალის მიღების უნართან. თვითონ პროექტები გამიზნულია გარკვეული კულტურული, სპეციალური ან სოციალური უნარების შეძენაზე, რომელიც პროექტის მონაწილეებს აკლიათ. პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებით იზრდება ამ ადამიანების სამუშაო ადგილების შენარჩუნების შანსი. დასასრულს, მათ რეგულარული სამუშაო ადგილის მოძიებაში საკონკურსო ტრენინგებსა და დახმარებას სთვაზობენ. წარმატებული კვალიფიკაციის დოკუმენტირება განათლების დასრულების აღიარებით ან სერთიფიკატის გაცემით ხდება. გ) მოკლე ვადით დასაქმებულთა ანაზღაურება - საწარმოებში დროებითი დატვირთვის შეზღუდულობა მოკლე ვადით დასაქმებულთა ანაზღაურებით შეიძლება დავძლიოთ. ამ ტიპის ანაზღაურება უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიკურ მიზეზებს ან გარდაუვალ მოვლენას. იგი არის დროებითი და აუცილებელი. თუ საწარმოში სამუშაო ადგილების დიდი რაოდენობით დანაკარგი გვაქვს, მაშინ მოკლე ვადით დასაქმებულთა ანაზღაურება 18 თვემდე გადაიხდება. მაშასადამე, ღონისძიებები, რომლებიც აღნიშნულ დაწესებულებათა სტიმულირებაზეა მიმართული, შეგვიძლია შრომის ბაზრის აქტიურ პოლიტიკას მივაკუთვნოთ.

შრომის ბაზრის პასიური პოლიტიკა

შრომის ბაზრის პასიური პოლიტიკის ინსტრუმენტებს წარმოადგენენ არა უშუალო ხელშეწყობა უმუშევრობის შესამცირებლად, არამდ ხელფასის შემცვლელი მომსახურების გაწევა. უმუშევრებს შეუძლიათ დასაქმების სამსახურში უმუშევრობის ფულზე განაცხადი შეიტანონ. თუ უმუშვრობის ფული ამოიწურა, მაშინ შეიძლება გაცემულ იქნას უმუშევრობის დახმარება. 2005 წლიდან იგი სოციალურ დახმარებასთან ერთად განიხილება. არსებობს „ზამთრის ფული“, რასაც უხდიან ბინათმშენებლობაში დასაქმებულებს, იმ მიზნით რომ მთელი წლის განმავლობაში დასაქმებას შეუწყონ ხელი.

1. უმუშევრობის დაზღვევის ფინანსური წყარო დამსაქმებელთა და დასაქმებულთა შენატანებია. სპეციალური მომსახურებისთვის არსებობს დაფინანსების გადანაწილება. დახმარების სხვა ხარჯებს სესხების კავშირი ფარავს. რაც შეეხება უმუშევრობის ფულზე მოთხოვნას, მასზე პრეტენზიის უფლება აქვს ყველა დაზღვეულს, ვინც ამჟამად იმყოფება შრომითი ბირჟის განკარგულებაში, წინათ იყო დასაქმებული, აქვს პირადად შეტანილი უმუშევრობის განცხადება შრომითი მოწყობის ბიუროში (კრიტერიუმი: ამ პერიოდში პიროვნება 3 წლის პერიოდიდან 12 თვე მინიმუმ დასაქმებული უნდა ყოფილიყო და გადახდილი ჰქონოდა გადასახადები). ასევე, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მან მიიღოს შემოთავაზებული სამუშაო ადგილი, რომელსაც შესთავაზებენ. აქ იგულისხმება დაბალანაზღაურებადი და დაბალკვალიფიციური სამუშაოც. უმუშევრობის ფულის მიღებული სიდიდე შეადგენს ბოლო დადგენილი პერიოდის ერთიანი შრომის ანაზღაურების 67%-იან წილს ბავშვიანი უმუშევრებისთვის და 60%-იან წილს ბავშვების გარეშე უმუშევრებში. უმუშევრობის ფული, ისევე როგორც უმუშევრობის დახმარება - არ იბეგრება.

შრომის ბაზრის პასიური პოლიტიკის ინსტრუმენტის - ხელფასის შემცველი მომსახურების გადახდა პრობლემურია. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ თუ დახმარება შედარებით მაღალია, მაშინ უმუშევრის მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს დასაქმების ინტენსიური ძებნის სტიმულის დაკარგვას. მეორე პრობლემა ისაა, რომ შესაძლოა ისინი მუშაობდნენ ეკონომიკის ჩრდილოვან სექტორში, და ასევე იღებდნენ უმუშევრობის დახმარებას. ამ ფაქტთან საბრძოლველად, შემოიღეს ვალდებულება, რომლის მიხედვითაც უმუშევრის მიერ შრომის სააგენტოში სამუშაოს ძიების სურვილი უნდა იქნეს დაფიქსირებული. რაც უფრო გვიან იქნება განაცხადი შეტანილი, მით უფრო მცირდება უმუშევრობის ფული. დიდი ყურადღება აქვს დათმობილი შესასრულებელი სამუშაოს შეთავაზების წესებსაც. კერძოდ:

- უმუშევარს მისი შრომისუნარიანობის შესაბამის დასაქმებას სთავაზობენ, თუ დასაქმების სურვილს ზოგადი და პირადი მოტივები არ ეწინააღმდეგება.
- პიროვნული მოტივებიდან გამომდინარე, უმუშევრისთვის დასაქმება არ არის აქტუალური თუ აქედან მისაღები ანაზღაურება ნაკლებია უმუშევრობისას მიღებული დახმარების სიდიდეზე.
- პიროვნული მოტივებიდან გამომდინარე, უმუშევრის დასაქმება არ არის მისაღები, თუ მანძილის გავლას საცხოვრებელსა და სამუშაო ადგილს შორის უფრო დიდი დრო სჭირდება, ვიდრე თვით სამუშაოს. უფრო დიდ დროდ თვლიან მიმოსვლისთვის საჭირო 3 საათს 6 საათიან სამუშაოსთვის, ან 2.5 სთ-ს 6 საათზე ნაკლები სამუშაოსთვის. ხანგრძლივი დროით უმუშევრებისთვის შეიძლება ყოველგვარი ლეგალური საქმიანობის შეთავაზება. ეს ძალაშია მაშინაც, როცა დასაქმების ანაზღაურება უმუშევრობის დახმარების ტარიფზე დაბლა ხდება ან, საქმე ეხება მოკლევადიან სამუშაოს. ამ სირთულეების განხილვისას, ყურადღება

უნდა მიექცეს იმას, რომ დახმარებების მიზანი არის სულ მცირე საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფა. მათ დიდი წვლილი შეაქვთ ეკონომიკური პოლიტიკის მიზანთა სისტემის შესრულებაში და ხელს უწყობს სოციალურ მშვიდობასა და ინტეგრაციას.

შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის ფორმირებისა და განვითარების ეტაპები საქართველოში

საქართველოში ცივილიზებული შრომის ბაზრისა და მისი შესატყვისი ინფრასტრუქტურის ფორმირება 1990 წლებიდან დაიწყო. მიუხედავად ხანმოკლე პერიოდისა, დასაქმების სახელმწიფო პლიტიკის გამტარებლების მუშაობაში პირობითად შეიძლება რამდენიმე ეტაპი გამოიყოს.

პირველ ეტაპზე (1991-1993 წწ.) დაიწყო საკანონმდებლო ბაზის შემუშავება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო 1991 წლის 25 ივლისს მიღებული კანონი „დასაქმების შესახებ", რომელმაც განსაზღვრა საქართველოს მოსახლეობის დასაქმების პოლიტიკის და უმუშევართა სოციალური დაცვის ეკონომიკური, ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძვლები. აღსანიშნავია, რომ შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის ფორმირების თვალსაზრისით სწორი ორიენტაცია იყო აღებული, რადგან დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნეული იქნა:

• მოქალაქეთა შრომითი ინიციატივის მხარდაჭერა და წახალისება;
• უმუშევართა სოციალური დაცვის უზრუნველყოფა;
• მოქალაქის დასაქმებისათვის ხელშეწყობა, უმუშევრობის დონის მაქსიმალური შემცირება;
• დასაქმების სფეროში და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის სხვა მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებათა კოორდინაცია.

ზემოაღნიშნული კანონისა და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული სათანადო დადგენილების საფუძველზე განისაზღვრა შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის ძირითადი სუბიექტები და დასაქმების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი და მარეგულირებელი ორგანოები. კერძოდ, შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან შეიქმნა დასაქმების სახელმწიფო სამსახური - დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის, შრომის სახელმწიფო ბირჟის, უმუშევართა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სისტემის სახით. დასაქმების სახლემწიფო სამსახურს დაევალა მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევართა სოციალური დაცვის სათანადო პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია.

დასაქმების სახელმწიფო სამსახურის საქმიანობის მეორე ეტაპი (1994 წლიდან 1998 წლის პირველი ნახევარი), ფაქტობრივად კვლავ მოსახლეობის სოციალური დაცვისა და დახმარებების სისტემის საკანონმდებლო ბაზის შეზღუდა დასაქმების კანონით გათვალისწინებული სოციალური მხარდაჭერის სისტემა . მაგრამ დასაქმების პოლიტიკა ძირითადად მაინც პასიური ხასიათის ღონისძიებებს მოიცავდა. მაგალითად, 1994 წლის დასაწყისიდან სექტემბრის ჩათვლით შემწეობა დაენიშნა 10 ათასამდე უმუშევარს. 1997 წლიდან დაიწყო ოჯახური დახმარებების გაცემა და ამავე წელს შემწეობის მიმღებ უმუშევართა რაოდენობამ 20.5 ათას კაცს მიაღწია.

როგორც ვხედავთ ამ ეტაპზე სახელმწიფო ცდილობს გაატაროს დასაქმების პასიური პოლიტიკა. დასაქმების სახელმწიფო სამსახურს თავისი საქმიანობის მეორე ეტაპზე მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით, რაც მისი მთავარი ფუნქციაა, რაიმე ქმედითი ღონისძიება არ გაუტარებია. აღნიშნულ ეტაპზე დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ განხორციელდა რამდენიმე ღონისძიება, რაც გამოიხატა უმუშევართა გადამზადებაში, ინვალიდთა ოჯახებისათვის დახმარების გაცემაში.

მესამე ეტაპზე (1998-1999 წწ.) დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი, დასაქმების დეპარტამენტი და პროფესიული ორიენტაციისა და მომზადება-გადამზადების ცენტრი გაერთიანდა დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის ბაზაზე. ქალაქებსა და რაიონებში შეიქმნა დასაქმების ცენტრები. რეორგანიზაცია მიზნად ისახავდა დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ცალკეული მიმართულებების კოორდინაციას და დასაქმების პრობლემების გადაწყვეტას ერთიანი მიდგომის საფუძველზე. ახალმა სამსახურმა წინა პლანზე წამოწია სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების, სისტემატიზაციისა და ანალიტიკური დამუშავების საკითხები. ამ მიზნით შეიქმნა სტატისტიკური კვლევისა და მონიტორინგის განყოფილებები. რამდენადმე მოწესრიგდა და შედარებით სრულყოფილი გახდა რეგისტრირებულ უმუშევართა შესახებ ინფორმაცია გამოიკვეთა უმუშევართა შემადგენლობა სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. აღნიშნულ ეტაპზე პირველად დამუშავდა დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა ტურიზმისა და კურორტების სფეროში და განხორციელდა ახალგაზრდა უმუშევართა გადამზადება.

დასაქმების სახელმწიფო სამსახურის საქმიანობის მეოთხე ეტაპზე ჩამოყალიბდა დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის ახალი სტრუქტურა და მისი საქმიანობის ძირითად პრინციპად იქცა მიზნობრივ პროგრამულ დაფინანსებაზე გადასვლა. დაიხვეწა მიზნობრივი დაფინანსების წესი, ამაღლდა სტრუქტურული ქვედანაყოფების პასუხისმგებლობა. ფონდის საქმიანობის უმთავრეს ამოცანად დაისახა უმუშევართა სოციალური დაცვისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესება, ხოლო გრძელვადიან პერიოდში სტაბილური დასაქმების მიღწევა. 2000 წლის მეორე ნახევრიდან აქტიურად დაიწყო უმუშევართა მომზადება-გადამზადების, დროებითი დასაქმების, თვითდასაქმებისა და სამეწარმეო ინიციატივის მხარდაჭერის პროგრამების, დროებითი სამუშაოების ორგანიზება.

დასაქმების სამსახურის მეხუთე ეტაპი უკავშირდება 2001 წლის 28 სექტემბერს „დასაქმების შესახებ" ახალი კანონის მიღებას, რომელმაც განსაზღვრა დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ეკონომიკური, ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძვლები. დასაქმების სფეროს რეგულირების სახელმწიფო ორგანოდ აღიარებულ იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. აღნიშნული კანონის 38-ე მუხლის თანახმად და საქართველოს პრეზიდენტის სათანადო

ბრძანებულების საფუძველზე ლიკვიდირებულ იქნა დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი და შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დასაქმების სახელმწიფო სამსახური, დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის ხელშეწყობისა და უმუშევართა სოციალური დაცვის ღონისძიებათა განხორციელების მიზნით. დასაქმების სახელმწიფო სამსახური საქმიანობას წარმართავდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლით. დასაქმების სახელმწიფო სამსახურის რეორგანიზაციის მიმართულებით კიდევ ერთი ნაბიჯი 2004 წლის ბოლოსათვის გადაიდგა (მეექვსე ეტაპი). გაუქმდა დასაქმების სამსახური და მის ბაზაზე შეიქმნა სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო , რომლის ძირითადი მიზანი იყო დასაქმებისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სოციალური დახმარების ღონისძიებების გატარება. განსაკუთრებით რადიკალური გარდაქმნებით გამოირჩევა საქართველოს შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის ფორმირების შემდეგი (მეშვიდე) ეტაპი. მთავრობის მიერ აღებული იქნა შრომის ბაზრის თვითრეგულირებაზე და სახელმწიფოს ჩაურევლობაზე. საქართველოს ახალი შრომის კოდექსის მიღებასთან დაკავშირებით გაუქმდა კანონები „დასაქმების შესახებ“, „კოლექტიური შრომითი დავის მოწესრიგების წესის შესახებ“, კოლექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმების შესახებ, გაუქმდა „სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო“ და მის ნაცვლად შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „სოციალური სუბსიდიების სააგენტო“. სააგენტოს საქმიანობას მთლიანად აკონტროლებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ამ უკანასკნელის კონტროლს ექვემდებარება კიდევ ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“/ სამინისტროს მმართველობის სფეროს დაექვემდებარა „ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო“, ხოლო მის სტრუქტურულ ქვედანაყოფად ჩამოყალიბდა - „სოციალური დაცვის დეპარტამენტი“. დეპარტამენტის საქმიანობის ძირითადი ამოცანებია: სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების მონიტორინგი; სოციალური სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების სტრატეგიული გეგმისა და მექანიზმების შემუშავება; სოციალური დაცვის სფეროში მარეგულირებელი აქტების შემუშავების სრულყოფა და სხვა. დღეს საქართველოში დასაქმების მწვავე პრობლემა დგას. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა ახალგაზრდებში. ქართველი ახალგაზრდების უმრავლესობას არ აქვს სტაბილური და საკმარისი შემოსავალი. ქვეყანაში გათვალისწინებული უნდა იყოს ახალგაზრდების სრულფასოვნად დასაქმება და ხელშეწყობის საკითხები, რათა სურვილის შემთხვევაში საშუ ალება ჰქონდეთ, უმაღლესი განათლების მიღების პარალელურად, დასაქმდნენ სასურველ ადგილზე და დამსაქმებელმა გაითვალისწინოს მათთვის შეღავათიანი პირობები. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან აქტიური შრომის ბაზრის ინსტრუმენტების გამოყენება. საქართველოს შრომის ბაზარი დროის მოთხოვნებს ჩამორჩება. სამუშაო ძალაც ვერ აკმაყოფილებს დასავლურ სტანდარტებს. იმისთვის, რომ საქართველოში უმუშევრობამ რეალურად იკლოს, ხელისუფლებამ მეტი ყურადღება უნდა გაამახვილოს სისტემური ხასიათის ცვლილებების განხორციელებაზე, მათ შორის: გადასახადების შემცირებაზე, საგადასახადო და ბიზნესწარმოებასთან დაკავშირებულ სხვა კანონმდებლობაში ორაზროვანი დებულებების აღმოფხვრაზე, ბიზნესის არამართლზომიერი ზეწოლისგან დაცვაზე, საკუთრების უფლების დაცვაზე, კონტრაქტების შესრულების უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმების შექმნასა და დანერგვაზე, სასამართლო სისტემის გაძლიერებაზე და ა.შ. ასევე სასურველია, ინვესტიციების ჩადება მუშახელის კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებაში, რაც პროფესიული განათლების სისტემის რეფორმით უნდა განხორციელდეს. მესამე ნაწილში განხილული ცვლილებები, რომელიც სახელმწიფო სისტემაში მოხდა აშკარად მოწობენ, რომ საქართველოში დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტად კვლავ რჩება უმუშევრობის შემცირება და სიღარიბის დაძლევა. აღნიშნულ ვითარებაში მეტად აქტუალურია შრომის ბაზრის ინსტიტუტებისა და მისი ადეკვატური ინფრასტრუქტურის, ეფექტიანად მომუშავე დასაქმების პოლიტიკის გამტარებლების შექმნა და განვითარება.

Problems of Unemployment and the ways of its solution

Many years the labor market is the country's economic policy concern. High unemployment, lack of working places, overtimes is the main topic of discussion. Georgian labor market is way behind of the requirements. Labor legislation, advanced training centers and trades-unions are not working properly and workers can not gratify western standards.

Giorgi Tsintsadze

Проблеми безработицы и пути рещении

Многие годы рынок труда наибольшая проблема для Грузии. высокая чесло безработыци, недостаток рабочых мест главная тема дискуссии. Рынок труда Грузии не соответствует западным стандартам, трудавои закон и профсаюзы не работаиют компетентно.

Гиорги Цинцадзе

ციცი ნაპირელი
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორანტი

უაკ (UDC) 616.31+616.311.2-002
ნ - 263

პაროდონტოქსი სტომატოლოგიაში გავრცელებული პათოლოგია

თანამედროვე პაროდონტოლოგია სტომატოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მეტად გავრცელებული პათოლოგიაა კარიესის შემდეგ. პაროდონტი იმ ქსოვილთა კომპლექსია, რომლებიც გარს ეკვრის კბილს და კბილს კბილბუდეში აფიქსირებს. ეს კომპლექსი მოიცავს ღრძილს, კბილბუდის ძვლოვან ქსოვილს, პერიოდონტს (შემაერთებელქსოვილოვანი ბოჭკოების კომპლექსი, რომელიც კბილს კბილბუდის ძვალთან აკავშირებს) და კბილთაშუა ძგიდეს. იგი ოცამდე დაავადებას მოიცავს, რომელთა შორის ყველაზე ფართოდ გინგივიტი, პაროდონტიტი და პაროდონტოზია გავრცელებული. ამ დაავადებების დროს ირღვევა პაროდონტის ფუნქცია რის გამოც ზრდასრულმა ადამიანმა შესაძლოა ჯანმრთელი კბილებიც კი დაკარგოს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, დღესდღეობით პაროდონტოლოგიური პრობლემები მოსახლეობის დაახლოებით 90–95%–ს აწუხებს ამასთან გინგივიტი დაახლოებით 10% აღენიშნება, პაროდონტოზი–15%–ს, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ესა თუ ის დაავადება–დაახლოებით 10%–ს დანარჩენი 65% კი პაროდონტიტის წილად მოდის. ეს მაჩვენებლები ცხადყოფს, რაოდენ აქტიური პრობლემაა პაროდონტიტი. ექიმის მეთვალყურეობის გარეშე დარჩენილი, არა ნამკურნალევი ეს დაავადება მეტად მძიმე შედეგებს იწვევს.

პაროდონტიტი პაროდონტის ანუ კბილის ირგვლივი ქსოვილების ანთებაა, პაროდინტიტის გამომწვევი უამრავი ფაქტორი არსებობს რის გამოც მულტიფაქტორულ დაავადებას უწოდებენ, მის მიზეზთა შორის აღსანიშნავია გენეტიკური ფაქტორი რომელიც დაახლოებით 30%-ს შემთხვევაში ვლინდება; პირის ღრუს არასრულფასოვანი ჰიგიენა; არასათანადო კვება ვიტამინების და მინერალების დეფიციტი; სტრესი, ორგანიზმის იმუნიტეტის დაქვეითება ცხელი და მწარე საკვების სისტემატიური მიღება; საჭმლის განსაზღვრული სტრუქტურა-მაგარისგან განსხვავებით, რბილი საკვები ვერ უზრუნველყოფს კბილის სათანადო წმენდას დაღეჭვისას კბილზე ნორმალურ დატვირთვას. ეს კი თავის მხრივ შესაძლოა პაროდონტიტის განვითარების მიზეზად იქცეს.

მავნე ჩვევა, კერძოდ საკვების ღეჭვა ყბის მხოლოდ ცალ მხარეს- ეს იწვევს ყბის ფუნქციურ გადატვირთვას და პაროდონტიტის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება;

ნეგატიური ეკოლოგიური გარემო; თამბაქოს მოხმარება: დიდი რაოდენობით ანტიბაქტერიული და სტრესული პრეპატრატების მიღება; ქრონიკული დაავადებები; რაც შეეხება ადგილობრივ ფაქტორებს; კბილის მიკრობული ბალთა, კბილის ქვა, არასწორად გაკეთებული ბჯენი და ორთოპედიული კონსტრუქცია, კარიესული ღრუები კბილის შემხებ ზედაპირზე და კბილის ყელის მიდამოში, თანკბილვისა და ცალკეული კბილების დგომის ანომალია და სხვა მუდმივი გამაღიზიანებლები რომლებიც პაროდონტის ანთებას იწვევს და პაროდონტიტის მიმდინარეობას ამცირებს.

მოგეხსენებათ, პირის ღრუს მდგომარეობა მთელ ორგანიზმში, მის ცალკეულ ორგანოებსა თუ ორგანოთა სისტემებში მიმდინარე პროცესების ანარეკლია. აქედან გამომდინარე, არ უნდა გამოვრიცხოთ პაროდონტის კავშირი შინაგანი ორგანოების დაავადებებთან, ნივთიერებათა ცვლის ამა თუ იმ დარღვევასთან, შაქრიან დიაბეტთან, გასტროენტეროლოგიურ, გულ-სისძარღვთა სისტემის ფარისებლი ჯირკვლის და ონკოლოგიური დაავადებები. ზოგიერთმა ზემოთ აღნიშნულმა დაავადებამ შეიძლება დაამძიმოს პაროდონტის დაავადება ან პირიქით იყოს მისი მიზეზი.

პაროდონტი ხშირად ჭარბი პროდუციის ფონზე ვითარდება, მაგალითად ორსულობის პერიოდში, რაც განპირობებულია ორგანიზმში მიმდინარე ჰორმონული ცვლილებებით ამ უკანასკნელთა შედეგად კბილზე არსებულ ნადებში პათოლოგიური მიკროორგანიზმების რაოდენობა იმატებს. რის შედეგადაც პირის ღრუში ანთებითი პროცესი ღვივდება და ამის შედეგად ხდება მათი დესტრუქცია და ინფექცია სისხლში ხვდება.

ევროპის ადამიანის რეპროდუქციის და ემბრიოლოგიის საზოგადოების ყოველწლიურ შეხვედრაზე პროფესორმა როჯერ ჰარტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პაროდონტის დაავადება ისეთივე გავლენას ახდენს ქალთა ნაყოფიერებაზე როგორც სიმსუქნე. ავსტრიაში ამ თემაზე ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ იმ ქალებს რომლებსაც

ღრძილების დაავადება აწუხებთ, საშუალოდ შვიდი თვე სჭირდებათ დაორსულებისთვის. ორსულებში პაროდონტიტის მკურნალობის მიზანია როგორც კბილის ნადების წარმოქმნის კონტროლი, ასევე საზოგადოდ ინფექციური პროცესების შემცირება პირის ღრუში.

კბილის მიკრობული ბალთა ანუ ბაქტერიული ნადები ანთების განვითარების პირველადი ეტიოლოგიური (გამომწვევი) ფაქტორია. მაში გროვდება მავნე ბაქტერიები რომლებიც ღრძილების ანთებას იწვევენ. ანთება ორგანიზმის დამცველობითი რეაქციაა, რომლის მიზანიც არის მავნე ზეგავლენის მოცილება. ანთებას იწვევენ ბაქტერიები, ცვლის პროდუქტების სახით ისინი გამოყოფენ მჟავას (ტოქსინებს) და იმუნურ სისტემაზე მოქმედ სხვა ნივთიერებებს. რომლებიც აღიზიანებენ ღრძილის ქსოვილებს, იწვევენ მათ სიწითლეს, ტკივილს, სისხლდენას და კბილის ირგვლივ მდებარე ღრძილის იოგებისა და ძვლოვანი ქსოვილის დაშლას. მაშასადამე ყველაფერი კბილის ნადებისგან იწყება. ის გროვდება კბილის ზედაპირზე და ნერწყვთან ურთიერთობისას შეიძება გადაიქცეს კბილის ქვად, რომელიც აღწევს ღრძილსა და კბილის ზედაპირს შორის სივრცეში, რის გამოც ჩნდება ე.წ. კბილ-ღრძილოვანი ჯიბეები.

როდესაც ანთებითი პროცესი მოიცავს მხოლოდ პაროდონტის ქსოვილების ზედაპირულ ფენას (ღრძილის დვრილოვან ნაწილს ძვლამდე არ მისულს)ეწოდება გინგივიტი. ეს დაავადება ხასიათდება დიდი რაოდენობით ნადების დაგროვებით კბილის ზედაპირზე, სხვადასხვა ხასიათის შეშუპებით, ღრძილებიდან სისხლდენით(მაგარი საკვებისას ან კბილის წმენდის დროს), ღრძილის კიდის სიწითლით და პირიდან უსიამოვნო სუნით. ტკივილი გინგივიტს არ ახასიათებს. არსებობს გინგივიტის სხვადასხვა ფორმა, ჰორმონდამოკიდებული, მწვავე წყლულოვანი-ნეკროზული, დესქვამაციური, პრეპარატ დამოკიდებული და სისტემურ დაავადებებთან დაკავშირებული. იგი შექცევადი დაავადებაა, თუ დიდხანს დავტოვებთ უყურადღებოდ და სათანადო მკურნალობის არ ჩატარების შემთხვევაში თანდათან დგება დაავადების მეორე სტადია პაროდონტიტი.

პაროდონტიტი გინგივიტისგან განსხვავებით უფრო გართულებული ფორმაა, ანთებითი პროცესი მოიცავს როგორც ღრძილს ასევე კბილის დამჭერ ძვლოვან ქსოვილს, ეს დაავადება ქრონიკულია პერიოდულად გამწვავება ახასიათებს. ხასიათდება ღრძილის კონტურის შეცვლით, შეშუპებით და გაწითლებით, კბილ-ღრძილის სიღრმის გაზრდით, მოგვიანებით კბილის ფესვის გაშიშვლებით, კბილის მორყევით და ცხელსა და ცივზე ძლიერი მგრძნობელობით. შედეგი როგორც ზემოთ ავღნიშნეთ შესაძლოა იყოს ჯანმრთელი კბილების დაკარგვა.

არსებობს აგრეთვე მოზარდთა პაროდონტიტი რომელიც იუვენილური პაროდონტიტის სახელით არის ცნობილი. სამწუხაროდ, დაავადება 10-13 წლის მოზარდებშიც გვხვდება. ამ ფორმის პაროდონტიტისთვის დამახასიათებელია პაროდონტის ინტენსიური დაზიანება და ძვლოვანი ქსოვილის პროგრესირებადი დესტრუქცია (დაშლა). იუვენილური პაროდონტიტიც შეიძლება იყოს ლოკალური და გენერალიზებული. მოზარდთა ლოკალური პაროდონტიტის კლინიკურ სურათს ახასიათებს პაროდონტის ქსოვილის დაზიანება ეშვებისა და პირველი მოლარის (მეექვსე კბილი) მიდამოში. თუ სათანადო მკურნალობა არ ჩატარდა, დაავადება პროგრესირებას განაგრძობს და ლოკალური იუვენილური პაროდონტიტი შესაძლოა გენერალიზირებულ ფორმაში გადაიზარდოს. საბედნიეროდ, გენერალიზირებული ფორმა ძალიან იშვიათია. მოზარდთა პაროდონტიტის დროს ძვლოვან ქსოვილში ანთებითი პროცესები სუსტად ან საერთოდ არ ვლინდება. კბილზე არსებული ნადები და ქვა არ არის განპირობებული პაროდონტში მიმდინარე დესტრუქციული ცვლილებებით. კლინიკურად ჯამრთელი პაროდონტის მქონე მოზარდ პაციენტს აუცილებელია ჩაუტარდეს ზონდირება ღრძილის დვრილის, ეშვისა და მოლარების მიდამოში. დროულად ჩატარებული მკურნალობა შესაძლოს ხდის, დაავადების მიმდინარეობა კეთილსაიმედო გახდეს. დაავადების გამომწვევია Actinobacillus Actinomycetes comitans. ეს დაავადება უმეტესად იმ ბავშვებს ემართებათ რომელთა მშობლები ამ მიკროორგანიზმების მატარებლები არიან. დაავადების პროგრესირება განპირობებულია ამ მიკროორგანიზმების თვისებით, დათრგუნოს ლეიკოციტების ქემოტაქსისი (მოზიდვა) რის გამოც ანტისხეულები აღარ გამომუშავდება.

პაროდონტის ძირითადი ნიშნებია; ღრძილებიდან სისხლდენა ჰიპერემიური (გაწითლებული), შესიებული და მგრძნობიარე ღრძილები; ღრძილებისა და კბილების დაშორება (ღრძილები კბილის ზედაპირს მჭიდროდ აღარ ეკვრის); სივრცის გაჩენა კბილებს შორის; კბილების მორყევა, გადაადგილება; კბილებზე ქვებისა და ნადების არსებობა; უსიამოვნო სუნი პირის ღრუში.

სიმძიმის მიხედვით პაროდონტიტი შეიძლება იყოს მსუბუქი, საშუალო და მძიმე. სხვადასხვა სიმძიმის ფორმის დროს ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები სხვადასხვა ხასიათით არის გამოხატული. ღრძილებიდან სისხლდენა კბილების გამოხეხვის დროს, უსიამოვნო სუნი და შეერძნებები პირის ღრუში შესაძლო მსუბუქ პაროდონტიტზე მიანიშნებდეს; საშუალო და მძიმე ფორმების დროს, ზემოთ აღნიშნულთან ერთად შესაძლოა თავი იჩინოს თვითნებურმა ტკივილმა, ღრძილებზე პერიოდულად გაჩნდეს ჩირქგროვები, განვითარდეს ჩირქდენა.

დათვალიერებისას ყველაზე მნიშვნელვანია ღრძილების გამოკვლევა, მათი ფერი ნორმალურ მდგომარეობაში ღრძილი ვარდისფერია, მწვავე ანთების დროს მკვეთრი წითელი, ფერმკრთალია ანემიისს კერატოზების მოლურჯო-ქრონიკული ანთებითი პროცესების, დიაბეტის დროს. ნორმაში ღრძილი მკვრივია და მჭიდროდ ეკვრის კბილს, დაავადების დროს ფაშარი და შეშუპებული ან პირიქით ზადმეტად გათხელებული. პაროდონტის დროს გამოკვლევის ქვაკუთხედია პაროდონტალური ჯიბის სიღრმის განსაზღვრა. პაროდონტალური ჯიბე წარმოიქმნება კბილ-ღრძილის შეერთთების დარღვევის პაროდონტის შემაერთებელი ქსოვილის დესტრუქციის შედეგად. სწორად პაროდონტალური ჯიბის სიღრმეა უმთავრესი

კრიტერიუმი პაროდონტიტიას დიაგნოსტიკაში. ჯიბის სიღრმე განისაზღვრება თითოეული კბილის ოთხივე მხარეს, სპეციალური პაროდონტოლოგიური ზონდით, პათოლოგიური ჯიბე შეიძლება იყოს 3მმ (მსუბუქი ფორმა), 3-5მმ (სასშუალო ფორმა), და 7მმ (მძიმე ფორმა) ზომის. პირველ შემთხვევაში სისხლი იშვიათად ჩნდება, მეორე შემთხვევაში-ჩნდება კბილების წმენდის დროს, მესამე შემთხვევაში ჩნდება ჭამის დროს და სპონტანურად.

კბილის მორყევის ხარისხი ასევე პაროდონტიტის სიმძიმის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

განსაზღვრავენ კბილის მორყევის ოთხ ხარისხს;

I ხარისხი- კბილის რყევა არაუმეტესი 1მმ ამპლიტუდით ერთი-ვესტიბულური მიმართულებით;

II ხარისხი- კბილის რყევა 1-2მმ-ზე ორი-ვესტიბულური და მედიალური მიმართულებით;

III ხარისხი- ზემოთ ჩამოთვლილის გარდა კბილი მოძრაობს ვერტილალური მიმართულებითაც;

IV ხარისხი- ზემოთ აღნიშნულ დარღვევებს ემატება კბილის ბრუნვითი გადაადგილება.

პაროდონტის დამატებითი გამოკვლევების მიეკუთვნება ვიზიოგრაფია, ორთოპანთომოგრამა, რის საშუალებითაც ხდება ძლოვან ქსოვილში ცვლილებების შეფასება. კლინიკური მეთოდით უნდა მოხდეს პირის ღრუს ნაცხის აღება. განისაზღვროს მიკროფლორა. დაავადების დიაგნოსტიკა და მედიკამენტური სამჯურნალო საშუალებების ასარჩევად. დიდი მნიშვნელობა ენიჭება პაროდონტალურ ჯიბეში პათოლოგიური მიკროფლორის შემადგენლობის დადგნას. შედგეს ანტიბიოტიკოგრამა მით უმეტეს. რომ თბილისში არსებული ბაქტერიოფაგის წყალობით საამკურნალოდ შესაბამისი ფაგების გამოყენებაც შესაძლებელია.

პაროდონტიტი და პაროდონტოზი ხშირად ერევათ ერთმანეთში. ეს ორი პათოლოგია მიზეზებითა და მიმდინარეობით ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდება. პაროდონტოზი გენერალიზებული ხასიათისაა რაც იმას ნიშნავს, რომ პროცესში მთელი ყბაა ჩართული და არა რომელიმე განსაზღვრული მონაკვეთი, როგორც ეს პაროდონტიტს ახასიათებს. პაროდონტოზის მთავარი ნიშანია ჰიპერესთეზია- მომატებული მგრძნობელობა, რომლის დროსაც ღრძილი თითქმის არ იცვლება და ბაცი ვარდისფერია, პაროდონტიტის ძირითადი კლინიკური მახასიათებელია კბილ-ღრძილის გარეგნული ცვლილება, სისხლდენა და მოგვიანებით ჩირქოვანი გამონადენი.

პაროდონტოზს საფუძვლად მიიჩნევენ ნერვულ დისტროფიულ პროცესს, რომელიც ზოგად ენდოკრიულ (შინაგან) ფაქტორთან არის დაკავშირებული, მის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს გულ—სისხლძარღვთა დაავადებები ასაკთან დაკავშირებული მომატებული ცვლილებები, მაგრამ პაროდონტოზის უშუალო მიზეზი ჯერ კიდევ დაუდგენელია. პაროდონტოზის დროს; ღრძილი ვარდისფერია, მკვრივი არა აქვს ნადების ნიშნები; კბილის ყელი და ფესვი გაშიშვლებულია ღრძილის დეტრაქციის (დაწევის, შეკუმშვის) შედეგად; მომატებული კბილების მგრძნობელობა; კბილი მდგრადია; პროცესს ხშირად ერთვის კბილის არაკარიესული დაავადებები (ეროზია, სოლისებრი დეფექტი, ცვეთა); შეიმჩნევა კბილის ატროფია კბილებს შორის მოჩანს თავისუფალი სივრცეები შიშვლდება კბილის ყელი, რაც ზრდის მათ მგრძნობელობას, ამ დროს პაციენტები სწორედ მგრძნობელობის მომატებას და ღრძილებში ქავილის შეგრძნებას უჩივიან.

მიმდინარეობის მიხედვით განასხვავებენ პაროდონტოზის მსუბუქ, საშუალო და მძიმე ფორმებს. მსუბუქ ფორმას ახასიათებს კბილის მესამედის გაშიშვლება. საშუალო და მძიმე ფორმების დროს ცვლილებები კბილის ნახევარს მოიცავს. ძვლოვანი ქსოვილის ატროფიის გამო რა სამწუხაროც არ უნდა იყოს, პაროდონტიტის და პაროდონტოზის მკურნალობის გარეშე კბილები ირყევა და თანდათან ცვივა. ერთიორად გულსატკენია როდესაც ამ პროცესს საყრდენის გარეშე დარჩენილი მაგრამ საღი დაუზიანებელი კბილები ეწირება .

ისევე როგორც ნებისმიერი სხვა დაავადების დროს, პაროდონტის დაავადების შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია ექიმთან დროულად მისვლა. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, პაროდონტიიტს წინ უზღვის გინგივიტი- მხოლოდ ღრძილის ანთება. სათანადო ჰიგიენური პროცედურების (სწორი ხეხვა, კბილის ძაფის და სავლების გამოყენება) შედეგად გინგივიტი უკუ განვითარდეს.

პაროდონტის დაავადებათა მკურნალობა კომპლექსურად უნდა ჩატარდეს. მკურნალობის მეთოდი ინდივიდუალურად დაავადების სტადიიდან გამომდინარე, გართულების ხასიათისა და ორგანიზმის ზოგადი მდგომარეობის გათვალისწინებით შეირჩევა. ექიმის ამოცანაა პროცესის შეჩერება, კბილების შენარჩუნება და საღეჭი აპარატის ფუნქციური მდგომარეობის ნორმალიზება. კომპლექსურობაში იგულისხმება: ადგილობრივი და ზოგადი მკურნალობის ერთობლიობა. ზოგადი მკურნალობა მოიცავს სომატური პათოლოგიების მკურნალობას ანთების საწინააღმდეგო მასტიმულირებელ და ზოგად განმაჯანსაღებელ თერაპიას ადგილობრივი მკურნალობა ითვალისწინებს ადგილობრივი გამღიზიანებლის- არასწორად გაკეთებული ბჯენისა და ორთოპედიული კონსტრუქციების მოცილებას, თანკბილვის ანომალიების გამოსწორებას, პირის ღრუს მოვლის სწავლებას, კბილის ნადებისგან ღრძილზე და ღრძილქვედა ქვების მოცილება ვექტორის აპარატით. ამის შემდეგ ტარდება ლოკალური პროცედურები, მალამოების აპლიკაცია, ამა თუ იმ მედიკამენტების შეყვანა შესაბამის პათოლოგიურ პაროდონტულ ჯიბეში ვექტორის აპარატით რაც საშუალებას გვაძლევს უმტკივნეულოდ და ანესთეზიის გარეშე ჩატარდეს მომატებულ მგრძნობელობის მქონე პაციენტებში და რაც მთავარია ლაზერო-თერაპია. თანამედროვე დიოდური ლაზერი პაროდონტის მკურნალობისას ინოვაციურ მეთოდს წარმოადგენს, "ლაზერი" ეს არის აბრევიატურაა ხუთი ინგლისური სიტყვისა- Light Ampification by Stimulated Emisson of Rediation, რაც ნიშნავს "სინათლის გაძლიერებას იძულებითი გამოსხივებით" მისი უპირატესობა და უსაფრთხოება შემდეგში მდგომარეობს. მისი წყალობით პათოლოგიური ჯიბის აბსოლუტური სტერილიზაცია მიიღწევა, იმის გარდა რომ ანთების გამომწვევი ბაქტერიები იღუპება, სცილდება გრანულაციური ქსოვილიც, ლაზერის სხივის თერაპიული ეფექტი მხოლოდ ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით არ

გამოიხატება არამედ სისხლის მიმოქცევის გაუმჯობისებითა და ქსოვილთა რეგენერაციის (განახლების) სტიმულირებითაც ლაზერო თერაპიის სეანსის შემდეგ ლორწოვანი გარსი მჭიდროდ ეკვრის კბილს, კბილის ირგვლივი ქსოვილები საგრძნობლად მყარდება. მკურნალობის ეს მეთოდი სტომატოლოგიის ფართო სპექტრს მოიცავს. წარმატებით გამოიყენება ქირურგიაშიც. მისი წყალობით შესაძლოა, მარტივად და უმტკივნეულოდ განხორციელდეს პაროდონტოპლასტიკა. ლაზერული სტომატოლოგია სრულიად უმტკივნეულო და უსაფრთხოა, მით უმეტეს რომ მკურნალობის ამ მეთოდს უკუჩვენება არ გააჩნია, ნებადართულია როგორც ორსულებისთვის ასევე ონკოლოგიური პაციენტებისთვის, იგი უმტკივნეულოა და არ საჭიროებს ანესთეზიას, არ ახლავს გართულებები, მოკლე ხანში იძლევა შესამჩნევ ეფექტს. ლაზერით მკურნალობის ერთადერთ მინუსად შეიძლება ჩაითვალოს მისი სიძვირე ტრადიციულ მკურნალობასთან შედარებით, თუმცა მკურნალობის შედეგები ამართლებს გაწეულ ხარჯს.

პაროდონტის დაავადებათა მკურნალობაში უდიდესი წვლილი შეაქვს თავად პაციენტს. დიდი მნიშვნელობა აქვს მის მონდომებას, ექიმის დანიშნულების ზედმიწევნით შესრულებას, რაც ბევრად არის დამოკიდებული საბოლოო შედეგზე.

პაროდონტის დაავადებათა პროფილაქტიკა ზოგად სამედიცინო პროფილაქტიკის ნაწილია. მასში შედის სტრესული ფაქტორების გავლენის შემცირება, პაროდონტის ქსოვილების გამაღიზიანებელი ადგილობრივი ფაქტორების მოცილება, ჰიგიენა, რაციონალური კვება. პროფილაქტიკა მუცლად ყოფნის პერიოდიდანვე უნდა იწყებოდეს რადგანაც, დედის ჯანმრთელობაზე ზრუნვა ჯანმრთელი ბავშვის დაბადების საწინდარია. ორსულობის დროს აუცილებელია სტომატოლოგთან მინიმუმ სამი ვიზიტი.: ორსულობის დადგენისთანავე, ორსულობის მეორე ნახევარში და მშობიარობის წინ.

ასე რომ, თუ ადამიანს აწუხებს სისხლდენა ღრძილებიდან (გახეხვის ან ჩაკბეჩის დროს) უსიამოვნო სუნი პირის ღრიდან, ნადები კბილებზე, ღრძილების დაწითლება, შესიება, კბილის ყელის გაშიშვლება და სხვა სიმპტომები აღენიშნება პირის ღრუში აუცილებელია დაუყოვნებლივ მივმართოთ სტომატოლოგს. კონსულტაციისთვის კი სასურველია წელიწადში ორჯერ ვიზიტი სტომატოლოგთან რათა შევინარჩუნოთ ჯანსაღი კბილები.

Parodontox in modern dentistry is one of the most widespread pathology

Summary

Parodontox in modern dentistry is one of the most important and widespread pathology after caries.It covers around 20 diseases.most common is gingivitis,parodontitis and parodontozy.during those diseases the function of parodonty is abolished and grown up person can loose healthy teeth.

Cici Napireli

Пародонтокс широко распространенная патология в стоматологии

Резюме

Пародонтокс широко распространенная патология в стоматологии.после кариеса Он покрывает 20 заболевании. самыие распрастраненные гингивит, пародонтитис и пародонтология, во времья которого человек может потериять зубы

Цици Напирели

ნინო ბაკურაძე

უაკ (UDC) 616.12-009.72
ბ - 197

სტენოკარდია

სტენოკარდია (გულმკერდის ანგინა) მიოკარდიუმის გარდამავალი იშემიით გამოწვეული კლინიკური სინდრომია, რომელსაც გულმკერდის, ან უფრო იშვიათად სხეულის ზემო ნახევარში შეტევითი ხასიათის დისკომფორტის (მოჭერის, ზეწოლის, სიმხურვალის) შეგრძნება ახასიათებს. შეტევა გრძელდება ხანმოკლე დროის განმავლობაში და არ იწვევს მიოკარდიუმის ნეკროზს. გამოყოფენ სტენოკარდიის შემდეგ ფორმებს:

--დაძაბვის სტენოკარდია. --მოსვენებითი სტენოკარდია. --არასტაბილური სტენოკარდია

რისკ-ფაქტორებს წარმოადგენს: ჰიპერლიპიდემია; არტერიული ჰიპერტენზია; შაქრიანი დიაბეტი, გენეტიკური მიდრეკილება, მაღალკალორიული ცხიმიანი საკვები, ჰიპოდინამია, ჭარბი წონა, თამბაქოს მოწევა, ასაკი, სექსი, (მამაკაცებში, ქალებთან შედარებით ვითარდება 5 ჯერ უფრო ხშირად) მეტეოროლოგიური პირობების მკვეთრი ცვლილება, ქალაქად ცხოვრება.

კლინიკურად გამოვლინდება: შეტევითი ხასიათის ტკივილი გულის არეში, რომელიც ფიზიკური და ემოციური დატვირთვის შედეგად ვითარდება. ხშირად მისი ხანგრძლივობა 15 წუთს არ აღემატება. თუ შეტევა 30 წუთამდე გაგრძელდა, ეჭვი უნდა მივიტანოთ მიოკარდიუმის ინფარქტზე. დისკომფორტი შეიძლება განვითარდეს მხრის, ეპიგასტრიუმის, ბეჭის, კისრის, ყბის არეში.

ტიპიურად შეიძლება გამოვლინდეს: ქოშინი ფიზიკური დატვირთვის დროს, ტკივილი ატიპიურ ზონაში(კისერი, კბილი, ყური, ეპიგასტრუმი და სხვა)

სტენოკარდიული შეტევის მაპროვოცირებელი ფაქტორებია: -ფიზიკური დატვირთვა (კიბეზე ასვლა, აღმართის ავლა, სქესობრივი კავშირი) -ემოცია. -ჭარბი კვება. -ცივ საწოლში წოლა. -ცივ ამინდში გარეთ გასვლა. -ცივი შხაპის მიღება, ცივ წყალში ბანაობა.

ავადმყოფთა 50-70% ს შეტევათა შორის ნათელ პერიოდში ელექროკარდიოგრამა შეუცვლელი აქვს. მხოლოდ ტკივილისა და ფიზიკური დატვირთვის ფონზე გადაღებული ე.კ.გ. 50%-ში ასახავს მიოკარდიუმის იშემიისათვის დამახასიათებელ ცვლილებებს. პირველადი თერაპიისათვის ყველა ავადმყოფისათვის რეკომენდირებულია ნიტროგლიცერინის ჩადება ენისქვეშ, ასპირინი და ბ ადრენობლოკატორები (თუ არ არის უკუჩვენება). თუ ქოლესტერინის დონის მოწესრიგება დიეტით ვერ ხერხდება, გამოიყენება ქოლესტერინის დონის დამარეგულირებელი საშუალებები.

Stenocardy

Mokardiumis transient ischemia-induced angina pectoris is a clinical syndrome characterized by discomfort in his chest and offensive. Attack lasts a short period of time.

Nino Bakuradze

Стенокардия

Стенокардия является клиническим синдромом переходящей миокардиньои ишемии и характеризуется наступлением дискомфорта в грудьнои облости. (боль, схватка, ижжога). Схватка длится некороткий период времени.

Нино Бакурадзе

მადონა ნიჟარაძე
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

უაკ (UDC) 37(479.22)
ნ - 686

ვაჟა-ფშაველა ხალხთა განათლებისა და მოძრავი სკოლების შესახებ

თავისი შინაარსითა და დანიშნულებით მეტად მნიშვნელოვანია ვაჟა-ფშაველას პირადი წერილები, კერძო პირებისა და სხვადასხვა ორგანიზაციებისადმი მიმართული. ისინი ნათლად წარმოგვიჩენენ მწერლის პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებას, ახასიათებენ ვაჟას როგორც მწერალს, მოქალაქესა და სახალხო მასწავლებელს. ამ წერილებით იხსნება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი მუშაობის ნიუანსები, თხზულებების გამოცემასთან დაკავშირებული წინააღმდეგობები თუ თანადგომა, მწერლის ცხოვრებისეული გაჭირვება თუ დალხინება.

ვაჟა-ფშაველას პირადი წერილების დიდი ნაწილი ეხება უშუალოდ სწავლა-აღზრდის საკითხებს, კერძოდ, არსებული სასწავლო პროცესების გაუმჯობესებას XIX საუკუნის ბოლო მეხუთედის მაღალმთიანი საქართველოს სოფლების სკოლებში.

ვაჟა-ფშაველას ავტობიოგრაფიულ წერილში „ჩემი წუთისოფელი“ ჩანს დიდი მწერლის დამოკიდებულება სწავლისა და ცოდნის მიმართ. ამ სტატიაში პოეტი ხაზგასმით მიუთითებს, რომ დედამისი წერა-კითხვის უცოდინარი, მაგრამ ზეპირი გზით განათლებული და ნიჭიერი ქალი ყოფილა, ხოლო მამა – პავლე რაზიკაშვილი, თვითნასწავლი, წერა-კითხვის მცოდნე, წიგნის მოყვარული ადამიანი, თუმცა, ოფიციალურად, მას სკოლაში არასოდეს უვლია და აქედან გამომდინარე, არც უსწავლია იქ. მწერალი იგონებს: „მამა-ჩემს სკოლა თვალით არ ენახა, „ანბანი“ მწყემსობაში შაესწავლა ჩუმად, ქურდულად, რადგან დედ-მამა უშლიდა თურმე სწავლას. მამა თოფით დასდევდა მოსაკლავად, სწავლა ეშმაკისეული საქმეაო, მაგრამ მამა-ჩემი თურმე თავისას არ იშლიდა, განაგრძობდა სწავლას, სწერდა სიპ ქვებზე, რაიც ფშავის ხევში მრავალია. ქაღალდს ვინ აღირსებდა ან კი? ფშავის ხევს იმ დროს ხევისბერები და მკითხავ-ქადაგები განაგებდნენ, თემთა ბატონ- პატრონნი ისინი იყვნენ, მთელი ხალხი მუჭაში ეჭირათ და საითაც უნდოდათ, იქეთკენ უზამდნენ თავს, რამდენიც ჰსურდათ, იმდენ ხარჯს შეაწერდნენ ხატის სასარგებლოდ, რომელიც ბოლოს იმათ ჯიბეს და კალთას არ ასცდებოდა, მამა-ჩემის სწავლა იმათ არ ეპიტნავებოდა, რადგან მათთვის სასარგებლოს ეს სწავლა არას მოასწავებდა და საზიანოს კი ბევრს “ (ვაჟა-ფშაველა,თხზულებები, 1953წ, გვ.327).

ვაჟამ წერა-კითხვა მამისგან ისწავლა, ასევე დედ-მამისგან მიიღო ცოდნა ძველი საისტორიო ამბებისა და წინაპართა გმირული თავგადასავლების შესახებ, 8 წლისა კი თელავის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. როგორც თავად აღნიშნავს, სასწავლებელში ყოფნამ მის გულსა და გონებას ვერაფერი შეჰმატა. „ჩემს ფანტაზიას, გონების მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა ლათინური და ბერძნული ფრაზების ზეპირობა, უვარგისი სისტემა სწავლისა ვერ აკმაყოფილებდა ჩემს ცნობისმოყვარეობას, ვერ აწვდიდა ნოყიერს საზრდოს. იძულებული ვიყავი მიმემართნა სხვადასხვა წიგნებისათვის, რაც ძნელი საშოვარი აღმოჩნდა“ (იქვე, გვ.328).

ვაჟა-ფშაველას აზრით, მაშინდელი სკოლა იყო საპყრობილე და მოსწავლეებს მისი ბრჭყალებისაგან თავის დაღწევა ენატრებოდათ. იმავე სტატიაში „ჩემი წუთისოფელი“ მწერალი წერს: „დიდად უბედურია ის მასწავლებელი, რომელიც სკოლას საპყრობილედ გადააქცევს, მით უმეტეს უბედურები არიან ისინი, ვინც ამ საპყრობილეში დაუმწყვდევიათ აღზრდა-განათლების სახელით“ (იქვე, გვ.328).

პოეტი თავის აზრს მაშინდელი სწავლის სისტემაზე ასე აყალიბებს: „ალბათ ჰგრძნობდნენ თვით აღმზრდელნიც ძველებური აღზრდის სიმკაცრეს, რომ ქართველებს ასე უთქვამთ: „სწავლისა ძირი მწარეა, ხოლო წვერში გატკბილდებაო“. ვინ იცის, ქართველებისგან არის ეს ნათქვამი, თუ რუსებისგან შეისწავლეს: „უჩენიე-მუჩენიე, ა პლოდი ეგო სლადკიე“ (სწავლა ტანჯვაა, ხოლო ნაყოფი მისი ტკბილი არისო).ნუთუ მუდამ სწავლა ტანჯვად უნდა წარმოვიდგინოთ და არ შემუშავდება ისეთი წესები, რომ სიამოვნებად გადაიქცეს იგი?“ (იქვე, გვ. 328).

უმაღლესი განათლება ვაჟა-ფშაველამ პეტერბურგში მიიღო. სამშობლოში დაბრუნებულმა პოეტმა სამწერლო მოღვაწეობასთან ერთად მასწავლებლობაც დაიწყო. ასწავლიდა თავის

მშობლიური ფშავის სოფლებში და განსხვავებით ძველი, მკაცრი, აღზრდის რეჟიმისაგან ყმაწვილ ქალებსა და ვაჟებს ტკბილად ექცეოდა, ყოველნაირად უადვილებდა სწავლის პროცესს, ეხმარებოდა სასწავლო ნივთების მოძიება-მოგროვებაში.

1882 წლის 9 ოქტომბრამდეა გაგზავნილი ვაჟას წერილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობისადმი. მწერალი-მასწავლებელი საყვედურს გამოთქვამს კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოების მისამართით, რადგან ეს საზოგადოება გულგრილად ეკიდება მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობას და ვაჟასადმი რწმუნებულ სკოლას არ უგზავნის სახელმძღვანელოებს ქართულ ენაზე. ვაჟა ადრესატისაგან თავისი სკოლისათვის ითხოვს ი. გოგებაშვილის „ბუნების-კარს“ და „დედა-ენას“ რამდენიმე ეგზემპლიარად. ასეთივე მოთხოვნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისადმი ვაჟას მიერ გაგზავნილია რამდენჯერმე სხვადასხვა სკოლებისათვის.მაგ., 1886 წელს (ოქტომბერ-ნოემბერში) იგივე სახელმძღვანელოები და რვეულები, კალმები, დაფები, გრიფელები, მშრალი მელანი და სხვა სასწავლო ნივთები მოითხოვა დიდთონეთის სკოლისათვის, ხოლო 1887 წლის 12 ოქტომბერს ისევ თხოვნით მიმართა იმავე საზოგადოებას და ზემოჩამონათვალ ნივთებთან ერთად ბავშვებისათვის ისურვა „ვეფხისტყაოსანი“.

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ვაჟა-ფშაველა დიდი პასუხისმგებლობით ასრულებდა მასწავლებლის მოვალეობას. მის მიზანს ბავშვებისათვის, წერა-კითხვის სწავლების გარდა, განათლების მიცემაც წარმოადგენდა. თავის მოსწავლეებს თვითონ ურჩევდა წასაკითხ მასალას, წიგნებსაც თვითონვე მოიძიებდა და მათთან ერთად ამუშავებდა.

ვაჟა-ფშაველას აწუხებდა ის გარემოება, რომ ფშავში და. საერთოდ, მთაში, სასოფლო სკოლების რიცხვი მეტად მცირე იყო და ამ სკოლებსაც სხვადასხვა გარემოებათა და მიზეზთა გამო ხშირად აუქმებდნენ. მწერალ-მასწავლებელს არ მოსწონდა ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულება სკოლებისადმი, არ მოსწონდა სკოლებში არსებული რეჟიმი და სწავლების სისტემა. მოხსენებაში, რომელიც ვაჟამ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გაუგზავნა, ნათქვამია: „ჩვენი ეხლანდელი სკოლები, არ ვიტყვი წერა-კითხვას, ანა-ბანას მეტს არაფერს ასწავლიან; დანარჩენი კანტი-კუნტად მიღებული ცოდნა მალე ჰქრება. რაკი სკოლას თავს ანებებენ მოსწავლეები და შეებმიან ცხოვრების უღელში. რიცხვი ამ ანა-ბანის მცოდნეთა ფრიად მცირეა, რომ სკოლები ცოტა მოდის ჩვენის სოფლების რიცხვზე, ასს სოფელზე ერთი სკოლა და. მაშასადამე, რიცხვიც ამ სკოლებში ნასწავლთა, შედარებით საზოგადოდ მცხოვრებთა რიცხვთან. უსათუოდ ნაკლები უნდა იყოს“ (ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, 1990 წ. გვ. 427).

მაშასადამე, ვაჟას დაკვირვებით, „სწავლის სურვილი ბევრ ახალგაზრდას ჰქონდა, მაგრამ სკოლების სიშორის გამო, უფრო ხშირად, ეს შეუძლებელი ხდებოდა.

ვაჟა-ფშაველამ, რომელსაც მართლა შესტკიოდა გული მთაში მცხოვრებ ნიჭიერ ბავშვთა აღზრდა-განათლებაზე, მოიფიქრა სასკოლო სწავლების ახალი სისტემა –მოძრავი სკოლები. „ამ სახით საქმის შეცვლამ არ უნდა შეაშინოს, რადგანაც სხვა ქვეყნების მაგალითმა უნდა გაგვამხნევოს“(იქვე, გვ. 428).

ვაჟას აზრით, ამ ახალ წესზე გადასვლა ერთბაშად არ უნდა მომხდარიყო: არსებული სკოლები უნდა დარჩეს, ხოლო მოძრავი სკოლა ჯერჯერობით ფშავში უნდა გაიხსნას – ამბობდა პოეტი.

1893 წლის 11 დეკემბერს ვაჟას მოხსენება გაუგზავნია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის. აქ დახასიათებულია ბოლო ოცი წლის მანძილზე ფშავში (არაგვის და ივრის ხეობა) სწავლა-განათლების მდგომარეობა. ვაჟა აღნიშნავს, რომ საქართველოს არცერთ კუთხეში არ არის იმოდენი წერა-კითხვის მცოდნე, რამდენიც ფშავშია. წიგნის მოყვარენი უფრო მამაკაცები არიან, ქალები კი იშვიათად სწავლობენ. „იშვიათი შემთხვევაა, ფშავში იპოვოთ წერა-კითხვის მცოდნე მანდილოსანი“– წერს პოეტი. ამის მიზეზად ვაჟა მიიჩნევს სკოლების სიშორეს ან არარსებობას. მწერლის აზრით, საჭიროა, რომ „ფშავში გაიმართოს ერთი მოძრავი სკოლა. თუ ხეირიანი მასწავლებელი ექნა, გაუწევს ექვსი სკოლის სამსახურს“ (იქვე, გვ. 428)..

ვაჟა-ფშაველას პროექტი მოძრავი სკოლის შესახებ ასეთია: მასწავლებელმა უნდა ამოირჩიოს 8 დიდი სოფელი, რომელსაც ირგვლივ წვრილ-წვრილი სოფლები ახვევია . თითო სოფელში მასწავლებელს სამოცამდე მოსწავლე ეყოლება. მასწავლებელი ერთი წლის მანძილზე პერიოდულად ივლის ამ სოფლებში და ახალგაზრდებს ასწავლის ანა-ბანას. „წლის თავზე, თუ ივარგა მასწავლებელმა, ეყოლება იმას „ანა-ბანის“ მცოდნე ოთხასზე მეტი მოწაფე. სხვა რომელი სკოლა შესძლებს ამას ერთი მასწავლებლის მეოხებით?“ (იქვე, გვ. 428).

ასეთია ვაჟა ფშაველას პროექტი ფშავში „მოძრავი სკოლების“ გახსნის შესახებ. მას სწამდა, რომ სამშობლოს წინსვლისა და განვითარებისათვის აუცილებელი იყო ნასწავლი, განათლებული საზოგადოება, ამიტომ მთელ თავის ენერგიას, მწერლობასთან ერთად, მასწავლებლობასაც ახმარდა. იგი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და ზრუნავდა ქართველ ახალგაზრდობაზე, აძლევდა მათ სულიერ საზრდოს და გზას უკაფავდა მომავლისაკენ.

Vazha Pshavela on people's education and portable schools

Associate professor Madonna Nizharadze
Akaki Tsereteli State University

Summary

Vazha Pshavela's personal letters addressed to various individuals and different organizations are of particular importance with their contents and purpose. These letters explain and define separate stages in Vazha's creative work, oppositions and support connected with the publication of his works, his contribution to the process of education and wellbeing of the youth and other.

Most of the writer's private letters concern questions of people's education, namely, improvement of the schooling process existing in the XIX century in the mountainous part of Georgia.

Vazha Pshavela taught in Pshavi himself, that is why he was well aware of the situation. To his mind, the school of those times was like a prison or a place of tortures for pupils, so he tried to relieve the conditions, treated the pupils warmly and helped them to get school things with the help of the literacy-developing society. This society provided Vazha with notebooks, boards, Jacob Gogebashvili's "Deda-ena" and "Bunebis Kari", as well as "The Knight in the Panther's Skin".

There were few schools in Pshavi, but the number of people who wanted to learn how to read and write was great. Vazha thought of a new system of teaching and introduced it to the society – it was using portable schools. At that time this system was used in Turkey. This was probably what he meant when talked about the experiences of other countries.

According to Vazha, the project of the portable school is as follows: a teacher has to choose eight large villages surrounded by smaller ones. In each village there will be about 60 pupils. For a year the teacher will move around these villages giving lessons in writing and reading. By the end of the year he/she will have more than 400 literate young people.

Unfortunately, due to the inattention from tsarist Russia, Vazha was not able to carry out this project.

Важа- Пшавела о просвещении народа и о передвижных школах

Ассоцированный профессор Мадонна Нижарадзе.
Кутаисский государственный университет имени Акакия Церетели

Резюме

По своему содержанию и назначению большое значении имеют личные письма Важа -Пшавела, адресованные частным лицам и отдельным организациям. Эти письма передают отдельные нюансы творческой работы Важа- Пшавела, его бескорыстную заботу о просвещении и благосостоянии молодежи, те сопротивления, с которыми сталкивался писатель при издании своих сочинении.

Большая часть писем писателя посвящена вопросам народного образования, а именно , улучшению учебного процесса в горных школах Грузии в конце XIX столетия. Пшавела сам работал преподавателем в Пшави и хорошо знал ситуацию школ. По его мнению, тогдашняя школа была тюрьмой и страданием для учащихся, и, поэтому, он старался облегчить их положение и относиться к ним тепло. Благодаря поддержки общества-распространителей чтения и письменност Важа- Пшавела помогал учащимся в приобретении учебных принадлежностей: книг, карандашей, букваря Гогебашвили , «Витязь в тигровой шкуре».

В Пшави школ было мал, а желающих научиться чтению и письменности было много. Важа подумал и предложил новую систему обучения, а именно систему подвижной школы. Такая система обучения была принята в Турции и , наверно, на опыт этой страны и опирался Важа-Пшавела. Суть проекта такой школы заключался в следующем: преподаватель должен был выбрать восемь больших деревень, окруженных маленькими селами. В каждой такой деревне набралось бы до 60-ти учащихся, учитель в течение года должен был поочередно посещать деревни и обучать чтению и письму, к концу года таким образом оказалось бы более 400 человек, умеющих читать и писать.

К сожалению, из-за небрежности царской России, этот проект не был реализован.

ლუბა ელიაშვილი
ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა,
ბიზნესის და მართვის ფაკულტეტის დოქტორანტი

უაკ (UDC) 070
ე - 555

კულტურა, რელიგია და ტრადიცია ტელემედიაში

რელიგია, ტრადიცია და კულტურა რომელიც ადამიანის ღირებულებათა ფორმირების ისტორიულად განმაპირობებული შემოქმედი და მწარმოებელია განვითარების ამ ეტაპზე ახალ პარადიგმაში უნდა განვიხილოთ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ბერძენი მკვლევარისა და ფილოსოფოსის ტაკის ფოტოპულოსის მონოგრაფია* რომელშიც მოყვანილია დომინანტური პარადიგმის მისეული განმარტება, როგორც - რწმენების, იდეებისა და შესაბამისი ღირებულებების სისტემა. რომელიც განსაკუთრებულ (კონკრეტულ) საზოგადოებაში განსაკუთრებულ ისტორიულ ხანაში, კონკრეტულ ისტორიულ მომენტში არის დომინანტური.

იგი მიუთითებს, რომ მკვლევარმა საბაზრო ეკონომიკის, კულტურული ელიტებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ურთიერთგავლენის გააზრებისას, უნდა იმსჯელოს ნეოლიბერტარიანული თანხმობის გავლენის შესახებ კულტურის ჰომოგენიზაციის ინტენსიფიკაციაზე, აღწეროს ზოგადად კულტურის ბუნება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში და ასევე იკვლიოს ის სტრატეგიები, რომელიც იწვევს დამკვიდრებული კულტურული ღირებულებების, დემოკრატიული ღირებულების შემცველ(მატარებელ) ინსტიტუტებად გარდაქმნას, ტრანსფორმაციას.

კულტურა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ელიტები რომლებიც განმსაზღვრელი ფაქტორია ადამიანის სოციალიზაციის პროცესში, ისტორიის კონკრეტულ ეტაპზე დომინანტური სოციალური პარადიგმის ჩარჩოში უნდა განვიხილოთ.

იმისათვის რომ განვიხილოთ კულტურის მნიშვნელობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან მიმართებაში აუცილებელია პირველ რიგში დავაზუსტოდ ტერმინები და ცნებები რომლებითაც ვოპერირებთ, ეს საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ გაუგებრობები რონლებსაც ხშირად ვაწყდებით ამგვარი საკითხების გაანალიზების დროს. კულტურა ხშირად განისაზღვრება როგორც ადამიანური ცოდნის, რწმენისა და ქცევის ინტეგრირებული მოდელი. ეს განსაზღვრება საკმაოდ ბევრისმომცველია იმისთვის რომ კულტურის ყველა ძირითადი ასპექტი მოიცვას, როგორიცაა: ენა, იდეები, რწმენები, აკრძალვები, საზღვრები, ტაბუ, კოდექსები, ინსტიტუტები, ინსტრუმენტები, მეთოდები, ხელოვნების ნიმუშები, რიტუალები, ცერემონიები საკულტო და საყოფაცხოვრებო საგნები და ა.შ. -აცხადებენ მედიაველის მკვლევარები.

გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური გარღვევის ეპოქაში ამ ინსტიტუტებმა სრულიად ახალი განსხვავებული ზემოქმედებისა და მანიპულირების მასშტაბები შეიძინეს, ასევე მათ წინაშე სრულიად ახალი გამოწვევები დადგა–როგორ არის შესაძლებები ერთიანი საინფორმაციო-კომუნიკაციური სივრცისა და გლობალური ქსელების პირობებში კულტურული ინტეგრაცია და ამავდროულად ნაციონალური თვითმყოფადობისა და იდენტობის შენარჩუნება?

კანადელი მეცნიერი ჰერბერტ მარშალ მაკლუენი ერთ-ერთ პირველი მედათეორეტიკოსი აღნიშნავს ”ყველა კომუნიკაციის საშუალება მოქმედი მეტაფორაა”, როგორც ნებისმიერი მეტაფორა ისინიც თავიდან სწერენ(ქმნიან) სამყაროს. იყო შემოქმედი, ნიშნავს ფლობდე მეტაფორების ხელოვნებას. მედიის ენა როგორც ნებისმიერი სხვა ენა უბრალოდ ტექნოლოგიაა. თავისი თანამედროვე მოაზროვნებისაგან განსხვავებით მაკლუენს არ დაუყვია კულტურა ”ჭეშმარიტად ” და ”არაჭეშმარიტად” . იგი მშვიდად წერდა მეოცე საუკუნეში გამქრალი ჰუმანისტური იდეალებისა და საყოველთაო განმანათლებლობის დამსხვრეული ილუზიების შესახებ. მასკულტურის ფენომენს კი ამრეზის გარეშე აკვირდებოდა და შეისწავლიდა. ეს ფენომენი განსაკუთრებული ყურადღების ღირსად, მისი შესწავლა კი ძალზე მნიშვნელოვნად მიაჩნდა.

როლან ბარტის წიგნი ”მითოლოგიები” ასევე თანამედროვე მედიის საკითხს ეხება. ბარტმა შემოიტანა ტერმინი ”თანამედროვე მითები”, მისი აზრით, დღევანდელ რეალობაში, მითი კარგავს განმარტებისა და აღწერის ფუნქციას და იძენს იდეოლოგიების შენიღბვის უნარს. ბარტი მიიჩნევდა, რომ ადამიანთა სამყაროში ყველა მოვლენა სოციალურადაა გააზრებული, აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა და მისი კრიტიკული განმარტება და გაშიფვრა შესაძლებელია. ბარტის მიხედვით თანამედროვე მითები წინააღმდეგობის აღმოფხვრას მის გადაჭრას კი არ

ემსახურებიან არამედ მის "ნატურალიზაციასა" და გამართლებას.

მედიის გაჩენასთან ერთად შესაძლებელი გახდა ვისაუბროთ ადამიანთა საზოგადოებისათვის ჩვეული კომუნიკაციური სქემების გაფართოების შესახებ.

ქართული სამაუწყებლო ტელემედია, რელიგიის ტრადიციისა და კულტურის შესახებ.

არაპოლიტიკური ტოკ შოუები როგორიცაა „პროფილი" (წამყვანი მაია ასათიანი) „აუდიტორია" (წამყვანი ეკე ხოფერია) „1000" (წამყვანი ნოდარ მელაძე), „ცხოვრება მშვენიერია" (წამყვანი ნინო ქაჯაია) თვალსაჩინოდ ასახავენ ქართულ საზიგადოებაში ღირებულებათა გადაფასებისა და ახლებური გააზრების მტკივნეულ პროცესს. თითოეულ ამ გადაცემაში აქტუალურია ტრადიციული წარმოდგენებისა და შეხედულებების ახლებურად დანახვისა და ნეოლიბერტარიანული რაკურსიდან გაანალიზების მცდელობა."ქალიშვილობის ინსტიტუტი", „არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია" „ტრანსსექსუალები" „ნარკოტიკის ლეგალიზაცია" გვხვდება ყველა ზემოთჩამოთვლილ გადაცემაში, მაგრამ განსაკუთრებით აქტუალური ნოდარ მელაძის გადაცემებში გახლავთ.

უკვე აღარავინ კამათობს იმ საკითხზე, რომ მედიის როლი ადამიანთა ღირებულებითი სისტემის, სამოქმედო პრიორიტეტების და კულტურის ჩამოყალიბებაში ძალიან დიდია. იქმნება მედიის გავლენის კვლევისა და თეორიული თუ პრაქტიკული შესწავლის ახალი მეცნიერული მიმართულებები. მედიის გავლენას ადამიანთა ყოფაზე იკვლევენ მთელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც, თუმცა ჩვენს ქვეყანაში ამ პროცესს უფრო ემპირიული, სოციოლოგიური ან სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევის, აღწერისა და შესწავლის სახე აქვს, ვიდრე სიღრმისეულ- ფილოსოფიური, ან ისტორიულ-კულტურალური პლასტის კონტექსტში კანონზომიერების დადგენისა და თეორიული ანალიზის. იმ კუთხით, კი როგორც ამას ჩვენ ვაყენებთ, ხსენებული საკითხი საქართველოში არ შეუსწავლიათ. ჩემი აზრით, საინტერესო უნდა იყოს მედიის ზემოქმედების ანალიზი ისეთ მნიშვნელოვან სოციალურ და კულტურულ პლასტებზე, როგორიცაა საზოგადოების ორიენტაციული ღირებულებები, კულტურის განვითარება, ენის, რელიგის, ტრადიციისა და ეთნოკულტურის ტრანსფორმაცია მედიაგავლენის გამო და ა.შ.

ტრადიციულ წარმოდგენაში მედიაკულტურა აერთიანებს აუდიოვიზუალური ხელოვნების ყველა სახეს. თანამედროვე ცივილიზაციაში აუდიოვიზუალური ინფორმაციის დომინანტური როლის შესახებ აღნიშნავენ ჟ. ბოდრიარი, პ. ვირილიო, მათი აზრით მედიაკულტურა დინამიკური სახე-ხატების ტრანსლაციასთან დაკავშირებული კულტურის სფეროა, რომელმაც თანამედროვე გამოსახულებისა და ხმის ციფრული და ჩამწერ გამავრცელებელი ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებისა და დახვეწის გამო გავრცელების და მასობრიობის უდიდეს მასშტაბებს მიაღწია.

მედიაკულტურა, როგორც გენეზისი, მისი სოციალური ფუნქცია, როგორც სრულიად ახალი სააზროვნო და სოციალურ-ფსიქოლოგიური კონსტრუქციების, ახალი ნიშნებისა და სპეციფიკური კოდების სამყარო, ვირტუალური მითებისა და ახალი სოციოკულტურული სივრცის შემოქმედი, მეოცე საუკუნის მსოფლიოში სერიოზული მეცნიერული კვლევის საგნად იქცა.

საქართველოში, იმ დემოკრატიული ქვეყნებისაგან განსხვავებით, რომელთა ცხოვრების წესი, განვითარების ამ ეტაპზე, ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილისათვის მისაღები და მისაბაძია, არ არსებობს კულტურის გაშუქებაზე სპეციალიზებული ტელერადიო არხები, (გამონაკლისია რადიოარხი "მუზა" , რომელიც მხოლოდ მუსიკის თემატიკაში სპეციალიზირდება და გარკვეული თვალსაზრისით ტელეკომპანია "ერთსულოვნება", რომელიც მხოლოდ ერთი, თუმცა კი ტრადიციული რელიგიური კონფესიის პოზიციებიდან განიხილავს კულტურის თემატიკას, ამიტომ, ვერ ჩაითვლება კულტურის თემატიკაზე სპეციალიზებულ არხად, ამ საკითხის თანამედროვე სამყაროში მიღებული კრიტერიუმებით). კულტურული ცხოვრების მედიაანალიზი, კულტურული პროგრამების წილი და შესაბამისად სახელოვნებო და ეთნოკულტურული სფეროს გავლენა საზოგადოების ღირებულებითი სისტემის ჩამოყალიბებაში, პოლიტიკურ პროგრამებთან და დისკურსთან შედარებით, განუზომლად მცირეა. რა არის ამის მიზეზი, როგორი შეიძლება იყოს შედეგი და განსაზღვრავს თუ არა ეს ფაქტორი თანამედროვე ქართული კულტურის განვითარების სპეციფიკას?

საზოგადოებრივ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში, რამდენიმე წლის წინ პირველმა არხმა სოციოლოგიურ სამსახურებს დაუკვეთა და ჩაატარა გამოკითხვა რა თემატიკის გადაცემების ნახვა სურს აუდიტორიას, გამოკითხვის შედეგის მიხედვით მაყურებელთა დიდ პროცენტს ქართული ტრადიციული ეთნოკულტურული პროდუქტის ნახვა სურდა. რეალურად კი ამ ტიპის გადაცემებს (მიუხედავად იმისა რომ მათი შესრულების ხარისხი დიდად არ განსხვავდება, პოლიტიკური და იუმორისტულ-გასართობი პროგრამების ხარისხისაგან) მეტისმეტად დაბალი რეიტინგი აქვს, შესაბამისად მათი წილიც ტელემედიაპროდუქციის საერთო რაოდენობაში სულ უფრო მცირდება. რა არის ამ პარადოქსალური მოვლენის მიზეზი? არასწორად ჩატარებული გამოკითხვა თუ აუდიტორიის წინააღმეგობრივი ბუნება და არაგულწრფელობა თუ რაიმე სხვა ფსიქო-სოციალური ან ღირებულებითი კონფლიქტი "სასურველსა" და რეალურს შორის?

საინფორმაციო-პოლიტიკური პროგრამების სიჭარბე ქართულ მედიაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში ინფორმაციისთვის დამახასიათებელი და ტრადიციულისაგან განსხვავებული მეტყველების შემოტანას და ენის ტრანსფორმაციასაც გულისხმობს. მედიის გავლენით ჩამოყალიბებული ახალი სამეტყველო ენა არ ნიშნავს მხოლოდ ნეოლოგიზმებს და ტექნიკური პროგრესისათვის დამახასიათებელი ახალი ტერმინოლოგიის გაჩენას ენაში, არამედ უკვე თვალსაჩინოა არსებულისგან განსხვავებული სინტაქსის

შემოტანა სამეტყველო ენის ქსოვილში. საინფორმაციო გამოშვებებში სულ უფრო ჩვეული ხდება და ყოველდღიურ მეტყველებაშიც გადმოდის ინგლისურის მსგავსი დამხმარე ზმნის მეშვეობით აგებული წინადადებები, რაც უჩვეულოა ქართული სინტაქსისთვის, თუმცა ეს საკითხი უფრო სპეციალური ფილოლოგიური კვლევის საგანია, მაინც საინტერესო უნდა იყოს საკითხის იმ კუთხით შესწავლა, რამდენად მკვიდრდება მედიასა და სამეტყველო ენაში ახალი სინტაქსი და რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამ მოვლენამ ახალი ქართული სალიტერატურო ენისა და თუ ენას "ცნობიერების სახლად" გავიაზრებთ,- ცნობიერების განვითარებაში. რამდენად დადებითი ან უარყოფითი იქნება სინტაქსის ტრანსფორმაცია კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და მისი მსოფლიო კულტურასთან ინტეგრაციის პროცესში.

სამწუხაროა მაგრამ ფაქტია, რომ ქართულ მედიაში როგორც ვიზუალური გაფორმების, ასევე პროგრამული კუთხით პლაგიატი მეფობს. უკვე არსებული, წარმატებული პოპულარული პროექტების შეძენა და მოხმარება მედიაბიზნესისათვის ჩვეულებრივი და მიღებული მოვლენაა, რასაკვირველია, როდესაც არსებობს ხარისხიანი პროდუქტი მისი შეძენა სჯობს ველოსიპედის თავიდან გამოგონებას, მაგრამ ქართულ მედიასა და სარეკლამო ბიზნესში არა შეძენასთან, არამედ უმეტესად არსებული საავტორო მასალების (მათ შორის ვიზუალური ტიხრების, ქუდების, სტუდიების გამართვის, ზოგჯერ მთელი პროექტების და ა.შ). უხეშ მითვისებასთან გვაქვს საქმე. ეს ერთის მხრივ ადგილს აღარ ტოვებს კრეატიული აზროვნებისათვის და მეორეს მხრივ სრულიად წყვეტს ფესვებს ქართულ მედიაწარმოებას.

ამავე დროს საზოგადოება რეაგირებს მედია გავლენებზე და ზოგ შემთხვევაში უდრტვინველად იღებს შემოთავაზებას, ზოგ შემთხვევაში კი მიუხედავად ინტერესისა უნდობლობას უცხადებს და კონსერვატიული პოზიციებიდან თრგუნავს მედიის „მეტისმეტ თავისუფლებას" ტრადიციულ ღირებულებებთან მიმართებაში. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიტანოთ ძალზე პოპულარული გადაცემის „1000" - ის(წამყვანი ნოდარ მელაძე) მოულოდნელი დახურვა.

მედია (ლათინური ტერმინიდან «media», «medium») , მეოცე საუკუნის ტერმინია და თავდაპირველად "მასობრივი კულტურის" ნებისმიერი გამოვლინების აღსაწერად გამოიყენებოდა. საბოლოოდ კი ტერმინი "მასმედია" ყოველდღიურ მეტყველებაში დამკვიდრდა როგორც მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების, ან მასობრივი საინფორმაციო საშუალებების (როგორიცაა პრესა, ტელე-რადიო, ინტერნეტრესურსი და ა.შ .) აღმნიშვნელი ტერმინი.

საკითხის შედარებით სიღრმისეული განხილვისას შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მედია არ არის უბრალოდ მასობრივი კომუნიკაციების და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ერთობლიობა, ეს ძალიან ბუნდოვანი ფორმულირებაა იმ რთული მრავალკომპონენტიანი და მრავალპლასტიანი კულტურულ-ინფორმაციული მონოპოლიის აღსაწერად, რომელიც თანამედროვე სამყაროში ნებისმიერი სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად საყრდენს წარმოადგენს.

ტერმინის "მედიაკულტურა" გააზრებისას შეუძლებელია არ დაეთანხმო მოსაზრებას, რომ მედია არ გახლავთ ინფორმაციის უბრალო მომპოვებელ-გამავრცელებელი, არამედ იგი კულტურული კოდებისა და შინაარსების შექმნის და დამკვიდრების ვრცელი სამყაროა. სამყარო, რომელშიც ეს ახალი საზრისები და კოდები ესთეტიზირდება, ფორმირდება და ტრანსლირდება მასობრივ ცნობიერებაში. მედიაკულტურის სივრცე არსებობს არამხოლოდ როგორც გარკვეული სახე-ხატების შემოქმედი, მწარმოებელი და გამავრცელებელი- ეს მისი არსებობის მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია, არამედ, ის ასევე წარმოადგენს ციკლს "შეტყობინება-გაზიარება" და ეს გაზიარება, შეტყობინების შექმნის, წარმოების და მოხმარების პირობაც არის და შედეგიც. შეტყობინება და შეტყობინების წარმოება-გავრცელება, როგორც გაზიარების პირობა და შედეგი უფრო ტრადიციულ ტერმინებში ნიშნავს "ინფორმაციისა" და "ინტერესების" ურთიერთგაცვლას: ერთის მხრივ აუდიტორია აღიქვამს როგორც საინტერესოს და გამოსადეგს, ისეთ ინფორმაციას(შეტყობინებას), რომელიც მისი აზრით ან განცდით მას პირადად ეხება და შეესაბამება მის ინტერესს. ამდენად სწორედ ასეთ შეტყობინებებზეა აუდიტორიის ანუ ე.წ." საზოგადოებრივი შეკვეთა", მეორეს მხრივ მედიამწარმოებლები არ არიან ორიენტირებული მხოლოდ აუდიტორიის ინტერესზე, მათ მოქმედებას ხშირად რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები განაპირობებს და ისინი განიცდიან სხვადასხვა პოლიტიკური და საზგადოებრივი ჯგუფებისა და პიროვნებების, იდეებისა და გამოწვევების გავლენას, რაც გარკვეულწილად განსაზღვრავს გავრცელებული და აუდიტორიისთვის შეთავაზებული შეტყობინებების ანუ "შესიჯების" ხასიათს. ეს განსაკუთრებით აქტუალური გახდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან და ოცდამეერთე საუკუნეში, როდესაც ეკრანულმა ხელოვნებამ ადამიანში გააჩინა ილუზორული რეალობის მოთხოვნილება, მედიარეალობა ადამიანის არსებობის განუყოფელ ნაწილად იქცა და უზარმაზარი აუდიტორია დაიპყრო.

ერთ-ერთ ქართულ საინფორმაციო გამოშვებაში, სიუჟეტში, რომელიც ლტოლვილთა მძიმე ყოფას ასახავდა, რესპოდენტმა ქალბატონმა ინტერვიუში უთხრა ჟურნალისტს: არაფერი გაგვაჩნია, არც სახლი, არც საჭმელი და არც ტელევიზორიო.

მან მეოცე საუკუნის ადამიანის პირველადი მოთხოვნების საგნებში საცხოვრებელთან და საკვებთან ერთად ტელევიზორიც შეიტანა და ეს სულაც არ არის შემთხვევითი, დღევანდელი მედიაკულტურა- ეს ინფორმაციის ინტენსიური ნაკადია (პირველ რიგში აუდიოვიზუალური: ტელევიზია, ვიდეო, კომპიუტერული გრაფიკა, სარეკლამო კლიპი, ინტერნეტი), რომლის გარეშეც თანამედროვე ადამიანს სამყაროსთან ურთიერთობა ვერც კი წარმოუდგენია. სწორედ მათი მეშვეობით შეიმეცნებს ადამიანი გარემომცველ სამყაროს, მის სოციალურ, ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ, ზნეობრივ, რელიგიურ, მხატვრულ ასპექტებს. შესაბამისად გასაგებია, რომ მედიის როლი

საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბება - განვითარებაში და პიროვნების სოციალიზაციის პროცესში ძალიან დიდია.

აუდიოვიზუალური მედიატექსტის შესახებ "XX საუკუნის კულტუროლოგიის" ლექსიკონში ვკითხულობთ: "აუდიოვიზუალური კულტურა არის, კულტურული ინფორმაციის ფიქსაციისა და ტრანსლაციის მეთოდი რომელიც არა მხოლოდ ავსებს არამედ ჩაანაცვლებს კიდეც დღემდე გაბატონებულ ვერბალურ-წერილობით კომუნიკაციას".

მედიის ყველა სახეობა (აუდიოვიზუალური, ბეჭდვითი, ვიზუალური) შეიცავს ინფორმაციის გადაცემისა და მისი მიღების, აღქმის, შემეცნების კულტურას. მედიაკულტურა შესაძლოა აღიწეროს როგორც განვითარების დონეების მიხედვით პიროვნების უნართა სისტემა - აღიქვას, შეითვისოს, გააანალიზოს და შეაფასოს მედიატექსტი, თავად შექმნას იგი, იყოს მედიაშემოქმედი, აითვისოს ახალი ცოდნა მედიის მეშვეობით და ა.შ.

დასავლეთში, მედიაკულტურის ფენომენის შესწავლასა და კვლევაში სერიოზული წვლილი მიუძღვით ისეთ თეორეტიკოსებს, როგორებიც არიან როლან ბარტი, ვალტერ ბენიამინი, ორტეგა ი გასეტი, კენეტ სილვერმანი, ჟან ბოდრიარდი, მიშელ ფუკო, ჟაკ დერიდა, ჟილ დელიოზი, მარშალ მაკლუენი და სხვები.

კანადელი მეცნიერი ჰერბერტ მარშალ მაკლუენი ერთ-ერთ პირველ მედათეორეტიკოსად ითვლება. იგი აანალიზებდა საკომუნიკაციო არხების როლს კულტურაში. შეისწავლიდა ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას საინფორმაციო საზოგადოებაში-სამყაროში რომელიც უახლესი ტექნოლოგიების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით არის შექმნილი. სწორედ მაკლუენმა გამოიყენა ერთ-ერთმა პირველმა ტერმინი "მედია", სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებათა აღწერისას. "ყველა კომუნიკაციის საშუალება მოქმედი მეტაფორაა" . ამბობდა მაკლუენი, როგორც ნებისმიერი მეტაფორა ისინიც თავიდან სწერენ(ქმნიან) სამყაროს. იყო შემოქმედი, ნიშნავს ფლობდე მეტაფორების ხელოვნებას. მედიის ენა როგორც ნებისმიერი სხვა ენა უბრალოდ ტექნოლოგიაა. თავისი თანამედროვე მოაზროვნებისაგან განსხვავებით მაკლუენს არ დაუყვია კულტურა "ჭეშმარიტად " და "არაჭეშმარიტად" . იგი მშვიდად წერდა მეოცე საუკუნეში გამქრალი ჰუმანისტური იდეალებისა და საყოველთაო განმანათლებლობის დამსხვრეული ილუზიების შესახებ. მასკულტურის ფენომენს კი ამრეზის გარეშე აკვირდებოდა და შეისწავლიდა. ეს ფენომენი განსაკუთრებული ყურადღების ღირსად, მისი შესწავლა კი ძალზე მნიშვნელოვნად მიაჩნდა.

როლან ბარტის წიგნი "მითოლოგიები" ასევე თანამედროვე მედიის საკითხს ეხება. ბარტმა შემოიტანა ტერმინი "თანამედროვე მითები", მისი აზრით, დღევანდელ რეალობაში, მითი კარგავს განმარტებისა და აღწერის ფუნქციას და იძენს იდეოლოგიების შენიღბვის უნარს. ბარტი მიიჩნევდა, რომ ადამიანთა სამყაროში ყველა მოვლენა სოციალურადაა გააზრებული, აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა და მისი კრიტიკული განმარტება და გაშიფვრა შესაძლებელია. ბარტის მიხედვით თანამედროვე მითები წინააღმდეგობის აღმოფხვრას მის გადაჭრას კი არ ემსახურებიან არამედ მის "ნატურალიზაციასა" და გამართლებას.

მედიის გაჩენასთან ერთად შესაძლებელი გახდა ვისაუბროთ ადამიანთა საზოგადოებისათვის ჩვეული კომუნიკაციური სქემების გაფართოების შესახებ.

დღეს, როდესაც კაცობრიობა ახალი საპლანეტაშორისო აზროვნების გამომუშავებას ესწრაფვის, განსხვავებული საზოგადოებები და კულტურები საერთო ადამიანური ღირებულებების ძიების პროცესში არიან, პოსტსაბჭოთა საზოგადოებებში მძიმედ და მტკივნეულად მიმდინარეობს ტოტალიტარული რეჟიმებისათვის დამახასიათებელი ღირებულებების კვდომისა და ახალი დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ღირებულებების დამკვიდრების პროცესი, ათეისტური საზოგადოებიდან, რწმენისა და ტრადიციული რელიგიური იდეალებისაკენ მიბრუნების პროცესი. ამ პროცესებზე დაკვირვებისათვის და მათი ფილოსოფიური ანალიზისათვის საუკეთესო საშუალებაა მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებზე დაკვირვება, სწორედ ისინი წარმოადგენენ ახალი ღირებულებების დამკვიდრების ამსახველ სარკესა და ამავე დროს მათი გავრცელების მექანიზმს. უფრო მეტიც, მედია ის ძირითადი მექანიზმია, რომლის მეშვეობითაც ხდება ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბება, მის განვითარებასა და ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული რამდენად ეფექტურად და სწრაფად განვითარდება სამოქალაქო საზოგადოება, ეკონომიკური და პოლიტიკური აზროვნება, როგორი იქნება ამა თუ იმ სახელმწიფოს, ერისა და ეთნოსის კულტურული, რელიგიური, ზნეობრივი ღირებულებითი განვითარების ორიენტირები. მასმედია თავად იქცა პიროვნების ფსიქოსოციალური განვითარების გარემოდ. მას ენიჭება წამყვანი ფუნქცია პიროვნების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, ამ თვალსაზრისით თავისი გავლენის მიხედვით იგი გაუთანაბრდა ღირებულებითი სისტემის ჩამოყალიბებისა და სინთეზირების ისეთ მძლავრ ინსტიტუტებს როგორიცაა რელიგია, ლიტერატურა, ხელოვნება.

ინფორმაციის გადაცემის კლასიკური სქემის კომპონენტებია შეტყობინება (მესიჯი), ინტერპრეტაცია (აღქმა) და კომუნიკაცია.

ამ სქემაში შეტყობინება–ადამიანის ინტელექტუალური მოქმედების პროდუქტია, ინტერპრეტაცია აზრი, ანუ მიღებული ცოდნა ხოლო კომუნიკაცია მხოლოდ მისი გადაცემის ხერხი. დღეს, ეს გამაშუალებელი რგოლი მოცემული სამსაფეხურიანი სქემის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტად იქცა. მედია, თავისი შინაგანი კანონზომიერების ლოგიკაში აქცევს ნებისმიერ მესიჯს და მისი ინტერპრეტაციის შესაძლო ვარიანტებს "მედიაგარსში" ფუთავს.

ნებისმიერი კომუნიკაციური პროცესის განხორციელების ანალიზისას აქტუალურია პასუხი შეკითხვებზე "რა გადაიცა, ვინ გადასცა, ვის გადასცა, როგორ(რომელი საკომუნიკაციო არხით), რამდენად ეფექტური იყო ეს გადაცემა.

იმისათვის კი, რომ ეს ანალიზი სრულყოფილი იყოს და კომუნიკაციის იდეოლოგიური და სოციალური მხარეც არ გამოგვრჩეს მხედველობიდან საჭიროა დაისვას შეკითხვა "რა მიზნით გადაიცა?"

მაკლუენი მიიჩნევდა, რომ მედია დასაწყისშივე გააჩნდა მისწრაფება დაეპყრო მომხმარებლის გონება, ცდილობდა ადამიანით მანიპულირებას, მის ჩათრევას ოცნებების გამოგონილ სამყაროში. ამ პროცესს მკვლევარის აზრით ფინალში ადამიანის ცნობიერების "ამპუტაცია" მოჰყვება. თავის წიგნში, "მედიის გაგება: ადამიანის გარეგანი გაფართოება"

როგორც ავტორი აღწერს მედიაპროდუქტის მოხმარების პროცესში ადამიანის შესაძლებლობები ფართოვდება ადამიანის მიღმაც და მუშაობს თავისი საკუთარი (არაადამიანური) ლოგიკის მიხედვით. იგი (ტექნოლოგია) საკუთარი ლოგიკის ტყვედ აქცევს ადამიანს. ავტორის აზრით მედიის შექმნილ ილუზორული სამყაროსთან მუდმივი კონტაქტი სახიფათოა ადამიანისთვის. ან გაუცხოებულ ინფრასტრუქტურასთან ურთიერთობისას ადამიანი სუსტი და მოწყვლადია, იოლად ხდება მასზე დამოკიდებული და მისი საშველი მხოლოდ ის არის, რომ თვითონ ვერც კი აღიქვამს რა ემართება. პირიქით იგი სიხარულით მოიხმარს იმ ახალ შესაძლებლობებს რასაც ეგ ახალი ტექნოლოგიური სამყარო სთავაზობს და თანდათან ამ პროცესში კარგავს რეალობის განცდას, ვეღარ ავლებს მკაფიო საზღვარს ნამდვილსა და ილუზორულ(მედიარეალობას) შორის და საბოლოო ჯამში კარგავს საკუთარ თავს, როგორც ნარცისი, რომელიც წყალში საკუთარი გამოსახულებით ტკბობას შეეწირა. –ესეც მაკლუენის მეტაფორაა.

სოციოანალიტიკოსი პიერ ბურდიე აღწერს განსხვავებულ სოციალურ გარემოთა დაფარულ სიღრმისეულ სტრუქტურებს, რაც ერთობლიობაში ქმნის სოციალურ უნივერსუმს, ასევე იმ მექანიზმებს რომლებიც ამ სოციალურ გარემოთა შექმნას და მათ შეცვლა-განვითარებას ემსახურება. სოციალური უნივერსუმის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ ის თითქოსდა ორ განსხვავებულ რეალობაში არსებობს, ერთი მატერიალური რესურსებისა განაწილებისა და სოციალურად პრესტიჟული მნიშვნელოვანი სიკეთეების და ღირებულებების გადანაწილებაშია გამოხატული,(ბურდიეს მიხედვით "კაპიტალის სახეობები") ხოლო მეორე რეალობა არსებობს შეხედულებებში, წარმოდგენებში, აზროვნების სქემებში ანუ როგორც პრაქტიკული არსებობისა და მოქმედების სიმბოლური მატრიცა, სადაც მოქმედების ხასიათს, აზროვნების სტილს, ემოციურ შეფასებებს და განსჯას სიმბოლური სოციალური შინაარსები განაპირობებს.

ბურდიეს ტერმინოლოგიით თუ ვისარგებლებთ, შეგვიძლია განვმარტოთ მედიაკულტურა როგორც სხვადასხვა სახის "კაპიტალების" კონვერტაციის მექანიზმი "სიმბოლური კაპიტალების " მეშვეობით. მეცნიერის აზრით ადრესანტსა და შეტყობინების გამგზავნს შორის არსებობს აუდიტორიისთვის პოპულარული და ავტერიტეტული მედია, რომელიც მაღალტექნოლოგიური შესაძლებლობის მეშვეობით (გამართული სერიული წარმოების გზით) აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს და საზოგადოების ცხოვრებისეულ პოზიციას. სწორედ აუდიოვიზუალური კულტურა (კინო, ტელევიზია, ვიდეო, მულტიმედია სისტემები) წარმოადგენს ძირითად მექანიზმს სოციალური კაპიტალებისა და ღირებულებების "კონვერტაციისათვის." გასაგებია, რომ გლობალური შედეგის მიღწევაში შედეგიანი იქნება ის ინსტიტუტები რომლებიც აკონტროლებენ ამ პროცესს, ანუ ვინც მედია სივრცეს ფლობს.

მედიაკულტურის სპეციფიკა მისი სემიოტიკური ბუნებითა და მისი რეალიზაციის საშუალებების ტექნიკური შესაძლებლობებით განისაზღვრება ინფორმაციის დიდი მოცულობა, მისი ტევადობა და გავრცელების მოქნილი და იოლი მექანიზმი, ემოციური ზემოქმედების, სურათ-ხატების გრძნობითი აღქმის სიადვილე, ტრანსლაციის სისწრაფე და სიფართოვე ტირაჟირების განუზომლად დიდი შესაძლებლობები, მასობრიობა და მასშტაბები განსაზღვრავს მედიის დომინანტურ როლსა და სოციოკულტურულ ფუნქციას.

თანამედროვეობის გამოჩენილი სოციოლოგის ენტონი ჰიდენსის სიტყვებით:"მასობრივი ინფორმაციების საშუალებები, გაზეთები, ჟურნალები, კინო და ტელევიზია ხშირად აღიქმება როგორც გასართობი საშუალებები და ამითომ მათ განიხილავენ როგორც მეორეცარისხოვან მოვლენას ადამიანთა დიდი ნაწილის ცხოვრებაში. ეს შეხედულება სრულიად არასწორია. მასობრივი კომუნიკაცია ჩვენი ცხოვრების უამრავ ასპექტს ეხება... თვით ისეთი "დასვენების" საშუალებები როგორებიც არიან გაზეთი და ტელევიზია უზარმაზარ გავლენას ახდენს ჩვენს მიერ სამყაროს აღქმასა და შემეცნებაზე. ეს ხდება არამხოლოდ მათი სპეციფიკური გაცლენის გამო ჩვენს ცხოვრებისეულ პოზიციებზე, არამედ იმიტომაც, რომ ისინი იქცევიან იმ ცოდნის მიღების საშუალებებად, რომელზეც დამოკიდებულია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება. საერთოეროვნულ არჩევნებზე ხმის მიცემა შეუძლებელი იქნებოდა, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების, კანდიდატებისა და პარტიების შესახებ ინფორმაციის მიღებისა და მისაწვდომობის გარეშე. იმათაც კი, ვისაც საერთოდ არ აინტერესებს პოლიტიკა და მის შესახებ მცირე წარმოდგენა აქვს გააჩნიათ ინფორმაცია ნაციონალური და საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენების შესახებ. მხოლოდ ნამდვილი განდეგილი და ცივილიზაციიდან გარიდებული ადამიანი თუ დარჩება "ახალი ამბების" ინფორმაციული გავლენის მიღმა, რომელიც ასე ძალუმადაა შემოჭრილი ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ მაქვს ყველა საფუძველი ვივარაუდო, რომ თანამედროვე განდეგილსაც კი გააჩნია საკუთარი რადიომიმღები."

„ახალი ადამიანის" – საბჭოთა ადამიანის, „ნამდვილი კომუნისტის" ფორმირების აუცილებლობა დეკლარირებული იყო მეოცე საუკუნის დასაწყისში, ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდში და ამ მენტალური ცვლილების მთავარი შემოქმედი ხელოვნება კულტურა და მედია უნდა გამხდარიყო. ლიტერატურის მოღვაწეები „ადამიანის სულის ინჟინრებად" მონათლა საბჭოთა იდეოლოგიამ.

ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში, სერიოზული ძვრების და რეფორმების ხანაში,

ახლებური, ამჯერად, „დასავლური მენტალიტეტის“ დანერგვა ერში ისევ არის დეკლარირებული იდეოლოგია. კვლავ აქტუალურია ტრადიციული ღირებულებების და რელიგიური შეხედულებების რევიზია, გაცხადრებულია ამჯერად ევრიპელი, დემოკტარიული სამყაროს ადამიანად საქართველოს მოქალაქეების ტრანსფორმირების სურვილი. ქვეყანაში ფეხს იკიდებს ლიბერტარიანიზმი და აშკარაა გლობალიზაციის მძლავრი გავლენა ტრადიციისა და რელიგიის ახლებურ ინტერპრეტაციაისა და გააზრებაში. ამიტომ საინტერესო საკვლევი და განსასაზღვრია იმ ღირებულებათა სისტემისა და კულტურულ-რელიგიური, და ტრადიციული საზრისების და შინაარსების (კოდების, კლიშეების) წრე, რომელთა ტირაჟირებას ახდენს განსხვავებული ან მსგავსი (პოსტსაბჭოთა და დასავლურ-დემოკრატიული ან ტოტალიტარული) ისტორიული ან რელიგიური ათეისტური(სსრკ), ქრისტიანული (მუსლიმური) რელიგიური, ან სეკულარული გამოცდილებისა და ტრადიციების ქვეყნების ტელემედიები, ის მეთოდები და ხერხები რომელთა მეშვეობითაც ეფექტურად, ან ნაკლებ ეფექტურად ხდება ახალი ღირებულებების გავრცელება და კულტურის ტრანფორმაცია საქართველოში და პოსტსაბჭოთა სივრცეშ, როგორ მიმდინარეობს ახალი „ადამიანის სულის ინჟინრების“ – მედიასაშუალებების განვითარების პროცესი და რა გავლენას ახდენს იგი საზოგადოების მორალურ-ეთიკური კატეგორიების ტრანსფორმაციაზე კვლევის საგანი ნამდვილად არის და მისკენ საზოგადოების ყურადღების მიპყრობა საინტერესო და მნიშვნელოვანია.

Culture, religion and tradition in media

Summary

In this article we have a profound analysis how media impacts society, cultural values, democratic opinions and in some cases transforms them.

Luba Eliashvili

Култура, религия и традиции в теле-медии

Резюме

В статье четкии анализ как медиа влияет на общество, на культурные ценности, на демократические представлении и иногда меняет их.

Люба Елиащвили

ბათუმის ბოტანიკური ბაღის საიუბილეოდ – 100

ბათუმის ბოტანიკური ბაღი – წარსული, აწმყო, მომავალი

უაკ (UDC) 58:069.029(479.22) ს - 308

ამ ბუნების მიერ ნაბოძები მშვენიერების სრულყოფას ადამიანთა არაერთი თაობის მუხლჩაუხრელი შრომა დასჭირდა.

XIX საუკუნის ოთხმოციან წლებამდე აჭარის შავი ზღვის სანაპირო დაფარული იყო კოლხეთისთვის დამახასიათებელი ტყეებით, აქ იზრდებოდა ადგილობრივი ფლორისთვის დამახასიათებელი ხეები, ბუჩქები, ლიანები: წიფელი, მუხა, წაბლი, ცაცხვი, თელა, კავკასიური ხურმა, წყავი, შქერი, სურო, მრავალი სახეობის გვიმრა, თეთრყვავილა, ფურისულა, ყოჩივარდა და სხვ.

1881 წლიდან, მნიშვნელოვანი საინტროდუქციო სამუშაოები ბათუმის მხარეში ერთ-ერთმა პირველმა მოაგარაკემ **მეჩესლავ დ'ალფონსმა** ჩაატარა, რომელსაც ჩაქვის მახლობლად საკუთარი ბაღი ჰქონდა. 1886-87 წლებში, აღნიშნული ბაღი დ'ალფონსმა ჩაქვის საუფლისწულო მამულს მიჰყიდა, ხოლო თვითონ მწვანე კონცხზე გადასახლდა, სადაც გადაწყვიტა შეექმნა „მცირე რივიერა". ეს ულამაზესი ადგილი ზამთარ-ზაფხულ მწვანით იყო შემოსილი და ამიტომაც მას „მწვანე კონცხი" უწოდა. აქ პირველი ეგზოტები 1890 წელს გამოჩნდა. მ. დ'ალფონსმა, როგორც მცენარეთა დიდმა მოყვარულმა, ნატიფი გემოვნებით გააშენა ბაღი, შექმნა მოაგარაკეთა წრე, რომელსაც თავად ხელმძღვანელობდა. მან სამხრეთ საფრანგეთიდან გამოიწერა იშვიათი დეკორატიული მცენარეები: ოლეანდრები, პალმები, კვიპაროსები, კედრები, ფიჭვები, ზეთისხილი, ქვამუხა და მრავალი სხვა.

ამ დაუღალავი შრომის შედეგად, ბათუმის სანაპირო ძალზე გამშვენიერდა და გალამაზდა – ის თამამად უწევდა კონკურენციას ვილებს, აგრეთვე მონტე კარლოს და კანის შესანიშნავ ბაღებს. ბაღში დიდი ფართობი ეჭირა ბამბუკებს, ციტრუსოვნებს, ხეხილოვნებს, სუბტროპიკული მცენარეების გამოსაყვან სანერგეებს. ამჟამად მ. დ'ალფონსის ძველი აგარაკი ბათუმის ბოტანიკური ბაღის ერთ-ერთი საინტერესო ნაწილია და „ქვედა პარკად" მოიხსენიება.

ამიერკავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე მცენარეთა ინტროდუქციის ერთ-ერთ ინიციატორად გვევლინება გეოგრაფი და ბოტანიკოსი, მოგზაური **ე. ტატარინოვი**. იგი წლების განმავლობაში ეწეოდა მცენარეთა ინტროდუქციას სოხუმის მიდამოებში, შემდეგ კი, ძვირფასი სახეობებისთვის უფრო ხელსაყრელი გარემო პირობების ძიების მიზნით, საინტროდუქციო მოღვაწეობა განაგრძო ბათუმის სანაპიროზე, სადაც, 1892 წელს, 10 ჰა ფართობზე, შექმნა ე.წ. „სააკლიმატიზაციო ბაღი". იმ დროისთვის, იქ უკვე არსებობდა ძირითადად მარადმწვანე მერქნიან მცენარეთა მდიდარი ასორტიმენტი, სადაც წარმოდგენილი იყო მსოფლიოს ყველა კონტინენტის მცენარეები, მათ შორის: 12 სახეობის პალმა, წიწვოვნები, აგავები, კაქტუსები და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ე. ტატარინოვის ბაღი ძალზე ახალგაზრდა იყო, იგი მაინც ითვლებოდა სუბტროპიკულ მცენარეთა გავრცელების და ფართოდ დანერგვის ძირითად ობიექტად. ეს დიდი ქველმოქმედი ხელს უწყობდა ახალი ათონის, სოხუმის, სოჭის და სხვა პარკების ახალი სახეობებით გამდიდრებას და იმდენად იყო დაინტერესებული მცენარეთა ინტროდუქციით, რომ არ ერიდებოდა ხარჯებს და სიძნელეებს. ამჟამად ეს პარკიც ბათუმის ბოტანიკური ბაღის ერთ-ერთ ნაწილია და მას „ზედა პარკი" ეწოდება.

1893 წელს, ბათუმს პირველად ეწვია ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი **ანდრეი ნიკოლოზის ძე კრასნოვი,** რომელიც კარგად იცნობდა მსოფლიოს სუბტროპიკული ზონის მცენარეულობას. ვოეიკოვ-კლინგენის კვლევების გაცნობის შემდეგ, რომლებიც ბათუმის მიკროკლიმატის შესწავლას ეხებოდა, მან ჩათვალა, რომ ბათუმის კლიმატური პირობები ყველაზე უფრო ხელსაყრელი იყო სუბტროპიკული და ზოგიერთი ტროპიკული მცენარის ზრდა-განვითარებისთვის და მიზანშეწონილად ცნო, რომ შექმნილიყო სუბტროპიკული ბოტანიკური ბაღი.

სტუმრობის შედეგად მიღებული შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ 1895 წელს ამ ახალგაზრდა მეცნიერმა, **გ. სნეჟკოვთან, ვ. სიმონსონთან** ერთად, **ი. კლინგენის** მიერ ორგანიზებულ ერთწლიან ექსპედიციაში მიიღო მონაწილეობა და შემოიარა აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები: ინდოეთი, ცეილონი, ჩინეთი, იაპონია... ექსპედიციიდან ჩამოტანილი მცენარეების ერთ ჯგუფს საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოებისადმი მიწერილ ანგარიშში კრასნოვმა „აღმოსავლეთის 12 საჩუქარი უწოდა".

1909 წელს, ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ ექსპონატები წარმოადგინა პირველ გამოფენა-ბაზრობაზე. გამოფენაზე პალმების, ციკასების, ქაღალდის ხის და ა.შ. ექსპონირებამ, ორიგინალობითა და სიახლით, მნახველთა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

იმავე წელს, თბილისში ჩატარდა სოფლის მეურნეთა II ყრილობა, რომელზეც ბათუმის სოფლის მეურნეთა საზოგადოების სახელით წარდგა ქალაქ ბათუმის თავი **ი. ანდრონიკაშვილი**. ამ ყრილობის დელეგატთა ყურადღება მიიქცია ბათუმში საცდელი სადგურის და სააკლიმატიზაციო ბაღის დაარსების აუცილებლობამ.

1909 წლის 21 დეკემბერს საზოგადოების საბჭო კვლავ აყენებს ბაღისთვის ადგილის შერჩევის საკითხს და ამ საქმეს **ფ. ლიუბავსკის** ავალებს, რომელმაც უკვე 1910 წლის 11 მარტს მოახსენა საბჭოს მისთვის მინდობილი სამუშაოს შესრულების შესახებ.

სოფლის მეურნეთა საზოგადოების წევრმა **ი. ვერუმ** განიხილა ბოტანიკური ბაღისთვის ადგილის შერჩევის საკითხი და ადრე, ბათუმის სოფლის მეურნეთა საზოგადოების მიერ 1911 წლის 5 ოქტომბრის საერთო კრებაზე

ბათუმის ბოტანიკური ბაღი
100 წლისაა

INTERNATIONAL SCIENTIFIC PRACTICAL
THE ROLE OF BOTANICAL GARDENS IN CONSERVATION PLANT DIVERSITY
ბოტანიკური ბაღების მნიშვნელობა მცენარეთა მრავალფეროვნების შენარჩუნებაში
WWW.BBG.GE
8-10 MAY 2013 BATUMI

მიღებული გადაწყვეტილება – ბაღისთვის მწვანე კონცხზე ადგილის გამოყოფის მიზანშეწონილობის შესახებ, არაერთი ფაქტით დაადასტურა.

ამგვარად, ბათუმის სოფლის მეურნეთა საზოგადოება ბაღის შექმნის არა მარტო ინიციატორი, არამედ აქტიური მონაწილეც იყო და მრავალი წლის მანძილზე ბოტანიკური ბაღის საბჭოს წარმოადგენდა.

1912 წლის 1 ივლისს ა. კრასნოვი ბაღის დირექტორად დაინიშნა, საცხოვრებლად ბათუმში გადმოვიდა და ე. ტატარინოვის სახლში დაიდო ბინა. იგი ამავდროულად ბათუმის სოფლის მეურნეთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს.

საიმპერატორო ბრძანების საფუძველზე, 1912 წლის 3 ნოემბერს დაფუძნდა ბათუმის ბოტანიკური ბაღი. მას დიდად დაეხმარნენ: ბათუმის სოფლის მეურნეთა საზოგადოება, სოხუმის და თბილისის ბოტანიკური ბაღების დირექტორები, ლენინგრადის მიწათმოქმედების და მიწათმოწყობის დეპარტამენტის მესვეურები და სხვ. 1913 წლის გაზაფხულისთვის დასარგავად უკვე მომზადებული იყო წიწვოვნების, ევკალიპტების, პალმების, აკაციების და სხვადასხვა სუბტროპიკულ ხეხილოვან და დეკორატიულ მცენარეთა ნათესარები. დაარსების პირველ წლებში ბაღი შედიოდა მიწათმოქმედების დეპარტამენტის უწყებაში, რომლისგანაც მას მინიჭებული ჰქონდა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან თესლების და ცოცხალი მცენარეების თავისუფალი მიღების უფლება. ბათუმის სოფლის მეურნეთა საზოგადოების დახმარებით, ბაღმა კავშირი დაამყარა მსოფლიოს სხვადასხვა სუბტროპიკულ ოლქებთან და ბოტანიკურ ბაღებთან. იოკოგამის ფირმა „სეიტარო არაიდან“ ბათუმის სოფლის მეურნეთა საზოგადოებამ მიიღო 314 სახეობის იაპონური მცენარე, რომლებიც სისტემატიკური დაზუსტებისთვის გადაეცა ბათუმის ბოტანიკურ ბაღს. მიღებულ მცენარეთა საერთო რაოდენობიდან, მას 218 სახეობა დაუტოვეს, ხოლო ნაწილი უსასყიდლოდ გაუნაწილეს მოსახლეობას. თესლებს და ცოცხალ მცენარეებს იწერდნენ ახალი ზელანდიიდან, ინდოეთიდან, ამერიკიდან. განსაკუთრებული გულისხმიერება გამოიჩინა ამერიკის მიწათმოქმედების დეპარტამენტის წარმომადგენელმა **დავით ფეირჩაილდმა**, რომელმაც ბაღს სხვადასხვა მცენარეები, თესლები და ნერგები გამოუგზავნა. ლონდონის სამეფო ბოტანიკური ბაღიდან (ჭ) მიიღეს 3 სახეობის სხვადასხვა მცენარე. ბაღისთვის ძვირფასი შენაძენი იყო ჰიმალაის ფლორის 70 სახეობის მცენარე, რომლებიც გამოგზავნა დარჯილინგის ბოტანიკურმა ბაღმა. პეტერბურგის ბოტანიკურმა ბაღმა საჩუქრად გამოუგზავნა სუბტროპიკულ და ტროპიკულ მცენარეთა იშვიათი კოლექცია, სოხუმის საცდელმა სადგურმა სხვადასხვა ციტრუსოვნები, სოჭის საცდელმა სადგურმა პეკანები და ა.შ. საინტროდუქციო მასალის მიღების ერთ-ერთი წყარო იყო რუსეთის საბაღოსნო დაწესებულების სათბურები, ცნობილი ნიკიტის ბოტანიკური ბაღი, ასევე ზუგდიდის, ქუთაისის, წულუკიძის, საქარის, გორდის, გორაბერეჟოულის, მუხრანის, წინანდლის და სხვა პარკები. ადგილობრივი მოაგარაკეებისგან ბაღი საჩუქრად იღებდა საინტერესო ეგზოტურ მცენარეებს, რომელთა გვარები გადმოცემის თარიღის მითითებით აღბეჭდილი იყო მცენარეების ეტიკეტებზე. 1913 წლის ნოემბერ-დეკემბერში, შავი ზღვის სანაპიროს „რუსკაია რივიერას“ გამოფენაზე პეტერბურგში ბათუმის ბოტანიკური ბაღი წარდგა სუბტროპიკული, დეკორატიული, ტექნიკური და ხეხილოვანი მცენარეების საინტერესო კოლექციით, რითაც ოქროს მედალი დაიმსახურა.

ბაღის განვითარების პროექტში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა სასარგებლო მცენარეთა ფართოდ გავრცელებას და უშუალოდ ღია გრუნტში ბუნებრივი დაჯგუფებების სახით წარმოდგენილი ინტროდუცირებული მცენარეების მეცნიერულ შესწავლას. საინტერესო იყო ერთმანეთისგან დაშორებული ქვეყნების მცენარეთა სახეობების მსგავს გარემო პირობებში გადატანის შემთხვევაში მათი ზრდა-განვითრების შესწავლა. ბაღის მთავარი ღირსებაა მისი ლადშაფტურ-გეოგრაფიული დაგეგმარების პრინციპი. შეიქმნა 6 ფიტოგეოგრაფიული განყოფილება: ამერიკის, იაპონიის და შორეული აღმოსავლეთის, ჰიმალაის და ტროპიკული მთიანეთის, ავსტრალიის, ჩილეს და ახალი ზელანდიის. გაიყვანეს გზები და ბილიკები, გაიწმინდა ტყეები და მოეწყო წყალმომარაგების ქსელი. ა. კრასნოვის მიერ არჩეული ლადშაფტურ-გეოგრაფიული პრინციპი პირველი პროგრესული მიმართულება გახლავთ, რომელმაც თავისი დადებითი გავლენა იქონია სხვა ბოტანიკური ბაღების სტრუქტურაზეც.

1913 წლის დასაწყისში, ბაღთან დაკავშირებული სამუშაოების ჩასატარებლად ქალაქის თვითმმართველობამ ლონდონის სამეფო ბოტანიკური ბაღიდან (ჭ) მოიწვია ცნობილი სწავლული აგრონომ-დეკორატორი **იასონ დავითის ძე გორდეზიანი**. ის ასე აღწერს ბაღში მიმდინარე სამუშაოებს: „Под непосредственным руководством мною были произведены вырубки раскорчевка непроходимого леса, покрывавшего территорию теперешнего ботанического сада и были заложены ценнейшие отделы сообразно климатическим эпилогам Аджаристана, что придает ботаническому саду громадное значение и мировую известность“ (პირადი არქივი).

როგორც მერქნიან მცენარეთა ინტროდუქციის, განყოფილებების, ასევე მთლიანად ბაღის შექმნა-გაშენება მისი პირველი დირექტორის, ცნობილი მეცნიერი მოგზაურის ანდრეი კრასნოვის და სწავლული აგრონომ-დეკორატორის იასონ გორდეზიანის სახელს უკავშირდება. თუ კრასნოვი ამ მეტად საჭირო და მომგებიანი პროექტის აქტიური მხარდამჭერი გახლდათ, გორდეზიანმა ყოველივე ამას ხორცი შეასხა. სწორედ ამ ორი მიზანსწრაფული, ნიჭიერი კლასიკოსის წყალობით გახდა შესაძლებელი, ისეთი უნიკალური ღია ცისქვეშა ლაბორატორიის შექმნა, როგორიც ბათუმის ბოტანიკური ბაღია!

1914 წლის 19 დეკემბერს (ახალი სტილით 1915 წლის 1 იანვარს), ა. კრასნოვი გარდაიცვალა. ის დაკძალულია ბათუმის ბოტანიკურ ბაღში. მისი გადაცვალების შემდეგ, ახალი დირექტორის დანიშვნამდე, ბაღის ხელმძღვანელობა იკისრა ბათუმის სოფლის მეურნეთა საზოგადოებამ, დროებით კი ბაღის დირექტორის

მოვალეობის შესრულება დაევალა ი. გორდეზიანს, რომლის ღვაწლსაც აღნიშნულმა საზოგადოებამ მაღალი შეფასება მისცა.

თავის მხრივ, ქალაქის თვითმმართველობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ გორდეზიანის შესაძლებლობები, ნიჭი და გამოცდილება მშენებარე ბათუმის გამწვანებისთვის გამოეყენებინა. რამდენად მართებული იყო ეს გადაწყვეტილება, ამაზე ბათუმის ბულვარი, ბაღ-პარკები და ქუჩები მეტყველებენ.

1916 წლის ივნისში, სოფლის მეურნეთა საზოგადოებამ ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორის თანამდებობაზე მიიწვია პალეობოტანიკოსი, პეტერბურგის ბოტანიკური ბაღის მთავარი ბოტანიკოსი **ივანე პალიბინი**, რომელიც რვა წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ბოტანიკურ ბაღს. მან პირველი მსოფლიო ომის მძიმე წლებშიც შეძლო შეენარჩუნებინა ბაღის იერსახე. მისი ინიციატივით აქ დაარსდა ბიბლიოთეკა, რომელიც დაკომპლექტდა თბილისიდან, მოსკოვიდან, პეტერბურგიდან და სხვა ქალაქებიდან შესყიდული წიგნებით. საიმპერატორო ბოტანიკურმა ბაღმა, თბილისის სხვადასხვა დაწესებულებებმა, სოფლის მეურნეობის საზოგადოებებმა თავიანთი ფონდებიდან ბაღს გამოუყვეს ძვირფასი და საჭირო ლიტერატურა. ბათუმის ბოტანიკურ ბაღთან დაარსდა ბათუმის თესლთა გამოცდის სადგური, სადაც ხდებოდა მიღებული და გასაგზავნი თესლების ხარისხის დადგენა. ბოტანიკის კაბინეტის მოწყობისთვის გამოიყო თანხები, რითაც ძვირადღირებული და აუცილებელი ხელსაწყოები შეიძინეს.

1916 წელს საფუძველი ჩაეყარა **ჰერბარიუმის** ფონდის შექმნას. იმავე წელს პირველად დაიწყო ფენოლოგიური დაკვირვებების ჩატარება როგორც ინტროდიცირებულ, ასევე ველურ მცენარეებზე. ჩვენს პირობებში აკვირდებოდნენ, რამდენად სასარგებლო იქნებოდა ამა თუ იმ მცენარის გავრცელება და გამოყენება სოფლის მეურნეობაში, დეკორატიულ მებაღეობაში და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში.

1921 წელს ჩატარდა ბაღის მერქიან მცენარეთა პირველი ინვენტარიზაცია, რომლის თანახმადაც ბაღის კოლექცია 917 სახეობას შეადგენდა, აქედან 1915-21 წლებში ინტროდუცირებული იყო 212 სახეობის მცენარე.

იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომებმა გაართულა ბაღის ორგანიზაციული, შემოქმედებითი და სამეცნიერო მუშაობა. მიუხედავად ამისა, თანამშრომელთა ენთუზიაზმით ი. პალიბინმა შეძლო გადაერჩინა მცენარეთა ძირითადი კოლექცია, გამოიცა ორი ანგარიში (1915-1916 წ.წ.) და გასაცვლელი თესლების ორი სია (1917-1920 წ.წ.).

1924 წელს ი. პალიბინი სანკტ-პეტერბურგში გადაყვანეს. ბაღის დირექტორად დაინიშნა აგრონომი **გრიგოლ ცქიტიშვილი**, რომელიც ამ თანამდებობაზე 1932 წლამდე მოღვაწეობდა.

1924 წლიდან, ბაღს სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურის მოვალეობის შესრულებაც დაეკისრა. შეიქმნა ახალი სამეცნიერო განყოფილებები, (ბოტანიკის განყოფილება ინტროდუქციის და აკლიმატიზაციის ქვეგანყოფილებით, საცდელი სადგურით, რომელიც ძირითადად წარმოადგენდა სპეციალური ტექნიკური კულტურების განყოფილებას, სუბტროპიკული კულტურების აგროქიმიის და ტექნოლოგიის განყოფილება), რომლებიც სოფლის მეურნეობას ემსახურებოდა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ციტრუსოვან და სუბტროპიკულ მცენარეთა სელექციას, ახალი ჯიშების გამოყვანას, იწყება მათი ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური თავისებურებების შესწავლა. განვითარდა მეციტრუსეობა, მეჩაიეობა, გერანის და ეკალიპტის ზეთების წარმოებისათვის ნედლეულის მოყვანა. ტუნგოს, ეუკომიის, ახლზელანდიური სელის, სამხრეთის კორდილინას, ბამბუკის კულტურების წარმოება და ა.შ. მებაღე მ. ჭანტურიამ, 1931 წელს, პირველმა შეიმუშავა გუტაპერჩის ხის ვეგეტატიური გამრავლების ორი მეთოდი, რისთვისაც ორი საავტორო მოწმობა მიიღო. მაღალი მაჩვენებული მიიღეს ქინაქინის ხის დაკალმების საქმეში, ბაღმა წარმოებებს და კვლევით დაწესებულებებს გადასცა დიდი რაოდენობით სარგავი მასალა: ციტრუსების – 100 ათასი, ხურმის – 20 ათასი, ფეიჰოას – 5 ათასი, ტუნგოს – 15 ათასი, ევკალიპტის – 1000, ვერბენას – 25 ათასი ნერგი, ტუბეროზას 1000 ცალი ფესურა, გერანის 50 ათასი კალამი და სხვ. დასავლეთ საქართველოში ორგანიზებული იყო 10 სტაციონალური საყრდენი პუნქტი. ძირითად საცდელ კულტურებს წარმოადგენდა ტუნგო, ახალზელანდიური სელი, ქაფურის დარიჩინი და ლეგა აკაცია. გამოიცადა ხურმის ახალი ჯიშები, ავოკადოს, ბატატის სხვადასხვა სახეობები და სხვ. ამ პერიოდში სამეცნიერო მუშაობას ხელმძღვანელობდა პროფესორი ვ. ვორონცოვი, სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ **ს. ჰინკული, ქ. ბახტაძე, ე. თოფურიძე, გ. ხუციშვილი, ვ. კოხრეიძე, ვ. ანგელსკი** და სხვები. ამ პროცესებში მონაწილეობდნენ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან და სხვა ქალაქებიდან მოვლინებული ცნობილი მეცნიერები: **ვ. ვავილოვი, ა. ჟუკოვსკი, ა. კურსანოვი**... სამეცნიერო-კვლევითი შედეგები ქვეყნდებოდა ინსტიტუტების შრომებში და სხვა პერიოდულ გამოცემებში.

1934 წლის იანვრიდან სექტემბრამდე, ბაღის დირექტორი აკადემიკოსი **ბორის კელერი** იყო. იგი იმავდროულად ლენინგრადის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორიც გახლდათ. მისი ხელმძღვანელობით ფართოდ გაიშალა ეკოფიზიოლოგიის სხვადასხვა საკითხების კვლევა. **ი. პალიბინთან** თანაავტორობით გამოსცა „ბაღის მეგზური“.

1934 წლის 11 სექტემბერს, აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს ბრძანებით, ბაღში შეიქმნა მუდმივმოქმედი სამეცნიერო საკონსულტაციო ბიურო, რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა შესაბამისი დაწესებულებების თანამშრომელთა პროფესიული დონის ამაღლების საქმეში. ბაღის საგანმანათლებლო მუშაობა ითვალისწინებდა ექსკურსიების ჩატარებას და ის ყოველწლიურად საშუალოდ 60 ათას დამთვალიერებელს ემსახურებოდა.

1936 წლისთვის სამეცნიერო შრომათა კრებულის „ბათუმის ბოტანიკური ბაღის მოამბე“ გამოცემა დაიწყო. იმავე წელს ბათუმის ბოტანიკური ბაღი შევიდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში. კვლევითი საქმიანობა უკვე აკადემიის ხელმძღვანელობით წარიმართა. 1934 წლის სექტემბერში, ბაღის დირექტორად აკაკი კეკელიძე დაინიშნა. ამ დროს ჩატარდა ბაღის სრული ინვენტარიზაცია. შეჯამდა ბაღის დაარსებიდან 22 წლის მანძილზე

ინტროდუცირებულ მცენარეთა შედეგები. აღნიშნულ სამუშაოს უფროსი სპეციალისტი **ს. ჰინკული** ხელმძღვანელობდა.

1938 წელს ბაღის დირექტორად დაინიშნა **გიორგი მხეიძე**. 1938 წლის მეორე ნახევარში, აკადემიკოს პ. ჟუკოვსკის თავმჯდომარეობით, მუშაობა დაიწყო ბათუმის ბოტანიკური ბაღის სარეორგანიზაციო კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ვ. მალეევი, პროფ. ნ. კეცხოველი და პროფ. ფ. სოსნოვსკი. სარეორგანიზაციო კომისიის წინადადებით, ბაღის სამეცნიერო საბჭომ მიიღო დადგენილება აგროტექნიკის და ნიადაგმცოდნეობის განყოფილებების, როგორც დამოუკიდებელი ერთეულების გაუქმების და ბათუმის ბოტანიკური ბაღის სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სისტემიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში გადაყვანის შესახებ. სუბტროპიკულ მცენარეთა ყველა საინტროდუქციო სამუშაო დაევალა ბათუმის ბოტანიკურ ბაღს. გამოიყო საქართველოს სუბტროპიკული ზონის ველურ მცენართა სპეციალური ნაკვეთი. საბჭოთა კავშირის მიწსახკომის საექსპერტო კომისიის სხდომაზე, რომელსაც აკადემიკოსი **ი. ვავილოვი** თავმჯდომარეობდა, აღინიშნა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში საინტროდუქციო და სხვა სამუშაოების გაძლიერების აუცილებლობის შესახებ.

ამ დროისთვის, ბაღს ჰქონდა საყრდენი პუნქტები და ნაკვეთები მახინჯაურის, ჩაქვის, ციხისძირის, ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობებში და სხვადასხვა კოლმეურნეობებში, სადაც აჭარის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დახმარებით ინერგებოდა ბაღის მიღწევები. შემოიტანეს ციტრუსოვნების, ხურმის, ავოკადოს, იაპონური წაბლის, აზალიების და სხვა ყვავილოვანი მცენარეების სახეობები და ჯიშები. ჩატარდა ადრე დაღუპულ მცენარეთა რეინტროდუქცია. გაიშალა სელექციური მუშაობა, ჯიშთაშორისი და სახეობათშორისი შეჯვარების შედეგად შეიქმნა მდიდარი ჰიბრიდული ფონდი, ლიმონის, ფორთოხლის და მანდარინის საუკეთესო ფორმების საწარმოო პლანტაციები. ამ პერიოდში დამკვიდრდა ბევრი სუბტროპიკული მცენარე – ქარსაფარ ზოლებში იაპონური კრიპტომერია და ლავსონის კვიპაროსი, უხვტენიან ადგილებში – ევკალიპტები. დაწყო ბამბუკის პლანტაციების გაშენება და სხვ. ბათუმის სანაპირო და ბაღ-პარკები გამდიდრდა დეკორატიული ხეებით და ბუჩქებით. 30-ანი წლების ბოლოს, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადგილობრივი ფლორის შესწავლას. შეიქმნა ამირკავკასიის ტენიანი სუბტროპიკების განყოფილება, შეივსო ჰერბარიუმი, სწავლობდნენ ადგილობრივი და შემოტანილი მცენარეების ფენოლოგიას.

მეორე მსოფლიო ომის დროს, სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-საწარმოო სამუშაოები შეფერხდა, რადგან საზოგადოების მთელი გულისყური ფრონტის დასახმარებლად იყო მიმართული.

დიდია ომის მძიმე წლებში ბაღის დირექტორის **გ. მხეიძის** და მეცნიერ თანამშრომლების: **ვ. კახანოვას, ვ. ანგელსკის, შ. ზალდასტანიშვილის, მ. გოჩოლაშვილის, ვ. შანიძის, ო. აბაშიძის, ნ. ჭირაქაძის, ს. ჯიჯავაძის, ვ. კლიმენკოს, ა. დმიტრიევას, ო. დემეტრაძის, გ. ტატიშვილის** და სხვების მიერ გაწეული შრომა. ომის დამთავრებისას ბაღში მუშაობდა 7 მეცნიერ თანამშრომელი და 10 დამხმარე პერსონალი. ამ პერიოდის კვლევის შედეგები მხოლოდ 1957-1958 წლებში გამოქვეყნდა. სიძნელეები ომისშემდგომ წლებშიც იგრძნობოდა.

1949-1952 წლებში ბაღს სათავეში ედგა დამსახურებული აგრონომი მიტროფანე ღლონტი. იგი პოპულარული და საინტერესო მონოგრაფიის „უცნაური მცენარეების“ ავტორია, რომელშიც საინტერესოდაა აღწერილი ცალკეულ მცენარეთა ისტორია, მათი ფიზიოლოგიური და ეკოლოგიური თავისებურებები. 1949-1950 წლების მკაცრ ზამთარში (მინიმალური ტემპერატურა -8,6 ჩ), მოიყინა და დაიღუპა ბევრი მცენარე, 1950-ში მცენარეთა კოლექცია, ღია გრუნტში, 1939 წელთან შედარებით, 212 ერთეულით შემცირდა. 1950 წლის ბოლოს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ბათუმის ბოტანიკური ბაღი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში გადავიდა. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა უკვე აკადემიის ხელმძღვანელობით წარიმართა. ამ პერიოდისთვის, ბაღში უკვე 16 მეცნიერი მოღვაწეობდა, რომელთაგან მხოლოდ ერთს ჰქონდა მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1952 წლიდან, მეცნიერებათა აკადემიამ ბოტანიკურ ბაღში კვალიფიციური მეცნიერი თანამშრომლები მოავლინა. 1956 წლისთვის ბაღში უკვე 4 მეცნიერებათა კანდიდატი მუშაობდა. აღსდგა ბათუმის ბოტანიკური ბაღის „მოამბის“ გამოცემა. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა დაეთმო მცენარეთა ინტროდუქციის და აკლიმატიზაციის თეორიული საკითხების შესწავლას, გაგრძელდა ციტრუსების სელექცია.

1952-1965 წლებში ბაღს ხელმძღვანელობდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი **დავით მანჯავიძე**. ამ პერიოდში ბაღში მოღვაწეობას იწყებენ ახალგაზრდა სპეციალისტები: **ნ. შარაშიძე, ა. ციცვიძე, თ. სამხარაძე, ა. თათარიშვილი, ვ. ხელაძე, ვ. მემიაძე, ნ. ცინცაძე** და სხვ. გაიშალა აქტიური შემოქმედებითი მუშაობა მცენარეთა ინტროდუქციის, ფლორისტული შემადგენლობის, წარმოშობის, სისტემატიკური დაზუსტების და სხვა საკითხებზე, გამოიყვანეს ციტრუსოვანთა ახალი სელექციური ფორმები, ჩატარდა მცენარეთა ინვენტარიზაცია (1958), გაგრძელდა მუშაობა მცენარეთა ფიზიოლოგიაში, პერიოდულად გამოდიოდა სამეცნიერო შრომათა კრებული, ჩრდილოეთ ამერიკის ფიტოგეოგრაფიული განყოფილების ტერიტორიაზე ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის **გიორგი გაბრიჩიძის** ხელმძღვანელობით გაშენდა ზღვისპირა პარკი.

დირექტორობის შედარებით ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს (1968-1989) ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტის **ნოდარ შარაშიძის** მოღვაწეობა. მისი ინიციატივით, გაფართოვდა მცენარეთა ფიზიოლოგიის ლაბორატორია, შეიქმნა მცენარეთა დაცვის განყოფილება. ის ხელმძღვანელობდა ეგზოტურ მცენარეთა ადაპტაციის ეკოფიზიოლოგიური საფუძვლების მეცნიერულ კვლევას. ბაღის ფიტოგეოგრაფიული განყოფილებები პარალელურად ახალი სახეობებითა და ჯიშებით მდიდრდებოდა, გაიზარდა მეცნიერ თანამშრომელთა და აგრო-პერსონალის პროფესიული დონე. მოეწყო კაბინეტ-ლაბორატორიები, გაიზარდა შემოქმედებითი კავშირები საზღვარგარეთის სხვადასხვა ბოტანიკურ ბაღებთან და ორგანიზაციებთან, ცნობილ მეცნიერებთან (1,2).

1989 წლიდან 2006 წლამდე, ბაღის დირექტორი გახლდათ ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ვანო პაპუნიძე. ამ პერიოდში გააქტიურდა მცენარეთა ინტროდუქციის და აკლიმატიზაციის განყოფილებაში ნიადაგების შემსწავლელი ლაბორატორიის საქმიანობა. ლაბორატორიის შექმნის ინიციატორი და ხელმძღვანელი (1985-1990 წ.წ.) იყო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი **ვლადისლავ კიპნისი.** ჩატარებული კვლევების საფუძველზე, მნიშვნელოვან სამეცნიერო ნაშრომებთან ერთად, მომზადდა ბათუმის ბოტანიკური ბაღის ნიადაგების რუკა.

1998 წლიდან ბათუმის ბოტანიკური ბაღი ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო საბჭოს (ჩI) წევრია, რამაც გამოიწვია მცენარეთა ინტროდუქციის და აკლიმატიზაციის თეორიული საფუძვლების და მეთოდების შემუშავების, ველური და კულტურული ფლორის ღრმა სისტემატიკური შესწავლის, მცენარეთა დაცვის მიმართულებით ახალი ტექნოლოგიური მეთოდების დამუშავება-დანერგვის გააქტიურება.

ბაღის დირექტორის ვანო პაპუნიძის ძალისხმევით, 1995-2005 წ.წ. ბაღში ფუნქციონირებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღის ასპირანტურა.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან, ქვეყანაში მიმდინარე რთული სოციალ-ეკონომიური პროცესები ბათუმის ბოტანიკურ ბაღსაც შეეხო. მიუხედავად ამისა, ბაღის ხელმძღვანელობის და კოლექტივის ძალისხმევით შენარჩუნდა კოლექცია. 2004 წლიდან ბაღს მცენარეთა კოლექციის მოვლა-შენარჩუნებისა და გამდიდრების საქმეში დახმარება გაუწია საქველმოქმედო ფონდმა **„ქართუმ“.** ბაღს შეემატა ასეულობით ახალი მცენარე, მოეწყო ინფრასტრუქტურა.

2006 წელს ბათუმის ბოტანიკური ბაღი ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და ეწოდებოდა - „სსიპ – ბათუმის ბოტანიკური ბაღი“. იგი გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შემადგენლობიდან და მასზე სახელმწიფო კონტროლი აიღო საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ. 2006-2007 წლებში, ბაღის დირექტორის მოვალეობას ასრულებდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი **გიორგი ლეონიძე**. ამ პერიოდში ბაღში შეიქმნა ინფორმაციის და ანალიზის განყოფილება, რომელიც შემდგომ ჩამოყალიბდა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურად და შექმნიდან დღემდე ჯემალ წულუკიძე ხელმძღვანელობს. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორად, 2007 წლის 25 ივლისს, ბაღის სამეცნიერო საბჭოს მიერ ჩატარებული არჩევნების შედეგების საფუძველზე, აირჩიეს **გიორგი ბოლქვაძე.**

საქართველოს მთავრობის 2007 წლის დადგენილებით, ბაღის ტერიტორია გადაეცა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, რომელმაც ის, თავის მხრივ, საკუთრებაში გადასცა თვითმმართველ ქალაქ ბათუმს.

2008 წელს ქალაქ ბათუმის მერიამ დააფუძნა „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ბათუმის ბოტანიკური ბაღი“, რომელიც დღემდე აგრძელებს საკუთარი მიზნების და ამოცანების შესრულებას. თვით საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის ბოტანიკური ბაღი, რეორგანიზაციის შედეგად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიუერთდა. 2008-2012 წლის მარტამდე ბაღის დირექტორი იყო აგროეკოლოგი **ეთერ მაჭუტაძე**. 2012 წლის 12 მარტიდან დირექტორის უფლებამოსილების განხორციელება დროებით დაეკისრა ბაღის დირექტორის მოადგილეს **ბიძინა ფერცელიძეს,** რომელიც აღნიშნულ მოვალეობას 2012 წლის 12 ივლისამდე ასრულებდა.

2012 წლის 12 ივლისიდან, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორია **თამაზ დარჩიძე**, რომელიც დღემდე მოღვაწეობს აღნიშნულ თანამდებობაზე.

ბათუმის ბოტანიკური ბაღი 100 წლისაა

(საიუბილეო კვირეული)

100 წლის ისტორიის მქონე ბათუმის ბოტანიკური ბაღის საიუბილეო კვირეულის ფარგლებში 2012 წლის 29 ოქტომბრიდან, 3 ნოემბრის ჩათვლით, მრავალი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა, რომელსაც ესწრებოდა ადგილობრივი და ჩამოსული სტუმრები სხვადასხვა ბოტანიკური ბაღიდან.

29 ოქტომბერს კვირეული გაიხსნა კინოთეატრ „აპოლო“-ში ფილმის „ბოტანიკური ბაღი 100 წლისაა“ პრეზენტაციით, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა ფართო საზოგადოებაში. მაყურებლის წინაშე სიტყვით წარსდგა ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორი თამაზ დარჩიძე, ფილმის მთავარი პროდიუსერი ზვიად სირაბიძე, მწერალი და საზოგადო მოღვაწე რამაზ სურმანიძე. მათ აღნიშნეს ამ ფილმის მნიშვნელობა და მიზანი, რისთვისაც შეიქმნა და მოვიდა მაყურებლამდე. კინოთეატრ „აპოლო“-ს ფოიეში მოეწყო გამოფენა ბაღის ისტორიის ამსახველი საარქივო ფოტომასალის, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამთვალიერებელზე.

30–31 ოქტომბერს ბაღის ტერიტორიაზე გაიმართა საგანმანათლებლო- შემეცნებითი ტურები „ჩვენი საგანძური“ ბავშვებისა და მოსწავლე-ახალგაზრდებისათვის. ამ დღეს უფასო იყო ბაღის ტერიტორიაზე შესვლა ყველასათვის. დიდ მადლიერებას გამოხატავდა სხვადასხვა სკოლებიდან შემოსული მოსწავლეები, რომელთა ჟრიამული ავსებდა ბოტანიკური ბაღის პარკებსა და ფიტოგეოგრაფიულ განყოფილებებს, რომლებმაც მასწავლებლებთან ერთად მრავალი საინტერესო სანახაობა იხილეს და გახდნენ მონაწილენი ამ ისტორიული კვირეულის. 31 ოქტომბერს ასევე გაფორმდა მემორანდუმი ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტთან, რითაც კიდევ უფრო გაღრმავდება შემოქმედებითი ურთიერთობები სახვითი, სასცენო და კინო-ტელეხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრებსა და ბაღის სპეციალისტებს შორის.

1 ნოემბერს პატივი მივაგეთ ბოტანიკური ბაღის აწ გარდაცვლილი თანამშრომლების ნათელ ხსოვნას და ყვავილებით შევამკეთ მათი საფლავები.

ქალაქ ბათუმის მერის ბატონ ჯემალ ანანიძის მიერ დაჯილდოვდა ბათუმის ბოტანიკური ბაღის ღვაწლმოსილი თანამშრომლები იმ უდიდესი წვლილისათვის, რომელიც მათ გასწიეს ბაღის აღმშენებლობის საქმეში მრავალი წლის მანძილზე: ბიძინა ფერცელიძე, ფერიდე ჩაიძე, თამარ ცხოიძე, მარიზა ბრეგვაძე, მარია ოვჩინიკოვა, მარინე თათარიშვილი, ნაზი ლეონიძე, ნინო მემიაძე, ნანი კონცელიძე, დავით ხარაზიშვილი, ზურაბ ბაგრატიონი, დალი კირკიტაძე, მაყვალა ქუფარაშვილი, ევგენია ჩადუნელი, ციური ციცვიძე, ნანული დარჯანია, ომერ ფაღავა, გიორგი მგელაძე, ლიდია პოპოვა, ვლადიმერ სურმანიძე, თამაზ გორჯელაძე, დავით ზოიძე. მერმა მოულოცა ღირსშესანიშნავი საიუბილეო თარიღი, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა და წინსვლა და ახალი წარმატებები უსურვა ბაღის ყველა თანამშრომელს, ვინც დაუღალავი შრომითა და რუდუნებით დღემდე მოიყვანა ბაღი, ვინც ყოველდღიურად ზრუნავს მასზე და ასე ნათლად წარმოაჩენს უნიკალური ბაღის წარსულსა და დღევანდელობას.

2 ნოემბერს ზედა პარკის ტერიტორიაზე არსებულ ერთ-ერთ სკვერს მიენიჭა აგრონომ-დეკორატორის იასონ გორდეზიანის სახელი. აქვე გაიხსნა მისი სახელობის მემორიალური დაფა. ღონისძიებას სხვა სტუმრებთან ერთად ესწრებოდა გორდეზიანის ოჯახის წევრები. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა: ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორი თამაზ დარჩიძე, მცენარეთა ინტროდუქციისა და აკლიმატიზაციის სამსახურის უფროსი, ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი ფერიდე ჩაიძე, ამავე სამსახურის კონსულტანტი ოთარ გაგუა, იასონ გორდეზიანის შვილიშვილი იასონ გორდეზიანი.

სტუმრებმა ბაღის ტერიტორიიდან გადაინაცვლეს სასტუმრო ინტურისტ პალასის საკონფერენციო დარბაზში, სადაც მოეწყო ბაღის საიუბილეოდ მომზადებული სხვადასხვა გამოცემის პრეზენტაცია. პრეზენტაციაზე მისასალმებელი სიტყვით აუდიტორიის წინაშე წარსდგა ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორი თამაზ დარჩიძე. ბაღს იუბილე მოულოცეს: აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ღავთაძემ, ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა აიდინ თუფექჩოულლუ, აზერბაიჯანის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში ვაჰიდ ფარზალიევმა, დონეცკის ბოტანიკური ბაღის სწავლულმა მდივანმა სერგეი პრივალიხინმა, კიევის აკად. მ. გრიშკოს სახ. ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილემ ნიკოლოზ შუმიკმა.

ბათუმის ბოტანიკური ბაღის 100 წლის საიუბილეოდ ბაღის მცენარეთა ინტროდუქციისა და აკლიმატიზაციის სამსახურის მიერ მომზადდა და გამოიცა შემდეგი გამოცემები:

1. მონოგრაფია „ბათუმის ბოტანიკური ბაღი - 100“ პრეზენტაცია გააკეთა მცენარეთა ინტროდუქციისა და აკლიმატიზაციის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა დავით ხარაზიშვილმა, 2. ბათუმის ბოტანიკური ბაღის ხეები და ბუჩქების (ანოტირებული სია) - მცენარეთა ინტროდუქციისა და აკლიმატიზაციის სამსახურის უფროსმა ფერიდე ჩაიძემ, 3. ბათუმის ბოტანიკური ბაღის მოამბე - მთავარმა სპეციალისტმა ნინო მემიაძემ, 4. ბათუმის ბოტანიკური ბაღის თესლების სიის (40) - სპეციალისტ-დეკორატორმა ნანი კონცელიძემ.

ბათუმის ბოტანიკური ბაღის განახლებული ვებ - გვერდი წარმოგვიდგინა ბათუმის ბოტანიკური ბაღის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორმა ჯემალ წულუკიძემ.

ამის შემდეგ თითოეულ სტუმარს მიეწოდა სასაჩუქრე პაკეტი, სადაც სხვადასხვა გამოცემებთან ერთად გადაეცათ ფილმის „ბოტანიკური ბაღი 100 წლისაა“ დისკი და ბათუმის ბოტანიკური ბაღის გაზეთი (საიუბილეო გამოცემა).

3 ნოემბერს ბათუმის ბოტანიკური ბაღის საიუბილეო კვირეული დაგვირგვინდა დასკვნითი გალა კონცერტით, რომელიც გაიმართა ბათუმის ხელოვნების ცენტრის დიდ საკონცერტო დარბაზში. საკონცერტო რეპერტუარს წინ უსწრებდა მისასალმებელი სიტყვები. ბათუმის ბოტანიკური ბაღის ადმინიტრაციამ მოამზადა ბათუმის ბოტანიკური ბაღის 8 საპატიო სტუმრის ბარათი (იასონ გორდეზიანი, მერი ბოლქვაძე, ზურაბ ჩხაიძე, ბაგრატ თავბერიძე, ვახტანგ ტატიშვილი, გურამ ტურაშვილი, ვახტანგ ციცვიძე, ლევან ღლონტი), რომელიც დირექტორმა საზეიმოდ გადასცა ზემოთ აღნიშნულ დარბაზში მყოფ პიროვნებებს. ბათუმის მერი კიდევ ერთხელ გულთბილად მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ბაღის კოლექტივს, ბათუმის მერის მოადგილემ ნათია სურულაძემ, რომელიც „ჯადოსნურ ბაღს, ხელოვნების შედევრს, ღმერთების მოსასვენებელ ადგილს“ უწოდებს, ჩვეული სათნოებითა და გულითადი სიტყვებით მოეფერა თითოეულ ჩვენგანს და სტუმრებს.

ბაღის საიუბილეო დასკვნითი საზეიმო საღამო კეთილი სურვილებით და მისალოცი ადრესატებით დაამშვენეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერეტუს-პროფესორმა გია ნახუცრიშვილმა, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორმა მაია თავართქილაძემ, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის დეკანმა რამაზ კილაძემ, ველური ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისის დირექტორის მოადგილემ ნუგზარ ზაზანაშვილმა, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულმა პროფესორმა დავით ბარათაშვილმა.

დასკვნითი გალა კონცერტის დასრულების შემდეგ გაიმართა საზეიმო ვახშამი.

საერთაშორისო საიუბილეო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

2013 წლის 8-10 მაისს დიდი წარმატებით ჩატარდა ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო საიუბილეო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია - **„ბოტანიკური ბაღების მნიშვნელობა მცენარეთა მრავალფეროვნების შენარჩუნებაში“**, რომლის ორგანიზატორი იყო ა(ა)იპ – ბათუმის ბოტანიკური ბაღი, მხარდამჭერები: აჭარის ა. რ. მთავრობა და ქ. ბათუმის მერია. პარტნიორი ორგანიზაციები: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი, ილიას უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტი. კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ მანველიძე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე – ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი ფერიდე ჩაიძე, პასუხისმგებელი მდივანი - ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი ნინო მემიძე.

კონფერენცია მუშაობდა 7 სამეცნიერო მიმართულებით (მცენარეთა ინტროდუქცია, ეკოფიზიოლოგია; ფლორისა და მცენარეულობის მრავალფეროვნება; მცენარეთა დაცვა; ლანდშაფტური არქიტექტურა და ფიტოდიზაინი; მცენარეთა სელექცია; ეკოტურიზმი, მარკეტინგისა და მენეჯმენტის საკითხები; ეკონომიკური ბოტანიკა), რომელიც გაერთიანდა 4 სექციად (მცენარეთა ინტროდუქცია, ეკოფიზიოლოგია; ფლორისა და მცენარეულობის მრავალფეროვნება, ეკონომიკური ბოტანიკა, ეკოტურიზმი, მენეჯმენტი და მარკეტინგი ბოტანიკურ ბაღებში; მცენარეთა სელექცია, მცენარეთა დაცვა; ლანდშაფტური არქიტექტურა და ფიტოდიზაინი).

კონფერენციაში მონაწილეობის ფორმას წარმოადგენდა: მოხსენება პლენარულ სხდომაზე, მოხსენება თემატურ სხდომაზე, პოსტერი, დაუსწრებელი მონაწილეობა.

კონფერენციის ფარგლებში მოხსენებათა რაოდენობით დომინირებდა მცენარეთა ინტროდუქციისა და ეკოფიზიოლოგიის სამეცნიერო მიმართულება და სექცია. კონფერენციის I დღეს პლენარულ სხდომას ხელმძღვანელობდა საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. გია ნახუცრიშვილი, თანახელმძღვანელი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ მანველიძე. მცენარეთა ინტროდუქცია, ეკოფიზიოლოგიის სექციის თემატური სხდომის I ნაწილს უძღვებოდა საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ვანო პაპუნიძე, ჯულიეტა ჯაყელის თანახელმძღვანელობით, ხოლო II ნაწილს უძღვებოდა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ალეკო კალანდია, თანახელმძღვანელი ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი ფერიდე ჩაიძე. I დღეს პლენარული სხდომა გახსნა მცენარეთა ინტროდუქციისა და აკლიმატიზაციის სამსახურის უფროსმა ფერიდე ჩაიძემ გლობალური მოხსენებით: „ბათუმის ბოტანიკური ბაღის მერქნიან მცენარეთა გენოფონდის მრავალფეროვნება და ინტროდუქციის შედეგები”. მცენარეთა ინტროდუქციისა და ეკოფიზიოლოგიის მიმართულებით გაკეთდა 19 მოხსენება; II დღეს პლენარულ სხდომას ხელმძღვანელობდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თენგიზ ურუშაძე ფერიდე ჩაიძის თანახელმძღვანელობით, თემატური სხდომის I ნაწილს უძღვებოდა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჟირარ ვარდანიანი, ხოლო II ნაწილს უძღვებოდა ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი სერგეი პრივალიხინი, თანახელმძღვანელი ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი მარიამ მეტრეველი, III ნაწილს კი - ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი სერგეი ეფიმოვი, თანახელმძღვანელი ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი

მარინე თათარიშვილი. კონფერენციის II დღეს I სექციაში მოისმინეს 17 მოხსენება. წარმოდგენილი იყო ორიგინალური სამეცნიერო მოხსენებები, რასაც მოსდევდა ფართო სპექტრის განხილვები, კითხვები, აზრთა შეჯერება, ზოგჯერ პოლემიკაც კი. საინტერესო და მრავალფეროვანი თემატიკა გაიშალა კონფერენციის სამუშაო დღეებში, რამაც სრულფასოვნად შეავსო, გააღრმავა და გაამდიდრა თითოეული მომხსენებლისა და მსმენელის ცოდნა თუ გამოცდილება. კონფერენციის მიმდინარეობის პერიოდში თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დონეცკის ბოტანიკურ ბაღსა და ბათუმის ბოტანიკურ ბაღს შორის, ასევე უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მ. გრიშკოს სახელობის ეროვნულ ბოტანიკურ ბაღთან და ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტთან. არსებული მემორანდუმის ფარგლებში უნდა განხორციელდეს ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი პროექტები. კონფერენციის III სამუშაო დღეს რეზოლუციის პროექტის შესამუშავებლად შეიქმნა მრგვალი მაგიდა შემდეგი შემადგენლობით: ვანო პაპუნიძე, რეზო ჯაბნიძე, ავთანდილ დოლიძე, გიორგი გაგოშიძე, ალეკო კალანდია, რამაზ კილაძე, არჩილ სუპატაშვილი, დავით ბარათაშვილი, ზურაბ მანველიძე, ფერიდე ჩაიძე, ნინო მემიაძე, თამარ ცხოიძე, მარინე თათარიშვილი, მარიამ მეტრეველი, გია ბოლქვაძე, ვადიმ ბაკალინი, ჟირარ ვარდანიანი, სერგეი პრივალიხინი, რამაზან მურთაზალიევი, სვეტლანა კლიმენკო, იგორ ხარჩენკო, სერგეი ეფიმოვი, ვლადიმერ დოროფიევი, ვაჰიდ ფარზალიევი, ოზგურ ემინაღაოღლუ, თემელ გიოქთურქი. რეზოლუციის პროექტში აისახა მონაწილეების მიერ შემოთავაზებული 13 რეკომენდაცია, რომელიც ხელს შეუწყობს სამომავლოდ ბოტანიკური ბაღების მცენარეთა გენეტიკური რესურსების ინტროდუქციისა და ***ex situ*** კონსერვაციის

ღონისძიებების წარმატებით განხორციელებას, სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების გაძლიერებას. კონფერენციის დასასრულს სასაჩუქრე პაკეტები გადაეცა ჩამოსული სტუმრებიდან ყველაზე აქტიურ მონაწილეებს:

სვეტლანა კლიმენკო – ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მ. გრიშკოს სახელობის ეროვნული ბოტანიკური ბაღი, კიევი, უკრაინა);

სერგეი პრივალიხინი - ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი (უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბოტანიკური ბაღი, დონეცკი, უკრაინა);

ოქსანა ნაგორნიუკი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (უკრაინის სიცოცხლისა და გარემოს შემსწავლელ მეცნიერებათა ეროვნული უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა);

გიტანა სტუკენიენე – უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ვილნიუსის ბოტანიკური ბაღი, ვილნიუსი, ლიტვა);

თემელ გიოქთურქი – ასოცირებული პროფესორი (ართვინის უნივერსიტეტი, თურქეთი);

ჟირარ ვარდანიანი - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი, ერევანი, სომხეთი);

ვაჰიდ ფარზალიევი - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბაქოს ცენტრალური ბოტანიკური ბაღი, ბაქო, აზერბაიჯანი);

ზაქირ იბრაჰიმოვი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, დოცენტი (აზერბაიჯანის სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი, განჯა, აზერბიჯანი);

ვადიმ ბაკალინი - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (ბიოლოგიისა და მიწათმოქმედების ინსტიტუტი, ბოტანიკური ბაღი, ვლადივოსტოკი, რუსეთი);

სერგეი ეფიმოვი - ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი (ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკური ბაღი, მოსკოვი, რუსეთი);

რამაზან მურთაზალიევი - ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი (ალპური ბოტანიკური ბაღი, მახაჩკალა, რუსეთი);

გალინა სოლტანი - ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი (სოჭის ეროვნული არბორეტუმი, სოჭი, რუსეთი);

დიმიტრი შილნიკოვი - ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი (ეკოლოგიურ-ბოტანიკური სადგური „პიატიგორსკი", პიატიგორსკი, რუსეთი);

ტარან ალექსეევიჩი - ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის შორეული აღმოსავლეთის განყოფილების ბოტანიკური ბაღი – ინსტიტუტის სახალინის ფილიალის დირექტორი, იუჟნი სახალინსკი, რუსეთი).

კონფერენციის პროგრამით გაწერილი ყველა საკითხი შესრულდა საკმაოდ მაღალ დონეზე, რაც დიდი აღფრთოვანებით აღნიშნეს 60 სხვადასხვა ბოტანიკური დაწესებულებიდან მონაწილე მეცნიერებმა. დასკვნით ღონისძიებაზე კი გააკეთეს განცხადება, რომ ასეთი ორგანიზებული გრანდიოზული მასშტაბის სამეცნიერო კონფერენცია იშვიათობას წარმოადგენს, რაც კიდევ ერთი დიდი წარმატებული ნაბიჯი და დასტურია იმ უდიდესი პოტენციალისა, რაც ბათუმის ბოტანიკურ ბაღს გააჩნია, ამ კონფერენციამ ბათუმის ბოტანიკური ბაღის რენესანსის ეპოქის საწყის ფაზას ფუნდამენტი ჩაუყარა.

The century-old Batumi botanical garden

Summary

Batumi botanical garden was founded in 1912.Creation and lay out of the botanical garden is in touch with the first director of the garden, wellknown scientist professor Andria Krasnov and specially invited botanist and decorator Iason Gordeziani who worked at roal botanical garden in London. This was made possible thanks to two talented people to create an open laboratory such as the Batumi Botanical Garden. Due to 100 years anniversary of the Botanical Garden within the week from October 29, 2012, through November 3, a lot of interesting events were conducted,It was attended by local, foreign guests and members from different botanical garden worldwide.

Вековой Батумский ботанический сад

Резюме

Батумский ботанический сад был создан в 1912 году. Его создание - выращивание было связанно с его первым директором, выдающимся ученным, профессором Андреем Красновым и специально приглашенным из Лондонского царского ботанического сада, образованным агрономом -декоратором Ясоном Гордезиани.

Благодаря двум таким целеустремленным и талантливым людям стало возможным создать такую уникальную лабораторию под открытим небом, как Батумский ботанический сад. В связи с 100-летию Ботанического сада в рамках недели с октября 29, 2012, через 3 ноября были проведены много интересных событий, В нем приняли участие местные, иностранные гости и работники из разных ботанических садов в мире.

უწმინდესსა და უნეტარესს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II ვულოცავთ დაბადებიდან 81 წლის იუბილეს

ჩემო მამულო

ვუძღვნი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II

ჩემს სვეტიცხოველს, ჯვარს და ბოლნისს, წრომსა და ყინწვისს, ნინოწმინდას ვფიცავ მამულო,
ლევილის საძმოს, ფერეიდნის ღია ჭრილობას,
მამულიშვილთა სისხლით მორწყულ გარნისს, სამშვილდეს,
ჭოროხს და რიონს, დიდგორს, ბასიანს... მხეიძეების ძვალთშესალაგს, მოწამეთას ვფიცავ მამულო...
ღვთისგან ნაბოძებ სისხლის ყოველ წვეთს, ყოველ მარცვალს აზროვნებისას,
ყოველ ნათელ დღეს შენ შემოგწირავ ჩემო მამულო...
ვიცი გტკივა გაბერძნებული, გათურქებული ჭანეთ-ლაზეთი, კაპადოკია, მესხეთი, ტაო,
ხიზაბავრას ბნელი დარნების სამალავების ნახანძრალები გტკივა მამულო...
თუბალკაენის ჯიშის, მოდგმის სისხლიანი ღრმა იარები და ამირანის დაფლეთილი გულ-ღვიძლი გეწვის ჩემო მამულო...
გტკივა შატბერდი, ოშკი, ჯმერკი, პარეხი, ზარზმა, ჰუჯაბი და ბერთას სავანე,
წმინდა გრიგოლის სალოცავი, ხანძთა გტკივა ჩემო მამულო...
        როგორ ვუწამლო ამდენ იარებს?
        გამანდე შენი ყველა დარდი, ყველა წუხილი,
        სიხარულო და ტკივილო ჩემო, ჩემო მამულო...
ვახტანგ გორგასლის ღალატიან ჭრილობას და შენი ნატანჯი შვილების ნათელს ვფიცავ მამულო,
მამა ამბროსი ხელაიას წმინდა სამარეს ვფიცავ მამულო...
ჯიშის, ჯილაგის გადარჩენისთვის სისხლსა და ცრემლში დანაცრებულ ათასწლეულებს,
შენს ძველ იარებს, მიწის ყოველ გოჯს, ყოველ მტკაველს,
მთას, კლდეს თუ მდელოს, გლეხიკაცის ოფლით მორწყულ ვაზის ფესვებს ვფიცავ მამულო...
        მტლედ დავედები შენს ყველა წყლულს,
        სიხარულო და ტკივილო ჩემო, ჩემო მამულო...
წმინდა ნინოს ყოველ ნაფეხურს ვფიცავ მამულო...
ახალციხელთა თავგანწირვას, ვარძიის ფრესკებს,
იშხანს და ბანას, დოლისყანას, ოპიზართა წმინდა სავანეს,
ქურმუხს და ილორს, შერვაშიძეთა ლიხნის საძვალეს ვფიცავ მამულო...
ვიცოცხლო და ვიბრძოლო შენთვის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.
        მომეცი ძალა, მაზიარე შენს წმინდა ბარძიმს,
        რომ ბეთლემის კარს შევხსნა მახვილი პირდაჟანგული ჯურხაის ფარით, ჩემო მამულო!
ხორნაბუჯის ყველა სათოფურს ვფიცავ, მამულო..
შენთვის ვლოცულობ, შენთვის ვცოცხლობ, ჩემი ფიქრის სათავე შენ ხარ,
გარეჯს, იყალთოს, გრემს და ნეკრესს, ალავერდის სიწმინდეს ვფიცავ.

გალაკტიონის ატმის ყვავილებს, ნადიკვრიდან მზის ამოსვლას
და გელათურ შემოღამებას ვფიცავ მამულო...
ელიას მთის წმინდა სამებას, ანჩისხატს, სიონს, შხარას და უშბას,
დიდოსტატი კონსტანტინეს მოჭრილ მარჯვენას ვფიცავ მამულო...
მუხლმოდრეკილი მწირი მლოცველი შენთვისა ვარ, ჩემო მამულო...
ჩემი სიცოცხლით შევეხიდები შენს სამამულე რქას
ნედლს და სათუთს, ჩემო მამულო..
სიხარულო და ტკივილო ჩემო, ჩემო მამულო...
ილიას ლანდი მომავლისკენ სანთლად გინთია,
და მეჩვენება... დიდგორისკენ გაელვებული თეთრი გიორგი...
და მელანდება... შავით მოსილნი, ღვთისგან რჩეულნი, შენთვის მლოცველნი
ბასილი დიდი... კირიონი... ხანძთელი და მთაწმინდელები...
კოშკის თავიდან შენს წმინდა მიწას
თავგაჩეხილი ენარცხება კათალიკოსი...
ევდემოზია დიასამიძე, მამულისთვის შეწირული უხმო ზვარაკი,
ქარიშხალში კი ისმის კვნესა ბატონიშვილ ალექსანდრესი.
შემდეგ... მარტყოფის მონასტერში გულგახვრეტილი დიდი წმინდანი
პატრიარქია კირიონი, საძაგლიშვილი!
რომელი ერთი გავიხსენო, ჩემო მამულო...
რომელი ერთი ჩამოვთვალო, ჩემო მამულო...
ამდენი სისხლი, თავგანწირვა, ჩუმი დიდება
შენ შემოგწირეს, შენ მოგიძღვნეს შენმა შვილებმა...
მათი ნათელი დაგიფარავს, ჩემო მამულო..
იმათი ლოცვა შეგეწევა, ჩემო მამულო..
მაგრამ როდემდე?
შენს წამებას დასასრული როდის ექნება?
როდის ჩააგებს ხმალს ქარქაშში შენი ჯილაგი?
ძილი აღარ მაქვს, გამუდმებით მესმის შენი კვნესა-ვაება,
შენს გულისფეთქვას დღენიადაგ შევიგრძნობ ჩემში,
და მუხლმოყრით გთხოვ, ჩემო მიწავ, ენავ, მამულო....
შენი ფესვების ღვთაებრივი მადლით აღმავსე
რომ ჭრილობები დაგიამო, ჩემო მამულო...
სიხარულო და ტკივილო ჩემო, ჩემო მამულო...
მცხეთის სიწმინდეს ვფიცავ, მამულო... ჩემი თაობის სახელით ვფიცავ...
შენს მომავალზე ილოცებენ, შენს მომავალზე იზრუნებენ ალგეთს დაზრდილნი ლეკვები მგლისა,
და ღმერთმა ნუ ჰქნას ისე ამოსწყდნენ ჯავრი არ სჭამონ შენივე მტრისა!
ბაგრატს და გელათს, ქუთაისის სიბერეს ვფიცავ,
გიშის სამრეკლოს, არტანუჯის ბალავარს ვფიცავ,
ყველა ნაციხარს, ნასოფლარს და ნასახლარს ვფიცავ...
ღვთისგან ნაბოძებ სისხლის ყოველ წვეთს, ყოველ მარცვალს აზროვნებისას,
ყოველ ნათელ დღეს-შენ შემოგწირავ! ჩემო მამულო...
ვფიცავ მამულო... შენ გემსახურო და გეთაყვანო,
შენს საკურთხეველს სანთლად ავენთო
სიხარულო და ტკივილო ჩემო, ჩემო მამულო...
დავითისა და ილიას ხატთან... – და ზვიადის წმინდა საფლავთან
შენს მომავალზე მუხლმოდრეკილი მწირი მლოცველი მე ვარ... მამულო...
სიხარულო და ტკივილო ჩემო, ჩემო მამულო...

დავით მაისურაძე

უწმინდესს

გიხაროდენ! გიხაროდენ! გიხაროდენ!
მწყემსო დიდო!...
ცხოვნებისა მოსურნეთა საიმედო
გზავ და ხიდო!..
მცველო ჭეშმარიტებისა და ქომაგო
ჭეშმარიტო...
წუთისოფლის ღელვათაგან არ იმღვრევი
ღვთისგან მშვიდო...

მიტროპოლიტი თადეოზი (იორამაშვილი)

უფალს ავედრებ

უწმინდესსა და უნეტარესს სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს
ილია II-ს

მეოხად შენთა შვილთა სულების
აღავლენ ლოცვებს-ნათლით შემოსილს...
შენი ფიქრები დანისლულები
დარდია მთელი საქართველოსი!
იმედს გვიღვივებ: გადივლის ქუფრი,
კვლავ იისფერში ცა დაირწევა...
სადაც შენდება ტაძრები უფლის,
ქვეყანა იგი არ წაიქცევა!
ძრწიან დღეები განახელები, –
დროს ყველანაირს აქვს გამართლება!..
შენი გულივით თბილი ხელებით
კიდევ მრავალი გაინათლება!
გრძელდება კვალვაც მტერთა ქადილი
და შენც სამშობლოს უფალს ავედრებ...
ქვეყნის ტკივილის ეცვლება ჩრდილი
შენი სპეტაკი სულის ხავერდებს.
გულდარდიან მრევლს თავზე ევლები
გლოცავს ათონი და პეტრიწონიც!
ტაძრად დაღვრილი შენი ცრემლები
ყველა ქართველის ცრემლებს იწონის!
წუთები სიმწრის და შეჭირვების
შთაინთქმებიან მალე ხრამ-უღრანს...
სიტყვებმა: „მე – თქვენ, თქვენ – მე გჭირდებით!“
სულები ჩვენი სულ მთლად დამდუღრა.
ციდან მოდენილ ფიქრებს შევები:
მზედ ბუდობს შენი სულის მშვენება...
ერს, რომელსაც ჰყავს შვილი შენებრი,
„არ უწერია გადაშენება“
გზებზე აფეთქდა მზედ მიმოზები,
ეშმა სულსა ლევს ღამის ძონძებზე...
ციდან დაეშვნენ ანგელოზები
და საქართველოს მიწა მოძებნეს

თენგიზ სვანიძე.

ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან 6 წელი გავიდა...



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილიაII

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი უკვდავი სული!

ბადრი პატარკაციშვილის დაახლოება საქართველოს ეკლესიასთან იერუსალიმის ჯვრის მონასტერს უკავშირდება.

სწორედ მან პირველმა შეიძინა ამ ტაძრიდან ევროპაში გასაყიდად გატანილი ქართული ფრესკები და ხატი, დაკარგვას გადაარჩინა ისინი და თბილისში ჩამოიტანა; შემდეგ კი წლების მანძილზე აფინანსებდა წმიდა მიწაზე ქართველთა მოღვაწეობის შემსწავლელი არქეოლოგიური ჯგუფის ექსპედიციებს.

მისი დიდი მეცადინეობის შედეგია შოთა რუსთაველის ქუჩის გახსნა იერუსალიმში, წმიდა დავით წინასწარმეტყველის სახელობის ტაძრის მოხატვის დაფინანსება თბილისში და სხვა საქმენი.

მინდა გავიხსენო ჩემი ვიზიტი ირანში.

ბადრიმ სპეციალურად დაიქირავა უცხოური ისეთი თვითმფრინავი, რომ მასზე საეკლესიო სიმბოლიკა – ჯვარი ყოფილიყო გამოსახული (ეს ჩვენ არ გვითხოვია და თვითონ მოიფიქრა) და უზრუნველყო ჩვენი გაფრენა და უკან დაბრუნება, მაგრამ ისე მოხდა, რომ დროის სიმცირის გამო ვიზიტის პერიოდში თეირანიდან ვეღარ ვასწრებდით ფერეიდანში გამგზავრებას ვერც მსუბუქი მანქანებით და ვერც ადგილობრივი თვითმფრინავით (რეისი გვიან უწევდა), გამოდიოდა, რომ საქართველოში ფერეიდნელი ქართველების უნახავად უნდა დავბრუნებულიყავით, რადგან მხოლოდ ერთი დღეღა გვქონდა დარჩენილი ირანში ყოფნისთვის. ეს რომ ბადრიმ გაიგო, მთელი ღამე არც თვითონ დაისვენა და არც სხვები დააძინა, ვიდრე მეორე დღისთვის თვითმფრინავის გამოძახება, საჰაერო გზების გახსნა, თეირანში ჩაფრენა და შემდეგ ფერეიდანში წასვლა დადებითად არ გადაწყვიტა და ეს ყველაფერი ერთ ღამეში შეძლო.

მაშინ ფერეიდნელებმა მხოლოდ ორი საათით იხილეს საქართველოს ეკლესიის დელეგაცია. მაგრამ ეს იყო განუმეორებელი შეხვედრა: საოცარი სიხარულის, სევდისა და იმედის ისეთი ორი საათი, რომელმაც შემდგომ განსაკუთრებული როლი ითამაშა საქართველოსთან ფერეიდნელების დაახლოების საქმეში და ამაში ბადრის წვლილი მეტად დიდია.

მაგონდება ურეკში, მის სახლში გატარებული ღამე. სულ მთხოვდა ვწვეოდი და ერთხელ მართლაც დავრჩი მასთან. ბავშვივით უხაროდა, თვითონ მოჰქონდა საჭმელი. ემსახურებოდა ყველას. ღამე კი კიბის საფეხურზე მჯდომმა გაატარა; სულ ღიღინებდა ჩემს სახლში პატრიარქმა მოისვენა და მე რა დამაძინებდაო – ამბობდა.

მან რთული ცხოვრება განვლო. მტერიც ბევრი ჰყავდა და მოყვარეც, მაგრამ მის ერთ თვისებას – ერთგულებას, ალბათ, ყველა აღიარებს.

სხვათა შორის, ჩემდამი თქმული ბადრის ბოლო და ერთადერთი ფრაზაც ასეთი იყო (ლონდონიდან დარეკა): მე საქართველოსთვის არ მიღალატია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი უკვდავი სული.



„მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან
სული თვისი დადვის ცხოვართათვის"...
იოვანე. თავი 10. მუხლი 11.
"მე ვარ მწყემსი კეთილი და ვიცნი ჩემნი იგი,
მიციან ჩემთა მათ"
იოვანე. თავი 10. მუხლი 14.

მამულიშვილი...

ჟურნალ „კვალს" აქვს გამორჩეული რუბრიკა „ერისთავის დაუვიწყარი თარიღები", – ადვილი მისახვედრია, რომ ამ რუბრიკის ქვეშ არასოდეს მოხვდება ჰაი-ჰარად შერჩეული, ან სულაც შეურჩეველი მასალა. დიახ, აქ, ამ რუბრიკის ქვეშ ყოველთვის იწერებოდა და დაიწერება ქართველი ერის გამორჩეულ, განსაკუთრებულ შვილთა ღვაწლზე! იმათზე, ვინც საკუთარი სიცოცხლე არ დაიშურა სამშობლოსთვის და დღეს ასე დამცირებული და დათრგუნული ქართველი ხალხისთვის. ჩვენი ჟურნალის ინტელექტუალური მკითხველი დამერწმუნება, რომ ქართველებს ბევრი, ძალიან ბევრი ღირსეული მამულიშვილი გვყავდა, რომლებმაც იცოცხლეს და იცხოვრეს მხოლოდ ერთადერთი მიზნით: თავისი ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისთვის, წარმატებისთვის, დიდებისთვის! რომელი ერთი გავიხსენოთ? აღარაფერს ვამბობ ფარნავაზზე, საქართველოს ისტორიის ამ განუმეორებელ ფენომენზე, ან ვახტანგ გორგასალზე, ან კირიონ I კათალიკოსზე... ან დავით კურაპალატზე, რომლის მეფობის დროსაც ქართველი ხალხის სიმრავლით, სიმდიდრითა და მეცნიერების არნახული განვითარებით ყვაოდა არა მარტო „დიდი საქართველო – ტაო-კლარჯეთი" (მაშინ ასე უწოდებდნენ ტაო-კლარჯეთს), არამედ სრულიად საქართველო და ქართული ენა იყო საოცრად აღმატებული და გაბრწყინებული მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროში, ასევე აღარაფერს ვამბობ ბაგრატ III-ზე, რომელმაც გააერთიანა საქართველო, მაგრამ... არაბებს და თურქ-სელჩუკებს ვერ გამოგლიჯა ხელიდან თბილისი, და სწორედ ამიტომ იყო გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქი ქუთაისი, ერთ-ერთი უძველესი და უბერებელი ქალაქი დედამიწაზე... აღარაფერს ვამბობ აღმაშენებელზე, რომელმაც უძლიერესი სახელმწიფო – საქართველო შექმნა და ააღორძინა ევროპა – აზიის გზაგასაყარზე, ქვეყანას დაუბრუნა 400 წლის წინათ მტერთაგან წართმეული დედაქალაქი – თბილისი! ასევე აღარაფერს ვამბობ თამარზე, რომელმაც თავისი სათნოებითა და ღრმა რწმენით უდიდესი მაგალითი მისცა მშობელ ხალხს, დიახ... ის მეფე-ქალი, განსწავლული, ღირსებით სავსე მართლმადიდებელი დღედაღამ ლოცულობდა, ფეხშიშველა, უდიდესი რწმენით, ჯვრითა და ლოცვით მიუძღოდა ომში მიმავალ ქართულ ჯარებს, რომელთაც მისი მეფობის ჟამს დამარცხება არ უგემნიათ. ასევე აღარაფერს ვამბობ ცოტნე დადიანზე, ვინც საკუთარი სიცოცხლის განწირვის საფასურად გადაარჩინა შეთქმული „ძმები" და თავისი თავდადებით საოცარი მაგალითი მისცა სრულიად საქართველოს! ასევე აღარაფერს ვამბობ დემეტრე თავდადებულზე, რომელმაც სიცოცხლე ნებაყოფლობით ანაცვალა მამულის სიმშვიდეს... შემდეგ? შემდეგშიც ბევრნი არიან: სვიმონ დიდი, ლუარსაბ მეფე, მღვდელი თევდორე, ქეთევან წამებული, ევდემონ კათალიკოსი, გოსტაშაბიშვილი და... გიორგი სააკაძე! იგი განსაკუთრებული სახეა საქართველოს ისტორიაში... ამ დიდბუნებოვანმა და მამულის სიყვარულით გათანგულმა კაცმა არა მარტო საკუთარი თავი, ოჯახი და შვილებიც უძღვნა სამშობლოს! მიუხედავად ამისა ბევრმა შურით დაბრმავებულმა ამბიციურმა თანამემამულემ მოინდომა მისთვის ლაფის შესხმა... ტალახს კი ის ისვრის ვისაც ბინძური ხელები და ასევე ბინძური გული აქვს! ისტორიამ ჩამორეცხა გიორგი სააკაძეს მათი ბოღმა და ღვარძლი და ის ერთ-ერთი გამორჩეული მამულიშვილია ჩვენი წარსულიდან! და კიდევ... კიდევ დიდებული გიორგი ბრწყინვალე!... ვინც ერთხელ კიდევ აღადგინა და ააღორძინა დაცემული საქართველო, ვინც ერთხელ კიდევ დაუბრუნა ღირსება ქართველებს! ვინც თავისი მხედრიონით და გაშლილი დროშებით შედიოდა იერუსალიმში, ლოცულობდა ქართველების „ჯვრის"-ა და „წმინდა იაკობის" მონასტრებში... რომლებიც შემდეგ ბერძნებმა და სომხებმა მიიტაცეს! პალესტინაში, შავ მთაზე და ათონის ივერონში... შემდეგ... ბნელი, ტანჯვით

გავლილი საუკუნეები და წლებია! დიდმა ერეკლემ პოლიტიკური შეცდომა დაუშვა, როცა გადაწყვიტა სომეხი ვაჭრების ხელშეწყობით ფეხზე დაეყენებინა ქართლი და კახეთი, მან უარესს ისევ ცუდი არჩია, რადგან საქართველო გაგლეჯილი ჰქონდა სპარსეთს და თურქეთს... და... გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე ხდება საქართველოს არა მარტო მიერთება რუსეთთან, არამედ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვა, მცხეთის 1500 წლოვანი საკათალიკოსოს გაუქმება, რადგან ეკლესია საუკუნეების მანძილზე ის სულიერი საყრდენი იყო ქართველი კაცისთვის, რაც ძალას აძლევდა მათ ქუდზე კაცი გამოსულიყო მამულის დასაცავად. გიორგი XII-ის ანდერძით კი უკვე სრულიად გაუქმდა ეკლესიის ავტოკეფალურობა და ქართული სამეფო ტახტი, რომელზეც ებრაული წარმოშობის ქართველი ბაგრატიონები ისხდნენ 1500 წლის მანძილზე და დიდი სიყვარულით, ერთგულებითა და თავდადებით არა მარტო ემსახურებოდნენ სამშობლოს, დაუნანებლად სწირავდნენ თავს მამულის თავისუფლებას! საქართველოს ისტორიაში უმძიმესი სიბნელით სავსე ღამე ჩამოწვა! მაგრამ... ამ ღამესაც დიდებული ნათლით მოსავს ილია ჭავჭავაძე, რომელმაც ქვეყნისა და ხალხის გადამრჩენის დიადი მისია იკისრა და ეს სასწაული ტვირთი ღირსეულად ატარა მთელი სიცოცხლე... სიკვდილიც შესაფერი და კანონზომიერი იყო მისთვის – ბოღმით და შურით გულგავსებულმა ძველმა ლენინელებმა მახარაძე-ორახელაშვილების ბანდამ მუხანათურად გაუხვრიტეს გული და შუბლი! მთლად უარესი! ხელისუფლებაში მათი მოსვლის შემდეგ ისინი შეეცადნენ საქართველოს ისტორიიდან სამუდამოდ ამოერიცხათ ილია ჭავჭავაძის სახელი!!! 1932 წელს კი მწერალთა კავშირმა საბოლოო განაჩენიც გამოუტანა მას და საფლავიდან ამოთხრა დაუპირეს... მაგრამ ბატონებო! დიდია უფლის ძალა!.. დღეს თუ ილია გვყავს და ვიცით რა გააკეთა მან ქვეყნისთვის და თითოეული ქართველისთვის, ე.ი. თითოეული ჩვენგანის შემეცნების ჩამოსაყალიბებლად – სოსო ჯუღაშვილს უნდა ვუმადლოდეთ, რომელსაც ისევე ბევრი ბოღმიანი და შურიანი თანამემამულე აღმოაჩნდა, როგორც ილიას, რადგან მისთვისაც არ დაიშურეს ლაფის შესხმა. უფრო მეტიც! მას წლების მანძილზე არ უშვებდნენ საქართველოში! ხოლო ქართველთმოძულე მახარაძე-ორახელაშვილების ბადიშები დღემდე ცდილობენ ქართველ ხალხს წაართვან მისი ხსოვნა და თავიანთი წინაპრების ცოდვები მას გადააბრალონ! მაგრამ... მოგეხსენებათ ისტორია დაუნდობელია! იგი ყველას თავის კუთვნილ ადგილს მიუჩენს! მიუხედავად იმისა, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა და ჩვენ, ქართველები მცირერიცხოვანი ერი ვართ – დიდი და მამულის სიყვარულით გულანთებული და თავგანწირული სამაგალითო ადამიანების ნაკლებობას არასოდეს განვიცდიდით. ასე მოხდა მე-20 საუკუნის ბოლოსაც... გამსახურდიები მამა-შვილი დიადი ადამიანები იყვნენ, ეპოქალური პიროვნებები! ზვიადს ჰქონდა შეცდომები, თუ შეიძლება ითქვას სერიოზული, მაგრამ მას ისე ძალიან უყვარდა თავისი ხალხი, რომ ქვეყნის ასე დაქცევას და დამათხოვრებას არ დაუშვებდა! საქართველო დამცირებული და გაღატაკებული შეხვდა 21-ე საუკუნეს! ქვეყანა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას, რადგან... ქართველი კაცისთვის საარსებო საშუალება აღარ მოიპოვება მისსავე საკუთარ ქვეყანაში და რადგან ახალმა პოლიტიკოსებმა, იმავე რეფორმატორებმა, რომლებმაც შემდეგ ნაციონალები დაირქვეს, საქართველო ყველა ჯიშისა და წარმომავლობის ხალხის სამშობლოდ აქციეს, გარდა ქართველი კაცისა!... ქართველები კი... ლუკმა-პურის საშოვნელად გადაიხვეწნენ სადაც შეძლეს იქ, თუნდაც ჯანდაბაში, ვინც აქ დარჩა ისინი ან შიმშილით ამოწყდნენ, ან დამათხოვრდნენ! ეს ქმედება კი მიზანმიმართული პოლიტიკაა ქართველი ხალხის გადასაშენებლად! და ამ დროს ღვთის შეწევნით უკვე ფეხზე დგება და წელში იმართება ჯერ მახარაძე-ორახელაშვილებისგან და შემდეგ ხრუშჩოვისგან მიწასთან გასწორებული ქართული მართლმადიდებელი ეკლესია! ქართველ ერს სულიერ და ფიზიკურ მამად მოევლინა კათალიკოს-პატრიარქი ილია II... მოსკოვიდან კი... თბილისში საცხოვრებლად ბრუნდება ბატონი ბადრი პატარკაციშვილი – ბაგრატიონებივით ებრაული წარმოშობის ქართველი, რომლის გული და ტკივნი ერთადერთი აზრით იყო გარემოცული - დახმარებოდა თავის ქვეყანას და ხალხს გადარჩენაში! დიახ, საკითხი ძალიან მწვავედ იდგა! შიმშილისგან, სიცივისგან და უექიმობისგან დაავადებული ქართველი ხალხი უმოწყალოდ იხოცებოდა, განსაკუთრებით საშინელი სანახავი იყო განწირული ბავშვები!.. თბილისი და საქართველო სავსე იყო შავოსანი დედებით!... ერთ-ერთ თავის ინტერვიუში ბატონი ბადრი იგონებს 93-წლის თბილისს, როცა გარდაცვლილი მამა ჩამოასვენა მოსკოვიდან. დიახ, შემზარავი იყო იმ წლების დანგრეული და დანახშირებული თბილისი! ქალაქი ფაქტიურად მკვდარი იყო. სანახაობამ შეძრა ამ დიდი ქართველის გული! ამ შემთხვევაში მე უბრალოდ არ წამიმძღვარებია ბატონი ბადრის ზედწოდებად „დიდი ქართველი“! ის დიდი ქართველი გახლდათ, ბატონებო, თავისი დიდებული, კეთილშობილი ქართული სულით და უსაზღვრო სიყვარულით თავისი ხალხისა და მიწის მიმართ! თავისი მოღვაწეობით და მისწრაფებებით, მისი აურაცხელი ქველმოქმედებით, რომელიც არც არის აღწერილი და ჩანიშნული, რადგან... იგი ამას არასოდეს ან იშვიათად აკეთებდა... მის დასაფლავებაზე მისული ზღვა ხალხი (და მინდა გითხრათ, რომ იქ იყო მთელი საქართველო და მთელი თბილისი) დიახ! ქართველი ხალხი გულწრფელი ცრემლით დასტიროდა თავის გულშემატკივარს, რომლისგანაც გადარჩენას ელოდა მომავალში. ბადრის სიკვდილი ფაქტიურად ქვეყნის დაღუპვას უდრიდა... და დაიღუპა კიდეც საქართველო! ბადრის სიკვდილით გამოუტანეს ქართველ ხალხს განაჩენი და წაართვეს მომავალი, ის მომავალი, რომელშიც ბატონი ბადრი პატარკაციშვილი ითამაშებდა უდიდეს როლს თავისი ქვეყნის ისტორიაში. დიახ, ბატონებო, ის თავისი დიდი სიყვარულით და დიდი ნიჭის წყალობით გადაარჩენდა თავის სამშობლოს იმ საშინელ განსაცდელს, რომელსაც ბნელი აწმყო და გაურკვეველი მომავალი ერქვა... და სრულიად ჯანსაღი, ნიჭით, კეთილშობილებით, სიყვარულითა და იმედით სავსე გულს ბოროტმა თანამემამულეებმა სიცოცხლის უფლება წაართვეს.. დღემდე ჩრდილშია ბატონი ბადრის

გარდაცვალების თუ... აშკარა მკვლელობის მიზეზები და ფაქტები, რადგან ზოგიერთები კარგად ახერხებდნენ სწორედ ფაქტების მიჩქმალვას და გაყალბებას... რაზედაც მეტყველებდა ბადრის სიკვდილამდე პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გახმაურებული მკვლელობა! დიახ, მკვლელობა, რადგან მარტივად რომ ვთქვათ, შეუძლებელი იყო იმ სახლში, სადაც ზურაბ ჟვანია და რაულ უსუფოვი მკვდარი ნახეს, ორივე ისე გაგუდულიყო გაზით, რომ რაულ უსუფოვს მხოლოდ ცალი ფეხსაცმელი ცმოდა! ამ საკითხებზე მსჯელობა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს და იგი პროკურორებს მივანდოთ, მაგრამ... ფაქტი – ფაქტად რჩება, გაუხსნელია ბატონი ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის საქმე! ძველ რომაელებს ერთი გამორჩეული თვისება ჰქონდათ – გარდაცვლილზე აუგს არავინ იტყოდა! ქართული ტრადიციით კი გარდაცვლილ ადამიანზე, თუნდაც იგი სოფლის მაოხარი გზირი ყოფილიყო არა მარტო ცუდს არ იტყოდნენ, პირიქით, შეუნდობდნენ მას ცოდვებს! ასეთი იყო ძველი სამყაროს სამართალი! ასეთივეა დღეს ინტელექტუალური სამყაროს სამართალიც! მაგრამ... ყველას როდი შეუძლია ასე მოქცევა! ყველას არ შეუძლია იყოს ინტელექტუალი! ჩვენმა ყოფილმა ხელისუფლებამ არა მარტო არ იკმარა ის ფაქტი, რომ ბადრი პატარკაციშვილი მათი ძალისხმევით და ხელშეწყობით, საკმაოდ გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა ჯანმრთელი და აბსოლუტურად საღ-სალამათი ახალგაზრდა კაცი, უარესიც... ბნელი ხლართებითა და ხრიკებით შეეცადა ტალახითა და ათასგვარი სიბინძურით გაესვარათ მისი სახელი და შეეძულებინათ იგი ქართველი ხალხისთვის, როგორც რუსეთის დაქირავებული აგენტი და ქართველი ერის მოღალატე! ამ ბინძური ცილისწამებით თავიანთ თავს უფრო ავნეს ცილისმწამებლებმა, რადგან... ილიას თქმისა არა იყოს ნებისმიერი პიროვნების ავ-კარგზე მისი ნამოღვაწარი, მისი საქმეები ღაღადებენ... ბადრის კი.. წმინდანთა საუფლოში თან გაჰყვა ხელისუფალთაგან მივიწყებული უთვალავი ქართველი ავადმყოფისა და მძიმე სენით დაავადებული ბავშვებისა და მათი მშობლების ლოცვა და ცრემლი, უთვალავი გაჭირვებული ქართველის ლოცვა და ცრემლი, უთვალავი ქართველი ახალგაზრდის ლოცვა და ცრემლი, ქართველი მეცნიერების, სპორტსმენების, ჟურნალისტების და ექიმების ლოცვა და ცრემლი, თან გაჰყვა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის, წმინდა სინოდისა და ერის სულიერი მამის კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის და მასთან ერთად მთელი ქართველი ხალხის დიდი ტკივილი, დიდი სიყვარული და უთვალავი ლოცვა და ცრემლი!.. დიახ... ნებისმიერი პიროვნების ავკარგიანობა მხოლოდ მისი საქმიანობითა და ღვაწლით განისაზღვრება! ბოლოს, სათქმელი რომ აღარაფერი დარჩათ ბადრის ოპონენტებს, მის ეროვნებას შეეხნენ! მისი ებრაული წარმომავლობა გაიხსენეს, მაგრამ... ამ გახსენებასთან ერთად დააივწყდათ, რომ ისინიც, ე.ი. ოპონენტები საქართველოში, ე.ი. უძველესი იბერიის მიწა-წყალზე ცხოვრობდნენ!!! იმ იბერიის მიწა-წყალზე, სადაც ჯერ კიდევ უძველესი დროიდან ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ ებრაელები და ცხოვრობდნენ მეგობრულად და ერთ ოჯახად! ჩავთვალოთ, რომ მათ ე.ი. ოპონენტებმა ისტორია საერთოდ არ იციან. მით უმეტეს საქართველოს ისტორია! ბადრი თავისი სულით და გულით, თავისი ცხოვრების წესითა და ძველქართული არისტოკრატული კეთილშობილებით ყოველთვის აღმატებული ქართველი იყო! დიდი ქართველი! და ისევ ვიმეორებ, ეს სიტყვები არ არის, ბატონებო, უსაფუძვლოდ და ხმამაღლა ნათქვამი! არც იმაში იყო რაიმე დასაგმობი და მიუღებელი, თუ ბადრი პატარკაციშვილი ებრაული წარმომავლობის ქართველი იყო! ებრაელი ერი, ეს უაღრესად უდიდესი კულტურის, ისტორიისა და ტრადიციების მქონე ერი თუ მეტი არა როგორც უკვე გითხარით 26 საუკუნეს ითვლის, რაც იბერიის, ე.ი. საქართველოს მიწა-წყალზე ცხოვრობს... მანამდე კი... წმინდა ელია წინასწარმეტყველმა იერუსალიმიდან სწორედ იბერიაში მოიტანა სასწაულთმოქმედი წმინდა ხალენი!.. ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის დარბევისა და დანგრევის შემდეგ იბერიაში შემოვიდნენ ლტოლვილ ებრაელ არისტოკრატთა დიდი ნაკადი თავიანთი ოჯახებითა და ხალხით. ამ ნაკადის მამამთავრები იყვნენ თვითონ დავით წინასწარმეტყველის, ისრაელის ლეგენდარული მეფის უშუალო შთამომავლები ბაგრატი და მისი ძმები. ისინი ჯერ ტაო-კლარჯეთში დაფუძნდნენ, შემდეგ კი მათი შთამომავლები მცხეთაში გადასახლდნენ... და სამუდამოდ შეერწყნენ საქართველოს ისტორიას, ქართულ გენს, ქართულ ენასა და ქართულ ცნობიერებას!.. თავიანთ ეროვნებას წინ ქართველი წაუმძღვარეს და... შრომითა და ბრძოლით ერთგულად ემსახურებოდნენ ამჯერად უკვე თავიანთ სამშობლოდ ქცეულ იბერიას! და სწორედ მითითებული ბაგრატის შთამომავლები ვახტანგ გორგასლის სამეფო ოჯახთან დამოყვრების შემდეგ 1500 წლის მანძილზე ფლობდნენ საქართველოს სამეფო ტახტს! და ეს იყო ერთადერთი უძველესი და ღვთაებრივი სამეფო დინასტია ცივილიზებულ სამყაროში, რომელიც სისხლით და ხორცით, გენიალური გონებით, მხედრული ნიჭით, რწმენითა და უსაზღვრო გენური კეთილშობილებით უშუალოდ და უხვად იყო დავალებული თავიანთი დიდი და წმინდა წინაპრის დავით წინასწარმეტყველისაგან, ამბობს კიდევაც ამის შესახებ გრიგოლ ხანძთელი... აშოტ კურაპალატთან საუბრისას! დამერწუნება ჩემი მკითხველი, რომ გრიგოლ ხანძთელის ნააზრევში ეჭვის შეტანა უბრალოდ სისულელე და არასერიოზულობაა! უფრო მეტიც... და რაც მთავარია სწორედ მცხეთელი ებრაელები წმინდა ელიოზ მცხეთელი და წმინდა ლონგინოზ კარსნელი არა მარტო ესწრებოდნენ უფლის უკანასკნელ დღეებს იერუსალიმში, არამედ ისინი თან მიჰყვებოდნენ მას ვია დოლორესაზე – გოლგოთამდე და შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ ლოცვით, ცრემლით და რწმენით შესწეოდნენ და შეემსუბუქებინათ განკაცებული მაცხოვრისთვის ამქვეყნიური ბოლო სატანჯველი და ბოლო განსაცდელი, ხოლო ჯვარცმისა და გარდამოხსნის შემდეგ უფლის კვართი ელიოზ მცხეთელს ერგო, როგორც იესო მაცხოვრის საყვარელ მოწაფეს იმ 120-დან, ვისზედაც შემდეგ სულიწმინდა გადმოვიდა... ამის შემდეგ დაბრუნდნენ ისინი მცხეთაში! ხოლო ელიოზის დას, სიდონიას, უფლისგან ეუწყა

როდის დაბრუნდებოდა ღვთაებრივი განძით წმინდა ელიოზი და წმინდა ლონგინოზი სამშობლოში!.. და სიდონია მოუთმენლად ელოდებოდა მათ!!! ჩემმა მკითხველმა კარგად იცის შემდეგ რაც მოხდა... წმინდა ელიოზმა უფლის კვართი მოწიწებით გადასცა სიდონიას, სიდონიამ გულში ჩაიკრა, ცრემლებით დაალტო იგი და სული განუტევა! სიდონია იქვე დამარხეს, სადაც ეს ამბავი მოხდა... მის საფლავზე კედრის წმინდა ხე ამოვიდა! იბერიის გაქრისტიანების შემდეგ კი პირველი ქრისტიანული ტაძარი სწორედ სიდონიას საფლავზე აიგო!... წმინდა სვეტიც იმ კედრის ტანი გახლდათ, რომელიც უფლის მადლით ამაღლდა და ცეცხლოვან სვეტად დაეშვა მორწმუნეთა თვალწინ! მოგვიანებით კი იმავე ადგილზე მელქისედეკ კათალიკოსმა და გიორგი პირველმა ხუროთმოძღვარ არსუკიძეს მოციქულთა სახელზე ააგებინეს სრულიად საქართველოს საკათალიკოსო ტაძარი, რომელსაც სვეტი ცხოველი ერქვა დასაბამიდან და ასევე ეწოდება დღეს! ახლა კი მინდა ერთ უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტზე შევაჩერო ჩემი მკითხველის ყურადღება: აი რას წერს მეუფე ანანია ჯაფარიძე თავის წიგნში: „შობა, ჯვარცმა, აღდგომა და ამაღლება უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესი“: „საქართველოდან შორს, საბერძნეთში, ათონის წმინდა მთაზე, ივირონის მონასტრის ბერები ძველად, წირვისას იმეორებდნენ იმ საგალობელს, რომელსაც ჩვილ იესო ქრისტეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი უგალობდა: – წირვის დიდი გამოსვლისას შესაბამის საგალობელს მარცხენა გუნდის ბერძენი მგალობელი ურთავდა მისამღერს მისთვის გაუგებარი სიტყვებით, რომელთა შორის უმთავრესი იყო „ნენანა“. ბერძენ მომღერალთა სწავლებით „ნენანა“ იგალობება მოსახსენებლად ღვთისმშობლისა, რომელიც ამ „ნენანას“ (ე.ი. იავნანას) უგალობდა აკვანთან ღვთაებრივ ჩვილს თავისას“. (არქიმანდრიტი პორფირი უსპენსკი, პირველი მოგზაურობა ათონის მონასტრებსა და სავანეებში, 1845 წ., ნაწ. I, გვ. 71). „ნენანას“ მხოლოდ ქართულ სამყაროში უმღერის დედა თავის ჩვილს, ამიტომაც ეს სიტყვები უცნაურია სხვათა სმენისთვის, მაგრამ უცხოელ ბერებს ის დაუცავთ, რაც მიუთითებს ისრაელსა და მის ჩრდილოეთით მცხოვრებ ხალხებს შორის მჭიდრო კულტურულ კავშირზე. ისრაელის ჩრდილოეთით მოქცეული ქვეყნები – კაპადოკია, პონტო, კოლხეთი და იბერია – ქართულ სამყაროს წარმოადგენდა, დასახლებულს ქართულად მოლაპარაკე ტომებით, რომელთაგან მრავალი თანდათან ასიმილირდა სხვა ხალხებში და უფრო მეტად ბერძნულენოვან ელემენტად იქცა. ახალშობილ იესოს მოსაგონებლად საუკუნეთა მანძილზე – „ივერთა მონასტრის ბერების საგალობელში ქართული „ნანა“ თუ „იავნანა“ გაისმოდა (გ. გოზალიშვილი, „მითრიდატე პონტოელი“. „ჯვარი ვაზისა“, 2007 წ. 1-2, გვ. 192). დიახ, ბატონები! ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტებია ამ ორი უაღრესად დიდი კულტურისა და ღრმა ტრადიციების მქონე ერთა ურთიერთკავშირის ისტორიიდან! ისიც ფაქტია, რომ იბერიაში ქრისტიანობის საქადაგებლად ოთხი მოციქული იყო შემოსული: ანდრია პირველწოდებული, სიმონ კანანელი, მატათა და ბართლომე! აქედან ერთი სიმონ კანანელი მიიცვალა აფხაზეთში და იქვე დაასაფლავეს ნიკოფსიში. მაშინდელი აფხაზეთი კი იყო ნამდვილი ქართული აფხაზეთი და შედიოდა საქართველოს საზღვრებში, ნიკოფსი კი არც მეტი და არც ნაკლები დღევანდელი ტუაფსეს მიდამოებში გახლდათ. და ისინი, ოთხივენი ებრაელი ხალხის შვილები იყვნენ! ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი (გაზარდა ფლავიუსების გვარმა) გვაწვდის უაღრესად მნიშვნელოვან ისტორიულ ცნობას ჩვენს წინაპრებზე და იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ: „თობელმა (თუბალმა) დააფუძნა თობელები, რომლებსაც ახალა იბერები ეწოდებათ, მოსოხენები დაფუძნებულნი არიან მოსოხის (მესხის) მიერ, ახლახან მათ კაპადოკიელები ეწოდათ, მაგრამ მათი ძველი სახელწოდების ნიშანიც ჩანს; რამეთუ მათ დღესაც აქვთ ქალაქი მაზაკა MZK რაც ნათელჰყოფს მათთვის, ვისაც გაგება შეუძლია, რომ ასე ეწოდებოდა ოდესღაც მთელ ტომს“ (იუდ. სიძვ. 1,6). რაც შეეხება მაზაკას, ე.ი. MZK-ს, იგი მცხეთის იდენტურია! მაგრამ ფლავიუსის მკაცრ ტონში კი იგულისხმება იმ მტერთა სიმრავლე, რომლებიც მაშინაც ჰყავდათ იბერებს და... სწორედ მათი წარსულის, მათი ისტორიის წართმევას ცდილობდნენ! ცივილიზებული სამყაროსთვის უდიდესი და უწმინდესი წიგნი ბიბლია ორი მამამთავრით მოიხსენიებს ქართველ ხალხს... თუბალით და მეშექით! ეს ყველაფერი კი მიუთითებს ამ ორი უძველესი ხალხის – ისრაელიანებისა და იბერიელების ახლომეზობლურ და ნათესაურ კავშირებზე! იბერიაში მცხოვრებმა ისრაელიანებმა თავიანთ ეროვნულ წეს-ჩვეულებებს ისე შეურწყეს და შეუსისხლხორცეს ქართული ტრადიციები და ქართული ეროვნული სული, რომ მათ შორის არასოდეს, თუნდაც ათასწლეულების მანძილზე არ გაჩენილა წყალგამყოფი, არ ჩათესილა ბოროტება და შუღლი, არასოდეს ყოფილა მათ შორის დაპირისპირება, რასაც სხვა ქვეყნებში ანტისემიტიზმი დაარქვეს! უფრო მეტიც, მათ თავიანთ ეროვნებას წინ ქართველი წაუმძღვარეს და ამით გამოხატეს ის დიდი სიყვარული და ერთგულება, რაც ქართველ ხალხთან, ქართველთა ქვეყანასთან აკავშირებდათ! დიახ, ბატონებო! საქართველო მათთვის, უფლის ხალხისთვის უპირველეს სისხლხორცეულ სამშობლოდ იქცა! შეიძლება ესეცაა უმთავრესი მიზეზი, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, რომელიც დაბადებიდან უბიწო იუდეველი გოგონა იყო, უპირველეს მხსნელად, მფარველად და შემწედ მოევლინა ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ხალხს. და ეს ცოტა არ არის, ბატონებო! პირიქით... ძალიან ბევრია და დიდი მადლია! ჩვენ კი ამ ხალხის რწმენას, ისტორიას და კულტურას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი უფლის, იესო მაცხოვრის განკაცებას, რაც მათი ხალხის სულიერ წიაღში აღესრულა! მე ამ ლირიკულ-ისტორიული გადახვევით მინდოდა ჩემი მკითხველისთვის გამეხსენებინა არა მარტო ძველი, ტრადიციული სიყვარული და ურთიერთობები ისრაელიანებსა და იბერიელებს შორის, არამედ მინდა დღევანდელი, თუნდაც ბოლო ოცწლეულის მანძილზე ქართველი ხალხის თავზე დატეხილი უბედურება და გაუსაძლისი გასაჭირი გავიხსენოთ! და დასამალი არ არის ის ფაქტიც, რომ ჩვენი ქვეყნიდან წასული მოსეს ხალხი მთელ საქართველოს თუ არა, ნახევარს მაინც კვებავდა თავიანთი ქვეყნიდან გამოგზავნილი ფულით... და... იქ

ჩასული უამრავი ქართველისთვის სითბოს, სიყვარულის და სამუშაო ადგილების მიცემით! რამდენი რამის გახსენება შეიძლება, ბატონებო... და არც უნდა დავივიწყოთ... ისევე, როგორც მათ, ისრაელიანებს ახსოვთ ყველაფერი!.. ახსოვთ ის, რომ პოლონეთში მცხოვრები მართლმადიდებელი ქართველი მოძღვარი გრიგოლ ფერაძე მრავალშვილიანი ებრაელის ნაცვლად მისი სახელით და გვარით საკუთარი სურვილით შევიდა ფაშისტების გაზის კამერაში!.. ის რომ ქართველმა ემიგრანტებმა ფაშისტური გერმანიის მთავრობას წარუდგინეს ნოტა, სადაც ისტორიულად და მეცნიერულად დამტკიცებული იყო, რომ ქართველი ებრაელები – ქართველები არიან! მათი სისხლი და ხორცი... არა მარტო ისტორიულად, არამედ ფიზიკურადაც, ანთროპოლოგიური მონაცემებითაც და ამ მოთხოვნით არა მარტო ქართველი ებრაელები გადაურჩნენ საკონცენტრაციო ბანაკებს, არამედ საფრანგეთსა და გერმანიაში მცხოვრები ბევრი ებრაელიც! ეს ფაქტი მსოფლიოში გაბნეულ ებრაელებს აუწყა პარიზის მთავარმა რაბინმა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ და ამ სიყვარულისთვის მადლობა გადაუხადა ქართველ ხალხს. დიახ! მსგავსი ისტორიული ფაქტები ილექება ერის მეხსიერებაში და თავისდაუნებურად წარმოიქმნება და წარმოიშობა ზნეობრივ-მორალური კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავს შემდეგში, ე.ი. მომავალი თაობების ურთიერთობებს, განწყობილებებს და... სამოქმედო პროგრამასაც კი... ამ ურთიერთობების, სიყვარულისა და ისტორიის შედეგი იყო სწორედ ის დამოკიდებულება, რაც ბადრი პატარკაციშვილს გააჩნდა თავისი ხალხის, ქართველი ხალხის მიმართ! და რომ ის დიდი სიყვარული არა საკუთარი სამშობლოსადმი, რასაც ბადრი განიცდიდა, სხვა შემთხვევაში იგი დღესაც ცოცხალი იქნებოდა და უზრუნველად ინებივრებდა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში! მაგრამ... დიახ, მაგრამ... მან სწორედ ის დიდი სიყვარული შეისისხლხორცა დედის რძესთან ერთად, რაც მას ქართველმა ხალხმა, ქართულმა ისტორიამ და ქართულმა ტრადიციებმა მისცა, და შეეწირა კიდევაც ამ დიდ სიყვარულს, შეეწირა დაუნანებლად... კარგად იცოდა თავისი სამართლიანი ბუნებით რა რისკზეც მიდიოდა, მაგრამ, დიახ! მაგრამ... მას ქართველი ხალხის ღალატი არ შეეძლო! ან ყველაფერი უნდა გაეწირა ქვეყნისა და ხალხის გადასარჩენად ან... არაფერი... და გაწირა კიდეც!.. იგი საკუთარი სიცოცხლით შეეწირა საქართველოს სიყვარულს, მის მომავალს, მის კეთილდღეობას!.. და ილიასავით წამებულის გვირგვინი ყოველგვარი დაფიქრების და ყოყმანის გარეშე დაიდგა საკუთარ თავზე... იგი ღირსეული მამულიშვილი იყო, ბატონებო! დიდი ქართველი! ქართველი ერის სათაყვანო პატრიარქს, ერის მამას, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს თავის საწოლ ოთახში მშობლების სურათების გვერდით მოთავსებული აქვს ბადრი პატარკაციშვილის სურათი... ამ ძვირფასი ადამიანების სულის უკვდავებისთვის გამუდმებით ლოცულობს ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი... ამ ძვირფასი ადამიანების სულის უკვდავებისთვის ჩაუქრობლად ანთია წმინდა კანდელი ქართველი ერის მამის, კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის საწოლ ოთახში! – და ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტია ბატონებო ბადრი პატარკაციშვილის ღირსეული მამულიშვილობისა! ... და კიდევ რამდენი რამ დარჩა შეუსრულებელი ბადრი პატარკაციშვილს და... მათ შორის ერთი ყველაზე დიდი სურვილი – ოცნებად ჰქონდა იერუსალიმის „ჯვრის“ მონასტერი შეესყიდა ბერძნებისგან და დაებრუნებინა თავისი ქვეყნისთვის... მოლაპარაკებებს აწარმოებდა და... ვეღარ მოასწრო ამ დიდი საქმის ბოლომდე მიყვანა! იგი დიდი ქართველი იყო, ბატონებო! ამის ნათელი დასტურია მისი ცხოვრების ყველა ეტაპი, მისი დიდი ღვაწლი და... მოწამეობრივი აღსასრული! მადლიერი ქართველი ერი ქედს იხრის მისი ხსოვნის წინაშე!

გვინდა, რომ მომავალში ნებისმიერმა ქართველმა გააცნობიეროს ბადრი პატარკაციშვილის ღვაწლი და თავდადება და გვქონდეს შესაძლებლობა დიდ მამულიშვილებთან ერთად პატივი მივაგოთ მის ხსოვნას!

მანანა ვახტანგაძე

Patriot

Badri , with his large , noble soul and boundless love for his people and his land , was a great Georgian ! His activities and the desire of innumerable instances of charity, which is nowhere described, as it is either very rarely or never showed. People, (all Across the Georgia and the entire Tbilisi) came to his funeral , and sincerely mourned him. Mourned a person from whom they hoped and waited to rescue the country. Death Badri was tantamount to the death of the country ... Yes, your died country died for four years ! His death was a verdict to Georgian people, they lost the future, the future in which Badri Patarkatsishvili would play a huge role in the history of their country.

Manana Vakhtangadze

Патриот

Бадри, со своей большой, благородной душой и безграничной любовью к своему народу и к своей земле, был великим грузином! …Своей деятельностью и стремлением, бесчисленными случаями благотворительности, которые нигде не описаны, так как он это или очень редко или вообще не демонстрировал… Пришедший на его похороны народ (и хочу подчеркнуть там была вся Грузия и весь Тбилиси), народ со всей Грузии искренне оплакивал своего благодетеля, на которого он надеялся и от кого ждал спасения. Кончина Бадри была равносильна кончине страны… Да и погибла страна на целых четыре года!!! Его смертью грузинскому народу вынесли приговор, отняв у него будущее, то будущее в котором Бадри Патаркацишвили сыграл бы огромную роль для истории своей страны.

Манана Вахтангадзе

საქართველოს პრეზიდენტს ბატონ გიორგი მარგველაშვილს, პრემიერ-მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, საქართველოს მთავრობას

მიმართვა

„საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ კვალის“ სამეცნიერო კოლეგია, სარედაქციო საბჭო, „თავისუფლ ჟურნალისტთა კავშირი“, „კვალის“ მრავალრიცხოვანი მკითხველი საზოგადოება და ავტორთა ჯგუფები თხოვნით მოგმართავთ თქვენ ბატონო პრეზიდენტო, ბატონო პრემიერ-მინისტრო და საქართველოს მთავრობას, რომ თქვენი და მთავრობის წევრთა უშუალო მონაწილეობით შეიქმნას სამთავრობო კომისია, რომელიც გაითვალისწინებს ჩვენს და სრულიად საქართველოს, ქართველი ხალხის თხოვნას, დიდ სურვილს, რომ ბოჭორმის ქუჩას, სადაც ცხოვრობდა ბადრი პატარკაციშვილი – ეწოდოს ბადრი პატარკაციშვილის სახელობის ქუჩა!

მხოლოდ ამით შეგვეძლება გამოვხატოთ ის დიდი სიყვარული და მადლიერება ბატონი ბადრის მიმართ – იმის სანაცვლოდ და საპასუხოდ, რაც ჩვენთვის, თითოეული ქართველისთვის – თავისი დაუღალავი შრომით, ღვაწლითა და დაუნანებელი ქველმოქმედებით და ბოლოს კი საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვით გაიღო ამ დიდბუნებოვანმა და კეთილშობილმა მამულიშვილმა!

აუცილებელია, რომ მომავალში ნებისმიერმა ქართველმა გააცნობიეროს ბადრი პატარკაციშვილის ღვაწლი და თავდადება მშობელი ხალხის მიმართ და ბოჭორმის ქუჩას, სადაც უკანასკნელ წლებში ცხოვრობდა ბადრი პატარკაციშვილი, ეწოდოს მისი სახელი!

პატივისცემით:

„საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ კვალის“
სამეცნიერო კოლეგია.
„საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ კვალის“
სარედაქციო საბჭო.
„თავისუფალ ჟურნალისტთა კავშირი“.
საქართველოს ეროვნული აკადემიის
აკადემიკოსთა სახელით – აკადემიკოსი **ოთარ ნათიშვილი**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსთა სახელით – აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი **გურამ ალექსიძე**
საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „კვალის“
მკითხველი საზოგადოების სახელით მთავარი რედაქტორი **მანანა ვახტანგაძე**

ნათელა პატარკაციშვილი

უშენობის 5 გაუნელებელი ტკივილის წელი გავიდა. ამ 5 წლის განმავლობაში ბევრი კარგი გამიგია ბადრიზე, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც გულს მტკენდნენ ბადრიზე აუგის თქმით.

არ მინდა ჩემს შვილზე ბევრი ვილაპარაკო როგორც ქველმოქმედზე და მეცენატზე, ერთს ვიტყვი, რომ ბევრი სიკეთის გაკეთება შეეძლო რომ დასცლოდა. ახლა რომ ვიხსენებ პატარაობიდანვე გამორჩეული იყო სამართლიანობის გრძნობით და სიკეთით. მახსენდება... მესამე კლასში იყო, სტუმრად თანაკლასელი ეწვია. სადილის დრო იყო, მქონდა მხოლოდ 3 კატლეტი და წიწიბურა. რადგან ბავშვი სახლიდან მოვიდა ჩავთვალე, რომ ნასადილევი იყო, ამიტომ ულუფა ასე გავანაწილე... ერთი კატლეტი და წიწიბურა სტუმარს, ხოლო ბადრის 2 კატლეტი და წიწიბურა, მაგრამ შინაგანად მომერიდა და ერთი კატლეტი გარნირში დავმალე. ბავშვები სუფრასთან მოვიწვიე, რამდენიმე წამში ბადრი წამოხტა და გამოაცხადა, რომ ამას არ შეჭამდა, ჩემს კითხვაზე კი მიპასუხა... შენ ძალიან კარგად იცი რატომაც არ შევჭამ. იძულებული ვიყავი ულუფა ზუსტად გამეყო. სტაჟისთვის „მაუდში" მუშაობდა მლესავად. პირველი ხელფასი რომ აიღო 130 მანეთი ასე გაანაწილა: ხელფასის დიდი ნაწილით კოჯრის ბავშვთა სახლის ბინადრებს ხილი და ტკბილეული აუტანა. დარჩენილი ფულით იყიდა ოდეკოლონი „შიპრი" (იმ დროს ძლიერ პოპულარული) 4 ცალი. ერთი ბებიას მიუტანა (დედაჩემს), მეორე თავის გამზრდელ ექიმს, მესამე სკოლის დირექტორს და მეოთხე მამიდას. არც დები დაავიწყდა და სახლშიც კამფეტებით ხელდამშვენებული მოვიდა. ჯიბიდან 2 მანეთი ამოიღო და მანახა, რომ ესღა დარჩენოდა, მაგრამ კმაყოფილი იყო და ამაყი თან პირობა დადო, რომ როდესაც ბევრი ფული ექნებოდა გაცილებით ბევრ ადამიანს გაახარებდა. ამ პირობას ბადრი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე პირნათლად ასრულებდა.

ერთ სახალისო ისტორიას გავიხსენებ. მოზარდი იყო და ერთხელ კინოში წასასვლელი ფული არ ჰქონდა, აიღო ცარცი წაუსვა ფანჯრებს და წყალიც შეასხა. როდესაც სახლში დავბრუნდი, მომვარდა და მითხრა, დედა, ნახე რა ჭუჭყიანი ფანჯრები გვაქვს, რას იტყვიან მეზობლები, მომეცი 2 მანეთი და მე ახლავე გაგიწმინდავო. მახსოვს მშვენივრად გაწმინდა, ამიტომ 2 მანეთის ნაცვლად 5 მანეთი მიიღო, რომ მეგობრებიც დაეპატიჟა.

შეყვარებული ბადრი ხშირად მთხოვდა ფულს, რომ ინა სადმე წაეყვანა, გასაოცარი იყო ის, რომ ფულს მთხოვდა მარტო მე, არასდროს მამამისს. შალვამ ეს რომ გაიგო ცალკე მიტოვებდა ფულს – ბიჭი დიდია და არ შერცხვეს შეყვარებულთანო. ეს ისე ხდებოდა, რომ ბადრიმ არ იცოდა.

ბადრისთან ბოლო შეხვედრიდან გავიხსენებ 2008 წლის 9 იანვარს. არჩევნების პერიოდში მასთან ვიყავი ლონდონში. 9-ში ოფისიდან ფიქრიანი დაბრუნდა, მე და ინა ცალკე გაგვიხმო. ჯერ რესტორანში დაგვპატიჟა, მაგრამ მე ვუთხარი, სახლშიც ამდენი საჭმელია და შინ დავრჩეთ-მეთქი. ცოტა ხანი ჩუმად იყო, მერე მკითხა, – დედა, შენ ხომ ამაყობ ჩემით? ხომ არაფერი გინდა ისეთი რაც შემიძლია გაგიკეთო? მე ვუპასუხე, რომ მისით ამაყი ვარ და არაფერი მჭირდება. ასეთივე კითხვით მიმართა მეუღლეს. შემდეგ კი ისეთი რამ მითხრა, რამაც ჩემში ერთმანეთის საპირისპირო ემოციები გამოიწვია: ბადრი აპირებდა საქართველოში დაბრუნებას და მიუხედავად შექმნილი მძიმე სიტუაციისა თავისი პროგრამის განხორციელების დაწყებას. უნებურად შევეწინააღმდეგე, მაგრამ შევატყვე, რომ ძლიერ ეწყინა, მალევე დავეთანხმე და მოვუწონე გადაწყვეტილება. თვის ბოლოს საქართველოში დავბრუნდი. ორიოდ კვირაში ბადრისაც ველოდებოდი სამშობლოში...

ამ მოკლე მოგონებებს დავასრულებ ბადრის 50 წლის იუბილეზე მოსაწვევის ტექსტით კომენტარის გარეშე... „მიწიერი ცხოვრების ნახევარი გავლილია... ნებისმიერი ადამიანის მიერ გავლილი გზის ავკარგიანობის მაჩვენებელი მისი მეგობრებია.

არ დავიკვეხნი, მაგრამ ვამაყობ. დარწმუნებული ვარ რა ჩემდამი თქვენს გრძნობებში, ისიც ვიცი, რომ ბევრი თქვენგანი მოინდომებს მომილოცოს იუბილე.

ყველასთვის სასიამოვნოა თავის მისამართით თბილი სიტყვის მოსმენა. ყველას უხარია საჩუქრის მიღება, როდესაც ხსნი შრაშუნა, ლამაზ ქაღალდს სიურპრიზის მოლოდინში. მე ვიცი, რომ არ შემოიფარგლებით სიტყვიერი მოლოცვით და საჩუქრის შერჩევასაც არ დაიზარებთ. დღევანდელ საიუბილეო დღეს კი, ჩემთვის ყველაზე ძვირფას საჩუქრად ჩავთვლიდი თქვენ მიერ გაწეულ ქველმოქმედებას ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისათვის საქართველოში. ჩვენი ურთიერთთანადგომაა ქვეყნის მომავალი. მხარი მხარს მივცეთ..."



Инна Гудавадзе-Патаркацишвили

29 лет замужества с Бадри пролетели для меня как прекрасная сказка с печальным концом. Все зти годы я чувствовала себе счастливой и любимой добрым, заботливым, харизматичным и умным человеком, каким был Бадри. Трагические события пятилетней давности надорвали его сердце, и наша семья до сих пор не оправилась от этой тяжёлой потери. Хотя эти годы во всех сложных ситуациях я неизменно чувствую его незримую поддержку и одобрение.

* * *

ბატონი ბადრი დიდი ქართველი იყო, არის და იქნება!.. მისი ღვაწლი დაუფასებელია ქართული ეკლესიისთვის, პატრიარქი ლოცულობს მისთვის... ბატონი ბადრი ქართველ ხალხს, ქართული ქვეყნის მომავალს შეეწირა! თავისი თავგანწირვით მან განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა საქართველოს ისტორიაში დიდი მამულიშვილების გვერდით. იმდენად დიდ პატივს ვცემდი ბატონ ბადრის, რომ დღემდე არ ვრთავ ტელეკომპანია იმედს! აუცილებელია გაირკვეს სიმართლე მისი გარდაცვალების შესახებ, ეს მთელ საქართველოს სჭირდება!

თინათინ კობალაძე
საპატრიარქოს ჟურნალ
„ჯვარი ვაზისას“ მთავარი რედაქტორი

* * *

ჩემი თაობის გადასახედიდან ბატონი ბადრი პატარკაციშვილი არა მარტო დიდი და კარგი ქართველი იყო, არა, იგი გამორჩეული და დიდი ეროვნული მოღვაწეა, რომელმაც თავისი შეუპოვრობითა და წარმოუდგენელი თავგანწირვით ქვეყნისა და მშობელი ხალხის მიმართ 21-ე საუკუნეში საოცარი მაგალითი მოგვცა ჩვენ, ახალგაზრდებს! გვასწავლა შრომისა და თავდადების ფასი! გვასწავლა როგორ უნდა გვიყვარდეს სამშობლო – რომელსაც ჩვენ, ქართველები მამულს ვუწოდებთ! გვასწავლა ტრადიციების, ეროვნული ფასეულობების არა მარტო დაცვა და გაფრთხილება, მათი ფანატიკური სიყვარული! და რაც მთავარია – თავისი თავდადებით დაგვანახა უმთავრესი საკაცობრიო ღირებულებები, რომ... ყველაზე დიდი ქონება სამშობლოს სიყვარულია, და რომ... ღირს თავგანწირვა მამულისთვის...

ასეთი ადამიანები იშვიათად იბადებიან, ის დიდი საქმეებისთვის დაბრუნდა საქართველოში... მაგრამ... ილიას ხვედრი ერგო, ილიასავით დიდი და მღელვარე გული ჰქონდა მამულის უსაზღვრო სიყვარულის დამტევი! და ილიასავით შეეწირა ამ დიდ სიყვარულს...

მომავალმა თაობებმა უნდა გააცნობიერონ და სამაგალითოდ გაიხადონ ბადრი პატარკაციშვილის დაუფასებელი ეროვნული ღვაწლი!

დავით მაისურაძე
პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი
პოლიტიკური ექსპერტი

* * *

ბატონ ბადრიზე ლაპარაკი ძალიან ძნელია. ის იყო უდიდესი მასშტაბის ქველმოქმედი, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული და ამავე დროს საოცრად თბილი ადამიანი.

საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტთან მისი თანამშრომლობა ჩემი 60 წლის იუბილეს აღნიშვნით დაიწყო. ის იყო იმდენად შთამბეჭდავი საღამო, რომ ჩემს სამადლობელო სიტყვაში გულწრფელად ვუთხარი, რომ სიცოცხლე გამიხანგრძლივა.

ბატონი ბადრი სერიოზულ ფინანსურ დახმარებას უწევდა ოლიმპიურ კომიტეტს, მაგრამ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი გახდა სპორტული სამყაროს დიდი ძალისხმევის შედეგად – დახმარება კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. სპორტსმენებს მიეცათ სრულფასოვანი მომზადების საშუალება. გაიზარდა მათი ფინანსური ანაზღაურებაც. შეიძლება ითქვას, რომ ბ-ნმა ბადრიმ საქართველოს დიდი სპორტი შეუნარჩუნა.

ყველაფერთან ერთად ის იყო ძალიან ადამიანური. მას არასდროს არ ავიწყდებოდა ახალი წლის მილოცვა შამპანურით და ტკბილეულით თავისი თანამშრომლებისათვის.

ამიტომაც იყო ასეთი თავზარდამცემი ბატონი ბადრის გარდაცვალება ყოველი ჩვენგანისათვის.

ქართველ ხალხს არასოდეს დაავიწყდება მის მიერ წაკითხული ლექსი: „დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმბარეო“. თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ ხანგრძლივი სიცოცხლე არ ეწერა. სრულიად მოულოდნელად წავიდა საქართველოს დიდებისათვის უამრავი საქმის გასაკეთებლად მზადმყოფი.

ბადრი პატარკაციშვილისადმი სიყვარული და პატივისცემა მადლიერმა ქართველმა ხალხმა ბოლომდე გამოამჟღავნა. დამშვიდობების მსურველთა ნაკადი დღე-ნახევრის განმავლობაში არ შეწყვეტილა. ადამიანები საათობით იდგნენ რიგში, რომ უკანასკნელ გზაზე გაეცილებინათ ბატონი ბადრი. მისი ქართულ-ებრაული წესით დაკრძალვა, ვფიქრობ, ისტორიული მოვლენა იყო, რომელსაც ანალოგი არ უწერია.

ნონა გაფრინდაშვილი

* * *

ამბობენ 21 საუკუნე პრაგმატული, გრძნობებისაგან დაცლილი საუკუნეაო, არ არის მართალი. ქართველმა ხალხმა, მიუხედავად დიდი განსაცდელისა ამ საუკუნეშიც შეძლეს გმირების და თავდადებულ მამულიშვილთა წარმოჩენა! ბადრი პატარკაციშვილმა თავისი თავგანწირვით საოცარი მაგალითი მისცა ჩვენს თაობას. იგი დიდი ეროვნული მოღვაწეა. ასეთი გამორჩეული და თავდადებული ქართველები ბევრი არა გვყავს, რომ ეცოცხლა... დიახ რომ ეცოცხლა მჯერა, ქართველი ხალხი დღეს სხვაგვარად იცხოვრებდა.

გიორგი ცინცაძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორანტი

* * *

ბატონი ბადრი პატარკაციშვილი დიდი ქართველი და დიდი ეროვნული მოღვაწეა! მარტო ის რად ღირს, რამდენი უმძიმესი სენით დაავადებულ ქართველ ბავშვს შეუნარჩუნა სიცოცხლე, რამდენ გაჭირვებულ ქართველს დაეხმარა ცხოვრების გაგრძელებაში, რამდენი მიტოვებული და დანგრეული ეკლესია აღგვიდგინა, რამდენი უნიკალური საგანძური მოიძია, შეისყიდა და დააბრუნა საქართველოში! ვაი, რომ ვერ მოასწრო „ჯვრის“ მონასტერი დაებრუნებინა მამულისთვის!

ბატონი ბადრის ხსენება და სამუდამო განსასვენებელი დიდი ქართველების ზეციურ საუფლოშია. ჩვენ, თითოეულმა ქართველმა ღირსეული პატივი უნდა მივაგოთ მის სახელსა და ხსოვნას, ისევე, როგორც თავშეწირული მამულიშვილების დიმიტრი ყიფიანისა და დიდი ილიას ხსოვნას მივაგებთ!

ბატონი ბადრი დიდებული ნათლის სვეტია 21-ე საუკუნის საქართველოს ისტორიაში!

„თავისუფალ ჟურნალისტთა“
სახელით: **ლიანა ფხალაძე**
ცირა აფციაური
ჯემალ გორდულაძე
რევაზ ფახურიძე

* * *

მენატრები! 5 წელია მენატრები და მაკლიხარ, ჩემო სიცოცხლევ! მენატრები როგორც ძმა, როგორც მრჩეველი, როგორც იმედი. 5 წელია უშენოდ ვცხოვრობ, უშენოდ ვიღებ გადაწყვეტილებებს, უშენოდ მიხარია და უშენოდ განვიცდი. უკან მოხედვაც ვისწავლე ამ 5 წელიწადში, იმიტომ, რომ ზურგს აღარ მიმაგრებ. სამაგიეროდ წინ მხვდება შენი დათესილი მადლი და სიკეთე. შენ მიერ ანთებული სანთლები მე გზას მინათებს. გაჭირვებისას უხილავ თანადგომას ვგრძნობ და ვიცი, რომ არ გავიწირები.სულ ვცდილობ მოგბაძო, მცირედით მაინც. შევეხიდო სასოწარკვეთილ ადამიანებს, დახმარება ვცადო, მგონია ასე ყველაზე უკეთ დაგიმტკიცებ ჩემს სიყვარულს.

უმრავლესობისთვის ყოვლისშემძლე, ჩემთვის კი ისევ ის პატარა ბიჭი ხარ, რომელთანაც ერთად ვკინკლაობდი და რომლის სიცელქეს და ბავშვურ „დანაშაულებს“ გულმოდგინედ ვუმალავდი დედას და მამას.

ხშირად მესიზმრები. მესიზმრები როგორც ცოცხალი, ის საყვარელი, კეთილი და ხალასი ადამიანი, როგორიც სინამდვილეში იყავი. იმ წუთებში ჩემზე ბედნიერი არავინაა.

არასოდეს მბეზრდება შენზე საუბარი, ასე უფრო ახლოს ვგრძნობ შენთან თავს. თუმცა ძნელია საქართველოში ისეთი ადამიანის პოვნა, რომელმაც არ იცის როგორი იყავი.

სულმოუთმენლად ველოდები შენი შვილიშვილების გაზრდას, რომლებსაც სხვებთან ერთად მოვუყვები როგორი საამაყო და ღირსეული ბაბუა ჰყავდათ.

ჩვენს ოჯახში გამოუცხადებლად ყველა ვცხოვრობთ სწორებით შენზე. ასე უფრო ერთიანები და უფრო ძლიერები ვართ.

ბადრიკო, მენატრები...

მზია თოთლაძე

* * *

ადამიანი, რომლის მონელებასაც ვერ შევძლებ ვერასოდეს. ჩემთვის პირადად ის იყო იმედი, იცით მეგონა, რომ მას ყველაფერი შეეძლო, სანამ ის არსებობდა რა იყო შიში მე არ ვიცოდი. არ მეშინოდა არაფრის ქვეყანაზე, ვიცოდი, რომ ბადრი ყველაფერს მოაგვარებდა. გაგიკვირდებათ და მეგონა, რომ სტიქიების შეჩერებაც შეეძლო. სანამ ის არსებობდა ჩემს ცხოვრებაში, ძლიერი ვიყავი! მისი გარდაცვალების წამიდან ჩემი ცნობიერება, ფსიქიკა მთლიანად თავდაყირა დადგა. მაშინ დავინახე პირველად ქვეყნიერება შეიცვალა, ჰაერიც სხვანაირი გახდა, ძალიან გამიჭირდა ამ ყველაფრის გაცნობიერება. მეგონა, რომ თუკი ამ ადამიანს ეს დაემართა, მაშინ ჩვენ ვინ ვართ ან რა გველის ცხოვრებაში. მე ის გარდაცვლილი არ მინახავს და სულ ველი, სულ ვეძებ, სულ არ მინდა დავიჯერო, რომ „აღარ ჩამოფრინდება“. მინდა, რომ ეს ყველაფერი დიდი და საშინელი სიზმარი იყოს.

იცით, დიდი ბავშვივით იყო. მახსოვს ერთხელ „რიტუალების სასახლეში“ მივედი და ახალი შემოსული იყო ზუმერები ტელეფონზე და, თუ გახსოვთ, ასეთი ზუმერი: – „დედიკო გირეკავს, დედიკო, აიღე ტელეფონი შენი საყვარელი დედიკო გირეკავს“. მე დედაჩემზე მქონდა დაყენებული და ეს რომ ნახა, მომიტანა თავისი ტელეფონი და გეხვეწები ჩამიწერეო. რაღაც უცნაური ტელეფონი ჰქონდა ახალი, ვერც მივხვდი როგორ უნდა ჩამეწერა, მაგრამ არა სანამ არ ჩამიწერ არ მოგეშვებიო და მეც კარგი, ვცდი-მეთქი. მოკლედ, როგორც იქნა ჩავწერე, მაგრამ მოხდა ისე, რომ მხოლოდ დედამისის ანუ ბებიაჩემის სახელზე ჩაწერა მხოლოდ! ვისაც არ უნდა დაერეკა ასე ირეკებოდა. ვაიმე რაღა ვქნა-მეთქი, ვუთხარი და მან პირიქით – უი, რა კარგია, გაუხარდა. სადმე შეხვედრაზე რომ ვიქნები ბოდიშის მოხდის გარეშე შევძლებ ტელეფონის აღებასო, ეს ხომ საპატიო მიზეზია, დედიკო მირეკავსო. მერე დიდხანს ხალისობდა ამაზე. ჩემი შვილი პირველი ბავშვი იყო ოჯახში. იმას აღარ მოვყვები ლიზას რასაც უკეთებდა. ამაზე მე მგონი ლაპარაკიც ზედმეტია, მაგრამ დედაჩემი ბებია 41 წლის ასაკში გახდა და თავს ბებიად ვერ აღიქვამდა. ბადრიმ ჩუმად ასწავლა ლიზას, რომ მზიას „ბებო“ უნდა დაუძახოო, რაზეც მზია ძალიან ბრაზდებოდა და სადმე დიდ საზოგადოებაში მოვხვდებოდით თუ არა, ბადრი ლიზას ყურში ეუბნებოდა, რომ „მზია ბებოს“ დაუძახეო და ისიც ხმამაღლა იძახდა „მზია“ და „ბებოს“ – ცოტა დაბალი ტონით, რომ არცერთს არ სწყენოდა. ამაზე მზია გიჟდებოდა, ის კი კვდებოდა სიცილით. შეეძლო მთელი დღე ჩვენთან ერთად ყოფილიყო. ყველაზე დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ჩვენ „ბავშვები“ რომ კმაყოფილები ვიყავით. უყვარდა ზაფხულში ურეკში ჩვენთან ერთად ყოფნა! სკუტერს ჩააგდებდა წყალში, ბანანს გამოვაბამდით და თვითონ გვაკატავებდა. ჩვენი კივილ-წივილი მთელ გურიას ესმოდა. ვეხვეწებოდი, რომ არ გადმოვეყირავებინეთ წყალში, მაგრამ, რა თქმა უნდა, პირიქით შვრებოდა.

ძალიან მენატრება და როცა ძალიან მომენატრება ვრთავ კომპიუტერს და მის ვიდეოებს ვუყურებ და მერე რაღაც პერიოდი ვმშვიდდები.

ბედნიერია ყველა ის ადამიანი, ვინც მას იცნობდა და განსაკუთრებით ისინი, ვინც მისი უახლოესი გარემოცვა იყო.

ბადრი ჩემთვის „ლეგენდაა“ და დიდი „იმედი“.

თ. თოთლაძე

* * *

ამაყი ვარ, როცა იმ ადამიანებს ვუსმენ, რომლებსაც ბადრიმ სიცოცხლე გაუხანგრძლივა; უმძიმესი სენით დაავადებული პატარები რომ აღარ იტანჯებიან, ცრემლიანი სიამაყე მავსებს; როცა ჩემი შვილისადმი სრულიად უცნობი ადამიანების მიერ მიძღვნილ წერილებსა და ლექსებს ვკითხულობ, ტკივილი და სიამაყე მიმძაფრდება; ვატრიალებთ ბადრისთან გამომშვიდობების კადრებს და სრულიად საქართველოს გლოვის ზარი ჩამესმის; მაცოცხლებს ბადრის დატოვებული საქმეები. სიამაყეს ვერ ვთოკავ, როცა საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ჩემთვის უძვირფასესი ადამიანი ილია მეორე მეუბნება, რომ ბადრის ამ ქვეყნიდან წასვლა გამოცდაა საქართველოსთვის, რათა ხალხმა დაინახოს ჭეშმარიტება და რომ ბადრის ამ ქვეყნიდან წასვლა მარტო ჩვენი ოჯახის ტრაგედია არ არის, მთელი ერის ტრაგედიაა, მან უდიდესი და ფასდაუდებელი საქმეები აკეთა მართლმადიდებელი ეკლესიებისთვისო. ეს სიტყვები ნუგეშია ჩემთვის“.

ნათელა პატარკაციშვილი

* * *

2001 წელს ბადრიმ დატოვა მოსკოვი, როგორც მთავრობისაგან დევნილმა, და ჩამოვიდა საქართველოში. გასული ოთხი წლის განმავლობაში მან გააკეთა საერთაშორისო ინვესტიციები და შეიტანა მსხვილი შემოწირულობები ისრაელის საქველმოქმედო პროექტებში. როგორც კი დაბრუნდა თავის სამშობლოში, იგი ავტომატურად იქცა საქართველოს ყველაზე მდიდარ და წარმატებულ ბიზნესმენად. „მე გულთბილად მიმიღო საქართველომ“, – ამბობს ის. „მე სხვაგან გავაკეთე ფული და არ მიმიღია მონაწილეობა იმ ქურდობასა და ძარცვაში, რაც საქართველოში დატრიალდა. მე შემიძლია ქვეყანაში საგრძნობი ეკონომიკური ცვლილებები შევიტანო. ვარ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე და მთავარი პირი, რომელიც ფინანსურად

კურირებს იმ საქმეს, რომ საქართველოს კანდიდატურა წარმოდგენილი იყოს 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყნების კონკურსში". ოლიმპიურ თამაშებს ის უყურებს, როგორც საშუალებას – ღირსეული ადგილი დაუმკვიდროს საქართველოს მსოფლიო რუკაზე და ხელი შეუწყოს საქართველოს მისწრაფებას, გახდეს ანგარიშგასაწევი საერთაშორისო მოთამაშე. იგი ასევე უყურებს ოლიმპიურ თამაშებს, როგორც საუკეთესო შანსს მოიზიდოს ასე საჭირო უცხოური ინვესტიციები და ამით დაეხმაროს სტაბილურობის დამყარებას ამ რთულ რეგიონში.

* * *

ბადრიმ უზარმაზარი ინვესტიციები შეიტანა რესურსებით გაღარიბებულ ქართულ ეკონომიკაში; ამასთან ერთად, მან განავითარა ინვესტიციების საერთაშორისო პორტფელიო. მან იყიდა თბილისის საფეხბურთო კლუბი, დააფინანსა ახალი სავაჭრო ცენტრი დედაქალაქში და დასასვენებელი კურორტი შავ ზღვაზე. ამასთან, იგი ხელმძღვანელობდა მედია ჯგუფ „იმედს", რომელიც მოიცავდა ტელევიზიას, რადიოსა და გაზეთებს.

„საქართველოში გატარებულმა წლებმა შემცვალეს მე", – ამბობს ის. „მე გავხდი უფრო ობიექტური, რეალისტური და ორდინარული". იგი ასევე გახდა ფილანტროპი-მეცენატი თავის ქვეყანაში. მან აუშენა ასობით ბინა მიწისძვრით დაზარალებულთა ოჯახებს; დააფინანსა სკოლები და სასკოლო კომპიუტერული პროექტები; ააშენა საბავშვო პარკები მიტოვებულ ადგილებში; დააფინანსა ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფონდი და თავისი ხშირი სტუმრობის გამო ამ საბავშვო ფონდების ღონისძიებებზე დაიმკვიდრა „თოვლის ბაბუის" სახელი.

მან ასევე დიდი თანხები გაიღო ისტორიული მემკვიდრეობის პროექტებში, რათა გადაერჩინა საქართველოს ძველი ეკლესიები და სინაგოგები, ძეგლები, ციხე-სიმაგრეები და ხელოვნების ნიმუშები.

* * *

საქველმოქმედო საქმიანობაში ბადრი დებს საკუთარ ალღოსა და ცოდნას ბიზნესის სფეროში – რა თქმა უნდა, არც ფულის ჩადება ავიწყდება. გარდა იმისა, რომ ის იძენს კომპიუტერებს სკოლებისათვის, ის ასევე აშენებს ქარხანას, რომელიც ამზადებს სასკოლო მერხებსა და სხვა ინვენტარს. „ქარხანა ქმნის სამუშაო ადგილებს და აძლევს საქართველოს გარკვეულ დამოუკიდებლობას, რომ მხოლოდ უცხოურ იმპორტზე არ იყოს დამოკიდებული. მე თუ ვხედავ, რომ შემიძლია დავეხმარო სახელმწიფოს, ამ შესაძლებლობას ხელიდან არ ვუშვებ. მაგრამ მე შემიძლია მათ დავეხმარო მხოლოდ საქმის დაწყებაში. მე მზად ვარ მივეხმარო საწყის ეტაპებზეც, მაგრამ არ შემიძლია ყველაფერი თვითონ ვაკეთო", – ამბობს ის.

ბადრის სამომავლო ხედვაში თავისი ქვეყნისათვის, უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ურთიერთობას იმ დიდ პოლიტიკურ ძალებთან, რომლებისთვისაც მისი საყვარელი სამშობლო ინტერესის სფეროს წარმოადგენს. „ყველაზე მნიშვნელოვანი თემაა საქართველოს პოზიციის გარკვევა რუსეთთან მიმართებაში", – ამბობს ბადრი. „მართალია, ამერიკელებმა უამრავი თანხა გაიღეს ჩვენთვის და გვეხმარებიან განვითარდეთ როგორც ერი, მაგრამ რუსეთი, როგორც მეზობელი, ყოველთვის ჩვენს გვერდით იქნება. ჩვენ უნდა ავაწყოთ და შევინარჩუნოთ კეთილმეზობლური ურთიერთობები რუსეთთან".

განვითარების ერთ-ერთი პროექტი, რომელსაც ბადრი ახორციელებს, პირდაპირ უკავშირდება ურთულეს პოლიტიკურ პრობლემას. ბადრი ცდილობს იშუამდგომლოს საქართველოს მთავრობასა და აფხაზ ხალხს შორის. „ეს დღეები მე დაინტერესებული ვარ იმ პროექტების დაფინანსებით, რომლებსაც დადებითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს", – ამბობს ის. ერთ-ერთი ასეთია სიგარეტების ქარხანა აფხაზეთის რეგიონში, რომლის პროდუქციას საქართველოს მთავრობა კონტრაბანდის კვალიფიკაციას აძლევს. „მე ვაფინანსებ ამ ქარხანას და ვცდილობ დავარწმუნო მთავრობა არ დაბლოკოს ეს პროდუქტები; გახსნას ვაჭრობა ქართველებსა და აფხაზებს შორის; გააღვივოს ძმობა ორ მხარეს შორის. ამას, შესაძლოა ორი თაობა დასჭირდეს, მაგრამ მე მსურს მოვესწრო იმას, რომ საქართველო უკეთესი ქვეყანა იქნება ჩემი შვილებისა და შვილიშვილებისთვის. ერთ დროს მე მხოლოდ იმით ვიყავი დაინტერესებული, თუ რა მოგებას მომიტანდა ინვესტიცია. რა თქმა უნდა, ეს დღესაც მნიშვნელოვანია, მაგრამ ახლა მე მსურს დავუკავშირო ბიზნესი ხალხის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას; ასევე, მსურს დავამყარო სიმბიოზი ბიზნესინვესტიციებსა და ქვეყნის პოლიტიკურ წარმატებებს შორის".

* * *

ბადრის გამოცდილება, როგორც შუამავლისა, საქართველოს მთავრობასა და აფხაზეთს შორის შესაძლოა გამოიყენონ ასევე სხვა ტერიტორიულ დისპუტებში, მაგალითად, სამხრეთ ოსეთში, სადაც რუსეთის გავლენა კიდევ უფრო თიშავს და აშორიშორებს დაპირისპირებულ მხარეებს.

ბადრი საქართველოს წინაშე თავის ერთ-ერთ უმთავრეს პასუხისმგებლობად მიიჩნევს დაეხმაროს მთავრობას, დაამყაროს სწორი მიმართებები საკუთრების უფლებების ჩამოყალიბებასთან, სასამართლოს დამოუკიდებლობასთან, კონტრაქტის კანონსა და სახელმწიფო სამსახურის ადმინისტრაციასთან დაკავშირებით. იგი ამბობს, რომ სახელმწიფოს ცენტრალიზაცია არის ანტიდემოკრატიული და სამაგალითოდ მიაჩნია ისეთი ქვეყანა, რომელშიც არის ნაკლები სახელმწიფო და მეტი პირადი პასუხისმგებლობა. „ჩემი ფასეულობები არ შეცვლილა წლების მანძილზე", – ამბობს ის. „მე მჯერა სიკეთის კეთების, ქველმოქმედების. მე მიყვარს რუსული ფრაზა „ღმერთი ერთია" («Бог - един»). ჩვენ ყველამ უნდა ვიმეგობროთ: ქართველებმა, რუსებმა, აფხაზებმა – ყველამ. მე

ვფიქრობ, რომ ძირეულად სწორედ ეს უნდა უბრალო ხალხს. პოლიტიკა ხშირად წინ ეღობება ადამიანების ბუნებრივ სიკეთეს“.

* * *

ჩემი ბავშვობისა და ახალგაზრდობის თბილისი – „მაიდანი“, ბალნეოლოგიური კურორტი გოგირდის დამახასიათებელი სუნით, „შაითან ბაზარი“, „ხარფუხი“, „კლდის უბანი“ – ძველი თბილისელები ებრაულად „ბეთხაიმს“ რომ უწოდებდნენ, რაც ქართულად „მარადიული სიცოცხლის“ სახლს ნიშნავს და ყველაზე ხშირი სიტყვები: „ბარევძე“, „ბაჯი“, „ხუშკე“, „გეთაყვა“, „დაგენაცვლე“...

სომხური, აზერბაიჯანული, ქურთულ-იეზიდური, ოსური, ბერძნული და, მათ შორის ქართულად ნათქვამი, ებრაული – „დაგენაცვლე“, ანუ ნდობა, მადლიერება, სიყვარული, სიახლოვე.

თბილისური ეზოებისთვის დამახასიათებლად – ერთ აივანზე გვერდი-გვერდ ვცხოვრობდით აბრაამი, ისაკი, ზილფა, ესთერი – დეიდა თამარისა და ძია მანუახის შვილები, სარა ბაბოს შვილიშვილები. დიდწილად მათი კალთის სითბომ მაჩუქა ბავშვობა. მერე სკოლა, თანაკლასელები, თანასკოლელები, უბნელები: რიჟინაშვილები, იოსებაშვილები, დავარაშვილები, ჯინჯიხაშვილები, შაბათაშვილები, კრიხელები, ბენიაშვილები, სეფიაშვილები, აბრამოვები და...

დიდი პოლიტიკური გადაწყვეტილების აღსრულების პროცესი. საბჭოეთიდან ისრაელიანების ისტორიულ სამშობლოში მასობრივად დაბრუნების დასაწყისის დასაწყისი ჩემს აივანზე, ჩემს ეზოში, ჩემს სკოლაში, ჩემს უბანში, თბილისში, საქართველოში...

და ამასთანავე, აღმოჩენა იმისა, რომ ჩვენ ყველანი ერთი სხეულის განუყოფელი ნაწილები ვართ.

იმ დღეებისა და იმ წლების სევდიანი განცდების ტარება ერთობლივად გვერგო წილად. არც ერთი მათგანი არ მემეტებოდა სიშორისათვის. მით უმეტეს, იმ დროისათვის საზღვარგარეთთან კავშირი თითქმის შეუძლებელი იყო. დარჩენილებს შიშით შევყურებდი. მოლოდინი იმისა, რომ აი, ახლა, ახლა შეკრავენ ბარგს, დაცარიელდება სახლი, დაცარიელდება ეზო, ქუჩა ყველაზე მწარედ იმით მთავრდებოდა, რომ საკლასო მერხებზე ბევრი ცარიელი ადგილი ჩნდებოდა ხოლმე.

მოგვიანებით „კლდის უბნის“ პოეტი ქალი ნანა შაბათაშვილი-დავარი ისრაელიდან წიგნით „ქანაანიდან ვიდრე მცხეთამდე“ საქართველოს წერს „...და თუ დაგტოვე, თქვი შენს შვილობილს ბედიც რომ მქონდა შენი წილხვედრი“. ნანა და მისი ოჯახი ჩემი ახლობლებიდან ბოლო წამსვლელები აღმოჩნდნენ. წასვლის წინ ოჯახის რძალმა ნანი სეფიაშვილმა სევდანარევი ღიმილით, ღრმად დარწმუნებულმა მითხრა: ჩვენ კი მივდივართ, მაგრამ ნათელა დეიდას ოჯახი აქაურობას არასოდეს არ დატოვებსო.

ქართველი ებრაელის, როგორც ფენომენის ამოხსნაში ნათელა და შალვა პატარკაციშვილების ოჯახის მაგალითიც გარკვეულ წილს შეიტანდა ალბათ. ისევე, როგორც ისრაელის მიწაზე თუ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ქართველი ებრაელების მენტალობის გაანალიზება-გაცნობიერება.

ცნობიერების მაღალი ინსტანციიდან, განცდათა მთლიანობიდან და ვეებერთელა სიყვარულიდან უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდევაც, რომ საქართველოდან არწასულმა ებრაელმა დედამ აუსრულა შვილს საჯაროდ, ტელევიზიით გამჟღავნებული სურვილი და შვილის სხეული მხოლოდ ქართულ მიწას ანდო, მხოლოდ ქართულ მიწას მიაბარა.

„დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ: შენს მიწას მიმაბარეო...“ – სამშობლო? – საქართველო და ისრაელი.

ნანა ჩაჩუა

* * *

კაცი, რომელიც ყოველთვის აოცებდა გარშემომყოფთ: მეგობრებს – ზრუნვით და ყურადღებით, თანამშრომლებს – პროფესიონალიზმით ადა შრომისმოყვარეობით, საქმიან პარტნიორებს – მიზანდასახულობითა და ერთგულებით, ოჯახის წევრებს – სითბოთი და სიყვარულით, ნაცნობებს – სიტუაციის გაანალიზებისა და საზოგადოებრივი ატმოსფეროს აღქმის უნარით, უცნობებს – თავბრუდამხვევი კარიერით, განსაცდელში მყოფთ – უანგარო სიკეთით, მანდილოსნებს – დახვეწილი მანერებითა და ჩაცმის უზადო გემოვნებით, ჭორაობის მოყვარულთ – ავტომობილებისა და სასახლეების რაოდენობით, ბავშვებს – თეთრი, ფაფუკი ულვაშებით, უფროსებს – აზროვნების მასშტაბურობით...

დაიბადა თბილისში, 1955 წლის 31 ოქტომბერს, სწავლობდა პირველ კლასიკურ გიმნაზიაში, ცხოვრობდა ძველ, თბილისურ უბანში. ნახევრადსარდაფში მდებარე ოროთახიანი ბინის სამი ფანჯარა ენგელსის ქუჩაზე გამოდიოდა. როგორც ყველას, ამ ქუჩასაც, თავისი ისტორია და რეალობა გააჩნდა, რომელიც არაფრით არ ჰგავდა სხვას. ეს მან მაშინაც კარგად იცოდა, როცა თანაუბნელ ბიჭებთან ერთად ეზოში ბურთს თამაშობდა და მაშინაც, როცა უკვე გავლენიანმა და შეძლებულმა ბიზნესმენმა მსოფლიოს ყველა კუთხე-კუნჭული შემოიარა...

ენგელსის ქუჩა, ოროთახიანი ბინა ნახევრადსარდაფში, თბილისური ეზო – თბილი, როგორც მეზობლის მიერ გამოწვდილი ახლად გამომცხვარი პურის ნატეხი, ვაშლისა და ნამცხვრის სურნელი მშობლიურ სახლში, საღამოობით ეზოში გაშლილი საერთო სუფრა და ქართული სიტყვის მადლი, რომლის დამსახურებადაც თვლიდა საკუთარ თავში აღმოჩენილ ნიჭს – ადამიანებთან ურთიერთობის სიხალასეს.

მოგვიანებით ერთ-ერთ ინტერვიუში იხსენებს: „ძალიან მიყვარდა მამა და, როდესაც ის გარდაიცვალა, ვერ შევძელი ცრემლით დამეტირა. მისი ცხედარი მოსკოვიდან თბილისში გადმოვასვენე. 1993 წლის ნოემბერი იდგა, თბილისში საშინლად წვიმდა, ციოდა, არ იყო ელექტროენერგია, არ იყო წყალი, ქუჩები სავსე იყო შავებში

ჩაცმული ქალებით, გაყინული სახეებით... ამის შემყურეს ცრემლები წამსკდა, ეს არ გახლდათ პირადი მწუხარებით გამოწვეული დარდი, ეს იყო გაცილებით მეტი, მახსოვს, დიდხანს ვტიროდი...“

მაინც რა იყო თბილისი კაცისთვის, რომელსაც მსოფლიოს ნებისმიერ ქალაქში, ნებისმიერ მდიდრულ დასახლებაში შეეძლო ცხოვრება? თბილისმა მას ასწავლა ყველაზე მთავარი – რას ნიშნავს საკუთარი სახელით იარო დედამიწაზე, რას ნიშნავს თამამად და ღირსეულად თქვა: მე ვარ ბადრი პატარკაციშვილი!

ამ სახელით მან ბევრი სასიკეთო საქმე აკეთა, რომელთა ჩამოთვლა არც თავად უყვარდა და არც სხვას ურჩევდა, მაგრამ მისი მეხსიერება რას მოვიდოდა იმ დედის მეხსიერებასთან, რომელსაც შვილი გადაურჩინეს. სწორედ გადარჩენილი სიცოცხლეები, იმედით მფეთქავი პატარა გულები გაჰყვა მას მარადიულ საგზლად....

„ადამიანის ცხოვრებაში დგება ხოლმე მომენტი, როდესაც გრძნობ, რომ ვალდებული ხარ, ეს გააკეთო...“

მაინც რა ამოძრავებდა მას? მთაწმინდა, გოგირდის აბანოები, ცირკი, „იმედი“, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვართან მდგომი ბავშვები, ქვეყნის წარსული დიდება, მისი ისტორიული მემკვიდრეობა, სპორტული წარმატებების ჟინი... სამშობლოს მომავალი....

მანანა თოქმაჯიშვილი

* * *

ბადრიმ 50 წლის იუბილის გადახდა რომ გადაწყვიტა, ასეთი რამე მოიფიქრა: სტუმრებს, მოსაწვევებთან ერთად, თხოვნაც გაუგზავნა – ჩემთვის საჩუქარი ის იქნება, თუ ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფონდში გადარიცხავთ ფულსო. კი არ მიკითხავს, რამდენი შეუგროვა მაშინ ბავშვებს.

ნათელა პატარკაციშვილი

* * *

საქართველომ არ უნდა დაკარგოს სიამაყის განცდა, ეწვიეთ გოეთეს ინსტიტუტში გამოფენილ დათო ცხადაძის გამოფენას, წმინდა მიწის უპრეცედენტო სამეცნიერო ექსპედიციის მუშაობას რომ ასახავს და მიხვდებით, რა გზებით ცდილობს ბადრი პატარკაციშვილი, დაიბრუნოს ქართველმა ხალხმა სიამაყე, იმედი, გამარჯვებისკენ სწრაფვის სურვილი.

* * *

ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა დახმარება იმდენად მნიშვნელოვანი იყო ბადრისთვის, რომ ამ პროექტის შენარჩუნება აუცილებლად გვინდოდა... მაგრამ ახლა მინდა სულ სხვა ეპიზოდი გავიხსენო. რესპუბლიკურ საავადმყოფოში ბატონმა შოთა ჯაფარიძემ სმენის აღდგენის უნიკალური ოპერაციების გაკეთება რომ დაიწყო, ეტყობა, ბადრიც დაეხმარა ერთ პატარას. ერთხელაც, ოპერაციის შემდეგ, პირდაპირ საავადმყოფოდან დაურეკა მადლიერმა პაციენტმა. იმ ბავშვის დანაწევრებულ, თავისებურ მეტყველებაზე ჩემს ძმას ცრემლები გაეჩხირა ყელში და ძლივს ამოილუღლუღა ორიოდე სიტყვა, რომ ბავშვისთვის ნანატრი ბგერები გაეგონებინა.

ნანა პატარკაციშვილი

* * *

ჩემი ისრაელელი კოლეგების დახმარებით მომეცა საშუალება, სამი კვირის მანძილზე მემუშავა იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოში ჯვრის მონასტრის კოლექციებზე.

იერუსალიმში ჩასვლიდან მესამე თუ მეოთხე დღეს, დილით ადრე სასტუმროს მორიგემ შემატყობინა, რომ სამნი მელოდნენ. უცნობებს სასტუმროს ტერასაზე შევხვდი. სტუმართაგან ერთი დოქტორი ქრისტიან შმიდტი იყო, მასთან ერთად ახალგაზრდა ქალბატონი, მისი მეუღლე კარენ შმიდტი და ბერძენი არქიტექტორი (სამწუხაროდ, მისი გვარი აღარ მახსოვს).

ქრისტიან შმიდტმა ამიხსნა მოსვლის მიზეზი. მას თან ჰქონდა სამი დიდი ფოტო, რომელზეც იყო მისთვის უცნობ ენაზე შესრულებული წარწერები ბერძნულენოვან წარწერებთან ერთად. მას სურდა, გაეგო მისთვის უცნობი ანბანის რაობა, რაც, რა თქმა უნდა, ამ ფოტოებზე აღბეჭდილი ფრესკების წარმომავლობასაც დაადგენდა. სტუმარმა ამიხსნა, რომ იგი ჩემთან მოხვდა ჩემი გერმანელი კოლეგის რეკომენდაციით. ამის შემდეგ ბატონმა შმიდტმა მაჩვენა სამი შესანიშნავი ფოტო – როგორც ჩანს, ჯერ გავშეშდი და თანაც დავმუნჯდი. ამ მდგომარეობაში, ალბათ, რამდენიმე წამს ვიყავი, მაგრამ დროის ეს მონაკვეთი ძალზე ხანგრძლივი მეჩვენა. იგი მიხვდა, რომ ფრესკები ვიცანი. მე კი ჩემთვის ვფიქრობდი, მეთქვა თუ არა მისთვის სიმართლე. ბოლოს მივხვდი, რომ უთქმელობას აზრი არ ჰქონდა, იგი ჩემი გამომეტყველებით მშვენივრად მიხვდა სათქმელს.

ამ ფოტოებზე გამოსახული იყო სამი შესანიშნავი ფრესკა იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან:

წმინდა პროხორე, ჯვრის აღმშენებელი და პირველი წინამძღვარი (XIს.) და წმინდა ლუკა იერუსალიმელი, ასევე ჯვრის მონასტრის წინამძღვარი (XIIIს.);

ელია წინასწარმეტყველის ამაღლება;

ელია და ელისე წინასწარმეტყველები.

ფოტოები იყო არაჩვეულებრივი ხარისხის და მაგიდიდან იშლებოდა საოცარი ფერები ამ ფრესკებისა. ბოლოს ამოვიდგი ენა და დოქტორ შმიდტს განვუცხადე, რომ ეს სამივე ფრესკა ქართული იყო და თანაც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საკუთრება. მან, რა თქმა უნდა, არ დამიჯერა, მით უმეტეს, რომ ერთ-ერთი ფრესკის ფოტოს

ქვემოთ ჰქონდა წარწერა „XIV-XV საუკუნეების ბიზანტიური ფრესკა სირიიდან ან ლიბანიდან“. ამ წარწერამ მაშინვე გამახსენა, რომ ეს ფრესკა ასეთი წარწერით ერთ-ერთ გამოფენაზეც კი იყო გამოტანილი კერძო კოლექციიდან. ფაქტობრივად, ამ გამოფენამ მაშინ მაფიქრებინა, რომ ალბათ, ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო თუნდაც რამდენიმე დაკარგული ფრესკის მოძებნა. შევეცადე ბატონი შმიდტი დამერწმუნებინა ფრესკათა ქართულ წარმომავლობაში, წავიყვანე ჯვრის მონასტერშიც, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს გაჭრა ცნობილი გერმანელი მეცნიერის ბაუმშტარკის გვარის დასახელებამ, რომელსაც თავის ნაშრომში დაბეჭდილი ჰქონდა ჯვრის მონასტრის ფრესკების ფოტოები. ერთი კვირის შემდეგ კვლავ შევხვდით ერთმანეთს. ბატონ შმიდტს ახლა უკვე ბიბლიოთეკაში შეემოწმებინა ბაუმშტარკის მიერ გამოქვეყნებული ფოტოები. მე მხოლოდ მოგვიანებით გავარკვიე, რომ იგი ცნობილი კოლექციონერი იყო და თავად აპირებდა ამ ფრესკების შეძენას.

ჩვენი ურთიერთობები თავდაპირველად ძალზე მძიმედ დაიწყო, ჩემთვის იგი იყო ადამიანი, რომელიც ეპატრონებოდა ქართულ განძს ისე, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა მასზე. მისთვის მე ვიყავი სრულიად უცნობი ადამიანი, გაღატაკებული ქვეყნიდან, რომელიც არ შეიძლებოდა ასეთი განძის შემქმნელი ყოფილიყო.

მესამედ, ისევ იერუსალიმში შეხვედრისას, მე მას ვთხოვე, რომ ეს ფრესკები საქართველოსთვის დაეთმო, თუ, რა თქმა უნდა, საქართველოში ჩემი დაბრუნებიდან ერთი თვის მანძილზე შევძლებდი ფულის შეგროვებას. ეს ჩემი მხრიდან იყო დიდი თავხედობაც და, ალბათ, სრულიად არასერიოზული დაპირებაც, ვითვალისწინებ რა საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას. შეხვედრისას მისგან უარი მივიღე, მხოლოდ ჩემი იერუსალიმიდან გამომგზავრებისას დამირეკა და მითხრა თანხმობა. მისი ნებართვის გარეშე კი შეუძლებელი იყო ამ ფრესკების შეძენაზე ფიქრი, რადგან მათი მფლობელების, კერძო კოლექციონერთა და დილერთა ვინაობა მხოლოდ მან იცოდა.

თბილისში დავბრუნდი გვიან ღამით 6 ივნისს, 7 ივნისს საღამოს კი მიღება ვთხოვე საქართველოს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II. დიდი იმედი მქონდა და ვფიქრობდი, რომ მხოლოდ მისი დახმარებით შევძლებდი ერთ თვეში ამ ფრესკების გამოსასყიდი თანხის შეგროვებას. 7 ივნისის საღამოს, მართლაც, მიმიღო უწმინდესმა, მან იმავე საღამოს ამ შეხვედრაზე მოიწვია ერთ-ერთი ქართველი ბიზნესმენი და დახმარება სთხოვა. ამ ბიზნესმენს გადავეცი ფრესკების ქსეროასლები, რომლებიც დიდი თხოვნის შემდეგ ძლივს მოვიპოვე ბატონი შმიდტისგან. ამ პიროვნებამ პატრიარქს უთხრა, რომ იგი შეეცდებოდა ფრესკების ასლები ეჩვენებინა მისი მეგობარი ბიზნესმენებისთვის და დაჰპირდა, რომ მოკლე ხანში პასუხს შეგვატყობინებდა. მეორე დღესვე მან დამირეკა და მითხრა, რომ ფული შეგროვდებოდა.

გავიდა საკმაო დრო და როგორც ქართველებს, სამწუხაროდ, ხშირად გვჩვევია, პირობა არ შესრულდა. მოლოდინმა ზღვარს გადააბიჯა და, ფაქტობრივად, დავდექით საშიშროების წინაშე, რომ კანადაში არსებული ერთი ფრესკა გაიყიდებოდა. სამწუხაროდ, საქართველოში ჩვენი დამხმარე არავინ აღმოჩნდა. უწმინდესმა დახმარება სთხოვა მოსკოვის ვიცე-მერს, ბატონ სოსო ორჯონიკიძეს. ეს მოხდა 1999 წლის 10 მაისს. 14 მაისს სოსო ორჯონიკიძემ დახმარება აღუთქვა საქართველოს პატრიარქს და ათ დღეში დაჰპირდა საჭირო თანხის გადარიცხვას კანადაში. დაიწყო დღეები გაუთავებელი მოლოდინისა და ბოლოს, 30 ივნისს, ღამის 12 საათზე დამირეკა თავად ბატონმა შმიდტმა და მაცნობა ფრესკა გადარჩენილია, ფული უკვე კანადაში, კოლექციონერის ანგარიშზეაო.

ასე გადარჩა ერთი ფრესკა. იგი 1999 წლის 14 ოქტომბერს თვითონ ბატონმა სოსომ ჩამოიტანა ლონდონიდან თბილისში და სვეტიცხოვლობას საჩუქრად გადასცა საქართველოს. დღეს ეს ფრესკა სვეტიცხოველშია დაცული.

გავიდა ხანი. დანარჩენი ფრესკების ბედი კვლავ გაურკვეველი იყო. დუმდა პატრიარქიც. და ბოლოს, გავბედე და კვლავ დახმარება ვთხოვე მას. იმ საღამოსვე უწმინდესისგან მივიღე პასუხი – მე მგონი, დაგვეხმარებიანო. ასე გავიცანი მაშინ ჯერ კიდევ მოსკოველი ბიზნესმენი ბატონი ბადრი პატარკაციშვილი.

ჩვენ პირველად შევხვდით თბილისში 1999 წლის დეკემბრის დასაწყისში. ყოფილი „ქორწინების სახლის“ შენობაში, რომელიც იმ დროს საშინელ მდგომარეობაში იყო, სადაც ბნელოდა და ციოდა, ისევე, როგორც მთელ საქართველოში. ბატონმა ბადრიმ ერთ პატარა ოთახში შემიყვანა, რომელიც ოდნავ თბებოდა იმ დროისათვის თბილისში ძალზე გავრცელებული მოძველებული ელექტროგამათბობლით. თანაც შუქი დროდადრო ითიშებოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენი შეხვედრა საკმაოდ დიდ ხანს გაგრძელდა, ვიდრე არ მივხვდით, რომ ორივენი უკვე გათოშილები ვიყავით.

ძალზე გამაოცა მისი მოსმენის უნარმა, საოცარმა ინტერესმა. ფაქტობრივად, მას სურდა, რომ იმ დღესვე დაზუსტებით გაეგო წმ. მიწაზე ქართველთა მოღვაწეობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია:

როგორ დაიწყო ეს ურთიერთობები ჯერ კიდევ 26 საუკუნის წინ, როდესაც ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აოხრების შემდეგ ებრაელთა პირველი ტალღა შემოვიდა საქართველოში. შემდეგ, ეს ურთიერთობა როგორ გახდა უფრო აქტიური, უკვე IV საუკუნის 20-იანი წლებიდან ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარების შემდეგ. ამ პერიოდიდან მოყოლებული, ქართველ მეფეთა, არისტოკრატთა და ეკლესიის მოღვაწეთა დიდი მცდელობით, წმ. მიწაზე როგორ არსდებოდა მონასტრები და სავანეები, ფუძნდებოდა ქართული კულტურისა და სამწერლობო კერები.

არ დამავიწყდება მისი რეაქცია, როდესაც გაიგო, რომ ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშები (IV-V სს) სწორედ წმ. მიწაზე იყო აღმოჩენილი (მხედველობაში მაქვს ნაზარეთის სამი გრაფიტი), რომ აქვე წმ. მიწაზე იერუსალიმის გარეუბანში დადასტურდა პირველი დამოწმება ქართული ქრონოლოგიისაც – „დასაბამითგან“, რაც საქართველოში მხოლოდ VIII-IX საუკუნეებიდან გვხვდება.

ბატონმა ბადრიმ დიდი გულისყურით მოისმინა ასევე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ წმ. მიწაზე ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ქართველთა მიერ დაარსებული თუ აგებული ტაძრები და მონასტრები, მათი შემამკობელი

ფრესკები, მათთვის შეწირული ჯვარ-ხატები, ლიტურგიული დანიშნულების ნივთები, უნიკალური ნაქარგობები, უმნიშვნელოვანესი და მდიდრულად დასურათებული ხელნაწერები. შეიტყო ისიც, რომ ქართული საგანძური დღეს საფრთხის ქვეშაა, რადგანაც აგერ უკვე თითქმის ორ საუკუნეზე მეტია, რაც ქართველებმა მთლიანად დაკარგეს თავიანთი კუთვნილი ქონება და აღარ მკვიდრობენ წმ. მიწაზე; რომ დღეს ქართული სიძველენი სხვა მფლობელთა (ბერძენთა, სომეხთა, ლათინთა და ა.შ.) ხელშია და ამის გამო მათი კვალი თანდათან ქრება. უდიდესი ნაწილი იმისა, რაც XVIII-XIX საუკუნეების მოგზაურებმა და მეცნიერებმა ნახეს და აღწერეს, დღეს უკვალოდ არის გამქრალი. არის ქართულ სიძველეთა უნებლიე თუ განზრახ ხელყოფისა თუ მოსპობის ფაქტებიც. და სწორედ ყოველივე ამის გამო, აუცილებელი იყო არა მარტო გასაყიდად გამზადებული ჯვრის მონასტრის ფრესკების შეძენა, არამედ ისტორიული პალესტინის ტერიტორიაზე ქართულ სიძველეთა მოძიების, კვლევისა და ფიქსაციის მიზნით ქართველ მეცნიერთა რამდენიმე ექსპედიციის მოწყობა.

და ჰოი, საკვირველებავ! ამ ყველაფრის მოსმენის შემდეგ ბატონმა ბადრიმ საოცარი სითბოთი მითხრა: ნუ იღელვებთ, ჯერ დავაბრუნოთ ფრესკები, შემდეგ კი მივხედოთ ექსპედიციებს. მართალი გითხრათ, ასეთ პასუხს არ ველოდი, თუმცა მივხვდი, რომ ეს იყო დაპირება, რომელიც უთუოდ შესრულდებოდა. და მართლაც ასე მოხდა...

აი, ასე დაიწყო ორწლიანი, საოცრად დაძაბული, მაგრამ ძალზე საინტერესო ურთიერთობა ბატონ ბადრისთან ჯვრის მონასტრის ფრესკების საქართველოში დასაბრუნებლად. აქვე უთუოდ უნდა აღვნიშნო, რომ ეს არ იყო მხოლოდ ქველმოქმედისა და მეცნიერთა ჯგუფის ოფიციალური, საქმიანი ურთიერთობა, იგი, ფაქტობრივად, ჩვენი ჯგუფის წევრი გახდა, ჩვენ ხომ ყველას ერთი საზრუნავი, ერთი საქმე და, რაც მთავარია, ერთი მიზანი – ქართულ სიძველეთა გადარჩენა გვაკავშირებდა.

ბატონი ბადრის მიერ ჯვრის მონასტრის სამი ფრესკისა და ერთი ხატის დაბრუნებას საქართველოში ორი წელიწადი დაჭირდა და ეს პროცესი 2001 წლის ოქტომბერში დასრულდა. ხოლო ხუთთვიანი ჩვენი პირველი სამეცნიერო ექსპედიცია წმ. მიწაზე, ბატონი ბადრის დაპირებისამებრ, 2001 წლის 17 დეკემბერს დაიწყო.

ამ ექსპედიციამ უმძიმეს და ურთულეს პირობებში იმუშავა. ქართველთა სახელთან დაკავშირებული თითოეული ძეგლის, ცალკეული ნივთის, ხელნაწერისა თუ დოკუმენტის არა მარტო კვლევა და ფიქსაცია, არამედ მათი ნახვა, დათვალიერების ნებართვის მოპოვებაც კი უმძიმეს წინააღმდეგობათა გადალახვას მოითხოვდა. ამას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ ამ რეგიონში საომარი მოქმედებების გამო, ხშირ შემთხვევაში, ქართულ ძეგლებთან მისვლა „სნაიპერების მეთვალყურეობით ჭურვებზე გასეირნებას“ უფრო წაგავდა, შეიძლება ითქვას, რომ 600-ზე მეტი ფირისა და 700 სლაიდის ყოველ კადრში, რომლებზეც ქართული სიძველეებია აღბეჭდილი, ექსპედიციის თითოეული წევრის უმძიმესი შრომა და „სისხლის წვეთებიც“ კია ჩაღვრილი. თუმცა მთელი ამ ექსპედიციის დროს ბატონი ბადრი მუდამ ჩვენთან იყო, ზურგს გვიმაგრებდა ფიზიკურად თუ ვირტუალურად.

აი, რას წერდა იგი თავად, ამ ექსპედიციის შესახებ: „მე, ისევე, როგორც თითოეული ქართველი, ბუნებრივია, გულგრილი არასოდეს ვყოფილვარ წმ. მიწაზე დღემდე შემორჩენილი ქართული კულტურის ძეგლების ბედისადმი და ამის გამო, დიდი სიამოვნებით დავაფინანსე ქართველ მეცნიერთა პირველი კომპლექსური ექსპედიცია, რათა დაწყებულიყო ამ ძეგლთა სრული აღწერა, ფიქსაცია და კვლევა. ამით შევეცადე ჩემი წვლილი შემეტანა უცხოეთში თითქმის უპატრონოდ დარჩენილი ქართული კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის საქმეში“.

შემდეგ, 2002 წლის შემოდგომაზე, იყო სრულიად უცნობი ქართული მონასტრის აღმოჩენა, ულამაზესი და საოცრად დახვეწილი V საუკუნის ასომთავრულით. 2004 წლის მთელი ზაფხულის მანძილზე კი მიმდინარეობდა ბრძოლა შოთა რუსთაველის ფრესკის გადასარჩენად და, იმავდროულად, ახლად აღმოჩენილი უცნობი ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები ისრაელელ კოლეგებთან ერთად. მაშინ ბატონმა ბადრიმ თითქმის თვეზე მეტი გაატარა ჩვენთან ერთად. იგი ყოველდღიურად იყო ჩართული ჩვენს საქმიანობაში. საოცარი ძალისხმევით ცდილობდა იერუსალიმის საპატრიარქოში მოეპოვებინა უფლება ორი ქართველი ბერის ჯვრის მონასტერში დასატოვებლად.

მაგრამ... მოატყუეს, მას კი სჯეროდა. მას უმტყუნეს, როგორც მრავალგზის.

თავად კი ჩვენთვის, მეცნიერებისთვის იგი იყო სრულიად სანდო, უღალატო, კეთილშობილი მეგობარი, რომელმაც ჩვენ იმედი გვაჩუქა.

თამილა მგალობლიშვილი

რაც გავაკეთე, უთუოდ უნდა გამეკეთებინა...

მიმაჩნია, რომ, თუკი... პრინციპებს გადავუხვევ და ჩემთვის მიუღებელ რამეს ჩავიდენ, მაშინ საკუთარი თავის პატივისცემას დავკარგავ. ეს კი ნიშნავს, რომ ამის შემდეგ სიცოცხლეც დიდად აღარ მენდომება. ამიტომ მგონია, რომ ის, რაც გავაკეთე, უთუოდ უნდა გამეკეთებინა და გავაკეთე ყველაფერი სწორად. სხვათა შორის, მე მაქვს ერთი კარგი თვისება – არასდროს არაფერი ვინანო.

* * *

როდესაც შენ გაქვს ფული და შესაძლებლობა – გავლენა მოახდინო რაღაც პროცესებზე, ამავე დროს გეკისრება უდიდესი პასუხისმგებლობა. ამიტომაც მიმაჩნია, რომ იყო ე.წ. ოლიგარქი – ეს საინტერესო და საპასუხისმგებლოა.

* * *

არ მივეკუთვნები მათ, რომლებიც ტკბებიან თვითმფრინავებით, ვერტმფრენებით, ცხენებით, მეგობრებთან დროსტარებით... მე უნდა ვიმოქმედო, უნდა ვიშრომო, ჩემი სამშობლოსთვის, ჩემი ხალხისთვის რაღაც უნდა გავაკეთო, რადგან, დარწმუნებული ვარ, ეს სიცოცხლის ბოლომდე გამყვება.

* * *

ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც გრძნობ, რომ ვალდებული ხარ, ეს გააკეთო. ნახეთ, რა მოხდა საქართველოში. მე, თუნდაც, ამ მოვლენებამდე რამდენიმე დღის წინ, გამუდმებით ვაფრთხილებდი ყველას, მათ შორის ოპოზიციას და ხელისუფლებასაც და ვამბობდი: ხალხნო, გთხოვთ, დავმშვიდდეთ, არ შეიძლება კონსტიტუციური ჩარჩოებიდან გამოსვლა, აუცილებლად უნდა ვეძებოთ მოლაპარაკების შესაძლებლობა, უნდა ვესწრაფოდეთ დიალოგს... სამწუხაროდ, ამან არც ხელისუფლებაზე და არც ოპოზიციაზე არ იმოქმედა. იმიტომ, რომ ერთნი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ მოსახლეობა მართლაც უკმაყოფილოა ხელისუფლებით (და ხალხი მართლაც უკმაყოფილოა ხელისუფლებით), ხელისუფლება კი ფიქრობდა, რომ, რა მოხდა, თუკი რამდენიმე ათეული, ასეული ან ათასობით ადამიანი გამოვიდოდა ქუჩაში, ამაში საგანგაშო არაფერი იქნებოდა. როდესაც მათ მიიღეს 100 ათასი მომიტინგე, რასაკვირველია, დაფიქრდნენ. მე სპეციალურად მივედი მიტინგზე, სპეციალურად გამოვედი სიტყვით და კიდევ ერთხელ გავაფრთხილე ყველა: „ჩემო ძვირფასებო, არავითარ შემთხვევაში არ გადავუხვიოთ კანონს, რათა, ისევ და ისევ, ჩვენი ქვეყანა არ ჩავარდეს 90-იანი წლების სიტუაციაში, როდესაც სამოქალაქო ომი დაიწყო, როდესაც ჩვენთან გაჩნდა სეპარატისტული ტერიტორიები და ასე შემდეგ". ამას იმიტომ ვამბობდი, რომ ვგრძნობდი საფრთხეს. როდესაც დავინახე, რომ ჯერ მოშიმშილეებს დაერივნენ, შემდეგ კი მშვიდობიანი მიტინგი დაარბიეს... გესმით, მთელი ამ დროის განმავლობაში მომიტინგეებს ერთი ვიტრინაც კი არ ჩაუმსხვრევიათ... ეს არ არის ის, რასაც გვაჩვენებენ საფრანგეთში ან სხვაგან, სადაც ხალხი ისვრის, ქვებით ამსხვრევს ვიტრინებს და ასე შემდეგ. ეს იყო ასიათასკაციანი შეკრება და არ ჰქონია ადგილი არანაირ ექსცესს, არც ერთს და ამ დროს „ბიჭუნებმა", რომლებიც დღეს ხელისუფლებაში არიან, გადაწყვიტეს დაემტკიცებინათ მთელი მსოფლიოსთვის, რომ მათაც შეუძლიათ მშვიდობიანი მიტინგის დაშლა. ხალხი ხელებს მაღლა სწევდა, რათა ეჩვენებინა, რომ არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო, რომ დამორჩილებოდა ბრძანებას და შეესრულებინა ყველაფერი. არა, მათ პრობლემის გადაჭრა წყლისჭავლიანი მანქანებით, მარსიანულ ფორმაში გამოწყობილი სპეცრაზმის დახმარებით გადაწყვიტეს... ეს იყო საშინელება! ეს იყო საშინელება! და სწორედ ამან მიბიძგა მიმეღო ამგვარი გადაწყვეტილება. იმ მიტინგზე მე ვთქვი, რომ ჩემთვის ყველაზე დიდი პატივია – ვიყო ჩემი ქვეყნის რიგითი ჯარისკაცი.

* * *

ოპოზიცია გაერთიანდა და მოიხმო ხალხი 2 ნოემბრის მიტინგზე. ზუსტად ვიცი, რომ არც ერთ სოციალურ სფეროში არ მოიძებნება დღეს ადამიანი, რომელიც კმაყოფილია ამ ხელისუფლებით და ამიტომაც ვიცოდი, რომ მიტინგზე ხალხის დიდი რაოდენობა მოვიდოდა. იქ კი 100 ათასზე ნაკლები ნამდვილად არ იყო, თუ მეტი არა. მე ეს საკუთარი თვალით ვნახე. მეშინოდა, რომ ოპოზიციის ლიდერები ვერ შეძლებდნენ ხალხის ამხელა რაოდენობის შეჩერებას, რადგან იქ მისულ ხალხს რაღაც მოქმედება სურდა. მათ იცოდნენ, რომ ოთხი წლის წინ სამჯერ ნაკლები ხალხი იყო და მათ მოახდინეს „ვარდების რევოლუცია". ამიტომ ყველა მიდიოდა კონკრეტული მიზნით – რაღაც შეეცვალა. მე ზუსტად ვაცნობიერებდი, რომ ცვლილებებს მოქმედება სჭირდება, ამიტომაც როცა ვთქვი, რომ დავაფინანსებდი ოპოზიციას, ამით მინდოდა დამენახვებინა მათი ლიდერებისთვის, რომ ხალხი ხელისუფლების დამხობისკენ არ განეწყოთ; რომ დაენახათ – არსებობს სხვა ფორმა, რომელიც მათ პოლიტიკური გზით ხელისუფლების შეცვლამდე მიიყვანს. აი, ამიტომ დავიწყე დაფინანსება და ჩემ გამოსვლაშიც ეს სრულიად გარკვევით განვაცხადე. ეს მამოძრავებდა და მეტი არაფერი.

* * *

თუ გვინდა დემოკრატიული სახელმწიფო ავაშენოთ, უნდა შევეგუოთ იმას, რომ უთუოდ გამოჩნდებიან ნორმალური, სერიოზული ბიზნესმენები, რომელთაც ესმით ქვეყანაში კონსტრუქციული ოპოზიციის არსებობის აუცილებლობა და ისინი კანონის ფარგლებში დააფინანსებენ მას.

* * *

ჩვენ მივაღწიეთ იმის გააზრებას, რომ უკვე მესამე პრეზიდენტია, რომელიც არ მოსწონს ხალხს. ეს რას ნიშნავს? ეს ნიშნავს იმას, რომ ხალხს არ მოსწონს თავად მმართველობის კონსტრუქცია. ამ კუთხით, ჩვენ მივაღწიეთ ოპოზიციური სტრუქტურების სრულ ერთსულოვნებას, რომ ადამიანი, რომელიც ხელისუფლების სათავეში მოვა, პირველი, რასაც გააკეთებს – გამოაცხადებს რეფერენდუმს, რათა საპრეზიდენტო რესპუბლიკა შეიცვალოს საპარლამენტო რესპუბლიკით. ვფიქრობ, ეს საქართველოსთვის ნამდვილად სერიოზული გამოსავალია.

* * *

დღეს ჩვენ უნდა გადავიდეთ საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე, სადაც მკაფიოდ იქნება გამიჯნული ფუნქციები ხელისუფლების შტოებს შორის.

* * *

1993 წელს მამა გარდამეცვალა და მისი ცხედარი მოსკოვიდან თბილისში გადავასვენე. ძალიან მიყვარდა მამა, მაგრამ როდესაც ის გარდაიცვალა, ვერ შევძელი ცრემლით დამეტირა. თავს უცნაურად ვგრძნობდი. ჩვეულებრივ, არ ვტირი, მაგრამ როცა რაღაც ხდება, თითქოს, ნორმალურია, იტირო. როდესაც ჩავედი თბილისში და გადავასვენე მისი ცხედარი, 1993 წელი იყო, ნოემბრის თვე, წვიმდა, ციოდა, არ იყო ელექტროენერგია, არ იყო წყალი, ქუჩებში წვავდნენ საბურავებს, საშინელი სანახაობა იყო; ვნახე შავებში ჩაცმული ქალების დიდი რაოდენობა, გაყინული სახეები, არავინ იღიმოდა და, იცით, ავტირდი. ამასთან, სრულიად კარგად მესმოდა, რომ იქნებ ეს იყო რაღაც ისეთი, ხომ გესმით? – მწუხარება მამის გარდაცვალების გამო, მაგრამ მე მივხვდი, რომ ეს იყო გაცილებით მეტი, ვიდრე უბრალოდ მამაკაცის ტირილი, იმიტომ რომ ცრემლები მდიოდა საკმაოდ დიდხანს. საშინელებაა... და ის, რაც არ მინდა ცხოვრებაში – არ მინდა, რომ ჩემი ხალხი კვლავ ასეთ მდგომარეობაში ვიხილო. მე წავალ ძალიან ბევრ რამეზე იმის გამო, რომ ჩემმა ხალხმა კარგად იცხოვროს, ბედნიერი იყოს. ეს არის ბრძენი ხალხი, ფანტასტიკური ტრადიციებით. ეს არის ხალხი, რომელიც იმსახურებს ნამდვილად კარგ მომავალს!

* * *

მოდით გავარკვიოთ, რა მაკლია დღეს? მე მაქვს ყველაფერი, რაც მინდა და არ არსებობს, პრინციპში, ისეთი რამ, რასაც მოვისურვებ და ვერ შევძლებ ამ სურვილის ძალიან სწრაფად შესრულებას. რისკენ მივისწრაფი, რა მინდა? ბიუჯეტიდან ფულს მე არ მოვიპარავ. მაქსიმალურად შევეცდები, არ მოხდეს ხელისუფლების კონცენტრირება ერთ ხელში.

მე არ მაქვს საკუთარი პარტია, საკუთარი გუნდი. ჩემი პარტია და ჩემი გუნდი – ეს არის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მოისურვებს ჩემთან ერთად ქვეყნის შენებას. ამიტომ, მე არ ვფიქრობ, რომ ეს პრობლემები გაჩნდება. ისინი ხომ მაშინ ჩნდება, როდესაც ხალხი ხედავს მის მიმართ დაუმსახურებელ დამოკიდებულებას, როდესაც მას არაფერს ეკითხებიან, მას არ ესაუბრებიან. რატომ დადგა ყველა ეს პრობლემა საქართველოში? ერთი უბრალო მიზეზის გამო – სააკაშვილის რეჟიმმა არ მოისურვა არავისთან მოთათბირება. ჩათვალა, რომ მხოლოდ მას აქვს მთელი ძალაუფლება პარლამენტში და მთავრობაშიც და ამიტომ ყველაფერს აკეთებს ისე, როგორც თავად მიიჩნევს მართებულად. ჩვენ გვყავს ძალიან ბევრი ადამიანი, რომელთაც შეიძლება დაეკითხო.

* * *

კიდევ ერთხელ გავიხსენებ სააკაშვილის სიტყვებს, რომელიც მან „ვარდების რევოლუციიდან“ დაახლოებით ერთი თვის შემდეგ მითხრა. მან მითხრა: „ბადრი, ხალხმა რომ იცოდეს, ვინ არის დემოკრატიის რეალური მამა, ისინი, ბოლოს და ბოლოს, თავს დაანებებდნენ სოროსს“. იცით, მე გულწრფელად მჯეროდა (და არა მხოლოდ მე, ასევე მილიონობით ქართველს), რომ ეს სწორედ ის ხელისუფლებაა, რომელიც შეძლებს ნორმალური, ჯანმრთელი ეკონომიკის აშენებას, რომელიც შეძლებს ქვეყნის გაერთიანებას, რომელიც გააკეთებს ყველაფერს იმისთვის, რომ ხალხმა კარგად იცხოვროს. სამწუხაროდ, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას სიკვდილის შემდეგ, რომელიც ჩემი ძალიან ახლო მეგობარი იყო, ყველაფერი ერთბაშად შეიცვალა. აქედან დაიწყო ჩვენი დაშორება, იმიტომ, რომ სააკაშვილი ამის შემდეგ აკეთებდა ყველაფერს, რაც კი შეეძლო გაეკეთებინა საიმისოდ, რათა ქვეყანაში არსებული ყველა სატელევიზიო არხი საკუთრებად ექცია. ანუ, ფაქტობრივად, დაიწყო ექსპანსია მთელ მედია-იმპერიაზე, რომელიც ქვეყანაში არსებობდა. ერთადერთი, რაც დარჩა, ეს არის „იმედი“, რადგან მე არ მივეცი ამ სტრუქტურის მართვის საშუალება.

* * *

მე შემიძლია მოვიყვანო ერთი მაგალითი. ისტორია ყოველთვის მეორდება, არა? ერთ-ერთი, იმ ძირითადი დაპირისპირებებიდან, რომელიც ჩვენ ჯგუფსა და რუსეთის არსებულ ხელისუფლებას შორის 2000 წელს, ან იქნებ 1999 წელს დაიწყო – იყო წყალქვეშა ხომალდ „კურსკთან“ დაკავშირებული ისტორია. მაშინ ბრალი დაგვდეს იმაში, რომ ჩვენ, თითქოს, გადაღებებზე შევყარეთ დაღუპული სამხედრო მეზღვაურების დედები, გადავუხადეთ მათ ფული და ამიტომ გამოხატავდნენ ისინი აღშფოთებას. „აბა, როგორ შეეძლოთ რუს დედებს რაიმე ცუდი ეთქვათ ხელისუფლებაზე, როდესაც მათი შვილები ქვეყნის სადარაჯოზე დაიღუპნენ?! მე და თქვენ ხომ მშვენივრად ვიცით, რომ ეს სულ სხვაგვარად მოხდა და რომ არ იყო არანაირი საჭიროება მაშინ მსხვერპლად შეგვეწირა ეს ოცი წლის ბიჭები იმის სანაცვლოდ, რომ მეოცე საუკუნის ბოლოს, თუ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, რაღაც საიდუმლო არ გაეგოთ ვიღაც ნორვეგიელებს. დღეს კი სააკაშვილი ჩემს არხს ადანაშაულებს იმაში, რომ კახელებმა ვენახები აჩეხეს, იმიტომ, რომ ჩვენ, თითქოს, ამაში ფული გადავუხადეთ და არა იმიტომ, რომ მათ ვერ შეძლეს ყურძნის ჩაბარება; არა იმიტომ, რომ მათ ვერ შეძლეს მოევლოთ იმ კულტურისთვის, რომელიც საქართველოსთვის ყველაფერია.

* * *

იქნებ ჩვენ სამშობლოს სიყვარულში შევეჯიბროთ ერთმანეთს და საერთაშორისო არენაზე ერთურთის მიერ განხორციელებულ საქმიანობას, რომელიც ქვეყნის კეთილდღეობის იდეისკენაა მიმართული, თავიდანვე ნეგატიური ფონი არ შევუქმნათ.

* * *

ვფიქრობ, ეს ასე იქნება, მხოლოდ ურთიერთობის ფორმა გახდება სრულიად სხვაგვარი. მოსკოვისთვის არა აქვს მნიშვნელობა, ვინ გახდება დღეს მმართველი იმ ქვეყნისა, რომელსაც ჰქვია საქართველო. აწი არასდროს არავინ არ მისცემს საკუთარ თავს უფლებას, იყოს უმცროსი ძმის როლში, მაშინ როდესაც მას კეფაში ურტყამენ და ეუბნებიან – ლაწირაკო, წადი და წყალი მომიტანე!. ... სიყვარულით გაცილებით მეტის მიღწევა შეიძლება.

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო...“

* * *

9 წლის ასაკიდან დღემდე ხელი რუსულად არც ერთ ქაღალდზე არ მომიწერია...

„პონიატებით“, გაგებებით ცხოვრება ჩემთვის სინდისის მიხედვით ცხოვრებას ნიშნავს. ჩემი აზრით, კანონებიც ამიტომ იქმნება.

* * *

ჩემი სიმდიდრის მნიშვნელობას ახლა მე ვხედავ იმაში, რომ ხელი შევუწყო საქართველოს ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას. მე მინდა მოვესწრო იმ დროს, როცა საქართველო უფრო კარგი ადგილი იქნება საცხოვრებლად, ვიდრე ის დღესაა. უკეთესი ჩემი შვილებისთვის და განსაკუთრებით კი – ჩემი შვილიშვილებისთვის“.

* * *

თუმცა მაქვს ამბიციები – კარს მომდგარი ცვლილებების ერთ-ერთი არქიტექტორი ვიყო, რეალობაში ვკმაყოფილდები შესაძლებლობებით, უჯამაგირო მოჯამაგირედ ვედგე ჩემს ქვეყანას, რადგან წინასწარ ვპასუხობ შესაძლო შეკითხვებს, ხმამაღლა ვაცხადებ: – არც ერთი სახელმწიფო პოსტი, დაწყებული საპრეზიდენტოთი და დამთავრებული ნებისმიერი ჩინოვნიკური თანამდებობით, მე არ მიზიდავს, მსურს განვაცხადო, რომ ჩემი რაციონალური რწმენა მოითხოვს, განვახორციელო არა ცალკეული აქტები, რომლებიც პატივმოყვარეობას დამიკმაყოფილებს, არამედ მივიღო აქტიური მონაწილეობა იმ უმნიშვნელოვანეს ცვლილებებში, რომელსაც გამთლიანებული, გაერთიანებული, იმედდაბრუნებული ერი ქვეყნის სასიკეთოდ განახორციელებს.

* * *

„ფულის შოვნა იმიტომ მინდოდა, რომ თავისუფალი ვყოფილიყავი“

* * *

თუ პოლიტიკური წრეების მხრიდან გარკვეული მანიპულირების მცდელობა იქნება ქველმოქმედების სფეროზე, მაშინ ქველმოქმედება ავტომატურად იქცევა პოლიტიკად და იგი შეიძლება ადამიანთა სულიერი მხარის სერიოზულ დაბრკოლებად იქცეს.

* * *

მე, ისევე, როგორც თითოეული ქართველი, ბუნებრივია, გულგრილი არასოდეს ვყოფილვარ წმ. მიწაზე დღემდე შემორჩენილი ქართული კულტურის ძეგლების ბედისადმი და ამის გამო, დიდი სიამოვნებით დავაფინანსე ქართველ მეცნიერთა პირველი კომპლექსური ექსპედიცია, რათა დაწყებულიყო ამ ძეგლთა სრული აღწერა, ფიქსაცია და კვლევა. ამით შევეცადე ჩემი წვლილი შემეტანა უცხოეთში თითქმის უპატრონოდ დარჩენილი ქართული კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის საქმეში.

* * *

საქართველო ტრაგიკულ და, ამავდროულად, დიად დროში ცხოვრობს. ტრაგიკულ დროში იმიტომ, რომ რევოლუცია მსხვერპლისა და შეცდომების გარეშე არ არსებობს. დიადში იმიტომ, რომ რევოლუციამ საქართველოს უმთავრესი – დამოუკიდებლობა მოუტანა.

ამბობენ, რომ იმედი ბოლოს კვდება. ეს არ არის მართალი. ბოლოს კვდება რწმენა, იმედი კი რწმენას აძლიერებს.

მე მწამს, მე მჯერა!
მე მჯერა ჩემი საქართველოსი!

* * *

უბრალოდ, ღირსება ყველაფერზე მაღლა დგას.

* * *

დღესდღეობით საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში ადგილის დამკვიდრებას ესწრაფვის. ამისათვის კი საჭიროა, რომ ქვეყანამ სერიოზული, დამაჯერებელი ნაბიჯები გადადგას ყველა სფეროში, მათ შორის, რასაკვირველია, სპორტშიც. ის, რომ ჩვენ 2014 წლის ზამთრის თამაშების მასპინძლობისთვის ვიბრძვით, ერთი ასეთი ნაბიჯია ამ გზაზე. ბედნიერი ვარ, რომ ეს ნაბიჯი საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა სწორედ ჩემი იდეის საფუძველზე და სწორედ ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში გადადგა. არ მინდა, საზოგადოებამ ისე გაიგოს, თითქოს ყოველივე ეს ბადრი პატარკაციშვილის და სხვა რომელიმე კონკრეტული პიროვნების იმიჯის ასამაღლებლად კეთდებოდეს. ეს წამოწყება პირველ რიგში საქართველოს, მისი მოქალაქეების კეთილდღეობისკენ არის მიმართული.

საქართველო უდიდესი სპორტული ტრადიციების ქვეყანაა.

* * *

ყოვლად დაუშვებელია ბაკურიანის, ბორჯომის, გუდაურისა და სვანეთის პატრონი ქვეყანა ზამთრის სპორტული რუკიდან საერთოდ გამქრალი იყოს.

* * *

თუ ხელს მოჰკიდებ კონკრეტულ საქმეს, თუნდაც, ერთი შეხედვით, შეუძლებელს და გულიანად, მაღალპროფესიულ დონეზე შეუდგები მის განხორციელებას, ადრე თუ გვიან შედეგს აუცილებლად მიაღწევ. მე მოსალოდნელ სიძნელეებს არ ვუშინდები, რადგან ჩემი გუნდი მეიმედება და ყველას კარგად გვაქვს გათავისებული, თუ რაოდენ დიდ საქმეს შევეჭიდეთ.

თუნდაც მარცხის შემთხვევაში, საქართველო მაინც მოგებული დარჩება და ბევრ სიკეთეს მოიმკის. ეს მამულიშვილური საქმეა, რისთვისაც ერმა თუ ბერმა, დიდმა თუ პატარამ – ყველამ თავი უნდა გადავდოთ. მე მეამაყება, რომ საქართველოს, სადაც, სამწუხაროდ, ბევრი გაჭირვებული ადამიანი და მთელი რიგი ყოფითი პრობლემებია, გაუჩნდა სურვილი მსოფლიო მასშტაბით ყველაზე გრანდიოზულ სპორტულ ღონისძიებას უმასპინძლოს.

* * *

გარდა იმისა, რომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში განაცხადი გავაგზავნეთ და სავალდებულო 150 000 დოლარიც გადავრიცხეთ, უკვე პრაქტიკულ საქმიანობასაც შევუდექით, რაც უცხოელ გამოცდილ ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობაში აისახება.

ბადრი პატარკაციშვილი



P.S. ბატონი ბადრი პატარკაციშვილის მოღვაწეობისა და ქველმოქმედების ამსახველ მასალებს ჩვენს მკითხველს შევთავაზებთ შემდეგ ნომრებში.

ვულოცავთ სრულიად საქართველოს და
ბატონ **გიორგი მარგველაშვილს**
2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო
არჩევნებში გამარჯვებას!

ვულოცავთ სრულიად საქართველოს და
პრემიერ მინისტრს ბატონ
ირაკლი ღარიბაშვილს ქართული
სახელმწიფოს ხელისუფლებაში მოსვლას!
ვუსურვებთ თავდაუზოგავად ეშრომოს
და ელვაწოს საკუთარი ხალხისა და ქვეყნის
ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების
გადასაჭრელად!



საერთაშორისო სამეცნიერო
ჟურნალ „კვალის“ სამეცნიერო კოლეგიის
თავმჯდომარეს, ღვაწლმოსილ მეცნიერს
და დიდ ქართველს, აკადემიკოს
გურამ ალექსიძეს
ვულოცავთ სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად
არჩევას! ვუსურვებთ დღეგრძელობას
ქართული მეცნიერებისა და ქართველი
ხალხის საკეთილდღეოთ!

ჩვენთვის და ყველა თაობის ჟურნალისტისთვის უძვირფასეს და უსაყვარლეს პროფესორებს, ღვაწლმოსილ მეცნიერებს და ღირსეულ მამულიშვილებს, ბატონებს ნოდარ ტაბიძეს და ნიკო ლეონიძეს ვულოცავთ უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღს, ყველა განსაკუთრებულ თარიღს და ასევე ყველა ბედნიერ წელს და დღეს, რაც კი ჰქონია ქართველ ერს დასაბამიდან დღემდე... ვუსურვებთ მათ, დიდ ქართველებსა და დიდ მეცნიერებს ჯანმრთელ და დღეგრძელ სიცოცხლეს, უსაზღვრო შემოქმედებით ენერგიას ქართული ჟურნალისტიკისა და ქართული პუბლიცისტური მეცნიერების მწვერვალებისკენ მუხლჩაუხრელად სვლას! მრავალჟამიერ!.. – თაყვანისცემით მათი ყოფილი სტუდენტები: ჯემალ გორდულაძე, რაულ ჩილაჩავა, თამაზ წივწივაძე, რეზო აიწურაძე, სერგი მინაშვილი, როსტომ თიგიშვილი, ოთარ იაშაღაშვილი, ლიანა ფხალაძე, მანანა ვახტანგაძე, ცირა აფციაური, ნატო პატარიძე, ქეთინო ელიაშვილი, იათამზე ანთაძე, იზო კალანდია, ანზორ კუდბა, ჯემალ კვერენჩილაძე, ავთანდილ ქურდიანი.



ვულოცავთ სრულიად საქართველოს, ქართველ მწერლებს, ჟურნალისტებსა და ბატონ

თამაზ წივწივაძეს საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის დაფუძნებას და მის პრეზიდენტად არჩევას, ისტორიული გაზეთის **"ლიტერატურული საქართველოს"** აღდგენა-გამოცამას.ჩვენ მისი უახლოესი მეგობრები ვუსურვებთ დღეგრძელობას და შემართებას, დაებრუნებინოს ქართული მწერლობისთვის ის ღირსება და დიდებულება, რაც ქონდა მას მე -20 საუკუნეში. -

ლიანა ფხალაძე, მანანა ვახტანგაძე, ნატო პატარიძე, ცირა აფციაური, ქეთინო ელიაშვილი, იზო კალანდია, ჯემალ გორდულაძე, რაულ ჩილაჩავა, რეზო აიწურაძე, ავთანდილ ქურდიანი, სერგი მინაშვილი, ანზორ კუდბა, ჯემალ კვერენჩხილაძე, როსტომ თიგიშვილი, იათამზე ანთაძე, ოთარ იაშაღაშვილი, ბიჭიკო პაპიაშვილი, რაულ ნოდია, ზორბეგ ბუაძე.

“საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი კვალი” განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით ულოცავს ჩვენი სამეცნიერო კოლეგიის წევრს 2006 წლიდან აკადემიკოს ლადო პაპავას ქართველი ერის და ქართული ქვეყნის სათაყვანო უმაღლესი სასწავლებლის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად არჩევას! ვუსურვებთ დღეგრძელობას, დიდ შემოქმედებით ენერგიას. ვიცით, რომ ბატონი ლადო დაუბრუნებს ჩვენს უნივერსიტეტს იმ ღირსებას, რაც მას მოჭარბებულად გააჩნდა დიდი ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის დროს.



ჟურნალ „ჯვარი ვაზისას“ გამოცემიდან 35 წლისთავს ვულოცავთ სრულიად საქართველოს, ვულოცავთ საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, მის მრევლს, ვულოცავთ ქართველ ჟურნალისტებს და უპირველესად ვულოცავთ ჟურნალ „ჯვარი ვაზისას“ მთავარ რედაქტორს, დამსახურებულ ჟურნალისტს ქალბატონ თინათინ კობალაძეს!!! და თუ დღეს „ჯვარი ვაზისა“ ისეთი დიდებული ჟურნალია, რომ... ინტელექტუალური ქართველი სულმოუთქმელად ელოდება მის ყოველ ახალ ნომერს, ეს მხოლოდ და მხოლოდ ქალბატონი თინას დამსახურებაა! მისი დიდი ნიჭის, უსაზღვრო შემოქმედებითი ენერგიის, თეთრად გათეული ღამეების, უძველეს ფოლიანტებში თავდაუზოგავი კვლევა-ჩხრეკის შედეგია ბატონებო! შედეგია მუხლჩაუხრელი შრომისა ამ 35 წლის მანძილზე! შედეგია იმ დიდი პასუხისმგებლობის გრძნობისა, რომელიც გვავალდებულებს ილიას თქმისა არ იყოს, რომ... ყველა ქართველმა თუნდაც ერთი აგური მაინც დადოს მამულის მომავლის საძირკველზე. ვუსურვებთ ქალბატონ თინათინს ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და უზღვავ შემოქმედებით ენერგიას, რომ ასეთივე შემართებით ეღვაწოს დიდ ქართულ ჟურნალისტიკაში, მრავალჟამიერ!..

თინათინ კობალაძე

ქალბატონ თინა კობალაძის დაუვიწყარი ღვაწლი

,, მამული, ენა, სარწმუნოება" - დიდი ილიას ეს წმიდა სიტყვები ამჟამად პატივდებული ხალხისა და საზოგადოების მიერ, თითქმის დაფარული იყო ამ 35 წლის წინ. ის ჩვენი პლეადის მკითხველისათვის პირველად ქალბატონმა თინა კობალაძემ უშიშრად დაბეჭდა თვისი შესანიშნავი ჟურნალის ,,ჯვარი ვაზისას" ყდაზე და ასე გრძელდება მრავალი ათეული წელია.

ჩვენ ყველას გვახარებს საქართველოს წმიდა ეკლესიის დიდი ავტორიტეტი ხალხში, ამისათვის ერთგული თავდადებით, პროფესიონალიზმით, საქმის ცოდნითა და პატრიოტიზმით იღწვის დიდი ქალბატონი თინა კობალაძე. ის ,,ჯვარი ვაზისას" მეოხებით ემსახურება ქართულ საქმეს.

ათეიზმის ბურანიდან გამოსული დაბნეული ხალხის დედა ეკლესიის წიაღში დაბრუნება წმიდა საქმეა.

ვუსურვებთ ქალბატონ თინათინს ხანგრძლივ და ჯანმრთელ სიცოცხლეს, ამასთანავე მე, როგორც მისი ჟურნალის ერთ-ერთი ავტორი უკვე 32 წელია, ვურჩევ ყურადღება მიაპყროს სამომავლო საქმეს - ქართველთა დეპოპულაციის თავიდან არიდებას.

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ანატოლი ანტონოვი, რომელმაც მრავალი გამოკვლევა მიუძღვნა ევროპასა და რუსეთში დეპოპულაციის საკითხს წერს, რომ დეპოპულაციას პირველად შეეხო მონტესკიე, სხვა მეცნიერებთან ერთად, საფრანგეთსა და ევროპაში შობადობის კლებასთან დაკავშირებით.

დეპოპულაციის შესახებ კვლევები დაიწყეს მას შემდეგ რაც შეამჩნიეს, რომ XIX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთში დაიწყო შობადობის შემცირება 1846-1872 წლებში 89 დეპარტამენტიდან 44-ში დარეგისტრირდა მოსახლეობის შემცირება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დემოგრაფიულ ლექსიკონებში დეპოპულაცია განიმარტება, როგორც მოსახლეობის რაოდენობის რეალური ან სავარაუდო შემცირება.

1985 წლის ,,დემოგრაფიულ ლექსიკონში" დეპოპულაცია განიმარტება, როგორც ,,რომელიმე ქვეყანაში ან ტერიტორიაზე მოსახლეობის რაოდენობის შემცირება, როცა **შემდეგი თაობის რიცხობრივი რაოდენობა უფრო ნაკლებია ვიდრე წინა თაობისა**".

XIX ს. მეორე ნახევარში ევროპის ქვეყნებში ამოქმედდა მთავრობათა შესაბამისი დემოგრაფიული პოლიტიკა, რამაც თავისი დადებითი შედეგი გამოიღო.

ამჟამად დეპოპულაცია აღინიშნება მსოფლიოს ოც ქვეყანაში, მათ შორისაა საქართველოც.

დეპოპულაცია საქართველოში თავისი განსაკუთრებული ნიშნებით გამოირჩევა, კერძოდ საქართველოში დაბალი შობადობის გამო მცირდება არა ზოგადად მოსახლეობა, არამედ მასში მცირდება ქართველთა რაოდენობრივი წილი.

ქართველთა რაოდენობრივი კლება საქართველოს მოსახლეობაში გამოწვეულია იმით, რომ ქართველთა ჯგუფში შობადობის დონე უფრო დაბალია სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით და მასში სიკვდილიანობა ჭარბობს შობადობას.

დემოგრაფიულ მეცნიერებაში დადგენილია - მოსახლეობის მიღწეული რაოდენობა რომ არ შემცირდეს, საჭიროა ყოლა 2,7 - 3 ბავშვისა.

დაბალი შობადობის გამო ევროპის დიდ ქალაქებში (პარიზში, ლონდონში და სხვა) მკვიდრ ქალაქელთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა და გაქრობის პირას მივიდა, ამ ქალაქების ზრდა მხოლოდ სხვა რეგიონებიდან შესულთა ხარჯზე ხდება. მსგავს სურათს ხატავს საქართველოში ქართველთა რაოდენობრივი კლება, საქართველოს მოსახლეობა შეიძლება მხოლოდ არაქართველთა ხარჯზე გაიზარდოს.

ანტონოვისა და სხვა მეცნიერთა თვალსაზრისით დეპოპულაცია შეიძლება რუსეთის ბედის განმსაზღვრელი იყოს XXI-საუკუნის პირველ ნახევარში, მით უფრო მძიმე შეიძლება იყოს ის საქართველოსათვის.

შეიძლება ქართველი ხალხის ბედი XXI საუკუნეში კარდინალურად შეიცვალოს, რადგანაც მისი დეპოპულაციის დონე რუსებისას აჭარბებს. საქართველოში ქართველთა რაოდენობა უფრო სწრაფად მცირდება, ვიდრე რუსეთში რუსებისა.

რუს მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ოჯახური პოლიტიკის გარეშე რუსეთი როგორც ქვეყანა მოკვდება. ა. ანტონოვის კვლევით 1920-იან წლებში ამერიკის მოსახელობაში 80 პროცენტი იყო

თეთრკანიანი, ამჟამად კი მხოლოდ 50 პროცენტია. ამერიკის მოსახლეობის ზრდა ხდება, მაგრამ მასში რაოდენობრივი წილი თეთრკანიანებისა მცირდება. მსგავსია ვითარება რუსეთში, აქ, ა. ანტონოვის სიტყვით, ყოველწლიურად კვდება ერთი მილიონი რუსი ეროვნების ადამიანი, უფრო მეტი ვიდრე იბადება. მოსკოვში ყოველწლიურად ასი ათასი რუსი ეროვნების ადამიანი კვდება, რომლის ადგილს იჭერს არარუსი. ამავე დროს ერთ შვილიანი ოჯახი თავის შვილს ნებას არ აძლევს იმუშაოს მძიმე სამუშაოზე. მის ადგილს იჭერს დედაქალაქებში შემოსული სტუმარი. ყოველივე ამის გამო, ა. ანტონოვის სიტყვით, შემოსულებისა და ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობრივი შემცირება ქმნის დისბალანსს, რომელიც თავის თავში მალავს აფეთქებასაშიშ ნაციონალურ კონფლიქტს.

ანტონოვისა და ბესტუჟევ-ლადას თვალსაზრისით დეპოპულაციის პრობლემის გადასაჭრელად მრავალი პროგრამის ამოქმედებაა საჭირო, მათ შორის სულ მცირეა - გაეწიოთ დახმარება ახალგაზრდებს 20-წლის ასაკში, რათა მათ შექმნან სამ-ოთხ ბავშვიანი ოჯახი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ბინით და მრავალი სოციალური შეღავათით, ასევე საჭიროდ მიაჩნიათ შეიქმნას საგანგებო სოციალური კლასი დედა-დიასახლისებისა, შესაბამისი ბავშვების რაოდენობით, რომელთაც მოემსახურებიან დაქირავებული მუშაკები და ექნებათ ყოველგვარი სოციალური უზრუნველყოფა, მსოფლიომ იცის რუსული მაშტაბები და რუსეთი შეძლებს საგანგებო სახელმწიფო და სახალხო პროექტების ამუშავებას ამ პრობლემის გადასაჭრელად, მაგრამ რა ეშველება საქართველოს?

მეცნიერი ლ. ფოკეევა თავის სტატიაში "შეხედულებათა სისტემა მოსახლეობის დეპოპულაციის პრობლემების შესახებ" მსოფლიოს იმ ქვეყნებს, რომლებიც დეპოპულაციას განიცდიან ჰყოფს ხუთ კატეგორიად და ფაზებად, მისი კვლევით დეპოპულაციის ღრმა პროცესში არიან შემდეგი ქვეყნები ევროპისა - გერმანია, ლატვია, ესტონეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, რუმინეთი, უკრაინა, რუსეთი და იტალია. დეპოპულაციის კიდევ უფრო ღრმა ფაზაში იმყოფებიან ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა – დიდი ბრიტანეთი, დანია, შვეცია, ავსტრია, ბელგია, ესპანეთი, სლოვაკეთი, **საქართველო** და იაპონია. ამ ქვეყნებში დემოგრაფიული სიტუაცია ხასიათდება, როგორც დეპოპულაციის ლატენტური სტადია ანუ სტაგნაციის პერიოდი.

დეპოპულაციის საკითხს რუსეთში იხილავენ ძალზე აქტიურად. ამ ქვეყნებში ყოველწლიურად ტარდება კონფერენციები, რომელიც ეძღვნება დეპოპულაციასა და ასაკობრივ დისპროპორციას. მეცნიერები, პოლიტიკოსები და რელიგიური მოღვაწეები გამოთქვავენ წუხილს და აფრთხილებენ საზოგადოებას, რომ საჭიროა აუცილებელი ზომების მიღება ნეგატიური პროცესების აღმოსაფხვრელად.

საჭიროა განხილვა საკითხისა, რომ ახალგაზრდობა სულ უფრო ნაკლებად აძლევს სიცოცხლეს ახალ თაობას. მათ არა აქეთ სამუშაო, არ იციან რა აკეთონ და მხოლოდ იმაზე ოცნებობენ, რომ ქვეყანა დატოვონ, უბედურია ის ქვეყანა, სადაც ხალხს აღარ სურს შთამომავლობის ყოლა, რომლისგანაც გარბიან პირველი შემთხვევის თანავე.

ბალკანეთის ქვეყნებში დემოგრაფიულ პრობლემას ეძახიან „თეთრ ჭირს", შავი ზღვიდან ადრიატიკის ზღვამდე მდებარე ქვეყნებში მოსახლეობის რაოდენობა მცირდება და როგორც იქ წერენ, ეს ქვეყნები „ვარდებიან დემოგრაფიულ ორმოში" ამ ქვეყნების რიცხვს უნდა მიემატოს საქართველოც. დეპოპულაციის გამო 50 წლის შემდეგ საქართველო სულ სხვა ქვეყანა იქნება. აქ მკვეთრად შემცირდება ქართველთა რიცხვი და ზოგადად მკვიდრი მოსახლეობა.

2013 წლის 25 თებერვალს ქალბატონმა თინა ყიფშიძემ განიხილა საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები, ის წერს, რომ დემოგრაფიული განვითარების პროექტის ხელმძღვანელმა საზოგადოებას გააცნო გაეროს საერთაშორისო გამოკვლევები, რომლის მიხედვითაც 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა შემცირდება ერთი მილიონით, უფრო ზუსტად კი ერთი მილიონ ას სამოცდაათი ათასი კაცით. ამ დროისათვის საქართველოში იცხოვრებს სამი მილიონ სამასი ათასი ადამიანი.

ამიერკავკასიაში და საერთოდ კავკასიაში დემოგრაფიული ბალანსი დაირღვევა ქართველთა ხარჯზე.

1926 წლის მონაცემებით კავკასიაში ყოველი მესამე ადამიანი იყო ქართველი, ამჟამად მხოლოდ ყოველი მეცხრამეტე არის ქართველი.

გაეროს მონაცემებით, როგორც აღინიშნა, 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა მკვეთრად შემცირდება, მაგრამ გაიზრდება სომხეთის მოსახლეობა, განსაკუთრებით გაიზრდება აზერბაიჯანის მოსახლეობა, 9 მილიონიდან 11 მილიონამდე.

საქართველოში საჭიროა საგანგებო დემოგრაფიული პოლიტიკის წარმოება, რომლის მთავარი მიზანი, უნდა იყოს მესამე შვილის გაჩენის წახალისება.

ვაშინგტონის ვილსონის ცენტრის გამოცემა აღნიშნავს, რომ რუსეთში მოსახლეობის შემცირებას აღრმავებს მამაკაცების ჰიპერსიკვდილიანობა და ამის შედეგად შრომისუნარიანი მოქალაქეების ყოველწლიური მკვეთრი კლება. რუსეთში მოსახლეობა 143000000-დან 2030 წლისათვის დაიკლებს 115000000-მდე ამით შეშფოთებული კვლევითი ცენტრი წერს, რომ მსოფლიო შესაძლოა რუსეთის გაქრობის მოწმე გახდეს. თუკი რუსეთის გაქრობად მიიჩნევა ამ ქვეყანაში 115000000-მდე მოსახლეობის შემცირება, მაშინ რაღა უნდა ვთქვათ საქართველოზე, რომლის ისედაც მცირე მოსახლეობა თითქმის მილიონ ნახევრით დაიკლებს. ამის გამო შესაძლოა ამჟამინდელი თაობა საქართველოს გაქრობის მოწმე გახდეს. ეს პროცესი იწოდება როგორც ერის სიცოცხლის მასობრივი განლევა, ამ პრობლემით დაინტერესებულმა ჯგუფმა შეადგინა საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის კონცეფციის წინასწარი ვარიანტი, მასში აღნიშნულია რომ 1259 წლის აღწერით საქართველოს მოსახლეობა 8000000 კაცს შეადგენდა, 1770 წლის აღწერით ის შემცირდა და გახდა 761000 კაცი. კავკასიაში რუსების შემოსვლის წინ, 1800 წლის აღწერით, საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 675000 კაცს, მაგრამ იმჟამად ეს არ იყო მცირე რაოდენობა, რადგანაც კავკასიის მოსახლეობა ზოგადად მცირე იყო, მათ ზოგად რიცხვში ქართველების რაოდენობა ძალზე ჭარბობდა, 1800 წლისათვის სამხრეთ კავკასიაში ყოველი მეორე მცხოვრები ქართველი იყო და ის სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის 44% შეადგენდა. XIX საუკუნეში ქართველთა რიცხვი 5-ჯერ გაიზარდა. XX საუკუნეში მისი რაოდენობა გაორმაგდა და 1992 წელს შეადგინა 5467000 კაცი. 2002 წლის აღწერით საქართველოში ქართველთა რიცხვი მკვეთრად შემცირდა და შეადგინა 3661000 კაცი, მის შემდეგ სულ უფრო და უფრო ნაკლები ბავშვი იბადება.

1926 წელს საქართველოს მოსახლეობა სამხრეთ-კავკასიის მოსახლეობის 45,5% შეადგენდა. ამჟამად შეადგენს 26,5%, აზერბაიჯანისა არის 53,9%, მკვეთრად გაიზრდება აზერბაიჯანელთა რაოდენობა გაეროს მონაცემებითაც, ის საქართველოში მილიონს გადააჭარბებს და 2050 წლისათვის თითქმის გაუტოლდება ქართველთა რაოდენობას.

საქართველოში ქართველთა შემცირების გამო, ქართული ენა და კულტურა დაკარგავს საზოგადოებრივ ფუნქციებს, ის აღარ იქნება საქართველოში მცხოვრებ ეთნოსთა და ხალხთა გამაერთიანებელი, ქართული ენა რეალურად აღარ იქნება სახელმწიფო ენა, ხოლო ქართული კულტურა იქნება ვიწრო, თავისთავში ჩაკეტილი კულტურა საქართველოში მცხოვრები ერთ-ერთი ეთნოჯგუფისა, ე.ი. ქართველობისა, ვეევდრებით უფალს, რომ ასე არ მოხდეს, რათა დაუყოვნებლივ გამოფხიზლდეს საზოგადოება და შეიმუშავოს ყოველდღიური სამოქმედო პროგრამა.

იმედი მაქვა, რომ ამ საქმეში თავის წვლილს შეიტანს „ჯვარი ვაზისა“.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ბიბლიოგრაფია

1. Антонов А. Н., Ворисов, В.А. Кризис и пути его преоделения М.1990
2. Антонов А. Н . Депопулаяция и кризис семьи. Социология. 1995.
3. Антонов А. Н, Сорокин С. А. Судьба XXI века: Размьшиения о семейнои политике, М.2000
4. Вестужев-лада И.В. цивилизация . М.1998.
5. Вишневский А. Г. Демографическая революция. Статистика.М. 1976
6. Демографическая модернизация, 1900-2000
7. www.undp.org.or/popin/popin-ht ml.

ჟურნალი „ჯვარი ვაზისა" 35 წლისაა

უაკ (UDC) 050"ჯვარი ვაზისა"(09) ვ - 205

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II-ის ლოცვა-კურთხევით დაარსდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალური ჟურნალი „სვეტიცხოველი", რომლის მიზანი კარგად იყო გაცხადებული სარედაქციო წერილში „მომენტისათვის" – „ჟურნალი თავისი სახელით გვაგონებს წმიდა აკვანს ჩვენი სულიერი ცხოვრების აღორძინებისას, იგი თავის ვალად დაისახავს ხელი შეუწყოს ეკლესიის ერთგულ შვილთა დარაზმვას... საბრძოლველად სარწმუნოებირივი ცხოვრების აყვავებისა და წარმატებისათვის". ჟურნალის პირველი რედაქტორი იყო პავლე ინგოროყვა. სულ გამოვიდა ოთხი ნომერი, რომელიც უნიკალურ ცნობებს გვაწვდის ავტოკეფალიააღდგენილი საქართველოს ეკლესიის შესახებ. სამწუხაროდ შიდა დაპირისპირებისა და უსახსრობის გამო ჟუნალი „სვეტიცხოველი" მალე დაიხურა.

1918 წლის 25 თებერვალს გამოვიდა ახალი სასულიერი ჟუნალი „ახალი სიტყვა", რომლის რედაქტორი იყო დეკანოზი ქრისტეფორე ციცქიშვილი. ჟურნალი ოპოზიციური მიმართულებისა იყო, იგი აცხადებდა „არ კმარა საქართველოს საეგზარქოსოს საქართველოს საკათოლიკოსო დარექვას, არ კმარა ძველი ტიტულების აღდგენა, ძველის საკათოლიკოსო შესამოსლების გამომზიურება, საჭიროა ფხიანობა, შემოქმედებითი მუშაობის გაჩაღება, უნარი მოქმედი ძალების შემჩნევისა, დაფასებისა და მათი შეთანხმებულად დარაზმვა, ეკლესიური ცხოვრების განახლება". სამწუხაროდ ჟურნალის რვავე ნომერი მხოლოდ კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის განქიქებას ეძღვნებოდა. უწმიდესი კირიონ II-ის გარდაცვალების შემდეგ ჟურნალი „ახალი სიტყვა" მალე დაიხურა...

1921 წლის თებერვლიდან, როდესაც საქართველო ბოლშევიკური რუსეთის ოკუპაციის პირობებში იმყოფებოდა და ეკლესია იურიდულად სტატუსის არმქონე ორგანიზაციად იყო გამოცხადებული (1921 წლის 15 აპრილის „რევკომის" დეკრეტი ს. ვ.) არათუ სასულიერო ბეჭვდითი ორგანოს მოთხოვნა, არამედ სასულიერო პირობაც სახიფათო იყო. აგრესიული ათეიზმის ჩაწყნარების შემდეგ XX საუკუნის 50-იანი წლებიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ III, ეფრემ II, დავით V არაერთხელ ითხოვდნენ საერო ხელისუფლებისაგან მიეღოთ ნებართვა საპატრიარქოს ოფიციალური ბეჭვდითი ორგანოს დაარსებისა, მაგრამ ყოველთვის უარს იღებდნენ.

1977 წლის 25 დეკემბერს მცხეთაში, სვეტიცოხვლის საპატრიარქო ტაძარში საზეიმო ვითარებაში შესრულდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის 141-ე საჭეთმპყრობლის, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილის (შიოლაშვილი) კურთხევა. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-ემ დაიწყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის აღორძინება. პირველი ნაბიჯები გადაიდგა ეკლესიაში მრევლის დასაბრუნებლად, კომუნისტური მმართველობის ურთულეს პირობებში ეკლესიასა და საზოგადოებას შორის ხელოვნური გაუცხოების კედლის მოსაშლელად დაიწყო ახალგაზრდა მორწმუნე ადამიანების სასულიერო პირებად კურთხევა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდს შეემატა 8 ახალგაზრდა მღვდელმთავარი, რომლებიც ფაქტიურად არსებული ეპარქიების რეალური პატრონები და ეპარქიებში სასულიერო ცხოვრების ამაღორძინებლად იქცნენ. 1978 წლიდან უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის უდიდესი ძალისხმევით შესაძლებელი გახდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ოფიციალური ორგანოს ჟურნალ „ჯვარი ვაზისას" გამოცემა. ჟურნალის რედაქტორად დაინიშნა ცნობილი ჟურნალისტი თინათინ კობალაძე. ჟურნალის მიზნები და ამოცანები განსაზღვრა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-ემ, რომელმაც აღნიშნა: „დადგა დრო, როცა საქართველოს უძველეს მადლმოსილ ეკლესიას მიეცა საშუალება გამოუშვას თავისი ჟურნალი ისეთი მდიდარი, მრავალი საუკუნოვანი ტრადიციის მქონე დამოუკიდებელი სამოციქულო ეკლესია როგორიც ჩვენია, წარმოდგენელია ბეჭდვითი ორგანოს გარეშე. ბოლო ათეული წლების განმავლობაში საქართველოში აღარ გამოდიოდა საეკლესიო ჟურნალი, მაგრამ ფიქრი და ზრუნვა მასზე არასოდეს შეწყვეტილა.

დღეს კი ვმადლობთ უფალსა ჩვენსა, განმგებელსა და მწყალობელს, რომ გვიკურთხა ამ ოცნების განხორციელება.

მე მინდა, მოკლედ მოვახსენო ჩვენს საყვარელ სამწყსოს, ჩვენს მკითხველს, თუ რა მიზნებს ისახავს ჟურნალი.

უპირველეს ყოვლისა, თვით სახელწოდება „ჯვარი ვაზისა" უკვე მეტყველებს იმაზე, რომ ჟურნალი უმთავრესად შეეხება ჩვენი ეკლესიისა და იმ ერის სულიერ ცოხვრებას, რომელიც ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ეზიარა ქრისტეს მოძღვრებას და რომელსაც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა უბოძა ჯვარი ვაზისა, როგორც სიმბოლო ძლევისა და სულიერი ამაღლებისა. ამ ჯვარმა უმძიმეს საუკუნეებში გამოატარა ჩვენი ქვეყანა, რამეთუ ცნება „ქრისტიანისა", და „ქართველისა", თავისი ღმერთისა და მშობელი მიწის ერთგული, მუსულმანურ სამყაროში მოქცეული მცირე, მაგრამ სულით ძლიერი ერისთვის სინონიმად იყო ქცეული.

ქრისტეს ჯვარმა საქართველო დაღუპვისაგან გადაარჩინა ჯვარი ვაზისა უწმიდესი სიმბოლოა ჩვენი ერის მიერ განვლილი დიდი სახელოვანი გზისა მისი რწმენისა და სასოებისა.

ჟურნალს როგორც წესი, ექნება ოფიციალური ნაწილი, სადაც გამოქვეყნდება საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის დადგენილებანი. ადგილი დაეთმობა მიწერ-მოწერას სხვა ეკლესიების პატრიარქებთან და მამათმთავრებთან.

საღვთისმეტყველო განყოფილებაში, რომელიც ჟურნალში უსათუოდ ფართო ადგილს დაიჭერს, ჩვენ შევეხებით დოგმატური და ძირითადი ღვთისმეტყველების მთავარ საკითხებს: ღმერთი, წმიდა სამება, ზეციური სამყარო, რწმენა და ადამიანი, ძალა და მატერია, პატროლოგია, ასკეტიზმი, წმიდა მამათა ცხოვრება და სხვა.

ჩვენი მიზანია, ავუხსნათ მკითხველს, რა მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის სულიერ მოღვაწეობას, რა საშუალებანი არსებობს ღმერთსა და ადმიანს შორის სულიერი კავშირის დამყარებისათვის.

ჟურნალში ფართო ადგილი დაეთმობა ქართული ეკლესიის ისტორიას, მისი მდიდარი ტრადიციების გაშუქებას, ერისა და ისტორიის ღირსშესანიშნავ საკითხებს. ჟურნალი ფართოდ გააშუქებს საქართველოს ეკლესიის კავშირს სხვა ქვეყნების ეკლესიებთან. ყურადღება დაეთმობა საკითხებს, რომლითაც დაინტერესებულია ჩვენი საზოგადოება, იქნება ეს ძველი ქართული ენის სწავლება, ტაძრებისა და მონასტრების დაცვა და რესტავრაცია, ძველი ქართული საგალობლების აღდგენა, ფრესკული მხატვრობა, თუ სხვა მრავალი...

საქართველოს საპატრიარქო მადლობის გრძნობით მიიღებს ჩვენი მკითხველის შენიშვნებსა და წინადადებებს.

მე ღვთისაგან მონიჭებული მადლით ვლოცავ ახალ ჟურნალს და ვთხოვ უფალს – „ჯვარი ვაზისამ" შეასრულოს ეს მისია.

35 წლის მანძილზე ჟურნალი „ჯვარი ვაზისა" დაუღალავად ემსახურება იმ ამოცანების რეალიზაციას, რომელიც უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-ემ დაუსახა. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალები უნიკალური წყაროა XX საუკუნის 80-90-იანი წლების საქართველოს ეკლესიის ისტორიისათვის. ქალბატონ თინათინ კობალაძის ძალისხმევით საგანგებო ნომრები მიეძღვნა „წმიდა ილია მართალს", „ტაო-კლარჯეთის ქართულ სიწმინდეებს", „საინგილოს", „აფხაზეთს", „შიდა ქართლს", „სვანეთს", „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს – აჭარას". ჟურნალმა დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის რელიგიური და ეროვნული ცნობიერების ამაღლების საქმეში. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან რთული ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების მიუხედავად ჟურნალი „ჯვარი ვაზისას" რედაქცია, ქალბატონი თინათინ კობალაძე მაინც ახერხებდა ჟურნალის გამოცემას და აქტუალური პრობლემების გაშუქებას. ვულოცავთ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას და ქალბატონ თინათინ კობალაძეს ჟურნალის გამოცემიდან 35 წლის საიუბილეო თარიღს.

სერგო ვარდოსანიძე
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი.

Magazine "jvari vazisa" is 35 years old

Since 1978, with the greatest effort of the Patriarch of Georgia, His Holiness Ilia the second, it became possible to publish the official organ of Georgia's holly Orthodox apostolic Church, Journal "Jvari Vazisa". The goals and objectives were determined by the Patriarch himself. He mentioned: "the time has come, when Georgian holly Orthodox apostolic Church is able to publish its own magazine".

Sergo Vardosanidze

Журнал «джвари вазиса» 35 лет

С 1978 года, с большим трудом Патриарха Грузии, Святейшего Илии Второго, это стало возможным опубликовать официальный орган святая православной апостольской Церкви Грузии, журнал "Джвари Vazisa". Цели и задачи были определены самим Патриархом. Он отметил: "Настало время, когда грузинская святая православная апостольская Церковь имеет возможность опубликовать свой собственный журнал".

Серго Вардосанидзе

„ძლიერებაო ჯვარო ვაზისაო"...

„ძლიერებაო ჯვარო ვაზისაო, დაგვიცევ და დაგვიფარე ჩვენ" – ასეთი წანამძღვარი ჰქონდა სრულიდ საქართველოს საპატრიარქოს ჟურნალს „ჯვარი ვაზისას" ტიტულზე, ურთულესი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლად ახლადარჩეულმა კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ რომ დააარსა 1978 წელს და მის რედაქტორად მიიწვია შესანიშნავი ჟურნალისტი და ლიტერატორი ქალბატონი თინა კობალაძე.

იმ დროისათვის საქართველოს საპატრიარქოს ოდენ ყოველწლიური კალენდრისა და საღვთისმეტყველო კრებულისა, სხვა გამოცემა არ გააჩნდა, რადგან, როგორც ცნობილია, ბოლშევიკური რეჟიმი ეკლესიას და მის მსახურთ ყოველნაირად ზღუდავდა.

იმ რეპრესიული ცენზურის პირობებში დიდი ძალისხმევით მოხერხდა ჟურნალის პირველი ნომრების გამოცემა, რომელთაც საზოგადოება ორაზროვნად შეხვდა: ეკლესის მსახურები და მრევლი სიხარულით, ხოლო ქვეყნის მარიონეტი მმართველი ნომენკლატურა შიშით, ვაითუ, ჟურნალმა ეკლესიის წიაღში ხალხის მიბრუნებას შეუწყოს ხელი და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა მეტად დააჩქაროსო...

ჟურნალმა ურთულესი წლები გამოიარა. ცენზურა სასულიერო პირებს პრესაში აზრის გამოთქმას უკრძალავდა. რედაქცია იძულებული იყო ძირითადი ყურადღება გაემახვილებინა ეკლესიაში მიმდინარე პროცესებზე, ეკლესიათა მეთაურების შეხვედრებზე და ზოგად საკითხებზე, რომ ცენზურის მიერ დადგენილ ჩარჩოებს არ გადაცდენილიყო, მაგრამ თანდათან დაძლია ეს წინააღმდეგობები, შემოიკრიბა თეოლოგები, ხელოვნებამცოდნეები, ისტორიკოსები, არქეოლოგები, შემოქმედებითი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, რომელთაც დიდ პატივად მიაჩნდათ ჟურნალთან თანამშრომლობა.

ჟურნალი წელიწადში ოთხჯერ გამოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ტირაჟი რამდენიმე ასეულს არ სცილდებოდა, ჰყავდა მკითხველთა ფართო წრე, დიდი იყო მის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალებით დაინტერესება, როგორც სასულიერო, ისე საერო წრეებში. ყოველ ნომერში იბეჭდებოდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო და საახალწლო ეპისტოლეები და ქადაგებები, მსოფლიო მართლმადიდებლობის მნათობთა სწავლებანი, საქართველოს ეკლესიის ისტორია, მის ფურცლებს ამშვენებდა ფერადი ჯვარ-ხატები, საქართველოში თუ საზღვარგარეთ მიმობნეული სიწმინდეებისა და ფრესკების ფოტოპირები, საუბრები რელიგიურ თემებზე; გარკვეული ადგილი ეთმობოდა სასულიერო და საერო პოეზიას, გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს და მამულიშვილებს, რომელთაც წარსულში დიდი ღვაწლი დასდეს ქართულ სახელმწიფოებრიობასა და კულტურას. მაგალითისთვის, საგანგებო ნომრები მიეძღვნა დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქებს, ჩვენი წინაპრების მიერ იერუსალიმში, პალესტინაში, ათონზე, შავ მთაზე, თუ მსოფლიოს სხვა წერტილებში დაარსებულ მართლმდიდებლურ ცენტრებს, მათ დამაარსებლებსა და ქტიტორებს, იქ მოღვაწე ქართველ სასულიერო მოღვაწეებსა და მთარგმნელობითი სკოლების კორიფეთ, რომელთაც განადიდეს ქართული ენა, კულტურა და თავიანთი შედევრები შთამომავლობას უდიდეს განძად დაუტოვეს...

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ „ჯვარი ვაზისამ" იმის გამო, რომ საპატრირქოს შეემატა ახალი გამოცემები, როგორებიცა, გაზეთი „მადლი", „საპატრიარქოს უწყებანი" და სხვები, რომლებიც საპატრიარქოს ყოველდღიურ ცხოვრებას ასახავდნენ (განსაკუთრებით „საპატრიარქოს უწყებანი"), პარალელურობის თავიდან ასაცილებლად, ცალკეული ეპარქიების ისტორიული წარსულის შეკრებას და პუბლიკაციას მიჰყო ხელი.

რედაქციამ 1995 წელს დაიწყო აფხაზეთით, მისი ისტორიით, ქრისტიანობის ბრწყინვალე ძეგლებისა და კერების მიმოხილვით. ეს კრებული ერთ-ერთი იშვიათი ნომერთაგანია, რადგან მასში ისეთი ღირსშესანიშნვი ძეგლები და მოვლენებია განხილული, რომელთაც ერთად თვმოყრილს სხვაგან ძნელად თუ შეხვდებით, მით უმეტეს, რომ დღეს აფხაზეთში მოხვედრა და იმ საოცარი სანახებისა და ტაძრების მოხილვა ჩვენს ძალზე ცოტა მოძმეს თუ ძალუძს.

აფხაზეთს მოყვა ნომერი ცხინვალის მხარეზე, შემდეგ აჭარაზე, იმერეთზე, გურიაზე, სამეგრელოზე, ქართლზე, სვანეთზე... ხოლო საინგილოზე, ტაო-კლარჯეთზე, ლაზეთზე, ფერეიდანსა და სულ ახლახან გიორგი მთაწმინდელის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი ნომერი საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია, რადგან ამ მასალების მოპოვებას, დამუშვებას, მათ გააზრებას რედაქტორის მხრიდან უდიდესი ძალისხმევა და რუდუნება დასჭირდა და შეუძლებელია მის უზადო გემოვნებასა და მაღალ საგამომცემლო კულტურას ხაზი არ გაესვას.

„ჯვარი ვაზისას" ოცდათხუთმეტი წელი შეუსრულდა. ეს თარიღი სამყაროში წამის გაელვებაა, თუმცაღა ერთი ადამიანის ნაყოფიერი მოღვაწეობისა და რუდუნებისთვის საკმოდ ხანგრძლივი და ხელხვავიანი.

თინა კობალაძე დღესაც თავჩაზრილი ჩაჰკირკიტებს „ჯვარი ვაზისას" მომავალ ნომერს ან წიგნს, რომელიც ბრწყინვალე მთარგმნელის, პოეტისა და მოაზროვნის თამაზ ჩხენკელის ხსოვნას ეძღვნება და უზარმაზარ კრებულს სათაურით „საუფლო ქალაქი მცხეთა" და მათ გამოცემაზე ოცნებობს.

ძლიერებაო ჯვარო ვაზისაო, დაიცევ და დაიფარე ყველა მეოცნებე და დამაშვრალი მოუსვენარი შემოქმედი.

ამინ!

ზურაბ თორია
მწერალი

"ჩემი პირველი დიდი სიხარული ეს ჟურნალი იყო..."

ჟურნალ „ჯვარი ვაზისას" დაარსებიდან 35 წელი შესრულდა. იგი დაარსდა 1978 წელს. მისი დამფუძნებელი და რედაქტორი გახლავთ ღვაწლმოსილი ჟურნალისტი და ლიტერატორი ქალბატონი თინათინ კობალაძე, რომელიც შესანიშნავად უძღვება ამ საქმეს დღესაც. რთული იყო ეს გზა... ამიტომაც ბრძანა მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ, ჩვენმა დიდმა მეუფემ ილია მეორემ თავის საიუბილეო დღეებში: „ჩემი პირველი დიდი სიხარული ეს ჟურნალი იყოო"... მისი ღვაწლით და სიყვარულით არსებობს იგი დღესაც. ჟურნალი პირველივე გვერდზე ერისა და ეკლესიის ერთიანობისკენ მოუწოდებდა ხალხს, დღეს ასეთი მოწოდება აღარ სჭირდება საქართველოს... არა მხოლოდ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში... საქართველოს ყველა კუთხეში რეკენ ეკლესიის ზარები... რთული იყო გზა , რომელიც ჩვენი პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და უდიდესი რწმენით აღზევდა. რას შევძლებდით ჩვენ, თუ არა მისი უწმინდესობის თავგანწირვა. არსებობდა პატრიარქ ეფრემის მიერ წვალებით მოპოვებული ნებართვა ჟურნალის დაარსებისა, მაგრამ თითქმის ყველას ეშინოდა და დროს კი ვადა ოთხ თვეში უმთავრდებოდა... პატრიარქი წუხდა, ჩქარობდა... ჩქარობდა ჟურნალის ახლადდანიშნული რედაქტორიც...ღამეებს ათენებდა მასალების შერჩევის საქმეში...და ბოლოს...ჟურნალმა „ჯვარი ვაზისამ" მზის სინათლე იხილა...(ამაზე უფრო ვრცლად სხვა დროს შეიძლება ვისაუბროთ). პატრიარქ ილია მეორის მოსვლითა და მის მიერ ადამიანებში თანდათან რწმენის გამოღვიძებით დაიწყო ახალი ერა ქართული ეკლესიის ისტორიაში. არცერთი საეკლესიო ჟურნალი და გაზეთი არ გამოდიოდა საქართველოში მანამდე. გასული საუკუნის პირველი წლების შემდეგ მხოლოდ დრო და დრო ბეჭდავდნენ საეკლესიო კალენდარის მსგავს გამოცემას. უსასრულოდ ვრცელი და რთული იყო ეს პერიოდი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში აღმოჩნდა და ამრიგად, ათეისტურ სახელმწიფოდ იქცა, როგორც ათეისტური საბჭოური იმპერიის ნაწილი. ანტირელიგიური იდეოლოგიის სახელმწიფო მკაცრ მარწუხებში აქცევდა ეკლესიას და მორწმუნე მრევლს. საეკლესიო მოღვაწენი მუდმივი რეპრესიის ქვეშ იმყოფებოდნენ. ამ რეპრესიის პირობებში, საეკლესიო ცხოვრებაში საჟურნალო საქმიანობა გამორიცხული იყო. მაგრამ მოხდა შეუძლებელი, როცა პატრიარქის სკიპტრა უნათლესი და უძლიერესი, დიდი პიროვნების ხელში აღმოჩნდა. ამ დღიდან- „იწყეს ნიავთა ცხოვრებისათა მოდენად". საქართველოს დიდმა პატრიარქმა ილია მეორემ მრავალი განუხორციელებელი იდეა საქმედ აქცია. იგი ქართველი ერის სალოცავი და სათაყვანებელი კათალიკოს-პატრიარქია. ჟურნალი „ჯვარი ვაზისაც" მისი ძალისხმევით დაარსდა და მან ამ იდეის განსახორციელებლად მოიწვია თინათინ კობალაძე. მას პატივს სცემდნენ ამ წრეებში და აფასებდნენ... მაგრამ მან უარი თქვა თავის 27 წლიან ღვაწლზე რომელიც დიდად უყვარდა, მისთვის მშობლიურ ტელე-რადიო კომიტეტზე. ქალბატონმა თინა კობალაძემ თავს უფლება ვერ მისცა ეკლესიიდან შორს დარჩენილიყო. იგი ჭეშმარიტი ქრისტიანია და სიხარულით დათანხმდა ეკლესიაში მსახურებაზე. მაშინ ეს ძალიან რთული და ძნელი ნაბიჯი იყო. მან გადადგა ეს ნაბიჯი და ღვთის გზაზე წავიდა... მას შემდეგ დიდი დროა გასული, მთელი 35 წელიწადი. პატრიარქის, ყველა ჩვენთაგანისათვის ნანატრ იუბილესთან ერთად, „ჯვარი ვაზისას" იუბილეც დადგა...იმ დღეებში ბრძანა ჩვენმა პატრიარქმა... ამ წლების მანძილზე ყველაზე დიდი და საერთოდ პირველი სიხარული ამ ჟურნალის გამოცემამ მომიტანაო. ეს იყო ყველაზე დიდი მადლობა, რაც ამ ჟურნალის რედაქტორმა უწმინდესისგან გაიგონა.

ცხადია ჟურნალს ბევრი შრომა სჭირდება. რედაქტორმა, რა თქმა უნდა, თავიდანვე გამოიმუშავა კონცეფცია, შეადგინა ძირითადი გეგმა. პირველ ხანებში მას სულ არ ჰყავდა დამხმარე თანამშრომლები და ძირითადად სახლში უხდებოდა მუშაობა. ეს იყო პერიოდი, როცა ეკლესიას დიდად უჭირდა... უწმინდესი ყველანაირად ეხმარებოდა რედაქციას. უხსნიდა რა ხასიათისა და მიმართულების უნდა ყოფილიყო ჟურნალი, რა თემები, რა საკითხები უნდა წამოწეულიყო წინ, როგორ უნდა ასახულიყო ჟურნალში ქართული საეკლესიო ცხოვრება და თეოლოგიის საკითხები, ქართული ეკლესიის ისტორია, საეკლესიო მოღვაწეთა ცხოვრება და ღვაწლი, მართლმადიდებლობის ისტორია და მისი როლი საქართველოს სახელმწიფოს განვითარებაში.

კარგა ხანს, ჯერ კიდევ საბჭოური წყობილების დროს, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა" იყო ერთადერთი ჟურნალი, რომელიც ასახავდა საეკლესიო ცხოვრებას, როგორ ძლიერდებოდა საქართველოში საეკლესიო ცხოვრება და სხვა. მაგრამ, რაც ასევე მთავარია, ჟურნალში, ამავე დროს მუდამ იგრძნობოდა განსაკუთრებული პატრიოტული მუხტი, მამულიშვილური გზნება, ქართული სიტყვის, ქართული სულის, ქართული ეთნოსის მდელვარე სიყვარული და თაყვანისცემა. და ყოველივე ქართული მართლმადიდებლურ რწმენასთან კავშირში იყო. ამ მხრივ, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა"უნიკალურია, აქ არა მარტო საეკლესიო ცხოვრებაა, მისი თანამედროვე ყოფა და წარსული არის ასახული და თვალს სტაცებს მკითხველს, არამედ მეტად საინტერესოდაა გადმოცემული საქართველოს ისტორიის საკითხები, ქრისტესათვის წამებული თავისი დიდი გმირებით. ჟურნალში არის წარმოჩენილი საქმეები დიდ მოღვაწეთა, დიდ მეფეთა და წმინდანთა: ვახტანგ გორგასლის, თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის და სხვათა და სხვათა. მაგრამ ამავე დროს, ჟურნალი თავის ფურცლებზე ასახავს ჩვენი თანამედროვეობის დიდ მეცნიერთა და მკვლევართა-ექვთიმე თაყაიშვილის, ივანე ჯავახიშვილის, პავლე ინგოროყვას, გრიგოლ ფერაძისა და სხვათა და სხვათა მოღვაწეობას ქართული ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლებისა და ისტორიის კვლევის საქმეში.

ჟურნალის მრავალი ნომერია მიძღვნილი აფხაზეთის, აჭარის, სამეგრელოს, სვანეთის, საინგილოს, ათონის, ტაო-კლარჯეთის, ფერეიდანის, ლაზეთის და საერთოდ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისა და მხარეებისადმი. ჟურნალის საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისადმი მიძღვნილ ამ ნომრებში წარმოჩენილია თუ რა თავისებურებები შეიტანეს ამ მხარეებმა ქართული კულტურის განვითარებაში და როგორი ღვაწლი დადეს ერთიან საქართველოს თავისი თავდადებილი ბრძოლებით ძნელბედობის ჟამს, და როგორ შეინახეს რწმენა და სამშობლოს სიყვარული. დიდი შემეცნებითი, კულტურულ-განმანათლებლობითი ღირებულება გააჩნია ჟურნალს იმასთან ერთად, რომ ის არის, პირველ ყოვლისა, საეკლესიო ცხოვრების მემატიანე იმ 35 წლის მანძილზე , რაც იგი დაფუძნდა და დაიბადა. ფასდაუდებელია ქალბატონ თინა კობალაძის ღვაწლი ამ ჟურნალის შექმნაში, არა მარტო თანამედროვე ჟურნალისტიკაში, არამედ აგრეთვე კულტუროლოგიური თვალსაზრისითაც. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა" არის მემატიანე ქართული საეკლესიო ცხოვრებისა იმ 35 წლის მანძილზე, რაც იგი შეიქმნა და დაიწყო არსებობა. ვისურვებდით, ასეთივე წარმატებით გააგრძელოს ჟურნალმა არსებობა მომავალშიც და ასახოს ქართული საეკლესიო ცხოვრების სიახლეები და თანამედროვე ადამიანების დამოკიდებულება ეკლესიისადმი და ქრისტიანული მორალისადმი. კვლავაც დიდხანს გაეგრძელებინოს არსებობა ამ დიდებულ ჟურნალს, რათა კვლავ მოუწოდოს ქართველ ერს ღმერთისა და სამშობლოს სიყვარულისაკენ.

მანანა კაკაბაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი

დავით მაისურაძე
პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი

უაკ (UDC) 94(479.22)
მ – 178

ისტორიის ნამდვილი შვილები
შენიშვნები ისტორიულ თემებზე –ნაწილი 2

ჩემს მკითხველს გავახსენებ, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან და მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში ურარტუსა და საერთოდ მცირე აზიის ცნობილი გათხრების შემდეგ ევროპის სამეცნიერო წრეებში არ ცხრებოდა კამათი იბერიელების შესახებ. ვინ იყვნენ ისინი? – უძველესი ცივილიზაციის მატარებელი კულტურული ერი, რომელსაც ჰქონდა თავისი საკუთარი დამწერლობა და სამწერლობო კულტურა თუ... ველური, უმამულო, საიდანღაც მოსული და კავკასიას, ე.ი. სხვის მიწა-წყალს შეხიზნული უკულტურო, უმიწაწყლო, უგვარტომო ხალხი, ბრბო, რომელიც... მათი აზრით ჯუნგლის კანონით ცხოვრობდა და „დღესაც“ ასე ცხოვრობს! და ეს „დღესაც“ – აღნიშნავდა არც მეტი, არც ნაკლები მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის ოციან წლებს! ამჯერად მე კონკრეტულად დავასახელებ პარიზში მცხოვრებ სომეხ ისტორიკოსს კირილე თუმანოვს! დიახ, 20-იანი წლების პარიზის სამეცნიერო ჟურნალ-გაზეთები წალეკა კირილე თუმანოვის და სხვა სომეხ მეცნიერთა ღვარძლიანმა ნააზრევმა, რომ „ქართველები უმიწაწყლო ერია, უკულტურო, ველური ხალხია და მათ არავითარი დამწერლობა არ გააჩნდათ – და თუ დღეს გააჩნიათ დამწერლობა, სომეხთა შემწეობითო“! რომ „ქართველების სამწერლობო ტრადიციები თურმე გვიანდელია, ე.ი. ახ.წ. VIII-IX საუკუნეების, რადგან მანამდე თურმე ღვთისმსახურების ენა უწინდელ საქართველოში სომხური იყო ისევე, როგორც ქართული ეკლესია იყო თურმე სომხურენოვანი, ბიბლია თურმე სომხურიდან თარგმნეს ქართველებმა და... ვინ იცის რამდენი „თურმე“ და კითხვის ნიშანი დაუსვეს ქართველებს... დიახ, ბატონებო! მკითხველი ცხადია ყველგან ხედავს ნიკო მარის კვალს, რადგან აღნიშნული არამართალი და არამეცნიერული აზრის დამკვიდრებას ენათმეცნიერებაში სწორედ ნიკო მარმა ჩაუყარა საფუძველი, მისი აღმზრდელის კერობე პატკანოვის პატივსაცემად და იმ მდიდარი სომხური ლობის საამებლად მისი, მისი ოჯახის და მისი მოწაფეების ეკონომიკური უზრუნველობა რომ უზრუნველყვეს სამუდამოდ... დიახ, მან, ნიკო მარმა ნიჭიერად შესრულებული უზნეო, ფლიდი, ტყუილი შრომებით ხარკი გადაუხადა პეტერბურგის მდიდარ სომხურ დიასპორას... მისი მიმდევრები უხვად მიმოფანტეს ევროპაში! მაგრამ მათ საპასუხოდ რა მოიმოქმედა ჩვენმა, ე.ი. ქართველმა ისტორიკოსებმა? არაფერი ბატონებო, არაფერი!

აღნიშნული ომი სამეცნიერო წრეებში მიმდინარეობდა იბერიელთა წინააღმდეგ ერთად-ერთი მიზნით, რომ როგორმე მათი შთამომავლები, ე.ი. დღევანდელი ქართველები არ მოხვედრილიყვნენ უძველეს ცივილიზებულ ერთა შორის, რომელთაც დამწერლობა გააჩნდათ უძველესი დროიდან, არ მოხვედრილიყვნენ იმ გამორჩეულ ხალხთა შორის, რომელთაც ბაბილონის დროინდელი ხალხთა განყოფის მიხედვით რელიგიურმა ისტორიოგრაფიამ ისტორიის ნამდვილი შვილები შეარქვა, ე.ი. „წმინდა ისტორიის“ მონაწილე სამოცდათორმეტ ხალხად შერაცხა, დანარჩენებს კი ისტორიის გერები უწოდა.

დიახ, ბატონებო, და აღნიშნულ „ომში“ არ ჩართულან ქართველი მეცნიერები! ეს კი მიუტევებელი შეცდომა და ბოროტი უყურადღებობა იყო! სწორედ ამგვარი უყურადღებობის შედეგი იყო ისიც, რომ 1996 წელს (სულ ახლახანს!) გერმანიაში გამოიცა თეოლოგიური ლექსიკონი (Lexikoon der antiken

christliclen literatur), რომელიც გერმანიის სამეცნიერო საზოგადოებამ (Doitsche Forschungsgemeindschaft) დააფინანსა. გამომცემლების სურვილი იყო უნივერსალური ყოფილიყო აღნიშნული ლექსიკონი და მსოფლიოს ცივილიზებულ ხალხთა ისტორია, დამწერლობა და რაც მთავარია ქრისტიანული რელიგიის მიღების დრო მოკლედ და კონკრეტულად ყოფილიყო შიგ ჩამოყალიბებული. ნაწილობრივ მათი მცდელობა შესრულდა კიდეც, რადგან დაინტერესებული სამეცნიერო საზოგადოებები ფლობდნენ ფინანსების განუსაზღვრელ რაოდენობას ისტორიული მასალების სრულყოფილი ტექსტების მოსაძიებლად. ლექსიკონის შედგენამდე მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოებები აგროვებდნენ მასალებს და გზავნიდნენ გერმანიაში. როგორც ყოველთვის, ჩვენს „ცნობილ მეცნიერებს, ისტორიკოსებს, ენათმეცნიერებს, არქეოლოგებს“ ცხადია ახლაც არ მიუქცევიათ ყურადღება ლექსიკონის გამომცემელთათვის და არც მონაწილეობა მიუღიათ ჩვენი ქვეყნისა და ისტორიისთვის ესოდენ საჭირო საქმეში. ლექსიკონის გამომცემლებმა კი... საჭირო მასალები ქართველებზე, ე.ი. იბერიელებზე სომხური სამეცნიერო საზოგადოებისაგან, ე.ი. სომეხი ისტორიკოსებისაგან მიიღეს! რატომ ბატონებო? მკითხველი ცხადია მიხვდება რა შედეგი მოჰყვებოდა ამ „ბოროტ უყურადღებობას!“ დიახ, შედეგი მართლაც ძალიან ცუდი იყო და ცუდი არის! უარესი არც შეიძლება იყოს! რადგან ლექსიკონში ქართულ დამწერლობასთან დაკავშირებით გამეორებულია სომხური წყაროები! ძირითადად გამოყენებულია ჩვენს მიერ უკვე ნახსენები კირილე თუმანოვის 1918 წელს პარიზში გამოცემული შრომა, რომელშიც გადამღერებულია სომხური წყაროების ცნობები, ნიკო მარის შრომები და რაც მთავარია ტენდენციურად არის განხილული ბიბლიის ქართული თარგმანები!

რა ხდება ბატონებო? ძალიან კი ვიქებთ თავს ჩვენი „ცნობილი ისტორიკოსებით და ენათმეცნიერებით“, რომლებსაც კათედრებიც კი ეცოტავებოდათ უნივერსიტეტში და აკადემიკოსის წოდებას (და არამარტო წოდებას, ეკონომიკურ კეთილდღეობასაც!..) მოხდენილად ირგებდნენ ტანზე, რას აკეთებდნენ ამ დროს? ნებისმიერი პროფესიის ადამიანი უნდა ცდილობდეს თავისი პროფესიული საქმიანობა ღირსეულად შეასრულოს! მაგრამ... ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ 1996 წელს საქართველოში ღირსეული ისტორიკოსი აღარ არსებობდა! ან თუ არსებობდნენ დათრგუნულნი და დაბეჩავებულნი იყვნენ ხელოვნურად შექმნილი გაუსაძლისი ეკონომიკური პირობებით... ნებისმიერ პიროვნებას გაუჩნდება კითხვა: რატომ შეიქმნა მაინცდამაინც და მხოლოდ საქართველოში პოსტსაბჭოთა სივრცისაგან განსხვავებით 20 წლიანი გაუსაძლისი ეკონომიკური კრიზისი? დიახ, ბატონებო, თევზი თავიდან ყროლდებაო, უთქვამთ ჩვენს წინაპრებს და ეს სიმართლეა!.. იმდროინდელი ხელისუფლების და მის გარშემო შემოკრებილი ერთი მუჭა ნაძირალების ხროვის გამო შეიქმნა, მათ ხელოვნურად შექმნეს გაუსაძლისი პირობები საქართველოში, მიზანმიმართულად გააღატაკეს ქვეყანა! მილიარდებად ღირებული ფაბრიკა-ქარხნები ჯართებად გაყიდეს, კავკასიონზე ელექტრო-სადენები დახსნეს და ისინიც ჯართებად გაყიდეს. ქვეყანა ხელოვნურად დააბნელეს!... ხუთმილიონიანი ქვეყანა ერთ წელიწადში (92-ში) უმუშევრებით, ყაჩაღებით და შავოსანი დედებით აავსეს, მეორე წელს კი (93-ში) ყოველივე ამას 500000 ლტოლვილი დაუმატეს, ისინი შეუბრალებლად გამორეკეს აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან, 30000 გასამრავლებელი ყმაწვილი სამოქალაქო ომს შეაწყვიტეს, ხუთჯერ ცეცხლითა და მახვილით გადაუარეს სამეგრელოს, საქართველოს მშვიდობიან მოსახლეობას ლეგალური ყაჩაღები შეუსიეს, უღვთოდ ამოხოცეს და გაძარცვეს სულიერად და ხორციელად ქართველი ხალხი... ხალხს 24 საათიან პურის რიგებში აყურყუტებდნენ მაშინ, როცა თვითონ საუცხოო ხარისხის ფქვილისაგან დამზადებულს მიირთმევდნენ! დიახ, ბატონებო, საქართველო მშივრებით, უსახლკაროებით და დაუმარხავი მიცვალებულებით გაავსეს!.. ზოგჯერ და უფრო ხშირადაც ისტორიას პიროვნებები ქნიან, ეს პიროვნებები კი უმეტეს შემთხვევაში თუ არა, ხშირად მაინც ბოროტნი, ავზნიანნი იყვნენ, კალიგულა და ნერონიც კი ანგელოზები არიან იმათთან შედარებით ვინც გამსახურდიას შემდეგ საქართველოს ხელისუფლება ჩაიგდო ხელში! მათ შხამით მოწამლეს ირგვლივ ყოველივე და ალბათ საკმაოდ დიდი ძალისხმევა და იდეოლოგიური მუშაობა დასჭირდათ თუნდაც იმისთვის, რომ ჯაბა იოსელიანისაგან როგორმე შეექმნათ ურჩხული, რომელიც დაუნდობლად დაღვრიდა საკუთარი ხალხის სისხლს, რადგან იგი, ჯაბა იოსელიანი, მიუხედავად მისი არცთუ კარგი წარსულისა, ჟღენტების უკეთილშობილეს ოჯახში დაიბადა და აღიზარდა, გენეტიკურად ფლობდა უსაზღვრო კეთილშობილებას... თუმცა მანკიერი მხარე ნებისმიერ ჩვენგანშია, კაენის შთამომავლობას ეს არ გაუკვირდება. მთავარია ეს მანკიერი მხარე არ განვითარდეს ჩვენს შორის.

მაპატიოს ჩემმა მკითხველმა, ქართველ მეცნიერთა უყურადღებობაზე ვსაუბრობდი, დიახ, სულ ახლახან, 1996 წელს საქართველოს ნამდვილად არ ჰყავდა პროფესიონალი ისტორიკოსები, რომლებიც არამარტო იზრუნებდნენ ეროვნულ ღირსებებზე და ღირებულებებზე, უბრალოდ პირნათლად შეასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას და სამართლიან, ისტორიული ფაქტებით გამყარებულ სტატიებს მიაწვდიდნენ მითითებული ლექსიკონის გამომცემლებს!.. კირილე თუმანოვის სტატია, რომელზეც ამ შემთხვევაში ვსაუბრობ, როგორც უკვე მოვახსენე ჩემს მკითხველს, 1918 წელს დაიბეჭდა პარიზში. აღნიშნული სტატია არც მეტი და არც ნაკლები, უბრალოდ შეურაცხმყოფელი იყო ქართველი ხალხისთვის!.. ვთქვათ, 1918 წელს საქართველოს პოლიტიკური ამინდი არ იძლეოდა ხმის ამოღების და საერთოდ რაიმეს გაკეთების საშუალებას, რადგან სომხურ ინტელექტუალურ ნაწილს ლიდერობდა მარი! მაგრამ 1996 წელს რაღა მოხდა? არაფერი მნიშვნელოვანი, ბატონებო!.. უბრალოდ აღარ გვყავდა ისტორიკოსები, რომლებიც ქვეყნის ისტორიის დაცვაზე იზრუნებდნენ, აღარ იყო ცოცხალი სიმონ ჯანაშია, ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი, დიახ, ბატონებო...

ამჯერად ჩემი მკითხველის ყურადღებას იპოლიტე რომაელის ქრონიკებზე შევაჩერებ. ცნობილია, რომ ბერძნულ-ლათინურ-ებრაულ ანტიკურ და მომდევნო ხანის ქრისტიანობის წინა საუკუნეების თეოლოგიურ-ისტორიულ ლიტერატურაში უხვად მოიპოვებოდა ცნობები ბაბილონის გოდოლის დაშლისა და მის შედეგად ხალხთა განყოფის შესახებ. ლეგენდის საბურველში შენარჩუნებული და რეალიზებულია უაღრესად საინტერესო ისტორიული ცნობები ბიბლიურ ხალხებზე. ხალხებზე, რომელთაც ენა და ასევე საკუთარი დამწერლობა, ე.ი. სამწერლობო კულტურა გააჩნდათ. სწორედ იპოლიტე რომაელის ქრონიკებმა შემოინახა თითქმის სრულყოფილად ხალხთა და ენათა განყოფის კატალოგების ჩვენამდე მოღწეული უძველესი რედაქცია! მოგახსენებთ შემდეგს: 1956 წელს მადრიდის ნაციონალური ბიბლიოთეკის ბერძნულ ხელნაწერთა საცავში გერმანელმა მეცნიერმა ა. ბაუერმა აღმოაჩინა იპოლიტესეული ტექსტების ორიგინალური ხელნაწერი. 1956 წლამდე ცნობილი იყო მხოლოდ VI ს-ის მეორე ნახევარში შესრულებული ლათინური თარგმანი, ე.ი. იპოლიტესეული ქრონიკების (იგივე დიამერიზმების ან კიდევ კატალოგების) ლათინური გადამუშავება.

მითითებული ქრონიკები, რომელსაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს და რომელიც ბერძნულად და ლათინურად დიამერიზმების სახითაა ცნობილი და მოწოდებული, წარმოგვიდგენს ისტორიულ ცნობებს დამწერლობის მცოდნე და მქონე თხუთმეტი უძველესი ხალხის შესახებ. როგორც უკვე ვთქვი, ცხადია, იპოლიტეს დროს არ იქნებოდა ძნელი ამ ხალხთა შესახებ ცნობების მოპოვება. იპოლიტეს პარალელურად, ოღონდაც ნაკლები სრულყოფილებით მითითებული დამწერლობის მქონე თხუთმეტი ხალხის შესახებ ცნობები შემოინახა აგრეთვე იუდაისტურმა ისტორიამაც. თალმუდის უძველესი ტექსტების მინაწერებსა და სქოლიოებშიც კი (ეგზეგეტიკურ საკითხებზე მსჯელობისას) მრავალჯერ არის გამეორებული ცნობები მითითებულ ხალხთა შესახებ.

საყურადღებოა, რომ სწორედ იპოლიტე რომაელის ქრონიკების ლათინურად თარგმნილი ტექსტები იქცა სადისკუსიო საგნად მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის ევროპელ მეცნიერთა შორის. დაკვირვებული მკითხველისთვის მითითებული ფაქტი ალბათ არც იყო მოულოდნელი, რადგან ურარტუს და საერთოდ მცირე აზიაში წარმოებული გათხრების შედეგად აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები, თიხის ფირფიტები, სამკაულები, წერილობითი ძეგლები უტყუარი ნივთმტკიცებები გახლდათ ამ ძველი, გადაშენებული ხალხის ახლო ნათესაური კავშირისა კავკასიაში მობინადრე თანამედროვე კოლხ-იბერიელებთან. და ამ ნათესაურმა კავშირმა გააღიზიანა ამ პერიოდისთვის უკვე გამდიდრებული, თბილისსა და ბაქოში ჩასახლებული და რუსეთის იმპერიას თავშეფარებული თურქეთიდან ლტოლვილი სომხობა. ისინი მიუღებელი და მიღებული, მეცნიერული და არამეცნიერული ხერხებით ცდილობდნენ თავიანთი თავი გამოეცხადებინათ კავკასიის აბორიგენ მოსახლეობად და უძველეს მესხ-იბერიელთა მემკვიდრეებად! და სწორედ ამ იდეოლოგიური ომის გაგრძელება იყო იპოლიტე რომაელის ქრონიკებზე დავის ატეხვა და მითითებულ ქრონიკებში მოხსენიებული იბერების ვინაობისა და აბორიგენობისთვის კითხვის ნიშნის დასმა!

დისკუსია იპოლიტე რომაელის ქრონიკების ლათინურად თარგმნილი ტექსტების გამო საკმაოდ მწვავედ მიმდინარეობდა და თუ შეიძლება ითქვას თავისი არსით უაღრესად პოპულარული გახდა. ოღონდაც... საკვირველია, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, მასში მონაწილეობა საერთოდ არ მიუღიათ ქართველ მეცნიერებს. განსჯის ძირითად წყაროდ იქცა იპოლიტესეულ ქრონიკებში დაცული „15 წმინდა ხალხის“ ჩამონათვალი და მათი დამწერლობა და... ამათგან მხოლოდ ერთად-ერთი – იბერიელები!! მათი წარსული და მათი დამწერლობა. მკითხველი ცხადია უთქმელადაც მიხვდება – რატომ მაინცდამაინც იბერიელები? რატომ მათი დამწერლობა? ჩემი შრომის წინა თავებში მე ადრეც ბევრჯერ ვახსენე ლენორმანის სკოლის მეცნიერთა ფასდაუდებელი გამოკვლევები და ღვაწლი იბერიელთა და ყოველივე იბერიულის წინაშე, მომდევნო პერიოდში ლენორმანის სკოლის მეცნიერთა აზრსა და იდეებს იცავს მათი შემდგომი თაობა, რომელთაც პირობითად კრაუსის სკოლას დავარქმევ, ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.

განსაკუთრებით დაძაბული პოლემიკისა და გაუთავებელი დისკუსიის მასალები მთელი 10 წლის მანძილზე განუწყვეტლივ იბეჭდებოდა თეოლოგიური ჟურნალის „Zeitschrift fur die altestamentliche Wissenschaft“-ის (ძველი აღთქმის სამეცნიერო ჟურნალის) ფურცლებზე.

იპოლიტესეულ ქრონიკებში დაცული კატალოგების (იგივე დიამერიზმების) ანუ იგივე ძველ ხალხთა და ენათა განყოფის ნუსხების ცნობები ფასდაუდებელი და ყველაზე მნიშვნელოვანი მასალები გახლდათ საეკლესიო ისტორიოგრაფიისთვის ადრეც და ასეა დღესაც. აღნიშნული ნუსხები აღწერს პერიოდს ბაბილონის ოქროს ხანის დროიდან, ჩამოთვლის ნოეს სამი ძის შთამომავალთ, რომელთაც სამეცნიერო ლიტერატურაში მოსეს ხალხთა დაფები ეწოდებათ (ასე უწოდებს მათ ძველი იუდაისტური და ბერძნულ-ლათინური ლიტერატურა). აღნიშნული ჩამონათვალი ჩვენამდე მოღწეულია შესაქმის მე-10 თავისა და ნეშტთა წიგნის I, 4-24.

ნოეს შვილების უაღრესად საინტერესო და პოპულარულმა თემამ ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე და შემდეგ, ქრისტიანობის პირველ საუკუნეებშივე შეუქმნა საფუძველი ნუსხათა შესახებ მრავალრიცხოვანი რეცენზიების შექმნას. და კიდევ ვიმეორებ, მიუხედავად აღნიშნული მწვავე დისკუსიისა, რომელიც უშუალოდ შეეხებოდა ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ხალხს, მასში მონაწილეობა არ მიუღია არც ერთ ქართველ მეცნიერს არც მაშინ და არც შემდეგ, თუნდაც უკანასკნელ წლებში.

ამჯერად მინდა ყურადღება დავუთმო სადისკუსიო თემას: ე.ი. იპოლიტესეულ ქრონიკებში განხილული და ჩამოთვლილია „15 წმინდა ბიბლიური ხალხი“, რომელთაც უძველესი დროიდანვე ჰქონდათ დამწერლობა, ე.ი. ჰქონდათ ანბანი და მათ ენაზე

იქმნებოდა წერილობითი ნიმუშები! რასაც ჰქვია დამწერლობა, ე.ი. ჰქონდათ სამწერლობო კულტურა!

იპოლიტესეული ქრონიკების ყველა ნუსხა იმეორებს ერთი და იმავე ხალხთა ჩამონათვალს (თუ არ ჩავთვლით უკანასკნელს). აღნიშნულ ხალხთა ჩამონათვალი კი იწყება არც მეტი, არც ნაკლები – იბერიელებით!!!

მიკერძოებაში რომ არავინ ჩამოგვართვას, მოვიშველიებ ზუსტ თარგმანს ქრონიკებიდან:

„ამათგან ისეთები, რომელთაც დამწერლობა აქვთ (წერა-კითხვა იციან), არიან:

(იაფეტისაგან): იბერიელები, ლათინები, რომლებიც რომაელებად იწოდებიან, ესპანელები, ბერძნები, მედიელები, სომხები.

(ქამისაგან): ფინიკიელები, ეგვიპტელები, პამფილიელები, ფრიგიელები.

(სემისაგან): იუდეველები, სპარსელები, მედიელები, ქალდეველები, ინდოელები, სირიელები.”

აღნიშნული ფრაგმენტი ამონარიდია ტექსტიდან, რომელიც მოღწეულია იპოლიტესეული ნუსხების არაბულ, ბერძნულ და ლათინურ ენებზე შესრულებული რედაქციებით.

ძირითადი მასალის წყარო, რომელიც გამოიყენეს შემდეგ, III და მომდევნო საუკუნეებში ქრისტიანულ და ასევე იუდაისტურ ისტორიოგრაფიაში არის იობელეების წიგნი, ანუ „მცირე დაბადება“. იგი დათარიღებულია ქრისტეს დაბადებიდან I საუკუნეში აპოკრიფის სახით და დაწერილია ებრაულად, ივრითის ენაზე. მითითებული აპოკრიფი II საუკუნეშივე ითარგმნა ბერძნულად, ბერძნულიდან კი ეთიოპურად. დღეს შემორჩენილია მხოლოდ ეთიოპური ხელნაწერი და ისიც ძალიან დაზიანებული. მომდევნო საუკუნეებში ეთიოპურიდან ითარგმნა (XVI ს-ში) ლათინურად, შემდეგ კი სხვადასხვა ევროპულ ენებზე. მითითებულ წიგნში საყურადღებოა ფლავიოსის წიგნი, რომელშიც ავტორი მართალია არ საუბრობს 15 წმინდა ხალხზე, მაგრამ საუბრობს იბერიელებზე!

იპოლიტესეულმა ქრონიკებმა დაუდო საფუძველი ხალხთა განყოფას ორ ნაწილად: „წმინდა ისტორიის მონაწილე სამოცდათორმეტ ხალხად და დანარჩენ სამყაროდ, რომელსაც ევროპელმა მეცნიერებმა „ისტორიის გერები“ შეარქვეს (Stiefkinder de Geschichte) Arno Borst, Der Turmbau von Babel, Geschichte der Meinungen über Ursprung und Vielfalt der Sprachen und Völker, 4 Bde, Stuttgart 1957-1963. ტ. 1. გვ. 292.

ლათინურად თარგმნილი ქრონიკების მხოლოდ მერვე და მეცხრე თავები მეორდება ფლავიუსის რედაქციაში. ფლავიუსის რედაქციაში (და არც იობელეების წიგნში) მოთხრობილი არ არის 15 წმინდა ხალხის შესახებ და არც მათ დამწერლობაზე.

გერმანელმა მეცნიერმა არნოლდ გუთშმიდმა წლების მანძილზე შეისწავლა იპოლიტესეული ქრონიკების მომდევნო საუკუნეების რედაქციები და თავისი შეხედულება მეცნიერულ თეზისებად ჩამოაყალიბა წიგნებში: A. Cutschmid, Kleine Schriften, V, Leipzig 1894, S. 585-717.

გუთშმიდმა სხვადასხვა რედაქციებში გაბნეული მოსეს „ხალხთა დაფების“ ტექსტები ერთად შეკრიბა, 24 ძირითად ჯგუფში გააერთიანა, დაალაგა ისინი და რვა ძირითადი მუხლი, ანუ რვა რუბრიკა გამოჰყო:

ა) შესავალ ნაწილში ყურადღება ეთმობა ნოეს შთამომავალთა სამკვიდრებლების საზღვრებს, საუბრობს იმ სამ დიდ მდინარეზე, რომლებიც მათ სამკვიდრებლებზე გადის და ბოლოს მოცემული აქვს მასალები ბაბილონის გოდოლის მშენებლობისა და ხალხთა და ენათა განყოფის შესახებ.

ბ) თვითონ განყოფის ტექსტი, რომელიც დაყოფილია სემის, ქამისა და იაფეტის შთამომავალთა წარმოდგენით და მოცემულია მათგან წარმოშობილ ხალხთა მამამთავართა სახელები თავიანთი საცხოვრებელი ადგილებით, ტერიტორიებით. ამის შემდეგ მოდის იმ ხალხთა ჩამონათვალი, რომელთაც ანბანი, ე.ი. დამწერლობა აქვთ. შემდეგი მუხლი ეძღვნება ბიბლიური ხალხის ტერიტორიულ განსახლებას, ქვეყანათა და კუნძულთა ჩამონათვალს, მდინარეთა ჩამონათვალს.

შემდეგი თავი გ) ეხება სამოცდათორმეტი ენის მქონე სამოცდათორმეტი ჯიშისა და წარმომავლობის ხალხს.

დ) მოთხრობა ენათა განყოფისა და ხალხთა მიგრაციის შესახებ.

ე) ნაკლებად ცნობილი ხალხები და მათი საცხოვრებელი ადგილები.

ვ) მთების, მდინარეების და ქალაქების ჩამოთვლა შვიდი კლიმატური ზონის მიხედვით.

აღნიშნული ქრონიკების ნაწილებს დამოუკიდებელი ტექსტების სახით იყენებდა წინაქრისტიანული და შუა საუკუნეების თეოლოგიური ლიტერატურა და ისტორია. სწორედ მათი, ცხადია ბერძნული მართლმადიდებლური საეკლესიო ლიტერატურიდან მოხვდა შუა საუკუნეების ქართულ მწერლობაში იპოლიტესეული ქრონიკების უმნიშვნელო ნაკვეთები, ოღონდაც ყურადღებას ვამახვილებ, რომ მხოლოდ უმნიშვნელო!

ქრონიკების ყველაზე საინტერესო ნაწილს ისტორიისათვის წარმოადგენს ნოეს შვილების შთამომავალთა ის ხალხი, რომელთაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ ქრონიკები და ბიბლია წმინდა ხალხს უწოდებს, და რომელთაც ამავე ქრონიკების მიხედვით აქვთ სამწერლობო კულტურა. აქედან გამომდინარე იბერიული დამწერლობის კულტურა თავისი ტრადიციებით ეჭვს არასოდეს იწვევდა მეცნიერთა შორის ადრე ქრისტიანული პერიოდიდან XVIII ს-მდე არამარტო ქრისტიანულ ლიტერატურაში, არამედ მისგან სრულიად განსხვავებულ იუდაისტურ წყაროებშიც, რაც მოხდა შემდეგ, სრულიად გარკვეულია, ამაზე მე ვისაუბრე ჩემი წიგნის ორივე ნაწილში!

იპოლიტეს ქრონიკების შექმნის დრო მეცნიერთათვის ცნობილია, ჩვენი წელთაღრიცხვით 235-238 წლებია! VI საუკუნეში მისი ბერძნულად გადაწერილი ხელნაწერი ეპიფანეს საეკლესიო ისტორიას ეყრდნობა. მითითებული ეპიფანე კვირელი ცნობილი საეკლესიო მოღვაწე და ისტორიკოსი გახლდათ. ჩემი შრომის პირველ ნაწილში მე რამდენჯერმე დამჭირდა მისი „საეკლესიო ისტორიის“ მოშველიება. ქრონიკების ლათინური თარგმანი

მოიპოვება მე-7 საუკუნის Excerpta Latina Barbari-ში და ასევე XI-XII საუკუნეების ხელნაწერებში, რომლის ავტორიც კონსტანტინეპოლელი ეპისკოპოსის, ევტუხეს სახელითაა ცნობილი და რომლებიც ასევე მოიპოვება ბერძნულ, ლათინურ და არაბულ ენებზე!

ამჯერად მინდა სწორედ მათი, სხვადასხვა ენებზე არსებული მითითებული ტექსტების იმ ადგილების შედარება მოვახდინო, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია ქართველთათვის:

I ტექსტი:

„ამათგან – ისეთი ხალხი, რომელთაც დამწერლობა აქვთ, ე.ი. წერა-კითხვა იციან, არიან:

იაფეტისგან: იბერიელები, ლათინები, ისინი რომაელებად იწოდებიან დღეს, ესპანელები, ბერძნები, მედიელები, სომხები.

ქამისგან: ფინიკიელები, ეგვიპტელები, პამფილიელები, ფრიგიელები.

სემისგან: იუდეველები, სპარსელები, მედიელები, ქალდეველები, ინდოელები, სირიელები.”

II ტექსტი:

„ამათგან ისეთი ხალხი, რომელთაც დამწერლობა აქვთ, ე.ი. წერა-კითხვა იციან, არიან:

იაფეტისგან: იბერიელები, რომლებიც ტირანელებად მოიხსენიებიან, ლათინები, ესპანელები, ბერძნები, მედიელები, სომხები.

ქამისგან: ფინიკიელები, პამფილიელები, ფრიგიელები.

სემისგან: ებრაელები, სპარსელები, ქალდეველები, ინდოელები, სირიელები.”

III – ტექსტი:

„ის ხალხი, რომლებმაც წერა-კითხვა იციან, არიან:

იაფეტისგან: იბერიელები, ლათინები, რომელთაც რომაელებს უწოდებენ, ესპანელები, ბერძნები, მედიელები, სომხები.

ქამისგან: ფინიკიელები, ეგვიპტელები, პამფილიელები, ფრიგიელები.

სემისგან: ებრაელები, რომლებიც იუდეველები არიან, სპარსელები, ქალდეველები, ინდოელები, სირიელები“.

არის კიდევ ერთი ტექსტი; შედარებით განსხვავებული რედაქცია:

IV ტექსტი:

„ისინი, ვინც წერა-კითხვა იციან:

იაფეტისგან: ბერძნული, რომაული, სომხური, გურჯანული, ესპანური.

ქამისგან: ეგვიპტური, პამფილიური, ფრიგიული.

სემისგან: ებრაული, სირიული, სპარსული, ინდური, ქალდეური, არაბული“.

პირველი ტექსტი იპოლიტესეული ორიგინალია. მეორე ტექსტი VI საუკუნის ხელნაწერია, სადაც იბერიელები ტირანელებადაა მოხსენებული, როგორც მოიხსენიებდნენ ძველ წყაროებში კავკასიელ იბერებს. რაც შეეხება პირენეის იბერებს, ისინი ძველ წყაროებში სრულიად განსხვავებული სახელებით მოიხსენებოდა: კელტ-იბერები, გალები ანუ იბერები. ყოველივე ამის დასადასტურებლად შეგვიძლია გადავამოწმოთ სანდო წყაროები: A. Bauer, chronik des Hyppolitos... S. 52; Gutschmid, Kleine Schriften, Bd, 5, S. 243.

ევტუხეს წყაროებში დასახელებულია Guarzanica! გუთშმიდის გამოკვლევით გურჯანიკა არის ის მხარე, სადაც თბილისი მდებარეობს, რადგან ეს სიტყვა უმეტეს წყაროებში თბილისს აღნიშნავდა. A. Gutschmid, "Untersuchungen"... გვ. 691.

გერმანელი მეცნიერი ს. კრაუსი აღნიშნავდა, რომ მიუხედავად საუკუნეების შუალედებისა, ქრონოლოგიურად და გეოგრაფიულად საკმაოზე მეტად დაშორებულ ტექსტებში თითქმის ერთნაირადაა გადმოცემული ერთი და იგივე აზრი ამ ხალხებზე. მოვიტანთ ციტატას კრაუსის წიგნიდან: „ალბათ მართლაც არსებობდა ძველი კანონი, რომლის მიხედვითაც 15 სამწერლობო ენის არსებობა უნდა ყოფილიყო მიღებული ისტორიულად უძველესი დროიდან. ეს არის გარკვეულ დროს შემუშავებული სქემა, რომელიც შენარჩუნებულ იქნა მას შემდეგაც, რაც ამ სქემის ჩამომაყალიბებელი დამოკიდებულება შეიცვალა“ – S. Kraus, Zur Zahl der Biblischen Völkcrschaften, in: Zeitschrift fur die alttestamentliche Wissenschaft, Nr. 26/1906, s. 43.

დაკვირვებულ მკითხველს ცხადია ბევრი კითხვა გაუჩნდება: ა) იპოლიტე რომაელის ქრონიკები შექმნილია 235-238 წლებში. სხვა ერებს რომ თავი დავანებოთ, სწორედ სომხური ისტორიის წყალობით ვიცით, რომ ამ დროს სომხებს დამწერლობა არ ჰქონდათ!

ბ) ამავე წლებში შეუძლებელი იყო სომხები იაფეტიანებად წოდებულიყვნენ, რადგან ამის შესახებ ნიკო მარამდე სხვა წყარო არ არსებობს, გარდა ლეონტი მროველის სომხურად გადაკეთებული ქართლის ცხოვრებისა. თვითონ ბიბლია დუმს ჰაიკის შთამომავლების შესახებ. ნიკო მარი შეეცადა იაფეტის შთამომავლებად სომხები დასაბუთებულად ექცია, და ბოლოს, რაც მთავარია, იბერიელების ქართველობა მე-19 საუკუნემდე ეჭვქვეშ არასოდეს დამდგარა, როგორც უკვე ვთქვი ადრეც! მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში თითქმის ყველა ცნობილმა მეცნიერმა მიუძღვნა შრომა ამ თემას, მათგან გამოვყოფთ რამდენიმეს: ა. გუთშმიდს, ს. კრაუსს, ვ. ბახერს, ზ. ბერგერს, ს. პოზნანსკის, მ. შტაინშნაიდერს და გ. მიულენჰოფს. მათი შეხედულებები იბერიელებისა და დღევანდელი ქართველებისადმი აბსოლუტურად განსხვავებულია. მათი ნაწილი თვლიდა, რომ დღევანდელი იბერები ველური, ბარბაროსი ხალხი იყო, ოღონდაც არ აკონკრეტებდნენ საიდან, რა მონაცემების საფუძველზე უწოდებდნენ დღევანდელ იბერებს, ე.ი. ქართველებს ბარბაროსებსა და ველურებს? მოვიტან ამონარიდს ს. კრაუსის წიგნიდან: „ისეთი ძველი კულტურის ხალხებს, როგორიცაა ებრაელები, ბერძნები, რომაელები, სირიელები და სხვები, რომელთაც საკუთარი დამწერლობა აქვთ, ამის წაკითხვა ძველ წყაროებში ჩვენთვის არანაირ საკვირველებას არ წარმოადგენს, მაგრამ როგორ ხვდებიან დამწერლობის მქონე ხალხთა სიაში მესამე საუკუნის წყაროების მიხედვით ისეთი ნახევრად ბარბაროსული ხალხები, როგორებიც არიან იბერები, ფრიგიელები და სხვები, რომელთა იდენტიფიკაცია იმ პერიოდის კულტურულ სამყაროში საკმაოდ ჭირს“ – S. Kraus, Zur Zahl der Biblischen... გვ. 41.

ამ აზრის ავტორები ცდილობდნენ ქრონიკებში წარმოდგენილი იბერები ესპანელი იბერებისათვის დაეკავშირებინათ, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ქრონიკებში დასახელებულ იბერებს, იქვე მოსდევთ ესპანელები! და კიდევ: პირენეიში მოსახლე იბერები საისტორიო წყაროებში როგორც ზემოთ აღვნიშნე ყოველთვის სხვა ფორმით მოიხსენიებიან. აგრესიული აზრის მეცნიერთაგან (რომელთა მსგავსი მრავლად მოიპოვებიან და მე ვრცლად ვისაუბრე მათზე წინა თავებში) განსხვავებით, სრულიად საპირისპირო თემა წამოაყენა გერმანელმა მეცნიერმა კრაუსმა: „დიამერიზმების ანბანურ დამწერლობათა კატალოგებში იბერიული დამწერლობა არსად არ აკლია და საყურადღებოა ისიც, რომ ბიბლიურ 70 თუ 72 რესპექტულ ენათა 15 დამწერლობას შორის იბერიული ყოველთვის პირველ ადგილას არის ნახსენები. ჩვენ მიჩვეულები ვართ, რომ იბერიელები კავკასიაში მცხოვრებ ველურ ხალხად წარმოვიდგინოთ, ამიტომ ვერ გაგვიცნობიერებია ის ფაქტი, რომ ასე ადრეულ წყაროებში იბერიელები 15 გამორჩეულ ხალხთა შორის მოიხსენიება და თანაც პირველ რიგში. ჩვენი სიძველეთმცოდნეობა ღარიბი და ნაკლული ყოფილა, თუ ამგვარ წყაროთა ცნობებს, მხედველობაში მაქვს ცნობა იბერიული დამწერლობის შესახებ, გამოცანად და საკვირველებად მივიჩნევთ. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენს მიერ მიმოხილული წყაროები იმდენად სანდოა, რომ გაუმართლებელი ხდება ყოველგვარი ეჭვი იბერიელთა დამწერლობის ირგვლივ“ – S. Krauß, Zur Zahl der Biblischen... Nr. 26/1906, გვ. 43-44.

კრაუსმა, როგორც მისი შრომებიდან აშკარად ჩანს, საგანგებოდ შეისწავლა უძველესი წყაროების ცნობები იუდაისტურ და ასევე ქრისტიანულ მწერლობაში იბერიელებისა და მათი დამწერლობის შესახებ და მხოლოდ ამის შემდეგ წარმოადგინა საკუთარი მოსაზრება. იმდენად სრულყოფილად იყო დასაბუთებული კრაუსის თემა, რომ მისი გაბათილება ადვილი აღარ იყო. კრაუსი ასკვნიდა, რომ: „მედიევისტიკაში განსწავლულობის მიუხედავად, მისმა მკვლევარებმა ბევრი არაფერი იცოდნენ ამ ნაკლებად ცნობილი ხალხების, მათ შორის იბერების სამწერლო ტრადიციების შესახებ და ამიტომ მიაჩნდათ მათი (იბერების) მოხსენიება ძველ წყაროებში საკვირველებად“... – დავეთანხმოთ, ბატონებო? ნებისმიერი მეცნიერი ვალდებულია თუ „არაფერი იცის“ გარკვეული ისტორიული საგნის, პიროვნების ან ისტორიული მოვლენის შესახებ, არ ისაუბროს და მით უმეტეს მეცნიერულად არ დაასაბუთოს არათუ უარყოფითი, ან დადებითი, საერთოდ აზრი მის შესახებ. მაგრამ რადგან ასე არ ხდება, ცხადია გამიზნულ მოქმედებას აქვს ადგილი. გამიზნული, ე.ი. წინასწარ დაგეგმილი მოქმედება კი ჩვენთვის, ქართველთათვის არახალია, ძველია, ჩვენი გულუბრყვილობით იმედია ამ (21) საუკუნეში მაინც ვეღარ ისარგებლებს ვერავინ!

ამჯერად მკითხველის ყურადღებას გავამახვილებ ერთ საკითხზე: ზოგიერთი მეცნიერის აზრით მითითებულ, იპოლიტესეულ ქრონიკებში, დამწერლობის მქონე ხალხები მოიხსენიება ისეთი გამოთქმით ბერძნულ და ლათინურ ენებზე, რომლებიც შეიძლება ერთდროულად აღნიშნავდეს ხალხს, რომელთაც საკუთარი ანბანური დამწერლობა აქვთ და კიდევ ისეთ ხალხსაც, რომლებიც საკუთარ, მშობლიურ ენაზე ავითარებენ სამწერლო ტრადიციებს, ოღონდაც წერა, ე.ი. დამწერლობა სრულდება არა საკუთარ ორიგინალურ ენაზე, არამედ სხვა რომელიმე ერის დამწერლობის საშუალებით. ეს მეთოდი გახლავთ ალოგლოტოგრაფიის მეთოდი, „რომლის მეშვეობითაც წინაქრისტიანულ ხანაში თურმე კარგად იყო განვითარებული ქართული სამწერლო ტრადიციები!“ დიახ... აღნიშნულ დასკვნამდე მიდის თამაზ გამყრელიძე და თავის მოსაზრებებს ასაბუთებს – „მწიგნობრობა ქართული“. კრებულში: Dedicatio, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, აკად. მ. ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი, 2001 წ. გვ. 420-429. დიახ, ბატონებო, ბატონი გამყრელიძის აზრით ქართველები სხვის ენაზე სწერდნენ, რადგან... რადგან... აქ ორი აზრი აღარ არსებობს, ე.ი. მისი აზრით ქართველებს საკუთარი ანბანი არ ჰქონდათ! თუმცა იგი გადაჭრით ვერც უარყოფს ანბანის უქონლობას... და აცხადებს, რომ „...ეს დამწერლობა არ უნდა ყოფილიყო აშკარად ქრისტიანული ეპოქის ასომთავრულიო“.

ჩემი შრომის წინა თავებში მრავალგზის შევეხე ზოგიერთ ქართველ მეცნიერს, რომლებიც ცდილობდნენ გარკვეული მიზეზებით „მცდარი აზრი დაენერგათ საქართველოს ისტორიაში და ქართულ ენათმეცნიერებაში ქართული ანბანის შესახებ“. და სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით, მინდა დავსვა ლოგიკური კითხვა: უძველესი ბერძნული, იუდაისტური და ლათინური სამყარო რომელი ჯგუფის წევრებს მიაკუთვნებს იბერიელებს ანბანური დამწერლობის მქონეთ თუ უბრალოდ სამწერლო ტრადიციების მქონეთ? რაც შეეხება იპოლიტესეულ ქრონიკებს, იგი კანონის ზუსტი დაცვით იმეორებს აბსოლუტურად ერთსა და იგივეს თითქმის ყველა რედაქციაში, და თუ იბერიელებს მივიჩნევთ ანბანის არმქონე ერად, იგივე აზრი უნდა გამოვიმუშაოთ ბერძნებზე, ებრაელებზე, რომაელებზე და სხვებზე, რადგან ისინი ერთად არიან დასახელებულნი და არამარტო ერთად, მათი ჩამონათვალის თავში იბერიული და იბერიელები არიან მითითებულნი! საინტერესოა, ეს ანბანური ჭეშმარიტება ვეღარ გაარკვია ბატონმა თამაზ გამყრელიძემ?

იპოლიტესეული ქრონიკების ეს ნაწილი, რომელიც აბსოლუტურად მეორდება XVIII საუკუნემდე თითქმის ყველა რედაქციაში, მეორდება აგრეთვე III საუკუნიდან მოყოლებული იუდაისტურ ლიტერატურასა და ისტორიაშიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აზრი დასაბუთებული და საკმაოდ გაზიარებულია, რადგან თალმუდის ტექსტის კომენტარებში მრავალჯერ მოიხსენიებენ ხალხებს, რომელთაც საკუთარი ანბანური დამწერლობა აქვთ და არ ხმარობენ სხვისას! დიახ!

თალმუდურ – მიდრაშული ტრადიციით თორა შეიძლება ითარგმნოს 70-ნაირად (ე.ი. ბიბლიური – 70 თუ 72 ხალხის ენაზე!). ამ საკითხმა თანაიტურ ეპოქაში კანონის სახე მიიღო და მის შესახებ მოსაზრებები თალმუდის კომენტარებში დარჩა! ს. კრაუსმა გამოიყენა ძველი წყაროები და აჩვენა, რომ თორას გრაგნილების თარგმანისა და ინტერპრეტაციის ერთ-ერთ სახეობად სწორედ იბერიულიც იხსენიება

მესამე საუკუნის ებრაულ ისტორიოგრაფიაში: „რომელ ენაზეც, რომელი დამწერლობითაც არ უნდა იყოს შესრულებული თორას გრაგნილები, იქნება ეს კოპტური, მედიური, ელამური, ბერძნული, იბერიული...“ S. Kraus, Zur Zahl der Biblischen Völkcrschaften... 1906 წ. 42-46.

თალმუდურ-მიდრაშული ისტორიული წყაროების ეს ადგილები, სადაც გარკვევით არის აღნიშნული, რომ თორას თარგმნა ნებადართული და შესაძლებელია იბერიულ ენაზე, ე.ი. იბერიული დამწერლობითო – მწვავე განსჯის საგნად იქცა და იქცა ძირითადად ევროპაში, სადაც უკვე კარგად იყო ფეხმოკიდებული სომხური ლობი, და ნიკო მარის აქტიურობა საუკუნის ბოლოს შესაშური ენერგიით აღინიშნა ამ საკითხთან მიმართებაში!

აღნიშნული საკითხის კრიტიკით გამოაქვეყნა თავისი მოსაზრება ვ. ბახერმა, რომელმაც აღნიშნა, რომ შესაძლებლად თვლიდა სიტყვა „იბერია“ ყოფილიყო არაბულის განმსაზღვრელი მცდარი დაწერილობა, რომლითაც არაბული დამწერლობა აღინიშნებოდა და მისი აზრით აქ არ შეიძლებოდა მიგვეჩნია ეს სიტყვა იბერიულისა და იბერიის დასტურად. კრაუსი მაშინვე გამოეხმაურა აღნიშნულ სტატიას და მიუთითა, რომ: „ამ სიტყვების აღრევა ყოვლად დაუშვებელი იყო, რადგან დასახელებულ ქრონიკებში ეგვიპტური დამწერლობა სულ სხვა ფორმით არის წარმოდგენილიო“...

„...თუ გავითვალისწინებთ ინტერდიალექტურ სხვაობას, სირიულში იბერიულის ორთოგრაფია იგივე იქნება, რაც ჩვენს მაგალითშია: Y-ს მაგიერ გვექნება N. სწორედ ამ ფორმით, ე.ი. ინტერდიალექტური სხვაობით სირიულში მრავალჯერ დასტურდება მითითებული სიტყვა, ე.ი. იბერია და იბერიული, ან იბერიის. სხვადასხვა კონტექსტში (იმავე ფორმით) ნახსენებია იბერთა ქვეყანა, იბერიის ზღვა, იბერიის თბილი წყლები... სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ დიამერიზმების ნუსხებში იბერიული არსად არ აკლია და სრულიად კანონზომიერია ის, რომ მედიურისა (მიდიელების ენა, ეს ხალხი გაქრა სპარსელებთან შერევის და შეერთების შემდეგ) და ელამურის გვერდით თალმუდის მინაწერებში იბერიული მოიხსენიება... დიამერიზმების (იპოლიტეს ქრონიკების) თხუთმეტი დამწერლობიდან თალმუდში სულ მცირე ხუთია დადასტურებული და აქედან ერთ-ერთი იბერიულია. ...ყველაზე დიდ მნიშვნელობას მე მაინც იმ ფაქტს ვანიჭებ, რომ ქრისტიანული და იუდაისტური წყაროების მონაცემები ამ შემთხვევაში აბსოლუტურად ემთხვევა ერთმანეთს“ S. Kraus, Zur Zahl der Biblischen Völkcrschaften... 1906. S. 43-44-46.

მეოცე საუკუნის დასაწყისში იემენში აღმოჩენილი „Midrush ha - Cadol“, დავით ბეთ რაბანის მიერ შედგენილ VII-VIII საუკუნის ებრაული წყარო, რომელშიც დამწერლობის მქონე ხალხთა ჩამონათვალი იპოლიტესეული ქრონიკების მიხედვითაა შედგენილი – ის ისტორიული ანალებია, რომლის უარყოფა არც შეიძლებოდა და ვერც შეძლეს ევროპელმა მეცნიერებმა და აღნიშნეს კიდევაც თავიანთ შრომებში იუდაისტური და ქრისტიანული წყაროების იდენტურობა სადისკუსიო საკითხთან დაკავშირებით, ე.ი. იბერიელებთან მიმართებაში.

სწორედ ს. კრაუსი იყო ის მეცნიერი, რომელმაც პირველმა აღმოაჩინა ის მომენტი, როცა აღრევა მოხდა კავკასიის იბერიელებისა და ესპანეთის იბერებს შორის. ბევრს დღესაც არ უნდა გაიგოს, მაგრამ ფაქტს ვერავინ გაექცევა, რომ ფლავიუსის Tubal, a quo Iberi – აღიარებული თეზაა და კავკასიის იბერებს შეეხება, მათში კავკასიელი იბერები, ე.ი. დღევანდელი ქართველები იგულისხმება, ამ საკითხსაც მრავალჯერ შევეხე ჩემს სხვა შრომებში. მაგრამ სწორედ ფლავიუსის ახსნა ვერ გაიგო სწორად ჰიერონიმემ (ხომ არ ვიფიქროთ, რომ არ უნდოდა გაგება?) და მათში (ფლავიუსის იბერებში) პირენეის იბერები დაინახა და თავისი აზრი ასე გამოხატა: Tubal, a quo Iberi, qui vocantur Hispani. სწორედ ეს გაუგებრობა გამოიყენა სომეხ მეცნიერთა აგრესიულმა ნაწილმა და კავკასიელი იბერები გამოაცხადეს პირენეიდან მოსულებად...

იყო პერიოდი, როდესაც გერმანელი მეცნიერი ვ. ბახერი ამტკიცებდა, რომ Hiber (იბერიელი) და Heber (ებრაელი) ეტიმოლოგიურად ერთნაირიაო...

საოცარია, მაგრამ ამ საკითხთან მიმართებაში ქართველ მეცნიერებს არც მაშინ, და არც დღეს კითხვებიც კი არ გასჩენიათ! ქართულ ისტორიულ წყაროებში იპოლიტესეული ქრონიკების ტექსტის სრული რედაქცია არსად არ არის გამოყენებული, მხოლოდ რამდენიმე ნაწყვეტია შემონახული სხვადასხვა წყაროში. მაგალითად: ა) ექვთიმე ათონელის კომპილაციური ვერსია. მისი ტექსტი გამოქვეყნებული აქვს კ. კეკელიძეს „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, ტ. 1. გვ. 168-182. 1956 წ. ბ) არსენ იყალთოელისეული თარგმანით შემონახულია გიორგი ჰამარტოლის ვერსია. გ) ნაწყვეტები იპოლიტესეული ქრონიკებიდან (მეფეთა გენეალოგიის ნაწყვეტი). დ) ლეონტი მროველმა თავის ისტორიაში გამოიყენა დიამერიზმების სირიული რედაქცია. ჩამოთვლილი ქართული ისტორიის უძველესი წყაროები „წმინდა ისტორიის“ ე.ი. სამოცდათორმეტი ბიბლიური წმინდა ხალხის კონტექსტში იმოწმებს მხოლოდ აღნიშნულ ფრაგმენტებს და არა დამწერლობის (ანბანის) მქონე ხალხის კონტექსტში. ჩნდება აზრი, რომ ქართული ისტორიული წყაროები არ იცნობდნენ დიამერიზმების სრულ ტექტს, და მათგან ყველაზე საინტერესო ნაწილს.

რაც შეეხება სომხეთის ძველ ისტორიას, მათ მშვენივრად გამოიყენეს ეს წყაროები. თარგმნეს ყველაზე ძველი ნუსხები და მათ შორის თვითონ იპოლიტესიც. IX-X საუკუნეებში გადმოთარგმნეს და გადმოწერეს ნოეს ხალხთა და ენათა დაფები და მას საკუთარი ფანტაზიებით შექმნილი უამრავი სიუჟეტი დაურთეს, რითაც განადიდეს სომხური ისტორია და შექმნეს ვერსია სომხურის, როგორც ღვთაებრივი ენის, ანუ კაცობრიობის გადამრჩენელის ნოეს ენის! დიახ, შეეცადნენ, რომ სამუდამოდ დაემკვიდრებინათ ნოეს ენის შემნახველის იდეა სომხურ ისტორიოგრაფიაში!!! სწორედ ამის შედეგად შეიქმნა მოსე ხორენაცის ისტორია. დიამერიზმებში, ე.ი. იპოლიტეს ქრონიკებში გამოყენებული ამბებიდან არის გადმოღებული და

მოთხრობილი და შეთხზული, ე.ი. გამოყვანილი ბაბილონის გოდლის ვითომცდა თანამშენებლის ჰაიკის ამბავი! ხორენაცის მიხედვითვე ჰაიკი სომეხი ხალხის მამამთავარი იყო, ბიბლიური თოგარმას ძე. მან გაანთავისუფლა თავისი ხალხი ბელნიმროდის მონობისაგან. ხოლო სომეხ ხალხს ჰაიკის შვილის არმენაკის სახელის მიხედვით ეწოდათ არმენები. ამ ვერსიას უკვე ბეჯითად იმეორებენ შემდეგი საუკუნეების ისტორიკოსებიც. დიახ!.. სომეხი ისტორიკოსები საუკუნეების მანძილზე ცდილობდნენ შეექმნათ სომხეთის ფალსიფიცირებული ისტორია და ამ ისტორიის ნაკვეთებს, როგორც უკვე მოგახსენეთ უსადაგებდნენ იპოლიტესეულ ქრონიკებს, ე.ი. მითები გამოჰყავდათ ნოედან და ბაბილონის გოდოლიდან.

ლეონტი მროველიც ბაბილონისდროინდელ ამბებს უკავშირებს ქართველთა ისტორიის საწყის ეტაპს, როცა აღნიშნავს, რომ ქართლოსი თარგამოსის ძეა და ეს თარგამოსიც მაშინ მოვიდა და დამკვიდრდა აქ, როცა ბაბილონში გოდოლი აშენდა და „განიყვნეს ენანი და ქუეყანანნი“. ამით იმის თქმა მინდა, რომ ლეონტი მროველი არ იცნობდა იპოლიტესეულ ქრონიკებს, ან კიდევ შეგნებულად აუარა გვერდი მას და არსად არ ახსენა იბერები იმ 15 წმინდა ხალხთან ერთად, რომელთაც დამწერლობა ჰქონდათ. უფრო სავარაუდოა, რომ მან ეს შეგნებულად გააკეთა, რადგან მისი ისტორია ბევრ უზუსტობას შეიცავს და ფაქტიურად ამახინჯებს ქართველთა წინარე ისტორიულ დეტალებს, აშკარად ავლენს სომხურის გავლენას... აქვე მინდა შევნიშნო, რომ მიუხედავად გაყალბებული ისტორიისა, მათ მაინც ვერ შეძლეს უარყოფა იმ ფაქტისა, რომ სომხურ ენაზე დამწერლობა არ არსებობდა, და რადგან სწორედ ქრონიკებში შეძლეს და იმ წმინდა ხალხს მიამატეს (ალბათ მიამატებინეს) სომხურიც! ამის შემდეგ კი თავგანწირვით დაიწყეს მტკიცება, რომ თითქოსდა ბიბლიური ნოეს შთამომავლები იყვნენ. დაკვირვებული მეცნიერი აშკარად შეამჩნევს გამოუსწორებელ წინააღმდეგობრივ ფაქტებს მათ ისტორიაში, რაც ბოლოს და ბოლოს თაღლითობად უფრო აღიქმება, ვიდრე ისტორიულ ფაქტად და სინამდვილედ. ძნელი მისახვედრი აღარ არის ის ფაქტი, რომ, თუ რატომ დასჭირდათ სომეხ ისტორიკოსებს წინარე ქრისტიანული პერიოდიდანვე საქართველოს ისტორიის გაყალბება, დიახ! საკუთარი თავისა და ისტორიის წარმოსაჩენად! მაგრამ ჩვენს წინაპრებს ერთი მშვენიერი ანდაზა აქვთ, შუბი ხალთაში არ დაიმალებაო, და ასეც მოხდა კიდეც! მიუხედავად იმისა, რომ სომეხმა ისტორიკოსებმა თვითონ შეუქმნეს და დაუწერეს თავიანთ ხალხს ისტორია, იგი, ე.ი. ეს ისტორია ფაქტებისა და ისტორიული მოვლენებისაგან გარიყული დარჩა!

პირიქით მოხდა საქართველოში! ქართველ ხალხს არ აღმოაჩნდათ ისეთი ისტორიკოსები, რომლებიც თუნდაც ფაქტობრივ სიმართლეს აღნუსხავდნენ ყოველგვარი შელამაზების გარეშე, ან კიდევ, შეიძლება ისიც დავუშვათ, რომ ჰყავდათ ისტორიკოსები, რომელთა მიერ შექმნილი ისტორიები ან ომებმა გაანადგურეს, ან კიდევ სომხოფილმა ისტორიკოსებმა!

ბერძნულ ენაზე შექმნილმა მსოფლიო ისტორიებმა, რომელთა ავტორები იყვნენ გენიალური სირიელი პოლიგლიტები იულიუს აფრიკანუსი და იოვანე მალალა, დიდი სამსახური გაუწიეს სომეხ ისტორიკოსებს, რადგან სწორედ მათი ნაწარმოებებით მოახდინეს გადაწერა და უმეტეს შემთხვევაში მანიპულაციაც, თავიანთი არაფაქტობრივ მასალებზე აგებული ისტორიისა! მათი ნაწარმოებებით შესძლეს მათ თავიანთი ისტორიის ჩასმა მსოფლიო ისტორიის „გლობალურ კონტექსტში“. რაც ცხადია, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ვერ გააკეთეს, ან არ გააკეთეს ქართველებმა!

ის ფაქტიც ნიშანდობლივია, რომ მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედსა და მეოცე საუკუნეშიც არ გამხდარა მითითებული საკითხები დისკუსიის საგანი! არავინ დაინტერესებულა! ერთადერთი, რაც შეიქმნა ეს იყო და არის ილიას უკვდავი „ქვათა ღაღადი“, მაგრამ დამეთანხმებით, დღევანდელი გადასახედიდან ეს ძალიან ცოტაა! ქართულ ენაზე არ მოიპოვებოდა „ქრონიკების“ არათუ სრულყოფილი, ნაკლებსრულყოფილი ვერსიაც კი! ილია აბულაძე ცდებოდა, რომ თვლიდა, რომ ქართლის ცხოვრების ქრონიკების „მეფეთა გენეალოგია“ სომხურიდან იყო თარგმნილი... ბატონი აბულაძე იცნობდა ალან ბაუერის სრულ გამოცემას, სადაც ის სტატიებიც კი იყო შესული, რომლებშიც იბერიელთა შესახებ გამართული დისკუსია იყო წარმოდგენილი, მაგრამ იგი ე.ი. ილია აბულაძე ტენდენციურად განიხილავდა ამ საკითხს... ან იქნებ რატომღაც, საერთოდ არ მიუქცევია ყურადღება აღნიშნული სტატიებისთვის! საკვირველია, დიახ, ცხადია ასე უყურადღებოდ არ მოიქცეოდნენ სომეხი ისტორიკოსები! დისკუსიის მიმდინარეობის პერიოდში და შემდეგ, ე.ი. მეოცე საუკუნის დასაწყისში და ბოლოს გამოვიდა ორი მნიშვნელოვანი ენციკლოპედიური ლექსიკონი, ერთი ლაიფციგში და მეორე კემბრიჯში. ორთავე ლექსიკონი სრულად იმეორებს და გარკვევით ასახავს დისკუსიაში გამოთქმულ მოსაზრებებს იბერიელთა უძველესი სამწერლო ტრადიციების შესახებ – Realenzyklopae fur protestantische Teologie, 3. Auflage, Sonderausgabe, Leipzig 1897, გვ. 161; „Urtext und Uebersctzungen der Bibel“. Swete, Interoduction to the Old Testament in Greek, Cambridge 1900, გვ. 120.

ჩემს წინა სტატიებში მე დიდი დრო დავუთმე იმ უკომპრომოსო, ბინძურ და გაუმართლებელ ომს, რასაც აწარმოებდნენ მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში სომეხი ან სომხოფილი ისტორიკოსები ქართველი ერისა და ქართველთა მონათესავე ხალხის ისტორიის გასაყალბებლად. მინდა ამჯერად მათ სიას მივუმატო (ცუდია, რომ მაშინ მგონი გამომრჩა) ბატონი კირილე თუმანოვი. სწორედ კირილე თუმანოვი და მისი თანამოაზრე სომხური ლობის წარმომადგენელი სომეხი და სომხოფილი ისტორიკოსები აქვეყნებდნენ პარიზსა და მთელ ევროპაში „სამეცნიერო“ შრომებს, სადაც ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ქართველებს არ გააჩნდათ სამწერლო ტრადიციები, რომ ყველაფერი ეს გვიანდელია და სომეხთა ნაწყალობევია!

როგორც უკვე მოგახსენეთ, 1996 წელს გერმანიის სამეცნიერო საზოგადოებამ გამოსცა თეოლოგიური ლექსიკონი. ლექსიკონის გამომცემლებმა

საჭირო მასალები ქართველებზე, ე.ი. იბერიელებზე სომხური სამეცნიერო საზოგადოებიდან მიიღეს! რატომ, ბატონებო? მკითხველი ცხადია მიხვდება, რა შედეგი მოჰყვებოდა ამ „უყურადღებობას“. ლექსიკონში ქართულ დამწერლობასთან დაკავშირებით როგორც უკვე მოგახსენეთ ძირითადად გამოყენებულია კირილე თუმანოვის 1918 წელს პარიზში გამოცემული შრომა, რომელშიც ტენდენციურად არის განხილული ბიბლიის ქართული თარგმანები. კირილე თუმანოვი მოურიდებლად ამტკიცებს, რომ ქართულ ენაზე დამწერლობა გვიან შეიქმნა (სომხებისაგან), ასევე ამტკიცებს, რომ საქართველოში საეკლესიო ენა 7-8 საუკუნეებამდე სომხური იყო, რომ ქართული ბიბლია სომხურიდან ითარგმნა გვიან, დაახლოებით IX საუკუნეში! გაუგონარი მკრეხელობაა, ბატონებო! ვთქვათ 1918 წელს საქართველოს პოლიტიკური ამინდი არ იძლეოდა მეტის გაკეთების საშუალებას, რადგან სომხურ ინტელექტუალურ ნაწილს ლიდერობდა ნიკო მარი! და ყოველგვარ ქართულს შხამსა და ბალღამს ანთხევდა! მაგრამ 1996 წელს რაღა მოხდა? მესმის, არც მაშინ არ იყო მშვიდი პოლიტიკური ამინდი საქართველოში, მაგრამ ჩვენს „დიდ მეცნიერებს“ ამ წლებში ლუკმა პური ნამდვილად არ ენატრებოდათ, რადგან ისინი სარფიანად მიეყიდნენ მთავრობას და დიდი წყალობაც მოიხვეჭეს. დასკვნა ერთია, თუ სამშობლოს სიყვარულით გული არ გიცემს და ეს გული თუ სიმართლის დასაცავად მზად არ არის, საუბარიც კი ზედმეტია ამ შემთხვევაში მამულიშვილობაზე და ისტორიის სამართლიანი გზებით დაცვაზე!!! ამას წინათ ხელში მომხვდა 2009 წლის 20 მაისის ჟურნალი „ლიბერალი“, სადაც 33 გვერდზე შავი მსხვილი ასოებით ვკითხულობთ სტატიის სათაურს: „ერთი სამშობლოს ორი ისტორია“, იქვე წითელი მომცრო შრიფტით მიწერილია: „ჯავახეთი“. სტატიის ავტორები ბრძანდებიან ოლესია ვართანიანი და რიტა კარაპეტიანი. მკითხველი იმედია უკვე მიხვდა რა საკითხებზეც იქნებოდა სტატიაში მსჯელობა. დიახ, ასეა, ბატონებო, სტატია პირველივე აბზაციდან ამცნობს მკითხველ საზოგადოებას, რომ მაისის ბოლოს ჯავახეთის სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ ოლიმპიადაში, რომელიც თურმე სპეციალურად მათთვის იმართება, „რათა რეგიონის სკოლებში სომხეთის „ისტორიის სწავლება წაახალისონ“. დამეთანხმებით ქართველი მკითხველისთვის ცოტა გაუგებარია ყოველივე, ახლა შევეცდები მარტივად ჩამოვაყალიბო: რომ ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკური სომხები თურმე უკმაყოფილონი არიან ისტორიის სწავლების თანამედროვე ქართული მეთოდით, უფრო მეტიც, მათ არ სჭირდებათ სხვა ქვეყნის, თუნდაც ეს ქვეყანა საქართველო იყოს, ისტორიის შესწავლა, მათთვის მთავარია ისწავლონ და ასწავლონ სომხეთის ისტორია, მხოლოდ და მხოლოდ სომხეთის და თანაც, სახელმძღვანელო აუცილებლად უნდა იყოს ერევანში დაბეჭდილი. რატომ? ჯავახეთი ხომ საქართველოა და ცხადია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქართული სახელმწიფოს იურისდიქცია უნდა ვრცელდებოდეს, და ამდენად საქართველოში დაბეჭდილი სახელმძღვანელოები უნდა იხმარებოდეს მოსწონს თუ არა ეს სხვა ეროვნების წარმომადგენელს, ვინც არ უნდა იყოს იგი, თუ, რა თქმა უნდა, ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე. მაგრამ არც ასეა საქმე! დიახ... „...დღეს რამდენიმე სომხურ სკოლაში სომხეთის ისტორიის გაკვეთილს სახელმძღვანელოს გარეშე სალექციო კურსის სახით ატარებენ“... ეს კი სხვა არაფერია, თუ არა კანონგარეშე ქმედება! კიდევ უარესი, – ნინოწმინდელი ეთნიკური სომხები და ცხადია აშკარად იგრძნობა, რომ სტატიის ავტორებიც უკმაყოფილონი ბრძანდებიან, რომ... „2007 წლის ზაფხულში სომხეთის ისტორიის სახელმძღვანელოებით დატვირთული მანქანა რამდენიმე საათი იდგა საქართველო-სომხეთის საზღვართან ჯავახეთში. მანქანა უკან, ერევანში გაბრუნდა მას შემდეგ, რაც მძღოლმა საბოლოო პასუხი მიიღო – სომხეთის ისტორიის სახელმძღვანელოების საქართველოში შემოტანაზე ნებართვა გაცემული არ არის“... ყოველივე ამის შემდეგ „ისინი“ თამამად, ცინიკურად აცხადებენ: „ვინმემ ახსნას, ეს რა აკრძალული ლიტერატურაა?!“

ავტორი ცოტა ქვემოთ აზრს ამარტივებს: „80-იანი წლების ბოლოს, როცა ჯავახეთში ნაციონალური მოძრაობის ტალღა აგორდა, სომხეთის ისტორიის სწავლება ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო. მაშინ ბევრმა ადგილობრივმა სკოლამ ეს საგანი საკუთარი ინიციატივით(!) შეიტანა სასწავლო პროგრამაში...“ რა ხდება, ხალხო? რას ნიშნავს „საკუთარი ინიციატივით“? ე.ი. იმ საშინელ წლებში (1992-2003 წ.წ.) ჯავახეთში აღარ ვრცელდებოდა საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია? და ყველას შეეძლო ის საქმე ეკეთებინა, რაც მოესურვებოდა? და რატომ? ამ კითხვას იქვე პასუხობს ავტორი: „ჯავახეთში სომხეთის ისტორიის სწავლებას ერევანში ბევრი პოლიტიკურ თემად განიხილავს, ამ საკითხის გარშემო წარმოქმნილ პრობლემებს კი, – ოფიციალური თბილისის მხრიდან ადგილობრივი სომხების შევიწროებად...“ (?) ნებისმიერი ჩვენგანი დასვამს კითხვას: საკუთარ ტერიტორიაზე რა უნდა ქნას მთავრობამ? საქართველოში დაახლოებით 20 ეროვნების ხალხი ცხოვრობს თუ მეტი არა, და მერე როგორ უნდა მოიქცეს ქვეყნის ხელისუფლება? საკუთარი მიწა-წყალი გადასცეს თითოეული ეროვნების ხალხს, იმისთვის, რომ მოგლიჯონ და მიაწებონ თავიანთ ქვეყნებს? თუ საკუთარი ავტონომიები შექმნან? ცოტა კი არა, ძალიან გაუგებარია ავტორის თვალსაზრისი. გავყვეთ ავტორს: „თბილისი ჯავახეთში ძალიან უცნაურ პოლიტიკას ატარებს, რომლის მიზანი სომეხი მოსახლეობის ასიმილაციაა... საქართველოს ხელისუფლება სომხურ სკოლებს სთავაზობს წიგნებს, სადაც ისტორია სრულიად დამახინჯებულია(!) სომეხი ახალგაზრდები ამ სახელმძღვანელოში კითხულობენ, რომ თურმე ყარაბაღი, სიუნიკი, ლორი – სომხური ტერიტორიები არ არის“... – ამბობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების კავშირის „ერკირის“ ხელმძღვანელი რობერტ თათოსიანი, რომელიც ერევანში რეპატრიაციის საკითხებზე მუშაობს“... დიახ, ბატონებო, ამჯერად ღია საუბარია!!! ერთი რამ მაკვირვებს და ალბათ გააკვირვებს ყველას, მკითხველს ვგულისხმობ, როგორ გაართმევს თავს ღირსეულად ბატონი თათოსიანი მასზე დაკისრებულ მოვალეობას როცა თეთრსა და შავს,

სხვის ქვეყანას და თავისას ვერ არჩევს? ჩემი და შენი არ იცის? ჩაიხედონ ისტორიულ წყაროებში (ოღონდაც არა სომხურში) და მიხვდებიან, რომ ყარაბაღი, სიუნიკი, ლორი – ნამდვილად არ არის სომხური ტერიტორიები! ჯავახეთზე მე ვრცლად ვისაუბრე ჩემი შრომის პირველ ნაწილში და გამეორებას აღარ ვთვლი საჭიროდ, ხოლო რაც შეეხება ყარაბაღს, მინდა ჩემს მკითხველს, ამჯერად მასზე შევაჩერებინო ყურადღება! ყარაბაღი, როგორც ისტორიულად ცნობილია, ურარტუელი ხალხის, ალბანელების, იგივე ალვანელების ძირითად საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა მთელ მიმდებარე ტერიტორიებთან ერთად, იმ ტერიტორიასთან ერთად, რომელიც დღეს თურქეთის შემადგენლობაშია და ასევე იმისიც, რომელიც ირანის საზღვარშია მოქცეული და მოიცავდა და მოიცავს წინა აზიის შუა ნაწილს ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის IX-VI საუკუნეებში. ამ ადგილებზე ალბანელი, ქართულად იგივე ალალი ხალხი ესახლა ხეთის იმპერიის დროსაც და ისინი თავიანთ მონათესავე იბერიელებთან და მიდიელებთან ერთად ქმნიდნენ საერთო კულტურას, ცხოვრობდნენ საერთო ტრადიციებითა და წარმართული პანთეონით. გადავინაცვლოთ ისევ წარსულში: როგორც ისტორიიდან ცნობილია მიდიის ძლევამოსილი მეფის ასტიაგის ქალიშვილი დაქორწინდა სპარსეთის ტახტის მემკვიდრეზე. ამ ქორწინების შედეგად ქვეყანას მოევლინა კიროსი, რომელმაც გააერთიანა მიდია და სპარსეთი და უწოდა სპარსეთის სამეფო. ჩემს მკითხველს უეჭველად გაახსენდება ასტიაგის მითიური სიზმარი, როცა მისი ფესვებიდან ვაზის უძლიერესი ხე ამოიზარდა და მისი მსხმოიარე ტოტები გადასწვდა ჯერ მთლიანად მცირე აზიას და შემდეგ კი მის მიმდებარე ტერიტორიებს აზიასა და ევროპაში! როგორც შემდეგში განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა სპარსეთი მართლაც უძლიერეს სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, გაიზარდა, გაფართოვდა და გამდიდრდა. ევროპის უმეტესი ნაწილიც კი ემორჩილებოდა. მე-5 საუკუნიდან სპარსულ ჯართან ერთად ჩანან ებრაული წარმოშობის მთიელი სირიელები, რომლებსაც მომავალში ისტორია სომხების სახელწოდებით მონათლავს! ისტორიული წყაროებიდან პირველად მათ ახსენებს ჰეროდოტე. როცა სპარსეთმა ურარტუს ძლიერი იმპერია შთანთქა არარატის მთის ჩრდილოეთით მდებარე ვაკეზე, ალაროდიელ ხალხთა ნაფუძარზე ოღონდაც არა დღევანდელი ყარაბაღის ტერიტორიაზე(!!!) დასახლდნენ ისინი. ამავე პერიოდშიინდოეთის სამხრეთიდან დაიძრა ჰაოსიანების ინდო-ევროპულ ენაზე მოლაპარაკე ტომი. მათ გადმოლახეს ირანისა და მიდის ქვეყნები და ისინიც მოვიდნენ და დასახლდნენ არარატის ველზე, დაიკავეს ებრაული წარმოშობის სომეხთა სამოსახლო და დაირქვეს თავიანთი წინაპრის, ჰაიკის სახელი! მითითებულ ცნობაში არაფერია ახალი, ან საკვირველი, ხორენაცის სომხეთის ისტორია არ უარყოფს აღნიშნულ ფაქტს. რაც შეეხება ყარაბაღს, იქ დარჩა ალაროდთა ძირძველი მოსახლეობა თავიანთი წარმართული კულტურით (ცნობილია, რომ თვითონ კიროსი მიდიელი დედის წარმართულ ღვთაებებზე აღიზარდა და არასოდეს უცდია ისინი შეეცვალა სპარსული წარმომავლობის აჰურამაზდათი, როგორც შემდეგში მისმა მემკვიდრეებმა გააკეთეს!). ალაროდი ხალხი, ჩვენი წინაპრები მათ ალალებს ეძახდნენ რადგან გამორჩეულნი იყვნენ თავიანთი კეთილშობილებით! ისინი ბოლომდე შემორჩნენ ამ მიწა წყალს და არა მარტო ამ მიწა-წყალს, კასპიის ზღვამდე აღმოსავლეთით, სამხრეთით კი ბაბილონამდე და ზაგროსის მთების ჩათვლით ცხოვრობდნენ ისინი თავიანთ მონათესავე უდებსა და კასიტებთან ერთად. ქრისტიანობის შემოსვლის პირველ წლებში ყარაბახის ჩრდილოეთით მდებარე იბერიული ჰერეთი და თვითონ ყარაბახის ქართული ტომებით დასახლებული ჩრდილო ნაწილი იბერიელებთან ერთად მართლმადიდებელ ქრისტიანობას ეზიარა, მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი გახდა მონოფიზიტური, მომთაბარე თურქ-სელჯუკთა ტომების პირველი მასიური შემოდინება კასპიის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, ე.ი. შუა აზიის ტრამალებიდან, სწორედ ამ ტერიტორიაზე მოხდა! აღნიშნული მხარის მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა მე-6-7 საუკუნიდან არაბთა შემოსევების შედეგად ისლამის სარწმუნოება მიიღო და იქ თურქულ და ირანელ ტომებთან ერთად დასახლდნენ არაბები, მე-8 მე-9 საუკუნეებიდან იგი იყო სპარსეთის ერთ-ერთი ძლიერი სახანო, იწოდებოდა ყარაბაღის სახანოდ და შედიოდა ჩრდილოეთ აზერბაიჯანის შემადგენლობაში! საერთოდ მთელი აზერბაიჯანი: ჩრდილოეთი და სამხრეთი შედიოდა სპარსეთის შაჰის მფლობელობაში, ოღონდაც იყო პერიოდები, როცა სახანოები გამოეყოფოდნენ შაჰის მმართველობას და მხოლოდ ხარკის გადახდით უზრუნველყოფდნენ თავიანთ დამოუკიდებლობას. მე-15, მე-16 საუკუნეებში აღნიშნულ ტერიტორიებზე სპარსეთის შაჰებმა კვლავ ჩამოასახლეს მომთაბარე თურქმანული ტომები. ყარაბაღს ჩრდილო-დასავლეთით მთელ ზოლზე ადრეც და ახლაც ესაზღვრებოდა და ესაზღვრება მართლმადიდებელ-ქრისტიანთა ძლიერი ქართული პროვინცია ჰერეთი.

ყარაბაღის სახანო, ისევე როგორც ერევნის, შირვანის და ნახჭევანის სახანოები პერიოდულად შედიოდა ქართველი მეფეების გამგებლობაში საქართველოს ძლიერების დროს, ასევე, თუნდაც ერეკლე მეფის დროსაც. ოღონდაც შედიოდა როგორც მაჰმადიანური, აზერბაიჯანული სახანოები და არა როგორც ქრისტიანული! ამის უტყუარი დასტურია მეწამორის ქვის ცნობილი წარწერა! რომელიც არაბულია და არა ძველ სომხური, როგორც ამას ზოგიერთი ვაი მეცნიერი ამტკიცებდა! ეს ისტორიული ფაქტია და ამის შესახებ ჩემზე კარგად იცის თვითონ დევიდ ლენგმა, რომელმაც მეცნიერისთვის მიუტევებელი ტყუილი იკადრა სომეხთა გულის მოსაგებად ჯავახეთსა და ყარაბაღზე! რაში სჭირდებოდა სრულიად არამეცნიერული, უმეცარი მსჯელობა ლენგს გასაკვირია...

როგორც უკვე მოგახსენეთ, ბატონი დევიდ ლენგი ლონდონის უნივერსიტეტის კავკასიათმცოდნეობის კათედრის პროფესორი, ქართველოლოგი და არმენოლოგია. კავკასიათმცოდნეობა საკვანძო საკითხია აღმოსავლეთმცოდნეობაში და საერთოდ ორიენტალისტიკაში. დევიდ ლენგმა (ადრეც აღვნიშნე) 2005 წელს მოსკოვში გამოსცა სამეცნიერო

ნაშრომი „სომხები“. მითითებულ შრომაში ვკითხულობთ: „სომხეთის ეთნიკური ტერიტორიები ნახჭევანი და ყარაბაღი (დღეს) რჩება აზერბაიჯანის იურისდიქციაში, ჯავახეთისა და სამცხის პროვინციები კი საქართველოს იურისდიქციაში (წიგნი დაწერილია 80-იან წლებში!!!)“ – დიდი დაკვირვება არ სჭირდება მკითხველს, რომ გააანალიზოს მითითებული სიტყვების არამეცნიერული, პოლიტიკური მიმართულება!

როგორ დავიჯეროთ, რომ ბატონმა ლენგმა არ იცოდა ისტორიული სიმართლე? არ იცოდა, რომ ნახჭევანი და ყარაბაღი 2500 წლის მანძილზე სპარსეთის განუყოფელი ნაწილი იყო (ურარტუს დაპყრობის შემდეგ) და ეთნიკურად აზერბაიჯანელი ხალხის სამკვიდრებელია? ისევე, როგორც სამცხე და და ჯავახეთი საქართველოს ძირძველი ნაწილებია? ერთადერთი, რისი დამატებაც შემიძლია, ისაა, რომ ყარაბაღისა და ნახჭევანის სახანოებში მე-7-8 საუკუნეებშივე ჩამოსახლდა (ირანის შაჰების მიერ) თურქმანული მომთაბარე ტომები. ამ პერიოდიდან ყარაბაღის და ნახჭევანის ხანები ზოგჯერ (მხოლოდ ზოგჯერ) თურქულ ორიენტაციას ირჩევდნენ!!!

პოლიტიკა პოლიტიკაა და გასაგებია, რომ ძალა აღმართს ხნავს და ძლიერი იმორჩილებს სუსტს, მაგრამ?.. მეცნიერებას ამის უფლება არა აქვს, რადგან იგი ისტორიული ფაქტების შეჯერებას ახდენს! რაც უნდა მტკივნეული იყოს ნებისმიერი ერისთვის, მეცნიერებამ ისტორიული სიმართლე უნდა აღიაროს! სხვა შემთხვევაში მსგავს ნაშრომებს მეცნიერული ფასი ეკარგება!!! ლენგის დასკვნები რომ პოლიტიკური დაკვეთაა ეს აშკარად ჩანს მე-20 საუკუნის მიწურულისა და 21-ე საუკუნის პოლიტიკური მოვლენებიდან გამომდინარე. გავიხსენოთ ამ საკითხთან დაკავშირებული ფაქტი: „2005 წლის 14 აპრილს ერევანში სტუდენტთა მიერ მოწყობილ ანტიქართულ აქციას წინ უძღოდა რუსულენოვან გაზეთ „გაზეტა სნგ“-ში (2005 წ. 01-III) გამოქვეყნებული მარიამ სტეფანიანის სტატია, რომელშიც ყოველგვარი შენიღბვის გარეშე არის მოწოდება ჯავახეთის სომხეთთან მიერთების შესახებ. სტატიაში ხაზგასმულია, რომ საქართველოსთან მიმართებაში „მოსალოდნელია ეთნოკონფლიქტები და ახალი სისხლისღვრა“. მითითებულ სტატიაში შავით თეთრზე ვკითხულობთ, რომ „ჯავახეთის მიერთება (სომხეთთან) შეესაბამება სომხეთის ეროვნული უშიშროების ინტერესებს... თუ ყარაბაღი ჩვენთვის პრესტიჟის საქმეა, ჯავახეთი კი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია“ (ა. თოთაძე, „სომეხი ვაი-მეცნიერების ანტიქართული ისტერია“, 2005 წ. გვ. 33). ბატონებო, სხვას რაღას უნდა ნიშნავდეს ეს სიტყვები, თუ არა ომისკენ მოწოდებას? უკვე რამდენი წელია, რაც ყარაბაღისთვის სისხლისმღვრელი ომი იყო და არის გაჩაღებული, რადგან იგი ჯერაც არ არის დამთავრებული? რატომ ბატონებო? თავმოყვარე ძაღლიც კი არ იკადრებს სხვის ჯამში ცხვირის ჩაყოფას... არა თუ წესიერი ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი?! სხვისი ქონების მითვისება, გინდ ეს სახლი იყოს, გინდა მიწა-წყალი წესიერ, ღირსეული ტრადიციების მქონე ერს ნამდვილად არ შეეფერება! მით უმეტეს ასე ახლო მეზობლებთან დაძაბული და არასასიამოვნო დამოკიდებულება გამოუვალ და რთულ სიტუაციებში აყენებს ამ შემთხვევაში ორთავეს, მტყუანსაც და მართალსაც! იბადება კითხვა: რატომ ნიშნავს ცოტას სომეხთათვის კეთილმეზობლური ურთიერთობები? ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტას ხომ ავიცილებდით თავიდან? ბოლოს და ბოლოს 21-ე საუკუნეა! კაცობრიობის განვითარებამ უმაღლეს საფეხურს მიაღწია, კოსმოსის ეპოქაში ვცხოვრობთ და... დასანანია, რომ „ჩემი და შენი“ ვერ გაგვირჩევია რა ნიშნავს! ან კიდევ რა საკადრებელია მეცნიერთა მოსყიდვა და ცრუ, პოლიტიკური ლოზუნგების ჩასმა ისტორიის ყალიბში? რაც ეს ბატონი ლენგის შემთხვევაში მოხდა! ზემოთ მოყვანილი ფაქტი კი სხვა არაფერია, თუ არა იმ აზრის გაცნობიერება, რომ სომხეთმა ყარაბაღი უკვე ჩაყლაპა და ახლა ჯერი ჯავახეთზეა მიმდგარი? ასე არ არის ბატონებო? აბა დაფიქრდით! ყარაბაღი რომ აზერბაიჯანელი ხალხით დასახლებული და აზერბაიჯანული სახანო იყო, ამას თვით მეფის რუსეთიც არ მალავდა და აღიარებდა ის მეფის რუსეთი, რომელმაც ყოველგვარი პირობა შეუქმნა თურქეთიდან ლტოლვილ სომხებს, რომ ხელში ჩაეგდოთ თბილისი, ევროპიდან შემომავალი აბრეშუმის გზა და ბაქოს ნავთი! დიახ... ყარაბაღი და ნახჭევანი რომ აზერბაიჯანული ტერიტორიებია ამ ფაქტს სრულყოფს თუნდაც ბორის პიოტროვსკის წერილიც, რომელიც მე სრულად მივაწოდე ჩემს მკითხველს ჩემი შრომის მეორე ნაწილში. მითითებულ წერილში დიდი მეცნიერი ამტკიცებს, რომ მეწამორის კლდის ძირში უძველესი დროიდან ბოლო დრომდე არსებობდა აზერბაიჯანული სოფელი ზეივა და რომ ის ყბადაღებული საფლავის ქვა, რომლის წარწერაც არარსებულ ჰაიასურ დამწერლობად მონათლეს აივაზიანის მსგავსმა ვაიმეცნიერებმა, სინამდვილეში სხვა არა იყო, თუ არა რიგითი აზერბაიჯანელის კასიმ ალი ხანის საფლავის ქვა და რომ ზედ არსებული წარწერაც კუფიური (არაბული) შრიფტით შესრულებული წარწერაა და განეკუთვნება ჩვენი წელთაღრიცხვით მე-19 საუკუნეს, ე.ი. არც მეტი, არც ნაკლები გასულ საუკუნეზეა საუბარი. ეს შენიშვნა მე პირადად გავაკეთე ინგლისელი მეცნიერის დევიდ ლენგის მიმართ. გვებადება უაღრესად მტკივნეული კითხვა ბატონ დევიდ ლენგთან: რომელი ისტორიული საბუთების საფუძველზე აცხადებს ჯავახეთსა და ყარაბაღს სომხურად? იქნებ წარმოედგინა ჩვენთვის? მსგავსი რამ ბუნებაში არ არსებობს, ბატონებო! და ძალზე საწყენია როცა მეცნიერი, კიდევ ერთხელ ვიმეორებ პოლიტიკური ინტრიგების მსხვერპლი ხდება, ამ შემთხვევაში მის სამეცნიერო შრომას ყოველგვარი მეცნიერული ღირსება აკლდება! დამერწმუნეთ, ეს ასეა! რადგან ისტორიული ფაქტების უარყოფა შეუძლებელია! და ამ ტერიტორიებზე (ყარაბახი და ნახჭევანი) ძირითადად გაბატონდა ჯერ კიდევ VI-VII საუკუნეებიდან არაბული, სპარსული და ალათაურ-თურანულ ენოვანი ხალხი, რომელთა შთამომავლებია დღევანდელი აზერბაიჯანელები! ასე რომ, კიდევ ერთხელ ბოდიშს მოვიხდი ბატონ დევიდ ლენგთან, მაგრამ ამ მიწა-წყალს, რომელსაც დღევანდელი ყარაბაღი და ნახჭევანი ჰქვია, არასოდეს არ ფლობდა სომხები და სომხეთი! და თუ აქ სომეხი მოსახლეობა ცხოვრობდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაც

სომხებისაა, არა, ბატონებო! დღეს საფრანგეთში, იტალიაში, ამერიკაში, თუნდაც აფრიკასა და პალესტინაშიც კი მილიონობით სომეხი ცხოვრობს, მაგრამ ეს ქვეყნები ხომ არ არიან სომეხთა ქვეყნები? თუნდაც სპარსეთზე, სადაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-4-3 საუკუნეებში უკვე სომხური მოსახლეობა ცხოვრობდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სომხეთია? არა, ბატონებო! ისტორიული სინამდვილე კი დიდი და ძლევამოსილი ჭეშმარიტებაა და ის არ უნდა აურიოს პოლიტიკურ ინტრიგებში ისეთმა „დიდმა მეცნიერმა“, როგორიც ლენგია! სომხები სპარსელებისაგან ითვისებენ არიელობას, მაგრამ არც ასეა საქმე! დიახ! ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI-IV საუკუნეებში მათ მშვენივრად გამოიყენეს მიდიურ-სპარსული მეომრები და მათი შემართება, მაგრამ თავიანთ ხასიათს, რომელიც აღმოსავლეთ ინდოეთში მცხოვრები მომთაბარე ჰაიკური ტომებისგან გამოჰყვათ გენეტიკურად, მაინც ვერაფერი მოუხერხეს, ვერ გადაჯიშდნენ, თუმც კი ბევრი რამ შეითვისეს სპარსელებისგან და ამის უარყოფა არც შეიძლება და არც ვაპირებთ! ზოგიერთი ვაიმეცნიერის გასაგონად კი მინდა ხმამაღლა განვაცხადო, რომ: ყარაბაღსა და აღმოსავლეთ კავკასიის დანარჩენ სახანოებს რაც შეეხება, ისინი იურიდიულად ითვლებოდნენ სპარსეთის პროვინციებად და იყვნენ სპარსეთის განუყოფელი ნაწილი ენით, კულტურით და რელიგიით. ერევნის სახანოც კი რომელიც ერეკლე მე-2-ის სიცოცხლეში საქართველოს შემადგენლობაში შემოდიოდა, იყო ერევნის სახანო და არა სომხეთი! სახანო რასაც ნიშნავს მკითხველმა კარგად იცის! დიდი მეფის გარდაცვალების შემდეგ, უფრო სწორად აღა-მაჰმად ხანის თბილისზე ლაშქრობის შემდეგ ერევნის სახანო საბოლოოდ გადავიდა სპარსეთის იურისდიქციაში; რუსეთ-ირანის 1828 წლის ომის დროს თავრიზში დადებული ხელშეკრულების თანახმად ერევნის სახანო რუსეთის მფლობელობაში გადმოვიდა. ისმება ლოგიკური კითხვა: სომხეთს 1500 წლის მანძილზე სახელმწიფოებრიობა არ ჰქონია და ტერიტორიები როგორღა ექნებოდა? გაურკვეველია მათი, ამ ვაიმეცნიერთა აზროვნების სტრუქტურა, როცა არარსებულს არარსებულში ეძებენ! მხოლოდ დაშნაკების და განსაკუთრებით შემდეგ ბოლშევიკების მეშვეობით შეძლეს მათ თავიანთი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება მეზობელი საქართველოს ტერიტორიის (ლორე, ტაშირი) მიერთების ხარჯზე!!! და ტერიტორია, რაც გააჩნია დღეს სომხეთის რესპუბლიკას, ბოლშევიკების დამსახურებაა, წინააღმდეგ შემთხვევაში დღესაც არ იარსებებდა მათი სახელმწიფო და როგორც ყოველთვის, ე.ი. წინა საუკუნეებში ეჩმიაძინის კათალიკოსი ეჩმიაძინიდან უხელმძღვანელებდა დედამიწის ყოველ კუთხეში ებრაელებივით დაფანტულ თავიანთი ტომისა თუ ხალხის წარმომადგენელთა სულებს... სომხეთის სახელმწიფო, ე.ი. დამოუკიდებელი რესპუბლიკა შეიქმნა 1918 წლის 28 მაისს, 1921 წელს იქ უკვე ბოლშევიკები არიან, და სწორედ კავკასიის ბიუროს ცეკას მდივნების ფილიპე მახარაძის, მამია ორახელაშვილის და სერგო ორჯონიკიძის დიდი მონდომებით და მხარდაჭერით მათ საქართველოს ჩამოაჭრეს ლორე-ტაშირის ტერიტორია, რომელიც სულ ცოტა დღევანდელი საქართველოს მესამედს შეადგენს. დიახ, ეს ისტორიული ფაქტია, ბატონებო! და დაინტერესების შემთხვევაში შეგიძლიათ დოკუმენტები მოიძიოთ! ჩვენ ლამის პოლიტიკური წიაღსვლა გამოგვივიდა ისტორიულ ლაბირინთში. ახლა კი ისევ ვისაუბროთ ჩვენს თემაზე, ჯავახეთის სკოლებში ისტორიის საგნის სწავლებაზე! დიახ, ისინი ასევე უკმაყოფილონი არიან, რომ თურმე „ერევანში დაბეჭდილი სომხეთის ისტორიის სახელმძღვანელოში წერია, რომ მათი მშობლიური მხარე (ე.ი. ჯავახეთი) 1918 წელს სომხეთის შემადგენლობაში შედიოდა(?!) და რომ საქართველომ გადაწყვიტა ეს რეგიონი თავის საზღვრებში მოექცია, რის გამოც დაიწყო ომი ერევანთან, ამ სიცრუის წაკითხვისას ცხადია ყველა ქართველს და არაქართველს, ისტორიაში ჩახედულს, სისხლი გაეყინება!!! უკვე შემდგომ წელს იგივე მოსწავლეები საქართველოს ისტორიის მე-9 კლასის სახელმძღვანელოში წაიკითხავენ, რომ „1918 წელს საქართველოსთან ომი სომხეთმა იმიტომ დაიწყო, რომ საქართველოს ტერიტორიის ნაწილი – ჯავახეთი მიეთვისებინა“. და ეს სრული სიმართლეა, ბატონებო! ეს ტენდენცია ჩვენთვის ახალი არ არის. ჩემი შრომის პირველ ნაწილში მე მითითებული მაქვს ტაიმსის ცნობა, თუ ვინ დაიწყო ომი და რისთვის! საოცარია, რომ ამ ხალხს არამარტო არ უნდათ სიმართლის დაჯერება კი არა, გაგონებაც კი! და ასევე ცდილობენ თავიანთი ხალხი მუდმივ სიყალბეში, სიცრუეში, უვიცობაში აცხოვრონ, რადგან გაუნათლებელი, ბნელი მასა ადვილად სამართავია. ისინი არაფრად დაგიდევენ ისტორიული სინამდვილის ფაქტებს, სიმართლე ამ შემთხვევაში ნამდვილად არ აწყობთ. ამ საკითხზე კომენტარის გასაკეთებლად მოვიშველიებ ამონარიდს დიდი ქართველი მწერლის, ოთარ ჭილაძის (2010 წლის №183) საქართველოს რესპუბლიკაში გამოქვეყნებული სტატიიდან: „ჩვენი და სომხების ურთიერთობა, სამწუხაროდ, ყოველთვის როდია ისეთი, როგორიც უნდა იყოს ჩვენი საერთო წარსულიდან, საერთო გამოცდილებიდან გამომდინარე. ბევრი რამე ხდება, რისი ახსნაც უბრალოდ შეუძლებელია. მარტო ის ფაქტი რად ღირს (რასაკვირველია, თუკი მართლაც ასეა! პირადად მე მაინც მიჭირს დაჯერება), თავიანთ ბავშვებს გაყალბებულ ისტორიასა და გეოგრაფიას რომ ასწავლიან, თურმე – თითქოს საქართველო (თანაც მისი უდიდესი ნაწილი), ოდესღაც სომხური ტერიტორია ყოფილიყოს, ჩვენგან უსინდისოდ მითვისებული. გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო – ტყუილად კი არ არის ნათქვამი. მაგრამ ასე ხელოვნურად შექმნილ პრობლემებს, ასეთ „მეზობლურ კინკლაობებს“, შეიძლება, მომავალში დიდი უბედურება მოჰყვეს. როგორ შეიძლება, ამ შეგონებით აღზრდილი სომეხი კეთილად იყოს განწყობილი საქართველოსადმი. პირიქით, უსაფუძვლო ბოღმითა და დაუმსახურებელი სიძულვილით იქნება ყოველთვის გულგავსებული და იმას ეცდება მხოლოდ, როგორმე დაიბრუნოს ჩვენგან „მიტაცებული“ მიწები. ასე რომ, ან სომხები უნდა მოეგონ დროზე გონს, ანდა ჩვენც იმავე მეთოდებით უნდა ვიმეზობლოთ მათთან, თორემ საწინააღმდეგო შემთხვევაში, მართლა მიმტაცებლებად თუ არა, ბრიყვებად ნამდვილად გამოვჩნდებით სხვათა თვალში“.

და რომ ნამდვილად ასეა ბატონი ოთარ ჭილაძის თქმისა არ იყოს ქართველი ხალხი მრავალჯერ დარწმუნდა, მაგრამ... როცა მეზობლები ძალის გამოყენების მეთოდებს მიმართავენ სხვადასხვაგვარი ხერხით, ძნელდება საპასუხო გზების ძიება!

საქართველოს ხელისუფლებაზე ნაწყენი სომხები და მათთან ერთად სტატიის ავტორები აშკარა გაღიზიანებით ამბობენ, რომ: „28 მაისს, სომხეთის დამოუკიდებლობის დღეს, ახალქალაქის ყველაზე დიდ სააქტო დარბაზში ჯავახი მოსწავლეები და მათი მასწავლებლები შეიკრიბებიან. ოფიციალური თბილისის პოლიტიკის მიმართ პროტესტის ფონზე გამარჯვებულებს წიგნებსა და სხვა საჩუქრებს გადასცემენ. გამოსაშვები კლასის ერთ-ერთ მოსწავლეს კი ყველაზე მეტად გაუმართლებს – იგი უფასოდ ისწავლის ერევნის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის ისტორიულ ფაკულტეტზე“. დიახ, ბატონებო! ბოღმით, შურით და ბრაზით გულგავსებული მოსწავლე ნამდვილად ისწავლის ერევანში უფასოდ მხოლოდ იმ მიზნით, რომ უფრო მეტი სიძულვილით დაბრუნდეს მომავალში ჯავახეთში და რაც შეიძლება მეტი ღვარძლი გადმოანთხიოს იმ ქვეყნის აბორიგენ მოსახლეობასა და მათ ხელისუფლებაზე, სადაც ისინი 200 წლის წინათ სამოწყალოდ შეიკედლეს და სადაც დღესაც ცხოვრობენ, არამარტო ცხოვრობენ, მშვენივრად გრძნობენ თავს და ყოველგვარი ძალ-ღონით, უღირსი და ბილწი გზებით ცდილობენ, როგორც დიდმა ილიამ თქვა სხვისი სახლ-კარის, სხვისი მიწა-წყლის დასაკუთრებას და თავისად გამოცხადებას! მიმდინარე წლის (2010) 26 ოქტომბერს ოფისში მეწვია ბატონი გურამ მაჭავარიანი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და სამშობლოზე უზომოდ, არა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ უსაზღვროდ შეყვარებული, მაღალი ინტელექტის მქონე, დახვეწილი პიროვნება, ღირსეული ქართველი. ბატონმა გურამმა უნიკალური წიგნები და... გაზეთიდან ამონაჭერი სტატიებიც კი მომიტანა საჩუქრად, რადგან... გავბედე და დავწერე იუდას მორალი! მადლობა უფალს, ჰყავს საქართველოს ბატონი გურამისთანა ღირსეული შვილები! ბატონმა გურამმა მომიტანა სომხური წარწერის ფოტოპირი, რომელიც ბატონმა ბორის კანდელაკმა და მისმა მეგობრებმა მიშა ლონდარიძემ და კოლია გურგენიძემ ჩამოხსნეს შავნაბადას ეკლესიის სამრეკლოდან. აღნიშნული წარწერის ფოტოპირს ვურთავ ჩემს სტატიას, ხოლო ტექსტის სრულ ბწკარედულ ქართულ თარგმანს და ბატონი გურამის კომენტარს აქვე ვაწოდებ ჩემს მკითხველს: „ავაგე ეს სამრეკლო მე სომეხმა გრიგორ აკოპის ძე ბაინდურიანცმა ჩემი ცოლის შუშანიკის ხსოვნისთვის, რომელიც მიიცვალა 1889 წელს“ – ეს ფირნიში იყო გაკეთებული შავნაბადას ეკლესიის სამრეკლოზე. შავნაბადას ეკლესია აგებულია ქართველების მიერ 1839 წელს, სამრეკლოს შენობა დამთავრდა 1845 წელს. საინტერესოა, სომეხმა ბაინდურიანცმა როგორ იწინასწარმეტყველა, რომ 50 წლის შემდეგ გარდაიცვლებოდა მისი ცოლი და ამიტომ მის სიკვდილამდე ადრე (50 წლით) ააგო ეს სამრეკლო და ისიც შავნაბადაზე? ფირნიში, როგორც დიდი სიყალბე მოვხსენით 1968 წელს 27 VII-ს. ბორის კანდელაკი.

სამუშაო შეასრულეს: მიშა ლონდარიძემ, კოლია გურგენიძემ და ბორის კანდელაკმა. ბატონი ბორის კანდელაკი იყო საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი (მაღალ კლასებში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას), რუსთაველის პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი. გამოქვეყნებული აქვს 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი, არის ათამდე წიგნის ავტორი“.

დიახ, ბატონებო, ბატონმა გურამმა მომითხრო, რომ სწორედ ბორის კანდელაკმა მიუთითა მკვლევარებს, რომ ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ კედელზე წმინდა მაქსიმესა და იოანე დამასკელს შუა, მუხლზე დაჩოქილი მოხუცის თავზე არის წარწერა: „ამის დამხატავსა შეუნდოს ღმერთმან ამინ. შოთა რუსთაველი“. ბატონმა ბორისმა ერთ-ერთმა პირველმა მიუთითა პარუირ მურადიანს, რომ უსინდისოდ ცდებოდა, როცა ამტკიცებდა, რომ გრიგოლ ბაკურიანი წარმოშობით სომეხია და პეტრიწონის სავანეც სომხების აშენებულიაო, ბატონმა ბორისმა ამ სიტყვებით მიმართა მურადიანს: „თქვენ რომ წაგეკითხათ ჩემი წიგნი „ბაჩკოვის სავანე“ – ასეთ სისულელეს არ დასწერდით. ეს უბრალოდ ჩემი რჩევაა და თქვენი ნაბოდვარის პასუხად არ მიიღოთო“.

„ბატონ ბორისს თავისი მოსწავლეები დაჰყავდა და აცნობდა ქართულ ეკლესია-მონასტრებს; 1967 წელს მითითებული ფირნიში არ იყო შავნაბადას ეკლესიის სამრეკლოზე, მან 1968 წელს ნახა იგი და წაკითხვის შემდეგ ჩამოხსნა. ეტყობა ეს ფირნიში ვიღაც ყალთაბანდმა რომელიღაც სომხური ეკლესიიდან ჩამოხსნა და აქ მიაკრა, რათა ერთხელ კიდევ ეცადათ ამ ეკლესიის, როგორც „სომხური ხუროთმოძღვრული“ ძეგლის მიტაცება“ (გ. მაჭავარიანი). ბატონი გურამის მიერ ხელთნაწერი მითითებული ტექსტის ორიგინალი და სომხური წარწერის ფოტოპირი ამჟამად დაცულია ჩემს პირად არქივში, როგორც დასტური ამ დიდებული პიროვნებების დიდი მამულიშვილობისა. ახლა რაც შეეხება გრიგოლ ბაკურიანის შესახებ ამტყდარ სომხურ სკანდალს! როგორც უმეტეს შემთხვევაში ეს ტალახიანი ქვაც ნიკო მარმა ესროლა ქართულ ისტორიას და ქართველ ხალხს! ნიკო მარმა წამოაყენა გრიგოლ ბაკურიანის და ამასთან ერთად ბაჩკოვის ქართული მონასტრის ვითომცდა სომხურობის საკითხები. შევეცდები გავახსენო მკითხველს როგორ მოხდა ყოველივე ეს და რა არის სინამდვილე! ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ პეტრიწონის, იგივე ბაჩკოვის სავანის აღმშენებელი იყო ბიზანტიის კეისრის ალექსი კომნენოსის კარზე გაძლიერებული ქართველი ფეოდალი, ტაოელი ბაგრატიონების შთამომავალი, ბიზანტიის იმპერიის დასავლეთის ჯარების მთავარსარდალი (დომესტიკოსი), მე-11 საუკუნის ცნობილი ქართველი სახელმწიფო მოღვაწე ბიზანტიის საიმპერატორო კარზე, გრიგოლ ბაკურიანისძე. გრიგოლ ბაკურიანისძის ბიოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი და მწერალი ანა კომნენოსი. ანა კომნენოსი პირადად იცნობდა გრიგოლს ბავშვობიდანვე და ამდენად მისი ცნობები ზუსტია და სარწმუნო. ანას თქმით გრიგოლი იყო საშუალო სიმაღლის, ძლიერი აგებულების მამაკაცი, სამეფო გვარის, ბაგრატოვანთა შთამომავალი, ცნობილი არისტოკრატი და დაფასებული ბიზანტიის

იმპერატორის სამეფო კარზე. ბაკურიანს (გრიგოლის მამას) ჰყავდა რამდენიმე ასული და ორი ვაჟი. გრიგოლის დედამ მამის გარდაცვალების შემდეგ საგვარეულო ქონება ქალიშვილებს მისცა მზითვად. გრიგოლმა და მისმა ძმამ აბასმა იმპერატორის კარზე სამსახურით დიდი ქონება მოიხვეჭეს, ეს ქონება კი ჯერ აბასმა ანდერძით დაუტოვა გრიგოლს, ხოლო გრიგოლმა კი თავისსავე აშენებულ პეტრიწონის მონასტერს, რადგან სოფელი პეტრიწონი და მისი მიმდებარე სოფლები გრიგოლ ბაკურიანის ძის საკუთრება იყო. რადგანაც ბიზანტიაში ბევრი ქართველი მოღვაწეობდა, განსაკუთრებით სამხედრო სამსახურში, სიბერის წლებში განმარტოებისთვის და მათი სულის საოხად დააარსა გრიგოლმა თავის საკუთარ მამულში მამათა მონასტერი 1083 წელს, როცა ნორმანებთან ბრძოლის შემდეგ დროებითი სიმშვიდე ჩამოვარდა ბიზანტიის იმპერიაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მონასტრის მშენებლობისთვის გრიგოლმა მხოლოდ საკუთარი და მისივე და-ძმის ქონება გამოიყენა, სხვისი არაფერი უხმარია! პეტრიწონის სავანე ერთ-ერთი უმდიდრესი სავანე იყო იმპერიაში, რადგან გრიგოლმა ანდერძით მონასტერს გადასცა მრავალი სოფელი, სახნავ-სათესი, ტბა, ვენახები, ტყეები და, რაც მთავარია, მონასტერი განთავისუფლებული იყო ყოველგვარი გადასახადისგან; სამეფოს, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, პლოვდივის სამიტროპოლიტოს და არც რომელიმე მიტროპოლიტის ან ეპისკოპოსის ან საერო პირის სასარგებლოდ არ იბეგრებოდა (ტიპიკონის მე-3 მუხლი). გრიგოლმა თავის მონასტერს შეუდგინა ტიპიკონი ანუ წესდება, რომელშიც მითითებულია, თუ როგორ უნდა იცხოვროს იქ, ე.ი. პეტრიწონში მოღვაწე ბერმა და საერთოდ საეკლესიო პირებმა, როგორ აერჩიათ წინამძღვარი, როგორ გაენაწილებინათ საქმე, როგორ გაეშალათ ტაბლა, როგორ მოევლოთ ავადმყოფებისთვის და როგორ მოქცეოდნენ სალოცავად მოსულ სტუმრებს. რაც მთავარია, გრიგოლ ბაკურიანისძემ ტიპიკონი შეადგინა მხოლოდ ორ ენაზე: ქართულად და ბერძნულად. ქართულად იმიტომ, რომ მონასტერში მოღვაწე ქართველ ბერებს წელიწადში რამდენჯერმე წაეკითხათ იგი თავიდან ბოლომდე, დაეცვათ ზუსტად ყველა მუხლი. ბერძნულად იმიტომ შეადგინა, რომ ბერძნული სახელმწიფო ენა იყო და იურიდიული ძალაც ბერძნულ ტიპიკონს ჰქონდა. ბერძნულად ორი ცალი დაიწერა: ერთი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთვის, და ერთიც მონასტრისთვის. გრიგოლ ბაკურიანისძემ თავისი ხელმოწერით დაბეჭდა და დაამტკიცა მონასტრის წესდება და როგორც ქართულ, ასევე ბერძნულ ტიპიკონსაც ბოლოს კვლავ წითელი მელნით მოაწერა ქართულად: „მტკიცე არიან ზემო წერილნი ესე ნებითა ღმერთისაითა“. ბერძნული ტიპიკონის ორივე ცალზე გრიგოლმა აგრეთვე ხელი მოაწერინა იერუსალიმის პატრიარქს ეფთვიმეს, რომელიც, თურმე თესალონიკიდან იერუსალიმში მიმავალი ესტუმრა გრიგოლს ფილიპოპოლში. გრიგოლმა პატრიარქს აჩვენა მის მიერ აშენებული ქართველთ მონასტერი, აკურთხებინა იგი და ტიპიკონზეც ხელი მოაწერინა. ტიპიკონის ბოლოს თვითონ გრიგოლი წერს; ოპონენტების საყურადღებოდ იძულებული ვარ მოვიტანო ტექსტი სიტყვა-სიტყვით:

„დაიწერა უკუე და დაემტკიცა წესი ესე
განგებისაო ამის პატიოსნისა მონასტრისა
ჩვენისა ღმრთისმშობელისა პეტრიწონისა
ბრძანებითა ჩემ გრიგოლ სევასტოსისა და
დიდისა დომესტიკოსისა ყოვლისა დასავლეთისა
მიდამოისა, ძისა ბაკურიანისაითა, მაშენებლისა
ზემოთთქმულისა ამის მონასტრისა და ეკლესიისა,
წერილისა ბერძნულითა და ქართულითა, თუესა
დეკემბერსა,
მეშვიდესა ინდიკტიონსა, დასაბამითგან წელსა ექუს
ათას ხუთას ოთხმეოცდა მეათორმეტესა და ქუემოთ
წარიწერნეს ხელითა ჩემითა ზემოხსენებულისა
გრიგოლისითა.
ყოველნივე ესე ტიპიკონნი, ხოლო ბერძნულნი ორნივე
წარიწერნეს შემდგომად ჩემისა დაწერილისა
წმიდისა
პატრიარქისა იერუსალიმელისა ღირსისა
ეფთვიმესითა“.

ე.ი. ტიპიკონი ხელმოწერილია ზუსტად 1083 წლის დეკემბრის თვეში.

ამჯერად, რაც ყველაზე მეტად არის ჩვენთვის საინტერესო და აუცილებელი, ტიპიკონის დასაწყისშივე გრიგოლი წერს: „– ...აღვაშენე მე, გრიგოლმა, ღვთისნებით, სევასტოსმა და მთელი დასავლეთის დომესტიკოსმა, ღვიძლმა შვილმა ნეტარი ბაკურიანისა, ბრწყინვალე ერთისთავთ-ერისთავისა, რომელიც წარმოშობით ვარ აღმოსავლეთი მხარეებიდან, იბერთა უბრწყინვალესი გვარიდან... ჩემს დასაცავად, სახსრად და სახსენებლად, და არა მარტო ჩემი, არამედ ჩემი სანატრელი ღვიძლი ძმის მაგისტროს აბასისა“ (გრიგოლ ბაკურიანისძის ტიპიკონი, სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1963 წ. გვ. 5).

წესდების 23-ე თავში გრიგოლი სასტიკად კრძალავს მონასტერში ქართველთა გარდა სხვა ეროვნების, კერძოდ ბერძენი ბერების მიღებას: „მე ვურჩევ ყველას ამ მონასტერში მყოფს და უმტკიცესი დადგენილებით ვაწესებ, რომ არასოდეს ამ ჩემს მონასტერში ბერძენი ხუცესი ან მონაზონი არ იქნეს დამკვიდრებული, გარდა ერთი მდივნისა, რომელმაც იცის წერა და რომელიც ხანდახან მთავრებთან გაგზავნის წერილს წინამძღვრისაგან და მათთან გაგზავნილს მისგან უკან დაიბრუნებს და მონასტრის საქმეებს წარმართავს“. ე.ი. ბერძენი მწერალი საჭირო იყო მხოლოდ მთავრობასთან მიმოწერისათვის.

ტიპიკონი თავისი შინაარსით ძალიან მკაცრია და ძალიან საინტერესოც, მის ნიმუშად გრიგოლმა აიღო კონსტანტინოპოლის წმ. პანაღიის ტიპიკონი, რომელსაც ასევე საფუძვლად ედო წმინდა ბასილი დიდის მიერ შედგენილი ტიპიკონი თავისი მონასტრისათვის. მაგრამ... ძალა აღმართსა ხნავს, დრო გადიოდა და საქართველო პოლიტიკურად სუსტდებოდა... კონსტანტინოპოლში თურქები გაბატონდნენ... პეტრიწონის მონასტერშიც იკლო

ქართველებმა. მე-17 საუკუნიდან ბერძნებმა თითქმის მთლიანად დაისაკუთრეს პეტრიწონი, რითაც გამართლდა გრიგოლის შიში. მათ მონასტერს სახელიც შეუცვალეს და პეტრიწონის მაგიერ ბაჩკოვო უწოდეს. რაც შეეხება მონასტრის ტიპიკონს, იგი დარჩა ისტორიულ დოკუმენტად, ოღონდაც იმ სხვაობით, რომ შემდგომ პერიოდში მასზე გაჩნდა ჩანაწერები, მაგ: 1669 წ. 15 ოქტომბრის თარიღით იერუსალიმის პატრიარქს, დოსითეოსს ხელი ქართულად მოუწერია: „იეროსოლიმონ დოსითეოს“. იქვე არის ისევ იერუსალიმის პატრიარქის ხრისანთეს ჩანაწერიც (1720 წ. 7 აპრილი). არის კიდევ ახალციხელი მღვდლის იოანე მარკოზაშვილის ნუსხური ხელით ჩანაწერი 1702 წ. აგვისტო. აღნიშნული ტიპიკონი ასლია და სოფიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება. 1770 წელს ხრისანთე პატრიარქისთვის მონასტრის მდივანს გაუმზადებია ტიპიკონის ასლი ბერძნულ ენაზე. აღნიშნული ასლი დამახინჯებულია უამრავი შეცდომით და შესწორებებით. გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ შედგენილ ორიგინალში, სადაც ეწერა, რომ ტიპიკონი „შედგენილია ქართულად და ბერძნულადო, და ხელმოწერილია ჩემს მიერო, – ჩამატებულია რომ ტიპიკონი დაიწერა სომხურადაც და ხელი გრიგოლმა სომხურადაც მოაწერაო“ – აი, სწორედ ეს ყალთაბანდური ვერსია გახდა ნიკო მარისთვის ამოსავალი წერტილი! 1782 წ. შესრულებული ტიპიკონის თარგმანის ტექსტის კვლევას შეეცადა გიორგი მუსეოსი, მან გამოსცა იგი 1888 წ. სწორედ მისგან იწყება ტიპიკონის მეცნიერული შესწავლის ისტორია, მის შესახებ 1904 წელს რუს ბიზანტიონისტთა ორგანოში, „Византиийский временик“-ში სტატია გამოაქვეყნა ლუი პტიტმა (ფრანგი მეცნიერი). მე-19 საუკუნის ბოლოს მონასტერში მცხოვრებმა ბერძნებმა გააქრეს ტიპიკონის ორიგინალები. ეს ფაქტი ცხადია უკავშირდებოდა და გამოწვეული იყო ტიპიკონის მკაცრი მოთხოვნიდან, რომ იქ ბერძნები არ უნდა ყოფილიყვნენ, ერთი მდივნის გარდა. ტიპიკონი წაიღეს კუნძულ ქიოსზე, კორაისის სახ. ბიბლიოთეკაში. კორაისის ბიბლიოთეკის კატალოგში კი ქართულ-ბერძნული ტიპიკონი ჩაწერეს – სომხურ-ბერძნულად, რის შედეგადაც გაძნელდა მისი მიგნება. ვსევოლოდ ნიკოლაევმა (სოფიის უნივ. პროფ.) გამოაქვეყნა ორი გამოკვლევა, სიით 26 ხელნაწერის შესახებ ეწერა: „ხელნაწერი წიგნი უცნობ ენაზე ახალი დროისა. ნაწერი სომხურს ჰგავს, მაგრამ სომხური არ არის“. ამის შემდეგ 1936 წელს სოფიაში მითითებულ ხელნაწერს ნახულობს ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი გრიგოლ ფერაძე, მაგრამ... მას აღარ დასცალდა მისი შესწავლა.

1949 წ. აკადემიკოსების აკაკი შანიძის, ნიკო ბერძენიშვილის და დოც. ოთარ გიგინეიშვილის შემადგენლობით სტალინისა და ბერიას მითითების საფუძველზე სამეცნიერო ექსპედიცია გაიგზავნა ბულგარეთში. მათ სოფიის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში ნახეს ხელნაწერი, რომელიც კატალოგში გატარებული იყო როგორც უცნობი შინაარსის სომხური ტექსტი, და ეს ტექსტი აღმოჩნდა ტიპიკონის ქართული ტექსტის ორიგინალი! 1964 წელს ქართველმა კათოლიკე მღვდელმა, თეოლოგმა და ქართული ეკლესიის ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა მიხეილ თარხნიშვილმა ამ ხელნაწერის მიხედვით გერმანიაში გამოსცა აღნიშნული ტიპიკონი ლათინური თარგმანით. მიხეილ თარხნიშვილის მიერ მოწოდებული ცნობების საფუძველზე ქიოსის ხელნაწერის ფოტოპირების მისაღებად ყველა ღონე იხმარა აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ. ქიოსიდან მან მიიღო ჯერ ბერძნული, ხოლო შემდეგ ქართული ტექსტის ფოტოპირები. 1963 წელს ტიპიკონის ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანისა და შენიშვნების დართვით გამოსცა აკად. სიმონ ყაუხჩიშვილმა. 1971 წ. აკად. აკაკი შანიძემ გამოსცა ტიპიკონის ქართული ტექსტი, ქართულ რედაქციას მან დაურთო რუსული თარგმანი და უაღრესად საინტერესო გამოკვლევა ქართულ და რუსულ ენებზე, წიგნი გამოვიდა – „ძველი ქართული ენის ძეგლების“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა) სერიით. აკად. აკაკი შანიძე ღრმა ანალიზის შედეგად მიდის იმ დასკვნამდე, რომ ტიპიკონის ქართული ტექსტი შემონახულია პირვანდელი სახით, ბერძნული ხელნაწერის ასლში კი (განსაკუთრებით გვიან შესრულებულში) დროთა განმავლობაში გარკვეული შესწორებები შეუტანიათ. ამდენად, აკაკი შანიძის გამოკვლევამ, ე.ი. ტიპიკონის ქართული ორიგინალის აღმოჩენამ და აკად. აკაკი შანიძის ანალიზმა მთლიანად გამოაცალა საფუძველი ნიკო მარის თეორიას, თითქოს გრიგოლ ბაკურიანისძე ტაოელი ქალკედონიტი სომეხი იყო! უკვე მეათასედ ვიმეორებ ოპონენტების გასაგონად, რომ სომეხი ქალკედონიტები არ არსებობდნენ! ბერძნულ ორიგინალში გრიგოლ ბაკურიანისძე სიამაყით რამდენჯერმე გვახსენებს თავის ეროვნულ წარმომავლობას, თავის ქართველობას. იგი ხაზგასმით ამბობს, რომ: „ქართველნი ვართ ნათესავით მხნენი და მხედრობით აღზრდილნი და მარადის ჭირვეულსა ცხოვრებასა ჩვეულნი!“ მითითებულ სიტყვებში საუბარია ტომით ქართველობაზე!!! დიახ! მე მრავალგზის მითქვამს, რომ გამგები გაიგებს... და ვისაც ავი განზრახვით სურს სინამდვილის არგაგება, ეს უკვე სხვა საქმეა!!! დასაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ტიპიკონის ქართული ორიგინალი ტექსტი დაიკარგა მე-19 საუკუნის ბოლოს... ცხადია, ნებისმიერ ადამიანში ეჭვის ჭია დაიბუდებს, რას უნდა უკავშირდებოდეს ეს ფაქტი? ნიკო მარს ხომ არა? რადგან მხოლოდ და მხოლოდ ამის შემდეგ ჩნდება ნიკო მარის მიერ მტკიცება, შესწავლა და გამოქვეყნება ტიპიკონის ბერძნული ხელნაწერის ასლისა, რომელიც მრავალჯერ არის ჩასწორებული. და ამ ჩასწორებული ასლის საფუძველზე შეეცადა ნიკო მარი შეექმნა თეორია გრიგოლ ბაკურიანისძის სომხობისა და აქედან გამომდინარე პეტრიწონი-ბაჩკოვოს სავანის სომხურობისა! მე წინა სტატიებში მრავალგზის შევეხე ნიკო მარის „მეცნიერულ“ თეორიებს და ამჯერად აღარ მსურს ყურადღება დავუთმო ამ „უძღები შვილის“ სიავკაცეს, რომელიც ყოველგვარი უღირსი გზებით ცდილობდა ყოველგვარი ქართულის განადგურებას... და ეს უნდა იცოდეს ქართველმა ხალხმა! და პირველ რიგში, იმ მეცნიერებმა, დღესაც რომ მის კვალზე ბრმად შემდგარან!!! დასაბამიდან სისხლის ზღვაში იხრჩობოდნენ მესხ-იბერიელები, იგივე თუბალ-კაენის ჯიშის ხალხი. საუკუნეებმა შთანთქა მათი გმირული

წარსულის ამსახველი ფაქტები, მაგრამ რაც გადარჩა? როგორ უნდა შევინარჩუნოთ ის, რაც გადარჩა, თუკი ჩვენს მეხსიერებაში არ აღვადგენთ, არ შევისწავლით და დავიწყებისთვის გავწირავთ ჩვენს წარსულს? ჩვენი ერის ისტორიას? ენას, ტრადიციებს? ხომ არ გავახსენო ჩემს მკითხველს გებელსის უხეში, მაგრამ ღრმაზროვანი სიტყვები, რომ: „წაართვი ხალხს ისტორია და – ერთი თაობის შემდეგ ის გადაიქცევა ბრბოდ, ხოლო კიდევ ერთი თაობის შემდეგ მისი მართვა შეიძლება, როგორც ჯოგისა!..“ დიახ, მკაცრი, მტკივნეული სიმართლეა, ბატონებო, რას უნდა ველოდოთ მომავალში თანამედროვე ქართველი ბავშვისგან? იგი ხომ ძალიან მცირე დროს უთმობს საქართველოს ისტორიის შესწავლას! ნებისმიერი სხვა ერის სასწავლო და საგანმანათლებლო მეთოდებისგან განსხვავებით! დიახ, გადაავლეთ თვალი ებრაულ, სომხურ, რუსულ, თუნდაც ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ სასკოლო განათლების სისტემას, სადაც დაცულია საკუთარი სამშობლო ქვეყნის ისტორიის საფუძვლიანი სწავლება! ბატონმა გურამ მაჭავარიანმა, როდესაც ოფისში მესტუმრა, მომიტანა ქსეროქსზე გადაღებული ფურცელი, რომელიც პოეტ ჯანო ჯანელიძის ჟურნალ ცისკარში (2006 წლის 22 თებერვალი) გამოქვეყნებული სტატიის ამონაჭერს წარმოადგენდა. მოწოდებულ ტექსტს ვთავაზობ ჩემს მკითხველს: „700 წლის განმავლობაში საქართველომ გადაიხადა 776 ომი, აქედან მოიგო 445...“

... „ასე ცეცხლითა და მახვილით გამოიარა ქართველმა ხალხმა საუკუნეთა უღრანები და თუ გადავრჩით და დღემდის მოვატანეთ ისევ სიყვარულით, ერთგულებით და რწმენით. მაგრამ ის რაც რუსეთმა მე-20 საუკუნეში აფხაზეთში დამართა საქართველოს, ძნელად წარმოსადგენია... და რაც კი მოხდა აფხაზეთში, ყველაფერი მოხდა რუსეთის იდეოლოგიით, მისი უშუალო წაქეზებითა და მონაწილეობით. ამ შემთხვევაშიც დავეყრდნოთ ფაქტს. მოვუსმინოთ რას ქადაგებდა და როგორ მოძღვრავდა მთელ რუსეთს საკავშირო ცეკას მდივანი, რუსული შოვინიზმის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი მიხეილ სუსლოვი. ეს გახლავთ 1961 წელი: „კომუნისტური პარტია რუსეთის წებოა და სანამ წებო ძალას, თავის თვისებას დაკარგავდეს, მანამდე უნდა ავამუშაოთ რუსეთის გადარჩენის გეგმა, რომელიც სხვადასხვა რესპუბლიკაში სხვადასხვანაირი იქნება. შორეულ აღმოსავლეთში მომსახურე ჩვენს გენერლებს უნდა მივცეთ ცხოვრების ნორმალური საშუალება. მათ ჩასასახლებლად გვჭირდება შავი ზღვის სანაპირო ტერიტორია, სადაც, როგორც მოგეხსენებათ ქართველები სახლობენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველები ჩვენგან ძლიერ განსხვავდებიან. ადრე თუ გვიან ისინი საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებენ და თავისუფლებას მოითხოვენ. მათთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარასა და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხურ-ეროვნული გრძნობა. დასავლეთი უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს. ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის როლი უნდა შევასრულოთ. პარალელურად ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსახლებული, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს. ქართველები სანახევროდ ლიკვიდირებულნი და ასიმილირებულნი უნდა გავხადოთ... და თუ მოგვეცემა საშუალება, მთლიანად მოვახდინოთ მათი ლიკვიდაცია...“ – დიახ, ბატონებო, ეს სიტყვები სუსლოვს, ე.ი. რუსეთს ეკუთვნის!!! დასანანია, ბატონებო, რომ ბატონმა ჯანო ჯანელიძემ „თავიდან“ ვერ გაიაზრა რუსეთის უდიდესი სურვილი და იგი თავისი ნებით, შემოქმედებით და ფიზიკური ძალითაც კი „პუტჩისტების“ მხარეზე დადგა! ქართული დამოუკიდებლობის საძირკველს მან მაშინ გააზრებულად შეურია ფხვნილი ქვა!.. და მასავით ბევრი, ძალიან ბევრი ვითომცდა „ეროვნული მოღვაწე“(?) და მეცნიერი მოიქცა! რატომ? ხომ შეიძლებოდა ტვინი გაენძრიათ და ცოტა ადრეც მიმხვდარიყვნენ რუსეთის ჩანაფიქრს? მხარში ამოსდგომოდნენ ახლად დაბადებულ ეროვნულ მთავრობას? რა ვიფიქროთ? თუ არა ის, რომ ყველა გამორჩენას ელოდა მაშინ და არავინ დაგიდევდათ ეროვნულ ღირებულებებს?მათ ხომ კარგად იცოდნენ, რომ აფხაზეთთან ომის დაწყების შემთხვევაში რუსები დაუჭერდნენ აფხაზებს მხარს და... აფხაზეთს დაკარგავდნენ? მაშინ ხომ არავის ახსოვდა, რომ აფსუები და ადიღეველები ერთი და იგივე ხალხია, ერთი და იმავე ფუძის ნაყარი შტოებია და ჩამოსახლებულნი იყვნენ მე-17 და მე-18 საუკუნეებში ქართულ აფხაზეთში? იმ აფხაზეთში, სადაც ტიგლათფილესარის დროიდანაც კი ქართული სისხლი ჩქეფდა, იბერიული ტრადიცია ცოცხლობდა და თუ მეტი არაფერი ბაგრატი და დავითი ხომ იგივე აფხაზები და აფხაზთა მეფეები იყვნენ სისხლით, ხორცით და გონებით? ხომ იცოდნენ რომ ომის სცენარი სპეციალურად იყო მოწყობილი? არანაირ პროვოკაციას არ უნდა აჰყოლოდნენ და ომი არ უნდა დაეწყოთ! დიახ, ბატონებო, ჩვენმა „ელიტარულმა ინტელიგენციამ“ იმ საშინელ წლებში თვალები დაუხუჭეს ისტორიას, ყურები დაუხშეს და ამით ხელი შეუწყეს თავიანთი შრომებითა და უსინდისო, ცრუ მოწოდებებით და გამოსვლებით საქართველოსთვის მკერდში მახვილის ჩაცემას! ეროვნული იდეოლოგიის მომხრეთ კი სუნიანები და პროვინციელი ფაშისტები უწოდეს!!! სწორედ მათ კისერზეა იმ გასამრავლებელი 30000 ქართველი ჭაბუკის სისხლი, რომლებიც 92-93 წლებში დაიღუპა! დიახ, ბატონებო, ქართველმა „ელიტარულმა ინტელიგენციამ“, ცოტა უხეშად რომ ვთქვა, თავიანთი კუჭების სიმაძღრე ანაცვალეს სამშობლოს! და აქვთ კი დღეს მათ ეროვნულ ღირსებებზე საუბრის უფლება? ცოცხალი რომ ბრძანდებოდეს ბატონი ჯანო ჯანელიძე, ერთ კითხვას დავუსვამდი: სუსლოვის სიტყვა ახლა, 2006 წელს წაიკითხა მან სადმე და ახლა გაახსენდა რუსეთის იმპერიული ზრახვები? ეს ყოველივე არ იცოდა იმ ავადსახსენებელ 91-93 წლებში? როგორ უნდა დაეშვათ რუსეთთან ომი? ეს ომი ხომ აშკარად ტერიტორიების დაკარგვას ნიშნავდა? დასანანია, ბატონებო, დასანანია ეს ყოველივე და კიდევ ის, რომ ჩვენი ხალხი და ჩვენი

ქვეყანა განსხვავებით სხვა ეროვნებებისგან, ადვილად ივიწყებს საკუთარი შვილების საზიზღარ ღალატს! ამ საზიზღარ გულმავიწყობას კი საშინელ შედეგამდე მივყავართ... შედეგში ვგულისხმობ ბაგრამიანის ხალხის მიერ ქართველთა ხოცვა-ჟლეტას კოდორის ხეობის სოფლებში და ბევრ სხვა ცუდ ფაქტს, რომლის გახსენებასაც ახლა აღარ ვთვლი საჭიროდ!

მინდა ჩემი მკითხველი კვლავ ისტორიის ლაბირინთებში მოთმინებით ვატარო, მაგრამ ამჯერად სამაგისო დრო არ არის!!! თუმცა კი ვიცი უამრავი საკითხია სწორედ იმ საზიზღარი გულმავიწყობისა და ღალატის შემდეგ გაურკვეველი და მინდა მომავალში, ე.ი. ჩემი შრომის შემდეგ ნაწილში თქვენთან ერთად ვიარო, ვიპოვო და ვაკოწიწო ისტორიული სიმართლე და სინამდვილე, ჩემო კეთილო და დაუღლელო ხალხო, თქვენს მოთმინებასა და ძალისხმევაზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავლის იმ ძლიერი კედლის შენება ილია რომ ოცნებობდა... ნუ შეაჭმევინებთ ღალატისა და გულმავიწყობის ჭიას თქვენს ტვინსა და ნებისყოფას, თორემ... ისევ გებელსის სიტყვას გაგახსენებთ: „წაართვი ხალხს ისტორია და ერთი თაობის შემდეგ ის გადაიქცევა ბრბოდ, ხოლო კიდევ ერთი თაობის შემდეგ მისი მართვა შეიძლება როგორც ჯოგისა“... დიახ, ბატონებო, მწარე სიმართლეა, და ეს სიმართლე ჯერ კიდევ როდის გვითხრა დიდმა ილიამ...

ნებისმიერი პიროვნება საკუთარ შეცდომებზე სწავლობს ჭკუას, იღებს გამოცდილებას და კახური ვირის არ იყოს ვალდებულია იგივე შეცდომა აღარ დაუშვას, აღარ გაიმეოროს მომავალში! ასევე არის ვალდებული მთელი ხალხი (თუ მათ აქვთ პრეტენზია რომ არის ერად ჩამოყალიბებული!) გაითავისოს და გაითვალისწინოს ძველი, ისტორიული შეცდომები და აღარ გაიმეოროს ისინი! ცხადია, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება ადამიანთა ჯგუფს ან პიროვნებებს, რომელთაც ერის წინამძღოლის ფუნქცია აქვთ დაკისრებული, ან თუნდაც პიროვნულად აქვს გარკვეულ მათგანს ლიდერობის პრეტენზია! მათ შეცდომის დაშვების უფლება არა აქვთ! დიახ! მათ შეცდომის დაშვების უფლება არა აქვთ, თორემ... ისტორია მკაცრი მსაჯულია და შეცდომებს არავის პატიობს! სტალინი ფაქტიურად გააძევეს საქართველოდან ქართველმა ბოლშევიკებმა! მან როგორც შეეძლო და რითაც შეეძლო მაინც დაიცვა სამშობლო, მაგრამ... მასზე გამწარებული ხალხის შთამომავლებმა შური იმით იძიეს, რომ... ისტორიის გადასწორება მოინდომეს და ფილიპე მახარაძის, ცხაკაიას, მდივნის, ორახელაშვილების თუ ორჯონიკიძის მიერ დაშვებული საშინელი შეცდომების (რომელსაც ერის ღალატს უფრო დავარქმევ, ვიდრე შეცდომებს) მისთვის გადაბრალება მოინდომეს. მაგრამ არც ასეა, ბატონებო, საქმე! არ არსებობს დოკუმენტი, რომელზეც სტალინის ხელმოწერით საქართველოს ტერიტორიები ჩამოჭროდა, არ არსებობს დოკუმენტი, რომლითაც ქართული ენა და ქართული ისტორია შეიბილწებოდა! არ არსებობს დოკუმენტი, რომლითაც ზიანი მიადგებოდა საქართველოს წარსულს, აწმყოს და მომავალს, მის ეროვნულ ღირსებას, მაგრამ დროის მეფენი, დამეთანხმებით, თვითონ ცდილობენ ახალი ისტორიის დაწერას! მათი დაწერილი ისტორია კი მხოლოდ იმდენივე დროს უძლებს, რამდენიც მათი და მათი შთამომავლების (ალბათ ერთი ან ორი თაობა) სიცოცხლეა! ისტორია ადრე თუ გვიან მაინც იტყვის თავის სათქმელს! თეთრს თეთრი დაერქმევა, შავს – შავი და უფრო ცუდია მოღალატის ტალახში გასვრილი მანტიით შერჩე შენი ქვეყნის ისტორიას, ვიდრე ასევე მოღალატის ტყვიით გახვრეტილი შუბლითა და სპეტაკი სისხლით მოსვრილი შეერთო შენი ქვეყნის წამებულ წმინდანებს, როგორც ეს ილიას შემთხვევაში არის! დიახ, ისტორია არავის და არაფერს ივიწყებს! და არც ერთ ჩვენგანს არა აქვს ისტორიის დავიწყების უფლება, რადგან... ჩვენ, ადამიანები ვაზროვნებთ და ერთმანეთისაგან მხოლოდ ეროვნული ნიშნებით განვსხვავდებით! ეს უკანასკნელი ფაქტი უნდა გააცნობიეროს ნებისმიერმა ქართველმა და მამაპაპისეულ მიწაზე მყარად დადგას ფეხი!!!

The true sons of history
Notes on historical Topics- Part 2

I remind the reader that after the second half of 19-th century and in the beginning of the 20-th century after the excavation of Urartu and Minor Asia, there was a blustery disputation about the origin of Iberians. Who were they, nation who carried ancient civilization and culture, with its own written language,or homeless nation without culture, and borrowed written language.All the historical explanations are given in this article.

David Maisuradze

Истинные сыновья истории
Примечания на исторические темы - часть 2

Напомню моему читателю, что со второй половины 19-го века и в первой четверти 20-го века в Урарту и вообще после известных раскопок малой Азии, в европейских научных кругах не перестовал спор на счёт Иберийцев. Кто они были? Культурная раса, носившая древнюю цивилизацию, которая имела свою собственную письменность и культуру писания или... дикий, без отечество, откудо-то пришедший на Кавказ. Примкнувшие к чужой земле, не культурные, (без земельные, без родные люди). Толпа, которая по их мнению, жила по законам джунгли и "сегодня" тоже так живёт!

Давид Маисурадзе

რაულ ჩილაჩავა – პოეტი – დესპანი

პოეტ რაულ ჩილაჩავას კარგად იცნობს ჩვენი მკითხველი. მაგრამ მას, როგორც შემოქმედს, მეცნიერსა და სახელმწიფო მოღვაწეს, უფრო კარგად იცნობენ უკრაინაში, იცნობენ და აფასებენ. სამეგრელოს ერთ პატარა სოფელში დაბადებულ ჭაბუკს უჩვეულო ბედი არგუნა განგებამ. იგი ადრევე ჩართული აღმოჩნდა უკრაინული კულტურის ეპიცენტრში და ამ ხუთი ათეული წლის მანძილზე უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობის სიმბოლოდ იქცა, როგორც ადრე მიკოლა ბაჟანი და სიმონ ჩიქოვანი. რაული იყო მინისტრის მოადგილე, ელჩი, მაგრამ იგი მაინც ქართული კულტურის დესპანია ევროპის ამ ერთ–ერთ უდიდეს სახელმწიფოში, ქართული სულიერების პროპაგანდისტი. მძიმე წლებში იგი ცდილობდა საქართველოზე სიმართლის გავრცელებას, ქვეყნის ღირსების დაცვას, იმ ცილისწამების გაქარწყლებას, რაც პირველ პრეზიდენტს თავს დაატეხეს სამშობლოს შინა და გარე მტრებმა. მას არასოდეს დავიწყნია, რომ ქართველი პოეტია, პატარა და დაჩაგრული ქვეყნის შვილი, რომლის ჭირ–ვარამი, ტრაგედია და ოცნება მოაქცია თავის 100 წიგნში. ამ წიგნებით, რომელთა ნაწილი ორ და სამენოვანია, რაულ ჩილაჩავამ ახალი ტიპის ლიტერატურა გაგვაცნო. მან ენობრივი ბარიერიც დაძლია. მაგრამ ეს არის არა საბჭოური ბილინგვიზმი, როცა ორეროვნება მთავრდებოდა რუსულის გაბატონებითა და მშობლიურის დაკარგვით – ეს არის ის პროცესი, როცა ერთი კულტურა ხელს უწვდის მეორეს და მათ შორის არ არსებობს ანტაგონიზმი.

ამიტომ არ იყო იგი ემიგრანტი ან ქართული კულტურისაგან იზოლირებული. მიუხედავად არაქართულ ენობრივ წრეში ცხოვრებისა, ახერხებდა ყოფილიყო იმ სიახლეთა კურსში, რაც მოჰქონდა ქართულ პოეზიას, შეენარჩუნებინა ცოცხალი კონტაქტი მშობლიურ საგნებთან, მშობლიურ სიტყვასთან. დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში, ეს შესაძლებელია, როცა არსებობს ნება და სურვილი. სხვა იყო დავით გურამიშვილის დრო, როცა მშობლიურ მიწას მოწყვეტილ შემოქმედს თავისი ქვეყანა პოეზიის ილუზიურ კუნძულზე უნდა მოექცია. ვერც ტრაგედიებმა, ჭრილობებად რომ შერჩა მის გულს, ვერც წარმატებამ, რომელმაც გზა გაუხსნა ლიტერატურული და პოლიტიკური ელიტისაკენ, ვერ შეცვალა მისი ბუნება. რაული დღესაც ღიმილითა და სიკეთის სავსე კაცია, უშურველი და უანგარო, კაცი, რომელიც ცხოვრობს პოეზიით, ცხოვრობს პოეზიისათვის. ეს სულის სინორჩე, ეს სულის სინედლე ახლავს პოეტის ახალ სტრიქონებსაც:

„ახლა ზემოთ ცა როა, მე ისეთი ცა მიყვარს,
თითქოს დედა ხვალ ისევ პირველ კლასში წამიყვანს!“

არ ვიცი, დაბრუნდება თუ არა სამშობლოში „უვადო მივლინებით“ კიევში წასული პოეტი, მაგრამ მან თავისი სიტყვით, საქმით, მოქმედებით გვიჩვენა თანამედროვე შემოქმედის ტიპი ეროვნული სულის დამცველი, ტოლერანტი, სხვათა გამოცდილების გამზიარებელი, ხალხებს შორის სიკეთისა და სიყვარულის ქადაგი.

სოსო სიგუა

Raul Chilachava Poet – envoy

The poet Raul Chilachava is well known among our readers. But as a scientist and statesman he is more known and appraised in Ukraine. Born in a small village of Samegrelo (one of the regions of Georgia) he has unusual Fate. He from the early age was switched in the epicenter o Ukrainian culture and during 50 years become a symbol o friendship between Georgian and Ukrainian people.

Raul was a deputy minister, ambassador but still he is an envoy of Georgian culture in Ukraine.

Рауль Чаличава поэт-посланник

Поэт Рауль Чаличава хорошо знаком нашим читателям, но его, как создателья, учённого и государственного деятелья больше знают на Украине, знают и ценят. Рауль был зам. министра, посол, но он все-таки посланник грузинской культуры в одной из самых больших государств Европы. Он пропагандист грузинской духовности. Рауль никогда не забывал, что он грузинский поэт, сын маленкой и угнетённой страны, чью трагедию и мечту в своих ста книгах.

რაულ ჩილაჩავა

უაკ (UDC) 329.150.1(092 ბერია)

ლავრენტი ბერიას ვაჟი მოგვითხრობს...

მაშინაც კი, როცა ჩვენ ბევრი რამ გავიგეთ ბერიას სასამართლოს შემდეგ, პარტიასა და ხალხს არასწორი ახსნა მივეცით და ყველაფერი ბერიას გადავაბრალეთ. ჩვენ იგი გვესახებოდა ხელსაყრელ ფიგურად, და ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ სტალინის გამოსასარჩლებლად.

ნიკიტა ხრუშჩოვი. "ოგონიოკი", № 9, გვ. 16. 1990

რამდენიმე სიტყვა ქართული გამოცემისთვის

ამ წიგნის რუსული ვერსია პირველად 1992 წელს გამოვიდა 100 000-იანი ტირაჟით და უმალვე განიბნა მაშინ ჯერ კიდევ ერთიან პოსტსაბჭოურ საინფორმაციო სივრცეში. მას მოჰყვა თარგმანი პოლონურ ენაზე და მისი ხალხმრავალი პრეზენტაცია ვარშავაში. მერე იყო მეორე შევსებული გამოცემა რუსულად და პუბლიკაცია ჟურნალში "ნასტოიაშჩეე ვრემია" (რიგა). ტექსტი ითარგმნა უკრაინულად და ლატვიურადაც, ქართულად კი მას პირველად ვთავაზობ მკითხველს. მიუხედავად იმისა, რომ ეგრეთწოდებული "ბერიას საქმე" თითქმის 60 წლისაა, ჩვენ ძველებურად ცოტა რამ ვიცით ბოლშევიკური იმპერიის ამ ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეთქმულების შესახებ, რომელზეც საკუთარ ვერსიას გვთავაზობს სერგო ბერია, ლავრენტი ბერიას ერთადერთი ვაჟი, გამოჩენილი მეცნიერი, საბჭოთა სარაკეტო ტექნიკის აღიარებული სპეციალისტი, ჭეშმარიტი ინტელიგენტი და შესანიშნავი პიროვნება, რომლის თავზეც, როგორც იტყვიან, მარტო წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ ყოველივე სხვა სიავეს გადაუვლია. 1953 წლის ივნისის მიწურულს ოცდაცხრა წლის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ინჟინერ-პოლკოვნიკი, ლენინის ორდენის კავალერი, სტალინური პრემიის ლაურეატი, მსხვილი საკონსტრუქტორო ბიუროს ხელმძღვანელი სერგო ბერია საკუთარ დედასთან ერთად ლეფორტოვოს ციხის ტუსაღი გახდა. წოდებებჩამორთმეული, უფლებებაყრილი, მოღალატის შვილის იარლიყმიწებებული ბატონი სერგო ვაჟკაცურად შეხვდა ბედის სასტიკ განაჩენს, არ გატყდა, არ დაძაბუნდა, არ დაჰყვა ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთა ნებას, რომლებსაც მისგან მამის აუგის მოსმენა სურდათ. ეს სიჯიუტე მას ურალში ათწლინ გადასახლებად დაუჯდა, მაგრამ მამაშვილობის დაუწერელი კანონისთვის წუთითაც არ უღალატია. სერგო ბერიას საოცარ ნებისყოფაზე და დიდ სამეცნიერო პოტენციალზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მან ორმოცი წლის ასაკში ნულიდან დაიწყო თავისი კარიერა და კვლავ შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია. ამით მან გააქარწყლა მოარული მითი, რომ იგი თითქოს მამის კალთას იყო ამოფარებული, თორემ თავად არც თუ ბევრი რამე შეეძლო. დღეს ჩვენ ვიცით, რომ სერგო ბერიას ნიჭს ფრიად აფასებდნენ მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერები ლეონიდ კაპიცა, იგორ კურჩატოვი, ანდრეი სახაროვი და სხვები. სწორედ მათი ძალისხმევით გადაურჩა იგი გილიოტინის მძიმე დანას, რომელიც სისტემას მისთვისაც ჰქონდა დაღერებული. თავისი სიცოცხლის ბოლო ათი წლის მანძილზე ბატონ სერგოს საშუალება მიეცა პირადად მოეთხრო საკუთარ თავზე და იმ სასტიკ დროზე, რომელშიც მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა. ჩემს პირად ფონოტეკაში ინახება ათობით აუდიოკასეტა, რომლებზეც აღბეჭდილია ჩვენი ხანგრძლივი საუბრები, ბატონი სერგოს განუმეორებელი ხმა. მისი მონაყოლი დაედო საფუძვლად ზემოთხსენებულ ჩემს ორ წიგნს "ლავრენტი ბერიას ვაჟი მოგვითხრობს" და "მოკლეს საკუთარ სახლში" (სერგო ბერიას მტკიცედ სწამდა, რომ მამამისი საბჭოთა სპეცსამსახურებმა შინ მუხანათურად მოსპეს). მეორე წიგნის სასიგნალო ცალი რომ მივუტანე, დიდად გაიხარა და მითხრა: კიდევ იმდენი მაქვს მოსაყოლი, არა ერთი ტომის მასალად გამოდგებაო. და მართლაც კაცს, რომელიც ლავრენტი ბერიას ოჯახში გაიზარდა, რომელიც სტალინის ბინაში ისე დადოდა, როგორც მეგობართან დადიან ხოლმე (იგი სვეტლანასთან ერთ სკოლაში სწავლობდა), რომელიც თეირანის კონფერენციაზე ბელადის საიდუმლო დავალებას ასრულებდა, რომელიც პირადად იცნობდა პოლიტბიუროს ყველა წევრს, რომ არაფერი ვთქვათ საბჭოთა ტექნიკური მეცნიერების ელიტაზე, მართლაც უამრავი სათქმელი ჰქონდა. გული მწყდება, რომ შეკითხვაზე: "ბატონო სერგო, შეიძლება გამოგიაროთ?" ამიერიდან ვეღარ გავიგონებ მის ტკბილქართულ პასუხს: "რავა არა, მოდი!" მიუხედავად იმისა, რომ სერგო ბერიამ ნახევარ საუკუნეზე მეტი სამშობლოს გარეთ გაატარა, იგი მშვენიერი მოქართულე იყო. პენსიაზე გასვლის შემდეგ სულ შინ დაბრუნებაზე ფიქრი ჰქოდა აკვიატებული, თბილისში ქარხნის აშენებას აპირებდა, სურდა ძნელბედობის ჟამს საქართველოს მხარში ამოდგომოდა. ვერ აისრულა გულისწადილი, ვერ მოასწრო. ცელშემართული ბებრუხანა 2000 წლის 10 ოქტომბერს უცაბედად დაადგა თავზე და მიღმეთში უხმო. კიევის კრემატორიუმის გავარვარებულ ხახაში დაინთქა მრავალტანჯული სხეული კაცისა, რომელმაც ვაჟკაცურად გაუძლო ყველა განსაცდელს და ნამდვილად ნათელი კვალი დატოვა ამ ქვეყანაზე. ბატონ სერგოსთან თუნდაც ხანმოკლე შეხვედრა და გასაუბრება გაგრძნობინებდათ მის ფართო ერუდიციას, შინაგან ტაქტსა და კეთილშობილებას. ამასთანავე შეუძლებელი იყო უმალ ასეთი ეჭვიც არ გაგჩენოდათ: ნუთუ ეს დიდბუნებოვანი და დარბაისელი პიროვნება იმ "ურჩხულის" შვილია, რომლის უბრალო ხსენებაზე ათწლეულების მერეც ადამიანებს ტანში აჟრიალებს? მას ჰქონდა არაჩვეულებრივი მახსოვრობა და ლოგიკური აზროვნების საოცარი უნარი, შეეძლო ხსოვნის კუნჭულებიდან კომპიუტერული სისწრაფით გამოეხმო ესა თუ ის ფაქტი, მოვლენა, ამბავი და სრულიად თავისებური, მაგრამ დამაჯერებელი განმარტება მიეცა მისთვის. ჩვენ იქნებ ბოლომდე არ ვენდოთ ბატონი სერგოს ზოგ მტკიცებას, სუბიექტურად მივიჩნიოთ მისი ესა თუ ის დასკვნა, მაგრამ შესაშური სიწრფელის გამო შეუძლებელია ისინი წინასწარგანზრახულ სიცრუედ მივიჩნიოთ. იგი ასე განმარტავდა წარსულს, ასე ხედავდა საკუთარი ოჯახის ტრაგედიას და მისი ავტორების, რბილად რომ ვთქვათ, არც თუ მიმზიდველ სახეებს. არაერთხელ გამკვირვებია კიდეც თუ როგორ აკონტროლებდა ჩემი თანამოსაუბრე პირად განცდებს და ახერხებდა საკუთარი მამის მკვლელთა მიმართ მაგარი გამოთქმებისგან თავის შეკავებას. სინამდვილეში ეს არ იყო გასაკვირი – ქართული ზრდილობა და არისტოკრატიზმი სერგო ბერიას

იმთავითვე მაღლა აყენებდა თავის "პატარა მტრებზე" და ნებას არ რთავდა მათ დონემდე დაშვებულიყო. (მას, სხვათა შორის, არც ჩემთვის უგრძნობინებია ოდესმე უკმაყოფილება იმ პირდაპირი და, გულახდილად ვიტყვი, უხერხული კითხვებისთვის, რომლებსაც ნიადაგ ვუსვამდი). როცა თითქმის ორი ათეული წლის შემდეგ კვლავ მივუბრუნდი ჩვენს დიალოგებს, სიამოვნებით აღმოვაჩინე, რომ ესაა მოთხრობა არა მარტო ლავრენტი ბერიაზე, არამედ მის ვაჟზეც, რომლის მწარე თავგადასავალი კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს იმ სისხლიან გზაზე, რომელიც მეოცე საუკუნეში საბჭოთა იმპერიასთან ერთად საქართველომაც გამოიარა.

რაულ ჩილაჩავა, 1 აგვისტო, 2011, კიევი

შესავალი

დღეს წმინდა სამებაა... ნათელი ქრისტიანული დღესასწაული. სარკმლებს მიღმა ხმაურობს თავსხმა და უმოწყალოდ ფერთხავს წაბლის გადამჭკნარ ყვავილებს. აივნის ღია კარებში შემოჭრილი ზაფხულის გრილი სიო ოთახს ოზონით ავსებს. მარტოხელა მასპინძელთან ჩემს საუბარს თან ერთვის ჭექა-ქუხილი, როგორც კანონადა გარდასული ეპოქისა, სადაც იმდენი მღელვარება, შიში და ტანჯვა-ვაება დარჩა. ამასწინათ იგი სამუდამოდ გამოეთხოვა დედას, რომელიც მისთვის მშობლის გარდა უახლოესი მეგობარიც იყო. დედასთან ერთად მან იწვნია მრავალწლიანი გადასახლების ძირმწარე გემო, გამოსცადა საზოგადოებისგან მოკვეთის მთელი სიმძიმე. დედა ოთხმოცდაშვიდი წლის ასაკში გარდაიცვალა, მაგრამ ბოლომდე შეინარჩუნა უწინდელი სათნოება და ადამიანებისადმი რწმენა. ამბობენ, ყმაწვილქალობაში იგი ენით აუწერელი მზეთუნახავი იყო და მომავალმა მეუღლემ, სხვებს რომ არ დაესწროთ, მოიტაცაო. გათხოვებისთანავე ვეება ტვირთი დააწვა მხრებზე ნინო გეგეჭკორს. ხუმრობა საქმე როდი იყო – მეუღლეს ლავრენტი ბერია ერქვა!.. მათი ერთადერთი პირმშო, რომელთანაც არც თუ იოლი საუბრები მელის, უკვე ხანში შესული კაცია, მაგრამ დედის გახსენებაზე ცრემლებს ვერ მალავს. ანდერძის თანახმად მან დედა თბილისში დაასაფლავა. მამის საფლავი კი არ არსებობს. მამისგან საერთოდ არაფერი დარჩა: არც ნივთები, არც წიგნები, არც საბუთები, არც სახელი და გვარი. თუმცა ჩემს წინ ზის ლავრენტი ბერიას ღვიძლი შვილი, პასპორტის მიხედვით იგი სერგო ალექსის ძე გეგეჭკორია. ასე მოუნათლავთ სუკის ხელისუფალთ "ხალხის მტრის" ვაჟი ათწლიანი გადასახლებიდან განთავისუფლებისას. აქაოდა, საყოველთაო რისხვისგან გიცავთო! სერგო ჯიუტობდა თურმე, არ სურდა თუნდაც დედის გვარზე გადასვლა, მაგრამ მას არწმუნებდნენ: სადაც არ უნდა წახვიდე, სადაც არ უნდა იმუშაო, სულ ერთია, მაინც ამ პასპორტს მოგცემენ, ამიტომ გიჯობს, მიეჩვიო. და ისიც იძულებული გამხდარა თავი მოეჩვენებინა, ვეჩვევიო. სინამდვილეში კი ვერ შეჩვევია, რადგამ მისთვის უცხო გამომდგარა საკუთარი მამის დამსმენი პავლიკ მოროზოვის ფსიქოლოგია.

მე დიდი ხანია ვიცოდი, რომ ჩვენ ერთ ქალაქში ვცხოვრობთ, მაგრამ რამდენჯერაც ვცადე მისი მოძებნა, იმდენჯერვე გადავიფიქრე: მოისურვებს კი "საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტის" შვილი შეხვდეს თანამემამულე მწერალს, რომელსაც მის ოჯახზე წიგნის დაწერა განუზრახავს? ბერიას სახელზე მაშინ საერთოდ ტაბუ იყო დადებული, მას არსად ახსენებდნენ, თითქოს ძველ ლათინელთა რჩევას ასრულებენო: "მიცვალებულებზე ან კარგი ან არაფერი!" ცუდი და გულისამრევი იმდენი იყო ნათქვამი, რომ ას კაცს ეყოფოდა, ხოლო კარგის თქმა თვით წმინდან მიცვალებულებზეც იმ სახელმწიფოში წესად არ ჰქონდათ. აქ კი საქმე ეხებოდა მრავალგზის ცოდვილ პარტიულ ბოსსა და საიდუმლო პოლიციის ყოვლისშემძლე შეფს. მაგრამ ისტორია ძაღლთაპირი რამეა, იგი ჟამიდან ჟამად აღძრავს ხოლმე ინტერესს საკუთარი თავისა და იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უფრო მეტიც, იგი თვითონ არჩევს თავისი გრანდიოზული დადგმებისთვის მთავარ მოქმედ გმირებს და უშეცდომოდ განსაზღვრავს ამა თუ იმ შემსრულებლის ამპლუას.

დრამატიზმითა და ადამიანური ტრაგედიებით აღსავსე მრავალსერიიან ბოლშევიკურ ეპოპეაში ლავრენტი ბერიას ელოდა ოლიმპოს დამპყრობლისა და დამხობილი კერპის როლი, რომელსაც შემდგომ კომუნისტური რეჟიმის ყველა წარმოსადგენ თუ წარმოუდგენელ დანაშაულობებს მიაწერენ. ამჟამად ცხადია, რომ ეროვნებით ქართველი სტალინის ოცდაათწლიანი დიქტატურის შემდეგ ბერიას, ასევე ქართველს, იგი უბიწო კრავიც რომ ყოფილიყო, არ დაინდობდა პოლიტბიუროში თავმოყრილი მგლების ხროვა, რადგან ყოველი მათგანი საკუთარ ტყავს უფრთხილდებოდა. საფრთხილო კი მართლაც ჰქონდათ, რადგან ყოველი მათგანი, თითქმის უკლებლივ, უმაღლესი ხელისუფლებისკენ თანამებრძოლთა გვამებზე გავლით მიიწევდა. მათი ტრავერსები სისხლით იყო შეღებილი: ზოგს მეტი ცოდვა აწვა მხრებზე, ზოგს ნაკლები, მაგრამ განა ამას მნიშვნელობა ჰქონდა? ყველანი ნაჯალათარები იყვნენ. ლავრენტი ბერიაზე უკეთ ეს, აბა, ვის უნდა სცოდნოდა? მისი მოვალეობა იყო ასეთი: ხელთ ჰქონოდა არა მარტო კრემლის, არამედ მთელი ქვეყნის საიდუმლოებანი. ხროვას ესმოდა: სტალინის სიკვდილი ის მიჯნაა, რომელიც შეიძლება მისთვის საბედისწერო გამოდგეს თუ არ მოიშორებს უსაშიშრეს მეტოქეს, მიცვალებული "ხაზეინივით" უცხოტომელს. სტალინის ღამეულ ნადიმებზე ჰოპაკის უბადლო შემსრულებელმა ნიკიტა ხრუშჩოვმა იტვირთა ლიკვიდატორის როლი და თანამზრახველთა "კოლექტიურ გონებაზე" დაყრდნობით მიზანსაც მიაღწია.

მას შემდეგ ზუსტად ორმოცი წელი გავიდა. წარმოუდგენლად შეიცვალა ჩვენი ცხოვრება. წარსულს ჩაბარდა სსრკ, სკკპ, სუკი. ისტორია, რომელმაც ადრე როლები გაანაწილა, ახლა მათ შემსრულებლებს ასამართლებს. წინამდებარე წიგნი ამ სასამართლოსთვის ერთგვარ დამატებით ჩვენებებს შეიცავს.

მე მესმის, რომ საბჭოთა კავშირში რეპრესიების ობიექტურ ისტორიას ვერ დაწერენ როგორც რეპრესირებულთა, ასევე რეპრესიების ჩამტარებელთა შვილები. ერთნიც და მეორენიც შეპყობილნი არიან საკუთარი მშობლების საუკეთესოდ წარმოჩენის სურვილით, მაშინ როცა ჭეშმარიტება სადღაც შუაშია საძებნი. ჩვენც სწორედ იქით უნდა ვისწრაფოთ.

ჩემი თანამოსაუბრე დაინტერესებული, მიკერძოებული პირია, მაგრამ მის მონაყოლს მაინც აქვს გარკვეული მნიშვნელობა იმ საგრძნობი სიცარიელის შესავსებად, რომელიც "ბერიას საქმეში" დღემდე არსებობს. მით უმეტეს, რომ ეს საქმე ჩვეულებრივი, სამართლებრივი გაგებით, დღემდე არ განხილულა. სერგო ბერია დარწმუნებულია: მამამისის სასამართლო საერთოდ არ შემდგარა. ხრუშჩოვისა და ძმათა მისთა ფარსი, სადაც ბრალდებული არ იმყოფებოდა, ანგარიშში ჩასაგდები არაა.

მე ვიცი, რომ ისტორიას არა აქვს თურმეობითი დრო, მაგრამ მაინც ვიტყვი: იმ საბედისწერო ორთაბრძოლაში ლავრენტი ბერიას რომ გაემარჯვა, ვინძლო გულუბრყვილოთა და მალემრწმენთათვის განკუთვნილ "დათბობას" სულ სხვა ავტორი ჰყოლოდა. სამწუხაროდ, ჩვენ გვიხდება მსჯელობა მხოლოდ იმაზე, რაც სინამდვილეში იყო. მაგრამ თავი და თავი სწორედ ის გახლავთ, რომ სინამდვილე, რომელზეც გვინდა ვისაუბროთ, ბურუსითაა მოცული. სიცრუის უძლიერესმა პროპაგანდისტულმა მანქანამ, რომლისთვისაც საბჭოთა ხელისუფლება სახსრებს არასოდეს იშურებდა, თავისი შავი საქმე გააკეთა, ამიტომაც მისხალ-მისხალ გვიწევს ნამყოს შერყვნილი სურათის აღდგენა.

მე ისიც მესმის თუ რაოდენ სარისკოა ლავრენტი ბერიას ახალი, ოფიციალური თვალსაზრისისაგან განსხვავებული კუთხით წარმოჩენა. სულ ახლახან ეს წარმოუდგენელი იყო. მაგრამ ამჟამად, ღირებულებათა ტოტალურად გადაფასებისას, ჩვენ უფლება გვაქვს ბევრი რამე არ დავუჯეროთ საბჭოთა იდეოლოგებსა და ისტორიკოსებს, რომლებმაც სიცრუის ევერესტები აღმართეს. თითქმის დღევანდლამდე ჩვენი საერთო ქვეყნის უახლესი ისტორიის ათასობით ფურცელი სულაც არაა უფრო წრფელი და ობიექტური, ვიდრე ყბადაღებული "სკპ(ბ) ისტორიის მოკლე კურსი". მას სისხარტისთვის მაინც შეიძლება პატივი სცე.

– ეს ხომ მოღალატის გამართლების ვერაგული ცდაა, – იტყვის სწორედ იმ იდეოლოგემებზე აღზრდილი მკითხველი.

– სრულებითაც არა! – ვეტყვი მე მას. – ჩვენ ძირითადად ვისაუბრებთ იმაზე თუ რაში ხედავდნენ ლავრენტი ბერიას დაცემას პოლიტბიუროსა და ცეკას წევრები და როგორ ჟღერს მათი მტკიცებანი დღევანდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ფონზე.

დღეს ბერიას საწინააღმდეგო შეთქმულების მონაწილეთაგან ცოტა ვინმე თუა ცოცხალი. ბევრმა მათგანმა ღრმა სიბერეს მიაღწია და მშვიდად აღესრულა. ისინი შთამომავალთ კრემლის კედლების უღიმღამო ფილებით და ნოვოდევიჩის სასაფლაოს შავ-თეთრი ქვებით თუ შეახსენებენ თავს. რამდენსაც არ ეცადნენ შეთქმულნი საკუთარი ჭეშმარიტი სახის შენიღბვას, მაინც ვერ შესძლეს. ჩვენ კიდევ დიდხანს არ მოგვასვენებს მათი კუშტი, თვალბედითი სახეები და თუმცა აღარ არსებობს ქვეყანა, რომელსაც ისინი თითქოს აშენებდნენ, და აღარაა წყობილება, რომელიც სურდათ მთელი მსოფლიოსთვის მოეხვიათ თავს, ჩვენ, თანამედროვენი, ალბათ, ბოლომდე ვერასოდეს შევძლებთ მათ დავიწყებას. თუმცა წარსულის მამხილებელი ახალ-ახალი საბუთების სამზეოზე გამოტანა ჩვენი გაოხრებულ-გავერანებული ქვეყნების ხვედრს ვერ შეგვიმსუბუქებს, მათი ცოდნა აუცილებლად მიმაჩნია. უპირველესად იმიტომ, რომ, როგორც ეს არაერთგზის მომხდარა, უფრო დიდი და საშიში სიცრუე არ წარმოშვას. ღმერთმა ინებოს, რომ ყველას ჩვენ-ჩვენი მომავალი გვექნეს, მაგრამ წარსული, რომელშიც ავად თუ კარგად ერთად ვცხოვრობდით, ყველა ჩვენგანს ეკუთვნის. მე და ჩემი თანამოსაუბრე მივემგზავრებით იქით, წარსულში, რომელიც, სამწუხაროდ, არ იქცა ჩვენს ნათელ მომავლად.

ჩემს მშობლებს სიყვარული და ურთიერთნდობა აკავშირებდა

– ბატონო სერგო, მე ვიცი, რომ მამათქვენი დაიბადა 1899 წლის 30 მარტს ღარიბი გლეხის ოჯახში. ხომ არ მოგვიყვებოდით უფრო ვრცლად, ვინ იყვნენ თქვენი წინაპრები?

– ბაბუაჩემმა პავლე ბერიამ სიჭაბუკე სამეგრელოში გაატარა, მაგრამ ადგილობრივ ხელისუფლებასთან უთანხმოების გამო იძულებული გახდა სახლ-კარი მიეტოვებინა და აფხაზეთის მიყრუებულ სოფელ მერხეულში გადასახლებულიყო. წარმოშობით იგი მარტვილის მახლობელი სოფლიდან გახლდათ, სადაც ცხოვრობდნენ და ახლაც ცხოვრობენ ჩემი მოგვარეები. მათ შორის ბიძაშვილ-მამიდაშვილები, ახლობელი და შორეული ნათესავები. ბევრ მათგანს, რომლებმაც გაჭირვების ჟამს ზურგი არ შემაქციეს, დღესაც ვხვდები. მამაჩემის დედა – ბებია მართა – ჯაყელის ქალი იყო. ჩვენი ოჯახის მოსკოვში გადასვლამდე იგი ჩვენთან ცხოვრობდა და მე მზრდიდა. გარდაიცვალა 1955 წელს, მას შემდეგ, რაც მე და დედაჩემი ციხიდან გამოვედით. მთელი წელი ვეძებდით ბებიებს (როგორც მამის, ასევე დედის მხრიდანაც), რომლებიც ბინებიდან გაესახლებინათ და სადღაც გორის შემოგარენში მოხუცთა სახლში გაემწესებინათ. ნათესავთაგან არავის, მათ შორის შვილებსაც, არ მისცეს თურმე მათი შინ წაყვანის ნება.

– მამას და-ძმა ჰყავდა?

– დიახ, ღვიძლი და ანეტა. ისიც ჩვენთან ცხოვრობდა, მაგრამ მოსკოვს ვერ შეეგუა და ერთი წლის მერე ბებია მართასთან ერთად თბილისში დაბრუნდა. ეს განათლებული ქალი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ყრუ-მუნჯი გახდა. ქმარ-შვილთან ერთად აბაკანში სასჯელის მოხდის შემდეგ მამიდა გარდაიცვალა, ხოლო მისი ქალიშვილი თბილისში ცხოვრობს. მამას ჰყავდა აგრეთვე ნახეარძმა კაპიტონ კვარაცხელია, რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციამდე ბიძასთან, ბებიაჩემის ძმასთან ერთად მანჯურიაში გაემგზავრა საშოვარზე და საბჭოთა კავშირში 1935 თუ 1936 წელს დაბრუნდა. ერთ ხანს იგი ჩვენთან ცხოვრობდა, მაგრამ მოგვიანებით სოხუმში გადასახლდა, სადაც ნავთობბაზას განაგებდა.

– მე მსმენია, ბებია მართა მეტად ღვთისმმოსავი ქალი იყოო...

– სწორს ბრძანებთ. ბებია ეკლესიაში დადიოდა და ქრისტიანული ცხოვრების წესს იცავდა.

– როგორ უყურებდა ამას შვილი?

– ერთ ამბავს მოგიყვებით. სკოლაში ჩვენ გვქონდა ოქტომბრელ უღმერთოთა წრე. მე როგორც ამ წრის წევრმა, პირველი "აქცია" ასე ჩავატარე: გავაფუჭე ძველი ხატი, რომელსაც ბებია კარადაში ინახავდა. სამსახურიდან დაბრუნებულმა მამამ შენიშნა, რომ ბებია ნაწყენი იყო და მიზეზი ჰკითხა. ბებიამ გაჩუმება არჩია, მე კი სიამაყით მოვუყევი თუ როგორ ავუგე წესი ბებიას რელიგიური თაყვანისცემის საგანს. მამამ გაფუჭებული ხატი მომატანინა, ხოლო დედაჩემს პოზირება სთხოვა. იგი ორი საათი ხატავდა. მერე თავისი ნამუშევარი ჩარჩოში ჩასვა და ბებიას გადასცა ამ სიტყვებით: "ბავშვს, აბა, რა უნდა მოსთხოვო? იგი ჩვენი დროის აღზრდილია". მე მერე მოსვენებას არ ვაძლევდი ბებიას: "გამაგებინე, როგორ ლოცულობ ამ ხატზე? შენ ხომ იცი, ღვთისმშობელი კი არა დედაჩემია გამოსახული?" ბებია პასუხად მეტყოდა: "შვილო, როცა გაიზრდები, მიხვდები, რომ ეს ნახატი ჩემთვის წმიდათა-წმიდაა!"

– პირველად მესმის, რომ ლავრენტი ბერია ხატავდა...

– იგი ძალიან კარგად ხატავდა და ამ გატაცებაში აქსოვდა მთელ თავის შთაგონებას. მუშაობდა ზეთით, აკვარელით, ნახშირით. თავის ნამუშევრებს ირონიულად უყურებდა, მაგრამ მხატვრებთან მეგობრობდა და ფერწერის სიყვარულსაც არ მალავდა. უფრო მეტიც, გულით ეწადა, რომ თვითონაც მხატვარი გამოვსულიყავი. მე კი ტექნიკა ავირჩიე. სხვათა შორის, ისიც მისი ლოცვა-კურთხევით.

– თავად მამათქვენს რა განათლება ჰქოდა?

– როცა მამას ექვსი წელი შეუსრულდა, ბაბუამ თურმე გაყიდა თავისი ერთი მუჭა ქონება და შვილი სოხუმის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში გაგზავნა. მას თან გაჰყვა ბებია მართაც, რომელიც რამდენიმე წელიწადი შვილიშვილთან ერთად ნაქირავებ ოთახში ცხოვობდა. ქართული სკოლები მაშინ თითქმის არ არსებობდა, მშობლიურ ენას დევნიდნენ, სწავლა რუსულ ენაზე მიდიოდა. მე მინახავს მამაჩემის ატესტატი: მასში მხოლოდ ფრიადები ეწერა. სასწავლებელი რომ წარჩინებით დაამთავრა, მამა განათლების გაგრძელებაზე დაფიქრდა. მას ძალიან იტაცებდა არქიტექტურა და სამშენებლო საქმე. ამ პროფესიების ასათვისებლად საჭირო იყო პეტერბურგში ან ბაქოში გამგზავრება, სადაც შესაბამისის ფაკულტეტები არსებობდა. არჩევანი ბაქოზე შეჩერდა – ეს ახლოსაც იყო და იაფიც ჯდებოდა. ბაბუამ დარჩენილი ავლა-დიდებაც გაყიდა, გზის ფული მოაგროვა და ვაჟს გზა დაულოცა. მამა თხუტმეტი წლის ყმაწვილი იყო, როცა ბაქოს მექანიკური-სამშენებლო სასწავლებლის სტუდენტი გახდა. 1917 წლის ზაფხულში იგი რუმინეთის ფრონტზე გაემგზავრა, როგორც ტექნიკოსი-პრაქტიკანტი, ხოლო მისი სამხედრო ნაწილის დაშლის შემდეგ ბაქოში დაბრუნდა. 1919 წელს მამამ სასწავლებელი ფრიადზე დაამთავრა და არქიტექტორ-მშენებელი ტექნიკოსის დიპლომა მიიღო.

– ცნობილია, რომ ლავრენტი ბერია 1922 წლის ნოემბრამდე ცხოვრობდა აზერბაიჯანში, სადაც საიდუმლო-ოპერატიული ნაწილის უფროსისა და ჩეკას თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობას ასრულებდა. რას გვეტყოდით მამის ბაქოში მოღვაწეობაზე?

– ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში ქართულმა სათვისტომომ მამა რსდპ (ბ) უჯრედის ბიუროს მუშაობაში ჩააბა. რამდენიმე ახალგაზრდასთან ერთად იგი მუსავატისტებტან შეგზავნეს, რათა მათი სტამბის ადგილსამყოფელი და შეხვედრის ადგილები დაედგინათ. ეს მტკიცდება საბუთებით, რომლებსაც დღემდე მალავენ. არალეგალური სამუშაოს ამ უბანს ანასტას მიქოანი განაგებდა და მამაჩემის იქ საქმიანობაზე მას უამბნია ჩემთვის. ბაქოს 26 კომისრის დაღუპვის შემდეგ მამა XI არმიასთან ერთად საქართველოში გაგზავნეს მენშევიკებთან საბრძოლველად. მთავრობის წინააღმდეგ ძირგაგმომთხრელი საქმიანობისთვის იგი დააპატიმრეს და მოათავსეს ქუთაისის ციხეში, საიდანაც მალე გაანთავისუფლეს სერგეი კიროვის დაჟინებული მოთხოვნით. დღეს ათასგვარ მონაჭორს გაიგონებთ: ბერიამ ციხეში შიმშილობა ჩაშალაო, თუმცა სინამდვილეში იგი ამ შიმშილობის ორგანიზატორი იყო. მე სხვა რამეს გეტყვით: მამამ უარი თქვა ციხიდან გაქცევაზე, რომლის მთავეც იყო შალიკო წერეთელი, საბრძოლო ოფიცერი, გიორგის ჯვრის კავალერი. მაშინ სერგეი კიროვი უკვე აწარმოებდა მოლაპარაკებას მამის განთავისუფლების თაობაზე და გაქცევას მხოლოდ შემდგომი დევნა შეეძლო გამოეწვია. წერეთელი მამას არ დავიწყნია და გასაბჭოების შემდეგ ჩეკაში სამუშაოდ მიიწვია. სამწუხაროდ, 1953 წელს იგი დახვრიტეს, როგორც ბერიას თანამზრახველი.

– ამჟამად ბევრს წერენ და ლაპარაკობენ ბერიას როლზე საქართველოში 1924 წლის კონტრრევოლუციური ამბოხების ჩახშობაში...

– მამამ (მაშინ მას საქართველოს ჩეკას ოპერატიული ნაწილის უფროსისა და ჩეკას თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა ეკავა) იცოდა მენშევიკების მზადების შესახებ. ჩეკა იმდენად იყო ინფორმირებული მომავალ აქციაზე, რომ მას იმთავითვე დამარცხება ეწერა.

– ასე უნიათოდ მოქმედებდნენ მენშევიკები თუ პირიქით, ყოჩაღად მუშაობდა ჩეკა?

– მე ვიტყოდი, რომ უნიათოდ მოქმედებდნენ მენშევიკები. მათ შორის, რა თქმა უნდა, პროფესიონალებიც ერია, მაგრამ შეცდომა ის გახლდათ, რომ მენშევიკებმა კონსპირაციულ საქმიანობაში ბევრი ხალხი ჩააბეს, რომლებიც მერე ვერ გააკონტროლეს. მათ რამდენადმე იჩქარეს და თამაშის წესი დაარღვიეს. სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად (ორჯონიკიძის თანხმობით) მამამ შეგნებულად გაავრცელა ინფორმაცია, რომ ჩეკასთვის ცნობილია ყველაფერი: გამოსვლის თარიღიც, არსენალის ადგილსამყოფელიც, იარაღის შემოზიდვის მარშრუტიც და ა.შ. მენშევიკების ხელნძღვანელთა უმრავლესობამ ეს არ დაიჯერა და საქართველოში გამოგზავნა ვალიკო ჯუღელი, ეროვნული გვარდიის მეთაური, ჭკვიანი პიროვნება და ნამდვილი რაინდი. მისი გამოჩენა მამამ მაშინვე გაიგო და სანდო პირის მეშვეობით ერთხელ კიდევ გააფრთხილა იგი ამბოხების უაზრობაზე. მამა სთავაზობდა ვალიკო ჯუღელს თანამზრახველნი გარდუვალ მარცხში დაერწმუნებინა და სასწრაფოდ დაეტოვებინა საქართველო.

ჯუღელმა გაფრთხილება ყურად არ იღო. პირიქით, თბილისის ცენტრში, პლეხანოვის პროსპექტზე, გასეირნება გადაწყვიტა. იქ იგი რომელიღაც ქალმა იცნო და ჩეკას შეატყობინა. მისი აშკარად გამოქმაგება მამას არ შეეძლო. უკვე ციხიდან ჯუღელმა თავისიანებს გაფრთხილება შეუთვალა, მაგრამ იგი სიყალბედ ჩათვალეს. ამბოხება დამარცხდა, ხოლო საქართველოს სასტიკი რეპრესიების ტალღამ გადაუარა. მოგეხსენებათ, რესპუბლიკას მაშინ მართავდა არა ლავრენტი ბერია...

– დიმიტრი ვოლკოგონოვი თავის წიგნში "ტრიუმფი და ტრაგედია" გადმოგვცემს ბერიას სტალინთან გაცნობის საკუთარ ვერსიას. თითქოს მათ ერთმანეთი გაეცნოთ 1929 ან 1930 წელს წყალტუბოში. ა. ანტონოვ-ოვსეენკოს მიაჩნია, რომ ისინი ერთმანეთს გაეცვნენ 1924 წელს, როცა გენერალურმა მდივანმა საქართველოს ცეკასა და გეპეუს ხელმძღვანელი მუშაკები მიიღო, ასე ვთქვათ, პუტჩისტებზე გამარჯვების შემდეგ. ბელადთან შეხვედრა იყო მიჯნა, რომელმაც განსაზღვრა ლავრენტი ბერიას მთელი მომავალი ცხოვრება. იგი უთუოდ მოგიყვებოდათ თქვენ ამის შესახებ...

– საოჯახო გადმოცემიდან ვიცი, რომ მამა, როგორც პერსპექტიული მუშაკი, სტალინს პირველად წარუდგინა ორჯონიკიძემ 1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე. მაშინ, როგორც ცნობილია, სტალინი საქართველოს ეწვია.

– ეს შეხვედრა შეიძლებოდა მნიშვნელოვანი ყოფილიყო ბერიასთვის, მაგრამ თვითონ სტალინს თუ დაამახსოვრდა იგი?

– ვფიქრობ, რომ დაამახსოვრდა. 1924 წლის ამბოხების ანალიზისას ცნობილი გახდა ფაქტები, რომლებიც ადატურებდნენ გამოსვლის აღსაკვეთად ბერიას მიერ მიღებულ ენერგიულ ზომებს. სტალინს სწორედ მაშინ გაახსენდა ახალგაზრდა ჩეკისტი, რომელსაც თურმე პოლიტიკური ალღოც ჰქონია.

– 1931 წლის ნოემბერში ლავრენტი ბერია ხდება სკპ (ბ) ამერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მეორე მდივანი და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ერთი წლის მერე კი ამერკავკასიის კპ (ბ) და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. ასე დაიწყო მისი პარტიული კარიერა. როგორ ფიქრობთ, რით აიხსნება მამათქვენის მსგავსი სამსახურებრივი აღმასვლა?

– ალბათ გაოცდებით, როცა გეტყვით, რომ მამას ყოველთვის უნდოდა როგორც ჩეკას, ასევე ცეკას დატოვება. მას სურდა ინჟინერი გამხდარიყო და წარმატებისთვის ამ სფეროში მიეღწია. სასწავლებლის მერე მან ექსტერნად დაამთავრა ბაქოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სამი კურსი. დედა იგონებდა, რომ მამა ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმების მერეც, როცა იგი ცეკას მდივანი იყო, სწავლის გაგრძელებას ითხოვდა. მაგრამ იმ დროისთვის მას უკვე გამოცდილ საკადრო მუშაკად თვლიდნენ და, ცხადია, თხოვნა არ შეუსრულეს. აღსანიშნავია, რომ მამამ საქმით გატაცება იცოდა და უთუოდ ღრმად უნდა ჩასწვდომოდა ყველაფერს, რასაც აკეთებდა. მაგალითად, როცა კოლხეთის ჭაობების დაშრობა და იქ ციტრუსების დარგვა დაიწყეს, მან სპეციალურად შეისწავლა ყველაფერი, რაც მათ მოვლა-გაშენებას შეეხებოდა. მე თვითონ ვიყავი მოწმე, რა ცოდნას დაეუფლა მამა რაკეტათმშენებლობის, ატომური და წყალბადის ბომბის წარმოების სფეროში, რა პროფესიულად კამათობდა იგი დიდ მეცნიერებთან ამა თუ იმ საკითხის ტექნიკურ წვრილმანთა გამოკვლევისას. მამამ დამოუკიდებლად შეისწავლა ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენები. ამ ენებზე მას ნებისმიერი ლიტერატურის წაკითხვა შეეძლო. რუსულად იგი ქართული აქცენტით ლაპარაობდა, მაგრამ უშეცდომოდ წერდა. დილით ორი-სამი საათი აუცილებლად მუშაობდა, კითხულობდა სხვადასხვა მასალებს. საკდესისა და დაზვერვის მასალების ჩათვლით დღეში 300-400 გვერდი გამოსდიოდა. კითხულობდა ჩვეულებისამებრ ფანქრითა და ბლოკნოტით ხელში. ამით იმის ხაზგასმა მინდა, რომ ლავრენტი ბერია არც ისეთი უწიგნური და უბირი ყოფილა, როგორადაც მას ხშირად წარმოგვიდგენენ ხოლმე. მამის დაწინაურებისას უთუოდ იყო გათვალისწინებული მისი საქმიანი თვისებები.

– ამბობენ, რომ ლავრენტი ბერიას უმაღლეს პარტიულ თანამდებობაზე დანიშვას საქართველოს მოსახლეობისა და ინტელიგენციის ნაწილი უკმაყოფილოდ შეხვდაო. უფრო მეტიც, ამტკიცებენ, რომ ცეკას თანამშრომლები პროტესტის ნიშნად სამსახურში არ გამოცხადდნენ და მამია ორახელაშვილს მათი დამუნათება მოუხდა: გონს მოეგეთ, ბერია სტალინის კაციაო. ეს სიმართლეა თუ ავისმოსურნეთა მონაჭორი?

– ვშიშობ, რომ უკვე აღარ არიან ცოცხალნი ის მოწმეები, რომლებსაც შეეძლოთ ამ ხმების დადასტურება ან უარყოფა. ჩემი მონაცემებით რამდენადმე მნიშვნელოვან წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია. მხოლოდ ასაკით უფროსი ზოგიერთი ხელმძღვანელი, რომელსაც მართლაც მეტი წონა ჰქონდა პარტიაში, გულისწყრომას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი მათთან მოუთათბირებლად დანიშნეს. ბუდუ მდივანი, მაგალითად, არ მალავდა, რომ ძველი ბოლშევიკები ბერიას აღიქვამდნენ, როგორც ნიჭიერ კაცს, მაგრამ არა როგორც რესპუბლიკისა და მხარის ლიდერს. მიზეზი, რა თქმა უნდა, მარტო მამის ახალგაზრდული ასაკი როდი იყო. პარტიული ჩინოვნიკები პოლიტიკურ პოლიციაში მუშაობას პარტიულ აპარატში მუშაობის ჯუფთად არ მიიჩნევდნენ. ოღონდ ეგაა, ისინი არ ითვალისწინებდნენ იმ ფაქტს, რომ ჩეკაში მომუშავე ხალხი მეტ ინფორმაციას ფლობდა და მასების განწყობილებებისა თუ მოვლენების პროგნოზირებაშიც უფრო გაწაფული იყო.

– ლავრენტი ბერიასთვის საეტაპო გახდა 1935 წლის 21-22 ივლისს თბილისის პარტაქტივის კრებაზე წაკითხული მოხსენება "ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის". ხელისუფლების მწვერვალზე ლავრენტი ბერიას ასვლას უკავშირებენ სწორედ ამ მოხსენებას, რადგან მასში ხოტბაშესხმული იყო იოსებ სტალინის რევოლუციური წარსული. ამავე დროს იმასაც ამბობენ, რომ მოხსენება, რომელიც მერე იქცა წიგნად, პარტიულ ბესტსელერად, სულაც არ დაუწერია ლავრენტი ბერიას და, რომ მისი ნამდვილი ავტორები სულ მალე გაანადგურესო...

– თუ საუბარია მწვერვალზე, მამა მაშინ უკვე იქ იმყოფებოდა...

– მე მხედველობაში მაქვს მისი მოსკოვში გადაყვანა უფრო დიდ თანამდებობაზე, ბელადთან დაახლოება, პოლიტბიუროში შეყვანა...

– იმედი უნდა გაგიცრუოთ: ის, რომ წიგნი რამდენიმე კაცის დაწერილი იყო, არც არავის დაუმალავს.

– მაშინ რატომ მოსპეს მისი ავტორები?

– დახვრიტეს, სამწუხაროდ, ერიკ ბედია, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალის დირექტორი, მეტად სიმპათიური და ნიჭიერი კაცი. მე მახსოვს მისი გახსნილი და მხიარული სახე. იგი ხშირად მოდიოდა ჩვენს სახლში, საუბრობდა მამასთან. მოდიოდნენ სხვა თანაშემწეებიც – მოხსენება ხომ კოლექტიური ნაშრომი იყო. მას ერთად წერდნენ, აჯერებდნენ მასალებს, მსჯელობდნენ. მოხსენება კეთდებოდა ცეკას სახელით, ჩვენში ხომ ავტორად დღემდე მომხსენებელს თვლიან და ამაში რაიმე სათაკილოს ვერ ხედავენ. ასე იყო მაშინაც.

– არსებობს ვარაუდი, რომ მოხსენება სტალინის დაკვეთით დაიწერა...

– არა მგონია, რომ პირდაპირი დაკვეთა არსებულიყო, თუმცა საიდუმლოს არ წარმოადგენდა სტალინის უკმაყოფილება ბუდუ მდივანისა და ფილიპე მახარაძის საქციელით, რომლებიც ცდილობდნენ შეელამაზებინათ თავიანთი რევოლუციამდელი დამსახურებანი და დაეჩრდილათ ახალგაზრდა ჯუღაშვილი, ვისაც ოქტომბრამდე პარტიაში არ ჰქონია ისეთი ავტორიტეტი, შემდგომ რომ შეიძინა. ამ თვალსაზრისით მოხსენება მართლაც უსვამდა ხაზს სტალინის როლს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის შექმნაში. მე ვიცი, რომ ძმები სტურუები, რომლებიც ბუდუზე არანაკლები რევოლუციონერები იყვნენ, დიდად აფასებდნენ იმ პერიოდში სტალინის მოღვაწეობას.

– როგორ მოხდა, რომ ერიკ ბედია, რომელსაც თქვენ ასე თბილად იხსენებთ, დახვრიტეს? ნუთუ ლავრენტი ბერიას არ შეეძლო მისი გადარჩენა?

– რეპრესიების დასაწყისში განკარგულებები მხოლოდ და მხოლოდ ცენტრიდან მოდიოდა. ყველაფერს წყვეტდნენ სკპ (ბ) ხელმძღვანელი ორგანოები და არა იაგოდა, ეჟოვი, შინსახკომი საერთოდ.

– ნუთუ მათ იცოდნენ, ვინ რას აკეთებდა რესპუბლიკებში?

– იცოდნენ. მათ იქ ჰქონდათ ინფორმაციის საკუთარი არხები, რომელთა მეოხებითაც იღებდნენ ცნობებს და გადასცემდნენ დირექტივებს. მამაჩემი, როცა საქმე ახლობელ ადამიანს ეხებოდა, პირდაპირ სტალინს მიმართავდა ხოლმე. უფრო, ალბათ, წერილობით, რადგან მასთან ტელეფონით დალაპარაკება არც თუ ადვილი იყო. მამა ბელადს რამდენჯერმე ჰხლებია კიდეც, რათა უბრალოდ დაპატიმრებულებს გამოსარჩლებოდა. მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო სერგო ორჯონიკიძე, რომელმაც ხელი შეუწყო მამაჩემის პარტიულ სამუშაოზე გადასვლას. სწორედ ორჯონიკიძეს უთქვამს მამაჩემისთვის: იჯექი შენთვის და ნუ გამოეჩრები. შენზე კიდევ უფრო უარესი სამხილები არსებობს და თუ სამართლიანობისთვის ბრძოლას დაიწყებ, უპირველესად თვითონ ამოჰყოფ თავს ვირის აბანოშიო. მე ეს დედამ მიამბო, რომელიც იმ საუბარს შესწრებია. სერგო ემოციური კაცი იყო და ძალიან განიცდიდა შექმნილ ვითარებას. გული მწყდება, რომ მას ამჟამად ქართველი ერის მტერს ეძახიან. რატომღაც გულუბრყვილოდ მსჯელობენ: ორჯონიკიძე რომ არა, XI არმია საქართველოში ვერ შემოვიდოდაო. შემოვიდოდა და თანაც როგორ! ივანოვის, პეტროვის, სიდოროვის მეთაურობით... სულ ერთია, მაინც შემოვიდოდა. სხვა საქმეა, რომ სერგომ სტრატეგიული შეცდომები დაუშვა...

– მომიტევეთ, მაგრამ თბილისის აღებისთვის მოსკოვის მიერ ნაბოძები ორდენიც შეცდომაა? ქართველი კაცის მკერდს როგორ უნდა ამშვენებდეს ასეთი საშინელი ჯილდო?

– სწორი ბრძანებაა, მაგრამ მე მაინც მეჩვენება, რომ სერგო ცდილობდა დადებითი როლის შესრულებას, ქვეყანაში მიმდინარე მწვავე პროცესების შენელებას. ეს ჩემი პირადი აზრი გახლავთ.

– როგორ გაიმეტა ლავრენტი ბერიამ, რომელიც ორჯონიკიძისგან თურმე დავალებულიც კი იყო, საცხოდ და დასახვრეტად მისი ძმა პაპულია?

– პაპულია ორჯონიკიძე ჩვენს სახლში ცხოვრობდა, ამიტომ მას კარგად ვიცნობდი. იგი მუდამ მნიშვნელოვან თანამდებობებზე იყო, მაგრამ მოქეიფის, მონადირისა და დარდიმანდის სახელი ჰქონდა გავარდნილი. სერგოს, უკაცრავად პასუხია და, მხოლოდ ძღნერს ეძახდა, სოციალიზმს კი მიწასთან ასწორებდა...

– კაი კაცი ყოფილა პაპულია, რას ვერჩით...

ახლა კი შეიძლება ასე თქმა, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო. სერგომ კარგად იცოდა პაპულიას ასავალ-დასავალი. იგი ძმაზე ნაწყენი იყო და თბილისში ჩამოსვლისას ჩვენთან ჩერდებოდა ხოლმე. დღევანდელი სამზერიდან პაპულიას, ალბათ, დემოკრატად ჩათვლიდნენ, მაგრამ არსებული წყობილების აბუჩად აგდება და გაქიაქება იმჟამად არ ეპატიებოდა თვით იმ კაცის ძმასაც, ვინც ამ წყობილებას ამკვიდრებდა და სათავეში ედგა.

– მაინც უწინდელ კითხვას მინდა დავუბრუნდე: მოსკოვში ვინ იცოდა, რომ სადღაც არსებობს ვინმე ერიკ ბედია, რომელიც უსათუოდ უნდა დაიხვრიტოს?

– საგანგებო აგენტურას შეეძლო ცენტრისთვის ეცნობებინა ბედიას კერძო, არასახარბიელო გამონათქვამები პარტიის პოლიტიკაზე, რაც სავსებით საკმარისი იყო უმკაცრესი განაჩენისთვის. უნდა შევნიშნო: ჩვენი ინტელიგენციის უბედურება არის ის, რომ იგი ბევრს ლაპარაკობს და ცოტას აკეთებს.

– 1937 წელი ქართული კულტურისთვის (და არა მარტო კულტურისთვის) ტრაგიკულ წლად იქცა: დახვრიტეს მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, სანდრო ახმეტელი, ევგენი მიქელაძე, თავი მოიკლა პაოლო იაშვილმა... როგორ გესახებათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივნის როლი ამ ეროვნულ უბედურებაში?

– იცით, მე მაშინ სრულიად პატარა ვიყავი...

– სხვათაშორის, რომელ წელსა ხართ დაბადებული?

– 1924 წელს.

– მაშინ მართლაც პატარა ყოფილხართ, მაგრამ მერე ხომ ბევრი რამე გახდა თქვენთვის ცნობილი!

– ვერ ვიტყვი, შეეძლო თუ არა მამას მოსკოვის მიერ პროვოცირებული პროცესების შეჩერება. ვიცი, რომ იგი ცდილობდა იმ მეცნიერების გადარჩენას, რომლებსაც განათლება გერმანიაში ჰქონდათ მიღებული და ხელისუფლება ეჭვის თვალით უყურებდა. დედაჩემის თქმით, მამა მათ ურჩევდა თურმე: დასჯერდით რაიმე უწყინარ თანამდებობას, თქვენ მომავალ საქართველოს სჭირდებითო. სწორედ მამის წყალობით გადარჩა ზოგიერთი მწერალი და მეცნიერი. ვთქვათ, კონსტანტინე გამსახურდია, შალვა ნუცუბიძე...

– ნუცუბიძე ხომ იჯდა ციხეში?

– იგი "იჯდა" მოსკოვში და მამაჩემის რჩევით რუსულად თარგმნიდა "ვეფხისტყაოსანს". მამა არწმუნებდა ბატონ შალვას: თარგმნე პოემა, შენ ხომ ბრწყინვალე პოეტი ხარ. მერე შენი ნაშრომი სტალინს ვაჩვენოთ – შეუძლებელია, მის წაკითხვაზე ქართველს გული არ შეუტოკდესო. და მართლაც, – თქვენ ეს უსათუოდ კარგად მოგეხსენებათ, – სტალინი ცხოვლად დაინტერესდა ნუცუბიძის თარგმანით და მისი ფაქტიური რედაქტორიც გახდა... მოგვიანებით შალვა ნუცუბიძე, გონებამახვილი და ენამოსწრებული კაცი, გამუდმებით აღნიშნავდა თურმე – სტალინი ერთი სტროფის თარგმნაში დამეხმარაო (რაც მართალი იყო), ოღონდ სტროფს არასოდეს ასახელებდა. კრიტიკოსებს ეშინოდათ, ვაითუ სტალინს თარგმანს ცუდად შევეხოთო და ამიტომ ხოტბას ასხამდნენ მთელ ნაშრომს. თუმცა იგი ამ მცირე ეშმაკობის მიუხედავადაც იმსახურებდა ქებას.

– თქვენს ბიბლიოთეკაში მე ვხედავ კონსტანტინე გამსახურდიას წიგნებს. თქვენ ჰყვებოდით, იგი ხშირად სტუმრობდაო ჩვენს ოჯახს, მეგობრობდაო მამაჩემთან. რაღა დასამალია და ზოგ-ზოგნი ოცდაჩვიდმეტში გამსახურდიას გადარჩენას ბერიას მეგრულ პატრიოტიზმს მიაწერენ...

– ის, რომ მამაჩემი გულგრილი არ იყო სამეგრელოს, თავისი, როგორც იტყვიან, მცირე სამშობლოს მიმართ, უდავოა. დედას იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მეგრულად ელაპარაკებოდა. ეს მისი ბუნებრივი მოთხოვნილება იყო. უდავოა ისიც, რომ მამას აინტერესებდა კოლხების, ლაზების, მეგრელების ისტორია. საფიქრებელია, რომ კონსტანტინე გამსახურდიას იგი აფასებდა უპირველესად, როგორც ამ ისტორიის უბადლო მცოდნესა და შთაგონებულ მომღერალს. საერთოდ კი მამა ე. წ. მეგრული სეპარატიზმის წინააღმდეგი იყო. მე კარგად მახსოვს თეთრწვერა ისაკ ჟვანია, სამეგრელოს ავტონომიის იდეით შეპყრობილი პიროვნება.

– იგი მეგრულად გაზეთსაც კი უშვებდა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი "ყაზახიში გაზეთით" გაწებილი სამზადი სოფელში.

– ჩვენ კი ის გაზეთი შინ მოგვდიოდა. ერთხელ ჩვენ მთელი ოჯახით შევიარეთ ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, – ეს იყო კოლხეთის ჭაობების დაშრობასთან დაკავშირებით მამაჩემის დასავლეთ საქართველოში მოგზაურობისას, – და მე იქ პირველად ვნახე ისაკ ჟვანია. იგი ჯიუტად კამათობდა მამასთან და გაგონებაც არ სურდა იმისა, რომ სამეგრელოს ავტონომიას შეეძლო საქართველოს ერთიანობისთვის ზიანი მოეტანა. როგორც ახლა ვხვდები, 50-იან წლებში შეთითხნილი "მეგრული საქმე" დაიწყო სწორედ ასეთი გულუბრყვილო, თავისებურად პატიოსანი და ალალმართალი ხალხის პროვოცირებით. გაცილებით ადრე საქართველოს ჩეკაში იყო იაგოდასთან, შემდგომ კი ეჟოვთან დაკავშირებული ხალხი, რომლებსაც მამის გზიდან ჩამოშორება ეწადათ. სამხილთა შეგროვების შემდეგ ისინი ბერიას წინააღმდეგ გაილაშქრებდნენ. ამ "საქმეს" აქტიურად აკოწიწებდა, როგორც მერე გამოირკვა, შინსახკომის უფროსი კილაძე.

– დავუბრუნდეთ კვლავ ლავრენტი ბერიას როლს ქართული ინტელიგენციის ტრაგედიაში...

– ჩემთვის ჯოჯოხეთურად ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. 1937 წელს მამა რესპუბლიკის ხელმძღვანელი იყო და ნებისმიერ შემთხვევაში პასუხს აგებს მაშინ იქ დატრიალებულ ცოდვებზე, თუმცა დანამდვილებით ვიცი, რომ იგი ბევრ რამეში ნამდვილად არაა დამნაშავე. ავიღოთ თუნდაც სანდრო ახმეტელის ტრაგედია. მას, როგორც უნიჭიერეს ხელოვანს, მამა დიდი პატივისცემით ეპყრობოდა. მაგრამ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი სანდრო ახმეტელი იყო, როგორც ბევრ სხვა თეატრში, შინაგანი უთანხმოება არსებობდა. გამოჩენილი მსახიობები აკაი ხორავა და აკაკი ვასაძე მას ებრძოდნენ, თუმცა ეს ბრძოლა უფრო პირადული იყო, ვიდრე პოლიტიკური. თუ იმ წლების დოკუმენტებს მივმართავთ, რომლებიც სანდრო ახმეტელის დახვრეტის საბაბად იქცა, ვეჭვობ, რომ მთავარი დამნაშავე ლავრენტი ბერია აღმოჩნდეს...

– ვთქვათ და ახმეტელი კოლეგებმა "ჩაუშვეს", მაგრამ რა ვუყოთ მიხეილ ჯავახიშვილს? მე წამიკითხავს მისი ქალიშვილის მოგონებანი, სადაც წერია, მამაჩემის "საქმეს" სულ რაღაც ნახევარი გვერდი უჭირავს და გერმანიის სასარგებლოდ ჯაშუშობის მკრეხელურ ბრალდებას შეიცავსო.

დედაჩემისგან ვიცი, რომ მ. ჯავახიშვილის "საქმეში" პირადად სტალინის ხელი ერია, რომელიც განუწყვეტლივ ადევნებდა თვალს ქართულ ლიტერატურას და საკუთარი აზრი გააჩნდა მის მოღვაწეებზე. საკუთარი აზრი ჯავახიშვილის შესახებ მას გამოუთქვამს როგორც ქართველი, ასევე საკავშირო ხელმძღვანელებისთვის.

– თქვენ გინდათ თქვათ, რომ მიხეილ ჯავახიშვილი თვით სტალინმა დაახვრეტინა?

– დიახ! მისი ბედი მოსკოვში გადაწყდა და არა თბილისში. მე ვერ აგიხსნით თუ რამ მიაღებინა სტალინს ასეთი გადაწყვეტილება, მაგრამ სიტყვას გაძლევთ, ეს არ ყოფილა ერთადერთი შემთხვევა. შესაძლოა, სხვა მოღვაწენიც გახდნენ მისი ეჭვიანობის მსხვერპლნი. ამით მე სრულებითაც არ ვამართლებ მამაჩემს: ბოლოს და ბოლოს, თუკი სტალინს არ ეთანხმებოდა, შეეძლო თანამდებობაზე უარი ეთქვა და გადამდგარიყო. ის კი არ გადადგა. თუმცა ცნობილია, რასაც ნიშნავდა სტალინის დროს პროტესტის ნიშნად გადადგომა.

– 1937 წლის 15 მაისს საქართველოს კპ (ბ) X ყრილობაზე ლავრენტი ბერიამ თავის მოხსენებაში მიწასთან გაასწორა "ცისფერყანწელები" პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, ნ. მიწიშვილი, გ. ლეონიძე და სხვები. მეტი რომ არ ვთქვათ, უკადრებელი აკადრა მათ. როგორ არ უნდა დაგწყდეს გული გამოჩენილი პოეტებისა და მხურვალე პატრიოტების შესახებ უმსგავსობათა წაკითხვაზე!

– მენდეთ, რომ მეც მწყდება გული. ეს მოხსენება მართლაც წაუკითხავს მამაჩემს, ოღონდ ანგარიში არა მარტო მას, არამედ მთელ ცენტრალურ კომიტეტს ეკუთვნოდა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საანგარიშო მოხსენება კოლექტიურ ნაშრომს წარმოადგენდა. ამასთანავე მე შემიძლია დავასახელო ცნობილი და გავლენიანი ქართველი კრიტიკოსების მიერ იმ წლებში გამოქვეყნებული სტატიების მთელი ასხმა, სადაც ზემოთხსენებული ავტორებია გაცამტვერებული. მათი და ქართული კულტურის ბევრი გამოჩენილი მოღვაწის დაღუპვა ამ მაბეზღართა სინდისზეცაა.

– რამდენადაც მსმენია, 30-იან წლებში თვით ლავრენტი ბერიასაც უპირებდნენ დაჭერას, მაგრამ მან მოასწრო მოსკოვში ჩასვლა და საკუთარი სიმართლის დამტკიცება...

– უპირებდნენ და თანაც არაერთხელ. პირველად ეს მოინდომა სტანისლავ რედენსმა, სტალინის ქვისლმა, რომელიც ამიერკავკასიის ჩეკას უფროსი იყო. მაშინ საქმეში სერგო ორჯონიკიძე ჩაერია და ყველაფერი მსვიდობიანად დამთავრდა.

– მე ისიც გამიგია: ბერიამ მოხერხებულად მიუზღო რედენსს და რომელიღაც ქალთან ერთად ხაფანგში გააბაო...

– რედენსს ქალთან მახის დაგება არ სჭირდებოდა. იგი ბუნებით ლოთი და მექალთანე იყო. მსუბუქი ყოფაქცევის ქალები მას პირდაპირ ეწებებოდნენ. მორიგი ღრეობის შემდეგ რედენსი თვითონ გაეხვია რაღაც ხათაბალაში. ქალების ლაფდასხმული მუსუსი მალე ბელორუსიაში გადაიყვანეს სამუშაოდ.

– ბერიას საწინააღმდეგო სხვა ხრიკებზე თუ გსმენიათ რამე?

– მეორედ მამის "ჩაშვებას" თვითონ ეჟოვი შეეცადა. საქართველოს ცეკას მეორე მდივანი კუდრიავცევი მისი ძალისხმევით უკრაინაში გადაიყვანეს და სულ მალე დააპატიმრეს. მას სცემდნენ, აწამებდნენ, ასახიჩრებდნენ, რათა ბერიას მამხილებელი ჩვენებები დაეცდინათ. კუდრიავცევი პატიოსანი კაცი გამოდგა: მას კრინტიც არ დაუძრავს ბერიაზე, ერთი ცუდი სიტყვა არ უთქვამს მის შესახებ. ეჟოვმა ბევრი სხვაც დააპატიმრა, რომლებსაც, მისი აზრით, ბერიას დაბეზღება შეეძლოთ...

– რით ახსნიდით ეჟოვის ასეთ მოქმედებას? რა იყო ეს – პირადი მტრობა თუ რეალური მეტოქის პროფესიული წინათგრძნობა?

– ეჟოვი ბრიყვი ვინმე როდი გახლდათ. ცეკას გამობრძმედილი თანამშრომელი და პარტიულ მზაკვრობათა დიდოსტატი მშვენივრად ხვდებოდა თუ ვის დასვამდა მის ადგილზე სტალინი.

– თბილისში ყველამ იცის ორიგინალური შენობა მაჩაბლის ქუჩაზე, სადაც ბოლო წლებადე საქართველოს კომკავშირის შტაბი იყო მოთავსებული. ამავე დრო იგი ცნობილია, როგორც ლავრენტი ბერიას ყოფილი სახლი...

– თავდაპირველად ჩვენ ვცხოვრობდით ვერის დაღმართზე, ჩვეულებრივი სახლის ოთხოთახიან ბინაში. მაგრამ გვეწვია იოსებ სტალინი და...

– ეგ როდის იყო?

– როცა მან საკუთარი დედა მოინახულა, 1936 წელს.

– და თქვენ მაშინ პირველად ნახეთ სტალინი?

– დიახ!

– პირველი შთაბეჭდილება თუ გახსოვთ?

– მაშინ მშობლები ჯერ კიდევ ზღვაზე ისვენებდნენ, მე კი დედაქალაქში ვიყავი, რადგან სწავლა უკვე დაწყებული იყო. მოულოდნელად დედ-მამაც დაბრუნდა და დედა სასწრაფოდ ბინის მილაგებას შეუდგა. მეორე დღეს კი სტალინი გვესტუმრა. დედა რომ დაინახა, გაოცებულად ჰკითხა: ნინო, მე შენ გაგრაში მგონიხარ და აქ რა გინდა? საიდან გაიგე, რომ მე ჩამოვიდოდი? იგი ძალიან უკმაყოფილო იყო, რომ მისი ჩამოსვლის გამო მამამ დედაჩემი თბილისში ჩამოიყვანა. როცა სტალინი მოვიდა, მე სხვა ოთახში გამიყვანეს, მაგრამ იქ დიდხანს ვერ მოვითმინე, ცნობისწადილმა წამძლია და გამოვედი. სტალინმა თავისთან მიმიხმო.

– ქართულად?

– რა თქმა უნდა. იგი ქართულად შესანიშნავად ლაპარაკობდა (მე მის მიმართ რთული დამოკიდებულება მაქვს, მაგრამ ამაზე ცოტა მოგვიანებით მოგიყვებით). კაცი, რომელიც ღვთაებად მიმაჩნდა, ჩვეულებივი მოკვდავივით გადამეხვია და მითხრა: "შენც ჩემი სვეტლანასავით დიდი ყოფილხარ. მე მას თბილისში გამოვაგზავნი, რათა ერთმანეთი გაიცნოთ." ჩვენი საუბარი ამით დამთავრდა.

– რა კავშირი ჰქონდა სტალინის ჩამოსვლას მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე სახლთან?

– უშუალო. მაშინ სტალინს უთქვამს მამაჩემისთვის: "ყოჩაღ, ლავრენტი, რომ მოკრძალებულად ცხოვრობ, ოღონდ რესპუბლიკის ხელმძღვანელს კარგი ბინა უნდა ჰქონდესო. და... იმ სახლის აშენების ბრძანება გაუცია. იქ ჩვენი მეზობლები იყვნენ საქართველოს ცეკას მდივანი კეკელია (სახელი დამავიწყდა) და გრიშა არუთუნოვი, ცეკას თუ ქალაქკომის თანამშრომელი.

– ძველ ბინაში ვინ იყო თქვენი მეზობელი?

– ავქსენტი რაფავა.

– რომელიც ბერიას გამო დახვრიტეს?

– დიახ! მას ცოლად ჰყავდა ნოე ჟორდანიას ძმისშვილი და ჯერ კიდევ ოცდაჩვიდმეტში უპირებდნენ დახვრეტას, მაგრამ მაშინ როგორღაც გადარჩა.

– მართალია, რომ ლავრენტი იმ სახლიდან სამსახურში სპეციალური გვირაბით დადიოდა?
– ეს ჭორია. იგი ჩვეულებრივი ქუჩით დადიოდა რამდენიმე მცველთან ერთად. ზოგჯერ მანქანასაც გამოიძახებდა ხოლმე.
– მე ვიცი თქვენი განსაკუთრებული დამოკიდებულება დედის მიმართ...
დედა დაიბადა 1905 წელს მარტვილში. მამამისი თეიმურაზ გეგეჭკორი აზნაური იყო, დედა – დარიკო ჩიქოვანი – თავადის ქალი გახლდათ. შეუღლებამდე ორივეს ჰყოლია ოჯახი. ბაბუას მეუღლე და ორი შვილი რამდენიმე კვირაში უმსხვერპლია ტიფს, ბებიას კი განსვენებული მეუღლის შავდიასაგან სამი შვილი დარჩენია – ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი. დედა მათი ერთადერთი შვილი იყო. იგი ჯერ მარტვილის ოთხკლასიან სასწავლებელში შეიყვანეს, საიდანაც ქუთაისის გიმნაზიაში გადავიდა. 1917 წელს ბაბუა თეიმურაზი მეფის საწინააღმდეგო გამოსვლას ჩაუდგა სათავეში და თითქმის სამოცდაათი წლის მოხუცი სტრაჟნიკის ტყვიას ემსხვერპლა. ამის შემდეგ დედამ ქუთაისი დატოვა და თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებელი დაამთავრა. დედაქალაქში ობოლ გოგონას ცნობილი ბოლშევიკი საშა გეგეჭკორი მფარველობდა.
– საშა თქვენი ნათესავი იყო?
– საშა გეგეჭკორი დედაჩემის ღვიძლი ბიძა იყო. სხვათაშორის, დედაჩემი მამამ ქუთაისის ციხეში გაიცნო, სადაც საშასთან ერთ საკანში იჯდა. დედას იქ ბიძასთან ამანათი მიჰქონდა თურმე. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მამა სპეციალურად ჰხლებია საშას ძმისშვილის ხელის სათხოვნელად, მაგრამ უარი მიუღია: რაღა დროს ნინოს გათხოვებაა, ჯერ იგი ბავშვიაო. დედას კი სხვაგვარად გადაუწყვეტია და მამას გაჰყოლია.
– აკი ლავრენტიმ საცოლე მოიტაცაო...
– ეს მხოლოდ ლეგენდაა.
– საბოლოოდ რა განათლება მიიღო დედამ?
– მან დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტი და ასპირანტურა, ხოლო საკანდიდატო დისერტაცია მოსკოვში, ტიმირიაზევის სახ. სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში დაიცვა. ომის წლებში მან მოამზადა სადოქტოროც, მაგრამ იგი აღარ დაუცავს.
– როგორი ურთიერთობები ჰქონდათ მშობლებს? როგორი იყო მამა ოჯახში?
– არსებული სტერეოტიპების ფონზე იქნებ დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ მამა, სამსახურში მკაცრი და ჯიუტი, შინ ალერსიანი და დამთმობი იყო. არ მახსოვს, რომ მას ოდესმე ვეცემე ან სერიოზულად დავესაჯე. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ჩემს აღზრდას – როგორც ინტელექტუალურს, ასევე ფიზიკურსაც. მაძლევდა წიგნებს, ჟურნალებს, მირჩევდა, რა წამეკითხა, რა გადამეთვალიერებინა. დედას იგი სათუთად ეპყრობოდა, თუმცა შევსწრებივარ მათ კამათსაც, უმთავრესად პოლიტიკის გარშემო. დედას ვერ გაეგო, რატომ არ სტოვებდა მამა თანამდებობას, როცა გარშემო საშინელი ამბები ხდებოდა. ერთხელ მას ჩემი თანდასწრებით განუცხადა: ჩვენი ერთად ცხოვრება შეუძლებელია, დაგტოვებ და შვილსაც თან წავიყვანო. დედა ვერ ეგუებოდა ქვეყანაში გამეფებული დასმენისა და დევნის ატმოსფეროს. დავაც ამაზე მოსდიოდათ ხოლმე. იგი სასტიკი წინააღმდეგი იყო მოსკოვში გადასვლისა, მაგრამ პოლიტბიუროს გადაწყვეტილებას კანონის ძალა ჰქონდა. მე და დედაჩემი მამას არ გავყევით, ჩვენ გადასვლა არ გვინდოდა.
– მაშ, თქვენ ერთად არ გადასახლებულხართ?
– არა. მამა მარტო გაემგზავრა, მე კი სწავლას განვაგრძობდი თბილისის პირველ საშუალო სკოლაში. დედა სულ ჩამჩიჩინებდა, განათლებული და სამშობლოს სასარგებლო კაცი უნდა გამოხვიდეო. "გამზრდელიც" ღირსეული მყავდა – თვით შალვა ნუცუბიძე! იგი თითქმის ყოველ მეორე დღეს მაკითხავდა ბინაში და მითოლოგიის, ფილოსოფიისა და მჭევრმეტყველების ანაბანას მასწავლიდა. ზოგჯერ ხუმრობით მეტყოდა ხოლმე – ნაციონალისტად უნდა გაგზარდოო.
– სტალინმა როგორ აღიქვა მოსკოვში ბერიას მარტო გადასვლა?
– როგორც კი გაიგო, ბერიას ცოლ-შვილი თბილისში დარჩაო, გაბრაზდა და საკუთარი დაცვის უფროსი, სახელმწიფო უშიშროების მეორე რანგის კომისარი ნიკოლაი ვლასიკი გამოგვიგზავნა. იგი ზღურბლზეც არ გადმოსულიყო, რომ გამოგვიცხადა, ოცდაოთხ საათში მოსკოვში უნდა იყოთო. ასეც მოხდა.
– ბავშვობისა და სიყმაწვილის ასაკში ადამიანებს ხშირად მეტიჩრობა და წრეგადასული სიამაყე ახასიათებთ. მოზარდისგან არც თუ იშვიათად გაიგონებ: მამაჩემი ამას იზამს, იმას იზამსო... თქვენ, მართლაც ყოვლისშემძლე მამის შვილს, არ გქონიათ თანატოლებზე პირადი უპირატესობის გრძნობა, არ მოგძალებიათ ცთუნება, წამოგეძახათ, მამაჩემს ეს და ეს შეუძლიაო?
– არასოდეს მომსვლია აზრად საკუთარი თავი ვინმეზე მაღლა დამეყენებინა. არც მამაჩემი ჩამითვლია განუსაზღვრელი შესაძლებლობების ზეკაცად. შინაგან საქმეთა კომისარიატი, რომელსაც იგი განაგებდა, უწყინარ ორგანოდ მიმაჩნდა არა მარტო მე, არამედ მილიონობით საბჭოთა ადამიანსაც. აი, რას წერს ამაზე ამერიკელი პუბლიცისტი, ყოფილი საბჭოთა მოქალაქე ლევ ნავზოროვი: "ჯერ კიდევ სტალინის დროს დავრწმუნდი, რომ ქვეყანაში ბევრისთვის, განსაკუთრებით დიდი ქალაქების გარეთ, აბრევიატურა НКВД ან МГБ უფრო ბევრის მთქმელი არ იყო, ვიდრე НКПС ან МПС... იცოდნენ უშიშროების ორგანოების არსებობა, მაგრამ მათი ისევე ეშინოდათ, როგორც გზათა კომისარიატის ან სამინისტროსი. თუ გზათა კომისარიატი ან სამინისტრო გზებს განაგებდა (იგი მოჩანდა ჩვენი კომუნალური აივნიდან), НКВД –МГБ ჯაშუშებსა და დივერსანტებს იჭერდა. იქნებ მითხრათ, ასე ობივატელები ფიქრობდნენ, ხოლო ობივატელისგან მეტს, აბა, რას უნდა მოელოდეო. აქ მე მახსენდება მამაჩემის მეგობარი, ამჟამად მივიწყებული პოეტი ვასილ ცველიოვი, რომელიც ყოველ შეხვედრაზე მეუბნებოდა: "მთავარია, დაიხსომო, რომ კაცობრიობის უმრავლესობა ობივატელია!"

– თქვენ ამბობთ, მშობლები არაიშვიათად კამათობდნენო. მოსვლიათ თუ არა მათ დავა ცოლ-ქმრული ღალატის გამო? დიდი ხანია დადის ხმები ლავრენტი ბერიაზე, როგორც სექსუალურ მანიაკზე, რომლის მსხვერპლნი ხდებოდნენ ჯერ ქართველი, მერე კი მთელი საბჭოთა კავშირის ლამაზმანები!..

– ჩემი აზრით ეს ხმები მეტის მეტად გადაჭარბებულია. მამაჩემი სავსებით ნორმალური მამაკაცი იყო და დედასთან გულწრფელი ურთიერთობა ჰქონდა. მართალია, რამდენადაც ვიცი, თბილისში მას შეუყვარდა ერთი ბანოვანი, ცნობილი ოჯახის შვილი, რის გამოც დედამ შავი დღე დაათენა.

– მაშინ რა ვუყოთ ცნობას იმის შესახებ, რომ ლავრენტი ბერიას პირადი დაცვის უფროსს პოლკოვნიკ რაფიელ სარქისოვს შეფის ოცდასამი საყვარლის სია უპოვეს? ან როგორ ავხსნათ ის, რომ ბერიას სამუშაო კაბინეტში ქალის ტუალეტის მრავალი საგანი ინახებოდა? სადღაც წამიკითხავს, მისი სატრფიალო ვნებების ანკესზე 214 მსხვერპლია წამოგებულიო...

– მოდით, ეს არითმეტიკა მათ სინდისზე დავტოვოთ, ვინც საჭურისული გულმოდგნებით ითვლიდა სხვის საყვარლებს. გასაგები მიზეზების გამო (ბოლოს და ბოლოს ეს არაა შვილის გასარკვევი საქმე!) მე არ ვაპირებ ამ საკითხის განხილვას, მაგრამ კითხვაზე მაინც გიპასუხებთ: სიის შეთითხვნა ან "მამხილებელი საბუთების" შემოგდება მოკლულის კაბინეტში, უშიშროების ორგანოებისთვის არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა. თანაც ნუ დაგავიწყდებათ, რო მამის უწყების ბევრმა აგენტმა ქალმა ამჯობინა თავი მის საყვარლად ეღიარებინა, ვიდრე საიდუმლო პოლიციის აგენტად.

– და მაინც ბერია-აშიკის სახე ფართოდაა გავრცელებული. მე მინახავს მრავალსერიიანი ამერიკული ფილმი "წითელი მონარქი", რომელშიც ნაჩვენებია ლავრენტი ბერიას სასიყვარულო თავგადასავლები.

– კინოში ყველაფრის ჩვენება შეიძლება, მაგრამ სინამდვილეში ბევრი რამე სულ სხვაგვარადაა. მე ყოველთვის მამასთან ვცხოვრობდი და არ მახსოვს, რომ მას ღამე შინ არ გაეთიოს (მივლინების გარდა, ცხადია). შინ კი მამას, ბუნებრივია, არავინ მოჰყავდა. სხვა საქმეა თუ ასეთი რამე შესაძლებელია სამსახურში.

– რატომაც არა, თუკი ძალიან მოინდომებ?

– თუკი ძალიან მოინდომებ, კი, მაგრამ იქ ხომ შეზღუდვებიც დიდია... მამა განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს ნებისმიერი გადაწყვეტილების შესრულებას. სიამისთვის დრო ცოტა რჩებოდა.

– ლავრენტი ბერიას არც უკანონო შვილი ჰყოლია?

– ერთხელ მამამ პატარა სანდომიანი გოგონა მაჩვენა და მითხრა: ეს შენი დაა. უკვე დიდი ბიჭი ხარ და, ვფიქრობ, მამაკაცური საიდუმლოს შენახვას შესძლებ. მე იქვე შევთავაზე: მოდი, ვიშვილებ-მეთქი. მამას გაეცინა, მას საკუთარი დედა ჰყავსო.

– ლავრენტი ზრუნავდა "საიდუმლო" დედა-შვილზე?

– რა თქმა უნდა. ოღონდ დედაჩემმა ამაზე არაფერი იცოდა. მე თვალს ვადევნებდი გოგონას ბედს, მაგრამ რაკი იგი ყოველმხრივ უზრუნველყოფილი იყო, წვრილმანი მეურვეობით თავი არ მომიბეზრებია.

– დედამისი ცოცხალია?

– დიახ! იგი ნამუსიანი ქალი გამოდგა. ყველა, ვინც ბერიაზე ცუდის თქმა სთხოვა, უბოდიშოდ მიაბრძანა.

– ამჟამად თუ გაქვთ ურთიერთობა დასთან?

– არა, მაგრამ თუ შემეხმიანა, სიამოვნებით ვუპასუხებ.

– რა ხნისაა იგი?

– ჩემი უფროსი ქალიშვილის კბილაა. თავს ქართველად თვლის, თუმცა რუსულ გვარს ატარებს.

– გათხოვილია?

– იყო გათხოვილი, მაგრამ უკვე დიდი ხანია, რაც ქმარს გაეყარა.

– მგონი, მოსკოვის ქალაქკომის პირველი მდივნის ვიქტორ გრიშინის ვაჟი იყო მისი მეუღლე...

– სწორი ინფორმაცია გქონიათ.

– მათი შეუღლების ნებართვა გრიშინმა მართლაც ბრეჟნევს სთხოვა?

– არ ვიცი, რამდენად სწორია, მაგრამ ასე ამბობენ. ბრეჟნევს უთქვამს: თუ ახალგაზრდებს ერთმანეთი უყვართ, ხელს ნუ შეუშლი, დაქორწინდნენ. ჯერ ერთი, ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ გოგონას მამა ბერიაა, მეორეც, ჩვენ თვითონ აქამდე ვერ გავრკვეულვართ ბერიას პიროვნებაში, არ მჯერა მე იმ ქოსატყუილა ხრუშჩოვის ზღაპრებიო.

– ყოჩაღ, ლეონიდ ილიჩი!..

– სხვათაშორის, სამსახურებრივი საქმეების გამო ბრეჟნევს რამდენჯერმე შევხვედრივარ. გენსეკმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რა გეგეჭკორიც მე ვიყავი, მაგრამ ერთხელაც არ შეიმჩნია. თანამდებობის გარდა ასე ავალდებულებდა გარეშემოთა დაჟინებული მზერაც.

– სულაც არ მინდა თავი მოგაბეზროთ მამის ინტიმურ ცხოვრებაზე შეკითხვებით, მაგრამ რა გაეწყობა, როცა ბევრი ოპონენტი მის ზნეობრივ დაცემას სწორედ სატრფიალო თავგადასავლებს უკავშირებს. მაგალითად, ცნობილი რუსი პოეტი ლარისა ვასილიევა წიგნში "კრემლის ცოლები" წერს: "ბერიას თავისი საყვარლები პირდაპირ შინ, მალაია ნიკიტსკაიაზე მიჰყავდა... ყველა, ვინც იმ წლებში ბერიას ცოლს იცნობდა, ერთი აზრისაა: იგი ძალიან კარგი, კეთილი და, როგორც ჩანს, უბედური ადამიანი იყოო..." რა პასუხს გასცემდით ამის დამწერს?

– მე ვამტკიცებ: ჩემს მშობლებს აკავშირებდათ ურთიერთ სიყვარული და ნდობა. ეს იყო ნორმალური ცოლ-ქმარი, რომელთა საოჯახო კამათი სცილდებოდა საყოფაცხოვრებო სფეროს და უფრო მამის პოლიტიკურ საქმიანობას შეეხებოდა. მე უკვე მოგიყევით ამის შესახებ. არ გამოვრიცხავ, რომ მამაჩემისთვის, როგორც ჯანსაღი მამაკაცისთვის, უცხო არ იყო წამიერი ცთუნება. მაჩვენეთ ისეთი მამაკაცი, რომელსაც ლამაზი ქალი არ

მოსწონებია! ამ, ჩემთვის მეტად არასასიამოვნო თემაზე საუბრის დასასრულს, მინდა ერთხელ კიდევ აღვნიშნო: ჩვენს სახლში უცხო პირს, მით უფრო ქალს, არასოდეს უცხოვრია (ძიძაჩემის გარდა). არც დედა დათანხმდებოდა ამას და არც მამა იკადრებდა ჩვენს ისეთ შეურაცხყოფას, რომ ოჯახში ხარჭა მოეყვანა. მე წაკითხული მაქვს ქალბატონ ლ. ვასილიევას წიგნი და აქვე გეტყვით, მასში მოტანილი მტკიცება, თითქოს დედა დაცვის გარეშე ნაბიჯს ვერ დგამდა, ავტორის მწირი ფანტაზიის ნაყოფია და სხვა არაფერი. იგი ოდნავაც არ ყოფილა რამით შეზღუდული, თუმცა როგორც მთავრობისა და პოლიტბიუროს წევრის მეუღლეს, ქცევის გარკვეული რეგლამენტი უნდა დაეცვა. რა იგულისხმება ამაში? უპირველეს ყოვლისა ქმრის სამსახურთან დაკავშირებულ საიდუმლოთა შენახვა. (როგორც კი პოლინა ჟემჩუჟინამ ეს მცნება დაარღვია, უმალ მოლოტოვის გადაყენებაზე მეოცნებე ძალების ხელში აღმოჩნდა). გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე დედამ ინტერვიუ მისცა ქართველ ჟურნალისტს თ. ქორიძეს, რომელიც ჯერ ქართულ, მერე კი რუსულ პრესაშიც გამოქვეყნდა. იქ იგი შეეხო მამის შესახებ არსებულ ჭორებსაც.

– ლარისა ვასილიევაც ახსენებს ამ ინტერვიუს. მით უფრო გასაკვირია, რომ მან არ ისურვა ნინო გეგეჭკორთან შეხვედრა და გასაუბრება.

–ვასილიევას ნარკვევებით თუ ვიმსჯელებთ, მას აინტერესებდა არა სერიოზული და უტყუარი ფაქტები, არამედ პიკანტური ამბები. დედაჩემის ინტერვიუდან ნათელი იყო: იგი მსგავს აღსარებებზე არ წავიდოდა. მაშინ რაღა აზრი ჰქონდა შეხვედრას, როცა იგი გაიგონებდა, როგორი კარგი, კეთილი და გულღია კაცი იყო ბერია? ვიღას სჭირდება კარგი ლავრენტი ბერია, იგი მხოლოდ მონსტრის საბურველშია მიმზიდველი.

– თქვენ, ალბათ, შეამჩნევდით, რომ ლ. ვასილიევა სტალინისა და ბერიას ტრადიციულად ლაფში ამოსვრისას მთელ ქართველ ერსაც ლანძღავს. აი, როგორ წიწმატობს იგი: "საქართველოში, თავის სამშობლოში ბერიას არავინ გააუპატიურებინებდა ქალიშვილებს. პირველი, ჰა და ჰა, მეორე მსხვერპლის გამო დაზარალებულის მამის ან ძმისაგან მას უსათუოდ მოხვდებოდა შუბლში ტყვია ან ზურგში დანა. ჩვენ კი, რუსები, რატომ ვითმენდით? რატომ ვითმენდით მოსკოველები? ან იქნებ მოთმენა ჩვენი ეროვნული თვისებაა და იგი დამკვიდრდა თვით საქართველოშიც, სადაც საშინელი ღამით დაიღუპა თექვსმეტი ქალი, ხოლო გვერდით არ აღმოჩნდა არც ერთი მამაკაცი, რომ ისინი დაეცვა და მომკვდარიყო? ნუთუ მართალია ლერმონტოვი, რომელმაც თქვა, გარბოდნენ მხდალი ქართველებიო? თუ თქვენ, პოლიტიკისკენ მიდრეკილთ, მარტო ერთმანეთის კვლა ძალგიძთ? ვხედავ, ამ სტრიქონების წაკითხვისას როგორ ენთებიან თქვენი ვაჟკაცური სახეები, როგორ გძულვართ ამ სიტყვებისთვის..." საინტერესოა, თქვენ რას ეტყოდით ამ სიტყვების დამწერს?

– მე ვურჩევდი ქალბატონ ლარისას წაიკითხოს (ან გადაიკითხოს) ე. ოლარტის წიგნი "პეტრე I და ქალები" (გამომცემლობა "დელო", მოსკოვი, 1912), რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი რუსეთის დიდ რეფორმატორის ორგიები. შეგახსენებთ ერთ ასეთ პასაჟს: "დამახასიათებელია მარკ-გრაფინიას ანეკდოტი იმაზე, რომ პეტრეს ცოლთან ირიცხებოდა ოთხასამდე ქალი, რომლებსაც თითო შვილი ჰყავდათ. კითხვაზე, ვისია ეგ ბავშვიო, ისინი რუსულ ყაიდაზე წელში მოხრილად პასუხობდნენ: "მეფემ დამდო პატივიო". ყოველ შემთხვევაში, პეტრეს მიერ დატოვებული უკანონო შთამომავლობა იმდენივეა, რამდენსაც მიაწერენ ლუდოვიკო XIV."

– "კმარა!" – შეიძლება წამოიძახოს "კრემლის ცოლების" ავტორმა. სად ჩვენი გვირგვინოსანი მეფე-იმპერატორი და სად თქვენი მეტიჩარა ბერია! ის, რაც მიეტევება იუპიტერს, არ მიეტევება ხარს! არგუმენტები თუ არ ეყო, იქნებ პეტრეც არ დაინდოს და გაიხსენოს ვერსია მის ქართულ წარმოშობაზე, აქაოდა, ყველაფერი ცუდი მას თქვენგან გამოჰყვაო. და მაშინ ქალბატონ ლარისას მართლაც ვეღარ შევედავებით! (მადლობა ღმერთს, რომ სტალინმა დროულად აუკრძალა გრაფ ალექსეი ტოლსტოის ამ ვერსიის რომანში გამოყენება).

– მინდა მივმართო ხრუშჩოვის სიძის, წარსულში ცნობილი ჟურნალისტის ა. აჯუბეის მოგონებას, რომელსაც იშვიებს ლ. ვასილიევა: "ბერიას სახლი იდგა სადოვო-ტრიუმფალნაიასა და კაჩალოვის ქუჩების კუთხეში, აჯანყების მოედანზე მდებარე მაღლივი სახლის ახლოს. სახელდობრ სადოვოე კალცოსა და კაჩალოვის ქუჩაზე გამოდის მაღალი ქვის ღობე, რომელიც დაბალ სახლს ფარავს. ამ ღობესთან გავლისას მოსკოველები ნაბიჯს უჩქარებდნენ ხოლმე. იმჟამად თითოეულ მათგანს მიაცილებდა გარე დაცვის მძიმე მზერა. ერთხელ, 1947 წელს, მე ვიყავი იქ ბერიას ვაჟის სერგოს ნიშობაზე. მან შეირთო მზეთუნახავი მართა პეშკოვა, ალექსი მაქსიმეს ძე გორკის შვილიშვილი. მართასაც და სასიძოსაც სუფრასთან თავი სერიოზულად ეჭირათ, არც სტუმრები მხიარულობდნენ მაინც და მაინც. ლაღობდა მხოლოდ დარია პეშკოვა, მართას უმცროსი და, შჩუკინის სახელობის თეატრალური სასწავლებლის სტუდენტი. ცოტა მოგვიანებით ამ სახლში ჩასახლდა ბერიას ხარჭა – ჩვიდმეტი წლის ლ; რომელსაც მისგან გოგონა ეყოლა. ნინო თეიმურაზის ასული ითმენდა მის იქ ყოფნას. როგორც ჩანს, სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ჰყვებოდნენ, რომ ლ-ს დედამ ბერიას გაჩენის დღე აწყევლინა და სილაც გააწნა, მან კი ეს აიტანა. არ ვიცი, მართლაც ასე იყო თუ არა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ხარჭა სახლში თავს მშვენივრად გრძნობდა, ამიტომ დედამისიც, ეტყობა, შეეგუა ვითარებას. მე ხშირად ვხვდები მას, უკვე ხანში შესულ, მაგრამ ჯერაც მომხიბლავ ქერათმიან ქალს და ნიადაგ ვფიქრობ: სავსებით შეთავსებადია სიყვარული და ბოროტება."

– დავიწყებ იმით, რომ მე არც ნიშნობა მქონია და არც ქორწილი. არ ყოფილა ჩვენს სახლში არც ერთხელ ა. აჯუბეიც, თუმცა ერთმანეთს კი ვიცნობდით. არც ერთ უცხო ქალს ჩვენს სახლში არ უცხოვრია, – ამაზეც გიამბეთ. არ მჯერა ისიც, რომ ვიღაც დედაკაცმა მამას სილა გააწნა... მე სხვა რამეს გეტყვით: აჯუბეის დედა – შესანიშნავი პიროვნება და მოდელიორი – დედაჩემთან მეგობრობდა. იგი არ მალავდა გულისტკივილს იმის გამო, რომ ალიოშა, ლამაზი და ჭკვიანი ბიჭი, კარიერის გამო შეუხედავ გოგონაზე დაქორწინდა. მახსოვს, როგორ ამშვიდებდა მას დედაჩემი: ტყუილად განიცდით ასე, ხრუშჩოვი დაეხმარება სიძეს, ნიჭიერი კაცისთვის კი მხარდაჭერა დიახაც უპრიანია. აჯუბეის დედას მაშინ არაფერი უთქვამს, მაგრამ მოგვიანებით მაინც დაიჩივლა,

ხრუშჩოვის ოჯახი ქედმაღლურად გვეპყრობა და მდაბიოებად გვთვლისო. განაწყენებულმა ისინი ტარტიუფებსა და იუდუშკებს შეადარა. ალექსი აჯუბეის, რომელმაც კარგად იცოდა მამაჩემის დაღუპვის ნამდვილი მიზეზი და კრემლის შემდგომი ხრიკები, ხრუშჩოვი დადებით გმირად გამოჰყავს, თუმცა, ჩემი აზრით, დედამისის შეფასებაში მეტი სიმართლე იყო.

– ბატონო სერგო, ჩვენ არ დაგვიმთავრებია საუბარი თქვენი ცხოვრების ქართულ პერიოდზე...

– მგონი, გამომრჩა მეთქვა, რომ დავამთავრე თბილისის გერმანული საშუალო სკოლის შვიდი კლასი. იქ ყველა საგანი გერმანულად ისწავლებოდა, გარდა ქართული ენისა და ლიტერატურისა, რომლის სრულ კურსსაც გავდიოდით.

– გერმანულს კარგად დაეუფლეთ?

– გერმანული ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში ვისწავლე. მშობლებს ძალიან სურდათ, რომ უცხო ენები მცოდნოდა, ოთხი წლიდან მასწავლიდნენ გერმანულს, ხუთიდან – ინგლისურს. ეს ორი ენა, რა თქმა უნდა, ქართულთან ერთად, სრულყოფილად ვიცი.

– თქვენს სკოლაში სწავლობდნენ უბრალო მოკვდავთა შვილები თუ...

– სკოლა ჩვეულებრივი იყო. მისი "ელიტურობა" იმაში გამოიხატა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა 1937 წელს დაობლდა...

– გაქვთ თუ არა რაიმე კავშირი ყოფილ თანაკლასელებთან?

– მჭიდრო კავშირი არა, მაგრამ ზოგი წერილს მომწერს, ზოგიც მინახულებს ხოლმე... დრომ და მოვლენებმა დაგვაშორეს, თანაც ასაკსაც თავისი გააქვს...

"დასანანია, რომ მშენებელი არ გამოხვედი!" –

შეეძლო ეთქვა მამისთვის ბებიაჩემს

– როცა ნიკოლაი ვლასიკმა მოსკოვში ჩაგიყვანათ, მამას საყოფაცხოვრებო პირობები უკვე მოგვარებული ჰქონდა?

– სახლს, რომელშიც უნდა გვეცხოვრა, მაშინ არემონტებდნენ. რამდენიმე თვე გავატარეთ სანაპიროზე მდებარე ე.წ. მთავრობის სახლში. გვთავაზობდნენ კრემლის ორდერს, მაგრამ მამამ უარი თქვა (ასე, რომ დედაჩემი "კრემლის ცოლებისთვის" სიმბოლურადაა მითვლილი).

– მაშასადამე, კრემლში არასოდეს გიცხოვრიათ?

– არა, თუმცა კრემლის საშვი მქონდა და იქ შესვლა ნებისმიერ დროს შემეძლო.

– მოსკოვში სწავლა სად გააგრძელეთ?

– ჩვეულებრივ რუსულ სკოლაში.

– მომავალი პროფესია მამის კარნახით აირჩიეთ?

– მამას ჯერ უნდოდა მხატვარი გამოვსულიყავი, მერე კი ტექნიკით დამაინტერესა. ერთხელ მან გარაჟში გამგზავნა და ძველი ავტომობილის აწყობა დამავალა. უნდოდა, რომ არა მარტო საჭის ტრიალი მცოდნოდა, არამედ მანქანის აგებულებაც. ტექნიკოსის დახმარებით ორი წელიწადი ვაკოწიწებდი ძველ "ფორდს". მამისავე რჩევით მოვკიდე ხელი რადიოსაქმეს და ტექნიკის სასახლეში დავიწყე სიარული. საშუალო სკოლა რომ დავამთავრე, უკვე რეგისტრირებული რადიოსადგური მქონდა. უნდა გითხრათ, რომ რადიოსაქმისა და უცხო ენების ცოდნამ გარკვეულწილად განსაზღვრა ჩემი მომავალი.

– სკოლა როდის დაამთავრეთ?

– ზუსტად ომის დაწყების წინ (ჩვიდმეტი წელი 1941 წლის ნოემბერში შემისრულდა). გამოცდების დამთავრებისთანავე კომკავშირის რაიკომს მივაშურე და მოხალისედ ჩავეწერე. მაშინ სწორედ მედესანტეთა სკოლას აკომპლექტებდნენ. უცებ ვიღაცამ ჩემს გვარს მიაქცია ყურადღება და მკითხა, ლავრენტი ბერია შენი რა არისო. უბრალო მოგვარეა-მეთქი, ვუპასუხე. როგორ თუ მოგვარეა, სახელიც ემთხვევა და ბინის მისამართიცო... მაინც ჩამრიცხეს. სადილობისას მამამ საქციელი მომიწონა.

– უკვე მოეხსენებინათ?

– რა თქმა უნდა. დედამაც შემაქო: სწორად მოქცეულხარ, ომის დროს მშობლის კალთას ამოფარება სირცხვილიაო. მედესანტეთა სკოლა ლეიტენანტის წოდებით დავამთავრე და ჩავირიცხე ნაწილში, რომელსაც პოლკოვნიკი ს. მ. შტემენკო მეთაურობდა.

– უწინ მიაჩნდათ, რომ ლავრენტი ბერიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კავკასიის დაცვაში. ამჟამად კი ეს როლი უბრალო საინსპექციო შემოწმებამდე დაჰყავთ. გენერალი დ. ვოლკოგონოვი წიგნში "ტრიუმფი და ტრაგედია" წერს: "ბერიას საბრძოლო მოქმედებანი დიდ სამამულო ომში შემოიფარგლება მისი, როგორც თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრის, კავკასიაში ორჯერ – 1942 ოლის აგვისტოსა და მომდევნო წლის მარტში – ჩასვლით. არქივები მოწმობენ: იქ იგი სტალინის სახელით ღდინს ადენდა სამხედროებს, ხსნიდა და ხვრეტდა მისთვის მიუღებელ ხალხს. მას თან ახლდნენ ქობულოვი, მამულოვი, მილშტეინი, პიაშევი, ცანავა, რუხაძე, ვლოდზიმირსკი, კარანაძე, კაკუჩაია, საკუთარი ვაჟი. ბერიას რისხვა არ ასცდენიათ ტიულენევს, სერგაცკოვს, პეტროვს, სხვა მხედართმთავრებსაც..."

– 1942 წლის აგვისტოში სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის წევრ ლავრენტი ბერიას თან ახლდნენ არა ქობულოვი, მამულოვი და სხვები, არამედ გენერალი ბოდინი, პოლკოვნიკი შტემენკო, წითელი არმიის გენერალური შტაბის ოპერატიული მუშაკები, ქართული ეროვნების სამხედრო კადრები, ძირითადად გენერლები და პოლკოვნიკები. ვკითხულობ ს.მ. შტემენკოს მოგონებებს და თვალწინ მიდგება საქართველოში გამგზავრების ის შორეული დღე: "დილით დანიშნულ დროს ბოდინის მანქანით გავემგზავრეთ ცენტრალურ აეროდრომზე. იქ უკვე გვიცდიდა თვითმფრინავი სი-47. ბოდინს წარუდგა ხომალდის მეთაური პოლკოვნიკი ვ. გ. გრაჩოვი. თბილისში შუა

აზიის გავლით მივფრინავდით. პირდაპირი გზა იქით გერმანელებს უკვე გადაკეტილი ჰქონდათ. კრასნოვოდსკში საღამოთი დავეშვით, ხოლო როცა სავსებით ბინდი ჩამოწვა, გადავუფრინეთ კასპიის ზღვას და გეზი ჯერ ბაქოსკენ, მერე კი თბილისისკენ ავიღეთ. თბილისში თითქმის შუაღამისას ჩავფრინდით და აეროდრომიდან პირდაპირ ფრონტის შტაბს მივაშურეთ. ქალაქს ჯერ კიდევ არ ეძინა...” გასაგები მიზეზების გამო შტემენკოს “გამორჩა”, რომ “სი-47” მამაჩემის პირადი თვითმფრინავი იყო, ხოლო პოლკოვნიკი გრაჩოვი – მისი შეფ-პილოტი.

– ბერიას თანმხლებ პირთა შორის მოხსენიებულია ცანავა, რუხაძე, კაკუჩაია...

– არა, ისინი შინსახკომის საგანგებო განყოფილებათა თანამშრომლები იყვნენ და ამ წმინდა წყლის სამხედრო ექსპედიციაში არ მონაწილეობდნენ.

– რას იტყვით იმ მხედართმთავრებზე, რომლებსაც ბერიას რისხვა დაატყდათ თავს?

– გენერალი ტიულენევი, განათლებული და ინტელიგენტური პიროვნება, ერთ დროს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი, მამაჩემის მეგობარი იყო. მხედრული გზა, როგორც კავალერიის ოფიცერმა და წითელი არმიის მეთაურმა, მან ს. მ. ბუდიონთან ერთად დაიწყო. დაამთავრა ორი აკადემია, სწავლობდა საფრანგეთში. იგი მხარს უჭერდა მამის გადაწყვეტილებებს და არც მამას ჰქონია მის მიმართ პრეტენზიები. არ ყოფილან რეპრესირებული სხვა მეთაურებიც. მართალია, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თანხმობით მამამ თანამდებობიდან მოხსნა ბუდიონი, რომელიც დეზერტირივით გაიქცა ბრძოლის ველიდან. იგი საჯაროდ აცხადებდა, გერმანელებს ვერაფერი შეაჩერებს, ხოლო საქართველოს ჩაისა და ციტრუსების სისხლის ფასად დაცვას აზრი არა აქვსო. ყოფილ ცხენოსანს საკუთარი არაკომპეტენტურობის გამო არათუ არმიის, მცირე ქვედანაყოფის მეთაურობაც კი არ შეეძლო. სწორედ მაშინ მამაჩემის წინადადებით თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა გაიწვია სამხედრო საბჭოს წევრი ლ. ვ. კაგანოვიჩიც. კავკასიის ფრონტზე მამაჩემის ბრძანებით საერთოდ არავინ დაუხვრეტიათ. მახსენდება მხოლოდ ერთი შემთხვევა, როცა ნაწილის მეთაურმა პირადად დახვრიტა ახალგაზრდა ოფიცერი, რომელმაც გერმანელთა ტანკების შიშით პოზიცია დათმო. ჩემი თანდასწრებით არაერთგზის შეკრებილან მაღალი რანგის ოფიცრები, რომელთა შენაერთები უღელტეხილებსა და მათ მისადგომებთან იბრძოდნენ. მათ შორის შემდგომში ცნობილი მხედართმთავრები გრეჩკო, ლესელიძე და სხვები. ისინი მამასთან ერთად მშვიდად განიხილავდნენ როგორც სამხედრო, ასევე საორგანიზაციო საკითხებს.

– ამბობენ, კავკასიის ფრონტზე რადიოკავშირისთვის ბერია მეგრულ ენას იყენებდაო. ეს მართალია?

– ყოფილა ასეთი შემთხვევებიც, მაგრამ იშვიათად.

– რა მიგაჩნიათ კავკასიის დაცვაში ლავრენტი ბერიას ძირითად დამსახურებად? ქართული პოეზიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კავკასია, ყოველ შემთხვევაში, საქართველო, ბერია რომ არა, დაიღუპებოდა. აი, რას წერს ირაკლი აბაშიძე:

სულ ახლოს იდგა ხმლების კაშკაში,
ახლოს იწვოდა ცეცხლის კერია,
მაშინ უეცრად ვლადიკავკაკში
მე დავინახე გზაზე ბერია.
უცებ ქალაქში ვნახე ბერია,
ქუჩა ნაბიჯით დინჯად გადაჭრა...
მე შემოვხედე ჩვენსკენ დარიალს,
ვთქვი – საქართველო უკვე გადარჩა.
ირაკლი აბაშიძეს ეხმიანება გრიგოლ აბაშიძე:
თბილისს ძალა შეემატა,
ფეხზე დადგა და ხმამაღლა
დაიძახა: “ჩამოვიდა,
ვინც ნამდვილად განმაახლა!”
გუგუნებდა მთები შუქით
მოხატული ათასფერად:
“ჩამოვიდა, ჩამოვიდა,
მტერს არ მიგვცემს გასათქერად.”

– ავტორებმა უკეთ იცოდნენ, რასაც წერდნენ. ალბათ, დღესაც ძნელია მათ სიწრფელეში ეჭვის შეტანა. პირადად ჩემი პასუხი ასეთია: კავკასიის ფრონტზე მამა ჩავიდა კრიტიკულ მომენტში, როცა სარდლობა დაბნეულ-დათრგნული იყო. გერმანელები უკვე ფლობდნენ ქლუხორის, მარუხისა და მამისონის უღელტეხილებს. მე მაშინ თვრამეტი წლისა ვიყავი, მაგრამ ვითარების შეფასება და გაანალიზება შემეძლო. მოგვიანებით იმ მღელვარე დღეებზე მისაუბრია ბოდინთან და შტემენკოსთან. მამის ღვაწლის შეფასებისას იქნებ ობიექტურობა არ მეყოს, მაგრამ გეტყვით იმას, რაშიც დარწმუნებული ვარ. პირველი: გენშტაბის წარმომადგენლების მონაწილეობითა და ადგილობრივი მოსახლეობის უდიდესი მხარდაჭერით მამამ შესძლო ფრონტზე სიტუაციის სტაბილიზება. მეორე: მამამ მიაღწია კავკასიის ფრონტისთვის აუცილებელი რეზერვის გამოყოფას. საბრძოლო მოქმედების ამ უბანზე ირანიდან გადმოსროლილ იქნა ჯარი, რომელიც იქ ინგლისელთა საპასუხოდ შეიყვანეს. მათ შეუერთდნენ აგრეთვე შორეული აღმოსავლეთიდან ჩამოყვანილი სასაზღვრო ნაწილები. მაშველმა დივიზიებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს საომარ ოპერაციებში, რომლებიც გერმანელთა კრახით დამთავრდა. მესამე: მამის წინადადებით ჩამოყალიბდა უხმო სნაიპერული შაშხანებით შეიარაღებული მცირე რაზმები. (მაშინ ის-ის იყო გამოჩნდა სპეციალური ხმისმაყუჩები, რომლებსაც მოგვიანებით ინფრაწითელი სამიზნეები დაემატა). ეს რაზმები

უსაფრდებოდნენ მოწინააღმდეგის საოფიცრო დაზვერვას, რომელიც 2-3 მანქანით წინ უძღოდა ტანკებს. ყველაზე მოულოდნელ ადგილას მათ ცეცხლს დაუშენდნენ და გაანადგურებდნენ, ცოცხლად დარჩენილთ კი ტყვედ იგდებდნენ. ამ მინიპარტიზანულ ომში ერთი კვირის მანძილზე მტერმა ექვსასამდე სამხედრო დაკარგა. ფელდმარშალი კლეისტი რამდენიმე დღე დაბნეული იყო და საპასუხოდ ვერაფერი მოეფიქრებინა. მისმა შეყოვნებამ კი ჩვენ დრო მოგვაგებინა. მეოთხე: ჯარისკაცებიც და მშვიდობიანი მოსახლეობაც მამაჩემში ხედავდა კაცს, რომელსაც მაშინ ენდობოდნენ. მისი გამოჩენა განამტკიცებდა ფაშისტებზე გამარჯვების რწმენას. ეს თქვენს მიერ ციტირებული ლექსებითაც დასტურდება. გრეჩკომ და შტემენკომ თავიანთ მოგონებებში, მართალია, ბერია ვერ ახსენეს, მაგრამ მოვლენები, ვოლკოგონოვისგან განსხვავებით, სწორად აღწერეს.

– თქვენ ერთხელ მითხარით, კავკასიაში გამგზავრებამდე ორ საიდუმლო ოპერაციაში ვმონაწილებდიო...

– მედესანტე რომ გავხდი, საბრძოლო სამეულში შემიყვანეს. მე და ორი წარმოშობით გერმანელი რადიოკონსტრუქტორი ჩრდილო-აღმოსავლეთ გერმანიაში, პენემიუნდეს მახლობლად, სადაც განთავსებული იყო ბალისტიკური რაკეტების ცენტრი ფონ ბრაუნის ხელმძღვანელობით, აგენტურულ საქმიანობას უნდა შევდგომოდით. ამ ცენტრის არსებობა მე ადრეც გამეგო: მამა მიყვებოდა იმ ტექნიკურ სიახლეებზე, რომლებიც ჩვენმა დაზვერვამ სხვადასხვა გზებით მოიპოვა. მსმენოდა გერმანელების მიერ პენემიუნდეში ახალი რაკეტების შექმნაზეც. როცა იმ ადგილების რუკა გადმოგვცეს, მივხვდი, წინ რა სამუშაოც გველოდა. გულმოდგინედ მზადების პერიოდში დავრწმუნდი, რომ იქ საკმაოდ ფართო აგენტურა გვყავდა.

– ეს როდის იყო?

– 1941 წლის ზამთრის დამდეგს, როცა მოსკოვის მისადგომებთან გერმანელების შემოტევა საბოლოოდ ჩაფლავდა. გავფრინდით პეტლიაკოვის ტიპის თვითმფრინავით. ქვევით ნისლში გახვეულიყო ბალტიის ზღვა, ნახევარ მეტრშიც ვერაფერს გაარჩევდი, ამიტომ გადმოხტომის ნება არ დაგვრთეს. სამ დღეში ხელახლა გავფრინდით, მთელი საათი ვიტრიალეთ მონიშნული რაიონის თავზე, მაგრამ კვლავ უკან დაგვაბრუნეს: ფაშისტებს ჩვენი დაშვების ადგილი დაედგინათ. ხელმძღვანელობამ ახალი, გაცილებით რთული გეგმა შეიმუშავა: ირანის ქურთისტანით, სადაც უკვე გვყავდა საჭირო ხალხი, უნდა გადავსულიყავით თურქეთში, საიდანაც ქურთების დახმარებით გერმანიაში გავემგზავრებოდით. ყველაფერი ისე არ გამოგვივიდა, როგორც დაგეგმილი გვქონდა და მიზნამდე მხოლოდ ერთმა ჩვენგანმა მიაღწია.

– იმ ერთს რა უნდა გაეკეთებინა?

– შეეღწია აღნიშნულ ცენტრში და მოეპოვებინა შესაბამისი ინფორმაცია. ომის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ჩემი გერმანელი ამხანაგი ფონ ბრაუნს ამერიკაში გაჰყოლოდა.

– გიღალატათ?

– არა, ფონ ბრაუნს იგი ჩვენი დავალებით მიემხრო.

– გახსოვთ მისი სახელი და გვარი?

– როგორ არ მახსოვს, მაგრამ ვერ დავასახელებ. იგი იქნებ დღესაც ცოცხალია და დავალებას ძველებურად ასრულებს.

– რამდენ ხანს გრძელდებოდა თქვენი "ოდისეა"?

– დაახლოებით სამ თვეს. ამხანაგის პენემიუნდეში დარჩენის შემდეგ ჩვენ შემოგვიერთდა ათამდე ქურთი და სპარსელი.

– თქვენ მხოლოდ რადისტი იყავით?

– რადისტიცა და მშიფრავიც. ის ადგილი, საიდანაც შიფრებს გადავცემდი, ორჯერ დაბომბეს. თუმცა თვითმფრინავებს გამოსაცნობი ნიშნები არ ჰქონდათ, მე მგონია, რომ ინგლისელები ცდილობდნენ ჩვენი, როგორც კონკურენტების, გაძევებას.

– რას ეხებოდა თქვენი ინფორმაცია?

– ჩვენ შევისწავლეთ გერმანული აგენტურის თითქმის მთელი ქსელი ირანში. ამხანაგების მოპოვებულ ცნობებს მე გადავცემდი. გული მწყდებოდა, რომ ფრონტიდან შორს ვიყავი და ხელში იარაღი არ მეჭირა. ჩვენი საქმიანობის მნიშვნელობას მხოლოდ თეირანის კონფერენციაზე მივხვდი, სადაც საბჭოთა სპეციალისტები თავს შინაურად გრძნობდნენ.

– თქვენ ეს საიდან იცით?

– თეირანის კონფერენციაში მეც ვმონაწილეობდი. უხილავად, რა თქმა უნდა. პირველი დავალების შესრულების შემდეგ სტალინი ხშირად ინტერესდებოდა ჩემით, მიბარებდა და სხვადასხვა საკითხებზე მესაუბრებოდა. ვგრძნობდი, რომ რაღაცისთვის ვჭირდებოდი. პარალელურად იგი "ამუშავებდა" კიდევ რამდენიმე ახალგაზრდას, რომლებსაც მასთან თითქოს შემთხვევით ვხვდებოდი. ერთხელ აკადემიიდან გამომიძახეს და იმ "შემთხვევით" ნაცნობებთან ერთად თეირანში გამგზავნეს. ჩვენ იქ ჩერჩილისა და რუზველტის აპარტამენტებში მისაყურადებელი აპარატურის დაყენება მოგვიხდა, რომლითაც გამუდმებით ვიწერდით მათ ყველა საუბარს. ცხადია, ინგლისურის ჩემზე უკეთ მცოდნეებიც მოიძებნებოდა, მაგრამ, ჩანს, სტალინს სურდა, რომ აქ სანდო კაცი ჰყოლოდა. ყოველ დილით, მოლაპარაკების ახალი რაუნდის დაწყებამდე, მას მაგიდაზე ედო გაქნილ მოკავშირეთა ფარული საუბრების ტექსტი. მისი სამაგნიტოფონო ჩანაწერთან შეჯერებისას სტალინი მეტყოდა ხოლმე: აბა, აქ ყურადღება მიაქციე ინტონაციას, როგორ ატყობ, ხომ არ გადაუხვევს თავის აზრს ჩერჩილი (ან რუზველტი), ხომ არ წავა დათმობაზე?.." მას აინტერესებდა არა მარტო პირდაპირი ტექსტი, არამედ მაშინდელი "მეგობრების" იდუმალ ზრახვათა კონტექსტიც...

– დავალებაზე მშობლის თანხმობით გაგაგზავნეს? ვთქვათ და, იაკობ ჯუღაშვილივით ტყვედ რომ ჩავარდნილიყავით, ფაშისტები ხომ მამის სულს იცხონებდნენ. ლავრენტი ბერიას ერთადერთი ვაჟი მათთვის ჩინებული ნადავლი იქნებოდა!..

– სამშობლოსათვის, სტალინისათვის!" – ეს მართლაც მილიონთა განწყობილების გამომხატველი ლოზუნგი ზემოდან არავის გაუვრცელებია. იგი ხალხში თავისით იშვა და ჩვენ, ახალგაზრდები, სწორედ ამ სულისკვეთებით ვიყავით გამსჭვალულნი. მომიტევეთ პათოსისთვის, მაგრამ სხვა სიტყვები ვერ მიპოვნია: ომის პირველსავე დღეს მშობლებმა მე დამილოცეს სამშობლოს დამცველის მძიმე და ეკლიანი გზა.

– თქვენ, სხვათაშორის, შენიშნეთ, რომ სტალინის მიმართ რთული დამოკიდებულება გაქვთ...

– ეს მართლაც ასეა. ჩემი ბავშვობა და სიჭაბუკე მთელ ქვეყანაში სტალინის გაღმერთების პერიოდს დაემთხვა. მე იგი ზეკაცად წარმომედგინა, მაგრამ წლებმა ფანატიკური სიყვარული ერთგვარად გამინელა, რადგან მასზე ბევრი დაუჯერებელი რამ გავიგე. მიუხედავად იმ საშინელებებისა, რაც სტალინს ჩაუდენია, იგი მაინც უდიდესი პიროვნება იყო. ტყუილად კი არ იხდიდნენ ქუდს მის წინაშე ჩერჩილი და რუზველტი. სტალინი უდიდესი ორგანიზატორული ნიჭით ასხამდა ხორცს გადაწყვეტილებებს, რომელთა სისწორეშიც ეჭვი არ ეპარებოდა. არაერთგზის დავრწმუნებულვარ, რომ მას საქმის არსში წვდომის უჩვეულო უნარი ჰქონდა, იგი უმალ გამოარჩევდა ძირითადსა და უმთავრესს, მოკლედ და მკაფიოდ ჩამოაყალიბებდა თეზისს, განსაზღვრავდა მიზანს. დღეს ზოგ-ზოგნი ირონიით ლაპარაკობენ სტალინის თხზულებათა უბრალო სტილზე, მაგრამ მათი უბრალოება და სისადავე სიმარტივეში ეშლებათ. შეიძლება არ დაეთანხმო სტალინის ნაწერთა შინაარსს, მაგრამ ვერ უარჰყოფ მათ სისხარტეს, სინათლეს, მიზანდასახულობას. მე გულწრფელად ვეთაყვანებოდი სტალინს, მაგრამ რაც უფრო მეტს ვიგებდი მის ბნელ საქმიანობაზე, მით უფრო ვრწმუნდებოდი: სტალინი დიდი, მაგრამ ულმობელი პიროვნებაა. მას შეუძლია თავი შეგაყვაროს, მოგხიბლოს, დაგატყვევოს, მაგრამ თუ გზაზე გადაუდექი, ვინც არ უნდა იყო, მოგსპობს, გაგანადგურებს, მიწასთან გაგასწორებს. ასეც ცოცხლობს ჩემში სტალინის გაორებული, ურთიერთგამომრიცხავი სახე: ერთის მხრივ რკინის ნებისყოფის ბრძენი სახელმწიფო მოღვაწე, მეორეს მხრივ კი ვერაგი, დაუნდობელი, ულმობელი პიროვნება. ამავე დროს მე კატეგორიულად ვერ გავიზიარებ ზოგიერთი რუსი "პატრიოტის" ლოგიკას, რომელთათვის კუტუზოვი, მოსკოვი ცეცხლს რომ მისცა და საძარცვად ნაპოლეონს შეატოვა, ეროვნული გმირია, ხოლო სტალინი, ჰიტლერი მოსკოვის მისადგომებთან რომ შეაჩერა და დედაქალაქში არ შემოუშვა, არარაობაა! ასე მხოლოდ სინდისგარეცხილი თუ იმსჯელებს! სტალინს შესანიშნავად ესმოდა, რომ სათავეში ედგა უზარმაზარ იმპერიას, რომლის შენარჩუნება მხოლოდ ძალით თუ შეიძლებოდა. როცა აშშ ელჩს ავერელ ჰარიმანს საბჭოთა რეჟიმის სისასტიკეზე სიტყვა გადაუკრავს, სტალინს უპასუხია: ნუ დაგავიწყდებათ, რომ მე ვხელმძღვანელობ ხალხს, რომლის ერთმა თაობამაც სამი რევოლუცია მოახდინაო. კრემლის ბატონი, ბუნებრივია, ვერ დაუშვებდა მეოთხე, აშკარად მის წინააღმდეგ მიმართულ რევოლუციას. მან ეს მოახერხა, მაგრამ რის ფასად!

– ზოგჯერ გაიგონებ, მეორე მსოფლო ომი გარდაუვალი იყო, იგი ჰიტლერს რომ არ დაეწყო, სტალინი დაიწყებდაო. სწორედ ეს აზრია გატარებული ვ. სუვოროვის პუბლიცისტურ გამოკვლევაში "ყინულმჭრელი". ავტორი მოგვითხრობს თუ როგორ დანაშაულებრივად გაანადგურა სტალინმა ბერიას ხელით საჭოთა კავშირის დასავლეთი საზღვრის ცამეტი გამაგრებული რაიონი შავი ზღვიდან ვიდრე ბალტიის ზღვამდე. ჰიტლერთან ცნობილი პაქტის დადების შემდეგ სამშენებლო სამუშაოები შეწყდა, ხოლო მოკლე ხანში მთელი 1200 კილომეტრიანი თავდაცვითი ხაზი სტალინის ბრძანებით შინსახკომმა ნაცარტუტად აქცია, რადგან იგი საკუთარი არმიისთვის უკვე დაბრკოლებას წარმოადგენდა. საბჭოთა ხელისუფალთა აგრესიულობის დასამტკიცებლად ვ. სუვოროვს მოაქვს არაერთი საბუთი, მათ შორის ის, რომ წითელ არმიას გააჩნდა ყველაზე სწრაფმავალი საავტოსტრადო ტანკები (ავტოსტრადები კი მაშინ მხოლოდ გერმანიას ჰქონდა!), ჰყავდა მილიონზე მეტი მედესანტე-პარაშუტისტი, ორჯერ მეტი, ვიდრე მთელ დანარჩენ მსოფლიოს. ვ. სუვოროვი მკითხველის ყურადღებას აპყრობს იმ ფაქტს, რომ ომის წინ ქვეყნის დასავლეთ რაიონებში არმიამ და შინსახკომმა ჟუკოვის, მერეცკოვისა და ბერიას ხელმძღვანელობით კოლოსალური სამუშაოები ჩაატარეს გზების გასაფართოებლად და სამოდერნიზაციოდ. ავტორი უკუაგდებს გავრცელებულ აზრს საბჭოთა კავშირის ომისთვის მოუმზადებლობის შესახებ. მისი მტკიცებით, ჩეკისტებმა მავთულხლართები მოსპეს ზუსტად ისევე, როგორც პოლონეთის, ფინეთის, ესტონეთის, ლატვიის, ბესარაბიის, ბუკოვინის "განთავისუფლების" წინ, რათა წითელ არმიას შეტევაზე გადასვლაში ხელი არ შეშლოდა. ვ. სუვოროვი წერს: "გერმანიის არმიამ ქვეყნის ცენტრისკენ რომ წაიწია, ამაში ბრალი მიუძღვით მერეცკოვს, ჟუკოვს, ბერიას. დახვრიტა ისინი სტალინმა? არა!

სულ მალე მათ მარშლობა უბოძა. ან რატომ უნდა დეხვრიტა? ჰიტლერმა კი ისარგებლა მათი ნაღვაწით, მაგრამ, ცხადია, გზები მისთვის კი არა განმანთავისუფლებელი არმიის ევროპაში დაუბრკოლებლივ და ჩქარა გასატარებლად შენდებოდა."

– ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა კაცი, რომელიც უარყოფს უგუნურ მტკიცებას სტალინის ომისთვის მოუმზადებლობაზე. მიუხედავად ამისა, სტალინი მაინც დამნაშავეა; იგი თავდაცვისთვის კი არა თავდასხმისთვის ემზადებოდა! დროულად ვერ შენიშნა ჰიტლერის მზადება – დანაშაულია! შენიშნა და მოემზადა – ესეც დანაშაულია! ხომ არ გეჩვენებათ, რომ მსგავსი უკიდურესობანი მხოლოდ გვაშორებს ჭეშმარიტებას? ჭეშმარიტება კი, ჩემი აზრით, ასეთია: სტალინი მშვენივრად იცნობდა არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი მსოფლიოს დაპყრობის ჰიტლერისეულ გეგმას და ყველანაირად ცდილობდა მისთვის ხელი შეეშალა. მე ცოტა რამ ვიცი "სტალინის ხაზის" მშენებლობაზე, მაგრამ ლოგიკა გვიკარნახებს: აქ იმოქმედა საბჭოთა დოქტრინამ ომის სხვის ტერიტორიაზე ჩატარების შესახებ. მოწინააღმდეგესთან გარდუვალი შეტაკებისას გამაგრებული რაიონები საკუთარი

ჯარისთვის მართლაც შეიძლებოდა დაბრკოლებად ქცეულიყო. ბერიას ბრალეულობა შესანიშნავი გზების მშენებლობაში არ მანცვიფრებს, რადგან დიდი ხანია ვიცი, რომ ის ყველაფერში ბრალეულია. მიხარია, რომ მამას ამჯერად ადანაშაულებენ ჟუკოვისა და მერეცკოვისთანა მოღვაწეებთან. მოლოტოვისა და რიბენტროპის პაქტზე კი ერთ რამეს გეტყვით. ვფიქრობ, ბატონი სუვოროვი (იგი სუკის ყოფილი აგენტია, რომელიც რუსეთის მერ მოღალატედაა გამოცხადებული და დიდი ხანია დასავლეთში ცხოვრობს) ანგარიშს უწევს აკადემიკოს ვ. ი. ვერნადსკის ავტორიტეტს, რომლის დღიურებშიც წარამარა ვხვდებით მაგარ-მაგარ გამოთქმებს სტალინისა და მისი პოლიტიკური კურსის შესახებ. თუმცა თვით ვერნადსკიც, ბოლშევიკების შეურიგებელი ოპონენტიც, ყოველთვის როდი აქიაქებს კრემლის მოქმედებას. 1939 წლის 3 ოქტომბერს მას ჩაუწერია: "უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთ ოლქების დაპყრობას ყველა იწონებს. საოცარია ისტორიის სტიქიური სვლა... სტალინ-მოლოტოვის პოლიტიკა რეალურია და მე იგი მეჩვენება სწორად, სახელმწიფოებრივ-რუსულად". იმ "სწორი, რუსულ-სახელმწიფოებრივი" პოლიტიკის შედეგად, რომლის გაგრძელებადაც იქცა ომი, ემანუილ კანტი თავის საფლავიანად რუსეთში აღმოჩნდა და დღესაც იქ განისვენებს (თუმცა სახელგანთქმული ფილოსოფოსი თავის სიცოცხლეში საზღარგარეთ არასოდეს ყოფილა). ამ უსამართლობის გამოსწორებას კი არავინ ფიქრობს. ისევე, როგორც სხვა ათასი უსამართლობისა, რომელიც დაშვებული იყო საბჭოთა კავშირის, დღეს კი, ჩემი გაგებით, მისი სამართალმემკვიდრის – რუსეთის სასარგებლოდ.

– სტალინსა და ბერიას ჰქონიათ კონფლიქტი, უთანხმოება, აზრთა სხვადასხვაობა?

– ჯერ ერთი და, მამა სტალინის ძმაკაცი არ ყოფილა. ქუჩური ჭორი, რომ თითქოს ისინი პოლიტბიუროს სხდომაზე ერთმანეთს ქართულად ელაპარაკებოდნენ და ამით დამსწრეებს აშინებდნენ, უსაფუძვლოა. სტალინი პატივს სცემდა მამას, როგორც ახალგაზრდა, უნარიან ხელმძღვანელს, მაგრამ იგი არავის, თვით მოლოტოვსაც კი, არ აძლევდა ძმაბიჭურად მოპყრობის ნებას. მიუხედავად ამისა, აზრთა სხვადასხვაობა მათ ზოგჯერ ჰქონდათ. მაგალითად, დღეს ბევრი ეხება სმოლენსკის განაპირა კატინის ტყეში მომხდარ ტრაგედიას, მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ლავრენტი ბერიამ პოლიტბიუროს განუცხადა, პოლონელი ოფიცრების დახვრეტა უხეშ შეცდომად მიმაჩნიაო. მისი აზრით, ჰიტლერთან ომი გარდუვალი იყო, ამიტომ ტყვეები კი არ უნდა დაეხვრიტათ, არამედ სატელიტებად ექციათ და მათზე პოლონეთის ახალი არმია დაეფუძნებინათ. მამის წინადადება დაგმეს ვოროშილოვმა და ჟდანოვმა. უნდა მოგახსენოთ, რომ ჟდანოვის, ისე, როგორც ვოროშილოვის, როლი რეპრესიებში მეტად დიდია: სწორედ ჟდანოვი იყო სტალინის რუხი კარდინალი, მაგრამ მისი, როგორც პარტიის იდეოლოგის, ცოდვები დღემდე მიჩქმალულია...

– რით ამართლებდნენ პოლონელ ოფიცერთა მოსპობის აუცილებლობას?

– ვოროშილოვს ვერაფრით დაევიწყებინა თეთრ პოლონელებთან დამარცხება. პოლიტბიუროზე იგი პოლონელთა ფსიქოლოგიის მცოდნედ გამოდიოდა და ირწმუნებოდა, რომ ისინი, რაც არ უნდა მოხდეს, მაინც საბჭოთა ხელისუფლების მტრებად დარჩებიან, რადგან კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებსო... ჟდანოვი მოითხოვდა: რაკი ბერია პოლიტბიუროს არ ემორჩილება, მოვხსნათ იგი თანამდებობიდან, გამოვიყვანოთ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობიდან და დავსვათ მი პარტიულობის საკითხიო. მიქოიანმა, როგორც ყოველთვის, რენეგატული პოზიცია დაიკავა და დაელოდა, რას იტყოდა სტალინი. მოლოტოვს მამა არ უგინებია, პირიქით, სითამამისთვის შეაქო კიდეც, თუმცა თავად უმრავლესობას მიემხრო. მოკლედ, როგორც შემდეგ მამაჩემმა მიამბო, ოქმში მისი მხოლოდ ორი მხარდამჭერი დარჩენილა, პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ანდრია ანდრეევი და კიდევ ერთი, გვარი უკვე დამავიწყდა... საბოლოოდ კ. ვოროშილოვს, რომელიც მაშინ უკვე აღარ იყო თავდაცვის მინისტრი, წინადადება წამოუყენებია, რაკი შინსახკომი უარზეა, პოლონელ ტყვეთა ლიკვიდაცია არმიის ნაწილებს დავავალოთო. თუ თქვენ ყურადღება მიგიქცევიათ, კატინის საქმეს ხანგრძლივად ჩქმალავდნენ. მასში რომ ბერია ყოფილიყო გარეული, საბჭოთა პროპაგანდა მაშინვე მოსდებდა ამ ამბავს მთელ მსოფლიოს. მე ვიცი, რომ მამამ ბრძანება გასცა ტყვეების უსაფრთხო ადგილზე გადაყვანის შესახებ. ამით მან გადაარჩინა ექვსასამდე პოლონელი ოფიცერი, რომლებმაც შემდგომ მაინც შექმნეს პოლონეთის ახალი არმია. გენერალი ვლადისლავ ანდერსი, რომელიც შინსახკომის ციხეში იჯდა, თავის მოგონებებში წერს, ტყვეების ჯგუფთან ერთად ვიღაცამ გვიხსნაო. თუ ვინ იყო მათი მხსნელი, მე უკვე მოგახსენეთ.

– თქვენ მიგაჩნიათ, რომ კატინის ტრაგედიაში წილი მხოლოდ საბჭოთა სამხედროებს უძევთ?

– მე ამაში დარწმუნებული ვარ, თუმცა არ გამოვრიცხავ შინაგანი ჯარების მონაწილეობასაც.

– როგორ დააღწია თავი მამამ ჟდანოვის განაჩენს?

– უსტალინოდ განაჩენს ძალა არ ჰქონდა. მას კი უთქვამს: შევასრულოთ უმრავლესობის გადაწყვეტილება, ხოლო ბერიას მოხსნას ყოველთვის მოვასწრებთო. ნუ დაგავიწყდებათ, რო ესაა 1939 წელი და სტალინი თავისი უმთავრესი ოპონენტის ლევ ტროცკის ფიზიკურად მოსპობაზე ფიქრითაა შეპყრობილი. თავდასხმისთვის მზადება გადამწყვეტ ფაზაში იყო შესული და ასეთ დროს მისი მთავარი რეჟისორის გადაყენება, რბილად რომ ვთქვათ, უგუნურება იქნებოდა.

– მამასაც აუცილებლად მიაჩნდა ტროცკის გზიდან ჩამოშორება?

– იგი ამბობდა, რომ ტროცკიზმი, როგორც მიმდინარეობა, ახალგაზრდობას ძალიან იზიდავს და საბჭოთა წყობილებისთვის დღითი-დღე სულ უფრო საშიში ხდებაო. როცა მამა მოსკოვში გადაიყვანეს, ტროცკისტების, ზინოვიელებისა და ბუხარინელების პროცესები უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ ცოცხალი რჩებოდა ოპოზიციის მთავარი სიმბოლო ლევ ტროცკი, რომელიც რუსეთიდან შორს თავისი ღვარძლიანი კალმით სტალინს ზნეობრივ ზიანს აყენებდა.

– მამა ტროცკის პირადად იცნობდა?

– დიახ! როცა 20-იანი წლებში ლევ ტროცკი საქართველოში დასასვენებლად ჩამოდიოდა, მამა სამსახურებრივად ვალდებული იყო იგი დაეცვა.
– ჯერ დაეცვა, მერე კი მოესპო!..
– რა გაეწყობა, ასე ინება ბედმა. ოღონდ იცოდეთ, ტროცკი დაქირავებული მკვლელის ხელით არ მოუშორებიათ. ასეთ უკიდურეს ნაბიჯს მაშინ ადამიანები უფრო იდეური მოტივით დგამდნენ. გავიხსენოთ თუნდაც საქვეყნოდ ცნობილი მექსიკელი მხატვარი დავით ალფარო სიკეიროსი, რომელმაც 1940 წლის 24 მაისს ტროცკიზე თავდასხმა მოაწყო.
– მე წამიკითხავს ამაზე მის წიგნში "მე ყოჩაღ პოლკოვნიკს მეძახდნენ..."
– სხვათაშორის, უნდა გითხრათ, რომ მემარჯვენე-ტროცკისტული ორგანიზაცია, რომლის არსებობასაც ასე უარყოფენ ბოლო წლების საბჭოთა ისტორიკოსები და პუბლიცისტები, ნამდვილად არსებულა. ამას ადასტურებს ტროცკის მიმოწერა საკუთარ ვაჟთან. ამერიკულ პრესაში გამოჩნდა სტატიები, საიდანაც ირკვევა, რომ სტალინმა იცოდა არა მარტო ორგანიზაციის საქმიანობაზე, არამედ მამა-შვილის საიდუმლო მიმოწერაზეც. ლავრენტი ბერიას სპეცსამსახურების გარეშე მსგავსი ცნობების მოპოვება, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო.
– შინსახკომმა ტროცკიზე რამდენიმე უშედეგო თავდასხმა მოაწყო. როგორ აიცდინა მაშინ ბერიამ სტალინის რისხვა?
– ის თავდასხმები ბერიას მოსკოვში გადაყვანამდე მოეწყო (იყო ათი თუ თორმეტი მცდელობა). სტალინი, პირიქით, ემადლიერებოდა მას საყვარელი ფორმულის განხორციელებისთვის: "არსებობს კაცი – არსებობს პრობლემა, არ არსებობს კაცი – არ არსებობს პრობლემა!" პრობლემა, მართალია, დარჩა, მაგრამ კაცი კი ნამდვილად გააქრეს. ამ საქმის წვრილმანები კარგადაა ცნობილი, ამიტომ, არა მგონია, სიტყვის გაგრძელება ღირდეს...
– ვფიქრობ, რომ ღირს..
– მაშინ მოკლედ ვიტყვი. ლევ ტროცკის მკვლელის სახელი და გვარია ხაიმე რამონ მერკადერ დელ რიო, თუმცა თვით მსხვერპლი მას იცნობდა როგორც ახალგაზრდ ფრანგ პუბლიცისტს ჟაკ მორნარს. ისინი შეხედულებათა ერთობამ დაახლოვა – მორნარი თავს მგზნებარე ტროცკისტად ასაღებდა. სინამდვილეში იგი მოქმედებდა დედის – კარიდარ მერკადერის ჩაგონებით, რომელსაც ინტიმური კავშირი ჰქონდა შინსახკომის გენერალ ლეონიდ კოტოვთან (ნაუმ ეტინგერთან). ტროცკის მოკვლის შემდეგ მორნარი შეიპყრეს და ციხეში ჩასვეს. ოცწლიანი სასჯელის მოხდის შემდეგ იგი მოსკოვში ჩამოვიდა, სადაც მას ხრუშჩოვმა საბჭოთა კავშირის გმირის წდება მიანიჭა.
– მკვლელმა, რომელმაც ბერიას დავალება შეასრულა, მიიღო ჯილდო ბერიას მკვლელის ხელიდან!..
– ესეც ისტორიის კიდევ ერთი პარადოქსი!
– თუ იცით რამე ლავრენტი ბერიას პირად მონაწილეობაზე დიდი თანამდებობის პატიმართა დაკითხვებში, რომლებიც, როგორც ამტკიცებენ, მეტწილად საშინელი ცემით, ფიზიკური დასახიჩრებით და ბოლოს დახვრეტით მთავრდებოდა?
მამის ცოდვებს ვერ შეამსუბუქებს ის, რომ იგი დაკითხვებში პირადად არ მონაწილეობდა.
– არ მონაწილეობდა?
– ნამდვილად არა! მე ეს ვიცი ტუპოლევის, მინცის, კოროლიოვის მონაყოლით, რომლებიც, სხვათა შორის, ბანაკიდან მამამ გაანთავისუფლა.
– აკი წერენ, ლუბიანკის, ლეფორტოვოს, ბუტირკის საპყრობილეებში ლავრენტი ბერიას კაბინეტები ჰქონდაო!
– ეს ცილისწამებაა. საბჭოთა კავშირში ბრალდებულზე ფიზიკური ზემოქმედება ოფიციალურად იყო დაკანონებული, მაგრამ მამაჩემი პირადად ამას, ცხადია, არ აკეთებდა. პირიქით, 1939 წელს მან პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მსგავსი მეთოდის აკრძალვის თაობაზე შუამდგომლობით მიმართა.
– "სუხანოვის ციხე ბერიას პირადი ციხე იყო, სადაც მას კაბინეტი ჰქონდა. მსხვერპლს მასთან შეყვანის წინ აშიშვლებდნენ..." – გვაუწყებენ რუსულ-ამერიკული დოკუმენტური სერიალის "მონსტრის" (აქ სტალინის ეპითეტია) ავტორები...
– მე, როგორც ლეფორტოვოსა და ბუტირკის ყოფილი ტუსაღი, ვამტკიცებ: მამას ციხეებში კაბინეტები არ ჰქონია. "ბერიასთან მსხვერპლი გაშიშვლებული შეჰყავდათო..." – მიკვირს, როგორ გაიმეორა ეკრანიდან ინოკენტი სმოკტუნოვსკიმ მსგავსი სისულელე!..
– ფილმში "ომი", რომელსაც ივან სტადნიუკის ამავე სახელწოდების რომანი უდევს საფუძვლად, არის ეპიზოდი, სადაც გენერალ პავლოვის დაკითხვას თავად ლავრენტი ბერია აწარმოებს. გენერლისთვის ფორმა შემოუფლითავთ, სახე მუშტებით დაულურჯებიათ. არც მაყურებლის თვალწინ აკლებენ მას ცემას და დამცირებას.
– გენერალი პავლოვი გაასამართლა მარშალმა ტიმოშენკომ და სამხედრო-საველე სასამართლომ. მამა პავლოვს არ შეხვედრია, იგი მოსკოვში არც ჩამოუყვანიათ. სცენა, რომელზეც თქვენ ჰყვებით, ისტორიული ფაქტის სრული ფალსიფიკაციაა.
– მე მინახავს ფილმი აკადემიკოს ნ. ი. ვავილოვზე, რომელსაც ჩეკისტები ბარბაროსულად ეპყრობიან. ნუთუ დედათქვენს, ვავილოვის ინსტიტუტის მაშინდელ თანამშრომელს, არ შეეძლო მეუღლის მეოხებით ეხსნა გამოჩენილი მეცნიერის სიცოცხლე?
– დედამ ეს სცადა. მან მამას შეახვედრა აგროქიმიის მეცნიერული სკოლის ფუძემდებელი აკადემიკოსი დიმიტრი პრიანიშნიკოვი, რომელიც დიდად აფასებდა ვავილოვის მოძღვრებას სელექციის ბიოლოგიურ საფუძვლებსა და კულტურულ მცენარეულობათა წარმოშობის ცენტრებზე. მამამ მიიღო აკადემიკოსი და მისი კოლეგები, ოღონდ არა ისე აგდებულად, როგორც ეს ფილმშია ნაჩვენები. მან უთხრა მეცნიერებს: "ვავილოვი გაასამართლა არა საგანგებო

თათბირმა, არა სამეულმა, არამედ საბჭოთა კავშირის უმაღლესმა სასამართლომ და მე მის მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის შეცვლის უფლება არა მაქვს.'' მიუხედავად ამისა, მამამ ვავილოვის საქმის გადასინჯვასა და დახვრეტის ხანგრძლივი პატიმრობით შეცვლას მიაღწია. მეცნიერი ერთხანს შინსახკომის დახურულ ინსტიტუტში მუშაობდა, მაგრამ მალე იგი დეზინტერიით დაავადდა და გარდაიცვალა... თუ ზოგადად ვილაპარაკებთ 30-40-იანი წლების რეპრესიებზე, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს იყო პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის ხორცშესხმა, გამიზნული იმ ელემენტების აღმოსაფხვრელად, ნათელი მომავლის აშენებაში რომ გვიშლიდა ხელს. არავის აინტერესებდა, რატომ ჰყავდა ამ "ნათელ მომავალს'' ამდენი გააფთრებული მოწინააღმდეგე და რატომ უნდა დაეძალებინათ ხალხისთვის ის, რაც მას არ მოსწონდა.

– თქვენ, ალბათ, გახსოვთ კომკავშირის ცეკას პირველი მდივანი 30-იან წლებში ა. ვ. კოსარევი, რომელიც თავის სიმამრ ვიქტორ ნანეიშვილთან ერთად დახვრიტეს. მათი საქმის შეთითხვნაში ბრალი ედება ლავრენტი ბერიას...

– კოსარევი, რა თქმა უნდა, მახსოვს. იგი ქვეყანაში დიდი ავტორიტეტით სარგებლოდა, რასაც ხელს უწყობდა სტალინის პირადი მხარდაჭერა. კლასიკოსის ნათქვამი რომ გადავაკეთოთ, სტალინმა იგი შვა და მანვე მოკლა. წაგიკითხავთ, ალბათ, თუ როგორ უჩურჩულა მან ერთხელ კოსარევს: თუ მიღალატებ, მოგკლავო. ბელადმა ღალატად მიიჩნია კოსარევის საკმაოდ დამოუკიდებელი, თვითდაჯერებული მოქმედება ახალგაზრდული პოლიტიკის გატარებაში, რაც, როგორც ჩანს, პარტიის ხაზიდან გადახვევად იქნა აღქმული.

– ანა მიხეილის ასული ლარინა- ბუხარინა წიგნში ''დაუვიწყარი'' (აპნ, მოსკოვი, 1989) დაწვრილებით აღწერს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ლავრენტი ბერიასთან, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, შინსახკომის ჯურჯმულებში შეხვედრას, რომელიც ეჟოვის დაცემიდან სულ მალე მომხდარა. ბერია თავაზიანად, ყურადღებითა და თანაგრძნობით შეხვედრია ტუსაღს, გამასპინძლებია მას ჩაითა და ხილით. არავითარი უხეშობა, არავითარი ძალდატანება. წარმოუდგენელიც კია... როგორც ირკვევა, ანა ლარინა ბერიას იცნობდა 1928 წლიდან, როც 15 წლის გოგონა მამასთან ერთად დასასვენებლად ლიკანში ჩამოსულა. ლავრენტი ბერიას ყურადრება მიუქცევია ნორჩი სტუმრის სილამაზისთვის და მისი სადღეგრძელოც შეუსვამს. მეორედ ლარინა ბერიას შეხვედრია 1932 წელს, ისევ საქართველოში დასასვენებლად ყოფნისას. მისი თქმით, ბერია "სტოვებდა ჭკვიანი, საქმიანი (კუიბიშევთან, საგეგმო კომისიის მაშინდელ თავმჯდომარესთან, საუბრისას იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ამიერკავკასიის ეკონომიკას) და, რა თქმა უნდა, როგორც ყველა კავკასიელი, სტუმართმოყვარე კაცის შთაბეჭდილებას. სწორედ ასეთად წარსდგომია იგი ანა ლარინას სახალხო კომისრის როლშიც.

– ანა ლარინა-ბუხარინა, უსათუოდ განეკუთვნება იმ მცირერიცხოვან მემუარისტთა რიცხვს, რომლებიც ბერიას ჯალათად და სულთამხუთავად არ გვიხატავენ. წარმოიდგინეთ, რომ მემარჯვენე ტროცკისტთა ბლოკის ხელმძღვანელის, აწ უკვე ხალხის მტრად შერაცხული და დახვრეტილი ნიკოლაი ბუხარინის მეუღლეს თავაზიანად ღებულობს შინსახკომის ახალი შეფი ლავრენტი ბერია (რომელსაც გახმაურებულ პოლიტიკურ პროცესებთან კავშირი არა აქვს) და გადაკრულად მიანიშნებს მას, რომ საკნის მეზობელთან ანუ სპეცსამსახურის აგენტ ქალთან წინდაუხედაობა გამოიჩინა. ლარინას უსახელებენ ადამიანებს, რომლებიც კეთილმოსურნის ნიღბით ღალატობდნენ მასა და მის ქმარს. ბუხარინის მისამართით ბერიას მტრული გამოხდომები არაგულწრფელი იყოო, – შენიშნავს ლარინა. იქნებ მე სუბიექტური ვარ და მამაჩემზე ყოველთვის რაღაც დადებითს ვეძებ, მაგრამ ლარინას მოგონებები საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მამას ეცოდებოდა ეს ახალგაზრდა ქალი, ედარდებოდა მისი ტრაგიკული ბედი. ქალბატონ ანას არ დავიწყნია ის, რომ პატიმრობის პირველ წელს მოსკოვში მას შინაგანმა უწყებამ ორჯერ გადაუგზავნა ფული. ბერიას გარეშე ამის გაკეთება, არა მგონია, ვინმეს გაებედაო, – წერს იგი.

– მიუხედავად ამისა, ბუხარინის ქვრივიც თავის მოთხრობას ბერიაზე ასე ამთავრებს: "ჩემთვის შინაგან საქმეთა მორიგი სახალხო კომისარი იყო უკვე არა ის ბერია, რომელსაც თბილისიდან ვიცნობდი, არამედ მტარვალი, რომელსაც იგი სინამდვილეში წარმოადგენდა...''

– ის, რომ ბერია ღვთის გარეგანი ვინმე იყო, მას სხვებისგან გაუგია, თუმცა თვითონ მასთან ურთიერთობისას მსგავსი დასკვნისთვის საფუძველი ვერ უპოვია. ეს სინტერესო დეტალი გახლავთ!

– ამბობენ, სტალინისა და ბერიას ჯურღმულებიო... ბერიევშჩინაო... ხომ არ გეჩვენებათ, რომ ეს ტერმინები კომუნისტური იმპერიის შავბნელ ძალთა მეტისმეტი პერსონიფიკაციაა? განა ამ იმპერიას მარტო ეს ორეული ედგა სათავეში?

– სტალინი და ბერია სხვადასხვა მასშტაბის მოღვაწეებია და მათი გაერთიანება მარტო ეროვნული ნიშნით თუ შეიძლება. ტერმინის ავტორებმა, ეს, რა თქმა უნდა, იციან. მე არ ვაპირებ კალთა გადავაფარო მამაჩემს, რომელიც ნებით თუ უნებლიეთ სტალინისა და პოლიტბიუროს ნებას ასრულებდა, მაგრამ სამართლიანობის გულისთვის შევნიშნავ: ეგრეთ წოდებული საგანგებო თათბირი, რომელიც ელვის სისწრაფით გავრცელდა და ასეული ათასობით ადამიანი იმსხვერპლა, დაკანონდა 1934 წელს, მამაჩემის მოსკოვში გადაყვანამდე ოთხი წლით ადრე. ხოლო რაც შეეხება ცნობილი მხედართმთავრების განადგურებას, არც ერთი მათგანი დამსჯელი ორგანოებისთვის თავდაცვის სახალხო კომისრის კლიმენტ ვოროშილოვის თანხმობის გარეშე არ გადაუციათ. განწირულთა სიების ვიზირება ხდებოდა საკ. კპ (ბ) ადმინისტრაციულ ორგანოთა განყოფილებაში, რომლის კურატორიც გიორგი მალენკოვი გახლდათ. ეს ტრადიცია ბერიამდე დიდი ხნით ადრე დამკვიდრდა. როცა მან შერისხული ეჟოვის სავარძელი დაიკავა, რეპრესიების მეცხრე ტალღა თითქმის გადავლილი იყო და პოლიტიკური ბარომეტრის ისარი მშვიდი ამინდისკენ იხრებოდა. მამაჩემმა რეპრესიები კი არ გააძლიერა, შეანელა ისინი და ამხილა ძების დანაშაულებრივი მეთოდები. 1939 წელს მისი მითითებით ციხეებიდან გაანთავისუფლეს 300 ათასი პატიმარი.

– უცნაურია ახლად დანიშნული შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ლოგიკა. იგი ათავისუფლებს ასიათასობით უდანაშაულო ტუსაღს და ამავე დროს ხვრეტს ასობით პარტიულ, კომკავშირულ და ადმინისტრაციულ მუშაკს.

რამდენადაც ვიცი, ბერიას პირადი განკარგულებით დახვრიტეს ეჟოვის მოადგილე ფრინოვსკი, ძმები ბერმანები: ერთი "გულაგის" უფროსი, მეორე კი ბელორუსიის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი...

– ეს ხალხი, ისევე როგორც ბევრი სხვაც, შავ სიაში უმამაჩემოდ მოხვდა. ისინი წლების მანძილზე ასრულებდნენ დანაშაულებრივ განკარგულებებს და ამდენად ბოროტმოქმედების აქტიური მონაწილეები ხდებოდნენ. 1938 წლის მიწურულისთვის სტალინმა, პოლიტბიურომ, კრემლის დიდკაცობამ შეიგნო რეპრესიების ამაზრზენი მასშტაბები. აუცილებელი იყო პოლიტიკის შეცვლა, საზოგადოების ვითომ დემოკრატიზება, სამართლიანობის გათამაშება. ამ ლოზუნგით პარტიის "ერთგულ მებრძოლებს" თვალის დახამხამებაში აქცევდნენ ხოლმე მავნებლებლად და მოღალატეებად. სამართლისა და ზნეობის თვალსაზრისით ისინი, როგორც უკანონობის მსახურნი, შებრალების ღირსი არ იყვნენ, მაგრამ წმენდა უფრო ზემოდან უნდა დაწყებულიყო. მაინც საიდან? პოლიტბიუროდან ხომ არა? ალბათ, იქედან, ოღონდ ეს აღემატებოდა ლავრენტი ბერიას ძალას, შესაძლებლობებსა და უფლებამოსილებას. მან გააკეთა ის, რისი გაკეთებაც შეეძლო.

– ახლა ამბობენ, რომ ბერიამ კანონიერების დამცველის როლი საკუთარი ავტორიტეტის ასამაღლებლად გაითამაშაო...

– მაშინ ვიკითხოთ, რატომ არ იმაღლებდნენ ამნაირად საკუთარ ავტორიტეტს იაგოდა და ეჟოვი? თანაც მიაქციეთ ყურადღება: შინსახკომის სათავეში მამა დიდხანს არ მდგარა. ომის წლებში ის გახდა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი. შინსახკომისგან კი მოგვიანებით ორი ორგანო – შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროები შეიქმნა.

– რა ეკისრებოდა ლავრენტი ბერიას, როგორც სტალინის მოადგილეს?

– სტრატეგიული დაზვერვის ხელმძღვანელობა, ტექნიკითა და ტყვია-წამლით არმიის უზრუნველყოფა.

– შეიძლება თუ არა სიმართლე იყოს ის, რომ 1941 წელს ლავრენტი ბერიას მოუვიდა საბჭოთა პილოტის შეტყობინება მოსკოვთან გერმანული ტანკების 15-კილომეტრიანი კოლონის გამოჩენაზე, მაგრამ მან ეს დაუჯერებლად ჩათვალა და არ აცნობა საბჭოთა სარდლობას?

– მოსკოვის დაცვა, რომელსაც უშუალოდ გ. კ. ჟუკოვი ედგა სათავეში, მამაჩემის აქტიური მონაწილეობით ხორციელდებოდა. შინაგანი და სასაზღვრო ჯარები, აგრეთვე შინსახკომის სპეციალური რაზმები მკერდით იცავდნენ დედაქალაქს. წარმოუდგენელია, რომ დაზვერვის შეფს, რომელიც სამშობლოს ინტერესთა სადარაჯოზე იდგა, ეგზომ მნიშვნელოვანი ინფორმაცია (თუ იგი მართლა არსებობდა) მიეფუჩჩებინა.

– საბჭოთა დაზვერვაზე დაწერილია სახოტბო ტომები, გადაღებულია მრავალი ფილმი, მაგრამ თვით დაზვერვის შეფზე სდუმან. უკეთეს შემთხვევაში გაიგონებთ ტრადიციულ ბრალდებას, სტალინს არასწორ ცნობებს აწვდიდაო.

– არ დაიჯეროთ, რომ ბერია სტალინს არასწორ ცნობებს აწვდიდა. ჯერ კიდევ 1941 წლის დამდეგს კრემლში იდო ჰიტლერის აგრესიის გეგმა "ბარბაროსა" (ერდადთერთი შესწორება, რაც მასში ფაშისტებმა შეიტანეს, იყო ის, რომ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის თარიღი ერთი თვით გადასწიეს). სტალინს უყურადღებოდ არ დაუტოვებია არც ერთი სადაზვერვო დოკუმენტი, არც ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რადგან სხვებზე უკეთ გრძნობდა მოახლოებული ომის ცეცხლოვან სუნთქვას. მან მშვენივრად იცოდა, რომ ინგლისელები ორმაგ თამაშს ეწეოდნენ, რომლის საბოლოო მიზანიც საბჭოთა კავშირისა და გერმანიის წასისიანება იყო. ამიტომაც იჩენდა უკიდურეს სიფრთხილეს, ასჯერ ზომავდა ერთხელ გასაჭრელს. ჩვენს დაზვერვას გადმობირებული ჰყავდა დიდი თანამდებობის გერმანელები, მათ შორის ჰიტლერის ორი უახლოესი თანამშრომელი, რომელთა მეშვეობითაც კრემლში უმალ იგებდნენ ვერმახტის ფარულ ზრახვებს. მამის ინფორმატორები ფიურერის იდეური მტრები იყვნენ და თვლიდნენ, რომ ამ გზით შესძლებდნენ მისთვის ხელისუფლების წართმევას. საგულისხმოა ისიც, რომ საბჭოთა მზვერავების ბრწყინვალე კოჰორტა მოქმედებდა არა მარტო გერმანიაში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშიც.

– კიმ ფილბი ბერიას კაცი იყო?

– დიახ! იგი გადმოიბირა ქართული წარმოშობის ფრანგმა.

– ინგლისელი ჟურნალისტის ფილიპ ნაიტლის წიგნში: "კიმ ფილბი – სუკის სუპერჯაშუში" წავიკითხე თვით ფილბის სიტყვები: "ოპერატიული თვალსაზრისით მე არ ვასახელებ იმ კაცის გვარს (გადმომბირებლის – ავტ.), მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ იგი არარუსი ეროვნებისა იყო..." – თითქოს ამ ვერსიის დასადასტურებლად ამბობსო.

– ეს ვერსია კი არა წმინდა წყლის სიმართლე გახლავთ.

– იქნებ წმინდა წყლის სიმართლე იყოს ისიც, რომ ომის წინ შინსახკომმა და გესტაპომ საიდუმლო დელეგაციები გაცვალეს?

– არა მგონია ასეთი რამე მომხდარიყო, მაგრამ ფაქტია ის, რომ 1939 წლის 22 სექტემბერს (როცა მეორე მსოფლიო ომი პრაქტიკულად უკვე დაიწყო) ბრესტში შედგა ვერმახტისა და წითელი არმიის აღლუმი, რომელიც ჩაიბარეს გენერალმა გუდერიანმა და ბრიგადის მეთაურმა კრივოშეინმა. მანამდე კი ჩვენმა ქვეყნებმა გაცვალეს სამხედრო დელეგაციები, ოღონ ეს არავითარ საიდუმლოს არ წარმოადგენდა. ეს იყო ღია თამაში, სადაც ჰიტლერი და სტალინი ერთმანეთს მეგობრობას უმტკიცებდნენ.

– თვითმხილველთა მტკიცებით, გერმანელები არც თუ ისეთი ბარბაროსები იყვნენ. ზოგჯერ გაიგონებ ხოლმე, მოსახლეობის გასაავებლად ფაშისტებად გადაცმული ჩეკისტები საბჭოთა დაბა-ქალაქებში შეიჭრებოდნენ და მხეცობებს სჩადიოდნენო. გჯერათ ასეთი რამ?

– თავდაპირველად ჰიტლერელები მართლაც ცდილობდნენ თავი ცივილიზებულ ხალხად მოეჩვენებინათ, ამიტომ გადაჭარბებულ სისასტიკეს არ იჩენდნენ. მაგრამ როცა ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილმა მოსახლეობამ იმავე შინსახკომის დახმარებით შექმნა პარტიზანული მოძრაობა, აამოქმედა დივერსიული ჯგუფები და დაიწყო

ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა, გამოჩნდნენ ფაშისტთა სადამსჯელო ექსპედიციებიც. არავითარი გაავება არ სჭირდებოდა მათ, ვინც ოკუპაციის კოშმარი გამოსცადა.

– მიაჩნიათ, რომ ლავრენტი ბერიამ მოაკვლევინა პოლონეთის დროებითი მთავრობის მეთაური გენერალი ვლადისლავ სიკორსკი. ავიაკატასტროფა, რომელშიც სიკორსკი დაიღუპა, ისტორიკოსთა აზრით, გიბრალტარში დიდი ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვის მაშინდელი წარმომადგენლის ჰაროლდ (კიმ) ფილბის მოწყობილი იყო. მკვლელობა თითქოს გამოიწვია იმან, რომ სიკორსკიმ გაიგო კატინის ტყეში პოლონელ ოფიცერთა დახვრეტა და სტალინს ახსნა-განმარტება მოსთხოვა.

– სიკორსკისა და მასთან ერთად პრაქტიკულად მთელი მისი კაბინეტის დაღუპვა ინგლისის დაზვერვის და, მასასადამე, ინგლისის მთავრობის სინდისზეა. სიკორსკის ესმოდა, რომ მოსკოვთან მეგობრული ურთიერთობის გარეშე პოლონეთს დამოუკიდებლად არსებობა გაუჭირდებოდა. პოლონეთ-საბჭოთა კავშირის პოლიტიკური თუ სამხედრო თანამშრომლობა აბსოლუტურად არ აძლევდა ხელს უინსტონ ჩერჩილს, რომელიც უკვე ფიქრობდა ომისშემდგომ სიტუაციაზე, საბჭოთა კავშირის გამარჯვების შედეგად რომ შეიძლებოდა შექმნილიყო. მას სურდა შეეზღუდა საბჭოთა კავშირის გავლენა ევროპაზე, მათ შორის პოლონეთზეც. ვლადისლავ სიკორსკის მთავრობა ლონდონიდან ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავით გამოფრინდა. სიმაღლის აღების შემდეგ პილოტები პარაშუტით გადმოხტნენ. ინგლისის სასამართლომ მათ ოც-ოცი წლით პატიმრობა მიუსაჯა, თუმცა აქციის ავტორთა ვარაუდით ისინიც უნდა დაღუპულიყვნენ. მამაჩემი, რომელიც მაშინ საბჭოთა კავშირის უზენაეს ინტერესებს იცავდა, თუნდაც პრაგმატული თვალსაზრისით არ მოაკვლევინებდა სიკორსკის. ეს, მე მგონი, უფრო შეეძლოთ სტანისლავ მიკოლაიჩიკის (სიკორსკის მოადგილის) ტიპის მოღვაწეებს, რომლებიც უარჰყოფდნენ საბჭოთა კავშირთან პოლონეთის დაახლოების იდეას. დაუჯერებლად მეჩვენება ამ ტრაგედიის კავშირი კატინის ტრაგედიასთანაც, რადგან იმ ურთულეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში, ვეჭვობ, ვინმეს შესძლებოდა ეგზომ საჭოჭმანო საკითხის გამო სტალინისთვის პირდაპირი პრეტენზიის წაყენება.

– ლავრენტი ბერია ებრაული ანტიფაშისტური კომიტეტის (ეაკ) შემქმნელი იყო. 1952 წლის აგვისტოში მისი წევრების უმრავლესობა დახვრიტეს. როგორ მოხდა ეს?

– ისე, როგორც სხვა უამრავი დანაშაულობა ჩვენს ქვეყანაში. მისი ჩადენა შეეძლო არა მარტო ლავრენტი ბერიას. მე უკვე მომბეზრდა ამის გამეორება. თქვენ ამბობთ, იგი ეაკ-ის შემქმნელი იყოო. ეს იქნებ გადაჭარბებულიცაა, თუმცა დანამდვილებით ვიცი, რომ მამა ეაკ-ის შექმნაში მონაწილეობდა. მიზეზიც ვიცი. ჯერ ერთი, ებრაელები ჩვენთან ერთად ებრძოდნენ ფაშიზმს, ებრძოდნენ მამაცურად და თავგანწირულად (მამაჩემის ერთ-ერთი მოადგილე, საბჭოთა კავშირის გმირი ბორის ლვოვის ძე ვანნიკოვი ებრაელი იყო). მეორეც, მათ ხელში იყო უზარმაზარი ფინანსური სტრუქტურები და სუფთა პრაქტიკული თვალსაზრისით ესეც კმაროდა მათთვის მხარდასაჭერად. უცნაურია, მაგრამ ფაქტია: სსრ კავშირმა, რომლის წყალობითაც მსოფლიო რუკაზე გაჩნდა ებრაული სახელმწიფო, ფარული ომი გამოუცხადა საკუთარ ებრაელებს. ეაკ-ი გახდა ერთ-ერთი მსხვერპლი ამ ომისა, რომელიც უპირველესად პარტნომენკლატურის მიერ იყო ინსპირირებული.

– ზოგიერთი მკვლევარი ბერიას მოწყობილად მიიჩნევს თბილისში მომხდარ ავიაკატასტროფას, რომელშიც დაიღუპა ცნობილი ფრანგი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე ივ ფარჟე. ვერსია ასეთია: 1944 წელს ლავრენტი ბერიამ თავის ხელქვეითებს უბრძანა პარიზიდან ჩამოეყვანათ ცოლის ძმისშვილი თეიმურაზ შავდია, რომელიც გერმანელთა უშიშროების სამსახურს (სდ) დაქვემდებარებულ "ქართულ რეგიონში" მსახურობდა და წინააღმდეგობის მოძრაობის ბევრი მონაწილის დაღუპვაში მიუძღოდა ბრალი. გერმანელ დამნაშავეებთან ერთად ფრანგების ტყვეობაში მყოფი შავდია, ალბათ, დასჯას ელოდა, მაგრამ მოსკოვიდან დახმარებამ სულზე მოუსწრო. მიუხედავად ამისა, ციხეს მაინც ვერ გადაურჩა და უკვე საბჭოთა სასამართლომ 25 წლით პატიმრობა მიუსაჯა. 1953 მარტში ლავრენტი ბერია, როცა იგი ქვეყნის პირველი ვიცე-პრემიერი და შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა, კვლავ დაინტერესდა შავდიას ბედით. სწორედ მაშინ, 1953 წლის 31 მარტს, იღუპება თბილისში სტუმრად მყოფი ივ ფარჟე – საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძაობის აქტიური მონაწილე, რომელმაც, ვერსიის ავტორთა აზრით, ბევრი რამ იცოდა თეიმურაზ შავდიას დანაშაულებრივ წარსულზე...

– თეიმურაზ შავდია დედაჩემის ძმისშვილი კი არა ნახევარძმა იყო. პოდოლსკის მეტყვიამფრქვევეთა სასწავლებლის კურსანტებთან ერთად იგი ტყვედ ჩავარდა და საფრანგეთში მოხვდა. იქ მართლაც ირიცხებოდა რომელიღაც გერმანულ ათასეულში, საიდანაც ქართველი ემიგრანტების მეშვეობით გაიქცა. თბილისში თავისით დაბრუნდა 1946 წელს. დააპატიმრეს ჯერ კიდევ მამაჩემის დაღუპვამდე კოლექტიურ ჩხუბში მონაწილეობისთვის ანუ სისხლის სამართლის საქმისთვის. ციხიდან გამოვიდა 1955 წელს და გარდაიცვალა ამ ხუთიოდე წლის წინათ. ვშიშობ, რომ მას წარმოდგენაც არ ჰქონდა ვინმე ფრანგ ივ ფარჟეზე, რომელიც განგების და არა ლავრენტი ბერიას ნებით საქართველოს დედაქალაქში დაიღუპა. ასევე საეჭვოა, რომ თვით ფარჟესაც რამე სცოდნოდა თეიმურაზ შავდიას შესახებ.

– ჩვენ ვსაუბრობთ რეპრესიებზე, მაგრამ არ გვითქვამს, რომ საბჭოთა კავშირში რეპრესირებული იყო არა მარტო მილიონობით ადამიანი, არამედ მთელი ეთნოსებიც. ვოლგისპირეთისა და ყირიმის გერმანელები, ყირიმელი თათრები, ბერძნები, ჩეჩნები, ინგუშები და ჩრდილოეთ კავასიის სხვა ხალხები... ამდენი ხნის პროპაგანდისტული დამუშავების შემდეგ ძნელია დაარწმუნო ისინი, რომ მათი ბედის ბორბალი უკუღმა ბერიას არ დაუტრიალებია...

– ერთხელ თვით ხრუშჩოვს წამოსცდა, რომ ბერია მეტად ხელსაყრელი ფიგურაა, რომელსაც პარტიის ყველა უმსგავსობა შეიძლება გადააბრალოო. მე იგივეს ვიტყოდი ავადსახსენებელ შინსახკომზეც, რომელიც, როგორც ცნობილია, რევოლუციის, შემდგომ კი პარტიის დამსჯელი მახვილი იყო. პარტია ღებულობდა გადაწყვეტილებას, რომელსაც შინსახკომი ასრულებდა. ასეთი ვითარება მის პასუხისმგებლობას არ ამსუბუქებს, მაგრამ ჭეშმარიტების

გარკვევისას, კოზმა პრუტკოვისა არ იყოს, ძირის ძირამდე წვდომაა საჭირო. ეთნოსების დეპორტაცია უკიდურესად უმართებულო აქციაა. მე, მაგალითად, საკუთარი თვალით მინახავს რა მამაცურად ებრძოდნენ მტერს ღალატში მხილებული ჩეჩნები და ინგუშები.

– ვის აძლევდა ხელს მთელი ეთნიკური ჯგუფების სამშობლოდან აყრა და ცხრა მთას იქით გადახვეწა? ამით ხომ ქვეყანამ არა მარტო უზარმაზარი ზნეობრივი, არამედ მატერიალური ზარალიც ნახა?

– იქნებ ვცდებოდე, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რმ რუსეთ-კავკასიის ომი სულაც არ დამთავრებულა XIX საუკუნეში. იგი სხვა ფორმით, მაგრამ საბჭოთა პერიოდშიც გრძელდებოდა. ნაციონალისტურად განწყობილი ხელისუფალნი შემდგომშიც ყოველნაირად იბრძოდნენ რუსების სასიცოცხლო სივრცისთვის და ასეა დღესაც. სტალინის დროს კი ეროვნულ საითხებზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენდა ისეთი მგელი, როგორიც იყო ანდრია ჟდანოვი.

– რომელიც, როგორც ამბობენ, არანაკლებ საშიშმა მგელმა ლავრენტი ბერიამ დაგლიჯა.

– მე კი მგონია, რომ ჟდანოვი უზომო ლოთობამ მოკლა. ექიმმა ლიდია ტიმაშუკმა მისი სიკვდილი არასწორ მკურნალობას გადააბრალა, რასაც ე.წ. "ექიმების საქმე" მოჰყვა. ჟდანოვი აშკარად ექიშპებოდა თვით სტალინს. განსაკუთრებით თვითნებობდა იგი კულტურის სფეროში, თუმცა მთელი მისი პირადი კულტურა როიალზე ორი თითით დაკვრაში გამოიხატებოდა.

– ასეთი კაცი არბევდა საკავშირო ჟურნალებს "ზვეზდასა" და "ნევას", კალამს უწუნებდა ახმატოვას, ზოშჩენკოს, შოსტაკოვიჩს. მე ეს საკავშირო ცეკას ყბადაღებული დადგენილებიდან ვიცი, რომელსაც ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე გვასწავლიდნენ!..

– თუ ეროვნულ საკითხებს დავუბრუნდებით, ჟდანოვი და მისი ნაციონალ-შოვინისტური გარემოცვა მოხერხებულად იყენებდა სტალინის ეჭვიან ხასიათს. ვთქვათ და, ომის დროს რომელიმე აულს ფაშისტებისთვის იორღა და ნაბადი რომ მიერთმია, მთელ ერს მოღალატედ გამოაცხადებდნენ და ციმბირში ან ყაზახეთში უკრავდნენ თავს. შემიძლია დაბეჯითებით გითხრათ, რომ მსგავსი განუკითხაობის მოთავე მარტო ლავრენტი ბერია არ ყოფილა.

– გენერალი ანდრია ვლასოვი ჯარიან-იარაღიანად მტერს ჩაბარდა. ხომ არ უნდა გადაესახლებინათ ამის გამო მთელი რუსი ერი? სხვათაშორის, ვლასოვის შეპყრობა და მოსკოვში ჩამოყვანა ბერიას დამსახურება ხომ არაა?

– იგი საბჭოთა დაზვერვამ შეიპყრო. საბჭოთა დაზვერვის შეფი კი ლავრენტი ბერია იყო.

– დავუბრუნდეთ დეპორტირებულთ. მაგალითად, უკრაინის მთავრობა დღეს მათი ტრადიციული დასახლების რაიონებში აბრუნებს 400 ათასამდე დეპორტირებულ გერმანელს, რაც უზარმაზარ ინვესტიციებს მოითხოვს.

– მე გერმანელებთან ერთად გავიზარდე და ამ ხალხს ძალიან კარგად ვიცნობ. უფრო მეტიც, ძიძაჩემი ელა ემანუილის ასული ალმენდინგერი, რომელიც ოჯახის წევრებში არ გამოგვერჩეოდა, გერმანელი გახლდათ. ჩვენს მიწაზე დაბადებულ-გაზრდილს სხვა სამშობლო თითქოს არ გააჩნდა, მაგრამ ომი დაიწყო თუ არა, იგი სრულიად გამოიცვალა. შორეული წინაპრების ძახილმა თუ აუჩქროლა გოთური სისხლი. მას ერთის მხრივ, მშვენივრად ესმოდა ფაშიზმის მთელი საშიშროება, მაგრამ, მეორეს მხრივ, გერმანიის ბედ-იღბალი აღელვებდა. და ეს ბუნებრივია. ვფიქრობ, საბჭოთა გერმანელთა უმრავლესობა მიემხრობოდა თავის სისხლისმიერ ძმებს, მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერი მათ სძულდათ. ომმა ისინი ისეთ საშინელ დღეში ჩააყენა, რომ მიჭირს კიდევაც თქმა, რა უფრო მეტი უზნეობა იქნებოდა, ამ ადამიანების მტანჯველი არჩევანის წინაშე დაყენება: "საბჭოთა კავშირი ან გერმანია" თუ ცოდვის აცილება თუნდაც გადასახლების გზით. ვინ იტყვის, რა უფრო ჰუმანურია? გადასახლებაში, სხვა თუ არაფერი, მათ უმთავრესი რამ – სიცოცხლე შეუნარჩუნეს!

– როგორია თქვენი აზრი ე.წ. თურქ-მესხებზე? მათ კარგია ხანია შექმნეს საზოგადოება "ვატან" ("სამშობლო") და მოითხოვენ დაბრუნებას საქართველოში, რომელსაც სამშობლოდ მიიჩნევენ.

– თუ საკითხს ისტორიულ ასპექტში განვიხილავთ, – მსგავს შემთხვევებში კი სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ, – რა თქმა უნდა, არავითარი თურქი მესხები არ არსებობენ, როგორც არ არსებობენ სომეხი მესხები, ასევე ამ უძველესი ქართული მიწის მესხეთის დღევანდელი მკვიდრნი. მე ვიცი მესხი შოთა რუსთაველი, რომელიც, როგორც ცნობილია, თურქი არ ყოფილა. თურქეთი ჩვენი მეზობელი სახელმწიფოა, რომელიც ამჟამად დემოკრატიული გზით ვითარდება, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ არსებობდა უცხო ტერიტორიებს დახარბებული ოტომანთა მძლავრი იმპერია – "ბრწყინვალე პორტაც". შავშეთ-ერუშეთი, ტაო-კლარჯეტი, ლაზეთი... ვის ტერიტორიაზეა ჩვენი არქიტექტურული ძეგლები და ქრისტიანული სალოცავები ოშკი, შატბერდი, ბანა? ვიცი, რომ ეს რიტორიკული კითხვებია და მაინც... ნებისმიერ ცალკეულ პიროვნებას აქვს უფლება დაბადების ადგილი სამშობლოდ იგულვოს, მაგრამ მთელი ერის სამშობლო არ შეიძლება უცხო ტერიტორია იყოს. სხვათაშორის, იცით თუ არა, რომ ლენინი საქართველოს ათა-თურქს აძლევდა? ჩვენი პატარა ქვეყანა დღე და მოსწრება თავის გადასარჩენად იბრძოდა, რევოლუციის ბელადი კი მზად იყო კალმის ერთი მოსმით იგი თურქეთისთვის ეჩუქებინა, ამ უკანასკნელის სოციალისტური ორიენტაციის სანაცვლოდ. და აჩუქებდა კიდეც, სტალინი რომ არა!

– ხომ არ გეუფლებათ ისეთი გრძნობა, რომ სტალინმაც და ბერიამაც, ისევე, როგორც სხვა ქართველმა ბოლშევიკებმა, ნიჭი და სიცოცხლე ცრუ იდეალებს შეალიეს, მამულს კი ვერაფერი არგეს?

– "რა დასანანია, რომ მღვდელი არ გამოხვედი!" – უთქვამს სტალინისთვის დედამისს. "რა დასანანია, რომ მშენებელი არ გამოხვედი!" – შეეძლო ეთქვა მამისთვის ბებიაჩემსაც. დედა ნიადაგ უმტკიცებდა მამას, რომ ადამიანი მშობელ მიწაზე უნდა ცხოვრობდეს, სამშობლოსთვის უნდა ჰქმნიდეს. საცოდავი ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოესწრო საქართველოში ჩემს დაბრუნებას. სწორედ დედაჩემისგან მსმენია და თვითონაც დავრწმუნებულვარ, რომ მამა არც მოსკოვში ყოფილა გულდახშული საქართველოს მიმართ და ბევრს აკეთებდა მისი აღორძინებისა და წინსვლისთვის.

– სკკპ ცენტრალური კომიტეტის იმ "საბრალდებო" პლენუმზე ბევრს ლაპარაკობდნენ ქართულ საკითხებში ბერიას მონოპოლიაზე...

– მამა მართლაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს ხელმძღვანელობასთან და არც თუ იშვიათად შეჰქონდა კორექტივები მათ საქმიანობაში...

– როგორ უყურებდა იგი საქართველოს ტერიტორიაზე ავტონომიური ერთეულების არსებობას?

– აღიქვამდა მათ, როგორც გარედან თავსმოხვეულ რეალობას, თუმცა, მისი ნება რომ ყოფილიყო, ამ საკითხს სხვაგვარად გადაწყვეტდა.

– რა იცით ლავრენტი ბერიასა და ნესტორ ლაკობას ურთიერთობებზე?

– ისინი მეგობრობდნენ, თუმცა ხშირად კამათობდნენ კიდეც.

აფხაზებს მიაჩნიათ, რომ ქართველები იოსებ სტალინი და ლავრენტი ბერია ახორციელებდნენ აფხაზი ერის გენოციდს, რომ მათი ლიდერი ლაკობა მოწამლა აფხაზეთში დაბადებულმა, მაგრამ აფხაზთმოძულე ლავრენტი ბერიამ.

– უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ ბევრს დღემდე არასწორად ესმის ტერმინი "გენოციდი" და წარამარა უალაგოდ ხმარობს მას. სინამდვილეში გენოციდი ნიშნავს "რასობრივი, ეროვნული თუ რელიგიური მოტივებით მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ფიზიკურ მოსპობას ან ცხოვრების ისეთ პირობებში ჩაყენებას, რაც მათ განადგურებას გამოიწვევს". ერთი მითხარით, აქ ჩამოთვლილი რომელი ნიშნის მიხედვით ანადგურებდნენ ქართველები აფხაზებს, ვის სასარგებლოდ ხდებოდა რესპუბლიკაში მოსახლეობის ასიმილაცია? რატომ არ არის არც ერთი ქართველი, რომელსაც ჰქონდეს აფხაზური გვარი თარბა, ადლეიბა, ვოუბა, და არიან აფხაზები, რომლებსაც აქვთ ქართული გვარები გულია, ლომია, ბებია და ა.შ.? ნუთუ მთელი საქართველოს ძალისხმევით შექმნილი საყოფაცხოვრებო პირობები სოხუმში, გაგრაში, ბიჭვინთაში, გუდაუთაში, ახალ ათონში თუ ოჩამჩირეში იწვევდა აფხაზთა განადგურებას? ან რომელ მცირერიცხოვან ერს ჰქონდა საბჭოთა კავშირში აფხაზებზე უფრო რეალური ავტონომია? სიმართლე თუ გნებავთ, მათი ძალად რესპუბლიკა ეთნოკრატიის პრინციპებზე იყო დაფუძნებული და უპირველესად ეროვნული ნიშნით განისაზღვრებოდა. სწორედ ამან შეუწყო ხელი ბევრი ქართველის გადაგვარებას და აფხაზური ეთნოსის ხელოვნურად ზრდას. ამ უკუღმართი პროცესის სავალალო შედეგებს დღეს იმკის დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი მრავალტანჯული საქართველო. რაც შეეხება მამაჩემს, იგი პატრიოტი იყო იმ მიწისა, რომელზეც დაიბადა, პატივს სცემდა ხალხს, რომელიც იქ ცხოვრობდა. მე ამის მოწმე ვარ.

– თქენ მაინც ამტკიცებთ, რომ ლაკობას სიკვდილი არაა ბერიას სინდისზე?

– მჯერა, რომ არაა. ნესტორ ლაკობა ავადმყოფი კაცი იყო, ხანგრძლივად მკურნალობდა გერმანიაში. ჩვენ ოჯახებით ვმეგობრობდით და მე არ შემიმჩნევია, რომ მამა მტრულად ყოფილიყო მის მიმართ განწყობილი.

– ქართველ-აფხაზთა ურთიერთობის გამწვავებასთან დაკავშირებით კვლავ გაიხსენეს ბრწყინვალე ლიტერატურათმცოდნის, ისტორიკოსისა და კულტურტრეგერის პავლე ინგოროყვას მონოგრაფია "გიორგი მერჩულე", რომელშიც აფხაზების ეთნოგენეზისს მთელი თავი ეძღვნება. მეცნიერი ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით იმ დასკვნამდე მიდის, რომ აფხაზებიც ქართული ეთნოსია. ანტიქართული სული მათ შთაბერეს ჩრდილოკავკასიურმა ტომებმა, რომლებმაც აფხაზი დაირქვეს გვიან შუასაუკუნეებში, არა უადრეს XVIII საუკუნისა. გამოკვლევა პრესაში გამოქვეყნდა 40-იანი წლების მიწურულს, მაგრამ ხელისუფალთა მკაცრი კრიტიკის გამო ცალკე ტომად არ გამოცემულა. ბერიას დაცემის შემდეგ კი გავრცელდა ვერსია, რომ მეცნიერმა ისტორია ლავრენტი ბერიას მითითებით გააყალბაო.

– პავლე ინგოროყვა ეკუთვნოდა იმ შეურიგებელ ოპოზიციონერთა რიცხვს, რომლებიც ბოლშევიკებთან არავითარ კომპრომისზე არ მიდიოდნენ. სხვაგვარად მსოფლიო მასშტაბის მკვლევარი რიგით ლიტერატორად არ მოკვდებოდა. მამამ იქნებ მართლაც სთხოვა ინგოროყვას ჩვენი ერისთვის და პირადად მისთვისაც აქტუალური თემის გაშუქება. მან კარგად იცოდა, ვინ რას წარმოადგენდა ქართულ ლიტერატურაში, ამიტომ ასეთი ვარაუდი გამონაგონს არ ჰგავს. სხვა საქმეა, რომ პავლე ინგოროყვა ვინმეს მითითებით ისტორიას არ გააყალბებდა. და ბოლოს, არა მგონია, რომ რესპუბლიკის მეთაურის საქმიანი ურთიერთობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან ამ უკანასკნელთათვის ჩირქის მომცხები ყიფილიყო, როგორც ეს ზოგ-ზოგებს დღეს ჰგონიათ.

– ლავრენტი ბერიას ბოროტმოქმედებებზე საუბრისას ხშირად ახსენებენ ხოლმე ა. ნ. რაფავას, ს. ა. გოგლიძეს, ნ. მ. რუხაძეს, ლ. ფ. ცანავას. თქვენ მათ იცნობდით?

– ვიცნობდი, თუმცა ახლო ურთიერთობა არ მქონია. რუხაძე, მაგალითად, დიდი უცხვირპირო ვინმე იყო, მამაჩემს მტრობდა და ვერ გამიგია, როგორ მოხვდა მის მეგობართა სიაში. რაფავა და გოგლიძე მართლაც მეგობრობდნენ მამასთან, ხოლო ცანავაზე (მისი ნამდვილი გვარი ჯანჯღავაა, რომელიც რუსებისთვის გაუბრალოვა) ვერ ვიტყვი, მამასთან მეგობრობდა-თქო.

– მაშინ ეს ჭრელი ხალხი ასე ჯგუფურად რატომ ჩაწერეს ბერიას დამქაშებში?

– რათა ბერია ქართველ მაფიოზადაც წარმოეჩინათ.

– ტიტე ლორთქიფანიძე თუ გსმენიათ?

– როგორ არა! იგი ამერკავკასიის შინსახკომის უფროსი იყო და ჩვენს სართულზე ცხოვრობდა. მშობლები მას პატივისცემით ეპყრობოდნენ. ტიტეს ჰყავდა პროფესორი სიძე, რუსული ლიტერატურეს სპეციალისტი, შესანიშნავი პიროვნება, რომელიც საინტერესო წიგნებს მაძლევდა წასაკითხად. ძალიან დამწყდა გული, როცა ტიტე სამუშაოდ ყირიმში გადაიყვანეს და იქ დააპატიმრეს.

– არსებობს ვერსია, რომ ლორთქიფანიძე აბეზღებდა ბერიას, ამიტომაც ამ უკანასკნელმა საქართველოდან გააძევაო...

– რას ბრძანებთ! ლორთქიფანიძე კაცს მოკლავდა, მაგრამ მაბეზღარობას ნამდვილად არ იკადრებდა. რევოლუციამდე იგი "ექსების" – ექსპროპრიატორების – ჯგუფს ხელმძღვანელობდა, მერე კი ცეკაში მუშაობდა. შესაძლოა, რომ მას ზოგიერთ საკითხში მამისგან განსხვავებული შეხედულებები ჰქონოდა, მაგრამ ამის გამო დამსმენისა და ჭორიკანის დონემდე ნამდვილად არ დაეშვებოდა.

– გაგანდობთ საიდუმლოს: ეს ვერსიაც ვოლკოგონოვის წიგნიდანაა.

– ღმერთმანი, არ ვიცოდი, ბატონი გენერალი საქართველოს უახლესი ისტორიის ასეთი უბადლო მცოდნე თუ იყო!

– ვარლამ არავიძის პროტოტიპად ლავრენტი ბერია მიაჩნიათ, თუმცა გარეგნული მსგავსება მხოლოდ პენსნითაა მინიშნებული.

– რამდენადაც მე მესმის, თენგიზ აბულაძის ფილმი "მონანიება" გროტესკია ტირანსა და ტირანიაზე საერთოდ. არა მგონია, რომ ვარლამ არავიძე მაინც და მაინც მამაჩემი იყოს, რადგან ფილმის ღრმა მეტაფორიზმი და ალეგორიულობა ლაპარაკობენ მის უნივერსალურ მნიშვნელობაზე. ქართული ფონი აქ მხოლოდ აკონკრეტებს მოქმედების ადგილს. დიახ, 30-იანი წლები საქართველოსთვის ძნელი და ტრაგიკული იყო, მაგრამ ამბავი, რომელსაც ავტორები მოგვითხრობენ, მეტ-ნაკლები სისავსითა და კოლორიტით საბჭოთა კავშირის ნებისმიერ რესპუბლიკაში შეიძლებოდა მომხდარიყო. ეს ჩემი პირადი აზრია.

– როგორ ახსნიდით ლავრენტი ბერიას კავშირს პარიზის ქართულ ემიგრაციასთან? რამ განაპირობა იდეური მტრების ურთიერთსიმპათია?

– ძნელი სათქმელია, იყვნენ თუ არა ისინი იდეური მტრები. მამაჩემის საკმაოდ უცნაური დამოკიდებულება მათ მიმართ ასეთი ეჭვის საბაბს ნამდვილად იძლევა. მაგალითად, კონსპირაციულად შემოგზავნილი მენშევიკების ახალგაზრდა ემისრები, რომლებიც ჩეკამ დააკავა, დაუსჯელად გაუშვეს.

– ალბათ, შესაბამისად დამუშავების მერე...

– არა, ისინი უბრალოდ შეიწყალეს, რადგან არ ჰქონდათ ჩადენილი რაიმე დანაშაული.

– საზღვარზე არალეგალურად გადმოსვლაც ხომ დანაშაული იყო?

– კანონის მიხედვით ასეა, მაგრამ კანონი იმისთვის არსებობს, რომ იგი ხანდისხან დაირღვეს. ვალიკო ჯუღელს მამა ვერ დაეხმარებოდა, რადგან თბილისში მისი ჩამოსვლა გახმაურდა. ემიგრაციასთან კავშირი კი, ეტყობა, მაღალ პროფესიულ დონეზე ხორციელდებოდა. სტალინი, რომელიც, როგორც ცნობილია, მენშევიკების მიმართ შეურიგებელი იყო, მათ შემოტყუებასა და განადგურებას მოითხოვდა. მამა კი პირიქით მოიქცა. მე ეს დედაჩემისგან ვიცი. ფაშიზმზე გამარჯვების შემდეგ, როცა საქართველოში პირველი ემიგრანტები დაბრუნდნენ, ევგენი გეგეჭკორსაც გამოუწია შინისკენ გულმა, მაგრამ მამამ ის და მისი თანმხლებნი სპეციალური მეკავშირის მეშვეობით გააფრთხილა, რომ შეპყრობა არ ასცდებოდათ. მათაც დაუჯერეს და გადარჩნენ.

ომის წინ ჩვენს სახლში ცხოვრობდა თვით რობერტ ოპენჰაიმერი

– ცნობილია, რომ ომის წინ ლავრენტი ბერიამ შინსახკომთან სპეციალური ტექნიკური ბიურო შექმნა. რა ფუნქცია ჰქონდა მას?

– 30-იანი წლების მიწურულს საბჭოთა ციხეებსა და ბანაკებში იჯდა არა მარტო შემოქმედებითი, არამედ ტექნიკური ინტელიგენციაც. ამ ღრმად განათლებულ და ნიჭიერ ხალხს ქვეყნისთვის დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო და ის ბიუროც მამამ მათთვის გაახსნევინა. ალბათ, იკითხავთ: რაღა ციხეში ახსნევინებდა, გამოეშვა ისინი და სამსახურს თვითონაც იშოვნიდნენო. სწორი ბრძანებაა, მაგრამ სცადე გამოუშვა კაცი, რომელმაც უმძიმესი დანაშაულის ჩადენა აღიარა! თუმცა ცნობილი იყო, რომ ბევრი ძალით მიიყვანეს ამ აღიარებამდე (რასაც გენერალური პროკურორი ანდრია ვიშინსკი "მტკიცებათა დედოფლად" თვლიდა), სახალხო კომისარი უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას ვერ გადასინჯავდა. როგორც ადრე გითხარით, არ გააჩნდა საამისო უფლებამოსილება. გამოჩენილი ავიაკონსტრუქტორი ანდრია ტუპოლევი მომიყვა, მამაშენმა რამდენჯერმე გამომიძახა და ადრე მიცემულ ჩვენებათა გადათქმა მთხოვა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდაო. ბოლოს და ბოლოს მამამ გადაწყვიტა ტუსაღი მეცნიერები სპეციალიზებულ საკონსტრუქტორო ბიუროებში გაეერთიანებინა. დავალების შესრულების შემდეგ მათ ანთავისუფლებდნენ. ასე გამოუშვეს ვლადიმერ პეტლიაკოვი, ვლადიმერ მიასიშჩევი, თვით ანდრია ტუპოლევიც. კონსტრუქტორთა აბსოლუტური უმრავლესობა იაგოდა-ეჟოვის დროს დააპატიმრეს და ამდენად, ზოგი ისტორიკოსის თუ პუბლიცისტის მტკიცება, ბერია ცნობილ სპეციალისტებს ციხისშიგნითა საწარმოების კვალიფიციური მუშახელით შესავსებად იჭერდაო, სინამდვილეს არ შეესაბამება.

– თქვენი თქმით მამა მშვენივრად ხატავდა, ეტრფოდა ხელოვნებას. იქნებ ამით იყო გამოწვეული შინსახკომის ცენტრალურ ანსამბლის შექმნაც. ამ ანსამბლს, როგორც ამბობენ, ნებისმიერი სახელგანთქმული კოლექტივისთვის შეეძლო მეტოქეობის გაწევა. ლავრენტი ბერიას ხელოვანთა მთელი თანავარსკვლავედი მიუწვევია: სერგეი იუტკევიჩი, რუბენ სიმონოვი, ალექსანდრე ივანოვ-კრამსკოი, დიმიტრი შოსტაკოვიჩი...

– თქვენ გამოგრჩათ პავლო ვირსკი, გამოჩენილი უკრაინელი ქორეოგრაფი, რომელიც იმ ანსამბლში მოცეკვავეთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა. უკვე კიევში გადმოსულს ეს თვით მაესტრომ მიამბო. ვერ ვიტყვი, მამაჩემი შინსახკომის ანსამბლს გადაყოლილი იყო-თქო, რადგან მას მაშინ მინდობილი ჰქონდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა, დაზვერვა, თავდაცვა, ატომური ბომბი.

– ატომური ბომბი? კი მაგრამ ჩვენ ხომ 1939 წელზე ვსაუბრობთ!

– დიახაც! სწორედ 1939 წლის მიწურულს შესთავაზა მამამ მთავრობას ატომურ ბომბზე მუშაობის დაწყება. სადაზვერვო მონაცემები ცხადჰყოფდნენ, რომ გერმანელები, ინგლისელები და ამერიკელები მსგავს პროექტს უკვე ამუშავებდნენ. იმხანად ჩვენს სახლში ორი ახალგაზრდა ამერიკელი სტუმრობდა, რომლებიც მზად იყვნენ შესაბამისი ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის შემთხვევაში ატომური ბომბის პროექტი შეექმნათ. ახალგაზრდა საბჭოთა ფიზიკოსების საექსპერტო შეფასებებით შემტიცებული ეს წინადადება მამამ პოლიტბიუროზე განსახილველად გამოიტანა. იქ მას ორად-ორი კითხვა დაუსვეს: რამდენად რეალურია შემოთავაზებული წინადადების განხორციელება და რა დრო დასჭირდება მას? ჰაერში უკვე დენთის სუნი ტრიალებდა, ამიტომ სახელმწიფოს არ შეეძლო გრძელვადიან პროექტზე მუშაობა. თვით იდეის წინააღმდეგ კატეგორიულად გაილაშქრა აკადემიკოსმა პეტრე კაპიცამ.

– რატომ?

– კაპიცას საბჭოთა წყობილება არ მოსწონდა და ამას არც ოდესმე მალავდა. იგი სრულიად ახაალგაზრდა გაემგზავრა ინგლისში და იქ რეზერფორდთან ერთად ატომური ბირთვის გახლეჩვაზე მუშაობდა. ავადმყოფი სიმამრის, აკადემიკოს ა. ნ. კრილოვის სანახავად ჩამოსული კაპიცა ძალით დააკავა საბჭოთა მთავრობამ. მოლოტოვმა ჰკითხა მას: "რაა საჭირო საიმისოდ, რომ აქ დარჩეთ?" "რეზერფორდის ლაბორატორია!" – იყო პასუხი. ჩამოუტანეს მას რეზერფრდის ლაბორატორია და უბრძანეს: "განაგრძეთ მუშაობა, აკეთეთ ის, რასაც ინგლისში აკეთებდით!" მან ეს პრინციპულად არ ისურვა და სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან და საინტერესო პრობლემას მოჰკიდა ხელი. პეტრე კაპიცა ჭკვიანი, მამაცი და გულმართალი კაცი იყო. უდიდესი მადლიერებითა და პატივისცემით ვიხსენებ მას, როგორც ერთ-ერთ მათგანს, ვინც მთავრობას განუცხადა: უსამართლობაა ბერიას ვაჟის ციხეში გაჩერებაო.

– კაპიცამ პროექტი დაამუხრუჭა?

– დამუხრუჭება მას არ შეეძლო, მაგრამ ეჭვები კი დაბადა. იმ დროს ჩვენი ელექტრონიკა ძლიერ ჩამორჩებოდა, არც სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა გაგვაჩნდა სუპერთანამედროვე იარაღის მეტისმეტად მჭიდრო ვადებში შესაქმნელად. ამიტომაც წამოწყება ნაადრევად ჩათვალეს. მამამ გული მაინც არ გაიტეხა და განაგრძო ურთიერთობა მათთან, ვისაც ევროპელ და ამერიკელ მეატომეტა საქმიანობაზე ინფორმაციის მოწოდება შეეძლო. 1942 წელს, როცა საკმაო ცნობები დაუგროვდა, მან ისევ მიმართა პოლიტბიუოს ადრინდელი წინადადებით: განეხილათ ატომური ბომბის საკითხი. სტალინი დათანხმდა, მაგრამ ძვირფასი დრო ხელიდან გაშვებული აღმოჩნდა. სპეციალისტები, თავის დროზე სამსახურს რომ გვთავაზობდნენ, უკვე ამერიკულ პროექტს ედგნენ სათავეში და მათი უკან დაბრუნება შეუძლებელი იყო. საბჭოთა მთავრობა, რომელმაც ბოლოს და ბოლოს აღიარა ატომური ბომბის შექმნის აუცილებლობა, ითვალისწინებდა ამერიკელების რეალურ შანსს, ჰქონოდათ მასობრივი განადგურების იარაღი ომის დამთავრებამდე თუ არა, დამთავრებისთანავე მაინც. ასეთ შემთხვევაში ამერიკა მსოფლიოს ერთპიროვნული ლიდერი გახდებოდა, ჩვენ კი დაუცველნი დავრჩებოდით. ყველაფერი ნულიდან რომ არ დაგვეწყო, შესაბამისმა სამსახურებმა რამდენიმე ინგლისელი სპეციალისტი მოიტაცეს და წყალქვეშა ნავით ჩვენთან ჩამოიყვანეს. მომავალ პროექტზე სამუშაოდ მამამ შეარჩია ახალგაზრდა კადრების ჯუფი, რომლის ხელმძღვანელადაც დანიშნეს ნიჭიერი, ბეჯითი, სიმპათიური და ასევე ახალგაზრდა იგორ კურჩატოვი. მათ შეუერთდნენ გამოჩენილი აკადემიკოსები ი. ბ. ხარიტონი, ნ. ლ. დუხოვი, ნ. ნ. სემიონოვი და სხვები, რომლებსაც დაუყოვნებლივ გადაეცემოდათ დაზვერვის მიერ მოპოვებული სპეციფიკური მონაცემები. პროექტზე მუშაობა ძლიერ გააქტიურა ებრაული წარმოშობის იტალიელმა ფიზიკოსმა ბრუნო პონტეკორვომ.

– პონტეკორვოც მოიტაცეს?

– არა, ის კომუნისტი იყო და ჩვენთან თანამშრომლობა სურვილი თვითონ გადაწყვიტა. ეს იყო 1950 წელს, როცა მას ინგლისის მოქალაქეობა ჰქონდა მიღებული და სულ მალე ლივერპულის უნივერსიტეტში კათედრის გამგეობა უნდა ჩაებარებინა.

– მერე?

– მეცნიერმა მოულოდნელად შვებულება აიღო და ცოლ-შვილთან ერთად ჰელსინკში ჩავიდა, სადაც მეუღლის მშობლები ცხოვრობდნენ. იქიდან კი რუსეთი ხელის გაწვდენაზე იყო. სხვათაშორის, ბრუნო პონტეკორვოს მეორე მეუღლე გახლდათ ჩვენი სახელოვანი მწერლის ჭაბუა ამირეჯიბის უფროსი და როდამი. არ გამოვრიცხავ, რომ მათ ქორწინებაში მამის სამსახურების ხელი ერია.

– განაგრძეთ, გეთაყვა!

– ერთი სიტყვით, გაგანია ომში, 1943 წელს, როცა ბერლინამდე ათასობით ცეცხლოვანი კილომეტრი რჩებოდა, საბჭოთა კავშირი არა მარტო ფიქრობდა, არამედ ზრუნავდა კიდეც ომისშემდგომი მსოფლიოს ბედზე. როცა პოტსდამის კონფერენციაზე ჰარი ტრუმენმა გაკვრით შენიშნა, საიდუმლო იარაღს ვფლობთო, სტალინს წარბიც არ შეუხრია, მაგრამ შესვენებაზე მამაჩემი მოიხმო (და არა კურჩატოვი, როგორც წერენ და ფილმებში აჩვენებენ) და მკაცრად ჰკითხა, რატომ ბომბი აქამდე მზად არაარ! ბომბი 1946 წელს უკვე მზად იყო, მაგრამ აფეთქება პოლიტიკური მოსაზრებით გადასდეს.

– მე დამაინტერესა იმ ორმა ამერიკელმა, რომლებიც თურმე ომის წინ თქვენს სახლში ცხოვრობდნენ. აკი ადრე ბრძანეთ, უცხო პირებს ჩვენთან არასოდეს უცხოვრიათო!

– ჯერ ერთი, მე მხედველობაში მყავდა მდედრობითი სქესის უცხო პირები. მეორეც, ის ორი ამერიკელი, რომლებიც, ალბათ, მამასთან დაზვერვის ხაზით იყვნენ დაკავშირებული, გამონაკლისი გახლდათ. კარგად მახსოვს, რომ ერთ მათგანს რობერტს ეძახდნენ. მოგვიანებით იმ დასკვნამდე მივედი, რომ ის რობერტ ოპენჰაიმერი იყო.

– ოპენჰაიმერი?!.

– დიახ, რობერტ ოპენჰაიმერი, მომავალში ე. წ. "მანჰეტენის პროექტის" ავტორი და "ატომური ბომბის მამა". რატომ მიმაჩნია ასე? შევეცდები აგიხსნათ. მას შემდეგაც, რაც პოლიტბიურომ ნაადრევად ჩათვალა ატომურ ბომბზე მუშაობა, მამა განაგრძობდა მასზე ფიქრს. არ გამოვრიცხავ, რომ ის ორი მისი იფორმატორი იყო. ცხადია, პიროვნების იდენტიფიკაციისთვის მარტო სახელის დამთხვევა არ კმარა, მაგრამ როცა ვიხსენებ რობერტის სადაურობას, გარეგნობას, ასაკს, ღრმა განსწავლულობას, მაინც მგონია, რომ ის რობერტ ოპენჰაიმერი უნდა ყოფილიყო.

– გავრცელებულია აზრი, რომ ატომური ბომბის შექმნაზე საბჭოთა მეცნიერებს ძალდატანებით, კინაღამ პატიმრობაში ამუშავებდნენო.

– არანაირ ძალდატანებას ადგილი არ ჰქონია. ხოლო ის, რომ საიდუმლო ლაბორატორია არსებობდა, სადაც ყველას მოხვედრა არ შეეძლო, ბუნებრივია.

– ობნინსკს ხომ არ გულისხმობთ?

– არა, რურჩატოვის ლაბორატორია მოსკოვის მახლობლად, სერებრიანი ბორში მდებარეობდა. ობნინსკი მეორე ცენტრი იყო. საერთოდ, ატომური მრეწველობისთვის ურალსა და ციმბირში სასწრაფოდ ააშენეს არაერთი ქალაქი. ნეტავი, ჩვენ დღეს ვიყოთ ისე უზრუნველყოფილნი ისეთი შესანიშნავი საავადმყოფოებით, კინოთეატრებითა და მაღაზიებით, როგორც იმ ქალაქების მცხოვრებნი. დიახ, იქ სუფევდა მკაცრი წესრიგი და კოტროლი, შეზღუდული იყო კავშირი გარესამყაროსთან, მაგრამ, როგორც ცნობილია, არც ლოს-ალამოსის ბინადარნი დასეირნობდნენ ყოველდღე ბროდვეიზე.

– თქვენ ყოფილხართ საიდუმლო ლაბორატორიებში?

– ვყოფილვარ რამდენჯერმე, მამასთან ერთად. ყველა მათგანი მისი უშუალო მონაწილეობით იყო აშენებული და მას ექვემდებარებოდა. მამა არ ყოფილა გენერალ გროვსის მდგომარეობაში, რომელიც მხოლოდ უზრუნველყოფდა ოპენჰაიმერის მოთხოვნათა შესრულებას. საზღვარგარეთ მოპოვებული მთელი ინფორმაცია მის ხელთ იყო, ამიტომ ის კი არ ასრულებდა მეცნიერთა მოთხოვნებს, არამედ მეცნიერები მუშაობდნენ მისი მონაცემების გათვალისწინებით. ხიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვის შემდეგ, 1945 წლის 20 აგვისტს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა სპეციალური კომიტეტი "აბ" ("ატომური ბომბი"), რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ ლ. პ. ბერია, (თავმჯდომარე), გ. მ. მალენკოვი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ბ. ლ. ვანნიკოვი, ა. პ. ზავენიაგინი, ი. ვ. კურჩატოვი, პ. ლ. კაპიცა, ვ. ა. მახნიოვი, მ. გ. პერვუხინი. კომიტეტს ეკისრებოდა ურანის შიდაატომური ენერგიისა და ატომური ბომბის წარმოების, სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო, საკონსტრუქტორო და სამრეწველო ორგანიზაციების უშუალო ხელმძღვანელობა.

– ასეთი ურთულესი სამეცნიერო კომპლექსის საკოორდინაციოდ ხომ უდიდესი ცოდნაა საჭირო!..

– მამას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო სახაროვის ნაცვლად თეორიული გაანგარიშებანი ეწარმოებინა, მაგრამ, სამაგიეროდ, აბსოლუტურად ზუსტად იცოდა, სად გამოეყენებინა ისინი. მეცნიერთა მონაყოლიდან ვიცი: რაც მამაჩემი სიცოცხლეს გამოასალმეს, ისინი ურიცხვ დაბრკოლებას წააწყდნენ. თუმცა მამამ მოასწრო უმთავრესი ამოცანის გადაწყვეტა. იმ საბედისწერო დღეს მისთვის წყალბადის ბომბის გამოსაცდელად მზადყოფნა უნდა მოგვეხსენებინა. იგი ჩვენ ამერიკელებზე ერთი წლით ადრე შევქმენით.

– თქვენ იცნობდით ანდრეი სახაროვს?

–ჩვენ საკმაოდ კარგი ნაცნობობა გვქონდა. ეს იყო ოჯახის მოყვარული მორცხვი ჭაბუკი. მახსოვს, მის წინააღმდეგ ბევრი გამოჩენილი მეცნიერი ილაშქრებდა...

– რა ცოდვა ჰქონდა ასეთი?

– უფროსმა კოლეგებმა, ალბათ, იცოდნენ სახაროვის განწყობილება, უფრო ზუსტად – მისი იდეოლოგიური მრწამსი. ამიტომ ცდილობდნენ არ შემოეშვათ იგი საკუთარ წრეში, საერთოდ არ გაეკარებინათ ახლოს.

– თქვენ გინდათ თქვათ, რომ სახაროვი მაშინაც დისიდენტი იყო?

შინაგანი ბუნებით, ალბათ, კი, თუმცა გარეგნულად მოკრძალებულ, მარტო საკუთარი იდეებით გატაცებულ პიროვნებად რჩებოდა. მის გვერდით რომ არ აღმოჩენილიყო ისეთი აგრესიული ქალი, როგორიცაა ელენე ბონერი, იგი დარჩებოდა მსოფლიო მასშტაბის მეცნიერად, მაგრამ პოლიტიკაში არ გაერეოდა.

– ორმოცდაათიანი წლების დამდეგს აშშ-ში გაასამართლეს ცოლ-ქმარი ლილიან და ეტელ როზენბერგები, რომლებსაც ბრალად ედებოდათ საბჭოთა სპეცსამსახურებისთვის ატომური ბომბის საიდუმლოთა გაცემა. ისინი ინსინუაციის მსხვერპლნი გახდნენ თუ...

– ნიკიტა ხრუშჩოვმა ამერიკაში ყოფნისას დაადასტურა, რომ როზენბერგები ჩვენი აგენტები იყვნენ და ამით დაარღვია დიპლომატიური თამაშის დაუწერელი კანონი: არ უნდე გასცე ის მზვერავი, რომელმაც ვაჟკაცობა გამოიჩინა და საკუთარი თავი თვითონ არ გასცა.

–მიგაჩნიათ, რომ როზენბერგები საბჭოთა დაზვერვის აგენტები არ ყოფილან?

იქნებ იყვნენ კიდევაც, მაგრამ ეს ოდნავაც არ ამცირებს ჩვენი სპეციალისტების ღვაწლს, რომლებმაც დამოუკიდებლად შექმნეს სრულიად ორიგინალური, ამერიკულისგან განსხვავებული ბომბი.

– თქვენ გინახავთ ატომური აფეთქება?

– მე ვესწრებოდი პირველი საბჭოთა ატომური ბომბის გამოცდას სემიპალატინსკში 1949 წელს. ვიყავი მომდევნო გამოცდებზეც.

– სადღაც წამიკითხავს, რომ ენრიკო ფერმიმ ატომური საშინელების დანახვის შემდეგ მანქანა ვერ წაიყვანა, ხოლო ოპენჰაიმერს ფსიქოლოგები აშშვიდებდნენო.

– ბუნებრივია, რომ ამერიკელებმა ჩვენზე მეტი სტრესი განიცადეს. მათ ხომ პირველად ნახეს ამოქმედებული ეშმაკის მანქანა! ჩვენ თეორიულად უკვე ვიცოდით შემდგარ ექსპერიმენტზე, ამიტომ ეფექტმა შეგვძრა, მაგრამ ვერ განგვაცვიფრა. სტარტის წინ ყველანი განვიცდიდით, ვაითუ, ბომბი არ აფეთქდეს და უზარაზარი ჯაფა წყალში ჩაგვეყაროსო! წარმატებით ჩავლილი გამოცდის შემდეგ კი ასეთი ანეკდოტი გავრცელდა: ბერიას ჯიბეში ორი სია ედო, ერთში დასაჭერი ხალხი იყო ჩამოწერილი, მეორეში – დასაჯილდოებელი. ორივე სიაში ერთი და იგივე ხალხი იყო ჩამოთვლილი. თუ სერიოზულად ვიმსჯელებთ, იმ დარგებში, რომლებსაც მამა ხელმძღვანელობდა, რეპრესიები არ ყოფილა. საერთოდ არ ყოფილა. კრიმინალური სიტუაცია ხშირად შექმნილა, მაგრამ იგი საკუთარ კადრებს თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა. ერთ ასეთ ამბავს მოგიყვებით. სტალინს აცნობეს, რომ აკადემიკოსი ი. ბ. ხარიტონი, რომელმაც ი. ბ. ზელდოვიჩთან ერთად ურანის დაყოფის ჯაჭვური რეაქცია გათვალა და უშუალოდ ბომბის მექანიზმს ჰქმნიდა, ინგლისის ჯაშუშია. მამაჩემმა სტალინს ხელწერილი მისცა, რომ თავდებობს აკადემიკოს ხარიტონს და მზადაა პასუხი აგოს თუ ის ცნობა სიმართლე გამოდგება და მეცნიერი დავალებას არ შეასრულებს. ამ ხელწერილს სტალინი სიცოცხლის ბოლომდე ინახავდა.

სტალინის მიმართ მე რთული, გაორებული დამოკიდებულება მაქვს

– ბატონო სერგო, მოგვიყევით თუ როგორ აღმოჩნდით ატომური ბომბის შემქმნელთა შორის.

– უშუალოდ მათ შორის მე არ ვყოფილვარ. ჩემი საქმიანობის სფერო მოიცავდა რაკეტების მართვის სისტემებს, რომლებიც თავის მხრივ ატომის, შემდეგ კი წყალბადის მუხტის მატარებელი იყვნენ.

– სხვათაშორის, თქვენ რა განათლება მიიღეთ?

– მას შემდეგ, რაც 1942 წელს კავკასიის ფრონტი მოვიარე, სასწავლებლად გამგზავნეს ლენინგრადის კავშირგაბმულობის აკადემიაში, სადაც ეს-ეს იყო რადიოლოგიის ფაკულტეტი ჩამოყალიბდა. აკადემია დავამთავრე 1947 წელს, თუმცა უკვე 1945 წლიდან ვმუშაობდი დიდი გემების საწინააღმდეგო ფრთიანი რაკეტის მართვის სისტემისა და თვით რაკეტის პროექტზე. ამ პროექტს, რომელიც ჩემი სადიპლომო შრომა გახდა, სახელმწიფო კომისიამ მაღალი შეფასება მისცა და სარეალიზაციოდ მოიწონა, თავდაცვის სამინისტროსთან არსებულმა საექსპერტო ჯგუფმა კი საამისოდ საკონსტრუქტორო ბიუროს შექმნა გადაწყვიტა. რაკი საამდროოდ ატომური ბომბი პრაქტიკულად უკვე გვქონდა და მეცნიერები წყალბადის ბომბზე მუშაობდნენ, აუცილებელი იყო ამ ახალი ფეთებადი ნივთიერების მოთავსება ჭურვში, რომელსაც ჩვენი კოლექტივი ჰქმნიდა. ატომური ბომბის ავტორებთან ჩვენი, ელექტრონიკისა და რაკეტების სპეციალისტთა ურთიერთობებს კავშირგაბმულობის საკოორდინაციო ჯგუფი უზრუნველჰყოფდა. ვთანამშრომლობდით უმეტესად კურჩატოვთან, რომელსაც სტუდენტობიდან ვიცნობდი. ჩვენ ერთად ვამუშავებდით ბირთვული მუხტის კონსტრუქციას, რომელზეც დამოკიდებული იყო ბალისტიკური რაკეტის დიამეტრი. ვთქვათ, საჰაერო ან საზღვაო რაკეტებს სხვადასხვა დიამეტრი ჰქონდათ.

– საკუთარ პროექტს თვითონ ხელმძღვანელობდით?

– მთავარ კონსტრუქტორად მე დამნიშნეს, მაგრამ რადგანაც ასაკის გამო გამოუცდელი ვიყავი, ქარხნის ხელმძღვანელობა მიანდეს დიდი ორგანიზატორული ნიჭის მქონე გენერალ ელიანს, რომელმაც ომის წლებში არაერთი საარტილერიო კონსტრუქცია შექმნა.

– სად ხორციელდებოდა თქვენი პროექტი?

– მოსკოვის საკონსტრუქტორო ბიუროში, სადაც მოგვიანებით არა მარტო გემსაწინააღმდეგო, არამედ ჰაერსაწინააღმდგო რაკეტებსაც ამზადებდნენ. მოსკოვის საზენიტო დაცვის პირველი წრე სწორედ ჩვენ შევქმენით.

– ამაზე ცოტა დაწვრილებით, თუ შეიძლება...

– გემსაწინააღმდეგო რაკეტების წარმატებით გამოცდის შემდეგ ამ იარაღით ორი ავიაპოლკის აღჭურვა გვიბრძანეს. "ტუ-4" ტიპის ბომბდამშენებზე, რომლების ამერიკული "ბ-29"-ის ასლს წარმოადგენდნენ, მაგრდებოდა ორი რაკეტა, რომლებსაც კრეისერის ან კორვეტის ჩაძირვა შეეძლოთ. ავიამზიდის ჩასაძირავად კი ოთხი ზუსტი მოხვედრება იყო საჭირო. იმჟამად ამერიკელებს კორეაში გადასხმა ჰქონდათ დაგეგმილი და სტალინს სურდა ეს ორი პოლკი სასწრაფოდ გაეგზავნა მათი ესკადრის დასაბომბად. ამავე დროს მას ჰქონდა მონაცემები, რომ შტატებს პასუხად შეეძლოთ მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევისთვის ბირთვული დარტყმა მიეყენებინათ. სტალინმა პოლიტბიუროზე დაიბარა მხედართმთავრები და ჰკითხა: "თუ ჩვენ ჩავძირავთ ამერიკელთა ხომალდებს, შევძლებთ მათი ბირთვული თავდასხმის მოგერიებას?" პასუხი აშკარად უარყოფითი იყო. ჩვენი გამანადგურებლები 15 კილომეტრზე მაღლა ვერ დაფრინავდნენ, საზენიტი ჭურვები 12-14 კილომეტრს ზემოთ ვერ მიდიოდნენ, საზენიტო რაკეტები კი საერთოდ არ გვქონდა. და ეს მაშინ, როცა ატომური ბომბით აღჭურვილი ამერიკული თვითმფრინავები 18 კმ. სიმაღლეზე დაფრინავდნენ. სტალინმა მოკლედ მოჭრა: "გაძლევთ ზუსტად ერთ წელიწადს ისეთი საზენიტო რაკეტის შესაქმნელად, რომელიც თანამედროვე ამერიკული თვითმფრინავის ჩამოგდებას შესძლებს!"

– ეს იყო...

– 1951 წლის მიწურულს. ჩვენმა კოლექტივმა მომიჯნავე დარგების სპეციალისტებთან ერთად ვადამდე ადრე შეჰქმნა მოსკოვის საჰაერო თავდაცვის სისტემა.

– სტალინი კმაყოფილი დარჩა?

– სტალინი ერთგული დარჩა საყვარელი გამოთქმისა: "ენდე, მაგრამ შეამოწმე!" ჩვენი გამოგონების შესამოწმებლად მან ასეთი ვარიანტი შემოგვთავაზა: მოსკოვის ცაში აჭრილიყო 10-12 თვითმფრინავი, მფრინავებს თავდაცვის წინა ხაზზე კატაპულტირება მოეხდინათ, უპილოტოდ დარჩენილი მანქანები კი რაკეტებით ჩამოგვეგდო. მიუხედავად იმისა, რომ მოვახსენეთ, პოლიგონზე მსგავსი ექსპერიმენტი უკვე ჩატარებულია, ხოლო დედაქალაქის სიახლოვეს

მისი განმეორება სახიფათოა, საპოლიგონო გამოცდა მან მაინც გაგვამეორებინა. საბჭოთა კავშირის მარშალ ა. მ. ვასილევსკისა და ავიაცის მარშალ პ. ფ. ჟიგარევის მეთვალყურეობით ზეცაში კამარა შეჰკრა "ილ-28" და "მიგ-15" ტიპის ექვსმა რეაქტიულმა თვითმფრინავმა. მფრინავთა კატაპულტირების შემდეგ თითო-ოროლა გასროლით ყველა თვითმფრინავი ჩამოვაგდეთ. ასე შევიდა შეიარაღებაში საჰაერო თავდაცვის ჩვენი სისტემა.

– თქვენ იცნობდით პარტიისა და სახელმწიფოს ბევრ თვალსაჩინო მოღვაწეს. ვის გამოყოფდით მათ შორის?

– ყველაზე ძლიერ შთაბეჭდილებას, რა თქმა უნდა, სტალინი სტოვებდა. ადრე მოგახსენეთ და ახლაც გავიმეორებ: მის მიმართ რთული, შეიძლება ითქვას, გაორებული ურთიერთობა მაქვს – წრფელი სიყვარულით დაწყებული და დამთავრებული ბევრი რამის დაგმობით, რასაც იგი არაიშვიათად აკეთებდა.

– როგორ შეგეძლოთ სტალინთან მოხვედრა?

– სულ უბრალოდ. მე და სვეტლანა ერთ სკოლაში ვსწავლობდით და ხშირად ვსტუმრობდით ერთმანეთს. სტალინი ზოგჯერ დაგვიძახებდა, მაგიდასთან დაგვსვამდა და დიდებივით გველაპარაკებოდა. გვიყვებოდა წაკითხულ წიგნებზე, გვირჩევდა ჩვენ რა წაგვეკითხა. სტალინს დიდი ბიბლიოთეკა ჰქონდა, მაგრამ იმდენად ერკვეოდა თავის თაროებში, რომ ზეპირად ახსოვდა, სად რომელი წიგნი იდო. საკუთარი აზრის ციტატით შესამტკიცებლად სტელაჟთან მივიდოდა და უშეცდომოდ ამოარჩევდა საჭირო ტომს, იპივიდა შესაბამის ადგილს. სიმართლე რომ გითხრათ, მის ბიბლიოთეკაში ყველაზე უფრო ქართული წიგნების სიუხვემ გამაცა. მას ჰქონდა მთელი ჩვენი კლასიკური ლიტერატურა, სისტემატურად მოსდიოდა ახალი გამოცემები თბილისიდან. სტალინი მეტად უკმაყოფილო დარჩა, როცა გაიგო, რომ მე ამ სიახლეებს თვალს არ ვადევნებდი.

– იგი ქართულად გელაპარაკებოდათ?

– ხალხში სტალინი რუსულად ლაპარაკობდა, მე კი ქართულად გამკიცხა.

– განა ლავრენტის არ უგზავნიდნენ ქართულ გამოცემებს?

– უგზავნიდნენ, მაგრამ მე ტექნიკით ვიყავი გატაცებული და მათ არ ვკითხულობდი. დედას ძალიან გაუხარდა, რომ სტალინმა ცოტა შემახურა. იგი ხშირად ხმამაღლა მაკითხებდა ქართულ ტექსტებს, რათა ენა არ დამვიწყნოდა.

– თქვენი სიყრმის მეგობარი სვეტლანა, რბილად რომ ვთქვათ, აუგად იხსენიებს ლავრენტი ბერიას. რა საბაბი გააჩნია მას საამისოდ?

– მგონი, არავითარი. იგი უბრალოდ ცდილობს მამამისის ბევრი ცოდვა მის უახლოეს თანამებრძოლს აჰკიდოს. მკითხველს კი, რომელიც ლავრენტი ბერიას ბოროტმოქმედად იცნობს, მემუარისტის ნათქვამი სიმართლე ჰგონია. მე და დედამ სვეტლანას ყველა წიგნი წავიკითხეთ და გული დაგვწყდა, რომ მისი ცხოვრება ასე უიღბლოდ წარიმართა. ცხადია, ბევრი რამე მან, როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე საზღვარგარეთაც, ხელისუფალთა ზეგავლენით დაწერა. მხოლოდ გულუბრყვილოს ეგონება, რომ დასავლეთში იდეოლოგიურ პრესინგს არ მიმართავენ, მით უმეტეს ისეთ ხელსაყრელ ავტორთან, როგორიც იოსებ სტალინის ქალიშვილია. მე შევახსენებდი სვეტლანას, როგორ უყვარდა იგი ჩვენს ოჯახს, მივუთითებდი არაერთ გაუკულმართებულ ფაქტზე, მამაჩემს რომ მიაწერს, თუმცა ეს წყლის ნაყვაა. საბჭოთა კავშირში ჩამოსულმა დაგვირეკა და მოგვიკითხა, მაგრამ ჩვენ მასთან შეხვედრა არ ვისურვეთ.

– სვეტლანასთან დაკავშირებით, თუ არ ვცდები, ერთი საინტერესო მოგონება გაქვთ...

– იყო ასეთი შემთხვევა. როგორღაც მესაზღვრეებმა რამდენიმე ნაალაფარი პისტოლეტი მაჩუქეს, მათ შორის ფაქიზად ინკრუსტრირებული "ვალტერი", რომელიც სვეტლანას ვაჩუქე. მალე ეს შემთხვევა დამავიწყდა კიდეც, მაგრამ ლენინგრადის კავშირგაბმულობის აკადემიაში, სადაც მაშინ ვსწავლობდი, მოულოდნელად გენერალი ვლასიკი გამოჩნდა და მეუბნება, მოსკოვში უნდა წამომყვე, "ხაზეინი" გიბარებსო. ჩვენ რომ მივედით, სტალინი საუზმობდა. მან, როგორც ყოველთვის, მიგვიპატიჟა, დაგვაპურა, მერე კი სწავლისა და ცხოვრების ამბები გამომკითხა. ვზივარ და ვერ გამიგია, რისთვის დავჭირდი. ცოტაოდენი დუმილის შემდეგ მომმართავს: "შენ აჩუქე სვეტლანას პისტოლეტი?"

– დიახ, მე. სტალინმა გამჭოლავი მზერა მესროლა: "ბიჭო, შენ თავში ჭკუა არა გაქვს, რომ გოგონას ასეთ "სათამაშოს" ჩუქნი? განა არ იცი, დედამისმა რა ჩაიდინა?" მე მაშინ მართლა არ ვიცოდი, რომ სვეტლანას დედამ – ნადეჟდა ალილუევამ – თავი მოიკლა. სტალინს დიდხანს ვერ დაეჯერებინა, რომ პირველად მესმოდა ეს საშინელი ამბავი. როცა დარწმუნდა, ნამდვილად ასეაო, თქვა: სვეტლანა უკვე გავჯოხე და, ალბათ, შენთვისაც ყური უნდა ამეწია, მაგრამ ამჯერად მიპატიებია. დაბრუნდი აკადემიაში და ასეთ წინდაუხედავ ნაბიჯს მეტად ნუ გადადგამ! მე ისევ დამაპურეს და ლენინგრადში გამამგზავრეს.

– მახსოვს, ერთხელ ვასილზეც მიყვებოდით, სვეტლანას ძმაზე...

– აკადემიის მეოთხე კურსზე ვსწავლობდი, როცა სტალინმა გამომიძახა და მითხრა: "გაგზავნით ოქსფორდში სასწავლებლად. ერთდროულად უხელმძღვანელებ ამხანაგების ჯგუფს, რომელიც შენთან ერთად გაემგზავრება." ეს თქვა და მომავალი ჯგუფის წევრები ჩამოთვალა, რომელთა უმეტესობასაც ვიცნობდი. მე ვუპასუხე: "იოსებ ბესარიონის ძევ! აბა, როგორ უნდა ვუხელმძღვანეო ისეთ ჯგუფს, სადაც ყველა ჩემზე უფროსია?" სხვათაშორის, იმ ჯგუფში მისი ვაჟი ვასილიც შედიოდა – საოცრად გულღია და ნიჭიერი, მაგრამ ისე გამეტიჩრებული, რომ დისციპლინა მისთვის არ არსებობდა. სიმართლე რომ გითხრათ, უპირველესად სწორედ ვასილის ოინებისა მეშინოდა. სტალინი ტყუილად როდი მნიშნავდა ჯგუფის უფროსად. ჩემი უარით გაბრაზებულმა კბილებში გამოსცრა: "თქვენი ოჯახი დიდ-პატარიანად ჯიუტია, მაგრამ მე გადავაჩვევ მას ამ სიჯიუტეს!" მან დაუყოვნებლივ გამოიძახა მამაჩემი და ეგრევე ჯიქურ მიახალა: "კაცო, ეს რა შვილი გაგიზრდია! ოქსფორდში წასვლაზე უარს მეუბნება იმ მოტივით, რომ ასაკით მასზე უფროს ამხანაგებს ვერ უხემლძღვანელებს. აქაოდა, განათლება ჯერ

სამშობლოში უნდა მივიღო და საზღვარგარეთ მერე ვისწავლოო. როცა მამამ შენიშნა, რომ არც თუ ურიგოდ მიპასუხია, სტალინი მთლად გადაირია: "რაშია საქმე, შეთქმულებას მიწყობთ? მე თქვენთვის სიკეთე მინდა, თქვენ კი ეშმაკისკენ იყურებით!.." ამ ინციდენტმა დედა ძალიან შეაშფოთა. მას პირადი ინიციატივით სტალინისთვის არასოდეს მიუმართავს, მაგრამ ამჯერად გამბედაობა მოიკრიბა და სიცოცხლეში პირველად დაურეკა. სტალინმა მისი ტირადა ბოლომდე მოთმინებით მოისმინა და საკმაო დუმილის შემდეგ სიცილით უთხრა: ჯანდაბას თქვენი თავი, მოიქეცით, როგორც გინდათო. ეს იყო და ეს. მეც შემეშვნენ და ჯგუფიც არ გაუგზავნიათ.

– რამდენი წლით იყო ვასილი თქვენზე უფროსი?

–ოთხით.

– როგორ უყურებდა სტალინი შვილის ონავრულ გამოხდომებს?

– ძალიან განიცდიდა, რომ თავნება და უნებისყოფო ვაჟი ეზრდებოდა, რომელსაც ანებივრებდა და ყველაფის ნებას რთავდა მისი უახლესი გარემოცვა. ერთნი ამას აკეთებდნენ უშურველად, მეორენი ანგარებით. აღვირახსნილმა ცხოვრებამ, უზომო ღვინის სმამ და უსასრულო ორგიებმა იგი საბოლოდ გაალოთა, გარყვნა და დაღუპა კიდეც.

– როგორ დაგამახსოვრდათ ვასილის უფროსი ძმა იაკობი?

– ო, იგი მისი სრული ანტიპოდი იყო. დინჯსა და მორცხვს სტალინი ხანდისხან შეუძახებდა ხოლმე, ჰაიტ, შე რაჭველოო (ვასილის დედა – სტალინის პირველი მეუღლე ეკატერინე სვანიძე რაჭველი გახლდათ). მე ვიცი, რომ ვასილი დიდხანს არ შედიოდა პარტიაში, რადგან საკუთარი აზრი ჰქონდა ბოლშევიკურ რეჟიმზე, ადანაშაულებდა მას რეპრესიებში და არ მალავდა თავის აზრს. მამისეული სიმტკიცე და შეუპოვრობა დაეხმარა იაკობს ფაშისტების საკონცენტრაციო ბანაკში თავი ღირსეულად სჭეროდა. მე წამიკითხავს ბელგიის მეფის წერილები სტალინისადმი, სადაც მოთხრობილია მისი შვილის უკანასკნელ დღეებზე, ვიცნობ გერმანელების დოსიესაც. ამ დოკუმენტებიდან წარმოსდგება მამაცი და კეთილშობილი რაინდი, რომელსაც ცუდი ვერ ათქმევინეს ვერც მამაზე და ვერც საბჭოთა კავშირზე.

– როგორ აღიქვა სტალინმა ვაჟის დაღუპვა?

– სვეტლანა მომიყვა, რა უმძიმესი დარტყმა იყო სტალინისთვის ეს ტრაგედია. თურმე საოცრად განიცდიდა, ღელავდა, ადგილს ვერ პოულობდა...

– თუმცა ამას მისთვის ხელი არ შეუშლია იაკობის ცოლ-შვილი ციხეში ჩაესვა!

– კანონი ყველასთვის ერთია! – უთქვამს მას. ასეთი კაცი იყო და რას ვიზამთ!

– ვარაუდობენ, რომ ბერია სტალინის მომსახურე პერსონალს საკუთარი ხალხით აზავებდა, მეტწილად ქართველებით, რათა ბელადის "ბანაკი" მუდმივ კონტროლქვეშ ჰყოლოდა. მათ შორის ასახელებენ სუკის მაიორ ალქსანდრა ნიკოლოზის ასულ ნაკაშიძეს, რომელიც ამავე დროს დედათქვენის ბიძაშვილი თუ მამიდაშვილი ყოფილა.

– სტალინის დაცვა ისედაც მამაჩემის "ხალხი" იყო, ამიტომ იქ მსტოვრების შეგზავნას რა აზრი ჰქონდა! რაც შეეხება ნაკაშიძეს, იგი დედაჩემს მართლაც ახლო ნათესავად ერგებოდა, თუმცა მასთან ბიძაშვილ-მამიდაშვილობა არ ჰქონია. ალექსანდრა სტალინის სახლში სვეტლანას აღმზრდელად მიიწვიეს. თვითონ სტალინს სურდა, რომ მისი ქალიშვილი ახალგაზრდა, განათლებულ და სასიამოვნო გარეგნობის ქართველ ქალს აღეზარდა. ათი კანდიდატურიდან მან სწორედ შურა აარჩია. რამდენადაც კრემლის მომსახურე პერსონალი უშიშროების სამინისტროს ექვემდებარებოდა, ხელფასის გამო მას მაიორის წოდება მიანიჭეს. როცა სვეტლანა გაიზარდა და მეურვე აღარ სჭირდებოდა, ალექსანდრე ნაკაშიძემ გუვერნანტობა მიატოვა და გათხოვდა.

– ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი, პროფესორი რობერტ თაკერი თავის გამოკვლევაში "სტალინი. გზა ხელისუფლებისკენ" მიუთითებს: "ბერიამ სტალინის ყურადღება მიიპყრო არა მარტო იმით, რომ იგი შეიძლებოდა კარგი ჩეკისტი ყოფილიყო. ბერია გრძნობდა, რომ სტალინს საკუთარი თავით აღფრთოვანების ღრმა აუცილებლობა გააჩნდა და მისი კეთილგანწყობა მოიპოვა მლიქვნელობით, რომლის ხელოვნებასაც მშვენივრად ფლობდა... შეიძლება დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ ბერია გაცნობის დღიდან ხასგასმით გამოხატავდა სტალინისადმი მოწიწებას. ბელადის ამ გაღმერთებაში, რაც მისთვის დამახასიათებელი იყო... გამოსჭვივის პიროვნების კულტის ერთ-ერთი მომავალი შემოქმედის როლი."

– მე ვკითხულობ ყველა ხელმისაწვდომ წიგნს სტალინზე, მამაჩემზე, მათ ეპოქაზე, თუმცა ამბობენ, რომ ასეთი ეპოქა საერთოდ არ ყოფილა, რომ იყო მხოლოდ უჟამო ჟამი. თუმცა თაკერის წიგნი წაკითხული მაქვს, მის ღირსებებზე არაფერს ვიტყვი, გთხოვთ მხოლოდ ყურადღება მიაქციოთ წინასიტყვაობას, სადაც ნათქვამია: "1946 წელს ცოლად შევირთე მოსკოვის პოლიგრაფიული ინსტიტუტის სტუდენტ ევგენია პესტერცევა, რომელსაც ეძღვნება ეს წიგნი". პროფესორი თაკერი თუმცა ამერიკელია, რუსეთში ხანგრძლივად ცხოვრებას მისი აზროვნებისთვის თავისებური დაღი დაუსვამს და იგი საბჭოთა პროპაგანდის ღრმა გავლენის ქვეშ მოუქცევია. მადლობა, რომ მან მამაჩემს მლიქვნელობის ნიჭი მაინც აღმოუჩინა. მლიქვნელობა ადამიანის საუკეთესო თვისება როდია, მაგრამ, მოდით, გულახდილად ვიკითხოთ: ნუთუ ლავრენტი ბერია სტალინის დაახლოებულ პირთა შორის ერთადერთი იყო, ვინც მას ქება-დიდებას აღუვლენდა? იოსებ სტალინს ბელადი პირველად ბუხარინმა და ზინოვიევმა უწოდეს. ეპითეტი "კომუნიზმის გენიალური ხუროთმოძღვარი" მოიგონა მიქოიანმა. მერე კი წავიდა და წავიდა. თვით ამ ფორმულამდე: "სტალინი დღევანდელობის ლენინია". ვინ არ ყოფილა სტალინის მეხოტბეთა შორის: ანრი ბარბიუსი და ლიონ ფეიხტვანგერი, გო მო ჟო და გიორგი ლეონიძე, თვით პასტერნაკი და მანდელშტამიც უკმევდნენ მას გუნდრუკს. ღმერთმა დამიფაროს, რომ აქ დასახელებულ თუ დაუსახელებელ მწერლებს (რომელთა სახელი ლეგიონია!) სიყალბე დავწამო, პირიქით, მგონია, რომ სტალინი მათ გულწრფელად

აღაფრთოვანებდა, თუმცა აშკარაა, რომ მამაჩემის დამსახურება პიროვნების კულტის შექმნაში სიტყვის ოსტატებთან შედარებით ფერმკრთალდება.

– შეიძლება თუ არა სტალინის მიმართ გამოვიყენოთ გამოთქმა: "ხელმწიფეს გარემოცვა თამაშობს?"

– ნაწილობრივ, თანაც გარკვეული პირობით: საკუთარ გარემოცვას სტალინი თვითონ ჰქმნიდა. იგი გამოცდილი რეჟისორივით ამზადებდა მიზანსცენებს, აგებდა ინტრიგებს და კულმინაციის მიღწევის შემდეგ ახორციელებდა საჭირო ცვლილებებს. სტალინის დიდ რეჟისორულ ნიჭზე ბევრი დაწერილა და მე ეს შემიძლია მხოლოდ დავადასტურო.

– თუ შეიძლება გარემოცვა გავაიგივოთ აპარატთან, რომელსაც ბევრნი სტალინის გამოგონებად თვლიან? მართალია ტროცკი წერს, რომ "ლენინმა შექმნა აპარატი, ხოლო აპარატმა შექმნა სტალინი".

– რაკი სიტყვა კვლავ ტროცკიზე ჩამოვარდა, თქვენის ნებართვით მეც მოვიტან მის ერთ ციტატას: "დასვენების დროს სტალინი მუსიკალურ ყუთთან ზის და "აიდის" მელოდიებით ტკბება. მუსიკაში, ისევე, როგორც პოლიტიკაში, იგი უპირატესობას მორჩილ აპარატს ანიჭებს..."

– ბელადის შეურიგებელი ოპონენტის ამ აზრს აბათილებს მისი ერთ-ერთი კრებულის ("რუსული რევოლუციის ისტორიისათვის". – პოლიტიზდატი, მოსკოვი, 1990) შემდგენელი, რომელიც სამართლიანად მიუთითებს, რომ პირველი, ვინც საკუთარი მიზნებისთვის აპარატის გამოყენება დაიწყო, იყო არა სტალინი, არამედ თვით ტროცკი. როგორც რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ, მან შეჰქმნა ფრიად მძლავრი რაზმი არა მარტო პირადი დაცვისა, რომელიც ხუთასამდე "ტყავის კურტაკიანს" ითვლიდა, არამედ ასევე განტოტვილი შტატი იდეოლოგიური თანამშრომლებისა. ათობით "მწერალი" და "მკვლევარი" უმზადებდა ტროცკის მასალებს მოხსენებებისა და სიტყვებისთვის, უდგენდა მას ჩანაწერებს და ცნობებს, რედაქციას უკეთებდა მის მრავალრიცხოვან სტატიებს...

– მეც დაახლოებით ამის თქმა მინდოდა, მაგრამ თქვენ დამასწარით. აქედან ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ ტროცკის მუდამ როდი დაეჯერება. უნდა გვახსოვდეს: იგი დაინტერესებული პირია!

ე. წ. "გარდაქმნის" პერიოდში გახშირდა სტალინის შედარება ჰიტლერთან, რომელიც ადრე მის ანტიპოდად წარმოგვედგინა. და, აჰა, უცებ – სტალინი და ჰიტლერი ალი-კვალი ყოფილან! მხოლოდ ტროცკის წაკითხვის მერე მივხვდი, ქარი საიდანაც უბერავდა. ჩვენი შინგამოზრდილი კრიტიკოსები თურმე უმოწყალოდ ძარცვავდნენ ლევ დავიდოვიჩს. ეს ხომ მან უწოდა სტალინს ჰიტლერის ინტენდანტი, ეს ხომ მან დაასათაურა თავისი სტატია ასე: "ორმაგი ვარსკვლავი – ჰიტლერი-სტალინი..."

– სტალინთან ორთაბრძოლის წაგების შემდეგ ტროცკის ისღა დარჩენოდა, გესლიანად ელაპარაკა, ექირქილა, ენა მოეფხანა. თუ რით დასრულდა მისი ცინიკური ქირქილი, კარგად იცით. რით დასრულდა ჰიტლერის ბაქიაობა, – ისიც. ზოგ-ზოგივით მე არ ვთვლი ფაშისტ ფიურერს შემთხვევით წამოტივტივებულ მეტიჩარად და მთვარეულ იდიოტად, მაგრამ სტალინთან მის შედარებას მაინც არ გავრისკავდი...

– როცა ბრძანეთ "სტალინთან ორთაბრძოლის წაგების შემდეგო", ნოე ჟორდანიას სტატია "სტალინი" გამახსენდა, რომელშიც ქართველ მენშევიკთა თავკაცი წერს: "განსაკუთრებით მას (სტალინს – ავტ.) ეჯავრებოდა ტროცკი, რომელსაც უწოდებდა "დიდი ფრაზის და მცირე საქმის" კაცს. ეს შეხედულება სავსებით გაამართლა მან რევოლუციის პერიოდში. ტროცკის სრულიად უსაბუთოდ დაუვარდა სახელი დიდი ორგანიზატორის. ეს ეჩვენებოდა საზოგადოებას ამნაირათ ლენინის დროს, ე. ი. ასეთი იყო თვით ლენინი, რომლის ხელმძღვანელობით მუშაობდა ტროცკი. მაგრამ როგორც კი ეს ბჭე გამოეცალა, ულენინოთ დარჩა, დარჩა ის უმწეოთ. მოკლებული ნებისყოფას, გადამჭრელ მოქმედებას, ფრაზების და სიტყვიერების დაუხსნელ ტყვეთ. მის ხელში იყო მთელი ძალა, მთელი მხედრობა, ხოლო სტალინმა ისე გამოაცალა ხელიდან ეს ძალა, მთელი პარტია, რომ არც კი შეუტყვია მოსკოვიდან, და შემდეგ რუსეთიდან გამოძევებამდე პრაქტიკი და თეორეტები შეეტაკნენ პრაქტიკულ საკითხებში და გამარჯვება დარჩა პრაქტიკს. ეს სრულიად ბუნებრივი, ლოღიკური მოვლენაა. ქართველმა თხამ რუსის დათვები დაჭამა (წიგნში: "მე – იოსებ სტალინი." თბილისი, 1990. – გვ. 227-228).

– ჟორდანია ჭეშმარიტებასთან ახლოსაა. იგი კარგად იცნობდა სტალინსაც და ტროცკისაც, დიდხანს ადევნებდა თვალს მათ რევოლუციურ საქმიანობას, არც ერთი უყვარდა და არც მეორე, ამიტომ ძნელია მის ობიექტურობაში ეჭვის შეტანა.

– ცნობილმა რუსმა კრიტიკოსმა ლევ ანენსკიმ შენიშნა: ნადეჟდა მანდელშტამთან საუბარში სტალინი უდიერად მოვიხსენიე, რაზეც რეპრესირებული პოეტის ქვრივმა მიპასუხა: საქმე მასში კი არა, საქმე ჩვენშიაო...

– სწორადაც უპასუხნია. საქმე ყოველთვის ჩვენშია. მმართველები და მთავრობები ციდან კი არ ვარდებიან, არამედ ჩვენი წრიდან, ჩვენი საზოგადოებიდან ამოიზრდებიან ხოლმე. აქ დიდ როლს თამაშობს ჩვენი მდუმარე მხარდაჭერაცა და თანხმობაც. აკი ხელს აძლევდა ვიღაცას ყოფილიყო "გულაგის" მეთვალყურე, ციხის დარაჯი, შინსახკომის გამომძიებელი! ვიღაცას კი ეზიზღებოდა ეს ყველაფერი. ჩვენი საზოგადოება უფრო ზნეობრივი, გამბედავი და უანგარო რომ ყოფილიყო, რეჟიმს არ ეყოლებოდა ის საყრდენი, რომელიც მან ჰპოვა ჩუმი დამსმენების, ჩუმჩუმად მოთვალთვალე, მორჩილი და მშიშარა მოქალაქეების სახით. ყველას უნდა ეყვირა და პროტესტი გამოეხატა, როცა აუქმებდნენ ბრალდებულის დაცვის უფლებას, აკანონებდნენ "განსაკუთრებულ თათბირს", "სამეულებს", დაუბეზღებლობისთვის სიკვდილით დასჯას, თორემ, როგორც იტყვიან, ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევას რა აზრი აქვს. სამწუხაროდ, ციხის თითო აგური რომ ყველა ჩვენგანს ეკუთვნის, მხოლოდ მაშინ გვახსენდება, როცა ციხის შიგნით ამოვყოფთ თავს!

– სად იყავით, სტალინი გარდაიცვალა და როგორ აღიქვით ოჯახში ეს ცნობა?

– მაშინ მოსკოვში ვიყავი და მშობლებთან ერთად მწარედ განვიცადე ბელადის სიკვდილი. განსაკუთრებით გლოვობდა დედა – სტალინს შეეძლო საკუთარი თავის მიმართ ადამიანები კეთილად განეწყო. დამწუხრებული იყო მამაც, თუმცა ბოლო დროს მათ ურთიერთობებს ბზარი გაუჩნდა. როგორც ჩანს, სტალინმა გადაწყვიტა რუსული შოვინისტური დაჯგუფებისთვის მსხვერპლად შეეწირა ლავრენტი ბერია. "მეგრელთა საქმე" ბელადის თანხმობის გარეშე ვერაფრით შეიქმნებოდა.

– როგორ ფიქრობთ, ვინ აქეზებდა სტალინს ბერიას წინააღმდეგ?

– ახლობელთა გარკვეული წრე, რომლებისთვისაც სტალინს ანგარიში უნდა გაეწია. ტყუილია, რომ იგი თითქოს ყველა თავის გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად, უახლოეს თანამებრძოლთა აზრისა და განწყობილებების გაუთვალისწინებლად იღებდა. სხვა საქმეა ის, რომ უმეტეს შემთხვევაში იგი ახერხებდა მათ გადარწმუნებას ან გაცურებას.

– ხომ არ გეჩვენებათ, რომ ბერიას შესახებ მას კარგად ამუნათებდნენ თბილისიდან?

– კონსულტანტები და საიდუმლო მრჩევლები სტალინს ბლომად ჰყავდა. მათ შორის საქართველოშიც. ისინი ნიადაგ ჩასჩიჩინებდნენ: ბერია შენი ორგულია, იგი არაა ის კაცი, რომლადაც თავს ასაღებსო.

– რაში გამოიხატებოდა, კერძოდ, "მეგრელთა საქმე?"

– აქაოდა, მეგრელები სათავეში ჩაუდგნენ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას და მთელ საქართველოში ხელისუფლება ხელთ იგდესო. მეგრული "ხრიკების" სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს დასახელება არ სჭირდებოდა. მხოლოდ ბრიყვი ვერ მიხვდებოდა, ვინ იყო "მთავარი მეგრელი", რომლის მიმართაც ამ ჭუჭყიან ავანტიურას აქტიურად ახორციელებდა საკავშირო უშიშროების მინისტრი ს. დ. იგნატიევი. მისი უშუალო მითითებით ციხეებში ჩაყარეს საქართველოს ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო მუშაკები, რომელთა უმეტესობა მეგრული წარმშობისა იყო. არარსებული "ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ცენტრის" ლიკვიდაციის საბაბით აპატიმრებდნენ, ბევრ შემთხვევაში კი ფიზიკურად სპობდნენ მამისადმი კეთილგანწყობილ ხალხს. ცხადი იყო, რომ "საქმეს" სანქცია თვით სტალინმა მისცა.

– მე შემთხვევით არ ჩამომიგდია სიტყვა მაბეზღარ თანამემამულეებზე. როცა სამარცხვინო "მეგრელთა საქმე" შეთითხნეს, სტალინს ვიღაცამ კ. გამსახურდიას " დავით აღმაშენებლის" პირველი ორი წიგნი ჩაუტანა თურმე: შეხედეთ, დიდი ქართველი მეფე მწერალს კალმის ერთი მოსმით მეგრელად უქცევიაო. რეციდივის ინსპირატორთა ვარაუდით ეს რომანის სიყალბის, ანტიმხატვრულობის, თვით ანტიხალხურობის დასტური უნდა ყოფილიყო, რასაც ავტორის დასჯა მოჰყვებოდა. მოხდა კი პირიქით: სტალინმა რომანის წაკითხვისთანავე გამოიძახა რესპუბლიკის ცეკას პირველი მდივანი, მწერლის დაუძინებელი მტერი და ჰკითხა: წაკითხული გაქვთ ეს რომანი? და იქვე, სანამ პასუხს მიიღებდა, დაასკვნა: რამხელა მწერალი გვყოლია ქართველებსო. ეს ერთი ფრაზა საკმარისი აღმოჩნდა, რათა სამშობლოში კონსტანტინე გამსახურდიას მიმართ დამოკიდებულება ძირეულად შეცვლილიყო.

– თქვენი მონაყოლი ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას თუ რამდენად შეუძლებელი იყო სტალინის საქციელის წინასწარგანჭვრეტა. გამსახურდიას "შეწყალება" სულაც ვერ შეუშლიდა მას ხელს "მეგრელთა საქმის" ბოლომდე მიყვანაში.

– ამიტომ ხომ არ გადადგა უკიდურესი ნაბიჯი ლავრენტი ბერიამ და, როგორც ამტკიცებს არა ერთი პუბლიკაციის ავტორი, დაჩქარა ბელადის საიქიოში გამგზავრება?

ამ თემაზე ბევრი მონაჭორი წამიკითხავს, მათ შორის ა. ავტორხანოვის "სტალინის სიკვდილის საიდუმლო". ყველასა აქვს ნება გამოთქვას საკუთარი აზრი, შექმნას საკუთარი ვერსია. მე არ მინდა მათ ვეკამათო, რადგან გამაბათილებელი საბუთები არ გამაჩნია (როგორც, სხვათაშორის, არც იმ ავტორებს გააჩნიათ მტკიცებანი!). მე შემიძლია ხსოვნაში აღვადგინო მშობლების საუბარი სტალინის გარდაცვალების დღეს. "ლაუ, – უთხრა დედაჩემმა მამას, – როგორც არ უნდა ინუგეშო თავი, შენი დრო დამთავრდა. აქამდე სტალინის წყალობით გითმენდნენ, ახლა კი მორჩა. სანამ გვიან არაა, დაწერე განცხადება და გადადექი, ან ავადმყოფობა მოიმიზეზე ან სხვა რამ საბაბი გამოძებნე!.." მამა არ იყო გულუბრყვილო ვინმე და მიუმცდარად გრძნობდა შექმნილი პოლიტიკური ვითარების მთელ სირთულეს. დედის ვედრებას მან ასე უპასუხა: "განა ჩემი განცხადება უშველის საქმეს? ისინი, თუკი მოინდომეს, მაინც მიაღწევენ საწადელს." მამამ სწორი ვარაუდი გამოთქვა, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოტყუვდა. იგი ელოდა პარტიულ კრიტიკას, შეცდომებში მხილებას, თვით სამსახურიდან მოხსნას, მაგრამ ისეთი სივერაგე, რაც მის მიმართ გამოიჩინეს, ნამდვილად ვერ წარმოედგინა.

– რატომ არ სცადა ლავრენტი ბერიამ სტალინის ადგილის ხელში ჩაგდება?

– მამამ მშვენივრად იცოდა, რომ საბჭოთა კავშირის ანუ ფაქტიურად რუსული სახელმწიფოს სათავეში ისევ ქართველს არავინ გააჩერებდა.

– ნუთუ მას არც ცეკას პრეზიდიუმში, არც მთავრობაში მეგობრები არ ჰყავდა? გეგონება, ყველანი სულმოუთქმელად ელოდნენო ამ საძულველი პიროვნების ჯვარზე გაკვრას.

მეგობრები მამას ჰყავდა. მე არ ვამბობ ხრუშჩოვზე, რომელიც მას თავხედურად ეტმასნებოდა. გადახედეთ იმ წლების ოფიციალურ ფოტოებს – ხრუშჩოვი თითქმის ყველგან მამაჩემის გვერდით დგას. ვინ იფიქრებდა, რომ მას თავისი ავაზაკური ჩანაფიქრის ხორცშესხმის მერე რეფორმატორობა და რუსული დემოკრატიის მამობა ჰქონდა განზრახული! თუმცა ხრუშჩოვმა შანტაჟის, დემაგოგიისა და სამხედრო ძალის გამოყენებით მამაჩემი გზიდან ჩამოიცილა, საწადელს მაინც ვერ მიაღწია. მოხდა ისე, როგორც რუსთაველი ბრძანებს: "კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების". მე არ ვამბობ მიქოიანზე, რომელმაც "ილიჩიდან ილიჩამდე" უღრუბლო პოლიტიკური ცხოვრება გაატარა. ანასტას ივანიჩმა სპეციალურად მომაკითხა ქალიშვილის ბინაზე მოსკოვში,

სადაც გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ვსტუმრობდი. მე იგი დიდხანს მიმტკიცებდა, რომ მამაჩემის დაღუპვაში წილი არ ედო და მთხოვდა ეს დედისთვისაც გადამეცა. მაშინ, რა თქმა უნდა, არ შემეძლო მცოდნოდა პლენუმზე მისი გამოსვლის შინაარსი და დავუჯერე. მართალია, ერთგვარად დამაეჭვა მისმა რეპლიკამ: "ეჰ, ჩემო სერგო, განა სულ ერთი არაა მკვდარზე რას იტყვი!" მხოლოდ ათეული წლების მერე მივხვდი ამ ფრაზის შეფარულ აზრს.

– გამოდის, რომ მალენკოვიც სტყუოდა, როცა თავს ბერიას მეგობრად ასაღებდა?

– იცით, პოლიტიკაში ცნება "მეგობრობა" მეტად პირობითია. ანგარიში, ანგარება, სარგებელი – აი, რა ამოძრავებს აქ ადამიანს. ასე იყო, ასეა დღეს და ასე იქნება მომავალშიც.

სკპ ცეკას ცნობილ პლენუმზე ვ. მ. მოლოტოვი ჰყვებოდა, რომ გ. მ. მალენკოვი საკავშირო მთავრობის თავმჯდომარედ ლავრენტი ბერიას დაჟინებული მოთხოვნით დანიშნეს. მან, მოლოტოვის თქმით, "თვითნებურად მიისაკუთრა ეს უფლება". როგორ ფიქრობთ, რით იყო ნაკარნახევი მამათქვენის ასეთი არჩევანი – პირადი მეგობრობით თუ პოლიტიკური ანგარებით?

– გულახდილად რომ გითხრათ, ერთითაც და მეორითაც. მალენკოვი, როგორც კი სასწაულებრივად გადაურჩა ეჟოვის ბედს, რომელთან ერთადაც მთელ ქვეყანაში სასტიკ რეპრესიებს ატარებდა, მაშინვე მოსკოვში ახლადგადმოყვანილ მამაჩემს მიემხრო. მამამ, ვფიქრობ, კარგად იცოდა მალენკოვის როლი პარტიულ წმენდაში, მაგრამ მას, როგორც შინაგან საქმეთა კომისარს, მოკავშირედ სწორედ ასეთი ინფორმირებული და გავლენიანი დიდმოხელე სჭირდებოდა. მით უფრო, რომ ეს დიდმოხელე სტალინის თანამებრძოლთა ვიწრო წრეს ეკუთვნოდა. მალენკოვი, რა თქმა უნდა, არ ყოფილა არც გამოჩენილი თეორეტიკოსი, არც პრაქტიკოსი, მაგრამ სასახლის ზაკვანი კი მას ნამდვილად არ ესწავლებოდა. სტალინის მხარდაჭერით გულმოცემულმა მალენკოვმა გადაწყვიტა მათი გზიდან ჩამოშორება, ვისაც მისთვის ხელისუფლების მწვერვალზე დარჩენაში ხელის შეშლა შეეძლო. ასეთებად მას მიაჩნდა საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ნ. ა. ვოზნესენსკი და საკ. კპ (ბ) ცეკას მდივნები ა. ა. ჟდანოვი და ა. ა. კუზნეცოვი. ამ სამეულმა, რომელიც არ მალავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას მალენკოვისადმი, ბოლოს და ბოლოს მიაღწია კიდეც ხელმძღვანელი ელიტიდან მის გაძევებას. ასე აღმოჩნდა ძლეული მალენკოვი შორეულ ტაშკენტში წვრილმან სამუშაოზე. რაღაც ამის მსგავსი, ალბათ, ელოდა მამასაც, მაგრამ მან მოახერხა სტალინის მოლბობა და არა მარტო თვითონ გადაირჩინა თავი, არამედ შერისხული მალენკოვიც მოსკოვში დააბრუნებინა.

– და მალენკოვმაც უმალ აგემა სასტიკი დარტყმა ალექსი კუზნეცოვს, რომელიც რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად მისსავე სამუშაო კაბინეტში უსანქციოდ და უბრალდებოდ დააპატიმრებინა. ბრალდება ისედაც ცნობილი იყო: კუზნეცოვი გადაუდგა ეტლს, რომელიც მალენკოვს სანუკვარი მიზნისკენ მიაქროლებდა.

– დიახ, მალენკოვმა კვლავ დაიბრუნა უწინდელი ძალაუფლება, უფრო მეტიც, როგორც ცენტრალური კომიტეტის მდივანი და პოლიტბიუროს წევრი, იგი პარტიაში მეორე კაცად იქცა. სწორედ მას დაავალა სტალინმა პარტიის XIX ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებით გამოსვლა. მას შემდეგ მალენკოვს სტლინის მემკვიდრედ მიიჩნევდნენ, რასაც, არსებითად, არავინ უარჰყოფდა. როცა სტალინი გარდაიცვალა, მამამ ხმამაღლა წარმოთქვა ის, რაც ყველასთვის ისედაც ცნობილი იყო. პირადი მეგობრობის გარდა აქ, ალბათ, პოლიტიკურ ანგარებასაც ჰქონდა ადგილი. მთავრობის მეთაურის მხარდაჭერით მამას შედარებით იოლად შეეძლო ჩაეტარებინა ჯერ კიდევ ბელადის სიცოცხლეში ჩაფიქრებული რეფორმები.

– მაშინ რატომ მოექცა მალენკოვი ასე უმადურად თავის კეთილისმყოფელს?

– მე მგონია, რომ გარემოცვამ, უწინარესად ხრუშჩოვმა წააქეზა იგი მამაჩემის წინააღმდეგ, აქაოდა, ბერია ყველას მოგვსპობს და გაგვანადგურებს, ამიტომ, სანამ გვიან არაა, თვითონ მას მოვუღოთო ბოლო. მალენკოვს კი არც კაცობა ეყო და არც გაბედულება, ამიტომაც აჰყვა ცთუნებას, ღალატის ფასად შეენარჩუნებინა ხელისუფლება.

– მაშასადამე, ლავრენტი ბერია არ დაუპატიმრებიათ და, ამდენად, არც მისი სასამართლო შემდგარა?

– იყო ხრუშჩოვის, ბულგანინისა და ვოროშილოვის შეთქმულება. ეს მე ზუსტად ვიცი. ფაქტია ისიც, რომ ბერიას სასამართლო პროცესი თვითონ ბერიას დაუსწრებლად მიმდინარეობდა. მკვდრის გასამართლება უკვე არავის შეეძლო!.. რაც შეეხება მალენკოვს, იგი მართლაც იყო მამაჩემის მოყვარე, მაგრამ ცხოველურმა შიშმა და, შესაძლოა, ანგარებამაც, რაზეც წედან მოგახსენეთ, მასშიც თავისი გაიტანა. უღალატა კაცობამ ლაზარე კაგანოვიჩსაც. ჩვენ აგარაკის მეზობლები ვიყავით, თითქოს ურთიერთ სიმპათიებიც გვქონდა, მაგრამ ვაი, რომ კაცი, რომელმაც უსიტყვო თანხმობა მისცა ღვიძლი ძმის დაპატიმრებასა და თვითმკვლელობას, ადვილად აღმოჩნდა მამაჩემის მოწინააღმდეგეთა ბანაკში. მათ შორის, ჩემდა სავალალოდ, ვიხილე ვიაჩესლავ მოლოტოვიც, რომლისგან დიახაც არ ველოდი ასეთ სულმოკლეობას. აი, ამბობენ: მოლოტოვის მეუღლე პოლინა ჟემჩუჟინა დაპატიმრებული იყო და სამი წელი საპყრობილეში გაატარაო. ვინ ჩაიდინა ეს სისაძაგლე? რა თქმა უნდა, ლავრენტი ბერიამ. ცოტა ვინმე თუ იწუხებს თავს ჭეშმარიტების დადგენით: რა იქცა პოლიტბიუროს წევრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მეუღლის დაპატიმრების საბაბად? გულმავიწყთა და გაუცნობიერებელთა საყურადებოდ ვიტყვი, რომ ჟემჩუჟინას "საერთაშორისო სიონიზმთან კავშირი" ედებოდა ბრალად. მეგობრები, კოლეგები, თანამებრძოლები, – როგორც გენებოთ, ისე უწოდეთ მათ, – მოლოტოვს არ ენდნენ და მისი ცოლის დაპატიმრება მოითხოვეს. საგულისხმო "წვრილმანია": ჟემჩუჟინა დააპატიმრეს პოლიტბიუროს დადგენილებით, ხოლო გაანთავისუფლეს ბერიას ერთპიროვნული განკარგულებით. მოლოტოვმა ეს, რა თქმა უნდა, იცოდა და მამას ემადლიერებოდა კიდეც. ვფიქრობ, მას ესმოდა, რომ ანტისემიტიზმი მარტო სტალინის და, მით უმეტეს, ბერიას ახირება არ ყოფილა. ამ საზიზღარ მოვლენას რუსეთში ღრმა ფესვები აქვს. საკმარისია ითქვას, რომ ეს-ესაა 1000 წელი შესრულდა რუსეთში ებრაელთა პირველი დარბევიდან. საერთოდ კი, ხსენებულ მოღვაწეთა კონკრეტული საქციელის შეფასებისას უსათუოდ უნდა შევნიშნო: ისინი, ხრუშჩოვის გარდა, ასე მოღალატურად არ მოიქცეოდნენ, მამაჩემის

სასამართლო ნამდვილად რომ შემდგარიყო. რატომღაც მინდა მჯეროდეს: მალენკოვმა, მოლოტოვმა და კიდევ ზოგ-ზოგმა ლავრენტი ბერიას უღალატა, როგორც იტყვიან, პოსტ ფაქტუმ, მისი დაღუპვის შემდეგ. რა თქმა უნდა, ეს მათ არ ამართლებს, რადგან ღალატი ღალატად რჩება გინდ ცოცხლის, გინდ მიცვალებულის მიმართ.

– ვ. მ. მოლოტოვი პლენუმზე ამტკიცებდა, რომ "26 ივნისს ცენტრალური კომიტეტის მთელი პრეზიდიუმი დაკავებული იყო ბერიას დანაშაულებრივი მოქმეების გარჩევით და ორსაათნახევრის განმავლობაში მისგან პირად საკითხებზე ახსნა-განმარტებებს მოითხოვდა." და იქვე: "იგი ამხილეს, დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს. მიმაჩნია, რომ საჭიროა მოვიწონოთ ცეკას პრეზიდიუმის ეს გადაწყვეტილება." ბულგანინიც ირწმუნებოდა: "26 ივნისამდე ორი-სამი დღით ადრე, სანამ ბერია დაპატიმრებულ იქნა..." ხრუშჩოვი კი ჩვეულებისამებრ ტრაბახობდა: "ხუთშაბათს (1953 წლის 25 ივნისს ავტ.) ჩვენ – მალენკოვი, მე და ბერია შინ ერთი მანქანით ვბრუნდებოდით, თუმცა ვიცოდით, რომ იგი ინტრიგანია, რომ იგი მე მაქეზებს მალენკოვისა და სხვების, უმთავრესად მალენკოვის წინააღმდეგ. იგი გვემშვიდობება, ხელს გვართმევს, მეს ხელის "მხურვალე" ჩამორთმევით ვპასუხობ. აჰა, ვფიქრობ ჩემთვის, ნაძირალავ, ეს ხელის უკანასკნელი ჩამორთმევაა, ხვალ, ო საათზე ყველაფრის უფლებას ჩამოგართმევთ (სიცილი). ჩვენ ხელს კი არ ჩამოგართმევთ, სულს ამოგართმევთ". როგორ ფიქრობთ, ეს თვალის ასახვევადაა ნათქვამი თუ ლავრენტი ბერია პლენუმს მართლა ესწრებოდა? რატომღაც ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს უზარმაზარი სტენოგრამა სიყალბეა...

– რატომაა ძნელი დასაჯერებელი? კრემლში ყალბისმქმნელები ყოველთვის ბლომად ჰყავდათ. ისეთი მნიშვნელოვანი საბუთის შედგენისას, როგორიცაა "ბერიას საქმე", დიახაც შეეძლოთ გამოეყენებინათ ნაცადი "კალმის ოსტატები", რომლებსაც, ალბათ, მეტი დამაჯერებლობისთვის შეჰქონდათ ტექსტში მსგავსი გამონათქვამები.

– "საოპერაციო" დღე – 1953 წლის 26 ივნისი – შეთქმულებს შემთხვევით არ აურჩევიათ. საიდუმლო მონაცემებით, 27 ივნისისთვის დანიშნული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების წვრთნა, რაზეც ხრუშჩოვი მალულად გააფრთხილეს ბერიას მოადგილეებმა ივან სეროვმა და სერგეი კრუგლოვმა. მეტი გაჭიანურება არ შეიძლებოდა. ვინ იცის, იქნებ წვრთნის საბაბით სახელმწიფო გადატრიალება მოეხდინათ. და ამიტომაც ხრუშჩოვმა გარისკა...

– გარისკვით კი გარისკა, მაგრამ მამტიცებელი საბუთები იმისა, რომ მამა სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდა, არც მაშინ ჰქონდათ და არც ახლა აქვთ. მამის დაღუპვაზე მე თქვენ მოგიყვებით იმას, რისი მოწმეც ნაწილობრივ თვითონ ვიყავი, ნაწილობრივ კი სხვებისგან გავიგე. 1953 წლის 26 ივნისს ჩვენი ოჯახი მამასთან ერთად აგარაკზე იმყოფებოდა. მე ადრე წამოვედი და დაახლოებით დილის ცხრა საათზე კრემლში ვიყავი ბ. ლ. ვანნიკოვთან. მამაჩემის კაბინეტი მოპირდაპირე შენობაში იყო. იქ დამხვდნენ მამის ტექნიკური თანაშემწე ვ. ა. მახნიოვი, ი. ვ. კურჩატოვი და სხვები, რომლებთანაც ბირთვული აფეთქებისთვის მზადყოფნაზე მოხსენებას ვამზადებდით. ასე თორმეტი საათისთვის ვანნიკოვის სამდივნოს თანამშრომელმა ტელეფონთან დამიძახა. რეკავდა ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი სულთან ამეტ-ხანი, რომელიც ჩემი მოწყობილობებით აღჭურვილ თვითმფრინავებს ცდიდა. "სერგო, – ყვიროდა იგი ყურმილში, – ერთ საშინელ ამბავს გეტყვი, მაგრამ უნდა გამაგრდე. თქვენი სახლი ჯარებითაა გარშემორტყმული, მამაშენი კი, ალბათ, მოკლულია. მე უკვე გამოგიგზავნე მანქანა, ჩაჯექი და აეროდრომზე გაემგზავრე. სადმე გადაგაფრენ, სანამ გვიან არაა!" მე მაშინვე დავრეკე მამაჩემის სამდივნოში. პასუხი არავინ გამცა. ალბათ, მოასწრეს ტელეფონების გამორთვა. არ იღებდნენ ყურმილს არც აგარაკზე, არც ბინაში. კავშირი ყველგან გაწყვეტილი იყო... მაშინ ვანნიკოვს მივმართე. ისიც შეშფოთდა და კრემლის ტელეფონს ეცა, მაგრამ მისი აბონენტებიც დუმდნენ. იმ დღეს მამაჩემის წინადადებით დანიშნული იყო ცეკას პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელზეც უნდა განეხილათ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ს. იგნატიევის და მისი მოადგილის მ. რიუმინის როლი რიგი "საქმეების" შეთხზვაში. (როგორც ადვილი მისახვედრია, მათი ავტორობა მერე მთლიანად მამაჩემს მიაწერეს). ბოლოს და ბოლოს ვანნიკოვმა დაადგინა, რომ სხდომა გადაედოთ და ირგვლივ უცნაური ამბავი ხდებოდა. მან მითხრა: "თუ ჩვენი საშინელი ვარაუდი სწორია, უკვე ვერაფერს გავაწყობთ, მაგრამ შენ კი დაგიცავთ, არ დავანებებთ შენს თავს." განსაკუთრებით ნერვიულობდა ი. კურჩატოვი, რომელსაც მამაჩემი უანგაროდ უყვარდა. მეცნიერის ბრწყინვალე კარიერას მან, ისევე, როგორც ა. სახაროვმა, მამაჩემის წყალობით მიაღწია. მამას არაერთი სახელოვანი მეცნიერის "მორჯულება" მოუხდა, სანამ ისინი ჭაბუკი მეატომის ხელმძღვანელობით მუშაობაზე დათანხმდებოდნენ. კრემლის ჭიშკართან მართლაც მელოდა ამეტ-ხანის გამოგზავნილი მანქანა. მეგობრები მარწმუნებდნენ შინ წასვლა სახიფათოა, გზა იქით უკვე გადაკეტილია, გარშემო კი სროლაა. გაქცევასა და დამალვას მე მაინც დარჩენა ვარჩიე. ხომ იკითხავდნენ, თუ დამნაშავე არ იყო, რას გარბოდაო! თანაც სულში ჯერ კიდევ ღვიოდა იმედის ნაპერწკალი, რომ ეს რაღაც გაუგებრობაა და მამაჩემი ცოცხალია. გაქცევა მე არ შემეძლო იმიტომაც, რომ ვერავის დავუტოვებდი დედას, ორ პატარა ქალიშვილს და ფეხმძიმე მეუღლეს, რომელსაც სულ მალე უნდა ემშობიარა. ჩემი გოგონები მაშინ ოთხი და ორი წლისა იყვნენ... შუა გზიდან დავბრუნდი ვანნიკოვთან. მან მოიწონა ჩემი გადაწყვეტილება და მალენკოვს დაურეკა. მალენკოვის ტელეფონი არ პასუხობდა. მაშინ ხრუშჩოვთან დარეკა. ყურმილი აიღეს. "ნიკიტა სერგის ძევ, – დაიწყო ვანნიკოვმა, – ჩემს გვერდითაა ბერიას ვაჟი. მე და ჩემმა მეგობრებმა, – მან დაასახელა კურჩატოვი და იქ დამსწრე სხვა მეცნიერები, – ვიცით, რაც მოხდა. ამიტომაც გთხოვთ იზრუნოთ ახალგაზრდა ბერიას უსაფრთხოებაზე." მერე ვანნიკოვმა გადმომცა ხრუშჩოვის პასუხი, აქაოდა, არც არაფერი მომხდარა, რეებს იგონებთო!.. ვანნიკოვმა თავის მანქანაში ჩამსვა და სადოვოე კალცოზე გამომყვა. რაიონი მართლაც სამხედროებით იყო გარშემორტყმული და სანამ ვანნიკოვი ისევ არ დაუკავშირდა ხრუშჩოვს, ეზოში არ შეგვიშვეს. ეჭვი არ იყო, ამ ბაქანალიას სწორედ ხრუშჩოვი ხელმძღვანელობდა. მამაჩემის ოთახის კედელი მსხვილყალიბიანი

ტყვიამფრქვევებით დაეცხრილათ, ფანჯრები ჩაელეწათ, კარები შეეტვრიათ. სანამ ამ სანახაობას შეძრწუნებული შევყურებდი, სახლის ერთ-ერთმა მცველმა მოირბინა და მიჩურჩულა: "სერგო, ეს-ესაა შენობიდან ბრეზენტგადაფარებული საკაცით ვიღაცა გამოიტანეს". მცველს სასწრაფოდ დაუძახეს და მე ვერ მოვასწარი მეკითხა, სროლის დროს მამა შინ იყო თუ არა.

— სახლი მხოლოდ თქვენს ოჯახს ეკუთვნოდა?

— დიახ! პირველი სართული მშობლებს ეკავათ, მეორეზე მე ვცხოვრობდი ცოლ-შვილთან ერთად. იქვე იყო კომენდატურაც. მე გამოყოფა მინდოდა, მაგრამ მამამ დამიყოლია: ერთადერთი ვაჟი გვყავხარ, სად უნდა წახვიდე, ჩვენთან დარჩი, დედის გულს გაახარებო.

— მერე როგორ წარიმართა თქვენი ბედი?

— ჯავშანტრანსპორტიორის თანხლებით გამგზავნეს აგარაკზე, სადაც ოჯახი ისვენებდა. გამგზავრების წინ ვანნიკოვმა დაცვის გენერალს საბუთები მოსთხოვა და მონაცემები ჩაიწერა. თუკი გზაში მომკლავდნენ, ეცოდინებოდა, საქმე ვისთანაც უნდა ჰქონოდა, მერე კი გადამეხვია და მითხრა: გამაგრდი და იცოდე, რომ შენ უფრო მეტი მეგობარი გყავს, ვიდრე თვითონ გგონიაო. ჩვენი აგარაკი ალყაში იყო.

— გამოდის, რომ მაშინ დაგაპატიმრეს!

— ფაქტიურად დამაპატიმრეს, თუმცა მეუბნებოდნენ, დაგაკავეთო. აგარაკზე დამხვდა დედა, რომელმაც ჩემს დასამშვიდებლად თქვა: "მე ველოდი ამ დღეს. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო." ლაპარაკობდა აუღელვებლად, უცრემლოდ, ვაი-ვიშის გარეშე. დამამახსოვრდა მისი სიტყვები: სიკვდილის ნუ შეგეშინდება, იგი ერთხელ მოდის და მას ღირსეულად უნდა შეხვდეო. ჩვენ დაგვაშორეს. დედა იქვე დატოვეს, მე კი ჩემს ოჯახთან ერთად კუნცევოში, სტალინის აგარაკზე გადამიყვანეს, რომელიც ასევე ჯავშანტრანსპორტიორებით იყო გარშემორტყმული. ვცხოვრობდით გამიჯნულად. გარე დაცვას სამხედროები ახორციელებდნენ, შიდას — სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პირები. გვეპყრობოდნენ თავაზიანად, ვყავდით ნორმალურ პირობებში. ოცი დღის შემდეგ ღამის სამ საათზე ამაყენეს და მითხრეს, დაპატიმრებული ხარო. 1953 წლის ივლისიდან დეკემბრამდე ლეფორტოვოს ციხეში ვიყავი დამწყვდეული, 1954 წლის იანვრიდან ბუტირკაში გადამიყვანეს, სადაც ერთი წელი დავყავი. ორივეგან ერთკაციან საკანში ვიჯექი, სასამართლოსა და ძიების გარეშე. როგორც შემდეგ გამოირკვა, ბუტირკის ერთკაციან საკანში მჯდარა დედაჩემიც. ლეფორტოვოს ციხე სასტიკი რეჟიმით გამოირჩეოდა. საკანში ჩემთან ერთად იმყოფებოდა ოთხკაციანი დაცვა, რომელიც სისტემატურად იცვლებოდა. ისინი წუთითაც არ მაძინებდნენ, თანაც ყოველნაირად ცდილობდნენ ჩემთვის საინტერესო ჩვენებები დაეტყუებინათ. როცა შიმშილობას გამოვაცხადებდი, ძალით მკვებავდნენ. ცემით ერთხელაც არ ვუცემივართ.

— მაინც რა გედებოდათ ბრალად?

— სოციალისტური წყობილები წინააღმდეგ შეთქმულება, ტერორისტული ორგანიზაციის წევრობა, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მოსასპობად დივერსიების მოწყობა, ინგლისის დაზვერვასთან რადიოკავშირი.

— მამხილებელი საბუთები?

— არავითარი მამხილებელი საბუთები მათ არ ჰქონიათ. ამიტომაც განვაცხადე: "სანამ არ მაჩვენებთ მამაჩემის დაკითხვის ოქმს ან მის მიერ ხელმოწერილ რაიმე საბუთს, ჩვენებას არ მოგცემთ-მეთქი. ჯიუტად ვიმეორებდი: სანამ არ წარმომიდგენთ ჩემი ტერორისტული და ჯაშუშური საქმიანობის დამამტკიცებელ ფაქტებს, ჩვენებებს ასევე არ მოგცემთ-მეთქი. მე არ უარვყოფდი, რომ კარგად ვისროდი და იარაღიც მქონდა, მაგრამ მოვითხოვდი სამხილებს, რომლებიც გახსნიდნენ ჩემი დანაშაულის არსს. რამდენადაც ასეთი სამხილები არ გააჩნდათ, ვპასუხობდი მხოლოდ ამ ტიპის კითხვებზე: "სად იყავით ამა და ამ დროს; იცნობთ ამას და ამას?" როგორც კი კითხვები გამოგონილ ბრალდებებში გადაიზრდებოდა, ვჩუმდებოდი.

— გამომძიებელთა გვარები გახსოვთ?

— რა თქმა უნდა, მახსოვს. ჩვენს საქმეს იძიებდა გენერალური პროკურორის სამი მოადგილე. პირველი მოადგილე — სამხედრო პროკურორი გენერალ-ლეიტენანტი კიტაევი, წარმოუდგენელი ნაძირალა. მოადგილეები — კომოჩკინი და ცარეგრადსკი. ამ უკანასკნელს, თუმცა პროკურორი კი იყო, პატიოსნება და სამართლიანობა არ აკლდა.

— დაკითხვებზე დაჰყავდით თუ გამომძიებლები ციხეში მოდიოდნენ?

—ყველაფერი ციხეში ხდებოდა. გამომძიებლის კაბინეტი რადიოფიცირებული იყო და ჩვენს საუბარს მეზობელ ოთახში ფირზე იწერდნენ.

— გამომძიებლები გაგეცვნენ თუ მათ ადრეც იცნობდით?

— გამომძიებლებთან ადრე ნაცნობობა არ მქონია. პირველსავე შეხვედრაზე მათ მაჩვენეს საბუთები, დამისახელეს ვინაობა და წოდებები. ყველაფერი წესისამებრ გააკეთეს.

— გარეშე პირთაგან ხომ არ დაინტერესებულა თქვენით ვინმე?

— ლეფორტოვოში ორჯერ მომაკითხა მალენკოვმა. მირჩია, მიეცი შესაბამისი ჩვენებები და სასჯელი შეგიმსუბუქდებაო. სინამდვილეში იგი ცდილობდა გაერკვია, ვიცოდი თუ არა სად მალავდა მამა საიდუმლო არქივს.

— მხილების ეშინოდა?

— რასაკვირველია! იგი ხომ, როგორც მოგიყევით, ცეკაში რეპრესიების საკითხს ხელმძღვანელობდა. სავსებით დასაშვებია, მამაჩემს ჰქონოდა ისეთი საბუთები, რომელთა გამომზეურება სასიკვდილო დარტყმას მიაყენებდა არა მარტო მალენკოვს, არამედ მთელ მათ კამარილიას.

— როდის შედგა თქვენი სასამართლო?

– სასამართლო არ შემდგარა. შედგა უარესი რამ: დახვრეტის სცენა. ციხის ეზოში ერთ-ერთი გასეირნების დროს ჩვეულებრივი დაცვის ნაცვლად მეავტომატეთა ოცეული გამოჩნდა. ჯარისკაცებმა უცებ ხელი მტაცეს და კედელთან მიმაყენეს, მეთაურმა კი სხაპასხუპით წაიკითხა სასიკვდილო განაჩენი. მე იგი სიტყვა-სიტყვით არ მახსოვს, მაგრამ შინაარსი ასეთი იყო: "ესა და ეს ნომერი დამნაშავე, რომელიც ჩვენებებს არ იძლევა, დაიხვრიტოს!" გაიჩხაკუნეს ავტომატების საკეტებმა, როგორც იქნა, მოეღო ბოლო უაზრო წამებას... მოულოდნელად ვიღაც შემოვარდა და ჯარისკაცებს იარაღის ძირს დაშვება და ჩემი საკანში დაბრუნება უბრძანა. ამას ახლა გიყვებით ასე მოკლედ, თორემ მაშინ მომეჩვენა, რომ მარადისობამ ჩაიარა... მერე მიამბეს, თურმე ჯარისკაცებისთვის მიყვირია, იცოდეთ, არამზადებო, რომ თქვენც თითო-თითოდ დაგხვრეტენ, რათა მოწმეებად არ დარჩეთ-თქო. ყველაზე ამაზრზენი აქ ის იყო, რომ ამ ულმობელი სცენისთვის დედაჩემს აყურებინეს თურმე. მიუყვანიათ იგი გისოსებთან და უთქვამთ: "ჩვენ ახლა თქვენს ვაჟს დავხვრეტთ, მაგრამ თუ მისი გადარჩენა გსურთ, აგერ საბუთები, მოაწერეთ ხელი და შვილი ცოცხალი გეყოლებათ." დედას უპასუხნია: თქვენ, სულ ერთია, დაპირებას მაინც არ შეასრულებთ, ამიტომ ერთად დაგვხვრიტეთ, სჯობს პატიოსან ადამიანებად მოვკვდეთო. მაგრამ როცა ავტომატები მომიშვირეს, გული წასვლია და წაქცეულა. მეორე დღეს, – მე მაშინ ოცდაათი წლისაც არ ვიყავი, – წყალში ჩემი ანარეკლი დავინახე და გავფითრდი: ნახშირივით შავი ქოჩორი ერთთავად გამჭაღარავებოდა... ამ ფარსის შემდეგ რეჟიმი საგრძნობლად შემისუსტეს. ზედამხედველები უკვე ნომრით კი არა სახელით და გვარით მომმართავდნენ. ისევ აჭიატდა იმედის შუქი, იქნებ განგებამ ჩემი გადარჩენა ინება და ამ ჯურღმულებში უკვალოდ არ გავჰქრე–მეთქი. მალე ჩემი დაუმთავრებელი პროექტებიც მომიტანეს და მათზე მუშაობის ნება დამრთეს. თავაუღებელი გარჯის შედეგად იშვა წყალქვეშა სტარტის რაკეტა, რომლის მოდიფიკაციები რუსეთის არმიას დღესაცა აქვს შეიარაღებაში. წელიწადნახევრიანი პატიმრობის შემდეგ სუკის თავმჯდომარესთან მიმიყვანეს, რომლის კაბინეტშიც საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის თანდასწრებით დედას შემახვედრეს. ჩემი ჭაღარის დანახვაზე დედა ატირდა და უსიტყვოდ ჩამეხუტა. თავმჯდომარემ გამოგვიცხადა, რომ ჩვენ პატიმრები უკვე აღარა ვართ და ციხიდან გვიშვებენ. მთავრობის სახელით მე მევალებოდა დასრულებული პროექტის ხორცშესხმა ქვეყნის ნებისმიერ ქალაქში... გარდა მოსკოვისა. შემომთავაზეს კიდეც რამდენიმე ვარიანტი, მაგრამ მე სვერდლოვსკი ავირჩიე, სადაც ადრე მოსკოვის საკონსტრუქტორო ბიუროს ფილიალი გავხსენი. დედამ განაცხადა, რომ მარტოს არ გამიშვებდა და თან წამომყვებოდა. ამ საუბრიდან ერთი კვირის თავზე სვერდლოვსკში გაგვამგზავრეს დაცვის თანხლებით, თუმცა უკვე პატიმრები არ გვეთქმოდა.

– რა თქმა უნდა, არა მაქვს საფუძველი, არ ვენდო თქვენს მონაყოლს, მაგრამ, ალბათ, იცით, რომ ხალხში ასეთი ხმებიც დადის: ლავრენტი ბერია ჰაერში მოსპეს, ბერლინიდან მობრუნებული მისი თვითმფრინავი საბჭოთა მეზენიტეებმა ჩამოაგდესო...

ეტყობა, ასეთი გეგმაც არსებობდა. შეთქმულებმა თავის დაზღვევის მიზნით სასწრაფო მივლინებაში გაგზავნეს მოსკოვის სამხედრო ოლქის უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი პ. ა. არტემიევი, რომელსაც შეეძლო მათთვის ხელი შეეშალა. არტემიევი დიდხანს მსახურობდა შინსახკომში, სარგებლობდა მამისა და პირადად სტალინის ნდობით. და მაინც, ყველაზე სარწმუნოდ ის ვერსია მიმაჩნია, წეღან რომ გაგაცანით. სხვადასხვა ვერსიის არსებობა კი, სხვათაშორის, ოფიციალური ვერსიის არასანდოობაზე მიუთითებს.

– ამჟამად განსაკუთრებული ინტერესი იგრძნობა ლავრენტი ბერიას დაღუპვის (თუ დახვრეტის) წვრილმანებისადმი. პრესა პირდაპირ აჭრელებულია ამ თემისადმი მიძღვნილი მასალებით. წერენ ჟურნალისტები, ისტორიკოსები, პოლიტიკოსები, ყოფილი პატიმრები და ჩეკისტები. საკუთარ გულახდილობათა სენსაციურობით ყველას აჭარბებს ყოფილი საბჭოთა მაიორი მიხეილ ხიჟნიაკ-გურევიჩი, რომელიც ამტკიცებს, ლავრენტი ბერია პირადად მე დავხვრიტეო. ამის შესახებ იგი ჰყვება ბრიტანულ ყოველკვირეულში "სანდი ტაიმსი", ხოლო "კომსომოლსკაია პრავდა" (06. 01. 98) მის მონაყოლს საკუთარ მკითხველებსაც აცნობს. გადამდგარი მაიორის თქმით, იგი თან ახლდა ბადრაგს, რომელსაც დაპატიმრებული ბერია კრემლიდან ბუნკერში გადაჰყავდა. შემდგომში კი მას დაევალა ამ უჩვეულო ტუსაღის დაცვა. მთელი ნახევარი წელიწადი, თვით 23 დეკემბრამდე, იგი განუყრელად მასთან იყო, აჭმევდა, პარსავდა, ბანდა განწირულ მარშალს. ტყვე და მცველი შეჩვევიან ერთმანეთს და ურთიერთსიმპათიაც კი გასჩენიათ. მცველს შეჰქმნია შთაბეჭდილება, რომ ბერია ჭკვიანი კაცი იყო და თავის ღირსეულად დაჭერა შეეძლო. ის არ ყოფილა მშიშარა. მხოლოდ ერთი წამით გაუფითრდა მას სახე და აუცახცახდა მარჯვენა ლოყა. ეს იყო ერთხელ და უკანასკნელად, როცა მან საკუთარი ემოცია გამოაჩინა. მართალია, "დასაცავი ობიექტისადმი" ასეთ მზრუნველ და სათუთ დამოკიდებულებას არ შეუჩერებია "კანონდამჯერე" მაიორი გენერალ ბატიცკის კვალდაკვალ ბოძზე მითოკილი ბერიასთვის ორი ნაბიჯიდან ტყვია შუბლში მიეჭედებინა. მასვე რგებია დახვრეტილი ბერიას გვამის დონის კრემატორიუმში გადატანა და კრემაციის შემდეგ მძლავრი ვენტილატორის მეშვეობით ფერფლის ჰაერში გაბნევა. უნებლიე ჯალათს სიცოცხლის ბოლოს სინდისის ქენჯნა უგრძვნია, მას სულ უფრო და უფრო აწუხებდა თურმე ხსოვნა მომხდარის შესახებ, ამიტომაც რამდენჯერმე უცდია თქვენთან შეხვედრა, რათა თვით ლავრენტი ბერიას ოდინდელი თხოვნით მიეთხრო, თუ როგორ მოხდა ყველაფერი სინამდვილეში. უცდია, მაგრამ ამაოდ.

– ეს ყველაფერი თითიდან გამოწოვილი სიცრუეა. არასდროს, არანაირ ვითარებაში მაიორს ჩემთვის არ მოუმართავს. თუმცა გულწრფელად გეტყვით, რომ მისი არსებობა ვიცოდი. ნაცნობმა ჟურნალისტებმა როგორღაც გადაკრულად მიმანიშნეს, რომ არის პიროვნება, რომელსაც შეუძლია მამის უკანასკნელ დღეებზე სრული სიმართლე მომითხროს. გამოგიტყდებით, რომ მე გამოცდილი კაცი გახლავართ (ცხოვრების წყალობით!) და ეს ცნობა სარწმუნოდ არ ჩავთვალე. საქმე ისაა, რომ მე და მამაჩემს გვქონდა თავისებური პაროლი იმ შემთხვევისთვის, თუკი მესამე პირის მეოხებით რაიმე ინფორმაციის გადაცემა მოგვიხდებოდა. გურევიჩს ("ხიჟნიაკი"

მის გვარში მაშინ არ ფიგურირებდა) ეს პაროლი არ გამოუყენებია. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. დავუშვათ, რომ მამას არ გაუნდვია მისთვის ჩვენი საიდუმლო, მაგრამ კაცს, რომელიც მას ტანის დაბანაში ეხმარებოდა, სხეულზე ხალები ხომ უნდა შეენიშნა! მარჯვენა ძუძუსთან და თეძოზე მამას ორი დიდი ხალი ჰქონდა. გურევიჩმა არც ეს იცოდა. და ბოლოს, სრულიად დაუჯერებლად გამოიყურება მის მიერ აღწერილი იდილია, როცა იგი სპეცსაპყრობილეში განსაკუთრებულ პატიმარს მარტოდ მარტო იცავდა. თვით მეც კი ლეფორტოვოსა და ბუტირკაში, როგორც უკვე გითხარით, თავზე გაძლიერებული დაცვა მადგა, აქ კი თვით ლავრენტი ბერია ერთადერთი მაიორის ამარა დაუტოვებიათ. ასეთი გადამოწმების შემდეგ მივხვდი, რომ მოხუცი ჩეკისტის მონაყოლი წმინდა წყლის ჩმახი და სნეული ფანტაზიის ნაყოფია. ამიტომაც არ ვისურვე მასთან პირადად შეხვედრა.

– ვთქვათ და მაიორი მართლაც რომ გამომდგარიყო ის კაცი, ვინადაც იგი თავს ასაღებს, მამის ჯალათს პირისპირ შეხვდებოდით? ბერიას დახვრეტა ხომ, თუკი მსგავსი რამ ნამდვილად ისე მოხდა, როგორც ჰყვებიან, საკონსტიტუციო, სასამართლო, საპროცესო და სხვა მრავალ უფლებათა უხეშზე უხეში დარღვევაა!

– მეც იმას ვამბობ, რომ მამა კი არ დახვრიტეს, არამედ ყაჩაღურად მოკლეს. სადავოდ რჩება მხოლოდ დანაშაულის დრო და ადგილი. შემეძლო თუ არა შევხვედროდი იმ მხეცობის მონაწილეს? მე თქვენ მეტად რთული კითხვა დამისვით. გადაწყვეტილება შეიძლებოდა მყისიერი ყოფილიყო, თუმცა მაიორთან დალაპარაკებაზე ჩემი უარი ნაკარნახევია არა ემოციებით, არამედ მტკიცე რწმენით, რომ მისი მონათხრობი სიყალბეა.

– გაქვთ კიდევ რაიმე არგუმენტი თქვენი სისწორის დასამკიცებლად?

– მე მყავს ცოცხალი მოწმე – საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი ალექსანდრე მირცხულავა. აკაკი მგელაძის ხანმოკლე თარეშის შემდეგ იგი მამაჩემის მხარდაჭერით დაინიშნა ამ თანამდებობაზე, რაც სამარცხვინო "მეგრელების საქმის" ჩაფუშვას ნიშნავდა. მირცხულავა მონანიებით მოვიდა ჩემთან და მომიტანა თავისი ამასწინდელი პუბლიკაციები ქართულ პრესაში, რომელშიც მოთხრობილია თუ როგორ გაუსწორდნენ ხრუშჩოვი და ძმანი მისნი ლავრენტი ბერიას. როგორც ჩანს, მირცხულავა სინდისის ქეჯნამ შეაწუხა, რადგან თავის დროზე არც თუ ვაჟკაცურად მოიქცა და მამაჩემი ლაფში ამოსვარა. გასაგებია, რომ დრო იყო ისეთი, აიძულეს კაცი, და მაინც...

– რაო, რას გვიყვება ის თქვენი ცოცხალი მოწმე?

– ალექსანდრე მირცხულავა ჰყვება თუ როგორ გამოიძახა იგი 1953 წლის ივნისის მიწურულს ტელეფონის მოულოდნელი ზარით ხრუშჩოვმა და თან შინაგან საქმეთა მინისტრის ვ. დეკანოზოვის წამოყვანა დაავალა. გამოძახების მიზეზი მირცხულავასთვის არ აუხსნიათ. მისაღებში ცოტაოდენი ლოდინის შემდეგ იგი ხრუშჩოვთან შეუყვანიათ. მასპინძელი ხალისიანად მისალმებია და სხვათაშორის უკითხავს, ბერია უკვე ნახეთო? უარყოფითი პასუხი რომ მიუღია, ღიმილით დაუკრავს მხარზე ხელი და უთქვამს: თქვენ მას ვერც შეხვდებოდით, ჩვენ იგი დავაპატიმრეთო. საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი გვიდასტურებს: "ხრუშჩოვის ნათქვამმა შემძრა, მაგრამ თვითშენახვის ინსტინქტმა წამომაროშვინა: თუ დააპატიმრეთ, ალბათ, იყო კიდეც ღირსი. ეტყობა, მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი". ხრუშჩოვს ჩემი პასუხი მოეწონა და ბერიას ლანძღვა-გინებას მოჰყვა, სულ არამზადა და ნაძირალა უძახა, მაგრამ მისი ბოროტმოქმედების კონკრეტული ფაქტები არ დაუსახელებია. ბოლოს მან გამაფრთხილა: თუ საქართველოში ჩვენს აქციასთან დაკავშირებით მღელვარება დაიწყება, დეციმაციას (ნიშნავს ყოველი მეათე კაცის დახვრეტას იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავე აღმოჩენილი არაა), თქვენ კი საკუთარი თავით აგებთ ყველაფერზე პასუხს. ის, რომ ხრუშჩოვი არ ლაყბობდა, ცხადი გახდა, როცა მან საქართველოში სპეცრაზმი გაგზავნა გენერალ ბატოვის მეთაურობით. იგი მე ხრუშჩოვმა საკუთარ კაბინეტში გამაცნო. მან ასევე მაცნობა, რომ ბერიასთან დაკავშირებით მოიწვევდნენ სპეციალურ პლენუმს, სადაც მე მამხილებელი სიტყვით გამოსვლა მომიწევდა. მე გადმომცეს მომავალი გამოსვლის "ბალვანკა" და მისი "ქართული კოლორიტით" გაზავება მირჩიეს. მიუხედავად იმისა, რომ ლავრენტი ჩემი მეგობარი იყო, მე არა მარტო მაშინვე დავთანხმდი, არამედ დავპირდი, ახლავე დავრეკავ თბილისში, რომ მისი პორტრეტები ყველგან ჩამოხსნან-მეთქი. მაგრამ აქ ჩემი ენთუზიაზმი ხრშჩოვმა გაანელა: "ამის გაკეთება კი საჭირო არაა. ბერიას დაპატიმრებას მსოფლიო პლენუმის შემდეგ გაიგებს". და მსოფლიო მართლა გააოგნა ცეკას შეტყობინებამ.

– ამ მონათხრობიდან არ ჩანს, რომ ბერია დაპატიმრებისას მოკლეს.

– ალექსანდრე მირცხულავა აგრძელებს, რომ იმ ყბადაღებული პლენუმის შემდეგ რომელიღაც საკავშირო თათბირზე ხრუშჩოვს სასხვათაშორისოდ შეუნიშნავს: ჩვენ რომ ზოგიერთი რჩევა ყურად გვეღო და ბერიას საქმე მისი თანდასწრებით განგვეხილა, არც ერთი ჩვენგანი დღეს ცოცხალი აღარ იქნებოდა, რადგან ტუსაღი ბერიაც დიდად საშიში იყო. ამიტომაც იგი დაპატიმრებისას მოვსპეთო.

– რატომ გამოიჩინა მან ასეთი გულახდილობა წარმომადგენლობითი აუდიტორიის წინაშე?

– ჩემი აზრით, ბევრი მაღალი თანამდებობის პარტიელი მოითხოვდა პასუხს კითხვაზე თუ რატომ ჩატარდა პლენუმი უბერიოდ. სხვათაშორის, ასეთ კითხვას ჯიუტად სვამდნენ საზღვარგარეთის, კერძოდ, საფრანგეთისა და იტალიის კომპარტიათა წარმომადგენლები, რომლებთანაც მამა ცეკას დავალებით მნიშვნელოვან მოლაპარაკებებს აწარმოებდა. უკვე ამას წინათ სორბონის უნივერსიტეტში, სადაც პოლიტოლოგების ჯგუფმა მიმიწვია, მაჩვენეს უმნიშვნელოვანეს დოკუმენტთა ასლები, რომლებმაც ერთხელ კიდევ დამარწმუნეს, რომ მამაჩემი, როგორც იტყვიან, გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე მიახვრიტეს. იყო კაცი და გააქრეს კაცი. მორჩა და გათავდა!

– საინტერესოა, რა დოკუმენტები გაჩვენეს ფრანგებმა და საიდან მოხვდა ისინი მათ ხელში?

– ეს ცალკე და სერიოზული მსჯელობის საგანია, რასაც ოდესმე დავუბრუნდები, ხოლო რაც შეეხება ფრანგებს, გეტყვით, რომ ასლებს ისინი თავხედურად იძენდნენ პირდაპირ არქივების მცველთაგან. თუ როგორ

ახერხებდნენ ამას, ჩემთვის უცნობია. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენი ისტორია ფრანგებისთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე ჩვენთვის.

— ა. კოროტკოვმა, ა. სტეპანოვმა და რ. პიხოიამ რუსულ პრესაში გამოაქვეყნეს "ბერიას ბოლო საბუთი" — მისი დახვრეტის ხელნაწერი აქტის ასლი. ეს როგორღა გავიგოთ?

— ჩემი აზრით, ნამდვილი საბუთი, მით უფრო, განსაკუთრებული მნიშვნელობისა, მანქანაზე მაინც უნდა იყოს გადაბეჭდილი და ზედ ბეჭედიც ჰქონდეს. ასეთ ხელნაწერ აქტებს კი, უკაცრავად პასუხია და, სოფელში პირუტყვის დაცემაზე ადგენდნენ. სოფსაბჭოს თავმჯდომარე, ზოოტექნიკოსი და ბრიგადირი საკუთარი ხელმოწერებით ადასტურებდნენ ძროხის თუ ღორის დაღუპვას. მაგრამ თვით ასეთი აქტსაც კი უბეჭდოდ ძალა არა აქვს. არმიის გენერალმა მოსკალენკომ, გენერალ-პოლკოვნიკმა ბატიცკიმ და გენერალურმა პროკურორმა რუდენკომ, როგორც ჩანს, ვერც მემანქანე იპოვეს და ვერც ბეჭედი. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ვისი ბეჭდით უნდა ესარგებლათ მათ? საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სპეციალური სასამართლო დასწრების ბეჭდით ხომ არა? ამ ერთჯერად ორგანოს, რომლის წინადადებითაც შედგა თითქოს დახვრეტა, არა მგონია, საკუთარი ბეჭედი ჰქონოდა. ჰოდა, შეთითხნეს, ალბათ, ფარატინა ქაღალდი, რომლის თანახმადაც 1953 წლის 23 დეკემბერს, 19 საათსა და 50 წუთზე განაჩენი ლავრენტი ბერიას მიმართ აღასრულეს.

— 1945 წელს სტალინმა სიკვდილით დასჯა გააუქმა, მაგრამ მალე იგი კვლავ აღადგინეს. ზოგ ენამწარეს რომ მოუსმინო, ასე "იზრუნა" ბერიამ თავის მომავალზე...

— ჯერ ერთი, მამაჩემზე "იზრუნეს" მისმა ეგრეთწოდებულმა თანამებრძოლებმა, რომელთათვის, როგორც აღმოჩნდა, კანონი თურმე საერთოდ არ არსებობდა. მეორეც, მამაჩემმა ჯერ კიდევ ომამდე წარუდგინა სტალინს კანონპროექტი, რომელიც გასაგები მიზეზების გამო მხოლოდ ომის შემდეგ მიიღეს. რაც შეეხება სასჯელის უმაღლესი ზომის აღდგენას, ვფიქრობ, საამისოდ მარტო ლავრენტი ბერიას "ზრუნვა" და მოწადინება არ კმაროდა. იგი განპირობებული იყო დამნაშავეობის აღზევებით, რაც მარტო პოლიტიკური რეჟიმისგან როდია დამოკიდებული. აკი ბევრი დემოკრატიული ქვეყნის კოდექსში სიკვდილით დასჯა დღემდე ფიგურირებს.

დედას სიცოცხლის ბოლომდე სჯეროდა, რომ მამა ცოცხალია

— მოსკოვურ ციხეთა სასტიკ ატმოსფეროში მოხვედრილს თუ გიფიქრიათ მათზე, ვინც იქაური დანტეს ჯოჯოხეთი მამათქვენის "ლოცვა-კურთხევით" გამოიარა ან სულაც მას შეეწირა?

— ციხეში ადამიანი საერთოდ ბევრს ფიქრობს. მას უჩნდება გავლილი გზის ანალიზისა და შესაბამისი დასკვნების გამოტანის მწვავე აუცილებლობა. მამაჩემის დაღუპვა, როგორც ვამბობდი, ჩემთვის სრულ მოულოდნელობად იქცა. საკანში მე არ მომდიოდა პრესა, არ მქონდა რადიო, ამიტომ ბოლომდე ვერ გამეგო, რა მოხდა, რა დააშავა მამამ, რაში ვიყავი პირადად მე დამნაშავე... გამომძიებელთა მონაჩმახი მამაჩემის გამცემლობასა და ჯაშუშობაზე არ მჯეროდა ერთი წამითაც. არ მჯერა ეს დღესაც, რადგან ლავრენტი ბერია მხოლოდ საბჭოთა კავშირის ჯაშუში შეიძლებოდა ყოფილიყო. ციხეში მე აზრადაც არ მომსვლია, რომ აქ ხალხს მამაჩემის ბრძანებით ამწყვდევდნენ. ჩემი გაგებით იგი იყო დიდი თანამდებობის პირი, რომელიც პასუხს აგებდა მასზე დაკისრებულ უბანზე. ეს უბანი კი მარტო სამართალდამცავ საქმიანობას არ მოიცავდა.

— სვერდლოვსკში გაგზავნის წინ ბრალდება მოგიხსნეს?

— მთავრობის გადაწყვეტილებაში, რომლის თანახმადაც პროექტის რეალიზაცია მევალებოდა, მითითებული იყო, რომ დაშვებული ვარ სახელმწიფო საიდუმლოს შემცველ განსაკუთრებულ საქაღალდესთან, საიდუმლო და სრულიად საიდუმლო დოკუმენტებთან, მაგრამ იქ ჩემი პატიმრობა და გამოძიების ქვეშ ყოფნა ნახსენები არ იყო. თითქოს ის საშინელი წელიწადნახევარი ჩემს ცხოვრებაში არ არსებულა!

— ხელისუფლებამ იმიტომ ხომ არ გაგანთავისუფლათ, რომ გაახსენდა ცნობილი გამოთქმა: "შვილი მამაზე პასუხს არ აგებს?"

— არა მგონია, რომ ეს მარტო ხელისუფლების მოწყალება იყო. მასზე ძლიერი გავლენა მოახდინეს წამყვანმა მეცნიერებმა, რომლებმაც მიაღწიეს არა მარტო ჩემს განთავისუფლებას, არამედ საყვარელ სამუშაოზე დაბრუნებასაც. სვერდლოვსკში ჩამომაკითხა კურჩატოვმა, მინახულეს მისმა კოლეგებმაც. მადლიერების გრძნობით უნდა განვაცხადო, რომ მე მიხსნა რუსეთის ტექნიკურმა ინტელიგენციამ, რასაც უწინარესად აღვიქვამ ჯერ მამაჩემისადმი, მერე კი ჩემდამი გულწრფელ დამოკიდებულებად!

— განთავისუფლების მერე ორგანოებს არ უცდიათ თქვენი გადაბირება, არ შეუთავაზებიათ საიდუმლო თანამშრომლობა?

— არ დაუდვიათ ასეთი პატივი! ლეფორტოვოსა და ბუტირკაში გამოჩენილი შეუპოვრობით ისინი, ალბათ, დავარწმუნე, რომ შურტად და მსტოვრად ვერ მაქცევდნენ. ამიტომ "ლაბადისა და ხანჯლის რაინდები" სვერდლოვსკშიც მუდმივად მითვალთვალებდნენ.

— სვერდლოვსკი გადასახლება იყო?

— ოფიციალურად არა, მაგრამ ფაქტიურად — კი. განსაკუთრებული ნებართვის გარეშე არც მე და არც დედას ნაბიჯის გადადგმა არ შეგვეძლო.

— მართალია, რომ დედათქვენი მშობლიურ მარტვილში ჩავიდა და მიწის ნაკვეთი ითხოვა, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ უარით გაისტუმრა?

— პირიქით. დედა მარტვილში სწორედ ადგილობრივ ხელისუფალთა მიწვევით ჩავიდა, მაგრამ საქმეში ჩაერია საქართველოს სუკის უფროსი ალექსი ინაური და დედა სვერდლოვსკში ჩამოაბრუნეს.

– დედათქვენი, მგონი, არალეგალურადაც იყო საქართველოში...

– 1958 წელს ანონიმი რესპოდენტისგან მოგვივიდა მამაჩემის ფოტო, რომელიც, ანტურაჟის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, გადაღებული იყო ბუენოს-აირესში, არგენტინის პრეზიდენტის სასახლის ფონზე. "თუ ჩემმა ამანათმა დაგაინტერესათ, – წერდა ანონიმი, – ჩამოდით ჩელიაბინსკში, სადაც ამა და ამ ადგილზე დაგხვდებათ კაცი, რომელიც ყველაფერს დაწვრილებით აგიხსნით." წერილმა და ფოტომ დედა ძალიან ააღელვა და მკაცრი მეთვალყურეობის მიუხედავად აღნიშნულ მისამართზე გამგზავრება მთხოვა. ჩელიაბინსკში მაშინ სტუმრად იმყოფებოდა ჩემი ნაძიძარი ელა ალმენდინგერი, რომლის ძმაც ერთ-ერთი ადგილობრივი ქარხნის დირექტორი იყო. ელა დეიდას ტელეფონით შევატყობინე, ჩამოვდივარ და შესაძლოა დამჭირდე-თქო. შაბათ დილას მე და ჩემი ამხანაგი ველოსიპედებზე დავსხედით და გზას გავუდექით. სვერდლოვსლიდან ჩელიაბინსკამდე 250-მდე კილომერტია, რაც სულაც არაა დიდი მანძილი ღონიერი და ჯანსაღი ბიჭებისთვის. მე მოვუყევი ნაძიძარს ჩამოსვლის მიზეზი და ჩემს ნაცვლად წასვლა ვთხოვე. იგი უყოყმანოდ დამთანხმდა, მაგრამ მალე დაბრუნდა და ცუდი ამბავი მოიტანა: ინკოგნიტო მარტო დედასთან შეხვედრას ითხოვსო. ამ ამბის შემდეგ ცოტა დრო იყო გასული, როცა ჟურნალი "ვოკრუგ სვეტა" შემოგვიგდეს, სადაც იგივე სურათი დაებეჭდათ. ბარათის მიხედვით დედას ამჯერად შავი ზღვის სანაპიროზე, ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში ელოდნენ. ჩვენ არ გამოვრიცხავდით, რომ ეს პროვოკაციაა, მაგრამ ვის სჭირდებოდა იგი? ვთქვათ და, საპასპორტო რეჟიმს დაგვარღვევინებდნენ, მერე კი დაგვსჯიდნენ, მაგრამ საამისოდ ცხრა მთას იქით გაგზავნა რაღა საჭირო იყო, როცა ადგილზევე შეიძლებოდა ათასი მიზეზის მოძებნა? თანაც, სხვა რომ არაფერი, დაჭერებსა და ყოველგვარ შეზღუდვებს უკვე მიჩვეული ვიყავით. დედას გული ეთანაღრებოდა, არ ჰქონდა წარმატების იმედი და მაინც... მაინც აჰყვა ცდუნებას. ქარხანა "ურალქიმმაშში", სადაც თვითონ მუშაობდა, ავადმყოფობის ფურცელი გაიფორმა და ჩემი მეობრების დახმარებით სოხუმში გადაფრინდა. იქ მას დახვდნენ და ანაკლიაში ჩაიყვანეს. მასპინძლები თავს დასტრიალებდნენ თურმე, მეგრულ კერძებს მონატრებული იქნებითო და სუფრას დარჩეული ხორაგეულით უვსებდნენ ყოველდღე. დედა კი დათქმულ ადგილს არ შორდებოდა, მთელი კვირა საათობით ელოდა უცნობ მეკავშირეს. მოლოდინი ამაო გამოდგა. დღემდე ვერ გამიგია, რა მიზნით გაგვაპამპულა ვიღაც არამზადამ, რატომ დასცინა ჩვენს ადამიანურ გრძნობებს ასე. დედას ბოლომდე არ სჯეროდა მამის უკვალოდ გაქრობა და წარსულის გახსენებისას იმედნეულად იტყოდა ხოლმე: "ვინ იცის, იქნებ..."

– ნუთუ ლავრენტი ბერიამ, გამჭრიახმა და გამოცდილმა კაცმა, ვერ განჭვრიტა მოახლოებული საფრთხე?

– იმ საფრთხეს მამა კი არა, მე და დედაჩემიც ვგრძნობდით, მაგრამ, როგორც ადრე მოგახსენეთ, არ გვეგონა თუ ასეთ ტრაგიკულ ფინალს გვიმზადებდნენ. მამამ იცოდა, რომ მოწინააღმდეგეთა კასტა შეეცდებოდა იგი ბოლშევიკური განუკითხაობის იდეოლოგად და სულისჩამდგმელად გამოეცხადებინა, ამიტომ მოითხოვა პარტიის საგანგებო ყრილობის მოწვევა, სადაც ცეკას ყველა წევრს რეპრესიებში პირად მონაწილეობაზე ანგარიში უნდა წარედგინა. მამა ელოდა მძაფრ რეაქციას, პროტესტს, პოლიტიკური ბრძოლის გამწვავებას, ოღონდ არამც და არამც ვერაგულ თავდასხმასა და მკვლელობას. თავის პროგნოზში ასე სასტიკად იგი პირველად შეცდა და ის შეცდომა საბედისწერო გამოდგა.

– თუ უერთგულა რომელიმე ძველმა მეგობარმა უკვე ხალხის მტრად შერაცხულ ლავრენტი ბერიას?

– მამის ერთგული ხალხი მამასთან ერთად მოსპეს. ბევრ მათგანს, რომლებსაც მეგობრები არ ეთქმოდათ (ისინი მამის სამსახურებრივ დავალებებს ასრულებდნენ) ციხეებსა და ბანაკებში უკრეს თავი. რაც უფრო უარყოფდნენ ისინი წილნაყარობას ბერიას დანაშაულობებთან, მით უფრო მეტ სასჯელს იმსახურებდნენ.

– რით ახსნით იმ ფაქტს, რომ საქართველომ მაშინვე სცნო ლავრენტი ბერია ბიროტმოქმედად, ხოლო სტალინის ბოროტმოქმედებათა დაჯერება არ ისურვა?

– ვერ დაგეთანხმებით, რომ საქართველომ მაშინვე სცნო ლავრენტი ბერია ბოროტმოქმედად. თვით სვერდლოვსკშიც კი ჩემთან სპეციალურად ჩამოსულან თანამემამულენი და გამოუხატავთ თავიანთი აღშფოთება მისი მხეცურად მოკვლის გამო. საქართველოში მე დღესაც ვხვდები ხალხს, ვისაც არ სჯერა კრემლის ნაძირალების არც ერთი სიტყვა მამაჩემის გამცემლობაზე. ბევრი ქართველი დააპატიმრეს და დახვრიტეს იმიტომ, რომ სხვადასხვა დროს თანამშრომლობდნენ მამაჩემთან და მასზე დადებითი აზრი ჰქონდათ. მამა დაამხეს შეთქმულებმა, უარჰყვეს იგი და აკრძალეს მისი სახელის ხსენება. თვით სტალინის უარყოფა ხდებოდა თანდათანობით, ფრთხილად, ხამუშ-ხამუშ, თუმცა ისტორიის ხომალდიდან მისი მთლიანად გადაგდება მაინც ვერ შესძლეს: რაც არ უნდა იყოს, 30 წლის მანძილზე იგი განასახიერებდა საბჭოთა კავშირს და, მაშასადამე, რუსეთსაც. სტალინს აქიაქებდნენ, აძაგებდნენ, ლაფში სვრიდნენ, მაგრამ სრული უარყოფა ვერ შეჰბედეს. იგი დატოვეს როგორც დიდი, მაგრამ რთული და წინააღმდეგობრივი პიროვნება, მამაჩემს კი ულმობლად გადაუსვეს ხაზი, გაწირეს, ერთი სიტყვით. ოღონდ ეგ არი: ცისქვეშეთში არაფერია უცვლელი და მარადიული. დაინგრა საბჭოთა კავშირი, გაცამტვერდა მისი იდეოლოგია, ალბათ, ერთ დროს საიდუმლო ცხრაკლიტულებიც გაიღება, სადაც ბევრი საგულისხმო ცნობა და საბუთია ჩაგმანული. დარწმუნებული ვარ, მათი სამზეოზე გამოტანა სულ სხვა კუთხით წარმოაჩენს მამაჩემს. თუმცა უნდა შევნიშნო, რომ დღეს მისადმი ინტერესი ისედაც დიდია. ამას წინათ თბილისიდან მივიღე ერთი ბროშურა, რომლის ავტორია უხუცესი ქართველი ჟურნალისტი ალექსანდრე სიგუა. 30-იან წლებში იგი რეპრესირებული ყოფილა და, ბიოგრაფიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ლავრენტი ბერიას დიდი თაყვანისმცემელი არაა. მიუხედავად ამისა, მას შეუნიშნავს მამის საქმიანობის დადებითი მხარეები. ა. სიგუა იხსენებს თუ როგორ გააუქმა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლავრენტი ბერიამ მეორე მდივნებად მოსკოვის წარმოგზავნილთა დანიშვნის ტრადიცია, ხოლო რესპუბლიკაში მომუშავე და ქართულის არმცოდნე რუს მოხელეებს ენის შემსწავლელი სპეციალური კუსები გაუხსნა. მას მიაჩნდა, რომ

სახელმწიფო მოსამსახურენი აუცილებლად უნდა ფლობდნენ ძირეული მოსახლეობის ენას. ბროშურაში ხაზგასმულია, რომ ლავრენტი ბერიამ ხელახლა აღაშენა თბილისი, აღადგინა მისი არქიტექტურის ეროვნული სახე, რომელიც საქართველოს რუსეთთან მიერტების შემდეგ უმოწყალოდ მახინჯდებოდა. შემიძლია ვინმეს დაუმოწმებლადაც ვთქვა ორიოდე სიტყვა მამაჩემის წვლილზე საქართველოს რესპუბლიკის განვითარებაში. კოლხეთის ჭაობების დაშრობა, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციების გაშენება, ჰიდროელექტროსადგურების აგება, საავტომობილო გზების გაყვანა, სანატორიუმების ფართო ქსელის შექმნა – ეს ყველაფერი ლავრენტი ბერიას სახელთანაა დაკავშირებული, რასაც, დარწმუნებული ვარ, ბევრი ვინმე დღესაც დაადასტურებს.

– საბჭოთა (ვამბობ ინერციით) პუბლიცისტიკაშიც შეიმჩნევა საინტერესო ტენდენცია: ავტორები ბერიას უკვე არ ეძახიან უბირს, პირიქით, ხაზს უსვამენ მის ერუდიციას და გონებაგახსნილობას. ზოგი იმასაც ამტკიცებს, რომ იგი სტალინის თანამებრძოლებზე მთელი თავით მაღლა იდგაო. ხომ არა გვაქვს აქ საქმე პატარა ეშმაკობასთან: რაკი ბერია ჭკვიანი იყო, პასუხიც მას უნდა მოეთხოვოს. აბა, იაგოდასა და ეჟოვისთანა ბრიყვებს რა უნდა მოჰკითხო. თუმცა, როგორც ცნობილია, იაგოდა და ეჟოვი ბრიყვები სულაც არ ყოფილან...

– ფიზიკური და მორალური განადგურების პირველ ეტაპზე საბჭოთა პროპაგანდა მამას გამოხატავდა, როგორც გაუნათლებელ, მახინჯ აზიელს, სექსუალურ მანიაკსა და ჯალათს, რომელიც სტალინის კარზე მალიუტა სკურატოვის როლს ასრულებდა. მერე და მერე წამოიჭრა სრულიად ლოგიკური კითხვები თუ როგორ მოახერხა ამ დეგენერატმა წარმატებით ეხელმძღვანელა უზარმაზარი ქვეყნის დაზვერვისათვის, სათავეში დგომოდა სარაკეტო და ატომურ პროექტებს, ფერფლიდან აღედგინა ომისშემდგომი საბჭოთა მრეწველობა? და აქ აუცილებელი გახდა მისი უწინდელი პორტრეტის შელამაზება და აქცენტების გადაადგილება (ისევ და ისევ გრანდიოზული პროპაგანდისტული აპარატის წყალობით). ახლა უკვე ამბობდნენ: დიახ, ლავრენტი ბერია არ ყოფილა სულელი და დეგენერატი, იგი ჭკვიანი იყო და ფარულად ეწეოდა პარტიისა და მთავრობის მიმართ ძირგამომთხრელ საქმიანობას. ის, რომ სახელმწიფო უშიშროების სათავეში ყოველთვის იდგა საგანგბოდ შემოწმებული ხალხი, როგორც ბიოგრაფიის, ასევე ინტელექტის თვალსაზრისითაც, მათ რატომღაც გამორჩათ. ძერჟინსკი, იაგოდა, ბერია და საბჭოთა სპეცსამსახურების მომდევნო უფროსები არაორდინარული ხალხი გახლდათ. სისტემის ყველა სისაძაგლის მარტო "ჭკვიანი" ბერიასთვის გადაბრალება მარტივი სვლაა როგორც მისი წინამორბედების, ასევე თანამედროვეთა გამართლების მიზნით.

– თქვენ გჯერათ, რომ ლავრენტი ბერიას დაპატიმრებაში თუ მკვლელობაში მონაწილეობდნენ მხედართმთავრები ჟუკოვი, კონევი, მოსკალენკო, ბატიცკი?

– უდავოა, რომ მამაჩემის წინააღმდეგ სამხედროები გამოიყენეს. მისი მკვლელობა ფაქტიურად სახელმწიფო გადატრიალება იყო. ამ შეთქმულებაში კონკრეტულ მხედართმთავართა როლზე რაიმეს თქმა მიჭირს. ვიცი ერთი რამ: გიორგი ჟუკოვი მეგობრობდა მამაჩემთან. ისინი თანამშრომლობდნენ როგორც ომამდე, ისე ომის წლებშიც. სწორედ ჟუკოვმა შეუდგინა მამას ეჟოვის რეპრესიებს გადარჩენილ სამხედროთა სია, რომლებიც შემდეგ გაამართლეს და არმიაში დააბრუნეს. მათ შორის იყვნენ გენერლები როკოსოვსკი, მერეცკოვი და სხვები. მე საშუალება მქონდა მესაუბრა ჟუკოვთან, სხვათა შორის, მისივე ინიციატივით. მან მითხრა, რომ ბერიას დაპატიმრებაში ჩემი მონაწილეობა წმინდა წყლის მონაგონიაო. მე დავუჯერე ჟუკოვს, რადგან მას ჩემს წინაშე თავის მართლება არ სჭირდებოდა. მე დავუჯერე ნიკოლაი შვერნიკსაც, რომელიც პროფკავშირების თავმჯდომარის რანგში სასამართლოს წევრი იყო, მაგრამ პროცესზე მამა არ უნახავს. არ ყოფილა მამა იქ!

– მაშინ ვისღა ასამართლებდნენ?

– ბრალდებულის საკამზე იჯდა მამის მსგავსი ვიღაც, რომელსაც მთელი პროცესის მანძილზე ხმა არ ამოუღია.

– ის არ იყო მამაშენი! – მითხრა შვერნიკმა. ამასვე ამტკიცებდა მოსკოვის ქალაქკომის პირველი მდივანი ნიკოლაი მიხაილოვიც. თქვენ თვითონაც დაიჯერებთ, რომ ლავრენტი ბერია ხელიდან გაუშვებდა თავდაცვის უკანასკნელ შანსს?! მე შევაჯერე მათი მონაყოლი იმ ავადსახსოვარ დღეს საკუთარი თვალით ნანახთან და ასეთ დასკვნამდე მივედი: როცა მე ტელეფონთან დამიძახეს, მამა უკვე მოკლული იყო. ძნელი სათქმელია, ვინ გაიტანეს ჩვენი სახლიდან საკაცით, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ის მამა ყოფილიყო. ბევრი საეჭვო დამთხვევაა ერთბაშად!

– საქართველოს პროფკავშირების თავმჯდომარე მიტროფანე კუჭავა სპეციალური სასამართლო დასწრების წევრი იყო. ვის ვის და მას კი ზუსტად შეეძლო განესაზღვრა – საბრალდებო სკამზე ლავრენტი ბერია იჯდა თუ ვინმე ცრუმაგიერი პირი!..

– კუჭავას არ შევხვედრივარ, მაგრამ სადღაც წამიკითხავს მისი მოგონებები. სხვა მოწმეებისგან განსხვავებით იგი ამტკიცებდა, სასამართლოზე ბერია ნამდვილად იყოო. მე მისი არ მჯერა, რადგან უფრო ავტორიტეტული ხალხი საპირისპიროს ამბობდა.

– ასე იყო თუ ისე, პრესაში ოფიციალურად გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება ლავრენტი ბერიასა და მისი თანამზრახველების დახვრეტის შესახებ.

დიახ, გამოქვეყნდა. უფროსი თაობის ხალხს უსათუოდ ეხსომება იგი, მაგრამ კარგი იქნება თუ ხელისუფალთა ამ "თხზულებას" თანამედროვე მკითხველიც გაეცნობა. იგი თითქოს გადმოუწერიათო სკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის ქმებიდან. ვინ, იცის, იქნებ, საბრალდებო დასკვნაც სტარაია პლოშადზე შეთხზეს!

ტექსტი

– სასამართლოს გადაწყვეტილებით ლავრენტი ბერიას ქონებას კონფისკაცია გაუკეთდა. რა ქონებას ფლობდა იგი და რა დაგრჩათ კონფისკაციის შემდეგ?

– პოლიტბიუროს წევრები ტრადიციულად სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე იმყოფებოდნენ. ბინა, აგარაკი, ავეჯი, მანქანა – ყველაფერი სახელმწიფო ჰქონდათ. მაშინდელი, ასე ვთქვათ, პარტოკრატია, არ იყო თავგადაკლული პირად გამდიდრებას. დასტურად გამოდგება სტალინის საანაბრო წიგნაკი, რომელზეც პირდაპირ კაპიკები "ინახებოდა". სახელმწიფო ქონების ჩამორთევის შემდეგ ჩვენ ქუჩაში აღმოვჩნდით, მაგრამ მე შრომას ბავშვობიდანვე ვიყავი მიჩვეული და იმ მძიმე პირობებშიც შევძელი ოჯახის რჩენა. სიმიდრე ვერ მოვიხვეჭე, მაგრამ, სამაგიეროდ, ნამუსი და ღირსება არ დამიკარგავს.

– ვისთან მეგობრობდა დედა გადასახლებაში? იგი ხომ ისეთ ასაკში დაქვრივდა, როცა ძნელია ახალი ნაცნობ-მეგობრების შეძენა!

– მამაჩემის ტრაგედიამ დედა წარსულის მწუხარე აჩრდილად აქცია. არც გადასახლებაში და არც კიევში მას არ უცდია ნაცნობთა ახალი წრის შექმნა და შავებით მოსილმა თითქმის ორმოცი წელიწადი მარტოობაში გაატარა.

– როგორ წარიმართა პირადად თქვენი ოჯახის ბედი?

– პატიმრობაში ვაჟის მამა გავხდი, რომელსაც ასევე სერგო დავარქვით. მეუღლემ, რომელიც ოფიციალურად მოსკოვში რჩებოდა, პირველი სამი-ოთხი წელიწადი ფაქტიურად ჩემთან ერთად სვერდლოვსკში იყო.

– რა ერქვა თქვენს მეუღლეს?

– რატომ "ერქვა?" მართა მაქსიმეს ასული პეშკოვა დღესაც მშვენივრად გრნობს თავს.

– გვარი და მამის სახელი ძალიან მეცნობა!

– მართა მაქსიმ გორკის შვილიშვილია (ჩემს სიმამრსაც მაქსიმი ერქვა და ლიტერატორი იყო, სიდედრი კი მხატვარი გახლდათ). მე და მართა ერთ სკოლაში ვსწავლობდით. იგი სტალინის ქალიშვილის თანაკლასელი იყო. მას ვერ უშველა დიდი პაპის სახელმა და ნათესავთა უზადო წრემ, ვერ იხსნა იგი შესაბამისი ინსტანციების განსაკუთრებული ყურადრებისგან: მას ნიადაგ იძახებდნენ პარტიულ ორგანოებში, სუკში, უწყობდნენ დაკითხვებს.

– სად არიან დღეს თქვენი შვილები?

– უფროსმა ქალიშვილმა ნინომ სამხატვრო აკადემია დაამთავრა, ფინელზე გათხოვდა და მის სამშობლოში ცხოვრობს. უმცროს ქალიშვილს ნადეჟდა ჰქვია, უკვე რუსი ბებიას საპატივცემლოდ. მისი მეუღლე თბილისელია. ჰყავთ ორი შვილი – ქსენია და ალიოშა. სერგომ კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა. ორი წელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე სწავლობდა, მაგრამ რესპუბლიკის მაშინდელმა ხელისუფლებამ არ ისურვა, რომ ბერიას შვილიშვილს განათლება საქართველოს დედაქალაქში მიეღო.

– სერგოც გეგეჭკორის გვარზეა?

– არა, როცა იგი დაიბადა, მე ჯერ კიდევ ბერია ვიყავი, მაგრამ სრულიად რეალურმა საფრთხემ მეუღლე აიძულა ახალშობილი საკუთარ გვარზე ჩაეწერა. იგი რამდენჯერმე სცემეს ქუჩაში, ბოლოს კი პირდაპირ მოსთხოვეს ჩემთან გაყრა. მე ვუთხარი მეუღლეს: "რაკი საქმე ასეა, ისინი მაინც არ მოგვასვენებენ, ამიტომ, მოდი, ფორმალურად გავაფორმოთ გაყრა, შვილები კი ერთად გავზარდოთ-მეთქი. დრომ ჩვეულებისამებრ თავისებურად განსაჯა და ჩვენ ფაქტიურადაც გავიყარეთ. პირადი ცხოვრება შვილებს მივუძღვენით და ბედნიერი ვართ, რომ მათ არ დაგვაღალატეს.

– უკრაინამ მიიღო კანონი მოქალაქეობის შესახებ, რომლის თანახმადაც შეგიძლიათ გვარი და მამის სახელი აღიდგინოთ. არ გიფიქრიათ ამ უფლების გამოყენებაზე?

– ამ ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე მე ორჯერ "დავკარგე" პასპორტი და დაბადების მოწმობის საფუძველზე ახლის აღება ვცადე. როგორც მოსალოდნელი იყო, გარჯა ამაო გამოდგა, მაგრამ გავირჯები ერთხელ კიდევ: ბოლოს და ბოლოს კანონი ხომ ჩემს მხარეზეა!

– იქნებ უმცროსმა სერგომაც მიბაძოს მამის მაგალითს?

– სერგო თავს ქართველად თვლის, უკვე ზრდასრული კაცია და უჩემოდაც შეუძლია სწორი გადაწყვეტილება მიიღოს.

– თქვენი რძალი უკრაინელია?

– დიახ! როგოც ხედავთ, უკრაინასთან არა მარტო სამსახურებრივად, არამედ ნათესაურადაც ვარ დაკავშირებული.

– სხვათაშორის, თქვენ აქამდე არ გითქვამთ, როგორ მოხვდით კიევში, რამ განაპირობა საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის თქვენეული არჩევანი?

– სვერდლოვსკში ათწლიანი იძულებითი ცხოვრების შემდეგ ნება დამრთეს მემუშავა ნებისმიერ ქალაქში მოსკოვის ჩათვლით. აქ თავისი როლი ითამაშა დედის ავადმყოფობამაც – ძლიერი რადიაციული ფონით გამოწვეული ალერგიის გამო მას ექიმებმა კლიმატის სასწრაფოდ გამოცვლა ურჩიეს. მე დახმარებისთვის ხელმღვანელობას მივმართე, რომელიც, როგორც ჩანს, კრემლს დაუკავშირდა. აქ კი, უნდა ითქვას, ხრუშჩოვმა კაცობა გამოიჩინა და სახელმწიფო უშიშროების მაშინდელ უფროსს ვლადიმერ სემიჩასტნის ჩვენი მოწყობა დაავალა. მოსკოვში დაბრუნება ჩვენვე გამოვრიცხეთ: არ გვინდოდა ხელმეორედ დაბრუნება იქ, სადაც ერთხელ უკვე სასიკვდილოდ გაგვწირეს, საქართველოში კი არ მეგულებოდა ინსტიტუტი, სადაც ჩემი პროექტების

დამთავრებას შევძლებდი. არჩევანი შევაჩერე კიევზე, და თუმცა თავს არ ვადრიდი დიდ წინაპრებს, რომლებსაც გაჭირვების ჟამს უკრაინის მიწაზე უპოვიათ თავშესაფარი, დარწმუნებული ვიყავი, რომ იქაური მეგობრები გულთბილად მიმიღებდნენ. უმთავრესი მაინც ის იყო, რომ უკრაინაში უკვე არსებობდა ჩემი მონაწილეობით შექმნილი არა ერთი ქარხანა და საწარმო, რომლებიც საბჭოთა კავშირის სარაკეტო მრეწველობის საფუძველს წარმოადგენდნენ. მე კარგად ვიცნობდი უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ინტელექტუალურ პოტენციალს და მიხაროდა, რომ გამოჩენილ სპეციალისტებთან მომიწევდა მუშაობა. აქვე გეტყვით, რომ ისეთი დიდი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ სარაკეტო და კოსმოსური ტექნიკის კონსტრუქტორი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი მიხეილ კუზმას ძე იანგელი და საავიაციო ძრავების კონსტრუქტორი, ასევე სოციალისტური შრომის გმირი და აკადემიკოსი არხიპ მიხეილის ძე ლიულკა მიესალმნენ კიევში ჩემს ჩასვლას.

— რამდენადაც ვიცი, თვენ იყავით მათ შორის, ვინც უკრაინა გერმანელი ფაშისტებისგან გაანთავისუფლა...

— გამანთავისუფლებელს ვერ დავირქმევ, თუმცა ლვოვის აღებაში ვმონაწილეობდი. ოფიციალურად სტაჟირებას გავდოდი, მაგრამ ხომ იცით, ტყვია ყველას ერთნაირად კლავს. მე სანგარშიც ვმჯდარვარ, შეტევზეც გადავსულვარ, გამიყვია ჯარისკაცული ულუფაცა და წეკოც. იქ, ლვოვის მისადგომებთან მინახავს უპას (უკრაინელ მეამბოხეთა არმია) მეომრები, რომლებმაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. ეს იყო რეალური სამხედრო ძალა, რომელიც ცდილობდა წინ აღსდგომოდა როგორც წითელ ჯარს, ასევე ჰიტლერელებსაც. მე თუმცა არ ვიზიარებდი უპას იდეოლოგთა პოლიტიკურ შეხედულებებს, უნდა ვაღიარო, რომ მათ თავგანწირვას ამაოდ არ ჩაუვლია. უკრაინის დღევანდელი დამოუკიდებლობა მათი სისხლიდანაცაა ამოზრდილი.

— ამრიგად, თქვენ ჩამოხვედით კიევში...

— 1964 წელს. დედასთან, ვაჟთან და უმცროს ქალიშვილთან. ეს იყო ოქტომბრის თვეში, ზუსტად იმ დროს, როცა "მეგობრებმა" და "თანამებრძოლებმა" ნიკიტა ხრუშჩოვი პენსიაზე გაუშვეს. ვგონებ, ჩემი განთავისუფლება იყო მისი ბოლო კეთილი საქმე საკავშირო ცეკას პირველი მდივნისა და პრემიერის პოსტზე. კიევში გადმოსვლისთანავე რადიოელექტრონიკის ინსტიტუტის წამყვან სპეციალისტად დამნიშნეს. არავითარი რეგალიები და პრივილეგიები ჩემთვის არ მოუნიჭებიათ, თუმცა ყველა თეორიულ და პრაქტიკულ სამუშაოს პირადად ვხელმძღვანელობდი და მოვასწარი ექვსი სისტემის შექმნა, რომლებიც შეიარაღებიდან დღემდე არ მოუხსნიათ.

— ბატონო სერგო, როგორ მიაღწიეთ ასეთ წარმატებებს მეცნიერებასა და ტექნიკაში?

აკადემიის შემდეგ დავამთავრე ადიუნქტურა და მოსკოვის უნივერსიტეტის ასპირანტურა, იქვე დავიცავი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. ჩემი გამოკვლევები ეძღვნებოდა სარაკეტო სისტემებს, რომლებსაც თვითონ ვქმნიდი.

— ჩვენი დიალოგების პირველი ნაწილის ცალკე წიგნად გამოსვლის შემდეგ გაზეთში "კიევსკიე ნოვოსტი" (№№ 1-7, 1993) გამოქვეყნდა სარაკეტო თავდაცვის გენერალური კონსტრუქტორის გრიგორი კისუნკოს მოგონებები, რომელიც ლენინგრადის კავშირგაბმულობის აკადემიაში თქვენი სადიპლომო ნაშრომს დაცვას ესწრებოდა თურმე. გენერალ-ლეიტენანტი წერს: "დამამახსოვრდა სერგო ბერიას სადიპლომო პროექტის დაცვა. ერთხელ ბრძანება მივიღე დავსწრებოდი ჩვენი კათედრის თათბირს, რომელსაც აკადემიის უფროსი ჩაატარებდა. დავათვალიერეთ კედლებზე გამოკრული ვატმანები, მოხსენების დანართი სქემები და სხვა ილუსტრაციები. — ყველა აქ თანდამსწრე, — თქვა აკადემიის უფროსმა, — დანიშნული ხართ სპეციალური სახელმწიფო კომისიის წევრებად, რომელმაც ინჟინერ-კაპიტნის სერგო ლავრენტის ძე ბერიას სადიპლომო პროექტი უნდა განიხილოს. მოიწვიეთ ინჟინერ-კაპიტანი!" სერგოს მოხსენება მომეწონა. საქმე ეხებოდა პრინციპულად ახალი სისტემის იარაღს..." შემდგომ მემუარისტი ჰყვება თუ რა უდიერად მოგიხსენიათ თურმე საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორმა ნ.ს. ბესჩასტნოვმა თქვენ და თქვენი ნამუშევარი. აქაოდა, ამ ვაჟბატონის საქმე უჩვენოდაც კარგა ხანია გადაწყვეტილია, დიპლომის პროექტი მას ასობით სპეციალისტმა დაუწერა, ამიტომ არ ღირს კომედიის გათამაშება: ჩავთვალოთ ნამუშევარი ბრწყინვალედ და მივცეთ ავტორს წარჩინებულის დიპლომი. თუ კისუნკოს ვენდობით, ეს გამონათქვამი ბესჩასტნოვს კარიერის ფასად დაჯდომია. დაცვიდან ორიოდე თვეში იგი არმიიდან დაუთხოვიათ და პენსიაზე გაუშვიათ, ხოლო თვით აკადემიაში სხვადასხვა საბაბით რეპრესიები ჩაუტარებიათ...

— ჩვენი საუბრები ისე აეწყო, რომ მე ნიადაგ მიხდება თქვენს მიერ მოტანილი ფაქტების უარყოფა და გაბათილება. არაა გამონაკლისი გ. კისუნკოს მოგონებაც, რომელსაც გულდასმით გავეცანი. მერამდენედ უნდა განვაცხადო: ყველაფერი სულ სხვაგვარად იყო! დიპლომი კათედრაზე კი არა რადიოლოკაციის ფაკულტეტზე დავიცავი. სახელმწიფო კომისიაში შედიოდნენ ამ ფაკულტეტის პროფესორები, გენერალი ბესჩასტნოვი კი კავშირგაბმულობის ფაკულტეტის უფროსი გახლდათ და კომისიის წევრი საერთოდ არ ყოფილა. III-IV კურსებზე მე ვისმენდი მის ლექციებს რადიოგადამცემი მოწყობილობების შესახებ. ჩვენი ურთიერთობანიც ამით დასრულდა. ბესჩასტნოვი იყო სიმპათიური კაცი და მშვენიერი პროფესიონალი, რომელიც მოგვიანებით მართლაც დაზარალდა, ოღონდ "ლენინგრადის საქმესთან" დაკავშირებით. ის "საქმე" კი შეთითხნა მალენკოვმა და არა მამაჩემმა, როგორც ამას ოფიციალური ისტორიოგრაფია ამტკიცებს. ბესჩასტნოვის ბედი გაიზიარა ბევრმა პარტმუშაკმა და სამხედრო პირმა, რომლებსაც ჩემი დიპლომის დაცვასთან არავითარი კავშირი არ ჰქონიათ. გაოცებული ვარ, რატომ დაუშვა ბატონმა კისუნკომ, რბილად რომ ვთქვათ, ასეთი უზუსტობა. იქნებ ის მემუარები მან დაწერა ადრინდელი იდეოლოგიის გავლენით, რომლისგან თავდაღწევა ან ვერ შესძლო ან არ ისურვა. მაგრამ უმთავრესი მაინც სხვა რამეა: ჩემი სადიპლომო ნაშრომის დაცვას არ ესწრებოდა თვით მემუარისტი — გ. ვ. კისუნკო!

— როგორ თუ არ ესწრებოდა, მაშინ მთელი ეს ამბავი საიდან მოიტანა?

– ეს თვითონ მას უნდა ჰკითხოთ. ჩემდა თავად მე გეტყვით შემდეგს: ახალგაზრდა ლექტორი გრიგორი კისუნკო რეპრესირებულის შვილი იყო. მას არ ჰქონდა არც კათედრა, არც ლაბორატორია, თუმცა განსაკუთრებული ნიჭითა და ღრმა ცოდნით გამოირჩეოდა. ჩემი სტუდენტობის წლებში მას მოკრძალებული ადგილი ეკავა და სახელმწიფო საგამოცდო კომისიაში არ შედიოდა. იგი სულ შვიდიოდე წლით იყო ჩემზე უფროსი და ამიტომ მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი რომ გავხდი, მე იგი თანამშრომლად მივიწვიე, მიუხედავად იმისა, რომ მაღალი ინსტანციები ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ.

– ვერ ვიტყვი, რომ მემუარისტი პირადად თქვენს მიმართ ცუდადაა განწყობილი. პირიქით, იგი სანიმუშოდ გახასიათებთ: სერგო არასოდეს იბღინძებოდა, არ ყოყოჩობდა და არ სარგებლობდა თავისი ფანტასტიკურად განსაკუთრებული მდგომარეობით. იგი თავაზიანი, ტაქტიანი და გონიერი ჭაბუკი იყოო. გ. კისუნკოს ეს აზრი გაუზიარებია ლენინგრადის კავშირგაბმულობის ინჟინერთა ინსტიტუტის რექტორს კონსტანტინე ხრისანფოვიჩს: "სავსებით ვეთანხმები სერგოს თქვენეულ შეფასებას. ყოველ შემთხვევაში, მას მრავალი კარგი თვისება გამოარჩევდა თანამედროვე "დიდებულთა" ჩემთვის ცნობილ ნაშიერებს შორის."

– მამის სახელით მართლაც არასოდეს მისარგებლია, თუმცა მლიქვნელები და მაამებლები ნიადაგ საამისოდ მიბიძგებდნენ. რა თქმა უნდა, აკადემიის ნებისმიერ კურსდამთავრებულს დიპლომის აღებისთანავე არ გაუხსნიან სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროს, მაგრამ თუკი იდეა ამად ღირს?! და მაინც, მე "ბოროტად" გამოვიყენე საკუთარი მდგომარეობა, როცა, როგორც სამართლიანად შენიშნავს გ. კისუნკო, ბიუროში სამუშაოდ თითქმის მთელი ჩემი კურსი მოვიწვიე. მაგრამ მას ავიწყდება, რომ ჩემს კოლექტივში იყო აგრეთვე რამდენიმე ათეული კაცი, რომლებსაც ბიოგრაფიული "შეუსაბამობის" გამო საიდუმლო ობიექტებზე მუშაობის უფლება არ ჰქონდათ. მათ შორს გახლდათ თვით გ. კისუნკოც. მის გამო მე საკავშირო ცეკამ საყვედური გამომიცხადა, რადგან უშიშროების ორგანოთა გაფრთხილება ყურად არ ვიღე. გამომიძახა ცეკას მძიმე მანქანათმშენებლობის განყოფილების გამგემ სერბინმა და მიმითითა საკონსტრუქტორო ბიუროში საკადრო პოლიტიკის დარღვევაზე. მე გ. მალენკოვთან ვიჩივლე. მან საყვედური ძალაში დატოვა, მაგრამ "ჩემს კადრებს" ხელი არ ახლო. დარჩა სამუშაოზე, ცხადია, გ. კისუნკოც. წვრილმანები, რომლებსაც იგი თავის მოგონებებში აღადგენს, ძირითადად ობიექტურია, მაგრამ როცა სიტყვას მამაჩემზე ჩამოაგდებს, გროტესკსა და ჰიპერბოლას ელტვის.

– მეც სწორედ ეს მინდოდა მეთქვა, ამიტომ ციტატაც კი მოვამზადე კისუნკოს მოგონებიდან: " ზუსტად დანიშნულ დროზე კარი გააღო ბერიას თანაშემწემ სერგეი მიხეილის ძე ვლადიმირსკიმ. ბერიას კაბინეტი მოგაგონებდათ მაყურებელთა მომცრო დარბაზს სცენისმაგვარი შემაღლებითურთ, სადაც ტელეფონის აპარატებით დახუნძლული უზარმაზარი საწერი მაგიდა აყუდებულიყო... როცა შემოსულები ამ მაგიდას მიუსხნენ, მე გავიფიქრე, რომ სავარძლების განლაგება მათ საშუალებას არ მისცემდა ერთმანეთისთვის რაიმე ეჩურჩულათ. ბერია პირდაპირ ამოიზარდა "სცენაზე" უჩინარი გვერდითი კარიდან, თითქოს კედლიდან გამოვიდაო..."

– არავითარი სცენები და პოდიუმები მამის კაბინეტში არ ყოფილა. მას ედგა, შესაძლოა, ჩვეულებრივზე ფართო საწერი მაგიდა, რომელზეც ასე ოცკაციანი გრძელი მაგიდა იყო მიდგმული. თათბირის დროს ჩვეულებისამებრ იმ გრძელ მაგიდას ეჯდა, რომელზეც მხოლოდ და მხოლოდ კრემლის ერთი ტელეფონი იდგა.

– ტელეგადაცემა "იტოგში" აჩვენეს რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კაბინეტი, გაწყობილი შესანიშნავი ტყავის ავეჯით. წამყვანმა შენიშნა, რომ ამ სავარძლებში სხვადასხვა დროს მჯდარან ყოფილი "ხაზეინები" – მოლოტოვი, ბერია და ა.შ. თქვენ ნახეთ ეს გადაცემა?

– არ მინახავს, მაგრამ, რამდენადაც მახსოვს, მამის კაბინეტში ტყავის ავეჯი არ მდგარა. ორმოცი წლის მანძილზე იქ, ალბათ, ბევრი რამ შეიცვალა: ყველა "ხაზეინი" ხომ თავის ყაიდაზე აწყობს კაბინეტს. დღეს ბევრი ჟურნალისტი იწონებს თავს იმით, რომ ნამყოფია ბერიას ყოფილ "ბუნაგში" ლუბიანკასა თუ კრემლში, რომ მჯდარა ამ ეშმაკეულის სავარძელში. ასე კეკლუცობს, მაგალითად, ლარისა ვასილიევა ჩვენს მიერ უკვე ნახსენებ წიგნში.

– და არა მარტო ლარისა ვასილიევა. გ. კისუნკოც ხედავს ლავრენტი ბერიაში სატანურ საწყისს. აი, როგორ აღადგენს იგი მის გარეგნობას: "ბერიას ზომაზე დიდი მუცელი ჰქონდა, რომელსაც ეშმაკურად შეკერილი პიჯაკიც ვერ ფარავდა. არაბუნებრივად გადაწეული მელოტი თავი მუცლის სიმძიმეს აწონასწორებდა და პატრონს ვერტიკალურ მდგომარეობაში აკავებდა. ამავე დროს კაშკაშა ჭაღის შუქზე მისი პენსნეს თუ თხელჩარჩოიანი სათვალეების ანარეკლი იმ სატანური ძალის სხივად გეჩვენებოდათ, რომლის წყალობითაც ეს ყოვლისშემძლე კაცი ყველას და ყველაფერს მსჭვალავდა".

– სიცოცხლის ბოლო წლებში მამა მართლაც გასუქდა და ვერც ხუჭუჭა ქოჩორს დაიკვეხნიდა, მაგრამ არც მთლად ისეთი გონჯი ყოფილა, როგორც მას გ. კისუნკო გვიხატავს. ამ ქვეყნად ცოტა როდია მელოტი და მსუქანი მამაკაცი!.. ოღონდ ბერია გამონაკლისია: ჟანრის მიხედვით მისი უჟმური გარეგნობა უნდა შეესაბამებოდეს მისსავე არანაკლებ უჟმურ შინაგან სამყაროს! შვილი, რა თქმა უნდა, მამის გარეგნობაზე ობიექტურად ვერ იმსჯელებს, მაგრამ, ალბათ, დამემოწმებით, რომ "დათბობის" ავტორს (მოთხრობის ავტორში არ შეგეშალოთ!) ნესვივით თავი და ტიკივით მუცელი ჰქონდა, მაგრამ ზოგიერთი დემოკრატი ამას ყურადრებას არ აქცევს.

– თქვენი საყურადღებო დაზუსტებების მიუხედავად გ. ვ. კისუნკოს მემუარები მაინც ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს. მე, მაგალითად, იქიდან გავიგე, რომ თქვენს სპეციალურ ბიუროში გერმანელი ტყვეები და საბჭოთა პატიმრები მუშაობდნენ. ჰიტლერის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ყოფილი სპეციალისტები და "მშობლიურ ხელისუფალთა" მიერ შერისხული მეცნიერები უშიშროების ორგანოთა მკაცრი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ და, მაშასადამე, თქვენ გისარგებლიათ მამის უზენაესი ხელშეწყობით.

– გერმანელი სპეციალისტები მუშაობდნენ არა მარტო ჩემთან, არამედ კოროლიოვის საკონსტრუქტორო ბიუროშიც, ლენინგრადისა და კიევის ქარხნებშიც. ისინი დაახლოებით 2500-მდე იყვნენ და უფრო საპატიო მძევლებს წარმოადგენდნენ, ვიდრე სამხედრო ტყვეებს. მთავრობასთან კონტრაქტი ჰქონდათ, ცხოვრობდნენ იდეალურ პირობებში, იღებდნენ იმ დროისთვის საკმაოდ მაღალ ჯამაგირს. კონტროლი კი მართლაც უმკაცრესი იყო, მაგრამ ეს ეხებოდა ყველა საიდუმლო ობიექტს და იქ მომუშავე პერსონალს. წლების მანძილზე არავინ იცოდა, რომ რაკეტები, რომლებსაც ს. კოროლიოვის საკონსტრუქტორო ბიურო აგებდა, გერმანელების ნახელავი იყო. არც ის მოსდიოდა ვინმეს აზრად, რომ სწორედ გერმანელები იყვნენ პირველი საბჭოთა ბალისტიკური რაკეტის შემქმნელები, რომ მათვე ეკუთვნოდა საკონენტთაშორისო რაკეტის პირველ პროექტთა ავტორობა.

– მათ, ალბათ, "ფაუ"-ზე მუშაობის გამოცდილება ჰქონდათ!

– დიახ, ჩვენი ჯარების სადაზვერვო ნაწილებმა ხელთ იგდეს სწორედ სახელგანთქმული ფონ ბრაუნის საკონსრტუქტორო ბიუროს ძირითადი შემადგენლობა, თვითონ მისი და რამდენიმე კონსტრუქტორის გამოკლებით (ასევე მოიქცა ამერიკული მისია "ალკსნოსი" წამყვანი გერმანელი მეატომეების მიმართ). საბჭოთა კავშირმა დაისაკუთრა გერმანული რაკეტათმშენებლობის, ტანკსაწინააღმდეგო სისტემების, ატომური მრეწველობისა და ენერგეტიკის მნიშვნელოვანი პოტენციალი. ცხადია, ეს გაკეთდა არა მარტო ბერიას ვაჟისა და მისი საკონსტრუქტორო ბიუროსთვის!

– რა წვლილი მიუძღვის ლავრენტი ბერიას გერმანელ მეცნიერთა მოტაცებაში?

როგორც მთავრობის წევრი, საიდუმლო ატომური პროექტის ხელმძღვანელი და სტრატეგიული დაზვერვის შეფი, მამა იცნობდა ამერიკელთა გეგმას გერმანიის ინტელექტუალურ ძალთა განეიტრალების, უფრო სწორად, ხელში ჩაგდების გეგმას. საპასუხო ზომების მისაღებად საბჭოთა მთავრობამ მას დაავალა სამხედრო-ტექნიკური სადაზვერვო ჯგუფების ჩამოყალიბება, რომლებშიც თვალსაჩინო მეცნიერები და კონსტრუქტორებიც უნდა შესულიყვნენ (კოროლიოვი, მაგალითად, სათავეში ჩაუდგა პენემიუნდეში გაგზავნილ ერთ-ერთ ბრიგადას). ამ ჯგუფებმა არა მარტო საჭირო ხალხი ჩამოიყვანეს, არამედ ხელს გამოაყოლეს ძვირფასი ტექნიკური დოკუმენტაციაც.

– თქვენი საკონსტრუქტორო ბიუროს კოდური სახელწოდება "სბ-1" მე გავშიფრე, როგორც "სერგო ბერია". არსებულა თურმე მეორე ვარიანტიც – "ბერიას ვაჟი" ("სინ ბერია"). იქნებ ეს აბრევიატურა სპეციალურად შექმნეს, აკი თვითონვე ბრძანეთ, მლიქვნელები და მაამებლები ყოველთვის საკმარისადააო.

– ეს შემთხვევითი დამთხვევაა. სინამდილეში "სბ" იშიფრება როგორც "სპეციალური ბიურო". საბჭოთა კავშირში ასობით ასეთი "სბ" არსებობდა.

– ახალი იარაღის შესაქმნელად თქვენ გამოგიყენებიათ ნაალაფარი სამეცნიერო-ტექნიკური მასალები...

– თქვენ, ალბათ, მხედველობაში გაქვთ ჩემი სადიპლომო პროექტი "კომეტა", რომელშიც მოხაზული იყო იმ ამოცანების კონტურები, რომელთა ხორცშესხმაც მერე "სბ-1"-ში მოგვიხდა. რა თქმა უნდა, მე ვსარგებლობდი ნაალაფარი დოკუმენტებით, ხელთ მქონდა ვრცელი სადაზვერვო ინფორმაციაც, მაგრამ რაკი გულახდილი საუბარი გვაქვს, იმასაც გეტყვით, რომ მხრებზეც არც თუ სულელი თავი მება. ჩემი სადიპლომო ნამუშევარი, ისევე როგორც დისერტაციებიც, დღემდე ინახება მოსკოვის ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაში. ჩემი ამხანაგები ყოფილან იქ და უნახავთ. კატალოგში რატომღაც არ შეუცვლიათ არც გვარი და არც მამის სახელი...

– მაშასადამე, ნებისმიერ მკითხველს შეუძლია მოითხოვოს და მიიღოს სერგო ბერიას სამეცნიერო ნამუშევრები?

– დიახ, შეუძლია მიიღოს და დარწმუნდეს, რომ მათში მოცემულია ერთი ადამიანის ინტელექტისა და საწარმოო შესაძლებლობებისთვის მისაწვდომი მათემატიკური მოდელი. ასობით მეცნიერისა და სპეციალისტის შრომა საჭირო გახდა მას შემდეგ, რაც მისი პრაქტიკულად განხორციელების საკითხი წამოიჭრა.

– "სბ"-ში მომუშავე თანაკურსელებიდან ვინ გახდა ცნობილი პიროვნება?

– თითქმის ყველა, ვისაც თანამშრომლობა შევთავაზე, გენერალური კონსტრუქტორი გახდა. ჩემი ყოფილი მოადგილე ანატოლი ივანეს ძე სავინი ამჟამად აკადემიკოსი, ბალისტიკური რაკეტების გენერალური კონსტრუქტორი და კოსმოსური საომარი სისტემების ავტორია. ვიქტორ მიხეილის ძე შაბანოვი – ასევე ჩემი ერთ-ერთი ყოფილი მოადგილეთაგანი – სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე გახდა, დღეს კი არმიის გენერალია. ანატოლი გიორგის ძე ბასისტოვი ბალისტიკური რაკეტების გენერალური კონსტრუქტორია. ყველას ვერ ჩამოვთვლი და არცაა საჭირო. მოხარული ვარ, რომ თავის დროზე არ შევცდი და შემოვიკრიბე ღირსეული ხალხი, არა მარტო ინტელექტუალური, არამედ ზნეობრივი თვალსაზრისითაც.

– ცხოვრების მძინე წლებში გიგრძვნიათ მათი მხარდაჭერა?

– როცა გითხარით, რუსეთის ტექნიკურმა ინტელიგენციამ გადამარჩინა-მეთქი, ამ ხალხსაც ვგულისხმობდი. როცა ჩემს დაუსწრებლად პარტიიდან გარიცხვა დამიპირეს, მეგობრებმა თურმე მოითხოვეს: სერგოს, როგორც კონსტრუქტორის, საქმიანობაში მავნებლობა არ შეგვიმჩნევია, ამიტომ, თუ დამნაშავეა, მოიყვანეთ და თავად აღიაროსო.

– განა შესაბამისი ორგანოები არ ეძებდნენ თქვენი მავნებლობის კვალს?

– ეძებდნენ და თანაც როგორ! ჩემი ყველა სისტემა განმეორებით გამოსცადეს, მაგრამ წუნი ვერ უპოვეს. სხვათა შორის, ჩემი საქმიანობა ადრეც არაერთხელ შეუმოწმებიათ. გვარს აქ მნიშვნელობა არ ჰქონდა. დასმენებს პირდაპირ სტალინის სახელზე აგზავნიდნენ.

– ბერიას ვაჟის დამსმენები თავიანთ "თხზულებებს" საკუთარ სახელსა და გვარს აწერდნენ?

– დამსმენები ჭკვიანები არიან: ისინი აკრიტიკებდნენ საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაობას ზოგადად, წერდნენ სამეცნიერი კონცეფციების უმწიფრობაზე, კოლექტივის საეჭვი შემადგენლობაზე. ცილისმწამებლურ ნაჯღაბნებში სერგო ბერიას არ ახსენებდნენ, მაგრამ ისედაც ცხადი იყო, ვინ უნდა დაესაჯათ. ვიცი არა ერთი შემთხვევა, როცა სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლები მუქარით აწერინებდნენ ხალხს ანონიმურ წერილებს. არაერთი მათგანი მოსულა მერე ჩემთან მონანიებით: ცოდვილი ვარ, სულმოკლეობა გამოვიჩინე და დაგაბეზღეო. მაშინ უკვე აშკარად ებრძოდნენ მამაჩემს: ირჩეოდა "მეგრელთა საქმე". სახელმწიფო უშიშროების მინისტრი იგნატიევი ხელიდან არ უშვებდა მამა-შვილ ბერიების მხილების უმცირეს შესაძლებლობასაც. რით დამთავრდა ეს ყველაფერი, თქვენ იცით.

– პროფესორი ვ. ფ. ნეკრასოვი თქვენზე წერს: "იგი დაიბადა 1924 წელს. როცა დიდი სამამულო ომი დაიწყო, ბევრი მისი თანატოლ ბრძოლებში დაიღუპა, მაგრამ მამამ მას ააცდინა ასეთი ხვედრი... სულ რაღაც ექვსი წლის მანძილზე მან დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, 28 წლის ასაკში გახდა ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ინჟინერ-პოლკოვნიკი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მე-3 მთავარი სამმართველოს საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარი კონსრტუქტორი, ლენინის, წითელი ვარსკვლავისა და ხუთი მედლის კავალერი... მის თავზე ვარსკვლავების მთელმა წვიმამ გადიშხუილა. სკივრი თურმე სულ უბრალოდ იღება: მამის საქმეების გამოძიებისას სერგო ლავრენტი ძემ განაცხადა: "საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები საკონსტრუქტორო ბიუროს თეორიული განყოფილების თანამშრომლებმა დამიწერეს. ახლა ცხადად მესმის, რომ მაშინ არასწორად მოვიქეცი..." ("ბერია: კარიერის დასასრული". გვ. 386).

– ნუთუ ჩვენმა საუბრებმა არ დაგარწმუნეს იმაში რომ მამის კალთას ამოფარებული არ ვყოფილვარ. სიცრუეა ნეკრასოვის მოტანილი ციტატა – მე არსად და არასოდეს განმიცხადებია, რომ დისერტაციები სხვებმა დამიწერეს. ჯილდოები კი ნამდვილად მქონდა. მართალია, ჩემს "ბიოგრაფს" გამორჩა სტალინური პრემია, რომელიც მოსკოვის სარაკეტო თავდაცვის სისტემის შექმნისთვის 1951 წელს კოლეგებთან ერთად მივიღე.

– ლენინის ორდენი რაში მიიღეთ?

– ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსისთვის. ბრძანებულება გამოქვეყნდა 1952 წელს, ორდენი თვითონ სტალინმა გადმომცა. უნდა გითხრათ, რომ იმავე ნაშრომისთვის ზოგმა სოციალისტური შრომის გმირის, ზოგმა კიდევ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიიღო. მოგვიანებით, ჩემი თანაავტორების დაჯილდოებისას, მე "წარმატებით" მტოვებდნენ განზე, რადგან ბერიას შვილს ჯილდო მეტად აღარ ერგებოდა! მადლობა ღმერთს, რომ ჯილდოს გულისთვის არასოდეს მიმუშავია, თორემ შემდგომი წარმატებებისთვის იქნებ ვერც მიმეღწია.

– ოცდარვა წლის ასაკში თქვენ მართლას უხვად გქონდათ ჯილდოები და წოდებები!

– მითხარით, გეთაყვა, რატომ არ უნდა ჰქონოდა ლენინის ორდენი 28 წლის ინჟინერ-გამომგონებელ სერგო ბერიას, თუკი იგივე ორდენი მანამდე უკვე მიიღო, ვთქვათ, 26 წლის საბავშვო პოეტმა სერგეი მიხალკოვმა (მისი "ძია სტიოპა" ქართულად, მგონი, "ძია მიხოდაა" თარგმნილი)?

– ბატონო სერგო, დამისახელეთ თქვენი ძირითადი ნამუშევრები, რომელთა წყალობითაც გიცნობენ და გაფასებენ კოლეგები?

– მე მაქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოგონება საზღვაო რადიოლოკაცისა და კოსმოსური დაზვერვის სფეროში. მათი მეშვეობით შესაძლებელია დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან გაშვებული ბალისტიკური რაკეტის დაფიქსირება. ეს აპარატურა უყენიათ კოსმოსურ თანამგზავრებს, რომლებიც დედამიწიდან 40 ათასი კილომეტრის სიმაღლეზე გეოსტაციონარულ მდგომარეობაში იმყოფებიან. მათი მეშვეობით სპეციალური ცენტრები მყისვე აფიქსირებენ მტრის რაკეტის აფრენას. ამ ურთულესი ტექნიკის ავტორი მარტო მე არა ვარ (მარტო ამ სფეროში ვერას გახდები!), თუმცა ზედმეტი მოკრძალების გარეშე ვიტყოდი, რომ მის შექმნაში გადამწყვეტი წვლილი მე შევიტანე.

– როგორია დღეს თქვენი სამეცნიერ რეგალიები?

– ყველა რეგალია და წოდება დაპატიმრებისთანავე ჩამომართვეს და უკან არ დაუბრუნებიათ. მართალია, მე ხელმეორედ დავიცავი საკანდიდატო, მოვამზადე სადოქტოროც, მაგრამ გამაფრთხილეს, შორს ნუ შეტოპავო. მივხვდი, რომ ტაბუ მოხსნილი არ იყო და დავანებე თავი. ასე, რომ ამჟამად ურეგალიო-უწოდებო მეცნიერი გახლავართ.

– საბჭოთა ხელისუფლებამ თქვენს მიმართ ისედაც მისთვის უჩვეულო ჰუმანიზმი გამოიჩინა, როცა კვლავ მოგანდოთ მეტად მნიშვნელოვანი და საიდუმლო სამუშაო. წარმოსადგენადაც ძნელია, რომ უცხოეთს სუპერჯაშუშისა და სახელმწიფოს დაუძნებელი მტრის შვილი უმნიშვნელოვანეს სამხედრო პროექტებს ხელმძღვანელობდეს!

– "ჰუმანისტებმა" მშვენივრად იცოდნენ, რომ არც მამაჩემი და არც მე ინგლისური იმპერიალიზმის ჯაშუშები არ ვყოფილვართ. ამიტომაც ისინი არავითარ რისკზე არ წასულან, როც კვლავ ჩამრთეს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საქმიანობაში. ეს, რა თქმა უნდა, არ მოხდებოდა იმ გავლენიან მეცნიერთა მხარდაჭერის გარეშე, რომლები მე კარგად მიცნობდნენ როგორც პიროვნებას და როგორც სპეციალისტს.

– წლების მანილზე თქვენ გასაიდუმლოებული იყავით. ჯერ კიდევ ახლახან ბუნდოვნად წერდნენ, რომ ცხოვრობთ ერთ-ერთ დნეპრისპირა ქალაქში და ხელმძღვანელობთ რომელიღაც სამეცნიერო საკვლევ ინსტიტუტს. ქალაქი ჩვენ უკვე დავასახელეთ...

– სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი "კომეტა", რომლის დირექტორიც გახლავართ, უკრაინის თავდაცვის მრეწველობისა და კონვერსიის სისტემაში შედის. მე აქ ჩემთვის ტრადიციულ საკითხებზე ვმუშაობ და ერთდროულად საკონვერსიო პროგრამებსაც ვასრულებ.

მათთან, ვინც მართლმსაჯულება ფეხქვეშ გათელა, მართლმსაჯულება რა მოსატანია!..

– მკითხველი უთუოდ შენიშნავდა, რომ თქვენ ერთხელაც არ აღიარეთ მამა დამნაშავედ და ბოროტმოქმედად. ხომ არ გაიგებენ ამას მისი მოღვაწეობის შელამაზებისა და გულწრფელი პასუხებისთვის თავის არიდების ცდად?

– რომც მომკლათ, ვერ დავიჯერებ იმ ამაზრზენ დანაშაულობებს, რომლებსაც მამაჩემს მიაწერენ. მე ვიცი სულ სხვა ლავრენტი ბერია – გულისხმიერი და ოჯახის მიყვარული. მე ხომ მისი შვილი ვარ და არა ყოფილი თანამშრომელი, რომელიც ახალი უფროსების საამებლად ირჯება! მესმის, რომ ჩემი ბევრი მსჯელობა ემოციებისა და მამაშვილური სიყვარულის დონეზეა, თუმცა, ცხადია, აჯობებდა, რომ ხელთ მქონოდა ამ მსჯელობათა დამადასტურებელი საბუთები. სამწუხაროდ, "ბერიას საქმე" დღემდე დალუქულია და მიუწვდომელი. და ეს შემთხვევითი ამბავი როდია: რუსეთის გავლენიან წრეებს სურთ საზოგადოებრივი გაკიცხვისგან დაიცვან წარსულის ბევრი მოღვაწე, რომლებსაც კეთილშობილი თუ არა მეტ-ნაკლებად პატიოსანი ადამიანების სახელი აქვთ. ადრე თუ საქმე ეხებოდა სისტემის პრესტიჟს, ამჟამად საუბარია იმ "პატიოსან" სახელთა ეროვნული ღირსების შენახვაზე. მამაჩემისთვის და, გნებავთ, ჩემთვისაც, უკვე ყველაფერი სულ ერთა: უარესად ვერც მოგვექცევიან და ვერც გაგვთათხავენ!

– ერთხელ "კომსომოლსკაია პრავდაში" წავიკითხე სტატია "უფროსი ნომერ სამი", სადაც საინტერესო სცენაა აღწერილი. ხრუშჩოვმა შეაგროვა კაგანოვიჩის მამხილებელი მასალები. "თქვენი ხელები სისხლშია გასვრილი, – თქვ მან. – შენიც, ძუკნავ, – თავი ვერ შეიკავა ლაზარმა. – შენ ჩემს გვერდით იყავი... – დიახ, ჩემი ხელების სისხლშია მოსვრილი, მაგრამ ეს ერთი და იგივე როდია. მე მხოლოდ თქვენს ბრძანებებს ვასრულებდი..."

– თავად განსაჯეთ, ვითომ მართლაც ძალიან დიდი განსხვავებაა მბრძანებელთა და მათი ნების შემსრულებელთა შორის?

– კიდევ ერთი პუბლიკაცია მინდა გავიხსენო. გაზეთ "იზვესტიაში" (30. 01. 93) გამოქვეყნდა მასალა მოულოდნელი სათაურით "ლავრენტი ბერიას შეეძლო ქვეყნის აყვავებისთვის მიეღწია". გაზეთის თანამშრომელი სერგეი ლესკოვი იმოწმებს შინსახკომის ყოფილ დიდმოხელეს ბ. ს. ვაინშტეინს, რომელის თავის შეფს კარგად იცნობდა. ბორის სამუელის ძე, რომელიც ახლა 86 წლისაა და ძველებურად ითვლება შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედი რეზერვის პოლკოვნიკად, თვლის, რომ "დიდია ლავრენტი ბერიას როლი საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციასა და მძლავრი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შექმნაში. სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ერუდიტი არ ყოფილა, მაგრამ ჰქონდა განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭი, ხოლო ფსიქოლოგი მართლაც უბადლო იყო, კაცს პირდაპირ მოხარშულს სცნობდა". გაზეთის ცნობით, ბ. ვაინშტეინმა 1930-1940 წლებში განვლო სამსახურებრივი გზა შინსახკომის მშენებლობისა და საგეგმო სექტორის უფროსიდან ვიდრე თავდაცვის მთავარი სამმართველოს უფრისის მოადგილემდე. ს. ლესკოვი წერს: "... ბორის სამუელის ძის ვარაუდით, ბევრი დღევანდელი პრობლემა დიდი ხნით ადრე იქნებოდა გადაწყვეტილი, 1953 წელს ბერიას პირველად რომ არ მოედუნებინა სიფხიზლე და მტრებისთვის მოტყუების საშუალება არ მიეცა. პრინციპულ საკითხებში ბერიას შეხედულებანი მისი წრისთვის პროგრესული გახლდათ... ბერია მკაცრი დაგეგმარებისა და საკოლმეურნეო წყობილების წინააღმდეგი იყო, მასზე ზიზღით ლაპარაკობდა და მიაჩნდა, რომ ქართველი, მაგალითად, კოლმეურნე არასოდეს გახდება". ლავრენტი ბერია, ბ. ვაინშტეინის აზრით, იყო რეალისტი და პრაქტიკოსი, რომლის მოქმედებანიც ნაკარნახევი იყო აუცილებლობით და არა ხასიათის რაღაც პათოლოგიური გადახრებით. ბ. ვაინშტეინი დარწმუნებულია, რომ ბერიას მიაწერენ ათასგვარ ცოდვას, რომლებიც სინამდვილეში არ ჩაუდენია. იგი არ ყოფილა არც სადისტი, არც სექსუალური მანიაკი. საყვარლები, რა თქმა უნდა, ჰყავდა, მაგრამ არა უმეტეს სხვა ხელმძღვანელებისა.

– ჩემთვის ეს მეტად მნიშვნელოვანი პუბლიკაციაა, რომელშიც კაცმა ისე გამოთქვა საკუთარი აზრი, რომ გაკიცხვის არ შეშინებია. შეიძლება ვინმე შემეკამათოს: ახლა უკვე საშიში არაფერია, საკუთარი აზრის გამოთქმას დღეს დიდი ვაჟკაცობა არ სჭირდებაო. გეთანხმებით, მაგრამ ესეც ხომ უნდა ვიკითხოთ: რა ძალა ადგას კაცს ამტკიცოს ის, რაც თვითონ არ სჯერა? და თანაც სიცოცხლის მიწურულს?

– ს. ლესკოვის სტატიას მოჰყვა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, 50-იან წლებში რეპრესირებული პროფესორ-კარდიოლოგის შვილის იაკობ ეტინგერის სტატია ("იზვესტია", 13. 03. 93).

– დიახ, დიახ! ეს ნომერი სერიოჟამ მომიტანა და მეუბნება: "შეხე, რა ყურადღებას იჩენს ჩემს მიმართ გაზეთი "იზვესტია!" მთელი გვერდი მიუძღვნიათ ჩემი რუსი პაპის მაქსიმ გორკისა და ქართველი ბაბუის ლავრენტი ბერიასადმი!" გაზეთში მასალების შემთხვევითმა მეზობლობამ ჩემი ვაჟისთვის მართლაც სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა. ჩემთვის კი იგი კიდევ ერთი საბაბია მამაჩემის ბედზე დასაფიქრებლად. ი. ეტინგერის აზრით "ექიმთა საქმეს" პირდაპირ მალენკოვთან და სუსლოვთან მივყავართ. ბერიას კი ეშინოდა, რომ სტალინი მას მომავალ პროცესზე "ექიმ-მკვლელებთან" კავშირში დაადანაშაულებდა. სიმართლეა ისიც, რომ "მეგრელთა საქმე" პირადად ლავრენტი ბერიას წინააღმდეგ იყო მიმართული. ჩვენ ამაზე უკვე ვისაუბრეთ. სწორია ისიც, რომ მამაჩემს არ მიუღია მონაწილეობა ცნობილი ებრაელი მსახიობის, ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარის სოლომონ მიხოელსის დღემდე ბურუსით მოცულ სიკვდილშიც. უმთავრესი კი ამ სტატიაში ისაა, რომ "1945 წლის აგვისტოდან ბერიას სახელმწიფო უშიშროების ორგანოებთან პირდაპირი დამოკიდებულება არ ჰქონია, რადგან სათავეში ედგა ატომურ პრობლემათა სპეციალურ კომიტეტს". ააშენოს ღმერთმა ამის დამწერი! როცა მე თვითონ ამასვე ვამტკიცებ, არ მიჯერებენ, მაგრამ, საბედნიეროდ, არის ჯერ კიდევ ხალხი, რომელიც არ გადაჩვევია

სიმართლის თქმას. აბა, რა გამოდის: ყველას სჯერა, რომ "ავრორას" ზალპიდან მოყოლებული ყველა საბჭოური დანაშაულის თავი და თავი მამაჩემია, მაგრამ თითქმის არავინ არაფერი იცის მის დიდ დამსახურებაზე საბჭოთა კავშირის ატომური იარაღით აღჭურვაში. მართალია, გაკვრით, მაგრამ ეტინგერი ამას აღიარებს.

– მაგრამ იგი ბერიას აღიარებს ჯალათადაც. ბატონო სერგო, მაინც რა ეშველება ამ ყველაზე მთავარ და საშინელ დამღას – "ჯალათი" (გავიხსენოთ თუნდაც ა. ანტონოვ-ოვსეენკოს წიგნი "ჯალათის კარიერა"!).

– ამ კითხვაზე მე ვუპასუხებ ერთი ახალგაზრდა რუსი მწერლის ციტატით ნარკვევიდან "სტალინის ხსოვნას" (ა. ტერეხოვი, "პრავდა", 05. 03. 93). ავტორი, რომლის მშობლებსაც კი, შესაძლოა, არ ახსოვდეთ "ჯალათი" ბერია, შეუბრალებლად ამხელს რუსული თვითმპყრობელობის ძირის ძირებს, რაც ორიოდე სიტყვით ტრადიციულ ძალმომრეობამდე, უკანონობამდე, "ბატიუშკა" მეფის განუსაზღვრელ ძალაუფლებამდე დაიყვანება. მოვუსმინოთ მწერალს: "სტალინური გარდაქმნები მიღწეულია სისხლის, გოდების, მონობის ფასად? განა ასეთივე მეწამული ლაქები არ ამჩნევია პეტრეს ყველა ნამოქმედარს?.. განა პეტრე თავებს არ აყრევინებდა სტრელეცებს?.. რა საზღაურია გადახდილი ქალაქების, გრანიტის სანაპიროების, განათლების, გემების, გამარჯვებებისა და სხვა საგმირო საქმეებისთვის, ამ გენიოსსა და გოლიათს რომ ჩაუდენია? "ავსიტყვაობისთვის" სიკვდილით დასჯით. სიკვდილით დასჯით დაუბეზღებლობისთვის. სიკვდილით დასჯით დაგვიანებული დაბეზღებისთვის. სამსახურიდან გაქცეულ ჯარისკაცს – ჩამოხრჩობა. ბრალეულ მებაჟეს – ადგილზე ჩამოხრჩობა. მთავრობის ბრძანებულების ჩამოხევისთვის – კატორღა ან სიკვდილი. სენატის გადაწყვეტილებაზე სენატში ჩივილისთვის – სიკვდილი. ხელმწიფის მიმართ ავი ჩანაფიქრისთვის (მხოლოდ ჩანაფიქრისთვის!) – აკუწვა..." ეტ ცეტერა, ეტ ცეტერა საშინელი სურათია, არა? მაგრამ ესაა პეტრე დიდის მიერ დაკანონებული "მართლმსაჯულების" ისტორია. საბჭოთა კავშირში შენარჩუნებული იყო რუსული სახელმწიფო მენტალიტეტი – სასტიკი და საზიზღარი. დღეს, რა თქმა უნდა, ხელსაყრელია ყოველივე ეს ერთი კაცის სისაძაგლით ახსნა, მაგრამ მსგავსი მოქმედება განა სამართლიანია?

– "როცა ცრემლმორეულმა ხრუშჩოვმა "ივან დენისოვიჩის" დაბეჭდვის ნება დამრთო, მას მტკიცედ სწამდა, რომ ეს სტალინის ბანაკებზეა, რომ მას ასეთი ბანაკები არა აქვს", – შენიშნავს ა. სოლჟენიცინი წიგნში "არქიპელაგი გულაგი". დღეს ჩვენ ვიცით, რომ "გულაგი" არა მარტო ხრუშჩოვის დროს არსებობდა, არამედ ჩვენამდეც მოაღწია. იქნებ უფრო შემცირებულად, იქნებ უფრო სახეშეცვლილად, მაგრამ მაინც მოაღწია.

– მამა იყო საშუალედო რგოლი ბოლშევიზმის სადამსჯელო სისტემაში, რომელიც საკუთარი, ალოგიკური პრინციპით მოქმედებდა. მაქსიმ გორკიმ ინტელიგენციის ყოვლად უდანაშაულო წარმომადგენელთა ციხიდან განთავისუფლების თხოვნაზე მსოფლიო პროლეტარიატის ბელადისგან ასეთ პასუხი მიიღო: "ისინი დღეს არიან უდანაშაულო, მაგრამ ხვალ შეიძლება დანაშაული ჩაიდინონ, ამიტომ, დაე, იჯდნენ!" ეს გამონათქვამი მოგვიანებით დაკანონდა, საფუძვლად დაედო სადამსჯელო ორგანოების საქმიანობას. ალბათ, გეხსომებათ, რომ უკანასკნელი საბჭოთა პოლიტპატიმრები გორბაჩოვის დაცემის წინ გამოუშვეს. სისტემას სჭირდებოდა "გულაგი" და ამიტომ ინახავდა მას.

– მე მივაქციე ყურადღება იმას, რომ თქვენს გვარს, ქართული გვარების რუსული მართლწერის შესაბამისად, არ აბრუნებდნენ, მერე კი ბრუნება დაუწყეს...

– როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობითაც. მათთან, ვინც მართლმსაჯულება გათელა, მართლწერა რა მოსატანია!

არსად და არასდროს ჩემი ბიოგრაფია არ დამიმალავს

– ამბობენ, პოლიტიკა სფინქსია, რომელიც ნთქავს ყველას, ვინც მისი ამოცანა ვერ ამოხსნაო. რომელი თავსატეხი იქცა, თქვენი აზრით, ბერიასთვის საბედისწეროდ?

– საბჭოთა პოლიტიკაში სფინქსი თვითონ იოსებ სტალინი იყო. მამაჩემი წარმატებით ხსნიდა არა მარტო სტალინის, არამედ მისი შინაური და გარეშე მტრების თავსატეხებსაც. მისთვის საბედისწეროდ იქცა სრულებითაც არა პოლიტიკური თავსატეხი, არამედ ყველაზე ელემენტარული წინდაუხედაობა. გარდაცვლილი სფინქსისი გარშემო მან ვერ შენიშნა თავმოკატუნებული ნიანგების ხროვა, რომლებიც ხელსაყრელ დროს ელოდნენ, რათა მოხელთებული მსხვერპლი გადაესანსლათ.

– 1945 წელს ამერიკელ სერჟანტს უთქვამს რუსი სამხედრო ტყვისთვის, რომელმაც სამშობლოში დაბრუნება არ ისურვა: თუკი სტალინი არ მოგწონთ, გადაირჩიეთო. სერჟანტი, რა თქმა უნდა, ამერიკული კატეგორიებით აზროვნებდა და საკუთარი გულუბრყვილობა ვერ წარმოედგინა. მაგრამ დრონი იცვლებიან: ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს უკვე ჰყავთ საყოველთაო კენჭისყრით არჩეული პრეზიდენტები. ჰყავს იგი საქართველოსაც. როგორ შეაფასებდით მის მისიას დღევანდელ საქართველოში?

– შემფასებლის როლს ვერ ვიკისრებ, მხოლოდ შევნიშნავ: ერი, რომელიც ერთმა კაცმა უნდა იხსნას, შებრალების ღირსი არაა. ეს სიტყვები XVIII საუკუნის ერთ-ერთ დიდ გერმანელს ეკუთვნის. მიმძიმს ამ სიტყვების მშობელი ერის მიმართ განმეორება, მაგრამ, ვაი, რომ სწორედ ასეთ სურათთან გვაქვს საქმე!

– როგორ განმარტავდით ცნებას "თავისუფლება?"

– მას, რომ იგი შეგნებული აუცილებლობაა, დავამატებდი: "ესაა ადამიანის დამმონებელი და შემბოჭველი ვითარებისგან სრული დამოუკიდებლობა".

– უკაცრავად, მაგრამ თქვენ მსჯელობთ, როგორც ჭეშმარიტი ჰუმანისტი და არა "ჯოჯოხეთის მანქანის" კონსტრუქტორი...

– ნებისმიერი იარაღი, მათ შორის რაკეტებიც, გამიზნულია არა მარტო მოწინააღდეგის გასანადგურებლად, არამედ მისგან თავდასაცავადაც. მეცნიერები, რომლებიც ჰქმნიან და სრულჰყოფენ სხვადასხვა სახის იარაღს,

ქვეყნად სიცოცხლის შენარჩუნებაზე ფიქრობენ. მათი ბრალი როდია, თუკი ავყია პოლიტიკოსების ხელში მეცნიერული აზრის ნაყოფი შანტაჟისა და მასობრივი განადგურების საშუალებად იქცევა.

– თქვენ იზიარებთ ტერმინს "ხალხის მტერი?" როგორ ფიქრობთ, შეიძლება არსებობდეს ასეთი კაცი – "ხალხის მტერი?"

– არიან ადამიანები, რომლებსაც ოფიციალური იდეოლოგიისგან განსხვავებული მრწამსი გააჩნიათ და ცდილობენ ცხოვრებაში ფარულად თუ აშკარად მის დანერგვას. სახელმწიფო უფლებამოსილია აღკვეთოს მათი ქმედება, თუკი იგი კონსტიტუციურ საზღვრებს სცილდება. სხვა საკითხია ის, რომ სისტემა, რომელსაც ბოლშევიზმი 1917 წლიდან ნერგავდა, თვითონ იყო არაკონსტიტუციური და ებრძოდა საკუთარ ხალხს. ამ კონტექსტში "ხალხის მტერი" ხელოვნურად, უფრო მეტიც, ცინიკურად ჟღერს.

– თქვენ თუ იცნობთ ლავრენტი ბერიას ჩანაწერს დასავლეთ უკრაინისა და ბალტიისპირეთის შესახებ, რომელსაც ასე ხშირად ახსენებენ პრესაში?

– მამას ყოველთვის აინტერესებდა ეროვნებათშორისი ურთიერთობანი და ბევრი საბჭოთა იდეოლოგისგან განსხვავებით სულაც არ მიაჩნდა ეს საკითხი გადაჭრილად. რაკი ეროვნულ სფეროში არსებულ სირთულეებზე ოფიციალურად ვერ განაცხადებდა, იგი იძულებული გახდა ჩანაწერის ჟანრისთვის მიემართა. ხრუშჩოვმა იგი იმთავითვე ანტირუსულ გამოხტომად ჩათვალა. მამა საბჭოთა კავშირისთვის ახლად შემოერთებულ რესპუბლიკებსა და ოლქებში ეროვნული კადრების დაწინაურებას მოითხოვდა. ხრუშჩოვის აზრით კი ბერიას რუსების წინააღმდეგ ნაციონალისტების გაერთიანება სურდა. ხრუშჩოვი წინასწარგანზრახულად ამახინჯებდა მამის წინადადებას, რომელიც, პირიქით, ცდილობდა შეენელებინა წინააღმდეგობა ადგილობრივ მოსახლეობასა და "რუსულენოვან" სპეციალისტებს შორის, რომლებსაც უხვად გზავნიდნენ როგორც დასავლეთ უკრაინაში, ასევე ბალტიისპირეთშიც.

– საკ. კპ (ბ) XIX ყრილობაზე თავისი გამოსვლა (1952 წლის 7 ოქტომბერს) ლავრენტი ბერიამ მთლიანად ეროვნულ საკითხებს მიუძღვნა. მასში ჭარბადაა ოპტიმიზმი და გადაკვრითაც არაა მინიშნებული რაიმე სიძნელეებზე. იგი ამბობდა: "საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების პირობებში სოციალისტური ერების განვითარებამ, ერებს შორის ფაქტიური სამეურნეო და კულტურული უთანასწორობის ლიკვიდაციამ, ერების ხანგრძლივმა თანამშრომლობამ როგორც საბჭოთა სახელმწიფოს გარეშე მტრებისგან დაცვის, ასევე სოციალისტური მშენებლობის საქმეში, მიგვიყვანა ერთა თანასწორობის იდეოლოგიის, ხალხთა მეგობრობის იდეოლოგიის დამკვიდრებამდე და სრულ გამარჯვებამდე" (პოლიტიზდატი, მოსკოვი, 1953, გვ. 15-16). ამ სტრიქონებში, როგორც იტყვიან, ოპტიმიზმი დუღს და გადმოდუღს...

– ოპტიმიზმი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო იდეოლოგია გახლდათ, ამიტომ მამა საჯაროდ სხვას ვერაფერს იტყოდა. პოლიტიკოსები ყოველთვის როდი ამბობენ ხმამაღლა მას, რასაც ფიქრობენ. ყრილობაზე მამამ თქვა, რაც უნდა ეთქვა, ცენტრალურ კომიტეტს კი კონფიდენციალურად აცნობა საკუთარი აზრი იმპერიის "ახალი მიწების" სპეციფიკურ პრობლემებზე. სხვათაშორის, იმ გამოსვლაშიც ნართაულად ნათქვამია, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს, რომლებმაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის სფეროში, ძალუძთ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ თავიანთი ბედ-იღბალი. მაშინ ეს საკმაოდ მკრეხელური აზრი იყო, მაგრამ იგი შეესაბამებოდა მამის შინაგან მრწამსს.

– ლავრენტი ბერიასთან ანგარიშის გასწორებისა და იოსებ სტალინის ნეშტის მავზოლეუმიდან გამოტანის შემდეგ ნიკიტა ხრუშჩოვი საძულველი ბელადების სამშობლოს ეწვია, აბა, შემომხედეთ, რა მაგარი ვინმე ვარო. იქიდან დაბრუნებულს კი იდეა გასჩენია: "საქართველო უქართველებოდ!" თქვენამდე არ მოუღწევია ასეთ ხმებს?

– მე კარგად მახსოვს ის ვიზიტი, როცა, ცნობილი ანეგდოტისა არ იყოს, თბილისის ვაგზალზე "ძვირფას სტუმარს" სამოქალაქო სამოსში გადაცმული "ადგილობრივი მოსახლეობა" შეეგება. სწორედ იმ გადაცმულებმა იხსნეს იგი ორგანიზებული თავდასხმისგან: ჩვენში ხომ ბევრი სტალინის ლანძღვას ეროვნულ შეურაცხყოფად აღიქვამდა. პიროვნების კულტის კრიტიკა მართლაც ჟღერდა ანტიქართულად, განსაკუთრებით ყოფით დონეზე. რაც შეეხება უქართველო საქართველოს, ეს ბოდვა მარტო ხრუშჩოვს როდი აწვალებდა, მაგრამ არ ჩაუვიდათ და არც ჩაუვათ ფეხი!

– თქვენ თუ გამოგყვათ მამის ხასიათი, და თუ გამოგყვათ რა გავლენა იქონია მან თქვენს ბედზე?

– მე უკვე მოგახსენეთ, რომ მამა მტკიცე ნებისყოფის კაცი იყო. მიზანს რომ დაისახავდა, მისთვის აუცილებლად უნდა მიეღწია. ამ კუთხით ჩვენ ბევრი რამა გვაქვს საერთო. ცხოვრების ყველა დარტყმა მე მოვიგერიე იმიტომ, რომ საკუთარი თავის მჯეროდა. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ყველა როდი გაუძლებდა ბედის ისეთ გამოცდას მე რომ გავუძელი. როცა ინჟინერ-პოლკოვნიკიდან და მეცნიერებათა დოქტორიდან არარაობად მაქციეს, საჭირო იყო სულიერ ძალთა მოხმობა და სიმხნევის შენარჩუნება, სიტუაციასთან გამკლავება და არყოფნის წყვდიადიდან გამოსვლა. გულწრფელად გეტყვით, რომ ამას მივაღწიე ხასიათის სიმტკიცისა და თვით გარკვეული სიჯიუტის წყალობითაც, რაც, დარწმუნებული ვარ, მამისგან დამყვა.

– ბატონო სერგო, თქვენ მორწმუნე ბრძანდებით?

– მორწმუნე ვარ-თქო, ვერ გეტყვით, თუმცა პატივს ვცემ ადამიანთა რელიგიურ გრძნობებს. ჩემი თაობა შემტევი ათეიზმის ძლიერი გავლენის ქვეშ იზრდებოდა, რამაც "მერყევ" ქრისტიანად მაქცია. პირადი ბუნებითაც და პროფესიითაც მატერიალისტი ვარ, თუმცა ღვთის მგმობელი არასოდეს ვყოფილვარ (თუ სათვალავში არ ჩავაგდებთ ბებიაჩემის ხატთან დაკავშირებულ ამბავს).

– მეზობლებმა თუ იციან თქვენი ნამდვილი ვინაობა?

– არსად და არასოდეს მე არ დამიმალავს საკუთარი ბიოგრაფია. მეზობლებმაც და თანამშრომლებმაც მშვენივრად იციან ვინცა ვარ, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამის გამო ვინმე უდიერად მომქცეოდა. თვით

მათაც, ვისაც შინსახკომთან და საბჭოთა ხელისუფლებასთან პირადი ანგარიში ჰქონდათ, საკუთარი თავისთვის ასეთი უფლება არ მიუციათ.

საშინელად მამა აქცია სისტემამ, რომელიც მართლაც საშინელი იყო

– ცნობილ ადამიანებზე მუდამ ათასი ჭორი დადის. ვფიქრობ, განმარტება სჭირდება ლავრენტი ბერიაზე გავრცელებულ ბევრ ჭორსაც. მართალია, რომ მამათქვენს ჰყავდა ფანატიკურად ერთგული ორასი ქართველისგან შემდგარი ელიტური გვარდია?

– არავითარი ეთნიკურად სუფთა, ფეოდალური ყაიდის გვარდია გორბაჩოვამდე საბჭოთა კავშირში არ არსებულა. მიღებული წესის თანახმად პოლიტბიუროსა და მთავრობის წევრებს, ასევე რესპუბლიკების ხელმძღვანელებს, გამოეყოფოდათ მკაცრად რეგლამენტირებული დაცვა. მამაჩემი არ ყოფილა არც მეფე ლუდოვიკო და არც კარდინალი რიშელიე, თქვენი თქმისა არ იყოს, "ელიტური გვარდია" რომ ჰყოლოდა.

– ბევრ თბილისელსა თუ მოსკოველს ახსოვს, რომ ბერია დადიოდა შავი "პაკარდით", რომელიც თითქოს საბჭოთა საელჩოს დაკვეთით ვაშინგტონში დაამზადეს...

– ისევ და ისევ გორბაჩოვის "პერესტროიკამდე" საბჭოთა მთავრობის არც ერთ წევრს არ შეეძლო საზღვარგარეთ რაიმეს შეძენა. ჯავშნიანი "პაკარდი", რომელიც მამას საბჭოთა "ზილების" გამოჩენამდე ემსახურებოდა თბილისსა და მოსკოვში, შინსახკომის სპეციალური დაკვეთით იყო დამზადებული. ასეთი მანქანები ს. კიროვის მკვლელობის შემდეგ გამოუყვეს სახელმწიფოსა და რესპუბლიკის ხელმძღვანელებს.

– მამას შეეძლო მანქანის ტარება?

– ოჯახში (დედაჩემის ჩათვლით) ყველას შეგვეძლო არა მარტო მანქანის ტარება, არამედ მომსახურება და რემონტიც კი.

– მოსკოვში თქვენ გქონიათ გრაფ ორლოვისეული აგარაკი, სადაც განლაგებული ყოფილა აუზები, საჩოგბურთო კორტები, საფრენბურთო მოედნები, ტირი, კინოდარბაზი...

– მამაჩემის აგარაკი გრაფ ორლოვის სრა-სასახლე კი არა 30-იანი წლების საბჭოთა ნაგებობა იყო. ეზოში ხარობდა რამდენიმე ვაშლისა და ალუბლის ხე, მოცხარისა და ჟოლოს ბუჩქი, არავითარი აუზები და სპორტული ნაგებობანი იქ არ ყოფილა. საკუთარი აგარაკები მამას არ ჰქონია არსად – არც საქართველოში, არც რუსეთში. მარმარილოს სასახლეები, აუზები, ესკალატორები პარტიულმა ბონზებმა აიშენეს "განვითარებული სოციალიზმის" ეპოქაში. გავიხსენოთ თუნდაც დღეს საქვეყნოდ ცნობილი "ფოროსი".

– მამას სპორტი თუ იტაცებდა?

– როცა საზოგადოება "დინამო" ყალიბდებოდა, მამა პროპაგანდისტული მიზნით მონაწილეობდა სპორტულ ღონისძიებებში. საერთოდ კი უყვარდა ფეხბურთი, ფრენბურთი, სპორტული სიარული...

– ცნობილ რუს ფეხბურთელს ნიკოლაი სტაროსტინს ოციანი წლების დასაწყისში საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ უთამაშია. მას დასდევდა თურმე, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, "ზორზოხი ტანის, არც თუ ტექნიკური, უხეში მარცხენა მცველი. ეს იყო ბერია". სტაროსტინი წერს, რომ მცველი მოატყუა და მასპინძელთა კარში გოლი გაიტანა. ლავრენტი ბერიას დაუმახსოვრებია ეს მატჩი, რადგან ეამაყებოდა, რომ სახელოვან ფეხბურთელთან იყო ნათამაშევი. და კიდევ იქნებ იმიტომაც, რომ "ეს იყო იშვიათი შემთხვევა მის ცხოვრებაში, როცა დანარჩენებივით წესის თანახმად იქცეოდა. შემდეგ, მრავალი წლის მანძილზე იგი მხოლოდ ცალ კარში თამაშობდა" ("ბერია: კარიერის დასასრული", გვ. 225). ნიკოლაი სტაროსტინს მიაჩნია, რომ 1942 წელს ის და მისი ძმები ბერიამ შურისძიების მიზნით დააპატიმრა. მას ვითომ არ აპატიეს ის ოდესღაც გატანილი გოლი და მოსკოვის "სპარტაკის" მიერ თბილისის "დინამოს" დამარცხება.

– ნ. სტაროსტინის მონაყოლას ეჭვქვეშ აყენებს უკვე ის, რომ ახალგაზრდა ბერიას ზონზროხად წარმოგვიდგენს. სიჭაბუკეში მამა ძალიან გამხდარი იყო, რასაც ფოტოებიც ადასტურებენ. არც იმის დადგენას გამოვუდგები, ვის უფრო დარჩებოდა საამაყოდ ის მატჩი – ფეხბურთელ სტაროსტინს თუ ჩეკას უფროს ბერიას. ერთს კი ვიტყვი: მამას რომ ციხეში ჩაესვა ყველა ფეხბურთელი და მსაჯი, ვინც თბილისის "დინამოსთან" უსამართლოდ მოქცეულა, რუსეთში სპორტის ეს სახე ორ წელიწადში გაჰქრებოდა. თქვენ, ალბათ, იცით მიზეზი იმისა თუ რატომ ვერ გახდა ათეული წლების მანძილზე ქართული გუნდი, რომელშიც თამაშობდნენ ბრწყინვალე ვარსკვლავები – პაიჭაძე, ბერძენიშვილი, ღოღობერიძე, ჭკუასელი და ა.შ. – საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თუ თასის მფლობელი! მოსკოვის გუნდების დაუმსახურებელი მონოპოლია დაირღვა მხოლოდ 60-იანი წლების დასაწყისში, როცა მამაჩემი უკვე ცოცხალი აღარ იყო.

– გაზეთმა "ლელომ" (№41, 1996) გამოაქვეყნა საინტერესო ამბავი იმის შესახებ თუ როგორ შეუწყო ხელი ლავრენტი ბერიამ მოსკოვის "ტორპედოზე" თბილისელების მოგებას. ერთით ნულით წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ ქართველების გასახდელში შემოსულა გენერლებით გარშემოტყმული ვიღაც მარშალი და ფეხბურთელები უხეირო თამაშისთვის მკაცრად დაუტუქსავს. მას იქვე გაუფრთხილებია "დინამოს" მწვრთნელი მიხეილ იაკუშინი, რომ თამაშს თვალს ადევნებდა თვითონ ბერია. მეორე ტაიმი დინამოელთა განუწყვეტელი იერიშებით დაწყებულა, რომლებსაც სამი უპასუხო გოლი მოჰყოლია. მოსკოველთა კაპიტან აუგუსტინ გომესს უკითხავს ავთანდილ ღოღობერიძისთვის: რაშია საქმე, დოპინგი ხომ არ მიგიღიათო! ღოღობერიძეს მთავრობის ლოჟაზე მიუთითებია და უთქვამს: აი, ჩვენი დოპინგი, შეხედე, იქ ვინ ზისო! იქ კი მარტოდ მარტო მჯდარა თეთრ კიტელში გამოწყობილი ლავრენტი ბერია. მატჩის შემდეგ გასახდელში კვლავ გამოჩენილა გენერლებით გარშემორტყმული მარშალი, ბიჭებისთვის მადლობა გადაუხდია და თითოეული მათგანისთვის გადაუცია კონვერტი,

რომელშიც მათი ერთი თვის ხელფასი დებულა. დამშვიდობებისას მარშალს უთქვამს: "კარგი თამაშით რომ არ გადაგერჩინეთ, დღესვე კაპიტნობა არ ამცდებოდა, როგორც... თქვენს ღოღობერიძესო.

– არ ვკამათობ, ასე რამე მართლაც შეიძლებოდა მომხდარიყო!

– მართალია, რომ ლავრენტი ბერიას უყვარდა კლასიკური მუსიკა და ჰქონდა სუპერთანამედროვე აპარატურა?

– კლასიკური მუსიკა მამას მართლაც უყვარდა, თუმცა სუპერაპარატურა არ ჰქონია. მისი საყვარელი კომპოზიტორები იყვნენ ფალიაშვილი, ჩაიკოვსკი, რახმანინოვი, შოპენი...

– ერთ-ერთ მოგონებაში წავიკითხე, რომ ბერიას უტირია, როცა ერთ შესანიშნავ მოსკოველ პიანისტს რახმანინოვის მეორე პრელუდია დაუკრავს. შეიძლებოდა ასეთი რამ მომხდარიყო?

– არა, რა თქმა უნდა. მამა არ იყო იმდენად სანტიმენტალური პიროვნება, რომ მუსიკის მოსმენაზე ეტირა.

– გამიგია, ლავრენტი ბერიას უზარაზარი გარდერობი ლონდონსა და რომში შეკერილი ტანსაცმლისგან შედგებოდაო...

– იმ წლებში მთავრობის ვერც ერთი წევრი ვერ ჩაიცვამდა უცხოურ კოსტუმს. მათ ემსახურებოდა მოსკოვის სამკერვალო, რომელსაც თერძი ფურმანი ხელმძღვანელობდა.

– ერთი უცხოელი ავტორი ამტკიცებს: " ბერია არ ეწეოდა, მაგრამ თითქმის მოთავებული ლოთი იყო, უმთავრესად სვამდა არაყს, კონიაკს და ქართულ ღვინოებს, უყვარდა კარგი საჭმელი, განსაკუთრებით ხილი. კითხულობდა მხოლოდ საისტორიო და სათავგადასავლო წიგნებს, აგრეთვე XIX საუკუნის რომანტიკოს პოეტებს".

– თქვენ იშველიებთ ისეთ წიგნებს, როგორიცაა ალან უილიამსის "ბერიას დღიურები", ა. სულიანოვის "დაპატიმრებულ იქნეს კრემლში", ა. ანტონოვ-ოვსეენკოს "ჯალათის კარიერა" და ა.შ., რომლებშიც მამაჩემის ცხოვრება და მოღვაწეობა მრუდე სარკეშია ნაჩვენები. ოღონდ ა. უილიამსი საბჭოთა კოლეგებზე პატიოსნად იქცევა და პირდაპირ აცხადებს, ჩემი წიგნი სიყალბეაო.

– რაკი სიტყვა ჩამოვარდა უილიამსის წიგნზე, მკითხველს მოკლედ განვუმარტავ მის არსს. გამდიდრების სურვილით შეპყრობილი ორი ლიტერატურული გაიძვერა ეძებს ხელსაყრელ თემას, რომელსაც ბაზარზე კარგი მაზანდა ექნება. ისინი ირჩევენ ბერიას ბიოგრაფიას და მისი სახელით თხზავენ დღიურებს, რომლებსაც იგი ვითომ მეგრულად წერდა. სიყალბის მთელი მექანიზმი – დღიურების სამმაგი ტექსტის შექმნა (ჯერ ინგლისურად, მერე კი რუსულად და მეგრულად) ავტორს ისეთი გულახდილობით აქვს აღწერილი, ვერაფერში შეედავები. იგი ცალი თვალით ნიადაგ საბჭოთა სპეცსამსახურებისკენ იყურება და მიგვანიშნებს, მათი სურვილიც თუ არ გავითვალისწინე, ხეირი არ დამადგებაო. ა. უილიამსი გვთავაზობს კრიმინალისა და პორნოგრაფიის ნაზავს, რომელსაც ინტიმური აღსარების პრეტენზია გააჩნია. მე თუ მკითხავთ, ეს საკმაოდ მაღალ დონეზე შეთხზული წმინდა წყლის ავანტურისტული რომანია...

– საერთოდ, მამაჩემისადმი მიძღვნილი წიგნები ერთგვარი პირადი ქრონიკაა, რომელიც ზუსტად აღადგენს ცნობილი ორგანოების მიერ დაკანონებულ პორტრეტულ კლიშეს: ლავრენტი ბერია ჯაშუში, არამზადა, ზნეობრივად გახრწნილი პიროვნებაა, მაგრამ არამც და არამც პოლიტიკური ოპონენტი!.. დიახ, მამაჩემი არ ეწეოდა და სვამდა მარტო ქართულ ღვინოს, რაც მუდმივი ატრიბუტი იყო ჩვენი საოჯახო სუფრისა, სადაც მთელი... ბოთლი ისმებოდა ხოლმე. სუფრასთან კი ყოველთვის 5-6 კაცი ვსხდებოდით. უილიამსის აშკარა ნაყალბევი კლასიკური რეცეპტითაა შექმნილი – როცა ერთ კასრ სიცრუეში გაზავებული ერთი კოვზი სიმართლე განსაზღვრავს კულინარული ნაწარმის ეფექტს.

– იგივე ა. უილიამსი წერს: "ბერია სტალინს ქართულად გადაულაპარაკებდა ხოლმე, რითაც თავზარს სცემდა პოლიტბიუროს სხვა წევრებს. როცა მოლოტოვმა ქართულის შესწავლა დაიწყო, ბერიამ მისი მასწავლებელი დააპატიმრა და მოლოტოვიც მიხვდა გადაკრულს". ეს კოვზიდანაა თუ კასრიდან?

– რა თქმა უნდა, კასრიდან! შემიძლია მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო: სტალინი უცხოთა თანდასწრებით მამაჩემს ქართულად არასოდეს ელაპარაკებოდა. მოლოტოვის ქართული ენით დაინტერესება და მისი მასწავლებლის დაპატიმრება კი საერთოდ ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფია.

– მაშ, ისიც სტალინს მუდამ "ხაზეინს" ეძახდა და არა "ამხანაგ სტალინს?"

– პოლიტბიუროს წევრები სტალინს სახელით და მამის სახელით მიმართავდნენ. მე ეს შემიძლია დავადასტურო, რადგან მათთან ერთად არაერთხელ დავსწრებივარ კრემლის თათბირებს თავდაცვითი მრეწველობის საკითხებზე. სტალინი, თავის მხრივ, თვით უახლეს თანამებრძოლებსაც თქვენობითა და გვარით მოიხსენიებდა, მხოლოდ მოლოტოვს თუ მიმართავდა ზოგჯერ სახელითა და მამის სახელით. თვით მოლოტოვი სტალინს მის ძველ პარტიულ მეტსახელს – კობას ეძახდა. სტალინი "ხაზეინი" იყო ჩეკისტების, დაცვისა და მომსახურე პერსონალისთვის, და ისიც პირად საუბრებში, როცა ნამდვილი სახელის წარმოთქმა არ უნდოდათ. გამორიცხულია, რომ მამას სტალინისთვის ასე მიემართოს. მინდა ერთხელ კიდევ განვაცხადო: ლავრენტი ბერიასადმი მიძღვნილი მთელი მასობრივი ლიტერატურა ერთი ძირიდანაა ამოზრდილი. 1953 წლიდან მოყოლებული უზარმაზარი საბჭოთა პარტიული აპარატი, მისი აგიტაციისა და პროპაგანდის სტრუქტურები მუშაობდნენ ჯერ ბერიას სახელის მიჩქმალვაზე, შემდეგ კი მის სრულ დისკრედიტაციაზე. გამოიყენებოდა გარკვეული სქემა, რომელსაც აწვდიდნენ ა. ანტონოვ-ოვსეენკოს ტიპის "მწერლებს"... სწორედ სქემატურობა ჰქმნის მათ ოპუსებს ერთფეროვანსა და მოსაწყენს, რადგან თვით გაშავებაშიც აკლიათ მხატვრული პეწი.

– ანასტას მიქოიანის ვაჟმა სერგომ ერთ-ერთ ჟურნალისტთან საუბარში შენიშნა: "ორმოციანი წლების მიწურულს ბერიამ მოახსენა სტალინს, რომ პოლიტბიუროს წევრთა ცოლები შინაგან საქმეთა სამინისტროს ატელიეში უფასოდ იკერავენ ტანსაცმელს. მამა შინ აღშფოთებული მოვიდა. დედამ თქვა: "ვიცი, რომ სხვები არ იხდიან,

მაგრამ მე ყოველთვის ვიხდი. არც შენთვის, არც შვილებისთვის უფასოდ არაფერი შემიკერავს". მამამ შეუძახა: "სტყუი! ბერიასთვის მოუხსენებიათ, არავინ იხდიდაო!" დედა ძალიან განაწყენდა. იგი ზედმიწევნით აკურატული ქალი იყო, ათწლეულობით ინახავდა ყოველგვარ ქვითრებსა და საბუთებს. მთელი ორი კვირა ის და მამაცემი უბრად იყვნენ და ერთმანეთს "ჰო" და "არა"-თი ელაპარაკებოდნენ. ბოლოს მამამ შეიგნო საკუთარი შეცდომა. მოგვიანებით იგი ჰყვებოდა, როგორი ნიშნისმოგებით დაუდო სტალინს მაგიდაზე კოლოფი და უთხრა: "სხვათა ცოლებისა არ ვიცი და ჩემი ცოლი კი ყველაფრის საფასურს იხდიდა. ვერ გამიგია, რატომ არ იცოდა ბერიამ ამ საბუთების არსებობა. რა თანამშრომლები ჰყავს ისეთი, რომ ამ ქვითრების ასლები ვერ აღმოაჩინეს?"

– თქვენ რას ფიქრობთ, პოლიტბიუროს წევრთა ცოლები ტანსაცმელს მართლაც უფასოდ იკერავდნენ? ან შეეძლო მიქოიანს ასე უბოდიშოდ დაედო სტალინისთვის ქვითრებიანი კოლოფი?

– თავადაც კარგად მოგეხსენებათ, რომ ლავრენტი ბერია ჭრა-კერვის საქმეებს არ მეთვალყურეობდა. მიუხედავად ამისა, არ მინდა სიცრუე დავწამო სერგო მიქოიანს. კონკრეტული მონაცემების საფუძველზე მამამ იქნებ მართლაც განაცხადა მსგავსი რამ, ოღონდ წარმოუდგენელია, რომ მიქოიანი სტალინთან ასე გაბედულად და გამომწვევად მოქცეულიყო. მე მინახავს თუ რა კუდის ქიცინით შეჰყურებდა იგი თვალებში სტალინს. თვით სტალინი არავის აძლევდა თავხედობის ნებას. და არც ვინმე ბედავდა ამას, რადგან ამქვეყნად ორჯერ არ იბადებიან.

– წერენ, რომ დაპატიმრების დღეს ლავრენტი ბერიას რუხი გახეხილი პიჯაკი და თეთრი, უჰალსტუხო პერანგი ეცვაო. იგი ჩაცმულობას არად აგდებდა?

– რაკი მამაჩემი საკუთარ სახლში მოკლეს, არაა გამორიცხული, რომ იგი შინაურულად ჩაცმული ყოფილიყო. საერთოდ მას კოხტად ჩაცმა უყვარდა, სამსახურში სამოქალაქო ტანსაცმლით დადიოდა. მართალია, სიმსუქნის გამო, მისი პიჯაკი ცოტა მიჯაჯულად გამოიყურებოდა. მე აქ აქ შემიძლია დავიმოწმო გ. კისუნკო, რომელსაც ყურადღება მიუქცევია მამის მუქი რბილი ქსოვილის კოსტუმისა და ნატიფჰალსტუხიანი ქათქათა პერანგისთვის.

– ვინ სტუმრობდა თქვენთან ყველაზე ხშირად?

– სტუმრები, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თუ ჩემსა და დედაჩემის მეგობრებს არ გამოვრიცხავთ, ჩვენ თითქმის არ გვყოლია. ჩვენთან მოდიოდნენ სამხედროები, უფრო სწორად, სამხედრო უწყებათა ხელმძღვანელები, მეცნიერები – ერთი სიტყვით, მამასთან სამსახურებრივად დაკავშირებული პირები.

– რას გვეტყოდით საზღვარგარეთ მამის საიდუმლო მოგზაურობებზე?

– საიდუმლო მოგზაურობები მამას, რამდენადაც ვიცი, არ ჰქონია. მას ჰქონდა საქმიანი ვიზიტები, რაზეც პრესაში ოფიციალურად იწერებოდა.

– 1949 წელი ორგზის საიუბილეო იყო სსრ კავშირის პოლიტიკურ კალენდარზე: შესრულდა იოსებ სტალინის დაბადების 70 და ლავრენტი ბერიას დაბადების 50 წელი. ამ თარიღებთან დაკავშირებით იუბილარებმა ერთმანეთს თითქოს უნიკალური საჩუქრები მიართვეს.

– იმ წლებში საიუბილეო დღესასწაულები უფრო პროპაგანდისტული ხასიათისა იყო და მეტწილად მედიაში აღინიშნებოდა, ვიდრე ხალხმრავალ საზეიმო სუფრასთან. უნიკალურ საჩუქრებზე კი ხმები უბრალოდ გადაჭარბებულია, ისინი არ შეესაბამება დროის რეალიებს.

– კონსტანტინე სიმონოვმა ლავრენტი ბერიას "საშინელი კაცი" უწოდა. არ გიმძიმთ "საშინელი კაცის შვილობა?"

– მამაჩემი საშინელი გახადა სისტემამ, რომელიც მართლაც საშინელი იყო. ამიტომაც ეს ეპითეტი ეკუთვნის არა მარტო ლავრენტი ბერიას, არამედ ჩვენი ყოფილი ტოტალიტარული წყობილების ყველა უმაღლესი რანგის ჩინოვნიკს. როგორც ცნობილია, არასამართლებრივ სახელმწიფოში ხელმძღვანელებს უზარმაზარი ძალაუფლება გააჩნიათ, რაც მათ პოლიტიკურ სუპერმენებად აქცევს. ე. წ. "ძალოვანი სამინისტროების" ხელმძღვანელები დღესაც ეჩვენებათ (და არც თუ უსაფუძვლოდ!) ყოვლისშემძლეებად, თვით დიდი დემოკრატიული ტრადიციების ქვეყნებშიც. ახალგაზრდობაში მართლაც მიმძიმდა მოსმენა იმისა, რასაც მამაზე ამბობდნენ. რაც საბოლოოდ მივხვდი, სადაა ძაღლის თავი დამარხული, მსგავს გამოხდომებს ყურადღებას არ ვაქცევ. რაც შეეხება თავად სიმონოვს, იგი ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, "საშინელი" ხალხის ყურადღება და პატივისცემა არ მოჰკლებია.

– თქვენ აგრძელებთ აქტიურ სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობას, ისახავთ ახალ გეგმებს. სად აპირებს ცხოვრებას პენსიონერი სერგო ბერია, ემზადება თუ არა იგი მომავალი სიბერისთვის?

– სიმართლე რომ გითხრათ, ვერ წარმომიდგენია თავი უსაქმურ პენსიონერად, რომელსაც ყველაფერი წარსულში დარჩენია. სამწუხაროდ, სიცოცხლე უსასრულო როდია, ამიტომ მინდა დარჩენილი წლები მშობლიურ საქართველოში გავატარო. მე ვერ მოვიხადე მის წინაშე მამაშვილური ვალი, მაგრამ ღმერთია მოწმე, ეს მარტო ჩემი ბრალი არაა.

– ცნობილი რუსი ქირურგი პიროგოვი ამბობდა: ცხოვრების ნიჭი ისაა, რომ დროულად რაღაცას მიეჩვიო, რაღაცაზე კი უარი თქვაო. თქვენი ბიოგრაფიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ცხოვრების ნიჭი უხვადა გაქვთ მომადლებული. მითხარით, რას მიეჩვიეთ და რაზე თქვით უარი?

– სიჭაბუკიდანვე მე ვიზრდებოდი, როგორც სამხედრო პირი, ზედმეტი ფუფუნებისა და განცხრომის გარეშე. რაც მეცნიერებამ გამიტაცა, სულ გადავეჩვიე დროსტარებას. და მაინც, განდეგილი არ ვყოფილვარ, ვპოულობდი დროს ოჯახისთვისაც და მეგობრებისთვისაც. ბოლოს და ბოლოს ასეთადაც დავრჩი, თუმცა ოჯახი, ჩვეულებრივი გაგებით, დიდი ხანია არა მყავს. იძულებული გავხდი შევჩვეოდი შინაგან მარტოობას, როცა ურიცხვი ადამიანის გარემოცვაშიც თავს ეულად გრძნობ. უარი კი არაფერზე მითქვამს: არც სამშობლოზე, არც მშობლიურ ენაზე, არც მშობელ მამაზე. დიდხანს ცდილობდნენ, ჩემთვის ასეთი უარი დაეცდინათ, მაგრამ ამაოდ. ცრუმოყვრები და ცრუმეგობრები კი თავისით შემომეცალნენ და მოხარული ვარ, რომ ისინი არც თუ ბევრნი ყოფილან.

– მამათქვენი მოღალატედ და იმპერიალიზმის აგენტად შერაცხეს. თქვენ მთელი ცხოვრება იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბჭოთა არმიის აღჭურვას შეალიეთ. დადგა დრო და საბჭოთა კავშირი აღესრულა, აღარაა საბჭოთა არმიაც. ხომ არ გწყდებათ გული საბჭოთა კავშირის დაშლის გამო?

– საბჭოთა იმპერიის დაშლა კანონზომიერი მოვლენაა. ადრე თუ გვიან ეს უნდა მომხდარიყო. მართალია, არ მჯეროდა, რომ ამ ისტორიულ დღეს მოვესწრებოდი. გონიერი ხელმძღვანელობისა და დემოკრატიული რეფორმების პირობებში საბჭოთა კავშირს შეეძლო კიდევ დიდხანს ეარსება. საამისოდ მას ჰქონდა ეკონომიკური, ინტელექტუალური და სამხედრო პოტენციალი.

– ჩვენ მომავალს კი არ ვწინასწარმეტყველებთ, ჩვენ მომავლის თავიდან აცილებას ვცდილობთ, – ამბობს ერთი თანამედროვე ასტროლოგი. გორბაჩოვი კი ხრუშჩოვის მსგავსად პოლიტიკური მკითხაობით გაერთო და მოიმკო კიდეც ის, რაც დათესა.

– ძნელი დასაჯერებელია, რომ გორბაჩოვმა ასეთი დასასრული განჭვრიტა. იგი, უბრალოდ, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

– გონიერ კაცს უთქვამს: ჭკვიანი ისაა, ვინ გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავალს მონახავს, ბრძენი კი ის, ვინც გამოუვალ მდგომარეობაში არასოდეს ვარდებაო. გორბაჩოვს საკუთარი რეფორმების გასატარებლად არც ჭკუა ეყო და არც სიბრძნე.

– აქ კი ნამდვილად გეთანხმებით. ქვეყნის მეთაური ვალდებული იყო ყველაფერი განეჭვრიტა.

– თანამედროვე დემოკრატთა მოსმენისას მერამდენედ ვუბრუნდები ცეკას პლენუმის სტენოგრამას, სადაც ნათქვამია: "ბერიას სურდა ხელში ჩაეგდო ძალაუფლება ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის ლიკვიდაციისა და კაპიტალიზმის აღდგენის მიზნით. მას, რა თქმა უნდა, ჰქონდა თავისი სისტემა, თავისი კონტრრევოლუციური გეზი... ეს იყო ბურჟუაზიული გადაგვარების გეზი, რომელიც ითვალისწინებდა ჩვენი სახელმწიფოს სიძლიერის შერყევას და მისი მთლიანად უცხოური კაპიტალისთვის დამორჩილებას, მისი ბურჟუაზიულ სახელმწიფოდ გარდაქმნას. იგი აწარმოებდა მოსამზადებელ სამუშაოებს კომუნიზმის ხაზის, ბოლშევიზმის ხაზის, ლენინ-სტალინის ხაზის ბურჟუაზიული ხაზით შესაცვლელად" (ლ. მ. კაგანოვიჩი).

– ჭეშმარიტად! როცა ხედავ, რა ვაი-ვაგლახით უბრუნდებიან ყოფილ საბჭოთა კავშირში კაპიტალიზმს, ცვლიან "კომუნიზმის ხაზს", მინდა შევსძახო: მოძებნეთ ის "ბერიას მიერ დამუშავებული სისტემა", რას წვალობთ ამდენს ტყუილუბრალოდ?

– პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომ ნიკიტა ხრუშჩოვის ვაჟი სამუდამოდ გადასახლდა ამერიკაში. როგორ შეაფასებდით ამ ფაქტს?

– ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება იცხოვროს იქ, სადაც სურს. სერგეი ხრუშჩოვს, ალბათ, ამერიკის შეერთებული შტატები ურჩევნია იმ ქვეყანას, რომლის "ნათელ მომავალსაც" მამამისმა მამაჩემი შესწირა. მსგავსი ნაბიჯი მე რომ გადამედგა, იტყოდნენ, თავის ოკეანისგაღმელ პატრონებთან გასწიაო. მე კი მშობლიური საქართველოს იქით არსადაც არ გავსწევ!

– ბატონო სერგო, თქვენ განვლეთ მეტად რთული, მაგრამ საინტერესო და ნაყოფიერი ცხოვრების გზა, მოესწარით მათ დაცემას, ვინც მამათქვენი ეშაფოტზე გაგზავნა. მოგანიჭათ თუ არა ამან ზნეობრივი კმაყოფილება?

– მე ძალიან მომწონს მონტენის გამონათქვამი: "ადამიანი ყოველთვის არ უნდა გაურბოდეს ტკივილს და არც ყოველთვის ესწრაფვოდეს სიამოვნებას." საკუთარ ტკივილს ყოველთვის თან დავატარებ, ხოლო სხვისი უბედურებით ტკბობა არ მჩვევია. განსაცდელი ადამიანს განსჯას აჩვევს და ხანგრძლივი განსჯის შემდეგ საბოლოოდ ვირწმუნე: მამაჩემი მოკლეს არა იმიტომ, რომ იგი სხვებზე დიდი ცოდვილი იყო. არა! მიზეზი სხვაგანაა – სტალინის შემდეგ აუცილებლად უნდა შემდგარიყო ბოლშევიკური მსხვერპლშეწირვის მორიგი რიტუალი. არჩევანი მამაჩემზე შეაჩერეს, რათა შემდეგ პარტიის მიერ ჩადენილი ყველა უმსგავსობა ორი აზიელის – სტალინისა და ბერიას – მხეცობით აეხსნათ. მაგრამ, ქართული ანდაზისა არ იყოს, არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა! მთავრობამ, რომელმაც ტყვიამფრქვევებით დაცხრილა მამაჩემი, შემდეგაც არაერთი საშინელი ძალმომრეობა ჩაიდინა. შემზარავია მათი მასშტაბები, აღმაშფოთებელია მათი ცინიზმი. მამაჩემის მტრებმა უსახელოდ დაასრულეს თავიანთი გზა, მაგრამ, როგორც ვატყობ, ბევრი თანამედროვე პოლიტიკოსი სხვების შეცდომებზეც ვერაფერს სწავლობს. ეს კი სავალალოა. ჩვენ ხომ სულ სხვა ქვეყანაში, სულ სხვა ფასეულობათა სამყაროში ვცხოვრობთ!

– მეც იმის თქმა მინდა: აღარც უწინდელი ბელადები არიან, არც მათი იდეოლოგიური დოქტრინა დარჩა, არც ოდინდელი ტოტალიტარული სახელმწიფო; შეიცვალა პოლიტიკური ორიენტირებიც: რუსეთში კვლავ აღორძინდა ნიკოლოზისა და მისი დესპოტი პრემიერ-მინისტრის სტოლიპინის კულტი, უკრაინაში ძეგლებს უდგამენ ნაციონალისტთა მამამთავრებს პეტლიურასა და ბანდერას, საქართველოში კი მზერა შორეული წარსულისთვის მიუპყრიათ, რადგან ახლო წარსულში არავინ მოსწონთ. ბერიას სახელიც აკრძალულთა და განკიცხულთა რიცხვს მიეკუთვნება, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, ასეთადვე რჩება. თქვენ გჯერათ, რომ დადგება დრო, როცა შეეცდებიან მასაც მოაშორონ ჯალათისა და მოღალატის დამღა?

– ვშიშობ, რომ ასეთი რამე ახლო მომავალში არ მოხდება.

– რატომ?

– უარყოფილი სახელების აღდგენა, როგორ თვითონ შეამჩნევდით, მკაცრი შერჩევით ხდება. გამოწვლილვით არკვევენ: ვინ რისთვის იბრძოდა, რა მიზნებს ისახავდა. მეფე და სტოლიპინი რუსეთის დიდ იმპერიას იცავდნენ, პეტლიურა და ბანდერა – დამოუკიდებელ უკრაინას, ხოლო ვის იცავდა ლავრენტი ბერია? არავინ უწყის! მე დასაშვებად მიმაჩნია, რომ მამა არ ყოფილა საბჭოთა კავშირის ადეპტი, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობა

რომ ეწადა, ამაში წუთითაც არ მეპარება ეჭვი. ჯერ-ჯერობით იგი ეროვნული ინტერესების მიღმა დგას, ამიტომაც არ სჭირდება არავის: არც ქართველს, არც რუსს, არც უკრაინელს... არავის! ესაა მისი ჯვარი და მისი ტრაგედია. ოდესმე იქნებ მართლაც გამოჩნდეს მიუკერძოებელი მემატიანე და საბჭოთა ისტორიის განქიქებისას ყურადღება მიაქციოს მამაჩემსაც და თქვას მის შესახებ – თუნდაც მწარე! – სიმართლე. ჯერ-ჯერობით, როგორც ჩანს, ასეთი დრო ჯერ არ დამდგარა.

ბოლოსიტყვაობა

სერგო ბერიასთან ჩემი პირველი საუბარი წმინდა სამებას დაემთხვა და ეს აღვნიშნე კიდეც წინასიტყვაობაში, თუმცა მაშინ ამ უნებლიე დამთხვევისათვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია. მოხდა ისე, რომ სულ მალე ბედის წყალობით აღთქმულ მიწაზე მოვხვდი და წილად მერგო ქრისტეს ნაკვალევზე საოცარი მოგზაურობა. ჩავყურებდი გენისარეთის ლაჟვარდოვან ტბას, რომლის მობობოქრე ტალღები ოდესღაც დააცხრო მაცხოვარმა, ვხეტიალობდი ნაზარეთის – ხარებობის ქალაქის – დაკლაკნილ ქუჩებში, სადაც უფლის ნებით შეუღლდნენ დურგალი იოსები და ქალწული მარიამი, ვიდექი გოლგოთაზე, რომელიც იქცა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი დანაშაულის ადგილად, გადავყურებდი კედრონის დაბლობს, სადაც ცოდვილები უნდა განიკითხონ და ბევრ რამესთან ვფიქრობდი ამ წიგნის მთავარ პერსონაჟზეც, რომელიც ერთხელ უკვე განიკითხა საშინელმა და მრისხანე სასამართლომ. მაშინაც და მერეც არაერთხელ გამჩენია კითხვა: კი მაგრამ, მსაჯულები ვინ იყვნენ? ბატონ სერგოს ჟამიდან-ჟამად შევახსენებდი ხოლმე ცეკას პლენუმზე პარტიული ვერდიქტის წევრთა გამონათქვამებს, მინდოდა მისი აზრი გამეგო. ის კი მპასუხობდა: გადაიკითხეთ ერთხელ კიდევ ის სტენოგრამა და დააკვირდით მამისადმი წაყენებულ ბრალდებებს, ვფიქრობ, საინტერესო დასკვნებს გამოიტანთ. გულახდილად რომ ვთქვა, საკუთარი დასკვნები მაშინ უკვე გამოტანილი მქონდა, მაგრამ გულში მაინც ვჭოჭმანობდი, იქნებ ვცდებოდე-მეთქი. ბოლოს გადავწყვიტე, სულაც არაა აუცილებელი ცამდე მართალი ვიყო, შეუმცდარი და უცოდველი მხოლოდ ღმერთია, ამიტომ ისიც იკმარებს, თუკი მკითხველს ორმოცი წლის წინათ დატრიალებული დრამისთვის ოდნავ ახლებურად მაინც შევახედებ-მეთქი. ცხადია, მე არ ვაპირებ ლავრენტი ბერია დიდ ჰუმანისტად გამოვაცხადო, რადგან ასეთები ბოლშევიკთა შორის საერთოდ არ ყოფილან. საქმე სხვა რამე გახლავთ: კრემლის გახრწნილმა კამარილიამ საკუთარ კეთილდღეობას შესწირა გუშინდელი თანამებრძოლი, შერაცხა იგი ხალხის მტრად, ყველა საბჭოთა სიავის სათავედ. როგორც შესავალში ვთქვი, ის ფარული ომი ბერიას რომ მოეგო, ადვილი მოსალოდნელია, ბრალდებულის სკამზე ხრუშჩოვი და მისი ხროვა აღმოჩენილიყო. ბერიამ ზედმიწევნით იცოდა ყველა მათგანის ზადი, შეცდომა, დანაშაული, ამიტომაც დარწმუნებული იყო, რომ მის წინააღმდეგ აშკარად გალაშქრებას ვერავინ გაბედავდა. აშკარად გალაშქრება კი არც არავის უფიქრია. ყველაფერი მალულად, სასახლის ინტრიგების ნატიფ სტილში გაკეთდა. კამარილია დააფრთხო ლავრენტი ბერიას პოლიტიკურმა პერსპექტივამ, რომელიც სტალინის გარდაცვალების მერე სულ უფრო მატულობდა. 1953 წლის 7 მარტს იგი გახდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. მ. მალენკოვის პირველი მოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრი. გაზეთები ბეჭდავდნენ სამგლოვიარო რეპორტაჟებს, სადაც ბერია ჩვეულებისამებრ მალენკოვის გვედით დგას. საგულისხმოა 9 მარტის "იზვესტიაში" გამოქვეყნებული ერთი ფოტო: სტალინის კუბოსთან ერთ მხარეს დგას ბერია, მალენკოვი, ვოროშილოვი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, მიქოიანი. მწუხარე სახეები... ნაღვლიანი თვალები... დღეს, როცა იცი, სინამდვილეში რითაც იყო შეჭირვებული ეს "საძმო", შეგიძლია ივარაუდო, რომ მათ თვითმპყრობელის ტახტის რეალური პრეტენდენტი უკვე მაშინ წარმოედგინათ კუბოში. სულ მალე კუბო მათ ზედმეტ ფუფუნებად მოეჩვენებათ და გადაწყვეტენ მეტოქის ფერფლი ქარს გაატანონ.

სტალინის დაკრძალვის დროს წითელ მოედანზე წარმოთქმულ სიტყვაში ლავრეტი ბერია ხაზს უსვამდა: "ვინც ბრმა არაა, ის ხედავს, რომ ჩვენი პარტია მისთვის მძიმე დღეებში კიდევ უფრო მჭიდროდ ჰკრავს თავის რიგებს, რომ იგი ერთიანია და შეურყეველი..." თავის რიგებს კი პარტია თურმე უწინარესად მის წინააღმდეგ ჰკრავდა.

კითხულობ ხსენებული პლენუმის მასალებს და ერთხელ კიდევ რწმუნდები, რომ აქ საკუთარ ბოროტმოქმედებაში მხილების შიშს დროებით შეუკავშირებია უმაღლესი პარტიული საკრებულო (გაივლის სულ ცოტა ხანი და იგი ჩამოიცილებს "ანტიპარტიულ ჯგუფს", ზოგს კიდევ საპატიო გადასახლებში გაგზავნის). პლენუმი არსებითად იქცა პარტიულ სამსჯავროდ, რომლის გადაწყეტილებასაც მაშინ კანონის ძალა გააჩნდა. იგი პოლიტიკურ გეზს აძლევდა სასამართლოს, რომელსაც იურიდიულად უნდა დაედასტურებინა წამოყენებული ბრალდებანი. ბერია გამოაცხადეს დამნაშავედ ა პრიორი, უდანაშაულობის პრეზუმპციის დაუცველად. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა გააჩაღეს არნახული შეჯიბრი იმ კაცის გაშავებაში, ვინც მათი თქმით, საბჭოთა წყობილებას დაღუპვას უქადდა. თითქოს პლენუმი კი არა, იეზუიტთა ორდენი შეკრებილა, რომელიც სულმოუთქმელად ელის ავსულის დამფერფლავი კოცონის აბრიალებას.

კრემლში მობობოქრე ვნებები გარეთ ვერ აღწევდენ, სტენოგრამა მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი, საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად კი პრესის ფურცლებზე მძლავრი საარტილერიო მზადება მიდიოდა.

საბჭოთა იდეოლოგია მუდამ მორჩილი, ყოვლის დამჯერე მკითხველის იმედად იყო, რომელსაც თითქოს დირიჟორის ჯადოსნური ჯოხის დაქნევაზე, ოცდაჩვიდმეტში შეეძლო ეყვირა: "ჯვარს აცვ ეგე!" ხოლო ოთხმოცდაშვიდში დახვრეტილთა რეაბილიტაცია მოეთხოვა. სწორედ ამ სანიმუშოდ დამჯერე მკითხველმა ბერიასადმი მთელი თავისი ზიზღი, რომელსაც თურმე ასე დიდიხანს დაატარებდა გულით, საჯაროდ გადმოანთხია. უდავოა, რომ კამპანია საგულდაგულოდაა მომზადებული, წინა ათწლეულებში ხომ უზარმაზარი გამოცდილება

დააგროვეს! გაზეთები აჭრელებლია ტიპიური სათაურებით: "უსაზღვროა ხალხის რისხვა ქვეყნის საზიზღარი მოღალატეების მიმართ"; "საბჭოთა ადამიანები მოითხოვენ უცხოური კაპიტალის აგენტების – ბერიასა და მისი თანამზრახველების – მკაცრად დასჯას"; "არავითარი შებრალება მტერს" და ა.შ. იბეჭდება ე. წ. წარმოების მოწინავეების, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული მუშაკების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა გამოსვლები მრავალათასიან მიტინგებზე. ტკივილამდე ნაცნობია ამ გამოსვლების ლექსიკა, სტილი, შინაარსი – ქვეყანას მსგავსი გაკვეთილი უკვე არაერთხელ ჰქონდა გავლილი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოდან მიღებულ ცნობებს. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი თანამშრომელთა კრებაზე აცხადებს: "ჯაშუშ და მკვლელ ბერიას და მის ხროვას სურდათ შეერყიათ ჩვენი ქვეყნის ხალხთა უსაზღვრო ნდობა და ულრმესი სიყარული უფროსი ძმისა და საიმედო მეგობრის – დიდი რუსი ხალხის მიმართ";

ცნობილ აკადემიკოსს ეხმიანება რუსთაველი მეფოლადე შ. კუხალეიშვილი: "ძნელია სიტყვებით გამოხატო მრისხანება ბერიასა და მისი ბანდის მიმართ. უცხოეთის კაპიტალის დაქირავებულ აგენტებს სურდათ საბჭოთა ხალხისათვის თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრება წაერთმიათ და თავიანთი საზიზღარი მიზნების მისაღწევად არავითარი სისაძაგლის წინაშე არ ჩერდებოდნენ. იუდა ბერიამ საიდუმლო კავშირი დაამყარა ქართველი ერის სისხლიან მტრებთან – უცხოეთის დაზვერვათა აგენტებთან, კონტრრევოლუციონერ მენშევიკ ემიგრანტებთან. ჩვენ მოვითხოვთ ყველაზე ულმობელ სასჯელს ბერიასა და მისი ხროვისთვის".

მამხილებელი ხმები მოისმის რუსეთისა და უკრაინის თვალუწვდენელი სივრცეებიდანაც. ვოროშილოვგრადელი მუშა შკოდა ამბობს: "იუდა ბერია და მისი დამქაშები უცხოელი იმპერიალისტების დახმარებით ცდილობდნენ ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის აღდგენას. ცენტრალურმა კომიტეტმა ამხილა და ჩაშალა ეს გეგმები. მოღალატეები, რომლებმაც უმძიმესი სახელმწიფო დანაშაული ჩაიდინეს, უმკაცრესად უნდა დაისაჯონ..."

სანიმუშო საბჭოთა მოქალაქეების მსგავს ფილიპიკებს თვლა არა აქვს. კედლის გაზეთებით დაწყებული და "პრავდითა" და "იზვესტიით" დამთავრებული თათხავენ, ლაფში ავლებენ, წყევლა-კრულვას უთვლიან პრაქტიკულად ქვეყნის მეორე პირს, რომლის წინაშეც სულ ახლახან ფიანდაზად ეგებოდნენ. ეს ფხიზელი მოქალაქეები, როგორც ის დედაბერი იან ჰუსის დაწვისას, ფიჩხს უმატებენ ინკვიზიციის კოცონს, ახმოვანებენ მათთვის ჩანერგილ აზრს: "მკაცრად დაისაჯონ მოღალატეები, მკვლელები, ჯაშუშები – ბერია და მისი თანამზრახველები!"

ცეკას პლენუმის მასალები საიდუმლოდ ინახებოდა, მაგრამ რა საოცრად ჰგავს ერთმანეთს ხმა ნომენკლატურისა და, როგორც იტყვიან, ხმა ერისა! არაა საჭირო დიდი შორსმჭვრეტელობა, რომ მიხვდე: ეს პროპაგანდისტული თხლე ერთ კასრიდანაა!

მე ღმერთმა დამიცვა იმ თხლით თრობისგან, რადგან მაშინ როცა ბერიას ლიკვიდაცია მოახდინეს (ამ კანცელიარიზმზე უკეთესი სიტყვა ვერ მიპოვია), სკოლაშიც არ დავდიოდი, მაგრამ კარგად მახსოვს, როგორ ხევდნენ მის პორტრეტებს, შავი ტუშით შლიდნენ წიგნებში მის სახელსა და გვარს. უფროსები მას ახსენებდნენ, როგორც "სათვალიანს", "პავლეს ბიჭს" და ა. შ. შორეულ ბავშვურ ხსოვნაში ჯერაც ჟღერენ ჩემი თანამემამულე ლავრენტი ბერიასადმი მიძღვნილი სიმღერები ("ვოდელია, დელია, სქვამას გოთანენია, ვარდო გოპირენია ჩქინ ლავრენტი ბერია..."), სამუშაოზე მიმავალი მეჩაიეები რომ მღეროდნენ. მერე ის სიმღერები უცებ შეწყდა, მიჩუმდა, გაჭქრა. და მეც მთელ საზოგადოებასთან ერთად შევეჩვიე იმ აზრს, რომ ყველა საბჭოთა ურჯულკობაში მარტო ამ კაცს მიუძღოდა ბრალი. და მე, როგორც ქართველი, თავს მისი უკეთური საქმეების უნებურ თანამონაწილედ ვთვლიდი. დღემდე ვერ მომიშორებია პასუხისმგებლობის ის ტვირთი, მარჯვედ ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი აზრის გავლენით რომ ავიკიდე, თუმცა პოეტის თქმისა არ იყოს, "ვიცი, მე არ მაქვს რაიმე ბრალი... და მაინც, მაინც, მაინც..."

როცა ეკრანებზე გამოვიდა ფილმი "მონანიება", გაზეთმა "პრავდამ" დაწერა: კარგია, რომ ფილმი სწორედ ჯალათის სამშობლოში გადაიღეს, რომ ქართველები ინანიებენ გაზრდილის ცოდვებსო. მაგრამ "პრავდა" მართალი არაა! ერს არ ევალება ცალკეულ შვილთა ცოდვების მონანიება, მით უფრო, როცა ეს ცოდვები არც ბოლომდეა გარკვეული და არც ყოველმხრივ შეფასებული!

ერთხელ კიდევ ვიმეორებ: მე სულაც არ მინდა უწმინდურის წმინდანად, ცოდვილის უცოდველად წარმოჩენა. პირიქით, მაინტერესებს საკითხის არსში ჩაწვდომა, მარცვლის ჩენჩოსგან გამორჩევა. "ბერიას საქმე" ხომ სულაც არაა კერძო საქმე! მასში კრემლის ბევრი საიდუმლო იმალება, რომლის გამომზეურებაც ახლებურად წაგვაკითხებდა ისტორიის შერყვნილ ფურცლებს.

ცოდვილია, უსათუოდ ცოდვილია ლავრენტი ბერია და მას არ სჭირდება სხვისი ცოდვები, რადგან საკუთარიც ეყოფა. მათ გასამიჯნად საჭიროა ფაქტები, მონაცემები, უცილო დოკუმენტური მტკიცებანი, ურომლებოდაც სულ ადვილია შეცდე, მრუდე გზას გაჰყვე, დაიბნე ბოლოს და ბოლოს. ასეთი საშიშროების მიუხედავად მინდა ერთი სერიოზული ეჭვი გამოვთქვა. ოფიციალური ვერსიით ლავრენტი ბერია 1953 წლის 26 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე დააპატიმრეს. მაგრამ არც ოქმი, არც სხვა რამ საბუთი, რომ ასეთი სხდომა ნამდვილად შედგა, არქივებში ჯერ-ჯერობით ნაპოვნი არაა. ბერიას დაპატიმრებაზე მრავალი ვერსია არსებობს. რად ღირს მარტო ნიკიტა ხრუშჩოვის მოგონება თუ რა ვაჟკაცურად გაჭაჩა მან უსაშიშრესი ბოროტმოქმედი პირდაპირ პრეზიდიუმის სხდომაზე. საინტერესოა გ. კ. ჟუკოვის, კ. ს. მოსკალენკოს, ი. გ. ზუბისა და სხვათა მოგონებებიც.

ნ. ს. ხრუშჩოვის მოგონებიდან: "თავიდან ბერიას დაპატიმრება ხუთ გენერალთან ერთად დავავალეთ ამხანაგ მოსკალენკოს. ის და მისი შეიარაღებული ამხანაგები კრემლში ბულგანინს უნდა მოეყვანა. იმხანად სამხედროები ვალდებული ივნენ იარაღი კრემლის კომენდატურაში ჩაებარებინათ. სხდომის დაწყების წინ მოსკალენკოს ჯგუფს შეუერთდა მარშალი ჟუკოვი და კიდევ რამდენიმე კაცი. ერთი სიტყვით, *კაბინეტში ხუთის ნაცვლად ათზე მეტი კაცი შემოვიდა.* მალენკოვი რბილად მიმართავს ჟუკოვს: "მე, როგორც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, წინადადებას გაძლევთ დააკავოთ ბერია." ჟუკოვმა უბრძანა ბერიას: "ხელები მაღლა!" მოსკალენკომ და სხვებმა იარაღიც კი იშიშვლეს, იქნებ ბერია რაიმე პროვოკაციაზე წავიდესო. ბერია პორტფელისკენ გაქანდა, რომელიც ზუგსუკან, ფანჯრის რაფაზე ედო. მე ბერიას ხელზე ვეცი, რათა იარაღით არ ესარგებლა, თუკი იგი პორტფელში მართლა ჰქონდა. მერე შევამოწმეთ, მაგრამ არავითარი იარაღი მას არ ჰქონია არც პორტფელში, არც ჯიბეებში. მან უბრალოდ გააკეთა ასეთი რეფლექტუტი მოძრაობა. ბერია მაშინვე დააპატიმრეს და მოათავსეს მინისტრთა საბჭოს შენობაში მალენკოვის კაბინეტის გვერდით." ("ოგონიოკი", №6, 1990. გვ. 30).

საბჭოთა კავშირის მარშალ გ. კ. ჟუკოვის მოგონებიდან: "შევდივართ დარბაზში. ბერია მაგიდის ცენტრში ზის. ჩემი გენერლები გვერდს უვლიან მაგიდას, თითქოს კედელთან დაჯდომას აპირებენო. მე ბერიას უკნიდან ვუახლოვდები და ვუბრძანებ: "ადექით, თქვენ დაპატიმრებული ხართ!" სანამ ბერია ადგომას მოასწრებდა, მე უკნიდან ხელები გადავუგრიხე, ზეავწიე და შევანჯღიე. ვხედავ, მკვდარივით გაფითრებულა, ენა ჩავარდნია. დასასვენებელი ოთახის გავლით იგი გაგვყავს მეორე ოთახში, რომელსაც სათადარიგო გასასვლელი აქვს. იქ მას გენერალური ჩხრეკა მოვუწყვეთ. ჰო, დამავიწყდა. მაშინ, როცა ბერიას ხელები გადავუგრიხე, გვერდებზეც მოვუფათურე, პისტოლეტი ხომ არა აქვს-მეთქი. *ჩვენ ყველას ერთი პისტოლეტი გვქონდა.* მეორე უკვე აღარ მახსოვს, ვის გამოვართვით. ჩვენთვის ხომ არ უთქვამთ, კრემლში რისთვის გამოგვიძახეს. ამიტომაც უიარაღონი მივედით. მაგრამ არც ბერიას წამოუღია თურმე პისტოლეტი. წამომდგარ ბერიას ქაღალდებით გატენილი პორტფელი დავაგდებინე, რომელიც გრძელ პრიალა მაგიდაზე გაცურდა". (წიგნში: "ბერია: კარიერის დასასრული". პოლიტიზდატი, მოსკოვი, 1991. გვ. 282-283).

საბჭოთა კავშირის მარშალ კ. ს. მოსკალენკოს მოგონებიდან: "დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, ესე იგი, 1953 წლის 26 ივნისს, 13. 00 საათზე დათქმული სიგნალი გაისმა და *ჩვენ, ხუთი შეიარაღებული კაცი* ამხ. ჟუკოვთან ერთად სწრაფად შევედით კაბინეტში, სადაც სხდომა მიმდინარეობდა. ამხ. მალენკოვმა გამოაცხადა: "საბჭოთა კანონის სახელით დაპატიმრებულ იქნას ბერია!" *ყველამ იშიშვლა იარაღი,* მე იგი პირდაპირ ბერიას მივუშვირე და ვუბრძანე, ხელები აეწია. ამასობაში ჟუკოვმა გაჩხრიკა ბერია, რის მერეც იგი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დასასვენებელ ოთახში გავიყვანეთ, ხოლო პრეზიდიუმის წევრებმა და წევრობის კანდიდატებმა სხდომა გააგრძელეს. მათთან დარჩა ჟუკოვიც. ეს ყველაფერი ბერიასთვის ისე მოულოდნელად მოხდა, რომ იგი სულ დაიბნა. დაპატიმრებისას მის პორტფელში იდო ერთთავად წითელი ფანქრით აჭრელებული ქაღალდები. "განგაში, განგაში, განგაში," – ეს სიტყვა მათზე მრავალგზის იყო განმეორებული. 26-დან 27 ივნისის ღამეს, დაახლოებით 24 საათზე, სუხანოვის (მალენკოვის თანაშემწის) მეშვეობით მე გამოვიძახე სამთავრობო სიგნალებიანი ხუთი მსუბუქი ავტომანქანა "ზის-110" და გავგზავნე კიროვის ქუჩაზე მდებარე მოსკოვის ოლქის საჰაერო თავდაცვის შტაბში. ამასობაში ჩემი განკარგულებით მოამზადეს ოლქის შტაბის 30 კომუნისტი ოფიცერი ოპერატიული მართვის უფროსის პოლკოვნიკ ერასტოვის მეთაურობით. *ყველა მათგანი შეიარაღეს* და იმ ხუთი მანქანით კრემლში შეუმოწმებლად შემოიყვანეს. მათ მისვლისთანავე შეცვალეს კრემლის შიდა დაცვა, სადაც ბერია პატიმრობაში იყო აყვანილი. შემდგომ ამისა მცველებით გარშემორტყმული ბერია გარეთ გამოვიყვანეთ და "ზის-110"-ის შუა სავარძელზე დავსვით. მასთან ჩასხდნენ შეიარაღებული ბატიცკი, ზუბი და იუფერევი. მე თვითონ წინ, მძღოლის გვერდით დავჯექი. მეორე მანქანაში საჰაერო თავდაცვის ოლქის ექვსი ოფიცერი ჩაჯდა. ამ ორი მანქანით ჩვენ შეუფერხებლად გავლეთ სპასკის ჭიშკარი და ბერია მოსკოვის საჰაერო ძალების ჰაუპტვახტში წავიყვანეთ". (წიგნში: "ბერია: კარიერის დასასრული". გვ. 285-287).

გენერალ-მაიორ ი. გ. ზუბის მოგონებიდან: "როცა ჩვენ შევედით, პრეზიდიუმის ზოგიერთი წევრი ადგილიდან წამოხტა. როგორც ჩანს, დაპატიმრების დეტალები მათთვის უცნობი იყო. ჟუკოვმა ყველანი დააშშვიდა: "ნუ ღელავთ, ამხანაგებო, დასხედით. და ჩვენ სამი მხრიდან მივუახლოვდით ბერიას. როცა ყველა დაწყნარდა, მალენკოვმა თქვა: "ამხანაგებო, გთავაზობთ ერთხელ კიდევ განვიხილოთ ბერიას საკითხი. ე. ი. საუბარი მანამდე უკვე ჰქონიათ. უარი არავის უთქვამს. მალეკოვმა განაგრძო: "ის ისეთი ყალთაბანდია, ისეთი საშიშია, ეშმაკმა იცის, რას იზამს. ამიტომაც იგი დაუყოვნებლივ უნდა დავაპატიმროთ. ყველა დათანხმდა. ბერია გაუნძრევლად იჯდა. *მე ხელში ნაალაფარი "ვალტერი" მეჭირა.* შემიძლია ვთქვა, რომ მართლაც ჩინებულად ვისროდი და ამ მომენტში ხელი არ ამიკანკალდებოდა. მალენკოვის შემდეგ ჟუკოვმა ბეძანება გასცა: "ადექით! მოგვყევით!" (წიგნში "ორთაბრძოლა". მოსკოვსკი რაბოჩი, 1989. გვ. 320).

თუ ამ მოგონებებს გულდასმით წავიკითხავთ, ადვილად შევამჩნევთ არაერთ შეუსაბამობას, რაც ეჭვქვეშ აყენებს მათ სიმართლეს. მაგალითად, ხრუშჩოვის თქმით, კაბინეტში ხუთი კი არა ათზე მეტი კაცი შემოვიდა. მოსკალენკოს თქმით კი – ექვსი. პოლკოვნიკი ზუბი (მაშინ იგი პოლკოვნიკი იყო – ავტ.) მომავალი ოპერაციის შესახებ გაფრთხილებული იყო და კრემლში ნაალაფარი "ვალტერით" გამოცხადდა. ჟუკოვი კი წერს, რომ მთელ ჯგუფს მხოლოდ ერთი პისტოლეტი ჰქონდა, რადგან არ იცოდნენ, რისთვის გამოიძახეს. თუმცა მარშალი იქვე აღიარებს, რომ ინსტრუქტაჟი ჩაუტარეს მალენკოვმა და ბულგანინმა, რომლებსაც ესეც არ დავიწყნიათ ეთქვათ: "ბერია ფიზიკურად ძლიერია, იცის "ჯიუ-ჯიცუს" ხელჩართული ბრძოლის ილეთები". ჟუკოვის მონაყოლიდან, თუკი ის სიმართლეა, გამოდის, რომ მან გადაუგრიხა ხელები ბერიას. ხოლო თუ მივმართავთ ხრუშჩოვის

მემუარებს, იგი ეცა ბერიას ხელზე, რათა მას იარაღი არ ეხმარა. ჟუკოვის თქმით, იგი მიუახლოვდა ბერიას უკნიდან და უბრძანა: "ადექით, თქვენ დაპატიმრებული ხართ!" მოსკალენკო იფიცება, იარაღი ბერიას პირდაპირ მივუშვირე და ვუბრძანე, ხელები მაღლა-თქო! "ბატიცკიმ გააშიშვლა თავისი "პარაბელუმი", იუფერევმა "ტტ", – წერს ანტონოვ-ოვსეენკო. იგი გვარწმუნებს, რომ ბერია გაჩხრიკა იუფერევმა ("იუფერევის ხელისგულები ჩამოცურდა დაპატიმრებულის ჯიბეზე"). როგორც ვხედავთ, სამხედროები, რომლებსაც მთელი რუსულ-გერმანული არსენალი ჰქონიათ ხელთ, რიგრიგობით ჩხრეკდნენ თურმე სახელმწიფო უშიშროების უიარაღო მარშალს. როგორ გავიგოთ ასეთი კითხვათსხვაობა არც თუ შორეული ამბავის გადმოცემისას? ეს მოგონებანი ხომ მოვლენათა ცხელ კვალზე, 25-30 წლის წინათ იწერებოდა!.. როგორც არ უნდა უყურებდნენ დღეს ლავრენტი ბერიას, თავის დროზე იგი გამოჩენილი პოლიტიკური ფიგურა იყო და მისი დაპატიმრება, თუკი ასეთი რამ მართლაც მოხდა, კარგად უნდა დამახსოვრებოდათ მის მონაწილეებს. საქმე ხომ რიგით სისხლის დამნაშავეს კი არა პოლიტბიუროს წევრს, ქვეყნის პირველ ვიცე-პრემიერს, შინაგან საქმეთა მინისტრს ეხება, რომელსაც შიშველი ხელებით მართლა ვერ აიყვან. აქ კი ამდენი ვარიაციაა მოცემულ თემაზე!

ცნობილია მხოლოდ იმავე პრეზიდიუმის მიერ 29 ივნისს მიღებული დადგენილება "ბერიას დანაშაულებრივი ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებების გამოძიების შესახებ". ხომ არ მეტყველებს ეს სერგო ბერიას სასარგებლოდ, რომელიც ამტკიცებს, რომ 26 ივნისს პრეზიდიუმის სხდომა არ ჩაუტარებიათ, ხოლო მამამისი მოკლეს საკუთარ სახლში? თუ ეს ასეა, მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პრეზიდიუმის წევრებმა, რომლებმაც აკურთხეს პირველი ვიცე-პრემიერის მკვლელობა, სამდღიანი დაბნეულობის შემდეგ ყალბი დადგენილება მიიღეს. შემდეგ კი... შემდეგ კი გაითამაშეს ტრაგიკომედია სრული მოცულობით – ძიება... სასამართლო... განაჩენი... დახვრეტა. მერე რა, რომ პიესა იქმნებოდა ჰაი-ჰარად, ექსპრომტად, მრავალი დრამატურგიული ხარვეზით, უხეირო მონოლოგებითა და რეპლიკებით, რომლებიც სრულიად საწინააღმდეგო რამეებს ადასტურებენ! მთავარია თვით ამ თვალთმაქცური სახიობის ჩვენება, სადაც თითოეული მონაწილე საკუთარი ინტელექტისა და აქტიორული ნიჭის შესაბამისად თამაშობს მოტყუებულ მდაბიოს, რომელიც ვერ გაერკვა თუ ვის გვერდით ცხოვრობდა და მუშაობდა 15 წლის მანძილზე. უკლებლივ ყველანი ნიანგის ცრემლებს ღვრიან და თავს იდანაშაულებენ, რომ სტალინის უახლოეს თანამებრძოლში ვერ შენიშნეს უსაშიშრესი ბოროტმოქმედი, სოციალისტური სისტემის დაუძინებელი მტერი.

"თანამებრძოლთა საიდუმლო სერობაზე" სეფე-სიტყვა წარმოთქვა გიორგი მალენკოვმა, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ სწორედ ლავრენტი ბერიას წინადადებით დაინიშნა. გუშინდელი მეგობარი მან დაახასიათა, როგორც დანაშაულებრივად გახრწნილი პიროვნება, რომელიც ხელმძღვანელი ლენინურ-სტალინური კოლექტივის დაქსაქსულობას, ცეკას ერთიანობისთვის ძირგამოთხრას და სახელმწიფო აპარატის შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის დაქვემდებარებას ელტვოდა.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ თავის პირველ მოადგილეს ბრალად დასდო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაშლის მცდელობა. მან აღიარა ნახევარი მილიონი გერმანელის "სოციალისტური სამოთხიდან" "კაპიტალისტურ ჯოჯოხეთში" გაქცევის ფაქტი და დაასკვნა, რომ საბჭოთა ჯარების გარეშე იქაურ რეჟიმს დიდხანს სიცოცხლე არ უწერია. ბერია კი, მისი სიტყვებით, "გერმანიის საკითხის განხილვისას გვთავაზობდა არა სოციალიზმის მშენებლობის დაჩქარებული კურსის შესწორებას, არამედ გდრ-ში სოციალიზმის ნებისმიერი კურსის უარყოფასა და ბურჟუაზიულ გერმანიაზე სწორებას."

როგორც ისტორიამ დაგვიდასტურა, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალისტური იდეა ვერ გადაარჩინა ვერც საბჭოთა ჯარებმა, ვერც ბერლინის კედელმა, ვერც ულბრიხტისა და ჰონეკერის ძალისხმევამ, თვით ლტოლვითა დახვრეტამაც. მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა სამშობლომ აირჩია განვითარების ცივილიზებული, ადამიანური გზა და ხელოვნურად გაყოფილი საკუთარი მიწები გააერთიანა. ის, რაც თავის დროზე ვერ განახორციელა ლავრენტი ბერიამ, განახორციელეს მიხეილ გორბაჩოვმა და ედუარდ შევარდნაძემ.

ლავრენტი ბერიამ, როგორც პრაგმატულმა და საღად მოაზროვნე პოლიტიკოსმა, ეტყობა, სხვებზე ადრე შეიგნო უდღეური საბჭოთა სახელმწიფო მოდელის ძალით გავრცელების უაზრობა, მაგრამ ორთოდოქსი მარქსისტების ხელში მის გაბედულ რეფორმებს ასრულება არ ეწერა.

დღეს ხშირად წერენ ბერიასეულ გადაწყვეტილებათა მახვილგონიერებასა და ლოგიკურობაზე, რაც თანამედროვეთა მოწონებას და მხარდაჭერას იმსახურებდა. ამასწინათ მოსკოვიდან ერთი საინტერესო ბროშურა მივიღე, რომლის გამომცემელია რუსეთის სამეცნიერო ცენტრი "კურჩატოვის ინსტიტუტი". იქ დაბეჭდილია აკადემიკოსების ი. ბ. ხარიტონისა და ი . ნ. სმირნოვის მოხსენება: "საბჭოთა ატომური და ბირთვული პროექტების გარშემო არსებული ზოგიერთი მითისა და ლეგენდის შესახებ", რომელსაც ასეთი წარწერა ამშვენებს: "პატივცემულო რაულ შალვას ძევ! დიდი ინტერესით წავიკითხე თქვენი ნაშრომი და ყურადღება მივაქციე მთელ რიგ მნიშვნელოვან გარემოებას. როგორც ხედავთ, იული ბორისის ძე და მეც შევეხეთ ამ საკითხს. საუკეთესო სურვილებით აკად. იური სმირნოვი. 07.04.93.."

აი, რას წერენ გამოჩენილი აკადემიკოსები: "ცნობილია, რომ თავდაპირველად საბჭოთა ატომურ პროექტს ვ. მ. მოლოტოვი ხელმძღვანელობდა. მისი ხელმძღვანელობის სტილი და, შესაბამისად, შედეგები, განსაკუთრებული ეფექტურობით არ გამოირჩეოდა, რის გამოც ი. ვ. კურჩატოვი თავის უკმაყოფილებას არ მალავდა. ატომური პროექტის ბერიას ხელში გადასვლის შემდეგ სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. თუმცა პ. ლ. კაპიცა, რომელიც პირველ ხანებში ატომური ბომბის საკითხებში განსაკუთრებული კომიტეტისა და ტექნიკური საბჭოს მუშაობაში მონაწილეობდა, სტალინისადმი გაგზავნილ წერილში ახალი ხელმძღვანელის მეთოდებს მკვეთრად უარყოფითად გამოეხმაურა. ბერიამ ყველა საპროექტო სამუშაოს სწრაფად მიანიჭა საჭირო გაქანება და დინამიზმი. ეს ადამიანი,

რომელიც ქვეყნის უახლეს ისტორიაში ბოროტების განსახიერებად ითვლება, ერთდროულად უზარმაზარი ენერგიისა და შრომითი უნარის პატრონი იყო. ჩვენს სპეციალისტებს, რომლებსაც მასთან ურთიერთობა უხდებოდათ, არ შეეძლოთ არ შეენიშნათ მისი გონება, ნებისყოფა და მიზანდასახულობა. ისინი დარწმუნდნენ, რომ ბერია ბრწყინვალე ორგანიზატორია, რომელსაც საქმის ბოლომდე მიყვანა შეუძლია. იქნებ პარადოქსალურად მოგვეჩვენოს, მაგრამ ბერია, რომელიც ზოგჯერ უხეშობასაც არ ერიდებოდა, საჭიროების შემთხვევაში თავაზიანი, ტაქტიანი და უბრალოდ ნორმალური ადამიანი იყო. შემთხვევით როდი შეჰქმნია ბერიასთან შეხვედრებისგან კარგი შთაბეჭდილება საბჭოთა კავშირში მომუშავე გერმანელ სპეციალისტ ნ. რილს. მის მიერ ჩატარებული თათბირები იყო საქმიანი, მუდამ შედეგიანი და სხარტი. ბერიას მოულოდნელი და არასტანდარტული გადაწყვეტლებების ოსტატად იცნობდნენ. მის აპარატში მომუშავე გენერალ ა. ს. ალექსანდროვს, რომელიც მერე პირველ მთავარ სამმართველოში ბ. ლ. ვანნიკოვის მოადგილედ, ხოლო მოგვიანებით "არზამასი-16"-ის უფროსად დანიშნეს, დამახასიათებელი ეპიზოდი დამახსოვრებია. პოლიტბიურომ გადაწყვიტა ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატი, რომელსაც ვ. ვ. ვახრუშევი ხელმძღვანელობდა, ორად გაეყო. ერთი მოემსახურებოდა ქვეყნის დასავლეთ რაიონებს, მეორე – აღმოსავლეთს. ვარაუდობდნენ, რომ მათ სათავეში ჩაუდგებოდნენ შესაბამისად ვახრუშევი და ონიკა. გაყოფა ბერიას დაავალეს. წარმოსადგენია, რა გაწამაწიას გამოიწვევდა მსგავსი პროცედურა ჩვეულებრივი ბიუროკრატიული მიდგომისას. ბერიამ გამოიძახა ორივე პრეტენდენტი და მეგობრულად მორიგება შესთავაზა. მიცემული დრო რომ ამოიწურა, კვლავ მოიხმო ორივე და ჯერ ვახრუშევს, რომელსაც დასავლეთის რაიონებისთვის უნდა ეხელმძღვანელა, ჰკითხა, პრეტენზიები ხომ არა გაქვსო. მან მიუგო, პრეტენზიები არა მაქვს, ყველაფერი სწორად გავყავითო. მაშინ ბერიამ ონიკას მიმართა, თქვენ რას იტყვითო. ონიკა გაჯიქდა, მე მაქვს პრეტენზიები, საუკეთესო კადრები ვახრუშევმა წაიყვანა, საუკეთესო სანატორიუმები და დასასვენებელი სახლებიც მას ერგოო. მაშინ ბერიამ ასე განსაჯა: რაკი ვახრუშევს მიაჩნია, რომ ყველაფერი სწორად გაჰყვეს, ხოლო ონიკა ამას უარჰყოფს, ვახრუშევი იქნება აღმოსავლეთის, ხოლო ონიკა დასავლეთის რაიონების კომისარი. და თათბირი ამით დაამთავრა..."

მსგავსი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება, მაგრამ დავუბრუნდეთ დაწყებულ თხრობას. მალენკოვმა ეჭვქვეშ დააყენა 1953 წლის 27 მარტს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარდგინებით მიღებული სსრკ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება, რომელიც მილიონზე მეტი პატიმრის განთავისუფლებას ითვალისწინებდა. მისი აზრით, ბერია ამ "ღონისძიებას მავნებლური გულსწრაფობით ახორციელებდა და ისეთი კონტიგენტიც მოიცვა, რომელთა განთავისუფლება საჭირო არ იყო. მაგალითად, სულაც არ უნდა გამოგვეშვა ქურდი-რეციდივისტები" (მალენკოვის ეს აზრი აქტიურადაა გატარებული "გარდაქმნის" პერიოდის რუსულ ფილმში "ორმოცდაცამეტი წლის ცივი ზაფხული").

ვერაფერს იტყვი, რკინისებური ლოგიკაა: ბერია სულ სხვა ხალხს იჭერდა და სულ სხვას ათავისუფლებდა! მერე რა, რომ დუმილითაა გვერდი ავლილი ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტებისთვის, როგორიცაა მის მიერ "გულაგის" უზარმაზარი სისტემის იუსტიციის სამინისტროსთვის დაქვემდებარება, ქვეყნის 340 ქალაქში საპასპორტო რეჟიმის გაუქმება, მთელი რიგი აშკარად შეთითხნილი "საქმეების" გადახედვა და აშ. მოკლე პოსტსტალინურ პერიოდში ბერიას მოღვაწეობის გაანალიზებისას მიდიხარ იმ დასკვნამდე, რომ იგი დამყაყებული ბიოროკრატიული სისტემის გადახალისებას ცდილობდა. მას მართლაც უნდოდა განუსაზღვრელი ძალაუფლების მქონე პარტიულ ხელმძღვანელებზე კონტროლის დაწესება. მათ კი მიაჩნდათ, რომ ხელისუფლების მწვერვალზე მხოლოდ ცენტრალური კომიტეტი უნდა დარჩენილიყო.

ნებისმიერ გამოსვლას შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე შიში მსჭვალავს. აღნიშნავენ, რომ ეს ორგანო დიდი ხანია დამოუკიდებლად მოქმედებს, არ ემორჩილება არც ცეკას, არც მთავრობას. სინამდვილეში ესაა შიში პირადად ლავრენტი ბერიას წინაშე, რომელსაც კრემლის კაბინეტებიდან დრომოჭმული "სამეფო ამალის" გამოყრა განუზრახავს. პოლიტბიუროს ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა წევრი, ჭკვიანი, ენერგიული და გაქნილი პირველი ვიცე-პრემიერი და შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც უზარმაზარ ინფორმაციას ფლობდა ყველასა და ყველაფერზე, თანაც აკონტროლებდა მილიონიან შეიარაღებულ ძალებს, ქვეყანას აზანზარებდა.

აშკარად სტყუოდა მალენკოვი, როცა ამბობდა: "კიდევ კარგი, რომ მხოლოდ სამი თვე დაგვჭირდა ავანტიურისტის ჭეშმარიტი სახის დასადგენად..." მალენკოვისა და მისი კოლეგებისთვის მშვენივრად იყო ცნობილი ბერიას ჭეშმარიტი სახე. სამი თვე ის დროა, რომელიც მათ შეთქმულების მოსაწყობად დასჭირდათ. ნიკიტა ხრუშჩოვი არ მალავდა, რომ ჯერ კიდევ სტალინის ავადმყოფობის დღეებში ბულგანინთან ერთად განიხილავდა უმაღლეს ხელისუფლებაში ძალთა განლაგების საკითხს და სწორედ მაშინ საუბარი ჰქონდათ ლავრენტი ბერიას, როგორც აშკარა ფავორიტის, თავიდან მოშორებაზე. შეთქმულების სამი თვით დაყოვნებას ხრუშჩოვი იმით ხსნიდა, რომ "მთავრობის შემადგენლობის განხილვისას გამოსვლა და ბერიაზე საკუთარი აზრის გამოთქმა ნაადრევი იქნებოდა. ასეთი გამოსვლა შეიძლებოდა არასწორად გაეგოთ".

ცბიერობს, როგორც ყოველთვის, ნიკიტა სერგეევიჩი. მსგავსი გამოსვლა იმ მომენტში უბრალოდ წარმოუდგენელი იყო. ჯერ ერთი, საამისოდ მას აშკარად არ ეყოფოდა ვაჟკაცობა (მან მხოლოდ მიცვალებულებთან ბრძოლაში გამოიჩინა "გმირობა"), მეორეც, მხარს არავინ დაუჭერდა და თავს წააგებდა.

ხრუშჩოვის გამოსვლებიდან ცნობილია თუ როგორ გარბოდა იგი პრეზიდიუმის წევრებთან და არწმუნებდა მათ ბერიას მოსპობის აუცილებლობაში. მას ძლიერი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა, სანამ კოლეგებისგან თავისი ბნელი ზრახვის აღსრულებაზე თანხმობას მიიღებდა.

მალენკოვისა და ხრუშჩოვის მამხილებლური პათოსით აღგზნებული მომდევნო ორატორები იხსენებდნენ ბერიას გამცემლობებს, ახასიათებდნენ მას, როგორც პირწავარდნილ მტერსა და გადაგვარებულ პიროვნებას.

"ახლა, როცა მხილებულია მოღალატის თახსირი სახე, სიცბიერის, სივერაგისა და სისასაძაგლის სინონიმად იქცევა ბერიას სახელი," – განაცხადა ზ. ნ. კეცხოველმა, რომელიც საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ სწორედ ბერიამ დაანიშვნინა.

კეცხოველმა ათიანში მოარტყა. პლენუმი მიეძღვნა ამაზრზენი მონსტრის სიტყვიერი პორტრეტის გამოძერწვას, რომელიც დანთქმით ემუქრებოდა მთელ კომუნისტურ სისტემას.

მე არ შევუდგები ამ "მძერწავთა" პალიტრისა და გამომსახველობითი საშუალებების შეფასებას – ისინი მთლიანად შეესაბამება სოციალისტური რეალიზმის საუკეთესო ტრადიციებს, – დავუსვამ მხოლოდ საპირისპირო კითხვებს მათ, ვინც ერთი შეხედვით მომაკვდინებელი ბრალდებები წაუყენა ბერიას.

დავიწყებ ხრუშჩოვიდან. პლენუმზე მან დაადასტურა, რომ ბერია გამორიცხავდა პარტიის ხელმძღვანელ როლს. მან გაიხსენა უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე რაკოში, რომელსაც საბჭოთა ლიდერებისთვის ცეკასა და მთავრობის უფლებამოსილებათა გამიჯვნაში დახმარება უთხოვია. ბერიას აგდებულად უთქვამს: ცეკა ვინ ოხერია, ყველაფერი მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტოს, ცეკამ კი კადრებსა და პროპაგანდას მიხედოსო.

რითი არა ჰგავს ეს დემოკრატი დეპუტატის გამოსვლას საკავშირო ყრილობაზე, როცა კონსერვატორ კომუნისტებთან უსასტიკეს ორთაბრძოლაში წყდებოდა სსრ კავშირის კონსტიტუციის VI მუხლის ბედი?

საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრის მოადგილე ა. პ. ზავენიაგინი ამტკიცებდა: "ბერიას ეზიზღებოდა პარტია, არად აგდებდა პარტიის ხელმძღვანელებს..."

როგორ აღვიქვათ ეს დახასიათება დღეს, როცა შეუდარებლად მეტი ვიცით კომუნისტურ პარტიაზეც და მის ხელმძღვანელებზეც?

სკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ა. ა. ანდრეევი წუხდა, რომ ლავრენტი ბერიას გავლენით 1953 წლის 9 მაისს მიღებულ იქნა მავნე დადგენილება, რომელშიც აღნიშნული იყო: "უარი ითქვას სახელმწიფო დღესასწაულებში დემონსტრანტთა კოლონების, აგრეთვე წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შენობების პარტისა და მთავრობის ხელნძღვანელთა პორტრეტებით გაფორმებაზე."

მას იქვე მიახარეს, რომ ეს არასწორი დადგენილება უკვე გაუქმებულიაო. ა. ა. ანდრეევი დარწმუნებული იყო, რომ სწორედ ბერიას ფარული მითითებით პრესაში უცებ გაჰქრა იოსებ სტალინის ხსენება და ამოტივტივდა პიროვნების კულტის თემა. იგი არ დაეთანხმა ზავენიაგინს, რომელმაც ბერიას ბეცი უწოდა. ანდრეევის თქმით, "ბერია იყო ჭკვიანი და მეტად ვერაგი მტერი. ასე რომ არ ყოფილიყო, მას დიდი ხნით ადრე ამხელდნენ, მან კი ნახეთ, რამდენ ხანს გასძლო!"

ბერიას სივერაგე "გამოააშკარავა" ლაზარე კაგანოვიჩმაც. თურმე მას შემდეგ, რაც უმაღლესმა მხედართმთავარმა წარმოსთქვა "დიდი რუსი ხალხის შესანიშნავი სადღეგრძელო", ბერიამ არ აიტაცა იგი და მხოლოდ გაკვრით ახსენა რუსი ხალხი. პარტიის ეროვნული პოლიტიკის იდეურად გაშუქების ნაცვლად მან მლიქვნელური ხოტბა აღუვლინა მოკავშირე რესპუბლიკებს.

ვინ იტყვის, რომ რუსმა ხალხმა დიდი როლი არ შეასრულა ფაშიზმზე გამარჯვებაში? მაგრამ თუკი ბერიამ თუნდაც გაკვრით სცადა ბელადის მიერ აშკარად გადამლაშებული სადღეგრძელოს გამოსწორება, განა ამაში შეიძლება სივერაგე დავინახოთ? განა ეს რადაც არ უნდა დაჯდეს თეორის შავად გასაღების მცდელობა არაა?

მიაქციეთ ყურადღება: ყოფილი კოლეგები და თანამებრძოლები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, გვერდს უვლიან რეპრესიების სფეროს, რაც ჩვენს წარმოდგენაში მეტწილად ბერიას სახელთანაა დაკავშირებული. ეს კი იმიტომ ხდება, რომ თემა ძალიან საჩოთიროა და თითქმის ყველა დამსწრის საქმიანობას ეხება. ბერიას აბრალებენ სახელმწიფო კონსტიტუციური წყობის ნგრევას, მისი იდეოლოგიური საფუძვლებისთვის ძირის გამოთხრას, მტრულ დაზვერვებთან დანაშაულებრივ ალიანსს, ქვეყნის შიგნით ეროვნებათშორისი მტრობის გაღვივებას და ა.შ. ბრალდებები მასშტაბური და შთამბეჭდავია და მათ ერთადერთ დასკვნამდე მივყავართ: ასეთი კაცი სიბრალულის ღირსი არაა!

"მოსამართლენი" მორცხვად აღიარებენ: "ჩვენ გვაქვს ნაკლოვანებები და შეცდომები, რომლებსაც ვამხელთ კრიტიკისა და თვითკრიტიკის წესით, მაგრამ ჩვენ სუფთა სინდისით გამოვდივართ ცეკას წევრების წინაშე" (ლ. კაგანოვიჩი).

შესანიშნავი პარტიული პოზიციაა: ერთი და იგივე ნაკლოვანებებისა და შეცდომებისთვის (თუ შეიძლება ასე ეწოდოს ბოლშევიკურ განუკითხაობებს) თვითონ კრიტიკითა და თვითკრიტიკით შემოიფარგლო, სხვას კი თავი წააცალო!..

ისინი საკირკიტოს ეძებენ, ფიქრობენ, კიდევ რა დანაშაული გამოუძებნონ მსხვერპლს.

"საჭიროა კარგად შევისწავლოთ მისი ბიოგრაფია, მისი წარსული, რათა სრულად შევიგნოთ მისი ბილწი მოღალატური როლი... ჩვენ ცოტა ყურადღებას ვაქცევდით მის ბიოგრაფიას. ახლა მას სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ" (ვ. მ. მოლოტოვი).

ბერიას ბიოგრაფიის ის მონაკვეთი, რომელიც მათ ერთობლივ საქმიანობას ემთხვევა, "მოსამართლეებს" არ აინტერესებს. ასე წინდაუხედავად შესაძლოა თანამზრახველთა შორის აღმოჩნდე. განწირულის ჩეკისტურ-პარტიული კარიერა ხომ სახელმწიფოს ხელმძღვანელთა თვალწინ, მათთან მჭიდრო კავშირსა და თანამშომლობაში იქმნებოდა!

დღეს მხოლოდ მწარე ღიმილს იწვევს მოლოტოვის რეპლიკა: "ბერიას სახით ჩვენ გვყავდა კაცი, რომელსაც საერთო არაფერი აქვს ჩვენს პარტიასთან, ესაა ბურჟუაზიული ბანაკის კაცი, საბჭოთა კავშირის მტერი." მოლოტოვს, რა თქმა უნდა, შეეძლო თავი საბჭოთა კავშირის მეგობრად ჩაეთვალა, თუკი გავიხსენებთ მის

მიერ რიბენტროპთან ხელმოწერილ პაქტს ევროპის გადანაწილების თაობაზე (ეს პაქტი, რომლის არსებობასაც ჯიუტად უარჰყოფდნენ პარტიისა და სახელმწიფოს მეთაურები, თურმე ნახევარი საუკუნე იდო სკპ ცენტრალური კომიტეტის სპეციალურ საქაღალდეში. როგორც პრესამ გვაუწყა, იგი სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ხელში სჭერია ა. ა. გრომიკოს. მას უსათუოდ იცნობდა გორბაჩოვიც, თუმცა სახალხო დეპუტატთა ყრილობებზე, სადაც არაერთხელ წამოჭრილა ყბადაღებული პაქტის საკითხი, იგი დუმდა).

განა უცნაური არაა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომლის პირდაპირი სამსახურებრივი მოვალეობაა სხვადასხვა სახელმწიფოებთან მყარი დიპლომატიური ურთიერთობების უზრუნველყოფა, შინაგან საქმეთა მინისტრი იუგოსლავიასთან კავშირის აღდგენაში დაადანაშაულა?

მოლოტოვი ამბობდა: "მარტო ეს ფაქტი საკმარისია, რომ დავასკვნათ: ბერია უცხო ბანაკის აგენტია, კლასობრივი მტრის აგენტია."

თქვენ როგორ იტყვით, პატივცემულო მკითხველო, საკმარისია "მხოლოდ ეს ერთი ფაქტი?" მით უმეტეს, რომ სულ მალე, როგორც ბერია ვარაუდობდა, იუგოსლავია საბჭოთა კავშირის მეგობართა რიცხვს შეემატა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ი. მირცხულავამ ლავრენტი ბერიას ბრალი დასდო ყოფილი მენშევიკების მფარველობაში, რომლებსაც მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავათ.

"მე ვაცნობე ბერიას, – ამბობდა იგი, - რომ გზათა უფროსად საქართველოში მუშაობს კიკნაძე – ყოფილი მენშევიკი. პასუხად კი მივიღე:

– ის კარგი მეურნეა.

– ის კარგი მეურნეა, მაგრამ უპარტიოა.

– ის არასოდეს გახდება პარტიული, მაგრამ მეურნე კი კარგია. დაანებეთ მას თავი, თორემ ყველაფერი ჩაგიფლავდებათ."

რა უფრო მთავარია: პარტიულობა თუ საკუთარი საქმის უზადოდ კეთება? ნუთუ აქ კომენტარი საჭიროა?

მენშევიკებისადმი სიმპათიას სწამებდნენ ლავრენტი ბერიას სხვა გამომსვლელებიც, კერძოდ, უთითებდნენ მის კავშირზე "იმპერიალისტების ჯაშუშთან, ამერიკელების მზვერავ" ე. პ. გეგეჭკორთან, რომელიც 1918-1921 წლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, ხოლო 1921 წლიდან ემიგრაციაში იმყოფებოდა.

საინტერესოა, რას იტყოდნენ ის ბრალმდებლები დღეს, როცა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი სიმბოლიკა – დროშა, გერბი, ჰიმნი – მენშევიკურია? როცა "გარდაქმნისა" და "ახალი აზროვნების" ერთ-ერთმა მამამ ედუარდ შევარდნაძემ აღადგინა მენშევიკური საქართველოს მივიწყებული კონსტიტუცია?

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. ი. კირიჩენკოს მტკიცებით ბერიას სურდა პარიზიდან დაებრუნებინა თეთრგვარდიელები, ჩამოეყვანა მსოფლიოში მიმოფანტული დასავლეთუკრაინელი ემიგრანტები.

როცა უკვე კვლავ სანკტ-პეტერბურგად ქცეულ ლენინგრადში განსაკუთრებული პატივით მარხავენ (მანამდე კი საზეიმო მიღებას უწყობენ!) რომანოვთა სამეფო სახლის მეთაურს დიდ მთავარს ვლადიმერ კირილოვიჩს, ხოლო თითქმის ნახევარი რუსეთი თეთრგვარდიელთა ფორმით დადის, როცა უკრაინამ საბოლოოდ უკუაგდო ყალბი დოქტრინა უკრაინული ბურჟუაზიული ნაციონალიზმის შესახებ და ეროვნულ ფორუმზე იწვევს თავის უწინ უარყოფილ შვილებს, როგორ შევაფასოთ ლავრენტი ბერიას ზემოთხსენებული განზრახვა?

კირიჩენკო თავის ბელორუს კოლეგა ი.ს. პატოლიჩევთან ერთად ჩიოდა, რომ ბერიას, რომელიც ხალხთა დიადი მეგობრობის მოშლას ესწრაფვოდა, დასავლეთ უკრაინასა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში (და არა მარტო იქ!) მხოლოდ ეროვნული კადრების დატოვება უნდოდა. ეს ბოროტი ჩანაფიქრი, ბუნებრივია, რუსი სპეციალისტების დისკრედიტაციას ითვალისწინებდა და, ამდენად, დაგმობის ღირსი იყო.

ჯანდაბას, მაშინ ასე ეჩვენებოდათ, მაგრამ დღეს, საბჭოთა იმპერიის დაშლის მერეც, ნუთუ ამ "ბოროტ ჩანაფიქრში" ვერ ვამჩნევთ ჭეშმარიტების მარცვალს? ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ე. წ. რუსულენოვანი მოსახლეობის პრობლემა და ათასი ჯურის ინტერფრონტები ხომ იმ უხეში ეროვნული პოლიტიკის შედეგია, რომელსაც ახორციელებდა პარტია და რომლის წინააღმდეგაც ილაშქრებდა თურმე ლავრენტი ბერია!

იმავე კირიჩენკომ, მირცხულავამ და სხვებმა გაიხსენეს, რომ ბერიას კულტურის დარგში ეროვნული ორდენების დაწესება უნდოდა. თითქმის მზად იყო რუსთაველის, შევჩენკოს და ა,შ. ორდენთა ესკიზები. თვით ეს კეთილშობილი იდეაც ბერიას მავნებლობად ჩაუთვალეს, აქაოდა, რესპუბლიკებში ნაციონალისტური გრძნობების გაღვივებას ცდილობდაო.

საკითხავია, რატომ მოგვიანებით არავინ დაგმო მაქსიმ გორკის, შოთა რუსთაველის, ტარას შევჩენკოს, აბაისა და სხვათა სახელობის სახელმწიფო პრემიების დაწესება, რაც, კაცმა რომ თქვას, ადრე დაგმობილი იდეის ხორცშესხმა იყო? თუ ეგზომ დიდი განსხვავებაა ეროვნულ ორდენსა და ეროვნულ პრემიას შორის? (სხვათა შორის, ახლადდაწესებული შევჩენკოს პრემიის პირველი ლაურეატი გახდა არა სხვა ვინმე, არამედ "ძვირფასი ნიკიტა ხრუშჩოვი").

პლენუმის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ ბერია ორგანოებიდან აძევებდა პარტიულ მუსაკებს, რაც თავისთავად სიმართლე იყო, მაგრამ არავის უთქვამს, რომ ისინი არაპროფესიონალები და ცეკას ჯაშუშები იყვნენ. ბერიამ იცოდა, ვინ უნდა მოეშორებინა თავიდან.

კირიჩენკომ განაცხადა: "ბერიამ და სხვადასხვა ჯურის მუშაკებმა წარმოიდგინეს, რომ მათ ყველაფერი ხელეწიფებათ, რომ მათ ყველაფრის ნება აქვთ. რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო მათი სამფლობელოა და არა პარტიის ორგანო!"

როგორია – შინაგან საქმეთა სამინისტრო – პარტიის ორგანო? გაისმოდა სხვა ბრალდებებიც. იგივე ზავენიაგინი მოახსენებდა პლენუმს: "ამხ. სტალინის სიკვდილის შემდეგ ლ. ბერიამ განსაკუთრებით შესამჩნევად დაიწყო ყაირათიანობის თამაში. ამერიკელები აშენებენ ფეთქებადი ატომური ნივთიერების ახალ დიდ ქარხნებს, რაზეც უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ. როცა ჩვენ წამოვჭრიდით საკითხს ახალი მშენებლობის შესახებ, ბერია პროტესტს აცხადებდა: "ეშმაკსაც წაუღიხართ, თქვენ ბევრ ფულს ხარჯავთ, ჩაეტიეთ ხუთწლედში!"

ვინ იცის, საბჭოთა ეკონომიკა იქნებ იმიტომ დაიწრიტა და დაკნინდა საბოლოოდ, რომ შემდგომში არავინ იყო შემძახებელი: ეშმაკსაც წაუღიხართ, ბევრ ფულს ხარჯავთო! ქვეყანა ხომ კვლავაც განაგრძობდა გამალებულ შეიარაღებას, მაგრამ ამერიკას მაინც ვერ დაეწია, ვერ გაუძლო მის ეკონომიკურ და იდეოლოგიურ პრესინგს. საბოლოოდ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: საბჭოთა კავშირმა ამერიკასთან უაზრო შეჯიბრში განუტევა სული.

თუ ვირწმუნებთ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. მ. ანდრიანოვის მტკიცებას, რომ ბერიას "ჩვენი პარტიის იდეოლოგიური საფუძვლის – მარქსიზმის ამერიკანიზმით შეცვლა სურდა", უნდა ვაღიაროთ, რომ სწორედ ლავრენტი ბერიაა და არა ვინმე სხვა დსთ-ს ახლადმოვლენილ რეფორმატორთა იდური მამა.

ზნეობრივი თვალსაზრისით (თუმცა პლენუმზე ზნეობა არც გაჭაჭანებულა) განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ბერიას სიჭაბუკის მეგობრის ანასტას მიქოიანის გამოსვლამ. მთელი თავისი მამხილებლური პათოსის მიუხედავად მან ვერ უარჰყო, რომ "ბერიას დადებითი მუშაობის ბევრი ფაქტი" არსებობდა, მაგრამ იქვე დასძინა, რომ ამით უარყოფითი ფაქტები იჩქმალებოდაო. იგი მაამებლურად მიემხრო მალენკოვს, ხრუშჩოვს, მოლოტოვსა და ბულგანინს, რომლებმაც "გამჭრიახობა გამოიჩინეს და გმირობა ჩაიდინეს, რომლის წყალობითაც ერთი ხელის მოსმით მოსპეს ეს ავანტიურისტი." მიქოიანი უმეცრის გულუბრყვილობით მსჯელობდა ბერიას მუსავატისტებთან თანამშრომლობაზე: აქაოდა, ადრე იგი მათთან კიროვის შემოგზავნილი მეგონა, მაგრამ ამჟამად ამაში ეჭვი მაგრად შემეპარაო. მხილებებით გართული მიქოიანი შეეცადა სწორედ ბერიას სივერაგით აეხსნა ჩავარდნები სსრ კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობაში, რომლის მინისტრიც თვითონ იყო. თავის "მამხილებლურ" გამოსვლაში მან ისე ღრმად შეტოპა, რომ ხრუშჩოვი იძულებული გახდა მისთვის რეპლიკა ესროლა: "შესაძლოა შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ვისხედით და ვთრთოდით მის წინაშე. ყოფილა არა ერთი შემთხვევა, როცა მისთვის სიფათში ჩაგვიფარებია და გადაწყეტილებაც მიგვიღია. თუ ეს არ ითქვა, გამოგვივა, რომ მას გულხელდაკრეფილნი შევყურებდით."

მიქოიანმა ბერიას ორპირი უწოდა და მაგალითისთვის ასეთი ეპიზოდი დაასახელა: "როგორღაც ვკითხე მას: რად გინდა ეს შინსახკომი? მან მიპასუხა: უნდა აღვადგინოთ კანონიერება, შეუძლებელია ქვეყანაში ასეთი ვითარების მოთმენა. ჩვენ ბევრი პატიმარი გვყავს, ისინი უნდა გავანთავისუფლოთ და ბანაკებში ხალხი ტყუილუბრალოდ არ გავაგზავნოთ. შინსახკომი უნდა შევამციროთ. ჩვენ დაცვა კი არა მათი ზედამხედველები გვყავს. ეს უნდა შევცვალოთ, მცველები კოლიმაზე გავგზავნოთ და თითო-ორი კაცი მთავრობის წევრთა მცველებად დავტოვოთ. აი, ასეთ რაღაცეებს ამტკიცებდა იგი".

იქნებ მკითხველმა გვიკარნახოს, სადაა აქ კრიმინალი და ნუთუ მართლა ცუდ რაღაცეებს ამბობდა შინაგან საქმეთა მინისტრი?

ბერიას ორპირობა, მიქოიანის აზრით, გამოიხატა იმაშიც, რომ მან სტალინის გარდაცვალებისთანავე გაილაშქრა პიროვნების კულტის წინააღმდეგ.

ვინ ვინ და მიქოიანი მაინც უნდა გაჩუმებულიყო. გაივლის სულ რაღაც ორი-სამი წელიწადი და იგი სამარცხვინო ბოძზე გააკრავს "საყვარელ" ბელადს. მაგრამ ჯერ მხოლოდ 1953 წელია, სტალინის ავტორიტეტი ურყევია და ამხანაგი ანასტასიც დროის მაჯისცემას აყურადებს.

"ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს პირდაპირი მონაცემები, – განაგრძობს იგი, – იყო თუ არა ბერია ჯაშუში, ღებულოდა თუ არა უცხოელი ბატონებისგან მითითებებს, მაგრამ მთავარი განა ესაა? ჰქონდა ინსტრუქციები თუ არ ჰქონდა ინსტრუქციები, მთავარი ისაა, თუ ვისი კარნახით მოქმედებდა იგი. ცხადია, რომ ბერია ასრულებდა ბურჟუაზიის, ჩვენი კაპიტალისტური გარემოცვისა და ქვეყნის შიგნით მოკალათებული მათი აგენტების სოციალურ დაკვეთას, ხრწნიდა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობას, ნერგავდა მისთვის უცხო ჩვევებსა და მეთოდებს, როგორც ბურუაზიის სამსახურში ჩამდგარი გადაგვარებული პიროვნება".

არც პლენუმს და არც სასამართლოს, არც ლავრენტი ბერიას მომდევნო ბრალმდებლებს არ ჰქონიათ და დღემდე არა აქვთ მისი ჯაშუშობის სარწმუნო მტკიცებანი. ყველაფერი დაჰყავთ ბაქოს პერიოდამდე, რომელიც შეიძლება ასეც განმარტო და ისეც, მთავარია, რის დამტკიცებას აპირებ. მაგრამ მიქოიანი, როგორც კრილოვის მგელი, ცინიკურად თვლის, რომ მთავარი მტკიცებანი როდია. იგი ბერიას საერთოდ ფანტასტიკურ დანაშაულს – პარტიის ხელმძღვანელთა გახრწნას – მიაწერს. რამდენად შესაძლებელია ისედაც გახრწნილი ხალხის გახრწნა, დაე, ეს მკითხველმა თავად განსაჯოს!..

როცა თვალს მიადევნებ ჩვენი ყოფილი საზოგადოების ევოლუციას, ისევ და ისევ უბრუნდები ლავრენტი ბერიას საბრალდებო დასკვნას, რომლის თანახმადაც მას უნდოდა "საბჭოთა მუშურ-გლეხური წყობილების შეცვლა, კაპიტალიზმის რესტავრაცია და ბურჟუაზიის ბატონობის აღდგენა". უნებურად ისეთი განცდა გეუფლება, რომ პროცესს, რომელიც "წავიდა და წავიდა", საიქიოდან ხელმძღვანელობს "ხალხის მტერი" ლავრენტი ბერია.

ა, ბატონო, აღარაა უკვე საბჭოთა მუშურ-გლეხური წყობილება, გრძელდება კაპიტალიზმის უველურესი ფორმის რესტავრაცია, ხოლო ბატონობის იმდენი პრეტენდენტი გამოჩნდა ერთბაშად, რომ მათი ამბიციების გამო ყოფილი იმპერის ნახევარი მამასისხლადაა გადაკიდებული ერთმანეთს, ხოლო მეორე ნახევარი ეს-ესაა გადაეშვება ძმათამკვლელი ომის საშინელ მორევში. მართალია, ამ განუკითხაობას რატომღაც საზოგადოების დემოკრატიზაციას,

ლიბერალურ რეფორმებს და ეშმაკმა უწყის, კიდევ რას ეძახიან. დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, რა გზით წარმართავდა ბერია საკუთარ რეფორმებს, მაგრამ საეჭვოა, რომ საქმე ასეთ ბაქანალიამდე მიეყვანა.

იბადება გლობალური კითხვა: ვინაა ლავრენტი ბერია სინამდვილეში? ვინაა ეს კაცი, რომელი პარტიული მატიანის მიხედვით თავხედურად წინ აღუდგა პროლეტარიატის დიქტატურას, პიროვნების კულტს, ცდილობდა პარტიის ხელმძღვანელი როლის გაუქმებას, ორივე გერმანიის გაერთიანებას და ა. შ. ხომ არაა იგი ე. წ. "გარდაქმნის" წინამორბედი? მისი ზრახვების განხორციელებისთვის ხომ უკანასკნელი "ერთგული ლენინელი" მთელ მსოფლიოში ოვაციებს იმკის და ნობელის პრემიის ლაურეატიც ხდება!

ბოლშევიკური ისტორიის მორიგი პარადოქსი: ბერიასა და მასთან დაახლოებულ პირებს, რომლებსაც საბჭოთა სამშობლოს ღალატი დასდეს ბრალად, სიკვდილი მიუსაჯეს.

გეკაჩეპისტებმა, რომლებმაც პირიქით, პუტჩი საბჭოთა სამშობლოს შენარჩუნების მიზნით მოაწყვეს, ასევე მოღალატეთა იარლიყი დაიმსახურეს.

გამოდის, რომ კანონი ქოთანივითაა, რომელსაც მექოთნე ყურს საითაც უნდა იქით გამოაბამს?..

კითხვები... კითხვები... სანამ მათზე დამაჯერებელი პასუხი არ გაგვიცია, დავესესხები დიდ ფრანგ მწერალსა და ფილოსოფოსს, ნობელის პრემიის ლაურეატს ალბერ კამიუს, რომელიც წერდა: "ისტორიის საბოლოო მსჯავრი დამოკიდებულია დღეს გამოტანილი ურიცხვი წვრილმანი განაჩენისგან, რომლებსაც ოდესმე საბოლოოდ დაამტკიცებენ ან გააუქმებენ... რაც შეეხება ობიექტურ ბრალეულობას, ეს საკვირველი ობიექტურობა ემყარება ფაქტებსა და შედეგებს, რომლებიც მეცნიერებისთვის ხელმისაწვდომი გახდება არა უახლეს 2 000 წლისა. მანამდე კი იგი განსახიერდება სხვებისთვის ობიექტურობის ნიშნით თავსმოხვეულ სუბიექტურობაში: ასეთია ტერორის ფილოსოფიური განსაზღვრება. ეს ობიექტურობა მოკლებულია რკვევად აზრს, მაგრამ ხელისუფლება მასში ჩასდებს განსაზღვრულ შინაარსს და დანაშაულებრივად გამოაცხადებს ყველაფერს, რაც არ მოსწონს.".

მიჭირს რაიმე დავამატო ამ ბრძნულ განსჯას!

1992-1999 წელი, კიევი

Beria's Son tells the story

Summary

The Russian versión of this book was firs Publisher in 1992 with the circulation of 100 000 adn was sold fast.After that there was a translation in Polish and great presentation in Warsaw.Afterwards was a second edition in Russian and a publication in the journal "Nastaiashee Vremia" Riga. It was translated into Ukrainian and Lithuanian. In Georgian I am presenting this book first time, and though so called "case of Beria" is already 60 years old, we still knew few about this case. Sergo Beria, Son of Lavrenti Beria, famous scientist, well-known specialist of soviet missile technology is providing his own wersion of this case based on Facts and documents.

Raul Chilachava

Сын Лаврентия Берия рассказывает

Резюме

Русская версия этой книги первый раз вышла в 1992 г. 100000-им тиражом и сразу распространилась тогда еще в едином постсоветском информационном пространстве. За этим последовал перевод на Польский язык и её многолюдная презентация в Варшаве. Потом было второе дополненное издание на Русский и публикация в журнале "Настоящее время" (Рига). На грузинском её первый раз предлагаю читателью не смотря на то, что так называемому "делу Берия" почти 60 лет. Мы мало что знаем о большом заговоре и той версии, которую предлогает Серго Берия. Единственный сын Лаврентия Берии, выдающийся учёный, признанный специалист Советской ракетной техники, истинный интеллигент и идеальная личность, на чьей голове, как говорят, только камень от мельницы не вращался, а тол вся другая злость обрушилась на него.

Раул Чилачава

“მთელი შენი სულიერი ძალებით უნდა ილტვოდე ჭეშმარიტებისკენ”

პლატონი.

“ფრანგები ლოცულობდნენ სტალინზე და ამბობდნენ, ჩვენ მას ოქროს ძეგლს დავუდგამთო... ჩვენ ვეუბნებოდით, რომ სტალინი ტომით ქართველია! – მაგრამ ამას ეჭვის თვალით უყურებდნენ... საქართველო პატარა ქვეყანაა და ასეთ პიროვნებას ვერ წარმოშობდაო”...

ექვთიმე თაყაიშვილი

“დიახ, ჩვენ ნამდვილად გვინახავს საზიზღარი ურჩხულები, ისინი ფაშისტები იყვნენ”...

ანდრე მორუა

უაკ (UDC) 329.150.1(092 სტალინი)
+329.150.1(092 ბერია) ვ - 275

მითი თუ რეალობა? ვინ იყვნენ სტალინი და ბერია? ურჩხულები თუ... არაჩეულებრივად წარმატებული პოლიტიკოსები?

ნებისმიერი ერისთვის და ქვეყნისთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია თავისუფლება, დამოუკიდებლობა... მაგრამ... დიახ, მაგრამ... რადგან თავისუფლება და დამოუკიდებლობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი და რეალური, როცა ქვეყანას საკუთარი ეკონომიკა, ე.ი. ეკონომიკური ბაზა, იგივე აბორიგენი მოსახლეობის გამოსაკვები საარსებო მინიმუმი გააჩნია და ამ ქვეყანას ჰყავს თავისი ხალხის გულშემატკივარი ე.ი. ეროვნული ხელისუფლება... დიახ, ერი თავისუფლებას იღებს და შემდეგ ინარჩუნებს იმ შემთხვევაში, როცა მისი ქვეყნის ხელისუფლება ყველა ზომას იღებს და ხმარობს ერთადერთი მიზნით – აბორიგენი მოსახლეობის შესანარჩუნებლად, და როცა იგი (ხელისუფლება) ცდილობს მათ (მოსახლეობას) არ მოაკლოს სამუშაო ადგილები და საარსებო საშუალება! მხოლოდ ამ შემთხვევაში გადარჩება ქვეყანა და შეძლებს თავისუფლების შენარჩუნებას!

შოტლანდიელმა რადიკალმა ჯეიმზ უოლსონმა ოდესღაც (1820 წ.) თქვა: „თავისუფლებას არ იმსახურებ, თუ მისთვის მზად არ ხარ“... აქვს თუ არა ქართველ ხალხს ამ სიტყვების გამეორების უფლება? და დღევანდელი გაგებით საერთოდ რას ნიშნავს თავისუფლება? ზოგიერთების მიერ თავსმოხვეულ იდეებს და მასებისთვის „მშიერ დემოკრატობანას“ თამაშს? არა ბატონებო! ეს არ არის თავისუფლება! რა ხდება დღეს? არა, დღეს კი არა, 1992 წლიდან საქართველოში? ხომ არ ვქმნით დაცემული ერის ისტორიას, – როცა ქვეყანა საკუთარ მოსახლეობას ვერ ინარჩუნებს, ვერ უვლის და ისინი ლუკმა-პურის საშოვნელად გარბიან ქვეყნის გარეთ? თუნდაც ჯანდაბაში... რას აკეთებს ამ დროს ქვეყნის ხელისუფლება? ხელისუფლების სამოქმედო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება უნდა იყოს თუ არა სოციალური პოლიტიკა? საჭიროა თუ არა საქართველოში სპეციალური საქველმოქმედო პროგრამის შემუშავება, რომელიც უმუშევარი მოსახლეობის სოციალური დახმარების გზით მათი საარსებო მინიმუმით დაკმაყოფილებას გაითვალისწინებს? დიახ, ბატონებო! მსგავსი პროგრამები საჭირო კი არადა, აუცილებელია, რადგან უკანასკნელ 20 წელიწადში საქართველომ ფაქტიურად მოსახლეობის ნახევარი დაკარგა, ამას ზედ ემატება ნულოვანი შობადობა და... შექმნილი სიტუაცია კატასტროფის ტოლფასად ჩაითვლება... და ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანას ჰყავს ეროვნულ იდეებზე მოსული ხელისუფლება! წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.ი. რომელიმე სხვა ძლიერი ქვეყნის ხელისუფლების მიერ დასმულ, სატელიტ ხელისუფლებას საერთოდ არ ანაღვლებს ამ შემთხვევაში ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა, რადგან არა ეროვნული ხელისუფლება ნებისმიერ შემთხვევაში მზად არის ხელი შეუწყოს აბორიგენი მოსახლეობის მიგრაციას საზღვარგარეთ სამუშაო ადგილების საძებნელად, ქვეყანაში კი, გამოთავისუფლებულ მიწებზე ჩამოასახლოს სხვა ერის, სხვა ქვეყნის და სხვა ჯიშის, ე.ი. არააბორიგენი მოსახლეობა! რა ხდება დღეს საქართველოში და როგორ შევაფასოთ შექმნილი სიტუაცია? ამ საკითხის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობაა, და რადგან ჩვენ ჩვენს აზრს თავზე არავის ვახვევთ, დასკვნის გამოტანა მკითხველისთვის მიგვინდვია, რადგან... პოლიტიკა თავად არის ბნელი ლაბირინთი და გასაკვირი აღარ არის ის, რომ ვინც მის ზღურბლს გადააბიჯებს თვითონვე ხდება მისი ტყვე, ცხადია მისთვისვე მისაღები იდეებით, თუნდაც ეს იდეები სხვებისთვის, მასების უმრავლესობისთვის მიუღებელი იყოს...

საოცრად პატარაა ტერიტორიულად საქართველო და რა დიდი, ძლიერი მტრები ჰყავს... ნებისმიერ პიროვნებას გაუჩნდება კითხვა – რა დაუშავა ამ პატარა და კეთილშობილი გენებითა და ტრადიციებით სავსე ხალხმა მათ? არაფერი ბატონებო, სიძულვილის მიზეზი ქვეყნის არაჩვეულებრივი გეოპოლიტიკური მდებარეობა და ის ჩაუმცხრალი შურია, რომელსაც სწორედ საქართველოს ისტორია და მისი ხალხი იწვევს დღესაც კი მეზობლებში, გარეულსა და შინაურშიც... 89-90 წლიდან ანგრევენ საქართველოს... 9 აპრილიდან მოყოლებული განუწყვეტლივ ხოცავენ ქართველ გოგო-ბიჭებს... ამჯერადაც თუ დავსვამთ კითხვას, იგივეს გავცემთ პასუხად, რადგან... შურმა და მისგან წარმოშობილმა ბოროტებამ დააბრმავა შინაური თუ

გარეული მტრები, შინაური თუ გარეული მეზობლები, შინაური თუ გარეული „მეგობრები“... და ეს შინაურები თუ გარეულები ყოველ ღონეს ხმარობენ იარაღად ქართველი ხალხის დასამცირებლად, დასათრგუნად... ქართველები რაღას შვრებიან? არაფერს ბატონებო... ღვთის იმედზე არიან დღესაც და შიმშილით იხოცებიან, ვისაც შეუძლია გარბის საზღვარგარეთ სამუშაოს საძებნელად... და ვისაც წასვლა არ შეუძლია სასიკვდილო ყულფში აქვს თავი გაყოფილი! აი ეს არის დღეს მათი ხვედრი... დემოკრატიაა ქვეყანაშიო... სად არის დემოკრატია ბატონებო? ან კი იციან მათ, ჩვენს დასამონებლად მოსულმა სპეცბრიგადებმა რა არის დემოკრატია? არა ბატონებო, ხალხს დღეს არავითარი გასაქანი, არავითარი შესაძლებლობა არა აქვს. 22 წელია ხელოვნურად აშიმშილებენ ქვეყანას, რომელი ცივილიზებული ერი გაუძლებდა ამდენი ხნით შიმშილს, გაჭირვებას, სიკვდილს? არცერთი ბატონებო, არც ერთი!

ისტორიულად ძალიან ბევრჯერ უჭირდა საქართველოს... იყო წლები, როცა ბეწვზე ეკიდა მამულის, ენის, რწმენის მომავალი! და რადგან ეს სამება ერთ მთლიანობაში აღიქმებოდა ქართველისთვის, და იმ უკიდურეს ზღვარზე მისულთ უფლის მადლით ხსნა და საშველი ეძლეოდა ქვეყანასაც და ხალხსაც... ასევე ძალიან უჭირდა საქართველოს მე-6 საუკუნეში. დიდი ვახტანგ გორგასლის სიკვდილის შემდეგ შინაურმა და გარეულმა მტრებმა თუ მოყვრებმა შეუნიღბავად დაიწყეს მისი დაგლეჯა და დანაკუწება, ენის შებილწვა, დიახ... ჩვენი „კეთილი მეზობლები“ სპარსეთის დახმარებით ცდილობდნენ ქართულ ეკლესიებში სომხურად ეწირათ, ექადაგათ, უბრალოდ გაესომხურებინათ ქვეყანა... დიახ ბატონებო... ახსოვს საქართველოს ასეთი წლები... და აი მაშინ, ღვთის განგებით ანტიოქიის უდაბნოებიდან დაიძრა 13 წმინდა მამა, რომელთაც საქართველოს ისტორია ასურელ მამებს უწოდებს... მაგრამ ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ... მამულის, ენისა და რწმენის გადარჩენად სვიმეონ მესვეტის ლოცვა-კურთხევით საქართველოში შემოვიდნენ ქართულად მოლაპარაკე დიდი მართლმადიდებელი წმინდა მამები და... ისინი ერთად არ შესდგომიან ბერულ ცხოვრებას! პირიქით... სხვადასხვა მხარეში გაიფანტნენ სამოღვაწეოდ და თავიანთ მხრებზე აიღეს ერის სულიერი და ფიზიკური გადარჩენის მისია... და მათ ეს შესძლეს ბატონებო!

დიახ, ბევრჯერ დაუდგა საქართველოს განსაცდელის ჟამი... ბევრჯერ... იყო დრო, როცა თბილისი გადაჭედილი იყო თურქეთიდან ლტოლვილი სომხებით... რუსეთის ხელშეწყობით ისინი ჩაასახლეს თბილისში და მის შემოგარენში, ჯავახეთსა და სამცხეში, ბორჩალოში... და აი... ქართული წიაღისეულის და ხეტყის ვაჭრობით, და ბაქოს ნავთით გამდიდრებული სომხური ლობი მთელი მსოფლიოს გასაგონად აცხადებს, რომ თბილისი სომხური ქალაქია, დიახ... რადგან იქ დაესახლნენ, მათ ასე ეგონათ ბატონებო, არა, კი არ ეგონათ, უნდოდათ ასე ყოფილიყო!... მაგრამ... ღვთის განგებით მაშინაც მოხდა სასწაული... მოვიდნენ ბევრისთვის ყბა-დაღებული სოციალ-დემოკრატები, ჯერ პირველი, ჟორდანიას მთავრობა, რომლის დროსაც ზარბაზნები დადგეს ნარიყალას ციხეზე და მე-5 კოლონის შემქმნელი და ქართველი ხალხის მოძულე სომხები აიძულეს თბილისი სამუდამოდ დაეტოვებინათ და შემდეგ... მეორე მთავრობა, მართალია ორჯონიკიძე-ორხელაშვილის კავბიურომ უხვად დაასაჩუქრა მეზობლები: რუსეთს აფხაზეთის ნაწილი, სომხეთს ლორე-ტაშირი, აზერბაიჯანს საინგილო მიუბოძა, მაგრამ... ღვთის განგებით ისევ მოხდა სასწაული და კრემლში მოკალათებულ ბოლშევიკთა ძველ გვარდიას ხალხის მოყვარული ხელისუფლების ნიღაბი ჩამოგლიჯა სამშობლოდან გაძევებულმა, შიმშილსა და სიცივეში, ხალხის წიაღში გაზრდილმა ჯუღაშვილმა და... შეძლებისდაგვარად საქართველოს შელახული ღირსება აღუდგინა! 37-38 წლებში, იმ ყბადაღებულ რეპრესიებს სწორედ ის ხალხი შეეწირა, ვინც შულავერის კომიტეტი შექმნა, ვინც ტაბახმელასთან ჩახოცა ქართველები, ვინც სისხლში ჩაახრჩო 21-22-23-24-25 წლის აჯანყებები, ვინც შორაპნის მატარებელში ჩახოცა ქართული არისტოკრატია, ვინც დაანგრია ქართული ეკლესიები და ბოლოს ისინი, ვინც ქართული მიწები გაასაჩუქრა!... საქართველო გაერთიანდა და ფეხზე დადგა! მართალია საერთო სახელის, საბჭოეთის ეგიდით, მაგრამ მას საკუთარი ფერი და საზღვრები ჰქონდა რუკაზე. ხალხი მოეშენა და ქვეყანა აყვავდა! ახლა კი... ახლა რაღა გვაქვს? დაფლეთილი და დანაკუწებული საქართველო! უმძიმესი დრო უდგას ჩვენს ქვეყანას... ქართველ კაცს აქ გაჩერების არც საშუალება აქვს და არც შესაძლებლობა!... საკუთარ ქვეყანაში საკუთარი ლტოვილებით აივსო ქვეყანა. ამ უბედურებათა ავტორები კი დღესაც ფუფუნებით ცხოვრობენ, კიტოვანი და სიგუა (იოსელიანის გამოკლებით) მყავს მხედველობაში! მათი შემოქმედებაა გაღატაკებული და ქართველებისაგან დაცლილი გამრუშებული საქართველოს დღევანდელი დღე... ჩვენ წეღან ვახსენეთ სიცივესა და შიმშილში გაზრდილი სოსო ჯუღაშვილი... დიახ, ბატონებო... ის ნამდვილად სიცივესა და შიმშილში იყო გაზრდილი! ჩავუღრმავდეთ ისტორიულ ფაქტებს და მოვიძიოთ დოკუმენტები... ვინ იყო იგი? ურჩხული თუ ჩვეულებრივი მოკვდავი? კოსმოპოლიტი თუ თავისი და საერთოდ ხალხის გულშემატკივარი? ტირანი თუ კეთილშობილი და სამართლიანი? დიდი ხანია საზოგადოებას აწუხებს აზრი, რატომ არ მიეწოდება ქართველ მკითხველს სრული სიმართლე სტალინისა და ბერიას შესახებ? არა მარტო ხრუშჩოვის, საერთოდ საბჭოთა იმპერიის არსებობის ხანაც დამთავრდა, წარსულს დარჩა... მაგრამ ამ ორი ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიული მასალები ფაქტობრივად ბურუსითაა მოცული ან საზიზღრად გაყალბებული. ვის და რატომ სჭირდებათ მათი სახით ურჩხულები დაუტოვონ ისტორიას? – ეს საკითხი გაუგებარია! და უნდა ამოიხსნას, ბატონებო! ნებისმიერმა პიროვნებამ ქართველმა და არაქართველმა, ისტორიის ფაქტებში ჩაუხედავმაც კი დღეს კარგად იცის რას ნიშნავდა, ან როგორი იყო ჰიტლერის მსოფლიო ან თუნდაც ჰიტლერის მიერ შემუშავებული საბჭოეთში შემავალი ქვეყნების პოლიტიკური მოწყობის გეგმა. სტალინი თუნდაც მხოლოდ იმისთვის არის მსოფლიო ისტორიისთვის უდიდესი და განუმეორებელი პიროვნება, რომ მან კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არნახული მასშტაბების ომი მოიგო, რითაც გარკვეული ერები გადაარჩინა სრულ განადგურებას, სრულ ასიმილაციას

და მათ შორისაა საქართველოც! რაც შეეხება ყბადაღებულ თემას, თითქოს და სტალინმა თვითონ გამოიგონა ტროცკი და უამრავი შეთქმულებები თავისთავის წინააღმდეგ თვითონ მოიწყო ოპოზიცია რომ გაენადგურებინა, ეს საკამათოც არ არის, რადგან მიუხედავად ხრუშჩოვის მიერ სტალინის არქივის განადგურებისა, მაინც გადარჩა ისტორიული მასალები, რითაც მტკიცდება სწორედ ოპოზიციონერთა, ან იგივე ტროცკისტთა მიერ გადატრიალებების მოწყობის უამრავი მცდელობა ახალ-ახალი რევოლუციებისა და ასევე ახალ-ახალი სისხლის ღვრების მოსახდენად!

ახლა აჟიოტაჟია ამტყდარი, რომ თურმე სტალინმა შემოიყვანა საქართველოში მე-11 არმია და სტალინმა ბერიასთან ერთად რუსეთს დაუმონა საქართველო და თურმე ამავე სტალინმა ამოწყვიტა კეთილშობილ, ძველ ბოლშევიკთა ნაკრები და ნაღები საზოგადოება! ეს რომ მტკნარი სიცრუეა ისტორიული მასალები ღაღადებენ, მაგრამ, რატომ აყრიან ჩვენს ხალხს თვალში ნაცარს, აი ეს არის გასარკვევი. სტალინს არც მე-11 არმია შემოუყვანია საქართველოში, არც საქართველოს დამონებაში მიუღია მონაწილეობა, არც ტერიტორიები ჩამოუჭრია საქართველოსთვის, არც 1921-22-23-24 წლების დახვრეტებში გაუსვრია ხელი! და 1937 წლის რეპრესიები თუ დაიწყო, ისიც ისტორიული აუცილებლობით იყო განპირობებული! აი ეს არის სიმართლე ბატონებო. ტაბუდადებულია დღეს სიმართლე, თუნდაც ის ფაქტი, რომ ლავრენტი ბერია, საბჭოეთისთვის ეს უზარმაზარი შესაძლებლობების მქონე პიროვნება, რომლის გონებრივი პოტენციალი ადამიანური შესაძლებლობების ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა, ერთ-ერთი ვერსიით უმადურმა პარტიულმა ჩინოვნიკებმა მიქოიან-ხრუშჩოველებმა კრემლში, ყოველგვარი იარაღის გარეშე მყოფი, გაცვეთილ ფიჯაკში ჩაცმული – პოლიტბიუროს წევრთა თანდასწრებით კატასავით დაახრჩვეს! ფიცარზე ჯვრის ფორმით გააკრეს! და შემდეგ ფალსიფიცირებული სასამართლოები გამართეს!... დიახ, ქართველმა მკითხველმა სიმართლე უნდა იცოდეს, ბატონებო!... რადგან ისინი... სტალინი და ბერია ქართველები იყვნენ, ჩვენი წინაპრები! რაც შეეხება მათ ღირსებას და არაღირსებას, ამას ისტორია გაარკვევს, მთავარია ისტორია არ შეურაცხყონ ულირსი, ბინძური ხელებით, როგორც ეს თავისდროზე გააკეთა ხრუშჩოვმა.

როცა სტალინის მსგავსი დიდი პიროვნება შენი ეროვნებისაა, ცხადია გარკვეული სიამაყით ხარ სავსე. რაც შეეხება დადებით და უარყოფით მხარეებს, ის ყველას ახასიათებს, რადგან... თვით უფალმა შექმნა ადამიანი მანკიერი ბუნების. მხოლოდ ღრმად მორწმუნეს, მორალურად სრულყოფილს შეუძლია ამაღლდეს თავის თავზე და დაძლიოს ცხოვრებისეული ცდუნებები (და არა მარტო ცდუნებები...), რაც უმეტეს შემთხვევაში ცხოველად აქცევს ადამიანს, და ზოგჯერ უარესადაც კი. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ სტალინი, როგორც პიროვნება, შეუმცდარი იყო, ცხადია არა, მაგრამ მან თავისი არსებობით უდიდესი სიკეთე მოუტანა კაცობრიობას, დიახ! თავისი ფენომენალური სტრატეგიული ნიჭის წყალობით როგორც უკვე გითხარით მოიგო ყველაზე დიდი ომი კაცობრიობის ისტორიაში! და ეს ომი მოიგო მართლაც რომ დიდი რუსი ხალხის და ასევე საბჭოეთის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა სხვა ხალხის თავგანწირვის ფასად, განურჩევლად ეროვნებისა. ცნობილი, მაგრამ გაუხმაურებელი ფაქტია, რომ როცა გერმანელები მოსკოვთან 27-კილომეტრზე იყვნენ დაბანაკებულნი, მოსკოველმა მართლმადიდებლებმა ყაზანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის წინამძღოლობით ლოცვითა და ვედრებით შემოუარეს მოსკოვს და... მოსკოვი არ დაცემულა... და ეს ფაქტი არა და ვერ მოხდებოდა, რომ არა სტალინის ნებართვა! ან იქნებ სტალინის წინადადებაც! ყაზანის „ღვთისმშობლის ხატის“ სასწაულები და მისი განუსაზღვრელი ძალა კარგად არის ცნობილი მართლმადიდებლურ სამყაროში! ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა დაიცვა მოსკოვი, პანფილოველებმა ღვთის წყალობით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს და მოსკოვის მისადგომებთან მტერი სრულიად განადგურდა. ყაზანის „ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის“ ხატის ასლმა, რომელიც ჩვენთან არის დაცული, უდიდესი სასწაული მოახდინა. – ამ ფაქტს წლების მანძილზე მალავდნენ, მაგრამ მისი დამალვა, როგორც ვხედავთ ყოვლად შეუძლებელი აღმოჩნდა. გავახსენებ ჩემს მკითხველს, რომ ბორის ძნელაძე, აქტიური ლენინელი და მახარაძე-ორახელაშვილი-ცხაკაიას უერთგულესი კაცი იყო. მათ გვარებს ხაზგასმით იმიტომ წარმოვთქვამ, რომ ტროცკის, მეხლისის, ზინოვიევ-კამენევის დაჯგუფება ლენინის მეთაურობით რუსეთის ყოფილი იმპერიის მთელ უზარმაზარ ტერიტორიაზე სიონისტურ დოქტრინებს ატარებდა და მართლმადიდებლობას ხმალამოღებული ებრძოდა! ამიტომ დაინგრა ეკლესიების განუსაზღვრელი რაოდენობა საბჭოეთის მთელ ტერიტორიაზე. ბორის ძნელაძეს იმდენად ჰქონდა შებილწული სული ლენინი-ტროცკის მასონური იდეებით, რომ მზად იყო ყველა ქართული ეკლესია დაენგრია, ხატები და მღვდელ-მონაზვნები გაენადგურებინა და აი, მოხდა ასეთი ფაქტი: მან ტყვია დაახალა ყაზანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს შეძახილით, „შეხედეთ, ამან რა უნდა მიყოსო“?... და მართლაც უდიდესი სასწაული მოხდა! ყოვლადწმინდა დედა ღვთისმშობელმა არ აპატია მას ბილწი მკრეხელობა, ხატმა ტყვია აისხლიტა მინის ზედაპირზე და ძნელაძეს შიგ გულში მოხვდა! იგი იქვე გარდაიცვალა!!! იქნებ ვინმეს წამოსცდეს, რომ შემთხვევითობა იყო! არა, ბატონებო! – მსგავსი სასწაულები შემთხვევით არ ხდება! სტალინის მომხრეთა გაძლიერებით და სტალინის სამთავრობო ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ (1930-32 წწ.) შეწყდა ეკლესიების მასიური ნგრევა! უფრო მეტიც – ბერიას სახელისუფლებო ელიტაში გამოჩენის შემდეგ საქართველოში ეკლესიებს ასე ხელაღებით ვეღარ ანგრევდნენ. ბილწი ცილისწამებაა კინოფილმ „მონანიების“ სიუჟეტი, თუმცა შემოქმედის ფანტაზიას საზღვრები არ მოეთხოვება... ერთი ასეთი შემთხვევაცაა დაფიქსირებული, რომ ბერიას მიმართეს თხოვნით, ქაშვეთის ტაძარს ნუ დაგვინგრევთო (მასონები ბერიას სახელით ცდილობდნენ დაენგრიათ), ბერიამ მასთან შესულ თხოვნას სულ რამდენიმე სიტყვა მიაწერა თავში: „სასწრაფოდ შემატყობინეთ ვინ გასცა ტაძრის დანგრევის ბრძანება?“ – სწორედ ამის შედეგად აღარავის უხსნებია შემდეგ ქაშვეთის დანგრევა! ბატონებო ხალხს ახსოვს, ხალხს ავიც ახსოვს და კარგიც! ცუდია, როცა ცდილობენ ადამიანების გონებიდან

ძალით ამოწვან მავანთა კეთილი საქმეები და ჭუჭყიანი, ბინძური ხელებით წაბილწონ საზოგადოების გონება მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ასე სურთ! მათთვის იდეურად მიუღებელ პიროვნებებს გადააბრალონ სხვათა მიერ ჩადენილი ცოდვები. გამოსაძიებელია 1921-1925 წლებში საქართველოში ჩატარებული მასიური დახვრეტები და ვნახოთ, სად, ვისთან მიგვიყვანს სისხლიანი კვალი... უკვე 1921-23 წლებიდანვე მიზანმიმართულად ხდებოდა საზოგადოებრივი აზრის მობილიზება სტალინის წინააღმდეგ. მთლიანად საქართველოში ყველა მნიშვნელოვანი თანამდებობა გადანაწილებული იყო კავკასიის ცეკას ბიუროს მდივნების, საქართველოს ცეკას მდივნებისა და მინისტრების მეტად თუ ნაკლებად დაახლოებულ პირებზე. ისტორიული ფაქტების წყალობით უკვე ვიცით, რომ საკავშირო ბოლშევიკურ პარტიაში არანაირ აღმასრულებელ ხელისუფლებას, ე.ი. უმაღლეს ძალაუფლებას არ ფლობდა სტალინი 1930 წლამდე. საინტერესოა, რატომ ჩამოუყალიბდა სანდრო ახმეტელს აზრი სტალინის შესახებ, რომ ის ტირანი იყო? როგორ იყო სტალინი ტირანი, თუკი მას, ახმეტელს თავისუფლად შეეძლო იმ უკიდურესად დაძაბულ, ომის წინა, საშინელ წლებში (1937 წელს) ტირანი ეწოდებინა მისთვის, სტალინისთვის მოსკოვის ერთ-ერთი უდიდესი თეატრის (დიდი თეატრის) სცენიდან? ხომ არ ვიფიქროთ რომ ახმეტელი, ჯავახიშვილი და სხვები ორახელაშვილების ოჯახთან დაახლებულნი იყვნენ ფიზიკურად და სულიერად და მათი იდეები იყო მხოლოდ მათთვის მისაღები? ე.ი. შეიძლება ზუსტი ანალიზი გავაკეთოთ, რომ იმ წლების ინტელიგენციის ნაღები, ე.ი. თანამდებობის პირები ნამდვილად იზიარებდნენ ტროცკის მასონური ჯგუფის წევრთა იდეებს. მიხეილ ჯავახიშვილი უდავოდ დიდი მწერალი იყო, ევროპული იდეების მიმდევარი, მაგრამ... როგორი იყო იგი, როგორც პიროვნება თავის ქვეყანაში? რატომ შეურაცხყო მან სტალინი, როცა ჯაყო უწოდა? სტალინი რომ ოსი არ იყო ეროვნებით, ეს კარგად ცნობილი ფაქტია! ისიც ფაქტია, რომ სულხან-საბას ლექსიკონით ჯუღა-ფოლადს ნიშნავს, ე.ი. მისი გვარი უძველესი ქართული გვარია ფოლადთან დაკავშირებული! არ იცოდა ეს მიხეილ ჯავახიშვილმა? რატომ იკადრა ასეთი საქციელი ამ დიდმა შემოქმედმა? ამ შემთხვევაში მე არ ვამბობ რატომ დაწერა მან ეს ნაწარმოები – არა, იგი გენიალური რომანია და აბსოლუტურ სიმართლეს ასახავს, მაგრამ რა შუაშია აქ სტალინი? ხომ არ ვიფიქროთ, რომ სიმართლე ერთია – უნდოდა დაემცირებინა, შეურაცხყოფა მიეყენებინა მისთვის და საზოგადოებრივი აზრი მის საწინააღმდეგოდ მიემართა! ე.ი. ბ-ნი მიხეილ ჯავახიშვილიც სტალინის მოწინააღმდეგეთა, ტროცკისტთა ბანაკს განეკუთვნებოდა საკუთარი სურვილით, რადგან იმ წლებში მწერალთა კავშირის ანგარიშგასაწევი პიროვნება გახლდათ და ცხადია ისიც ძალიან იყო დაახლოებული მახარაძე-ორახელაშვილების ოჯახებთან. ე.ი. დასკვნა ერთია, ფილიპე მახარაძისა და მამია ორახელაშვილის ოჯახები იყო ტროცკის იდეების უპირობოთ გამტარებელი საქართველოში და ისინი თავიანთ თავს „ძველ ბოლშევიკებს“ – ლენინელებს უწოდებდნენ. მათი განუყოფელი ნაწილი იყო სერგო ორჯონიკიძეც, რომელზეც ლენინი და ტროცკი დიდ იმედებს ამყარებდნენ და რომელიც ხრუშჩოვმა სტალინის გარდაცვალების შემდეგ ლამის წმინდანად შერაცხა. რა ხდება დღეს საქართველოში? უკვე კარგახანია იმ ქართველების სრული რეაბილიტაცია მოახდინეს (ლამის გმირებადაც შერაცხეს!), რომლებიც ჰიტლერს უკმევდნენ გუნდრუკს და რომლებიც გერმანული დროშებით მოდიოდნენ საქართველოს დასაპყრობად, რომლებმაც კავკასიონი დამხვდურ ქართველთა სისხლით მორწყეს და... სტალინის სახელს ისევ ტაბუ აქვს დადებული, ის ისევ უდიდეს მოღალატედაა შერაცხული ვიდრე შადიმანი, ყორღანაშვილი თუ ივანე ათაბაგი, რომელმაც თავისი მსახურის ხელით თბილისის დამცავი ციხის კარი გაუღო ჯალალს და 100 000 ქართველი მოწამეობრივად ამოაწყვეტინა, დანარჩენზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ვინც ბრძოლაში შეაწყდა მტერს! რა ხდება? ისევ ისტორიის გაყალბებასთან გვაქვს საქმე თუ მიზანმიმართულ ბოროტებასთან? დამპყრობი დამპყრობია, გერმანელი იქნება, რუსი თუ ამერიკელი. გერმანელების ხელში რესპუბლიკაც არ ერქმეოდა და საკუთარი ფერიც არ ექნებოდა საქართველოს, იგი უბრალოდ იქნებოდა ერთ-ერთი რიგითი გერმანული რაიხსკომისარიატი. მართალია არჩევანი ძნელია ცუდსა და უარესს შორის, მაგრამ ცხადია უარესს მაინც ცუდი სჯობია. პოლიტიკა თავად არის ბნელი ლაბირინთი და გასაკვირი აღარ არის ის, რომ ვინც მის ზღურბლს გადააბიჯებს თვითონვე ხდება მისი ტყვე, ცხადია მისთვისვე მისაღები იდეებით, თუნდაც ეს იდეები სხვებისთვის, ე.ი. მასების უმრავლესობისთვის მიუღებელი იყოს! ვისაუბროთ ფაქტებით, და მხოლოდ ფაქტებით. რეალობა მიგვიყვანს ტაძრამდე, სადაც დღემდე ტაბუდადებულია სიმართლე და ჭეშმარიტება! გვერდზე გადავდოთ, ემოციები და 1921-24-27-30-33-36-37-38 წლების დახვრეტებით გამოწვეულ ტკივილს მოვერიოთ და შევეცადოთ აღვადგინოთ ზუსტი ფაქტები ა) რა თანამდებობა ეკავა ლეიბა ბრონშტეინს, იგივე ტროცკის ლენინის მიერ შექმნილ სახელმწიფოში და ფლობდა თუ არა იგი მაქსიმალურ სახელისუფლებო ძალას? – დიახ... ლეიბა ბრონშტეინი, იგივე ტროცკი ლენინის უსაყვარლესი ადამიანი იყო, მისი მარჯვენა ხელი და საბჭოთა ჯარების მთავარსარდალი, ტროცკი მოიაზრებოდა ლენინის მემკვიდრედ! ეს იყო მთავარი ხაზი მისი იდეების მიმდევართათვის! ბ) ასევე გავიხსენოთ რა თანამდებობები ეკავათ მამია და მარია ორახელაშვილებს და შესაძლებლობის ფარგლებში ზუსტად განვსაზღვროთ მათი კავშირი... ვისთან? ტროცკის ჯგუფთან თუ სტალინთან? და საერთოდ დავაფიქსიროთ ფაქტი, ფლობდა თუ არა სტალინი 1930-32 წლამდე, სახელისუფლებო ძალაუფლებას? რა ფაქტორმა განაპირობა სტალინის უმაღლეს ხელისუფლებაში მოსვლა და როდის მოხდა ეს ფაქტი, ზუსტად რომელ წელს? უდავო ფაქტია, რომ ტროცკისტთა შეთქმულებებმა სტალინის წინააღმდეგ სტალინის ავტორიტეტი აამაღლა და დააჩქარა მისი უმაღლეს ხელისუფლებაში თითქმის ტრიუმფით მოსვლა 1930-იან წლებში. რაც შეეხება ლეიბა ბრონშტეინს და მის მომხრეებს, ისინი მასონური დაჯგუფება გახლდათ და მათი სიძულვილის მიზეზი სტალინის მიმართ იყო ერთადერთი – მართლმადიდებლური რწმენა, რადგან

მიუხედავად პარტიულობისა, სტალინი არასოდეს და არსად მალავდა თავის სემინარიელობას, არც თავის დამოკიდებულებას ხალხის მიმართ, რაც უფლის მადლის გამოვლენა უფრო იყო ადამიანების მიმართ, ვიდრე ტირანია, კოსმოპოლიტიზმი და კულტი!.. რაც გინდათ ის დაარქვით! ამას აღარ აქვს დღეს უკვე მნიშვნელობა! ისტორიამ შეაფასა ყოველივე! სტალინის სახელისუფლებო ძალას რაც შეეხება, იგი შეიქმნა და გამყარდა 1931-33-37 წლებში, როცა ტროცკისტებს ნიღაბი ფაქტობრივად ჩამოეხსნათ. ვინ იყო ეჟოვი? ედება თუ არა მას ბრალად წინასწარგანზრახვით სამეთაურო ნაწილის განადგურება საბჭოთა ჯარში და ვისი მითითებით შესძლებდა იგი ამ ქმედების განხორციელებას? ტროცკის თუ სტალინის? რომელს აწყობდა საბჭოთა ჯარის მორალურად და ფიზიკურად დასუსტება, დაკნინება და გახრწნა მოსალოდნელი დიდი ომის წინ? და ერთი მნიშვნელოვანი კითხვა, ეს ხალხი, ე.ი. ტროცკის იდეების გამტარებელი ხალხი იყო თუ არა საშიში ახლად წარმოქმნილი ღარიბი, სოციალისტური სახალხო ქვეყნისთვის, რომელსაც მეგობარი და დამცველი დედამიწაზე არც ერთი სახელმწიფოს სახით არ მოეპოვებოდა? ცხადია დიდი როლი ენიჭება დროს, დიახ... ეს ყველაფერი პოზიცია-ოპოზიციის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ხდება ომის წინ, დიახ, უდიდესი ომის წინა პერიოდს ვგულისხმობ, რადგანაც, როგორც ვიცით 1936 წლამდე საზღვრები ღია იყო და მიმოსვლა თავისუფალი, ასე რომ, როგორც დიდი კონსტანტინე გამსახურდია იტყოდა, მსტოვრებისთვის და მსტოვრობისთვის ფრიად შესაშური დარი იდგა, ე.ი. პოლიტიკური „ამინდიც“ ყოველმხრივ ხელს უწყობდათ.

ახალგაზრდა ქვეყნის (რომელსაც ხალხის გამოსაკვები საშუალებაც კი არ ჰქონდა) მორალური გახრწნა ცხადია ტროცკისტთა მიზანი იყო, მაგრამ ტროცკის გამოაშკარავების შემდეგ ტროცკის მომხრეები კარგად შენიღბულნი მოქმედებდნენ. ერთ-ერთი მათგანი იყო ეჟოვი, რომელსაც ტროცკისგან, როგორც არმიის ყოფილი მეთაურისგან ევალებოდა არმიის სამეთაურო ნაწილის ჩამოშორება აქტიური სამხედრო საქმისგან. თუ არმიას სამეთაურო ნაწილი ჩამოშორდებოდა, ის გადაიქცეოდა უმართავ ბრბოდ, რომლის დამარცხება ნებისმიერ დროს და ნებისმიერ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი. სტალინს მართალია გენიალური გონება ჰქონდა, მაგრამ უაღრესად კეთილი და მიმნდობი იყო. იგი იმდენად ენდობოდა ეჟოვს, მისი ღალატი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ წარმოედგინა, სანამ საშინელი ფაქტის წინაშე არ აღმოჩნდა – 40000 სამხედრო წოდების პირი უმოკლეს ხანში იქნა განადგურებული! სწორედ ამ საშინელი ღალატის შემდეგ გახდა სტალინი სიტყვაძვირი, მიუკარებელი და შეურიგებელი დამნაშავეთა მიმართ! ერთადერთი – მხოლოდ ის და მხოლოდ იგი, სტალინი გრძნობდა რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ ფაქტს მომავალში და მოჰყვა კიდეც. გერმანელების შემოჭრიდან უმოკლეს ხანში საბჭოთა ჯარმა დაკარგა ტერიტორიის თითქმის მთელი ევროპული ნაწილი – ეს კი უდიდესი ტერიტორია იყო უმსხვილესი საწარმოებით! ამ ფაქტზე ხრუშჩოვის საზიზღარი ქმედების შემდეგ აღარავინ ლაპარაკობს, მაგრამ... ფაქტი ხომ არ დაიკარგება ან წაიშლება! არმია, რომელმაც თეთრგვარდიელები გარეკა ქვეყნიდან და კარგად გაწვრთნილი სამხედრო მოსამსახურეები ჰყავდა – ფაქტიურად დარჩა სამეთაურო ნაწილის გარეშე და შედეგმაც არ დააყოვნა, მეორე მსოფლიო ომში გაწყდა ხალხის ათჯერ იმაზე მეტი რაოდენობის, ვიდრე დაიკარგებოდა იმ შემთხვევაში თუ გამოცდილი სამეთაურო ნაწილი იბრძოლებდა კარგად შეიარაღებული და ასევე კარგად გაწვრთნილი გერმანელების წინააღმდეგ. უნდა დავასკვნათ, რომ მიუხედავად ეჟოვის გამოაშკარავებისა, მათ მაინც მოახერხეს უდიდესი ზარალი მიეყენებინათ ქვეყნისთვის! რაც შეეხება ტროცკისტთა ჯაშუშურ საქმიანობას გერმანელებთან მიმართებაში, ეს კარგად ცნობილი ფაქტია, რადგან გერმანელებს ხელთ ჰქონდათ სწორედ მათ მიერ შედგენილი ზუსტი გეოგრაფიული და პოლიტიკური რუკები ქალაქების, გზების, დასახლებული პუნქტების, მოსახლეობის ეკონომიკური, მორალური და იდეური მდგომარეობის მიხედვით, ასევე ტერიტორიების ფიზიკური და გეოგრაფიული მდებარეობა და მდგომარეობა, მოკლედ ისინი კარგად იცნობდნენ უბრალოდ ყველა კენჭს, სადაც შემოდიოდნენ! ამას ხელს უწყობდა საზღვრების ღია დატოვება, რაც სტალინის ოპონენტების მოთხოვნა იყო, რადგან ისინი ხომ შეუძლებლად თვლიდნენ დემოკრატიულ სახელმწიფოში საზღვრების ჩაკეტვას! წინააღმდეგ შემთხვევაში მათი აზრით დემოკრატიული პრინციპები შეილახებოდა! ე.ი. ქვეყანაში სრული ანარქია იყო. შეიძლება ვთქვათ, რომ 32-34 წლამდე ქვეყანას მრავალი ხელისუფალი ჰყავდა და ყველა თავის ჭკუაზე განაგებდა მას!

საინტერესოა ვიცოდეთ რა მოტივით დააპატიმრეს მამია და მარია ორახელაშვილები? ცხადია ისინი მოწინააღმდეგეთა ბანაკს ეკუთვნოდნენ, რადგან, როგორც მათი შვილიშვილი, ქ-ნი თინათინ მიქელაძე იგონებს – თურმე მათ საშინლად სძულდათ ბერია. ამის დასამტკიცებლად ერთ-ერთ სტატიაში ქ-ნ თინათინს მოჰყავს მარია ორახელაშვილის საკმაოდ ვულგარული და შეურაცხმყოფელი სიტყვები ბერიას მიმართ: „ქეთუსია, როგორ შეგიძლია ამ გომბეშოსთან საუბარი?“ – ცხადია ბერიას გასაგონად. ნებისმიერი მკითხველი იკითხავს – საიდან მოდიოდა მათი ეს საშინელი ზიზღი ბერიას მიმართ? ცხადია ეჭვი აღარ არის, რომ განსხვავებული, ე.ი. დაპირისპირებული აზროვნებით, იდეით; დიახ, სხვაგვარი პარტიული მიმართულებით!!! რასაც მომავალში ტროცკის იდეებს დაარქმევს საქართველოს ახალი ისტორია! მაგრამ მოხდა მათთვის გაუთვალისწინებელი ფაქტი: უბრალო პარტიული მუშაკი რუსი ეროვნების ქალი, რომელიც კარგად იცნობდა სტალინის სოციალიზმის მორალურ ფასეულობებს და ტროცკისა და მის მომხრეთა ზღვარდაუდებ გაუმაძღარ მადას, სრულიად შემთხვევით გაიგებს და აღმოაჩენს შეთქმულებას სტალინის წინააღმდეგ! და მთელი საბჭოეთი მშვიდად რომ ელოდა სტალინის კრემლში დაპატიმრებას, პირიქით მოხდა, დაიწყო ტროცკის მომხრეთა მასიური დაპატიმრებები...

საზოგადოებას ასევე აინტერესებს რამ განაპირობა სტალინის უდიდესი ავტორიტეტი ხალხში? რა მოიმოქმედა მან ამისათვის? იქნებ განზრახ არაფერი გაუკეთებია და ის ზღვარდაუდები კეთილშობილება, რაც

მის სულიერ სამყაროს ასაზრდოებდა – მისივე შინაგანი ბუნებიდან მომდინარეობდა? ჩვენი თაობა ცუდად იცნობს სტალინს. მის შესახებ რაიმეს წერა და კითხვა აკრძალული იყო, მხოლოდ უნდა გველანძღა! ამიტომ ვერ გავაცნობიერეთ მისი პიროვნების ისტორიული ფენომენი. იქნებ ამის ბრალიცაა, რომ დღევანდელი ქართველები, უმეტესად კი „ახალი ქართველები" არცთუ კარგად მოიხსენიებენ მას? – სად არის სიმართლე? ვინ იყო სტალინი? სატანა თუ ხალხის სამსახურში ჩამდგარი ხალხის მამა და ქომაგი და რაც მთავარია ღვთის ჩუმი მსახური? ბატონებო! სოსო ჯუღაშვილი ღვთისმოშიშმა და ღვთისმოყვარე დედამ აღზარდა! ეს კი მნიშვნელოვანი ფაქტორია ბავშვის ხასიათის ჩამოსაყალიბებლად. მას ბოლომდე გაჰყვა ღვთის შიშიც და ღვთის სიყვარულიც. მართალია ამას სახალხოდ არ ახმაურებდა, მაგრამ ამის დასამტკიცებელი დოკუმენტებიც არსებობს.

დღეს არათუ საქმე, ტერმინიც კი სოციალიზმი თითქოს სალანძღავი სიტყვა იყოს, ამოღებულია დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკოსთა სასაუბრო და სამოქმედო პროგრამების ლექსიკიდან, და საერთოდ პოლიტიკური ლექსიკიდან (სულ ერთია პოზიცია და ოპოზიცია!!!), როგორ ავხსნათ ეს მოვლენა? რამდენად საჭიროა არა მარტო ჩვენთვის, არამედ ყველა ეროვნებისთვის, რომ ნებისმიერი ქვეყნის მმართველი ხელისუფლება თავის სამოქმედო პროგრამაში პირველ რიგში უნდა ითვალისწინებდეს და არა მარტო ითვალისწინებდეს, – მუდმივად უნდა ატარებდეს სოციალურ პოლიტიკას. დიახ... სოციალური საკითხი ყოველთვის აქტუალურია პოლიტიკაში. მაკიაველის აზრით იგი ძირითადი ღერძია პოლიტიკის! სოციალური საკითხის გადაუჭრელად პოლიტიკოსი უკვე აღარაა პოლიტიკოსი!

რუზველტის პოლიტიკის კურსი იყო დასაქმების პოლიტიკა, რომელმაც ყვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა შეცვალა – ამიტომ არის რუზველტი აშშ-ის ყველაზე წარმატებული და ავტორიტეტული პრეზიდენტი თავისი ქვეყნის ისტორიაში!

ისმება კითხვა - როგორ შეძლო სტალინმა საბჭოეთის უზარმაზარი იმპერია დაეშენებინა სოციალურ პოლიტიკაზე დაფუძნებულ მორალურ პრინციპებზე? ამისთვის სტალინს გააჩნდა არა მარტო შინაგანი სისპეტაკე და ბრწყინვალე გონება, ძლიერი ნებისყოფაც! ის იყო უპირველესი მაგალითი ყველასათვის.

გავიხსენოთ მეფის რუსეთი. როგორი ქვეყანა იყო იგი? წარმატებული თუ წარუმატებელი პოლიტიკურად, ეკონომიკურად ან თუნდაც რელიგიის თვალსაზრისით? გავიხსენოთ ტოლსტოი და დოსტოევსკი, რომლებიც მუდმივად სწერდნენ რუსი ხალხის გაუსაძლის გაჭირვებაზე, მათ მასიურ გადასახლება – მიგრაციაზე? სჭირდებოდა თუ არა სტალინური სოციალიზმი რუსეთს? დიახ, სჭირდებოდა! რუსეთი უზარმაზარ ტერიტორიას ფლობდა და ამ ტერიტორიაზე ესახლა ყველაზე ღარიბი ხალხი დედამიწაზე! არ ვამბობ შურისგებით, მაგრამ რუსეთის საიმპერატორო კარმა შეუბრალებლად გაანადგურა, ამოწყვიტა და გააღატაკა ქართული სამეფო სახლი, ბაგრატოვანთა 1500 წლოვანი დინასტია... იქნებ ღვთის ნებით მოხდა მათი (ე.ი. რომანოვების დინასტიის) განადგურება? რაც შეეხება სტალინს, მას საერთოდ არ მიუღია არავითარი მონაწილეობა ამ საშინელ საქმეში! იმ პერიოდში არც იმყოფებოდა პეტერბურგში! ქართული სამეფო კარის მოსპობის შემდეგ საქართველო აღარ იყო საქართველო... ძმა-ძმას აღარ ინდობდა და მეზობელი – მეზობელს... თურქეთიდან სომხების ჩამოსახლებამ ჯაშუშური ქსელი დახლართა ქალაქსა თუ სოფელში, ასე რომ გასაკვირი აღარაფერი იყო... მაგრამ დღემდე გაურკვეველია უშუალოდ ვინ ხელმძღვანელობდა მე-11 არმიის შემოსვლას საქართველოში? რატომ ბრალდება სტალინს? ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ სტალინისთვის არავის არაფერი უკითხავს, მას არა მარტო არ ენდობოდნენ, ლენინის მომხრეებს სძულდათ იგი მისი გამოკვეთილი ზნეობისა და მორალური პრინციპების გამო!

როგორც ვიცით შულავერის კომიტეტის საორგანიზაციო ჯგუფში სტალინი არ ირიცხებოდა, ცხაკაია-მახარაძეს სტალინთან ძალიან ცუდი ან კიდევ საერთოდ არ ჰქონდა არავითარი ურთიერთობა!

პერიოდი 1921 წლიდან 1927-30 წლამდე სტალინი მართალია კრემლში იყო, მაგრამ არ წარმოადგენდა მმართველ ხელისუფალს პარტიიდან, არც არმია იყო მის დაქვემდებარებაში! ტროცკი-ეჟოვი, მეხლისი, ზინოვიევი, კამენევი ერთბაშად აღმოჩნდნენ თამაშგარე მდგომარეობაში. ყველაფერი მოულოდნელად მოხდა, როცა გამჟღავნდა ტროცკის შეთქმულება.

მეორე მსოფლიო ომი უდიდესი მოვლენა იყო კაცობრიობის ისტორიაში. რატომღაც მსოფლიო მედია დუმს სტალინის გადამწყვეტ როლზე აღნიშნული ომის სტრატეგიულ წარმართვასა და შემდეგ ფაშიზმის აბსოლუტურ განადგურებაში. მესმის, – ამერიკელი ისტორიკოსები შტატების გენერალიტეტის დამსახურებად თვლის ჰიტლერის დამარცხებას, ინგლისელები კი ინგლისის გენერალიტეტის, მიუხედავად იმისა, რომ რუსმა ხალხმა უპირველესად და მათთან ერთად ყველა საბჭოთა რესპუბლიკების ხალხებმა უდიდესი როლი ითამაშეს, მთავარი მაინც ყოველთვის უმაღლესი მთავარსარდალია, კანთან ომი ჰანიბალმა მოიგო, ის რომ არ ყოფილიყო მთავარსარდალი რომაელები არ დამარცხდებოდნენ, უფრო მეტიც, არ განადგურდებოდნენ... რუსებმა მაშინ დაუშვეს ყველაზე დიდი შეცდომა, როცა ხრუშჩოვს უფლება მისცეს სტალინის არა მარტო სახელი, მისი ჩრდილიც კი გაენადგურებინა ყალბი ბრალდებებით! მისი პიროვნების მორალურ ფასეულობებს კი იმდენად სულელური სახელი უწოდა (ხრუშჩოვმა) „სტალინის კულტი", რომ ამაზე მალევე აგებინა ისტორიამ პასუხი!!!! დიახ... სხვა რომ არაფერი, სადაო არ არის ის ფაქტი, რომ მეორე მსოფლიო ომი სტალინის გენიალურმა გონებამ მოიგო, დანარჩენები კი... ყველა თავიანთ როლს ასრულებდა მსოფლიო პოლიტიკის საჭადრაკო დაფაზე, ცხადია მეტნაკლები წარმატებით, რადგან ამ შემთხვევაში მინდა მკითხველს გავახსენო ზუსტი ისტორიული თარიღები, როდის ჩაერთვნენ მოკავშირეები ომში და რა მიზეზით მიიღეს მათ მეორე ფრონტის გახსნის გადაწყვეტილება? ხომ არ იმოქმედა მათზე ქერჩის, სტალინგრადის და კავკასიის არნახულმა ბრძოლებმა და შიში ხომ არ შეეპარათ, რომ სტალინის გამარჯვების შემთხვევაში ევროპა და არა მარტო

ევროპა სოციალისტური გახდებოდა? დიახ, ეს ყველაფერი ფაქტია! ეს უდიდესი ომი სტალინმა მოიგო! და კიდევ ერთი საკითხი – არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დიდი ფრანგი, გერმანელი, იტალიელი და ესპანელი მოაზროვნენი ყველანი თანაუგრძნობდნენ საბჭოურ სოციალიზმს... დიახ, მათ ნაწარმოებებში აშკარად ჩანს ეს!... გავიხსენოთ თუნდაც მორიაკი, დიუ გარი, რომენ როლანი, მორუა, პიკასო, კაფკა და სხვები... დიახ, უკლებლივ ყველანი მე-20 საუკუნის ნამდვილად დიდი მოღვაწენი, საუკუნის შემოქმედნი იყვნენ.

დიდი ხანია ერთი კითხვა მაწუხებს, რატომ, რა მიზნით გვიჭედავენ ტვინს, ე.ი. უჭედავენ ქართველ ხალხს გონებას, რომ ქართველები ცუდი ხალხია? ცუდი ჩვევების მატარებელია? იქნებ ამიხსნათ. ძველი რომი უაღრესად დიდი ცივილიზაციის მატარებელი იყო და არის დღესაც... მაგრამ ისტორიას არ შეუძლია დაივიწყოს საშინელი და საბედისწერო დღე, როცა რომის ისტორიაში ყველაზე დიდ და გენიალურ რომაელს სენატში 75-ჯერ ჩაარტყეს ხანჯალი, ზოგმა გულში და უმეტესმა ზურგში, ამით ხომ ვერ ვიტყვით რომ რომაელები ზნედაცემულნი იყვნენ, და არიან? არა ბატონებო, ერთი და თუნდაც 75 ან მეტი უვარგისი არ განსაზღვრავს ერის ღირსებას! ცხადია ღირსებას ყოველთვის უმრავლესობა განსაზღვრავს. ქართველ ხალხს ისინი აძაგებენ, ვისაც შურს ქართველი ხალხის და ამით ცდილობს დაამციროს იგი, დაამციროს ქვეყანა საერთოდ და თავისივე მოგონილი ბრალდებები და სიბილწე ბოლოს თვითონვე სჯერა. ასე იქცეოდნენ სომეხთა აგრესიული ნაწილი საუკუნეთა მანძილზე! 1927 წელს ტროცკი კომუნისტური პარტიის რიგებიდან გარიცხეს, ამასთანავე ის მოიხსნა ყველა დაკავებული თანამდებობიდან და შუა აზიაში გადაასახლეს, საიდანაც 1929 წელს ბასმაჩების დახმარებით საზღვარგარეთ გაიქცა და მექსიკას შეაფარა თავი. წლების მანძილზე ის ცხოვრობდა ცნობილი მექსიკელი მხატვრის დიეგო რივერას სახლში. პატივისცემა იმით გადაუხადა გენიალურ მხატვარს, რომ მისი საყვარელი ცოლი, ფრიდა კალო ჯერ საყვარლად გაიხადა, შემდეგ კი გაალოთა და ჭკუიდან შეშლაშიც დაეხმარა... დანარჩენი ჩვენ აღარ გვაინტერესებს... არც ფრიდა კალოსა და ტროცკის სიყვარულის ისტორია! ტროცკი თავის ძირითად მტრად თვლიდა სტალინს და მის მომხრეთ. ლენინი თავის სიცოცხლეში აბალანსებდა ბრონშტეინის აგრესიულ ხასიათს, ლენინის სიკვდილის შემდეგ მან სრული თავისუფლება იგრძნო და ამდენად, უნდოდა კრემლში მხოლოდ მისი მომხრეები დარჩენილიყო, დანარჩენებისთვის კი უბრალოდ ლიკვიდაცია გაეკეთებინა, მაგალითად პირველ რიგში ჯუღაშვილისთვის. ეს მისი ხასიათისთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო, მაგრამ საკმაოდ ძნელად შესასრულებელი აღმოჩნდა.

სტალინზე რომ ვისაუბროთ პირველ რიგში მისი მშობლები უნდა გავიხსენოთ ვინ იყვნენ ისინი? სუფთა სულისა და სინდისის მქონე ადამიანები, თუ ქონებით გაზულუქებული ლუარსაბის შთამომავლები? და ის გარემო პირობები უნდა გავაანალიზოთ სადაც დაიბადა და აღიზარდა კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ადამიანი ადამიდან დღემდე. ადამიანი, რომელმაც თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მსოფლიო ისტორია შეცვალა და საფუძველი ჩაუყარა თითქმის ღვთაებრივ ზესახელმწიფო წყობას, რომლის წარმმართველი ძალა და ფუნქცია სოციალურ ჭრილში იყო განსაზღვრული და დაფუძნებული საერთო სახალხო ერთობას! ააშენა ქვეყანა უზარმაზარ ტერიტორიაზე, რომელსაც პირობითად საბჭოეთი ერქვა და მრავალი ერის და ქვეყნისაგან შედგებოდა, მათ ყველას თავიანთი ენა შეუნარჩუნდა და თავიანთი ფერი ჰქონდათ რუკაზე და ამ უზარმაზარ ქვეყანაში არ იყო მშიერი ადამიანები, არ იყვნენ, მათხოვრები, არ იყვნენ ქუჩაში მოწანწალე უპატრონო, მიუსაფარი ბავშვები და არ იყვნენ მიტოვებული, სიკვდილს მონატრული მოხუცები! ადამიანებს ჰქონდათ უფასო მკურნალობის საშუალება, ასევე განათლების უფასოდ შეძენის საშუალება და... არ იყვნენ უსახლკარონი! კონსტიტუცია ზრუნავდა თითოეულ მოქალაქეზე. დღევანდელი გადასახედიდან ეს ყველაფერი სიზმარს ჰგავს, დაუჯერებელ სიზმარს, რადგან... დღეს... ადამიანი ისე კვდება, ექიმთან მისვლის საშუალებაც კი არა აქვს, მკურნალობას და საავადმყოფოში დაწოლას რომ თავი დავანებოთ, იგი მიუწვდომელი ფუფუნებაა! სწავლა საოცრად ძვირი სიამოვნებაა და შემდეგ კი... იშოვნი თუ არა სამსახურს ეგ კიდევ საკითხავია... დიახ... ამჯერად, ამ ბოლო 20 წელიწადში მწარედ გავაანალიზეთ რას ნიშნავს კაპიტალიზმი! ალბათ გახსოვთ კინო, მერაბ თავაძის რეზიკო სათამაშოების ფაბრიკაში რომ იწყებს მუშაობას, იმ ფილმიდან ეროსი მანჯგალაძის გმირის, ფაბრიკის დირექტორის სადღეგრძელოს სიტყვები: რატომ იყო რევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი? – იმიტომ რომ მას არ ჰქონდა სათამაშო! დიახ ბატონებო! ჩვენს წინ მთელი მსოფლიო იყო გადაშლილი, სადაც უმუშევრობასა და საშინელ სიღუხჭირეში ცხოვრობდა ხალხი, მაგრამ ჩვენს თაობას რატომღაც ეს არ ეჯერა, იმიტომ რომ ჩვენს ბავშვებს თავზე საყრელად ჰქონდათ სათამაშოები, და სადაც არა ხარ, რატომღაც ყველგან კარგი გგონია! მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა დაიწყეს იმ გენიალური საძირკვლის ნგრევა, რომელზედაც ეს მართლაც სამოთხის მსგავსი ქვეყანა იყო დაშენებული.

დიახ, დავუბრუნდეთ ჩვენს სათქმელს – სტალინის შეურყვნელი მორალი ჩამოაყალიბა რწმენამ და აღზრდამ, გენურმა კეთილშობილებამ და ასევე საქართველოს საშინელმა დუხჭირმა გარემომ. ყველაფერმა ერთად და რაც მთავარია დედის რწმენამ და კეთილშობილებამ.

დღეს იმაზე არავინ საუბრობს (არც ადრე საუბრობდნენ) რომ საქართველოში 1921-27-იანი წლების ჩათვლით სასტიკად იდევნებოდა ეკლესია-მონასტრები, მღვდელ-მონაზვნები და საერთოდ მართლმადიდებლური ეკლესია, ჩვენ გვჭირდება ზუსტი ფაქტები, რომ კრემლში მოკალათებული ებრაულ-სიონისტური ჯგუფი ჯერ ლენინის, შემდეგ კი ტროცკის ხელმძღვანელობით ანადგურებდნენ ყოველგვარ ქრისტიანულს, მართლმადიდებლურს! ჩვენ ყველამ კარგად ვიცით ქართული სამღვდელოების წამების შემზარავი ფაქტები, თუნდაც ერთ-ერთი გავიხსენოთ, ურემზე დაბმული თითქმის შიშველი მიტროპოლიტი ნაზარი ლეჟავა და მასთან ერთად წამებული და შემდეგ

დახვრეტილი ხუთი მღვდელი, რომელთაც ქრისტესთვის სიკვდილი არჩიეს... რატომ აბრალებენ სტალინს ყველაფერს და რატომ არ უნდათ ზოგიერთებს ისტორიულ სიმართლეს თვალი გაუსწორონ? ვინ იყო ამ სერიული მკვლელობების ორგანიზატორი, რომელსაც ქართველი ხალხი ჭირის დღესავით სძულდა? და რატომ არის ტაბუდადებული და დამალული ამ პიროვნებების სახელები ისტორიისთვის? ეს იყო მოგილევსკი, იგი მარჯვენა ხელი იყო მახარაძე-ორახელაშვილების! საზოგადოებას აინტერესებს ვინ იყო ლავრენტი ბერია, როგორი და რა დადებითი თვისებების გამო აღმოჩნდა იგი კრემლში სტალინის გვერდით? ხრუშჩოვის მოგონებებმა საშინელი ჭორ-ბრალდებები გაავრცელეს, ფაქტობრივადაც არ შეიძლება ამ ბრალდებების დადასტურება თუნდაც ნაწილობრივ. წლების მანძილზე ჩვენთან რედაქციაში დადიოდა (მეგობრობდა ჩვენთან) ბერიას ავადმყოფი დის შვილი, იმ დის, რომელიც ყრუ-მუნჯი გადაასახლა ხრუშჩოვმა, და საშინლად აწამა მთელი ოჯახი. გააჩნდა თუ არა ბერიას ქართველი ვაჟკაცის ყველა დადებითი თვისება და... რაც მთავარია იყო თუ არა ავხორცი, მრუში, გამყიდველი? და... ჩვენ კარგად ვიცით, მას არასოდეს უღალატნია თავისი ქვეყნისთვის, თავისი ხალხისთვის და თუნდაც საკუთარი მეუღლისთვის! ის ნამდვილი ვაჟკაცი იყო, პატრიოტი ქართველი! დიახ, ეს სიმართლეა ბატონებო! და რაც მასზე ჭორ-ბრალდებები შეთითხნა ხრუშჩოვმა, სიმართლეს არც ერთი არ შეესაბამება!

ამჯერად მკითხველს მინდა განვუმარტო იყვნენ თუ არა განსხვავებულები სტალინის ჯგუფისაგან ის პირველი ქართველი სოციალისტები. რომლებიც ნამდვილად ტროცკის, სტურუა-ორჯონიკიძის ბანაკში აღმოჩნდნენ? ცნობილი ფაქტია, რომ ვანო სტურუას წყნეთის აგარაკი როცა გადათხარეს ნაძარცვი ოქროთი და ბრილიანტებით სავსე ქოთნები აღმოუჩინეს მიწაში ჩამარხული! ისიც ფაქტია, რომ ვანო სტურუას ცოლისთვის კასრებით ეზიდებოდნენ რძეს, თანაც ვირის რძეს, რომ მას, მიქოიანის დას დილის აბაზანა მიეღო. ეს ამბავი მთელმა თბილისმა იცოდა, ამის დამალვა არც შეიძლებოდა, რადგან, ვირის რძე არც ისეთი იოლი საშოვნია და ამ არცთუ სახარბიელო საქმეში ჩართულნი იყვნენ თითქმის მთელი თბილისის და მისი შემოგარენის მოსახლეობა! მაშინ, როცა ქართველ ხალხს არნახულად უჭირდათ და შიმშილით იხოცებოდნენ, დიახ მაშინ, იმ წლებში, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ქალის, ვანო სტურუას ცოლის ძმა როგორც გითხარით მიქოიანი გახლდათ, კავკასიის კურატორი, ე.ი. კავკასიის საქმეთა მმართველი, ან უბრალოდ მბრძანებელი... ძველ ლენინელთა წარმომადგენლები, უეროვნებო ხალხი იყო! მათთვის ყველა ერთი იყო – ასეთი გახლდათ მათი სამოქმედო პრინციპი! ეს მასონური პრინციპია! მათთვის მიუღებელი იყო რწმენა და პატრიოტიზმი!

ძალიან საწყენი და დასაგმობია ევგენი მიქელაძის დახვრეტა... სანდრო ახმეტელის და სხვათა... პირველ რიგში შევჩერდეთ ევგენი მიქელაძეზე. ის მართლაც ძალზე ნიჭიერი მუსიკოსი, დირიჟორი გახლდათ, მაგრამ არა ისეთი, რომ ვერავის შეეცვალა. შეუცვლელი არავინაა ბატონებო!... ქართულ გენს არასოდეს უჭირდა! მაგრამ მთავარი ღირსება ევგენი მიქელაძის, რამაც ის „ევგენი მიქელაძედ“ აქცია იყო მისი სიდედრ-სიმამრი, ორახელაშვილები, ამიერკავკასიის ბიუროს მდივანი და მინისტრი! პირველი კომუნისტი-სოციალისტები. ე.ი. ტროცკის ჯგუფის წევრები. ტროცკის ჯგუფის წევრობას რომ ქართველებისთვის და საქართველოსთვის არაფერი დაეშავებინა, ცხადია ხმასაც არავინ გაიღებდა, მათი ყველაზე დიდი დანაშაული იყო საქართველოსთვის ტერიტორიები ჩამოჭრა და მეზობელი რესპუბლიკებისთვის გადაცემა, ასევე დიდი დანაშაული იყო ფეთქებადი ავტონომიების შექმნა! იმ წლებში მოგეხსენებათ შიმშილობდა ქვეყანა! მე უკვე მერამდენედ ვთქვი, რომ ხალხი შიმშილით იხოცებოდა! ორახელაშვილების ერთადერთი ქალიშვილი, მიქელაძის მეუღლე ოპერის თეატრში ქმრის სპექტაკლებზე დასასწრებად პარიზიდან იწერდა ტანსაცმელს და ატარებდა ცნობილი გოლქანდის მსხვილ ცისფერ ბრილიანტებს... როგორ ავხსნათ ბატონებო ეს ყოველივე? არ ჯობდა ამ ფულით თავისი ხალხისთვის პური ეყიდა და უსასყიდლოდ დაერიგებინა? რატომ გადაასახლეს ორახელაშვილები? მათ არ უღალატიათ საქართველოსთვის (როგორც ისინი ირწმუნებოდნენ)? მკითხველს ვთხოვ, ამიხსნას რას ნიშნავს ღალატი? მაშინ, როდესაც შენს ხალხს ლუკმა პური უჭირს, მათ საიდან გაუჩნდათ უზღვავი ქონება? მე ეჭვი არ მეპარება, რომ მათ სტალინი სძულდათ სწორედ მისეული მორალური პრინციპებისთვის, როცა ამბობდა, – ხალხი! ჯერ ხალხი და... შემდეგ ჩვენ, ხალხთან ერთად, მხოლოდ ხალხთან ერთად! დიახ, ბატონებო! რაც შეეხება სანდრო ახმეტელს, ის უნიჭიერესი რეჟისორი იყო და ხელი არავის შეუშლია მისი კარიერისთვის, პირიქით, მაგრამ... მეტისმეტი ხომ არ მოუვიდა ამ ნიჭიერ კაცს როცა თეატრიდან ფაქტიურად გააძევა გენიალური რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი, როცა 5 წუთის დაგვიანებისთვის დასიდან გარიცხა გენიალური მსახიობი აკაკი ხორავა და როცა მოსკოვში, ქართული კულტურის დეკადაზე 1937 წელს სცენიდან, მთელი მსოფლიოს გასაგონად სტალინს ტირანი უწოდა? არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმდროინდელ სოციალისტურ საბჭოეთს მთელი მსოფლიო ემტერებოდა. ასევე მინდა გკითხოთ, რამდენად შეეფერება სიმართლეს თენგიზ აბულაძის ფილმი „მონანიება“? მე ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩავთვლი ამ ფილმს ბერიასა და სტალინის შეურაცხყოფად, რადგან ჯერ კიდევ სათანადოდ არა მაქვს შესწავლილი ამ დიდი ადამიანების ბიოგრაფიები, აუცილებლად უნდა დავადგინოთ პოლიტიკური და ისტორიული სიმართლე, ამიტომ მგონია, რომ ეს კინოტრაგედია გაბრაზებული, უბრალოდ განაწყენებული შემოქმედის გენიალური ფანტაზიაა!

რეალური სიმართლე ის იყო, რომ ხალხი, როგორც ძირითადი სუბიექტი ქვეყნის არსებობისთვის მათთვის ე.ი. ტროცკის მომხრეებისთვის არ აღმოჩნდა უმთავრესი. იმ პერიოდში ხალხი შიმშილობდა. პური არ ჰქონდა ქვეყანას და ხელისუფლებისთვის ეს უნდა ყოფილიყო მთავარი! ეს კი ასე არ აღმოჩნდა. და ბოლოს, საინტერესოა, თუ გავარკვევთ იყო თუ არა სტალინი ცუდი ქართველი, უეროვნებო კონგლომერატი, რომელსაც რცხვენოდა თავისი ეროვნების და არ ამხელდა მას? რა ბატონებო! სტალინი ყოველთვის ამაყობდა თავისი ეროვნებით! ეს ფაქტია!

1930-იანი წლებისათვის მსოფლიოში რამდენიმე ძლიერი სახელმწიფო არსებობდა: შტატები, გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია. მითითებული სახელმწიფოები არცერთი არ გამორიჩეოდა საბჭოეთისადმი კეთილგანწყობით. ეჭვგარეშეა, თითოეულ მათგანს თავიანთი აგენტურა ჰყავდა კრემლშიც და საბჭოთა ჯარშიც, თუ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ არ გამჟღავნებულიყო ტროცკის და მისი მომხრეების შეთქმულება სტალინის წინააღმდეგ, ცხადია მითითებულ ზესახელმწიფოებს გაერთიანებაც არ დასჭირდებოდათ რუსეთის გასანადგურებლად, გერმანია მოუღებდა ბოლოს. რა იყო და როგორი იყო სოციალისტური ქვეყანა რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა? ბრჭყვიალა, მოციმციმე სათამაშო, რომელიც ხელის შეხებისთანავე დაიმსხვრეოდა, თუ რეალური ფაქტი! სადაც... არ იყვნენ მათხოვრები, არ იყვნენ მშივრები! განათლების მიღება და ჯანმრთელობის დაცვა იყო უფასო, ყველას ჰქონდა სამსახური, სოციალისტური მთავრობა უზრუნველყოფდა ხალხს ბინით, ე.ი. ჰქონდათ სახლ-კარი და არ სციოდათ ზამთარში, მუდმივად ჰქონდათ სინათლე და თბილი წყალი და მიზერული, სიმბოლური გადასახადის გადახდა იყო საჭირო გაზზე და შუქზე, წყალზე მგონი არა! და კიდევ, ნებისმიერი ადამიანი ფასდებოდა საკუთარი შესაძლებლობების ფონზე (ოღონდაც მორალური პრინციპების გათვალისწინებით), რომლის გამოვლენის საშუალება აბსოლუტურად ყველას ჰქონდა! დიახ, მაღალმთიან სოფლებშიც კი იყო სკოლები და საავადმყოფოები და ეს ყველაფერი იყო საერთო, სახალხო საკუთრება! დიახ, და თურმე, ეს ყველაფერი იყო სინამდვილე და არ იყო სიზმარი! დღევანდელი გადასახედიდან ყოველივე ამის წარმოდგენა შეუძლებელია... ნამდვილად წარმოუდგენელია! მაგრამ ამ სასწაული სახელმწიფოებრივი წყობის ფუძეჩამყრელს, სტალინს უნდა სცოდნოდა, რომ ადამიანური ბუნების მგლური კანონის გამო ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა... და უმადური, ულირსი, გაღორებული და ამბიციური კაცუნები ჭუჭყიანი, ბინძური ხელებით დაანგრევდნენ გენიალურ შენობას, რომელსაც სოციალიზმი და ხალხთა ერთობა, იგივე ამქვეყნიური სამოთხე ერქვა! და ეს ნგრევა დაიწყო ხელისუფლებაში ხრუშჩოვის მოსვლით, გაგრძელდა შემდეგ და გორბაჩოვის, უგუნური ტრაქტორისტის კორუფციულმა მთავრობამ მთლიანად გაანადგურა თავიანთი უღირსი საქციელით. ღირსება შეულახეს საბჭოთა ჯარისკაცს, რომელმაც მეორე მსოფლიო ომი მოიგო!!!!

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტი, რომ ჰიტლერს ჰქონდა დაგეგმილი ირანში შეჭრა, რათა სამხრეთიდან კიდევ ერთი გამანადგურებელი დარტყმა მიეყენებინა საბჭოეთისთვის. ბერიას მიერ არაჩვეულებრივად აწყობილი სადაზვერვო სამსახურის წყალობით სტალინმა ეს გეგმაც ჩაუშალა ჰიტლერს. სტალინმა ფაქტიურად საომარი მოქმედება ააცილა ირანს! და კიდევ – გერმანიას გადაწყვეტილი ჰქონდა შაჰის ტახტი გაეუქმებინა და რაიხსკომისარიად ექცია ირანი, ეს ყველაფერი შაჰმა კარგად იცოდა! სტალინი ფაქტიურად მისი მხსნელიც იყო! ეს ფაქტი დიდი მადლიერებით გამოხატა შაჰმა, როცა სტალინის წინაშე მუხლზე დაიჩოქა! რაც შეეხება რუზველტსა და ჩერჩილს, ისინი გენიალურ მოკავშირედ თვლიდნენ სტალინს და აბსოლუტურად ენდობოდნენ! მაგრამ... რა შეიძლება დავარქვათ ჩვენი საზოგადოების დღევანდელ გაუსაძლის ეკონომიკურ სიდუხჭირეს თუ მორალურად საზიზღარ ყოფას – ხელოვნურად სწრაფვა სოდომიზმში? ხომ არ არის ისევ დიდი შეთქმულება მართლმადიდებლური სამყაროს წინააღმდეგ? დიახ! ბატონებო! ვფიქრობ, რომ მიუხედავად პატრიარქის დიდი ძალისხმევისა, – მახარაძე, ორახელაშვილი-მოგილევსკის აჩრდილი დაძრწის საქართველოში!

საკამათო არ არის ის ფაქტი, რომ ბერია სტალინის მარჯვენა ხელი იყო. ამ უზარმაზარ იმპერიაში, რომლის მსგავსი არც სიდიდით და არც სიძლიერით მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს, და რომლის შემქმნელი, ფუძეჩამყრელი და მამოძრავებელი ძალა ერთადერთი პიროვნება გახლდათ იოსებ ჯუღაშვილი, იგივე სტალინი, და იგი, მსოფლიო ისტორიისთვის გამოუცნობი, არაორდინალური პიროვნება, მიუღწევადი მოკვდავთაგან თავისი მრავალმხრივი გონებრივი პოტენციალით და რკინისებური ნებისყოფით, თვალდახუჭული ენდობოდა ერთადერთ კაცს ლავრენტი ბერიას.

ორთავე სუფთა იყო მორალურად და... ორთავე დიდი ადამიანი იყო! და კიდევ... პატრიოტებიც!.. მართლმადიდებლებიც! დიახ... და რომ „მეგრელთა საქმე“ მომზადებული იყო ხრუშჩოვ-მიქოიანის საიდუმლო დაჯგუფების მიერ სტალინსა და ბერიას შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად. რაც შეეხება ბერიას სიკვდილს, დოკუმენტებიდან ჩანს, რომ გენერალმა მოსკალენკომ უბრძანა პოლკოვნიკ იუფერევს „შენ ყველაზე ახალგაზრდა ხარ და განაჩენი აღასრულეო“. მაგრამ გენერალმა ბატიცკიმ არ დაანება – „მე ვიზამო“, ბატიცკის ცოლის მოგონებით (ქმრისგან მონაყოლი) „ბერია ამ დროს მუხლებზე იყო დაჩოქილი და მათ შეწყალებას სთხოვდა“, რამდენად მართალი იქნება ეს? ვფიქრობ, ბერიას ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია მას შეწყალება ეთხოვოს ამ უმადური რუსი ჩინოვნიკებისთვის... არის ცნობები, რომ მას თვითმფრინავშივე ესროლეს... ზურგიდან... რადგან პირისპირ ამას ვერავინ შეძლებდა... ხრუშჩოვის მონათხრობის მიხედვით ბერია პოლიტბიუროს წევრების თანდასწრებით დაახრჩვეს... და შემდგომი ძიება გამოგონილი, ტყუილი იყო, ასევე გამოგონილი და ტყუილი არის ჟუკოვის ჩანაწერები ბერიას სასამართლოების მიმდინარეობაზე! როგორც ყოველთვის ჟუკოვი აქაც ცრუობს!

ბერია თვითმფრინავშივე მოკლეს, ზურგიდან ესროლეს! იქვე ამოხოცეს მისი თანმხლები პირები! სასამართლოები ფალსიფიცირებული იყო!

1925 წლის 22 მარტს თბილისში, დიდუბის მახლობლად ჩამოვარდა თვითმფრინავი „იუნკერს 13“, რომელშიც ისხდნენ სსრკ-ცკას წევრი მიასნიკოვი, ამიერკავკასიის ჩეკას თავმჯდომარე სოლომონ მოგილევსკი, ძველი ბოლშევიკი ათარბეგოვი და ორი პილოტი. რა თქმა უნდა, ისინი დაიღუპნენ. ბერიასა და სტალინის მტრები (ხრუშჩოვის ბრალდებით) ამ ავარიას სპეციალურად მოწყობილს უწოდებდნენ, რადგან მიასნიკოვი და ყველა მათგანი სტალინის მოწინააღმდეგეთა ბანაკს მიეკუთვნებოდა, რაც შეეხება მოგილევკის, პირადად მის კისერზეა ქართველთა

სისხლი 21-22-23-24-25 წლებში, მას პათოლოგიურად სძულდა ქართველები და იცოდა ერთადერთი სიტყვა „დახვრიტეთ“. აი ეს კაცი იყო საქართველოს ბედის განმკარგულებელი და მამია ორახელაშვილის მარჯვენა ხელი! მისი ბრძანებით დაიხვრიტნენ აჯანყებულები 21-22-23-24-25 წლებში. არის ცნობები, რომ მოგილევსკის თავიდან მოშორება აუცილებელი იყო ქვეყნისთვის! ზუსტად არავინ იცის, მაგრამ ხრუშჩოვი პირდაპირ ადებს ხელს ბერიას, რომ ეს არის პირველი ერთობლივი „საქმე“ სტალინის მითითებით.

1931 წლის 14 ოქტომბერს ბერია აირჩიეს საქართველოს კპ. ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად, ხოლო ორი კვირის შემდეგ ა/კ ფედერაციის სამხარეო კომიტეტის მეორე მდივნად. ხოლო 32 წლიდან ა/კ ფედერაციის კომ. პირველი მდივანია. ლავრენტი ქართველიშვილმა (ა/კ ფედერაციის სამხარეო კომიტეტის მდივანი) პირდაპირ, უშიშრად განაცხადა, რომ: „ამ შარლატანთან მე არ ვიმუშავებო“. ისმება კითხვა: რა შეატყო შარლატანობის ქართველიშვილმა ბერიას, როცა ის, ე.ი. ბერია ჭკვიანი, ერუდირებული, სიტყვაძუნწი, მორიდებული, დაფიქრებული და საერთოდ მძიმე პიროვნება იყო? არ იყო თავხედი, მსუბუქი და ავყია! ე.ი. აქედან გამომდინარე ფაქტი სახეზეა, ა/კ ცეკას ბიურო და საერთოდ საქართველოს ცეკას ბიუროც მთლიანად დაკომპლექტებული იყო მოწინააღმდეგე აზრის მქონე ტროცკისტ-პიატაკოვისტებით? ა/კ ფედერაციის დაშლის შემდეგ ბერია ისევ საქართველოს კპ. ცეკას პირველი მდივანია! ხომ არ ხედავდნენ მასში მოწინააღმდეგეთა ბანაკის – ენუქიძე-ორახელაშვილის ჯგუფის წევრები საშიშ მტერს სტალინის თანამოაზრის სახით? ბერიას დაწინაურება სტალინის პირველი გამარჯვება იყო, სტალინმა მოითხოვა ბიუროს სხდომაზე მისი გადაყვანა პირველ მდივნად! და... გაიტანა კიდეც თავისი, რადგან რუსეთის პარტიულ წრეებში 1930 წლიდან სტალინი უკვე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა!

სტალინი პრაქტიკული მოღვაწე იყო. 1927 წლიდან დაიწყო შეთქმულებების კასკადი მის წინააღმდეგ, მაგრამ უშედეგოდ. ძველ ბოლშევიკთა (როგორც ტროცკი და ბუხარინი ეძახდა თავიანთ მომხრეებს) ცარიელ, წყალწყალა დაპირებებს ხალხის მიმართ სტალინმა პრაქტიკული საქმეები დაუპირისპირა. 30-იანი წლებიდან სწრაფი ტემპით დაიწყო ფაბრიკა-ქარხნების და ელექტროსადგურების მშენებლობა, სოფლად კოლექტიური მეურნეობების მშენებლობა... ხალხი უნდა დასაქმებულიყო, რომ შიმშილი მოესპოთ ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე, ეს იყო მისთვის უმთავრესი ამოცანა! გაჩნდა მოწინავე შრომითი კოლექტივები! პირველი წარმატებები... და... ხალხმა უკვე ძალიან შეიყვარა სტალინი... და ეს სიყვარული იყო ალალი სიყვარული მშიერი, დათრგუნული, ღატაკი ადამიანებისა, გაიხსენეთ გვადი ბიგვა! ეს გენიალური ნაწარმოებია ლეო ქიაჩელის, რომელიც ყოველგვარი შელამაზების გარეშე ასახავს იმ პერიოდს, რაიმე ხელოვნურს ან ძალდატანებულს ხედავს ჩემი მკითხველი ხალხის მიერ სტალინის სიყვარულში? უცნაურად რატომ უნდა ეჩვენოს ნებისმიერს ის ფაქტი, რომ ადამიანს მასზე მზრუნველი ადამიანი უყვარდეს? სტალინი დიდბუნებოვანი და მორალურად სუფთა პიროვნება იყო, მან თავისი ცხოვრების წესით პირადი მაგალითი მისცა ხალხს, რაც შემდეგ ვერ შეძლო ხრუშჩოვმა და მისმა მემკვიდრეებმა!

დღემდე საკამათოა 1937 წლის რეპრესიების გამომწვევი მიზეზები. რატომ? საზოგადოებისთვის ტაბუდადებულია სტალინის არქივი, რომელიც ფაქტიურად გაანადგურა ხრუშჩოვმა, მაგრამ რაც გადარჩა, თუნდაც იაგოდა-რიკოვის შეთქმულების ოქმები, ისინიც ბევრ საინტერესო მასალებს შეიცავენ. როგორ მზადდებოდა ერთ-ერთი მასშტაბური შეთქმულება სტალინის წინააღმდეგ, აღნიშნული შეთქმულების გახსნამ სათავე დაუდო 37-38 წლების დაჭერებს! ამაზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. ტროცკისა და ტროცკისტთა შორის შუამავალი იყო კრესტინსკი (ძირითადად იაგოდასთან). ტროცკისტთა მთავარი დასაყდენი იყო სწორედ იაგოდა, რადეკი და ბუხარინი! შეგიძლიათ იხილოთ ამერიკის ელჩის, რუზველტის პირადი მეგობრის, დევისის მემუარები!

აბელ ენუქიძე ძველი ლენინელი და სტალინის დაუძინებელი მტერი და ტროცკი-ბუხარინის ერთგული მეგობარი, ორახელაშვილი-ქართველიშვილი-მდივნის ჯგუფის ფაქტიური ხელმძღვანელი იყო კრემლში! ისმება კითხვა: ჰქონდა თუ არა კავშირი „შულავერის კომიტეტთან“ სტალინსა და ბერიას? ვინ მოუძღოდა მე-11 არმიას ტაბახმელისკენ? მდივანსა და შულავერის კომიტეტს, ორხელაშვილებს, ძნელაძეს და სხვებს რა გეგმები ჰქონდათ? შულავერის კომიტეტს ფაქტიურად ეს ხალხი წარმოადგენდნენ. ეს ხალხი მიუძღოდა მე-11 არმიასაც ხრუშჩოვთან ერთად!

ხშირად ისმის კითხვა: ვისი უშუალო ბრძანებით შეიქმნა საქართველოს საზღვრებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიები? და რატომ ბრალდება დღეს სტალინს? რა უნდოდა 1936 წლის აგვისტოში ნესტორ ლაკობას, აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თბილისში, ბერიასთან? რა მოხდა ბერიას ბინაში სადილის შემდეგ? რატომ მოკლეს ლაკობა?

ავტონომიები მახარაძე-ორახელაშვილის გეგმით ჩამოყალიბდა. უეროვნებო ხალხს სურდა დაეშალა ქვეყანა და დაშალეს კიდეც! მაშინ ცხინვალში მხოლოდ რამდენიმე ოსური ოჯახი ცხოვრობდა მხოლოდ. რაც შეეხება ლაკობას, მას საერთოდ უნდოდა საქართველოდან გამოყოფა, რაზეც უარი მიიღო ბერიასგან! დანარჩენი რაც მოხდა ხრუშჩოვის ბრალდებაა და არავინ იცის რამდენად სწორია.

ხრუშჩოვის მოგონებებში წამოწეულია ლაკობას საქმე და „აფხაზი „30“-ის პროცესი“. ისინი, თურქული ორიენტაციის აფხაზები იყვნენ, თანაც რუსეთის მომხრეები, მათგან 20 დახვრიტეს, მათ აღიარეს თურქული ორიენტაცია, მათ შორის იყო ლაკობას ძმა მიხეილი. აფხაზეთის პარტოკრატიაში რუსული ორიენტაციის ადიღეველები წარმოადგენდნენ უმრავლესობას! ისინი მუსულმანები და თურქული ორიენტაციის იყვნენ.

1936 წლის ივნისში სომხეთის კომპარტიის ც.კ. პირველი მდივანი აგასი სანჯიანი ჩამოვიდა თბილისში. სანჯიანმა ბერიას ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა. რის საფუძველზე ითხოვდა სანჯიანი სამცხე-ჯავახეთს? რატომ მოკლა ბერიამ სანჯიანი? და ნამდვილად მოკლა

ბერიამ? თუ ესეც ხრუშჩოვის მოგონილი ბრალდებაა? – დიახ, ბატონებო! პირველი – იგი ითხოვდა სომეხი ხალხის სახელით, ითხოვდა, როგორც ძველ სომხურ მიწა-წყალს, მარის მიერ შედგენილი სომხური რუკის მიხედვით! დიახ! სწორედ მარის რუკაზე დაყრდნობით ითხოვდა იმიტომ, რომ ლორე-ტაშირი უკვე და თანაც ძალიან ადვილად მიიღეს მახარაძე ორახელაშვილისგან! ხომ გაგიგიათ მადა ჭამაში მოდისო? ჰოდა, კიდევ უნდოდათ, მაგრამ შეეშალათ, ბერია არ იყო არც ფილიპე მახარაძე, არც ორახელაშვილი და არც ორჯონიკიძე, იგი ღირსეული ქართველი კაცი იყო!

იაგოდას დაჭერის შემდეგ, 1938 წელს ჩეკას უფროსის სავარძელი დაიჭირა ცკ-ს კადრების განყ. უფროსმა ეჟოვმა. 1938 წლის აგვისტოში ბერია ეჟოვის მოადგილე გახდა, რამდენიმე თვის შემდეგ კი НКВД-ს შეფი. ვინ იყო ეჟოვი? რატომ ენდობოდნენ მას და რატომ გაანადგურა მან არმიის სამეთაურო ნაწილი? მხოლოდ იმიტომ, რომ ტროცკის კადრი იყო, თუ იმიტომ, რომ მათ ბევრი იცოდნენ და ეს არ აწყობდა ეჟოვს? უდიდესი ომი კარზე იყო მომდგარი, ხომ არ ფიქრობდა იგი, რომ ამით სერიოზულ ზიანს მიაყენებდა საბჭოთა არმიას? და რა თქმა უნდა მიაყენა კიდეც. ეჟოვზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. უბრალოდ ის მოღალატე იყო, ტროცკის იდეების გამგრძელებელი

ხრუშჩოვის მოგონებებში წერია, რომ ბერიას სიხარული არ გამოუხატავს НКВД-ში გადასვლასთან დაკავშირებით. მას სურდა საქართველოში დარჩენა –... ბერიას ხასიათიდან გამომდინარე ამჯერად ალბათ ბოროტი, მატყუარა და შურისმაძიებელი ხრუშჩოვიც კი სიმართლეს ამბობს. ბერიას ნამდვილად უყვარდა სამშობლო. ბერიას ხელში აშენდა და დამშვენდა თბილისი, ამას ვერავინ უარყოფს, ეს ფაქტია. სტალინმა ბერიას მეშვეობით შექმნა სახელმწიფო უშიშროების ყოველმხრივ მოწესრიგებული და წარმატებული სამსახური, მსოფლიოში უპრეცედენტო სადაზვერვო ქსელი, 1946 წლიდან სტალინის განკარგულებით ბერია სათავეში ჩაუდგა ატომური შეიარაღების სამთავრობო კომისიას და... უმოკლეს დროში საბჭოეთი ატომურ სახელმწიფოდ იქცა და ეს ფაქტი, ეს არაჩვეულებრივი წარმატებები გახდა შიშისა და შურის მიზეზი! რამაც საფუძველი ჩაუყარა ხრუშჩოვ-მოქოიანის შეთქმულებას ბერიას წინააღმდეგ. შეთქმულებას კი ბოროტი ადამიანები აწყობენ! სიმართლეს არ შეეფერება ბერიას მექალთანეობა! რამდენადაც ვიცი მას სიკვდილამდე მთელი გულით უყვარდა თავისი ულამაზესი მეუღლე ნინო გეგეჭკორი, რომელიც ტრადიციებზე აღზრდილი ღირსეული ქართველი ქალბატონი ბრძანდებოდა.

ბერია ტრადიციული კარგი ქართული ოჯახის პატრონი იყო. უდიდეს პატივს სცემდა ცოლს, დედას და ავადმყოფ დას და საერთოდ ნათესავებს და ქართველ ხალხს. დანარჩენი ყველაფერი ხრუშჩოვის მიერ შეთხზული ბოროტი ცილისწამებაა! იმ ავადსახსენებელი ხრუშჩოვის მოგონებების მიხედვით სტალინი თურმე ბევრს სვამდა, თითქმის ლოთობდა... რაც ცხადია სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან ლოთი ჯერ ასეთი მასშტაბის ომს, და შემდეგ ამ სიდიდის სახელმწიფოს კი არა, სოფელსაც ვერ გაუძღვება, ცხადია ეს თქმაც შურის ბრალია, იმ შურის, რომელიც ხრუშჩოვის გულში წლების მანძილზე გუბდებოდა და შემდეგ... მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ გადამოხეთქა. როგორც ხრუშჩოვი სწერს, სტალინი უგონოდ თვრებოდა ხოლმე ყირიმში, სამთა თათბირის დროს! ასევე იყო თეირანის კონფერენციაზეც! ეს ბოროტი შურისძიებაა! რატომ სიცოცხლეში არ აძლევდა შენიშვნებს სტალინს, თუ ცუდად იქცეოდა იგი? ახლახან დეტექტივის სერიით გამოვიდა ნიკა თევზაძის წიგნი „თავდასხმა სტალინზე". აღნიშნულ წიგნში არის რეალური პერსონაჟები, მაგრამ... არარეალური ფაქტებით შელამაზებული და აი რა, 21-23-24 წლების გამოსვლები და სისხლისღვრები მთლიანად გადაბრალებულია სტალინზე და ბერიაზე, ე.ი. მორიგი ცილისწამებაა და, ცხადია, წინასწარ განზრახული ბრალდება, რადგან სტალინ-ბერიას მოწინააღმდეგეების შთამომავლობა დღესაც შურისძიების გრძნობით არიან გამჭვალულნი!

საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1918 წელს და პირველ კათალიკოსად მცხეთაში შეკრებილმა მღვდელთმთავრებმა (შემდგომში წმინდა სინოდმა, აირჩიეს მეუფე კირიონ (II) საძაგლიშვილი, რომელიც ჟორდანიამ მოაკვლევინა მარტყოფის რეზიდენციაში.

სტალინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ 1930-32 წლებიდან ეკლესიამ სრული ლეგიტიმაცია მიიღო. სტალინის მოთხოვნით რუსეთის ეკლესიამ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია დაუბრუნა, რაც აღნიშნულია რუსეთის პატრიარქ სერგის სიტყვაში, როცა მან 1943 წელს საქართველოში მცხოვრებ რუს ხალხს მიმართა!

ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა ერთი ფაქტი: კათოლიკოსის მიერ აღსაყდრების დროს 1918 წელს წარმოთქმულ სიტყვაში როგორ არის მოხსენებული ქართული ეკლესია-მონასტრები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ე.ი. გამოაცხადა თუ არა პატრიარქმა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული ქართველების მიერ ქართული ხუროთმოძღვრებით ნაშენი მართლმადიდებლური ტაძრები ქართული ეკლესიის კუთვნილებად თუ "საჩუქრად დაუთმო" ისინი სომხურ ეკლესიას, როგორც ოდესღაც ვორონცოვმა გააკეთა ეს და თავის სურვილისამებრ (ვორონცოვმა) გაასაჩუქრა ამ გადამთიელმა კაცმა ქართველი ხალხის საგანძური? ბატონებო! ქართული ეკლესიები მთლიანად გამოცხადდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის კუთვნილებად საქართველოს მთელს ტერიტორიაზე! როგორც ფაქტებიდან ცნობილია, სტალინმა გამოსთხოვა რუსეთის პატრიარქს ქართული ეკლესიისთვის მიენიჭებინა დამოუკიდებლობა! რუსეთის წმინდა სინოდმა პატრიარქის გადაწყვეტილებით ცნო ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა და ეს ფაქტი აღინიშნა პატრიარქ სერგის სიტყვაში.

მოქალაქეთა კავშირის და შემდეგ ნაციონალების სალანძღავი სიტყვა მთელი 20 წლის მანძილზე გახდა კომუნისტი! კომუნიზმი და კომუნისტი აქ არაფერ შუაშია, ბატონებო, უმთავრესი იყო და არის სოციალური პოლიტიკა, ე.ი. პოლიტიკა იყო მთლიანად გათვლილი სოციალურ მიმართულებაზე. უბრალო მაგალითისთვის ისიც კმარა, თვალი რომ გადავავლოთ დღევანდელ სოფელს! ხალხისგან დაიცალა სოფლები,

თითო-ოროლა მოხუცილა თუ შერჩენია. აბა გავიხსენით 20-25 წლის წინანდელი სოფლები – სკოლა, საავადმყოფო, აფთიაქი, მეურნეობა, კოლმეურნეობა, ბიბლიოთეკა სოფლის ხელმძღვანელობის ადგილობრივი საბჭო – კლუბი ხალხური შემოქმედების სხვადასხვა წრეებით, სავსე ბავშვებით – ბავშვი მომავალს ნიშნავს! დღევანდელი ცარიელი სოფლები კი უმომავლოს და უიმედოს ხდის ნებისმიერ ჩვენგანს, ჩვენს სამოსახლოს. ჩვენივე ხელით რატომ ვიბრმავებთ თვალებს და ვიყრით შიგ ნაცარს? ნუთუ განსხვავებას ვერ ვხედავთ? ნუთუ ვერ ვხედავთ სინამდვილეს, რომ ქვეყანა ხალხისგან დაიცალა? და ხდება მიზნობრივად! მიზანმიმართულად! სად არიან ჩვენი ვაიპოლიტიკოსები, გინდ პოზიცია იყოს და გინდაც ოპოზიცია? რატომ ჰგონიათ მათ, რომ შტატები ნებისმიერ შემთხვევაში ყოველთვის მოამარაგებს მათ, ყველას მსოფლიო ბანკის ან სავალუტო ფონდის კრედიტებით? არა ბატონებო... ისინი საკმარისზე მეტად ჭკვიანები არიან! საქართველოს ტერიტორია უცხოელთა სანუკვარი ოცნებაა, ოღონდ ხალხის გარეშე. განა ასე არა სთქვა ოდესღაც იმ ტრაქტორისტი გორბაჩოვის ცოლმა? ჰოდა თითქმის თავისუფალია საქართველოს ტერიტორია, ცოტაღა დარჩა... თუ ასე გაგრძელდა 20-30 წელი საკმარისია, რომ... აქ ქართველები აღარ იქნებიან! გარდა... თბილისელი პოლიტიკოსებისა, პოზიცია თუ ოპოზიციისა!... სწორედ იმიტომ, რომ სოციალური საკითხი ნაციონალების მიერ უბრალოდ მოხსნილია პოლიტიკური წესრიგიდან. ეს არის პოლიტიკა? და სწორედ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მინდა ვკითხო ჩემს მკითხველს: რა არის სტალინის ყველაზე დიდი დამსახურება? ეს არის ჩემგან შემოთავაზებული კითხვა! ჩემი მკითხველისათვის – საბოლოო კითხვა! ჩემი აზრით მან შექმნა სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიის ყველა პრინციპის გათვალისწინებით, რომელიც ხალხის სოციალურ, ეკონომიკურ, ეროვნულ და პოლიტიკურ ერთობაზე, თანასწორობასა და კეთილდღეობაზე იყო დაფუძნებული, და მან, საბჭოეთის ვრცელ ტერიტორიაზე პრაქტიკულად ჩამოაყალიბა ნამდვილი დემოკრატიული საზოგადოება, რომელზედაც ოცნებობდნენ ფრანგი უტოპისტები და გერმანელი განმანათლებლები! მისი ხელითვე შეიქმნა ამ საზოგადოებისთვის აუცილებელი საარსებო და საცხოვრებელი პირობები და კანონები! აღნიშნულ საზოგადოებაზე ჯერ კიდევ შუა საუკუნეების ისტორიკოსები და ფილოსოფოსები მსჯელობდნენ, მაგრამ... მსჯელობა – მსჯელობად რჩებოდა და ეს საკითხი მეცნიერული კვლევისა და უტოპიური მსჯელობის ფარგლებს არ გასცილებია სტალინამდე!

მარქსის კაპიტალში (რომელიც სტალინმა თავისივე ხელითა და გონებით შექმნილი ქვეყნის კონსტიტუციასა და ეკონომიკურ ბაზას დაუდო საფუძვლად) ფუნდამენტურად, ე.ი. საფუძვლიანად არის მიმოხილული სამოქალაქო ერთობის შედეგად მიღწეული ეკონომიკური პროგრესი, რაც უზრუნველყოფდა და იცავდა საზოგადოებას სოციალური პრობლემებისაგან, სიდუხჭირისაგან და შემდეგ ასევე სოციალური სიკვდილისაგან. ფაქტია, რომ სტალინმა შექმნა ასეთი სახელმწიფო! მაგრამ მიუხედავად ქაღალდზე შექმნილი უზადო კანონებისა, და ეკონომიკური რეგრესისა და პროგრესის ყველა დეტალის გათვალისწინებამაც, რაც დაფიქსირდა სტალინის მიერ 1936 წლის 5 დეკემბერს მიღებულ კონსტიტუციაში, შედეგი ვერ გამოიღო, დროს ვერ გაუძლო! სტალინის სიკვდილის შემდეგ მეორე ღვთაებრივი გონება – ბერიაც მალე მოიშორეს თავიდან და დაიწყო ამ საოცარი, მართლაც რომ სახალხო ქვეყნის, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა, არნახული სისწრაფით ნგრევა. სტალინმა ერთადერთი რამ ვერ გაითვალისწინა! რომ... ადამიანთა გონება ინდივიდუალურად არის განვითარებული და არ შეიძლება, უფრო სწორედ შეუძლებელია მათი მუდმივი ლტოლვის შეკავება სატანური მიზნისკენ, ე.ი. სიმდიდრისკენ... ეს არის მიზეზი საბჭოეთის დანგრევის, – მოგეხსენებათ, ბოლო დამანგრეველებმა, გორბაჩოვმა და და მისმა ჯგუფმა. რომლებიც მთელი სიცოცხლე ანგრევდნენ თავიანთი კორუფციული მოღვაწეობით ამ ქვეყანას, ბოლო აგურის გამოცლაში ლომის წილი მიიღეს ქრთამად! რაც შეეხება კომუნიზმის იდეებს და სოციალურ-ეკონომიკურად უზრუნველყოფილ სამოქალაქო საზოგადოებაში ცხოვრებას, როგორც ეს მოცემულია მარქსის შრომებში – ქაღალდზე გამოყვანილ ფაქტებს და ციფრებს – ისინი ცხადია საუკეთესო და მისაღებია, მაგრამ... ვიმეორებ არარეალურია, რადგან ადამიანთა ხასიათები, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ინდივიდუალურია და მათი ნაწილი კომუნიზმის სოციალურ ერთობლიობას არასოდეს შეეგუებიან! და თუ მოხდა ადამიანთა ჯგუფის ნებისყოფის ამაღლება საკუთარ მოთხოვნილებაზე, ცხადია მხოლოდ მაშინ შეიძლება აღნიშნულ საზოგადოებაში განვითარება ჰპოვოს მარქსის კაპიტალის გათვალისწინებით შემუშავებულმა სტალინის ეკონომიკურმა დოქტრინამ, რასაც არ აღიარებს ამერიკა და ევროპა, მაგრამ ცხადი ფაქტია, რომ სოციალისტური ჩრდილოეთ კორეა და ჩინეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის ფუნდამენტი სწორედ მითითებული სტალინის ეკონომიკური დოქტრინაა! და შედეგიც სახეზე გვაქვს – მიუხედავად შეუქცევადი პოლიტიკური და ეკონომიკური კატაკლიზმებისა, ამ ორმა სახელმწიფომ არნახულ ეკონომიკურ პროგრესს მიაღწია! დღეს შტატებს იმდენად დიდი ვალი აქვს ჩინეთის, რომ ტრილიონებსაც კი აღწევს!

დიახ! კაცობრიობისა და სამყაროს წინაშე მე პირადად სწორედ ეს მიმაჩნია სტალინის უდიდეს დამსახურებად! ეს ჩემი პირადი აზრია ბატონებო. გაგახსენებთ, რომ ერთი ქართველი მწერალი, რომელიც ჰიტლერს გუნდრუკს უკმევდა და დღეს დიდების მანტიითაა საქართველოში შემოსილი, ამბობდა, რომ საბჭოეთში არ იყო სახელმწიფო სამართალი, არ იყო კონსტიტუცია – ეს სიტყვები გრიგოლ რობაქიძეს ეკუთვნის! – ის მოაზროვნე პიროვნება გახლდათ და როგორ გავიგოთ, არ ესმოდა, რომ სწორედ საბჭოეთში და მხოლოდ საბჭოეთში იყო მთავარი ხალხის მამოძრავებელი ძალა და ეს ფაქტი კონსტიტუციური კანონმდებლობით იყო განმტკიცებული? ჩვენს ხალხს, ყველა არა მყავს მხედველობაში, ვგულისხმობ მხოლოდ იმ ვითომ ელიტარულ ინტელიგენციას, რომელმაც გაწირა პირველი ეროვნული მთავრობა საკუთარი ამბიციური სურვილების დასაკმაყოფილებლად, არ ეყო კეთილგონიერება და შორსმჭვრეტელობა და

დაუნანებლად დაანგრიეს აშენებული და დამშვენებული ქვეყანა. ამისთვის მათ ჯილდოები მიიღეს: მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდისგან, ვითომცდა ქვეყნის ფეხზე დასაყენებლად მიცემული კრედიტები. უცბად, წამში გაჩნდნენ საქართველოში მილიონერები... აი ასე ჩაეყარა ქართულ ელიტარულ ბიზნესს საფუძველი და დღეს ნუ გვიკვირს, თუ რატომ აქვს ქვეყანას ამდენი ვალი? ხელისუფლებაში მოსვლის მსურველთა 99%-ი სწორედ ფულს ელოდება, „ერთგულების წილს“ ბატონებო! ასეთია დღევანდელი „პატრიოტიზმი“. საზოგადოება დაეცა სულიერად და ხორციელად, გაირყვნა არნახულად, ბაბილონის სიმდიდრე და ფუფუნება რა მოსატანია იმასთან, ჩვენი „ელიტარული პოლიტიკოსები“ რომ ფლობენ? ქართველი ხალხის 80%-ს საახალწლოდ ალბათ წესიერი სადილიც არ ჰქონიათ, არათუ გოჭი და ინდაური! ხალხმა ჭკუა ისწავლა! ვაჭრობას ყოველთვის თაკილობდა ჩვენი ჯიშის კაცი თუ ქალი, ახლა კი ვინც ვაჭრობს, საჭმელს მაინც ჭამს, ვინც არა და იგი საერთოდ მშიერია. ბაზარია დღეს ქართველი კაცის დამსაქმებელი ობიექტი და ფული არის ის მამოძრავებელი მანქანა, რომელიც საზოგადოებისთვის სული და გული გამხდარა. ზნეობა, მორალი, ტრადიცია, მამული, რწმენა – ყველაფერი შეიწირა ფულის ხარბმა მადამ! გადახედეთ წასულ წლებს, თუნდაც იმ „ავადსახსენებელ“ კომუნისტურ ეპოქას, სტალინის მიერ შექმნილ სახელმწიფოში ადამიანი თავისი მორალური პრინციპებით და მასთან ერთად შეზავებული გონებრივი შესაძლებლობებით ფასდებოდა! დღეს... ფასი აღარაფერს აქვს.... რამდენ დამსახურებულ პედაგოგს, ექიმს, ინჟინერს, მუსიკოსს, მსახიობს ამ უკანასკნელ 20 წელიწადში შიმშილში ამოხდა სული! აი ასეთი საზოგადოებრივი წესრიგი არის ის მასონური „წესრიგი“, რომელიც შტატებმა ჩათესა ჩვენში და რომელიც სულიერად რყვნის და ჯოჯოხეთში ისტუმრებს თანამედროვე ავანგარდიზმის მოყვარულთ! ზნეობრივი, მორალური და ტრადიციული პრინციპები დღეს ხელაღებით არის უარყოფილი... ზოგიერთი, შედარებით ახლად ჩამოყალიბებული ერისთვის დროს, ე.ი. თანამედროვეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ დრო, ე.ი. თანამედროვეობა კარნახობს მითითებულ ხალხს და საზოგადოებას ზნეობრივ და მორალურ პრინციპებს... ჩვენთვის ასე არ არის! ჩვენი ერი – ბებერი ერია, – ბიბლიური თუბალ-კაინის შთამომავლები, და რაღას დავაბრალოთ, რომ ისე გაირყვნა და გამრუშდა დღევანდელი საქართველო თავსმოხვეული მასონური იდეებით, რომ ბაბილონი და სოდომ-გომორის ხსენებაც კი არაფერია მასთან?

სატელევიზიო ეკრანსაც კი იყენებენ ჩვენი ახალგაზრდობის გასარყვნელად და გასახრწნელად, ყოვლად უმსგავსო აგიტაცია – პროპაგანდას ეწევიან სექსუალური აღვირახსნილობის დასაკანონებლად... ცინიზმით საუბრობენ ქალწულობაზე, როგორც ერთ გრამ უსარგებლო ხორცის ნაგლეჯზე! არა ბატონებო! აქ პრობლემა ერთ გრამ ხორცის ნაგლეჯში კი არა, უბიწოებასა და სისპეტაკეშია! ბიბლიაში მაინც ჩაიხედონ! ღვთისმშობელმა უფალი გვიშვა და ქალწულად დარჩა! ეს მის უბიწოებასა და სიწმინდეზე, მის სისუფთავეზე მეტყველებს... ჩვენმა ჭკუისდამრიგებლებმა თვითონ რაც უნდათ ის ქნან, ხალხს რაღას უბნევენ ჭკუა-გონებას? ხალხს რატომ რყვნიან? ისედაც პატივი აჰყარეს საქართველოს და დაამცირეს, გაამრუშეს მთელი ქვეყანა! რა უნდა ქნას საზოგადოებამ, ქართველმა ხალხმა? როგორ უნდა გადაარჩინოს თავისი წარსული და როგორ უნდა გადაირჩინოს მომავალი?

ეს ალბათ ის კითხვაა, რომელზეც პასუხი დღეს ბევრს არა აქვს... დიახ... რადგან... ქვეყანაში კვლავ შიში, შიმშილის შიშია გამეფებული... ყველა გაჭირვებული და გაღატაკებული ქართველის სახლში სიკვდილის აჩრდილია ჩასახლებული... აგერ უკვე 20 წელიწადია და... გამოსავალი არსაიდან ჩანს, ხალხს იმედიც გადაეწურა, იქნებ მართლაც დავავიწყდით უფალს?

P.S. ამჯერად მინდა მარტივად ავუხსნა ჩემს მკითხველს, იყო თუ არა სტალინი ეროვნული მოღვაწე?

ეს კითხვა დღეს ბევრს აწვალებს, ბატონებო!.. 2013 წლის 15 თებერვალს ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში მიმდინარეობდა გადაცემა „ბარიერი“. ბატონ ალექსანდრე ელისაშვილს მიწვეულნი ჰყავდა: გრიშა ონიანი და... გაურკვეველი არა მარტო აზროვნების, ვინაობისა და წარმომავლობის ახალგაზრდები! დღის წესრიგში იდგა აქტუალური თემა: თუ რატომ ღებავდნენ სტალინის ძეგლებს ღამღამობით, ქურდულად ქართულ სოფლებში? საუბარი იყო მხოლოდ სამ სოფელზე, და რატომ არ ღებავდნენ დღისით, თუ... კარგ საქმეს აკეთებდნენ და არა ცუდს? გულწრფელად ვეუბნები ჩემს თანამემამულეებს, რომ გამაოცა იმ ახალგაზრდების ფილიპე მახარაძისეულმა აზროვნებამ! მე მათ ქართველებად ვერ მოვიხსენიებ, ბატონებო! რადგან მხოლოდ ქართული გვარი არაფერს მეუბნება და არაფერს ამტკიცებს. დღევანდელი სტატისტიკით უკანასკნელ 30 წელში ბევრმა არაქართველმა იყიდა ქართული გვარები! ის ახალგაზრდები კი ყველანი მანქურთები იყვნენ! დიახ, მათი აზროვნება და ბოროტი იდეები მე შევადარე ფილიპე მახარაძისეულს, რომელმაც საქართველოს მოუკლა ილია, მათ აზროვნებას მე შევადარებ ხრუშჩოვის აზროვნებას, რომელმაც მიცვალებულ სტალინზე სასტიკად იძია შური და მისი ფერფლი ქარს გაატანა, ამასაც არ დასჯერდა, „თავის ხელისბიჭებს“ მოაკვლევინა მეორე ღვთაებრივი ქართული გონება კრემლში, რომელსაც ბერია ერქვა და რომელმაც სტალინთან ერთად ფაქტობრივად ააშენა იმპერიის ვრცელი ტერიტორია და შექმნა გასაოცარი ტექნიკური პროგრესი საბჭოეთის მიწა-წყალზე! დიახ, ბატონებო... იმ მიწა-წყალზე, სადაც აღარ იყო მათხოვრები, ქუჩაში მოწანწალე უპატრონო ბავშვები და ლუკმა-პურსა და სიკვდილს მონატრული მოხუცები! და ეს ყველაფერი, ალბათ, ძალიან გაუგებარია იმ მანქურთი ახალგაზრდებისთვის, ვინც არა მარტო სამშობლოს ისტორია არ იცის, უარესიც! არ უყვართ თავიანთი ხალხი და მამული. მე ეჭვი მეპარება, რომ მათ იცოდნენ საერთოდ თვითონ ვინ არიან! გადმოცემით, ალბათ, ყველას გაუგია, რომ ხრუშჩოვის შურისმაძიებელმა პოლიტიკამ დაუნდობლად დახოცა ათასობით ქართველი სტუდენტი სანაპიროზე 1956 წლის 9 მარტს! დიახ, ბატონებო, სამშობლოს ისტორიას ცოდნა უნდა, ხოლო

რომ იცოდე, – სწავლა უნდა შეგეძლოს! სხვაგვარად კი.. საზოგადოებაში ბრიყვის იმიჯს შეიქმნი მხოლოდ! ხრუშჩოვის ანტიქართულმა პოლიტიკამ შეიწირა არა მარტო სტალინისა და ბერიას სიცოცხლე!!! ამ შემთხვევაში ეს ძალიან ცოტაა, რადგან საკითხი არ დგას მხოლოდ მათ ლიკვიდაციაში, არამედ მათი იდეების, მათი ნამოღვაწარის და, რაც მთავარია, სახელმწიფოს საფუძვლების ნგრევაში! დიახ, პირველი და ნამდვილად დემოკრატიული სახელმწიფოს არნახული სისწრაფით ნგრევაში... დიახ, ბატონებო, იმ სახელმწიფოს ნგრევაში, სადაც არ იყო არც სოციალური და არც ეროვნული ჩაგვრა, ხალხს არ ციოდა და არ შიოდა! ქვეყანას რამდენიმე კაცისგან შემდგარი პოლიტბიურო და ასევე მინისტრთა საბჭო მართავდა. იმათი გადაწყვეტილების გარეშე, სტალინს არაფრის გაკეთება არ შეეძლო! ამიტომ სისულელეა დიქტატურასა და კულტზე საუბარი, ის ხრუშჩოვის გამოგონებაა, ბატონებო, თავისი შურისძიება და ამპარტავნობა რომ გაემართლებინა.

ბატონებო, მე მრცხვენია, რომ ის ახალგაზრდები, რომლებმაც სტალინის ძეგლები შელეხეს და ზოგეირთი სხვა შურისმაძიებელი ძველგაზრდებიც ქართველები არიან ისევე, როგორც მე და როგორც სხვები... რადგან მათი გონება ჩარჩენილია, როგორც უკვე გითხარით, მახარაძე-ცხაკაია-ხრუშჩოვის აზროვნების სამარცხვინო და ჭუჭყიან მარწუხებში! ამ გაუნათლებელ და უწიგნურ „ბიჭუნებს და გოგონებს", რომელთაც სატანის ხელი მართავს და რომლებიც „კავკასიის" ღია ეთერში ცხოვრებისგან გაუბედურებული ბაზრის მოვაჭრეებივით უხვსიტყვაობდნენ, დამეთანხმებით ასაკი ვერ დააბრძენებს! წინაალმდეგ შემთხვევაში ეცოდინებოდათ, რომ მათ არ ჰქონდათ უფლება სოფლის მცხოვრებთა, ჩვენი მშობლებისა და ჩვენ მაგიერ, ე.ი. სრულიად ქართველი ხალხის მაგიერ ილაპარაკონ, და არა მარტო ილაპარაკონ, შეურაცხყოფა მოგვაყენონ თავიანთი უწიგნურობით, გაუნათლებლობით, საქმეში ჩაუხედაობით და ამ საკითხის მიმართ არაპროფესიონალიზმით! და რაც მთავარია, მათში იმდენად დიდი იყო აგრესიული მუხტი, რომ ცდილობდნენ თავს მოგვახვიონ თავიანთი ნამდვილად ტერორისტული და დიქტატორული აზრები! მსოფლიო ისტორიაში არაერთი მაგალითი არსებობს დიქტატურის შემთხვევების, მაგრამ... არსად მოიძებნება ისეთი დიქტატურა, რომელსაც ჯერ მოქალაქეთა კავშირის მეშვეობით და შემდეგ მათზე ამოზრდილი ნაციონალების ხელისუფლებით ისე დაექციოს და გაენადგურებინოს საკუთარი ქვეყანა, დაემათხოვრებინოს და შიმშილით გაეწყვიტოს საკუთარი ხალხი, რომ დემოგრაფიულ კატასტროფამდე მიეყვანოს! დიახ! ბატონებო... არავის არასდროს არც ერთ ქვეყანაში ხელისუფლებას არ ახსოვს ისეთი ჯგუფი პოლიტიკოსებისა, რომელთა მმართველობის ხანაში სულ ცოტა 2 ან 2,5 მილიონით შემცირებულიყო აბორიგენი მოსახლის რიცხვი! ასე დამშეულიყოს, დამცირებულიყოს და გაღატაკებულიყოს ადგილობრივი მოსახლეობა, როგორც საქართველოში! და ეს არის მათი დემოკრატია? ნუთუ არ რცხვენიათ იმ ახალგაზრდებს ასე ხმამაღლა და გაუაზრებლად რომ იცავენ მათ, ე.ი. ნაციონალების ცოცხებით გაუპატიურების პოლიტიკას? და ვაი... საქართველოვ... ასაკოვანი, გამოცდილი, გამობრძმედილი მამულიშვილებისგან, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისაგან და სოფლის ალალმართალი ქართველებისგან დასაცავი რომ ხდება დღეს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ისტორია და ასევე ჩვენი ისტორიის დიდებული ნაწილი – სტალინი! ამ შემთხვევაში მე გავკადნიერდები და მივმართავ ჩემს თაობას, საშუალო თაობას, რომელთაც არ ახსოვთ ვინ იყვნენ სტალინი და ბერია, მაგრამ... წაუკითხავთ, ჩაღრმავებიან მათ ნამოღვაწარს და შეუძლიათ გააზრება და სწორად გაგება არა მარტო მათი დროის, არამედ ჩვენი თანამედროვე რეალობისაც! მე არ დაგღლით იმ ფაქტების მოტანით, თუ რა სიკეთე გაუკეთა და რა შესძინა ამ ორი დიდი ადამიანის მოღვაწეობამ იმ უზარმაზარ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებს და ქვეყნებს, რომელსაც საბჭოეთი ერქვა... არა, ბატონებო! მე მხოლოდ გეტყვით – საკუთარ ხალხს, საკუთარ სამშობლოს, საქართველოს რა სიკეთე და დიდება მოუტანეს მათ და არიან თუ არა ისინი ეროვნული მოღვაწეები!

დავიწყოთ თავიდან! ჩვენ მართლმადიდებლები ვართ... და 1700 წელია თუ მეტი არა ჩვენთვის სულიერება და იესო ქრისტეს მართლმადიდებლური მოძღვრება წმიდათა-წმიდაა! ისევე, როგორც ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის დამოუკიდებლობა. 1700 წლის მანძილზე (აღარ ვლაპარაკობ კიდევ უფრო ადრინდელ საუკუნეებზე) ქრისტიანული მართლმადიდებლური ჯვრით, უფლისა და ღვთისმშობლის შემწეობით ვიცავთ მამულს, ენას და სარწმუნოებას. რუსეთის იმპერიამ ცხადია მოტყუებით ეს ყველაფერი ხელიდან გამოაცალა ჯერ ერეკლე მეორეს, შემდეგ კი მის ვაჟს გიორგი XII-ს! მთელი 100 წლის ან ცოტა მეტი ხნის მანძილზე საქართველო და ქართველი ხალხი იტანჯებოდა დამპყრობლის უღელქვეშ! მათ წაგვართვეს ბაგრატიონების ბრწყინვალე სამეფო დინასტია! რომლის წარმომადგენლებსაც ამდენივე ხნის მანძილზე (1700 წ.) ხმალი არ ჩაუგიათ ქარქაშში, ზოგნი მეტი წარმატებით, ზოგნი შედარებით ნაკლების, მაგრამ მათ თავიანთი სამშობლო და ხალხი უყვარდათ უფრო მეტად, ვიდრე საკუთარი სიცოცხლე! ყველაზე დიდი დანაშაული რაც ჩაიდინა რუსულმა იმპერიამ და კერძოდ პასკევიჩმა, ეს იყო თურქეთიდან ლტოლვილი სომეხი ხალხის შემოსახლება ჯავახეთში, ბორჩალისა და თბილისში! თუმცა დამერწმუნეთ, მიუხედავად დიდი უბედურებისა, რაც რუსეთმა მოგვიტანა, საქართველოს უკეთესი გამოსავალი აღარც გააჩნდა, რადგან ქვეყანა ფაქტობრივად გაგლეჯილი იყო თურქეთსა და სპარსეთს შორის. ასე რომ, ერეკლემ ცუდსა და უარესს შორის გააკეთა არჩევანი და ისევ ცუდი აირჩია, რადგან ისინი (საქართველო და რუსეთი) სარწმუნოებით მაინც იყვნენ მართლმადიდებლები. ამდენად, უმძიმესი იყო საქართველოსთვის მე-19 საუკუნე! თბილისი გადავსებული იყო პასკევიჩის საჩუქრით, სომეხი ლტოლვილებით, რომლებიც არცთუ კეთილმოსურნედ, პირიქით, აგრესიულად ექცეოდნენ აბორიგენ მოსახლეობას, ქართველებს! ამცირებდნენ, რუსეთის მთავრობასთან გამუდმებით აშანტაჟებდნენ და ასმენდნენ! ასე რომ, მაშინდელ საქართველოში ქართველისთვის ცხოვრებას ნამდვილად არცხოვრება სჯობდა! ავჯანყებებში გაწყდა ფაქტობრივად ქართული

მოსახლეობა! ისედაც გაუკაცრიელებული სოფლები, სულ მთლად დაიცალა. ამ პერიოდში ქართველ გლეხს უკვე აღარ ჰყავდა მამობრივად მზრუნველი თავადაზნაურობა, ისინიც მშიერ-მწყურვალნი დარჩნენ, საარსებო საშუალებების გარეშე! ერთადერთი ეკლესია ასულდგმულებდა ხალხს და ის ეკლესიებიც ვორონცოვმა ნაწილი სომხებს აჩუქა, რაც დარჩა გაარუსა! წირვა-ლოცვა უმეტესწილად რუსულად აღესრულებოდა. საქართველოს აღარ ჰყავდა კათალიკოს-პატრიარქი! ქართულ ეკლესიას რუსი ეგზარქოსი ედგა სათავეში და რუსულად მართავდა ქართულ სულიერ სამწყსოს! აი, ასეთი იყო მე-19 საუკუნე! მეოცე საუკუნის დასაწყისში თბილისში უკვე გაჩენილია ფაბრიკა-ქარხნები, მუშაობენ წვრილი და მსხვილი სხვადასხვა დარგის საწარმოები, ბაქოს ნავთს და ქართულ ხე-ტყეს სომხები დაეპატრონნენ, ამუშავებულია რკინიგზა და დამშეული ქართველი ხალხი სოფლებიდან მოაწყდა თბილისს სამუშაოს საძებნელად!.. აუტანელი გაჭირვება გამოიარა ქართველმა ხალხმა, ბატონებო... და ამ პერიოდში სოციალიზმის იდეები მოედო საქართველოს ისევე, როგორც მთელ მსოფლიოს! მოგეხსენებათ, სოსო ჯუღაშვილი დაიბადა გორში 1879 წლის 21 დეკემბერს. იგი გაიზარდა ამ გაჭირვებულ, დათრგუნულ და დამცირებულ ქვეყანაში! მაგრამ... დედამ, საოცრად სათნო და კეთილშობილმა ქალმა იზრუნა მისი სწავლისთვის, რადგან... ბავშვი საოცრად გონიერი იყო. კეთილი ადამიანების შემწეობით იგი ჯერ გორის სემინარიაში სწავლობდა და შემდეგ თბილისის. ბავშვს თბილი ჩასაცმელიც კი არ ჰქონდა ზამთარში, არათუ რაიმე პირობები... და დამეთანხმებით, სოსო ჯუღაშვილის მიდრეკილება სოციალური იდეებისაკენ, ცხადია, განსაზღვრა ქართველი ხალხის მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა, სოციალურმა სიდუხჭირემ. და შემდეგ... მე ვიტყოდი, რომ უფლის ძალით და მადლით იგი მოექცა რევოლუციონერთა ჯგუფში, რომელთაც მომავალში უნდა აეშენებინათ ახალი სახელმწიფო იმდროინდელი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე. მაგრამ... სოსო ჯუღაშვილი არ უყვარდათ ძველ ბოლშევიკებს, ლენინელებს, და არ უყვარდათ მისი სამართლიანობისა და ღვთის სიყვარულის, სემინარიელობის გამო! ლენინს კი, დამერწმუნეთ, ასეთიც სჭირდებოდა და გამოიყენა კიდეც... მაგრამ – 1927 წლამდე, სანამ ტროცკის შეთქმულება არ გამჟღავნდა სოსო ჯუღაშვილი ფაქტობრივად ჩრდილში იყო მოქცეული! მას არ ჰქონდა არავითარი უფლება და არ შეეძლო თავისი ნებით თუნდაც კენჭი გადაეგორებინა! იყო ჩვეულებრივი, რიგითი, მაგრამ... ძალიან ჭკვიანი და ზნეობრივად წმინდა პარტიული მუშკი. ძალაუფლება ეკუთვნოდა ლენინს და ტროცკის, ფაქტობრივად ლენინის მარჯვენა ხელს და მის შვილობილს! შემდეგ კი ტროცკის დაჯგუფებას: ზინოვიევს, კამენევს, ბუხარინს... დიახ, ბატონებო, ეს სიმართლეა და თუ დაგაინტერესებთ ჩახედეთ ისტორიას, არქივებს! მოგეხსენებათ ლენინი გარდაიცვალა 1924 წელს. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ქვეყანას განაგებდა ტროცკის, იგივე ლევ ბრონშტეინის ჯგუფი 1927 წლამდე. 1927 წლის შემდეგ კი ახლად ჩამოყალიბებული პოლიტბიურო, რომელშიც ერთ-ერთი რიგითი ხმა ეკუთვნოდა სოსო ჯუღაშვილს, სტალინს 30 წლამდე! 30-32 წლებში კი როცა ტროცკი და მისი ჯგუფის წევრები შეთქმულებებს შეეწირნენ და თანდათან დაწინაურდა სტალინი!

ახლა კი გადავხედოთ რა ხდებოდა ამ წლებში საქართველოში. საქართველოს განაგებდა ლენინისა და ტროცკის უახლოესი მეგობრები და თანამებრძოლები ფილიპე მახარაძე და მამია ორახელაშვილი თავიანთ ჯგუფთან ერთად! მათი ჯგუფი იყო ის ათეისტური და მასონური ჯგუფი, რომლებიც სრულიად იზიარებდნენ ლენინის აზრს! და სწორედ ლენინ-ტროცკის ჯგუფის უშუალო ძალისხმევით განადგურდა მთელს რუსეთში ეკლესია მონასტრები! სწორედ ტროცკისტთა ჯგუფის, ე.ი. მინდა დავაკონკრეტო, რომ მახარაძე-ორახელაშვილების შემოქმედება იყო საქართველოში ეკლესია-მონასტრების არნახული ნგრევა და განადგურება! დახვრიტეს სამღვდელოება, მონასტრებიდან გამოყარეს ბერები და გაკრიჭეს. მასონიზმის სატანური ცული ტრიალებდა იმპერიის უზარმაზარ ტერიტორიაზე და ხელის შეშლა არავის შეეძლო! რადგან თავზეხელაღებული ბრბოსგან შემდგარ არმიას სათავეში ედგა ტროცკი და ყოველგვარი ძალაუფლება მის ხელში იყო მოქცეული! საქართველოში შინსახკომს, ასე ერქვა პოლიციის სამინისტროს, განაგებდა მოგილევსკი, ტროცკისა და ფილიპე მახარაძის არა მარტო მარჯვენა ხელი, არამედ თვალიც და ყურიც და ამასთან ერთად – ქართველი ხალხის დაუძინებელი მტერი! სწორედ ამ მოგილევსკის ბრძანებით იხვრიტებოდა ქართველი ხალხი 1921 წლიდან 1925 წლის ჩათვლით. მოგილევსკის კისერზეა ქართველ გმირთა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, მისი ძმადნაფიცების, სხვა აჯანყებულთა დახვრეტები და შორაპნის მატარებლის ტრაგედიები... 1923 წლის მარტში მახარაძე – ორახელაშვილი – მოგილევსკის გადაწყვეტილებით ჩეკამ გამოიტანა დადგენილება... რის საფუძველზეც დახვრიტეს.... საქართველოში დარჩენილი პარიტეტული კომიტეტის წევრები: კოტე აფხაზის მეთაურობით!!! განაჩენი აღასრულეს 21 მაისს დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე და და საერთო სამარის პირზე დააყენეს ისინი – გაფითრებულები, მაგრამ... ამაყები! ოტე აფხაზის უკანასკნელი სიტყვები იყო: „ჩვენი სიკვდილი სამშობლოს შვებას მოუტანს“... ისინი დიდი ქართველები იყვნენ, გმირები! მათგან უმეტესი სამხედრო იყო, გენერლები: კოტე აფხაზი, ვალერიან წულუკძე, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, სიმონიკა ბაგრატიონ-მუხრანელი, ფარნაოზ ყარალაშვილი... სულ 15-ნი! თავშეფარებულნი იყვნენ მცხეთის ჯვრის ტაძარში... და იცით ვინ გასცა ისინი? ამია ორახელაშვილის უახლოესმა მეგობარმა და ამასთანავე დიდმა ქართველმა გენერალმა ბატონებო... რომლის გვარს მე არ დავასახელებ, რადგან... ეს ცოდვა ისედაც მძიმე ტვირთია მისი სულისთვის და დაე შთამოომავლობისთვის საიდუმლოდ დარჩეს... მან აგო პასუხი თავისი სიცოცხლით ამ ბოროტ საქციელზე 37 წელს! მაგრამ... ეს ძალიან ცოტაა ჩვენი გადასახედიდან, იმ სიბინძურის ჩამორეცხვას სიკვდილი ნამდვილად ვერ შველის! დიახ, ბატონებო! მოგილევსკი იყო ის მტარვალი, ვინც სისხლში ახრჩობდა საქართველოს და მოგილევსკის შემკვეთები კი მაშინდელი პარტოკრატია ლენინელ-ტროცკისტები მახარაძე - მდივანი -

ორახელაშვილები და მათი ჯგუფი იყვნენ! აი, ეს გვარები არ უნდა დავიწყებოდა ქართველ ხალხს და ვაი, რომ დაავიწყდათ! ისინი წლების მანძილზე საქართველოშიც კი არ უშვებდნენ სოსო ჯუღაშვილს, ხოლო მათი ბადიშები დღემდე ცდილობენ ქართველ ხალხს წაართვან მისი ხსოვნა! წაართვან საკუთარი ისტორია ჩვენს ხალხს და თავიანთი სისხლისმსმელი და მასონი წინაპრების ცოდვები მას გადააბრალონ! ამისთვის ღებავენ ის უწიგნური ბიჭუნები და გოგონები ღამღამობით სტალინის ძეგლებს სოფლებში, რადგან... დღე ამას ვერ გაბედავენ, სოფლის ალალმართალი ქართველი კაცი ამისი უფლებას არავის მისცემს... დიახ, ამიტომ იქცევიან ქურდულად, მალვით, მიპარვით, რადგან ეს ხერხი უფრო ახლოა მათ ბინძურ და თავხედ სულიერ სამყაროსთან! მაგრამ... დაავიწყდათ, რომ ისტორია არავის და არაფერს ივიწყებს, და რომ ისტორია ზუსტი ფაქტების სამყაროა, ბატონებო! იგი ყველას და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს, ამისთვის კი, დროა საჭირო, ბატონებო! დიახ, დრო!

ბერია, როგორც უნიჭიერესი ახალგაზრდა რიგით სამუშაოზე აიყვანეს მაშინდელ შინსახკომში. და აი, ბერია ხდება სოსო ჯუღაშვილის საიმედო საყრდენი ძალა და საიდუმლო მეგობარი! და მათ, ბატონებო, პირველ რიგში, სწორედ ქართული, ეროვნული ინტერესები აერთიანებდათ! სწორედ მათი შეთანხმების შედეგად 1925 წელს თბილისში, დიდუბეში ჩამოვიდა თვითმფრინავი, თუ არ ვცდები „იუნკერს-13“, რომელშიც ისხდნენ ავადსახსენებელი მოგილევსკი, ძველი ბოლშევიკი, ე.ი. ლენინელი ათარბეგოვი და საკავშირო ცეკას წევრი მიასნიკოვი, ეს ის მიასნიკოვია, რომელიც გამოიყენა ფილიპე მახარაძემ თავის მარჯვენა ხელად და მისი ხელშეწყობით გაასხვისა უძველესი ქართული მიწები ლორე-ტაშირში! რაც შეეხება საინგილოს, იგი ორჯონიკიძემ ხორბალში გაუცვალა აზერბაიჯანის მთავრობას, რადგან საქართველო შიმშილობდა, რადგან ბანკებიდან ფული, განძი და თუ რაიმე ხელშესახები სიმდიდრე გააჩნდა ქვეყანას – პროდუქტებით დამთავრებული სპეციალური ჯავშანოსანი მატარებლით წაიღო ქვეყნის დამოუკიდებელმა ჟორდანიას მთავრობამ საზღვარგარეთ! მათ საერთოდ აღარ უფიქრიათ ხალხზე და ხალხის აუტანელ მდგომარეობაზე! მე ამით არც ორჯონიკიძეს ვამართლებ და არც ჟორდანიას მთავრობას ვთხოვ პასუხს, რადგან... ჯობდა შიმშილი აეტანა ქართველ ხალხს, ვიდრე ტერიტორიები დაეკარგა! ჟორდანია და მისი მთავრობა კი ფიქრობდა, რომ საზღვარგარეთ მშიერ-მწყურვალნი ვერაფერს გააკეთებდნენ! ვეღარ იბრძოლებდნენ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად! ერთადერთი, რასაც ჟორდანიას მთავრობა არ შეხებია, ეს იყო საქართველოს სამუზეუმო განძი, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილს ებარა, და რომ არა სტალინის დიდი ძალისხმევა, ის განძი სამუდამოდ დაეკარგებოდა ჩვენს ქვეყანას! „განძეულობის დაბრუნების საკითხი გადაწყვიტა ამხანაგ სტალინის უმაგალითო გამარჯვებამ, რის შემდეგ გერმანელებმა მიატოვეს პარიზი დაფრანგებმა სული მოითქვეს. ამ გამარჯვებამ დიდი სახელი გაუთქვა სტალინს საფრანგეთში. რანგები მასზე ლოცულობდნენ და ამბობდნენ: „ჩვენ ვეუბნებოდით , რომ სტალინი ქართველია ტომით, მაგრამ ამას ეჭვის თვალით უყურებდნენ: საქართველო პატარაა და ასეთ პიროვნებას ვერ წარმოშობდაო“ (როინ მეტრეველი, „ღვთის კაცი“). ასე რომ, ბატონებო, უმეცრებაა ტერიტორიების გასხვისების საკითხის დაკავშირება სოსო ჯუღაშვილთან, და კიდევ ავტონომიების შექმნის საკითხის! რადგან ავტონომიების შექმნის საკითხიც და მიწების გასხვისება-გაჩუქებაც მოხდა ფილიპე მახარაძე – მამია ორახელაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით და მათივე შედგენილი პროექტებით! და მოხდა 1921-დან 1925 წლებში! ამ წლებში კი სტალინის პიროვნება არა მარტო მიუღებელი იყო მაშინდელი საქართველოს პარტოკრატიისთვის, არამედ სტალინს ჩამოსვლაც არ შეეძლო სამშობლოში! უფრო მეტიც! მინდა მოგაწოდოთ ზუსტი ცნობები! 1918 წლის 26 მაისს, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, საქართველოს რესპუბლიკა მოიცავდა სამხრეთ კავკასიაში ვრცელ ტერიტორიას, 45%-ს და იყო რეგიონის უდიდესი სახელმწიფო! მასში შედიოდა ართვინის, არდაგანის, ზაქათალის, კახისა და ლორე-ტაშირის ოლქები! პარიზის სამშვიდობო კონფერენციისადმი (1919 წლის ივლისში) საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილ მოხსენებაში ვკითხულობთ: „...საქართველოს ტერიტორიამ უნდა მოიცვას თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, სოხუმის, ზაქათალისა და ბათუმის ოლქები, ორი ოლქი ყარსის დასავლეთით (ოლთისი და არდაქანი) და შავიზღვისპირეთის ოლქის რამდენიმე ნაწილი, აგრეთვე ტრაპიზონის ვილაიეთი“. მოხსენებას თან ერთვოდა იმდროინდელი საქართველოს საზღვრების დეტალური აღწერა და ეს დოკუმენტური მასალა უკლებლივ შემოგვინახა დიდი ქართველი მოღვაწის ზურაბ ავალიშვილის შრომამ (ზ. ავალიშვილი, „საქართველოს დამოუკიდებლობა“, პარიზი, 1924 წ.). ბატონებო, ზურაბ ავალიშვილი თვითონ იყო იურისტი და ყველა დოკუმენტიც უკლებლივ მის მიერ იყო შედგენილი! საქართველოს სახმელეთო საზღვარი იწყება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, პატარა მდინარე მაკოფსეს შესართავიდან, რომელიც ქალაქ ტუაფსეს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა 14 კმ-ში! ძველად აქ მდებარეობდა ქართული ქალაქი ნიკოფსია, რომელსაც მოიხსენიებს გიორგი მთაწმინდელი! ამ წერტილიდან საქართველოს საზღვარი მიუყვებოდა კავკასიონის დიდ ქედს და გადადიოდა სოფელ ლარსთან! ლარსიდან გასდევდა მდინარე არკმეხს – თერგის შენაკადს სოფელ ლიადჯამდე! შემდეგ გრძელდებოდა აღმოსავლეთისკენ ყარა-ჩაის მთამდე და მიემართებოდა ზაქათალის ოლქისა და ნუხის უძველეს საზღვარზე, სადაც ოდესღაც იყო ცნობილი გიშის საეპისკოპოსო! თამარის ხიდი ახლაც არის შემორჩენილი! შემდეგ უხვევდა სამხრეთით და მდინარე ალაზნამდე გაუყვებოდა მდინარე ყარა-ჩას დინებას, გაივლიდა ბორჩალოს (თბილისის გუბერნია) და ყაზახის (ელიზავეტპოლის გუბერნია) რაიონების საზღვრის მიმდებარედ, გაჰყვებოდა თბილისისა და ერევნის გუბერნიების ისევ ძველ საზღვარს, ქალაქ რიზესთან კი საზღვარი უკვე გადიოდა შავ ზღვაზე!

საქართველოში მე-11 არმიის შემოსვლისა და ფილიპე მახარაძისა და მამია ორახელაშვილის ხელისუფლების დამყარების შემდეგ 1921 წლის 16 მარტის რუსეთ-თურქეთის მოსკოვის ხელშეკრულებამ და

1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის შეთანხმებამ განსაზღვრა სამხრეთი და დიდი საქართველოს ბედიც! 1921 წლის 13 ოქტომბერს მახარაძე-ორახელაშვილის ქართულმა მთავრობამ ყარსში ხელი მოაწერეს ურთიერთმეგობრობის ხელშეკრულებას, ახალი საზღვრით კი საქართველოს შემადგენლობაში რჩებოდა მხოლოდ ბათუმი! ისიც დიდი მამულიშვილის მემედ აბაშიძის ღვაწლით, რომელმაც ფეხზე დააყენა ქალაქის მთელი მოსახლეობა და მოითხოვა საქართველოს შემადგენლობაში დარჩენა! „დემოკრატმა“ ლენინმა და მახარაძემ ამის საწინააღმდეგოდ ვერაფერი მოიფიქრეს! ე.ი. მახარაძე-ორახელაშვილმა თავიანთი ჯგუფის უშუალო მოქმედებით თურქეთს „დაუთმეს“ მთლიანად კოლა, არტაანი, შავშეთი, კლარჯეთი და ჯავახეთისა და აჭარის უდიდესი ნაწილი! ასევე ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი – მაჭახელა, ბორჩხა და მაკრიალი (936 კვ.კმ.), ართვინის ოლქი (3339 კვ.კმ.), არტაანის ოლქი (ფოცხოვოს უბანთან ერთად 5725 კვ.კმ.), ტაოს, იგივე ოლთისის ოლქი (3051 კვ.კმ), ე.ი. სულ მათ თურქეთს „აჩუქეს“ ისტორიული საქართველოს 13051 კვ.კმ. ფართობი! ახლა მივყვეთ დანარჩენს: 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულებით საქართველოს მთავრობამ უარი თქვა სოჭის ოლქზე და საზღვარმა გაიარა შავი ზღვიდან მდინარე ფსოუმდე, ახახჩას მთამდე. მთა ახახჩა და მთა აგაპეტით საზღვარი გადის კავკასიონის დიდ ქედზე ზაქათალამდე და შემდეგ სომხეთის საზღვრამდე! მაგრამ 1925 წლის დადგენილებით მახარაძე-ორახელაშვილის მთავრობამ რუსეთს გადასცა პილენკოვოს (განთიადის) მხარე 26815 კვ.კმ. ფართობით და 1927 წელს კი მელხესტი და ცეკარო (დუშეთის მაზრა) 16678 კვ.კმ ფართობით, ასევე 1921 წლიდან 1925 წლებში მახარაძე-ორახელაშვილის მთავრობამ „გაასაჩუქრა“, როგორც უკვე გითხარით, ლორე-ტაშირისა და ზაქათალა-ბელაქნის და კახის ოლქები! ბორჩალის მაზრის ნაწილი! ე.ი. სომხეთს გადაეცა ისტორიული საქართველოს 257538 კვ.კმ! დანარჩენი კი (ზაქათალის ოლქი მთლიანად) აზერბაიჯანს!

ბატონებო! ეს ვანდალური საქმე ჩაიდინა საქართველოს მაშინდელმა, მახარაძე-ორახელაშვილის მთავრობამ! ერთადერთი, რისი გაკეთებაც მოახერხა სტალინმა და მოახერხა მოსკოვიდან და მოგვიანებით ნაციონალისტობაში ჩაუთვალეს ის იყო, რომ 1929 წელს, პილენკოვო (განთიადი) და ერმოლოვკა (ლესელიძე) რუსეთმა დაუბრუნა საქართველოს! ხოლო ბერიასთან ურთიერთკავშირის შემდეგ კი მათ იზრუნეს და ამ მხარეში ე.ი. აფხაზეთის სოფლებში ჩაასახლეს მთიანი რაჭისა და იმერეთის მოსახლეობა! ასევე რაჭა-იმერეთიდან ღარიბი ქართველი ხალხი ჩასახლეს სამცხე-ჯავახეთში, ბოლნისში და კახეთში! ბატონებო! თქვენი აზრით, ეს არ არის მამულიშვილური ღვაწლი? მათ დემოგრაფიული კლიმატი შეცვალეს ამ მხარეებში! და ეს ცოტა იყო იმ დროისათვის? იქნებ მიპასუხოს იმ უწიგნურმა ბიჭუნებმა და გოგონებმა! ქართველებო! გამცეს პასუხი ოპონენტებმა! დღეს რაღა დაგვრჩა? რაღას ჰგავს დღევანდელი საქართველო? და ვისი დამსახურებაა ეს ყველაფერი? არ იციან ეს მახარაძე-ორახელაშვილების შთამომავლებმა? დიახ, ბატონებო! მახარაძე-ორახელაშვილების საქმიანობა შემდეგში გააგრძელეს და დააგვირგვინეს ნაციონალებმა! დაინტერესებულ პიროვნებას შეუძლია ჩახედოს ისტორიულ არქივებს და თუ ხრუშჩოვის მოგონებებსაც წაიკითხავთ, უფრო მეტს გაიგებთ მათზე! მიხვდებით ნამდვილად იყვნენ თუ არა ისინი, ე.ი. სტალინი და ბერია კარგი და უღალატო ქართველები, იყვნენ თუ არა ისინი ეროვნული მოღვაწეები! დიახ! არც იმ დროს ისვენებდა ქართულ აფხაზეთში ჩასახლებული თურქულ-ადიღეური მოდგმა! მაშინაც უნდოდათ საქართველოს გამოჰყოფოდა აფხაზეთის ავტონომია და რუსეთს მიერთებოდა! ნესტორ ლაკობამ ითავა ამ საქმის დაგვირგვინება და სტალინთან ჩავიდა მოთხოვნით! სტალინმა ბერიაზე მიუთითა, მაშინ ბერია იყო ცეკას მდივანი. ბერიამ დაუსაბუთა, რომ ეს შეუძლებელი იყო, რადგან აფხაზეთი ისევე იყო საქართველოს ნაწილი, როგორც ქართლი, კახეთი, ჯავახეთი თუ გურია და სამეგრელო, აჭარა თუ სვანეთი, ხევსურეთი თუ იმერეთი... მაგრამ ნესტორ ლაკობასა ვერაფერი შეასმინა! რადგან ბერია სოხუმთან ახლოს, სოფელ მერხეულში იყო დაბადებული, პირდაპირ უთხრა, შენც ხომ აფხაზი ხარო! დიახ, ბატონო, უთხრა ბერიამ, მე აფხაზი ვარ, მაგრამ უპირველესად ქართველი ვარ! თქვენ კი... ეჭვქვეშ აყენებთ ქართული აფხაზეთის ეროვნულ ინტერესებს და... ადიღეურად მსჯელობთ! – და ამის შემდეგ ბერიასთან სტუმრობის შემდეგ მალევე გარდაიცვალა ლაკობა! მაშინვე აიყვანეს მისი მომხრე სეპარატისტები, ე.ი. 24 კაცი ლაკობასთან ერთად და დაიწყო მათი სასამართლოები! ოცი კაცი ლაკობასთან ერთად დაიხვრიტნენ!

ასევე ბერიას პერიოდთან არის დაკავშირებული სომხეთის ცეკას მდივნის ვიზიტი თბილისში! მან, სომხეთის ცეკას მდივანმა სანჯიანმა კატეგორიულად მოითხოვა სომხებით დასახლებული ჯავახეთის მიერთება სომხეთთან! ბერიამ, ცხადია, ახსნა-განმარტებები არ დაიშურა და ისტორიული დოკუმენტებიც მოიშველია, რომ ეს მიწა-წყალი საქართველოს კუთვნილება იყო დასაბამიდან ვიდრე პასკევიჩამდე! მაგრამ სანჯიანს ამის გაგონებაც არ სურდა! იგი შეუვალი კატეგორიულობით ითხოვდა! მათ შორის უაღრესად მწვავე კამათი გაიმართა, რის შედეგადაც... სომხეთიდან ჩამოსული სტუმარი „გულის მწვავე შეტევით“ ბერიას კაბინეტში გარდაიცვალა! ხრუშჩოვი კი უთითებს, სანჯიანი ბერიამ მოკლაო, იმიტომ, რომ გაბედა და მიწები მოსთხოვა საქართველოსო; და რომ ლაკობასა და სანჯიანის შემთხვევებში ბერია შეთანხმებული იყო სტალინთანო; და რომ ისინი, ე.ი. სტალინი და ბერია შოვინისტები, ნაციონალისტები იყვნენ თურმე! და რომ ისევ თურმე ისინი ყოველთვის შეთანხმებულად მოქმედებდნენ საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებში!.. დიახ, ბატონებო! ის ავადსახსენებელი ხრუშჩოვი სამშობლოს სიყვარულს მათ, ე.ი. სტალინს და ბერიას დანაშაულად უთვლიდა! დასკვნები კი თქვენ თვითონ გამოიტანეთ!..

1930 წლიდან, როგორც კი სტალინს ტროცკის შეთქმულებების გამოაშკარავების შემდეგ ავტორიტეტი აუმაღლდა და თავისი კუთვნილი ადგილის დაჭერას შეეცადა პოლიტბიუროში, ხდება ასეთი ფაქტი, მისი, ე.ი. სტალინის ბრძანებით გაათავისუფლეს დაპატიმრებული სასულიერო პირები!.. 1932 წლიდან კი დაიწყო ისევ სტალინის მითითებით ეკლესია მონასტრების დაბრუნება

სასულიერო პირებისთვის და მათი ხელშეუხებლობა. მართლმადიდებელი ეკლესიის აღდგენას რაც შეეხება, მთელი საბჭოეთის მასშტაბით უკვე მასიური ხასიათი მიეცა 1935 წლიდან! ისიც მოგეხსენებათ, რომ ომის დროს მოსკოვს სამჯერ შემოატარეს მლოცველებმა ყაზანის სასწაულთმოქმედი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი ლოცვითა და პარაკლისებით! და ეს მოხდა მაშინ, როცა გერმანელები მოსკოვთან 27 კილომეტრში იყვნენ! მოსკოვი არ დაცემულა, ბატონებო! ასევე მოხდა ლენინგრადში და სტალინგრადში ლენინგრადის ბლოკადა საბჭოთა ჯარებმა უმაღლესი მთავარსარდლის, ე.ი. სტალინის ბრძანებით ქართველთათვის უდიდესი წმინდანის, წმიდა ნინოს ხსენების დღეს 27 იანვარს გაარღვიეს და... გერმანული შენაერთები მიწასთან გაასწორეს! ხოლო რაც შეეხება კენინგსბერგის ბრძოლებს, იგი საბჭოთა კავშირის ყველაზე განაპირა წერტილია დასავლეთის საზღვართან, იქ თვითონ სამღვდელოება ჩავიდა უწმინდესი ნაწილებით, ჯვრებითა და ხატებით და ფრონტის წინა ხაზზე გადაიხადეს პარაკლისები, ყოველგვარი შიშის გარეშე! კენინგსბერგის ბრძოლას, როგორც ყველა სხვა ბრძოლას, უშუალოდ და ფიზიკურადაც ხელმძღვანელობდა სტალინი, მოხდა სასწაული: გერმანელებს თვითონ ღვთისმშობელი გამოეცხადათ და... მათ იარაღიც ვეღარ გაისროლეს... მინდა გითხრათ, რომ სტალინი, ე.ი. სოსო ჯუღაშვილი როგორც ერთი ჩვეულებრივი, რიგითი მრევლი ისე დადიოდა და ლოცულობდა მართლმადიდებლურ ტაძრებში, გასცემდა მოწყალებას, იყო სულიერი ძმა და მეგობარი ამჟამად უკვე წმინდანად შერაცხული დედა მატრონასი, სრულიად რუსეთის პატრიარქის სერგის და წმიდა სინოდის წევრების. სტალინის მითითებით აღდგა სასულიერო სემინარიების და აკადემიების ფუნქციონირება საბჭოეთის მთელ ტერიტორიაზე! სტალინის უშუალო და პირადი თხოვნით, რუსეთის პატრიარქმა სერგიმ მსოფლიო მართლმადიდებლური სამყაროს გასაგონად აღიარა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა, ე.ი. ქართულ ეკლესიას დაუბრუნდა ავტოკეფალია, რომელიც წაიღო რუსეთმა ნებაყოფლობით თვითონ ერეკლე II-ს ტრაქტატის და ასევე გიორგი XII-ს საბოლოო ანდერძის საფუძველზე! დაინტერესებულ პიროვნებას შეუძლია ეს ფაქტებიც გადაამოწმოს! დიახ! ბატონებო! სტალინი ნამდვილად იყო მართლმადიდებელი ქრისტიანი, მორწმუნე და ეროვნული მოღვაწე!

ახლა რაც შეეხება ილია ჭავჭავაძეს! ალბათ ყველამ კარგად იცით, ვინ იყო იგი! იმედია იცნობთ მის შემოქმედებას და, ცხადია, აღარ არის საჭირო ვთქვა, რომ ის დიდზე დიდი ეროვნული მოღვაწე იყო, და ეს სიტყვები არაა უბრალო და არაა უბრალოდ ნათქვამი! ილიას თითოეული ქართველის ტკივილი სტკიოდა! ილიას საქართველოს წართმეული თავისუფლება სტკიოდა! ილიას ქართველი კაცის შიმშილი და სიღატაკე სტკიოდა! ილიას ერის გადაგვარება და დაცემა სტკიოდა! ილიას საქართველოს დამცირებული მდგომარეობა სტკიოდა! და ეს ილია, როგორც იდეური მტერი მოაკვლევინა ფილიპე მახარაძემ და მისმა ჯგუფმა, ბატონებო! მახარაძის ჯგუფის წევრები ვინც იყვნენ, ყველამ კარგად იცით! სწორედ იმ ფილიპე მახარაძემ, რომელიც იყო ლენინისა და ტროცკის უერთგულესი მეგობარი და მათი დასაყრდენი კავკასიაში და კერძოდ საქართველოში! იმ ფილიპე მახარაძემ, რომელმაც მოგილევსკისთან ერთად ფიზიკურად გაანადგურა ქართული განათლებული ინტელიგენცია 1921-1925 წლებში, იმ ფილიპე მახარაძემ, რომელმაც ბუდუ მდივანთან და მამია ორახელაშვილთან ერთად გაასაჩუქრა ტაო-კლარჯეთი, სამცხე-ჯავახეთი, ლორე-ტაშირი, საინგილო და სოჭის მხარე; იმ ფილიპე მახარაძემ, რომელმაც საქართველო აქცია ფედერაციად და შექმნა ავტონომიები აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის. დიახ, ბატონებო, სწორედ ამ ფილიპე მახარაძემ 1907 წლის იმ საშინელ აგვისტოში მოაკვლევინა ილია, და მოაკვლევინა იმიტომ, რომ ილია ეროვნული მოღვაწე იყო! მახარაძე-ორახელაშვილებისთვის კი ეროვნებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა! ილიას სიკვდილთან დაკავშირებით კიტა აბაშიძემ სამძიმრის დეპეშა გამოუგზავნა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, და იცით რას სწერდა? „მწარედ ვგლოვობ სამშობლოს სირცხვილს!“ დიახ, ბატონებო! სამშობლოს ყველა ქართველის უდიდესი სირცხვილი იყო თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით ისეთი გამორჩეული მოღვაწის მკვლელობა, როგორიც ილია იყო! ეს იმდენად შემზარავი ფაქტი გახლდათ, რომ მახარაძისა და მისი ჯგუფის გამართლება თუნდაც უწიგნური ქართველი ბიჭუნებისაგან საშინელებაა! დიახ, ბატონებო, ამ ხალხისთვის, ისევ მახარაძე-მდივან-ორახელაშვილებს ვგულისხმობ, არ არსებობდა ეროვნება, არ არსებობდა ქართველი და საქართველო... და მათი ფიქრით სოციალიზმი მსოფლიო მოქალაქეობას ნიშნავდა ეროვნების გარეშე! არც ასეა, ბატონებო, საქმე! სოციალიზმი და სოციალური პოლიტიკა ნებისმიერი ხალხისთვის და ქვეყნისთვის არის მნიშვნელოვანი და აუცილებელი, მაგრამ უპირველესად ეროვნებასა და ეროვნულ ჩარჩოებში მოქცეული! სხვაგვარად იგი უკვე აზრს კარგავს! უფრო მეტიც! ილიას მკვლელებმა ილიას მეუღლეს ჩამოართვეს სახლი! და ქუჩაში გააგდეს ღრმად მოხუცებული, ავადმყოფი; მაგრამ... უფალი დიდია და არავის არ უნდა დაავიწყდეს, რომ ის ყოვლისშემძლეა! ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა მოხდებოდა ტროცკის შეთქმულებს სტალინის ლიკვიდაცია რომ მოეხდინათ? – არა, ეს იმდენად საშინელი ფაქტი იქნებოდა, რომ წარმოდგენაც შიშის მომგვრელია. ტროცკის შეთქმულებების გახსნის და მისი მასონური ბანდის განადგურების შემდეგ სტალინის ავტორიტეტი, რომელიც მის კაცთმოყვარე, ზნეობრივ მორალზეა დაფუძნებული, სწრაფად გაიზარდა რუსეთის არა მარტო პარტიულ წრეებში, საერთოდ რუსულ საზოგადოებაში! და ამ პერიოდიდან სტალინი უკვე ხდება პოლიტბიუროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წევრი, ის სტალინი, რომელსაც ფილიპე მახარაძისა და მამია ორახელაშვილის მომხრეთა ჯგუფი ფაქტობრივად არ სცნობდნენ! ჩახედეთ არქივებს, ბატონებო, როდესაც ბერიას კანდიდატურა დააყენეს ცეკაში მდივნის თანამდებობაზე, ასე რომ ვთქვათ თანამშრომლები გაიფიცნენ! სამსახურში არ იღებდნენ მას, თუნდაც იმიტომ, რომ სტალინმა გაუწია რეკომენდაცია! სწორედ სტალინის გაძლიერების შემდეგ მისი უმთავრესი მიზანი გახდა თავისი სამშობლო, მისი დათრგუნული და

გაღარიბებული ქვეყანა, მამული – რომელსაც ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობაში ნამდვილად უკვდავი ლექსი „დილა“ უძღვნა და რომელიც საოცარი სიტყვებით შეაქო ილიამ! დიახ, ბატონებო, სტალინის ფეხზე მომაგრებისთანავე განახლდა ილიას მკვლელთა სასამართლოები, სადაც ყოველგვარი მორიდების გარეშე, ბერბიჭაშვილს (ილიას მკვლელს) მახარაძის ხალხი იცავდა, მოსამართლეც მიკერძოებული იყო! დადგა 1932 წელი და მახარაძის მომხრე პროლეტარმა მწერლებმა საქართველოს მწერალთა კავშირში მოითხოვეს ილიას ამოთხრა და მთაწმინდიდან მისი გადაყვანა... როგორც მთაწმინდის პანთეონისთვის შეუფერებლის! მაშინდელი მწერალთა კავშირის წამყვანი ფიგურა გახლდათ ჩვენი ნამდვილად დიდი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი. ცხადია, დასანანია, რომ მიხელ ჯავახიშვილს და იმდროინდელ ბევრ კარგ ქართველ მწერალსა და პოეტს გამოუსწორებელი შეცდომა მოუვიდათ, რომ ვერ გააცნობიერეს ილია ვინ იყო!.. აღნიშნული ფაქტი, ე.ი. (ილიას მთაწმინდიდან ამოთხრის შესახებ) შეიტყო სტალინის ბავშვობის მეგობარმა პეტა კაპანაძემ. იგი იმავე დღეს გადაფრინდა მოსკოვში და შეატყობინა სტალინს მწერლების გადაწყვეტილება! სტალინი გაოგნდა! მისი სიტყვებია: „მოკლეს და საფლავშიც აღარ აყენებენ!“ რა თქმა უნდა, მაშინვე დარეკა თბილისში და გააფრთხილა „ზოგიერთები“ ხელი არ ეხლოთ მიცვალებულისთვის. მიუხედავად ამისა, მან კარგად იცოდა ტროცკის მომხრეთა ავი ბუნება, მათთვის სტალინის, მათი იდეური მტრის გაფრთხილება ბევრს არაფერს ნიშნავდა! ისინი ცოტა ხანს დაელოდებოდნენ დროის გასვლას და შემდეგ მაინც ამოთხრიდნენ ილიას! აი, სწორედ ამიტომ სასწრაფოდ შეიტანა წინადადება საკავშირო მწერალთა კავშირში, რომ მთელი კავშირის მასშტაბით აღენიშნათ ილიას დაბადებიდან 100 წლისთავი 1937 წელს და ახლავე დაეწყოთ მოსამზადებელი სამუშაოები! და რაც მთავარია, გამოქვეყნდა ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ყოვლისმომცველი სტატია „პრავდაში“! ეს კი უკვე ძალიან სერიოზული გზავნილი და მკაცრი გაფრთხილება იყო მახარაძე-ორახელაშვილისადმი, რომ ამჯერად აღარაფერს აპატიებდნენ! და რომ კრემლიდან ძალიან ფხიზლად ადევნებდნენ თვალს მათ ყოველ ნაბიჯს. 1934 წელს სტალინის მითითებით მოწვეულ იქნა საკავშირო მწერალთა ყრილობა. სიტყვით გამოვიდა მალაქია ტოროშელიძე, რომელმაც, როგორც ცნობილია, თავისი სიტყვის პირვანდელი ვარიანტი მთლიანად გადააკეთა სტალინის კაბინეტში და ამ მოხსენებაში, ნაცვლად ახლად გამომცხვარი პროლეტარი მწერლებისა, ყურადღება გამახვილდა ძველ ქართულ ლიტერატურაზე, რუსთაველის პერიოდზე და შემდეგზე, ბოლო ნაწილს კი რომელიც იწყებოდა და მთავრდებოდა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო! მოხსენება ვრცელი იყო! ყოვლისმომცველი! მასში სრულად იყო წარმოდგენილი ქართული დამწერლობის მაღალი კულტურა, ქართული ეროვნული ტრადიციების და ისტორიის მნიშვნელოვანი პერიოდები და საერთო, ქართული რენესანსის მთელი ბრწყინვალება! ილია კი აღიარეს, უდიდეს მწერლად და ეროვნულ მოღვაწედ! დიახ, ბატონებო! და ის მოხსენება, რომელიც მალაქია ტოროშელიძემ წაიკითხა მოსკოვში, მწერალთა ყრილობაზე, და რომელსაც ყველაზე დიდი დრო დაეთმო მომხსენებელთა შორის სტალინის დაწერილი იყო! დამეთანხმებით, ნებისმიერ უმაღლესი დონის ენათმეცნიერს, ლიტერატურის კრიტიკოსს და ისტორიკოსს შეშურდება ქართული ლიტერატურის ის ღრმა ცოდნა და სრულყოფილი ანალიზი, რაც ამ ფართო მოცულობის სტატიაშია წარმოდგენილი! და ამ ფაქტით ცხადი გახდა, რომ მახარაძე-ორახელაშვილმა 40-წლიანი ფარულიც და აშკარა ომი წააგო არა მარტო ილია ჭავჭავაძესთან, არამედ მთელ ქართულ ლიტერატურასთან, ქართულ ისტორიასთან, ქართულ მეცნიერებასთან და ქართულ-ეროვნულ ცნობიერებასთან!!! მე კი ამ ფაქტით მხოლოდ იმის აღნიშვნა მინდა, რომ თუ ილია დარჩა ქართველ ერს და საქართველოს ისტორიას თავისი დამსახურებული ღვაწლითა და დიდებით, თავისი შემოქმედებით, უბრწყინვალესი გაზეთი „ივერიით“, თავგანწირვით, თავდადებით მშობლიური ხალხისთვის და ქვეყნისთვის ეს ყოველივე, ბატონებო, სოსო ჯუღაშვილის, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული სოსელოს დამსახურებაა, რომელმაც მშვენიერი და არაჩვეულებრივი ლექსი „დილა“ უძღვნა თავის მამულს! სტალინი ყოველთვის სიამაყით მიუთითებდა თავის ეროვნებას და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მისი გვარის ფუძე „ჯუღა“ ძველქართულად ფოლადს ნიშნავდა, რევოლუციონერის ფსევდონიმი სტალინიც აქედან წარმოდგებოდა! სწორედ ამ დიდი სიყვარულის შედეგია ის განუზომელი ღვაწლი, რაც ას როგორც ეროვნულ მოღვაწეს მიუძღვის თავის სამშობლოსადმი, ბატონებო! მისი უშუალო ძალისხმევით დაუბრუნდა სამუზეუმო განძი ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად საქართველოს, და იცით როგორ მოხდა ეს? დე-გოლთან არა მარტო მეგობრული ურთიერთკავშირის გამო! საფრანგეთმა თავისი საზღვრები სრულყოფილად აღიდგინა სტალინის მხარდაჭერით, ბატონებო! დიახ! საფრანგეთის რესპუბლიკამ ყოველგვარი პრივილეგიით და დახმარებით ისარგებლა ომის შემდგომ! დიახ, სტალინის დახმარებით საფრანგეთს სერიოზული სუბსიდიებიც გამოეყო დანგრეული ქალაქების აღსადგენად და მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელად! სტალინის კეთილგანწყობა დეგოლის მიმართ უსაზღვრო იყო... ამიტომაც მიიღო დე გოლმა სიხარულით სტალინის თხოვნა, რომ განძი შეუფერხებლად გამოეგზავნათ! მოსკოვიდან ორი ყოველმხრივ დაცული თვითმფრინავი გაემგზავრა პარიზში, დიახ... ასე დაბრუნდა საქართველოში ის განძი, რომელიც სტალინის უსაყვარლესი სამშობლოს დიდებული წარსულის დამადასტურებელი იყო! დიახ! განძი, რომლის მფლობელ ერს ვერავინ წამოაძახებდა ბარბაროსობას! როგორც ეს ხშირად გაისმოდა ტროცკისტთა თუ საზღვარგარეთული პრესიდან სტალინისა და მისი ეროვნების ხალხის მისამართით! სწორედ სტალინის პირდაპირი მითითებით დაიწყო საქართველოს ისტორიის კვლევა და არქეოლოგიური გათხრები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე... და იმ საქართველოშიც კი, რომელიც თურქებს ჰქონდათ წართმეული და რომლის დაბრუნებაზეც ოცნებობდა სტალინი და ბერია! დიახ, ბატონებო, ისინი დიდი ადამიანები და დიდი ეროვნული მოღვაწეები იყვნენ. სტალინის უშუალო ძალისხმევით შეიქმნა საქართველოს

მეცნიერებათა დიდი აკადემია! ყოველგვარი პირობა შეექმნა თბილისის უნივერსიტეტს, შეიქმნა სხვა ინსტიტუტები და კვლევითი ინსტიტუტები! ლაბორატორიები და სამეცნიერო კვლევითი ცენტრები!

ძველი ქართველი ბოლშევიკების დასმენით სასიკვდილოდ გაწირეს და ჯაშუშობა დააბრალეს ეროვნულ მოღვაწეებს, მეცნიერებს, მწერლებს: ივანე ჯავახიშვილს, შალვა ნუცუბიძეს, კონსტანტინე გამსახურდიას და მრავალ სხვას... სტალინის უახლოესმა მეგობრებმა და ღირსეულმა ქართველებმა, ცხადია, ეს ფაქტები სასწრაფოდ აცნობეს მას! სწორედ სტალინის უშუალო ჩარევით გადაურჩნენ ისინი სიკვდილს, რაც უკვე დიდი ხანია მახარაძე-ორახელაშვილების ჯგუფის მიერ დამოკლეს მახვილივით ეკიდა მათ თავზე! ისეთი საზიზღარი ცილისწამება შეუთითხნეს ივანე ჯავახიშვილს, მისი გამართლება არა მარტო ძნელი, სარისკო საქმეც იყო... სტალინი ამ ფაქტმა სასტიკად გააღიზიანა, შეძრა ძველი ლენინელების არაქართულმა აზროვნებამ... „რა ჯურის ხალხია, ასეთი დიდი ეროვნული მოღვაწე ჰყავთ და... მასაც არ ინდობენ!“ – უთხრა პეტრე კაპანაძეს. ბერიას სთხოვა კონტროლზე აეყვანა ქართველ მოღვაწეთა საქმეები! ივანე ჯავახიშვილი კი... საკავშირო აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს სასწრაფოდ!.. ამის შემდეგ მას ხელს ვეღარ ახლებდნენ! ისე გამოდიოდა, რომ მოსკოვი მფარველობდა ღირსეულ ქართველებს! შალვა ნუცუბიძე პატიმრობაშიც კი ინახულა... ჩიბუხი აჩუქა და... ვეფხისტყაოსნის ერთი სტროფიც თარგმნა... რუსულად... გამსახურდიას „დიდოსტატი“ სიმონ ჯანაშიამ ჩაუტანა მოსკოვში და „მოუცლელმა“ სტალინმა ერთ ღამეში წაიკითხა იგი, ბატონებო! დიახ, ბატონებო! საქართველოს მთავრობაში მოკალათებულმა ძველმა ლენინელებმა ციხეებში გაისტუმრეს ბევრი ღირსეული ქართველი 37-38 წლებშიც კი! მათი სიცოცხლე ისევ სტალინმა იხსნა ისევ და ისევ პეტა კაპანაძისა და სიმონ ჯანაშიას მოსკოვში გაფრენით და ძალისხმევით!

დიახ, ბატონებო... სასტიკი და მძიმე იყო ქვეყნისთვის 37-38 წლების რეპრესიები, ის რეპრესიები, რომლებსაც სტალინის რეპრესიები დაარქვეს, მაგრამ დაფიქრებულხართ? რატომ მაინცდამაინც 37-38 წლების? 1921 წლიდან სისხლში ცურავდა საქართველო და ეს სისხლი მახარაძე-ორახელაშვილების კისერზეა! რატომ იმ წლებს არავინ ახსენებს? ცოტა ქართველი გაწყდა 37 წლამდე? ან კიდევ 21-25 წლებში? ყველაზე მეტი ქართველი სწორედ 21-25 წლებში შეიწირა და შეიწირა მახარაძე-ორახელაშვილების ხელისუფლებამ! რატომ ამ წლებს არავინ ახსენებს? რატომ არის ეს წლები დავიწყებული? ან კიდევ ამ წლების ცოდვებსაც რატომ აბრალებენ სტალინს? ტროცკის შეთქმულებები პერიოდულად ფეთქდებოდა 27-დან თითქმის 38-39-40 წლების ჩათვლით! გახმაურებულმა შეთქმულებებმა ფაქტობრივად ნათელი მოჰფინა მათი ჯგუფის, ე.ი. ძველ ლენინელთა ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს! იაგოდას არქივში დაცულია საინტერესო ცნობები, როგორ გაჰქონდათ საზღვარგარეთ ძვირფასი თვლებითა და ძვირფასი ლითონებით დატვირთული ვაგონები... როგორ ძარცვავდნენ ქვეყანას, სადაც ჯერ კიდევ სიღატაკე და შიმშილი მძვინვარებდა და რომელიც დემოკრატიულ პრინციპებზე შექმნილი ერთადერთი ქვეყანა იყო დედამიწაზე... და არ ჰყავდა მეგობარი, დამხმარე და შემწყალე არც ერთი ქვეყანა! დიახ, ცუდია 37-38 წლების რეპრესიები რომ მოხდა, მაგრამ იმ უდიდესი ომის წინ, რომელსაც 41-45 წლების მსოფლიო ომი ერქვა, არ შეიძლებოდა ტერიტორიულად ამ უზარმაზარ სახელმწიფოში ქვეყნისა და ხალხის მოღალატე ტროცკისტებს ისევ განუკითხავად ემართათ მოკავშირე რესპუბლიკები და თუნდაც საქართველო! დიახ, ბატონებო! ეს მწარე სიმართლეა! რადგან გერმანელები ისე გადმოვიდნენ კავკასიონზე, რომ არაფერი შეშლიათ, ყველა გზა და ბილიკი იცოდნენ! მათ სწორედ ის თავის ქვეყანაზე გაგულისებული ქართველები მოუძღოდნენ და მოჰყვებოდნენ, ასწავლიდნენ საიმედო გზებსა და ხერხებს!.. დიახ, ბატონებო!, მათ სურდათ საქართველო გერმანიის ერთ-ერთი რიგითი რაიხსკომისარიატი გამხდარიყო, ოღონდაც ქვეყნის მართვა-გამგეობას დაპატრონებოდნენ! ხომ არ გაგონებთ ეს ფაქტი, ბატონებო, საქართველოს უახლეს ისტორიას? ნაციონალების მმართველობის წლებს, რომლებმაც 2008 წლის ომი რუსეთთან იმიტომ დაიწყეს, რომ ახალგორი და კოდორი რუსეთისთვის დაეკანონებინათ? განა ამიტომ არ აღადგინეს 1991 წელს გაუქმებული სამხრეთ ოსეთის ავტონომია და ცხინვალის რეგიონი ისევ სამხრეთ ოსეთის ავტონომიად არ მონათლეს? ეს ფაქტი ხომ არ ნიშნავდა გარიგებას? ამას ისტორია დააკონკრეტებს, ბატონებო! დიახ! აი, სწორედ იმ დიდი ღვაწლისა სამშობლოს წინაშე და დიდი სიყვარულის გამო არ უყვართ სტალინი და მასთან ერთად ბერია ამ ხალხს! მე მათ გადაგვარებულ, ან გვარნაყიდ ერის მოღალატე ქართველებად მოვიხსენიებ, ბატონებო! ერთ-ერთი მათგანი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუს გენერალს 50000 დოლარზე ევაჭრებოდა, ოღონდაც სტალინის ძეგლი აეფეთქებინათ გორში! დიახ! ეს ვანდალური საქციელი რუსებმაც არ იკადრეს, ბატონებო! სწორედ სტალინის და ბერიას აშენებულია მთელი საქართველო და მთელი საბჭოეთიც!.. მათი შექმნილია ის უზარმაზარი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, რომელიც შეინარჩუნა რუსებმა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებმა, საქართველოში კი... საქართველოში ნაციონალების ხელისუფლებამ არა მარტო ტექნიკური მეცნიერება, არამედ მეცნიერების ყველა სფერო და საერთოდ სწავლების სისტემა სრულად გაანადგურა.

სტალინის მოწამვლა რომ ფაქტია, ეს დღეს ცხადია, და ამაზე აღარავინ დავობს და მისი სიკვდილის შემდეგ მეორე ქართული ღვთაებრივი გონება – ბერიაც სწრაფად მოიშორეს თავიდან და შემდეგ... ავადსახსენებელმა ხრუშჩოვმა და მისმა ჯგუფმა არნახული სისწრაფით დაიწყო საბჭოთა კავშირის ნგრევა! საქართველო პატარა ქვეყანაა, ბატონებო, ქართველობაც ცოტანი ვართ... ამიტომ ჩათვალა სტალინმა, რომ ეროვნული პოლიტიკა ყოფილიყო წარმმართველი ძალა საბჭოთა კავშირში! მოკავშირე რესპუბლიკები ერთმანეთთან კონსტიტუციით და სამოკავშირეო ხელშეკრულებებით იყო დაკავშირებული! არ იყო ეროვნული ჩაგვრა! ყველა ქვეყანას თავისი საკუთარი სახელმწიფო ენა ჰქონდა! დიახ, ბატონებო! ახლა რაღა ვართ? არ ვეძებთ მოკავშირეს? არ ვეძებთ დამხმარეს და პარტნიორს? ცხადია, ვეძებთ! თუ საწინააღმდეგოს მეტყვით მე მხოლოდ ერთ კითხვას

დავსვამ! თუ ჩვენ ჩვენი თავის ბატონ-პატრონები ვართ და არავისთან მეგობრობა არ გვჭირდება, არვის პარტნიორობა არ გვჭირდება – მაშინ რატომ არიან ჩვენი, ასე პატარა და მცირერიცხოვანი ერის შვილები 2000 კაცი ავღანეთში საომარ ცხელ ხაზზე? რატომ იხოცებიან ისინი ასე შორს სამშობლოდან? არავინ იფიქროს, რომ მე ამ შემთხვევაში კრიტიკით გამოვდივარ, ბატონებო! არა! ეს ჩვეულებრივი კითხვაა და ჩვეულებრივი მოვლენაა ისიც, რომ ვინცაა ჩვენი პარტნიორი და მეგობარი, ცხადია, ჩვენც ვალდებულნი ვართ გავითვალისწინოთ მისი სურვილები! დიახ, ეს ფაქტია, ბატონებო! მაგრამ თუ ჩვენ პარტნიორს ვიცვლით, ეს არ ნიშნავს, რომ საკუთარი თავი დავივიწყოთ, ენა დავივიწყოთ! აბა დააკვირდით, აბრებზეც კი არსად ჩანს ქართული! ყველგან ინგლისური წარწერებია! პრიორიტეტი ენიჭება ამერიკაში სწავლამიღებულ ახალგაზრდობას! რატომ, ბატონებო! ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები ყოველთვის აღემატებოდა ხარისხით საზღვარგარეთულს, რა ხდება? ფაქტი – ფაქტია! ძველი, გამოცდილი პროფესორები წასული ხელისუფლების სისტემამ განდევნა უმაღლესი სასწავლებლებიდან! არ გააჩერეს თავიანთ ქვეყანაში, მაგრამ... სიამოვნებით და სიხარულით მიიღეს ისინი ევროპასა თუ ამერიკაში! დიახ, ბატონებო, თუ ადრე მიღებული იყო მორალური და ზნეობრივი კრიტერიუმებით არა მარტო პატივისცემა, არამედ თაყვანისცემა დიდი, ღვაწლმოსილი მეცნიერებისა, ნაციონალებმა ლუკმაპურიც შეუწყვიტეს და, რაც მთავარია, დაამცირეს ისინი, სამსახურებიდან გამოყარეს როგორც უსარგებლო ნაგავი!!! მათ, ე.ი. ნაციონალებმა მთლიანად შეცვალეს ფუნდამენტური განათლების სისტემა და შემოიღეს ზოგადი უნარების სწავლება! საქართველოში საქართველოს ისტორიის მხოლოდ მოკლე, არაფრისმთქმელ კურსს ასწავლიან, რაც არა მარტო არ შეაყვარებს ბავშვს, ახალგაზრდას თავის წარსულს, ვერც კი გაარკვევს ამ წარსულში... დიახ, ბატონებო! აი, ასეთია ჩვენი დღევანდელი განათლების სისტემა! ქართული ენა კი ისე დამცირებულია დღეს, როგორც არასდროს! ტელეეთერიდანაც არ ერიდებიან უწიგნური ვითომცდა ჟურნალისტები საზოგადოების დამოძღვრას! ეს ფაქტი კი ჩემი თაობის ჟურნალისტებისთვის მიუღებელია, რადგან სრული უმეცრობა და უზნეობაა, ბატონებო!

დიახ, ბატონებო! პირველი და ნამდვილად დემოკრატიული ქვეყნის, საბჭოთა კავშირის ნგრევა ავადსახსენებელმა ხრუშჩოვმა დაიწყო, შემდეგ მისი ოჯახი ამერიკაში გადასახლდა, ახლა კი აღარავის ეპარება ეჭვი, რომ იგი ამერიკის ჯაშუში იყო, მაგრამ რაღა დროს? ქვეყანა, რომლის კონსტიტუცია და სახელმწიფო სამართალი მთლიანად დემოკრატიაზე, ხალხის ხელისუფლებასა და ეროვნული პრინციპების დაცვაზე იყო აგებული სწორედ ხრუშჩოვმა დაანგრია და მიწასთან გაასწორა! მაგრამ ამ ქვეყანას სტალინის მიერ ისეთი მყარი საფუძველი ჰქონდა, რომ მაინც გასძლო 1990 წლამდე! უსინდისობაა იმის მტკიცება, რომ ჩვენი ქვეყანა არ იყო დამოუკიდებელი! ნუ შევიყრით თვალში ნაცარს, ბატონებო! დიახ, ვიყავით დამოუკიდებელი, კავშირში შევდიოდით, როგორც ერთ-ერთი მეგობრული ქვეყანა, გვქონდა საკუთარი ენა, საკუთარი ფერი კავშირის რუკაზე და საზღვრები! ხრუშჩოვი კი შეეცადა ყველაფერი შეეცვალა! წაეშალა! მას სძულდა ქართველები!.. აბა გაიხსენეთ, ბატონებო, ვის ახსოვს ქუჩებში სიბნელე? ვის ახსოვს პურის რიგები? ვის გაუგია ან უნახავს თბილისის ქუჩებში მათხოვრები? სიკვდილს მონატრული მშიერი მოხუცები და ასევე მშიერი, ქუჩებში მოწანწალე ჭუჭყიანი და ჩამოძენძილი ბავშვები? ვინ კვდებოდა მაშინ შიმშილით? ან უექიმობით? რაში სჭირდებოდა ჩვენს ქვეყანას უცხოელებთან მათხოვრობა, რომ კაპიკები გადმოერიცხათ გაჭირვებული ხალხისთვის? ის კაპიკები, რომლის 99%-საც ჩვენი ძველი მთავრობის ნაცნობ-მეგობრები, ე.ი. ვითომცდა ქველმოქმედები საკუთარ ჯიბეში იდებდნენ! რატომ აქვს დღეს საქართველოს საგარეო ვალი 18 მილიარდზე მეტი? ნუთუ დემოკრატია არ იყო ის, რომ ჯანმრთელობის დაცვა უფასო იყო ქვეყანაში, სწავლა უფასო, ბინას მთავრობა გაძლევდა და არავის ეძინა გადაყრილ ავტობუსებში! რამდენია დღეს უსახლკარო, უმუშევარი, მშიერი და სიკვდილს მონატრული? დამცირებული? ბანკებმა რამდენს გაუყიდა სახლ-კარი? სად არის სამუშაო ადგილები? მაშინ, როცა მოქალაქეთა კავშირის რეფორმატორებმა კავკასიონზე ელექტროსადენები დაჭრეს, ჰესები გაყიდეს და ქვეყანა ხელოვნურად დააბნელეს! მილიარდებად ღირებული ქარხნები, რომლებიც სწორედ სტალინის და ბერიას დიდი ძალისხმევით დაფუძნდა თბილისსა და მთელ საქართველოში ვაგონებით გაიტანეს თურქეთში და ჯართებად გაყიდეს! ქვეყანა გააღატაკეს, ბატონებო, ნუთუ ეს ფაქტები არ უნდა გამოიძიონ? ჩვენს თაობას ეს ყველაფერი ახსოვს, ბატონებო! მოქალაქეთა კავშირს, რომლებმაც შემდეგ ნაციონალების ქურქები მოისხეს და დღეს ქვეყნის აღმშენებლებად თავს გვაჩვენებენ – რა გაუკეთეს ქვეყანას და ხალხს? შიმშილისაგან შეუბრალებლად ამოწყვიტეს ქართველი ხალხი! აბა მითხარით, შიმშილს გაუძლებს ვინმე? და თან წლობით! ამიტომაც დაიცალა საქართველო, წავიდნენ, საშოვარზე გაიქცნენ ქართველები ვინც შეძლო და ვინც ვერ შეძლო და აქ დარჩა ან მოკვდა და ან დამათხოვრდა! ეს მწარე სიმართლეა, ბატონებო! მწარე რეალობაა! სწორედ სტალინი იყო ის, ვინც სოფლებში გაამაგრა გლეხობა, ვინც გადაარჩინა სოფელი – სოფლებშიც კი შექმნა სამუშაო ადგილები კოლმეურნეობებსა და მეურნეობებში! სოფლებში იყო საავადმყოფოები, სკოლები, მაღაზიები, კლუბები, აფთიაქები! ახლა კი რაღაა სოფლებში? აღარაფერი, ბატონებო! ცარიელი ხელებით ვერაფერს აკეთებს გლეხი და მარჩენალი მიწა მიატოვა! და ეს ყველაფერი რომ მიზანდასახულად ხდება ამაზე დაფიქრებულხართ? ქართულ სოფლებში რომ ქართველების მაგიერ, თანდათან სხვა ჯიშისა და რწმენის ხალხი სახლდება, ამაზე დაფიქრებულხართ? სოფლებში აღარც საავადმყოფოებია და აღარც კლუბები და აფთიაქები! ქალაქებში ფასიანი საავადმყოფოებია! ვითომც სადაზღვევო! ხალხს კი ფული არა აქვს, რომ ექიმთან მივიდეს და შემდეგ კი... წამალი იყიდოს! ახლა კი თქვენ თვითონ დაფიქრდით, ვინ იყო სტალინი? იყო თუ არა იგი თვით უფლის მიერ ხალხისთვის გამოგზავნილი? თქვენ თვითონ დაფიქრდით – იყო თუ არა სტალინი ეროვნული მოღვაწე? დიახ, ბატონებო! რაც სტალინმა გაუკეთა თავის სამშობლოს, არასოდეს

იმდენი არც ერთ ხელისუფალს არ გაუკეთებია ქვეყნისთვის. ბატონებო, ისტორიული ფაქტია, რომ ბერიამ სტალინის რეკომენდაციით მიიღო წამყვანი თანამდებობა ა/კ ფედერაციაში, შემდეგ კი საქართველოს ცეკას მდივნად დაინიშნა. მინდა ვუთხრა ჩემს მკითხველს, რომ ბერიას ხელისუფლებაში მოსვლამდე თბილისი, ერთი ჩვეულებრივი, დიდი სოფელი იყო, გინდაც დაბა დაარქვით! სადაც თუ მეტი არა 50-იოდე ნორმალური, ე.ი. კარგი სახლი იდგა მხოლოდ. ხალხი ძირითადად ქოხმახებში ცხოვრობდა! ბერიამ, ფაქტობრივად, ცხადია, სტალინის ხელშეწყობით თავიდან ააშენა და დაამშვენა თბილისი! დიახ, რასაც დღეს ვხედავთ ქალაქში ღირსშესანიშნავ შენობებს, იმ ძველი შენობების გარდა, ბერიას აშენებულია! ბერიას აშენებულია სანაპიროც! დიახ, მტკვრის დიდებული სანაპირო თავისი ლამპიონებით!.. და არა მარტო თბილისი! აშენდა ქუთაისი, ქუთაისის ცენტრალური უბანი, დიდებული თეატრის შენობით, აშენდა სოხუმი, ბათუმი და... მთელი საქართველო, ბატონებო, აშენდა მყარად და ლამაზად მაღალი არქიტექტურული კულტურით! მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მას ჯიბეში არ ჩაუდვია ბიუჯეტის ფული, ყველა კაპიკს და მანეთს სწორი გზა მისცა და იმ გაჭირვებულ დროს, რომელსაც ომის წინა და შემდგომი პერიოდის წლები ერქვა ბერიამ ააშენა, ააყვავა, გაანათა და ბაღებითა და სკვერებით დაამშვენა თბილისი, თავისი მშვენიერებით იგი გაუტოლდა ევროპულ ქალაქებს!.. ბატონებო! თბილისი სოფელი იყო, ბატონებო, დიდი სოფელი 50-იოდე კარგი სახლი იდგა მხოლოდ! რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა ქალაქებზე! სტალინმა თავისი გენიალური გონებით ხელახლა შექმნა შესაძლებლობა მოეძიათ საქართველოს წარსული და სწორედ მისმა გენიამ ბერიასთან მეგობრობის და თანამშრომლობის წყალობით შექმნა ახალი საქართველოს ისტორია და ახალი სახე, დიახ, ბატონებო, სწორედ მან შექმნა ახალი, განათებული, აშენებული, დამშვენებული, მაძღარი და ყოველმხრივ აყვავებული საქართველო, ის საქართველო, რომელიც კავშირში შემავალი ქვეყნებიდან ერთ-ერთი უპირველესი და წარმატებული იყო თავისი ეკონომიკითა და სამეცნიერო მიღწევებით! დიახ, ბატონებო! უაღრესად მაღალ დონეზე იყო საქართველოში განვითარებული მძიმე მრეწველობა! აბა გაიხსენეთ საქართველოს გიგანტი ქარხნები, სადაც ათიათასობით მუშა-მოსამსახურე იყო დასაქმებული! და ჩვენ გვყავდა მსოფლიოში ცნობილი ტექნიკური ინტელიგენცია! ასევე იყო განვითარებული მსუბუქი და კვების მრეწველობა! და ეს იყო ქვეყნის სიძლიერე, ბატონებო! როცა ქვეყანას ასეთი ეკონომიკური ბაზა და ძალა აქვს, აი ეს არის მისი დამოუკიდებლობა, ბატონებო! დღეს კი... სრული მათხოვრები ვართ, ქართველი ქალები და კაცები არანაირ დამამცირებელ სამუშაოს არ თაკილობენ საზღვარგარეთ, რომ აქ, შინ დარჩენილი ოჯახები არჩინონ! თქვენი აზრით ეს არის დემოკრატია და დამოუკიდებლობა? ბატონებო! დღევანდელი საქართველო დაცემული ერის და დაცემული ქვეყნის სახეა, სადაც შიმშილისგან დათრგუნული ხალხი ვეღარ აზროვნებს, და ასეთ პირობებში ზედმეტია საუბარი დემოკრატიასა და დამოუკიდებლობაზე! დიახ, ბატონებო! ეს ყველაფერი სიმართლეა! ხალხი ბრბოდ იქცევა მაშინ, როცა წარსულს ივიწყებს, ისტორიას ივიწყებს! ნაციონალების ხელისუფლებას და იმ უწიგნურ ბიჭუნებს და გოგონებს კი უნდათ, რომ ქართველმა ხალხმა თავისი წარსული დაივიწყოს, რადგან სტალინი ჩვენი ერის წარსულია, დიდებული გუშინდელი დღე! ის დღე, რომელმაც ხალხს ყველაფერი მისცა! დიახ, ბატონებო, და ეს ყველაფერი უნდა გვახსოვდეს, რადგან თუ დავივიწყებთ მტერი ბრიყვებად ჩაგვთვლის და ადვილად მოგვერევა! ასე მოგვერია მოქალაქეთა კავშირი და ნაციონალები, როცა ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე, ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების ძვირად ღირებული აღჭურვილობა, ე.ი. მოწყობილობა თურქეთში ჯართებად გაყიდეს, ელექტროსადენები დახსნეს და ქვეყანა ხელოვნურად დააბნელეს და ეს იმიტომ, ბატონებო, რომ შემდეგ დაეყვედრებინათ, სიბნელიდან გამოგიყვანეთო!.. რა სჭირდა საქართველოს სიბნელიდან გამოსაყვანი? მადნეულის ოქროს საბადო კი თვითონ ჩაიდეს ჯიბეში... და ეს იმიტომ, ბატონებო, რომ ჩვენმა ხალხმა ყურადღება მოადუნა! და თუ შეიძლება ითქვას ბრიყვებად იქცნენ! შეიძლება ეს შიშმაც გვიქნა, რომელიც მათ იმ საშინელ 91-92-93-94 წლებში განიცადეს, როცა მთელი მსოფლიოს საჯაშუშო აგენტურა, ალბათ, თბილისში იყო თავმოყრილი და მათთან ერთად ქართველმა ყაჩაღებმა იარაღის მუქარით ჩანერგეს ჩვენში! მაგრამ... ახლა ხომ გამოვიხედეთ თვალებში! ახლა ხომ მოგვეცა საშუალება უფლის მადლით, რომ გავსწორებულიყავით წელში, ღმერთმა ბატონი ბიძინა ივანიშვილი მოგვივლინა არა მარტო სიმართლის, თითოეული ქართველის და ქართული გენის გადასარჩენად! ამიტომ უნდა გვახსოვდეს და ჩვენს შვილებს უნდა ვასწავლიდეთ ჩვენს წარსულს, იმ დიდებულ წარსულს, რომელსაც სტალინი ჰქვია და საუბედუროდ მისი საფლავიც კი არ გაგვაჩნია! გეკითხებით, ვის აქვს უფლება აუკრძალოს ქართველ კაცს სტალინის ხსენება? არავის, ბატონებო! და მით უმეტეს, იმ უწიგნურ გოგო-ბიჭებს, რომლებიც ქურდულად, მიპარვით ღამღამობით ღებავდნენ ამ დიდი მამულიშვილის ძეგლებს! დიახ, მისი სახელის ხსენების აკრძალვის უფლება არავის აქვს, ბატონებო! ის ჩვენი ნაწილია! ჩვენი ისტორიის დიდებული ნაწილი და მე ამაყად შემიძლია ვთქვა, რომ მთელი მისი ცხოვრებით იგი უაღრესად დიდი მამულიშვილი და ნამდვილად დიდი ეროვნული მოღვაწეა! მისი გვარი ჯუღა, როგორც თვითონ აღნიშნავდა იგი, ძველქართულად ფოლადს ნიშნავს, ბატონებო, ამიტომ ატარებდა ფსევდონიმად სტალინს! და რომ იგი თმის ღერიდან მთლიანად ქართული სულის და გულის პატრონი იყო, თავის ხალხზე და ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული! იგი ჩვენთვის, ყველა ჩვენგანისთვის ცოცხლობდა და შრომობდა! გაცვეთილი კიტელი ეცვა! შეადარეთ ჩვენი ბიუჯეტით გამდიდრებულ ნაციონალებს, და იმ ბიჭუნებს, ვინც მის ძეგლებს ღებავდნენ, ბატონებო! ისინი 100000-იანი ჯიპებით დაჰქრიან და ამით დაგვცინიან ჩვენ გაჭირვებულ ქართველებს. ახალა შეგვიძლია ვისაუბროთ ჩვენს უახლეს წარსულზე და ოცწლიან დამოუკიდებლობაზე! რა თქმა უნდა, როგორც ადრე ვთქვით, ძალიან კარგია დამოუკიდებლობა და საკუთარი თავისა და ქვეყნის პატრონობა, ეს ნებისმიერი პიროვნებისა და ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლებისთვის მთავარი პრინციპია! მაგრამ... გასათვალისწინებელია

უმთავრესი ფაქტი – ვინ როგორ შეძლებს და გამოიყენებს ამას! არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ! და არ გვყავს არსად ერთგული მეგობრები, ვინც უანგაროდ დაგვეხმარება და სანაცვლოდ არ მოგვთხოვს უფრო მეტს, უფრო ძვირს, ვიდრე დამოუკიდებლობაა, ბატონებო! დამოუკიდებლობაზე უარესი კი... ქართველი ხალხის შიმშილით გაწყვეტა და გადაგვარებაა! ამიტომ გვჭირდება დიდი სიფრთხილე, რომ... სხვებმა თავის სასარგებლოდ არ გამოგვიყენონ! გამსახურდიას დროს 9 აპრილს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. გამსახურდია თავისი ქვეყნისა და ხახლის მოყვარე იყო... ის არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა ქვეყნის ასე დაქცევას, დაქუცმაცემას და გაღატაკებას, ხალხის ასე დამცირებას, მაგრამ, მას რა შეეძლო? არაფერი, ბატონებო... ის უბრალოდ ვერ მიხვდა, რომ უცხოურმა აგენტურამ სარფიანად გამოიყენა! მას ძალიან ეიმედებოდა ამერიკა და ევროპა! ჰქონდა ურთიერთკავშირები, მაგრამ... ეტყობა ყველაფერი ადრევე იყო მომზადებული და მართული უცხოური აგენტურის მიერ, რადგან... როცა მას ნამდვილად დასჭირდა დახმარება ქვეყნის გადასარჩენად ამერიკამაც მიატოვა და ევროპამაც, არავინ არ დაეხმარა! ეს ფაქტი, კი გვაფიქრებინებს, რომ... ის ქვეყნები, რომლებიც ჩვენ დახმარების ხელს გამოგვიწვდიან... უბრალოდ ლომის წილს წაიღებენ ჩვენგან... ბატონებო! და ეს კი... კაპიტალიზმის ანა-ბანაა! დიახ! მათთვის მისაღები ჩვენ მხოლოდ მათთვისვე მისაღები ხელშეკრულების შედეგად ვიქნებით, და უანგაროდ არა, ბატონებო! ალბათ, ამიტომაც დაამცირეს და დათრგუნეს, დაამშიეს და მათხოვრად აქციეს საქართველო და ქართველი ხალხი! ეკლესიები დაანგრიეს და მასონები შემოგვისიეს სული და რჯული რომ წაგვიბილწონ! და სწორედ ამიტომ დევნიან სტალინის ჩრდილსაც კი, ბატონებო, რომ აღარ გვახსოვდეს ვინა ვართ, როგორი გენისა და ისტორიის მატარებელი ხალხი ვართ! ამიტომ ებრძვიან ქვის ძეგლებს, რომ გონება დაგვიშრიტონ, ბატონებო, და ამის შემდეგ გვმართონ, როგორც უგუნური ბრბო! ვინ გამოიტანა კანონი, რომლის ძალითაც იკრძალება თურმე საბჭოთა პერიოდს ძეგლები? ეს რა სიბრიყვეა, ბატონებო? საქართველო თუ აყვავდა და ფეხზე დადგა მე-12 საუკუნის შემდეგ, ეს სწორედ საბჭოთა პერიოდში, მეოცე საუკუნეში მოხდა! ამ დროს არნახულად განვითარდა ქართული მეცნიერება, ქართული ხელოვნების ყველა დარგი. ამ დროში დაიწერა გალაკტიონის პოეზია, გამსახურდიას „დიდოსტატი“, „მთვარის მოტაცება“, „დავით აღმაშენებელი“, გოთუას „გმირთა ვარამი“, ლადო ასათიანის შეუდარებელი ლექსები, ირაკლი აბაშიძის „დედაო ენავ“... ფალიაშვილის ოპერები... ცინცაძის, არაყიშვილის, კერესელიძის, ბალანჩივაძის, ლაღიძის, კვერნაძის დიდებული ნაწარმოებები!.. შეიქმნა ახვლედიანის, გუდიაშვილის, ჯაფარიძის, კაკაბაძის, ქობულაძის და სხვათა ზღაპრული ფერწერა, ნიკოლაძეების, მიზანდარების ქანდაკებები! ქართული კინემატოგრაფიის შედევრმა „ჯარისკაცის მამა“-მ მსოფლიო გააოცა! დიახ, ბატონებო, ამ დროში ცხოვრობდნენ დიდი მეცნიერები: ივანე ჯავახიშვილი, არნოლდ ჩიქობავა, პავლე ინგოროყვა, გიორგი წერეთელი, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე. მეოცე საუკუნე ქართული სულის, ქართული სიტყვის, ქართული ხელოვნების ზეიმია და რას გვირჩევენ ნაციონალები, რადგან ეს წლები საბჭოთა წლებია, გადავყაროთ ისინი სანაგვეზე??? დიახ, ბატონებო! ამას გვირჩევენ ნაციონალები, ის ნაციონალები, რომლებმაც გამსახურდიას მიერ გაუქმებული აფხაზეთის ავტონომიაც აღადგინეს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისაც, კოდორის ხეობაც ძღვნად მიართვეს რუსეთს და ახალგორიც! ეს არის მათი დამოუკიდებლობა? ასეთ დამოუკიდებლობაზე ნამდვილად უარს იტყვის ღირსეული საქართველო, ბატონებო! უარს ვიტყვით ჩვენ ყველა! ამ ოცი წლის განმავლობაში, როცა ქართველი ხალხი სიბნელესა და შიმშილში ცხოვრობდა, სწორედ ამ ნაციონალებს საჭმელი არ აკლდათ და ფუფუნება, ქართველი ხალხის ბიუჯეტიდან მოპარული მილიონები საიდუმლო ანგარიშებზე აქვთ დადებული სიდედრ-სიმამრების სახელზე საზღვარგარეთის ბანკებში – ქართველი ხალხი კი დამცირებული და გაღატაკებულ დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას! ერი აღარ და ვეღარ მრავლდება, ბატონებო... რადგან... საარსებო მინიმუმიც კი არ გააჩნია ხალხს მათი წყალობით! აი, რატომ ებრძვიან სტალინს, იმ სტალინს, რომლის პოლიტიკის წყალობითაც ერი გამრავლდა, ქვეყანა აშენდა და დამშვენდა! იმ სტალინის წყალობით, ქართველად ყოფნა საამაყოდ რომ გვიქცია მთელ მსოფლიოში! მთელ დედამიწაზე! ბატონებო, მინდა შეგახსენოთ, რომ პირველად ხრუშჩოვმა შეადარა სტალინი ჰიტლერს! და ეს იმიტომ, რომ დაემცირებინა, უნდოდა ისეთივე საძულველ პიროვნებად ექცია იგი მსოფლიოს ნებისმიერი მოქალაქისთვის, როგორიც ჰიტლერი იყო! მაგრამ ფაქტს და ისტორიას ვერსად გაექცა, ბატონებო! ისტორიას დარჩა სტალინის ღვაწლი! თუნდაც ის, რომ დედამიწაზე მოსახლე ერები იხსნა ფაშიზმისგან! სწორედ ხრუშჩოვმა უწოდა სტალინს ნაციონალისტი და შოვინისტი, რომ რუსი ხალხისთვის შეეძულებინა! ვერც ეს შეძლო, ბატონებო! რუს ხალხს დღეს ჭირივით ეჯავრება ხრუშჩოვი, სტალინის სახელზე კი სანთლებს ანთებენ ტაძრებში! ხრუშჩოვმა უწოდა სტალინს მოღალატე და კულტი, მაშინ როცა სტალინი უანგაროდ უყვარდა და უყვარს მსოფლიოს ყველა ნორმალურ და განათლებულ ადამიანს, მთელ კაცობრიობას გაიხსენეთ პიკასო, რომენ როლანი,დიუ გარი... და ჩვენ, ჩვენ რაღა დაგვემართა, ბატონებო? ჩვენ რატომ უნდა მივცეთ უფლება იმ უწიგნურებს შეგვიგინონ სახელი და ღირსება იმ კაცისა, ვინც ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გამოსთხოვა რუსეთის პატრიარქს? ვინც ააშენა და ააყვავა საქართველო? ვინც ილია ჭავჭავაძე დაუბრუნა ქართველ ხალხს? ვინც საზღვრები შეუნარჩუნა ქვეყანას და არ გაასხვისა კუთხეები ისე, როგორც მახარაძე-ორახელაშვილმა? ვინც მოაშენა ქართველი ხალხი? ვინც ლუკმა-პური და საარსებო სახსარი გაუჩინა ქართველ ხალხს? ვინც ისტორია დაგვიბრუნა და ქართული მეცნიერება და ხელოვნება არნახულად ააყვავა? ამისთვის დევნიან ისინი, ბატონებო, სტალინს! ერთ დეტალს გაგახსენებთ, ბატონებო, ისტორიიდან: როცა მის ბიოგრაფიას ადგენდნენ, ჩაწერეს, რომ ის სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, მან კი ჩასწორებინა, რომ სწავლობდა

თბილისის მართლმადიდებლურ სასულიერო სემინარიაში, დიახ, ბატონებო! რწმენა და ეროვნული თვითშეგნება მისთვის ყოველთვის მთავარი იყო! და ახლა, როცა 37-38 წლებში რეპრესირებულ ტროცკისტთა ბადიშები თავიანთი წინაპრების სრულ რეაბილიტაციას ითხოვენ რატომ არ ვითხოვთ ჩვენ პასუხს 21-22-23-24-25 წლებში და შემდეგ 53-54-55-56 წლებში რეპრესირებულთა სრულ რეაბილიტაციას? რატომ არ ვითხოვთ იმ უნიჭიერესი და უგანათლებულესი სტუდენტების ბიოგრაფიების გამოქვეყნებას, რომლებიც 56 წლის 9 მარტს სანაპიროზე დაახოცვინა ხრუშჩოვმა? რამდენი ღირსეული ადამიანი დახვრიტეს და გადაასახლეს, ვინც მეგობრობდა ან ნაცნობობდა სტალინთან და ბერიასთან? რა იყო მათი დანაშაული? ის რომ იმ პერიოდში შინსახკომში მუშაობდნენ? არა, ბატონებო! ეს არაა გასასამართლებელი მოწმობა! ამის საპასუხოდ ერთ მაგალითს მოვიყვან! ყველამ კარგად ვიცით ვინ იყო გრიგოლ რობაქიძე! დიახ, იგი ჩვეულებრივი, რიგითი ქართველი მწერალი იყო და არ წყვეტდა ვარსკვლავებს, ნამდვილად ვერ ჩავთვლით დიდ კლასიკოსად! ვერ შევადარებთ ვერც გამსახურდიას, ვერც ლევან გოთუას... მაგრამ... რა მოხდა? ის ქართველი იყო და ქართველმა ხალხმა აპატია მას ის სისხლი, რაც მისმა სათაყვანებელმა ჰიტლერმა და ემიგრანტმა ქართველებმა დაანთხია კავკასიონზე, დიახ, ბატონებო! ფაშისტებმა შეუბრალებლად ამოწყვიტეს დამხვდური ქართველები კავკასიონის დაცვისას და ასევე ქერჩში! დიახ, მათ კარგად იცოდნენ, რომ ქართულ დივიზიას ებრძოდნენ! მერედა რა, შეებრალათ ჯარისკაცები, იმისთვის, რომ ისინი ქართველები იყვნენ? არა, ბატონებო! ისინი ყველაფერს ანადგურებდნენ, წვავდნენ, ანგრევდნენ, ჟლეტდნენ, რომ ბაქომდე მიეღწიათ, რომ ბაქოს ნავთი ჩაეგდოთ ხელში! ეს არ იცოდა რობაქიძემ და სხვა, მასთან ძალიან დაახლოებულმა ქართველებმა? იმ ქართველებმა, ვინც ჰიტლერის დროშის ქვეშ ცეცხლითა და მახვილით მოდიოდა საქართველოს დასაპყრობად? იცოდნენ, და ძალიან კარგადაც იცოდნენ, ბატონებო! მაგრამ ჩვენი ტკივილი რაიმეს ნიშნავდა მათთვის? არა, ბატონებო! მათი მიზანი ჩვენს გაწყვეტასა და ჰიტლერის გამარჯვებაზე იყო დაფუძნებული! და მიუხედავად ამ საშინელი დანაშაულისა ჩვენ ყველას ვაპატიეთ, ყველას შევუნდეთ, შევუნდეთ საქართველოს დამოუკიდებელი მთავრობის წევრებს, რომლებმაც ბრძოლის ველზე ფაქტობრივად ბედის ანაბრად მიატოვეს იუნკერები თვითონ კი გაიქცნენ და თან წაიღეს ქართული ეკლესია –მონასტრებისგან ნაძარცვი განძი და ფული უკანასკნელ კაპიკამდე, რაც იდო ბანკებში. ჯავშნოსანი მატარებლით გაიტანეს პროდუქტებიც კი... ქვეყანაში კი შიმშილი და სიკვდილი დატოვეს! ბათუმი თურქებს დაუტოვეს ფაქტობრივად! მათ მართალია იმ სამ წელიწადში კარგი საქმეებიც აკეთეს, მაგრამ, ბოლომდე ვერ იბრძოლეს და შეიძლება არც იბრძოლეს ქვეყნისთვის და ხალხისთვის! მაგრამ ჩვენ მაინც კარგად მოვიხსენიებთ! ჩვენ ასევე არ დავივიწყეთ ევგენი მიქელაძე, ოპერის თეატრის დირიჟორი, რომელიც მართალია დიდი მუსიკოსი იყო... მაგრამ... მამია ორახელაშვილის სიძე იყო და ტროცკისტთა იდეების გარდა მისთვის სხვა აღარაფერი არსებობდა... ასევე არ დავივიწყეთ სანდრო ახმეტელი, რომელიც ასევე ნიჭიერი რეჟისორი იყო, მაგრამ... სხვისი დამცირების ხარჯზე (თუნდაც ეს სხვა გენიალური მსახიობი აკაკი ხორავა ყოფილიყო) განდიდება ფრიად არასახარბიელოა საქმეა, ბატონებო! და უნდა გვახსოვდეს, რომ შეუცვლელი არავინ არის! არც ევგენი მიქელაძე და არც სანდრო ახმეტელი იყო, რომელმაც თავისივე აღმზრდელი, კოტე მარჯანიშვილი ფაქტობრივად თეატრიდან გააგდო! და მათი საქმიანობა დაფუძნებული იყო სწორედ ტროცკისტთა იდეოლოგიაზე! აი, ეს გახლდათ იმდროინდელი საქართველოს ბედისწერა! ისინი არ ფიქრობდნენ ქვეყნის და ხალხის ბედზე, არ ფიქრობდნენ მომავალზე, რადგან... კიდევ ვიმეორებ, საკუთარი თავის განდიდების მანიით იყვნენ შეპყრობილნი, და ამდენად საკუთარი იდეების და პრინციპების იქით ვეღარ ამჩნევდნენ მშიერ ქვეყანას, მართალ და ზნეობრივად სრულყოფილ ქართველ ხალხს! ქართველმა ხალხმა კი ყველას ყველაფერი აპატია, ბატონებო... სტალინს კი... სტალინს ნამდვილად არაფერი სჭირს საპატიებელი! თუ ხრუშჩოვი ვერ იტანდა სტალინს და ბერიას, ეს ჩვენი საქმე არ არის, ამაზე უკვე იზრუნა რუსმა ხალხმა და ხრუშჩოვის ხსოვნა მოუსავლეთში გაგზავნა! ჩვენთვის კი ისინი, სტალინი და ბერია დიდი ქართველები იყვნენ და დიდი ქართველები არიან! დიდი ეროვნული მოღვაწეები!.. და ჩვენ თუ დღეს ამაყად შეგვიძლია შევხედოთ თვალებში ნებისმიერი ერის და ქვეყნის შვილს, ეს მათი დამსახურებაა, ბატონებო, დიახ, მათი, მათი შრომის და მათი ღვაწლის! მე კი... ერთადერთი, რაც მინდა გთხოვოთ გულწრფელად, ქართულ ტაძრებში სანთლები დაანთეთ მათ მოსახსენებლად, მათი სულის უკვდავსაყოფად... ისინი ჩვენი დიდი და ღირსეული წინაპრები იყვნენ, ბატონებო, ჩვენი ისტორიის და სისხლის განუყოფელი ნაწილი!

მანანა ვახტანგაძე

Manana Vakhtangadze

Myth or Reality? Who were Stalin and Beria?Monsters or successful politicians?

Even the person who lacks the knowledge of the history knows what was his plans about the world domination and dividing Soviet Union. The only simple reason why Stalin is great and undisputable person of Genius is that he won a great war .Thereby he saved certain nations from destruction and assimilation, including Georgia.

Манана Вахтангадзе

Миф или реальность? кто были Сталин и Берия? монстры .... или обычные, успешные политики?

Любой человек грузин и негрузин, даже не ведая знаний о фактах историй, сегодня хорошо знает, что означал, или каким был гитлеровский мир, и разработанный гитлером план политического устроиства стран вошедших в Советском союзе.

Сталин для мировой историй, даже если только потому считается великой и уникальной личностью, что он выиграл войну в мировой историй беспрецендентных масштабах и тем самым спас от уничтожения определенные народы, от их полной ассимиляций, в том числе и Грузию!

გამოჩენილ ადამიანთა გამონათქვამები სტალინზე

Архиепископ Лука (Войно-Ясенецкий)
Сталин сохранил Россию, показал, что она значит для мира. Поэтому я как православный христианин и русский патриот низко кланяюсь Сталину".

Академик В. И. Вернадский
"Мне вспомнились высказывания Ивана Петровича Павлова... Он определенно считал, что самые редкие и самые сложные структуры мозга - государственных деятелей. Божьей милостью, если так можно выразиться, прирожденных. Особенно ясно для меня становится это, когда в радио слышится Сталина речь... такая власть над людьми и такое впечатление на людей..."

Жуков Г. К. Воспоминания и размышления. М., 1969, с. 295-297
"И. В. Сталин владел вопросами организации фронтовых операций и операций групп фронтов и руководил ими с полным знанием дела, хорошо разбираясь и в больших стратегических вопросах... В руководстве вооруженной борьбой в целом И. В. Сталину помогали его природный ум, богатая интуиция. Он умел найти главное звено в стратегической обстановке и, ухватившись за него, оказать противодействие врагу, провести ту или иную крупную наступательную операцию. Несомненно, он был достойным Верховным Главнокомандующим"

А. Иден. The Eden Memoirs. Facing the Dictatiors. London, 1962, p. 153
"Сталин изначально произвел на меня впечатление своим дарованием, и мое мнение не изменилось. Его личность говорила сама за себя, и ее оценка не требовала преувеличений. Ему были присущи хорошие естественные манеры, видимо, грузинского происхождения. Я знаю, что он был безжалостен, но уважаю его ум и даже отношусь к нему с симпатией, истоки которой так и не смог до конца себе объяснить. Вероятно, это было следствием прагматизма Сталина. Быстро забывалось, что ты разговариваешь с партийным деятелем..."

Киссинджер Генри. Дипломатия. М., 1997, с. 287
"Как ни один из лидеров демократических стран, Сталин был готов в любую минуту заняться скрупулезным изучением соотношения сил. И именно в силу своей убежденности, что он - носитель исторической правды, отражением которой служит его идеология, он твердо и решительно отстаивал советские национальные интересы, не отягощая себя бременем лицемерной, как он считал, морали или личными привязанностями"

Де Голль Шарль. Военные мемуары. Кн. II. М., 1960, с. 235-236, 239, 430
"Сталин имел колоссальный авторитет, и не только в России. Он умел "приручать" своих врагов, не паниковать при проигрыше и не наслаждаться победами. А побед у него больше, чем поражений. Сталинская Россия - это не прежняя Россия, погибшая вместе с монархией. Но сталинское государство без достойных Сталину преемников обречено..."

Черчилль У. Речь в палате общин 8 сентября 1942 года
"...Это большая удача для России в ее отчаянной борьбе и страданиях - иметь во главе великого и строгого военноначальника. Он - сильная и выдающаяся личность, соответствующая тем мрачным и бурным временам, в которые его забросила жизнь, человек неистощимой храбрости и силы воли, прямой и даже резкий в речах, против чего, я, воспитаный в Палате Общин, совсем не возражаю, особенно когда мне самому есть что сказать. Прежде всего, он - человек, обладающий тем спасительным чувством юмора, которое необходимо всем людям и народам, в особенности великим людям и великим народам. Сталин произвел на меня впечатление глубокой, холодной мудростью, полностью лишенной всякого рода иллюзий. Я полагаю, что мне удалось убедить его в том, что мы будем хорошими и преданными товарищами в этой войне - но, в конце концов, все решают не слова, а конкретные дела."

Уинстон Черчилль (Великобритания)
"Большим счастьем было для России, что в годы тяжелейших испытаний страну возглавил гений и непоколебимый полководец Сталин. Он был самой выдающейся личностью, импонирующей нашему изменчивому и жестокому времени того периода, в котором проходила вся его жизнь. Сталин был человеком необычайной энергии и несгибаемой силы воли, резким, жестоким, беспощадным в беседе, которому даже я, воспитанный здесь, в Британском парламенте, не мог ничего противопоставить. Сталин прежде всего обладал большим чувством юмора и сарказма и способностью точно воспринимать мысли. Эта сила была настолько велика в Сталине, что он казался неповторимым среди руководителей государств всех времен и народов.

Ч е р ч и л л ь У. Речь в палате общин 21 декабря 1959 года, в день 80-летия Сталина
Сталин произвел на нас величайшее впечатление. Он обладал глубокой, лишенной всякой паники, логически осмысленной мудростью. Он был непобедимым мастером находить в трудные моменты пути выхода из самого безвыходного положения. Кроме того, Сталин в самые критические моменты, а также в моменты торжества был одинаково сдержан и никогда не поддавался иллюзиям. Он был необычайно сложной личностью. Он создал и подчинил себе огромную империю. Это был человек, который своего врага уничтожал своим же врагом. Сталин был величайшим, не имеющим себе

равного в мире, диктатором, который принял Россию с сохой и оставил ее с атомным вооружением.Что ж, история, народ таких людей не забывают"

Адольф Гитлер (Германия)

Сила русского народа состоит не в его численности или организованности, а в его способности порождать личности масштаба И. Сталина . По своим военным и политическим качествам Сталин намного превосходит и Черчилля, и Рузвельта. Это единственный мировой политик, достойный уважения.Наша задача - раздробить русский народ так, чтобы люди масштаба Сталина не появлялись.

Аверелл Гарриман, посол США в СССР

“И. В. Сталин обладает глубокими знаниями, фантастической способностью вникать в детали, живостью ума и поразительно тонким пониманием человеческого характера. Я нашел, что он лучше информирован, чем Рузвельт, более реалистичен, чем Черчилль, и, в определенном смысле, наиболее эффективный из военных лидеров”.

Риббентроп, министр иностранных дел Германии

«Сталин с первого же момента нашей встречи произвел на меня сильное впечатление: Человек необычайного масштаба. Его трезвая, почти сухая, но столь четкая манера выражаться и твердый, но при этом и великодушный стиль ведения переговоров показывали, что свою фамилию он носит по праву. Ход моих переговоров и бесед со Сталиным дал мне ясное представление о силе и власти этого человека, одно мановение руки которого становилось приказом для самой отдаленной деревни, затерянной где-нибудь в необъятных просторах России, – человека, который сумел сплотить двухсотмиллионное население своей империи сильнее, чем какой-либо царь прежде».

Генрих Мюллер, глава тайной полиции Третьего рейха, после разгрома немцев под Сталинградом, по свидетельству Шелленберга:

« Подумайте только, что пришлось перенести его системе в течение последних двух лет, а каким авторитетом он пользуется в глазах народа. Сталин представляется мне сейчас в совершенно ином свете. Он стоит невообразимо выше всех лидеров западных держав…»

России очень повезло, что когда она агонизировала, во главе её оказался такой жесткий военный вождь. Это выдающаяся личность, подходящая для суровых времен. Человек неисчерпаемо смелый, властный, прямолинейный и даже грубый в своих высказываниях… Однако он сохранил чувство юмора, что весьма важно для всех людей и народов, и особенно для больших людей и великих народов. Сталин также произвел на меня впечатление своей хладнокровной мудростью, при полном отсутствии каких-либо иллюзий. Я надеюсь, что заставил его поверить в то, что мы будем верными и надежными соратниками в этой войне — но это, в конце концов, доказывается делами, а не словами.

Из речи Черчилля 8 сентября 1942 года, которую он произнес в британском парламенте речь по итогам своего визита в Москву в августе 1942.

Я лично не могу чувствовать ничего иного, помимо величайшего восхищения, по отношению к этому подлинно великому человеку, отцу своей страны, правившему судьбой своей страны во времена мира и победоносному защитнику во время войны.

Из речи Черчилля в палате общин в ноябре 1945

Даже если бы у нас с советским правительством возникли сильные разногласия в отношении многих политических аспектов — политических, социальных и даже, как мы думаем, моральных, — то в Англии нельзя допускать существования такого настроения, которое могло бы нарушить или ослабить эти великие связи между двумя нашими народами, связи, составлявшие нашу славу и безопасность в период недавних страшных конвульсий.

Збигнев Бжезинский (США)

"В умении оправдывать свои деяния и добиваться их одобрения Сталин равным образом преуспел и за пределами страны. В течение долгого времени многие западные комментаторы были более склонны — лишь отчасти отличаясь друг от друга в терминологии — хвалить его за индустриализацию России, нежели осуждать за террор. Таким образом сталинская эпоха в значительной степени интерпретировалась как эпоха великих социальных перемен, стремительной динамики, перехода от сельскохозяйственной экономики к индустриальной. И в некотором смысле это верно. При Сталине Советский Союз действительно стал великой индустриальной державой. Действительно произошел отток его населения из деревень. Была в полном объеме отстроена централизованная социалистическая система. И при этом у советской экономики был относительно высокий темп роста. Согласно советской официальной статистике национальный доход увеличился вчетверо в годы первых пятилеток, ежегодно давая прирост почти в 15 процентов. Это потребовало перемещения больших масс людей — за тринадцать лет число городских жителей удвоилось. С 1928-го по 1940 годы годовое производство электроэнергии выросло с 5 миллиардов киловатт до 48,3 миллиарда, производство стали — с 4,3 миллиона тонн до 18,3 миллиона; производство станков

возросло с 2 тысяч до 58400 в год; автомобилей стали выпускать не 8 тысяч в год, а 145 тысяч. В канун войны промышленность составляла 84,7 процента всей советской экономики. Даже если эти цифры и преувеличены официальной статистикой, то факт, что советская экономика добилась больших успехов, отрицать не приходится"

Большой провал. Рождение и смерть коммунизма в XX веке.

Ю. К. Паасикиви, премьер министр Финляндии с 1944 г., президент с 1946 г.

«Сталин — одна из величайших фигур современной истории. Он прочно вписал свое имя не только в историю Советского Союза, но и во всемирную историю. Под его руководством старая история изменилась, обновилась, помолодела и превратилась в теперешний Советский Союз. Он поднял СССР до уровня могущественной мировой державы — сделал его могущественней, чем когда-либо была и могла быть Россия.

Сталин один из величайших созидателей государства в истории. В отношении Финляндии Сталин проявлял симпатию и дружественность. Поэтому его уход из жизни вызывает искреннюю скорбь нашего народа. Я имел возможность много раз встречаться с генералиссимусом Сталиным и вести с ним переговоры. Об этих встречах я сохраняю самые наиприятнейшие воспоминания»..

Христофор, патриарх Александрийский с 1939 г.

« Маршал Сталин… является одним из величайших людей нашей эпохи.. Маршал Сталин, Верховный Главнокомандующий, под руководством которого ведутся боевые операции в невиданном масштабе, имеет на то обилие божественной благодати и благословения, и русский народ под гениальным руководством своего великого вождя с непревзойдённым самоотвержением наносит сокрушительные удары своим вековечным врагам». (1945 г.)

Алексий I, патриарх Московский и Всея Руси 1945-1970 гг.

« Великого Вождя нашего народа Иосифа Виссарионовича Сталина не стало. Упразднилась сила великая, общественная сила, в которой наш народ ощущал собственную силу, которую он руководился в своих созидательных трудах и предприятиях, которую он утешался в течении многих лет. Нет области, куда бы не проникал глубокий взор великого Вождя… Как человек гениальный, он в каждом деле открывал то, что было невидимо и недоступно для обыкновенного ума». (1953 г.)

Митрополит Николай (Ярушевич)

“Имя Иосифа Виссарионовича Сталина, окруженное величайшей любовью всех народов нашей страны, — знамя славы, процветания, величия нашей Родины.Русская Православная Церковь молитвенно благословляет жизнь и труды великого вождя страны и Красной Армии”.

გარდაიცვალა დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ოთარ ღორჯომელაძე

ძნელია სიტყვა გარდაცვალება მიუსადაგო ისეთ დიდ პიროვნებას, დიდ მამულიშვილს, დიდ მეცნიერს და უღალატო მეგობარს, როგორიც ბატონი ოთარ ღორჯომელაძე იყო! მისი ამქვეყნიდან წასვლა მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო უპირველესად მისი მეგობრებისათვის, ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოებისათვის და... სრულიად საქართველოსათვის!!! ბატონი ოთარი რომ დიდი და ღვაწლმოსილი მეცნიერი გახლდათ ამას ყველა მისი სამეცნიერო შრომა მეტყველებს! დიახ, მისი სამეცნიერო შრომები დაუფასებელი განძია ქართული აგრარული მეცნიერებისათვის და არამარტო ქართულისათვის...

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნიადაგმცოდნეობის კვლევის დარგში მათ ბადალი არ მოეპოვებათ!

ოთარ ღორჯომელაძის უაღრესად მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევები, ბრწყინვალე ანალიზები და თეზისები ნაყოფია წლების განმავლობაში მუხლჩაუხრელი შრომისა და მეცნიერის ფუნდამენტური ერუდიციის. გამორჩეული, დახვეწილი ინტელექტის, საკითხისადმი წვდომის მაღალი კულტურის და უაღრესად დიდი პასუხისმგებლობის მქონე მეცნიერი, ბატონი ოთარ ღორჯომეალძე ცნობილი იყო აგრარულ მეცნიერებაში წამოჭრილი რთული და აქტუალური პრობლემების წინ წამოწევით, მათი ძიებით, სიღრმისეული დამუშავებითა და თეორიული განზოგადებით. ამასთან ერთად ახალგაზრდა მეცნიერთათვის დასმული საკითხის ადვილად გასაგები, მარტივი და ობიექტური ანალიზის მოწოდებით. ბატონ ოთარს ქვეყნისათვის უმძიმეს და რთულ პოლიტიკურ პერიოდში მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა. უკანასკნელი 23 წლის მანძილზე საქართველო და ქართველი ხალხი უმძიმესმა სოციალურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა დათრგუნა, დაამშია, დახოცა და როგორც არასდროს, ისე, გააღარიბა! ქვეყანა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დადგა! და ამას ყველაფერს განიცდიდა ბატონი ოთარი. გარკვეულ პერიოდში იყო დეპუტატი, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარის მრჩეველი... მაგრამ... ცალკეულ ადამიანებს თუნდაც ისეთებს, როგორიც ბატონი ოთარი იყო, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა თავისი სამშობლო და თავისი ხალხი, არაფრის შეცვლა არ შეეძლო!

მსუბუქი ყოფილიყოს ბატონი ოთარისთვის მშობლიური მიწა, მის შვილებს კი – ვუსურვებთ უკეთეს საქართველოში ეცხოვროთ, როგორზედაც მათი ღირსეული მამა ოცნებობდა! ჟურნალი "კვალის" სამეცნიერო კოლეგია, სარედაქციო საბჭო და ტექნიკური განყოფილება სამძიმარს უცხადებს ბატონი ოთარის ოჯახს და... იმედს ვიტოვებთ, რომ... ამ დიდი ადამიანის ნათელი ღვაწლი საკეთილდღეოდ წაადგება მისი ქვეყნის მომავალს!

"კვალის" რედაქცია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ღორჯომელაძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მადონა ნიჟარაძის ხსოვნას

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მტკივნეული დანაკლისი განიცადა. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ფილოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი მადონა ნიჟარაძე. უნივერსიტეტში ჯერ ქართული ლიტერატურის კათედრაზე, შემდგომში კი ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტში პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის დროს ქალბატონმა მადონამ კოლეგებისა და სტუდენტი ახალგაზრდობის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, როგორც მაღალკვალიფიციურმა პედაგოგმა და ფართო დიაპაზონის მქონე მკვლევარმა.

მადონა ნიჟარაძე დაიბადა 1941 წლის 7დეკემბერს ქუთაისში, ცნობილი სამხედრო მოსამსახურის – აპოლონ ნიჟარაძის ოჯახში. 1963 წელს წარჩინებით დაასრულა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ამაჟამად აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სპეციალობით. 1971 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1963 წლიდან მადონა ნიჟარაძე ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში მსახურობდა სხვადასხვა თანამდებობაზე (იყო ექსკურსიამძღოლი, 1968 წლიდან – უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და მუზეუმის მთავარი ფონდის მცველი), 1973 წლიდან კი მუშაობას იწყებს ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტიტში ქართული ლიტერატურის კათედრის უფროს მასწავლებლად, 1976 წლიდან დაკავებული ჰქონდა დოცენტის თანამდებობა, 2006 წლიდან გარდაცვალებამდე კი იყო აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი. პარალელურად, 1993-1998 წლებში, იოანე პეტრიწის სახელობის საერო უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას ხელმძღვანელობდა.

ფართო იყო მადონა ნიჟარაძის სამეცნიერო ინტერესების სფერო. როგორც მეცნიერი, იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში წარმატებით იკვლევდა ფოლკლორისა და ლიტერატურისმცოდნეობის საფუძვლების პრობლემებს. განსაკუთრებული ამაგი დასდო ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ნაკლებად შესწავლილი ისეთი საკითხების კვლევას, როგორებიცაა: ამბროსი ნეკრესელის ცხოვრება და შემოქმედება, არსენ იყალთოელის „დიდი სჯულის კანონის“ გელათური ნუსხა, არსენ ნინოწმინდელისა და იოანე გრძელისძის კალიგრაფიული მოღვაწეობა, სულხან–საბა ორბელიანისა და ბესიკის შემოქმედების უცნობი და შეუსწავლელი მხარეები და სხვ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მიზეუმში ხანგრძლივი დროის მანძილზე მუშაობამ მას შესაძლებლობა მისცა პირადად მიეკვლია და ერთ-ერთ პირველს შეესწავლა იქ დაცული არაერთი ხელნაწერი და საარქივო მასალა. ცალკე, საგანგებოდ, უნდა აღინიშნოს ის დიდი წვლილი, რომელიც მადონა ნიჟარაძეს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქუთაისის ლიტერატურული ცხოვრების შესწავლის საქმეში მიუძღვის. ქალბატონი მადონა იყო რამდენიმე მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორი. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: „ლიტერატურული ნარკვევები“(2009), „მიტროპოლიტი ამბროსი ნეკრესელი“ (2008), „ლიტერატურული წერილები“(2005), თანაავტორებთან ერთად გამოცემული წიგნები: „ლიტერატურისმცოდნეობის პროპედევტიკა“ (2007); „საკითხები პროპედევტიკული კურსიდან ძველი და XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ (2007), „XX საუკუნის ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიის ნარკვევები“ (2005) და ა. შ. იყო 40–ზე მეტი სამეცნიერო კონფერენციისა და სიმპზიუმის მონაწილე. ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად, ქალბატონი მადონა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდა. ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში ხანგრძლივი დროის მანძილზე კითხულობდა სალექციო კურსებს ძველ ქართულ ლიტერატურაში, ფოლკლორსა და ლიტერატურათმცოდნეობის შესავალში; იყო სტუდენტთა სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელი, სადისერტაციო საბჭოს წევრი, წლების განმავლობაში კურირებდა სტუდენტთა სამეცნიერო წრეს... კოლეგებთან და სტუდენტებთან ურთიერთობაში ქალბატონი მადონა გამოირჩეოდა ადამიანური კეთილშობილებით, უდიდესი პასუხისმგებლობითა და აკურატულობით ასრულებდა მასზე მინდობილ ყველა საქმეს. კოლეგებსა და სტუდენტებს დიდხანს ემახსოვრებათ გულისხმიერებით გამორჩეული ქალბატონისა და ფართო ერუდიციის მქონე ლექტორის, პროფესორ მადონა ნიჟარაძის სახელი.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკუტლტეტი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი.

თეიმურაზ მეტრეველი - უბადლო რედაქტორი, პუბლიცისტი, ღირსეული მეგობარი

გამოჩენილ პუბლიცისტსა და ჟურნალისტს – თემურ მეტრეველს ხშირად გამოვიხმობ ახლო წარსულიდან. ვიხსენებ ყველაფერს, რაც მასთან, უნივერსიტეტთან, ჩვენს საერთო მეგობრებთან არის დაკავშირებული... თემური თავისი ელვარე ნიჭით, სიწმინდითა და სინათლით ჭეშმარიტად მირონცხებული ჟურნალისტი და პუბლიცისტია. ერთი იმათთაგანია, ვინც მარად და ყველგან საქართველოსთანაა დაკავშირებული თავისი მრწამსით, თავისი შემოქმედებითა და საზოგადო მოღვაწეობით. მინდა, დავარწმუნო ჩვენი საყვარელი მეგობრისა და ძვირფასი ადამიანის უკეთილშობილესი სული, რომ მთელი მისი ლამაზი ცხოვრება, როგორც მშვენიერი მაგალითი, სამარადისოდაა აღბეჭდილი ყოველი ჩვენგანის, მისი უნივერსიტეტელი მეგობრების მეხსიერებაში. ის ჩემთვის დღესაც ცოცხალია, წუთისოფლის დიდი დღე კვლავინდებურად გრძელდება. თემურს უტაქტოდ საუბარი, უადგილო ხუმრობა არც უყვარდა და არც იცოდა. სიყვარული იცოდა კაცური, ბოჰემური, ჭეშმარიტი. თუ გულთან მიგიტანდა და გულის კარს გაგიღებდა, შენთვის სანთელივით ანთებული იყო. ამიტომაცაა, რომ განვლილმა წლებმა ოდნავადაც ვერ გაანელა მისი სიკვდილით გამოწვეული ელდა... მისი ცხოვრება ხომ ლამაზ ზღაპარს გავდა, მისი ღიმილი შეუდარებელი იყო. ჟურნალისტის, პუბლიცისტის სამარდისო სამყოფელი მისი შემოქმედება, მისი წიგნებია და არა რომელიმე პანთეონი. შენ შეგიძლია იძინო ჩემო თემურ მშვიდად, რადგანაც შენს წიგნებს მარად ეყოლება მკითხველი და დამფასებელი. შენ არ დაგცალდა, ხელში აგეღო შენი ძვირფასი მეუღლის მიერ აკინძული ახალი წიგნები, რომელიც ახლახან დაიბეჭდა. შენ მუდამ გწამდა მომავლის. ამ დაუსაბამო გზაზე შენს საყვარელ მეუღლესთან, შვილთან და შვილიშვილთან ერთად მუდამ ივლის შენი ნაღვაწი, ნაკალმევი... შენი პუბლიცისტური წერილები, ნარკვევები და სტატიები სავსეა მოყვასის სიყვარულით. ყოველი წერილი ხმამაღალი მოწოდებაა ერისა და ბერისადმი, მოვეფეროთ ერთმანეთს, გვიყვარდეს ერთმანეთი. შენ კარგად გრძნობდი, რა სიცივე და გულგრილობა მოციქულობდა ამ ბოლო წლების საქართველოში ადამიანთა შორის და იმ გამყინავ, შენთვის მიუღებელ სიცივეს აუჯანყდი, ჭეშმარიტი მამულიშვილი და ჟურნალისტი ვერ შეეგუა სიძულვილს და გესლს, რომელსაც ირგვლივ ჰაერიც კი გაეჟღინთა... ჯერ კიდევ როდის, რამდენი წლის წინათ შეგვახსენე ირაკლი აბაშიძის გარდაცვალებისადმი მიძღვნილი საოცრად მგრძნობიარე წერილით, როგორ გვჭირდება ერთმანეთის სითბო, რა საცოდავები ვართ ერთმანეთისაგან გულგრილობით ზურგშექცეულნი და გარიყულნი. დაბეჯითებით, ყველასთვის გასაგონად გვითხარი, რამდენს გემატებს სხვაზე ფიქრი და ზრუნვა, სულის სულთან მისალბუნება... ახლა, როცა ცხოვრების გზა გავლილია, როცა თეიმურაზმა ამქვეყნიური საკეთებელი გაასრულა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანას დააკლდა ჭეშმარიტი ქართველი, მე-20 საუკუნის ჟურნალისტიკის ერთ-ერთი უბწყინვალესი წარმომადგენელი და საზოგადო მოღვაწე. იგი ამ რჩეულ ერთეულთა შორის მოიაზრებოდა ყოველთვის, ვინც დაუცხრომლად იღწვის ეროვნული კულტურის აყვავებისათვის. თეიმურაზ მეტრეველი ორმოცი წლის განმავლობაში ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა ქართული პრესისა და ლიტერატურის სარბიელზე: რედაქტორობდა ჟურნალ-გაზეთებს, სისტემატურად თანამშრომლობდა პერიოდულ პრესაში. როგორც გულისხმიერი და ყურადღებიანი რედაქტორი, იგი ზრუნავდა ახალგაზრდა შემოქმედთა ზრდასა და წინსვლაზე, ყოველ ღონეს მიმართავდა ჟურნალისტიკაში ახალი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებისა და დანერგვისათვის. მან ჟურნალისტიკასა და კულტურის დარგში მდიდარი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. როცა ეცნობით მის საინტერესო და მრავალმხრივ ჟურნალისტურ საქმიანობას მე-20 საუკუნის 90-იანი წლების იმ შფოთიან და მოუსვენარ დღეებში, როცა გულისყურით უსმენთ მის ძველ მეგობრებს, კალმოსნებს, მწერლებს, არ შეიძლება აღტაცებაში არ მოგიყვანოთ მისმა ვაჟკაცობამ, მტკიცე რწმენამ, იმ თავდადებულმა და დაუღალავმა შრომამ, რომელიც მან გასწია თავისი არაცთუ გრძელი მაგრამ მეტად შინაარსიანი სიცოცხლის განმავლობაში. იგი ხომ ადამიანების სიყვარულისთვის, მათი სიკეთისა და უანგარო მეგობრობისათვის იყო გაჩენილი, ამ შუბლნათელ, გონებაგახსნილ ვაჟკაცს რომანტიკულად ანთებულ თვალებში ჩაუქრობლად ენთო თავისი ხალხის სიყვარული. წუთითაც არ შეხრილა მისი წარბი იმ ბობოქარ, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის გადამწყვეტ ბრძოლაში. იგი, როგორც ჟურნალისტი და მოქალაქე, ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იდგა. თეიმურაზი საკუთარი ნიჭის წყალობით უნივერსიტეტში სწავლის პერიოდიდანვე მრავალ ჟურნალსა და გაზეთში თანამშრომლობდა. მის ახალდაბეჭდილ ნარკვევსა თუ წერილს უნივერსიტეტის აუდიტორიაში ხმამაღლა ვკითხულობდით, გაზეთი ხელიდან ხელში გადადიოდა. ბევრი მისი საინტერესო წერილი დაიბეჭდა ჟურნალ „ნიანგში“. ნოდარ დუმბაძესთან სულ ფრენა-ფრენით მიდიოდა, მობრუნდებოდა რედაქციიდან და თანაკურსელებს გახარებული გვიყვებოდა, ნოდარ დუმბაძესთან რედაქციაში ესა და ეს მწერალი გავიცანი, ბატონმა ნოდარმა წერილი მომიწონა, დღეს განსაკუთრებული გულისხმიერებით მესაუბრაო... მისი აღტაცება მეც გადმომედებოდა და მოუთმენლად ველოდი ჟურნალ „ნიანგის“ მორიგი ნომრის გამოსვლას, სადაც თემურის სტატია იბეჭდებოდა... თემურს კოლეგები ხუმრობით გაზეთების „დამაარსებელს“ უწოდებდნენ. იგი ღირსეულად რედაქტორობდა გაზეთებს. „კაბადონი-8“, „ქართული კულტურა“, „დილის გაზეთი“, „მოქალაქე“, „ულუმბო“, „ახალი ეპოქა“. სამწუხაროდ არც ერთი ეს გაზეთი დღეს აღარ გამოდის, მაგრამ დამოუკიდებელი პრესის მეისტორიემ, შეუძლებელია გვერდი აუაროს მათ პერიოდულობასა და მნიშვნელობას. იგი მართლაც რომ მოწოდებით რედაქტორი იყო, მოაზროვნე, ენამზიანი და გამოჩენილი პუბლიცისტი. ყოველთვის თავისი დროის მოთხოვნების სიმაღლეზე იდგა, თავისი მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის განმავლობაში მხოლოდ სიმართლეს მსახურებდა. ქართულ პოლიტიკაში დიდი დამსახურების მიუხედავად, მისი ღვაწლი სათანადოდ არ დაფასებულა. პირიქით, გულნატკენი განშორდა ამ ცვალებად და მუხთალ წუთისოფელს. სხვებისაგან განსხვავებით მას ფული არ უგროვებია, სამაგიეროდ, აგორვებდა უნიკალურ წიგნებს. ყიდულობდა იშვიათ ბიბლიოგრაფიულ გამოცემებს. მისი სიმდიდრე და შეუფასებელი ქონება ოჯახის ბიბლიოთეკა იყო... არასოდეს დამავიწყდება ის ვაჟკაცური ღიმილი, რომლითაც თეიმურაზი შეხვდა არსთგამრიგის ნებას. იგი ყოველთვის კარგი ყრმა იყო, შინაგანად ბედნიერი, ქვეყანას ემსახურებოდა გულით, აზრით, სუფთა ხელებით, სინათლით სავსე სახელით. ეს თვისებები დაეტყო მის წიგნებს, ნაშრომებს, რომლებიც უეჭველად დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნებენ მეცნიერულ აქტუალობას და სამომავლო ღირებულებას.

ჯემალ გორდულაძე

შალვა ოსეფაშვილის ხსოვნას

იგი სვეტიცხოვლის კურთხეული ტაძრიდან გამოასვენეს. მთელი დღის განმავლობაში მწუხარებითა და ტკივილით გალობდა სვეტიცხოვლის მგალობელთა ქორო, მოსთქვამდა სამრეკლოს ზარი. 2013 წლის 29 ოქტომბრის ოქროსცურვილი მზე, იმ დღეს განსაკუთრებულად მცხუნვარე იყო, რომელიც უკანასკნელად დაენათა შალვა (გუჯა) ოსეფაშვილს, კაცს, რომელმაც ღრმა და ნათელი კვალი დატოვა ქართულ ცნობიერებაში. ის იყო მომადლებული ნიჭით დაჯილდოებული ჟურნალისტი, ხელოვანი, ამ სიტყვის ფართო გაგებით. იადონივით ხმა ქონდა, ასეთზე იტყვიან – ხმატკბილი მომღერალიაო. ჩუმად, უხმაუროდ აკეთებდა ქართულ საქმეს. წლების განმავლობაში ილია ჭავჭავაძის, საგურამოს სახლმუზეუმის დირექტორი გახლდათ. ილიაზე უზომოდ შეყვარებული, მისი მემკვიდრეობის დამცველი და დამფასებელი. მისი თაოსნობით ბევრი კარგი საქმე დასრულებულა კეთილად მუზეუმის შემოგარენში, დიდი ილიას სახელის უკვდავსაყოფად გამიზნული. ამიტომაც იყო იმ დღეს 29 ოქტომბერს მისი უნივერსიტეტელი მეგობრები. მცხეთელები გულწრფელად გლოვობდნენ შალვა ოსეფაშვილს, რომელიც ქვეყნის მოჭირნახულე იყო თავისი შეგნებით, მრწამსითა და საქმიანობით...

შალვას მშობლიური ქალაქის სითბო და სიყვარული ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი, აღმერთებდა საქართველოს და უწინარეს ყოვლისა მის უძველეს სატახტო ქალაქს – მცხეთას. ნიჭიერი ჟურნალისტი, მკვლევარი, ხელოვანი, არაერთგზის გამარჯვებული სპორტცმენი ნიჩბოსნობაში, უზადო ვაჟკაცი – ასე დაგვამახსოვრდა იგი მის მეგობრებსა და ახლობლებს. მიუხედავად არც თუ დიდი სიცოცხლის ხანგრძლივობისა მან მოახერხა მკვიდრად დაერგო და ეხარებინა თავისი დასარგავი ხე, აეშენებინა ქართული ჩუქურთმებით დამშვენებული საგვარეულო სახლი. სვეტიცხოვლის მსახურებისთვის, ტაძარში ხმატკბილად გალობისთვის მას და მის შვილს ილიას მგალობელთა ქოროს ხელმძღვანელს, არაერთხელ დაუმსახურებია ქება – დიდება, სამახსოვრო საჩუქრები სვეტიცხოვლის წინამძღვრისაგან. ისიც ფაქტია რომ შალვა თავად იყო ქართული ხალხური სიმღერების ერთ–ერთი საუკეთესო შემსრულებელი, ქართული ტრადიციების დამცველი და თაყვანისმცემელი. სწორედ ამან მისცა მას ძალა და ენერგია სხვებისთვის გადამდები გაეხადა საკუთარი გატაცება, ახალგაზრდებისთვის ჩაენერგა საქართველოს სიყვარულში განივთებული სიმღერები. შალვამ თავის შვილთან ერთად ხელი მოკიდა საეკლესიო საგალობელთა შესწავლასა და დამუშავებას. იგი ამ საქმეში პოვებდა შვებასა და ლხენას. საყვედური და სამდურავი არასოდეს დასცდენია.

შალვა, რომ იტყვიან კაცი იყო კაცური, ქართული სიდარბაისლითა და ვაჟკაცური შემართებით შემკული. იგი დიდი პატივისმცემელი იყო ქართული სუფრის წესისა და ტრადიციების, თამადის ინსტიტუტს ქომაგობდა, ვინაიდან თავად იყო შესანიშნავი თამადა. ხშირად. იტყოდა: „პურსა ჭამენ და უბნობენ, სიმღერას არ იტყვიანო“. ჰოდა ის თავად იყო ქართული სუფრის გამრიგეც და მგალობელიც. „ჩაკრულოს“, „დაიგვიანეს“, „ხასანბეგურას“, „პატარა გოგო დამეკარგას“ ისეთი გზნებითა და შთაგონებით მღეროდა, ჩვენ, მისი მეგობრები გარინდებული შევცქეროდით. იგი ნამდვილად იყო თსუ ჟურნალისტთა 754–ე ჯგუფის თვალისჩინი და სიამაყე...

საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლმუზეუმს ხშირად სტუმრობდნენ უცხოელები. შალვა იხსენებდა, – ერთხელ მუზეუმს ტურისტები ესტუმრნენ გერმანიიდან, ერთ–ერთი მათგანი არტურ ლაისტის შთამომავალი აღმოჩნდა. ეს რომ გავიგე, რა გამაჩერებდა, ყველა მცხეთის რესტორანში მივიპატიჟე; ქართული სუფრა გავშალე. ყოველ სადღეგრძელოს ქართულ სიმღერას ან საგალობელს ვანაცვლებდი. ვხვდებოდი, რომ მათთვის სადღეგრძელო, სიმღერა, ღვინის სმა უცხო იყო. მე კი ვეუბნებოდი, რომ ეს ჩვენი, ქართველების ადათი და წესია, ჩვენი მსოფლმხედველობაა, ჩვენი აზროვნებისა და ცხოვრების სტილია... მას ასე სწამდა, ასე სჯეროდა, ამ მსოფლმხედველობით საზრდოობდა...

შალვა განსაკუთრებული სიყვარულით ესათუთებოდა და უვლიდა ვაზს, რომელიც არაგვის პირას ქონდა გაშენებული. ბაღი ხეხილით იყო სავსე, რომელსაც წითლად აღაღადებული ბროწეულის საოცარი ჯიშის ხეები ამშვენებდა. მისი ვაზის ერთი მტევანი თითქმის კილოგრამს იწონიდა, ამაყობდა მსხმოიარე და კარგად მოვლილი ვენახით, თავს ევლებოდა და დაღიღინებდა; მზე უხვადაა ჩემი ვაზის მტევნებშიო იტყოდა, ქართველი კაცი ისევე უკვდავია, როგორც ქართული ვაზიო... სიმღერის დროს ეს ათლეტური აღნაგობის ვაჟკაცი გაღიმებული და მხრებგაშლილი უგალობდა მცხეთას, ადიდებდა ჯვარს, არმაზს, ზედაზენსა და ბაგინეთს. მადლიანი ქართულით გაჯერებულ ნარკვევებს, ჩანახატებსა და წერილებს გუჯა მცხეთელის ფსევდონიმით აქვეყნებდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი პირადი ცხოვრება ვერ აეწყო, სულიერად არ დაცემულა, არ ჩაუმუხლია, ნიკორა ხარივით გასწია ცხოვრების ჯაპანი და ორი ღირსეული შვილი აღუზარდა ქვეყანას. შვილების სიმცირეს მუდამ განიცდიდა, რადგანაც მის მშობლებს 11 ვაჟიშვილი ყავდათ, გუჯა კი ყველასგან გამორჩეული იყო...

დიახ, 29 ოქტომბერს შალვა ოსეფაშვილი სვეტიცხოვლის ტაძრიდან გამოასვენეს. სასაფლაოზე, მასთან გამოთხოვებისას სვეტიცხოვლის მგალობელთა ქორომ სიმღერა „ბინდისფერია სოფელი“ გულში ჩამწვდომი ზარით შეასრულა, სიმღერა, რომელსაც თავად გუჯა მღეროდა დიდი ტკივილითა და განცდით. მართალია მისი ცხოვრება დასრულდა, მაგრამ ამიერიდან იწყება მისი ზეციური საქართველოში მარადიული ყოფნა, მის ნაცვლად ტაძარში შვილი – ილია ოსეფაშვილი იმღერებს და იგალობებს, მისი სული კი კვლავინდებურად ენთება და პატარა შვილიშვილი საბა სახელოვანი პაპის სადიდებლად ცხოვრებას დედ–მამასთან ერთად ამაყად გააგრძელებს...

დღერგძელი იყოს შენი გვარი და ჯილაგი ჩვენო სახელოვანო გუჯა, განუმეორებელო და დაუვიწყარო მეგობარო.

ჯემალ გორდულაძე, მანანა ვახტანგაძე, ლიანა ფხალაძე, ნატო პატარიძე, სერგი მინაშვილი, რეზო აიწურაძე, ოთარ იაშაღაშვილი, როსტომ თიგიშვილი

ალა დუდაევა

მეუღლე, პატრიოტი და ხელოვანი

მე–20 საუკუნის მიწურულს მსოფლიო კიდევ ერთხელ შეძრა კავკასიის თავისუფლების მოყვარე სულმა, საქართველოსა და ჩეჩნეთის (იჩქერიის) პრეზიდენტების ზვიად გამსახურდიასა და ჯოჰარ დუდაევის სისხლისმიერმა სიყვარულმა და სამშობლოს თავისუფლებისათვის თავგანწირვამ!

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სიკვდილისა და უკვე დამოუკიდებელი ქვეყნის ხალხის ხოცვაჟლეტა, დღეს უკვე ცხადია, რომ რუსეთ–აშშ–ს დონეზე გადაწყდა, საქართველო ქართველი ყაჩაღების ხელით გაძარცვეს და გაანადგურეს. ჯერი ჩეჩნეთზე მიდგა. საბჭოთა მილიონმეერთე გენერალმა დუდაევმა არნახული შემართებითა და სტრატეგიული ნიჭიერებით სამყარო გააოცა, რუსეთი და იმ დროისათვის მისი მოკავშირე შტატები კი – გააოგნა!.. უთანასწორო ომმა–პაწაწინა ჩეჩნეთი, უნიკალური კავკასიური ეთნოსი, ქართველთა სისხლისმიერი ძმები გაჟლიტა და ქვეყანა მიწასთან გაასწორა!

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა...

ჩეჩნეთის, იგივე იჩქერიის ეროვნული გმირის ჯოჰარ დუდაევის ოჯახი–მეუღლე და ვაჟიშვილი ახლა საქართველოში, თბილისში ცხოვრობენ. ალა დუდაევა, ეს ულამაზესი და უჭკვიანესი ქალი საზოგადოებრივ მაღვაწეობას ეწევა, მაგრამ... ამასთან ერთად იგი დიდი ხელოვანია! ქალბატონმა ალამ მეუღლის ხსოვნას მიუძღვნა არაჩვეულებრივი, დოკუმენტურ მასალებზე აგებული პროზაული ნაწარმოები, მოგონებები ჯოჰარ დუდაევზე „მილიონმეერთე გენერალი", და... უბრწყინვალესი ფერწერული ტილოები... ქალბატონი ალა სულით და ხორცით შემოქმედია, მხატვარია და ფერებში აცოცხლებს ჩეჩნეთის განუმეორებელ პეიზაჟებს, მეუღლის პორტრეტებს, შვილებს, მეგობრებს, ყველას და ყველაფერს... რაც იმ გმირულ დღეებთანაა დაკავშირებული, ჯოჰარის ჩეჩნეთი რომ ერქვა!

მისი ნამუშევრების გამოფენა უკვე მერამდენეჯერ ნახეს თბილისელებმა... და ეს იყო დიდებული სანახაობა საოცრება, ფერებისა და... სიცოცხლის ზეიმი... დიდი სიყვარულის ზეიმი! დიახ, ქართველ ხალხს არასოდეს დაავიწყდება ის დიდი სიყვარული, რაც ზვიადსა და ჯოჰარს აერთიანებდა, და ეს სიყვარული მათი საერთო ფესვებიდან მოდიოდა... პრეისტორიული კავკასიური წარსულიდან... კავკასიური ძმობიდან, ტრდიციებიდან...

ალა დუდაევა ცოცხალ ძეგლად დაუდგა მეუღლის ხსოვნას და თბილისელები, მთელი საქართველო მუხლს იყრის ამ არაჩვეულებრივი და დიდებული ქალბატონის წინაშე! ამიტომაც არ აკლია მნახველი მის გამოფენებს... და ქართველი ხალხის სიყვარული მის ფერწერულ ტილოებსა და მის წიგნებს!

Wife, Patriot and painer

Summary

Family of the Chechnia's national hero and the first president Johar Dudaev lives in Georgia,Tbilisi. Alla Dudaeva is engaged in social activities, but besides she is great painter. She dedicated a book based on documentary materials to Johar Dudaev "Million-First General." and exellent paintings. Mrs. Alla is a real painter.In the paintings you can see revivaled landscapes of Chechnia, portraites of Johar, friends and landscapes of Georgia.

Ala Dudaeva

Жена, патриот и художник

Резюме

Семья национального героя Ичкерии, той же Чечни Джохара Дудаева - жена и сын в настоящее время живут в Грузии, в Тбилиси: Алла Дудаева. Алла Дудаева эта красивейшая и умнейшая женщина ведёт общественную деятельность, но... в то же время она большой творец. Г-жа Алла памяти мужа посвятила необычные, основанные на документальных матерялах, прозаические произведения, воспоминаний о Джохаре Дудаеве и... отличные картины. Г-жа Алла душой и плотью творец, и в цветах оживает неповторимые пейзажи Чечни, портреты мужа, детей, друзей, всех и вся... что связано с этими героическими днями, что называлась Чечня Джохара!

Ала Дудаева

ქართულ მხატვრობაში დიდი შესვენებაა გამოცხადებული...

... „მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ“...
ლუკა, თავი 14.
მუხლი 24

უაკ (UDC) 57(479.22)
ვ - 275

შეხვედრა მხატვარ კობა ბერელიძესთან

დიდი ხანია სურვილი მქონდა ჩემს მკითხველთან მესაუბრა ქართულ მონმარტრზე, ე.ი. თბილისის მშრალ ხიდზე, ღია ცის ქვეშ გაახსნილ ვერნისაჟზე და მხატვრებზე, რომელთა ნამუშევრების გამოფენა–გაყიდვა აქ ყოველდღეა შესაძლებელი. სიცხესა თუ სიცივეში აქ ყოველთვის შეხვდებით აკადემისტებს, როგორც ფრანგები უწოდებენ აკადემიური სტილით, ანტიკური მხატვრობის ტრადიციებზე აღზრდილ, აკადემია დამთავრებულ პროფესიონალ მხატვრებს და ფიროსმანივით თვითნასწავლ, თავისუფალი სტილის მქონეთ, რომელთათვისაც დიდი მნიშვნელობა არა აქვს აკადემიურ ხაზსა და ფერთა შეხამებით მიღწეულ თემისა და კომპოზიციის მთლიანობას.

ქართული მონმარტრის ღია ვერნისაჟი, როგორც უკვე გითხარით ყოველდღეა მზად დამთვალიერებელთა მისაღებად, დიახ, აქ არ არის არავითარი სალონური კონტროლი, დოგმები და ჩამოყალიბებული რუტინა, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს მხატვრული ნიმუში, ე.ი. სურათი, გამოფენილი ნახატი. ამ შემთხვევაში ნახატი და მხატვარი თვითონ აგებს პასუხს საკუთარ თავთან, რადგან აქ მოდიან მათ შესაძენად არამარტო მხატვრობაში გაუცნობიერებელი, მაგრამ ეკონომიურად შეძლებული ადამიანები, რომელთაც „ნოვი გრუზინი“ უწოდეს 18–20 წლის წინ ხალხმა და რომელთაც უნდათ თავიანთი მდიდრული სახლები მორთონ ჭრელა–ჭრელა სურათებით, რომელთაც არავითარი მხატვრული ღირებულება არ გააჩნიათ, არამედ მოდიან სხვებიც მხატვრობასა და საერთოდ ხელოვნებაში ღრმად გაცნობიერებული და ერუდირებული პიროვნებებიც, რომლებიც კარგად არჩევენ სურათის ავ–კარგს, თვალიც უჭრით ფერთა კოლორიტზე რომ დაფიქრდნენ და როგორც რენუარი იტყოდა, „სულიც მზით აქვთ სავსე“, რადგან ეძებენ ყოველმხრივ თუ არა, ნაწილობრივ მაინც მისაღებ ხელოვნების ნიმუშს, რომელიც მათ არამარტო სულიერ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, არამედ მნიშვნელოვანი იქნება თავისი მხატვრული ღირსებებითა და ღირებულებებით.

აქაური მხატვრები არასოდეს ყოფილან მონმარტრზე, არც ლუვრისა და ვატიკანის, ერმიტაჟისა და ბრიუსელის გალერეიები დაუთვალიერებიათ და შეუსწავლიათ, არც მადრიდის, ლონდონის, ფლორენციისა და ვენეციის მუზეუმები უნახავთ–სადაც რაფაელის, ველასკესის, გოიას, ტიციანის, ვერონეზეს, ჰალსისა და პუსენის, რემბრანდტისა და რუბენსის უნიკალური კოლექციებია დაცული! დიახ, ისინი თბილისის მშრალ ხიდს არ გასცილებიან, ბატონებო! საქართველოს უკომპრომისოდ დუხჭირი ცხოვრება არამარტო ზედმეტი ფუფუნების, ე.ი. მოგზურობის და ცოდნის გაღრმავების საშუალებას არ იძლევა, საარსებო მინიმუმსაც თუ იშოვნიან ისინი საკუთარი ხელოვნებით, რომელიც დღეს უბრალო ხელობად ქცეულა, ესეც მნიშვნელოვანი მონაპოვარია!..

ოდესღაც ფიროსმანის ოცნება იყო მხატვრებს საკუთარი სახლი და კავშირი ჰქონოდათ, ერთად შეკრებილიყვნენ და ერთად ემსაჯელათ ხელოვნების საკითხებზე, ერთმანეთს დახმარებოდნენ... მაგრამ... იმ „ავადსახსენებელ საბჭოთა პერიოდში“ მხატვრებს მართლაც ჰქონდათ თავიანთი სახლი, არაჩვეულებრივი არქიტექტურით იყო ნაშენი თბილისის მხატვრის სახლი, გამორჩეული თავისი სილამაზით, არსებობდა მხატვართა კავშირიც და კავშირის წევრებს ეძლეოდათ სახელმწიფო დახმარება, რითაც შეეძლოთ ეცხოვრათ და ეხატათ! კავშირი ახლაც არსებობს, მაგრამ მას არავითარი სახსარი აღარ გააჩნია! მშვენიერი წარსული კი მირაჟში დარჩა. დარჩა მხოლოდ გულდასაწყვეტ მოგონებად!!!!

1991 წლის დეკემბრის ბრძოლების დროს სამხედრო შენაერთებმა ჯერ გაძარცვეს, შემდეგ კი დაბომბეს და დაანგრიეს თბილისის მხატვრის სახლი. დაიტაცეს ქართველ მხატვართა შედევრები. ასე აღმოჩნდა მედროვე ვაი–ქართველთა ხელში ფიროსმანის, გაბაშვილის, კაკაბაძის, თოიძის, გუდიაშვილის და სხვა დიდ ქართველ მხატვართა ორიგინალები, რომელთაც შავი გზებითა და შავი ხელებით საზღვარგარეთ გაიტანეს ისინი და შავ ბაზრებში გაყიდეს!

დღეს ყველაფერი ცივ რეალობას ემორჩილება! უკიდურეს გაჭირვებაშია მხატვრები ჩავარდნილი, არავითარი დახმარება არ ეძლევათ, ამიტომაც იქცა მათი ხელოვნება ხელობად. მხატვარი რაც შეიძლება სწრაფად ქმნის ნახატს, რომელიც მისი მყიდველის მდარე მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს და ეს ფაქტი თავისთავად არის შემზარავი, ბატონებო!!!

უცხოელებიც მოდიან აქ, ჩერდებიან თითოეული ნახატის წინ, კარგად აკვირდებიან ფერებს, ხსნიან შინაარსს, და მერე ცდილობენ რაც შეიძლება იაფად შეიძინონ ნახატი თუნდაც მას ფიროსმანის „ძეეზოვის“ მშვენება და კაკაბაძის იმერული პეიზაჟების მხატვრული ღირსება გააჩნდეს. მე დღეს აქა ვარ და გულდასმით ვათვალიერებ ღია გამოფენას. მშრალი ხიდის ქვეშ გამოფენილ მესამე სტენდთან, ე.ი. ჩემებურად სურათების მესამე ჯგუფთან შევჩერდი. აქ პეიზაჟისტი მხატვარი კობა ბერელიძე დგას (მხატვრებს ყველას თავ–თავისი ადგილი აქვს). დღეს რამდენიმე სურათითაა წარმოდგენილი, მჩქეფარე მდინარის ტოტი თუ ჩანჩქერი, წყლის მშვენიერი ჭავლი და მასში ჩახრილი ხეები. სიმწვანეს შერეული ნაცრისფერ–ლურჯი ფერები. ორ სურათზე ბუნების პეიზაჟებია დახატული. ფერები ცოცხალია, კომპოზიცია შეკრული... სტილი? სტილი აკადემიურია! ბატონ კობას ვესაუბრები, საინტერესოა, რომელი წლიდან დგანან აქ მხატვრები, როდიდან დართეს ნებართვა სურათების თავისუფალი გამოფენა–გაყიდვისა?

– 1988 წლიდან.

– აქ წარმოდგენილ მხატვრებს თუ გაერთიანებთ რაიმე ასოციაცია ან კავშირი?

– არა!

– არის რაიმე ოფიციალური დოკუმენტი საჭირო აქ სურათები რომ გამოფინოს და გაყიდოს მხატვარმა? ან რაიმე გადასახადს თუ ითხოვს მთავრობა?

– არა, არაფერი არ არის საჭირო.

– კიდევ კარგი, ესეც შეღავათია – ამოვისუნთქე მე. – თქვენ აკადემია დამთავრებული პროფესიონალი მხატვარი ბრძანდებით, თქვენი შემოქმედების რეალიზაციისთვის გაკმაყოფილებთ აქ დგომა?

– დღეს უკეთეს შესაძლებლობას ვერაფერში და ვერსად ვხედავ – მიპასუხა მოკლედ და მშრალად, ასე გამოხატა ალბათ რეალურად გულისწყვეტა ჩვენს გაუსაძლის ყოფაზე!

– ბატონო კობა, როგორ ხატავენ აქაური მხატვრები, ემორჩილებიან რაიმე მიმართულებას? აწუხებთ იდეები თუ ყველას თავისი საკუთარი სტილი გააჩნია?

– ეგ უკანასკნელი უფროა, რადგან ხატავენ იმას, რასაც უფრო სწრაფად და ადვილად გაყიდიან!

– რას ხატავთ? საკუთარი შემოქმედებით ირჩენთ თავს თუ ასლების გადაღებით ხართ დაკავებულნი?

– ზოგჯერ ასლებსაც ვიღებთ. გააჩნია მოთხოვნას. უფრო ხშირად მყიდველი გვიკვეთავს სურათებს. ბოლო წლებში, რაც კერძო საკუთრება ძალაში შევიდა კაფე–ბრებისა და რესტორნებისთვის გვიკვეთავენ ხშირად.

– როგორი გემოვნების მყიდველი მოდის თქვენთან, როგორ სურათზეა მეტი მოთხოვნილება? რა უფრო მოსწონთ ტრადიციული, კლასიკური ფერწერა თუ სულერთია?

– სულ–ერთია.

– დღეს რეალურად თუ იძლევა თავისა და ოჯახის რჩენის საშუალებას თქვენი ხელოვნება?

– მეტნაკლებად შიმშილით არ მოკვდები, მეტი არაფერი!

– ხომ არ იქცა თქვენი შემოქმედება ჩვეულებრივ ხელობად? აუცილებლობით გამოწვეულ საქმიანობად, ე.ი. ხელობად?

– დიახ, და ასეა უკვე ოცი წელიწადია თუ მეტი არა!

– როგორი სურათების დახატვა გენატრებათ და გეძლევათ თუ არა ამის საშუალება ზაფხულის ცხელ დღეებში მაინც, როცა სოფელში ან სადმე, თბილისის გარეთ მიდიხართ?

– ასეთი რამ იშვიათად ხდება, მაგრამ... ალბათ მაინც ხდება... როცა სოფელში მივდივართ, მაშინ ჩემს თავს დასვენების უფლებას ვაძლევ, დასვენება კი ხატვას ნიშნავს! ვხატავ იმას რაც მინდა და ისე, როგორც მინდა, როგორც ლოტრეკი იტყოდა...

ბატონი კობა იცინის, მაგრამ იმდენად ნაღვლიანია მისი სიცილი, სიცილს ვერც დაარქმევ. ცივა, დეკემბრის ღრუბლიანი დღე ხასიათს უფრო ამძიმებს.

– ბატონო კობა, გასაგებია რომ დღეს ძალიან უჭირს ქართველ ხალხს, არავითარი სოციალური დახმარების იმედი არ არის უმუშევრად დარჩენილი აბორიგენი მოსახლეობისთვის, თუნდაც მხატვრებისთვის. არ არის იმის საშუალება, რომ მშვიდად ხატოს მხატვარმა და არ იფიქროს ოჯახის გამოკვებაზე, ლუკმა–პურისთვის აუცილებელი ფულის შოვნაზე. მაგრამ... ვერ გამიგია, ჭეშმარიტი ნიჭით დაჯილდოებული მხატვარი როგორ შეიძლება უბრძოლველად დამორჩილდეს რეალურ ცხოვრებას? მხატვრობის ისტორიაში არის ანალოგიური მაგალითები, რომ... ფულისთვის ხატავდნენ, და ეს იყო უმრავლეს შემთხვევაში, დიახ, ხატავდნენ სურათებს, რომლებიც უნდა გაეყიდათ და საარსებო საშუალება მოეპოვებინათ, მაგრამ... ისინი, ე.ი. ის მხატვრები გარკვეული წლების შემდეგ უკვე აღარ იღებდნენ ასლებს, ხატავდნენ საკუთარი ჩანაფიქრით და არ კმაყოფილდებოდნენ მიღწეულით. თქვენ, ბატონო კობა, ცხადია ჩემზე კარგად იცით, რომ მონე მშიერი ხატავდა, სჭამდა მაშინ, როცა რენუარი მიუტანდა, ისიც მხოლოდ პურს და მან შექმნა ბრწყინვალე სერიები არჟანტიეს სურათებისა, სადაც ბუნება სიცოცხლითაა სავსე: წყალი, ფოთლები, ხეები, ნავები, ქოხები, ყინულიც კი... სიცოცხლით სუნთქავს, მოძრაობს, ღელავს... ე.ი. გასაოცარი გრძნობით ცოცხლობს მათში ყველაფერი... ასევეა გოგენი. გოგენმა განუმეორებელი ფერები შესძინა მხატვრობას, ვერონეზეს შემდეგ მსგავსი ფერები არავის შეუქმნია, ისინი ეძებდნენ, პოულობდნენ და მხატვრობაში ამკვიდრებდნენ ახალ მიმართულებებს, ახალ იდეებს და ამას აკეთებდნენ უმეტესად სრულიად დაუცველნი, ეკონომიურად ძალიან გაჭირვებული მხატვრები. მაგალითისთვის ვან–გოგი და მოდილიანიც კმარა. პიკასო სიცოცხლის ბოლო წლებში გამდიდრდა, როცა მისი ხელოვნება არნახულად დააფასა არამარტო ფრანგმა ხალხმა, არამედ ხელოვნების მოყვარულმა მსოფლიო საზოგადოებამ. თქვენ არ გიცდიათ მიბაძოთ მათ? იქნებ თქვენც იპოვოთ სიახლე, რომელიც მომავალ თაობებს ან კიდევ თქვენი შვილის, ზურაბის თაობას გამოდგება?

– ოცნებებისა და იდეების ძიების დრო ახალგაზრდობაა ან კიდევ შეძლებული ცხოვრება, შედარებით შეძლებული მაინც, როგორც ჩვენი წინა თაობა ცხოვრობდა და გვყავდნენ კიდევაც დიდი მხატვრები. მე ვიტყოდი, რომ ქართული სამხატვრო სკოლა საბჭოთა კავშირში კი არა, მსოფლიო ხელოვნების ფონზე იყო არამარტო წარმატებული, უძლიერესი, ჩვენთან ნამდვილი ტიტანები, გენიალური მხატვრები მოღვაწეობდნენ. მარტო მათ ლექციებზე დასწრება რად ღირდა...

– ახლა აღარ არიან?

– ახლა? ახლა აღარავინ აღარ დარჩა, თუ დარჩა ისინიც დათარგუნული, ხასიათწამხდარნი და გაჭირვებულები არიან, გაჭირვებული, ცხოვრებაზე ხელჩაქნეული ადამიანისგან დიდი ხელოვანი არც არასდროს დამდგარა, არც დადგება! იცით, თელავში ცხოვრობს ძალიან ნიჭიერი მოქანდაკე იასონ მაისურაძე. მას თქვენც კარგად იცნობთ ბერძენიშვილის სახელოსნოში მუშაობდა თბილისში. აკადემიის დამთავრების შემდეგ, თელავში რომ დაბრუნდა ფეხბურთელის, გივი ჩოხელის ძეგლი შეუკვეთეს... ბრწყინვალედ შეასრულა დავალება,

შესანიშნავი ნამუშევარია, და იცით რით დაასაჩუქრეს? მგონი ერთი ტომარა პურის ფქვილით... ამ ამბავმა შეიძლება გაგახსენოთ შალიაპინისა და ლენინის ინციდენტი, ლენინმაც მგონი თუ არ ვცდები ორი ტომრა კარტოფილი გაუგზავნა შალიაპინს მისი სიმღერის მოწონების ნიშნად... გასაგებია, მაშინ რუსეთი შიმშილობდა და არაფერი გააჩნდა ქვეყანას... შალიაპინს იქნებ ძალიანაც უნდოდა სამშობლოში ემღერა, მაგრამ იტალიაში გაიქცა და მსოფლიო საოპერო სცენები დაიპყრო. ჩვენი იასონი არსად გაქცეულა, კიდევ რამდენიმე შეკვეთა ჰქონდა ასეთივე მიზერული ანაზღაურებით, ვაჟა ფშაველას არაჩვეულებრივი თავი გამოაქანდაკა ერთხელ სკოლისთვის, მგონი ლაფანყურის სკოლა იყო... საფლავის გაკეთების შეკვეთაც ჰქონდა, მერედა რა... ამ უნიჭიერესმა კაცმა ხელი ჩაიქნია ცხოვრებაზე და ახლა დარდს ღვინოში კლავს. მე ამ მხრივ უკეთეს მდგომარეობაში აღმოვჩნდი, ალბათ თავის გადარჩენის ინსტიქტმა მძლია, და მთელი ეს წლები თავაუღებელ შრომაში გავატარე, ოჯახი მყავდა სარჩენი, ფიქრისთვისაც კი არ მეცალა... მძიმე დროში ვცხოვრობთ, ახლა ყველა დღეს პრაგმატული თვალით ვუყურებთ, ჩვენ ჩვენს თავს აღარ ვეკუთვნით, კარგია იდეების ძიება, მაგრამ ჩვენს პირობებში ეს შეუძლებელია, საზღვარგარეთ მხატვრები სხვაგვარად ცხოვრობენ, ჩვენი მდგომარეობა სულ სხვაა, იცით, აქ, საკუთარ მამულში არამარტო გვიჭირს ეკონომიურად, ხვალინდელი დღის შიშის გამო მორალურად ვართ დათრგუნულნი, და ეს ყველაფერი ერთად უფრო უარესია, ვიდრე მონეს გაჭირვება, თქვენ რომ ბრძანეთ წეღან, აი ხედავთ ამ ნაკეთობას? – იქვეე ქუჩაში, პატარა მაგიდიდან იღებს სამშვენისების შესანახ პატარა ხის ყუთს, და მაჩვენებს-სულ ჩუქურთმაა, სულ ხელითაა ნაკეთები, უძვირფასესი ნამუშევარია! მე ყუთს ვათვალიერებ, თითქოს უნაზესი, ხის წვრილი ძაფებითაა მოქსოვილი, მართლაც ულამაზესია.

– ვისია?

– ერთი ახალგაზრდა მხატვარია... საოცარი ხელი აქვს, მერე და იცით რამდენ ხანს უნდება ამის დამზადებას? და იცით როგორ ჰყიდის ამ ძვირფას ნივთს?

– როგორ?

– თუ კარგი კლიენტია და არ შეევაჭრება 200 ლარად, თუ არადა რამდენსაც მისცემენ... რა ქნას? ოცდაოთხი საათი ზის და ამ ჩუქურთმებს წნავს, ახვევს და ართავს... ძერწავს და ქსოვს ამ სასწაულ სილამაზეს, მერე და რა? პურის ფულსაც ვერ შოულობს. აი ეს არის ჩვენი რეალობა! უცხოელებიც კი არ იძლევიან რამეს, მაშინ როცა თავიანთ ქვეყანაში ასეთ ნივთს სულ ცოტა ორი ან სამი ათასი დოლარი დასჭირდება!..

მე ვიცი, იგი სიმართლეს ამბობს და... საშინელია ეს სიმართლე! ვცდილობ განვმუხტო დაძაბული სიტუაცია და ისევ ვეკითხები:

– ბატონო კობა, ვუყურებ თქვენს სურათს, ე.ი. თქვენს ნახატს... ...და მინდა გკითხოთ, რას ნიშნავს თქვენთვის, ან თუ გნებავთ ნებისმიერი მხატვრისთვის „იდეალური მანერა“? – ანტიკურობის აკადემიურ სტილს, რომლითაც რაფაელი, ტიციანი, ველასკესი და გოია ხატავდნენ, თუ უბრალოდ დღევანდელ გაუსაძლის ყოფაში შემუშავებულ თავისუფალი ხატვის მანერას, რომელიც აკადემიურსა და ტრადიციულს შორის არის და ფიროსმანისას უფრო დავარქმევ?

– ყველა მხატვარს თავისი საკუთარი ინდივიდუალური მანერა აქვს. ავიღოთ თუნდაც გოია, პუსენი, ჰალსი... ისინი აკადემიური სტილის მხატვრებია, მაგრამ ძალიან განსხვავებულები ერთმანეთისაგან. მანერა, იგივე ხელწერა თანდათან იღებს მისთვის, ე.ი. მხატვრისთვის იდეალურ სახეს... მასში ერთიანდება აკადემიური და ტრადიციული სტილი – თუ ის აკადემისტია (ასე ფრანგები ამბობენ), თუ არადა თვითნასწავლი მხატვარია, მასაც წლების მანძილზე ცხადია უმუშავდება თავისუფალი სტილი, როგორც ყველას–ფიროსმანივით თვითნასწავლ მხატვარს. რაც შეეხება იდეალურ მანერას, ესეც წლების განმავლობაში გამოუმუშავდება მხატვარს ინდივიდუალურად, რაც მისი, მხოლოდ მისი იქნება, მისი საკუთარი სახე და არაფრით ემსგავსება სხვისას.

– თუ მოგწონთ კურბე? მისი ქვისმთლელების შიშველი რეალიზმი ალბათ ძალიან ახლოსაა ქართულ რეალობასთან?

– დიახ, ახლოსაა, მაგრამ ქართული რეალიზმი უფრო საშინელია, და უფრო შიშველია! აქ ხომ სამუშაო საერთოდ არ არსებობს, თუნდაც ქვისმთლელის სამუშაოს ვერ იშოვნი... გახსოვთ, იმ ავადსახსენებელ 1992–3–4–5 წლებში ქართველ ხალხს ზარმაცები და მუქთახორებიც კი შეარქვეს... ეს იმათ შეარქვეს, ვინც ეს საშინელება დაატეხა ქვეყანას თავზე და ამით თავს იმართლებდნენ, თითქოსდა ქართველი ხალხი ზარმაცებად ჩამოყალიბდნენ საუკუნეების მანძილზე. აჰა, გავიდა წლები და მთელი მსოფლიო დარწმუნდა, რომ ერთ–ერთი ყველაზე მშრომელი ერი ვართ დედამიწაზე – არანაირ სამუშაოს შესრულებას აღარ ერიდება ქართველი ხალხი, ოღონდაც ოჯახები შიმშილით სიკვდილს გადაარჩინონ! ბათუმიდან თურქეთში გაყიდულ ჩამოწერილ გემებზეც კი მუშაობენ მიზერული ანაზღაურებისთვის, როცა კარგად იციან, რომ იმ გემზე მუშაობით სიცოცხლეს საფრთხეში იგდებენ და ასეცაა, რამდენი დაიღუპა და რამდენი დაიკარგა, რამდენიც ჩვენ არ გაგვიგია, ვინ მოსთვლის? თელავში მეზობელი მყავს, მალხაზი მაისურაძე – ახალგაზრდა კაცია და 6 შვილი ჰყავს... თან რა ბავშვები, ყველანი ერთმანეთზე უკეთესები... იმათი საცოდაობით სისხლი მეყინება ძარღვებში... ეს კაცი მუშაობით თავს იკლავს, მაგრამ... დღეში 5–10 ან უკეთეს შემთხვაევაში 20 ლარის ანაზღაურებით, ისიც ყოველდღე ვერ შოულობს სამუშაოს და ბავშვები ლამის შიმშილით დაეხოცოს... იცით, საშინი ის არის შიმშილმა ცუდი ჩვევები არ გამოუმუშაოს ბავშვებს. სად არის ამ დროს ქვეყანა და ხელისუფლება? მთავრობა მხოლოდ 10 ლარით ეხმარება თვეში (ერთ ბავშვზე), ეს ათი ლარი კი პურის ფულადაც არ ჰყოფნით, საშინელ სიღატაკეში ცხოვრობენ, სახლის გარდა არაფერი გააჩნიათ, სრულიად არაფერი... ქართველი ბიზნესმენები სიმდიდრეში იხრჩობიან, მიზერული სიკეთის გაკეთებაც კი უჭირთ, თუნდაც მშიერი ბავშვების დახმარება... თითქოსდა მათ მამაპაპისაგან დარჩათ მილიონები, ეს ფული არავინ იცის როგორ და რა გზებით მოიპოვეს და არ სჯობია მადლი ჰქნან და ღატაკ, მრავალშვილიან ოჯახს, ან ოჯახებს დაეხმარონ? – იცით, უმუშევრობა, შიმშილი, სიღატაკე და მდიდარი ხალხის გულქვაობა, შეუბრალებლობა გონებას აჩლუნგებს, ქართველი ხალხი გენეტიკურად ნიჭიერი ხალხია... სიღატაკემ კი... ჩაკლა ნიჭი! აბა მითხარით ამ განვლილ 20 წელიწადში რა შეიქმნა? ხელოვნების რომელ დარგში კეთდება რაიმე? მხატვრობა და ლიტერატურა საერთოდ მკვდარია, მუსიკაზეც ვერაფერს ვიტყვი.

-გეთანხმებით, ბატონო, კობა – ლიტერატურა ფაქტიურად აღარ არსებობს, ქართველი კაცი რომ წმინდა თამარს შეურაცხყოფს, ის ლიტერატურა არ არის, არც ისაა ლიტერატურა ზოგიერთი ტვინნაღრძობი ვითომდა მწერალი საკუთარ დედაზე რომ სისაძაგლეს დაწერს. ამ დროში გამსახურდია რომ ცოცხალი ყოფილიყო, ვერ დასწერდა აღმაშენებელს!!! ბატონო კობა თეატრში თუ დადიხართ?

– თეატრში? თეატრი და ოპერა ჩვენთვის აღარ არსებობს, თეატრი და ოპერა მათია, ვისაც ამდენი წვალება არ სჭირდება საარსებო საშუალების მოსაპოვებლად! ცუდია, რომ საზოგადოება კლასებად დაიყო, კიდევ უფრო ცუდია, რომ ჩვენს ქვეყანაში გარდამავალი, საშუალო შემლების ოჯახები არ არსებობს. აქ ან მდიდრები არიან, როგორც ისინი, ვისაც უმაღლესი ხელფასები აქვთ სახელისუფლებო ეშელონებში (იღიმება) ან კიდევ ღატაკები, როგორც ჩვენ...

– ბატონო კობა, კულტურის სამინისტროდან არის შესაძლებლობა რაიმე დახმარების მსგავსი რომ მოიპოვოთ?

– მგონი რაღაც პროექტი არის, და ვიღაცეებს ეხმარებიან, მაგრამ ეს ჩვენამდე არ მოდის, მე არც შემიძლია 24 საათი სამინისტროში ვიყურყუტო, არიქა ვკვდები შიმშილით და ლუკმა–პურის, ან საღებავების ფული მიწყალობეთ მეთქი, არა, მართლაც რომ შიმშილით მოვკვდე, ამას ვერ გავაკეთებ, ისე... მათ, იქ, ყველაფერი ჩვენზე კარგად იციან, იციან ვის როგორ უჭირს, მაგრამ... ასეა... ვერაფერს შევცვლით!

– თუ გაქვთ იმის საშუალება და დრო, რომ ხატოთ ის, რასაც ხედავთ, და როგორც ხედავთ ისე ხატოთ?

– არა! იმიტომ არა მაქვს დრო, რომ დღის განმავლობაში აქ უნდა ვიყო დამდგარი და ველოდო კლიენტს, ძალიან ცოტა დროს ვიტოვებ იმისთვის, რომ ახალი სურათი დავამზადო, ან ასლი გადავიღო, ესაა და ეს... შემოქმედება აღარ არსებობს, შთაგონებაზე ლაპარაკიც ზედმეტია!

– მაგრამ თქვენ მაინც ხატავთ, და ალბათ ის დროა თქვენთვის განსაკუთრებული, სასიამოვნო და ბედნიერი! რას განიცდით როცა ხატავთ? აღმაფრენას? დაღლილობას? თუ... სიმშვიდეს? ან კიდევ მშობიარე ქალის ფიზიკურ და სულიერ ტკივილებს ხომ არ გრძნობთ, რომელსაც ერთი სული აქვს თავის პირმშოს შეავლოს თვალი? მისი შემოქმედების ნაყოფის დანახვა ენატრება და ეჩქარება... ასე ამბობდა დიდი კანსტანტინე, როცა „მთვარის მოტაცებასა“ და „დავით აღმაშენებელს“ წერდა და თავის მოლოდინს მშობიარეს მოლოდინს ადარებდა!

– ასეთი გრძნობები და ემოციები სტუდენტობისას მქონდა, მერე გამყვა კიდევ ცოტა ხანს... მაშინ ვცდილობდი 24 საათი მემუშავა, თუ რაიმე ღირებული დამიხატავს, იმ პერიოდისაა, ახლა ვერაფერს ვქმნი, რასაც ვყიდი, ეს არაა სულიდან ნაკარნახევი, ეს ბაზრის მოთხოვნაა და მეტი არაფერი!

– ბატონო კობა, მე მახსოვს, თქვენ თოიძის დამთავრების შემდეგ სავალდებულო სამხედრო სამსახურში იყავით მურმანსკში, იქ თქვენ დახატეთ თქვენი მოხუცი ბებიის გენუშას სურათი, რომელმაც უდიდესი წარმატება მოიპოვა მთელ საბჭოთა კავშირში, სადღა არ იყო გამოფენილი... მინდა გკითხოთ, გამოფენებში თუ იღებთ მონაწილეობას?

– (იცინის) ჩემი გამოფენა აქაა, სხვაგან არსად არ ვფენ ჩემს სურათებს, გალერეიები ძალიან ძვირი ღირს, ოცნებაც კი არ შეიძლება, თუ მას პრაქტიკული მხარე ცოტათი მაინც არა აქვს!

– ვან–გოგი გაჭირვებამ და შიმშილმა სიგიჟემდე მიიყვანა, მაგრამ ხატვისთვის, საკუთარი იდეებისთვის არ უღალატნია, რატომ ხდება დღეს ჩვენში, რომ მხატვრებმა თავიანთი ხელოვნება ხელობად აქციეს? იქნებ იმ მყიდველის ბრალია, რამელიც სურათის ღირსებაში ვერ ერკვევა და ასლს უფრო აფასებს, ვიდრე ორიგინალს და ღირსეულს? შეიძლება ასეთმა მიდგომამაც გაუფუჭა ხასიათი ჩვენს მხატვრებს?

– არა, არც ასეა საქმე, ცხადია ღირსეული და ღირებულიც ბევრია ჩვენთან, მაგრამ არა იმდენი, რამდენიც გვინდა რომ იყოს. მთავარი კი ისაა, რომ ქართველი კაცი ბუნებით ამაყია, ეს სიამაყე კი... ამ წლებმა სადღაც გადაკარგა... გაჭირვებამ დაგვთრგუნა, უსახსრობამ ხასიათი მთლიანად წაშალა და... ემოციებისგან დაიცალა ხელოვნება... სულ ცოტა ხელისშეწყობა მაინც რომ გვქონდეს, ცოტა დახმარება... ეს უკვე ჩვენთვის ძალიან ბევრი იქნებოდა... აღმაფრენის შეგრძნება ცოცხალი ძალაა და ის ისე არ მოვა, თუ ხვალინდელი დღის იმედი არ გვექნება, ხელოვნება ძალიან სათუთი რამეა, ხელის შეწყობა, მოფრთხილება სჭირდება, ამისთვის კი... მარტო საკუთარი ძალები არ გვყოფნის.

– იყო თუ არა თქვენს ცხოვრებაში პერიოდი ბუნების სასწაულთა ჭვრეტისა და ფერადი ლეგენდების შექმნისა? რაც დამეთანხმებით ყველა ნიჭიერ, მოაზროვნე მხატვარს შეაქმნევინებს გენიალურ ტილოებს?

– ამ განცდის გარეშე ალბათ არ შეიძლება იცოცხლოს არამარტო ზენიჭიერმა ხელოვანმა, არამედ ჩვეულებრივი ნიჭის პატრონმაც! ეს განცდა უბრალო მოქალაქეებსაც აქვთ და დიდი ბედნიერეებაა, როცა გაქვს! ცხადია მეც მქონია, მთელი ჩემი ახალგაზრდობა ამ აღმაფრენით გავატარე, ველოდებოდი დღეს, როცა სასწაულს შევქმნიდი... ახლაც ხშირად ვყოფილვარ ამ გრძნობის ქვეშ, მაგრამ რეალობა ისეთი მწარეა, ჩაქუჩივით ჩაგარტყამს თავში... და ყველაფერს უკვე სხვა თვალით ხედავ. რაც შეეხება მყიდველს, ის თქვენ წელან ახსენეთ, იგი არაფერ შუაშია! აქაურობა ხომ ჩვეულებრივი ბაზარია, ყველაფერს თავისი შესაფერისი მყიდველი ჰყავს, ის მყიდველი კი ცდილობს პრაქტიკული იყოს და იაფი გადაიხადოს, რას ვიზამთ, ასეა!..

მე უკვე გითხარით, რომ ოცნებების დრო ფაქტიურად აღარც გვრჩება ჩვენ, მხატვრებს, ვინც აქ ვდგავართ, ოცნებების, ბუნებასთან და ცხოვრებასთან ახლო კავშირის გარეშე (ჩვენ ხომ არ ვცხოვრობთ, ჩვენ აქ ვდგავართ მხოლოდ...) დამეთანხმებით არ შეიქმნებოდა გოიას „შიშველი მახა“ ან მანეს „პიონები“, დეგას „მოცეკვავე ქალები“, რენუარის „გაბრიელა“, ვან–გოგის არლის და გოგენის ტაიტის სურათები. ეს შედევრები ოცნებამ და აღმაფრენამ შექმნა, რაც ჩვენს სინამდვილეში თითქმის შეუძლებელია, წარმოუდგენელია! რომ შექმნა, ამისთვის საჭიროა იცხოვრო, შეიგრძნო, იაზროვნო, ემოციებით დაიტვირთო... სხვაგვარად ვერაფერს შექმნი ღირებულს... დიახ... უნდა იცხოვრო... უნდა იცხოვრო... ჩვენ კი ვერ ვცხოვრობთ... ჩვენ მხოლოდ ვარსებობთ... იცით??? პირუტყვების მსგავსად... და იქნებ მათზე უარეს მდგომარეობაში ვართ და...

...მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ქმნით, მაინც იხარჯებით... და ეს აუცილებელია სულიერი კვდომა რომ აიცილოთ თავიდან და იცოცხლოთ, იცოცხლოთ, როგორც ხელოვანმა... ახალი სიცოცხლე რომ მისცეთ ახალ ფერებს, ახალ სახეებს, ბატონო კობა მითხარით. ნაწარმოებში მთავარი ის არის, რაც არ თქმულა, როგორც ამბობდა გოგენი? თქვენს შემოქმედებაში იზიარებთ მის აზრს?

– დიახ... ნებისმიერი მხატვარი, გინდაც მე... როცა ვხატავ, მთელს ჩემს განცდას, ემოციას, აზრს ვდებ სურათში, მაგრამ ამის ამოკითხვა უმეტეს შემთხვევაში არ ხერხდება, მნახველი ნახატზე გამოსახული ფიგურების შიგნით, სიღრმეში უნდა ჩასწვდეს მის აზრს, შინაარსს. სურათი სიბრტყეზე მოცემულ თემას იძლევა ფერებით წარმოსახულს, ფერები სიცოცხლე და აზრია, აზრი კი მნახველმა უნდა ამოიკითხოს, მე მხოლოდ ეს შემიძლია გითხრათ!

– რომელი მიმდინარეობა გიტაცებთ მხატვრობაში? როგორ ხატავთ? რეალურ საფუძველზე, ნატურით, ინდივიდუალური ხასიათით თუ სილამაზის ანტიკურ იდეალს სცემთ თაყვანს?

– როგორ გითხრათ, იმ ბედნიერ წლებში, როცა ოცნებებითა და ემოციებით ვიყავი დატვირთული და ვხატავდი დღე და ღამე, ცხადია ჩემი საკუთარი შეხედულება მქონდა სილამაზეზე... მაგრამ ეს არ ნიშნავს გამოვრიცხო ანტიკური სილამაზისადმი თაყვანისცემა! იგი ყველა მხატვრისთვის (აკადემიურ განათლება მიღებულს ვგულისხმობ) აუცილებელი სკოლაა! იგი წიგნია, წიგნი, რომელიც კარგად უნდა შეისწავლო, ისე კარგად, რომ ნებისმიერ დროს შეგეძლოს თვალდახუჭულმა გადაშალო სასურველ გვერდზე და სწრაფად ჩახედო შენთვის აუცილებელ ფურცელს, სახეს, იდეალს... დიახ, მე თაყვანს ვცემ სილამაზის ანტიკურ იდეალს!

– რა არის მხატვრის შემოქმედებაში მთავარი–ტექნიკა? სული? გონება? თუ... სიუჟეტი?

– ყველაფერი ერთად, სხვაგვარად არაფერი გამოვა.

– რამდენი სეანსი გჭირდებათ ტილოზე ჩანაფიქრის ან ნატურის გადასატანად? გოგენის აზრით – „სურათი ერთ სეანსში უნდა დახატო, თუ არადა არაფერი გამოვა, სწორებას თავიდან დაწყება სჯობიაო“ – ეთანხმებით?

– დღევანდელ პირობებში ასეა, არც არის იმის დრო, რომ ასწორო, ერთ სეანსში რაც გამოვა, ის არის...

– რაში გამოიხატება ფერწერის ენაზე შესრულებული ხედვის ინდივიდუალური ხერხი? და ეს ხერხი ახასიათებთ თუ არა დიდ მხატვრებს?

– რა თქმა უნდა... ყველა დიდ მხატვარს და არამარტო დიდს, ყველას, როგორც უკვე გითხარით თავისი ინდივიდუალური ხერხი, იგივე ხატვის მანერა აქვს, რითაც გამოირჩევიან სხვებისგან... ისევე, როგორც მწერალს... გადაშლი თუ არა, პირველივე წინადადებიდან იცნობთ კონსტანტინე გამსახურდიას... დიახ, ყველა თავისებურად წერს, ისევე, როგორც ყველა თავისებურად ხატავს... ეს არის ხელოვანის ხერხიც და მანერაც...

– ტულუზ–ლოტრეკმა თქვა, „მე ვცდილობ მხოლოდ სიმართლე ავსახო და არა იდეალი“ და მან განუმეორებელი სიცოცხლე მიანიჭა პარიზის ჭაობს, მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს, ასევე ფიქრობდა ვან გოგი და მის თეთრ ვარდებს გასაოცარი სიცოცხლით უფეთქავთ პაწაწინა, თითქმის შეუმჩნეველი ვარდისფერი ძარღვები, თქვენ როგორ ფიქრობთ, ყოველთვის შეიძლება მოახერხო ეს?

– ალბათ არა! ეს რეალური სიცოცხლე შედევრების კუთვნილებაა.

– როგორ აღწევთ სინათლის ეფექტს–ხაზით, ფერით თუ შუქ–ჩრდილებით?

– შუქ–ჩრდილების ფონზე ფერების გამოყენებით, იმპრესიონისტების მიგნებაა, რამაც მხატვრობაში ახალი სიტყვა თქვა.

– ედგარ დეგა მთელი სიცოცხლის მანძილზე ცდილობდა ჩასწვდომოდა ვენეციური კოლორიტის „საიდუმლოს“ და ვერ შესძლო. თქვენ როგორ ხსნით ამ ფაქტს? დეგა ხომ ენგრის უნიჭიერესი მოწაფე იყო და ბრწყინვალედ ჰქონდა შესწავლილი იტალიური სკოლა. თუ გავითვალისწინებთ მის უდიდეს ნიჭსა და ოსტატობას, მას არ უნდა გასჭირვებოდა ვერონეზეს გასაოცარი ფერების შესისხლხორცება. ხომ არ დამეთანხმებით, რომ ეს „საიდუმლო“ მხატვრის, ე.ი. ვერონეზეს თვალთახედვის ინდივიდუალური მანერა იყო და მე–19 საუკუნის ცივი და მკაცრი რეალიზმის მეფობის პირობებში ნიადაგი აღარ არსებობდა მისი აღორძინებისთვის?

– არც დეგას და არც მის მომდევნო თაობას არ უპოვია ვერონეზეს ფერების გასაღები და ცხადია ეს რეალიზმის დამკვიდრების დრომ მოიტანა მხატვრობაში. ამის დასადასტურებლად შეგვიძლია გავიხსენოთ მანეს შედევრი „ოლიმპია“. ეს არის შიშველი ქალის სურათი, რომელიც წევს. იგი ყოველგვარი მორცხვობის გარეშე წარმოაჩენს თავის სიშიშვლეს და გამომწვევად გამოაქვს სააშკარაოზე ვნება და სხეული. აქ არ არის საუბარი კომპოზიციასა და ფერებზე, თუმც ერთიც და მეორეც უნაკლოდ სრულყოფილი სინატიფითაა მოცემული, აქ მთავარია ნატურის ხასიათი, მისი ხელშესახები რეალური სიცოცხლის უნარიანობა ატყვევებს მნახველს! მე–19 საუკუნის ფრანგული ბუნების თავისუფლებისმოყვარე პოლიტიკამ თავის წიაღში წარმოშვა სოციალური პოლიტიკა. სოციალურმა პოლიტიკამ თავის კანონებს დაუქვემდებარა ხელოვნების ყველა დარგი, ასე რომ ვთქვათ, გააშიშვლა ხელოვნება და სრულ რეალიზმამდე აიყვანა იგი. მხატვრებმა მას შიშველი რეალიზმიც კი უწოდეს. ხელოვნების ყურადღების საგნად იქცა უბრალო ადამიანების ყოფითი დეტალები, მათი ხასიათების წარმოჩენა, ოღონდაც ბუნებასთან ერთად და ბუნებასთან მიმართებაში. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო ფრანგი მხატვრების გასვლა ბუნებაში და ბუნების ხატვა. გასულ საუკუნეებში თუ იტალიური და ჰოლანდიური სამხატვრო სკოლა ითვლებოდა უმაღლეს მიღწევად, მე–19 საუკუნიდან ფრანგულმა სკოლამ სრულიად ახალი სიტყვა თქვა მხატვრობაში, და ეს იყო იმპრესიონიზმის მიმდინარეობა და ეს მიმდინარეობა შედეგია სწორედ რეალისტური მიმართულების დამკვიდრებისა მხატვრობაში... დიდ მხატვრობაში, ასე ვიტყოდი მე!..

– ბატონო კობა, რით შეიძლება განვასხვავოთ ძველი კლასიკოსებისა და იმპრესიონისტთა ნამუშევრები? რა არის მათში ახალი? დავაზუსტოთ, თუ შეიძლება, მკითხველს აინტერესებს ეს საკითხი!

– ახალი? რა არის და სინათლე. სინათლე ფერში, ეს საოცრებაა! და ეს საოცრება, მათ, იმპრესიონისტებმა შემოიტანეს ფერწერაში! იმპრესიონიზმი–საერთოდ ნიშნავს – გადატრიალებას შეგრძნებისა და ხედვის მანერაში. ამ მიმდინარეობამ გარდაქმნა არამარტო ფერწერა, სკულპტურა, მუსიკა, ლიტერატურა... მე–19 საუკუნე იმპრესიონიზმის საუკუნეა! მონემ (იყო ასეთი დიდი მხატვარი კლოდ მონე) იმპრესიონიზმის სიმბოლიკაც კი შექმნა სინათლის სახით. მის შემოქმედებაში სინათლე არის ფერების განუწყვეტელი ვიბრაცია, რაც მათ კოსმოსის სიცოცხლის თანაზიარად ხდის, ესაა ბუნების ზეიმი, ესაა ნამდვილი ხელოვნება და ამ ზეიმს ბუნებასთან შესისხლხორცებულს, ამ სიხარულს ფერების აბსოლუტური ჰარმონია და ფორმის სრულყოფილება ქმნის! მოგვიანებით იმპრესიონისტები გავიდნენ ბუნებაში, ე.ი. მათ გამოთქვეს პლენერის, ანუ ღია ცისქვეშ ხატვის სურვილი! რაც შეეხება სინათლეს, მან სასწაულები მოახდინა ფერწერაში! სინათლემ უკვდავყო აქამდე უძრავი კლასიკური ფიგურების მოძრაობა, ე.ი. სინათლის ეფექტებმა და ანახა იპერესიონისტებს მოძრაობის უზარმაზარი როლი ფერწერაში, ე.ი. დავასკვნათ რომ – რა არის სინათლე? – სინათლე ფერწერაში არის განუწყვეტელი კოსმიური ვიბრაცია, რომელიც მთლიანად გამორიცხავს კონტურის უძრაობას და პოზას გადააქცევს სიცოცხლის უნარიან მოძრაობად, რაც სურათს სიმსუბუქეს და მომხიბვლელობას ანიჭებს, შინაარსს აღრმავებს. იმპრესიონისტების ფერწერაში თვითონ შუქ–ჩრდილები მოძრაობენ, ე.ი. როგორც ისინი უწოდებდნენ „სინათლე ცეკვავს ნახატში“. შუქ–ჩრდილების საშუალებით აიხსნება სურათის შინაარსი, იხსნება კომპოზიცია და აზრი ემატება ფერებს, ისინი ემოციურნი ხდებიან, დამატყვევებელნი... შუქ–ჩრდილების კონტრასტები აღრმავებს ხედვას და მისი ტონის მოძრაობა, რომელიც მხატვრის ხელოვნებაზეა დამოკიდებული, მუსიკალურს ხდის ფერებს. ფერის ჟღერადობა

იმდენად აშკარაა იმპრესიონისტთა შედევრებში, რომ მნახველი მონუსხული ჩერდება საათობით ნახატის წინ! აი ესაა ნამდვილი ხელოვნება! და სწორედ ესაა მათი მიმდინარეობის განმასხვავებელი შუა საუკუნეების აკადემიურ სტილთან! იმპრესიონისტული სტილის რეალიზმი უკიდურესად გამარტივებული ფორმით შემოგვთავაზა ექსპრესიონიზმმა. გამარტივებული ფორმა კი თავისთავად დრამატულს ხდის შინაარსს და ზოგჯერ კომპოზიცია ნატურალისტურიც ხდება.

– გიცდიათ თუ არა სივრცის სიღრმეში განვითარების იდეას ჩაწვდომოდით?

– დიახ... და ეს აუცილებელიც იყო... აკადემიის დამთავრების შემდეგ პირველი წლების სურათები ამ სტილით მაქვს შექმნილი.

– ბატონო კობა, რა ქმნის, როგორ მიიღწევა ჰარმონიული კოლორიტი?

– ჰარმონიულ კოლორიტს ტონების ანალოგია ქმნის და მაშინ სიცოცხლე ფუნჯის ყოველ მოსმაში იგრძნობა!

– ვან–გოგს სურდა მისი სურათები ყველასათვის ადვილად გასაგები ყოფილიყო, სურდა სულის გამოხატვა ფერების საშუალებით, თქვენი აზრით, რამდენად შესძლო მხატვარმა ეს?

– დიახ, შეძლო, და შეძლო ბრწყინვალედ! მხოლოდ ორ სურათს დავასახელებ: „ლა–კროსა“ და „ჩიბუხიან კაცს“, – ესენი ის გენიალური ტილოებია, რომელთა მსგავსი იშვიათად მოიძებნება მსოფლიო ფერწერაში. ამ სურათებში ყველაფერი ღირებული და დიდებულია, უბრალო წერტილიც კი! ის საღებავებს ყოველთვის თვითონ იმზადებდა, და იმზადებდა საოცარ ფერებს და მათი, ე.ი. ამ სურათების არაჩვეულებრივად მტკიცე და დიდებულ ფერთა გამასთან შერწყმულია იშვიათი სიმკაცრით გადმოცემული, დახვეწილი ფორმა! ეს სურათები თუ შეიძლება ვთქვა, რომ... ჯადოსნური შედევრებია! შედევრებში კი უპირველესად სულის მოძრაობაა გადმოცემული, თუნდაც ამ სურათებში, თუნდაც ვან–გოგის ჯადოსნურ „ჩიბუხიან კაცში“... სულის გამოხატვა ფერების საშუალებით იგივე სულის მოძრაობაა, იცით, ოდესღაც მორიაკმა თქვა „როგორ გინდა სულის მოძრაობის აღწერა, თუკი ღმერთი არ ახსენე?“ ჩემი აზრით ყველა დიდებული ნახატი, ყველა შედევრი – ეს უფლის მადლია. ჩვენ ბევრჯერ ვახსენეთ ხატვის, იგივე წერის მანერა, რომელიც სხვა არაფერია თუ არა ავტორის სულის გარეგნული ფორმა. მისი პროექცია! განა ვინმემ უნდა გაიცხოს მანე იმის გამო, რომ იგი წერდა ტილოებს მანეს განწყობილებით? ან რატომ უნდა უსაყვედურონ გრეკოს, სწორედ მისეული ე.ი. გრეკოს სულით გაჟღენთილი ტილოების შექმნისთვის? იცით, კორო ხშირად იმეორებდა: „ნუ მელაპარაკებით ნატურაზე – მე მხოლოდ კოროს ტილოებს ვხედავ“! მხატვრისთვის მანერა, იგივე სტილი – ტექნიკის საფუძველია! შემოქმედის სტილი არ იცვლება, ყველას თავისი საკუთარი, განუმეორებელი სტილი აქვს... სტილის სიწმინდისათვის აუცილებელია მოკრძალება და გამუდმებული მცდელობა და ზრუნვა მისი მუდმივი დახვეწისთვის. იცით, როცა ამ საკითხებზე ვსაუბრობთ, ჩაპლინი მახსენდება, იგი მძლავრად შეარხევდა ხოლმე ხეებს და ამბობდა, „ხეზე მხოლოდ ის უნდა დატოვო, რაც ტოტებს შერჩება“... ისტორიას მხოლოდ შედევრები რჩება... შედევრები, რომლებიც ღვთაებრივი სიცოცხლითა და სილამაზით არიან სავსე... დანარჩენი წარმავალია სიცოცხლესავით... იცით, მიქელანჯელოს ჰქონდა უნარი განუმეორებელი სილამაზე ეპოვა თუნდაც... მარმარილოს ნატეხში!...

– ბატონო კობა, ქართველ მხატვრებში თუ გეგულებათ, ვერ გავბედავ ვთქვა ვან–გოგის მსგავსი მეთქი, მაგრამ...

– რატომ? ქართველი მხატვრები თავიანთი საქმის დიდოსტატები არიან! ჩვენ გვყავს დიდი მხატვრები, მაგრამ მათ ფართო საზოგადოება არ იცნობს.

– ვის გულისხმობთ?

– დავით კაკაბაძეს! ის ძალიან დიდი მხატვარი იყო, გინახავთ მისი ავტოპორტრეტი?

– დიახ, მინახავს, ოღონდაც ასლი.

– კაკაბაძე დიდი მხატვარი იყო, თოიძეც, გაბაშვილიც, ახვლედიანიც, ჯაფარიძეც! დღეს მათ აღარავინ აღარ ახსენებს... თანამედროვე ქართული მხატვრობა კი, ჩვენს წინა თაობას თუ არ ვიგულისხმებთ, რადგან ისინი მაინც ძველი თაობაა–თოდრიას, ნიჟარაძეს ვგულისხმობ ე.ი. მათ შემდეგ, ე.ი. თანამედროვე ქართული მხატვრობა კი... ვიტყოდი რომ... ჯერ–ჯერობით აღარ არსებობს, უბრალოდ შესვენებაა, დიდი შესვენებაა ქართულ მხატვრობაში გამოცხადებული და ისევე როგორც ქართულ ლიტერატურაში და საერთოდ ქართულ ხელოვნებაში! თავის დროს ელოდება, როგორც ლუხუმი... გახსოვთ ალბათ ვაჟადან...

– დიახ, მახსოვს, ან კიდევ მისი დავიწყება უბრალოდ შეუძლებელია... ბატონო კობა, როცა ხატავთ, თქვენს წარმოსახვაში ფერების უღერადობას თუ უსმენთ, თუ გრძნობთ მუსიკას?

– მუსიკის გარეშე მხატვრობა არ არსებობს, მუსიკა თან ახლავს ყველა ფერს, ფერს თვითონ აქვს გარკვეული ჟღერადობა, და როცა ბრწყინვალე ნახატს უყურებ, ჰარმონიული ფერებით დატვირთულს, როგორიც ლა კროა, გოგენის „მიცვალებულთა სულნი ფხიზლობენ“ ან რენუარის „გაბრიელა“ – მთელი შენი სული ივსება საოცარი მუსიკით... ბეთხოვენით, მოცარტით... ვივალდით... დიახ, ... ყველა ფერს თავისი, საკუთარი, განსაკუთრებული ჟღერადობა აქვს და იცით... აი ეს არის ღვთაებრივი სასწაული, დიახ არა ვერ გამოვთქვი, – ღვთაებრივი ნიჭი, რომელმაც შექმნა ეს ტილოები თვითონ არიან ღვთაებრივი სასწაულები, ფერწერა – მუსიკაა ფერებში გადმოცემული, და ამას ჩვენ მხატვრები ყოველწუთიერად ვგრძნობთ, უბრალოდ ჩვენ გამუდმებით სავსე ვართ ამ მუსიკით და ამის შედეგია ეს ფერები რასაც ჩვენს ტილოებზე ხედავთ...

– ბატონო კობა, თქვენ როგორ ფიქრობთ, ხელოვნება, ე.ი. ფერწერა შეიძლება დავუმორჩილოთ რაიმე კანონებს?

– უნდა გამოირიცხოს რელიგიური ფერწერა, მართლმადიდებლური! ის არ არის ჩვეულებრივი, იქ ყველაფერი არაჩვეულებრივია და ღვთაებრივ ძალას ემორჩილება, ღვთაებრივ კანონებს! მაგრამ სულ სხვაა ყოფითი ფერწერა, იგი არ ემარჩილება ბუნების და საერთოდ არავითარ ადამიანურ კანონმდებლობას და ნებისმიერი მხატვრის ხელში მისი ფუნჯი, მისი ნახატები, ე.ი. მისი ხელწერა ავტონომიურია, მისი საკუთრებაა. იგი იმ ხელოვანის სახეა, რომელიც მას ქმნის!

– ბატონო კობა, თქვენი კურსდამთავრებული მეგობრებიდან ბევრნი მოღვაწეობენ საქართველოში?

– არა, აქ თითქმის აღარავინაა დარჩენილნი არამარტო ჩემი მეგობრები, აკადემია დამთავრებული ქართველი მხატვრები თითქმის გადაიხვეწნენ აქედან. როგორ გითხრათ, და... ევროპამ ისინი კარგად მიიღო. საბერძნეთში ძალიან ბევრნი არიან წასულები, იტალიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, ბელგიაში, დანიაში, ჰოლანდიაში, სად გინდათ, რომ არ იყვნენ და... იცით, სადაც არიან, იქ კარგად არიან! კარგი პირობები აქვთ, დიახ, კარგი პირობები შეუქმნეს მასპინძლებმა და ისინიც საკმაოდ წარმატებული მხატვრები არიან.

– თქვენ?

– მე ვერ მივატოვე აქაურობა და... ჩემი ცოლ–შვილი, მშობლები, იქნებ შევცდი? ალბათ...

– არა ბატონო კობა, არ შემცდარხართ... ყველა ხომ არ გაიქცევა აქედან? ვიღას უნდა დაუტოვოთ ეს ქვეყანა, რომელიც ჩვენი მამულია?

– დიახ... მაგრამ... აქ ცხოვრების საშუალება არ არის; მე არ ვიცი, პოლიტიკოსი არა ვარ, მაგრამ ვხვდები, რომ აქ ჩვენ არავის ვჭირდებით... და იცით როგორ ვგრძნობთ თავს? როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, ისეა ჩვენი საქმე–ვინც აქ ვდგავართ და პირადად ჩემი... ერთად–ერთი შვილი მყავს, მინდა კარგი ქართველი გაიზარდოს, მაგრამ... დამეთანხმებით, ამისთვის მარტო გენეტიკური მონაცემები არ კმარა, აუცილებელი ყოფილა ეკონომიკური ბაზა! ადრე ეს არ იყო საჭირო, სწავლა უფასო იყო და ნიჭიერი, მშრომელი კაცი ყოველგვარი „კრიშის“ გარეშეც გაიკაფავდა გზას ცხოვრებაში! ჩვენს წინა თაობას ვაჭრობა და სხვადასხვანაირი გზებით ფულის შოვნა ესირცხვილებოდა... დღეს აღარაფერია სირცხვილი და ამ უსირცხვილობაში იზრდებიან ჩვენი შვილები, ჩვენი მომავალი თაობა, ეს კი დიდი ტკივილია ჩემთვის.

– დიახ, ბატონო კობა, მართალი ბრძანდებით, ყველა ღირსეული ქართველი ამ დღეშია, ალბათ აქაც დალაგდება ყველაფერი, ცივილიზებულ ქვეყნებში მორალურ ფასეულობებს დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩვენთან რაც ხდება... ეს ალბათ გარდამავალი პერიოდის ბრალია, ოღონდაც ძალიან დიდხანს გაგრძელდა ეს გარდამავალი პერიოდი – უკვე ოცდამეორე წელია, და ეს ძალიან დიდი დროა, ძალიან დიდი დრო... საზღვარგარეთ, ხშირად რომ ვახსენებთ, იმ ცივილიზებულ ქვეყნებში ქვეყნის ყველა მოქალაქეს აქვს დაზღვევა, უმუშევრებს სოციალური დახმარებები, ბავშვებსაც სრულწლოვანებამდე სპეციალური დახმარება ეძლევათ. იმ ქვეყნებში ყველა დაბასა თუ ქალაქში არის წითელი ჯვრისა და მუნიციპალური საავადმყოფოები, თავშესაფრები უბინაოებისთვის და სათნოების სახლები – გაჭირვებული ოჯახებისთვის, ამ მხრივ ჩვენთან ჯერ–ჯერობით არაფერია მოწესრიგებული და...

– და ავადგახდომის გვეშინია. ამის თქმა გინდოდათ არა? მე უკვე რამდენჯერმე გადავიტანე ფეხზე გაციებაც და ანთებაც. რა ვქნა, სხვა საშუალება არ არის! ყველაფერი ღვთის ნებაა! არაწესიერად ვცხოვრობთ ალბათ და უფალია ჩვენზე განაწყენებული! ამდენი უბედურებაც ამიტომ გვჭირს.

– ბატონო კობა, უფლის იმედით ვართ და უნდა ვიყოთ, გული არ გაიტეხოთ, ხვალინდელი დღე უკეთესი იქნება, მითუმეტეს მაშინ, როცა მამულის მიწაზე მყარად გიდგათ ფეხი და დილა თქვენს ბედნიერ ოჯახში გითენდებათ!

– ერთად–ერთი და ყველაზე დიდი ბედნიერება ეგ არის და ამისთვის ღირს სიცოცხლეც და აქ დგომაც!

– დიდ მადლობას გიხდით, ბატონო კობა ამ გულღიასაუბრისთვის.

P.S

მრჩება მწარე სინანულის განცდა, რომ ჩვენი დროის გამორჩეული და დიდი მხატვრის, გასაოცარი ფერებისა და პეიზაჟების ავტორის კობა ბერელიძის ნიჭი და შემოქმედებითი ენერგია ასე უმიზნოდ იხარჯება და ყოველდღიური საარსებო საშუალების საზრუნავს ეწირება!.. აი ეს არის ქართული სინამდვილე და ქართული რეალობა დღეს!... ვინ ზრუნავს ქართული ხელოვნების აღორძინებისათვის? არავინ ბატონებო!... სრულიად არავინ!...

მანანა ვახტანგაძე

There is big break in Georgian Painting art
Meeting with painter Koba berelidze

Summary

I wish I had been speaking to my readers about Georgian Montmartre, which is located under the “dry bridge” and you can go to exhibition and sale every day. Here you can meet academists, this is how French painters call graduates from academy, professional Painters and self-educated painters like great Pirosmani.

Today our guest is academist Koba berelidze.

Manana Vakhtangadze

В грузинской живописи обьявлен перерыв.
Встреча с живописцем Берелидзе Кобой

Резюме

Давно было у меня желание вести разговор с моими читателями о грузинском Монмартре, т.е. о Тбилисском сухом мосте, вернисаже под открытим небом и о художниках, чьи выставки - продажи картин повседневно возможны. В жаркую или в холодную погоду здесь всегда встретитесь с академистами, как называют французы,академическим стилем и на античеських художественных традициях выращённых, академию завершенных професиональных художников - самоучков, как Пиросмани, имеющих свободный стиль, для которых не имеет большое значение академические линии и цветовые сочетания для целостности композиции.

Манана Вахтангадзе



„ხელოვნება-მხატვრის მიერ ჩამოყალიბებული
სინამდვილეა, სტილში გამოვლენილი მისი
ტემპერამენტის დამღა რომ ადევს.“

ანდრე მორუა

თანამედროვე ქართული ხელოვნების მომავალი...

ზურაბ ბერელიძის ფერწერა

მშრალი ხიდის მასპინძელს მხატვარ კობა ბერელიძეს სახლში ვესტუმრეთ. ამჯერად მინდოდა მისი ვაჟის, ზურაბის ფერწერული ტილოები მენახა და მერე ჩემი აზრი მეთქვა თანამედროვე ქართული მხატვრობით დაინტერესებული მკითხველისთვის.

კარის ზღურბლიდანვე საოცარი სიმშვიდე შემოგვეგება. ბატონი კობას მეუღლე, ქალბატონი ნატო ექიმი – ნევროპათოლოგია. მისი ბავშვობის დროინდელი გატაცება მხატვრობაა, კედლებზეც კობასა და ზურაბის ნახატების გვერდით მისი რამდენიმე მხატვრული ნაქარგობაცაა ჩარჩოში ჩასმული. აქ ყველაფერი საოცარი სისადავით ბრწყინავს. ბინის ერთი ოთახი სახელოსნოდაა ქცეული. იქ დაუმთავრებელი სურათები, ესკიზები, მოლბერტები, საღებავები, ჩარჩოზე გადაჭიმული ტილოები და მხატვრისთვის საჭირო სხვადასხვანაირი ნივთებია შენახული.

კობა ბერელიძის ერთადერითი ვაჟი, ზურაბი ჯერ მხოლოდ 16 წლისაა, მაგრამ ზრდასრული მამაკაცივით დინჯი და მშვიდია. გაწონასწორებული ხასიათი იგრძნობა მასში.

ქ–ნმა ნატომ მისაღებ ოთახში შეგვიპატიჟა. მომხიბვლელი და უაღრესად ელეგანტურია იგი. კობას ბავშვობის დროინდელ ცხოვრობისეულ ეპიზოდს გვიამბობს ცოცხალი იუმორით შეზავებულს:

„– თელავს შესანიშნავი სამხატვრო სკოლა აქვს. სკოლის წარმომადგენლები საშუალო სკოლებში დადიოდნენ ადრე ნიჭიერი ბავშვების შესარჩევად. კობას კლასიდან კობა და მისი ერთი მეგობარი აურჩევიათ – და მშობლებთან ერთად სამხატვრო სკოლაში დაუბარებიათ. მაგრამ... მშობლებმა კობას უარი უთხრეს, საშუალება არა გვაქვს და სამხატვრო სკოლაში ვერ გატარებთო (სკოლაში რაღაც მცირე თანხა იყო ყოველთვიურად თუ ყოველწლიურად გადასახდელი). კობა ატირებულა და თან იმეორებდა თურმე „–მე მხატვარი მინდა გავხდეო“. მეორე დღეს, როცა სამხატვრო სკოლაში უნდა გამოცხადებულიყვნენ, ბავშვი სახლიდან დაიკარგა. საღამომდე ეძებეს, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ მშობლებმა მილიციაში განაცხადეს. გამომძიებელი ალღოიანი კაცი გამოდგა, მშობლებს ბოლო დღეებში მომხდარი ყველა წვრილმანი ამბავი გამოჰკითხა, და როცა გაიგო სამხატვრო სკოლის შესახებ, მაშინვე სკოლას მიაშურეს. უკვე ღამდებოდა, სკოლა კარგი ხნის დაკეტილი იყო, აივანზე კი იპოვეს კედელთან, კუთხეში ჩაძინებული, ალბათ ტირილისაგან დაღლილი 7 წლის კობა! ასე გადაწყდა კობას სამხატვრო სკოლაში შეყვანა!“

ნატო კობას ადრინდელ სურათებს გვიჩვენებს და სათითაოდ გვიყვება მათი შექმნის ისტორიას. პეიზაჟები ცოცხალი ფერებითაა სავსე, ყველა ფიგურა ნატიფი ხელოვნებითაა განლაგებული სიბრტყეზე და ფერებთან შეხამებული. თითქმის უნაკლოდ არის მიღწეული ფორმის მთლიანობა! ნახატებზე შუქ–ჩრდილების ზუსტი შერჩევით გამოყენება მხატვრის მაღალ პროფესიულ ოსტატობაზე მეტყველებს. კონტრასტები რბილია და ჰარმონიული. თითქმის ყველა ნახატი სიღრმისეული ხედვითაა გადაწყვეტილი და მნახველიც, ე.ი. ამ შემთხვევაში ჩვენც თვალითა და გონებით ერთდროულად აღვიქვამთ როგორც ვან–გოგი იტყოდა, თითოეული მათგანის მუსიკალურ ჟღერადობას! ამჯერად ჩვენს ყურადღებას ზურაბი არღვევს. მას თავისი ძველი და ახალი ნამუშევრები გამოაქვს სახელსნოდან და კედლის გასწვრივ ალაგებს. იგი სამხატვრო სასწავლებელში სწავლობს, ჯერ მხოლოდ მე–8 კლასშია და ეს საოცრად მყუდრო ყოველგვარ პომპეზურობას მოკლებული ბინა მისი სურათების გალერეიადაა ქცეული. მნახველს შეუძლია თვალი გაადევნოს ყმაწვილის ასაკობრივ ზრდას და ასევე ასაკობრივ წარმატებებს. აქ ძირითადად თავმოყრილია სამხატვრო სკოლის გაკვეთილებზე და ზოგჯერ სახლშიც ზეთის საღებავებით შესრულებული ნატურმორტები, აი ისინიც: ნატურმორტი გვირილებით, ნატურმორტი ხმელი ტოტებით წითელი ფარდის ფონზე, ნატურმორტი ვაშლებით, ნატურმორტი ბროწეულით, ნატურმორტი მადუღარათი, ნატურმორტი ნივრით... ხასხასა, ცოცხალი ფერები და ფუნჯის შთამბეჭდავი მონასმი, შუქჩრდილების რბილი, ხავერდოვანი ტონები თვითეულ მათგანს პოეტურ ხასიათს ანიჭებს, აქ არის: მცხეთა, „სვეტიცხოველი“, „თბილისური ზამთრის პეიზაჟი“, „ღვინის მარანში“... ამ უკანასკნელ სურათებში მე–8 კლასელი 16 წლის ზურაბ ბერელიძე ჩამოყალიბებული მხატვრის ოსტატობითაა წარმოდგენილი, საკუთარი მანერით, თვალთახედვით, განცდით, სურვილებით და მიზანსწრაფვით...

ფერების საოცარი შერჩევის უნარი და ხელის ტექნიკაც გენეტიკურია... ბატონი კობა კი... ცდილობს მხოლოდ შეცდომები დაინახოს შვილის ნამუშევრებში...

– უკეთესია მიეჩვიოს კრიტიკას, შეცდომის გამოსწორებას ახლა უფრო ადვილად შესძლებს და

თვალი გაუმახვილდება... მერე უკვე ალღოთი იგრძნობს არასწორ ხაზს და... იქნებ მან მაინც თქვას ახალი სიტყვა...

– ბატონო კობა! თქვენი პეიზაჟები და ბებიას სურათი იმდენად დატვირთულია მხატვრული ღირსებებით, და იმდენად შთამბეჭდავია, რომ თითოეული მათგანი არის თანამედროვე ქართული მხატვრობის დიდი შენაძენი. ეს, თქვენ არ კმაყოფილდებით მიღწეულით და სწორიცაა, ახალ სახეებს, ახალ ხასიათებს და ახალ ფერებს რომ ეძებთ... ზურაბისთვის თქვენი შემოქმედება დაუფასებელი განძია... იქნებ თქვენი ძველი ნახატები ჩამოიტანოთ თელავიდან და გამოვფინოთ?

– არა, ამ საკითხზე არ ვისაუბროთ... სამაგისოდ ეკონომიური საშუალება ნამდვილად არა გვაქვს და ჯერ–ჯერობით ალბათ არც მოხერხდება...

– წყალს ნუ გადაწურავთ, ბატონო კობა, იმედი დავიტოვოთ რომ საშუალებაც გამოჩნდება ღვთის მადლით და ყველაფერი კარგად იქნება...

– დიახ, ამბობენ იმედი ბოლოს კვდებაო... მეც ასე ვფიქრობ...

ბატონი კობა სახელოსნოში გავიდა.

მე და ზურაბი პირისპირ ვზივართ. ეს თვალებანთებული, ასაკთან შედარებით საოცრად დინჯი ყმაწვილი თავის ნატურმორტს დაფიქრებული შესცქერის.

– იცით, ნახატის დამთავრების შემდეგაც ვპოულობ შეცდომებს. ვფიქრობ, ეს ხაზი აქ ზედმეტია, აი აქ კი, საღებავის ზედმეტად სქელი ფენაა.

– წინ მთელი ცხოვრება გაქვს, ზურაბ, გისურვებ ისე დაგეხვეწოს შენი ხელოვნება, რომ არამარტო თქვენ და თქვენს ძვირფას მშობლებს, ჩვენ ყველას გვეამაყოს შენით, ახლა კი თუ შეიძლება დრო მე დამითმე, მინდა ვისაუბროთ და მინდა გაგახსენო გოგენის სიტყვები, რომ „ბედნიერებას ყველა თავისი გზით დაეძებს“ – და ამას სწერდა გოგენი მაშინ, როცა მხატვარი გახდა, და როცა ფაქტიურად ომი გამოუცხადა დანარჩენ სამყაროს... თქვენ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხართ, და როგორ ფიქრობთ, იპოვით ბედნიერებას ხელოვნებაში? ამით იმის თქმა მინდა, რომ დარჩებით მხატვრად სიცოცხლის ბოლომდე, თუ სხვა გზას აირჩევთ ცხოვრებაში?

– ხატვა ძალიან მიყვარს, მაგრამ... არ ვიცი, ალბათ ამ საკითხზე სკოლის დამთავრების შემდეგ, ან კიდევ ცოტათი ადრე დავფიქრდებით ყველანი და გადავწყვიტავთ. რაც შეეხება ბედნიერებას, იცით... როცა ვხატავ საოცარი ემოციებით ვიმუხტები და ისეთი განცდა მაქვს, როგორც ექიმს, რომელიც მძიმე ოპერაციას აკეთებს და მისი უნებლიე, მცირე შეცდომაც კი სასიკვდილო იქნება. დიახ, როცა ვხატავ საოცარ აღმაფრენას განვიცდი, ვგრძნობ სხვა სამყაროში ვცხოვრობ მაშინ, სხვა განზომილებაში გადადის ჩემი სული ცისარტყელას ფერებით და... განუწყვეტლივ ჩამესმის მრავალჟამიერი, კახური მრავალჟამიერი, თქვენ ალბათ უცნაურად გეჩვენებათ ჩემი ნათქვამი...

– არა, ზურაბ, უცნაურად მაშინ მომეჩვენებოდა – ეს ყველაფერი რომ არ გეთქვა. შენს ნატურმორტებში, შენს პეიზაჟებში, შენს „სვეტიცხოველში“ – მეც იგივე განცდა მეუფლება, მეც მრავალჟამიერის ჟღერადობა მესმის და ეს დიდებულია, დიდებული... და ყოველივე ამის შემდეგ როგორ შეგიძლია პროფესია შეიცვალო? და ის სხვა პროფესია ამდენ სიამოვნებასა და ბედნიერებას მოგანიჭებს? ასეთ აღმაფრენას განგაცდევინებს?

– ალბათ არა, მაგრამ... ასეა საჭირო, ცხოვრება მარტო სიამოვნება, აღმაფრენა და ბედნიერება არ არის, არსებობაც ხომ საჭიროა... თანაც კი არ უნდა შევიცვალო პროფესია, უბრალოდ სხვა გზას გავყვე ცხოვრებაში... მხატვრებს ძალიან უჭირთ და ამ გაჭირვებისგან დათრგუნულნი არიან, საკუთარი თავის რწმენას კარგავენ... მე არ მინდა ასე იყოს!

– ძალიან კარგი, ეს შენი ნებაა, მაგრამ როცა ასე კარგად ხატავ, და თანაც ასე ადრეულ ასაკში, ეს უკვე დიდი მომავლის ნიშანია და შენ გინდა რომ შენი მომავლის არ ირწმუნო?

– არა, ეგ არ მინდა, მაგრამ ის „მომავალი“, რომელსაც თქვენ გულისხმობთ შედარებითია, ან მოვა, ან არა! თან ალბათ დიდ ხანს დასჭირდება ლოდინი, მე არ მინდა მამაჩემივით ქუჩაში დავდგე და საზოგადოებისაგან აღიარებას ათი, ოცი, ოცდაათი ან კიდევ უფრო მეტი წლის მანძილზე ველოდო და სურათების გაყიდვით ვირჩინო თავი!

– ამაში რას ხედავ ცუდს?

– სურათების გაყიდვაში ცუდი არაფერია, მაგრამ... ცუდი ლოდინია! და კიდევ... ცუდი ის იქნება სურათები თუ არ გაიყიდება! თუ სხვა შემოსავალიც ექნება ოჯახს, ეს საყვარელი და სასიამოვნო საქმეც კია, მაგრამ... დღეს ყველაფერი ძნელია და ყველაფერი ძვირია!

მე გამეღიმა. ძალიან კარგია, როცა ასაკით ასე პატარა ყმაწვილი ასე საღად მსჯელობს!

ქალბატონი ნატო იღიმება და მეუბნება, რომ ზურაბი საჯარო სკოლაშიც წარმატებული მოსწავლეა!

ჩემს წინ აწყვია მისი ნიშნების ფურცლები, სადაც ძირითადად 10–იანებია ჩანიშნული და დიპლომები, გამოფენებში წარმატებული მონაწილეობისთვის, და ამ ყველაფრის მიღწევა ერთდროულად, თუნდაც ცალ–ცალკე მხოლოდ განსაკუთრებულად წარმატებულ გონებრივ შესაძლებლობებს და მორალურად გაცნობიერებულ მაღალ ზნეობრივი აუცილებლობის შეგრძნებას შეუძლია. ამჯერად უკვე ვცდილობ დაძაბული ატმოსფერო განვმუხტო.

– ზურაბ, დიდი ბედნიერებაა ადრეული ასაკიდან რომ ეზიარებით აკადემიურ განათლებას, ვინ გასწავლით ფერწერას და როგორი პედაგოგია იგი?

– თამაზ კატუკია. მან განსაკუთრებით შემაყვარა ხატვა. დიდი ადამიანია იგი, ყველას ისე გვექცევა, თითქოს ჩამოყალიბებული მხატვრები ვიყოთ. ნაკლსაც ისე რბილად მიგვითითებს, გაგვიმარტივებს, მაშინვე იფიქრებ, როგორ ვერ მივხვდი და ეს რატომ შემეშალაო, არც გეწყინება მისი შენიშვნა, სამართლიანი და კეთილშობილი პიროვნებაა.

– ალბათ აქვს თქვენს პედაგოგს გამორჩეული სურათები სხვისი და თავისიც, რომელიც თქვენ გიყვართ?

– რა თქმა უნდა.

– კარგად იცნობთ ქართულ ფერწერას? ვისი ნახატები უფრო მოგწონთ?

– გაბაშვილის, კაკაბაძის, თოიძის... კაკაბაძის იმერული პეიზაჟები და მქსოველი ქალი ძალიან მიყვარს.

– კაკაბაძე ის გენიალური მხატვარი იყო, რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში აღიარა ფრანგულმა სკოლამ. მისი ნახატები სისტემატურად გამოიფინებოდა მისი დროის პარიზში, ნიუ–იორკშიც კი წაიღეს რამდენიმე სურათი, მერე ყველაფერი შეწყდა, რადგან სამშობლოში დაბრუნდა საცხოვრებლად... ძირითადად იმერული პეიზაჟების ხატვით იყო გატაცებული. იცნობთ მის მხატვრობას?

– დიახ... ვიცნობ... ვცდილობ ბევრი ვიკითხო და ბევრი გავიგო მათზე, ყველაზე. გაბაშვილიც ძალიან დიდი ოსტატია, თოიძეც, ახვლედიანიც...

– გუდიაშვილს არ ახსენებთ, რატომ?

– როგორ არა, მაგრამ... კაკაბაძე უფრო მომწონს და უფრო მიყვარს. ეს ჩემი პირადი აზრია.

– იტალიური აღორძინების სკოლაზე რა აზრისა ხართ? გინახავთ ტიციანის და ვერონეზეს

სრულყოფილი ასლები მაინც, რადგან ორიგინალების ნახვა ჩვენს სინამდვილეში მხოლოდ ოცნებაა.

– ძირითადად ფოტო ასლები მინახავს და... სასწაულია, ძალიან მომწონს... არა კი არ მომწონს, მიყვარს ისინი...

– აბა, დაფიქრდით, ზურაბ... არის ფერები–საშუალება ღვთაებამდე მისაღწევად?

– დიახ... არის, და მე უკვე ბევრჯერ ვიგრძენი ეს!

– როგორ და რით განისაზღვრება ფერწერული ნაწარმოების ღირსება–გრძნობით და განცდით, რაც უშუალოდ იგრძნობა შინაარსით დატვირთული კომპოზიციით, თუ მკაცრი აკადემიური სტილით?

– უკეთესია თუ ყველაფერი ერთად იქნება!

– როგორ ფიქრობ, საჭიროა კავშირი პიროვნებას, ხელოვნებასა და გარემოს შორის?

– აუცილებლად, სხვაგვარად არაფერი გამოვა.

– ფერწერაში რას ანიჭებთ იდეალურ ღირებულებას?

– ყველაფერს ერთად... ფერებს, კომპოზიციას, სინათლეს, შუქ–ჩრდილებს, მხატვრის ოსტატობას... ფორმის მთლიანობას...

– თუ თვლით ვინმეს თქვენს მასწავლებლად მხატვრობაში. როგორც ფორმის, ასევე სიუჟეტის მხრივ?

– დავით კაკაბაძეს.

– როგორ ხატავთ? ესკიზებით, თუ პირდაპირ, ფუნჯით, ერთი ხელის მოსმით, უესკიზებოდ?

– ასე ხატვა მამაჩემს შეუძლია, მე ჯერ არა. ესკიზებით ვხატავთ ჩვენ.

– იცით, ზურაბ, წმინდა ავგუსტინე შესაძლებლად თვლიდა მაიმუნის სახე სრულყოფილ სილამაზედ მიგვეჩნია, თქვენ, როგორც მომავალი მხატვარი, ან უკვე მხატვარი რა აზრისა ხართ სილამაზეზე?

– რაც გიყვართ, რაც მოგწონთ, და რაც ჩვენში აღფრთოვანებასა და აღმაფრენას იწვევს, ყველაფერი ლამაზია! ჩემი აზრით სილამაზე იგივე სიყვარულია...

– გამორჩეული სიყვარული თუ გაქვთ და რატომ–რომელიმე (სხვისი) დიდი ნაწარმოების მიმართ, სადაც თქვენი აზრით მხატვარმა უმაღლეს ოსტატობას მიაღწია და სადაც სილამაზე, სიცოცხლის რეალურ ჭეშმარიტებად–უდიდეს ხელოვნებად არის აღქმული?

– გოიას „მახა“, მასში ჯადოსნური მთლიანობაა შერწყმული!

– სინათლესა და ჩრდილს ძირითადად ცისარტყელას ფერები ქმნიან და ეს ფერები გვევლინებიან ფორმის სუბსტანციად. თქვენ როგორ ხატავთ, იყენებთ ამ ფერებს თუ შავი ფერი უფრო გიყვართ?

– დიახ, მიყვარს ეს ფერები და ძირითადად მათ ვიყენებ. შავი ფერი არ მიყვარს, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ვიყენებ შავ ფერს, ე.ი. როცა საჭიროა.

– როგორ ცვლით კონტრასტებს, გარდამავალი ტონებით, ფერთა დანაწევრებით და შეხამებით, რაც ოპტიკურ სინთეზს ქმნის, თუ მკვეთრი ხაზებითა და ფერთა აღრევის შედეგად?

– გარდამავალი ტონებისაგან – შეხამების შედეგად, მაგრამ ყოფილა შემთხვევა მეორენაირადაც მიცდია. პირველი უფრო საინტერესო და მოსახერხებელია.

– უკვე გაქვთ, ე.ი. ჩამოგიყოლიბდათ თუ არა ერთიანი ფერწერული სტილი? რომელიც გავრცელდება ყველაფერზე, ხეზე, ფოთლებზე, წყალზე, ნავზე, ადამიანსა თუ ცაზე? თუ ძიების პროცესში ხართ?

– არა, ჯერ მგონი მყარად არა ვარ ჩამოყალიბებული, ძიების პროცესში ვარ ალბათ ისევ...

– გარდაქმნის თუ არა ერთიანი სტილი მშვენიერ სახილველად დახატულ საგნებს და თუ მიიღწევა მათთან ერთად სივრცის პერსპექტივა?

– დიახ... სივრცე დაუნაწევრებლად აღიქმება ამ შემთხვევაში ნახატზე გამოსახული საგნების საწყისად და განუყოფელ ფუძედ.

– და საერთოდ, თუ შეიძლება მითხარით ზურაბ, რას ნიშნავს სტილის ერთიანება?

– როცა მთელი გამოსახულება ერთიან ქრომატულ ეფექტს ემორჩილება და სიუჟეტი ფერების აგებულებამდეა დაყვანილი, შინაარსის პოეტურობას კი ნახატის, ან იგივე ფერთა სიცოცხლის უნარიანობა განსაზღვრავს, ე.ი. საბოლოოდ უნდა მივიღოთ ფორმისა და ფერის ერთიანობა, ცხადია შინაარსით დატვირთული კომპოზიციით.

– ზურაბ, თქვენი აზრით რა არის მხატვრის შემოქმედებაში მთავარი–ტექნიკა? სული? გონება? თუ სიუჟეტი?

– ტექნიკა მნიშვნელოვანია მაგრამ... სული პირველ რიგშია საჭირო, გონების გარეშე კი არაფერი გამოვა! სიუჟეტი აზრია ნახატის, ასე რომ ყველაფერი ავსებს ერთმანეთს!

– როგორ აღწევთ ზურაბ, სინათლის ეფექტს–ხაზით? ფერით თუ შუქ–ჩრდილებით?

– ფერებისა და შუქ–ჩრდილების საშუალებითაც.

– ფრანგი იმპრესიონისტების ნახატებს თუ იცნობთ და გოგენის თავისუფლების მოყვარე ბუნება და აქედან გამომდინარე მისი განსაკუთრებული ფერწერა „პირველყოფილი ევა“ უფრო გიზიდავთ თუ ტიციანის აკადემიური სტილი?

– ტიციანის აკადემიური სტილი ჩემთვის ძალიან მონიშვნელოვანია და აუცილებელი, მაგრამ... გოგენის ფერები და მისი თავისუფლების მოყვარე ბუნებაც მიყვარს. რაც შეეხება „პირველყოფილ ევას“, – მის ასლს ვიცნობ და ძალიან მომწონს. ჯერ–ჯერობით ასეა, და არ ვიცი, წლების შემდეგ რა იქნება, იქნება სულაც შემეცვალოს აზრი აკადემისტებზე ან იმპრესიონისტებზე, არ ვიცი...

– ზურაბ, საინტერესოა როგორ აღიქვამთ და გადმოსცემთ ბუნებას ფერწერის ენით, როგორც სიბრტყეს–გოგენისებურად, თუ სიღრმეს სეზანისებურად?

– ორივენაირად მომწონს, იცით, როცა აკადემიურად, ე.ი. სრულყოფილად შევისწავლი სამხატვრო ტექნიკას და არამარტო ტექნიკას... (იცინის) როცა საბოლოოდ ჩამოვყალიბდები და მივაღწევ სრულყოფას და მექნება საკუთარ სტილი, აი მაშინ დავფიქრდები და გავაკეთებ საბოლოო არჩევანს მათ მიგნებებზე! მათ სიახლეებზე...

– როგორ ხატავთ, წარმოსახვით, თუ წინასწარ გააზრებულ ხასიათს ანიჭებთ კომპოზიციას?

– წარმოსახვით სულ რამდენიმე სურათი თუ დამიხატავს მხოლოდ. წინასწარ მოფიქრებული და გააზრებული ხასიათის კოპოზიციებზე ვმუშაობთ სკოლაშიც და სახლშიც ასე ვმუშაობ...

– როგორ ახსნით აზროვნების ძალას მხატვრულ ხელოვნებაში? თუ არის შესაძლებელი სიუჟეტი უაზრო იყოს და ფერწერული ქმნილება მაინც უდიდეს ნაწარმოებად ჩაითვალოს? ამის მაგალითი მოგვცა თუ არა კუბისტებმა? აკმაყოფილებს თუ არა ამ მოთხოვნას პიკასოს ზოგიერთი ტილო?

– მხატვარი თავისებურად აზროვნებს. ის ხატავს იმას, რაც უნდა და რასაც ხატავს, ის მისი გაგებით აზრიანია და მხატვრის მიერ გააზრებულ და გაცნობიერებულ შინაარს ექვემდებარება. შეიძლება პიკასოს ზოგიერთი ან კიდევ უმეტესი ტილო მნახველს უაზრო ეჩვენოს, მაგრამ პიკასოსთვის ეს ასე არ იყო. მისი ყველა ტილო პიკასოსებური

ნააზრევის საფუძველზეა აგებული. ამდენად აზროვნების ძალა მთავარია ხელოვნებაში!

– რამდენ საათს და როგორ მუშაობთ?

– დიდ ხანს ვერ ვმუშაობ, სკოლის გაკვეთილებს მიაქვს დიდი დრო.

– არის თუ არა მთავარი ფერთა მშვიდი ჰარმონია ცოცხალი, მოაზროვნე სურათის შესაქმნელად?

– ზოგჯერ არის, ზოგჯერ კი ვაგნერისებური გრიგალია საჭირო!

– როგორ ამუშავებთ ფორმებს – კომპოზიციასთან ფერის შეხამებით, თუ პირიქით?

– ორივე შემთხვევას ვიყენებ.

– რელიგიურ თემებზე მუშაობა თუ გიტაცებთ?

– მიყვარს, მაგრამ... ინტენსიურად ხატვას ვერ ვბედავ, ვფიქრობ, რომ ღვთის მადლი გადმოდის იმ მხატვრებზე, ვინც ხატებს წერენ. ვნახოთ, რა იქნება მომავალში – ეს უფლის ნებაა!

– რას ფიქრობთ ხაზის შესახებ? იგი კონტურია თუ საზღვარი?

– შეიძლება ერთიც იყოს და მეორეც.

– როგორ გინდათ მომავალში ხატოთ? „სიმარლით“ – როგორც ლოტრეკი იტყოდა იდეალის გარეშე, თუ პირიქით?

– ამ კითხვაზე გადაწყვეტით ვერ გიპასუხებთ, ჯერ–ჯერობით ლოტრეკისებური „სიმართლე“ უფრო მიტაცებას, მაგრამ არ ვიცი მომავალში რა იქნება, შესაძლებელია აზრი ნაწილობრივ მაინც შევიცვალო.

– ახვლედიანის თბილისურ პეიზაჟებზე რა აზრისა ხართ?

– დიდებული, ბრწყინვალე სურათებია!

– თანამედროვე ქართველი მხატვრებიდან ვისი ტილოები მაგწონთ?

– ზურაბ ნიურაძის, თოდრიასი...

– ზურაბ, ფრესკულ ფერწერაზე რას მეტყვით?

– ფრესკული ფერწერა – ეს ყველაზე რთული მიმართულებაა ფერწერის ხელოვნებაში, რთული, მაგრამ საინტერესო და განსაკუთრებული ჩვენ თითქმის 1500 წლოვანი ტრადიცია გვაქვს ფრესკული ფერწერის, და ეს ტრადიცია ყველასგან განსხვავებულია... თვით მართლმადიდებელი ბერძნული და რუსული ფერწერისაგანაც კი... იცით, მე მგონი ქართული ფრესკული ფერწერა არამარტო განიცდის, არამედ ძალიან არის დატვირთული ტრადიციული მხატვრობის ნიშან–თვისებებით, მისი სტილით... რაც ალბათ წარმართული ხანიდან მოდის. წარმართული ხანის ძეგლები შემორჩენილი აღარაა, მაგრამ შეუძლებელია უმდიდრეს კოლხეთსა და იბერიაში არ ყოფილიყო მოხატული მეფეთა და არისტოკრატთა სასახლეები და საკულტო ტაძრები! ის გასაოცარი მოზაიკა, რაც გვაქვს გელათში–სუფთა ქართული ხასიათისაა, ჯვარიც ყოფილა თავდაპირველად მოზაიკით დამშვენებული, ან კიდევ წრომის დიდებული ტაძრის პირველქრისტიანული მოზაიკური მხატვრობა (დღეს მუზეუმშია გადატანილი). ან კიდევ ჩვენი ქართული მინანქარი! ის ხომ ბერძნულზე უძველესია, საწყენად არავის დარჩეს და ბერძნებმა მინანქრის ხელოვნება უძველეს დროში შეისწავლეს იბერიელთაგან, ამდენად მინანქრის ხელოვნებაც სუფთა ქართულია, ტრადიციულია და ისეც ხომ მხატვრობაა? და თან მხატვრობის ძალიან მნიშვნელოვან ტრადიციას ფლობს მინანქარი!

ხახულის ღვთისმშობლის კარედის ვარდისფერი მინანქარი უმშვენიერესი, უძვირფასესი და ამოუხსნელია თანამედროვე მეცნიერებისთვისაც კი... ასევეა ოპიზრების სასწაულებრივი ჯელოვნება! და ეს ყველაფერი ჩემი ერის კუთვნილებაა! ჩემი განძია! ჩვენი და ჩემი გენეტიკური მხსიერება ქვეშეცნეულად ფლობს ამ სასწაული და საოცარი ხელოვნების ტრადიციის საიდუმლოს? დიახ, ვფიქრობ... რომ სამხატვრო სკოლაში როცა ვსწავლობთ სამხატვრო ხელოვნების რაღაც ნიუანსს, მეხსიერებაში თანდათან ნათდება გზები და ხაზები იმ პრობლემის გადასაწყვეტად და მე ვრწმუნდები, რომ კი არ ვსწავლობ ამა თუ იმ საკითხს, უბრალოდ სწავლის შედეგად მახსენდება... რომ მე იგი ადრეც ვიცოდი... დიახ, ვიცოდი ესა თუ ის ხაზი, შუქი, ჩრდილი, ნაკეცი თუ ნაოჭი სად უნდა დალაგდეს და როგორ უნდა დაიხვეწოს ფორმა... დიახ... თქვენ შეიძლება გიკვირთ, მაგრამ მე ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ეს ყველაფერი, რაც ხელოვნებას, ე.ი. ხატვას შეეხება ადრეც ვიცოდი... მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემი გენეტიკური მეხსიერება მუდამ ჩემთანაა და თავს გახსენებს... ალბათ ასე მუშაობდნენ ოპიზრები, როცა იმ სასწაულ ოქროს ნაოჭებს ხვეწდნენ! მათი ცოდნა, მათი ხელოვნება ტრადიციულია, გენეტიკურია, სხვათაგან ამოუხსნელია, ჩვენთვის და ჩემთვის არა! იმიტომ, რომ მათი ხელოვნება ჩემია, ჩემი საკთრებაა! ჩემი წარსულია, ჩემი ტრადიციაა და მე როცა მათზე აფიქრობ ამაყი ვარ და... ბედნიერი... იცით, სწორედ ამიტომ მე მჯერა რომ ფრესკულ ფერწერას ჩვენში სულ ცოტა ოთხიათასწლოვანი ისტორია აქვს! ჩვენი წარმართული პანთეონის ღვთაებას მთვარის ღმერთად რომ მოვიხსენიებთ – არმაზს, ადამიანის, მამაკაცის სახე და ძლიერი ტანი ჰქონდა, საომარ საჭურველში იყო ჩამჯდარი და იარაღასხმული, ესეც მიუთითებს, რომ მეომარი ხალხი ვიყავით, მაგრამ... არმაზის კერპი ოქროთი იყო ნაქანდაკები, ზადენის კი ვერცხლით და ისინი ძვირფასი თვალ–მარგალიტით შემკულნი! ეს ოქროსა და ვერცხლის ტანსაცმელი ვაინ იცის რა ხელოვნებით იყო ნაქარგი? ან ეს შემკობაც ხომ მხატვრობაა! ერის კულტურული ტრადიცია! იცით, ბევრჯერ მიფიქრია ჩვენს წინაპრებზე, რომლებიც თაყვანს სცემდნენ ამ ძლიერ კერპებს–არმაზს, ზადენს, გაცს, გაიმს, რომლებიც მცხეთაში იყვნენ აღმართულნი ალბათ სადღაც იმ ადგილთან ახლოს, სადაც იბერიელებს თავიანთი წინაპრის, თავიანთი მამამთავრის ქართლოსის (ქართლოსი ბერძნულადაა, ქართულად მას კარდუს უწოდებდნენ) საფლავი ეგულებოდათ და სადაც წელიწადში ერთხელ დატირებას აწყობდნენ, იცით რატომ? თავიანთი წინაპარი რომ არ დავიწყნოდათ და ამ დატირებით ხსომებოდათ ვისი შთამომავლები იყვნენ, ე.ი. ვინ იყვნენ... და კიდევ... ისიც უნდა ხსომებოდათ, თუ რატომ მოვიდნენ ამ ქვეყანაზე, მათ მამულის ვალი ჰქონდათ, დიახ, ბრძოლით უნდა დაეცვათ, შეენარჩუნებინათ და გაეძლიერებინათ თავიანთი მამული, აი ეს იყო მათი შემეცნების მთავარი ძარღვი! ამიტომ იყო არმაზი კბილებამდე იარაღში ჩამჯდარი, ამიტომ იყვნენ მებრძოლნი იბერიელები, ან კიდევ იგივე კოლხები... ჩემი აზრით ეს ერთი და იგივეა...

მინდა გავაგრძელო ჩემი სათქმელი და გითხრათ, რომ თქვენი აზრით, შესაძლებელი იქნებოდა ისე შექმნილიყო ღმერთების ეს ღვთაებრივი გამოსახულებები, რომ მათ შექმნას რაიმე წინაპერიოდი არ უძღოდა? არა ბატონო, მე ეს არა მჯერა! დიახ... ერთი ხელის დაკვრით არაფერი იქმნება, ჩვენი უფალიც კი ექვსი დღე მოუნდა სამყაროს შექმნას!.. ე.ი. ვერ შეიქმნებოდა ეს სასწაული კერპები ისე, თუ უფრო ძველი, ე.ი. პრეისტორიული მხატვრული სახეები არ იარსებებდა ქართულ ტრადიციაში...

იცით, ამ საკითხზე მე ძალიან ბევრს ვფიქრობ... და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თუ თანამედროვე სამყარო ანტიკურ ბერძნულ ხელოვნებას უმადლის განახლებას აი სწორედ ის ანტიკურ–ბერძნული ხელოვნება ძველ იბერიულზე ან იგივე კოლხურ–პელაზგურ ტრადიციებზეა დაშენებული და განვითარებული! დიახ... მგონი არ ვცდები, მომავალში ამ საკითხს უფრო ჩაკუღრმავდები, ახლა კი მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რაც კარგად არის ცნობილი, რომ თუ შუა საუკუნეების ევროპას–იტალიურმა რენესანსმა

მოუტანა განახლება, განვითარება, ფლამანდიურმა და ჰოლანდიურმა სკოლებმა (მხატვრობას ვგულისხმობ ცხადია) არანაკლები როლი შეასრულეს ესპანურ–ფრანგულ–გერმანული ფერწერის განვითარებაში – ამათგან ყველასაგან განსხვავებულია ქართული კლასიკური ფერწერა, დიახ, მისი სათავე ისევ და ისევ ტრადიციული, ეროვნული სამხატვრო ხელოვნებაა! იგი ყოველთვის თავისთვის, დამოუკიდებლად ვითარდებოდა და ცოცხლობდა და ამ სიცოცხლით ყოველთვის ავსებდა და ალმაზებდა არამარტო ქართულს, არამედ მსოფლიო ხელოვნებასაც! ასეა დღესაც, დიახ, დღესაც... ამ გაუსაძლის გაჭირვებაში მაინც ცოცხლობს სრულად განსხვავებული, დიახ, სხვათაგან განსხვავებული სიცოცხლით, იმ სიცოცხლით, რომელმაც შექმნა გელათის ღვთისმშობელი, ბეთანიის, ბერთუბნისა და ყინწვისის ფრესკები და... თვითონ სვეტიცხოველიც, იგი ხომ ქვაში გადმოცემულ პოეზიაა, მხატვრობაა, ხელოვნებაა და ყველა დროის ქართული სული და ქართული სასწაულია!

... და კიდევ ძალიან ბევრს ვფიქრობ ქართულ ასომთავრებულზე, მასში ჩადებულ შინაარსს და თვითეული ასოს ასტროლოგიურ, შემეცნებით და რიცხვით მნიშვნელობას რომ თავი დავანებოთ, ნახეთ რა დახვეწილი მოხაზულობაა, რა გრაფიკაა, რა დიდი გემოვნება და კულტურაა თითოეულ ასოში ჩადებული! ეს რა, მხატვრობა არ არის? არის და უფრო მეტიც, ქართულ ასომთავრულს ყველაზე სრულყოფილი, მშვენიერი და მხატვრული მოხაზულობა და მოხატულობა აქვს მსოფლიო ყველა ენათა შორის! მხატვრების ენაზე ამას გრაფიკა ჰქვია და ის დიდებულია, საოცრად დიდებული! იცით, როცა ჩვენს წინაპრებზე ვფიქრობ, ვინც ამდენი საოცრება შექმნა–თუნდაც ქართული ტრადიციული ხელოვნება ვიგულისხმოთ და მეტი არაფერი... ჰო მეტი არაფერი, თავი დავანებოთ კარტოგრაფიას და გასაოცარი სიზუსტით შედგენილ ქართულ კალენდარს... იცით ეს რას ნიშნავს?

– რას ნიშნავს?

– ყველაფერს!!! და უპირველესად სიცოცხლის აზრს, ჩვენი გაჩენის აზრს ამ ქვეყნად! როცა ამაზე ვფიქრობ რაღაც გამოუცნობი გრძნობა მეუფლება, მთელ სხეულში სხვაგვარ სითბოს ვგრძნობ და... უბრალოდ, ბედნიერი ვარ რომ ჩემს ძარღვებში მათი სისხლია, მათი მემკვიდრე ვარ! იმ ძველი კოლხ–იბერიელების!

მე გაოცებული, შევყურებ ამ საოცრად გონიერ ყვაწვილს და... სათქმელი ნამდვილად აღარაფერი მაქვს!

ზურაბი ჩუმდება და ბოდიშს მიხდის, ხომ არ დაგღალეთო.

– ზურაბ, მე ძალიან მიხარია, რომ თქვენთან ხელოვნებაზე საუბარი ძალიან ადვილი და ძალიან საინტერესოა. გიოცნებიათ ვატიკანის, ლუვრისა და ბრიუსელის, ან ღანდონისა და ერმიტაჟის მუზეუმები გენახათ და თქვენი სათაყვანო მხატვრებისთვის შეგეკვლოთ თვალი, შეგესწავლათ ისინი?

– მიოცნებია, თანაც ძალიან ბევრჯერ... მაგრამ ეს განუხორციელებელი ოცნებაა... საქართველოში დღეს აღარ არიან მეცენატები, ვინც სწავლის საფასურს გადაიხდის. სწავლა საზღვარგარეთ კი არა, აქაც წარმოუდგენლად ძვირი ღირს! ასეთ პირობებში არც ღირს ოცნება! მაგრამ არც ესაა ჩვენზე დამოკიდებული, გული თავისთავად მაინც ოცნებობს ხოლმე, არ მორჩილდება გონებას... მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მართლაც არ ღირს ოცნება, რადგან ყველაფერი ძალიან ძვირია და ძალიან ძნელი... დაფინანსების მოპოვება კი... თითქმის შეუძლებელი, რადგან აუცილებლად ვინმემ უნდა გიშუამდგომლოს, ვინმემ უნდა იზრუნოს შენზე... ე.ი. იმ ვინმეს ახლობელი უნდა იყო... არათუ საზღვარგარეთ სწავლისთვის, თუნდაც იმისთვის, რომ აქ, ჩვენს სამხატვრო სასწავლებელში მცირე სტიპენდია ან პენსიის მსგავსი რაღაც მიიღო! დიახ, ყველაფერი ძალიან ძნელია დღეს, ძალიან ძნელი და ამისთვის ნამდვილად არ კმარა არც ფორმის მთლიანობა, არც შინაარსით დატვირთული კომპოზიცია და არც ცისარტყელას ელვარე ფერებში გადმოცემული შუქ–ჩრდილები, დიახ, არ არის საკმარისი! ზურაბი ჩუმდება და დაფიქრებული იხედება სადღაც შორს, თვისი ნატურმორტების მიღმა... სადაც ალბათ ბუნდოვნად იკვეთება მისი „თანამედროვე ქართული მომავალი!“

რა იქნება ხვალ? რა ელის ამ მშვიდ, დიდი ნიჭითა და დიდი ენერგიით სავსე ყმაწვილს? ან საერთოდ რა ელის ქართულ ფერწერას და ქართულ ხელოვნებას? – ამ კითხვას ალბათ ისევ მომავალი, უკეთ რომ ვთქვათ „ქართული მომავალი“, ე.ი. საქართველოს მომავალი უპასუხებს... უფლის მადლით და უფლის შეწევნით!

მანანა ვახტანგაძე

The Future of Georgian Modern Art

Summary

He makes his workshop of old and new work and puts them along the wall. He only eighth grade art school student and this comfortable, devoid of any pomposity apartment converted into a gallery of his paintings. There are mainly represented, full oil paintings created in art school at lessons and at home. Recent work of Zurab Berelidze is already executed craftsmanship held artist with his own style , his own vision , emotion,and desire.

Manana Vakhtangadze

Будущее современного искусства

Резюме

Он из мастерской выносит свой старые и новые работы и ставит их вдоль стены. Он ученик всего лишь 8-ого класса художественного училища и эта удивительно уютная, лишенная всякой помпезности квартира превращена в галерею его картин. Тут в основном представлены, исполненные масляными красками на уроках художественной школы и дома, натюрморты. Последние работы Зураба Берелидзе уже исполнены мастерством состоявшегося художника с собственным стилем, собственным видением, эмоциональностью, желаниями и целенаправленностью…

Манана Вахтангадзе

მადონა აპოლონის ასული ნიჟარაძე დაიბადა 1941 წლის დეკემბერში ქ. ქუთაისში. ბავშვობიდანვე პოეზიისა და ლიტერატურის მოტრფიალემ 1963 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი ფილოლოგიის განხრით, 1971 წელს კი შოთა რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. იყო არის ფილოლოგიის დოქტორი და მუშაობდა ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასოცირებულ პროფესორად.

მ. ნიჟარაძე მორიდებულ ხარკს უხდის ქართულ პოეზიას და თავისი მოკრძალებული ლექსებით ეხმაურება თანამედროვე ეპოქას, მისი განცდები გულწრფელია და ემსახურება სიკეთესა და სამართლიანობას.

* * *

ჩემს გულში მზეა
მწველი და ცხელი,
აქ ჩატეულა სამყარო მთელი.
მერე მოფრინდნენ შავი ღრუბლები,
შემომეხვივნენ გულზე ხლართებად,
ბოროტ დემონებს შევებრძოლები,
ისევ სიკეთე დაიბადება.

მიტევების დღე

ახვეტილა ცისკენ მტვერი,
ორთქლი ასდით რიყის ქვებს,
ხელი უნდა შეაშველო,
კაცი რომ არ წაიქცეს.
შეიცოდე თუნდაც მტერი,
მოატყუებ ზოგჯერ თვალს,
კაცს ხელს მაშინ ნუ შეუშლი,
როცა იწყებს ყანის მკას.
იცრემლება ლურჯი ვარდი,
ეშხით ცეკვავს მწვანე მთა,
აპატიე და შეუნდე
ცოცხალს და ვინც წავიდა.

ალუბალი

გაზაფხულზე შემომცინებს ალუბალი,
გოგონები მარწყვა ტუჩით მიღიმიან,
რა კარგია ახლა შენთან საუბარი,
გზას მივყვები ამწვანებულს, გვირილიანს.
გვირილები ჩემი სულის ნაწილია,
თუმცა გულში ისევ „ლაღობს" იარა,
ლექსის წერა ახლა თითქოს ადვილია,
თუმც აპრილმა თავი იშვა, იავა.
გადიარა ქარბუქმა და ქარიშხალმა,
მზემ ჩაგვატკბო თავის თაფლა სხივებით,
ძველი დარდი და ნაღველი აიშალა,
მაინც ბრწყინავს გულში ჩუმი იმედი.
გაზაფხულზე შემომცინებს ალუბალი,
ძოწისფერი, ხან სისხლივით წითელი,
ჩემს გულში მზეა
ცხელი და მწველი
აქ ჩატეულან ადამის ძენი.
ვერ მომერევა ვერა ცდუნება,
გველ-ღრიანკალის აღორძინება,
თეთრი სათვალით ვხედავდე ზეცას,
ღმერთმა ეს ჩემთვის ასე ინება.
ჩემს გულში მზეა...

ხარ ღმერთივით სანატრელი, სანუკვარი,
მარტოსული, ვით ყვითელი იელი.
მართლა მიყვარს დაშაქრული ალუბალი...
რა კარგია ახლა შენთან საუბარი...

* * *

სახლი, სადაც დავიბადე, გაიყიდა,
სხვა ხალხი და სხვა კაცები დასახლდნენ,
ბაბუას და ბებიაჩემს იმქვეყანად
აქვთ თავისი სასახლე.
ბიძაჩემმაც მოილია ეს სოფელი,
ბიძაშვილიც ადრე გაჰყვა ბილიკებს,
მიდიან და უკან აღარ ბრუნდებიან,
დგას სატანა, იცინის და ქილიკებს.
რას წაიღებ, რა დაგრჩება, კარგად იცი,
მაინც გინდა დრო შოვნაში გალიო,
ეს ცხოვრება თასი არის შხამით სავსე,
მაინც გინდა, სულ ბოლომდე დალიო.
სახლი, სადაც დავიბადე, გაიყიდა,
სხვა ჯიში და სხვა გვარები სახლობენ,
მიდიან და უკან აღარ ბრუნდებიან,
სადარდებელს გვიტოვებენ ახლობლებს.
სასაფლაოს ეფინება მთვარის შუქი,
არც მზე აკლებს ოქროს სხივებს სამარეს,
იქაურებს აღარა აქვთ ჩვენი დარდი,
აქაურებს ცოტა რამეც გვახარებს.

სხვა სიყვარული

ოლიმპოს მთაზე ჩამწკრივებულან,
მკაცრად მბრძანებლობს დიადი ზევსი,

სიყვარული ხომ ლამაზი არის,
აუხდენელი - ულამაზესი.
ქორფა ფოთლები ჩრდილებს ხატავენ,
ლუციფერი კი ჯოჯოხეთს აღებს,
ყველა მიიღებს თავის კუთვნილს და
ყველა წაიღებს თავის წასაღებს.
მერე თავიდან მოვა ბავშვობა,
სხვა სიყვარულიც - ნასხლეტი მზესი,
უფრო ლამაზი, უფრო ძლიერი,
უფრო ტკბილი და ულამაზესი.

ნოე ჟორდანიას აზრი ქალებზე

ნოე ჟორდანიას წიგნს ვკითხულობდი,
ოჯახზე იძლევა რჩევას:
ბავშვმა ბალღობაში უნდა შეიძინოს
კარგი თვისებები და ჩვევა.
ჯიშსაც ჰქონია დიდი მნიშვნელობა
დედის და მამის მხრიდან,
ქართველ ვაჟკაცებს გმირებად
ქართული გენი ზრდიდა.
ქალი და დედა ყოფილა მთავარი,
მხოლოდ ჯიშის მოღალატე არა!
ქალის საქებრად და სადიდებლად
მისი ერთგულება კმარა.
სხვაც კიდევ ბევრი უთქვამს
ბატონ ნოეს:
ქალი ოჯახის ძირი და ფუძეა,
ქალის ნამუსის დასაცავად
საქართველოში ,,კაცი ქუდზეა."
და ურჩევს მოხუცი ქართველი კაცებს:
,,ჩაიხედეთ ქალების გულში ღრმად,
დაინახე, შეიგრძნეთ, შეიცანთ,
ნუ იქნებით გულქვა და ბრმა.“

ბოროტსა სძლია კეთილმან

"ქრთამი ჯოჯოხეთსაც ანათებს"—უთქვამს ხალხს,
ეს სიმართლეა და ამაზე ვერ დახუჭავ თვალს!

წუხელ სიზმარი ვნახე,
ჩემს ქუჩაზე სიკვდილმა ჩამოიარა
კუბოთი მხარზე,
ბოროტებას ეძებდა შიგ ჩასაწვენად...
არ შემშინებია სრულიად,
ჩემი სახელი სიკეთეა,
მიწაზე დავაბიჯებ
გულღიად!
რა ხდება?!
მიცვივდნენ სიკვდილთან საქმის ჩასაწყობად,
ქრთამით უვსებენ უბეს,
სთავაზობენ ოქროსა და ფულებს.
—არა! — ვფიქრობ ჩემთვის,
სიკვდილი მოუსყიდველია,
ის ბოროტებას დაამარცხებს,
ყველა ავკაცს გაუთხრის სამარეს.
ჩემს გულუბრყვილობაზე
იცინის სატანა,
ყველას ჰყავს პატრონი ამ ქვეყანაზე
გარდა სიკეთისა...
სწორედ ამიტომ იმ შავ კუბოში აღმოვჩნდი მე,
სახელად სიკეთე!!!
არავინ ისურვა ჩემი მოშველება,
არ ვიკადრე თხოვნა და იმიტომ.
რა მქონდა სახვეწარი?
მფარველს ეძებს მხოლოდ გარეწარი!
არ მსურდა კუბოში დარჩენა,
ძალა მოვიკრიბე, სიმართლეს მოვუხმე მხსნელად...
სიმართლის ხსენებაზე სიკვდილსაც შეეშინდა,
ხელი გამიშვა ხელად.
დასაბამიდან სიკეთე და სიმართლე
დედამიწაზე
დაბიჯებენ ერთად.
მხოლოდ ის მიკვირს ძლიერ,
რომ ამ ლამაზ მიწაზე, ამ დიდ ქვეყანაზე
ზოგჯერ ბოროტებას კვლავ დაუსჯელს ვხედავ...

ქარი

არ ისვენებს ანცი ქარი,
ეჩხუბება ყვავილებს,
საცოდავებს, უძილოებს,
მთვარის კოცნით დაღლილებს.
აღარ ჩადგა შფოთი ქარი,
ფოთლებს გაინაპირებს,
შეგისრულებს ყველა სურვილს,
თუნდაც არდანაპირებს.
არ მშვიდდება ზენა ქარი,
გრიალებს და გრიალებს,
წამით თვალი თუ მოხუჭე,
ელვად აგაბრიალებს.
"ქარო ჩადექ, ქარო ჩადექ",
ლოცვა ასე იწყება,
თუ ჩადგა და დაგიჯერა,
მიწას გაუწვიმდება.
წვიმა ქარის ცრემლებია,
უხარიათ ღრუბლებს,
ნეტავი ქარს ვინ დაადგამს
სიყვარულის უღელს?!!

სიბერე

როცა ფერებმა ფერი იცვალეს,
მე აღტკინება მქონდა გიჟური,
ახალგაზრდობის სავსე ფურცლები...
უბით თან დამაქვს ჩემი დღიური.
ჩემი თვალები ჩემი გულია,
სავსე ლამაზი, ტკბილი ფერებით,
ახალგაზრდობას წამით შევხვდები,
შევხვდები და თან მოვეფერები.

* * *

გაზაფხულზე რომ ცაზე იელვებს,
შემოეჯარება ღრუბლები მწვერვალს,
მოვეფერები ყვითელ იელებს,
ოცნების ლეიბ-ბუმბულზე ვწევარ.
ცოფი და ღვარქაფი ჩამოვა ზეციდან,
ვიღაცა გადარჩება ათას ერთიდან....
ღმერთმა შეისმინა ვედრება ხალხის
და მიანიჭა იმედი ხვალის.
ოცნება უფალმა მოგვიჩინა იმედად,
იმედი კურნავს დაჩაგრულ გულს,

სიცოცხლე მანამ მინდა ამქვეყნად,
სანამ სპეტაკად შევინახავ სულს!

* * *

გეფიცებით, არასოდეს მითქვამს ავი,
არც მიქნია ბოროტება სხვისთვის,
არ ვყოფილვარ ვინმეს მტერი და მზაკვარი,
თუ ვტყუოდე, ცა დამატყდეს რისხვით,
ყვავილებში ჩაიღვარა მთვარის შუქი,
მე სიკეთე დამაქვს უბით სავსე,
თუ მოვარდა შავი ქარიშხალის ბუქი,
მაინც ვივლი მე სიმართლის გზაზე.
მე არ მინდა სხვისი ვნება იგრძნოს გულმა,
ჩემი ხელი არ მოგიტანთ ზიანს,
სიყვარული, სიხარული ვთესოთ უხვად,
სიკვდილამდე... არ იქნება გვიან.

სვეტიცხოველი

ხევში ხვნეშით მიჩხრიალებს ხეკორძულა
ოსტატს დოქი აუღია ხელში,
ფარსმან სპარსი არსაკიძეს ეორგულა
სვეტიცხოველს შური სტყორცნა პეშვით...
შენდებოდა, მაინც ისევ შენდებოდა,
შენდებოდა წვალებით და ხვნეშით.
ქრისტეს ტაძარს შეეწირა ბევრი მონა,
ვინ შრომით და ვინ შიმშილით მოკვდა,
რწმენა იყო და მამულის არ დათმობა,
თუმცა იყო ტანჯვაც, კვნესაც,
ოხვრაც...
მხრებს შლიდა და ფრთებს ისხამდა ეს შენობა,
მაგარ ფუძედ სიყვარული ჰქონდა.
შენდებოდა, მიიწევდა ცისკენ წვერით,
გუმბათზე კი თვით იესო ჩანდა...
არსუკიძე მიწად იქცა რახანია,
დაინაცრა სიყვარუის ფარჩაც...
საქართველო ისევ ჩვენი ლამპარია
ტაძარი კი სიმფონიად დარჩა.

მე და შენ

მეუღლეს – რეზო ოდიშარიას

ჩვენს სარკეში განთიადი იცქირება,
მზის სხივები გვეფერება მე და შენ,
ვერცხლის წლები ჩაიბარა მატიანემ,
გამოვცალეთ სიყვარულის ზედაშე.
სიყვარული-სიხარული ბევრი გვქონდა,
ტანჯვაც ბევრი გამოვცადეთ მე და შენ,
ჩვენს ბაღებში სუსხიანი ქარიც ქროდა,
მარშს უკრავდა ნაღვლიანად მემარშე.
დღემდე შრომით ღირსეულად მოვაღწიეთ,
ვჩურჩულებდით ლოცვებს ხშირად მე და შენ,
ღმერთი გვწყალობს!
ღმერთი გვფარავს!
ღმერთი გვიცავს!
და კამკამებს სიყვარულის ზედაშე.

* * *

60 წელი ჩუმად გამქრალა...
კარგად არც ვიცი, ვხარობ თუ
ვდარდობ,
რაც კიდევ უნდა მაცოცხლო,
ღმერთო,
წინასწარ გმადლობ!
თითქოს დამღალა
ცხელმა ცხოვრებამ,
გულს კი სიცოცხლე კვლავ უხარია,
მე ვფიქრობ, ქვეყნად სიკეთე ვთესე
და მაინც თითქოს რაღაც მაკლია.
ჩიტი რომ გალობს, სიამეს მმატებს,
ცაზე ღრუბლები - მტკივა ძალიან,
ვინც გულით მლოცავს,
ღმერთმა დალოცოს
და ისიც, ჩემთვის რომ არ სცალია.
მე საქართველო მიყვარდა მუდამ,
მით უფრო ჯიში, გენი ქართული,
სამშობლოს ხატი მეკიდა გულთან,
ემატებოდა სართულს სართული.
თუ მიწოდებენ მე „ქალურს და ნაზს,"
არც შემართება მაკლდა ვაჟური,
თუმცა ვაღმერთებ მე ღვინოს და ვაზს,
მაგიჟებს წყარო ქვებში ნაჟური.
ადამიანი ცოდვებით ცხოვრობს,
ვიღაცას, ალბათ, მეც ვაწყენინე.
მოვინანიე, ვილოცე, თუმცა
ცისკრის ვარსკვლავად ვერ გავიბრწყინე.
ცუდ სიტყვას კეთილი უნდა
სჭარბობდეს,
შეცდომებს გასწორება უნდა,
უკეთესია არ დაჭაობდე
და გული შეგრჩეს სუფთა.
კელაპტარივით მინდა ავენთო,
ვუშველო მამულს, ტანჯულს,
მივუძღვნი, შევწირავ, თუ წაადგება
დანკოს მაგიერ ამ გულს.
კვლავ მაგონდება ტკბილი სურნელი
მამა-პაპური ოდის...
წასულა ჩემი სამოცი წელიც
როგორც ნახტომი შველის...
როდის გავიდა და გამეპარა?
ნეტავი როდის?!
როდის?!

* * *

მდინარე უკვე ზღვას უერთდება,
ცხოვრებას გააქვს თავისით ლელო...
დავივიწყო თუ არ დავივიწყო?
დავიჯერო თუ არ დავიჯერო?
იდუმლად წავიდნენ მღელვარე წლები,
ზოგჯერ ვიხსენებ ძველ-ძველ იარებს,
არც არაფერი შემშლია, ვფიქრობ,
ჩემი გზა ჭკუით გადავიარე.
ახლა კიბეზე ჩავდივარ დაბლა
და ვანგარიშობ გავლილ ნაბიჯებს,
სხვა ვერაერი შევმატე მამულს,
მხოლოდ ვუტოვებ წყვილ, ლამაზ ბიჭებს.

დავით მაისურაძე

მსახიობი

(ვუძღვნი გენიალური მსახიობის აკაკი ხორავას ხსოვნას)

ჰამლეტისა და ლირის როლის შემსრულებელი, ერთ დროს თბილისელთათვის საყვარელი მსახიობი ლევან ჩიქოვანი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მარტო ცხოვრობდა ავეჯისგან დაცარიელებულ, გაყინულ ბინაში. ქალიშვილი ადრე გათხოვდა და მამის მოსანახულებლად იშვიათად იცლიდა. გაღატაკებულ, ლეგალური ყაჩაღებისა და მათხოვრების ქვეყანაში თეატრს მაყურებელი აღარ ჰყავდა. მაყურებელს თვითონ უჭირდა, თან ძალიან უჭირდა... გაუსაძლისი წლები ედგა საქართველოს... მსახიობებიც მიმოიფანტნენ. ზოგმა საერთოდ მიატოვა თეატრი და პროფესია შეიცვალა. უკანასკნელ პერიოდში ქართველმა ხალხმა ერის შინაგანი ბუნებისთვის მიუღებელი საქმიანობაც კი გააცნობიერა და ვაჭრობა დაიწყო!

იყო დღეები ლევან ჩიქოვანი სადილის გარეშე რჩებოდა, მაგრამ თეატრის ღალატი ვერ წარმოედგინა, სცენისა და რამპის სინათლეების გარეშე სიცოცხლე არაფრად უღირდა. გახუნებულ, გაცრეცილ ტანსაცმელს საგულდაგულოდ წმენდდა, ასუფთავებდა. ფეხსაცმელები, რომელიც ცნობილი როლისათვის შეიძინა ოდესღაც, უკვე რამდენჯერმე დააკერებინა, ძირიც შეაცვლევინა, რუსთაველზე მაინც ლაზათიანად ჩაივლიდა და თეატრის წინ აუცილებლად დადგებოდა ყოველდღე ერთი საათით მაინც. საბურთალოზე ცხოვრობდა და პრესის სახლიდან თუ არა, მეტრო რუსთაველიდან უეჭველად წავიდოდა ფეხით. მაღალი, მხრებში გამართული დინჯად მიაბიჯებდა რუსთაველზე. ფაქტიურად მთელი თბილისი იცნობდა და ისიც ყველას ესალმებოდა. ამ ზამთარს ფილტვების ანთება დაემართა. ექიმი ძველმა მეგობარმა გოგიტა შუბლაძემ მოუყვანა. ფული არც ერთს არ ჰქონდა ექიმისთვის რომ მიეცათ, მაინც შესთავაზეს, ექიმმა თავი გადაიკლა, ბატონ ლევანს ფულს როგორ გამოვართმევო... ორი თვე იწვა ლოგინში. ღმერთმა არ გაწირა. წამალი და საჭმელი სამადლოდ ხან ვის მოჰქონდა და ხან ვის. ბოლოს ძლივს წამოლასლასდა ფეხზე. რამდენიმე დღე სახლში ბორძიკით იარა, ფაქტიურად თავიდან ისწავლა სიარული. მერე თეატრში წასვლა გადაწყვიტა. ყაზბეგის და პეკინის კუთხეში ტროლეიბუსს საათი უცადა, რადგანაც ეს იშვიათი და იაფი ტრანსპორტი რატომღაც არ მოეწონათ რეფორმატორებს და ჯართებად გაგზავნეს თურქეთში! როგორც იქნა მოვიდა მისი განუყრელი ტროლეიბუსი, სულ რამდენიმე კაცი ივჯდა შიგ. ახლადგამდიდრებული ქართველები „ნოვი გრუზინი“ რომ შეარქვა ხალხმა, ამ ტრანსპორტს არ კადრულობდნენ. ხალხი იმასაც ამბობდა, რომ ახალი ხელისუფლება ტროლეიბუსებს საერთოდ მოაშორებდნენ ქალაქს და ტრანსპორტს გააძვირებენო. ლევანს ფეხზე დგომა უჭირდა, თავისყფალი ადგილები ბლომად იყო თითქმის ცარიელ ტროლეიბუსში და ისიც დაჯდა. ამჯერად აკადემიასთან ჩამოვიდა და ფეხით დაუყვა პროსპექტს. ახლადდაარსებულ რესტორან „მარკო-პოლოსთან“ შეჩერდა, შესასვლელი შეათვალიერა და გზა განაგრძო. ნელა მიდიოდა, მძიმედ. იქვე, მაღაზია „ლუქსთან“ ბორის ესაკია შეხვდა და მოიკითხა. მისთვისაც დაეკრა ბეჭზე ხელი გაჭირვებას:

-ჩემო ლევან, შენი ჰამლეტის დავიწყება არ შემიძლია... რა წლები გვქონდა, რა წლები... არ მოგვწონდა კომუნისტები, მაგრამ... ხალხი არ შიმშილობდა... ლევანმა მხოლოდ ჩაიღიმა და გზა განაგრძო. თბილოდა, ოღონდ არ ცხელოდა, გამვლელ გოგონებს კი მუცელი და ჭიპი უჩანდათ... ლევანი ტრადიციების მოყვარე კაცი იყო და ქუჩაში შიშველი ქალის და ფეხტიტველი (შორტებიანი) კაცის დანახვა არ სიამოვნებდა:

- გადაგვარდა ჩვენი ახალგაზრდობა, - ჩაიბუტბუტა თავისთვის. წიგნების მაღაზიასთან მიწისქვეშა გასასვლელით ოპერასთან გადავიდა. ოპერის წინ კოლა დადიანმა გადაუღობა გზა:

- ამას ვის ვხედავ? რამდენი ხანია აღარ მინახიხარ. ვიფიქრე, მოსკოვში ხომ არ გადასახლდა მეთქი.

- მოსკოვში წასასვლელ ფულს შოვნა უნდა ჩემო კოლა, თეატრი კი ამის საშუალებას არ იძლევა, ან რა უნდა მოგვცეს, ამდენი ხანი დაკეტილია... ან რა დამრჩენია მოსკოვში? ცალი ფეხი სამარეში მიდგას, 60-ს გადავაბიჯე უკვე...

- სისულელეებს ამბობ ლევან, ეს სიბერე გგონია? არა გენაცვალე, ცხოვრება თავიდან უნდა დაიწყო, ნახე რამდენი ლამაზი ქალია თბილისში, რამდენი ლამაზი თვალები...

- ყველაფრისთვის ფულია საჭირო, ფული... დღეს ყველაფერი იყიდება, ძმაო. არ იცოდა ჩვენმა თაობამ ეს.. – თითქოს შეამცივნა ლევანს.

- ფული? ჰო, ფული საჭიროა, მაგრამ გული უფრო მეტად არის საჭირო. მსახიობების უმეტესობამ ბიზნესი წამოიწყეს. ჩემთვის გაუგებარია ეს ამბავი. ალბათ მე ვერ ვხვდები, ნამდვილ არტისტს როგორ შეუძლია მოწყდეს სცენას?

- არა, კოლა, ეს შეუძლებელია! – ბოღმანარევი ხმით დააყოლა ლევანმა – მაგრამ... კუჭის პრობლემებიც ხომ არსებობს? შიმშილი გამოგიცდია კოლა? ჩვენების უმეტესობამ გამოსცადა შიმშილი. კუპონების დრო გახსოვს? პურის რიგები, შიმშილისაგან ფეხზე ველარ ვიდექით, ახლაც იგივე მდგომარეობაში ვართ ძმაო, არაფერი შეცვლილა... რა ჰქნან? მსახიობებსაც ჰყავთ ოჯახები, შვილები.

- არა, არა, ლევან... სცენაზე რომ თუნდაც ერთხელ იტყვი ჰამლეტის მონოლოგს აღელვებული, გარინდებული დარბაზის წინ, მერე კუჭის პრობლემა მოხსნილია. შენც ხომ ადამიანი ხარ? არ გაწუხებს კუჭის პრობლემა?

- არა! გადავეჩვიე ჭამას, მოლას ვირის არ იყოს.. – ჩაიცინა ლევანმა.

მაღალი, ჩასხმული, კარგად ჩაცმული მამაკაცი ღიმილით მიუახლოვდათ.

- ბატონებს გაუმარჯოს! ლევან არაფერი გამეხარდებოდა ახლა თქვენს ნახვაზე მეტად, ისტორიული მომენტია! – და გადაეხვია. ლევანმა ვერაფრით გაიხსენა ვინ იყო ეს კაცი. უცნობი კოლასაც მიესალმა და უთხრა:

- ოღონდ თქვენი სახელი აღარ მახსოვს, მაპატიეთ.

- არა უშავს, კოლა დადიანი გახლავართ, ამ ბუმბერაზი კაცის ერთგული მგობარი – ჩაიბუხუნა კოლამ და ლევანს მხარზე ხელი დაარტყა.

- მეგობრებო, თქვენთან შეხვედრა ორი-სამი ჭიქით მინდა აღვნიშნო აქვე, ამ ახალგახსნილ მარიოტში, ოღონდაც უარს ნუ მეტყვით. ო ... ილიკოც მოდის... ყველანი მივდივართ.. – იმდენად გულწრფელი იყო უცნობი, არც უფიქრიათ უარის თქმა.

რესტორანში მხოლოდ რამდენიმე მაგიდა იყო დაკავებული. ოფიციანტი მათთან გაჩნდა. უცნობმა თითის დაქნევით თავისთან მიიხმო და უჩურჩულა:

- დავიწყებთ შემწვარი წიწილებით, სალათით, რქაწითელით. თანდათან შემოამატებთ კუპატს, საცივს, შემჭვარ გოჭს ნივრითა და ავჯიკით, ბასტურმას, ბოჩოლის ჩაქაფულს, ხაშლამას. შემდეგ მწვადს წალამზე შემწვარს, არ დაგავიწყდეთ ღომი, სულგუნი და შემწვარი ორაგული, კალმახი, ხიზილალა შავი და ბოლოს... შვლის მწვადები, ყავა .. ოღონდ ისეთი, როგორიც ბატონ ლევანს ეკადრება, თქვენი რესტორნისთვის ბედნიერი დღეა, ბატონი ლევან ჩიქოვანი აქ სადილობს! აბა, ჩქარა ყველაფერი.

ოფიციანტს ღიმილი არ მოშორებია სახიდან, რამდენჯერმე გაკვირვებით გადმოხედა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილ გაცვეთილ ტანსაცმლიან და სიგამხდრისგან ლოყებჩაცვენილ გაყვითლებულ ჭაღარა კაცს და გაქრა, გაუჩინარდა.

- ბატონო ლევან, ჩემი თაობისთვის თეატრი ოცნება იყო... მიუწვდომელი სამყარო... ოჯახში ფულს რასაც მაძლევდნენ თქვენი თეატრის ბილეთებზე იხარჯებოდა და თქვენს ყოველ სპექტაკლზე ვიჯექი. სერგო ზაქარიაძის გარდაცვალება რომ გავიგე ალექსანდრეს ბაღში ხმამაღლა ვტიროდი... მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა... ეროვნული მთავრობის, გამსახურდიას მომხრე იყო ჩვენი ოჯახი და იმ საშინელი რეპრესიების დროს აქ აღარ დაგვედგომებოდა. გახსოვთ ყველას ქუჩაში, დღისით – მზისით უმოწყალოდ ხოცავდნენ ხალხს, მით უმეტეს ახალგაზრდებს იოსელიანისა და კიტოვანის ბანდიტები. მოსკოვში გადავედით საცხოვრებლად. მამა ფიზიკოსი იყო. მეც მის კვალს გავყევი. ახლა ამერიკაში ვცხოვრობთ. ერთ-ერთ ცნობილ უნივერსიტეტში ლექციებს ვკითხულობ. ბედს არ ვუჩივი, ანაზღაურება კარგია, მაგრამ ჩემს ქვეყანაში ცხოვრება, ამ მზის ქვეშ ყოველი დილის გათენება ყველაზე დიდი ბედნიერება ყოფილა თურმე! და ... ახლაღა მივხვდი ამას. მაგრამ, ჩვენ ხომ ჩვენი ნებით არ გავმხდარვართ ლტოლვილნი?

ავადმყოფობის მერე ლევანს გული ძალიან ჩვილი გაუხდა, ვერც შეამჩნია, თვალზე ცრემლი როგორ მოადგა. კოლა დადიანი უცნობს მიუბრუნდა:

- მე თქვენი სახელიც არ ვიცი, მეგობარო!

- დავით კორინთელი, უიღბლო და გადახვეწილი, სამშობლოს და ყველაფერ მშობლიურს დანატრებული კაცი... დამისხით მეგობრებო... ჩვენი მიწის სადღეგრძელო შევსვათ...

- ეს თქვენი ბრალი არ არის, დრომ მოიტანა დავით ბატონო, საქართველოში ცხოვრება ახლა არ შეიძლება, აქ მხოლოდ სიკვდილი შეიძლება და თანაც ადვილად, არავინ მოგედავებათ, აქ არავინ არავის სჭირდება... – კოლას ხმა ცხელი რძესავით ჩაუძვრა ლევანს სულში და შემდეგ მთელ სხეულზე გადმოეღვარა... სისხლი და ხორცი ერთიანად აუწვა მწარე სიმართლემ!

- არ მინდა საზღვარგარეთ ცხოვრება, ძალაა, არ მინდა!... მაგრამ აქ რა უნდა გავაკეთო? აქ არავის ვჭირდები! ჩემზე უკეთესებს უნივერსიტეტში 80 ლარი აქვთ ხელფასი. ევგენი ხარაძე ისე გარდაიცვალა, თითქოს არავინ იყო... ვერ იგრძნო საქართველომ ვინ დაკარგა... ხალხნო!

- საქართველომ კი იგრძნო, მაგრამ ქვეყანას ხერხემალი აქვს გადამსხვრეული. ამდენი მოღალატე ამ ქვეყანას არასოდეს ჰყოლია – გაეპასუხა ლევანი და სახე ხელებში ჩარგო, შეეცადა მღელვარება შეეჩერებინა...

მაგიდა ტრადიციული ქართული საჭმელებით ივსებოდა. იცლებოდა გამჭვირვალე რქაწითელით სავსე ბროლის ქათქათა თეთრი ჭიქები. იღვრებოდა სიყვარულის, ერთგულების, მამულიშვილობის სადღეგრძელოები. კარგახნის დაღამებული იყო, რომ წამოიშალნენ. ლევან ჩიქოვანს აღარც ახსოვდა ასე ნოყიერად როდის ისადილა ან ივახშმა ბოლოს...

მასპინძელმა მობილური ტელეფონით მძღოლს გამოუძახა.

უცხოელები შემოვიდნენ რესტორანში. დავით კორინთელი იცნეს და მის შესახვედრად გამოემართნენ. კორინთელმა ლევანს, კოლას და ილოს წარუდგინა სტუმრები, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორები. მიუბრუნდა იმათ თარჯიმანს და უთხრა:

- გადაუთარგმნეთ, მათ წინაშეა მსოფლიოში უდიდესი მსახიობი. ინგლისშიც კი ვერავინ ასრულებს ოტელოს, ჰამლეტსა და ლირს ისე, როგორც აქ, თბილისში ლევან ჩიქოვანი. ხელი ჩამოართვით მას ბატონებო, ეს თქვენთვის დიდი პატივია! - დავით კორინთელმა ჰალსტუხი მოიხსნა და შარვლის ჯიბეში ისე ჩაიტენა, როგორც ოდესღაც იცოდა ასე, აქ, თბილისში. მეტისმეტი ემოციებისგან სახეზე ცეცხლი წაკიდებოდა, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. სასტუმროს ღია კარში ჩადგა და ყველას გასაგონად ხმამაღლა თქვა:

- არ იფიქროთ, რომ ღვინომ ამომადგმევინა ენა, არა, ათი წელია თბილისში ფეხი არ დამიდგამს, არ გამივლია. ახლა რაღა შეიძლება ვინატრო? ერთადერთი რამ, თუნდაც ერთი საათით ვიყო ლევან ჩიქოვანი და მისი სიმაღლიდან გადმომახედა თბილისს, ჩემს თბილისს, აი ეს არის უკვდავება, როცა იცი რომ შენი წინაპრების გვერდით, შენს მამულში დაიმარხები! მე ისიც არ ვიცი ვის მიწაზე, ვის ქვეყანაში გაითხრება ჩემი სამარე!...

თარჯიმანი ქალიშვილი ლევანს მიუახლოვდა:

- ბატონო, თქვენს სავიზიტო ბარათს ითხოვს ბატონი ბერლიხინგენი. მიბოძეთ თუ შეიძლება.

- არა მაქვს.

- რატომ? თქვენ ხომ ცნობილი მსახიობი ბრძანდებით? – ეჭვმა გაჟონა ახალგაზრდა ქალის ხმაში.

- არ ვიცი.. – დაბნეულად უპასუხა ლევანმა. მერე ღიმილით მოუბრუნდა გაკვირვებულ ქალიშვილს – მაგრამ.. ფულის გარეშე ... საქართველოში კაცობისა და ფულის დეფიციტია, ქალიშვილო, გადაეცით უცხოელ ბატონს!

ლევანი შემობრუნდა, ცას ახედა, კაბადონი ვარსკვლავებით იყო გადაჭედილი. მაისის გრილი, სასიამოვნო ნიავი ქროდა და მაღალ შუბლზე ჭაღარას უშლიდა. ჩაიცინა:

- ფული ძალიან საჭირო ყოფილა, რატომ აქამდე არ ვიფიქრე ამ საკითხზე? თუმცა... რა მნიშვნელობა აქვს, ამით ფაქტიურად არაფერი შეიცვლებოდა, ფულის შოვნას ხომ თავისებური ნიჭი სჭირდება, რაც ალბათ მე ნამდვილად არ გამაჩნია.

შეინანეთ თქვენი ცოდვები, დედოფალო...

ივანე ათაბაგის მსახურმა სომეხმა კაცმა, რომლის სახელი ისტორიამ არ შემოინახა თბილისის დამცავი ციხის კარი გაუღო ნაჩუმათევად ჯალალ-ედ-დინს და ჯალალმაც დაწვა, დაანგრია და იავარჰყო იქაურობა! მეფე-დედოფალი რუსუდანი თბილისიდან გაიყვანეს. მცხეთაში, სვეტიცხოვლის სენაკში განმარტოვდა იგი. ლოცვაში ატარებდა დღეს და ღამეს. საღამოობით თავისი შვილის აღმზრდელი მამა ილარიონ სოფრომაძის ხელით იღებდა წყალსა და პურს. ერის მთავრები და სასახლის დიდებულები ამაოდ ცდილობდნენ როგორმე საერო ცხოვრებისკენ მოებრუნებინათ მეფე - ქალი, მაგრამ ამაოდ... დღეები ჩუმი ტაატით, უღიმღამოდ გადიოდა. დედოფალი ფეხზე ველარ დგებოდა, ახლა უკვე ქვის იატაკზე დაჩოქილი ლოცულობდა, ინანიებდა თავის ცოდვებს და ევედრებოდა უფალს ქვეყნისა და ერთადერთი ვაჟის გადარჩენას. ასე დადგა 1240 წელი! მცხეთა-თბილისის დამცავი ციხის ბურჯებს მონღოლთა ციხიონები შემოწყობოდნენ... რუსუდანი სულ მთლად გატეხა ურდოში წასულ შვილზე დარდმა. საოცარი ზმანებები დაეწყო, მუდმივი მარხვისგან დასუსტებულს ძილი ადრე ერეოდა, როგორც კი თვალი მიელულებოდა ცოცხლად ეცხადებოდა მლოცველი დედის, თეთრად შემოსილი თამარის აჩრდილი, შემდეგ მის ადგილს სისხლში მოთხვრილი პაპამისი, გიორგი მეფე იჭერდა! რუსუდანი ბორგავდა, მისი სული ვერც დღე ისვენებდა და ველარც ღამე... ქართველი დიდებულები უმოქმედობით და ფაქტიური უმეფობით სულშეძრულნი ცდილობდნენ საქაოსკენ მოებრუნებინათ მეფე-

დედოფალი და ქვეყნისთვის ეშველათ. გადაწყდა – შეყრილიყო დარბაზის ერი მწიგნობართუხუცესის მოწვევით. უმჯობესი იყო, აღდგომის დადგომამდე მოგვარებულიყო ეს დიდი საქვეყნო საქმე. რუსუდანმა ყურადიღო დიდებულთა მუდარა და სასახლეში დაბრუნდა ერთადერთი გადაწყვეტილებით, პაპამისის, გიორგი მეფის სახელზე პანაშვიდები გადაეხადა დიდ თუ მცირე ეკლესიებში, თვითონ მოელოცა ლიხნისა და ბედიის ტაძრები, ილორის სასწაულმოქმედი წმინდა გიორგის ეკლესია და გელათში გაეთენებინა აღდგომის ბრწყინვალე ღამე. დარბაზის ერი შეიკრიბა. იმსჯელეს, ითათბირეს, შემდეგი შეხვედრა ნააღდგომევს დათქვეს და დედოფალს მშვიდობიანი მგზავრობა უსურვეს დასავლეთში. რუსუდანის ამალა მარხვის პირველ კვირასვე დაიძრა აფხაზეთისკენ. გზად ყველა შემხვედრ ეკლესიაში ლოცულობდა დედოფალი. ბოდბელი და ხირსელი მონაზვნები ახლდნენ თან.

- ნათესავი აღარავინ დამრჩა, ახლობელი... - შესჩივლა ბოდბელ დედა მარიამს ხმაწართმეულმა რუსუდანმა.

- მართალია, შვილო ჩემო, მეფე გიორგიმ ყველანი გაწყვიტა... გულბოროტი კაცი იყო შენი ბაბუა, გინდაც პაპა დაარქვი... ერთადერთი და გადაურჩა, რუსუდანი. ისიც იერუსალიმში იყო წასული მოსალოცად მაშინ... აქ რომ ყოფილიყო, მასაც მოკლავდა...

- დედაო, სისხლში ამოსვრილი მეცხადება ყოველ ღამით და მთხოვს... მისთვის ვილოცო...

- მოინანიეთ თქვენი ცოდვები დედოფალო... ილოცე შვილო, ილოცე ... ოღონდაც, განა ყველა ლოცვას შეისმენს უფალი? სისხლმწყურვალე ადამიანები არ უყვარს მამაზეციერს.

- დედაო მე მხოლოდ გადმოცემით ვიცი პაპაჩემის ცხოვრების შესახებ. რამდენჯერ ვეცადე უფრო მეტის გაგება, ყველა დამუნჯდა.

- დიდი ცოდვა აწევს სამეფო კარს შვილო, რუსუდან... დიდი ცოდვა! შემომხედე, იცი შენ მე ვინა ვარ?...

- ბოდბის მონასტრის წინამძღვარი, დედა მარიამი...

- და კიდევ... სამძივარების უკანასკნელი შთამომავალი, შვილო ჩემო, იმ სამძივარების, მთელი ოჯახი რომ ამოუწყვიტა პაპაშენმა. ამ სიტყვებს ბოღმა არ მალაპარაკებს დედოფალო, არა! ტკივილი, მხოლოდ, იმ არდასაღვრელი სისხლის ტკივილი დედოფალო, ისაა, ასე რომ აწამებს უკვე ამდენი ხანია ამ უბედურ ქვეყანას და ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს გადაჰყვება ეს დიდი ცოდვა შთამომავლობას...

- დედაო, მე მიკვირს დედაჩემის, რატომ არ აღწერა ყოველივე? გეგუთში ვუბრძანებ არსენს, და წვრილად ჩასწერს თქვენს ნაამბობს... ახლა კი მირჩიეთ რა ვქნა? მეფე გიორგის სისხლიანი ხელები მოსვენებას არ მაძლევს, ილოცეთ ჩემთვის დედაო...

- ბედშავი იყო მეფე გიორგი, რუსუდან... ღმერთი დაივიწყა, სამეფო ტახტი რომ მიეტაცებინა წამებით ამოხადა სული ჯერ საკუთარ ძმას, მეფე დავითს, მერე მის შვილს, დემნა ბატონიშვილს, დემნას 5 წლის ბავშვიც არ დაინდო, პატარა დავითი... დაახრჩობინა და ისე მოკლა! ღმერთო შეუნდე... პირსისხლიანი კაცი იყო, ვერაგი და მტარვალი მეფე გიორგი, გულის მაგიერ რვალს ატარებდა მკერდით.

- რაში სჭირდებოდა დედაჩემს სისხლით მორწყული ტახტი? შეუნდე დედაო...

- მე დიდი ხანია შევუნდე, ან კი მე ვინ ვარ, რომ განვსაჯო, უფალია ყოვლისშემძლე მსაჯული! მას არ ესწავლება... ბევრი უცოდველი სისხლი დაღვარეს დემეტრემ და გიორგიმ... ვაი მათ შთამომავალთ, ვაი უბედურ ქვეყანას... საშინელი სიბნელე სჩანს წინ... საქართველოს ბედნიერება დასრულდა დავითთან, გელათის აღმაშენებელთან ერთად...

- თამარი? დედაჩემი ხომ წმინდანი იყო... დედაო...

- ჰო, მეფე თამარი დღეს და ღამეს ლოცვასა და მარხვაში ატარებდა მამის და ბაბუის ცოდვები რომ გამოესყიდა, მაგრამ ვერ შეძლო. ამდენ ცოდვებს თამარის ერთი სიცოცხლე არ ეყოფოდა და არც ეყო შვილო, ცოდვებში იღრჩობა ქვეყანა... ცოდვა დუღს ქვეყანაში და ამ დუღილმა მოიყვანა მონღოლები აქამდე!... გულბოროტი კაცი იყო მეფე დემეტრე და მისი ძე გიორგი... ქურთი – სომხები გაბატონეს სასახლეში, მხარგრძელები... ამან შეარყია მეფისადმი ერთგულება იმ ძირძველ არისტოკრატიაში, რომელიც ყოველთვის ერთგული იყო სამეფო კარის... სწორედ ეს გახდა მიზეზი გიორგი რუსის მომიზეზებით ქვეყნის გათიშვისა, რუსი არაფერ შუაში იყო, ქვეყნისათვის თავდადებული მამულიშვილები აღარ ენდობოდნენ დედაშენს, დემნას მკვლელის შვილს... სისხლი დუღდა ქვეყანაში...

- დედაო, გემუდარები დამეხმარე, მოვინანიო ჩემი და ჩემი წინაპრების ცოდვები...

- ეცადე, შვილო ჩემო, ეცადე... ცდა კი ლოცვაშია და ქვრივ-ობლების შეწყალებაში. მოძებნე შენი ძმისშვილი და დააბრუნე ქვეყანაში, იქნებ შენს შთამომავლობას მაინც შეენდოს...

- დედაო... საშინელება ჩავიდინე... დავითი... მე ...

- ვიცი, შვილო, ყველაფერი ვიცი და ახლა შეგიძლია გამოასწორო შენი შეცდომა, დააბრუნე დავითი სამშობლოში და მიუჩინე მისი კუთვნილი ადგილი!!!

- არა, თქვენ ყველაფერი არ იცით, და არც არავინ იცის, დედაო... მე საშინელი ცოდვა ჩავიდინე...

- არ არსებობს საიდუმლო, რომელიც არ გამჟღავნდეს უფლის ნებით, მე ვიცი ყოველივე, მოძებნე შენი ძმისშვილი, თუ გინდა, რომ შენი შვილი მშვიდობით მოგიბრუნდეს ურდოდან სამშობლოში...

- დედაო...

- თავს ნუ იმართლებ, არაფრის თქმა არ არის საჭირო, იცი, რაც უნდა გააკეთო, შეეცადე, უკეთესი იყო, ვიდრე შენი წინაპრები, პირსისხლიანი დემეტრე და სისხლით გაუმაძღარი გიორგი...

- დემეტრეც?...

- დიახ, დემეტრეც... გელათის აღმშენებლის დავითის ვაჟს, ცვატას (ვახტანგს) თვალები დათხარა და.. მერე მისივე ბრძანებით ცვატას თავი მოჰკვეთეს... შეეშინდა, ცვატა ტახტში არ შეცილებოდა... ესეც არ იკმარა, საკუთარი შვილიც კი მოიძულა, დავითი...

- რატომ?

- არ ვიცი, მაგრამ მგონია, რომ ... ბავშვობიდან სძულდა ქართველები...

- რატომ?

- დედა სომეხი ჰყავდა დემეტრეს, განუტევა მეფე დავითმა მისი დედა და ბავშვი მარტო დარჩა, შეიძლება ესეცაა მიზეზი გული სიძულვილით რომ აევსო... მეფე დავითმა ყივჩაღის ქალი შეირთო და მასთან შეეძინა ცვატა (ვახტანგი), ანდერძი შეცვალა მეფემ, ტახტის მემკვიდრედ ცვატაც დაასახელა... ოღონდაც დემეტრეს შემდეგ, თუ დემეტრეს რაიმე შეემთხვეოდა! დემეტრემ შეცდომად ჩაუთვალა მამას ეს გადაწყვეტილება და ... ცვატა მოაკვლევინა.. არც საქართველოს აპატია ... დავითის გარდაცვალების შემდეგ დემეტრემ გამოარჩია ანისიდან დედის ნათესავები და სასახლეში შემოიკრიბა ისინი... ჯერ ვერ ბედავდა

მათთვის სახელოების (თანამდებობები) ჩამორიგებას, მაგრამ ... ცვატას თავიდან მოშორების შემდეგ ხელ-ფეხი გაეხსნა! იგივე გააკეთა პაპაშენმა გიორგი მეფემ – სასახლის კარი ანისელი ქურთი ლტოლვილებით გაავსო... ქართველი ერისთავები მოაშორა ტფილისს!

- დედაო...

- უფრო მეტიც... დემეტრეს პირველი ცოლი ქართველი ჰყავდა, დავითის დედა, ქალი მოწამლეს... ავი ენები დემეტრეს აბრალებდნენ ამ კოშმარს... და შემდეგ... დემეტრემ შვილი დავითი და მისი მეუღლე მოაკვლევინა, რაც დარჩა, დავითის ძე, დემნა ბატონიშვილი მთელი ოჯახით პაპაშენმა გიორგიმ ამოხოცა. დემნას ცოლის ნათესავები, ორბელიანთა საგვარეულო სომხეთს შეეხიზნა და გასომხდნენ...

- დედაო...

- სისხლითაა მორწყული თქვენი სასახლე მეფეო... ილოცე, შენი ლოცვით დაეხმარე ცოდვილ სულებს... დღეს და ღამეს ლოცვაში ატარებდა დედაშენი, პაპამისის და მამამისის სულების გადარჩენას შესთხოვდა უფალს... ილოცე, შენც ილოცე და კეთილი საქმე აკეთე, შენს ძირს და ფესვს მოუარე კარგად, იყავი სამართლიანი, გახსოვდეს, კარგად გახსოვდეს გარნისთან რაც დაგმართა ათაბაგმა... თავისი ღალატით დაამარცხა საქართველო... ამოწყვიტა თბილისი... თამარი წინ ვერ აღუდგა მამამისს! ეს მისი ყველაზე დიდი დანაშაული იყო და ერთადერთი დანაშაული იყო მთელი სიცოცხლის მანძილზე და ამ დანაშაულმა შეიწირა საქართველოს თავისუფლება გარნისთან... წარსულს ვეღარ დავაბრუნებთ, მაგრამ... შენ ბევრი რამის შეცვლა შეგიძლია... შეგიძლია საქართველო დაუბრუნო ქართველებს!

- დედაო... დამეხმარეთ დედაო...

- უფლის სიყვარული დაგეხმარება და თვალებს აგიხელს, მეფეო... ძალა მოიკრიბე, დათრგუნე ბოროტი... ყველაფერი წვრილად გამოიძიე, შეისწავლე ათაბაგის საქმე და ... კიდევ გეუბნები... იყავი სამართლიანი მის მიმართაც... შეაგნებინე მას და მის ხალხს, რომ იცი მისი ღალატის ფასი... შეაგნებინე, რომ აქ საქართველოა და არა სასომხეთი...

- ბევრი რამ გავიგე, დედაო...

- ეს ძალიან ცოტაა, რაც უნდა იცოდე კიდევ შვილო ჩემო... შენი ყველაზე დიდი დანაშაული შენი ხალხისა და ქვეყნის წინაშე იყო ის რომ... გარნისის ღალატისათვის ყურადღება არ მიგიქცევია... ათაბაგი ისევ ამირსპასალარად დასტოვე და... აგარაკ-ტაშირის მამულები სამკვიდროდ შეუნარჩუნე.. ამის უფლება არ გქონდა მეფეო... რადგან... შენი სული პასუხს აგებს იმ 100 000 ქართველის წინაშე, ჯალალ-ედ-დინმა რომ მტკვარში ჩაახრჩო... და ეს ცოდვა შენს შთამომავლობას მოეკითხება, შვილო ჩემო...

- ვაიმე დედაო...

- მეფეს არ უნდა ეშლებოდეს, თუ ვის უნდა მიანდოს საქვეყნო საქმეები... ამირსპასალარობა ყველაზე დიდი სახელოა სამეფო გვირგვინის შემდეგ... პაპაშენმა ქართული არისტოკრატიის გასაწყვეტად მოიყვანა სასახლეში უგვარო ქურთები და მხარგრძელები შეარქვა მათ... და ... ბოლოს და ბოლოს ვინ უნდა გამოასწოროს გიორგი მეფის საზიზღარი დანაშაული? თამარი ანგელოზი იყო, მაგრამ ეს ვერ შეძლო! როდემდე უნდა ითმინოს ქართველმა ხალხმა მათი ღალატი? ახალციხელები შეეწირნენ უკვე... და რამდენი ერთგული ვაჟკაცი... ნუ გააკეთებ ისე მეფეო, რომ შენს შვილ-მომავალს შენც სისხლში მოსვრილი ეცხადებოდე ცოდვილი ხელებითა და სულით.

- დედაო, მიშველე...

- თვითონ შეგიძლია საკუთარი თავის შველა... და სულის ხსნა... ქართული ქვეყნის ხსნა, რომელიც უფალმა მოგანიჭათ სამემკვიდროდ...

- დედაო, დამეხმარეთ... პაპა დემეტრე ღრმად მორწმუნე იყო, მის სულს შევთხოვ გონება გამინათოს...

- სიცრუეა... მე უკვე გითხარი პაპა დემეტრეს ცვატას და საკუთარი შვილის, დავითის სისხლში აქვს ხელები გასვრილი. მისი სული ვერაფერში დაგეხმარება, ცოდვებით არის სავსე...

- საეკლესიო საგალობლებს წერდა პაპა დემეტრე...

- სიცრუეა... ბოროტი კაცი, ძმისა და შვილის მკვლელი ღვთის მორწმუნე ვერასოდეს იქნება, დაიხსომე, შვილო ჩემო... ღვთის სიყვარული სინანულში, მოყვასის პატიებასა და შენდობაშია. - თუ რაიმეს დააშავებენ ისინი... ცვატას არაფერი დაუშავებია არც დემეტრესა და არც სამშობლოს წინაშე... არც დავითს დაუშავებია რამე, კანონით ეკუთვნოდა სამეფო ტახტი ... დემეტრემ საშინელი წამებით დახოცა ისინი...

- თქვენ გახსოვთ?

- დიახ... ყველაფერი მახსოვს.. პატარა ვიყავი და ... მაინც კარგად მახსოვს ახოვანი, მამამისივით მაღალი და ულამაზესი ვაჟკაცი იყო ცვატა...

- დემეტრე მეფის საგალობლები?...

- ალბათ მამამისს მოჰპარა... მისი ხასიათიდან გამომდინარე, არც მიკვირს...

- რას ამბობთ, დედაო...

- ყველაფერი უნდა შეისწავლო და გამოიძიო, ყველაფერი უნდა იცოდე, მეფეო... მერე მიხვდები, რომ მართალი ვარ... ადამიანის სული ანათებს მის ხასიათს, ადამიანის სული უბიძგებს ნებისმიერს ბოროტი და კეთილი საქმეებისკენ... ბოროტი სული ჰქონდა მეფე დემეტრეს და ... აკი პაპაშენიც, მეფე გიორგიც მას დაემსგავსა...

- დედაო... პურზე და წყალზე ვიქნები მხოლოდ სენაკში... - დედოფალი რუსუდანი მწარედ ტიროდა...

- რაც დაგრჩენია სიცოცხლე – დაამატა შავოსანმა მონაზონმა და ფსკვნილზე ისევ ჩამარცვლა „მამო ჩვენო“...

- მამა მიტროფანეს ვთხოვ, მაზიაროს...

- გაზიარებს... მამა მიტროფანე ღვთის მორჩილი შავი ბერია, წმინდა მოძღვარია... ის დემნას ცოლის ძმაა, ბერად აღიკვეცა იმ დღესვე, როცა დემნა, მისი ცოლი და 5 წლის პატარა დავითი წამებით დაახოცვინა სისხლისმსმელმა პაპაშენმა, წყეულმა მეფე გიორგიმ...

- დედაო... მეჩვენება, რომ სისხლი ყელამდე ამომივიდა და მახრჩობს...

- არ გეჩვენება, ასეა რუსუდან!!! – მონაზონის ხმა ცივი და მკაცრი იყო. მეფექალს ეგონა სისხლი გაეყინა! აცახცახდა...

- მიშველე დედაო!... – რუსუდანი ხელებით ჩაებღაუჭა და მის წინ მუხლებზე დავარდა...

- იწვიე ახლავე მწიგნობართუხუცესი და ბარათი გაგზავნე სიძესთან, ლაშას ძე დავითი დააბრუნონ საქართველოში... დიახ ... საქართველოში... აქ საქართველოა შვილო ჩემო... და არა სასომხეთი... როგორც ეგონა და როგორც სურდა ალბათ დემეტრეს და გიორგის, როცა უგვარო და უმგვანი მხარგრძელები აღაზევეს... ეს არ უნდა შეეშალოს ვინმეს...

- დიახ, დედაო...
- ახლავე დაწერე წიგნი სიძესთან...
- ახლავე დედაო...
- მე შენთვის ვილოცებ შვილო ჩემო... იქნებ შეგინდოს უფალმა ... იქნებ შენი სამართლიანი საქციელით გამოასწორო შენი დანაშაული... და შეგინდოს უფალმა...
- გევედრები დედაო... ილოცე ჩემთვის და ჩემი შვილისთვის... წერილს ახლავე მივწერ სიძეს და საქართველოში დავაბრუნებ დავითს!
- ვილოცებ შვილო... ვილოცებ და მე ვიცი კიდევ ბევრს მომასწრებს უფალი.. ვილოცებ, რომ შავი ღრუბლებისგან იხსნას უფალმა ჩემი ბედკრული სამშობლო და გაწამებული და გამწარებული ხალხი... მე ჩემი ქვეყნისთვის ვლოცულობ დღემუდამ... დედოფალო... ჩემი ხალხისთვის...

სიზმარი

გზამ დაღალა. ვერც მზის მცხუნვარებას უძლებდა. მანქანა კი გამალებით მიჰქროდა პოლონეთის მიწა-წყალზე. კრაკოვამდე სულ რაღაც 60-ოდე კილომეტრიღა იყო დარჩენილი.

- გეფიცები არასოდეს წამოგყვები სამოგზაუროდ თუკი სასიკვდილოდ გამიმეტებ. - –მბობდა სავარძელზე გადასვენებული 40-იოდე წლის თოვლივით ქათქათა თეთრი და ლამაზი ქალი და ვერ გაიგებდით, მართლაც სწყინდა თუ... სიამოვნებას ანიჭებდა ქმრის დაუოკებელი სწრაფვა და სიჯიუტე. წინ თივით დატვირთული ფორანი გამოჩნდა. კაცმა სვლას უკლო, მეფორნესთან გზის სისწორე რომ შეემოწმებინა. ქალს ბაღ-ვენახების თავზე მორიალე თეთრი ღრუბლებისთვის ვეღარ მოეცილებინა თვალი, მანქანის დამუხრუჭებამ ფიქრი გაუწყვიტა. ქმარი მანქანიდან გადავიდა. ფორნიდანაც სხარტად გადმოხტა ახალგაზრდა ვაჟი. ქალმა ანგარიშმიუცემლად შეავლო თვალი ყმაწვილის შიშველ მხრებს და.. საშინელი გრძნობა დაეუფლა... მეხის დაცემას ჰგავდა ეს ერთი წუთი... მაღალი, მოხდენილი, დავითის უზადო სხეულით იდგა ყმაწვილი მანქანის წინ და ხელებით ესაუბრებოდა ქმარს, დროდადრო მანქანისკენ იხედებოდა. ქალს თვალი თითქოს სამუდამოდ ღია დარჩა ვაჟის საოცრად ლამაზ სხეულზე შეყინული... მანქანის კარმა უსიამოდ დაიჯახუნა. ქალი შეტოკდა, ქმრისკენ არ მოუხედავს.

- მარი, აქ ულამაზესი სოფელი ყოფილა, ტბით. აი ეს ყმაწვილი გვირჩევს ღამე აქ გავათიოთ, დავთვალიეროთ და როცა მოგვესურვება, გზა მაშინ გავაგრძელოთ. თანახმა ხარ? შენ ხომ ისედაც ძალიან დაიღალე, არა?...

ქალი ახლა ქმარს დააცქერდა, მისმა მზრუნველმა სიტყვებმა გულის კარი გაუხსნა და ფიქრის გარეშე ათქმევინა:

- არა, თედო, უმჯობესია კრაკოვში ჩავიდეთ ამაღამ... - კაცმა უნდობლად გადახედა ცოლს. ქალი მიხვდა, კაცი არასოდეს გაიზიარებდა მის სიტყვას, ახლაც ფუჭად ჩათვალა თავისი აზრის კიდევ ერთხელ გამეორება. სიჩუმეს იყო მიჩვეული მათი ცოლ-ქმრობის 20 წლის მანძილზე და ახლაც დაჩუმდა. დაცინვით ჩაიღიმა თავისთავზე და ისევ ბაღ-ვენახების თავზე მობორიალე ღრუბლებს დაედევნა თვალით.

ფორანი წინ მირახრახებდა. ფორანზე დაზვინული თივის გროვის წინ ამართულიყო ნახევრად შიშველი ახალგაზრდა მამაკაცის ქანდაკების მსგავსი სილუეტი... ქალი ცდილობდა აღარაფერზე ეფიქრა. სოფელში შევიდნენ. ჩვეულებრივი სლავური სოფელი იყო, თეთრად შეღებილი ხის სახლებით. პირველივე ქუჩის დასაწყისში ბავშვების გროვა შემოეფეთათ, ბურთს თამაშობდნენ. მათ დანახვაზე ქალს სახლში დარჩენილმა შვილებმა შეახსენა თავი. ალბათ ქმარმაც იგივე გაიფიქრა, მარჯვენა ხელი საჭეს მოაცილა და ცოლის მარცხენა ხელის ნები მოსძებნა, უხმოდ მოუჭირა ხელი. ქალის სხეულში თითქოს ის უზარმაზარი სითბო გადმოიღვარა ისევ, წლების მანძილზე რომ უსაზღვროდ ევლებოდა გარს, მიუხედავად ავადმყოფური სიჯიუტისა, კაცს გაგიჟებით უყვარდა ცოლი! ქალი კვლავ მანქანის დამუხრუჭებამ გამოიყვანა ფიქრებიდან. პოლონელის ფიგურა აილანძა პირისპირ, მას ახლა უჯრედებიანი ჩითის პერანგი შემოეცვა. ქმარმა ცოლს ხელი გაუშვა და მასპინძლის შესახვედრად გადავიდა მანქანიდან. ქალი ახლა სულ ახლოს გრძნობდა ახალგაზრდა მეფორნის გახშირებულ სუნთქვას და... მის გრძნობას და გონებას სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა გაემართათ. ქმარმა და პოლონელმა რაღაც გააგებინეს ერთმანეთს რუსული ენის მეშვეობით, მერე თედომ სიცილით ცოლზე მიუთითა. პოლონელი ნელი ნაბიჯით გამოემართა მანქანისკენ. ახლა ორივე (ქალი და პოლონელი) ერთმანეთს შესცქეროდნენ თვალმოუცილებლად და ქალმა იგრძნო, რომ... ის გრძნობა, რაც თავისი სიდიადით ყოვლის მომცველია, მან მხოლოდ ახლა, ამ წუთებში და მხოლოდ აქ, ამ უცხო მიწა-წყალზე განიცადა, და რომ ამ უცხო პოლონელსაც მხოლოდ და მხოლოდ მისი გულის მასპინძლობა სურდა!... პოლონელმა მანქანის კარი გამოაღო და ქალს ხელი შესთავაზა. მარი იმდენად იყო შეპყრობილი თავზარდამცემი ფიქრებით, ქმრისკენ გახედვასაც კი ვეღარ ბედავდა შიშით, და როცა მანქანიდან მეფორნის დახმარებით გადავიდა, მხოლოდ მერე გაბედა გახედვა (და დამნაშავესავით შეავლო თვალი), ქმარი კვლავ სიცილით იხედებოდა მათკენ და ხელით რაღაცას ანიშნებდა. მარის თვალიც დაეხშო და ყურიც... მხოლოდ ახალგაზრდა მეფორნის გამოწვდილ ძლიერ მარჯვენას გრძნობდა და რატომღაც ფრთხილი მოძრაობით, მაგრამ ... ქალური მომხიბვლელობით დაეყრდნო და ის იყო ფეხი მიწას შეახო, ვაჟის ხელის მსუბუქი მოჭერა იგრძნო... ქალს საშინელმა ალმა დაუარა მთელ სხეულში და მიწა გაუქრა ფეხქვეშ, უღონოდ მიესვენა მეფორნეს მკლავზე... ვაჟმა ახლა მეორე ხელიც შეაშველა და ... წამით ისეთი საშინელი გულისძგერა იგრძნო უცხო მკერდქვეშ, თავი დაავიწყდა.

- ეტყობა ცუდადა გახდა – ჩაესმა ქალს ქმრის ხმა.
- მგზავრობამ შეგაწუხა, აი ახლავე დაისვენებ – დაამშვიდა თედომ ცოლი და მეფორნეს თითქმის გამოსტაცა მკლავებიდან და ლამის ხელში აყვანილი წაიყვანა სახლისკენ. რამდენიმე ოთახიანი ხის სახლი საოცარი სისუფთავით ბრწყინავდა. მოხუცი ქალი შემოეგებათ.
- იან ... – დაუძახა მოხუცმა შვილს. მასპინძელს იანი რქმევია.

მარიმ ვახშამზე უარი თქვა. მოხუცმა ცალკე ოთახში გაიყვანა და საძინებელი შესთავაზა. ახლა წოლა სიკვდილი იყო ქალისთვის, მაგრამ ფეხზე, მამაკაცებთან ყოფნა სიკვდილზე უარესი! მალე დაღამდა. ქალი ლოგინზე თვალდახუჭული იწვა და ფიქრი არ შეეძლო. ქმარმა რამდენიმე ბოთლი კონიაკი შეუმატა მასპინძლის სუფრას და შუაღამემდე გაგრძელდა მამაკაცთა (მასპინძლის ძმებიც იყვნენ) ლხინი. გვიან, თითქმის ხელით შემოიტანეს ოთახში თედო. კეთილი მოხუცი ქალი შემოჰყვა და მარის ქმრის გახდაში მიეშველა. ღამის ნათურის ფერმკრთალ შუქზე ცისფერი ძარღვები დასჩენოდა მარის თეთრ გამჭვირვალე კანს, თხელ ყვრიმალებს. მოხუცმა წუთით შეაჩერა თვალი ქალზე, მოულოდნელად თმებზე გადაუსვა ხელი. ისეთი სინაზე გამოამჟღავნა, მარი დაიბნა, მასპინძელი ნელი ნაბიჯით კარისკენ გაემართა, კარი ღია დარჩენოდა მოხუცს და ახლა, როცა

მარიმ თვალი გააყოლა მოხუცს, ღია კარიდან ოდნავ მოშორებით მდგარი მეფორნე დალანდა, ვაჟი კედელს მიყრდნობოდა, სიგარეტს გამალებით ეწეოდა და ქალს არ აცილებდა თვალს.
მარის თავშეკავებამ საზღვარი დაკარგა, ცეცხლი წაეკიდა თხემიდან ტერფამდე და ეს საშინელიო სიმხურვალე გულზე უსაზღვრო სიმძიმედ დააწვა. მოხუცმა ქალმა კარი გაიხურა. მარიმ ღამის ნათურა ჩააქრო. სისხლი გულზე აწვა და სადაცაა დაახრჩობდა ქალს. წამებაში გაატარა ღამე. პირველი მამლის ყივილზე წამოდგა, ფანჯარა შეაღო. ნიავი ოდნავადაც არ იძროდა. ჰაერი აღარ ჰყოფნიდა. ქმრის საწოლთან დაიხარა და ჩასძახა:
- თედო, თედო ...
- რა გინდა ა.. – ამოიზმუვლა ქმარმა.
- თედო, ადექი წავიდეთ, გესმის?
- თავი დამანებე ...
- თედო, ცუდად ვარ, თედო, გაიღვიძე, გამოიღვიძე...
ქმარმა გვერდი იცვალა, ზურგი შეაქცია ქალს. ქალმა საწოლს შემოუარა და ახლა მეორე მხრიდან ჩაიჩოქა ქმართან.
- თედო გაიღვიძე, გეხვეწები გაიღვიძე ...
- რა გინდა? – თვალგაუხელლად ჰკითხა ქმარმა.
- ჰაერი არ მყოფნის, ვიხრჩობი. გეხვეწები წავიდეთ, ადექი...
- ეზოში გადი, ცოტა გაიარე და მოსულიერდები. ძაღლი არა ჰყავთ, ნუ გეშინია... – და ისევ იბრუნა გვერდი.
- თედო, გაიღვიძე, გესმის?
- კარგი ახლა, კარგი! – თავი დამანებე! - იყვირა ქმარმა და კვლავ გვერდი იცვალა...
ქმრის უყურადღებობით შეურაცხოფილი ქალი უხმოდ წამოდგა, მოსასხამი მოიხვია მხრებზე და კარი ფრთხილად გამოაღო. გული ისე უძგერდა, ლამის გასკდომოდა. ფრთხილად გაიარა ვიწრო დერეფანი. ეზოში გასასვლელი კარი ღია იყო. კარამდე ისე მივიდა თავის ფეხის ხმა თვითონაც არ გაუგია. ფეხი უნდა ჩაედგა ეზოში ჩასასვლელი კიბის საფეხურზე, რომ ... მონუსხული შედგა. კიბეზე მეფორნე იჯდა. წამით თვალი ვეღარ მოაცილა ნაცნობ მხრებს, მალევე მოეგო გონს და ის იყო შეტრიალდა, თავის ოთახისკენ გასაქცევად გადადგა ნაბიჯი, რომ ... პოლონელმა მოიხედა, წამიც და ... გამხდარი ქალი ბუმბულივით აიტაცა ხელში... ქალმა გონება დაჰკარგა... აღარ ახსოვს რა მოხდა მერე, ახსოვს მხოლოდ რომ.. უკვე ნათელი იყო, მამაკაცის უხეშ მოსასხამზე იწვა მაღალ ბალახებში. ფეხის ტერფებს უკოცნიდა უცხო ვაჟი და ისეთი ცეცხლით სწვავდა ქალის სხეულს, და ისეთი ნდომით ნთქავდა ქალის სხეულს... როგორც ... ზევსი ...
მარი, მარი ... გაიღვიძე, რა ძილქუში დაგეცა? ... თედოს ხმამ ფეხზე წამოაგდო ქალი.. მხოლოდ ის თქვა:
- რა მოხდა? – მერე თანდათან გონს მოეგო, ყველაფერი გაახსენდა, შერცხვა საკუთარი თავის, გაწითლდა – ზმანება იყო? ჰო, ზმანება იყო... – დაბნეული ადგა, კაბა მოსძებნა, მოსასხამი იქვე იყო, სკამზე გადაფენილი, ფეხსაცმელიც...
თედო მასპინძლებთან გავიდა და აღარც გამოჩენილა. მარის ოთახიდან გასვლა ეძნელებოდა, ეგონა ყველამ იცოდა მისი სიზმარი... ხელის კანკალით მოჰკიდა კარის სახელურს ხელი და .. მის ფეხებთან მინდვრის ყვავილების უზარმაზარი თაიგული ეგდო.. ფრთხილად დაიხარა, ყვავილები აიღო და გულზე მიიკრა, მიხვდა სიზმარი გრძელდებოდა... მერე ისე ფრთხილად, ისე ჩუმად, რომ თავისი ნაბიჯების ხმა თვითონაც არ ესმოდა, გამოიარა დერეფანი და მოადგა ეზოში გასასვლელ კარს. კარი ღია იყო, კიბეზე პოლონელი იჯდა და სიგარეტს ეწეოდა, ყველაფერი ისე იყო, როგორც მაშინ, იქ ... სიზმრად... ქალი შედგა. ახლა გაქცევა აღარ უფიქრია, მამაკაცი შემობრუნდა და წამოდგა. უძილო, ღრმა მწვანე თვალები ქალის თვალებში ეძებდნენ სიმშვიდეს. პოლონელმა ხელი გაუწოდა, კიბეზე ჩასვლაში რომ მოხმარებოდა, მერე მხოლოდ მის გასაგონად რუსულად ჩაილაპარაკა:
- პანა მარია, პანა მარია, იცოდეთ მე თქვენს გარეშე ვეღარ ვიცოცხლებ.. – ქალის გრძელი და ლამაზი ხელის თითები ტუჩებთან მიიტანა და ისეთი თრთოლვით შეახო ბაგე, შეკრთა, თავისდაუნებურად ხელი გამოსტაცა და უკან წაიღო და ... მისკენ მომავალ ქმარს დამნაშავესავით გაუღიმა...
თედომ კი ... ღიმილით უთხრა:
- მარი... გადავწყვიტეთ დღეს ტბაზე ვითევზაოთ, მასპინძლებმა შემოგვთავაზეს, გეფიცები ერთ წვეთსაც აღარ დავლევ...
- თედო ... მარის თავისდაუნებურად თვალი მეფორნისკენ გაექცა. ვაჟი თედოს არწმუნებდა, რომ ტბა სავსე იყო თევზით...
მარიმ ხელი ჩაიქნია, რა მნიშვნელობა ჰქონდა, მის აზრს მაინც არ გაიზიარებდა მისი ქმარი...
ახლა მას უკვე მხოლოდ საკუთარი თავისღა ეშინოდა...
რა მოხდება, თუკი დარჩებოდნენ? არაფერი, სრულიად არაფერი, რადგან მარი ბებერი ებრაელივით ჭკვიანი იყო და ცდუნებას არასოდეს აჰყვებოდა!...

პასიკო

საბურთალოს ბაზართან ახლოს ცხოვრობს. საღამოობით გადის ხოლმე, ბაზარი ცარიელია და სურსათი შედარებით იაფია. გუშინაც მოგვიანებით გავიდა. მწვანილი უნდოდა და ორი კილო კარტოფილი. დაფიქრებული მიდიოდა. ცაგერის ქუჩაზე რომ გაუხვია ჩუსტების ჩლატუნმა მოახედა. მაღალი, სრული ქალი ორ ჩანთას ძლივს მიათრევდა დასიებული ფეხებით. პასიკო იყო. დაეწია და ერთი ჩანთა ძალით გამოართვა ხელიდან.
- შენა ხარ გოგო? ღმერთმა გაგახაროს, ვეღარ დავდივარ.
- ფეხებზე რა დაგემართა, პასიკო?
- ჯანდაბა, რა ვიცი, რა დამემართა, წამალი მე არა მაქვს და ფული, ექიმთან რომ მივიდე, სივდება და გასივდეს, ეს ჩემი ძაღლური სიცოცხლეც გათავდება და დავისვენებ.
- რას ამბობ პასიკო... ღვთის საწინააღმდეგოდ ნურაფერს იტყვი, ყველაფერი გამოსწორდება.
- რა გამოსწორდება, რა? გჯერა ახლა ეგ შენ? მილიონები არ ყოფნის იმ არდასაცალებელს და ჩვენთვის მოიცლის? რაც მე იმას ვწყევლი, არაფერი არ მოსდის, უფრო უკეთესადაა, სადაცაა სატანის ყურები ამოუვა.
- სატანაა და იმიტომ – ჩაერია საუბარში მერი. იგიც უზარმაზარ ჩანთას მიათრევდა პურით სავსეს. უბნის ქალები პურით ვაჭრობდნენ ბაზარში.
- მთელი სიცოცხლე შრომაში გავატარე, ჩემი ნამოწაფარები აკადემიკოსები არიან. მერე რა? ვის რად უნდა დღეს შენი წარსული? პენსიასაც არავინ გვაძლევს იმ 12 ლარს, რომლის აღებაც მრცხვენია.

პასიკო ტირის და ცრემლებს ცხვირსახოცით იმშრალებს. ცხვირსახოცი საოცრად თეთრი, ქათქათა, გახამებულია. პასიკო მათემატიკოსია, დამსახურებული პედაგოგი! ქუთაისში დღესაც დიდი პატივისცემით იხსენებენ. თბილიში ძმა გარდაეცვალა და დაობლებული ძმისშვილების მოსავლელად ჩამოვიდა და ამ ამბებს ზედ დაერთო 91 წლის გადატრიალება, ომიანობა, პურის რიგები, ქუჩებში დღისით-მზისით სროლა და ხოცვა-ჟლეტა და საერთოდ ის საშინელი წლები, სიცოცხლეს და ქართველობას რომ შეგაძულებდა!

- ქმარი ისე მომიკვდა, წამალი ვერ მივაშველე, იმედიც ვერ მივეცი, რომ ვუყიდდი, ან ექიმს მოვუყვანდი. დაისვენა უბედურმა, მისი ცოდვით დაიქცეს იმათი ოჯახები, ვინც ამ დღეში ჩაგვყარა – მხარი აუბა მერიმ. იგი ექთანია. თავის დროზე უიმისოდ თურმე არ კეთდებოდა რესპუბლიკურში კუჭის მძიმე ოპერაციები, ახლა... იძულებულია პური ათრიოს იოსებიძიდან ბაზრამდე და მერე ბაზრის კუთხეში გალახული ბავშვივით აიტუზოს და გამვლელებს ეხვეწოს ერთი მაინც იყიდეთო... ცაგერიდან ანაგის ქუჩაზე (ახლა შარტავას სახელს ატარებს), კუთხეში ვენერა დაინახეს ქალებმა და ჩანთები ასფალტზე დადეს, ცოტა შეისვენეს მასთან.

- რაო, არ დაგირიგათ შევარდნაძემ დახმარებები, ისევ მაგ ჩანთებს რომ დაათრევთ, უბედურებო?... – მწარედ იხუმრა ვენერამ.

- არც შენ ხარ კარგ დღეში, სახლ-კარი გაყიდე და მზესუმზირის ჭიქას მისჩერებიხარ, იქნებ ვინმემ ათკაპიკიანი ჩამოგიგდოს!

- მე რა, ვამბობ თქვენზე უკეთეს მდგომარეობაში ვარ მეთქი? მაგრამ.. ხალხი რომ იხოცება და შიშვლებს ყრიან მიწაში, იმათ მაინც ვჯობივარ, ხომ ვარ მართალი?

- რას იზამთ უფლის იმედზე უნდა ვიყოთ. – გაამხნევა ქალები.

- კი ვართ, ბატონო, მაგრამ... როგორ დავიჯერო, რომ ღმერთმა ყველას ამოწყვეტა მოინდომა, იმათ გარდა? ფული ჩეჩქივით აყრიათ თავზე. გუშინწინ აგერ აქ, ამ ადგილზე (პასიკომ ბაზრის შესასვლელის წინ აჩვენა გზა) 21 წლის გოგო გაიტანეს მთვრალმა თუ ნარკომანმა ბიჭებმა მანქანით, ვითომც არაფერი, მილიციამ მიგვფანტ-მოგვფანტა... ეჰ. ბევრი ცოდვები გვაქვს, ძალიან ბევრი...

- იმათ არა აქვთ ცოდვები, ანტალიაში და ამერიკაში ისე დადიან, მე ბაზარში ვერ გავსულვარ და საჭმელი ვერ მიყიდია შვილებისთვის... მარტო ჩვენ რატომ გვსჯის უფალი? – ვენერას ხმა მკაცრია. ახლა იგი აჩერებს ვენერას - „არა საჯო უფალი შენი – დაიმახსოვრე, ყველაფერზე მადლობა თქვი, იმაზეც კი, აი აქ ჯანმრთელი რომ ზიხარ და ეს მზესუმზირა პურის ყიდვის საშუალებას გაძლევს, რომ უმუშევარი შვილი და შვილიშვილები დააპურო...

- შენ ნამდვილად მოგზავნილი ხარ! – უჯავრდება ვენერა და მზესუმზირას აწვდის – აიღე, ეს ერთი ჭიქა არ გამაღარიბებს.

- არა, არ მინდა, სხვა დროს იყოს... პასიკო შენს ჩანთას გადავიტან და იქით დაგიტოვებ კუთხეში, ნათელასთან – ეუბნება პასიკოს.

- არა, მეც მოვდივარ, პასუხობს იგი და თავის დასიებულ ფეხებთან ერთად ერთ ჩანთას მაინც მოათრევს, მეორე მას მიაქვს...

- შე საწყალო, ეგ როგორ დაგემართა? შარდის საფენები მაინც დაიდე, ფული არა სჭირდება და ექიმი. უეჭველად მოგიხდება – ასწავლის მერი.ქალები ბაზრის შესასვლელში დატოვა იმ იმედით, რომ „ბარაქიანი“ საღამო ექნებოდათ. თითო პურზე 5 თეთრი რჩებათ. თუ ყველა პური გაიყიდა 2 ლარს მიიტანენ შინ. ბაზარში შევიდა. დახლები თითქმის ცარიელი იყო, აქა-იქ იდგა თითო-ოროლა ქალი თუ კაცი. ღვინის რიგიდან თელაველმა ლამარამ დაუქნია ხელი, ანიშნა აქა ვარო.

- გამოგივლი – შესძახა და ჩქარი ნაბიჯით გაიარა. მესამე რიგში ქართველი გოგო ჰყიდდა მწვანილს. მწვანე ხახვი კარგა ხანია შემოვიდა მაგრამ 15 თეთრზე ნაკლებ ვერ იყიდა, ისიც გაჭირვებულია, შევაჭრება რცხვენია. ახალი კარტოფილი ლარი და ლარნახევარი ღირდა, ძველი იყიდა 4 კგ. ღვინის რიგში ლამარას შეუარა, მოიკითხა და სახლში გამოიქცა. რაიმე საჭმელი უნდა მოემზადებინა.

სახლთან ჩოჩქოლი შენიშნა.

- რა მოხდა? – კითხა მეზობლის გოგოს.

- დარეჯანის ბუტკაში რომ ქალი მუშაობს, კვდება! - სახლში აღარ შესულა, ბულაჩაურის ქუჩის კუთხეში დგას პატარა „ბუტკა“, სავაჭრო ფარდული, ზესტაფონელ ქალიშვილს აქვს დაქირავებული და მისი მეშვეობით თავს ირჩენს და ოჯახსაც არჩენს სოფელში. ბუტკის სიახლოვეს ქალები შეჯგუფულიყვნენ.

- დარეჯან, რა მოხდა? – შეეკითხა სახეგათეთრებულ დარეჯანს.

- მოკვდა!

- როგორ?

- ასთმის შეტევისგან, წამალი არ ჰქონდა და დაიხრჩო, სასწრაფო გამოვიძახე და ვერ მოუსწრო... 30 ლარი დამიჯდა სასწრაფოს გამოძახება (სასწრაფო ფასიანია და 30 ლარი ღირს!) დღეში 5 ლარსაც ვერ ვშოულობ... ვაი ჩემი ბრალი! ეცოცხლა, რა მოხდებოდა?

დარეჯანი ბუტკის წინ იჯდა სკამზე და არაფრისმთქმელი, გამშრალი თვალებით არსაითკენ იხედებოდა.

რა უნდა ეთქვა?

ვერაფრით ვერ ანუგეშებდა.

სახლისკენ მობრუნდა.

ღმერთო! საით მივდივართ? ნუთუ ხსნა აღარაა!

ჩაილაპარაკა თავისთვის და პასიკოს დასიებული ფეხები დაუდგა თვალწინ... რა ეშველება? როდემდე შეძლებს ამ ფეხებით ობოლი ძმისშვილების რჩენას?

. . .

ტირიფის რტოში გახლართული
ისეთი ნაზი ღრუბელია ლაჟვარდ ცაზე ამოქარგული
რომ..... მგონია რძის თეთრი ქაფი.....
მწვანე ბალახი ხალიჩებად ფეხქვეშ მიგია,
და ახლა მძაფრად შევიგრძნობ შენში
მე სრულყოფილ მშვენიერებას მამულო ჩემო.....
ასეთი მზე არსად ანათებს,
არც სიყვარული ამის მსგავსი სადმე იციან,
ისეთი ნაზი სიტურფით თრთის ტირიფი ქარში,
რომ მოგინდება ჩუმი კოცნა...
და ეს ღრუბელიც, გაჩხერილი ტირიფის რტოში
დაუკითხავად შემოჭრილა ჩემს გულში
და ზღაპრებში მიხმობს,
ეს სილამაზე და ლურჯი მთებიც
გონებას ფანტავს აგვისტოს ქარში!
და მესიზმრება..... ქსანზე არაგვზე
აყვავებული ხოდაბუნები.....
და ვაი, რა ვქნა, ბადაგის გემოს გახსენებაც
ჟრუანტელს რომ მმგვრის! .....
და ვინატრებდი ..... ხმალი მელესა,
ტრამალ და ტრამალ შენთვის მედევნა.
შენ რა გგონია, გამექცეოდი?
არა, ძვირფასო.....
გახსოვს გოგლას ნინოწმინდის ღამე?
შფოთიანი, მთრთოლვარე და ვნებით სავსე,
სიყვარული ზეიმობდა სილამაზეს
და გაზაფხულს რძის სუნი ასდიოდა.
და გაზაფხულს? და ზაფხულს, და აგვისტოს თაკარას!
სიყვარულის ცეცხლი სწვავდა, ვნება სწვავდა თაკარა!
თრთოდა და ცახცახებდა ....
..... შენს ლოდინში, შენს ლოდინში საყვარელო.....

. . .

ისე... უბრალოდ... მომენატრები,
როგორც მთის კორდზე გაზაფხულზე მოდის ბალახი,
ისე, უბრალოდ მომინდება შენი შეხება ...
როგორც კაცხურა გაზაფხულზე აივსება ლართქო
კალმახით ...
ისე... უბრალოდ ... მომწყურდება მე შენი სითბო ...
როგორც ოდესღაც ტიციანი იტყოდა ამას ...
საოცარია , ამ ქვეყანაზე ყველაფერი უბრალოდ ხდება,
და ვერც ერთ საგანს, მოქმედებას ვერ დაარქმევ
განსაკუთრებულს,
სულ ყველაფერი ისე, უბრალოდ ყველაფერი უბრალოდ
ხდება ...
თუნდაც სიკვდილი , ან სიცოცხლის გაჩენა ქვეყნად!
ჩვენი შეხვედრაც უბრალოდ მოხდა ...
ოდესღაც, იმ დღეს, იმ საათს და იმ წუთში ერთხელ ...
ჩვენი გზები გადაიკვეთა ...
და მას შემდეგ მოვდივართ ერთად,
და ... ყველაფერი უბრალოდ მოხდა ...
ისე უბრალოდ,ვერც გავრკვეულვარ რატომ, რა
მიზნით?
ალბათ ღვთისგან... და უეჭველად ასე იყო საჭირო, ასე
... უბრალოდ იყო საჭირო...
და დღემდეც ასე, ყველაფერი ხდება უბრალოდ...
ყველაფერი უბრალოდ ხდება ...

. . .

ადრე მიკვირდა, რატომ სვამდა გალაკტიონი,
რატომ ლოთობდა? ლოთი იყო გალაკტიონი?
- არა, რას ბრძანებთ! მას უბრალოდ ღვინო უყვარდა!
ღვინო ხომ ყველა ქართველ პოეტს
უყვარდა და ახლაც უყვართ!
გალაკტიონი ცხოვრებისგან იყო დაღლილი,
მეც დაღლილი ვარ ...
მაგრამ მე ვინ ვარ? და არც არავინ...
არც პოეტი ვარ ... ლექსებსა ვწერ ზოგჯერ, ხანდახან...
და მთაწმინდაზე როცა ავდივარ, თავს არ მანებებს
გალაკტიონი,
და მუდამ მესმის მისი ბანის მშვიდი ბუბუნი
და მესმის მუდამ მისი მშვიდი წყნარი ღიღინი ...
წითელი ღვინო ძლიერ უყვარდა,
თაკვერიც და ალადასტურიც, და როცა სვამდა მაშინ
სწერდა ატმის ყვავილებს, მერის, ძველ წისქვილს,
მესაფლავეს და ...
სიყვარულის გასაოცარ ეფემერიდებს...
და იცი... ვფიქრობ ... მეც ხომ მინდა ლექსები ვწერო,
უბრალოდ მინდა შენთვის ვწერო ჩემი ლექსები,
ალბათ მეც უნდა ვილოთო და ვსვა ძველი ღვინო,
მინდა დავკარგო ჭკუა –გონება და ამდენი აღარ
ვიფიქრო,
გადავიკარგოთ სადღაც ჭიუხში, აღარ გვახსოვდეს ჩვენ
სხვა სამყარო,
და სიკვდილამდე თუნდაც ვილოთოთ მხოლოდ ჩვენ ორმა,
მხოლოდ ჩვენ ორმა ჩემო ძვირფასო...

. . .

ტყის შუაგულში, პატარა ქოხში დავიდე ბინა.
საგები ჩემი თივაა და სასთუმალი მუხის ფოთლები,
ყოველ ცისმარე ჩემი გული ნატვრით ივსება
მომძებნი აქაც? და მოხვალ ჩემთან?
თბილი სინაზით შემოვივლი წვრილ-წვრილ ბილიკებს,
და შევაგროვებ ტყის გემრიელ ნაყოფს და ფესვებს.
უგემრიელეს სადილ-ვახშამს ხავსზე მოგართმევ...
დარჩები ჩემთან?
გასწავლი ღიმილს, სიყვარულით ლოცვა-ვედრებას,
ცოდვის სინანულს, მოთმინებას, ღვთის მირჩილებას.
გადაგახედებ ულამაზეს ზღაპრების ველზე...
დარჩები ჩემთან?
ყოველ ცისმარე ყოჩივარდებს მოგიფენ ქოხში.
სარკმელს გამოვხსნი ბულბულის ხმის გასაგონებლად,
და მერე გვიან... სარეცელზე მე შენს გვერდით
სიყვარულით მთვრალი მივწვები...
დარჩები ჩემთან?
შენი თვალებით მე დავიწყებ ცხოვრების აღქმას,
ტყის სიჩუმეში ჩვენ მოვუსმენთ მოცარტს, ბეთჰოვენს,
შენი თითებით შევეხები სამყაროს ფარდას,
დარჩები ჩემთან?

. . .

ნურაფერს მეტყვი, მე დამღალა შენმა სიცივემ...
დიდი ხანია შეიწირე ჩემი სიმშვიდე,
და აღარა მსურს ჩემს ფიქრებში ისევ მოხვიდე,
აღარც ის მინდა მარტოობა გამინაწილო...
გადავიქანცე უხმო ლოდინით...
და ახლა ჩემი გაცრეცილი, ცივი ხელებით
მოგონებების დარაბას ვხურავ...
აღარ მსურს შენზე ისევ ვიდარდო,
წადი ძვირფასო , წადი ჩემი სიზმრებიდან შორს,
დამტოვე მარტო ...
გაციებული და გათოშილი ვიხეტიალებ მთაწმინდაზე
თოვლსა და სუსხში...
და გულდაწყვეტით გავიხსენებ იმ უცნაურ ღამეებს,
როცა
შენზე ფიქრებში ძილგატეხილს , ქარიშხალში
მესმოდა კვნესა...
გალაკტიონის თებერვალი შეშლილივით ღმუოდა
ბაღში...
და ... მარტოსული თუთის რტოებზე უკანასკნელი
იმედივით კვდებოდა ქარში...

. . .

დაფნის რტოებში ჩადნა მთვარე

და საოცარი თბილი სიმშვიდით
შემოექსოვა ჩემს სულს და სხეულს
აგვისტოს ღამე...
შენი სუნთქვა მაფორიაქებს
აქაც და ახლაც...
სოფლის უცოდველ სიჩუმეში
სავსე ვარ შენით, საყვარელო
სავსე ვარ შენით...
სხვა რაღაა ბედნიერება
თუ არა დარდი, მონატრება,
ოცნება და ... ჩუმი სურვილი
გამხელილი და ახდენილი სიყვარულის
მძაფრი წყურვილის?

. . .

ახლაც, ასე შორს მე შევიგრძნობ
შენი ხელების ვნებიან სითბოს,
ახლაც, ასე შორს მე მაბრუებს
შენი სუნთქვა, შენი სურნელი ...
ახლაც , ასე შორს მე სავსე ვარ შენით
ძვირფასო,
როგორც არასდროს, როგორც არასდროს ბედნიერი
ვარ...
და ამ აგვისტოს თაკარა მზეში
წყურვილი მკლავს შენი, ძვირფასო ...

. . .

შენ შენი გზა გაქვს გასავლელი ცხოვრებაში
და მე ჩემი, როგორც აქამდე ...
როგორც აქამდე ჩვენ ვცხოვრობდით
ცალ - ცალკე, მარტო...
როგორც აქამდე ... მაგრამ ...
ამის შემდეგ რაღა უნდა ვქნა?
როცა გული, სისხლი და ლამის ტვინიც
შენში შეერთდა.
მითხარ, რაღა ვქნა ,
ამის შემდეგ როგორ ვიცხოვრო ?

. . .

ლეღვი დამწიფდა და...
სოფლის ბიჭივით ვძვრები ხეებზე,
სოფლის ბიჭივით შიშველ ფეხებს ვაბიჯებ ბალახს,
ასე მგონია ასე უფრო შევიგრძნობ მყარად
მამულის მიწის გულისფეთქვას და ძარღვის ძალას.
მწვანე ბალახში მარგალიტივით მიმობნეულ
ნამს ვაგროვებ ყოველ ცისმარე,
ყოველ ცისმარე გლეხიკაცის შეძახილს ვისმენ,
ჩიტების ჟღურტულს, ძაღლის ყეფას, ქათმების კრიახს,
სიამაყით და სიხარულით ყოველდღე ვისმენ.
მე რა ვარ შენთვის ჩემო მიწავ, ჩემო მამულო?
თუ არა გუნდა ტალახისა, თან ერთი ბეწო...
მაგრამ ამ გულში ისე მძაფრი ცეცხლი ანთია...
ეს სიყვარულიც დედამიწის ტოლი დარდია...
ჩემო მამულო, ნატანჯო და ნაგვემო მიწავ,
ჩემო მამულო, აურაცხელ დარდის დამტევო,
ჩემო მამულო გოლგოთამდე ჯერ ვერ მისულო
და მძიმე ჯვრის ქვეშ საწყალობლად მუხლჩაწყვეტილო...
მამულიშვილთა დიდო სევდავ, დიდო იმედო...
ჩემო მამულო.. საღდგომო ზიარებას დანატრებულო...

. . .

სოფლის ბოლოში ძაღლები ყეფენ გაშმაგებით
ღამეული მგზავრი თუ შეხვდათ ..
სოფლის ბოლოში, ვაშნარის ტყეში ალის ქალს აქვს
თავშესაფარი
და თუ ის შეგხვდა
ბედისწერას უფრთხილდი მერე ...
ტყეში წაგიყვანს თავთუხისფერ თმების შრიალით
და გაგაოგნებს ვნებიანი ღამის სიშმაგით.
ის არაფერს დაგიშავებს სითბოსა და სინაზის გარდა,
გამთენიისას დაგტოვებს მარტო...
ძლივს გამოაგნებ გზას დაბნეული, ბედნიერი და
ანთებული...
და დაივიწყებ შენ ყველა ქალს დედამიწაზე
იმ ალის გარდა ..
აი ეს არის სიყვარულის სასწაული, ჩემო ძვირფასო ...
სოფლის ბოლოში, ტყის სიღრმეში
ალის ქალს აქვს თავშესაფარი, უფრთხილდი მგზავრო .
თორემ შემდეგ ... ყველაფერი გვიან იქნება ...
ის თვითონ ირჩევს სასურველ კაცს
ღამის მესტუმრედ ...
ეს ხდება ერთხელ სიცოცხლეში, არ მეორდება!
უფრთხილდი მგზავრო,
თუ მოინდომებ სიყვარულის განმეორებას
სიკვდილი გელის !
უფრთხილდი, მგზავრო ...

. . .

მე არ მაქვს შენგან სახსოვარი არაფერი.
იმ კოცნის გარდა...
იმ კოცნის გარდა არაფერი არ დამრჩენია,
განა რამდენ ხანს ვიმყოფინო მე იგი საგზლად
მითხარ, ძვირფასო...
დღეები გადის...
მონატრება იღვეფება გულში ნელ-ნელა...
დღეები გადის...
მეშინია...
ნაკვერჩხლები ნაცრად იქცევა...
დღეები გადის...
და მშორდება მოგონებები,
სილუეტები ნისლით ივსება...

დავით მაისურაძე

ლიანა ფხალაძე

ჩვენი ჯგუფი

754 ჯგუფი შედგებოდა კარგი და ძალიან კარგი სტუდენტებისაგან. ზარმაცი და ჩამორჩენილი ჩვენ არ გვყავდა. ჩვენთან სწავლობდნენ ბავშვები, რომლებმაც იცოდნენ წმინდა, უანგარო სიყვარული და მეგობრობა. რომელთაც არაფერი აკვირვებდათ, არ იცოდნენ რა იყო შური და მტრობა, სიცრუე და ორპირობა. უბრალოდ უყვარდათ სიცოცხლე, ადამიანები და სიკეთე. ჩემს გვერდით სწავლობდნენ კარგად აღზრდილი, ლამაზი ფერიები: ცირა აფციაური, იათამზე ანთაძე, მანანა ვახტანგაძე, იზო კალანდია, ნატა პატარიძე, ქეთინო ელიაშვილი, ქეთინო ტაბატაძე. თითოეულმა მათგანმა შესძლო და წიგნის სიყვარულთან ერთად ქართული, ტრადიციული ოჯახი შექმნა. არაჩვეულებრივი ცოლები და დედები აღმოჩნდნენ.

ლექციების დაწყების წინ უნივერსიტეტის ეზოში ვიკრიბებოდით, ვსაუბრობდით და ვხუმრობდით, ვიხსენებდით ერთმანეთის შეცდომებს და სასაცილო სიტუაციებს. ერთხელ მე და რაულ ჩილაჩავა ერთად შევედით უნივერსიტეტის ეზოში, გრძელ სკამზე მანანა ვახტანგაძე განმარტოებული იყო და კითხულობდა. რაულმა უცბად ლექსი მიუძღვნა და მიუგო - „შენ ჩემი პოეზიის მუზა გახდებიო“ - ვიფიქრე რაულს სერიოზული გრძნობა გაუჩნდა მანანას მიმართ-თქო მაგრამ, მოულოდნელად რაულის გეგმები შეიცვალა... რამოდენიმე დღეში რაულმა გვაუწყა – კიევის უნივერსიტეტში უკრაინული ენის შესასწავლად წასვლა გადავწყვიტეო. გვეწყინა, მაგრამ რომანტიკულ გატაცებად უფრო ჩავთვალეთ, რაკი მისი პოეტური გატაცების ამბავი ვიცოდით. მას შემდეგ თბილისში მხოლოდ საგამოცდო სესიების დროს ვხვდებოდით ერთმანეთს და რაული სულმოუთქმელად გვიზიარებდა უკრაინულ შთაბეჭდილებებს. მალე ჩვენ მივხვდით, რომ ეს იყო მის მიერ არჩეული ცხოვრება და რომ საქართველო და უკრაინა მისი ახალგაზრდული თავდავიწყებამდე მისული ერთი განუყოფელი სულითხორცამდე შედუღებული სიყვარული იყო. მისი დიდი სიყვარული ტკივილიანია და მას რაულის სიყრმის შვილის სახელი ჰქვია. ახლა რაული უამრავი წიგნის ავტორია და რაც არ უნდა ბევრი დავწერო მასზე, მაინც ცოტა იქნება. რადგან მისმა დაუშრეტელმა ენერგიამ და დიდმა ნიჭმა მიუწვდომელ მწვერვალებს მიაღწია და მისი მოღვაწეობის და შემოქმედების შემფასებლად მე ვერ ვივარგებ. ამიტომაც თავს შევიკავებ და ვიტყვი მხოლოდ, რაულს დიდი სიყვარული შეუძლია და იცის „არ დავიწყება მოყვრისა“. საოცრად საყვარელი ადამიანია როსტომ თიგიშვილი, ნიჭიერი კაცი, რომელიც არაერთი წიგნის ავტორია. ნიჭიერი ჟურნალისტი იყო შალვა ოსეფაშვილი, უანგარო მეგობარი, მისი ვოკალური მონაცემები მსმენელს აღაფრთოვანებდა. ვისაც მისი სიმღერა ერთხელ მაინც მოუსმენია არასდროს დაავიწყდება იგი. საწყენია, რომ ის ამ უნიკალურ საგანძურს უფრო მეტად არ გაუფრთხილდა, უფრო არ განავითარა და არ წარმოაჩინა.

ჯერ კიდევ სტუდენტები ვიყავით როცა ფერადი ტელევიზიით სრულიად საქართველოს მიესალმა ავთო ქურდიანი, უნაკლო გარეგნობის ახალგაზრდას ყველა დინ რიდს ადარებდა. მალე ავთო კინოფილმში „ფილატელისტის სიკვდილი“ გადაიღეს და ცნობადი სახე გახდა. გვეამაყებოდა და ვხარობდით მისი წარმატებით, მაგრამ ავთო არ შეცვლილა, ის მეგობრების მოყვარედ დარჩა. საოცარი იუმორი აქვს ჯემალ კვერენჩხილაძეს. დაუღალავი, მშრომელი, ოჯახისა და მეგობრებისათვის თავგანწირული ადამიანია. მხოლოდ ერთი ცუდი თვისება აქვს, ჩვენ გვენატრება, მას არ ვენატრებით. სპორტი და სპორტსმენები ყოველთვის ფასდებოდა საქართველოში. როგორც ახლა, ჩვენი სტუდენტობის წლებშიც არაერთხელ უსახელებივართ ქართველ მორაგბეებს. ჩვენი ჯგუფიც ამაყობდა საკუთარი რაგბისტით, რომელიც თავდავიწყებამდე გატაცებული იყო სპორტით. ჩვენ ისევ ახალბედა ჟურნალისტები გვერქვა, როცა რეზო აიწურაძე ფიზკულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. მას მოფერებით ლომგული შეარქვეს. რეზოს მართლაც ლომის გული აქვს და დიდი პიროვნებაა.

თეიმურაზ მეტრეველი მალე გახდა ცნობილი ჟურნალისტი. მას ამაში ნიჭი, განათლება და წიგნის სიყვარული დაეხმარა. ერთხელ, როცა გაზეთ „მოქალაქეს“ მთავარ რედაქტორად დაინიშნა, მასთან

შევედით, თვითონ მასალას ასწორებდა, დაკავებული იყო. გვერდით მაგიდასთან მისი ბიჭი სულხანი იჯდა და ჩუმად კითხულობდა. მე და მანანა სულხანს მივუჯექით თეიმურაზისთვის ხელი რომ არ შეგვეშალა, ბავშვი სასიამოვნო მოსაუბრე აღმოჩნდა.

თეიმურაზ შენ ლამაზი ცოლი მოგიყვანია, შევეხმიანე.

შენ რა იციო – მკითხა.

ბავშვი ლამაზია. შენ არ გგავს-თქო. ბევრი იცინა, მართალიაო დამეთანხმა. ხალხს იგი როგორც ჟურნალისტი ისე უყვარდა, ჩვენ კი როგორც მეგობარი და განუმეორებელი პიროვნება. ბოლოს თეიმურაზი თავის სახლში ავადმყოფი მოვინახულეთ ჯგუფელებმა. იცინოდა, ხუმრობდა. გვითხრა ენა მიბუჟდება და ექიმებმა სავარჯიშოდ სიტყვა უმ – დამინიშნესო. არ დაუჯერო ექიმებს – ვურჩიე, უმმა რაც გიქნა ხომ ხედავ, ლოგინში ხარ ჩაწოლილი, ახლა შენ დოლარ, დოლარ - იძახე ენა გაგივარჯიშდება-თქო. ბევრი იცინა, მერე მეგობრები მისმა მეუღლემ, ლიანამ, სუფრასთან მიგვიპატიჟა, დანარჩენები გავიდნენ, მე თეიმურაზთან დავრჩი და ავადმყოფობაზე მინდოდა დაწვრილებით გამომეკითხა, არაფერი მიპასუხა, მხოლოდ მითხრა: – ორი სადღეგრძელო დამრჩა დაულეველიო და ამას ძალიან განვიცდიო. თემა შევცვალე, გაფიქრებაც მიჭირდა, რომ თეიმურაზს მართლა ყველაფერი რჩებოდა გაუკეთებელი და თვითონ მიდიოდა. ახლა კი ვნანობ.სერგი მინაშვილი, ჯემალ გორდულაძე და თეიმურაზ მეტრეველი მუშკეტრებივით ერთად დადიოდნენ და ძალიან ახლო, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ.

სერგი ჩვენს ჯგუფში, როგორც განსაკუთრებული შრომის მოყვარე, წიგნის მოყვარე ისე გამოირჩეოდა. მალევე დაიცვა ორი დისერტაცია, საკანდიდატო და სადოქტორო, ე.ი. ჩვენ უკვე ჩვენი პროფესორი გვყავდა. მეგობრებთან ყოფნას და მათს სიყვარულს ყოველთვის ახერხებდა. იგი იყო პირველი პროფესორი ჩვენს ჯგუფში!

ჯემალ გორდულაძე ხომ სიყვარულის ადამიანია, ამიტომაც შესძლო საოცარი სიფაქიზით დაეწერა წიგნი თეიმურაზ მეტრეველზე. ჯემალს შეუძლია თავისი ნიჭი და უნარი მეგობრებს ანაცვალოს. მისი დამსახურებაა, რომ ჩვენ შევინარჩუნეთ სურვილი ურთიერთშეხვედრებისა. მან შეარქვა მანანა ვახტანგაძეს ანასტასია ხოშტარია, მანანაც ჯემალივით ურთიერთობის შენარჩუნების მოყვარულია. მანანაც ნიჭიერი და სიცოცხლის მოყვარულია. ერთად ვიყავით მაშინაც როცა ცირა აფციაურის ვაჟიშვილი, ბესიკი გარდაიცვალა. გაგვიჭირდა ამის გაცნობიერება. ის ჩვენი საერთო მძიმე ლოდია. რომ სხვისი ჭირის გამზიარებელი სათნო ქალი გაუსაძლის ტკივილს უძლებს და პირშეუკვრელ ჭრილობას გულით ატარებს. ეს დღესაც გვიჭირს. მახსოვს ერთხელ ჩვეულებრივი დღე იყო. მე და თეიმურაზ მეტრეველი თამაზ წივწივაძესთან მივედით სამსახურში. თამაზი მაშინდელი „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორად მუშაობდა. თამაზი მაგიდასთან იჯდა, თავი ხელებში ჩაერგო და ნაღვლიანი თვალებით იყურებოდა. ჩვენმა მისვლამ ხასიათი გამოუსწორა. თამაზს რუსული და რუსები არ უყვარდა. ამით ამაყობდა კიდეც, მხოლოდ ერთი გამონაკლისით რუსი ქალები უყვარდა – ამბობდნენ ჩვენი ჯგუფელი ვაჟები. მოგვიანებით თამაზი მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს. ამ პერიოდში ჯგუფელებს ისე პატრონობდა, როგორც კრუხი წიწილებს. მახსოვს, პირველ კურსზე ქ-მა ნია აბესაძემ თავისუფალი თემა დაგვაწერინა ჯგუფში, სათაურით - „შემთხვევა საავადმყოფოში“. ეს თემა ყველამ თავისებურად დაწერა, როცა ქალბატონმა ნიამ თამაზის ნაწერი ხმამაღლა წაიკითხა იმდენი ვიცინეთ, რომ სიცილისაგან დაღლილმა ტირილიც კი დაიწყო.

თამაზის ნაშრომის მოკლე შინაარსი დაახლოებით ასეთი იყო... ახალგაზრდა კაცი ავადმყოფი საავადმყოფოში მოათავსეს, (მაშინდელი ჯანდაცვის სამინისტრო ძალიან ამაყობდა უფასო საავადმყოფოების მომსახურეობით). ისეთ გაუსაძლის პირობებში აღმოჩნდა, რომ სახლში დაბრუნება არჩია, მაგრამ მედპერსონალმა ამის უფლება არ მისცა. ავადმყოფმა ვერ გაუძლო შექმნილ სიტუაციას და ზეწრით თავი ჩამოიხრჩო. დილით როცა საავადმყოფოს მედპერსონალმა ჩამომხრჩვალი ავადმყოფი ნახეს, ჩამოხსნეს. ჭუჭყიანი ზეწარი სუფთა ზეწრით შეცვალეს, გვამი ადგილზე დააბრუნეს და სამართალდამცავი ორგანოები გამოიძახეს. მას შემდეგ აცინებს და ატირებს თამაზ წივწივაძის შემოქმედება სრულიად საქართველოს.

არ შეიძლება უნივერსიტეტი მოიგონო საგამოცდო სესიების გარეშე. აუღელვებელი, გაწონასწორებელი, ანზორ კუდბასა და რაულ ნოდიას გარეშე. მუდამ მომზადებულები ყოველთვის სხვებს უთანაგრძნობდნენ. მათ შორის მეც. ამიტომ ხშირად ვაბრაზებდი ანზორ კუდბას კუდბა რბილი ნიშნით ხარ შენ-თქო. ისინი ჭკვიანი ადამიანები, კარგი ჟურნალისტები არიან. თავისი დინჯი, აუღელვებელი ხასიათით გამოირჩეოდა ნიჭიერი ჟურნალისტი ზორბეგ ბუაძე. მხიარული და საყვარელი ადამიანები ბიჭიკო პაპიაშვილი და ოთარ იაშაღაშვილი. რომლებმაც უანგარო სიყვარული და მეგობრობა იციან.

ადრე დაგვტოვეს შალვა არაბულმა, თეიმურაზ მორგოშიამ და ქეთინო ტაბატაძემ. თავიანთი დიდი ადამიანობით ისინი მუდამ ჩვენს გვერდით იქნებიან.

მრავალნაირი განმარტება აქვს ბედნიერებას, მე კი მგონია ჭეშმარიტი ბედნიერება არის ის, როცა სულით წმინდა, გულით მართალი და სიკეთის მოყვარულ ადამიანებთან გაქვს ურთიერთობა.

ჯემალ გორდულაძე

დედა უნივერსიტეტი და ჟურნალისტთა 754-ე ჯგუფი

საუკუნეების განმავლობაში ასე იყო, დიდი ხნით ტოვებდა მშობლიურ კერას სწავლასმოწყურებული ქართველი და ჩრდილოეთისკენ მიემგზავრებოდა. ბევრნი მიდიოდნენ, ცოტანი ბრუნდებოდნენ, სწავლა ცივ რუსეთში სიცოცხლის ფასად უჯდებოდათ. დიდად წუხდნენ ქართველი ერისკაცები, რომ საქართველოში უნივერსიტეტი არ ჰქონდათ. ამ საკითხზე ბევრი იწერებოდა ქართულ პრესაში, წერდნენ ილიას „ივერია“ და გაზეთი „დროება“. ბევრჯერ ეთხოვა მეფის რუსეთს ქართული უნივერსიტეტის გახსნის ნებართვა, მაგრამ ყოველი თხოვნა გავდა ხმას „მღარადებლისა უდაბნოსა შინა“. დიდი ივანე ჯავახიშვილი და მისი ახლო მეგობრები ჩაუდგნენ ამ საქმეს სათავეში. წყალობითა და შეგროვებული ფულით თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში, ვარაზისხევზე 200 დესეტინა მიწა იყიდეს, რომელიც მაშინ უღრანი ტყით იყო დაფარული და იქ უზარმაზარი შენობის აგება დაიწყეს...

როგორც მემატიანე გადმოგვცემს ეს იყო 1900 წლის ოქტომბერი, ოქროსფერი შემოდგომის პირი. თუმცა სხვა იყო მშენებლობის საბაბი, მიზანი და ჩანაფიქრი კი სულ სხვაგვარი. ამ შენობას აგებდა ცნობილი ხუროთმოძღვარი ნიკო ცხვედაძე, რომელსაც ბევრი აქილიკებდა, ლანძღავდა, მაგრამ იგი ყურს არავის უგდებდა, ერის საშვილიშვილო საქმეს აკეთებდა. აგურს აგური ემატებოდა და ვარაზისხევის მაღალ ადგილზე შენდებოდა ერის მომავალი. მას ერთი სწამდა, რომ ოდესმე თბილისშიც გაიხსნებოდა ქართული უნივერსიტეტი.

„არ ვიცი, მოვესწრები თუ არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამ შენობაში ქართული უნივერსიტეტი გაიხსნება“, – ამბობდა ჭეშმარიტი მამულიშვილი ნიკო ცხვედაძე. დიდმა ილია ჭავჭავაძემ მას სახელად „ნიკოლოზ აღმაშენებელი“ დაანათლა...

პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ივანე ჯავახიშვილი თავის გარშემო იკრებს თანამოაზრეებს და აყალიბებს „ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეს“. იგი ქართველ მოწინავე ახალგაზრდობას მეცნიერულ ჩვევებს უმუშავებს, ატარებს საუბრებს, ადგენს ქართული უმაღლესი სასწავლებლისა და უნივერსიტეტის დაარსების გეგმას. 1917 წლის შემოდგომაზე ივ. ჯავახიშვილი საქართველოში მიემგზავრება და იქმნება „საუნივერსიტეტო საზოგადოება“. რუსი მოხელეები ყოველნაირად აჭიანურებდნენ უნივერსიტეტის გახსნის თარიღს, ატყუებდნენ უნივერსიტეტის გახსნის თავკაცებს. მაგრამ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ ყველაფერი შეცვალა... ასრულდა ქართველთა საუკუნოვანი ოცნება, თბილისში ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა...

სწორედ ამ სახელგანთქმული უნივერსიტეტის სტუდენტები გავხდით ჩვენ. ჟურნალისტთა 754-ე ჯგუფში თავდაპირველად მხოლოდ 15 ყმაწვილი ჩაირიცხა. შემდეგ დაემატა ჯარიდან ჩამოსულები და საღამოს განყოფილებიდან გადმოსულები. მაშინ უნივერსიტეტს ჰქონდა დიდი რკინის ჭიშკარი. მის ეზოში შესვლა ყველას არ შეეძლო. დიდ, მაღალ კარებს შეაღებდი თუ არა, მის მიღმა სხვა ცხოვრება იწყებოდა. ხელი უნებურად მიდიოდა ქუდისკენ და უნივერსიტეტში შევდიოდით ქუდმოხდილნი, როგორც წმიდა ტაძარში.

ერთი შეხედვით, თითქოს უბრალო ამბავი იყო, უნივერსიტეტის დერეფნებში ყოველ დღე შეხვდებოდით ადამიანებს, რომელთა სახელს მსოფლიო იცნობდა. ისინი ამ ტაძრისგან განუყრელნი იყვნენ და ვერ წარმოგვედგინა უნივერსიტეტი მათ გარეშე. მე და ჩემს თანაკურსელ მეგობრებს გვქონდა ბედნიერება უნივერსიტეტში შევხვედროდით აკაკი შანიძეს, გიორგი წერეთელს, არნოლდ ჩიქობავას, ვანო ქავთარაძეს, კორნელი კეკელიძეს, გიორგი ახვლედიანს, შალვა ნუცუბიძეს, ევგენი ხარაძეს, ილია ვეკუას, პანტელეიმონ ბერაძეს, სიმონ ყაუხჩიშვილს, ქსენია სიხარულიძეს და სხვა სახელოვან და გამოჩენილ ქართველ მოღვაწე-პროფესორებს. ჩვენ მათ მიმართ ვგრძნობდით აუწერელ მოკრძალებასა და თავყვანისცემას.

ნელა ამოივლიდა უნივერსიტეტის კიბეებს აკაკი შანიძე. დერეფნებსა და აუდიტორიებში ატყდებოდა ჩურჩული, ბატონი აკაკი მობრძანდებაო. იგი კი მობრძანდებოდა, უკვე 100 წელს მიტანებული, თოვლივით თეთრი და სპეტაკი. შევიდოდა აუდიტორიაში და დინჯად, აუჩქარებლად გააბამდა

საუბარს ქართული ლიტერატურისა და ენის სიკეთესა და სილამაზეზე, მის მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე. ისიც მახსოვს, სტუდენტები ხშირად ვეკითხებოდით ერთმანეთს, დღეს სად არის შალვა ნუცუბიძის ლექციაო? სად, რომელ აუდიტორიაში კითხულობს? 93-ე დიდი აუდიტორია ხშირად ივსებოდა სხვადასხვა ფაკულტეტების სტუდენტი-ახალგაზრდობით.

ჩვენი სწავლის პერიოდში უნივერსიტეტში გამოდიოდა გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი", მისი რედაქტორი გახლდათ ზაალ ჟვანია, კაცი მეტად განათლებული და საოცრად მომხიბვლელი. ბატონი ზაალი ძალიან კარგად დამამახსოვრდა. ერთი შეხედვით უცხო პლანეტიდან ჩამოსული გეგონებოდათ; მაღალი, მხრებგაშლილი, თხელი, გამოკვეთილი, პროფილით, აზიური სახის ნაკვთებით, სქელი შავი ულვაშებით. შავი თვალები დაჟინებით გიმზერენ, თითქოს ხსნიან ყველა ცხრაკლიტულს შენი სულისას. სხეულის ოდნავი რხევით მშვენიერი სახის რაინდი მიემართება უნივერსიტეტის ბაღში. ელვარე და ანკარა სულის პიროვნება იყო: გაზეთის რედაქციასთან შექმნილი იყო ახალგაზრდა შემოქმედთა წრე, სადაც იკრიბებოდნენ მომავალი მწერლები, პოეტები. სტუდენტები კითხულობდნენ თავიანთ ლექსებსა და მოთხრობებს; იყო კამათი და აზრთა ჭიდილი. თამაზ წივწივაძესთან, თემურ მეტრეველთან, რაულ ჩილაჩავასთან ერთად ბევრჯერ დავსწრებივარ ასეთ შეხვედრებს. ეს იყო დაუვიწყარი, ჩემთვის ტკბილად მოსაგონარი წლები...

ჟურნალისტთა 754-ე ჯგუფი ჩემს თაობასა და ქართულ ჟურნალისტიკაში ბევრი გამოჩენილი ნიჭისა და მაღალი ინტელექტის მქონე მოღვაწის სახელთან ასოცირდება. თამაზ წივწივაძე, თეიმურაზ მეტრეველი, რაულ ჩილაჩავა, მანანა ვახტანგაძე, სერგი მინაშვილი, ჯემალ კვერენჩხილაძე, ანზორ კუდბა და სხვები გამოირჩეოდნენ წერის მაღალი კულტურით. მათი პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, მოთხრობები, ლექსები, იუმორისტული სხვადასხვა ჟანრის წერილები სავსეა მოყვასის სიყვარულით. მათი ნაწარმოებები ხმამაღალი მოწოდებაა ერისა და ბერისადმი მოვეფეროთ ერთმანეთს, გვიყვარდეს ერთმანეთი. ეს ჩემი სახელოვანი მეგობრები, ცნობილი ადამიანები იმ რჩეულ ერთეულთა შორის მოიაზრებიან, ვინც ახალ სამომავლო გზებს გადაუშლის ხოლმე ქართული ლიტერატურული და პუბლიცისტური იდუმალი ბილიკებით მავალთ. თამაზ წივწივაძე, თეიმურაზ მეტრეველი, მანანა ვახტანგაძე, რაულ ჩილაჩავა, რეზო აიწურაძე რაღაც ცეცხლოვანი გატაცებით მიისწრაფოდნენ პირველი კურსიდან, ფიქრისა და განსჯის ახალი სიმაღლეებისკენ. თითოეულმა მათგანმა სიტყვასთან ჭიდილითა და ძიებით დაიმკვიდრა ქართულ მწერლობასა და ჟურნალისტიკაში ღირსეული ადგილი და მოგვხიბლა ჭეშმარიტებითა და გრძნობათა უშუალობით.

არ დამავიწყდება განსაკუთრებული თბილი ურთიერთობა ჩვენი 754-ე ჯგუფის ე. წ. „დამრიგებელთან" ბატონ ტარიელ კვანჭილაშვილთან, რომელიც პირველი კურსიდანვე მოგვყვებოდა, ჟურნალისტიკის თეორიასა და პრაქტიკაში ლექციებს გვიკითხავდა. ომგადახდილი პროფესორი საკუთარი შვილებივით გვეპყრობოდა, გვექომაგებოდა. სემესტრების ბოლოს, გამოცდებზე, ჩვენსავით ღელავდა და განიცდიდა, როგორ ნიშნებს მივიღებდით. თუ არ ვცდები, მესამე კურსზე ვიყავით, როცა ბატონმა ტარიელმა აგვიყოლია და დავთქვით: დილით ვინც პირველი მივიდოდა უნივერსიტეტის ბაღში ჩვენი ჯგუფიდან, თუ ქალი იქნებოდა საჩუქრად წითელ ვარდებს მიიღებდა, ხოლო ვაჟი ერთ ბოთლ „შამპანურს". ამ წამოწყებამ ისე გამოაცოცხლა უნივერსიტეტი, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის ლამის ყველა კურსი და ჯგუფი ჩაერთო. ლექციებზე „გმირულად" დამგვიანებლებიც კი – ავთანდილ ქურდიანი, შალვა ოსეფაშვილი, ანზორ კუდბა, ოთარ იაშაღაშვილი ადრე, სისხამ დილით მოდიოდნენ. დილიდანვე იწყებოდა უნივერსიტეტის ბაღში გაუთავებელი ჟრიამული და მხიარულება. ჩვენი მშვენიერი და სათაყვანებელი მეგობრები: ცირა აფციაური, ლიანა ფხალაძე, მანანა ვახტანგაძე, ნატა პატარიძე, ქეთინო ტაბატაძე, იათამზე ანთაძე – ერთმანეთს ედავებოდნენ, არა მე მოვედი ადრე და არა მეო... მოხიბლული ვიყავი ამ ნიჭიერი და გულითადი ქალბატონების მეგობრობით, სიკეთითა და კაცთმოყვარეობით, სიდარბაისლით.

ასევე დაუვიწყარია ჩვენთვის, 754-ე ჯგუფის ყოფილი სტუდენტებისათვის, 1965 წლის 1 სექტემბერი. მახსოვს, მესამე ლექცია გვქონდა, კათედრასთან დოცენტი ანდრო ჭილაია იდგა. იგი პირველ-მეორე კურსზე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გვიკითხავდა ლექციებს. 91-ე აუდიტორიის უსაშველოდ გრძელ მაგიდაზე თავისი ნაშრომი ჰქონდა გადაშლილი, მაგრამ წიგნისკენ ერთხელაც არ გაუხედავს – ზეპირად ლაპარაკობდა. ტკბილი ხმა ჰქონდა, ხავერდოვანი და გულიდან ამომავალი. ის იყო ზარი უნდა დარეკილიყო, რომ აუდიტორიის კარი გაიღო და ბოდიშის მოხდით ჩვენი ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი აკაკი ურუშაძე და მისი მოადგილე გოლეთიანი შემოვიდნენ. ბატონმა აკაკიმ აუდიტორიას თვალი გადაავლო, შემდეგ ჟურნალი ხელში აიღო და ხმამაღლა თქვა: – სულითა და გულით გილოცავთ სტუდენტობას, გესახელებინოთ დედა უნივერსიტეტი... მცირე პაუზის შემდეგ თქვა: დღეს ჯგუფხელი უნდა ავირჩიოთ და ნაბიჯი გადადგა. აუდიტორია კიდევ ერთხელ კმაყოფილებით დაათვალიერა, ყველას დაკვირვებით შემოგვხედა და მერე მერხთან შეჩერდა, – რა გვარი ხართ თქვენ ახალგაზრდავ? – მეტრეველი, – გაისმა დამორცხვებული ხმა; – თქვენი სახელი? თეიმურაზი. – ოო, თეიმურაზ მეტრეველი, კონკურსში გამარჯვებული. ძალიან კარგი, ჰოდა, თქვენ იქნებით, ბატონო თეიმურაზ, ამ ყმაწვილების ჯგუფხელი... მერე ჯგუფხელის მოადგილეც ამ წესით შეარჩია, – იათამზე ანთაძე. ლექციების შემდეგ დეკანატში მოხვალთ, ბრძანა ბატონმა აკაკიმ და აუდიტორიიდან გავიდა. ასე ავირჩიეთ 754-ე ჯგუფის ჯგუფხელი და მოადგილე...

აქვე არ შემიძლია არ გავიხენო ბატონი ნოდარ ტაბიძე, რომელიც იყო არა მარტო ჩვენი ლექტორი, არამედ ყველასათვის მისაღები გულითადი მეგობარი.

იგი კარგა ხანს გვიკითხავდა ლექციებს ქართულ ჟურნალისტიკაში, იყო ბევრი კარგი წამოწყების თაოსანი. დამამახსოვრდა, როგორც ჭეშმარიტი ინტელიგენტი, მომთხოვნი და სამართლიანი, სტუდენტებიც გულწრფელად ემადლიერებოდნენ. ქართული პოეზიის უგვირგვინო მეფეს, ღვიძლ ბიძას, გალაკტიონ ტაბიძეს აღმერთებდა. არაერთი ბრწყინვალე გამოცემა უძღვნა ქართული პოეზიის რეფორმატორსა და დიდ შემოქმედს, პოეტური სიტყვის ჯადოქარ მგოსანს...

ძალიან კარგად მახსოვს ისიც, როცა უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მეორე სართულზე, დერეფანში ყოველი თვის ბოლოს იდგა გრძელი რიგი, იყო ჭიდილი და სიცილ-ხარხარი, იყო გაწევ-გამოწევაც, არა მე ვიდექი რიგში წინ და არა მეო... – რიგდებოდა სტიპენდია. ეს დღე იყო ყველასთვის სამახსოვრო. თითოეული ჩვენთაგანი გახარებული იყო სტიპენტიის აღების მოლოდინში, ამიტომაც იყო ვნებათაღელვა. სტიპენდიის აღების შემდეგ ჩვენი ახლო მეგობრები თამაზ წივიწივაძის თავკაცობით ჩავუყვებოდით ვარაზის ხევს, შევიდოდით სასაუზმეში და შევექცეოდით ხინკალს, ქაბაბსა და ლუდს, შიგადაშიგ არაყს... ეს იყო დაუვიწყარი წლები.

ახლა უნივერსიტეტში სხვები სწავლობენ. უნივერსიტეტს ჰყავს თავისი ახალგაზრდობა და თავისი კორიფენი. მაგრამ არის ცხოვრებაში ისეთი რამ, რასაც დრო ვერ ცვლის, რაც მარადიულია... უნივერსიტეტი კვლავინდებურად ძლიერად დგას, თავისი ლამაზი ბაღით, თეთრი გუმბათებით, იგი ხომ მარადიული, წმინდა თეთრი ტაძარია. ძველებურად ისმის მის დერეფნებში ჟრიამული, ახალგაზრდების გადაძახილი, სტუდენტებს უხარიათ „ფრიადი“ და სწყინთ „ჩათვლის“ მიუღებლობა. მისი ბაღი კვლავინდებურად სავსეა ხალისიანი ახალგაზრდებით...

ჩვენ, 754-ე ჯგუფელებმა კარგა ხანია დავტოვეთ სათაყვანებელი და მარადჟამს მოსაგონარი, დაუვიწყარი უნივერსიტეტი და ისღა დაგვრჩენია, მოვიგონოთ რა იყო წარსულში, როგორები ვიყავით მაშინ, უკვე ჭაღარა შემოგვერია, ზოგიერთი სულ გათეთრდა... მაგალითად მომხიბვლელი ქეთინო ელიაშვილი, ზორბეგ ბუაძე და იზო კალანდია... ნეტავი თქვენ, ყველაზე ადრე გათეთრებულებო, რა ლამაზები და ისევ მომხიბვლელები ხართ, ხშირად გიგონებთ და შორიდან გეფერებით...

შენ კი ჩვენო თეთრო ღვთაებავ, დედა უნივერსიტეტო, გვიხარია, რომ ძლიერ, მრავალსაუკუნოვან მუხასავით კვლავ დგეხარ და აძლიერებ საქართველოს. ყოველთვის, როდესაც ახლოს ჩაგივლი, ნაბიჯს ვანელებ, ვჩერდები და დიდხანს, ძალზე დიდხანს შევყურებ შენს გუმბათებს და შვებით ვივსები... გთხოვთ ყველამ მოწიწებით შეხედეთ მას, მიესალმეთ, მიესათუთეთ... მეცნიერების პატიოსნებას და სინდისს, ყველას სიყვარულს, თითოეული ქართველის გულის იმედს და უკვდავებას... იდღეგრძელეთ მრავალჟამიერ.

მანანა ვახტანგაძე

ჩვენ, უნივერსიტეტელები...

1970-80-იანი წლები ჩვენი ახალგაზრდობის წლებია, ჩვენი გაზაფხულის, აღმაფრენის, სიყვარულის წლები... საოცარი იყო თბილისი მაშინ... მომღიმარე და ბედნიერი, დიახ... თუ შეიძლება ითქვას ყოველი დღის ბედნიერებით ბრწყინავდა ქალაქი – წკრიალა, სუფთა და გაჩახჩახებულ ქუჩებში არ ისხდნენ და ნაგვის ურნებში არ იქექებოდნენ შიმშილით დაყვითლებული, ჩამოძენძილი მათხოვრები და დახმარებას არ ითხოვდნენ გაწეწილი და ჭუჭყიანი, ლტოლვილი და უპატრონო ბავშვები, რადგან... მათხოვრები საერთოდ არ არსებობდნენ მაშინ, რადგან ფუნქციონირებდა შესანიშნავი მოხუცთა სათნოების სახლი და ასევე რადგან... დიდი ყურადღება ექცეოდა უპატრონო ბავშვთა სახლებს, სკოლა-ინტერნატებს! აი ეს იყო ქალაქის ბედნიერება და სილამაზე, რაც ჩვენ, მე და ჩემმა მეგობრებმა მოგვიანებით, 90-იან წლებში გავაცნობიერეთ და ეს გაცნობიერება იყო ჩვენი და ჩვენი ხალხის დიდი ტრაგედია, ენით აღუწერელი და მტკივნეული. ჩვენს თაობას ომი არ ენახა და... ვნახეთ! ვნახეთ უარესიც, სამოქალაქო ომი! ვნახეთ რა შეუბრალებლად ხოცავდნენ ქართველები – ქართველებს!!! და ეს იყო საშინელება! რომლის გახსენება ახლაც სისხლს გვიყინავს. იმ ბედნიერ წლებში კი, როცა ჩვენი გაზაფხულით ბრწყინავდა თბილისი, ქალაქი სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა, რუსთაველზე ღიმილი და სიხარული ენთო... და ჩვენც ვავსებდით მას ჩვენი იმედებით და მომავლის წყურვილით...

დედა უნივერსიტეტი საოცნებო უმაღლესი სასწავლებელი იყო ნებისმიერი ქართველისთვის, საოცნებო და უსაყვარლესი! იქ შესვლა, სადაც დიდი მამულიშვილები: ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, პავლე ინგოროყვა, შალვა ნუცუბიძე, გიორგი წერეთელი, არნოლდ ჩიქობავა და აკაკი შანიძე მოღვაწეობდნენ და ყოველ ლექციაზე მამულის სიყვარულში და მასზე ფიქრში იღვენთებოდნენ, ილეოდნენ და იწვებოდნენ – შესვლა კი არა, უბრალოდ იმ ანდამატ კედლებში გავლაც კი დიდი ბედნიერება იყო, არათუ სწავლა... და ჩვენ უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტები ვიყავით, და ვიყავით თითქმის მთელი ჯგუფი... მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, და ეს ჯგუფი იყო 754-ე, მომავალი ჟურნალისტების ჯგუფი – დღის დასწრებული!

ურთულესი პროფესიაა ჟურნალისტიკა, რადგან... „ნებისმიერი ჟურნალისტი უნდა ფლობდეს ნებისმიერი პროფესიისა თუ საქმიანობის სრულყოფილ საფუძვლებს, შეეძლოს ზუსტი ანალიზი ნებისმიერი დარგის ნებისმიერ მიღწევებზე და იყოს სამართლიანი არამარტო საზოგადოების, უპირველესად საკუთარი თავის წინაშე! სხვაგვარად იგი ვერ წარმართავს ჯანსაღ და ღირსეულ ჟურნალისტურ საქმიანობას და მისი ყოველი მცდელობა დაიმკვიდროს ადგილი ამ უაღრესად საინტერესო საქმიანობის უმაღლეს პროფესიონალთა შორის კრახით დამთავრდება“... ასე მოგვმართა პროფესორმა დავით გამეზარდაშვილმა მომავალი ჟურნალისტების შესარჩევ კონკურსში გამარჯვებულებს. კონკურსი 3 ეტაპად მიმდინარეობდა. 1500 ბავშვიდან გავიმარჯვეთ მხოლოდ სამმა: მე, მანანა ვახტანგაძემ, თემურ მეტრეველმა და რაულ ჩილაჩავამ. შესაბამისად უნივერსიტეტში ჩავირიცხეთ კონკურსის გარეშე, მიუხედავად ამისა, სამთავემ გამოცდებზე ყველა საგანში მხოლოდ უმაღლესი შეფასებები მივიღეთ! ჩვენ მაშინ 16 წლისანი ვიყავით... და სიცოცხლის ბედნიერი გაზაფხული გვედგა... ის კონკურსიც იმიტომ ჩატარდა, რომ გამოევლინა არამარტო ნიჭიერი და ერუდირებული, არამედ მართალი და მაღალზნეობრივი ინტელექტის მქონე იმედისმომცემი ახალგაზრდები. წლები ჩაიფერფლა მას შემდეგ... ბატონი დავითის მოძღვრებას შემდეგ მეც გადავცემდი ჩემს სტუდენტებს უნივერსიტეტის აუდიტორიებში! დიახ, ინჟინერი შეიძლება იყოს მხოლოდ ინჟინერი, ექიმი-ექიმი და ასე შემდეგ... მაგრამ... ჟურნალისტი ექიმთან ექიმი უნდა იყოს, მხატვართან მხატვარი, პოლიტიკოსთან პოლიტიკოსი... იგი აუცილებლად უნდა ერკვეოდეს ნებისმიერი დარგისა და ნებისმიერი პროფესიის საქმიანობაში და ფლობდეს ანალიზის უნარს... რესპოდენტმა არ უნდა შეგამჩნიოს რომ შენ მის დარგში მისი თანასწორი არა ხარ! თორემ...

გულახდილი აღარ იქნება შენთან საუბრისას, ბოლომდე აღარ გაიხსნება და არ დაიხარჯება... ეს კი იმას ნიშნავს, რომ შენი სტატია ან ინტერვიუ წყალ-წყალა, უინტერესო და არაკვალიფიციური გამოვა... მაშინ სწავლასაც სხვა ფასი ჰქონდა... ახლა კი... ის დიდებული სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემა ერთი ხელის მოსმით დაანგრია და გაანადგურა რეფორმატორების ხელისუფლებამ!

ჩვენი ფაკულტეტის დეკანი გახლდათ პროფესორი, ბატონი აკაკი ურუშაძე, დიდი ენათმეცნიერი, მსოფლიო დონის ორიენტალისტი და კავკასიოლოგი... მე არ ვიცი, რამდენად დავიმსახურეთ, მაგრამ ბატონ აკაკის ძალიან ვუყვარდით, უყვარდა ჩვენთან საუბარი, ხშირად ხუმრობდა კიდეც... მახსოვს ერთხელ ჩვენს ჯგუფელს გაცდენები ჰქონდა და მის შესახებ გვესაუბრა ბატონი აკაკი, რა მოვუხერხოთ, როგორ დავსაჯოთ ბიჭიკო პაპიაშვილიო? – გვეკითხებოდა. მერე თითქოს ფიქრებიდან გამოერკვა, თქვა: – მოდით სტიპენდია მოვუხსნათო, – ჩვენი ჯგუფხელი (ჯგუფის მამასახლისი) მაშინ იყო თეიმურაზ მეტრეველი (მომავალში საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ჟურნალისტი, ამას ისტორია იტყვის თვითონ!) და ... თეიმურაზმა უპასუხა:

- რა ვქნათ, ბატონო აკაკი, ბიჭიკოს ხომ სტიპენდია არა აქვს ცუდი მოსწრების გამო?
- არა აქვს? – ისევ დაფიქრდა ბატონი აკაკი და უცებ სახეზე სიკეთის ნათელი გადაეფინა:
- არა აქვს და დავუნიშნოთ, დიახ დავუნიშნოთ და შემდეგ... თუ ისევ ექნება გაცდენები, მოვუხსნათ!

ასე შევთანხმდით. დიახ.. იმ ბედნიერ დროს სტუდენტებს ყველა შესაძლებლობა ჰქონდათ სწავლისთვის! ეძლეოდათ სტიპენდია, ჰქონდათ კეთილმოწყობილი უფასო საერთო საცხოვრებლები, უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა საუნივერსიტეტო სასადილო და ბუფეტები – შეღავათიან ფასებში. მითუმეტეს მაშინ კვების პროდუქტები ძალიან იაფი იყო... მთავარი იყო, რომ გესწავლა, გესწავლა კარგად და გამოდგომოდი ქვეყანას და პირველ რიგში საკუთარ თავს და ოჯახს. ჩვენ ბედნიერი ცხოვრების გაზაფხული გვედგა, ძალიან ბედნიერი!

უნივერსიტეტშიც გამორჩეული იყო ჩვენი ჯგუფი... და არამარტო წარმატებით... არამედ ... ლამაზი გოგონებითაც... ჩვენთან სწავლობდა უნივერსიტეტის ულამაზესი გოგონა ცირა აფციაური...ჰაეროვანი, მშვენიერი, ფიდიასის სინატიფით გამორჩეული, მოკრძალებული და ძალიან ნიჭიერი... ასეთივე თვალწარმტაცები იყვნენ ჩალისფერთმიანი ულამაზესი ლიანა ფხალაძე და ასევე უმშვენიერესი ნატო პატარიძე, მომხიბვლელი იათამზე ანთაძე და დამატყვევებელი ღიმილის და ანალიტიკური გონების მქონე ქეთინო ელიაშვილი, სიტყვამ მოიტანა და მეც არ ვიყავი ურიგო... და კიდევ გვყავდა ლამაზი, ფუმფულა და ხუმარა იზო კალანდია, ცნობილი პოეტის ხუტა ბერულავას დისშვილი, რომელსაც მათემატიკოსი უნდოდა გამხდარიყო და სრულიად მოულოდნელად გადაუწყვეტია შეეტანა საბუთები ჟურნალისტიკაზე... და საერთოდ... ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში ხომ ყველაზე ლამაზი სწორედ მისი სიცოცხლის გაზაფხულია, აყვავებული, ანთებული და მღელვარე, ყველა ძარღვით, ყველა სასიცოცხლო ნერვით აფეთქებული და მთრთოლვარე... ასეთი იყო ის წლები ჩვენთვის!

მაშინდელმა ქართველმა ყმაწვილებმა თაყვანისცემაც მოკრძალებული იცოდნენ... ზღვარს გადაუსვლელი! მთავარი ყოველთვის მეგობრობა იყო. ჯგუფი კი საოცრად შეკრული და მეგობრული გვქონდა. მთელი საქართველო ფეხით შემოვიარეთ, ერთად,ხმამაღლა და ხშირად ვკითხულობდით ილიას "ქვათა ღაღადს", ჩვენს მოვალეობად ვთვლიდით რომ აუცილებლად კარგად შეგვესწავლა მამულის ისტორია, გვევლო მის ნასოფლარებში და ნაციხარებზე! და გვეგრძნო ის ტკივილი და სიმწარე, რასაც გამუდმებული ომები აყენებდა ხალხს და ... რამაც დააცარიელა კიდეც ხალხისგან სოფლები, ქალაქები და მხარეებიც კი საერთოდ... და ამ სიცარიელემ გზა გაუხსნა უცხო ტომელებს ჩამოსახლებულიყვნენ... საათობით ვისხედით ვაჟას მოგიზგიზე ბუხართან ჩარგალში და ვფიქრობდით გენიოს დევკაცზე, რომლის მსგავსი სამყაროს არ ჰყავდა და სამყაროსთვისაც მიუწვდომელი დარჩა იგი, რადგან ძნელი იყო მისი სრულყოფილი თარგმნა ევროპულ ენებზე და ჩვენს პატარა ქვეყანას კი არ აღმოაჩნდა ისეთი პროფესიონალი მთარგმნელები მას რომ ეკადრებოდა!

ჭყვიშში, გალაკტიონის სახლში კერიის შუაცეცხლს მღელვარებით ვუვლიდით გარშემო... გალაკტიონი ჩვენს შემეცნებაში კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანი იყო... არავის მსგავსი და ყველაზე ძლიერი... აღმატებული... მაინც რა დიდი იყო მე-19 და მე-20 საუკუნეები... საქართველოში გენიოსების საბადო იყო მშობიარე ქალის როლში... ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, ყაზბეგი, ლადო ასათიანი, გალაკტიონი, კონსტანტინე, გოგლა, ტიციანი, პაოლო, ირაკლი აბაშიძე და ისინი სულ რაღაც 100 წელიწადში თითქმის ერთმანეთის მიყოლებით ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ქართული სულის გასამხნევებლად, ქართული გენის გადასარჩენად! ქართული სიტყვის გასაბრწყინებლად! მოგვიანებით გალაკტიონი ბრწყინვალედ თარგმნა უკრაინულად ჩვენმა ჯგუფელმა და ჩვენმა უსაყვარლესმა მეგობარმა რაულ ჩილაჩავამ! რაულმა აბსოლუტურად შეუნარჩუნა ლექსს მუსიკალური რიტმი და რითმა, დახვეწილი, სუფთა, ჟღერადი სიტყვა... გამომსახველობა, მარცვლის ხავერდოვანი ჩუქურთმა და ხმოვანთა წყობის დიდებული სტრუქტურა! რაული გამორჩეული იყო ჩვენს ჯგუფში თავისი ნიჭიერებით და შრომისმოყვარეობით... იგი დღეს დიდი პოეტი და დიდი შემოქმედია... დასანანია, რომ ბედისწერამ არ არგუნა საქართველოში ცხოვრება, სტუდენტობისდროიდანვე გაცვლითი პროგრამის საშუალებით წავიდა კიევის უნივერსიტეტში სასწავლებლად, კიევის უნივერსიტეტმა კი ჩვენთან მოავლინა გრიცკო, კეთილშობილი და გულღია ყმაწვილი, რომელსაც ჩვენი პროფესორი, ჩვენთვის უსაყვარლესი ნია აბესაძე ასწავლიდა ქართულს. რაულმა ბრწყინვალედ შეისწავლა უკრაინული ენა და კიევის უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, შესანიშნავად თარგმნა ქართველი პოეტები უკრაინულად და უკრაინელი

კლასიკოსები ქართულად. იგი დღეს კიევის უნივერსიტეტის უაღრესად ავტორიტეტული პროფესორია და უკრაინის ცნობილი საზოგადო მოღვაწე! იქნებ უმჯობესიც არის, კიევში რომ წავიდა რაული, რა მოხდებოდა თბილისში თუ დარჩებოდა და მიაღწევდა ამდენს? არ ვიცი! რადგან... ჩვენს ჯგუფში სწავლობდა და ჩვენი მეგობარი და სიამაყე იყო თეიმურაზ მეტრეველი. გასაოცარი ნიჭის პატრონი კაცი! ილიასებური ერუდიციით მოვლენილი ამ ქვეყნად! რა შეძლო? გამოავლინა ის ზღვარდაუდები ნიჭი, რაც უფალმა უბოძა? – არა ბატონებო! მე ვიტყოდი, რომ სანახევროდაც არა! ჯერ უმთავრესი, მისი ხასიათის სისუსტე იყო – ყოველგვარ პირობებში წერა არ შეეძლო! მერე – ეკონომიური მდგომარეობა არასოდეს არ უწყობდა ხელს, რომ პუბლიცისტიკას ღრმად ჩასჯდომოდა! მესამე – მხოლოდ სამი წელი! სამი წელი შეძლო ეცხოვრა და ეცოცხლა დიდ ჟურნალისტიკაში! მან შექმნა ბრწყინვალე გაზეთი „ახალი ეპოქა“ - მეგობრების ფინანსური დახმარების წყალობით! თემურის პუბლიცისტური წერილები, რაც კი დაგვრჩა (რადგან ის სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა 2004 წელს), თითქმის მისი ყველა ანალიტიკური სტატია არაჩვეულებრივი სიღრმითა და სიცხოველით წვდება თემის ძირითად არსს. ქართული ტკბილხმოვანი სიტყვა საოცრად მგრძნობიარე და დამყოლია მის ხელში! სადაც საჭიროა, მწველი და მახვილია იგი!

90-იან წლებში, როცა გამსახურდიას ეროვნული მთავრობა მოვიდა ხელისუფლებაში – საზოგადოება ორ ნაწილად გაიხლიჩა. ეს გახლეჩა რომ მიზანმიმართულად მოხდა, დღეს ჩვენ ყველამ ვიცით. ჩვენს ძველებს უთქვამთ – გონებისკენ მიმავალი გზა კუჭზე გადისო... ამან განაპირობა ეს გახლეჩაც... ფუფუნება თუ არა, ელემენტარული საარსებო საშუალება ხომ მაინცაა საჭირო შიმშილით რომ არ მომკვდარიყავი, ჰოდა, მეორე მხარეს (ჭანტურიას ხალხი), რომელსაც სიგუა, კიტოვანი და იოსელიანი სწორედ ამ საარსებო საშუალებით ლობირებდა... როცა ისინი მოვიდნენ ხელისუფლებაში – პირველი მილიონერები სწორედ მათი მომხრეები გახდნენ... იმ კრედიტებით და გრანტებით, რაც შემოვიდა საქართველოში 92 წელს და შემდეგ, მომდევნო წლებში უცხოური ორგანიზაციებიდან, მსოფლიო ბანკიდან და სავალუტო ფონდიდან. დიახ, უხვად დაასაჩუქრეს თავიანთი გუნდის წევრები მილიონებით... ამ ამბავს გადააყოლეს კიდეც იმდროინდელი ფინანსთა მინისტრი დვალიშვილი. გამსახურდია კი ... გამსახურდიას ალბათ საერთოდ გამორჩა მხედველობიდან სოციალური საკითხი – რადგან მაძღარ, სოციალურად და ეკონომიკურად ძლიერ ქვეყანაში მოვიდა ხელისუფლებაში მისი გუნდი. ამ დიდბუნებოვან ადამიანს ალბათ ეგონა ეს ყოფა ჩვეულებრივი მოვლენა იყო და ყურადღებას არ საჭიროებდა... დიახ ... სწორედ ეს სოციალური საკითხი გადაიქცა საქართველოსთვის მომავალში დილემად, სწორედ სოციალურად გააღატაკა და დათრგუნა, დააბეჩავა და დააშშია საქართველო რუსეთმა და შტატებმა ერთდროულად!

გამსახურდია მოტყუვდა, რადგან ამბიციური და გაუნათლებელი ხალხი შემოიკრიბა ირგვლივ, პროფესიონალები, ვისაც მართლაც შეეძლო ქვეყნის მართვა ჯოჯოხეთში გაგზავნა! შწორედ ეს, საკადრო პოლიტიკა იყო მისი მმართველობის დროის ყველაზე დიდი შეცდომა. მან ვერ შეძლო ეროვნული პოლიტიკის გატარება, ქვეყანა ვერ იხსნა სამოქალაქო ომისგან... აფხაზეთი და სამაჩაბლო მომდევნო წლებში სიგუა, კიტოვანმა და ახალმა მთავრობამ ხარკად მიართვა რუსეთს და ფაქტიურად მისგან, ე.ი. რუსეთისგან ძალიან ძვირად, მაგრამ მაინც მოიპოვეს საქართველოს ხელისუფლება – რასაც ერქვა საქართველოს პრეზიდენტობა! და აი ამ პერიოდმა გახლიჩა და დაანაწევრა საზოგადოება! ჩვენი ჯგუფის ერთიანობა და სიყვარულიც ლამის შეიწირა ამ საშინელმა დრომ, როცა შუქიც გამოურთეს ხალხს, წყალიც დაუწყვიტეს, გაზიც შეუჩერეს და ქვეყანა იარაღით და იარაღიანი ლეგალური ყაჩაღებით გაავსეს. ეს იყო საშინელი დრო... როცა ქუჩები ცარიელი იყო და აღარავინ დადიოდა ერთმანეთის დაბადების დღეზე, და თუ წავიდოდა – ყველაზე კარგი საჩუქარი ერთი კილოგრამი პური იყო! მე ვიცი, მეორე მსოფლიო ომის დროს არ იყო საქართველოში ასეთი გაჭირვება (იმ დროის სტუდენტი იყო დედაჩემი). 90-იანი წლების აი ამ პერიოდში რაული კიევშია, თემურ მეტრეველი და თამაზ წივწივაძე, რომელიც გურამ ფანჯიკიძის გარდაცვალების შემდეგ მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს, – განუყრელი მეგობრებია. ისინი შემდგომაც განუყრელ მეგობრებად დარჩნენ. თამაზის ბასრ კალამს ყოველთვის ჰქონდა ავტორიტეტი პუბლიცისტთა და მწერალთა წრეებში, და ამჯერად მისი ავტორიტეტი უზომოდ გაიზარდა. მისი ნიჭი ცხადია დაფასდა ბოლოს და ბოლოს, ისედაც – თამაზი ხასიათითაც გამორჩეული იყო ყოველთვის – თბილი, კეთილი, გულისხმიერი მეგობარი, ყველას დამხმარე! თამაზიმ ისიც კი მოახერხა, რომ ულუკმაპუროდ დარჩენილ მწერლებს – პენსიის სახით რაღაც თანხას ყოველთვის ურიგებდა! არ დამავიწყდება – მე და ლიანა ვესტუმრეთ ერთხელ მწერალთა კავშირში და 100-100 § გვაჩუქა. ყველას, საერთოდ ყველას ეხმარებოდა ყოველთვის და თავის წარმოუდგენელ ენერგიას და დიდ ნიჭს ყოველთვის საერთო საქმეს ახმარდა. მწერლებს ფაქტიურად პატრონად მოევლინა იმ გაჭირვებულ წლებში! რეზო აიწურაძე თავის საქმეებში ჩაიკეტა მაგრამ მაინც ხშირად ახერხებდა მეგობრებთან ყოფნას. საყვედური მასზე არავის ეთქმის, რადგან ყოველთვის ეხმარებოდა, ვისაც დახმარება ან თანადგომა სჭირდებოდა! ჯემალი, ჩვენი ჯემალ გორდელაძე, რომელიც ყოველთვის მთელი ჯგუფის სული და გული იყო – ასევე დარჩა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც. გარკვეული წლები მშობლიურ ხონში მუშაობდა, მერე გადმოვიდა თბილისში საცხოვრებლად და ოჯახიც გადმოიყვანა, არაჩვეულებრივი შვილები ჰყავს, ღმერთმა გაუმრავლოს. მისი სახლი ყოველთვის თბილი და საყვარელი თავშეყრის ადგილი იყო და ახლაც არის მთელი ჯგუფისთვის. ხშირად დავფიქრებულვარ, ახლაც – ამდენი კეთილშობილება, სითბო, სიყვარული, ზნეობრივი სისუფთავე და მორალური სისპეტაკე, საოცრად დახვეწილი ძველ ქართული არისტოკრატიზმი – ის თანდაყოლილი თვისებებია, რომელიც ყოველთვის გამოარჩევდა ჯემალ გორდულაძეს ყველასგან! ყველას შემრიგებელი, ყველას პატივისმცემელი, ყველასთვის

იმედისმიმცემი, ყველას დამხმარე და მანუგეშებელი, ყველას დამფასებელი და შემწყალე – ასეთია იგი დღესაც... და როგორც იტყვიან, ყველა გზა რომში მიდისო, ასევე მიდის ყველა ჩვენგანის დამაკავშირებელი გზა და ხიდი ჯემალისკენ!... მთელი ჯგუფის გამაერთიანებელი და შემაკავშირებელი იყო ადრეც, ჩვენი თაობის ბედნიერ წლებში და ასეთივეა ახლაც, ამ გაუსაძლის, უსაშველოდ გაჭირვებულ და მძიმე პირობებში!!!

ჩვენი თაობა ნიჭისა და შემოქმედებითი ენერგიის მოკრების პერიოდში იყო სწორედ – ქვეყანა რომ თავზე ჩამოგვემხო! მაძღარი, სოციალურად და ეკონომიკურად ძლიერი, რადგან საქართველოში ფუნქციონირებდა გიგანტი ქარხნები და ფაბრიკები! განათლებული, აყვავებული! ყოველგვარი სიკეთით შემკული საქართველო ერთბაშად დაინგრა (1991 წლის 22 დეკემბრიდან), დაიწვა, დანახშირდა, დაიბომბა და ... დანაკუწდა! ეს მოგვიტანა ამბიციური ადამიანების გაუაზრებელმა ქმედებამ! ნებისმიერი ადამიანი როდესაც ნაბიჯს დგამს, უნდა დაიხედოს სად დგამს ამ ნაბიჯს სუფთა ადგილზე თუ ნეხვში? ყველა მოსალოდნელი ქმედება და არამარტო ქმედება, - არამედ შემხვედრი წინააღმდეგობებიც კი უნდა გაცნობიერდეს და გაანალიზდეს. ამ გაუაზრებლობამ და გაუცნობიერებლობამ მიგვიყვანა გუშინდელ და დღევანდელ უბედურებამდე! და ამ უბედურებას გაჭირვება ჰქვია, როცა არა გვაქვს საარსებო საშუალება და არა გვაქვს სამკურნალოდ საჭირო სახსრები... და რომ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს საკუთარ მოქალაქეს სამუშაო ადგილით, დაზღვევით, სოციალური დახმარებით, თუნდაც პენსიის საარსებო მინიმუმით!!! ეს ყველაფერი კი ცოტა არ არის და... ძალიან ბევრია! თითოეული ჩვენგანი განწირულია შიმშილისა და სიკვდილისათვის, დამცირებისათვის და ამ გაუსაძლის ყოფაში გვიჭირს იმ დროის გახსენება, როცა შოკოლადის ერთი ფილა სრულიად საკმარისი იყო ექიმთან მისასვლელად, შოკოლადიც პატივისცემის ნიშანი იყო, თუ არა, ვინ გთხოვდა ფულს? მაშინ ვერც კი ვფიქრობდით, თურმე რა ბედნიერები ვიყავით! თვეში ორჯერ ხელფასს რომ ვიღებდით რატომღაც გვეგონა, სულ ასე იქნებოდა... საშინელება ყოფილა კაპიტალიზმი, უმუშევრობა, უსახლკარობა... და ყველა ეს უბედურება ასცდა ჩვენი თაობის გაზაფხულს... მაგრამ მოგვისწრო გარდამავალ პერიოდში და ერთბაშად დაგვიწვა ფრთები... დაანაოჭა და დაასახიჩრა ჩვენი ქალები... სხვა ქვეყნებში სამუშაოდ გადაჰყარა ახალგაზრდა თაობა, შუა თაობაც და ... დააცარიელა თბილისი და ... საქართველო... და ეს საქართველოსთვის უკუღმართი და საშინელი წლები გრძელდება 1992-დან დღემდე, 2013 წლამდე! უკვე 20 წელზე მეტია გასული და ამ ქვეყანას არ ეტყობა ეკონომიური, სოციალური და დემოგრაფიული პროგრესი... რადგან ისევ არ არის სამუშაო ადგილები და ისევ მინიმალურია პენსიები! და ამ ოც წელიწადში მოკვდა ხელოვნება და ლიტერატურა!... რადგან ეკონომიკური ბაზის არ მქონე ქვეყანაში არასოდეს არ განვითარდება არც ხელოვნება და არც ლიტერატურა!...

საქართველო რომ ეკონომიკურად და სოციალურად ძლიერი არ ყოფილიყო არ და ვერ შეიქმნებოდა ის დიდებული ხელოვნება და ლიტერატურა, რასაც მე-20 საუკუნისას ვუწოდებთ! და ეს საუკუნე ჩვენი საუკუნე იყო ბატონებო! ჩვენი საუკუნე, როცა საქართველოში იწერებოდა მსოფლიო დონის ან კიდევ უფრო აღმატებული კლასიკური პროზისა და პოეზიის შედევრები: „მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „დავით აღმაშენებელი“... „გმირთა ვარამი“, „კრწანისის სევდა“, „სალაღობო“, „რუსთაველის ნაკვალევზე“, „ნინოწმინდის ღამე“ და „ყივჩაღის პაემანი“... – და ეს ყველაფერი არამარტო ძალიან ბევრია, წარმოუდგენელია, თანაც ისეთი პატარა, პაწაწინა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა! და ჩვენ გვყავდნენ პროზის დიდოსტატები, პოეზიის დიდოსტატები, ფერწერის, ქანდაკების და გრაფიკის დიდოსტატები, მუსიკის დიდოსტატები... და მათი გენიის მშობლიური ენა ქართულია, ბატონებო! ჩვენ შეგნებული გვქონდა ჩვენი გენის ზღვარდაუდებელი სიდიადე, დიახ, ზოგჯერ აფეთქება იცოდა თუბალ-კაენის ჯიშმა და ასეც მოხდა ბოლო ასწლეულშიც... ისევე, როგორც მე-12 საუკუნეში, როცა რუსთაველი მოგვივლინა უფალმა! მათთვის, იმ გენიალური ქართველებისთვის სხვა განზომილებაში იყო გაცნობიერებული წარსული, აწმყო და მომავალი! სხვა განწყობა სუფევდა. მათ შემეცნებაში სხვა დატვირთვა ჰქონდა მამულის, ენის, რწმენის შეგნებას, წინააღმდეგ შემთხვევაში არ დაიწერებოდა „გრიგოლ ხანთელის ცხოვრება“, არ დაიწერებოდა „ქებაი და დიდებაი“, „ვეფხისტყაოსანი“, „თამარიანი“, „ქვათა ღაღადი“, არ დაიწერებოდა „მთვარის მოტაცება“, არც „დიდოსტატი“ და „აღმაშენებელი“... და იცით?... ამ შეგრძნების და ამის შეგნებას, რასაც მამულის სიყვარული ჰქვია ჩვენი თაობა ოჯახში და უნივერსიტეტში სწავლობდა და ისისხლხორცებდა! ამ პროცესს ცხადად შეიგრძნობდით ბუმბერაზი პროფესორების დავით გამეზარდაშვილის, იოსებ ბოცვაძის, ანდრო ჭილაიას, ვანო ქავთარაძის, ნიკო ლეონიძისა და ნოდარ ტაბიძის ლექციებზე! განუმეორებელი საათები იყო, განუმეორებელი დღეები... და დიდებული 70-იანი წლები... გვყავდა ერთი არაჩვეულებრივი პროფესორი ბატონი ილია ნატროშვილი, შემდეგში ბატონი ილია ჩემი საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი გახდა, მაგრამ მე რადგან თელავში გადავედი (გათხოვების გამო) საცხოვრებლად, სამეცნიერო მუშაობაც მივატოვე. ბატონი ილია ნატროშვილი ბოლშევიკური პრესის ისტორიას გვიკითხავდა. თქვენ წარმოიდგინეთ, გარეგნულად თითქოს ცოტა უცნაური საგანი, რამდენად მისაღები და ახლობელი იყო ნებისმიერი ჩვენგანისათვის, რადგან... ბატონი ილია აცოცხლებდა გაჭირვებული, გაღატაკებული, უსახსრო და უმუშევარი, სოციალურად დაუცველი რევოლუციამდელი ქართველი ხალხის დუხჭირი ცხოვრების სურათებს და პრესის საშუალებით მოჰყავდა ცოცხალი მაგალითები, შედარებები. პარალელებს ავლებდა კაპიტალისტური ქვეყნების ცხოვრებისეულ რეალურ ფაქტებთან და აანალიზებდა მათ ურთიერთშეპირისპირებას. მაშინ ჩვენ კაპიტალისტური ქვეყნების ცხოვრების შესახებ დოკუმენტურ მასალებს უცხოური გაზეთებიდან ვიღებდით, დღეს კი ჩვენი ქართული თანამედროვე და რეალური ცხოვრების უმძიმესი სოციალური ყოფის

სურათები გვაქვს სახეზე! დიახ, საქართველოში გვაქვს დღეს ჩვენ სწორედ ის საშინელი კაპიტალიზმი, რაც ასე გვაძრწუნებდა წლების წინ... დიახ, ერთ მხარეზე დგანან ერთი მუჭა ახალი მთავრობის პერიოდში და მათ მიერვე გამდიდრებული უგულო მილიონერები და ... დანარჩენი – ხელოვნურად გაღატაკებული საქართველო... რადგან გაუყიდეს ძვირადღირებული გიგანტი ფაბრიკა-ქარხნები და ხალხს დაუნგრიეს ქვეყნის მომავლისთვის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ბაზა! ქართველი ხალხი დატოვეს უმუშევარი, დამცირებული, უსახსრო, შეციებული, ავადმყოფი, ლტოლვილი და მშიერი! ბატონი ილიას ლექციები – მისი წყნარი, მშვიდი და თან ძლიერი ხმა ახლაც ჩაგვესმის და თითქოს გვაფრთხილებდა... მაგრამ ... ყველაფერი მაინც თავდაყირა დადგა! უმართავმა სიტუაციებმა, რაც ზემოდან, გორბაჩოვის მთავრობიდან მოდიოდა, დაღუპეს საქართველო, და არამარტო საქართველო. მილიარდობით ღირებული ფაბრიკა-ქარხნების კაპიკებად გაყიდვით, ჯართად გაყიდვით... იმისათვის, რომ... შემდეგში ამის შემოქმედთ ეთქვათ, რომ – საქართველოს არაფერი არ გააჩნიაო! – დიახ, მწარედ დასცინეს ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ჩვენ რა შეგვეძლო? ნებისმიერს ტყვიით უხვრეტდნენ შუბლს თუ ხმას გაიღებდნენ! აი ასეთ დროს მოესწრო ჩვენი თაობა! და ამ გაუსაძლისმა დრომ სიცოცხლის ოცი წელი წაართვა ჩვენს თაობას... დათრგუნა, საკუთარი თავის პატივისცემის გრძნობაც დაუკარგა... და საერთოდ... დაკარგულ თაობად აქცია... დაკარგული თაობა კი ველარაფერს ქმნის... ჩვენი ნიჭიერი მეგობრები, რომლებიც სხვა, უკეთეს შემთხვევაში ფუნდამენტურ შრომებს შექმნიდნენ ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში, დღეს ხელჩაქნეულნი არიან და ალბათ გულში გაჩენის დღესაც იწყევლიან... ჩვენს ჯგუფში სწავლობდა როსტომ თიგიშვილი, წარმატებული და ნიჭიერი ყმაწვილი, საინტერესო და ავტორიტეტული სტატიების ავტორი და ამასთან ერთად ძალიან ნიჭიერი შვილის პატრონი! სახლიც კი გაყიდა, მის ვაჟს რომ უცხოეთში ესწავლა! იმ მშვენიერმა ყმაწვილმაც ისწავლა უცხოეთში და იქვე დარჩა რიგით მოქალაქედ, რადგან... კაპიტალისტურ სამყაროში დიდი ფულია იმისთვის საჭირო, რომ ... თუნდაც შენი დიდი ნიჭით ისევ ფული იშოვნო... და გზა გაიკვლიო მგლების ხროვაში! ქართველ ხალხს კი ნამდვილად არა აქვს (კარგი გაგებით) „ჩალიჩის“ ნიჭი! არც ქვეშ-ქვეშ ძრომა ეხერხება. იგი სრულიად ამაღლებულია და იმიტომაც დღევანდელ გაუსაძლის პირობებში ბევრი ნიჭიერი ადამიანი უკვალოდ ქრება... მისი ნიჭი ნამდვილად არავის აინტერესებს და გვახსენდება ბალზაკის გენიალური გამოთქმა „ფული მართავს ყოველივეს, საზოგადოებას და ცხოვრებასო“!!! ჩვენ კი... ჩვენი ცხოვრების გაზაფხულზე ეჭვი გვეპარებოდა ბალზაკისეულ სიბრძნეში, რადგან ... ისეთ სოციალისტურ სახელმწიფოში ვცხოვრობდით, სადაც მორალური და ზნეობრივი პრინციპები იყო მთავარი და არა ფული!!!

2000 წლის შემოდგომაზე თამაზიმ ბანკეტი გადაგვიხადა! მოგვცა საშუალება საზეიმო განწყობა გვქონოდა თუნდაც ორი დღით და ერთმანეთი გაგვეხსენებინა! გაგვეხსენებინა ჩვენი სტუდენტობის წლები, ჩვენი გაზაფხული... და ის, თამაზის ნაჩუქარი ორი დიდებული დღე მართლაც განუმეორებელ დღეებად დარჩნენ ჩვენს ცხოვრებაში... ავთო ქურდიანმა ვიდეო-აპარატურით გადაიღო და ... დიდებულ სამახსოვროდ აქცია ის დღეები... ჩვენი ავთო ქურდიანი... ულამაზესი და უნიჭიერესი ყმაწვილი... ან მან კი რას მიაღწია ცხოვრებაში?... მაშინ როცა ნიჭიც დიდი ჰქონდა და ენერგიაც! ჩვენი და ჩვენი თაობის იმედები და ოცნებები გაუსაძლისმა სოციალურმა გაჭირვებამ გაანადგურა და გააცამტვერა!

მე და ლიანა განუყრელ მეგობრებად შევრჩით ერთმანეთს, და მე ბედნიერი ვარ რომ ყოველთვის გვერდით მყავს იგი, უღალატო და ერთგული.

ამას წინათ სერგის სიდედრის დასაფლავებაზე ვიყავით სოფელ ახატანში. აქვეა ახატანი, თბილისთან ახლოს, საგურამოს შემდეგ სამ კილომეტრში. სერგის ქალიშვილმა და სიძემ, ცნობილმა ბიზნესმენმა ჯოზეფ კეიმ მშვენიერი სახლი, უფრო სწორად პატარა სასახლე ააშენეს ახატანში, ოჯახს ჰყავს დაცვა, ემსახურება ორი მძღოლი და სხვა პერსონალი, - და ეს ყველაფერი სოფიკოს დამსახურებაა, სერგის უმცროსი ქალიშვილის, რომელიც არამარტო ძალიან ლამაზი და გარეგნულად უნაკლო გოგონაა, ამასთან უჭკვიანესი და უნიჭიერესიც! და კიდევ მიზანსწრაფულიც! სხვაგვარად იგი, დღევანდელ პირობებში ვერაფერს შესძლებდა! სერგი მინაშვილი ერთადერთი პროფესორი გვყავდა ჯგუფში, იგი არამარტო ნიჭიერი, ძალიან შრომისმოყვარეცაა! ჩვენს ახლო მეგობრად დარჩა ბოლომდე! თემურის, ჯემალის, თამაზის და რეზოს განუყრელი მეგობარი იყო ყოველთვის... ახლაც ხშირად იხსენებს ჯემალი მათ თავგადასავლებს, ხუმრობებს...

2010 წლის 30 ოქტომბერს ოთარ იაშაღაშვილის სახლში შევიკრიბეთ, ტაბახმელაში!!!

უცნაურად და უღიმღამოდ გავიდა წლები... ასე იმიტომ ვამბობ, რომ აუტანელ პირობებში ცხოვრობს ჩვენი ხალხი, ფასი დაკარგა მორალმა და ზნეობამ. აღარავის სჭირდება ნამდვილი ქართული ჟურნალისტიკა! დღეს ყოველ შემხვედრს, უწიგნურსა და სულგაყიდულს შეუძლია ჟურნალისტად გაასაღოს თავი და თავისი ჩიქორთული ქართულით ჭკუა დაგვარიგოს ღია ეთერიდან! დიახ! აუტანელი პირობები საარსებო მინიმუმის არქონას ნიშნავს! სოფლები ისევ დაცარიელდა, მამალი აღარ ყივის და ძაღლი აღარ ყეფს! ამაზე მეტი უბედურება რაღა უნდა იყოს? რას ველით ხვალინდელი დღისგან? უფლის მადლს... რომ... გადაშენებისგან იხსნას ჩვენი მამული... თორემ... მხოლოდ სადღეგრძელოები აღარ უშველით გულგაძუნწებულ ქართველ მილიონერებს... გაცრეცილი ხელთათმანებივით შემოადნებათ ხელზე თავიანთი ხალხი და თავიანთი ქვეყანა! და დარჩებიან მარტონი ნაჩუქარ მილიონებთან და მგლებადქცეულ სამყაროსთან ერთად. მარტო კაცი კი... რომ იტყვიან... ჭამაშიაც ცოდვაო. და კიდევ იმის თქმა მინდა, რომ არაჩვეულებრივია ქართული ტრადიციული სუფრა... ყველა სადღეგრძელოს თავისი დრო და ადგილი აქვს... მაგრამ მათ, ქართველმა მილიონერებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ სადღეგრძელოს თქმა შედარებით ადვილია, მოსმენა კი ძნელი... ღირსეული და მართალი უნდა იყოს სადღეგრძელო, რომ მოგისმინონ...

ღირსეული და მართალი საქმეები უნდა ჰქონდეთ გაკეთებული თავისი ქვეყნისა და ხალხის მიმართ, სადღეგრძელოდ თქმის ღირსი! ქართველი ხალხი მოთმინებით ელოდება მათგან ქველმოქმედებას! სულ ცოტა, როგორმე ერთი უფასო პოლიკლინიკა და ასევე უფასო საავადმყოფოები მაინც გაუხსნან ხალხს თბილისსა და რეგიონების რამდენიმე დიდ ქალაქში! დიახ! უფასო საავადმყოფო საოცნებო გაუხდა ჩვენს გაჭირვებულ და გაუბედურებულ ხალხს!

მე არ ვარ ლიანა ფხალაძესავით ენამახვილი, არც ხუმრობანარევი თხრობა შემიძლია. კახელივით ვიტყვი პირდაპირ სათქმელს და გული მტკივა, რომ მამულიშვილური სისხლი გაუშრა დღეს ბევრ ქართველს, სწორედ იმ ქართველებს, ვისაც თავისი ხალხის დახმარება და მისი ფიზიკური გადარჩენის ეკონომიკური საშუალება აქვს! ვუსურვებდი მათ ღვთის გზაზე სიარულს! დასამშვიდებლად და ამქვეყნიური პრობლემებისგან თავის დასაღწევად კი ჩემს მეგობრებს ვურჩევდი ხშირად მოესმინოთ ჩვენივე მეგობრის და ჯგუფელის შალვა ოსეფაშვილის საგალობლებისთვის სვეტიცხოვლის წმინდა ტაძარში. მისი საოცარი ხმა და ქართული გალობის ღვთაებრივი ჟღერადობა ნებისმიერ ჩვენგანს არამარტო ქველმოქმედს გახდის, ღვთის გზაზე შეუმცდარად სიარულს ასწავლის. შალვას ბოლო დრომდე უყვარდა ცირა! ეს გაუაზრებელი, ბავშვური სიყვარული საოცარია და ... აქამდე მოჰყვა! ის პირველი გატაცება, ოცნებები და ზმანებები წლების გასვლის შემდეგ საოცრად მწარე რეალობად ჩაეწნა და ჩაეხლართა მის სპეტაკ სულს... და სიმღერად, მშვენიერ ქართულ სიმღერად იქცა!

ჯემალს, თამაზის, რეზოს, სერგის, ლიანას და მე უღალატო სიყვარულით გვიყვარს ერთმანეთი... რაული ისევ კიევშია და ... ძალიან გვენატრება! თემურის სულის ცხონებაზე ვლოცულობთ და... ასე გადის ეს მძიმე და არაფრისმთქმელი დღეები! ბედნიერი ვარ, რომ ყოველთვის ჩემს გვერდით დგანან ჩემი მეგობრები...

სად არის როიალი, რომელზეც უკვდავი ოპერა "დაისი" დაიწერა?

არ მეგულება ღირსეული ქართველი, რომელსაც თუნდაც სიტყვიერი აღმაფრენით პატივი არ მიუგია ფალიაშვილის გენიისთვის...იგი ისეთივე თაყვანსაცემია ჩვენი ერისთვის, როგორც რუსთაველი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, ყაზბეგი, გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია, ფიროსმანი თუ გუდიაშვილი... და რა მოხდა ამ უკანასკნელ 20 წელიწადში, ასე როგორ დავღარიბდით გონებრივად, რომ ვერ ვუფრთხილდებით ეროვნულ საუნჯეს? მე ვეკითხები ჩემს ხალხს, ან კიდევ ხალხის იმ ნაწილს, ვინც ფაქტიურად პოლიტიკურად მართავდა ჩვენს ქვეყანას უკანასკნელი 23 წლის მანძილზე!.. ამას წინათ კონსერვატორიის უაღრესად ავტორიტეტული პროფესორის ბ-ნი გულბაათ ტორაძის წერილი წავიკითხე ერთ-ერთ გაზეთში სიღნაღში სარაჯიშვილის სახლ-მუზეუმის გაყიდვის შესახებ. წერილი და სტატია კი არ იყო ბატონებო, ცრემლითა და ტკივილით სავსე კვნესა იყო ეროვნული ღირებულებების დაუფასებლობის და განადგურებით გამოწვეული. ხალხო რა ხდება? შუბლის ძარღვი გაგიწყდათ თუ საერთოდ დაგავიწყდათ ვინ ხართ, საიდან მოდიხართ და ვისი სისხლი გიდგათ ძარღვებში? დღეს ფალიაშვილი და სარაჯიშვილი! ხვალ ვისი ჯერი დადგება? ვანო სარაჯიშვილის მუზეუმს კომუნისტების დროს თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ და აკი ჩვენ უკეთესები ვართო? უფრო ეროვნულებიო? ასეთი ფაქტების შემდეგ როგორ დავიჯეროთ!? ფალიაშვილისგან ჰიმნის მუსიკა და ლამის ტექსტიც რომ აიღო და ისესხა ჩვენმა ძველმა ხელისუფლებამ, ე.ი. იცოდნენ ვინ იყო ფალიაშვილი? ე.ი. იცოდნენ რა საუნჯის მფლობელებიც ვიყავით, ამიტომაც ვეკითხები მათ, სად არის როიალი, რომელზეც უკვდავი "სულო ბოროტო", "თავო ჩემო" და მალხაზის ისეთი გასაოცარი არია დაიწერა, რომ იტალიური ოპერის კლასიკოსები განცვიფრებას, აღფრთოვანებას და ემოციებს ვერ მალავდნენ!!! და სწორედ ამიტომ ჩვენ, ჟურნალისტებს, და არამარტო ჩვენ, ქართველ ხალხს აინტერესებს სად არის როიალი რომელზეც უკვდავი "დაისის" უკვდავი მუსიკა დაიწერა!!! და რომელიც ზაქარია ფალიაშვილმა თავის ერთადერთ და განუმეორებელ სიყვარულს ნადეჟდა აბაშიძეს მიუძღვნა, იმ სიყვარულს, რომელმაც დიდი ქართველი კომპოზიტორი, მამის სულიერი და ფიზიკური მემკვიდრე ოთარ გორდელი - ფალიაშვილი მოავლინა ამქვეყნად!!!

გაუსაძლისი და ენითუთქმელი ჭირი და უბედურება გადაიტანა ქართველმა ხალხმა და ქართულმა ქვეყანამ უკანასკნელ 23 წელიწადში. იმდენად დიდი უბედურება და დიდი ბოროტება ტრიალებდა ქვეყანაში, რომ უნდა გასამართლდეს თითოეული პირი, ვინც ამ უბედურების და ბოროტების შემოქმედია! ვინც მხოლოდ გვარს ატარებს ქართულს და სულით და გონებით სატანის ნაშიერია, ვინც დათრგუნა, დაბეჩავა, გააღატაკა და ჯვარს აცვა ჩვენი ხალხი, ქართული ინტელიგენცია გაუაზრებლად და დაუმსახურებლად დაამცირა, დათრგუნა და სიკვდილიც ანატრებინა... ერთ - ერთი ასეთი ოჯახი კი აღმოჩნდა სწორედ დიდი ზაქარია ფალიაშვილის ოჯახი, მისი ერთადერთი შვილის და მემკვიდრის ოთარ გორდელის ოჯახი, იმ ოთარ გორდელის, რომლის დიდებულ ნაწარმოებებსაც მუდმივად ასრულებენ მსოფლიოს უდიდესი მუსიკოსები და ორკესტრები! მე მინდა ჩემი გულისტკივილი გავანდო ჩემს მკითხველს... კომპოზიტორ ოთარ გორდელს გარდაცვალების შემდეგ დარჩა მეუღლე, ცნობილი პიანისტი ლალი მიქავა, (ასევე ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე მიქავას ქალიშვილი) და შვილი ვახტანგ გორდელი. ოთარ გორდელის ანდერძის თანახმად საოჯახო ქონება, რომელშიც შედიოდა ისტორიული როიალი-დარჩა მისი მეუღლის, ლალი მიქავას მფლობელობაში! ლალი მიქავას კი -სახლიც წაართვეს, პირადი და მუზეუმის კუთვნილი ნივთები, ბიბლიოთეკა და რაც მთავარია ეროვნული ღირებულებების მქონე ნივთი – როიალი! ჩვენი თაობის ჟურნალისტებისთვის საინტერესო და აუცილებელია იმის ცოდნა, ვინ და რატომ გამოუტანა ასეთი დამამცირებელი განაჩენი არა მარტო ლალი მიქავას, არამედ თვითონ ზაქარია ფალიაშვილს, მის შვილს ოთარ გორდელს და... ყველას, ვისაც ქართველი ჰქვია, ქვეყანას, რომელსაც საქართველო ჰქვია!!! ჩვენ "თავისუფალი ჟურნალისტები", ვისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიული ეთიკისა და მორალის სიწმინდე ვთხოვთ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბ-ნ ირაკლი ღარიბაშვილს და ახალი,ეროვნული მთავრობის წევრებს, რომელთაც ევალებათ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა-აღუდგინონ დიდი ზაქარიასა და ოთარ გორდელის ოჯახს შელახული ღირსება და ქ-ნ ლალი მიქავას და ჩვენ ყველას, ქართველ ხალხს და ქართულ ქვეყანას დაგვიბრუნდეს ოთარ გორდელის მუზეუმი, სახლი, პირადი ნივთები და როიალი, რომელზეც დაიწერა უკვდავი ოპერა "დაისი"!

"თავისუფალი ჟურნალისტები"

უზნეობა და სოდომის ცოდვის დაკანონება რომ დემოკრატია არ არის ეს ყველამ უნდა იცოდეს!

17 მაისი ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეა და... რა მოხდა თბილისში 2013 წლის 17 მაისს? ბატონებო, ეს კითხვა ძალიან რთულია ნებისმიერი ქართველისთვის! ოღონდაც გავითვალისწინოთ რომ მე ამ შემთხვევაში ეროვნებით ქართველს ვგულისხმობ, რადგან „ლ.გ.ბ.ტ-ს პარადი“ არ იქნებოდა სექსუალური უმცირესობის უბრალო „გასეირნება“ რუსთაველზე, არა, ეს შეურაცხყოფა იყო მთელი ერის! ამ საკითხს სხვაგვარი თვალით უყურებს ყოფილი ხელისუფლების გუნდის წევრები და „ოცნების“ ზოგიერთი წარმომადგენელიც. უბრალოდ მიკვირს, რატომ? ნუთუ ისინი არ გაიზარდნენ ჩვენს ქვეყანაში? არ გაიზარდნენ ქართულ ოჯახებში? და ბოლოს, ნუთუ მათ ძარღვებში არ დის იგივე, გენეტიკურად ქართული სისხლი, როგორსაც ჩვენ ვატარებთ? რატომ არის ქართულ საზოგადოებაში გაჩენილი უბედურების მომტანი წყალგამყოფი? რა ინტერესები აქვს ერთ ან მეორე მხარეს?- ეს კითხვები დღეს მთელ საქართველოს აწუხებს! დავიწყოთ თავიდან: გასარკვევია ან იქნებ გარკვეულიცაა ვის ინტერესებში იყო 17 მაისის ინციდენტი-დაპირისპირება „ლ.გ.ბ.ტ-ს“ წევრთა და ქართულ საზოგადოებას შორის? „ლ.გ.ბ.ტ-ს“ არც ერთი წევრი არ დაშავებულა!!! და რატომ გაისმა მუქარა ჰომოსექსუალთა დამცველთა მხრიდან? ვის ემუქრებიან ისინი-ქართველ ხალხს? სრულიად საქართველოს? და მართლმადიდებელ ეკლესიას? ვინ არიან ისინი გენეტიკურად ქართველები თუ... მანქურთები? რას ნიშნავს ქალბატონ ჩორგოლეიშვილის განცხადება, რომ „მოკლესახელოებიან პერანგებში ჩაცმული პოლიციელები წესრიგს ვერ უზრუნველყოფდნენ“...ო? და კიდევ :„მოშლილი სახელმწიფო და აგრესიული ბრბო... აგრესიულმა მასამ დაიმორჩილა სახელმწიფო...”-ე.ი. მათი აზრით დღეს მოშლილია სახელმწიფო სტრუქტურები და ქართველი ხალხი აგრესიული ბრბოა??? რა გამოდის? ქართველი ხალხი მომწამვლელი გაზით უნდა მოეწამლათ და დუბინკებით დაემტვრიათ?- ეს სურდა ქალბატონ ჩორგოლეიშვილს? ნუთუ არ იცოდა ამ ქალბატონმა, რომ იქ, რუსთაველის პროსპექტზე ქართველი ღრმად მორწმუნე მართლმადიდებლები იდგნენ და ასევე სახლებიდან წამოღებულ სკამებზე ისხდნენ... და ისინი იყვნენ ძირითადად ასაკოვანნი! ჩვენი დედები და მამები,ძმები, დები, შვილები და ბებია ბაბუებიც კი... და თუნდაც არ ყოფილიყვნენ ასაკოვანნი, ჩვენი შვილები უნდა დაემტვრიათ, დაესახიჩრებინა და მოეწამლა პოლიციას? - ცხადია ეს ფაქტი „ვერ გაითვალისწინა აღელვებულმა“ ქალბატონმა ჩორგოლეიშვილმა და კიდევ ბევრმა სხვამ, ბატონებო! და ეს ძალიან ცუდია, ძალიან ცუდი! ბატონმა მალხაზ სონღულაშვილმა (რომელიც, როგორც მე ვიცი ქართველობს!), ქართველები ნეანდერტალელებს შეადარა! ძალიან შეცდა ბატონი მალხაზი, რადგან... მას უბრალოდ ევალება, ისე როგორც ნებისმიერ ეროვნებით ქართველს, რათქმაუნდა თუ ის ნამდვილად ქართველია, იცოდეს თავისი ეროვნების წარმომავლობა და ისტორია, მაგრამ თუ მაინც არ იცის და არც უნდა რომ იცოდეს, ცხადია ეს ეჭვს იწვევს, მაგრამ... არც ამით დაშავდება რაიმე! რას ვიზამთ, ყველას ვერ მოვთხოვთ იყოს დიმიტრი ყიფიანი ან ილია... ბოკერიას ჯგუფს ეშინია საქართველოში არ ჩამოყალიბდეს „მძლავრი რელიგიური ექსტრემიზმი მართლმადიდებლობის სახით!“ ე.ი მართლმადიდებლობა რელიგიური ექსტრემიზმია? დიახ ბატონებო! პირველად იაროსლავ კაჩინსკიმ უწოდა მართლმადიდებლობას – რელიგიური ძალადობრივი ექსტრემიზმი და განაცხადა, რომ: “საშიშია მართლმადიდებლური ფუნდამენტალიზმი, როგორც რელიგიური ძალადობრივი ექსტრემიზმი”. ეს ის კაჩინსკია, რომელიც მთელი თავისი მოღვაწეობით დაკავშირებული იყო კორუფციასთან და სკანდალთან, ეს ის კაჩინსკია, რომელიც ლამის გმირად შერაცხა ამერიკელმა პოლიტიკოსებმა, ეს ის კაჩინსკია, რომელიც არამარტო გმირად, წმინდანად და ქართველ ხალხზე შეყვარებულ რაინდად წარმოუდგინა საქართველოს და ქართველ ხალხს ნაციონალების ხელისუფლებამ და სწორედ მან, კაჩინსკიმ მონათლა პირველად მართლმადიდებლობა რელიგიურ ექსტრემიზმად! შეურაცხყო ჩვენი რწმენა და 2000 წლოვანი ეკლესია!!! ...რა უნდოდა კაჩინსკის ჩვენთან? რატომ ებრძოდა ჩვენს რწმენას და ჩვენს ხალხს? მისი დასაყრდენი კი ნაციონალების ხელისუფლების წარმომადგენლები და მათი იდეების უპირობოთ გამტარებლები იყვნენ საქართველოში! რაც კარგად სჩანს გიგა ბოკერიას ზემოთ მოყვანილ სიტყვებში! აი ეს, კი უკვე მეტისმეტია ბატონებო! ამ შემთხვევაში იძულებულნი ვართ აკაკის გამზრდელი გავიხსენოთ და მივხვდებით, რომ მის სიტყვებზე პასუხი მხოლოდ ქალბატონ ნანა ალექსანდრიას ექნება-როგორ, რა ფსიქოლოგიით აღზარდა მან თავისი ერთადერთი შვილი? ნუ დავაბრალებთ ყველაფერს დროს, პოლიტიკას და იდეებს! არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენი ისტორია, ჩვენი წარსული, დიახ!... ჩვენმა ერმა შვა და აღზარდა ურთიერთ საპირისპირო შეხედულებების ადამიანები, მაგრამ სწორედ დრომ და ისტორიამ დაგვანახა ვინ იყო მათ შორის ეროვნული, მამულისთვის თავდადებული, სამშობლოს. ხალხისა და რწმენის მოყვარე და ვინ იყო მამულის მტერი, ე.ი. უბრალოდ მოღალატე! საკმარისია დავასახელოთ ილია ჭავჭავაძე და მისი მკვლელები-ფილიპე მახარაძე, ნოე რამიშვილი და მათი ჯგუფი! კათალიკოსი კირიონ მეორე და მისი მკვლელები-ნოე ჟორდანია და მისი ჯგუფი! კოტე აფხაზი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, სიმონიკა ბაგრატიონმუხრანელი,მათი ძმათ შეფიცულები და ... მათი მკვლელები- მახარაძე, ორახელაშვილები და მოგილევსკი! და ბოლოს მინდა გავახსენო ჩემს ხალხს მახარაძე-ორახელაშვილ- ხრუშჩოველების მიერ წარმოებული დაუსრულებელი ომი ქართველ ხალხთან, სტალინთან და ბერიასთან! ალბათ ბევრი გაითავისებს სიმართლეს, ბევრსაც გააღიზიანებს ეს სიტყვები, მაგრამ ფაქტებს ვერავინ ვერსად გაექცევა, ბატონებო! ისტორია ზუსტად აღნუსხავს სიმართლეს! როგორ არ ეცადა ხრუშჩოვი და ხრუშჩოველები ყველაფრის შეცვლას, მაგრამ... სწორედ დროისა და ისტორიის კეთილშობილურმა მისიამ დაგვანახა მახარაძე-ორახელაშვილებისა და ხრუშჩოვის ღვარძლიანი, შურისმაძიებელი პოლიტიკის მთელი სიბინძურე გინდაც ილიასთან და გინდაც სტალინთან მიმართებაში! ქართველ ხალხს, მე იმ ხალხს ვგულისხმობ თუ მეტი არა, იმ 100 000 ქართველს, ვინც ფილარმონიიდან მოყოლებული მთელ რუსთაველზე და ლესელიძის ქუჩაზე, ლეონიძის ქუჩაზე, კოლმეურნეთა

მოედანზე და ორთაჭალაშიც კი იდგნენ და კიდევ იმათაც ვინც სახლიდან გამოსვლა ვერ მოახერხა გადაუდებელი მიზეზების ან ავადმყოფობის გამო და იმათაც, ვინც არ ცხოვრობს თბილისში და ცხოვრობს საქართველოს სოფლებსა თუ ქალაქებში და იმათაც, ვინც ნაციონალების პოლიტიკის წყალობით ლუკმა-პურის საშოვნელად გადახვეწილნი არიან საზღვარგარეთ, მაგრამ... გულით და სულით კი აქ არიან თავიანთ მამულში, დიახ... მე მათ, ყველა ღირსეულ ქართველს ვგულისხმობ, ბატონებო, რადგან მათ უამრავი კითხვა აქვთ სააკაშვილთან, ბოკერიასთან, უგულავასთან, ჩორგოლეიშვილთან, თინა ხიდაშელთან, დავით ზურაბიშვილთან, სონღულაშვილთან, ია ანთაძესთან, ნინია კაკაბაძესთან, ზვიად ჯაფარიძესთან და მათი ჯგუფის სხვა წევრებთან, რომ: როგორია თქვენი დემოკრატია, ბატონებო? – მამათმავლობის, ლესბოსელობის, ჰომოსექსუალიზმის სახელმწიფო კანონით უზრუნველყოფა? – არა, ბატონებო! უზნეობა და სოდომის ცოდვის დაკანონება რომ დემოკრატია არ არის ეს ყველამ უნდა იცოდეს ჩვენთანაც და საზღვარგარეთაც!!! დიახ, ყველამ... ვისაც წიგნის კითხვა შეუძლია და ვინც ცოტათი მაინც აზროვნებს! დიახ, ბატონებო! ეს სიმართლეა, ოღონდაც არა თქვენებური! არა, ბატონებო! ამ შემთხვევაში ქართველი ხალხი უარს იტყვის არა მარტო თქვენებურ დემოკრატიაზე, თქვენებურ ნატოზე და თქვენებურ ურთიერთობებზე, თუნდაც იმ ნიდერლანდებში, რომლის ხელისუფლებამაც ქართველი ელჩი დაიბარა ყურის ასაწევად! და ეს ფაქტიც იმ დღეებში გაჟღერდა მასმედიის საშუალებით. ბატონებო, მთელი სამყარო რომ სოდომიზმის ცოდვაში ჩაიძიროს ჩვენი ხალხი და ჩვენი ქვეყანა, რომელმაც 2 ათასი წელი ქრისტეს მართლმადიდებელი ჯვრით ტანჯვით გამოიარა – რატომ უნდა ჩაჰყვეს მათ ჯოჯოხეთის ცეცხლში? ქალბატონი ბრიჯიტ ბრინკი ითხოვს ყველას დასჯას! ვინ არის ეს „ყველა?“ ვის დასჯას ითხოვს ამერიკელი ქალბატონი? ქართველი ხალხისას და ქართული ეკლესიისას? ძალიან ცდებით, ქალბატონო, ძალიან ცდებით. ხალხს და ეკლესიას არაფერი დაუშავებია. ისინი თავიანთ ზნეობას იცავდნენ, ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ და ტრადიციულ ზნეობას! ზნეობის და რჯულის კანონის დაცვა ყველას საქმეა, არათუ მხოლოდ ქართველის, და თუ იმ აქციაზე სკამებიც ჰქონდათ, ნუთუ ვერავინ მიხვდა, რატომ? იმიტომ, რომ იქ ჩვენი დედები, მამები და ბებია-ბაბუები, ზოგჯერ კი ახალგაზრდებიც ისხდნენ ზედ! აბა სკამი რა საბრძოლო იარაღია, ერთი-ვაი-ვიში რომ ატეხეს ზოგიერთებმა? და თუ ხელში ეჭირა ვინმეს, აბა რას იზამდა, თავის სკამს რუსთაველზე ხომ არ დატოვებდა? არა, ბატონებო, ასეთი უგუნური აზრები განათლებულ ადამიანს კი არა, გაუნათლებელსაც არ ეკადრება და არ ეპატიება!

ასევე ძალიან ცდებიან თავისუფლების ინსტიტუტის არა მარტო დღევანდელი წარმომადგენლები, არამედ ამ ინსტიტუტის დაარსების დღიდან (ამ ბედნიერებასაც ჟვანია-სააკაშვილს უნდა ვუმადლოდეთ!!!) „მისი დაფრთიანებული“ დღევანდელი „ადამიანის უფლებათა დამცველები“ და ასევე დღევანდელი თუ გუშინდელი პოლიტიკოსები! „არამომგებიანი ხერხია“ სრულიად საქართველოს წინააღმდეგ წასვლა!.. არ გირჩევთ, ბატონებო! არ გირჩევთ! ცუდია, რომ დრომ და ისტორიამ ჭკუა ვერ გასწავლათ, რადგან... რომ ბატონი ბიძინა არ მოსულიყო პოლიტიკაში და თავის ფრთებქვეშ არ შეეყვანეთ, თქვენი რეიტინგი ყოველთვის ნულის ტოლი იყო და ასევე დარჩებოდა! რადგან რომენ როლანის თქმისა არ იყოს თქვენ დინების საწინააღმდეგოდ ცურავთ, ბატონებო!!! ქართველ ხალხს ებრძვით, მათ ზნეობასა და მორალს, ტრადიციებს და რწმენას ებრძვით!!! ხალხთან დაპირისპირებას, ზნეობაზე, მორალზე და რაც მთავარია, რწმენაზე უარის თქმას არავის ვურჩევ, ასევე არავის ვურჩევ ცოდვის მხარდაჭერით შებღალოს მისი საკუთარი და მისი შვილების ღირსება და მომავალი! აბა გაიხსენეთ რა თქვა ვაჟამ? „ბილწს არ შევეკვრი ზავითაო“... ეს ჩვენი კეთილი რჩევაა, მაგრამ ძალას ვერავის დავატანთ ისევე, როგორც მართლმადიდებელი სწავლება იცავს თავის ძირითად პრინციპებს და მას თავზე ძალით არავის ახვევს, თუნდაც იმ ათ მცნებას, ყველამ რომ ნამდვილად კარგად უნდა იცოდეს! მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხალხს, ერს, მრევლს მიატოვებს დედა ეკლესია... რადგან... გაიხსენეთ მამა გიორგი მთაწმინდელი, ჩვენი დიდი და მთელი მართლმადიდებელი სამყაროსთვის უდიდესი წმინდანი, რომელიც გვასწავლის, რომ უფლისთვის უპირველესი ეკლესია – ეს თვითონ ხალხია, ქრისტეს მოყვარე და ერთგული მრევლი! დიახ, ბატონებო! ქართველი ხალხი ამჯერად უკვე კარგად მიხვდა და დარწმუნდა, რომ თქვენ და თქვენს თანამოაზრეთა ჯგუფს ხალხისა და ეკლესიის გაყოფა გინდათ, როგორც ბრძანა კიდევაც თავის რეპლიკებში ტელევიზიით ბატონმა ბოკერიამ! იქნებ ამიტომაც გაითიშა საპატრიარქოს არხი? საპატრიარქოს სტუდიიდან დეციმეტრული სიხშირის საშუალებით გადაცემები აღარ მიეწოდება თბილისის ღარიბ მოსახლეობას, ვისაც არ შეუძლია არხებს ფული გადაუხადოს! რატომ? ნუთუ ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება და ბატონი ბიძინა ივანიშვილი თავის ხალხს და თავის რწმენას უღალატებს? იგი ხომ იმისთვის შეიყვარა ქართველმა ხალხმა, რომ ხალხზე ზრუნვა აქვს გადაწყვეტილი? იგი ხომ იმისთვის შევიყვარეთ, რომ სამება აგვიშენა და ბევრი სხვა ეკლესია დანგრევას გადაარჩინა? ჩვენმა ხალხმა მასში კეთილშობილი პატრონი, ღირსეული წინამძღოლი დაინახა და ასეცაა! დიახ, ბატონებო! აქედან გამომდინარე ჩნდება აზრი, რომ... მერიამ და ქართველი ხალხის მოძულეებმა იმიტომ დაგეგმეს 17 მაისის ჰომოსექსუალთა პარადი რუსთაველზე, რომ ხელისუფლება და ხალხი ეკლესიასთან ერთად დაეპირისპირებინათ ერთმანეთისთვის? აქედან გამომდინარე ისმის კითხვა: რა შეფასება შეიძლება მიეცეს 17 მაისის მოვლენებს? დიახ, ბატონებო! იგი, ე.ი. ლ.გ.ბ.ტ-ს პარადი სპეციალურად დადგმული კლასიკური ავანტიურა იყო ახალი ხელისუფლებისა და ხალხის გასათიშად! იმ ხალხის, რომელმაც 30 სექტემბერს ლოცვაში გაათენა ღამე, რომ 1 ოქტომბერს „ქართულ ოცნებას“ მიეღო ხმების უმრავლესობა და მისი სახით „ეროვნული მთავრობა“ მოსულიყო ხელისუფლებაში“! მოსულიყო და თავისი განაწამები ხალხისთვის შვება მოეტანა! სწორედ ამ ხალხის კეთილგანწყობა აწუხებს ძველ ხელისუფლებას ბატონ ბიძინა ივანიშვილის მიმართ, დიახ, ამ ხალხის სიყვარული და დამოკიდებულება! აქედან გამომდინარე 1 ოქტომბრიდან მოყოლებული ათასგვარ ხერხს იყენებენ ხალხის და მთავრობის დასაპირისპირებლად! ამჯერად კი ნაციონალებს მეტისმეტი მოუვიდათ! მათ ეკლესიაც არ დაინდეს, არ დაინდეს ერის სულიერი მამა-პატრიარქი და მეუფე იაკობი, რომელიც თავის ხალხთან იდგა 17 მაისს, ისევე, როგორც ამბროსი ხელაია იდგა

ბოლომდე თავის ხალხთან და ამ „დგომისთვის“ მახარაძე-ორახელაშვილებმა მოგილევსკის ხელით პატიმრობა მიუსაჯეს! რა ხდება? ნუთუ მახარაძე-ორახელაშვილი-მოგილევსკი დაბრუნდა საქართველოს ხელისუფლებაში სააკაშვილი-ბოკერია-უგულავას სახით? ისევ იგივე სცენარი! – ეკლესიის და ეკლესიის წარმომადგენლების დაშინება, დათრგუნვა, დაპატიმრება!!! მათთვის მასონური საქმიანობის ძალდატანებით თავსმოხვევა! ჩემს ოპონენტებს შევახსენებ, რომ ორთოდოქსულ ქვეყანაში არ შეიძლება სინოდის სხდომებს საერო პირი, თანაც ქალაქის მერი ესწრებოდეს! როგორც ეს ჩვენთან მოხდა უგულავას შემთხვევაში! და ამის შემდეგ პარლამენტის კანონმდებლობით მართლმადიდებლურ ქართულ ეკლესიას თავის საკუთარ ქვეყანაში უფლებრივად გაუთანაბრეს მასონური ორგანიზაციები... ერესმა ლამის წალეკა საქართველო! დიახ, ბატონებო! სცენარი იგივეა, უბრალოდ... დრო შეიცვალა მხოლოდ... ამ შემთხვევაში ეკლესიასტეს დავესესხები და ვიტყვი, რომ ყველაფერი მეორდება... ახლა ისღა დარჩენია ნაციონალებს მართლმადიდებლობის ურყევი მცველები – ქართული ეკლესიის ეპისკოპოსები და მღვდლები მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავასავით თითქმის შიშვლები დააკრან ურმებზე და წამებაში ამოხადონ სული!.. 17 მაისს მათ სამიზნედ მეუფე იაკობი გაიხადეს. მან კი, ამ დიდებულმა და ჭეშმარიტმა მოძღვარმა არა მარტო არ უღალატა ხალხს და თავისი სიტყვა უკან არ წაიღო, პირიქით... ხალხთან ერთად იდგა რუსთაველზე და შემდეგ სამებაში სამადლობელო ლოცვა აღავლინა!.. ჩვენს ხალხს კარგად ახსოვს ქვეყნისთვის და ხალხისთვის თავდადებული საეკლესიო მოღვაწენი... თუნდაც კირიონ I, იგივე სკუტრელი გავიხსენოთ, რომელიც არ შეშინებია სომეხთა და სპარსელთა რისხვას და მართლმადიდებლობის სიწმინდე დაიცვა! დაიცვა ისე, რომ მისი ლოცვა-კურთხევა დღესაც, 1500 წლის შემდეგაც მოჰყვება ქართველ ხალხს! ან კიდევ კათოლიკოს-პატრიარქი ევდემონ დიასამიძე! ხმამაღლა ამხელდა როსტომ ხანის ბინძურ საქციელს, რომელიც მფარველობდა სომხურ ეკლესიას და სომხებს... და დევნიდა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას! მეუფე ევდემონი ქადაგებებით მოუწოდებდა ქართველ ხალხს როსტომ ხანის დამანგრეველი ანტიქართული და ანტიმართლმადიდებლური პოლიტიკის წინააღმდეგ... ამიტომ მოაკვლევინა როსტომ ხანმა იგი და შემდეგ მკვდარი გადმოაგდებინა ციხის თავიდან!... რადგან შეეშინდა ქართველი ხალხის... მაგრამ... ჭეშმარიტება თავის გზას ყოველთვის პოულობს! და... საქართველოს ისტორიაში როსტომი შევიდა როგორც პატრიარქის მკვლელი! საკუთარი სამშობლოს და საკუთარი ხალხის მოღალატე და ჯალათი! თითქმის იგივე, ან კიდევ უარესი საქციელი ჩაიდინა ნოე ჟორდანიამ და რამიშვილმა... მათი უშუალო ბრძანებით გაძარცვეს გელათის მონასტრის ქრისტიანულ სამყაროში უდიდესი და უმდიდრესი განძთსაცავი... არც სხვა მონასტრები დაინდეს... და როცა ხმა ამოიღო ერის სულიერმა მამამ, პატრიარქმა კირიონ II-მ... მარტყოფის რეზიდენციაში ჟორდანიას ხალხმა შუბლიც გაუხვრიტეს და გულიც... დიახ, ბატონებო! ხალხს ყველაფერი ახსოვს, რადგან ისტორია ფაქტების საცავია და... დედამიწაზე კი სატანა დაძრწის! დიახ... ყველაფერი მეორდება. ბატონებო, ასე თუ ისე ძალიან ცუდი ინციდენტი მოხდა 17 მაისს თბილისში, ძალიან ცუდი... ნებისმიერმა უცხოელმა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოდის მუდმივ მაცხოვრებლად, თუნდაც სტუმრად, ან კიდევ მხოლოდ საგარაკოდ, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს აბორიგენი მოსახლეობის სულიერი და შემეცნებითი სამყარო, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები! – ამ ყველაფერს ერთად აღებულს განათლებული საზოგადოება გინდაც ევროპაში და გინდაც ანტარქტიდაზე – კულტურის ერთიან სფეროში აქცევს!.. მომსვლელმა, ე.ი. სტუმარმა, თუ მას უნდა ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს მამულში, ჩვენს სამშობლოში ცხოვრება ან მუშაობა, ან უბრალოდ არსებობა თუნდაც დროებით, ეს ნიშნავს, რომ ურთიერთობა უნდა ჰქონდეს ქართველ ხალხთან, მის სულიერ და ფიზიკურ რეალობასთან! მოქალაქეთა კავშირისა და ნაციონალების ხელისუფლების დროს შტატებისა და ევროპის სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებს მთელი ამ ხნის მანძილზე ეტყობათ შეხება არ ჰქონიათ ქართულ ეროვნულ საზოგადოებასთან, უბრალოდ ქართველ ხალხთან... რატომ? იკითხავს გაკვირვებული მკითხველი. ბატონებო, პასუხი მარტივია, მათ, ე.ი. ჩამომსვლელებს საერთოდ არ სჭირდებოდათ ხალხთან ურთიერთობა, რადგან... ხელისუფლების წარმომადგენლები თვითონ იყვნენ... ხალხიც, ეკლესიაც, სტუდენტიც, უნივერსიტეტიც და ყოვლისშემძლე აღმსრულებელი ორგანოც, და ამ შემთხვევაში ქვეყანა საქართველო განიხილებოდა არა როგორც გარკვეული ეთნოსის, ე.ი. ქართველი ხალხის მამაპაპური მამული და ისტორიული სამშობლო, არამედ, როგორც მათზე, ე.ი. ნაციონალებზე დაქვემდებარებული პარტიული ბლოკი ან ორგანიზაცია, რომელსაც ნებისმიერ დროს და ნებისმიერ შემთხვევაში მომართავდნენ სურვილისამებრ! ამიტომ დააკანონეს ძირძველ მართლმადიდებლურ ქვეყანაში ყოველგვარი სისაძაგლე! – ბილწი ერესის მატარებელი სექტები, რომლებსაც 1700 წლის მანძილზე ებრძოდა და დღესაც ებრძვის მართლმადიდებლური ეკლესია! ნაციონალებმა, როგორც უკვე გითხარით, ძალმომრეობით, ადგილობრივი ქართველი ხალხის ნება-სურვილის გაუთვალისწინებლად უფლებრივად, საკანონმდებლო აქტით გაუთანაბრეს ისინი ქართულ შეურყვნელ, წმინდა ორთოდოქსულ ეკლესიას!!! ამაზე უარესი რაღა უნდა მომხდარიყო? იქნებ ამისთვის მოუწყეს 17 მაისის ამაზრზენი პროვოკაცია ივანიშვილის ხელისუფლებას? იმ ხელისუფლებას, რომლის შემადგენლობაშიც მრავლად არიან ქართველი ხალხის, მისი რწმენისა და ტრადიციების მოძულე პოლიტიკოსები???

ადამიანის უფლებათა დამცველი ნანუაშვილი, როგორც უკვე ვთქვი, ბევრს, ძალიან ბევრს საუბრობს ადამიანთა უფლებათა დარღვევებზე! – რა გამოდის? ქართველი ხალხი ადამიანები არ არიან? ცხოველები არიან? რატომ არ ფიქრობს ბატონი ნანუაშვილი, რომ ლ.გ.ბ.ტ-ს პარადის ორგანიზატორები და წევრები თვითონ არღვევენ სრულიად ქართველი ხალხის უფლებებს, თუ მეტი არა, იმ 100 000 ქართველის, ვინც რუსთაველზე იდგა! არღვევენ ხელაღებით და უსირცხვილოდ!?! დიახ, ბატონებო! ნანუაშვილი ბევრს საუბრობს ზოგადად ადამიანის უფლებებზე, მაგრამ არ საუბრობს ქართველი ხალხის უფლებებზე! – რატომ? ვინ წაართვა და ვინ ჩამოართვა ქართველ ხალხს თავის საკუთარ სამშობლოში არსებობის უფლება ისე, როგორც ამას მისი სულ ცოტა 5000 წლოვანი კულტურა და სულიერი სამყარო მოითხოვს და უკარნახებს? ამ შემთხვევაში გაუგებარია ვინ არის

ნანუაშვილი, ვის უფლებებს იცავს იგი და სად, ვის ქვეყანაში მოღვაწეობს? არა მგონია იგი ისე იქცეოდეს, როგორც ქართველს, ე.ი. ქართველ უფლებადამცველს შეეფერება! ეს გასარკვევია, ბატონებო, და ვურჩევთ ხელისუფლებას და ბატონ პრემიერს – ღირსეული ხალხი შეარჩიონ ისეთი თანამდებობების დასაკავებლად ვინც ხალხს, დიახ! აბორიგენ მოსახლეობას უნდა ემსახურებოდეს ძირითადად და არ იყოს მისი მოღვაწეობა გათვლილი უცხოურ საგრანტო შემოსავლების მიღებასა და ასევე უცხოური ორგანიზაციების მიმართ პირფერობაზე, თუკი ეს პირფერობა ადგილობრივი მოსახლეობის საწინააღმდეგოდ იქნება მიმართული და... დემოკრატიის ცნების დემაგოგიურ მანტიაში გახვეული ზურგიდან სასიკვდილო ჭრილობას მიაყენებს მთელ ერს! ევროსაბჭოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჰამერბერგმა დაგმო 17 მაისის ინციდენტი და თქვა: "იმედია მომავალში დაპირისპირებას არ გამოიწვევს ის ნაბიჯები რაც უნდა გადაიდგას!" რა და როგორი ნაბიჯები უნდა გადაიდგას? უარესი რაღა უნდა უქნან საქართველოს და ქართველ ხალხს? რას გვიპირებენ? ასევე შტატების წარმომადგენელმა პეტრე ვენდლერმა თითი დაუქნია ჩვენს ხელისუფლებას და მკაცრად გააფრთხილა: "დემოკრატიულ საზოგადოებაში ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს"! რა არ უნდა ხდებოდეს ბატონო ვენდლერ? იქნებ მარტივად აგვიხსნათ? ნინია კაკაბაძე ბატონ ბიძინა ივანიშვილს ორგანიზაცია "ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის" წამომადგენლად წარუდგა პრეს-კონფერენციაზე და ქართული ეკლესიის დადანაშაულება მოსთხოვა 17 მაისის ინციდენტში! სამარცხვინო ფაქტია, ბატონებო! იქნებ ვინმემ ამიხსნას რა იმალება ამ ოგანიზაციის სახელწოდების მიღმა? "ჟურნალისტური ეთიკის ქარტია!" მე პროფესიონალი ჟურნალისტი ვარ, ბატონებო და ცსადია მიჩნდება კითხვა: რას ემსახურება ეს ორგანიზაცია? ვინ არიან მასში გაერთიანებულ გაწევრიანებულნი? ნინია კაკაბაძე , ალბათ ზაზა ბურჭულაძე და მათი მეგობრები? ვინ აფინანსებთ მათ? ცხადია ამის შემდეგ ყველაფერი გასაგებია, რადგან აღნიშნულ ორგანიზაციას, დამეთანხმებიან ჩემი თაობის ჟურნალისტები არაფერი აქვს საერთო ჟურნალისტობასთან და მით უმეტეს ეთიკასთან! ეს ორგანიზაცია ქართველი ხალხის მომავალი თაობის გარყვნას და გახრწნას ემსახურება! ეს ორგანიზაცია 21 საუკუნის ე.ი. თანამედროვე სატანისტების გაერთიანებაა, ბატონებო... ეს და მსგავსი ორგანიზაციები, რომლებიც "თავისუფლების ინსტიტუტის" ნორჩი ყლორტებია ქართველი ერის ტრადიციების და ზნეობის დასამარებას ემსახურება და ისინი ბატონებო საზღვარგარეთიდან უწყვეტად შემომავალი გრანტებით ფინანსდება, რადგან... სოლიდური ხარჯებია გამიზნული ჩვენი ხალხისა და ჩვენი მომავალი თაობის გასახრწნელად და გადასაგვარებლად! შეგახსენებთ ორ ფაქტს:

2008 წლის ივლისში თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე დაანგრიეს და დაამტვრიეს თეთრი ჯვრები! სატანისტური საკრებულოს წარმომადგენლებმა 2008 წლის ოქტომბრის ბოლოს საპატრიარქოსა და სიონის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართა ჰელოუინის ღონისძიება, მონაწილეებმა ტუალეტად აქციეს სიონის ეზო! შეურაცხყვეს შარდითა და უწმინდურებით წაბილწეს! მსგავსი მაგალითები ბევრია და ეს საშინელებაა, ბატონებო! ვის მოვთხოვოთ პასუხი? გადაშალეთ შტატების, კერძოდ მერილენდის შტატის 2009 წლის კანონთა კრებული, სადაც შავით თეთრზე მითითებულია, რომ: :ადამიანი, რომელიც დამნაშავედ მიიჩნევა სოდომიაში, დამნაშავეა მძიმე დანაშაულში და ისჯება თავისუფლების აღკვეთით 10 წლამდე"! შტატებში ყველა შტატს თავისი კანონთა კრებული აქვს! ზოგან თეთრი თეთრია, ზოგან კი თეთრი-შავია! ჩვენთან? ოდესღაც მონტესკიემ თქვა "არ არსებობს იმაზე დიდი ტირანია, რომელიც ხორციელდება კანონის საფარველის ქვეშ, სიმართლის საფარველის ქვეშ! –ეს სიტყვები ზუსტად ესადაგება საქართველოს უკანასკნელი 23 წლის პოლიტიკურ წიაღსვლებს!

ბატონმა ლაშა ბაქრაძემ (აკაკი ბაქრაძის სამარცხვინოდ!) რუსთაველზე გამოსულ 100 000 ქართველს ურცხვად უწოდა „ბრბო, რომელიც ქუჩაში დაძრწოდა!..“ რატომ? ბატონი ლაშა ბაქრაძე იქნებ იმ მხარგრძელების ნათესავია, ვინც ჯალალედინის ხალხს ქართველებისაგან მალულად თბილისის დამცავი ციხის კარი გაუღო და მოსახლეობა ამოაწყვეტინა? ის 100 000 ქართველი მართლმადიდებელი მტკვარში რომ ჩაახრჩობინა, ვინც ღვთისმშობლის ხატს ფეხი არ დაადგა და არ შეურაცხყო თავისი ქმედებებით არა მარტო საკუთარი სული, არამედ მშობელი ხალხი და მამული! დიახ, ბატონებო! ისტორია მეორდება, მართალია სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ფორმით, მაგრამ შინაარსით იგივე ხდება! ის 100 000 მოწამე იდგა რუსთაველზე 17 მაისს!!! ბატონებო! და ის 100 000 მოწამე არავითარ შემთხვევაში არ შეურაცხყოფდა თავისი საქციელით უფლის წმიდა ხატებას, წმიდა ჯვარს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს და თავის მართლმადიდებლობას! ის 100 000 მოწამე იცავდა 17 მაისს თავის ზნეობას და რწმენას. ბატონმა გია ნოდიამ ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ გაილაშქრა და მკაცრად განაცხადა: „პოლიციას ძალა უნდა გამოეყენებინა – ხელკეტები, მომწამვლელი გაზები“... დიახ, თურმე დამნაშავეა ბატონი ღარიბაშვილი, რომ ჯალალედინად არ იქცა და 100 000 ღირსეული ქართველი მტკვარში არ ჩაახრჩო, ნოდიას სურვილისამებრ ხელკეტებით არ დაამტვრია, არ მოწამლა, არ დახოცა და სახურავებზე არ შეყარა დახოცილები ისე, როგორც ეს მათ გააკეთეს 2011 წლის 26 მაისს!!!

რატომ ჰგონია ზოგიერთს, რომ ორჯონიკიძე უფრო ურჩხული იყო, ვიდრე თვითონ არიან? 1921 წლის დეკემბერში დახვრიტეს ლევან რაზიკაშვილი! იგი დახვრიტეს მახარაძე-ორახელაშვილი-მოგილევსკის ბრძანებით... მთელი ქართული საზოგადოება ფეხზე დადგა, და მისი შეწყალება ითხოვეს! მაგრამ... იცით რა თქვეს მაშინდელმა მთავრობის წარმომადგენლებმა? სულ ერთია ვინ იყო იგი მახარაძე, ორახელაშვილი თუ ორჯონიკიძე – „ვაჟა ფშაველაც რომ ცოცხალი ყოფილიყო, მასაც დავხვრეტდითო“! დიახ, ბატონებო! აი, ასეთი იყო მათი პოლიტიკა!!! საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მიმართული! – ბინძური პოლიტიკაა, ბატონებო, რომელიც ძირშივე განწირულია დასამარცხებლად! და დამარცხდა კიდეც მათი პოლიტიკა! მოგეხსენებათ 1927-1929-1932-1937 წლებში ზედიზედ გამჟღავნდა ტროცკის მასონური ჯგუფების შეთქმულებები და... საქართველომაც შვებით ამოისუნთქა, ცოტა მოგვიანებით, მაგრამ... 1937-38 წლის რეპრესიებს სწორედ ის ავადსახსენებელი ტროცკის იდეების უპირობო გამტარებლები, ე.ი. ძველი ლენინელები შეეწირნენ, ვინც ეკლესიებს ანგრევდა და ვინც უმოწყალოდ ჟლეტდა

ეროვნულ ინტელიგენციას! დიახ, ბატონებო, შეიძლება ზოგიერთისთვის ფრიად უსიამოვნოა ამ თემაზე საუბარი, რადგან მათ ქართველი ხალხის ჯალათებს მახარაძე-ორახელაშვილებს დღესაც ჰყავთ შთამომავლები და თანამოაზრეები, რომლებიც ბინძური დემაგოგიით ცდილობენ მათი დანაშაული სხვებს გადააბრალონ!!! მაგრამ... სიმართლე ესაა!!! ისტორია მეორდება, მართალია სხვადასხვა ფორმით... 2013 წლის 17 მაისი კიდევ ერთი გამეორება და თანაც დიდი შეურაცხყოფა და მწარე სილის გაწვნა იყო ქართველი ერისთვის, იმ ერისთვის, რომელსაც გულის ფიცარზე ყოველთვის ეწერა რჯულის კანონი და ხმლით ხელში, საკუთარი სიცოცხლის გაწირვის ფასად იცავდა სამშობლოს, თავის ხალხს და თავის რწმენას! დედამიწაზე მოსახლე ყველა ეროვნულ ეთნოსს თავისი საკუთარი, ეროვნულ ტრადიციებზე ჩამოყალიბებული გენეტიკური მენტალიტეტი გააჩნია! ასეა ქართველიც! არ ვამბობ, რომ ჩვენ განსაკუთრებული ვართ, არა, ბატონებო! ღმერთმა დაგვიფაროს მსგავსი ამპარტავნებისაგან, დიახ, აქ განსაკუთრებული არაფერია, რადგან ყველა ერს აქვს თავისი ღირსებები და თავისი სისუსტეები – რაც ნაკლად ითვლება. ასე ვართ ჩვენც! უკანასკნელი 23 წლის მანძილზე რაღა არ გადავიტანეთ, დავმათხოვრდით და დავბეჩავდით, მაგრამ იმდენად ძლიერები ვყოფილვართ სულიერად, რომ მაინც გადავრჩით! იქ რუსთაველზე ჩვენს სულიერ მამებთან ერთად იყო მთელი თბილისი და მთელი საქართველო! იქ იდგა სულ ცოტა 100 000 ღირსეული ქართველი! იმ 100 000 ქართველის შთამომავალი, ვინც ჯალალედინს არ შეუშინდა და ღვთისმშობლის ხატს ფეხი არ დაადგა! ის დიდებული და წმიდა ხატი სიონის ტაძარშია, ბატონებო დაბრძანებული და ლოცავს ყველას, და ლოცავს იმ 100 000 ქართველის შთამომავლებს! არ ვაჭარბებ, ბატონებო! არ ვაჭარბებ... და შეიძლება უფრო მეტნიც კი იყვნენ რუსთაველზე იმ დღეს... იქ შევხვდით ერთმანეთს ძველი მეგობრები, მეზობლები, ნათესავები, თანამშრომლები... ამ 23 წლის წინ ხომ ყველას ჰქონდა სამსახური და... ჰქონდათ მუშაობის უფლება, ჰქონდათ არსებობის უფლება! ასე რომ... დღეს ის დრო სანატრელი გაუხდა საქართველოს... ცრემლებს ვერ ვმალავდით, ვგრძნობდით, რომ დიდი შინაგანი ძალა, საერთო სულიერი ძალა აერთიანებდა ყველა იქ მყოფს მთელ საქართველოსთან... დიახ, ბატონებო... ამიტომ გადავურჩით იმ სისხლიან ათასწლეულებს! 2013 წლის 17 მაისს კიდევ ერთხელ გააწნეს სილა ქართველ ერს და ჩვენ იქ მყოფნი ყველანი ვგრძნობდით იმ გაწნული სილისგან გამოწვეულ სულიერ და ფიზიკურ ტკივილს! ჩვენთან ერთად კიდევ ერთხელ გააწნეს სილა მართლმადიდებელ ქართულ ეკლესიას და ქართულ ქვეყანას, ქართულ ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებს! სხვაგვარად ლ.გ.ბ.ტ-ს პარადს არ დაგეგმავდა მერია რუსთაველის გამზირზე, ბატონებო! ბატონი ნანუაშვილი, რომელიც ძალიან ცდილობს ბევრი ისაუბროს ადამიანის უფლებებზე, რატომ არ იძიებს ვინ და რატომ დაგეგმა ეს პარადი თუ აღლუმი? ვინ მოითხოვა ამ უმსგავსი საქმის ჩატარება საქართველოში? და თანაც იმ ქუჩაზე, იმ ცენტრალურ ქუჩაზე, სადაც 9 აპრილის წამებულთა სისხლია დაღვრილი? იქ, სადაც 1921 წლის თებერვალში ტაბახმელასთან ჩახოცილ იუნკერთა საძვალეებია? იქ, სადაც 15-16 მაისს ავღანეთში დაღუპული ქართველი ვაჟკაცების პანაშვიდებს იხდიდა ქაშვეთის ტაძარში სრულიად საქართველო? – ბატონებო, აზრიც კი, რომ რუსთაველზე გამართულიყო ჰომოსექსუალთა პარადი, ისიც კი შეურაცხმყოფელია ქართველი ხალხისთვის და... კიდევ ერთხელ გამოვხატავთ ჩვენს გაკვირვებას, რატომ ვერ ხვდებიან ამ ფაქტის მნიშვნელობას წყალგამყოფის მეორე ნაპირზე მყოფი ქართველები? აფხაზებსა და ცხინვალში მცხოვრებ ოსებს რაღა უნდა მოვთხოვოთ, როცა აქ, თბილისში ისევ ჩვენივე სისხლისა და ხორცის მცირე ნაწილი ასე აგრესიულად და უსამართლოდ აუმხედრდა დანარჩენ უმრავლეს საქართველოს? მით უმეტეს, როცა სიმართლე დანარჩენი „უმრავლესი“ საქართველოსკენაა, როცა ეს პარადი სოდომიზმის არა მარტო საშინელი ცოდვაა, მომავალში იგი ხომ ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების ფსიქოლოგიის შეცვლას გამოიწვევს?! ზნეობის შერყვნას... და საერთოდ რწმენისა და ერის საბოლოოდ გაქრობას! ამ შემთხვევაში არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ღირსეულად მოიქცა პარლამენტარი თამარ კორძაია, როცა მას და მასთან ერთად იმ ხუთიოდე ადამიანს ქუთაისლებმა ცენტრალურ მოედანზე არ ჩაატარებინეს ლ.გ.ბ.ტ-ს აქცია, ისიც ადგა და თავისი ხალხით გარეუბანში წავიდა, პარლამენტის შენობის წინ დადგნენ 10-იოდე წუთს და შეეცადნენ ქუთაისლები არ გაეღიზიანებინათ! ამ საქციელით თამარ კორძაიამ „იმ დამკვეთების დავალებაც შეასრულა“ და თავისი ქვეყანა და თავისი ხალხიც დაინდო ზედმეტი ნერვიულობისა და აგრესიის გამოვლინებისაგან! ამით მე იმის თქმა მინდა, რომ პოლიტიკოსს იმდენი ჭკუა უნდა ჰქონდეს, რომ ხალხი არ გადაიმტეროს, თან აბორიგენი მოსახლეობის უმრავლესობა! აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია: „ასეთი ინციდენტი არ უნდა ხდებოდეს, ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ დემოკრატიის დაცვას!“ – ამ განცხადების არსი მგონი გაუგებარია! რადგან... ჰომოსექსუალთა პარადის გამართვა არავითარ დემოკრატიის განვითარების პრინციპებს არ ემსახურება! ჰომოსექსუალთა ლეგალიზება – ეს ნიშნავს გარყვნილების ლეგალიზებას! რა შუაშია აქ დემოკრატია? ეტყობა ინგლისურად უჭირთ ამ სიტყვის თარგმნა! საბერძნეთში, სადაც ჩაისახა და პირველად გაჟღერდა სიტყვა „დემოკრატია“ – ჰომოსექსუალიზმი და საერთოდ სექსუალური გადახრები სერიოზულ ავადმყოფობად იყო მიჩნეული, და მას ძირითადად ფსიქიატრიული მედიცინის დახმარებით მკურნალობდნენ! რომისა და ბერძნულ არისტოკრატულ ოჯახებში თუ თავს იჩენდა ამგვარი დაავადების შემთხვევა, – ეს დიდი სირცხვილი იყო არა მარტო ამ ოჯახისთვის, მთელი სანათესაოსთვის, მთელი გვარეულობისთვის! ასე იყო ძველ საქართველოშიც! რაც შეეხება მამათმავლობას, იგი ჩვენში აღმოსავლეთიდან შემოვიდა, დაკონკრეტება თუ რომელი ქვეყნიდან მოდის იგი ჩვენში არაა საჭირო, რადგან ამ სენს ყველგან, ყველა ქვეყანაში ებრძვიან!!! ქართველი ხალხი და ქართული ეკლესია ყოველთვის უკომპრომისო და შეურიგებელი იყო მის მიმართ, რადგან აღნიშნული სენი არა მარტო მძიმე დაავადებაა, მასთან ერთად იგი სექსუალური გარყვნილების ერთ-ერთ უმძიმეს გამოვლინებად ითვლება ძველ და ახალ მედიცინაშიც! უბრალოდ გასაკვირია, რომ ჩვენ, ტრადიციული ეროვნული ღირებულებების მატარებელ ერს ჩვენი „კეთილი მეგობრები დაბეჯითებით“ გვირჩევენ შტატებიდან და ზოგიერთი ევროპული ქვეყნიდანაც, რომ

„დემოკრატიული პრინციპების დასაცავად თურმე საჭირო კი არადა, აუცილებელიც ყოფილა ეს საშინელი ბოროტება ავიტანოთ და არა მარტო ავიტანოთ და გავავრცელოთ ჩვენში, არამედ მათებური ფსიქოლოგიით აღვზარდოთ ჩვენი მომავალი თაობა!!! რას ნიშნავს, ბატონებო, ეს? რა ხდება? თუ მართლა ასე მოხდა, ჩვენ ხომ ერი აღარ ვიქნებით... გადავჯიშდებით და გადავშენდებით... იქნებ მათ, ჩვენმა საკუთარმა პოლიტიკოსებმა და ასევე ჩვენმა „მეგობრებმა შტატებიდან და ევროპიდან“ არც იციან, რომ ჩვენი ხალხი ერად ათასწლეულების წინ ჩამოყალიბდა? იქნებ მათ მართლაც უჯიშო და ბოგანო ხალხი ვგონივართ, ვინც დღესაც ჯუნგლის კანონით ცხოვრობს? ბატონებო, ცხადია ასეა, სხვაგვარად ვერავინ გაბედავდა იმ უღირსი საქმის თავზე მოხვევას, რასაც ლ.გ.ბ.ტ-ს პარადი ჰქვია!!! ჩვენი, ე.ი. ქართველი პოლიტიკოსები არა მარტო ისტორიის, საერთოდ განათლების სფეროში რომ ძალიან კოჭლობენ, ეს ადვილი შესამჩნევია, თუნდაც მასმედიის საშუალებების დახმარებით და რაღა გასაკვირია, რომ ასეთ შემთხვევაში „ძლიერი და მდიდარი მეგობრები“ ისე იყენებენ მათ თავიანთი საქმეებისთვის, როგორც ეს იმ ძლიერებს მოესურვებათ! არავის ეწყინოს და... გაუნათლებელი კაცი ყოველთვის უპრინციპო, ამბიციური, ამპარტავანი და ადვილად სამართავია, რადგან მისი მთავარი მიზანი მხოლოდ ფულია და ფული რომ იშოვოს (განათლების და ჭკუის დაუმსახურებლად), ე.ი. კარიერა უნდა შეიქმნას აუცილებლად. კარიერას კი ასეთი პიროვნება მხოლოდ შავი, ბნელი გზებით შეიქმნის!!! იქნებ საჭიროა ვიფიქროთ, რომ ქართველ პოლიტიკოსთა 99% სწორედ მსგავსი გონებრივი დატვირთვისა და ფსიქოლოგიის ადამიანთა ჯგუფს განეკუთვნება? ახლა კი მინდა ჩემს მკითხველ საზოგადოებას მივმართო მარტივი კითხვით: რა აყალიბებს ერად ადამიანთა ჯგუფს, ე.ი. საზოგადოებას? ცხადია მკითხველს გაუჩნდება შემხვედრი კითხვა – ვართ თუ არა ჩვენ ერი და საერთოდ რა არის ერი? და ვინ ვართ ჩვენ? – ნებისმიერმა ქართველმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ძველი იბერიელები ვართ და ჩვენი ხალხის ერად ჩამოყალიბების პროცესი არ ემთხვევა არანაირ მეცნიერულ გამოანგარიშებას, რადგან... იბერიელები უძველესი ერია! იბერიელებს, იგივე კოლხებს, მესხებს, თუბალისა და მეშექის (იგივე მესხები) ხალხს ერად მოიხსენიებენ უძველესი წერილობითი წყაროები – ჰომეროსს, ჰეროდოტეს და ფლავიუსს რომ თავი დავანებოთ, ბიბლია ორი მამამთავრით წარმოგვიდგენს ქართველ ერს! ყველა ბერძენი, რომაელი და ებრაელი ანტიკური და ადრექრისტიანული პერიოდის ისტორიკოსები იბერიელებს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ თავიანთ შრომებში! ბატონებო, იბერიელები არიან უძველეს ხალხად მოხსენიებული იპოლიტე რომაელის ქრონიკებში იმ 14 გამორჩეულ ხალხთა შორის და თან უპირველესად, ვისაც საკუთარი დამწერლობა ჰქონდა უძველესი დროიდან ან თუნდაც მაცხოვრის მოსვლამდე! თუ ვინმეს ეჭვი გაუჩნდება ამ საკითხის მიმართ, შეუძლია ისტორიულ არქივებს ჩახედოს! ქართველების, ე.ი. იბერიელების ქვეყანა, რომელსაც მათი მამამთავრების მიხედვით თუბალის და მეშექის ქვეყნები ერქვა – ისტორიული წყაროებით რამდენიმე ათასი წლის წინ განთავსებული იყო კავკასიონის მთებიდან მოყოლებული მცირე აზიაში. ქ.დ-მდე მე-3 ათასწლეულში სემიტური ტომების მოძალებამ ჩვენი ხალხის წინაპრებს ფაქტობრივად დააკარგვინა ძირძველი საცხოვრებელი მიწა-წყლის ნახევარზე მეტი. მიდიისა და სპარსეთის გაერთიანების შემდეგ ასტიაგის შვილიშვილის კიროსის მიერ წარმოებულმა სისხლისმღვრელმა ომებმა კი ქართველთა წინაპრების უკანასკნელი დიდი სამეფოებიც გაანადგურა და იბერიელები კავკასიონის სამხრეთის კალთების ქვეშ ენგურის, ჭოროხის, ჰალისის, რიონის, მტკვრის, არაქსის, არაგვის, თერგისა და ალაზნის აუზებში შეამჭიდროვა! საქართველოს ნაწილი, რომელსაც ბოლო დრომდე ისტორია არა მარტო დიდს, არამედ „დიად საქართველოს“, ე.ი. იბერიას უწოდებს და რომელიც დამატებით კიდევ ტაო-კლარჯეთის და კაბადოკია-ლაზისტანის (პონტოს) სახელით არის ცნობილი 1921 წლის მოსკოვის ხელშეკრულებით საბოლოოდ მოექცა თურქეთის ხელისუფლების ქვეშ, თუმცა იქაურმა ქართველებმა მეტად თუ ნაკლებად მაინც შეინარჩუნეს ენა, რწმენა კი საბოლოოდ დაკარგეს! მათ არ და ვერ მიატოვეს თავიანთი ისტორიული მიწა-წყალი, მამული და არ და ვერ გადმოსახლდნენ „ზემოთა საქართველოში“. ესეც ქართული ქვეყნის ბედისწერა გახლდათ, ბატონებო! ბედისწერას კი ყოველთვის წარმართავს ხელისუფლება, რომელიც თუნდაც 1921 წელს გვყავდა მახარაძე-ორახელაშვილების სახით. მათი ინიციატივით მოეწერა ხელი თურქეთსა და მოსკოვს შორის ზემოთ მითითებულ ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც საქართველომ საბოლოოდ დაკარგა მთელი ლაზისტანი, ტაო-კლარჯეთი და მესხეთის უდიდესი ნაწილი! დღეს ბევრი ისტორიის უცოდინარი ან კიდევ შურით და ბოღმით დაბრმავებული ცდილობს ეს საშინელი ფაქტი სტალინს გადააბრალოს, მაგრამ... სტალინი 1921 წელს მხოლოდ რიგითი პარტიული თანამშრომელი იყო და მას არავინ არაფერს ეკითხებოდა! მით უმეტეს მახარაძე-ორახელაშვილები, რადგან ისინი ლენინის უახლოესი მეგობრები, უერთგულესი ადამიანები და ლენინი-ტროცკის საიმედო დასაყრდენნი იყვნენ კავკასიაში, რომელთათვისაც სიტყვა სამშობლოს და ცნება მამულს არავითარი დანიშნულება არ გააჩნდა!!! ამიტომაც გაისვარეს ხელები ილიას სისხლში, ვერ აპატიეს მას მისი დიდი მამულიშვილობა და ბოლომდე ებრძოდნენ მის ჩრდილსაც კი... ზოგიერთმა გაუცნობიერებელმა ადამიანმა (არა აქვს მნიშვნელობა ეროვნებას) შეიძლება კვლავ და კვლავ ამპარტავნობაში დაგვდოს ბრალი ჩვენ ქართველებს, ან მიგვითითოს, რომ ზედმეტად ამაყები ვართ ჩვენი წარსულით, ჩვენი ისტორიით! არა, ბატონებო! ქართველი ხალხი, უპირველესად ძალიან თავმდაბალი, კეთილი, რბილი ხასიათის, მიმნდობი, მაგრამ... უაღრესად მაღალი კულტურის მქონე ერი არის! ეს ჩვენს თავმოყვარეობაში, ჩვენი მამაკაცების ვაჟკაცურ მენტალიტეტში, ჩვენს წეს-ჩვეულებებში იგრძნობა! იქნებ კიდევ იკითხოს ვინმემ – რა არის კულტურა? – რადგან ის მე უკვე ბევრჯერ ვახსენე ამ სტატიაში და უფრო ხშირად იგი განსაზღვრავს ამა თუ იმ ერის, ე.ი. ხალხის ცივილიზაციის დონეს თანამედროვე სამყაროში. შეიძლება ზოგიერთმა გაკვირვებით იკითხოს, რომ ქვეყანა სადაც გაქცეული ყაჩაღები და ქურდები დაესახლნენ ძირითადად (ამერიკის კონტინენტს ვგულისხმობ) და აბორიგენი მოსახლეობა დახოცეს და ვინც გადარჩა, მათ ძალმომრეობით წაართვეს მათი საარსებო საშუალებები: მიწა, წყალი, ტყე და ველი, – შეიძლება ის ხალხი კულტურულ ერად ჩაითვალოს? ცხადია ეს ცოტა მძიმე შეკითხვაა, რადგან ნებისმიერი წარსული, ის კარგია თუ ცუდი აწმყოს მშობელია, აწმყო

კი მომავლისა და ეს ცნებები ისე მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, მათი გამოყოფა ძნელია, მაგრამ დროის ფაქტორსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ვერც იმას უარვყოფთ, რომ ბევრმა ასე ახალშექმნილმა ქვეყნებმა ან ქვეყანამ, რომელიც და რომლებიც არსებობის სულ რაღაც 400-300 წელს ან ცოტა მეტს ითვლიან, და რომლებიც ძირითადად ამერიკის კონტინენტზეა განლაგებულნი – თანამედროვე სამყაროში დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს, წარმატებები კი მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების სფეროში არცთუ ცოტა შენაძენია ჩვენი თანამედროვე ცივილიზაციისთვის! რაც შეეხება ევროპა-აზიის კონტინენტებს, აქ ძირითადად ძველი, ისტორიული და ცივილიზებული ქვეყნები და ერებია განთავსებული, ერები, რომელთა უაღრესად მაღალმა კულტურამ გარკვეულ დროში ასევე გარკვეული როლი ითამაშა საერთო მსოფლიო ცივილიზაციის ფასეულობების შექმნაში. უბრალოდ საჭიროა ჩვენ ვიცოდეთ რა შეადგენს „კულტურის“ ღირებულებებს და რა არის ის ფასეულობები, რაც საბოლოოდ ქმნის კულტურის კრიტერიუმებს? – ერის წარსული და მისი განვითარების ისტორია, ტრადიციები და... თანამედროვე დონე??? ალბათ აქედან გამომდინარე ზოგიერთი ჩვენი მოძულე დასვამს კითხვას, არის თუ არა ქართველი ერი კულტურული ერი? ამ შემთხვევაში მე მინდა გაგახსენოთ ცნობილი მწერლისა და მეცნიერის, ბისმარკის ცხოვრებისა და მისი პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ ანალიტიკური შრომების ავტორის, ერთ-ერთი უდიდესი გერმანელი ისტორიკოსის გეორგ რიტტერის სიტყვები: „თუმცა ელადას დიდი ღვაწლი მიუძღვის ევროპის კულტურის წინაშე, მაგრამ ნუ გავიწყდებათ, რომ აღმოსავლეთით არსებობს ერი, რომელსაც კიდევ უფრო მეტი ღვაწლი მიუძღვის მთელი კაცობრიობის წინაშე და ეს ერია საქართველო!“ ეს წარსულში, ბატონებო!.. მაგრამ თუ ოპონენტები დაინტერესდებიან უკანასკნელ, მართალია ბნელით მოცულ საუკუნეებსაც გადახედონ! ერს, რომელმაც მეხუთე საუკუნეში შექმნა „შუშანიკის წამება“, მეცხრე-მეათე საუკუნეებში დაწერა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და მე-12 საუკუნეში „ვეფხისტყაოსანი“, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ... ერს, რომელსაც სამგვარი, ე.ი. სამი სახის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მონუმენტური, დიდებული და ყოველმხრივ სრულყოფილი გრაფიკის მქონე თავისი საკუთარი დამწერლობა გააჩნია უძველესი დროიდან; ერს, რომელმაც კაცობრიობას მისცა უდიდესი სწავლულები და ღვთისმეტყველები, ფილოსოფოსები და მწერლები; ერს, რომელმაც სათავე დაუდო კარტოგრაფიის სისტემის შექმნას და რომლის კალენდარი ყველა კალენდარზე ძველია დედამიწაზე და ითვლის ქრისტეს დაბადებამდე 5604 წელს და... ბოლოს... ერს, რომლის წიაღშიც ძვ.წ.აღ. VI საუკუნიდან დავანებულია წმიდა ელია წინასწარმეტყველის ხალენი, და შემდეგ უფლის იესო მაცხოვრის უწმინდესი და ხელთუქმნელი კვართი, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის პერანგი; ერს, რომლის სისხლმა და ხორცმა შვა დიდი მესხი-კაბადოკიელი წმიდა მამები: წმიდა გიორგი, წმიდა ნიკოლოზი, წმიდა ბასილი დიდი, წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი და მოციქულთა სწორი წმიდა ნინო; ერმა, რომელმაც მე-4-5-6 საუკუნეებში შექმნა საკუთარი და განუმეორებელი, ეროვნულ-მართლმადიდებლური-ქრისტიანული ჯვარ-გუმბათოვანი ხუროთმოძღვრება და აგვიშენა ნინოწმინდა, მცხეთის ჯვარი, წრომი, ატენის სიონი... ერს, რომლის გენიამ მე-8-9-10 საუკუნეებში შექმნა ასევე უდიდესი საკუთრივ ქართული, განუმეორებელი ხუროთმოძღვრება ოშკი, იშხანი, ბანა, ხანძთა, შატბერდი, ოთხთა, ტბეთი, ხახული, ბაგრატი, სვეტიცხოველი, გელათი და ვარძია, სამთავისი, ბეთანია, ჰუჯაბი და ახტალა, ბარაკონი და ნიკორწმინდა; ერს, რომლის განუმეორებელ სიმდიდრეს წარმოადგენს უშგულის, მულახის, დიკლოს, ომალოს, მუცოს, შატილის, გუდამაყრის ციხე კოშკები და ტაძარ-სალოცავები; ერს, რომელსაც იერუსალიმში, ანტიოქიის უდაბნოში, პალესტინაში, შავ მთაზე და ათონის მთაზე ეკუთვნოდათ უძველესი, უდიდესი და უწმინდესი ტაძარ-მონასტრები და ერს, რომლის წარმომადგენლებიც იერუსალიმში ცხენებზე ამხედრებულნი და გაშლილი დროშებით შედიოდნენ (ამის უფლება სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს არ ჰქონდათ), და ბოლოს, რომელმაც შვა ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი და დიდი კონსტანტინე, და ბოლოს, სულ ახლახანს, ერს, რომელმაც კაცობრიობას მხსნელად მოუვლინა სტალინი... იმ ერის წარმომადგენლებთან კულტურასა და საკაცობრიო ღირებულებებზე საუბარი გაუჭირდება დედამიწაზე მოსახლე ნებისმიერი ერის და ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენელს! ბატონებო! მართალია ჩვენი მოძულე და მოშურნე „კეთილი მეზობლები და მეგობრები“ დიდი ხანია ცდილობენ ყველაფერი წაგვართვან, მაგრამ ილიას თქმისა არ იყოს... ქვანი ღაღადებენ... და მათი მეშვეობით ისტორია ფაქტებს აფიქსირებს! არ დავესესხები არც ერთ ცნობილ მეცნიერს და ჩემებურად, ყველასათვის გასაგებად და მარტივად ავხსნი, რომ ერი არის ადამიანთა ჯგუფი ან იგივე საზოგადოება, რომელიც შეკავშირებულია ერთმანეთთან სისხლით ნათესაობით (ანთროპოლიგიური მონაცემებით, ე.ი. გენეტიკურად!), საერთო ენით, საერთო დამწერლობით, საერთო ისტორიული წარსულით, საერთო საცხოვრებელი მიწა-წყლით - რომელსაც ჩვენ ქართველები მამულს, იგივე სამშობლოს ვუწოდებთ, საერთო ტრადიციებით, ე.ი. წეს-ჩვეულებებით და რწმენით (მაგრამ აქ შესწორება უნდა შევიტანო, რადგან არის შემთხვევები, როცა ერთი ერის წარმომადგენლები სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევარნი არიან, როგორც ეს ჩვენს შემთხვევაშია, ჩვენ ვართ მართლმადიდებელი ქრისტიანები, მაგრამ გვყავს მუსულმანი ქართველებიც!), და ეს ყველაფერი ერთად კულტურულ ფორმად ყალიბდება. დიახ, ბატონებო! ნებისმიერი ერი, როგორც უკვე გითხარით თავისი ხალხითა და მიწა წყლით სამშობლოს ნიშნავს, სამშობლო კი თავისთავად წარმოადგენს ამა თუ იმ ერის საცხოვრებელ ადგილს! იმ მიწა-წყალს, სადაც ისტორიულად არის განთავსებული ესა თუ ის ერი! და სადაც ამ ერს შეუქმნია თავისი ისტორია, კულტურა და მიუღია თვითმყოფადი სახე, რომელიც მას განასხვავებს სხვა ერებისაგან! არ შეიძლება ორ ან რამდენიმე ერს ერთი და იგივე სამშობლო ჰქონდეს, რადგან სამშობლო, ე.ი. ისტორიული საცხოვრებელი ადგილი ამა თუ იმ ერის კუთვნილებაა, ამა თუ იმ ერის ისტორიული წარსული, აწმყო და მომავალი ცხოვრებაა განსაზღვრული – განსაზღვრულ ტერიტორიაზე! და თუ ამა თუ იმ ერის კუთვნილ მამულში სხვა ერის წარმომადგენლებიც არიან ჩასახლებულნი – ეს ფაქტი არ ნიშნავს იმას, რომ ის მიწა-წყალი მათი მამულიცაა! ამ შემთხვევაში სიტყვა მამულს მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს! მაგალითისთვის ავიღოთ სოფელი ლევილი,

რომელიც საფრანგეთში, პარიზთან ახლოს მდებარეობს და მისი მიწა-წყალი, შენობა-ნაგებობები და სასაფლაო საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ შეიძინა იმ 2000 ლტოლვილი ქართველისთვის, რომლებმაც ჟორდანიას მთავრობასთან ერთად დატოვეს სამშობლო 1921 წლის თებერვალ-მარტში! მაგრამ საფრანგეთი და ლევილი არ არის და არც შეიძლება იყოს მათი სამშობლო. ის სოფელი და ის ქვეყანა მხოლოდ მათი დროებითი თავშესაფარია და საცხოვრებელი ადგილია ცხადია სხვისი, ამ შემთხვევაში ფრანგების ქვეყანაში, სადაც ისინი დაესახლნენ! დასანანია, რომ მათი შთამომავლები ქართულ ენასაც ვეღარ ფლობენ ღირსეულად და შინ დაბრუნებასაც არ აპირებენ! ფრანგული კანონით კი ვინც საფრანგეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს – ყველა ფრანგია!!! საქართველოს მიწა-წყალი ეთნიკურად ააჭრელა რუსეთმა 1801 წლიდან 1860-იან წლებამდე, რათა გენეტიკურად ძლიერი ქართველი ერი სულიერად და ფიზიკურად დაეთრგუნა, დაესუსტებინა, გაეტეხა და თუნდაც დაემცირებინა! ერის სასიცოცხლო ძარღვებში ამ ეთნიკური სიჭრელით სამუდამოდ შეუშვა რუსეთმა მომწამვლელი ბაცილა, რომელიც ადრე თუ გვიან ერის გადაგვარებას გამოიწვევდა, მაგრამ მთლად ასეც არ მოხდა, რადგან ქართველ ერსაც გამოუჩნდა ამ საშინელი წყლულის მკურნალი! და ეს მისია ილია ჭავჭავაძემ და სამოციანელებმა ითავეს, შემდეგ კი... სრულ კატასტროფას და განადგურებას, რასაც მახარაძე-ორახელაშვილების მთავრობა უმზადებდა საქართველოს მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში გადაარჩინა სტალინმა და ბერიამ! დაინტერესებულ და აგრესიულ ოპონენტებს კი ვურჩევდი ჩახედონ ისტორიულ არქივებს! ე.ი. რუსეთის იმპერიამ მიზანს მხოლოდ ნაწილობრივ მიაღწია, რადგან ეთნიკური სიჭრელე დღესაც ის წყლულია ერის სხეულზე, რომელიც დროდადრო თავს იჩენს აუტანელი ტკივილით. ეს ტკივილი იმ ტერიტორიების დაკარგვაა, რომელიც კიდევ უფრო გაიზარდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში და 2008 წელს! რამაც დააზარალა ქართული ეკონომიკა და დაამცირა და დააპატარავა ქვეყანა საქართველო! მაგრამ... მთლიანობაში ერი მაინც გადარჩა! და ეს გადარჩენა სწორედ იმ დიდი ადამიანების ძალისხმევით მოხდა, რომლებიც ღვთის განგებით შემწედ მოევლინნენ თავიანთ მამულს! ქართველმა ერმა შეინარჩუნა თავისი სახე და ეროვნული თვითშეგნება! მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ერი ფეხზე დგას! არა, ბატონებო! ნიკო ლორთქიფანიძის გენიალური ნააზრევი „იყიდება საქართველო“ დღესაც ძალაშია! ჩვენმა ნაციონალების ხელისუფლებამ სარფიანად გაყიდა ყველაფერი ქართული, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა და ისიც, რისი გაყიდვაც არ შეიძლებოდა! რაღა გადარჩა? ან ვინღა გადავრჩით? და აი სწორედ ეს გადარჩენილი ხალხი იდგა რუსთაველზე 2013 წლის 17 მაისს საკუთარი რწმენისა და ეროვნული ღირსების გადასარჩენად და დასაცავად! და იცით... ალბათ ყველა იქ მყოფი გულში ჩუმად იმეორებდა „ჩვენ ცოცხლები ვართ, ჩვენ ვარსებობთ! საქართველოს ღმერთი გადაარჩენს, დედა-ღვთისმშობელი არ მიგვატოვებს“, დიახ... მიუხედავად ჩვენი დიდი ცოდვებისა, ბატონებო! მიუხედავად ჩვენი გამწარებული ბედისწერისა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე სულგაყიდული მეფე-ხელისუფლები მართავდნენ!! და თუ გადავხედავთ ჩვენს ისტორიულ წარსულს, რომელიც ნამდვილად საამაყო გვაქვს, იქ მრავლად დავინახავთ სატანურ ჩრდილებსაც... დავინახავთ და სხვა თვალით გავაანალიზებთ იმ მეფე-ხელისუფალის ქმედებას... რომელიც თავისი მოღვაწეობით ვითომცდა ხალხზე და სამშობლოზე ზრუნავდნენ! სინამდვილეში კი სატანის სამსახურში იყვნენ ჩამდგარნი! სწორედ ასეთი მეფე-ხელისუფლების ცოდვილმა და ცოდვიანმა მოღვაწეობა-მმართველობამ დააქცია და დაამცირა, დათრგუნა და დააპატარავა ჩვენი ქვეყანა და გაწყვიტა ჩვენი ხალხი... სულ რამდენიმე მათგანი გავიხსენოთ: დავიწყოთ თუნდაც დიდი დავით აღმაშენებლის შვილიდან, დემეტრე I-დან! როგორც კი ქართველებისთვის ისტორიულად ყველაზე დიდი და თავშეწირული მეფე გარდაიცვალა, მისმა ძმამ დემეტრე პირველმა გზა გაუხსნა თავის ამბიციურ სურვილებს და მამის ანდერძი არათუ არ შეასრულა მართლმადიდებლისთვის მიუღებელი და საშინელი საქციელი ჩაიდინა: თვალები დასთხარა და მოაკვლევინა დავითის უმცროსი ვაჟი, ე.ი. საკუთარი ძმა – ვახტანგი, იგივე ცვატა! ამის შემდეგ ისევ არ ისვენებდა მასში ჩაბუდებული ბოროტი სული და შვილებში გამოირჩია უმცროსი გიორგი! უფროსი დავითი, რომელსაც კანონით ტახტი და სამეფო ეკუთვნოდა მოაკვლევინა და ტახტზე აიყვანა გიორგი, III-დ წოდებული! ცხადია მისი საყვარელი შვილიც სიბოროტით იყო დასნეულებული და აქტიური მონაწილეობა მიიღო მამის ჩანაფიქრის განხორციელებაში, უფროსი ძმის, კანონიერი მეფის, დავითის მკვლელობაში! ამასაც არ დასჯერდა გიორგი III! საშინელი სიკვდილით მოკლა დავითის შვილი დემნა ბატონიშვილი, იგივე დემეტრე! თვალები დასთხარა, დაასაჭურისა და ორმოში ჩააგდო! შემდეგ კი წამებით ამოხადა სული იმის შიშით, რომ ორმოდან არ ამოეყვანათ და სამეფო გვირგვინი არ დაედგათ თავზე მისთვის! ამოხოცა დემნას ოჯახი, მისი 5 წლის ბიჭუნა, პატარა დავითი დაახრჩობინა და მასთან ერთად ამოწყვიტა დავით აღმაშენებლის ერთგული, განათლებული და ძლიერი ქართული არისტოკრატია! მოკლედ რომ ვთქვათ დავით აღმაშენებლის უღირსმა შვილმა დემეტრე I-მა და ასევე უღირსმა შვილიშვილმა გიორგი III-მ საშინელი ხოცვა-ჟლეტა გააჩაღეს სამეფო კარზე, ცოდვის კალო დაატრიალეს არა მარტო თბილისის სამეფო სასახლეში, არამედ მთელ საქართველოში! მათ მთლიანად ამოწყვიტეს ძირძველი არისტოკრატული გვარები! მაგალითისთვის ერთის დასახელებაც კმარა – სამძივარების!!! ეს გვარი უდიდესი და უძველესი გვარი იყო საქართველოს ისტორიაში, რომელიც მესხეთ-ჯავახეთს მართავდა ათასწლეულების მანძილზე და იყვნენ მესხთა ლეგენდარული მეფის მითას შთამომავლები! და ისინი, ბატონებო, განსაკუთრებით ერთგულნი იყვნენ ბაგრატიონების! ამ საშინელი სისხლიანი გადატრიალების შემდეგ გიორგი III-მ გვერდით დაიყენა გასომხებული მდაბიო ქურთები და მხარგრძელები უწოდა მათ! და სწორედ ისინი, ძმები მხარგრძელები განსაკუთრებით აქტიურობდნენ ძირძველი ქართული ოჯახების ამოწყვეტაში! მათი მიზანი კი ყველასათვის ნათელი იყო და არის, ბატონებო! ქართული ჯარი, დემეტრეს და გიორგის „ქუდზე კაცი“ გამოჰყავდათ საბრძოლველად (ეს კი ნიშნავდა, რომ ოჯახის ყველა მამაკაცი იბრძოდა 12-13 წლის ყმაწვილების ჩათვლით) და გასამრავლებელი აღარ რჩებოდა! და ეს ხალხით სავსე ქვეყანა –

საქართველო, შეაწყვიტეს უმიზნო და გაუაზრებელ ბრძოლებს, როცა შესაძლებელი იყო დიპლომატიური მოლაპარაკებებით სისხლისღვრის აცდენა და... მოსახლეობის გაფრთხილება!!!

თამარი თითქმის ბავშვი იყო, მაგრამ მან კარგად გაიაზრა მამის მიერ ჩადენილი ცოდვების სიმძიმე! დღედაღამ ლოცულობდა, თუმცა მისი ერთი სიცოცხლე ვერ გამოისყიდდა მისი ახლო წინაპრების დანაშაულს, ამიტომაც გადმოვიდა უფლის სასჯელი ჩვენს ქვეყანაზე და მას შემდეგ წყვდიადშია საქართველო ჩაძირული! დემეტრე I-ით და გიორგი III-ით არ დამთავრებულა ხელისუფალთა გაუაზრებელი და ბოროტი ქმედებები საკუთარი სამეფოსა და ხალხის მიმართ. საქართველოს ისტორიაში მრავლად შეგვიძლია არაერთგული მეფე-ხელისუფლების მოძიება, ვინც საკუთარ ამბიციებს სწირავდა ქვეყნის აწმყოსა და მომავალს. გავიხსენოთ დიდი გიორგი ბრწყინვალის (ვინც ერთხელ კიდევ და უკანასკნელად გაერთიანა და აღმაშენებლის დროინდელი ბრწყინვალება და ძლევამოსილება დაუბრუნა საქართველოს) შვილიშვილი ბაგრატ V (1360-1393 წ.წ.), რომელიც არამარტო არაფრით არ ჰგავდა თავის ღირსეულ ბაბუა-პაპას, არამედ უარესიც! თავისი ამბიციური და უგუნური ქმედებებით სულიერად და ფიზიკურად თვითონვე დაამარცხა და დაამცირა თავისი სამშობლო – სამეფო საქართველო! ეს ის მეფეა. რომელსაც არავითარი სამეფო ღირსება არ გააჩნდა და არა მარტო ღირსება, მარტივად რომ ვთქვათ რეგვენი ამპარტავანი იყო! მან ვერ შეაფასა და რა თქმა უნდა, არც მოინდომა და არც შეეცადა შეეფასებინა თავისი დროის რეალური პოლიტიკური სიტუაცია! არ გაიაზრა და არც შეეცადა გაეაზრებინა ვინ იყო თემურ ლენგი, რა მიზნები და ამასთან ერთად რა შესაძლებლობები ჰქონდა მას! მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელი საქართველოს სამეფო კარი კარგად ფლობდა სანდო ცნობებს დასავლეთსა და აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციისას, რადგან აბრეშუმის გზის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ საქართველოზე გადიოდა და ამ გზაზე უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა და მოედინებოდა სავაჭრო ქარავნები დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ! ვაჭრები კი ხელშეუხებელნი იყვნენ ნებისმიერ სახელმწიფოში და მათ ჰქონდათ უტყუარი ინფორმაცია ყველგან და ყოველთვის ყველა სახელმწიფოსა თუ ხალხების შესახებ! და ეს ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომი იყო არა მარტო მეფისა და სამეფო კარისთვის, არამედ არისტოკრატიისთვისაც და თუნდაც ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის! ამჯერად ორიოდ სიტყვით გავახსენებ ჩემს მკითხველს ვინ იყო თემურ ლენგი და რა ვერ, ან არ მოიმოქმედა ბაგრატ მეხუთემ თავისი ქვეყნისა და ხალხის გადასარჩენად? ფაქტია, რომ თემურ ლენგის შემოსევებმა დაანგრია და მიწასთან გაასწორა აღმოსავლეთი და სამხრეთი საქართველო. ქართველებისგან დააცარიელა სოფლები და ქალაქები! მის რვა შემოსევას შეეწირა სულ ცოტა 8-9 მილიონი ქართველი ვაჟკაცის, ქალის, ბავშვისა და მოხუცის სიცოცხლე. და ამ შემთხვევაში მეფეების მამა-შვილის ბაგრატ V-ისა და გიორგი VII-ის პოლიტიკის ავკარგიანობის და „დამსახურების“ შესახებ ქართველი ხალხისა და საქართველოს სამეფოს წინაშე – თვითონ გამოიტანოს ჩემმა მკითხველმა დასკვნა!!! თემურ ლენგი ჩინგიზ ყაენის შთამომავალი იყო. იგი დაიბადა შუა აზიაში 1336 წელს. მისი უდიდესი სურვილი და აქედან გამომდინარე ცხოვრების მიზანი გახლდათ ძველ საზღვრებში აღედგინა დიდი წინაპრის იმპერია! 1370 წლისთვის იგი უკვე მთელი შუა აზიის ბატონ-პატრონი იყო! მაგრამ ეს არ აკმაყოფილებდა და სურდა მისი მბრძანებლობის ქვეშ მოქცეულიყო ყველა სავაჭრო გზა, განსაკუთრებით კი ცნობილი აბრეშუმის გზა, რომლითაც ჩინეთი აბრეშუმით ამარაგებდა ევროპის ქვეყნებს, ძირითადად ბიზანტიას, რომსა და კარლოს დიდის ამჯერად უკვე დაშლილ, მაგრამ მაინც ძლიერი იმპერიის ქვეყნებს. თემურისთვის სანუკვარი სავაჭრო გზა კი საქართველოს სამეფოზე გადიოდა! ამდენად თემური საქართველოთი დაინტერესდა! მან სანდო ხალხი გამოუგზავნა ბაგრატ V-ს და შემოუთვალა: „თოხთამიშთან ვასალობაზე უარი ეთქვა და მისი მოკავშირე გამხდარიყო!. ბაგრატ V-მ სულელური და გაუაზრებელი ამპარტავნების წყალობით უარი შეუთვალა! საქართველოს სამეფო კარმა და თვითონ ბაგრატ V-მ ძალიან კარგად იცოდა რა ტირანიც იყო თემურ ლენგი, კარგად იცოდა მისი დაუნდობელი ბუნება! იცოდა, რომ შეუბრალებლად ჟლეტდა ადამიანებს, ინდოეთში 100 000 კაცს ერთდროულად მოჰკვეთეს თავი მისი ბრძანებით, ასევე მისი ბრძანებით 70 000 მოჭრილი თავისაგან კოშკი ააგებინა! (სხვათა შორის თურქ-სელჯუკებმა ანისის დამცველი 50 000 ქართველის თავებისაგან ანისშივე კოშკი ააგებინეს გიორგი III-ის დროს... გიორგი III ქართული ჯარით იცავდა სომხეთს და სომხებს, თვითონ სომხები, როგორც ვითომცდა მცირერიცხოვანი ხალხი, ბრძოლებში არ გაჰყავდა, ქართველი ხალხი იულიტებოდა მათ დასაცავად!). დიახ, ბატონებო! ბაგრატ V-მ კარგად იცოდა, რომ წარმოუდგენელი ბოროტების ჩამდენი მტარვალი იყო თემურ ლენგი და მაინც, შეურაცხმყოფელი უარი შეუთვალა! უარი, რომელიც მუქარას შეიცავდა! ჰოდა, თემურიც გამოემგზავრა, რომ „ჭკუა ესწავლებინა ამ ბრიყვი მეფისთვის“, რომელსაც შეგნებული არ ჰქონდა, რომ მის სიტყვებზე ეკიდა მისი ხალხის ბედისწერა! მისი ხალხის სიცოცხლე და მისი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა... რადგან... იმ დროის ისტორიას სწორედ თემურ ლენგის ნება-სურვილი წერდა არა მარტო აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთშიც – ტრაპზონის იმპერია მისი ვასალი სახელმწიფო იყო და თურქეთის სულთანსაც შიშის ზარს სცემდა მისი შემოსევები. და ამდენად, ბაგრატ V-ის შეურაცხმყოფელი უარითა და მუქარით გაცოფებული თემურ ლენგი საქართველოს საზღვრებს მოადგა და სანამ ბაგრატ V ჯარს შეკრებდა, მან საშინელი ცოდვის კალო დაატრიალა ჰერეთში და კახეთში, დაწვა, დაანგრია და ამოხოცა მოსახლეობა, 1386 წლის 21 ნოემბერს კი შავი დილა გაუთენა თბილისს! ქალაქი მიწასთან გაასწორა, მდიდარი და ლამაზი ქალაქი აღიგავა მიწის პირისაგან. მეფე და დედოფალი (ბაგრატ V და დედოფალი ანა) ტყვედ წაიყვანა ყარაბაღში, სადაც გამოიზამთრა! მაგრამ ყველას გასაოცრად, თემურმა დაინდო და არ დახოცა მეფე-დედოფალი, მხოლოდ რჯულის გამოცვლა მოითხოვა. „ვაჟკაცმა“ ბაგრატ V-მ მაშინვე შეიცვალა რჯული და ისლამი აღიარა! და მალევე უკადრისი საქციელი და მორიგი სისულელე იკადრა! პირში ეპირფერებოდა ლანგ თემურს და ჯარი გამოსთხოვა საქართველოში სალაშქროდ, თან დაჰპირდა, მთელ ჩემს ქვეყანას თქვენს რჯულზე მოვაქცევო! ალბათ ისე

მოხერხებულად ითვალთმაქცა ბაგრატ V-მ, რომ თემურიც მოტყუვდა და 12 ათასი მეომარი გამოატანა. ბაგრატ მეფე წინასწარ შეუთანხმდა თავისიანებს, თემურის ლაშქარი ვიწრო ხეობაში შეიყვანეს და... ერთიანად ამოხოცეს! რა შეფასება შეიძლება მისცეს ამ ღალატს მიუკერძოებელმა მკითხველმა? ბაგრატ მეფის შემაძრწუნებელი ღალატის ამბავი რომ გააგებინეს თემურს, ისედაც ცოფიანი მთლად შეიშალა ჭკუაზე და 1387 წლის გაზაფხულზე მეორეჯერ მოაწყო ლაშქრობა საქართველოში. ძალიან ძვირად დაუჯდა ქართველ ხალხს უგუნური მეფის საქციელი! სადაც კი მისწვდა თემური, და... იგი ყველგან მისწვდა, ბატონებო... ყველგან დახოცეს, დაწვეს, დაანგრიეს, დედაბუდიანად ამოწყვიტეს და ამოჟლიტეს სოფლები და ქალაქები, ბავშვებიც არ დაინდეს... იავარყვეს მთელი ქვეყანა... მინდა ერთი ფაქტი შევახსენო ჩემს მკითხველს: ბაგრატ V-ის ყარაბაღში ყოფნის დროს, ერთხელ თემურს მოახსენეს, შირვანის შაჰი იბრეიმი გეახლათ მორჩილების გამოსახატავადო! მიღებას ბაგრატ V-ც ესწრებოდა. დარბაზში შემოვიდა ერთმანეთის მიყოლებით ცხრა მამაკაცი, ნახევრად შიშვლები და თავზე ნაცარწაყრილები! მათ მოჰყვებოდათ ძვირფასი საჩუქრებით დატვირთული უამრავი ადამიანი. თემურმა მოსულებს ჰკითხა „შირვანის შაჰი იბრეიმი სადღა არისო?“ – მეცხრე, ნახევრად შიშველი მამაკაცი ნახევარი ნაბიჯით მოკრძალებით წინ წამოვიდა და თავდახრილმა განაცხადა „მე ვარო“. – თემური ძალიან კმაყოფილი დარჩა იბრეიმის საქციელით და თვითონაც აურაცხელი და უძვირფასესი საჩუქრები უძღვნა, თავი იბრეიმის მეგობრად აღიარა და მის საბრძანებელს ახლოსაც არ გაჰკარებია! იბრეიმმა ოსმალეთთან ნეიტრალიტეტი დაიჭირა და ხონთქარს შეუთვალა: „ჩემთვის ყველაზე დიდი განძი ჩემი ხალხის სიცოცხლეაო“... დიახ, ბატონებო! ასე გადაარჩინა იბრეიმმა თავისი ქვეყანა აოხრებას და ხალხი ამოხოცვას! ისე თუ ისტორიას ჩავხედავთ, იბრეიმი არავისზე ნაკლები მეომარი არ იყო! პირიქით! იგი არც მშიშარა ყოფილა, რასაც ვერ ვიტყვით ბაგრატ V-ზე. იბრეიმმა ალღო აუღო დროის მოთხოვნას, სწორად შეაფასა თემურის შესაძლებლობები და თავისი დიპლომატიით რაც მის სრულ მორჩილებაში გამოიხატებოდა იხსნა თავისი ხალხი და თავისი ქვეყანა! ცხადია ჩვენ ვერ მოვთხოვთ ბაგრატ V-ს ყოფილიყო დემეტრე თავდადებული, მაგრამ რაც მან ჩაიდინა თავისი უგუნური საქციელით, ამას მტერიც არ გააკეთებდა! იგივე საქციელი, ან კიდევ უარესიც გაიმეორა და ჩაიდინა მისმა შვილმაც. მოგახსენებთ შემდეგს: ბაგრატ V 1393 წელს გარდაიცვალა, ტახტზე ავიდა მისი ძე გიორგი VII-დ წოდებული. სწორედ მის მეფობას ემთხვევა თემურ ლენგის 6-გზის შემოსევა საქართველოში! იბადება კითხვა – რატომ? იმიტომ, ბატონებო, რომ შვილმა მამის უაზრო და ქვეყნისთვის დამანგრეველი პოლიტიკური კურსი გააგრძელა და აი რა მოხდა: 1395 წელს თემურმა თოხთამიში საბოლოოდ დაამარცხა და ინდოეთში ლაშქრობის წინ ალყა შემოარტყა ამიერკავკასიაში ერთ კარგად გამაგრებულ ალინჯას ციხეს, სადაც ერაყის უფლისწული თაჰერი იყო თავშეფარებული. თემურმა „ალინჯას“ ციხის ასაღებად თავისი შვილი დატოვა და თვითონ ინდოეთისკენ წავიდა. სწორედ ამ დროს, როცა თემური უკვე მოშორებით იყო ინდოეთისკენ მიმავალი, გიორგი VII თავისი ლაშქრით თავს დაესხა თემურის შვილს, ამოხოცა ლენგის მიერ დატოვებული ჯარის ნაწილი, გაანთავისუფლა ტყვეობიდან ერაყელი უფლისწული თაჰერი და თან წამოიყვანა თავის ქვეყანაში! თავის თბილისში! ეს ამბავი ცხადია აცნობეს თემურს! ინდოეთში წარმატებული ლაშქრობის შემდეგ (რასაც იგი სამი წელი მოუნდა) კვლავ წამოვიდა საქართველოსკენ და სასტიკად აოხრა ჰერეთი, კახეთი, ქართლი და მესხეთ-ჯავახეთი! ამ საშინელი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ თბილისიდან გაქცეულ გიორგი VII-ს თემურმა შეუთვალა: „გადაეცა თაჰერი მისთვის და თავს დაანებებდა!“ გიორგი VII-მ არა მარტო მკვახე, ზედმეტად მკვახე უზრდელი და უაზრო წერილი დაუბრუნა პასუხად: „არ არის წესი სტუმრის გაცემა... ქართველები შენზე ნაკლები არაფრით ვართ... და თუ გინდა ამაში დარწმუნდე მოდი და შემებრძოლეო, თუ შენს მუქარას არ შეასრულებ, იყავ დიაციო... და არა კაციო“... ბატონებო... არ არის უბედურება ქვეყანას რომ ასეთი ხელისუფალი ეყოლება? შეიძლებოდა იმ კაცთან ვაჟკაცობაზე საუბარი, რომლებიც ყოველთვის კურდღლებივით გარბოდნენ და მხოლოდ მიპარვით, მოტყუებით, ზურგში ებრძოდნენ მტერს? რატომ უნდა შეეწყვიტათ მათ ქართველი ვაჟკაცები თემურის ლაშქრისათვის, თუკი თაჰერის განტევებით საქმე უსისხლოდ მოგვარდებოდა? და ან საერთოდ რატომ უნდა დასხმოდა თავს გიორგი VII ალინჯას ციხეს? და თემურიც მოვიდა!!! გიორგი VII-მ ქუდზე კაცი გაიწვია ბრძოლის ველზე – ბრძოლა მოხდა გოგჩის ტბასთან... მაგრამ... ლენგის ურიცხვმა ლაშქარმა ისე გადათელა და გაწყვიტა ქართული ჯარი, რომ... ამბის მიმტანიც აღარ გადარჩენილა... მეფე კი... ბრძოლის ველიდან კურდღელივით გაიპარა და მთას შეაფარა თავი... სამეფო რომ დაანგრევინა და ხალხი ამოაწყვეტინა თემურს, მაშინღა იკადრა გიორგი VII-მ და... თავის ქვეყანაში გაისტუმრა თაჰერი... ფაქტობრივად თაჰერს გადააყოლა თავისი ხალხის სიცოცხლე! მას შემდეგ ჩამოსახლდნენ ჰერეთის, ქართლის და კახეთის დაცარიელებულ სოფლებში მომთაბარე თურქ-სელჯუკები... მაგრამ ამით მაინც არ დასრულებულა გიორგი VII-ს ამპარტავნობა და უაზრო ყოყლოჩინობა! 1401 წელს მეფემ თემურის ვასალობა იკისრა – ე.ი. ზავი დაიდო, ზავის პირობებით თემური რწმენას არ შეხებია!!! ამის შემდეგ თემურ ლენგი გაემართა ბიზანტიაში, თურქ-ოსმალთათვის „ჭკუის სასწავლებლად“. იქ კი თემურს შეატყობინეს, რომ ტაოში, თორთუმის ციხესთან გიორგი VII-ის მარბიელი ლაშქარი თავდასხმებს აწყობდნენ თემურის ხალხზე! ამ ამბავს ისიც დაერთო, რომ... ხარკის გადახდა შეუწყვიტეს საქართველოდან! ამჯერად უკვე ამ მიზეზით განხორციელდა მისი მესამე ლაშქრობა საქართველოში! თემურმა ისევ თავიდან და ისევ სასტიკად მოაოხრა სამხრეთი საქართველო, ტაო-კლარჯეთი, მესხეთ-ჯავახეთი... ცოცხალი აღარ დაუტოვებია აღარავინ! გიორგი VII-მ ისევ მთიულეთს შეაფარა თავი... ამ ამბების შემდეგ თემური ისევ ოსმალებთან საბრძოლველად დაბრუნდა! ოსმალთა სასტიკი დამარცხების შემდეგ თემურს ისევ მოუტანეს ამბავი, რომ... გიორგი VII-მ მას უღალატა და მოატყუა... უარესიც... თემურს აცნობეს, რომ გიორგი VII ოსმალებს შეეკრა და მასთან საბრძოლველად ერთიან ლაშქარს ამზადებდა... თემურმა შიკრიკები აფრინა გიორგი VII-სთან და შეუთვალა „თუ არ გიღალატნია, მოდი ჩემთან და შენი მოსვლით შენი სიმართლე დამიმტკიცეო...“ გიორგი VII-მ ისევ მთიულეთს შეაფარა თავი და ხალხი და ქვეყანა კი... კიდევ

ერთხელ შეატოვა თემურს ხელში... ეს გახდა თემურის მერვე და გამანადგურებელი ლაშქრობის მიზეზი... მე კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ ჩვენ ვერავის მოვთხოვთ იყოს „დემეტრე თავდადებული“ და საკუთარი სიცოცხლე ანაცვალოს თავის ხალხს და თავის ქვეყანას!.. მაგრამ ისიც დაუშვებელია, რომ მეფე ან საერთოდ ქვეყნის მეთაური, ე.ი. ხელისუფალი თავისი უგუნური საქციელით, ე.ი. პოლიტიკით ძალით აღიზიანებდეს მტერს, ძალით იწვევდეს საომრად და ფაქტობრივად ძალით ახოცვინებდეს თავის ხალხს, ანადგურებინებდეს ქვეყანას და კარგავდეს ტერიტორიებს! და ჩვენ ყველამ უნდა შევიგნოთ, რომ ლანგ თემური ფაქტობრივად აიძულა ბაგრატ V-მ და გიორგი VII-მ, რომ მას გამანადგურებელი 8 შემოსევა განეხორციელებინა საქართველოში და... გაეწყვიტა ქართველი ხალხი!!! ქართველებისგან დაეცარიელებინა ტაო-კლარჯეთი, მესხეთ-ჯავახეთი, ჰერეთი, კახეთი და ქართლი! მე უკვე გითხარით, რომ შირვანის შაჰი იბრეიმი თავისმა ხალხმა ეროვნულ გმირად შერაცხა! მას არაფერი დაშავებია და დაჰკლებია იმით, თუ თავზე ნაცარი წაიყარა თემურის წინაშე მორჩილების გამოსახატავად, თურქებთან კი ნეიტრალიტეტი, ე.ი. თავი შორს დაიჭირა, და თურქები კი მოგეხსენებათ იბრეიმის მონათესავე ხალხი იყო, ფაქტობრივად განაყოფები... მაგრამ.. იბრეიმმა თავისი ქვეყანა და თავისი ხალხი აირჩია და გადაარჩინა კიდეც თემურთან სისხლისმღვრელ ომს და ომებს თავისი ჭკვიანური და შორსგამიზნული პოლიტიკური ქმედებით! ჩვენს ძველებს უთქვამთ: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო“... „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელ ერს ეს არ უნდა ესწავლებოდეს, მაგრამ... სწორედ უგუნურმა ხელისუფლებმა მამა-შვილმა ბაგრატ V-მ და გიორგი VII-მ თავიანთი არამეფური და უღირსი ქმედებით დააქციეს, დათრგუნეს, ამოხოცეს და... საერთოდ დაამცირეს საქართველო... და ვაი, რომ ასე გრძელდება დღემდე! დრო სწრაფად გადის... ხელისუფალნიც სწრაფადვე იცვლებიან, მაგრამ მათი საქმეები ისტორიას რჩება! ისტორია აანალიზებს და აფასებს მოვლენებს, ისტორია რეალური ცხოვრების სარკეა, სადაც თავისი ნაკლითა და ღირსებით ჩანს ჩვენი ქვეყნის ძველი და თანამედროვე ხელისუფალთა ნამოღვაწარი... დღეს რაც ხდება, თუნდაც 2013 წლის 17 მაისის სრულიად საქართველოს მოსახლეობის თავგანწირული აქცია სოდომიზმის ცოდვის წინააღმდეგ – კარგი გაკვეთილი უნდა იყოს ჩვენი გადაჯიშებული და რწმენა გამოცვლილი არა მარტო ნაციონალებისთვის, „ოცნების“ წარმომადგენელთათვისაც და ასევე ჩვენი უცხოელი „მეგობრების და პარტნიორებისთვის“, თითქოსდა დემოკრატიის შუქურის როლს რომ ასრულებენ თავიანთი აზრით, პირზე გამუდმებით რომ აწერიათ „დემოკრატია“ და ადამიანის უფლებების დაცვა! იციან კი მათ ამ სიტყვების მნიშვნელობა? 2013 წლის 17 მაისის მოვლენებმა საქართველო კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ... მათ არათუ არ იციან ამ სიტყვების მნიშვნელობა, არამედ პირიქით და უფრო უარესიც... ამ სიტყვებს ისინი იყენებენ ჩვენი ხალხის თვალის ასახვევად, დემაგოგიური ზომბირებისთვის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მიმართ... რათა ისინი დაარწმუნონ, რომ „დემოკრატია“ – არ არის ხალხის ხელისუფლება და ის არის მხოლოდ ის, რასაც ისინი გვირჩევენ, რასაც ისინი გვიბრძანებენ და... რასაც ისინი ძალდატანებით გვაიძულებენ რომ გავაკეთოთ... მათი მითითებით და მათი სურვილით! დიახ, ბატონებო, სიმართლე მხოლოდ ეს არის!!! გადახედეთ ისტორიას, ჩვენს წარსულს, ასეთი ძალდატანება უღირსი ბოროტების და გარყვნილების დასაკანონებლად არც ერთ დამპყრობელს არ მოუხვევია ჩვენი ხალხისთვის თავზე, არავის, თუნდაც იმ თემურ ლენგს არ მოუთხოვია, რომ ჩვენი ტრადიციები, რომელიც ყველა განათლებული კაცის ენაზე კულტურას ნიშნავს, დაგვევიწყებინა და სოდომის ცოდვაში ჩაგვეხრჩო თავები მათდა საამებლად! ერთადერთი კითხვა გვაქვს მათთან – საქართველოში, ჩვენს საკუთარ ისტორიულ სამშობლოში, ჩვენს მიწა-წყალზე რატომ არ იცავენ ქართველი ხალხის უფლებებს? აბორიგენი მოსახლეობის უფლებებს? რატომ გვებრძვიან? რატომ გვართმევენ ჩვენს ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს? რატომ შეურაცხყოფენ ჩვენს რწმენას? რატომ რყვნიან სულიერად და ფიზიკურად ჩვენს მომავალ თაობას? რატომ ცდილობენ, რომ მართლმადიდებლურ ქვეყანაში სოდომის ცოდვა – ჰომოსექსუალიზმი და მამათმავლობა ჩვეულებრივ წესად გვიქციონ და სექსუალური გარყვნილება დაგვიკანონონ? რატომ. ბატონებო, რატომ? ვისაც სიამოვნებს, რომელი ერის წარმომადგენლებსაც სურთ მათ გვერდით და მათთან ყოფნა, მათებურად ცხოვრება, ნება მათია, ჩვენ არავის საქმეში არ ვერევით, უფრო მეტიც! ჩვენ სახლებში არავის ვუვარდებით თუნდაც ისინი ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობდნენ! მაგრამ თუ მართლაც დემოკრატები არიან ჩვენი უცხოელი მეგობრები და პარტნიორები – მაშინ ისინი უბრალოდ ვალდებულნიც არიან ჩვენზედაც, ე.ი. ჩვენს ხალხზეც იფიქრონ და იზრუნონ! ჩვენი ხალხის უფლებებიც დაიცვან და აგვაცილონ იმ უზნეობას, რასაც ვერასოდეს შეეგუება ღირსეული ქართველი კაცი თუ ქალი! და ნუ შეეცდებიან ძალდატანებით სოდომის ცოდვის და სექსუალური გარყვნილების სხვადასხვა სახეობების საქვეყნოდ ძალად თავზე მოხვევას. ქართველი ქალი საცვალს გარეთაც არ ჰფენდა, სხვას რომ არ დაენახა, ბატონებო, ეს ჩვენი ზნეობაა და დღეს რატომ აშიშვლებთ ასე დაუნდობლად ყოველგვარ სიბინძურეს და მერე ცხვირში რატომ ჩრით ამ სიბინძურეებს ჩვენს ხალხს? ასეთ ძალდატანებას და შეურაცხყოფას არ იმსახურებს ქართველი ხალხი, ბატონებო! აგერ ახლახანს ჯერ სამი ვაჟკაცი ჩამოვასვენეთ ავღანეთიდან, შემდეგ კი შვიდი. ისინი ნამდვილი ვაჟკაცები იყვნენ და ნუთუ მათი სიცოცხლე არ იყო მნიშვნელოვანი მათი სამშობლოსთვის? ვისთვის იხოცავენ ქართველი ბიჭები თავებს იმ მოუსავლეთში? საერთაშორისო მისიისთვის? დიახ, ბატონებო! იმისთვის, რომ მერე ცილი არავინ დაგვწამოს დემოკრატები არა ხართო, საერთო საქმეს გაურბიხართო... და აჰა, იხოცავენ თავებს ჩვენი ბიჭები, იმისთვის, რომ პარტნიორებთან ცუდები არ გამოვჩნდეთ... და რა არის ეს თავების დახოცვა თუ არა ნებაყოფლობით მსხვერპლშეწირვა? რატომ, ბატონებო? ვის ქვეყანას და ვის ხალხს სჭირდება ნარკოტიკები და ნარკოტიკების სატრანზიტო ბიზნესი, ამ საქმესთან ჩვენ რა შუაში ვართ? და თუ მაინც ვართ, და მაინც ხოცავენ ჩვენს ბიჭებს – ჩვენი თხოვნაც გაითვალისწინონ ამ საერთაშორისო მისიებმა და ორგანიზაციებმა და ნუ მოგვექცევიან უფლებააყრილი მონებივით! შეურაცხყოფას მაინც ნუ მოგვაყენებენ და ნუ გვაიძულებენ ამდენი დამცირება და თავში რტყმევა ავიტანოთ! ავიტანოთ ამ უმსგავსი და ცოდვილი ადამიანების აღლუმები და პარადები და თანაც იმ ქუჩაზე და იმ პროსპექტზე, სადაც ავღანეთში გარდაცვლილთა პანაშვიდებზე დამწუხრებული იდგა

მთელი საქართველო წინა საღამოს! არა, ბატონებო, ნუ გვაიძულებთ იმ საქციელის ჩადენას, რაც ჩვენი ხალხის ვაჟკაცურ სულში არ ზის, რაც ჩვენს ზნეობას, მორალს, ტრადიციას და ბოლოსდაბოლოს ჩვენს 5000 წლოვან კულტურას ეწინააღმდეგება! და ნუ გვაფიქრებინებთ, რომ... თქვენ არათუ ხალხის მოყვარე დემოკრატები არა ხართ... პირიქით... არ არის დიდი ხანი, რაც ტელეკომპანია „მაესტრო“ ქართველ მაყურებელს თურქულ კინოსერიალს „1001 ღამე“ უჩვენებს. მთელი თბილისი და მთელი საქართველო დასვა ტელევიზორებთან ამ სერიალმა და რატომ მოხდა ასე, ბატონებო, იცით? ღირებულებები, რომელსაც მსოფლიოს „კულტურული საზოგადოება“ საკაცობრიოს უწოდებს და რომელიც ზნეობაზე, მორალზე, ერთგულებაზე, მეგობრობასა და კეთილშობილებაზეა დაშენებული – ამ კინოსერიალის სცენარის არა მარტო საფუძველი და ძირითადი თემაა, არამედ მისი ყველა სერიის, ყველა გმირის, ყველა წუთის და წამის შინაარსის და ფაბულის ფაქტობრივი მასალის შინაგანი და განუყოფელი ნაწილია! და ეს ღირებულებები, ბატონებო, ქართველი კაცის გენეტიკური სინდისია! სინდისი იგივე ზნეობრივი ვალია, ბატონებო! სწორედ სინდისმა და ზნეობრივმა ვალმა ათქმევინა ჩვენს დიდ წინაპარს ქუჯის, რომ ფარნავაზი „უფროსი ძმა და უფალი იყო მისი“... სწორედ სინდისმა დასვა ცოტნე დადიანი თავისივე სურვილით ძმადშეფიცულების გვერდით სასიკვდილო სარეცელზე... სწორედ სინდისმა წაიყვანა ურდოში დემეტრე თავდადებული და უყოყმანოდ შესწირა საკუთარი სიცოცხლე თავის ხალხს და თავის სამშობლოს! სწორედ სინდისმა ატარებინა თევდორე მღვდელს დროის მოსაგებად მიუვალ ხევ-ხუვებში დამპყრობლები, მან ხომ ძალიან კარგად იცოდა, რომ წუთი-წუთზე გამჟღავნდებოდა მისი ქმედება და... სიკვდილი გარდაუვალი იყო... სწორედ სინდისმა დაატოვებინა ირანის შაჰის კარზე თავისი უსაყვარლესი შვილი პაატა გიორგი საკაძეს!.. სამშობლო რომ გადაერჩინა იმ 35 000 სპარსელისგან მარტყოფის ველზე? სწორედ სინდისი ალაპარაკებდა ევდემონ კათალიკოსს სიმართლეს თავის ქადაგებებში როსტომ ხანის გარყვნილ, ღალატიან ცხოვრებაზე... შეეწირა კიდევაც ამ სიმართლეს! სწორედ სინდისმა ამოაღებინა ხმა კირიონ II კათალიკოს ჟორდანიას მასონური და მძარცველი ხელისუფლების წინაშე! სწორედ სინდისმა დააწერინა ილიას „ქვათა ღაღადი“... სწორედ სინდისმა ჩაასახლებინა სტალინსა და ბერიას ქართველთაგან დაცარიელებულ აფხაზეთში, მესხეთსა და კახეთში იმერელი, მეგრელი და რაჭველი ღარიბი მოსახლეობა. სწორედ სინდისმა გაასროლინა ბერიას სანჯიანის მისამართით ტყვია, რათა დაეცვა ქართველი ხალხისათვის ძირძველი ქართული ჯავახეთის მხარე! დიახ, ბატონებო! სინდისი ზნეობრივი ღირებულებების ნაკრებია, რაც ქართველი ხალხის სისხლსა და ხორცშია გამჯდარი... ეს ღირებულებები ქართველი ხალხის სისხლხორცეული და ზნეობრივი ღირებულებებია, ბატონებო, და ამ ღირებულებებს განათლებული და კულტურული, ცივილიზებული ქვეყნები, ასევე ცივილიზებული საზოგადოებები საკაცობრიო ღირებულებებს უწოდებენ... სწორედ ამ ნიშნებით განასხვავებდნენ ჩვენი წინაპრები ხალხს, ადამიანებს, მათ ირგვლივ და მათ გვერდით მყოფებს ერთმანეთისგან! ზოგნი იმსახურებდნენ ზნეობრივად სრულყოფილი კაცის ტიტულს და მას სინდისის მქონედ მოიხსენიებდნენ, ზოგს კი... სინდისის გარეშეს ტოვებდნენ! ე.ი. უსინდისოს იტყოდნენ მასზე და ეს შეფასებები გვარიდან გვარს გადაეცემოდა, თაობიდან თაობას! დიახ, სინდისი – ზნეობრივი მოვალეობა, მორალი, ტრადიციები და წეს-ჩვეულებებია ხუთი ათასწლეულის მანძილზე (რაც ისტორიულად ვიცით) ქართველი ხალხის სისხლსა და ხორცში გამჯდარი და დასანანია, რომ ეს არ იციან ჩვენმა „ერთგულმა და განათლებულმა ამერიკელმა და ევროპელმა მეგობრებმა და პარტნიორებმა“... მიუხედავად ამერიკული, ევროპული, ბრაზილიური და მექსიკურ-კოლუმბიურ-ვენესუელური უგარყვნილესი და უბოროტესი კინომრეწველობისა, რასაც უკვე 20 წელია ცხვირში ტენიან ქართველ ერს! – ჩვენი ხალხის ძირითადი ნაწილი ბუნებით მაინც სუფთა და წმინდა დარჩა, მათი სულები ღვთაებრივად კეთილშობილი და უბიწოა, როგორც ჩვილი ბავშვი და ეს ძალად თავსმოხვეული, შორსგამიზნული და ქართველი ერის გადასაჯიშებლად წინასწარ განზრახული გარყვნილი კინომრეწველობა და სატელევიზიო პროგრამები არ ესადაგება მის სულიერ მოთხოვნილებას. დიახ ბატონებო! უკანასკნელი 9 წლის მანძილზე მასმედიის საშუალებებით უზნეობის, სოდომიზმის, გარყვნილების არნახულ და წარმოუდგენელ პროპაგანდას ეწეოდნენ. და სწორედ ამ მოთხოვნილებამ შეაჩერა ჩვენი დათრგუნული, დამცირებული და ხელოვნურად გაღატაკებული მოსახლეობის არჩევანი თურქულ „1001 ღამეზე“! და არა გარყვნილ და გამრყვნელ სერიალებზე! ამ უბრალო ფაქტით სიმართლე გაგიშიშვლეთ, ბატონებო! და მინდა ხმამაღლა გითხრათ, რომ ქართველი კაცი, მიუხედავად ამდენი ზეწოლისა შინაგანი ბუნებით ისეთივე რაინდი და კეთილშობილი ვაჟკაცია, როგორც 500 და 1000, ან კიდევ 2000 წლის წინათ იყო... და როგორებიც არა მარტო მისი მითიური, არამედ ისტორიული გმირებია: ამირანი, ბადრი, უსუპი, ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, შალვა ახალციხელი, ცოტნე დადიანი, დემეტრე თავდადებული და მრავალი სხვა... დიახ, ბატონებო, ესეც ფაქტია, რისი დაჯერებაც ალბათ ზოგიერთს არც უნდა, მაგრამ ასეა! და რადგან ქართველი კაცის სულსა და გულში ბოროტება და გარყვნილება გენეტიკურად არ ზის, იმიტომ ცდილობენ ჩვენი ამერიკელი და ევროპელი „მეგობრები“ უზნეობა და სოდომის ცოდვა ძალით შეგვაყვარონ და ჩვენი ცხოვრების წესად გვიქციონ! და ბოლოს ერთი რამ მინდა ჩვენს ოპონენტებს ხმამაღლა გავუმეორო, რომ... უზნეობის, გახრწნილების, გარყვნილების და სოდომის ცოდვის დაკანონება და ძალდატანება რომ დემოკრატია არ არის, ეს ყველამ უნდა იცოდეს! ეს ყველამ უნდა იცოდეს, ბატონებო! მსოფლიოს ნებისმიერმა მოქალაქემ უნდა იცოდეს და... ტირანიაში არ უნდა აერიოს!!! ... ჩვენს ოპონენტებს მინდა ვუთხრა, რომ ქვეყანამ, რომელმაც შექმნა დიდი ქრისტიანული კულტურა, ქვეყანამ, რომელმაც აქამდე მოიტანა საკუთარი ენა და საკუთარი დამწერლობის სამგვაროვანი სახე, მისი წაშლა ცივილიზებული სამყაროს რუკიდან დიდი დანაშაულია!!!

SOS! ხელები შორს საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და მისი მრევლისაგან! ქართველი ხალხისაგან!

მანანა ვახტანგაძე

ერთი ეპიზოდი ალბერტ აინშტაინის ცხოვრებიდან

ერთხელ უნივერსიტეტში პროფესორმა სტუდენტს კითხვა დაუსვა.
პროფესორი: ღმერთი კარგია?
სტუდენტი: დიახ
პ: ეშმაკიც კარგია?
ს: არა
პ: სწორია. მიპასუხე შვილო, დედამიწაზე ბოროტება არსებობს?
ს: დიახ
პ. ბოროტება ყველგანაა და ეს ყველაფერი ღმერთმა შექმნა, ხომ მართალია?
ს: დიახ
პ: ე.ი. ვინ შექმნა ბოროტება?
ს: ...
პ: დედამიწაზე არის სიმახინჯე, თავხედობა, ავადმყოფობა, უმეცრება?ეს ყველაფერი ხომ ნამდვილად არის?
ს: დიახ, სერ
პ: ვინ შექმნა ისინი?
ს:,...
პ: მეცნიერება ამტკიცებს, რომ ადამიანს 5 გრძნობა აქვს იმისთვის, რომ მის ირგვლივ მყოფი სამყარო აღიქვას. მიპასუხე შვილო, როდისმე გინახავს ღმერთი?
ს: არა, სერ
პ: გვითხარი, ღმერთის ხმა გსმენია?
ს: არა, სერ
პ: როდესმე გიგრძვნია ღმერთი? მისთვის გემო თუ გაგისინჯავს? ან თუ გიყნოსია?
ს: ვშიშობ, რომ არა, სერ
პ: და შენ მაინც გწამს მისი?
ს: დიახ
პ: მიღებული დასკვნების საფუძველზე მეცნიერებას შეუძლია დაამტკიცოს, რომ ღმერთი არ არსებობს. რაიმეს დაუპირისპირებ ამას?
ს: არა პროფესორო, მე მხოლოდ რწმენა გამაჩნია.
პ: სწორედ ასეა. რწმენა-ესაა მთავარი პრობლემა მეცნიერებისათვის.
ს: პროფესორო, არსებობს ყინვა (სიცივე)?
პ: რა შეკითხვაა? რა თქმა უნდა. შენ არასოდეს შეგცივებია?
სტუდენტებს ყმაწვილის კითხვაზე გაეცინათ)
ს: სინამდვილეში სერ, ყინვა (სიცივე) არ არსებობს. ფიზიკის კანონების მიხედვით, ის რასაც ჩვენ სიცივეს ვეძახით, სითბოს არარსებობაა (უქონლობაა). ადამიანი ან საგანი ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ იმის მიხედვით, თუ მას გააჩნია ენერგია ან გასცემს მას. აბსოლუტური ნოლი (-460 გრადუსი ფარინგეიტით), ეს სითბური ენერგიის სრული არქონაა (არარსებობაა). ასეთ ტემპერატურაზე მატერია ინერტული და სრულიად უუნარო ხდება. სიცივე არ არსებობს. ეს სიტყვა იმისთვის მოვიგონეთ, რომ სითბოს არარსებობის შემთხვევაში ჩვენი მდგომარეობა ავღწეროთ.
(აუდიტორიაში სიჩუმე ჩამოწვა).
ს: პროფესორო სიბნელე არსებობს?
პ: რა თქმა უნდა. რა არის ღამე, თუ არა სიბნელე.
ს: თქვენ ისევ ცდებით, სერ. სიბნელე სინამდვილეში სინათლის არქონაა. ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ სინათლე და არა სიბნელე. ნიუტონის პრიზმის გამოყენებით შეგვიძლია თეთრი შუქის უამრავ ფერად დაშლა და თითოეული ფერის სხვადასხვა სიგრძის ტალღების შესწავლა. თქვენ არ ძალგიძთ სიბნელის გაზომვა. სინათლის უბრალო სხივს შეუძლია სიბნელეში შეღწევა და მისი განათება. როგორ უნდა გამოვიკვლიოთ რამდენად ბნელია რაიმე სივრცე? ამისათვის თქვენ ითვლით, თუ რა რაოდენობის სინათლეა იქ. სიბელე ეს ის მცნებაა, რომელსაც ადამიანი იმისთვის იყენებს,რომ გაიგის რა ხდება სინათლის არქონის შემთხვევაში. ეხლა კი მიპასუხეთ პროფესორო, სიკვდილი არსებობს?
პ: რა თქმა უნდა. არის სიცოცხლე და არის სიკვდილი-მისი საწინააღმდეგო მხარე.
ს: თქვენ ცდებით, პროფესორო. სიკვდილი-სიცოცხლის საწინააღმდეგო მხარე კი არა, მისი არარსებობაა. თქვენმა მეცნიერულმა თეორიამ სერიოზული ბზარი მისცა.
პ: რისკენ მიდიხართ ახალგაზრდავ?
ს: თქვენ გვასწავლით, რომ ჩვენ მაიმუნისგან წარმოვიშვით. თქვენი თვალით გინახავთ ევოლუცია?
პროფესორმა ღიმილით დააქნია თავი, როცა მიხვდა საით მიდიოდა საუბარი.
ს: არავის არ უნახავს ეს პროცესი. ამიტომ თქვენ უფრო მღვდელი ხართ, ვიდრე მეცნიერი.
(აუდიტორია ახარხარდა)
ს: ეხლა მითხარით, არის ამ კლასში ვინმე, ვისაც პროფესორის ტვინი უნახავს? უყნოსია მისთვის, მისი ხმა გაუგია, ან შეხებია მას?
(სტუდენტები კვლავ ხარხარებენ)
ს: მე მგონი ასეთი არავინაა. მაშინ მეცნიერულ ფაქტზე დაყრდნობით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ პროფესორს ტვინი არ აქვს. მიუხედავად ჩემი თქვენდამი დიდი პატივისცემისა პროფესორო, როგორ უნდა ვენდოთ თქვენს ლექციებს?
(აუდიტორია გაირინდა)
პ: ვფიქრობ, რომ თქვენ უბრალოდ უნდა მენდოთ (დამერწმუნოთ).
ს: ნამდვილად! ღმერთს და ადამიანს შორის ერთადერთი კავშირია-ეს არის რწმენა (ნდობა)!
პროფესორი დაჯდა.
ამ სტუდენტს ალბერტ აინშტაინი ერქვა.

გარეკანის პირველ გვერდზე:
გერგეტის სამება

გარეკანის ბოლო გვერდზე:
ბათუმის ბოტანიკური ბაღი

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „კვალი“ გამოდის 2006 წლის ოქტომბრიდან

კომპიუტერული მომსახურება: *სოფიკო სიხარულიძე*